რომანი 1912—1945 წლების
წინააღმდეგობის, მოძრაობის ისტორიიდან

თეიმურ და ვაჟისი

ეროვნული ენციკლოპედია

·ფერანგი·თბილისი·

И(Гоп)
839.31—31
ф 94

თარგმანი რუსულიდან
ელენე კოდუასი

პირველი გამოცემა

7—3—4

ავტორის წინასიტყვაობიდან

ნაცისტური გერმანიის ჯარები, რომლებიც თავს დაესხნენ პოლონეთს 1939 წლის შემოდგომაზე და ამით ომი გააჩაღეს ევროპაში, 1940 წლის გაზაფხულზე გაემართნენ დასავლეთისაკენ, დაიპყრეს ნორვეგია და დანია, ამავე დროს ჰოლანდიის მთავრობას აღუთქვეს, რომ ისინი ნიდერლანდების წინააღმდეგ არავითარ მტრულ აქციას არ მიმართავდნენ. 1940 წლის 4—5 მაისს ღამით გერმანიამ დაარღვია თავისი პირობა; მისი სახმელეთო და საჰაერო ჯარები შეიჭრნენ ნიდერლანდების ტერიტორიაზე. მთავრობისა და მხედართუფროსთა მიერ მიტოვებული ჰოლანდიის მცირერიცხოვანი არმია ხუთი დღის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. 10 მაისს ჰოლანდიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მთავრობა ლონდონში გაიქცა. ზუსტად ისევე, როგორც ეს მოხდა ნორვეგიასა და დანიაში, გერმანელთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში მოვიდა „სამოქალაქო“ საოკუპაციო მთავრობა.

გერმანელი ნაცისტები იმ იმედით სულდგმულობდნენ, რომ შესძლებდნენ დასავლეთ ევროპის ხალხთა ჩაბმას ერთგვარ, სხვისგან დამოკიდებულ თანამშრომლობაში. ისინი „უფროსი ძმის“ როლს თამაშობდნენ, პირდებოდნენ, ჰოლანდიურ კანონებს არ შევცვლითო. საჭიროდ თვლიდნენ მხოლოდ მმართველობის ორგანოების უმნიშვნელო რეორგანიზაციას და ბერლინის კონტროლის დაწესებას. მათი გაზეთები იუწყებოდნენ, რომ დასავლეთ ევროპის ხალხები, მათ შორის ჰოლანდიელი ერი, ისწავლიდნენ თავიანთი გერმანელი „ძმების“ დახმარებისა და მათი განსაკუთრებული კეთილშობილების დაფასებას...

გერმანელ ოკუპანტებს და ფაშისტ ყაჩაღებს ეწყინათ ის ფაქტი, რომ არავინ დაიჯერა მათი ტყუილი. ჰიტლერელები მეტისმეტად უხეშად და ხშირად იტყუებოდნენ. მხოლოდ ჰოლანდიის ბურჟუაზიის ცალკეული წრეები მზად იყვნენ ეთანამშრომლათ ახლადმოვლენილ ტირანებთან. ზუსტად ასევე, თავისთავად იგულისხმება, ოკუპანტებთან თანამშრომლობის მსურველი იყო ჰოლანდიელ ფაშისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობდა გერმანულ ფაშიზმს ჰოლანდიაზე თავდასხმის მომზადებაში.

ჰიტლერითა და მისი გამუდმებული მუქარით შეშინებული ჰოლანდიის ბურჟუაზიის წარმომადგენლები ასე მსჯელობდნენ: „რადგანაც ნაცისტები უახლოეს საუკუნეში ევროპის მმართველები იქნებიან, ყოველგვარი

ნინააღმდეგობა ზედმეტია". მალე მათ საკმაოდ კომფორტაბელური ცხოვრება მოიწყვეს. ისინი გახდნენ ნაცისტური არმიის მიმწოდებლები, მხოლოდ საქონელს კი არ აწვედიდნენ, არამედ მათ მიერ ძალით მოკრებილ სამუშაო ძალას. ამ მიმწოდებლებს ეხმარებოდნენ ზოგიერთი ყოფილი სოციალ-დემოკრატები, პროფკავშირის ბოსები, რომლებიც აშკარად მიემხრნენ ოკუპანტებს, უღალატეს თავიანთ პროფკავშირს და იგი ხელთ ჩაუგდეს „„გერმანიის ნუშათა ფრონტს".

მაგრამ, საბედნიეროდ. ეს მოღალატენი ქვეყნის მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ, ძირითადად ჰოლანდიის მოსახლეობა — მშრომელები, წვრილი ბურჟუაზია, ვაჭრები, ინტელიგენცია, მწერლები, აგრეთვე მსხვილი ბურჟუაზიის დიდი ნაწილი—ანტიფაშისტურად იყო განწყობილი. მას სძულდა დამპყრობლები. სძულდა უცხო უღელი. ეზიზღებოდა ნაციზმი. ემიგრაციაში მყოფი ჰოლანდიის მთავრობა მეტისმეტად სუსტი იყო, მას მომავლის შიში ტანჯავდა. ფაქტიურად იგი ისე შეშინებული იყო, რომ 1940 წელს ბრიტანეთის სახელმწიფოს აცნობა, რომ მას განზრახული ჰქონდა ხელმეორედ წასვლა ემიგრაციაში — ინგლისიდან კანადაში... იგი ცდილობდა ჰოლანდიელი ხალხისთვის სულიერი ძალა შეენარჩუნებინა მხოლოდ იმით, რომ რადიოთი მოუწოდებდა ჰოლანდიელ მოსახლეობას, შეენარჩუნებინათ სიწყნარე და არ გაეღიზიანებინათ ოკუპანტები. ემიგრაციაში მყოფ ჰოლანდიის მთავრობას, რომელიც ხშირად იცვლიდა შემადგენლობას, სამარი მოქმედების ცვალებადობის მიხედვით, არ ჰქონდა უნარი შთაგონებინა ჰოლანდიის მოსახლეობისათვის პატრიოტული ბრძოლის გაჩაღება. ამის გამო ლონდონში მყოფი ჰოლანდიის მთავრობა დაშორდა ხალხს თავისი საკუთარი ქვეყნისა, რომელიც გერმანული ფაშიზმის ფეხით ითელებოდა.

ოკუპანტებმა პირველად საზეიმო პირობა დასდეს, რომ „კეთილი ძმებივით" მოიქცეოდნენ, მაგრამ მალე დაივიწყეს ეს პირობა, ისინი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდნენ ქვეყნის ნაციფიკაციისათვის. ლონდონში გაქცევამდე. ჰოლანდიის მთავრობამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ორი სოციალ-დემოკრატი, აკრძალა კომუნისტური პრესა და ციხეში გამოამწყვდია რამდენიმე გამოჩენილი კომუნისტი. მათ შორის ჰოლანდიის კომპარტიის წევრი დავით ვაინკოოპი. გერმანელი ოკუპანტებიც ანალოგიურ ზომებს ღებულობდნენ. თითქმის ქვეყნის ოკუპაციის დაწყებისთანავე აკრძალეს ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის საქმიანობა, მისი გაზეთი და მისი არსებობაც. კომპარტიამ იატაკქვეშეთს შეაფარა თავი და დაიწყო ომის საწინააღმდეგო სააგიტაციო ფურცლების გამოშვება.

გერმანელმა ფაშისტებმა შეიმუშავეს შორეული მომავლის გეგმები. მათ სურდათ ბურჟუაზიის გარკვეული წრეების, ცალკეული სოციალ-დემოკრატების და თავიანთი მიმდევრების — ჰოლანდიელი ფაშისტებისაგან ჩამოეყალიბებინათ თავისებური „კვისლინგის მთავრობა", იმედოვნებდნენ, რომ სწორედ ამ საშუალებით ჩაითრევდნენ ომში ჰოლანდიელ ხალხს და გამოიყენებდნენ უშუალოდ გერმანიის არმიის საომარ მოქმედებაში: ასეთი სამარცხვინო მთავრობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებლად საჭირო განწყობილების შესაქმნელად ოკუპანტებმა თავის იარაღად აირჩიეს ჰოლანდიელი ნაცისტები. მათ განიზრახეს ტერორი როგორც „ქუჩის დაპყრობის" მეთოდი — უმთავრესად ამსტერდამში — და ძირითადად იმედს ამყარებდ-

ნენ ღარბევაზე; ებრაელების განადგურებით მათ სურდათ არა მარტო თვით ფაშისტების დაჯგუფებათა სისხლისმსმელი ინსტინქტების გაღიზიანება, აგრეთვე მცხოვრებთა დაშინებაც.

ოკუპანტების გეგმები ჩაიფუშა. კომუნისტური პარტია, მის უკვე სახელმოხვეჭილ იატაკქვეშურ გაზეთ „დე ვაარხეიდში“ ამხელდა გერმანული ნაცისტების ზრახვებს და, ამასთან დაკავშირებით, მიუთითებდა, თუ რა როლი განეკუთვნებოდა გერმანელებს ებრაელთა დარბევის მოწყობაში. მიუხედავად ამისა, დარბევები მაინც ხდებოდა: ტერორის ტალღამ გადაურბინა ებრაელთა კვარტალებს. ამ ამბავს ყველგან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ფაშისტებსა და ანტიფაშისტებს შორის ქუჩაში სტიქიურად მომხდარ შეტაკებაში, რომელიც კომპარტიის მიერ იყო ორგანიზებული, გამომეღავნდა ჰოლანდიელი ხალხის რისხვა და აღშფოთება. კომპარტიის მიერ მოწყობილი მასობრივი გამოსვლები გადაიზარდა უდიდეს პროტესტში, რომელსაც მხარი დაუჭირა ამსტერდამის თითქმის მთელმა მოსახლეობამ, იგი გამოვიდა ოთხმოცდაათი ათას ებრაელი თანამოქალაქის, უმეტეს წილად წვრილი ვაჭრებისა და პროლეტარიატის დასაცავად. უკანასკნელთა შორის იყო მუშათა მოძრაობის ბევრი აქტიური მოღვაწე. ეს პროტესტი გადაიქცა დიდ ანტიფაშისტურ გაფიცვად, რომელმაც 1941 წლის 25 თებერვალს იფეთქა ამსტერდამში და შორს გასცილდა მისი ოლქის ფარგლებს. კომუნისტების მიერ მოწყობილმა გაფიცვამ ორი-სამი დღით შეაფერხა ვაჭრობა და ტრანსპორტის მოძრაობა. ჰოლანდიელმა ხალხმა გამოამეღავნა თავისი მზადყოფნა ადამიანის უფლებების დასაცავად და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამავე დროს, უნდობლობა ნაცისტების ლიტონი ფრაზის „გერმანელი და ჰოლანდიელი ხალხების ძმობის“ მიმართ. ამრიგად, ტერორის მეთოდითა და პოლიტიკური ხრიკების საშუალებით ჰოლანდიელი ხალხის ნაცისტური უღლისათვის დამორჩილების გზა ერთხელ და სამუდამოდ მოკრილი შეიქნა.

მოსახლეობის საყოველთაო პროტესტმა გაშმაგა გერმანელი ოკუპანტები. კომუნისტებმა ბევრჯერ იწინასწარმეტყველეს, გერმანელი ნაცისტები მალე გამოამეღავნებენ თავიანთ ნამდვილ სახესო და ისინი ასეც მოიქცნენ. მათ დაიწყეს ჰოლანდიელების ტანჯვა-წამება, დახვრეტა, დაპატიმრება, ქლეტა და გადასახლება. ოკუპანტებმა ჰოლანდიაში შემოიღეს თავიანთი ნიურნბერგული ანტიებრაული კანონი, აგრეთვე ყველა გერმანული კანონი „მესამე რაიხის შეურაცხყოფის“ შესახებ. დაიწყეს ქურდობა და მტაცებლობა, ჰოლანდიელ ხალხს ართმევდნენ მისი შრომის ნაყოფს.

ჰოლანდიაში, როგორც გერმანელების მიერ ოკუპირებულ ყველა სხვა ქვეყანაში, კომუნისტები იბრძოდნენ წინაალმდეგობის მასობრივი მოძრაობის მოწინავე რიგებში. ეს იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც ნამდვილად შეძლო ანტიფაშისტურად განწყობილი ყველა კლასის ადამიანთა შემოკრება შეიარაღებული ბრძოლისათვის. ჰოლანდიის წინაალმდეგობის მოძრაობას კომუნისტების მონაწილეობის გარეშე არ ექნებოდა ერთსულოვნება, ძლიერება და მიზანი. ბუნებრივია, რომ ნაცისტები განსაკუთრებულად დაუზოგავად დევნიდნენ კომუნისტებს, აწამებდნენ, ხვრეტდნენ, გზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. ომის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ, ჰოლანდიის წინაალმდეგობაში დაიღუპა კომუნისტური პარტიის წევრთა სამოცამდე პროცენტი. ფაშისტურმა ტერორმა თავის აპოგეას მიაღწია, მას

შემდეგ, რაც გერმანიის არმია დამარცხდა სტალინგრადთან და ლენინგრადთან. საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ ევროპის დამონებულ ხალხებს შემატა რწმენა იმისა, რომ რუსები შესძლებდნენ ნაციზმისაგან გაეწმინდათ არა მარტო საკუთარი მიწა-წყალი, არამედ გაენთავისუფლებინათ მთელი ევროპა. რუსებმა მართლაც გაამართლეს მათი იმედები.

ომამდელმა ბურჟუაზიულმა მთავრობებმა, რომლებმაც წინათ თავიანთ მოღვაწეობაში არ იცოდნენ, რა იყო შეზღუდვა, იგრძნეს, რომ ომი ღებულობდა მათთვის არასასურველ მიმართულებას. ოფიციალურად ისინი მიესალმებოდნენ საბჭოთა არმიას, ცამდე აჰყავდათ იგი გამარჯვებებისათვის, რომლებსაც ზედიზედ აღწევდნენ სტალინგრადის შემდეგ. მაგრამ, ცხადია, კაპიტალისტებს შიშის ზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ ომის დამთავრების შემდეგ ჯარისკაცები დაბრუნდებოდნენ შინ და მოინდომ. -დნენ ახალი, უკეთესი სამყაროს აშენებას. ამიტომ ემიგრაციაში მყოფი მთავრობები ომის პერიოდშივე ღებულობდნენ ზომებს, რომ შესძლებოდათ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნება, ლონდონის ემიგრაციაში მყოფმა ჰოლანდიის მთავრობამ დაიწყო ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობაში აგენტების შეგზავნა. მათ ევალებოდათ თვალი ედევნებინათ წინააღმდეგობაში მყოფ „მემარცხენეებისათვის", და გარკვეული დაჯგუფებები იძულებული გაეხადათ ამიერიდან ოკუპანტებისათვის გაეწიათ მხოლოდ პასიური წინააღმდეგობა, აგრეთვე ხელი შეეშალათ ფაქტო მასებისათვის მხარი დაეჭირათ კომუნისტებისათვის მათ აქტიურ ბრძოლებში და ნაცისტური მთავრობების წინააღმდეგ წარმოებულ დივერსიებში.

და აი, ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის თითქმის ყველა ჯგუფში დაიწყეს მუშაობა ბნელმა ძალებმა, რომლებიც თავს აფარებდნენ „ნაციონალური წინააღმდეგობის მებრძოლთა" კეთილშობილ სახელს. ფაქტიურად ისინი ბინძურ საქმეს აკეთებდნენ მსხვილი მონოპოლიების სასარგებლოდ.

საჭიროდ ვცნობთ დავძინოთ, რომ ამ ბნელმა ძალებმა ვერც ჰოლანდიის გარეთ და ვერც ჰოლანდიაში ვერ შეძლეს დაემარცხებინათ ჰოლანდიელი ხალხის წინააღმდეგობა გერმანელი ნაცისტების მიმართ, რადგან კომუნისტები და მათი მოკავშირენი ბრძოლებში — სოციალ-დემოკრატები, ინტელიგენცია და ნაციონალური ბურჟუაზიული დაჯგუფებები დაჟინებით განაგრძობდნენ ბრძოლას. ჰოლანდიელი ხალხი შეკავშირებული იყო ერთიანობითა და სოლიდარობით.

ჰოლანდიელი ხალხის ასეთი ერთიანობის წინააღმდეგ დაჟინებით მუშაობდნენ ლონდონში ემიგრაციაში მყოფი მთავრობისა და ჰოლანდიის მსხვილი მონოპოლიის აგენტები. პირველ ხანებში ისინი ცდილობდნენ მოკავშირეთა მალე შემოჭრაზე ლაპარაკით მოედუნებინათ მასობრივი წინააღმდეგობის საქმიანობა. უარესი ის იყო, რომ „სანდო პირებმა" ჰოლანდიაში კავშირი დაამყარეს გესტაპოსთან. უმთავრესად ომის უკანასკნელ წელს, გესტაპოელებს პირდებოდნენ სრულიად შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და ამით გერმანიისათვის საშუალება მიეცათ ჰოლანდიაში მოეხსნათ უფრო მეტი რაოდენობა გერმანელი დივიზიებისა აღმოსავლეთის ფრონტზე გასაგზავნად. გარდა ამისა, ზრუნავდნენ თავისათვის სხვადასხვა პრივილეგიების მოსაპოვებლად. ეს „სტრატეგია" გულისწყრომით უარყვეს წინააღმდეგობის ჭეშმარიტმა მებრძოლებმაც, რომლებიც ომის დამთავრე-

ბამდე განუხრელად იბრძოდნენ ერთი მიზნისთვის — გაენადგურებინათ გერმანული ფაშიზმი.

როგორც ცნობილია, ნაწილობრივ ი. ბ. სტალინსა, ფ. დ. რუზველტსა და უინსტონ ჩერჩილს შორის მიმოწერის წყალობით საბჭოთა კავშირის ოფიციალური დასავლეთელი მოკავშირენი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საკმაოდ ენერგიულად არ ომობდნენ, ისინი ემზადებოდნენ ომის შემდეგ ანტისაბჭოთა პოლიტიკისათვის — „უხეში“ პოლიტიკისათვის, „ცივი ომის“ პოლიტიკისათვის, მათ არ ჰქონდათ განზრახული გერმანული ფაშიზმის განადგურება, მხოლოდ მისი დასუსტება სურდათ, რათა გერმანია დიდი ვადით გამოკლებოდა სერიოზულ კონკურენტებს მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნისათვის ამ მძიმე პერიოდში ჰოლანდიის არალეგალური პარტიის შიგნით აღმოჩნდა მოღალატეთა ჯგუფი, რომელმაც ხელი შეუწყო უცხოელ აგენტებისა და ლონდონის ემიგრაციაში მყოფი მთავრობის ხრიკებს. ისინი ცდილობდნენ თავიანთთვის უზრუნველეყოთ ომის შემდეგ მეთაურთა ადგილები როგორც კომპარტიის შიგნით, ისე პარტიულ პრესაში. როგორც კი აშკარა გახდა მათი მოღალატური გეგმები, ისინი გამოაგდეს მუშათა მოძრაობის რიგებიდან. კომუნისტური პარტიის უმრავლესობა — წვრილი პარტიული ფუნქციონერები და წინააღმდეგობის ყოფილი მებრძოლები, როგორც ომის პერიოდში, იცავდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი ერთგულებას.

მაგრამ მაინც ამ მოღალატე ელემენტების მოქმედება ომის პერიოდში ცუდ გავლენას ახდენდა ჰოლანდიაში წინააღმდეგობის ანტიფაშისტური მოძრაობის საქმიანობაზე. მათი დამღუპველი ზეგავლენის შედეგად პროგრესული და დემოკრატიული ძალების ერთიანობა, რაც წარმოიშვა ქვეყნის ოკუპაციის დროს წინააღმდეგობის მებრძოლთა და მოსახლეობას შორის, ომის დამთავრების შემდეგ დაირღვა. ძველი მთავრობის დაბრუნების შემდეგ კომუნისტების გავლენა შესუსტდა. ჰოლანდიელი ხალხი ისევ აღმოჩნდა თავის ყოფილი მმართველების ხელში, რომლებმაც პირველი ნაბიჯებიდანვე გააჩაღეს ეგრეთწოდებული „ქრისტიანული ყოველისშეწყნარების“ კომპანია თავიანთი მტრების. ვერმანელების მიმართ, რომლებიც ძარცვავდნენ, კლავდნენ და აწამებდნენ ჰოლანდიელ მოქალაქეებს.

განა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მრავალმა მსხვერპლმა, რომელიც გაიღეს წინააღმდეგობის მოძრაობის ემირებმა, არავითარი შედეგი არ გამოიღო?

მდელს მსოფლიოში არავითარ ძალას არ შეუძლია უარყოს სახალხო წინააღმდეგობისა და ხალხის სულიერი ურთიერთობის უდიდესი მნიშვნელობა გერმანული ტერორის თარეშის დროს ჰოლანდიასა და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში. გაღებული მსხვერპლი ამაო არ ყოფილა, მათ დიდი კვალი დატოვეს ისტორიაში. წინააღმდეგობაში იბრძოდნენ გაბედული მამაკაცები და ქალები, რომლებიც ხალხს უნარჩუნებდნენ გამარჯვებისა და უკეთესი მომავლის იმედს. თავიანთი გაბედული მოქმედებით სახალხო შუ-

რისმგებლებბა. რომლებიც სჯიდნენ სამშობლოს მოღალატეებს და კოლა-ბორაციონისტებს, დაამტკიცეს, რომ მართლმსაჯულება ფუჭი სიტყვა როდი იყო. ამ ბრძოლაში გამომჟღავნდა ჰოლანდიელი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებები. არც ერთი მოწინავე მიმართულება, არავითარი პროგრესული ძალები მსოფლიოში არ შეიძლება აღმოიფხვრან ან გაქრნენ უკვალოდ. ამიტომაც. ისტორია ინახავს ჰოლანდიელი ბალხის ანტიფაშისტური ბრძოლის ხსოვნას. ეს ხსოვნა არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, იგი მომავალშიც იცოცხლებს და იქნება საზოგადოდ აღიარებული ძალა, რომელიც შეძლებს აღგვაფრთოვანოს საბრძოლველად, თუ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი ისევ საფრთხეში აღმოჩნდება.

ჩემი რომანის გმირი ქალის პროტოტიპია ჰოლანდიის ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე იოხანა სხაფტი, რომელსაც ყველანი უბრალოდ ხანის ეძახდნენ. იგი დახვრიტეს გერმანელმა ნაცისტებმა ფაშისტური გერმანიის საბოლოო დამარცხებამდე რამდენიმე კვირით ადრე,— ია მოკლეს გამარჯვების წინადღით. ხანი სხაფტის სახელი ძვირფასია ყველა თანამედროვე ჰოლანდიელისათვის, რომელიც პატივს სცემს ანტიფაშისტური წინაალმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს და აღფრთოვანებულია მათი გმირობით. ‘ათასობით ახალგაზრდა ადამიანისათვის ხანი სხაფტი თავისი პატრიოტული მოვალეობის გაბედულად შესრულების ცოცხალი მაგალითია.

ამ შესანიშნავი ქალიშვილის ცხოვრების ასაწერად რომანის ფორმა ავირჩიე. ამიტომ მკითხველმა ჩემი გმირი არ უნდა გააიგივეოს ისტორიულ ხანთ სხაფტთან, თუმცა მას მივაკუთვნე სახელოვანი პარტიზანი ქალიშვილის ხასიათი და მივაწერე ხანის მიერ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის დროს ჩადენილი გმირობანი. ეფიქრობ, რომ წინააღმდეგობის მოძრაობის გარდაცვლილი და ცოცხალი გმირების პატივისცემას არ შევბღალავ იმით, რომ თავისუფლად ვექცევი ფაქტებს და მათ დავალაგებ იმ ‘ითამამით, რისი უფლებაც რომანისტს აქვს ძველთაგანვე.

ამ წიგნზე მუშაობის დროს მეხმარებოდა მრავალი ადამიანი, მიზიარებდნენ თავიანთ მოგონებებს, მაწვდიდნენ ძვირფას ცნობებს. არანაკლებად დამეხმარა ძალა მათი რწმენისა, რომლებიც ცინიკურად არ ეპყრობიან 1940—1945 წლების ამბებს, ანდა არ ეწევიან ჩვენი ნაციონალური ისტორიის ამ დაუვიწყარი პერიოდის დაუფასებლობას.

ჩემს წიგნს ვუძღვნი ყველა პატიოსანი პარტიზანის ხსოვნას, ვინც ფაშისტურ ტერორს ებრძოდა ყველგან, სადაც უნდა მომხდარიყო იგი. ამ წიგნს ვუძღვნი მათაც, ვისაც შეგნებული აქვთ, რომ ჩვენ დღეს უნდა ვიზრუნოთ, რათა თავიდან აეცილოთ უკანასკნელი ომისა და ოკუპაციის პერიოდის საშინელი ამბების გამეორება. ამ წიგნს ვუძღვნი გერმანული ფაშიზმის საზიზღარი გადმონაშთებისა და გერმანიასა და გერმანიის გარეთ ნაცისტური ტერორის განახლების წინააღმდეგ ახალ მებრძოლებს.

თეინ დე ფრისი.

1959 წლის ზაფხული.

ნიგნი პირველი



ლეკნილები

ᲛᲔᲥᲕᲔᲡᲐ

მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, არასოდეს მიგრძვნია თავი ისე ეულად, როგორ 1942 წლის აპრილის ერთ საღამოს. ტანია და ლუიზა სხვა სტუდენტებთან ერთად საოჯახო კონცერტზე წავიდნენ. მე კი მეზონინში, ჩვენს საერთო ოთახში მარტო დავრჩი. ჩვეულებრივ მეგობრებს საკმაოდ გულდინჯად ვუშვებდი, თავად არც თუ განსაკუთრებულად მუსიკალური გახლავართ. და ისინი დამცინიან კიდეც, როცა მარსელიოზას ვუსტვენ, რადგან აუცილებლად ავურევ ხოლმე.. მაგრამ იმ საღამოს რატომღაც უცნაური მოუსვენრობა დამეუფლა.

მარტოობას ისე არ შეუშფოთებივარ, რამდენადაც ცუდი წინათგრძნობა მტანჯავდა. თითქოს ამ გაურკვეველი მღელვარების მიღმა იმალებოდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ამაზრზენი, ვიდრე მარტოობის გრძნობაა. ჩემს წინაშე თითქოს წამოიჭრა უამრავი კითხვა, რომლისთვისაც პასუხი ვერ მომეძებნა. ვერ გამეგო, რა იყო ეს. შეიძლება ოკუპაციის ბრალი იყო. 'ფაშისტი ქოფაკებისაგან ხომ კარგა გვარიანად გვქონდა სიცოცხლე მოწამლული. ყოველდღე ახალ-ახალი ამბები ხდებოდა, ყოველდღე ახალი ღონისძიებები ტარდებოდა. 1941 წლის თებერვლის დიდი გაფიცვების შემდეგ ფაშისტმა ოკუპანტებმა ღიმილის ნიღაბი ჩამოიხსნეს და ბოლოს და ბოლოს თავიანთი ნამდვილი სახე დაგვანახეს. რა თქმა უნდა, წინათაც ვხედავდით მათ ურცხვ სიფათს, მაგრამ თავი ისე გვეჭირა, თითქოს ვერ ვამჩნევდით ვერც მათ და ვერც მათი დამქაშების არსებობას.

ჩემს პატარა მაგიდაზე გაშლილ კონსპექტებსა და კანონების კრებულს გადავხედე. უნდა ვიმეცადინო! მტკიცედ გადავწყვიტე საქმეს შევდგომოდი. მაგრამ საკმარისი იყო მაგიდას მივჯდომოდი, რომ ყურადღება მეფანტებოდა და მეცადინეობას გულს ვერ ვუ-

დებდი. ყრუდ და ძლიერ მიძგერდა გული. რამ ააფორიაქა, რას მიქადის ნეტავ? ლუიზას ჩალის შეზლონგსა და ტანიას წიგნების კარადას შორის ფერად საფენზე დავიწყე წინ და უკან სიარული, თან აქა-იქ მტვერიც გადმოვბერტყე. გაზაფხულის ჩამავალი მზის მკრთალ სხივებზე ალაპლაპებული წიგნების ყდებს ანგარიშმიუცემლად შევყურებდი. ბოლოს ფანჯარასთან შევჩერდი და ქვევით გადავიხედე. ქუჩა მდუმარე და უკაცრიელი იყო, მაგრამ, რასაკვირველია, წამსაც არ გაუვლია, რომ მყუდროება გაჰკვეთა გერმანელი ჯარისკაცების მძიმე ნაბიჯების ხმამ, მალე თვითონაც გამოჩნდნენ. რა ბევრნი არიან ეს წყეულები ჩვენს მიწა-წყალზე. საითაც გაიხედავ, ყველგან მათ მოჰკრავ თვალს. ესენი სამნი მოაბიჯებდნენ. მათი ნალიანი ჩექმების ჭრაჭუნი და ბრაგუნი ნელა და მტკიცედ ახლოვდებოდა. ჯარისკაცები რაღაც ყეყეჩური მოკრძალებით ათვალიერებდნენ ჩვენი კვარტალის — სამხრეთის წყნარი და არცთუ ისე ცნობილი რაიონის სახლებს, განსაკუთრებით კი დიდ და ლამაზ შენობებს. საიდან მოვიდნენ აქ, რომელმა ქარმა გადმოყარა, იქნებ პომერანიის რომელიმე უკაცრიელი და მიყრუებული ადგილიდან... გზადაგზა დიდი კოლოფიდან სანსლავდნენ კანფეტებს. თითქმის ორი წელია, რაც ოკუპაცია გრძელდება, ესენი კი კვლავ ღორმუცელობენ, ვეღარ ამოივსეს სტომაქი, თითქოს ცოტა სარგებლობა ნახეს ჩვენი მეშჩანური ფუფუნებისაგან... ჰმ! აი, ისინი, ჩვენი დამპყრობნი! ვეღარ ავიტანე ამ საზიზღარი რუხი ფიგურების ყურება და სარკმელს მოვშორდი, წიგნების კარადიდან რილკეს ლექსების ტომი გადმოვიღე, პატარა დივანზე მოვიკალათე და ეცადე წამეკითხა. აპრილის უღიმღამო დღის სინათლეზე წიგნის ფურცლები მომწვანოდ მეჩვენებოდა. პოეზიამ, რომელიც ჩემს სულს ეფონებოდა, უფრო გამიმწვავა ნერვიული დაძაბულობა და მარტოობის გრძნობა.

ქვეყანაზე ვიღაც სტირის ახლა,
ახლა მათი მწარე კვნესა მესმის.
გლოვის ხმები იფოფრება ჩემში,
ვისი სისხლიც მწვანე ველზე ელავს,
უმიზეზოდ ბევრი ვარდი გახმა,
ვგრძნობ სახეში შემომცქერის ყველა[1].

ლევდა შემომაწვა. სახლიდან გამოვედი, ველოსიპედზე შევჯექი და ქალაქს შემოვუარე. დაკარგული თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი მდევდა თან. გულს მიღრღნიდა წარსული ცხოვრების ტკბილი წუთების მოგონება, რომელსაც ყველა სამოთხის ნეტარებასავით მიიჩნევს ახლა. ქარი იტაცებდა მშრალ მტვერს და სახეში მაყრიდა, თითქოს ჩემს ფიქრებს დასცინოდა... სჯობს სულ არ იფი-

[1] ლექსები თარგმნილია პოეტ გრიგოლ ჯ უ ლ უ ხ ი ძ ი ს მიერ.

ქრო საცოდაო, უმწეო ხანა! მაგრამ რატომ არ უნდა ვიფიქრო? მე სულ სხვა ხანა ვარ, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს, შემიძლია უფრო მეტი გავაკეთო, ვიდრე თქვენ ფიქრობთ... ან, იქნებ მე მხოლოდ ვოცნებობ ასეთი გავხდე?

უცებ ზიზღი ვიგრძენი მდიდრული კერძო სახლებისადმი, რომლებიც გრძელ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ სუფთა, ამწვანებულ ხეივნებს შორის, რომელთა გასწვრივაც ველოსიპედით მივდიოდი. გადავუხვიე „საცოდავი" პროლეტარული გარეუბნისაკენ, როგორც მას ტანია უწოდებდა, გადავჭერი რკინიგზის ჭუჭყიანი ლიანდაგები და დიდხანს დავბორიალობდი მოუვლელი არხის გასწვრივ, რკინის ჯართის გროვებთან, უპატრონოდ მიგდებულ ნავთსაშენებთან, სადაც დაუმთავრებელი ნავები ლპებოდნენ, გვერდით მოვიტოვე ჭუჭყიანი წყლითა და მობუყბუყე ქაფით სავსე სადენები და სამრეცხაოებს ჩავუარე. გზა განვაგრძე. ჩავუქროლე ყაზარმული ტიპის სახლებს, რომლებიც ახლახან ააშენეს ღარიბებისათვის, მაგრამ უკვე შელანძღულიყვნენ და სევდიანად გამოიყურებოდნენ.

. შორს, მინდვრებს იქით, გავერანებულ ხეხილის ბაღებთან, ცის დასალიერზე მკვდრის მზე გამოჩნდა; თეთრ სამოსში გამოწყობილი ჩოგბურთის მოთამაშენი სწრაფად აწოდებდნენ ერთმანეთს ბურთს. იქვე, ჩამოკონკილი ბავშვები ბურბუშელების კოცონს ანთებდნენ, ზოგნი კი ჯგუფ-ჯგუფად მოსდებოდნენ მიწაყრილებს და მხიარულად ეძებდნენ განძს, რომლის ფასიც მხოლოდ მათ იციან; შესახვევების გასწვრივ მდგარი სახლების გამოღებული კარებიდან იყურებოდნენ ქალები, რომელთა მოქანცულ სახეზეც აშკარად აღბეჭდილიყო ომით გამოწვეული გაჭირვების დაღი. იქ, სადაც არხი ფართოვდებოდა, კარაპამ ჩაიქროლა; გოგონები და ბიჭები ველოსიპედებით მიჰქროდნენ სანაპიროზე, უსტვენდნენ, ამხნევებდნენ მენიჩბეებს, იცინოდნენ...

როგორი კონტრასტებია ყველგან! უეცრად ისევ დამეუფლა სევდა. ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს ყოველივე ეს სულერთი იყო ჩემთვის, თითქოს ჭეშმარიტი ჩემი ცხოვრება კი სადღაც შორს იყო აქედან... უკან გამოვბრუნდი.

შინ, ამხანაგების მოლოდინში, ტრადიციული ჩაი შევამზადე. გოგონები მხიარული და აღგზნებულები დაბრუნდნენ. რატომღაც არ მესიამოვნა მათი მხიარულება. ტანიასა და ლუიზას აზრით, შესანიშნავად გამოვიყურებოდი, თურმე ლოყებიც კი ვარდისფრად შემფაკლოდა. არ გამოვპასუხებივარ. მათ ჰიტლერზე ახალი ანეკდოტების მთელი კოლექცია მოიტანეს, ამასთანავე მიამბეს საზარელი ამბავი — მოხელეებისა და სტუდენტებისათვის შრომითი ბეგარის

დაწესების თაობაზე. ლაპარაკის თავი არ მქონდა. დავწექი ჩემ დივანზე, დაძინება გადავწყვიტე. მინდოდა თავდავიწყებას მივცემოდი, მაგრამ რული არ მეკარებოდა. ტანიას და ლუიზას გვიანობამდე არ დაუძინიათ, კიდევ დიდხანს იცინოდნენ, კონცერტზე მოსმენილ მელოდიებს მღეროდნენ.

მოპარული ზღვა

მოულოდნელად წაგვართვეს ჩრდილოეთის ზღვა. ამ ამბავს იუწყებოდა ყველა გაზეთი, რომლებიც ოკუპანტებისათვის დამახასიათებელი ცივი და შეურაცხმყოფელი ტონით აღნიშნავდნენ: ამიერიდან სანაპიროს ზონაზე ფეხის დადგმა აკრძალულია. ომისა და ოკუპაციის შემდეგ, მგონი, სულ ორჯერ ვიყავი ზღვაზე და არცკი ვიცოდი, როგორ მყვარებია იგი. ზღვა ყოველთვის არსებობდა და აგრეთვე ყოველთვის იყო დიუნები. ახლა კი იქ ყოფნა „აკრძალულია", „Verboten", — ეს მათი საყვარელი სიტყვაა. გამახსენდა ჩემი მშობლები, რომლებიც ჰარლემში ცხოვრობდნენ. დიდი ხანია, შინ არ ვყოფილვარ, თავს ვარიდებდი მგრძნობიარე სცენებსა და გულახდილ საუბრებს. ერთხელ ძალზე უხეშადაც მოვიქეცი, სენტიმენტალურები ხართ-მეთქი, ვუთხარი სხვების თანდასწრებით. რასაკვირველია, ეს არაა სწორი, მათ ჩემი ჯავრი აწუხებთ, მე კი მათზე ვწუხვარ. ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ შინ გამგზავრებაზე, რადგან ვშიშობ, ვერ გავუძლებ მშობლების გამომცდელ და დაეინებულ მზერას. ისინი თითქოს ცდილობენ გამოიცნონ, რა მაწუხებს — სანაპიროზე გასვლის აკრძალვა, მოპარული ზღვა თუ უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც თანდათან ცარიელდებიან. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ ვალდებული ვიყავი მშობლები მომენახულებინა. ჩავჯექი ცისფერ ტრამვაიში და მათკენ გავწიე.

უკვე შინა ვარ, ოთახში ვზივარ, სადაც ყოველი ნივთი ასე ნაცნობია ჩემთვის: მზე, შემოჭრილი მზის სხივებით გამოსახული მაქმანის ფარდის მოხატულობა, ბალიშები დივანზე და ძველებური სკამი, რომლის გადასაკრავს სპილენძის ერთი ლურსმანი აკლია; ბუხართან, სადაც რადიომიმღები დგას, კატა მიეპარა ბუზს და დაიჭირა ისე, რომ არაფერს წამოსდებია და არ გადმოუგდია. სახლში ყველაფერს თითქოს მისი მფლობელების ადრინდელი სულიერი სიახ-

ლოვის დაღი აჩნდა; მხოლოდ გულწრფელობა სადღაც გამქრალიყო, ოქროს ჩარჩოიანი სათვალიდან მამის თვალები მითვალთვალებდნენ. იგი უფრო გაჭაღარავებულა, სიტყვაძუნწი გამხდარა. ასე მგონია, რაც ბეგარათა სამმართველოში მუშაობას თავი დაანება, მოუსვენრობა დასჩემდა. დედას რუხი ფერის კაბა ეცვა, დინჯად მიყურებდა ნაცრისფერი თვალებით და სამზარეულოსა და ოთახს შორის მიმოდიოდა, მალე წყალი აადუღა და ხმაამოუღებლად ყველას დაგვისხა ჩაი. მაოცებდა დედის ასეთი თავშეკავება. ვიჯექი მათთან და უმნიშვნელო ამბებზე ვსაუბრობდით. გულისტკივილითა და სინანულით გავიფიქრე: „მათ ხომ ჩემს გარდა არავინ არა ჰყავთ ამქვეყნად, უნდა ვისწავლო, გავიზარდო, გავხდე ძლიერი და გონიერი ქალი, რომ ჩემი ცხოვრება კარგად მოვაწყო...“ მაგრამ არაფრით არ შემეძლო ამის გამხელა მათთვის. ავდექი, მთელი სახლი შემოვირბინე, ავედი ზევით, ჩემს ყოფილ, საბავშვო ოთახში, სადაც ყველა ნივთი თავის ადგილზე ელაგა, როგორც ამსტერდამში, უნივერსიტეტში წასვლის წინ დავტოვე: საბავშვო წიგნები, ყვავილები ფანჯრის რაფაზე, კედელზე მარაოები და სეირნობისა თუ ექსკურსიების დროს გადაღებული სურათები. საწოლის კიდეზე ვიჯექი, ლოგინის გადასაფარებელი დავჭმუჭნე, ხელით გავასწორე ნაკეცები და გავიფიქრე: „როგორ გავიზარდე ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ“. ექვსი თუ შვიდი წლისა ვიქნებოდი, როდესაც ეს ამბავი მოხდა, იგი ავად გახდა და იწვა იმ ოთახში, რომლის კარი კიბის ბაქანზე, ჩემი საწოლი ოთახის პირდაპირ გამოდის. როცა მალულად ვუჭვრეტდი კარიდან, იღიმებოდა და თვალს ჩამიკრავდა: ხომ მთელია შენი ბზრიალებიო? ექიმმა არასწორი დიაგნოზი დაუსვა. მას ყელში უბრალო ჩირქგროვა არ ჰქონია. საჭირო იყო მისი საავადმყოფოში დაწვენა, სადაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდა. ჩემი ძმა დაიხრჩო და მშობლების ხელში დალია სული. ღამის პერანგისამარა, აკანკალებული ვიჯექი კიბის საფეხურზე, რომ გამეგო, რა ხდებოდა კარს იქით, რატომ არ გამოდიოდნენ ამდენ ხანს ჩემი დედ-მამა. ბოლოს, როდესაც გამოვიდნენ და მითხრეს, რაც მოხდა, თავზარი დამეცა. კარგად მახსოვს, როგორ იყო ეს: ყელში თითქოს რაღაც გამეჩხირა, სასოწარკვეთილებამ რკინის მარწუხებივით მომიჭირა გულზე და მეგონა, აღარასოდეს მომეშვებოდა. კიბის ბაქნის კიდეზე ვიდექი, გადავწყვიტე: „ასლავე გადავხტები, ჩემი ძმა მოკვდა, რაღა დამრჩენია ამქვეყნად-მეთქი“. მაგრამ მამა მიმიხვდა, ხელში ამიტაცა და იქაურობას მომაშორა. აი, რატომაა ხანა ცოცხალი და რატომ ცოცხლობენ ისინი მხოლოდ ხანასათვის...

მამამ ტრამვაის გაჩერებამდე მიმაცილა, ვხედავდი, როგორ ... 2 ... ...

ბრუნდა ზურგზე ხელებდაწყობილი. მომეჩვენა, რომ უფრო მოხრილიყო და მძიმედ მიაბიჯებდა. გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა. ტრამვაიდან შევცქეროდი, როგორ ვშორდებოდი ჰარლემსა და შუადღის მცხუნვარე მზით განათებულ მინდვრებს. მგზავრები საუბრობდნენ სანაპირო ზონაზე სიარულის აკრძალვის გამო. ჩემს გვერდით მჯდომმა ვიღაც მგზავრმა შახტის სიტყვები გაიმეორა: „ეს შეიძლება კიდევ ოთხი საათი გაგრძელდეს, ოთხი დღე ან ოთხი კვირა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ოთხ თვეზე მეტ ხანს...“ ყველას გაეცინა, მე კი სიცილის თავი არ მქონდა. შეიძლება, გერმანელთა მოშხრედ ან ფაშისტად ჩამთვალეს, მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო. ერთ-ერთ გაჩერებაზე ქარხნის მუშა ქალები ამოვიდნენ და ვაგონი გაავსეს. ისინი უხეშებად და სასაცილოდ მომეჩვენენ. უბოდიშოდ აიძულეს ხალხი ბაქნიდან ვაგონში შესულიყვნენ. კონდუქტორთან დაიწყეს ლაზღანდარობა. ერთმა მისი ქუდიც კი ჩამოიფხატა თავზე. მხიარულმა ქალიშვილებმა ფიქრი გამაწყვეტინეს. გერმანელთა რაზმი ჰარლემისაკენ მიმავალ გზაზე სრული სამხედრო აღჭურვილობით მიდიოდა. თავშიშვლებს და ოფლიანებს რუხი ფერი დასდებოდათ. მუშა ქალები ბაქნის მოაჯირს გადაეყრდნენ და ხმამაღლა წამოიწყეს სიმღერა:

მეშინია დახრჩობის! — ზღვა ხომ სახიფათოა,
ჩემი წასვლა ინგლისში სიგიჟეა სრულიად...
იქნებ თავად მოსცურონ, აქ ინგლისი ახლოა?
ვაი, მაშინ ჰიტლერის ფრთები დამსხვრეულია.

ნერვიული სიცილი ამიტყდა. ჩემს გვერდით მჯდომი მგზავრები გაკვირვებითა და საყვედურით მიყურებდნენ. ბატონმა, რომელმაც შახტი დაიმოწმა, ზურგი შემომაქცია. ველარ ვხედავდი, როგორ გამოიყურებოდნენ გერმანელები. კონდუქტორი ვაგონის ბოლოში წავიდა.

მეზონინში, ჩვენს საერთო საცხოვრებელში, ლუიზა რაღაცას ამზადებდა გადატიხრულ „სამზარეულოში“. ტანია შინ არ იყო. ვუყურებდი ლუიზას შავ თმას, მრგვალსა და სავსე მხრებს. იგი მღეროდა. სიმღერა მაღიზიანებდა: მას მხოლოდ კლასიკა უყვარდა. როგორც კი დამინახა, შეჰყვირა, რომ ვიღაცამ ფიცით დამიმოწმა, ვითომ ყველაფერი ჩქარა დამთავრდებაო. მზადდება ჯარების გადმოსხმა. ივნისის ბოლოსათვის ჩვენთან არც ერთი გერმანელი აღარ გაიჭაჭანებსო.

მე ვკითხე:

— ღვთის გულისათვის, საიდან მოიტანა ეგ ამბავი?

— მართალი გითხრა, არ ვიცი, ყველა ასე ლაპარაკობს.

— იცი თუ არა, ლუ, — ვუთხარი მე, — რომ ჩვენთვის არაფერია იმაზე მავნებელი, როგორც მარჩიელობა და ცრუპენტელა წინასწარმეტყველების ნაბოდვარი? ჩვენი მორალური მდგომარეობისათვის გულუბრყვილო ოპტიმიზმზე საშიში არაფერია.

ლუიზამ გაიცინა და მითხრა:

— აი, თურმე რაშია საქმე... მეტისმეტად აზვიადებ, ხანა. მიეცი ხალხს უფლება თავისუფლად იფიქროს მომავალზე. მას ხელჩასაკიდებელი ხავსი სჭირდება.

— სწორედ რომ ასეა! — ვუპასუხე მე. — ხელჩასაკიდებელი ხავსი! არა, ხალხს საიმედო საყრდენი უნდა!

გავბრაზდი. ჩანთა დივანზე მივაგდე. გაკვირვებულმა ლუიზამ ტიხარს ზემოდან გადმომხედა, მაგრამ უეცრად იქ რაღაც აშიშინდა და იგი სწრაფად შებრუნდა გაზქურისაკენ.

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ორი დღის შემდეგ ფაშისტებმა ახალი სისაძაგლე ჩაიდინეს. მთელი დღე არ გამოვსულვარ გარეთ — გადავწყვიტე, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად შევდგომოდი ჩათვლებისათვის მზადებას. ლუიზა და ტანია ჩაის ფინჯნებს აწყარუნებდნენ. (მთელი სიცოცხლის მანძილზე მაოცებდა, რამდენ ჩაის სვამენ ქალები, როცა ერთად იკრიბებიან). გაზეთი გავშალე, გერმანელთა ვერმახტის კომუნიკე გამოვტოვე და არშიაშემოვლებული განცხადება წავიკითხე. უცებ ისეთი სირცხვილი და ზიზღი ვიგრძენი, რომ სისხლი თავში ამივარდა. ტანიას შევხედე. ალვის ხესავით ტანადი, ბერძენ ქალს ჩამოგავს. მოგრძო ცხვირი, თხელი ტუჩები. მის სახეს ძალზე ამშვენებს დიდი და ხავერდოვანი თვალები. ოდნავ ხვეულ, აბრეშუმივით შავ თმას, ბერძნულ ქანდაკებასავით იმაგრებს კეფაზე. მის გარეგნობაში არის რაღაც ეგზოტიკური — სამხრეთელ ქალთათვის დამახასიათებელი. ოდნავ თუ ჰგავს ებრაელს; შეიძლება, შეეჩვიე და უკვე ვეღარ ვამჩნევ. ნელა ავდექი, არ ვიცოდი, მეთქვა თუ არა მისთვის ახალი ამბავი... უდავოდ უნდა ვუთხრა. გაზეთით ხელში მიეუახლოვდი ტანიას. მისმა გოროზმა ღიმილმა და ცივმა გამოხედვამ ადგილზე გამაქვავა.

— ვიცი, რაც უნდა მითხრა, — წარმოთქვა მან. — ეს ამბავი დილითვე გავიგე ქალაქში.

მის ხმაში ამაყი პროტესტი ეღერდა. ლუიზამ თავი ასწია, რაღაც ცუდის მომასწავებელი შენიშნა. მოგვიახლოვდა და ორივე შეგვათვალიერა. დაინახა საღამოს გაზეთი ჩემს ხელში და ტანიას ამაყ• გამომეტყველება. გაზეთი ხელიდან გამომგლიჯა, თვალი გადაავლო, შეენიშნე, როგორ ჩემსავით შერცხვა. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, რომ ჩვენ, არაებრაელებს სირცხვილისგან მიწა უნდა გაგვიკდომოდა...

— „ატარეთ ყვითელი ვარსკვლავი წარწერით „ებრაელი!“ — წაიკითხა შეძრწუნებულმა ლუიზამ, მერე შეხედა ტანიას, რომელიც მშვიდად ჩამოჯდა დივანზე, ლამაზი ფეხები ერთმანეთს გადააჭდო, საფულედან მანიკიურის ხელსაწყოები ამოიღო და ფრჩხილების ქლიბვას შეუდგა.

— ტანია... იცოდი ეს ამბავი? რატომ არაფერი გვითხარი?

ტანია რამდენიმე წამს თავჩაღუნული იჯდა, ჩვენ მხოლოდ მის მუქ-წაბლისფერ აბრეშუმისებრ თმას ვხედავდით. მაგრამ, აი თავი ასწია და მისი სახე დავინახეთ. ქვედა ტუჩიდან სისხლი სდიოდა, თვალებში მრისხანების ცრემლი უბრწყინავდა. მანიკიურის ხელსაწყოები გვერდზე მოისროლა და თავის ენერგიული მოძრაობით თმა უკან გადაიყარა.

— მე ამას არ ჩავიდენ, არა! — წამოიძახა, — ვერ ვატარებ ყვითელ ვარსკვლავს! მე ხომ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობ და არა შუასაუკუნეების გეტოში! ასეთ დამცირებას მირჩევნია ახლავე მომკლან...

ლუიზას გაშლილი გაზეთი ფარივით ეჭირა ხელში.

— რას ამბობ, ტანია, ხომ არ გასულელდი, — შესძახა შეშინებულმა ლუიზამ, — გერმანელები ყველას დაუწყებენ თვალთვალს... შენ ხომ გიცნობს ებრაელთა საბჭო... — უცებ ენა დაება, მიხვდა, რომ უაზრობას ამბობდა.

— ვინ იცის, იქნებ ეს არც ისე საშიში იყოს, — სწრაფად დასძინა მან, — იქნებ შენთვის დაუშვან გამონაკლისი.

— რა მესაქმება ებრაელთა საბჭოსთან! — მრისხანედ შესძახა ტანიამ. — არც გამონაკლისი მინდა ვიყო! რა გენაღვლებათ, ლაპარაკობთ, რაც ენაზე მოგადგებათ, თქვენ ხომ არ უნდა ატაროთ ყვითელი ვარსკვლავი.

დავძლიე უხერხულობა, ტანიას მაჯებში ჩავკიდე ხელები და ლუიზას თვალით ვანიშნე გაჩუმებულიყო.

— მომისმინე, ტანია! მართალი ხარ, ვარსკვლავის ტარება სასია-

მოვნო არ არის... ვარსკვლავი სიფრთხილის ღონისძიება არაა, ეს ლუიზასაც კარგად ესმის... გამოსავალი ერთია: უნდა წახვიდე აქედან და თავი სადმე შეაფარო, რადგან აქ ყველა გიცნობს.

გაოგნებულმა ტანიამ აცრემლებული თვალები შემომანათა. ისევ შემიპყრო მტანჯველმა უხერხულობამ, ხმა მიწყდებოდა.

— გინდა, შენთან ერთად მეც წამოვალ? — სწრაფად დავუმატე.

— ხანა! — შესძახა საყვედურით ლუიზამ, — ყველაფერს გამოვეთხოვოთ, რაც აქ არის? მას შემდეგ, რაც სამივემ განვიცადეთ ამ სხვენზე ოცდათვრამეტი წლიდან.

— სისულელეს ნუ ლაპობ, — მივუგე ცივად. — ეს სასტიკი აუცილებლობაა... ჩვენ მარტონი არა ვართ: შენ საქმრო გყავს — მომავალი ექიმი, მე კი მშობლები. ტანიას მშობლები იძულებული გახდნენ მიმალულიყვნენ. მას არავინ ჰყავს ჩვენს გარდა, მხარში უნდა ამოვუდგეთ.

როგორც შევნიშნე, ლუიზას შერცხვა. ჩვენთვის არ შემოუხედავს, ისე დაგვისხა ჩაი, ეტყობოდა, ფიქრობდა. იგი საერთოდ ძნელად აზროვნებდა, მაგრამ თუკი რაიმეში კარგად გაერკვეოდა და გაიაზრებდა, ჯიუტად იცავდა თავის შეხედულებებს. ჩაი გაცივდა, არც ერთი ჩვენგანი არ მიჰკარებია მას. დიდი ხნის გადანახული ნამცხვარიც ხელუხლებელი დარჩა დაბალ მაგიდაზე.

ვიდრე შექმნილ ვითარებაზე ვბჭობდით, ივდითიც მოვიდა. იგი ფარმაცევტობას სწავლობს და ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობს. თითქმის პირველი დღიდანვე გახდა წევრი სტუდენტთა სადისკუსიო საზოგადოებისა, რომელიც მე და ლუიზამ ჩამოვაყალიბეთ, რადგან მეტიჩრებად გვთვლიდნენ და სხვა საზოგადოებაში არ გვიღებდნენ. გამეხარდა ივდითის ნახვა, ამასთანავე თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რადგან ტანიას ბედით შეწუხებულს, იგი სულ არ გამხსენებია. ივდითს ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. ისეთივე მორიდებული და მიმზიდველი იყო, როგორც ყოველთვის. ბოლო ხანებში იშვიათად მოდიოდა ჩვენთან, ისიც მხოლოდ საქმეზე. იმ შემთხვევაში, როცა ლექციებზე რაიმეს ვერ გაიგებდა. მარტოხელა იყო აქ: მისი ოჯახი სადღაც ტვეიტში თუ ახტერხუკში ცხოვრობს. უკითხავადაც ცხადი იყო, რისთვისაც მოვიდა დღეს ჩვენთან — ჩანთაში საღამოს გაზეთი ედო.

ჩვენ ოთხს ერთგვარი სამხედრო საბჭო გვქონდა. ტანია ცოტათი დამშვიდდა და გამხიარულდა. მდგომარეობის სერიოზულობით ვიყავით გამსჭვალული. შევნიშნე, რომ ლუიზა თითქოს შეურიგდა ჩვენს, ქალიშვილების საერთო საცხოვრებელთან განშორების აზრს.

ვთათბირობდით, თუ სად მოგვეძებნა ბინა, რომ ივდითმა ბავშვური გულუბრყვილობით წამოიძახა:

— ჩვენ კი, პორტუგალიის თემის ებრაელები, ჯერჯერობით თავისუფლად დავდივართ!

გაოცებული ტანია მდუმარედ მიაჩერდა ივდითს. ამჯერად ლუიზამ მოულოდნელად ისე მკვახედ დაიწყო ლაპარაკი, რომ სხვებს სიტყვის თქმაც აღარ დაგვჭირვებია.

— თავისუფლად? — მწარედ წამოიძახა მან. — ამით ის ხომ არ გინდა თქვა, რომ თქვენ თავისუფლებას შეინარჩუნებთ ერთი. თვით ან ნახევარი წლით, რადგან ესპანელი ებრაელები ხართ?... მოწყალეო ღმერთო! ინტელიგენტად კი თვლის თავს! გჯერა ფაშისტების, რომლებიც თვალს გიხვევენ?

კმაყოფილი ვიყავი. ლუიზას შეგნებაში დიდი გარდატეხა მოხდა.

პირადობის მოწმობები

მეორე დღეს იმ მისამართით წავედი, სადაც ჩვეულებრივ სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენი სტუდენტებისათვის პირადობის მოწმობებს ვღებულობდი. ეს სახლი მდინარე ამსტელთან, ქვის სათლელი სახელოსნოს უკან იდგა. კაცს, რომლისგანაც მოწმობებს ვღებულობდი, დავარქმევ №-ს, რადგან დაფა, რომელზედაც მისი გვარი იყო აღნიშნული, შესასვლელი კარიდან მოეხსნათ. პატარა ჩიხი უნდა გამევლო, სადაც კირდუღაბისა და ღორღის სუნი იდგა. ყველა ლავგარდანსა და კედლის შვერილზე ქვის თეთრი მტვერი იდო. ამ სუნმა და მტვრიანმა კედლებმა რაღაც ახლობლური გრძნობა აღმიძრა; საერთოდ, ეს ადგილი ჩემს გულში ყოველთვის ბადებდა რწმენას, ადამიანების დახმარება შემიძლია-მეთქი. ღრუბლიანი დილა იყო. რუხი ცა დაჰყურებდა დედამიწას. მკვეთრი სუნი და ქვის მტვერი ყელში მიღიტინებდა. ხველებით გავირბინე ჩიხი, თან ცალი ხელით ველოსიპედს მივაგორებდი. აღარაფერი იყო აქ მშობლიური და ახლობელი. ყველაფერი უცხოდ და მტრულად მეჩვენებოდა. ვხედავდი საფლავის ქვებს, გრანიტისა და მერგელის ლოდებს, ნაცრისფერსა და ყვითლებს; ქვის საწყობისაკენ მიმავალ ჟანგიან რელსებს, რომლებიც, როგორც ჩანდა, წლების მანძილზე მიტოვებული იყო. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. შევყოყმანდი — ხომ არ დავბრუნებულიყავი უკან? მაგრამ ტანია და ივდითი გამახსენდა.

არა, დაბრუნება აღარ შემეძლო! ველოსიპედი ბოძზე მივაყუდე, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი ქვის სათლელი სახელოსნოს უკან მოფარებულ სახლისაკენ, მაგრამ სახლის სარკმელი ძველებური დარაბით იყო დაგმანული. დარბაზის ზემოთ უსიცოცხლოდ ეკიდა გარეული ვაზის შარშანდელი ლერწები, როგორც თხელი, ბებრული თმის ქვეშ ჩალურჯებული თვალი. „რაღაც ცუდი ამბავია-მეთქი“— გავიფიქრე და გაუბედავად შევჩერდი.

სახელოსნოს ფარდულიდან იმწამსვე მომესმა ნაბიჯების ხმა. მოვტრიალდი და დავინახე უფროსი ქარგალი, რომელიც რაღაცას მანიშნებდა. მას, მგონი, ვილემს ეძახდნენ. თვითონაც ქვის კაცს ჰგავდა — სახე, წინსაფარი, რუხი ფეხსაცმელები. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა: — ნუღარ მოხვალთ, ის კაცი აქ აღარ არის...

შევშინდი. ნერვიულად ვკუმშავდი ხელებს ლაბადის ჯიბეში, თან შევეკითხე: — დაპატიმრებულია?

მან თავი გაიქნია, ოდნავ გაიღიმა და მიპასუხა: — ჯერ არა. დაიმალა. იატაკქვეშეთში.

გულზე მომეშვა. კიდევ რაღაც მინდოდა მეკითხა ვილემისთვის, მაგრამ მან უკვე ზურგი შემაქცია. ნელა გავემართე ველოსიპედისაკენ. ჩიხი გავიარე და ისევ ამსტელის ნაპირზე აღმოვჩნდი. წვიმის წვეთები დამეცა. მდინარიდან ცივი ნიავი უბერავდა, ხოლო ვესპერზაის სანაპიროზე შემაძრწუნებელი დუმილი ჩასაფრებულიყო. სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა.

პირადობის მოწმობები ვერ ვიშოვე, წამოსვლის წინ კი გოგონებს დაუფიქრებლად შევპირდი, რომ აუცილებლად ვიშოვიდი. დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანად მიგვაჩნდა — თითების ანაბეჭდები, ფოტოსურათები, შტამპები; ამ შემთხვევაში ჩემი ნაცნობი მხატვარი გამოგვადგებოდა, მას ქალაქის ცენტრში ჰქონდა სახელოსნო, რომელიც სავსე იყო ფოლადის ფურცლებით, ლუქითა და წვრილი შრიფტებით. ხელცარიელი არ მინდოდა შინ დავბრუნებულიყავი. მთელი ნახევარი საათი დავბორიალობდი სახლის მოშორებით. ჩემს გონებაში ახალი გეგმა მწიფდებოდა. ბოლოს და ბოლოს მაინც მივედი შინ, ტანია და ლუიზა კიბის ბაქნის მოაჯირს გადმოყრდნობოდნენ. ისეთი მძიმე ნაბიჯებით ავდიოდი და ისეთი შეფიქრიანებული სახე მქონდა, რომ უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო. როცა ავედი, უხალისოდ შემრმხედეს. ბერეტი მოვიხადე, ჩემი წითური და ხვეული თმა შევარხიე. ეს უტყვი მოძრაობა უარყოფით პასუხს ნიშნავდა. ტანიას და ივდითს შეკითხვებიც არ მოუციათ.

— მარცხია, — ვთქვი მე. — N-ი მიიმალა. წავიდა ისე, რომ მისამართი არ დაუტოვებია... სიგარეტი მომეცი.

ტანია ჩემს გვერდით, ძველ დივანზე დაჯდა. უხმოდ ვაბოლებდით სიგარეტს. ლუიზა ჩვენს პირდაპირ ჩამოჯდა და ნერვიულად ჭმუჭნიდა კაბას. იგი საერთოდ არ ეწეოდა. ერთხანს ხმის ამოუღებლად ვისხედით. როცა გავიფიქრე, რომ ჩქარა დავტოვებდით ამ ოთახს, იგი როგორღაც ცარიელი და მოუხერხებელი მეჩვენა, თითქოს აღარაფერი გვაკავშირებდა მასთან. თვალი მოვკარი ტანიას მაღალქუსლიან, პატარა ფეხსაცმელს. წყევლა აღმომხდა და ავდექი.

— სხვა საშველი არ არის, — განვაცხადე მე. — უნდა ვიშოვნო მოწმობები, რადაც უნდა დამიჯდეს. ვინმეს გამოვტყუებ, მოვიპარავ... მოვპარავ პატივცემულ ჰოლანდიელ მანდილოსნებს, რომელთაც შეუძლიათ ახალი მიიღონ.

სამივე ქალიშვილი გაოგნებული მომჩერებოდა, განსაკუთრებით ლუიზა. მის თვალებში ისევ შეიძლებოდა ამოგეკითხათ მომავალი დარბაისელი ექიმისათვის დამახასიათებელი შიში.

— ხანა! — ყოყმანით წამოიწყო მან, — რა იქნება მათი შოვნა ვცადოთ იქ, სადაც ტალონებს ვღებულობთ?..

მე თავი გავიქნიე, ვიცოდი, რომ იქ არავითარ პირადობის მოწმობებს არ აკეთებდნენ. მაშასადამე, მარტოოდენ ერთი გამოსავალი ღა გვშთენოდა. ტანიამ გულდაგულ დაასრისა სიგარეტი საფერფლეზე. უკვე გონს მოეგო განცდილი იმედგაცრუების შემდეგ და ალაპარაკდა მკაფიო ხმით, რომელშიც სიმტკიცე და გამოწვევა ჟღერდა:

— მეც შენთან ერთად წამოვალ, ხანა! უამრავი ასეთი ქაღალდი დაგვჭირდება... ახლავე შევუდგეთ საქმეს. ჩვენ მოვაწყობთ პირადობის მოწმობების გაცემის პუნქტს!

საცურაო აუზი

და აი უკვე ადასთან ვზივარ. ომის პირველ წელს იგი ჩვენი სტუდენტური საზოგადოების წევრი იყო. დიდი ხანი არ მენახა. არც ის ვიცოდი, ამსტერდამში იყო თუ არა, მაგრამ ბედზე აქ აღმოჩნდა. აი, ნაცნობი სახლი, ფართო ქუჩა, მზით გავარვარებული, მოლაპლაპე ტრამვაის ლიანდაგები და რკინის კორსეტებიანი ნორჩი ცაცხვები. ძალზე მძიმე იყო ეს დღე. რადაც უნდა დამჯდომოდა, პირადო-

ბის მოწმობები უნდა მეშოვნა. სხვაგვარად ვერსად დავაბინავებდი ტანიასა და ივდითს. ამ საქმეში ტანიას ჩარევა არ მინდოდა. ლუიზა კი ჩვენთან ბუტიაობას განაგრძობდა, რადგან მისი აზრით ავანტურისტები გავხდით. თითქოს უცხონი ვიყავით ერთმანეთისათვის. ნელ-ნელა დავიწყეთ ჩვენ-ჩვენი ნივთების გადარჩევა და ჩალაგება. ეს იყო სამუდამო განშორების სამზადისი. განსაკუთრებით აუტანელი იყო დღევანდელი დღე, გაზეთები იტყობინებოდნენ ჩვენს ქვეყანაში გესტაპოს უფროსის ჰიმლერის ჩამოსვლას. მასთან ერთად ჩამოვიდა ჰეიდრიხი, ნაცისტების ნაცვალი ჩეხოსლოვაკიაში. როდესაც მათი გვარები გაზეთში წავიკითხე, გულისრევა ვიგრძენი, მკერდში რაღაცამ დამიწყო წიწკნა, თითქოს ამ არამზადებთან ერთად, ჩვენ ქვეყანაში სალაშქრო მარშით შემოსულიყოს ჯალათების მთელი არმია — უჩინრად შემოპარული დამსჯელთა რაზმი, რომელიც ჩვენი თანამემამულეების წინააღმდეგ დიდი სასამართლო პროცესების გათამაშებას შეუდგებოდა. ამ განწყობით შევედი ადას ოთახში. ადა მღვდლის ქალიშვილია. მაღალი, საშუალო გარეგნობისა და საოცრად მშვიდი. ვერც შეამჩნევდით, გაეხარდა თუ არა ჩემი მისვლა. იგი ყველაფერს ჩვეულებრივ ამბად ღებულობს. მიხაკისფერი ქვედა კაბა და მოჯაჯული სვიტრი ეცვა. ჩემს პირდაპირ დაჯდა. მშვიდი და მეგობრული მზერა მომაპყრო. შემეძლო დაწვრილებით მეთქვა მისთვის ყველაფერი. დარწმუნებული ვიყავი, არსად წამოსცდებოდა, მაგრამ თავშეკავება ვამჯობინე. გადავწყვიტე, ყველაფერი პირადად მე გამეკეთებინა. ჩემი გეგმა რაც ნაკლებ ხალხს ეცოდინებოდა, მით უკეთესია. ჰიმლერი და ჰეიდრიხი მალე მოისურვებდნენ ჩვენი და ათასობით ჩვენნაირი ადამიანების ოთახებში შეხედვას. თითქოს ზურგს უკან ვგრძნობდი მათი გველური თვალების ცივ და გაქვავებულ მზერას. ადასთან ჩვეულებრივი საუბარი არ გამომივიდა. თითქმის მისვლისთანავე ვკითხე, შეეძლო თუ არა ეთხოვებინა ჩემთვის საცურაო კოსტიუმი. ოდნავ შესამჩნევმა განცვიფრებამ გაიელვა მის თვალებში, მაგრამ სახე ამარიდა. თითქოს მეუბნებოდა განა ტანიასა და ლუიზას არა აქვთ საცურაო კოსტიუმებიო? მაგრამ მათ შესახებ არაფერი უკითხავს. არაფერია თავშეკავებაზე უკეთესი. მან მხოლოდ თავი დამიქნია. ადგა, კომოდის უჯრიდან საცურაო კოსტიუმი ამოიღო და გამომიწოდა. წამოვდექი და ვუთხარი:

— ვეცდები მალე დაგიბრუნო.

ამ ხნის განმავლობაში პირველად გამიღიმა და ისე დაამშვენა ღიმილმა, რომ ლამაზადაც კი მომეჩვენა.

— როცა გინდა, დამიბრუნე, — მიპასუხა მან.

ჩვეულებრივზე მეტად მოვუჭირე ხელი ხელზე და გავწითლდი — მეშინოდა, ისევ არ ამჩუყებოდა გული. ადამ მშვიდად დახარა თვალები, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო მისთვის.

ჰიმლერი და ჰეიდრიხი — ისევ გამიელვა ამ ორმა გვარმა გონებაში, როგორც კი ოთახიდან გამოვედი, გაზაფხულის მზე შუბისტარზე იდგა. ხეები ახლად გაშლილი ფოთლების საამო სურნელში ცურავდნენ. გესტაპო... ხელახლა მივდიოდი ველოსიპედით კაშკაშა შზით აელვარებულ ქუჩებში. საცურაო კოსტიუმი ველოსიპედის ჩანთაში ჩავდე. სარეკლამო სვეტებზე შევნიშნე ახალი ბრძანებები, ორ ენაზე, არწივიანი ფაშისტური გერბი და ფაშისტური სვასტიკა... თავი არ შემიწუხებია გადმოსახტომად და მათ წასაკითხად. და არც ხსნები კითხულობდნენ. ტრამვაის გაავებულმა ზარის რეკვამ დამაფრთხო. — თურმე ტრანსპორტით გადატვირთულ გზაჯვარედინზე მოვხვედრილვარ. ველოსიპედიდან ჩამოვხტი; მარეგულირებელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. მე გავუღიმე, მაშინ მან მხრები აიჩეჩა, ხელი წინ გაიწოდა და მარეგულირებელი ფარი შეაბრუნა, რომელზეც ახლა ბრწყინავდა „ხალტ“, წინანდელი „სდექ“, ალბათ, შეტისმეტად ინგლისურად ჟღერდა.

დახურულ აუზში ძალიან თბილოდა. ცხელი, ნოტიო ჰაერის ბუღში გავეხვიე. ისმოდა ქალიშვილებისა და ბავშვების წკრიალა ხმები; ისინი ლაზღანდარობდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. ბზინავდნენ თეთრი მხრებით გაკვეთილი მწვანე წყლის შხეფები; უცნაურად გამოიყურებოდნენ მობანავე ქალების რეზინის ჩაჩიანი სახეები. ჯიხურში თავზე ცხვირსახოცი წავიკარი, ადას საცურაო კოსტიუმი ჩავიცვი, რომელიც ცოტა სრული მქონდა, გამოვედი აუზთან, წყალში გადავეშვი და მკლავების ენერგიული მოსმით ორი წრე გავაკეთე, თითქოს ამით მინდოდა მხნეობა მომეკრიბა. როცა აქოშინებული ბოგასთან მივცურდი, სულს ძლივს ვითქვამდი. თეთრ ტილოს კოსტიუმიანმა მორიგემ ხელი შემაშველა აუზიდან ამოსვლისას და მითხრა:

— დინჯად, ქალიშვილო!

გულათრთოლებული ვიჯექი ქვის ცივ ფილებზე და თვალს ვარიდებდი მორიგის მზერას, რომელსაც მოსვლეპილი თავი, სუფთად გაპარსული ლოყები და ცივი და სველი ხელები ჰქონდა. სინდისის ქენჯნა და შიში მტანჯავდა. გამეხარდა, როცა ბავშვებმა მორიგეს დაუძახეს. ვიჯექი, ვიდრე გული არ დამიმშვიდდა, შემდეგ წამოვდექი და ბოგაზე დავიწყე სიარული. თვალს ვადევნებდი გოგონებს, რომლებიც ცეცხლივით წითელ რეზინის ბურთს ესროდნენ ერთმანეთს; ხანშიშესული მსუქანი, მოუქნელი მანდილოსნები ბეჰემოტე-

ბივით ფრუტუნით ცურავდნენ მწვანე წყალში. აქ ყველაფერი მიამიტად და უდარდელად გამოიყურებოდა. ბოღმამ ლამის დამახრჩო. ჯიხურებისაკენ წავედი. აუზის მორიგე ის-ის იყო კოშკზე აფორთხდა. ღრმად ჩავისუნთქე და პირველივე ჯიხურისაკენ გავემართე. კარის მჭიდროდ დახურვის შემეშინდა. ჯერ სიბნელის შეჩვევა დამჭირდა, დანარჩენი იოლი საქმე იყო. უცებ თვალი მოვკარი ჩანთას, რომელიც თეთრეულზე იდო. გავხსენი. გულმა ისევ ძალუმად დამიწყო ძგერა. სუნთქვა შემეკრა. თუმცა თბილი და სველი ტანი ოფლით დამეცვარა, მაინც ავკანკალდი სიცივისაგან. თავსაფრიდან ჩამონადენი წყლის წვეთები გახსნილ ჩანთაში ეცემოდა. ჩანთას პუდრისა და სიგარეტების სურნელი ასდიოდა. შიგ იდო რბილი ყვითელი საფულე, რომლიდანაც პირადობის მოწმობა ამოვიღე და სწრაფად დავმალე უბეში.

ჯიხურიდან რომ გამოვედი, მორიგე თავის ადგილზე იდგა. ჩქარი ნაბიჯით ჩავუარე. მინდოდა მეთქვა, ჯიხური შემეშალა-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე და ისე ჩავუარე, არც კი შემიხედავს მისთვის. წყალში ჩასვლა აღარ შემეძლო, სველი პირადობის მოწმობის გამო. უნდა ავჩქარებულიყავი, ვიდრე გვიან არ იყო. ჭრელ საცურაო კოსტიუმიან ქალებს ამოფარებული წავედი ჩემი ჯიხურისაკენ და ხმაურით გამოვიხურე კარი.

როცა ჩავიცვი და ჯიხურიდან გამოვედი, მივხვდი, რომ არც ისე კარგად იყო საქმე. იქაურობის უცბად მიტოვება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ცოტა ხნით მოცდა. გადავწყვიტე ბურთის თამაშისათვის მედევნებინა თვალი და არ მეფიქრა იმაზე, სადაცაა პირადობის მოწმობის პატრონი მოვა და ქურდობაში გამომიჭერს-მეთქი, თანაც ამაყად უნდა გამესწორებინა თვალი მორიგის გამომცდელი შემოხედვისათვის... რა თქმა უნდა, მოველოდი მის შემკითხველ მზერას, მაგრამ საბედნიეროდ სულ არ გავხსენებივარ. თუმცა არა, შემომხედა. ნუთუ თვალში მოხვდა ჩემი ფერმკრთალი სახე და წითური თმის კულულები? იქნებ სხვებიც მიყურებენ? მოაჯირთან გავჩერდი, იღლიაში ჩემი ნადავლი მედო. მორიგე იქვე, ჩემს გვერდით იდგა.

— როგორაა საქმე, შიშმა გაგიარათ? — თავი დავუქნიე და გავიცინე. — შემდეგ უფრო დინჯად მოიქეცით, თავაღებით ნუ გადახტებით წყალში. გული ხომ კარგი გაქვთ? — დასძინა მან.

— ძალიან. — მივუგე მე. ამ დროს მას დაუძახეს. მამაშვილურად დამიქნია ხელი და ზურგი შემაქცია. სიხარულმა ამიტანა, ერთხანს თვალი გავადევნე მიმავალ მორიგეს, შემდეგ შემოვბრუნდი და სიმღერით გავეშურე გასასვლელისაკენ.

ისევ ჩავიძირე ქუჩის აურზაურში: ხალხის ხმაური, ქარი, ტრანსპორტის საყვირები და ზარების რეკვა. ველოსიპედზე შევჯექი და ქალაქის დასავლეთ ნაწილისაკენ გავემართე. დიდხანს ვიხეტიალე, ვიდრე არ დავრწმუნდი, რომ არავინ მომდევდა. ერთი რამ მაფიქრებდა მხოლოდ: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამის შემდეგ ჩემი გამოჩენა აუზში და მის ახლომახლო. მორიგემ მოასწრო ჩემი შეთვალიერება და აუცილებლად მიცნობს, უკანასკნელად შევშინდი ამ დილით, როცა კუთხეში, ჩვენ სახლთან ახლოს გერმანელთა სისხლის სამართლის პოლიციის მანქანა შევნიშნე. მანქანამ ხმაურით ჩამიქროლა, შემეშინდა არ დამჯახებოდა და ველოსიპედიდან ჩამოვხტი. მანქანაში ორმოცამდე პოლიციელი იჯდა, ფოლადის მწვანე ჩაფხუტები სახეებს უჩრდილავდათ. მათი თოფის ლულები მდუმარედ მიშვეროდნენ ცას, მანქანა უკვე შორს იყო ჩემგან, მაგრამ მუხლები ისევ მიკანკალებდა. აღარ შემეძლო ველოსიპედზე შეჯდომა, სახლამდე დარჩენილი ათიოდე ნაბიჯი ფეხით გავიარე. არ მახსოვს, როგორ ავედი ზევით. ტანისამოსი ტანზე მიმკვროდა. მადლობა ღმერთს, ლუიზა საყიდლებზე წასულიყო. სარკის წინ ტანია იდგა და თმებს ჯაგრისით ივარცხნიდა. იგი გაკვირვებული შემობრუნდა ჩემკენ.

— სად იყავი? ღმერთო ჩემო, ადამიანის ფერი აღარ გადევს!

მინდოდა მეყვირა და მეტირა. ძლივს შევიკავე თავი. პირადობის მოწმობა ტანიას წინ მაგიდაზე დავაგდე, ისევ სველი იყო.

— აი, ინებეთ, ვაჯობე თუ არა ჭკუით ჰიმლერსა და ჰეიდრიხს! — ვუთხარი ტანიას, მაგრამ მევე შემეშინდა ჩემი ხმის. სწრაფად შემოვბრუნდი, კიბე ჩავირბინე და, კბილებაკაწკაწებული საპირფარეშოში ჩავიკეტე.

საზაფხულო ნადირობა

პირველი ცდის შემდეგ, ვერ წარმომედგინა თუ კიდევ გავბედავდი პირადობის მოწმობის მოპარვას, მაგრამ ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში სულ მცირე, ორმოცი-ორმოცდაათი ცალი მაინც ვიშოვე; ტანიამ კი უფრო მეტი.

მას შემდეგ, რაც ქალაქის სამხრეთ ნაწილში სხვენის დიდი ოთახი დავტოვეთ, ლუიზა კი ხოოიში გაემგზავრა, ჩვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ივდითი საკონცერტო დარბაზის შენობის

ეკან. ძველ, ბნელსა და მყუდრო ქუჩაზე ერთ-ერთ სახლში დავაბინავეთ. გერმანელები იშვიათად თუ შეივლიდნენ იქ. ამასთანავე ივ-დითი წყნარად, ფრთხილად და მორიდებულად ცხოვრობდა, მე და ტანიამ ქალაქის ცენტრის მიყრუებულ პატარა ქუჩაზე, დასანგ-გრევად განწირულ დიდსა და ძველ სახლში, რომლის შეკეთებაზე თავს არავინ იწუხებდა, კვლავ სხვენის ოთახი დავიქირავეთ, სადაც ნესტისა და სიდამპლის სუნი იდგა; კედელზე ლურსმნის მიჭედების-თანავე ბათქაში ცვივოდა. ჩვენს ქვემოთ ოთხი სართული მობინა-დრეებით იყო სავსე, მაგრამ ერთმანეთს არ აქცევდნენ ყურადღე-ბას და არავინ იცოდა ერთმანეთის სახელი და გვარი. აქა-იქ ბავ-შვების ტირილი ისმოდა. ჩვენს ქვემოთ ორ ფოტოგრაფს დაქირავე-ბული ჰქონდა ბნელი ოთახი; კიბის ბაქანზე ქიმიკალებისაგან დაჭ-მული თუნუქის პირსაბანი ეკიდა. სადღაც, იქვე, ჩვენს გვერდით, გამუდმებით ისმოდა ჩაქუჩის კაკუნი, რომელიც ერთი კვირის შემ-დეგ შეწყდა.

ჩვენი ახალი ოთახი წინანდელთან შედარებით უფრო დაბალჭე-რიანი და პატარა იყო. დამსკდარ კედლებზე გავაკარით ტურისტული ბიუროს რეკლამები, რომლებზედაც ლაჟვარდოვან ნაპირსა და ჰებ-რიდის კუნძულებზე მგზავრობის სურათები იყო გამოსახული; ტა-ნიამ რამდენიმე ყვავილის ქოთანი დადგა განიერსა და დაბალ ურა-ფო ფანჯრის ქვეშ. ოთახში ძველი დივანი და კაცის სიმაღლე დიდი სარკე დაგვხვდა. ღამ-ღამობით გვესმოდა ინგლისის ბომბდამშენების ესკადრილიების ყურისწამღები გუგუნი, ისინი გერმანელთა წყალ-ქვეშა ნავების დასაბომბად მიფრინავდნენ. საზენიტო არტილერია დროდადრო გაავებით ყეფდა, ცდილობდა მათი ფრენის შეფერხე-ბას, მაგრამ ამაოდ, თვითმფრინავები ძალზე მაღლა მიფრინავდნენ. უნებურად ხმას ვიდაბლებდი. თვითმფრინავების მონოტონური გუ-გუნი ჩვენი საუბრების ამაღელვებელი აკომპანიმენტი იყო. ზოგჯერ მიკვირდა გერმანელი ხალხი რატომ არასოდეს პროტესტს არ აცხა-დებდა, ამ საჰაერო თავდასხმებმა მათ უნდა ამცნოს, ჯოჯოხეთის ცეცხლი არ აგცდებათო. მე და ტანია ვსაუბრობდით ჰეიდრიხზე, რომელიც ჰოლანდიიდან ისევ პრაღაში დაბრუნდა და მალე ჩეხო-სლოვაკელმა პატრიოტმა მოკლა. ჰეიდრიხის ნაცვლად ახლა დალუგე მოგვეევლინა. თავისი წინამორბედის შურისსაძიებლად ბრძანა დაე-ხვრიტათ სოფელ ლიდიცეს ყველა მამაკაცი, ბავშვები და ქალები წამოასხეს იქიდან, ხოლო იქაურობა აღგავეს პირისაგან მიწისა. ამ ამბის გაგებისას ტანია მწარედ ატირდა. შევნიშნე, რომ მას წარმო-სახვის გასაოცარი უნარი ჰქონდა, ყოველთვის ძალიან ნათლად წარმოიდგენდა ხოლმე ყველაფერს: ჯერ ლიდიცეს აოხრება, შემდეგ

ბადრაგის თანხლებით ორი ათასი ჰოლანდიელი ოფიცრის ფრონტზე გაგზავნა, რომლებსაც ჰიმლერისა და ჰეიდრიხის ჩამოსვლის შემდეგ ნაბრძანები ჰქონდათ გერმანელთა სარდლობასთან გამოცხადებულიყვნენ, ხოლო ცოტა მოგვიანებით ჰოლანდიელი ებრაელების პირველი დიდი ჯგუფის პოლონეთში გასახლება, რომელთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, იძულებით სამუშაოზე მიგვერეკებიანო, სხვები კი ეშვიოდნენ, რომ იქ მოხდებოდა მათი მასობრივი ჟლეტა, ფაშისტური ტექნიკის ყველა წესების დაცვით. როცა ჩვენამდე აღწევდა ხმები, რომ გერმანელები ამა თუ იმ ადგილზე მძვინვარებდნენ, სულიერად ვიტანჯებოდი. განვიცდიდი ჩემთვის ბავშვობიდანვე ნაცნობ გრძნობას: ჩემი გაციებული, სევდით სავსე სულის სიღრმეში მიმალული ყველა ტკივილი მოუნელებელ ბოღმად იქცეოდა და მახრჩობდა. პირქუში და მდუმარე ვხდებოდი, მაშინ, როცა ტანია ცრემლების ღვრითა და წყევლა-კრულვით გულს იოხებდა. დაუფარავი სიხარულით უგდებდა ყურს ინგლისის თვითმფრინავების შემზარავ გუგუნს და დასცინოდა მეზენიტეების უძლურებას, რომელთა ქვემეხების ბათქები მხოლოდ ჩვენს სხვენს აზანზარებდნენ. ერთხელ ტანიას ფრთხილად შევაპარე, რომ არსებობდნენ გერმანელი დედები და ბავშვები. ამის გაგონებაზე იგი საშინლად აღშფოთდა და ყვირილი დამიწყო:

— უმჯობესია ებრაელ, პოლონელ, უკრაინელ და ლიდიცელ დედებსა და ბავშვებზე იფიქრო... იფიქრო ყველაზე, რომლებიც ამ მტარვალებმა დახოცეს, მილიონობით გერმანელებისა და სამშობლოს გამყიდველთა სისხლიც კი უმნიშვნელო შურისგება იქნება იმ ბოროტებისათვის, რომელიც მათ მსოფლიოს მიაყენეს!

ზაფხული მეტად მძიმე, მშფოთვარე და შემაძრწუნებელი იყო. ერთ უბედურებას მეორე მოსდევდა. ხანდახან შიში ამიტანდა ხოლმე. რადგან ბევრნი ნამდვილ ბარბაროსებად გადაიქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში რუსებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა არა თუ შეეჩერებინათ გერმანელები, არამედ განედევნათ კიდეც, მაინც უკან იხევდნენ. ნაცისტებმა ყირიმში მოიკალათეს, ვოლგას მიუახლოვდნენ. ვერმახტის ცნობებს აღარ ვკითხულობდი, ცარიელი ბაქობა იყო. ყურები გამოგვიჭედა გერმანელთა თავშეუკავებელმა ტრაბახმა. მათი ჯარისკაცები მხედრულად დააბიჯებდნენ ქუჩებში და თავხედურად მღეროდნენ. სანაპირო ზონაზე, ატლანტიკის სანგრების გასამაგრებლად ახალი ძალები მოაყარეს. გახშირდა ხმები ჯარების გადმოსხმის გამო. წინასწარმეტყველებამ ომის მალე დამთავრების შესახებ თანდათან აზრი დაკარგა. ზოგჯერ რკინიგზის სადგურზე ვხედავდი, როგორ მიემგზავრებოდნენ ესესელების რაზმე-

ბი აღმოსავლეთისაკენ. ესენი მტრის მიერ დაქირავებული ჰოლანდიელები იყვნენ. ამ რენეგატების სახეებზე მკვლელობისა და მტაცებლობის ჟინი იყო აღბეჭდილი. ფაშისტები სასიკვდილოდ პირველ რიგში თავიანთ უცხოქვეყნელ დაქირავებულებს გზავნიდნენ, თან, თითქოს დასცინიანო, აიძულებდნენ ქუდზე „მკვდარი თავის“ ემბლემა ეტარებინათ... შავბნელი, უიმედოდ განწირული დანაშაული, რომელსაც ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი ადამიანებისაგან. თანდათან სიტყვაძუნწი ვხდებოდი. ადრინდელივით აღარ ვუყვებოდი ტანიას ამ ლანდსკენტებზე. ყველაფერი, რაც ასე თუ ისე ნაცისტებთან და სიკვდილთან იყო დაკავშირებული, მასში დაუსრულებელი ლაპარაკის სურვილს აღვიძებდა.

მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში მეცადინეობიდან მორჩენილ დროს მე და ტანია პირადობის მოწმობებზე ნადირობაში ვატარებდით.

ერთხელ კიდევ ვიყავი სხვა საცურაო აუზში. ამჯერად საკუთარი საბანაო კოსტიუმით. ბედმა გამიღიმა და იქიდან ორი პირადობის მოწმობა წამოვიღე. ამის შემდეგ აღარ გამიბედავს დახურულ, ხალხით სავსე აუზში გამოჩენა; ასე მეგონა, თითოეულ მათგანს შეეძლო ჩემი შეცნობა — მაშინ კი სასჯელი არ ამცდებოდა. შევცვალეთ ჩვენი მოქმედების გეგმა. ახლა დავდიოდით მაღაზიებში, ვმგზავრობდით ტრამვაით, მატარებლებით, შევდიოდით კაფე-რესტორნების საპირფარეშოებში, უნივერსალურ მაღაზიებსა და სადგურებში, დავდიოდით ყველგან, სადაც კი ჩანთებს უმეთვალყურეოდ ტოვებდნენ, ანდა მკლავზე ეკიდათ გულუბრყვილო პატრონებს. იშვიათად ვბრუნდებოდით ხელცარიელი. ძალზე მიკვირდა, რომ ახლა აღარ ვცახცახებდი ვერხვის ფოთოლივით, არ მეშინოდა მდევრების, დამსმენებისა და არც სამხედრო პოლიციის, რომელიც მგზავრებს ამოწმებდა, რა თქმა უნდა, უმთავრესად მამაკაცებს. ახლა მხოლოდ ერთი მიზნისკენ ვისწრაფოდი — რაც შეიძლებოდა მეტი პირადობის მოწმობა მეშოვნა, ვინაიდან ყოველი პირადობის მოწმობის შოვნა ერთი ჩვენი თანამემამულე ებრაელის სიცოცხლის გადარჩენას უდრიდა. მწვავე ბოღმა ისევ მტანჯავდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ თუ გულგრილი გავხდებოდი, თავგანწირვითა და გამბედაობით სავსე ჩვენი „წრიული თავდაცვა“ დაუძლეველი იქნებოდა. ტანიასათვის ეს ნადირობა იყო სპორტი, რომელშიც ერთიანდებოდა შურისძიება და თვითრწმენა, ჯიბგირის მოქნილობა და წმიდათაწმიდა მიზნები. ნადირობიდან დაბრუნებისას ვითვლიდი, თუ რამდენი საბუთი მოვიტანე. ისე, რომ არც კი ვამბობდი, სად ვიშოვე, ვცდილობდი, არ გამხსენებოდა, ვის მოვპარე მოწმობა. ტანია კი გასაო-

ცარი სიცხადით წარმოსახავდა მის მიერ მოტყუებულთა სახეებსა და მოქმედებას. მიამბობდა, თუ როგორ მოპარა საბუთი მატარებელში, ამსტერდამსა და უტრეხტს შორის, ერთ მსუქან მანდილოსანს, რომელიც პროდუქტების ნორმების შემცირებაზე ჩიოდა; შემდეგ ახალგაზრდა გაზიზებულ ქალიშვილს, რომელმაც თითქმის მეოთხედი საათი დაკარგა თავისი სახის კოსმეტიკაზე ერთ-ერთ კაფე-ამერიკანკის საპირფარეშოს სარკის წინ; ორ ფაშისტ დედაკაცს, უნივერსალური მაღაზიის გამყიდველებს რომ ეჩხუბებოდნენ და აურზაურის დროს თავიანთი ჩანთები უყურადღებოდ დატოვეს. თითქმის ყველა შემთხვევას ტანია გასაოცრად დაწვრილებით, ნერვიული და გამარჯვებულის სიცილით გვიამბობდა. მისი მონათხრობები ჩემ სიმტკიცეს არყევდა და შიშიც კი მეუფლებოდა. ვხედავდი, როგორ წინდაუხედავად იქცეოდა ტანია. მასში თითქოს შინაგანი ცეცხლი ბობოქრობდა. ნაძალადევი სიმშვიდით არაერთხელ დამირწმუნებია იგი, რომ მარტო მე ვიშოვიდი საჭირო დოკუმენტებს. არ მინდოდა მიმხვდარიყო, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი მქონდა. ვცდილობდი ამეხსნა, რომ გერმანელების მიერ ებრაელების მიმართ მიღებული ახალი, არაჩვეულებრივად მკაცრი რეპრესიები უფრო მეტ საფრთხეში აგდებდა მას. ყოველთვის, როცა ესა თუ ის მაგალითი მომყავდა, უნებურად ვიბნეოდი, მერიდებოდა, მეშინოდა არ შევხებოდი მის თავმოყვარეობას და არ შეურაცხმეყო. ხშირად ხმას ვერ ვიღებდი სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად ვშიშობდი მასზე, ის მართლა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, როცა ჩემ შიშს ვუსაბუთებდი. იგი ამაყობდა თავის სიმამაცით, ხელების მოქნილობით და ოკუპანტების შურისგებით. ნებას არ მაძლევდა, რითიმე შემეზღუდა მისი უფლებები და იძულებული გავხდი მიმეცა უფლება მისთვის ყველა შემთხვევაში მოქცეულიყო თავისი შეხედულებისამებრ, ამიტომ, უსაზღვრო სიხარული ამიტანდა ხოლმე, როცა შინმობრუნებულს დავინახავდი.

ჩვენი გრავიორი, რომელიც აქამდე ფანტასტიკური სიზუსტით გადაგვიკეთებდა ხოლმე პირადობის მოწმობებს, სადღაც გაქრა. გაზაფხულის ერთ საღამოს მისი სახელოსნო აქედილი დამხვდა. მიიმალა თუ დააპატიმრეს? ეს ახალი მწარე ამბი მარტო მე გადავყლაპე. მიხაროდა, რომ ტანიამ სრულთოდ არ იცოდა გრავიორის არსებობა და არც ახლა მეკითხებოდა, სად მიმქონდა მოპარული საბუთები გადასაკეთებლად. ყოველ შემთხვევაში, სრულად შევინარჩუნე უფლება პირადად შემესრულებინა ნებაყოფლობით დასახული ამოცანა. ამ საქმეში ჩემი თანაშემწე გახდა ადა — მშვიდი და შეუმჩნეველი ქალიშვილი. დავუბრუნე საცურაო კოსტიუმი და ბო-

ლოს და ბოლოს ვუამბე, რა მიზნით ვთხოვე. მოვუყევი მხოლოდ იმდენი, რამდენიც მას უნდა სცოდნოდა. იგი მთელ ჯგუფთან ერთად მოქმედებდა. მხოლოდ ეს მითხრა თავისი მუშაობის შესახებ. მივხვდი, რომ ეს იქნებოდა სტუდენტთა ჯგუფი. ერთმანეთისაგან განმარტებას არ მოვითხოვდით. მან იცოდა საჭირო მისამართები, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნდა. უკვე მწამდა, რომ „პირადობის მოწმობები" თავის დანიშნულებას ასრულებდა.

ტანია თეთრ ქუდს იხურავს

შემოდგომაზე შევნიშნე, რომ ტანია ძალიან გამოიცვალა. ეჭვი შემეპარა, ალბათ მეგობარი გაიჩინა-მეთქი, ხანდახან, სადმე წასვლის წინ განსაკუთრებული, თვალში მოსახვედრი მონდომებით იცვამდა. კარგად მახსოვს მისი ღია-ლურჯი ფერის კაბა, რომელზედაც თეთრ, ბრტყელ ქამარს იკეთებდა, თეთრი ფეხსაცმელები და პირბადიანი თეთრი ქუდი. შემეშინდა, როცა ტანია პირველად დავინახე ამ ქარაფშუტულ, ახალი მოდის ტანსაცმელში.

ყოველთვის ვფიქრობდი, მე და ტანია ერთნაირად ვცხოვრობთ და ვაზროვნებთ-მეთქი, მამაკაცები — სულ სხვა სამყაროა, ჩვენი სამყაროსაგან განსხვავებული. იქნებ მტრული არა, მაგრამ ჩვენთვის ჯერ შეუცნობელი, რომელთანაც მხოლოდ სალექციო დარბაზებში გვქონდა ურთიერთობა, ხოლო როცა უნივერსიტეტი დაცარიელდა, მაშინ კი ამ სამყარომ სრულიად შესწყვიტა ჩვენთვის არსებობა. ჩვენს ქვეყანაში ომი, ფაშისტები და ტერორია, ამიტომ სულ სხვა საქმით ვართ დაკავებული. დროდადრო ეჭვი მეპარებოდა, თავშეკავებითა და მკაცრი საქციელით ქურუმ ქალებს ხომ არ ვგავდით. სხვათა შორის, ძალიან ადვილად გამოვიმუშავე თავდაჭერის უნარი, რაც ჩემთვის ბუნებრივი და სასურველი იყო, მხოლოდ ტანიას მოულოდნელი კეკლუცობა მაშფოთებდა. მინდოდა პირდაპირ მეთქვა, როგორც ჩანდა, დამოუკიდებლად მოქმედება ერჩივნა, ამას კი შეიძლებოდა ზიანი მოეტანა ჩვენ მიერ ჩვენივე სურვილით წამოწყებული საქმისათვის. რაც მეტი საყვედურებისა და რჩევის მიცემას ვაპირებდი მისთვის, იმდენად უფრო გულჩახვეული ვხდებოდი. საშინელ უმწეობას და მარტოობას ვგრძნობდი, როცა ტანია ასე ქარაფშუტულად მორთული გადიოდა სახლიდან. თვითონ გულს არ მიხსნიდა, მაგრამ ვგრძნობდი, ამ საქმეში უეჭველად მამაკაცი იყო

გარეული, იმიტომ, რომ სწორედ ამ პერიოდში ტანიამ განსაკუთრებული სინაზე გამოაცლინა ჩვენ სახლში ერთი ჩვილი ბავშვის მიმართ. ბევრჯერ შევხვედრივართ კიბეზე ამ ბავშვის დედას და გამოულაპარაკებლად მივხმარებივართ ქუჩაში ბავშვის ეტლის ჩატანაზე. ამ დღეებში კი, როგორც კი ბავშვიანი ქალი შემოგვხვედა კიბეზე, ტანიას მაშინვე დაავიწყდა, რომ ჩვენი სახლის მობინადრეებთან არავითარი ურთიერთობა არ უნდა გვქონოდა. იგი ეტლისკენ დაიხარა და ბავშვს საშუალება მისცა გასთამაშებოდა ხელთათმანებსა და შარფს; მძიმების სამაჯურიანი პატარა ხელები მის აბრეშუმივით თმებში ჩაევლო; იგი მოღუღუნე ხმით ეტიტინებოდა პაწაწას უაზრო, საალერსო ქალურ სიტყვებს. ბავშვის დედა ნასიამოვნები იყო. ბავშვზე საუბარი გააბეს. გაშტერებული ვიდექი და ვცდილობდი მღელვარება დამეძლია. მეც დიდი სიამოვნებით არა თუ გავეთამაშებოდი ბავშვს, არამედ დაუოკებელი სურვილი დამებადა, თავისი ბუდიდან, თავისი სახვევებიდან ამომეყვანა ჩვილი და გულში ჩამეკრა, მაგრამ ამის გამხელაც კი მერიდებოდა. შეგნებული მქონდა, რომ ჩვენთვის ეს ამბავი აკრძალული იყო; ეს მტრის ტერიტორიაზე გადასვლას უდრიდა. ყოველთვის თავს ვიკავებდი, როცა ვხედავდი, როგორ ეთამაშებოდა ტანია ბავშვს. ძალიან ცივად მეჭირა თავი, ბავშვს ყურადღებას არ ვაქცევდი და დედამისს, ალბათ, უსულგულობის განსახიერებად მივაჩნდი. ვინ იცის, ტანიას კიდევ რამდენი ასეთი შეხვედრები ექნებოდა, რომლებსაც მე არ ვესწრებოდი?...

ღამღამობით, როცა საჰაერო თავდასხმები და სროლა არ იყო, თვალგახელილი ვიწექი, ყურს ვუგდებდი ტანიას მშვიდ სუნთქვას და განუწყვეტლივ ვფიქრობდი, ვიდრე ტვინი არ მომექანცებოდა მოზღვავებული აზრებისაგან: საიდან მაქვს ამდენი სიმკაცრე და თავშეკავება, ეს ჩემ ბუნებაშია გამჯდარი თუ ომითაა გამოწვეული? იქნებ მცდარი შეხედულება მაქვს თვითდაცვაზე, რაკი ქალთა საზოგადოებაშიც კი უარს ვაცხადებ ქალობაზე? იქნებ ცოტა მშურდა ტანიასი, თუმცა პირადად ჩემთვის არავისგან არაფერს ვითხოვდი. იმ გრძნობას, რომელსაც ტანია უდარდელად ეძლეოდა, მე ხომ შეგნებულად ვდებდი სხვა დროისათვის, სრულიად გაურკვეველი „შემდეგისათვის“...

მას შემდეგ, რაც ებრაელებს ყვითელი ვარსკვლავის ტარება ჰქონდათ ნაბრძანები, ტანია აუდიტორიაში არ გამოჩენილა. მეცადინეობას უკლო. სექტემბერში პროფესორთან ბინაზე ჰქონდა წინასწარი გამოცდა და, როგორც მოველოდი, ჩაიჭრა. ამას ჩემ საქებრად როდი ვამბობ: სწავლაში დიდი მიღწევები არც მე მქონდა, რაც შალე გამოაშკარავდა. ცხადია. პროფესორი განაწყენდა, რომ ასე სა-

მარცხვინოდ მოვიკოჭლებდი სწავლაში. თავად თვითონ არაჩვეულებრივად წესიერი და გულმოდგინე ადამიანი გახლდათ. პირველად გავუცრუე იმედი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საკუთარი თავი მოვიტყუე. შეურაცხყოფილი შემომყურებდა, მაგრამ მის მზერაში მშობლიური თანაგრძნობაც გამოსჭვიოდა, ალბათ ფიქრობდა: „ჰო, ომია. მძიმე ტვირთი დააწვა გოგონას ნერვებსო“. საგანი მაინც ჩამითვალა. ძველ ჰოლანდიურ სამართალში ადრინდელივით კარგად ვუპასუხე.

შემდეგში დიდხანს ვფიქრობდი ამ გამოცდაზე. არც შერცხვენილი ვიყავი და არც გულნაკლული. ვიგრძენი, რომ სწავლამ ჩემთვის ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა. ჩემს პატივმოყვარეობას ასეთი რამეები აღარ ეხამუშებოდა. როგორც ჩანდა, ტანია ნაკლებ პატივმოყვარე ყოფილა; ამ მარცხს იგი სულაც არ შეუწუხებია. იწვა დივანზე, ფეხი ფეხზე გადაედო, სიგარეტს ეწეოდა და ბოლს ბოლქვებად უშვებდა პირიდან; ამ ხელოვნებას რამდენიმე კვირა იყო ეუფლებოდა და მე გავიფიქრე: უეჭველია, ვიღაცისაგან იღებს მაგალითს–მეთქი.

უცებ მან განაცხადა:

— ხანა, ჩემი აზრით, დროა სწავლა დავასრულო... მართლმსაჯულების რთული კანონებით ტვინის ჭყლეტა ამ ტერორისა და სრული უუფლებობის პერიოდში... ეშმაკმა უწყის, საჭიროა თუ არა!

შემეშინდა. მან თქვა სწორედ ის, რაც ამდენ ხანს ფარულად მაწვალებდა. ჩემი შეპასუხება ძალზე სუსტი და უბადრუკი იყო: ომის შემდგომ პერიოდზე უნდა ვიფიქროთ–მეთქი... მან გაიცინა და მოქნილი მოძრაობით მაღალი ფეხები დივანიდან გადმოკიდა.

— თვითონვე არ გჯერა შენი ნათქვამი.... ომის შემდგომი პერიოდი! მაშინ ყველაფერს თავიდან დავიწყებთ... და უკვე სხვა უფლებრივი კოდექსით.

გაოცებულმა შევხედე:

— არაფერი მესმის შენი.

მაღალმა, ტანწერწეტა ტანიამ ოთახში აქეთ-იქით დაიწყო სიარული.

— სოციალიზმი იქნება, — წარმოთქვა მან. — ომის შემდეგ მსოფლიო სულ სხვა სახეს მიიღებს. ეს ომი ბარბაროსების საწინააღმდეგო, ყველა ადამიანის განმათავისუფლებელი ომია და არა იმ ცრუ თავისუფლებისათვის, რომელსაც ასი წლის წინათ ბურჟუაზიის მიერ ბურჟუაზიისათვის დაწერილი კანონები ქადაგებენ... მალე რუსები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ.

— რა შუაშია რუსები? — შეეკითხე მე. ტანიამ სიარული შეწყვიტა. თითქოს აღშფოთდა, მაგრამ მაშინვე გაიღიმა.

— საბრალო ინტელიგენტო ხანა! — მითხრა მან. — შენ ისე ხარ გაჟღენთილი მოძველებული იდეებით, რომ სხვა საზოგადოება ვერ წარმოგიდგენია, გარდა იმისა, რომლის ცენტრსაც დასავლეთ ევროპა წარმოადგენს. ცოტა მოიცა, ეს ცენტრი შეიცვლება. შეხედე აღმოსავლეთს.

განმაცვიფრა მისმა მსჯელობამ.

— მითხარი, გეთაყვა, როგორ მიხვედი ამ დიდ სიბრძნემდე, იქნებ ვინმე შთაგაგონებს?

პირველად ვაგრძნობინე ტანიას, რომ ვეჭვობდი ვიღაც მესამის არსებობაზე. მისი ლამაზი ბერძნული სახე წამით გაქვავდა, მაგრამ ლოყები მალე აუღაღაჟდა. მისთვის დამახასიათებელი გოროზი მოძრაობით თმა უკან გადაიყარა.

— არა, თვით მივედი ამ დასკვნამდე.

ცოტა ხანს ვდუმდი. მერე თავი დავხარე და ჩვეულებრივი მორიდებით წამოვილუღლუღე:

— ტანია... შენ მეგობარი გყავს?

რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღია. მერე მხიარულად მკითხა:

— რაიმეთი გამოვამჟღავნე?

თავი დავუქნიე ისე, რომ მისთვის არ შემიხედავს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ყველაფრის ხმა, რომელიც წინათ არ გვესმოდა, ახლა ერთად შემოიჭრა ოთახში. ტანიამ ზურგი შემაქცია, კედლის სარკესთან მივიდა, იქ უყურებდა ჩემ ორეულს და მიპასუხა:

— კი.

მეტი არაფერი უთქვამს. მე კი არც მინდოდა და არც შემეძლო მისი გამოკითხვა. ჩემ უბრალო შეკითხვას მანაც ასევე უბრალოდ გასცა პასუხი. ახლა უკვე მისი საქმე იყო, მეტყოდა თუ არა კიდევ რამეს. საშინლად მრცხვენოდა, მერჩივნა ცხრა მთას იქით გადავკარგულიყავი. მესმოდა, როგორ ივარცხნიდა ტანია თმას. ჩვენ გვერდით ოთახში დიდი ხნის დუმილის შემდეგ ისევ გაისმა ჩაქუჩის კაკუნი.

როგორც იქნა, ტანიამ ხმა ამოიღო:

— შენ რა აზრის ხარ, სისულელეს ჩავდივარ, თუ სახიფათოა ჩემი საქციელი?

დავიბენი:

— არ ვიცი... ახლა ვერაფერს გეტყვი.

მოკაზმვას განაგრძობდა, თან გამომიტყდა:

— შემთხვევისათვის კი არ უნდა მელოდნა, ადრევე უნდა მე-

თქვა შენთვის ყველაფერი, სულელი ვიყავი, როცა ვფიქრობდი, რომ უშენოდ გავართმევდი თავს ამ ამბავს... მას არ სურდა, რომ ჯერ რამე მეთქვა შენთვის. იგი იატაკქვეშ მუშაობს... მხატვარია, ჩვენსავით სტუდენტი, მაგრამ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს... რამდენიმე თვეა ფუნჯისათვის ხელი არ უხლია.

ეს ამბავი ჩემთვის ახალი არ იყო, მაინც ძალიან გამაოცა. კინაღამ არ წამომცდა, რომ მან ჩვენი შეთანხმება დაარღვია. მინდოდა მეთქვა, შეეძლო განეგრძნო თავის მეგობართან შეხვედრები, მაგრამ ასე გამომწვევად მორთულ-მოკაზმული ქუჩაში არ უნდა გამოჩენილიყო. მივხვდი, რომ იგი ქალია და სურვილი აქვს ნამდვილი ქალი იყოს. უძლური ვიყავი, ვგრძნობდი, სულ სხვადასხვანი ვიყავით. ვერ გავუგებდით ერთმანეთს. შევხედე მის ანარეკლს სარკეში. ტანია მობრუნდა. მისი ხავერდოვანი, აცრემლებული თვალები ჩამუქებულიყვნენ. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და ჩემ გვერდით მუხლი მოიყარა. მე კისერზე ხელები მოვხვიე, რაც წინათ არასოდეს გამიკეთებია.

— ხანა, — ჩამჩურჩულა მან. — უიმისოდ ობლად ვგრძნობ თავს...

ალერსით ვუსვამდი თავზე ხელს. მეც ცრემლებით მქონდა თვალები სავსე. ხმას ვერ ვიღებდი. განა ეს არის ეული? მე კი, ჩემი მეგობრობა? იგი ქალი იყო, ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე. ვგრძნობდი ჩემ უძლურებას და ბრაზი მეკიდებოდა. ჩვენ ჩვენის მხრივ ორივე მართლები ვიყავით, მაგრამ როგორ უნდა ამეხსნა ეს? მე უნდა ვამშვიდო, როცა თვალნათლივ ვხედავ, როგორ მეკარგება იგი.

— ფრთხილად იყავი, — ვუთხარი მე. — ისეთ საქმეში არ გაეება, რაც ხელს შეგვიშლის ჩვენი მიზნის მიღწევაში... უფლება არა გვაქვს უცნობ ადამიანებს დავენდოთ.

მაგრამ ეს იყო ლიტონი სიტყვები, ტანიამ შემომხედა, გამიღიმა და ადგა. ახლა მან გადამისვა ალერსით თმაზე ხელი და მითხრა:

— ხანა, შენი შიში უსაფუძვლოა... მე ხომ ვიცნობ ჩემ ხალხს!..

— მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეს, ვერაფერს მოვითმენ ისეთს, რაც ჩვენ მუშაობას ზიანს მოუტანს!.. — გავაფრთხილე იგი.

მან გაკვირვებითა თუ დაცინვით შემომხედა, შემოტრიალდა თავის წვრილ ქუსლებზე, მივიდა სარკესთან და შარფის შეკვრას შეუდგა.

— შენზე ცუდად როდი მიმდის საქმეები, — მითხრა მან და ხმაში წყენა შევნიშნე. — ჩემზე ნუ წუხხარ!

იგი წავიდა. მარტო დავრჩი და მივხვდი, რომ შევცდი. პირველი ცრემლები ტანიას გამო ჩამომცვივდა...

ხშირად ვიგონებდი ტანიას სიტყვებს რუსების შესახებ, როცა აღმოსავლეთ ფრონტზე დიდი ამბები გაჩაღდა.

ნაცისტები სტალინგრადთან შეჩერდნენ.

მათი ლაშქრობა ვოლგისაკენ ხანგრძლივი, გიჟური ტრიუმფი იყო. ჩვენ ქვემოთ ბინაში რადიომიმღები ამ ამბავზე ღრიალით არემარეს იკლებდა. თავი ისე გვეჭირა, თითქოს არაფერი გვესმოდა. ფაშისტურმა სვასტიკამ ვოლგამდე მიაღწია. ოკუპანტების გაბრწყინებულ სახეებზე ყოყოჩური ქედმაღლობა აღბეჭდილიყო; ეს იგრძნობოდა სალაშქროდ მიმავალი მწვანე კოჰორტების ფეხის ბაკუნში, იფრქვეოდა აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მატარებლებზე მკვეთრი ფერებით წაწერილი საბრძოლო ლოზუნგებიდან; ვსუნთქავდით ჰაერს, რომელიც ამ ქედმაღლობით იყო გაჟღენთილი, როგორც ევროპის შორეულ კუთხეში ჩვენ მიერ დაწყებული წინააღმდეგობის თითქმის ხელშესახები დაცინვა, ზღვის სანაპირო ვიწრო ზოლის დაცინვა, რომელიც ოდითგანვე ჰოლანდიელების მიწა-წყალი იყო და თავიანთთვის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის ჰქონდათ დამუშავებული და შიგ ხეხილი ჩაყრილი.

უეცრად ნაცისტების ტანკებმა აღმოსავლეთისაკენ წინსვლა შეწყვიტეს. მართალია, ისინი კვლავ და კვლავ წინ მიიწევდნენ, მაგრამ რუსები უკუაგდებდნენ მათ. იქ, შორს, აღმოსავლეთში, აღსდგნენ და მხრები გაშალეს მრისხანე, ძლევამოსილმა ძალებმა. გერმანიის რადიომაუწყებლობის მყვირალა, მოტრაბახე გადაცემები წარსულს ჩაბარდა.

ჰიტლერის გამოსვლას გადმოსცემდნენ. ამჯერად რადიოს ვუსმენდით, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე. მოხელემ, რომელიც საჯურნალო ბარათებს გვაძლევდა, ფიურერის სიტყვის მოსასმენად ზეიმით მიგვიწვია. ყოველი ჩვენთაგანი თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ რაღაც საყურადღებო უნდა მოგვესმინა. მე წინათაც მქონდა განაგონი ჰიტლერის ხმა — გამყინავი, ჩახლეჩილი, თვითდაჯერებული; ამასთანავე, ფიურერი საშინლად უხეშ გრამატიკულ შეცდომებს უშვებდა. დღეს კი უღიმღამო და უთავბოლო სიტყვაში იოტის ოდენა დამაჯერებლობაც არ იყო. არაფერი იგრძნობოდა მის ხმაში გარდა საბრალო თავის მართლებისა იმის შესახებ, რომ ყველა ფრონტზე სიწყნარე სუფევდა. მოწინააღმდეგეებს თავს ესხმოდა სულელური ლანძღვა-გინებით, რომელიც ეთერში იბნეოდა. როცა იგი უხამს ოხუნჯობას გაურევდა საუბარში, დარბაზში, სადაც სიტყვით გამოდიოდა, სამარისებური სიჩუმე იდგა. ბოლოს პროვინციე-

ლი ტრაგიკოსის პათოსით წამოაყრანტალა: „არასდროს არ გამოვ-ბრუნდებით ვოლგიდანო!“ იცის კი ამ კაცმა, სად მიედინება ვოლ-გა? მისი ისტერიული შეძახილი შთანთქა, ასეთი შემთხვევისათვის აუცილებელმა, ვაგნერის მუსიკის მგრგვინავმა ხმამ, რომელსაც ისე-თი გახელებული ბლავილი ერთვოდა თან, თითქოს ველურების მთელი ხროვა ერთად აღრიალდაო.

ჩვენმა მასპინძელმა რადიომიმღები გამოთიშა. ძალიან კმაყო-ფილები შეეყურებდით ერთმანეთს. ტანიას სახე უბრწყინავდა. ისევ გამახსენდა მისი ნათქვამი. რუსები გადამწყვეტ როლს შეასრულე-ბენო, ცენტრი გადაინაცვლებსო. მგონი, მივხვდი, რაც ჰქონდა მხე-დველობაში. ერთსულოვნებისა და ამხანაგობის გრძნობით უფრო მეტად გამსჭვალულებმა შინისაკენ გავსწიეთ..

საღამო იყო. მშვიდი, გრილი შემოდგომა ეპარებოდა ჩაბნელე-ბულ ქუჩებს, აქა-იქ ნისლი წვებოდა. ხანდახან ფეხი გვისხლტებო-და დამპალ ფოთლებზე. ჰაერში საპატრულო თვითმფრინავები გუ-გუნებდნენ. მაგრამ რაოდენ უძლური იყო მათი უშედეგო ხმაური იმ იმედთან შედარებით, რომელიც ჩვენ გულებში ღვიოდა!

— ეს მხოლოდ დასაწყისია, — განაცხადა ტანიამ. სკოლის მოს-წავლესავით იცინოდა და რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები. — ხანა, გახსოვს, სულ ახლახან რა თქვა სტალინმა? — რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, რა თქვა მან. ტანიამ ხმა დაიდაბლა დ შელოცვასავით დიდი აზბით წარმოთქვა: — სტალინმა თქვა: „ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაულიო“. კარგად მისმენ, ხანა? ეს ნიშნავს, რომ ჩვენთანაც იქნება დღესასწაული, ჩვენ პატარა ქუჩაზე, ჰოლანდიაში...

მისი ხელი მკერდში ჩავიხუტე, მეგონა, ისევ ვიპოვე-მეთქი ჩემი ადრინდელი ტანია. რამდენჯერმე ვკითხულობდი უკანასკნელ ცნობებს ყველა იატაკქვეშა გაზეთებში, რომლებიც კი ჩაგვივარდე-ბოდა ხელში. სტალინგრადი! ის, რაც წინათ მხოლოდ გეოგრაფიუ-ლი სახელი იყო, მომაჯადოებელ სინამდვილედ იქცა. ბოლო ხანებში ძილი არ მეკარებოდა. ჩვენ სხვენშიც ციოდა. ნახშირს ზამთრისთვის ვიზოგავდით, ომის მესამე ზამთრისათვის... სიტყვა „სტალინგრადი“ წარმომიდგა თვალწინ ჩაბნელებული ფანჯრის ფონზე, მე ვწერდა ამ სახელს ჩემ სულში აგიზგიზებული ცეცხლის ასოებით. სტალინ-გრადის მისადგომებთან ჰპოვეს სამარე ფაშისტურმა დივიზიებმა, იქ მარხია ფაშისტური ქედმაღლობა. ხშირად მიკვირდა ხოლმე, როგორ ეძინა ტანიას მშვიდად. ვიწექი ჩვენ ბუნაგში, რომელსაც უკუნეთი სიბნელის გამო ვერ ვცნობდი და ნათლად მქონდა წარმოდგენილი მოპირდაპირე კუთხეში როგორ იწვა ტანია თავქვეშ ხელებშემო-წყობილი, ბავშვივით კუნთებმოშვებული და ტუჩებზე ღიმილშერ-

ჩენილი. იგი ბედნიერი იყო, მეც ბედნიერი ვიყავი, მაგრამ რაღაც დიდი გარდატეხის წინათგრძნობა სიმშვიდეს მიკარგავდა. სტალინგრადის დამცველებზე ვფიქრობდი; ისინი ბრძოლით იბრუნებდნენ თითოეულ სახლს, სართულს, კიბეს, სარდაფს... გერმანელები ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებებს აწყდებოდნენ, ყველგან გზას უღობავდათ საკუთარი ჯარისკაცების გვამები. საკმარისი იყო ნაცისტებს რომელიმე შენობა დაეკავებინათ, რომ რუსი მოხალისეები ყუმბარებს უშენდნენ და ერთიანად აფეთქებდნენ იქაურობას. ფაბრიკის საამქროს ნანგრევებს ახალგაზრდა სნაიპერი გოგონების ჯგუფი იცავდა. მათ ასობით ფაშისტი გაწყვიტეს და თვითონაც ჩაიხოცნენ ნანგრევებში. ტანია ხშირად ამბობდა: „ომის წარმოების სოციალისტური მეთოდი მალე დაამტკიცებს თავის უპირატესობასო". ჩემთვის ეს მხოლოდ ფრაზები იყო. მაგრამ უკანასკნელი ღამეების განმავლობაში საკუთარ სიცოცხლესავით ნათლად შევიგნე, რომ ქვეყნად გმირებიც არიან და გმირებიც, და რომ ომის წარმოება შეიძლება სხვადასხვანაირად, ორი საშუალებით. ფაშისტები თავს ესხმიან ნგრევისა და ძარცვის, აღთქმული უხვი ნადავლის მოპოვების სურვილით შეპყრობილნი, ან უბრალოდ, მათ უკან მომავალი ნაწილების მოძალების გამო. ისინიც თავიანთ თავს გმირებს უწოდებენ. ამ ომის გამჩაღებლებს, მკვლელებს და ყაჩაღებსაც ხომ მამაცებად მოაქვთ თავი. მაგრამ მამაცები ისინი არიან, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად მშობლიურ მიწა-წყალს იცავენ. ისინი სხვაგვარად ფიქრობენ, ცხოვრობენ და კვდებიან. მე მინახავს, რომ შეტევაზე მიმავალი ნაცისტის გააფთრებაში იმალება უსაზღვრო სიმხდალე, ადამიანისადმი ზიზღი და მისი შესაძლებლობის შეუფასებლობა. ახლა ჩემთვის ნათელი გახდა გამოთქმა „ჯოხის დისციპლინის" აზრი. ყველა დამპყრობი თავისი მიზნის მიღწევას ხოცვა-ჟლეტით ცდილობს... მაგრამ ძალა მათ მხარეზეა, ვინც წინ აღუდგება „ჯოხის დისციპლინას", ასეთები კი უმრავლესობაა. ისინი იბრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრებამ აიძულა. უცებ აზრი დამებადა: რა იქნებოდა, რუსად დავბადებულიყავი და ახლა ალმოდებულ სტალინგრადში ვიყო-მეთქი?

...და ტულონი

დიდი ნიაღვრების შემდეგ თოვლი მოვიდა. ეს დღეები ჩვენთვის აღინიშნა დიდი მღელვარებით, რაც, გულახდილად რომ

ვთქვათ, მას შემდეგ აღარ მოგვშორებია. სამაგიეროდ ღრმად დავრწმუნდით, რომ შემობრუნების ჟამი დადგა. რუსეთის ყველა ფრონტებზე მტრის პოლკები ტყვედ ბარდებოდნენ.

— ახლა კი მიხვდებიან გერმანელები, რომ არ ღირს ზარ-ზეიმით ომის დაწყება, — შენიშნა ერთხელ ტანიამ. — ისინი ომში დროშებითა და საზეიმო განწყობით მიდიოდნენ, მხოლოდ მერე შენიშნეს, რომ გამარჯვების ალმების ნაცვლად სამგლოვიარო დროშები ეჭირათ.

ჰოლანდიაში დამსჯელი რაზმები მძვინვარებდნენ. სანაპირო ზოლიდან პირველი ოცდათხუთმეტი ათასი კომლი გაასახლეს, რომლებსაც თავიანთი ქონების უმეტესი ნაწილი იქ დარჩათ. ეს იყო უნამუსო, მზაკვრული ფანდი! კერას უნგრევენ ადამიანებს და თან უსირცხვილოდ არწმუნებენ, რომ ეს ღონისძიება მათ საკეთილდღეოდ ტარდება... შემდეგ კი ზედიზედ გზავნიან ეშელონებს და ეზიდებიან დატოვებულ დოვლათს დაზარალებული გერმანული ოლქებისათვის. ჰოლანდიის საწყობები ცარიელდებოდა იმისათვის, რომ საშობაოდ გერმანელთა მაღაზიები გაევსოთ, ეკლესიებში იპარავდნენ ზარებს და მისგან ტყვიებს ასხამდნენ ჰოლანდიელი მძევლების დასახოცად, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ციმციმებდა რაღაც იმედის სხივი — ეს იყო გერმანიის განადგურების აჩრდილი.

ერთხელ ნოემბრის დასაწყისში, ტანია თითქმის სირბილით ამოვიდა ზევით. მე ვმეცადინეობდი. მისმა აჩქარებამ და აღფრთოვანებულმა ტონმა მიმახვედრა, რაღაც კარგი ამბავი მოჰქონდა. სირბილით შეეგებე კარებში. სახეგაბრწყინებული ტანია გადამეხვია:

— მეორე ფრონტი, ხანა! მეორე ფრონტი გახსნეს! მოკავშირეები კასაბლანკაში არიან!

უცებ ვერ გავიაზრე, სად მდებარეობდა კასაბლანკა. ტანიამ უკვე გაშალა არალეგალური გაზეთი, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი, ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკელების გადასხმა. ალბათ, ეს არის მეორე ფრონტი, რომელსაც სტალინი მოითხოვდა. მახსოვს, მე და ტანია დიდხანს ვცეკვავდით ჩვენ ოთახში, ვიდრე აქოშინებულები საწოლებზე არ დავცვივდით.

გერმანელები გაცოფდნენ. ისინი ფრანგებს მოუწოდებდნენ დახმარებოდნენ მათ მაროკოში შეჭრილი ამერიკელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასობაში კი მთელი საფრანგეთი ხელთ იგდეს. სამშობლოს გამყიდველმა, მოხუცმა პეტენმა პროტესტი განაცხადა. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, დიდმა არამზადამ პატარა გააცურა. ჰიტლერი გაჰკიოდა, მოითხოვდა მისთვის გადაეცათ საფრანგეთის ფლოტი. ამის საპასუხოდ მეზღვაურებმა, ფაშისტების ყუმბა-

რებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლში, ანძაზე სამფეროვანი დროშები აღმართეს, ტულონში თავიანთი გემები ჩაძირეს და მათთან ერთად თვითონაც დაიმარხნენ. ამ განცხადების წაკითხვის მერე შეშინებულმა წამოვიყვირე;

— ღმერთო დიდებულო... როგორი გმირობაა!

ტანიამ რაღაც უგულოდ დამიქნია თავი, უკმაყოფილო სახე მიიღო და მითხრა:

— გმირობაა, მაგრამ უნაყოფო.

გაკვირვებით შევხედე. გაზეთი გამომართვა, ერთხელ კიდევ წაიკითხა და თქვა:

— ამ წარმოდგენის გამართვას სჯობდა ბრძოლაში დაღუპულიყვნენ. სიკვდილის წინაც უნდა უთავაზო მტერს ცხვირ-პირში.

მივხვდი, რომ სტალინგრადზე ფიქრობდა. იმასაც მივხვდი, რომ მართალი იყო.

ᲨᲘᲨᲘ

ახალ წელს ჩემ სახლში, მშობლებთან შევხვდი და იანვრის პირველ რიცხვებში დავბრუნდი ამსტერდამში; როცა უკანასკნელ ბაქანზე ავედი, საიდანაც ჩვენი სხვენის კიბეები იწყებოდა, ბაქანთან სამუშაო ხალათიანი ერთი ფოტოგრაფი იდგა. მინდოდა ხმადაბლა მივსალმებოდი, როგორც უცნობს, რომელსაც ხშირად ხვდები ხოლმე, მაგრამ ფოტოგრაფი წინ გადამიდგა. ისე შემომყურებდა, თითქოს რაღაცას ელოდა ჩემგან. ამან შემაშფოთა.

— მინდოდა მეკითხა... როგორც იქნა წარმოთქვა მან, ხმას დაუწია, ჩვენი დერეფნის სიღრმეში შეიწია და განაგრძო. — თქვენი მეგობარი ქალი... ებრაელია?

გული შემიქანდა. ცივად და გამომცდელად შევხედე:

— ეს გაინტერესებთ?

იგი ოდნავ დაიბნა და უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები.

— ნაწილობრივ... გარდა ამისა, ორივე მინდოდა გამეფრთხილებინეთ.

მან თითქმის ჩურჩულით განაგრძო საუბარი:

— ჩემი აზრით, იგი ძალზე წინადაუხედავად იქცევა. გუშინ კაფეში ვხვდებოდით ახალ წელს. იქ ბევრი მსახიობი იყო. თქვენი მეგობარი ქალი და მხატვარიც იყვნენ. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვის

ამოც ჩვენ ვშიშობთ; ქალთან მეგობრობამ ზიანი არ მოუტანოს ჭის საქმეს...

გაჩუმდა და ჩემ უკან კიბე შეათვალიერა. დერეფნის სიბნელე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. გული უფრო ამიძგერდა. მან თქვა „ჩვენთვის“... ვის გულისხმობს ამ „ჩვენში“? თვალწინ წარმოიდგა უხამსი, ხალხით გაჭედილი კაფე, ნაცრისფერ და მწვანეფორიანი გერმანელები, ლამაზი, ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი, რომელიც ხალხის ყურადღებას იპყრობდა, და მისი მეგობარი, რომელიც აქნებ ამ ქალის გამო იქცევდა ყურადღებას — მაგრამ სულ სხვათა ყურადღებას... ეს ქალი კი ჩემი მეგობარია, რომელსაც ვენდობოდი! ფოტოგრაფს შევხედე და ვცადე მშვიდად მელაპარაკა.

— ეფიქრობ, მიგიხვდით... რამე მოხდა?

მან როგორღაც მორიდებით, გაუბედავად გაიქნია თავი:

— არა, არაფერი, ვიდრე ჩვენ იქ ვიყავით. თქვენი მეგობარი და მხატვარი ჩვენზე ადრე წავიდნენ. ოღონდ, შევამჩნიე, რომ ორი რუხი თაგვი — ფეხებდაბრეცილი ქონდრის კაცები მეტისმეტად დიდხანს და საეჭვოდ უყურებდნენ თქვენს მეგობარს. ძალიან კოხტად იყო ჩაცმული, თვალში მოსახვედრად. ქონდრის კაცების გვერდით სისხლის სამართლის პოლიციის თანამშრომელი ვაჟბატონი აჯდა. სამივემ ერთმანეთთან მისწიეს თავები და, ჩემი აზრით, დიდი ყურადღებით გაადევნეს თვალი მიმავალ წყვილს.

იგი წამით გაჩუმდა და, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულმა შემომხედა.

— არ გეგონოთ, რომ ამ ამბავს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევდე ვიდრე საჭიროა. თქვენ უკეთ იცნობთ თქვენს მეგობარს, მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ.

თავი დავუკარი და სხვენში ავედი, იგი ბაკანთან დარჩა, თავის პატარა აბაზანებთან. როცა ოთახში შევედი, მაშინღა ვიგრძენი, როგორ მიკანკალებდა მუხლები. ტანიას საწოლზე ჩამოვჯექი და ჩურჩული დავიწყე, თითქოს ტანია იქ იწვა და ყურს მიგდებდა: „უჭკუოდ იქცევი... სიტყვა მომეცი, რომ აღარასოდეს მოიქცევი ასე. მომეცი პირობა, ღვთის გულისათვის...“.

ალბათ, ძალიან დიდხანს ვიჯექი ასე. ხალხით სავსე სახლიდან ამომავალი ყოველი ჩქამი მესმოდა. მხოლოდ ჩაქუჩის კაკუნი აკლდა. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. ვთრთოდი ნერვიული დაძაბულობისა და სიცივისაგან, სხვენზე თითქმის ყინავდა. მერე წამოვდექი საწოლიდან და გადავწყვიტე ქალაქში წავსულიყავი ტანიას საძებნელად, მაგრამ კარებთან მისვლამდე დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების უაზრობაში. ოთახში წინ და უკან დავიწყე სიარული.

უცებ გავიფიქრე, რომ ფოტოგრაფებს შეეძლოთ ჩემი ფეხის ხმის გაგონება. ისინი არ უნდა მიხვდნენ, რომ ვნერვიულობ. რა ვიცი, ვინ არიან? პატარა ღუმელის წინ დავიჩოქე და ანგარიშმიუცემლად შევუდექი მის გამოტენას ნაფოტებითა და ქაღალდით. ცრემლები გადმომცვივდა. გულდაგულ დავიწყე ცეცხლის გაჩაღება.

ტანიას შუადღისას დაბრუნებამ ძალიან ამაღელვა. თან მოიყოლა ზამთრის ჯანსაღი სუნთქვა. ლოყები შესწითლებოდა, ხელები გაშალა, გადამეხვია და მაკოცა. თმაზე თამბაქოს სუნი ასდიოდა, ქუჩის ჰაერის მომლაშო სიგრილე და მისი ახირებული თავგადასავლის ოდნავ საგრძნობი სურნელება.

— გილოცავ ახალ წელს, ხანა! — მითხრა მან.

მეც ჩავიბუტბუტე ტრადიციული მილოცვა. ღმერთმა ხომ იცის, რომ ყოველივე კარგი ვუსურვე ახალ წელს: პირველ რიგში სიცოცხლის შენარჩუნება, რომელსაც საფრთხე ელოდა. ფრთხილად მოვიცილე თავიდან. იგი პალტოს იხდიდა, იცინოდა და ხელებს ღუმელს უფიცხებდა. უძირო ნათელი ჩასდგომოდა თვალებში, რომელიც სიტყვებზე უფრო მეტყველი იყო. უცებ მან გამომცდელად შემომხედა:

— ხანა, რომ არაფერი მოხდა? ყველაფერი რიგზეა შენს სახლში? თუ...

თავი გავიქნიე. თითქოს ენა ჩამივარდა. გული შემეკუმშა. მიყვარს და მართალი უნდა ვუთხრა. ზურგი შევაქციე, იგი სწრაფად მოვიდა ჩემთან.

— მითხარი, ეტყობა, რაღაც მოხდა!

ენის ბორძიკით წარმოვთქვი:

— დიახ, ყველაფერი ვერ არის კარგად, შენი საქმეები არ არის წესრიგში. გუშინ საღამოს წახვედი და შენ მეგობართან ერთად იყავი იქ, სადაც სიკვდილის საფრთხე გელოდა!..

სახე მოეღრუბლა. ჯიუტად მოკუმა ტუჩები და ბავშვივით გაიბუტა. მერე ისევ მომიბრუნდა:

— საკუთარი დაზვერვა გყავს? რა დიდი ამბავია, თუ კაფეში ვიყავი?

დაზვერვის შესახებ თითქოს არაფერი გამეგოს, ლაპარაკი განვაგრძე:

— არ ვიცი, ვინ არის შენი მეგობარი და რა საქმიანობას ეწევა... რაკი არ უნდა ვიცოდე, არც მჭირდება... მაგრამ შენ ხომ იცი. როგორ იქცევით თქვენ... ღმერთო ჩემო!

სულმოუთქმელად ვუთხარი ეს, მერე ხმას დავუწიე იმის ში-

შით, რომ გვერდით და ქვემოთ მეზობლებს არაფერი გაეგოთ და გაბზარული ხმით ვუთხარი:

— და ეს არის არალეგალური მდგომარეობა! სიკვდილს ეთამაშები! მე შენ გიკრძალავ ამას — ამიერიდან და სამუდამოდ!

შუბლშეკრული ტანია შეურაცხყოფილი სახით მისმენდა.

— ეს ამბავი შემთხვევით გავიგე, — განვაგრძე მე. — ღმერთმა იცის, რამდენჯერ ჩაიდინე ასეთი სისულელე... რა თქმა უნდა, გულუბრყვილოდ ფიქრობდი, ლომის ბუნაგში პატარა მხეცებს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთო!...

ახლა კი მთლად მოიკუნტა ტანია, თითქოს დანაშაული შეიგრძნო.

— ხანა, — მორიდებით მითხრა შიშისგან გაფითრებულმა. — მე იქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი. გეფიცები... ადამიანებთან ყოფნის სურვილმა მიგვიყვანა იქ. იგი ხალხში ყოფნასაა ჩვეული.

— ხალხში? ხალხს ეძახი შავი ბაზრის ვაჭრებს, ყალთაბანდებს, გერმანელთა პოლიციასა და სხვადასხვა ჯურის მაბეზღარებს?

თანდათან ვბრაზდებოდი:

— მორჩი ამისთანა ამბებს, გესმის თუ არა? ღვთის გულისათვის, ნუთუ მუხლმოდრეკილი უნდა გეევედრო? მორჩი! არ მინდა პოლონეთში ამოჰყო თავი!

სიჩუმე ჩამოვარდა. დამწუხრებულები და უმწეონი შევყურებდით ერთმანეთს. უცებ ტანია ატირდა. საწოლზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა, სლუკუნებდა და ძლივს გასაგონად ბუტბუტებდა:

— აღარ შემიძლია ასე ცხოვრება... უკვე მესამე წელია ომია. დღედაღამ შიშში ყოფნა... როგორ მინდა ერთხელ მაინც მოვიქცე ისე, თითქოს ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდეს... თუნდაც ეს ქარაფშუტობა იყოს!.. წყეულიმც იყვნენ ისინი!

ერთხანს უძრავად ვიდექი. არაფრით შემეძლო მეგობრის ნუგეშისცემა. მერე მაგრა შევანჯღრიე. იგი გაჩუმდა. წყალი მოვუტანე. სვამდა და მისი კბილები ჭიქაზე წკარუნებდნენ. მერე ისევ დაწვა და თვალები დახუჭა. ძალიან ნაზი, მოხდენილი და სათუთი იყო თავის თხელ, ძვირფას კაბაში, აბრეშუმის წინდებსა და ლამაზ ფეხსაცმელებში. სახე ნახევრად დაფარვოდა ხშირი თმით. ვუყურებდი მას და გული მეკუმშებოდა. ასე მეგონა, კუბოში იწვა საქორწინო კაბით...

ყველაფერზე აუტანელი იყო მარტოობა. ამ დღეებში კი უფრო მეტად ვგრძნობდი სიმარტოვეს...

დაუდევრად ვცხოვრობდი. როცა შემთხვევა მომეცემოდა, მაშინ ვჭამდი. ხშირად ვწვებოდი გვიან. ტანია მეუბნებოდა, რომ ძილში ვბორგავდი და ვბოდავდი ხოლმე. შეშფოთებულმა ვკითხე, რას ვლაპარაკობ-მეთქი. ტანიას გაეცინა:

— ნუ გეშინია, მხოლოდ ფსიქიატრს შეუძლია მნიშვნელობა მისცეს შენს ნაბოდვარს.

— მე კი ფსიქიატრს არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ. — ვუპასუხე მე.

გავიცინეთ, მაგრამ მივხვდი, რომ ხანგრძლივმა სიმარტოვემ ნერვები დამისუსტა. მეცადინეობას მხოლოდ მაშინ ვანებებდი თავს, როცა წამოწოლა, ან, როგორც ჩემი ნაცნობები ამბობდნენ, ძველი ცუდი ჩვეულების მიხედვით, „ჩემზე ფიქრი“ მომინდებოდა. ზოგჯერ ტანიას რომელიმე წიგნს ავიღებდი და ვფურცლავდი, ჩემი წიგნები კი ჰაინეს და რილკეს გარდა, ისე უშინაარსოდ და უინტერესოდ მიმაჩნდნენ, რომ გულგრილად მქონდა მიყრილი მტვრიან კუთხეში. ტანიას კარადაში დამაინტერესა რუსული რომანების თარგმანებმა: „ცემენტმა“, „წყნარმა დონმა“, „დედამ“... ახალი გვარები გაჩნდნენ ჩემს მეხსიერებაში: შოლოხოვი, გლადკოვი, ფადეევი. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი იყო. ეს წიგნები მიამბობდნენ იმ ხალხის ამბებს, რომლებიც სტალინგრადსა და ლენინგრადს იცავდნენ ჰიტლერელებისაგან. მათ შესახებ უნდა ვიცოდე რაც შეიძლება უფრო მეტი... ვკითხულობდი მარქსის, ლენინისა და სტალინის სტატიებს და ბროშურებს. ვკითხულობდი კოლმეურნეობებზე, ნაციონალურ პოლიტიკაზე, ხუთწლიან გეგმაზე და ელექტროფიკაციაზე. წაკითხულიდან ბევრი დამავიწყდა, ჩემთვის ყველაფერი არ იყო ერთნაირად საინტერესო. მაინტერესებდა ხალხი, ცრურწმენისა და უცოდინარობის უფსკრულიდან ცოდნამდე ამაღლებული აზიის ხალხების ბედი; მინდოდა მცოდნოდა წინათ განწირულთა და ექსპლოატირებულთა ამბავი, რომლებიც ახლა მხატვრის ან მკვლევრის ნიჭს ავლენდნენ, ქალების ბედი, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს შეიგნეს თავიანთი ადამიანური ღირსება და მონობის უღლისგან გაინთავისუფლეს თავი. წავიკითხე მელითონე მუშების ამბავი, რომლებიც წითელი არმიის მეთაურები გახდნენ და სოფლის ჭაბუკებზე, რომლებმაც ცხენოსანთა დივიზია ჩამოაყალიბეს; ასევე საინტერესო იყო ერთი დიასახლისის ბედი, რომელმაც 1917 წლის შემდეგ

წაიკითხა იულიუს კეისრის ბიოგრაფია და იმდენად გააოცა წარსულის გაგების შესაძლებლობამ, რომ სწავლას შეუდგა და ახლა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო... გამიტაცა იმ უბრალო ადამიანების ხვედრმა, რომლებიც რევოლუციამ ცხოვრების მწვერვალებზე აიყვანა და მათ გამოამჟღავნეს ისეთი ამოცანების განხორციელების ნიჭი და უნარი, რომლებზედაც არასოდეს უფიქრიათ. გავიგე, უფრო სწორად, დავიწყე გაგება, რა იყო სოციალიზმი.

ჩვენ ოჯახში ბევრს ლაპარაკობდნენ სოციალიზმზე. ახალგაზრდობაში მამა მონაწილეობდა საყოველთაო არჩევნების უფლების მოსაპოვებელ კამპანიაში. იგი მიამბობდა დემონსტრაციებზე, გაფიცვებზე და „წითელ სამშაბათებზე"[1], ტრულსტრასა[2] და ვიბაუტზე[3], რომლებსაც პირადად იცნობდა. მისი ნაამბობი სოციალიზმისათვის მებრძოლ ადამიანებზე შექმნილ სიმღერასავით ჟღერდა. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანდა, შეიცვალა ბრძოლის მიზნები და საშუალებანი; მამების ბრძოლა დავიწყებას მიეცა, იგი თითქოს დაიმარხა მეშჩანური კეთილდღეობის ნასუფრალქვეშ, რომელიც მოწყალებად გაიღეს ექსპლოატირებულთა ნაწილის მიმართ, როცა უკვე აღარ შეიძლებოდა მათი პროტესტების არად ჩაგდება. ეს აზრები მამაჩემისათვის რომ მეთქვა, ალბათ დამეთანხმებოდა. სხვათა შორის არც დედა და არც მამა ძალით არაფერს მახვევდნენ თავს. მათ ნება მომცეს ცხოვრებაში შემედგა ფეხი, ყოველ შემთხვევაში, შევსულიყავი უნივერსიტეტში — რაც, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის — უსიტყვო შეთანხმებით: თვითონვე მეფიქრა და მეაზროვნა. ჩემთვის კარგა ხანია ნათელი გახდა, რომ კაცობრიობისათვის განკუთვნილია ცხოვრების სულ სხვა ფორმა, ვიდრე დღევანდელია, თუმცა ბევრი, მგონი, ფიქრობს, რომ ესაა ერთადერთი შესაძლებელი... სახელდობრ როგორი ფორმა? როგორი? ეს თავიდან მოუშორებელი კითხვა შემოიჭრა ჩემ უმნიშვნელო ცხოვრებაში.

---

1 „წ ი თ ე ლ ი ს ა მ შ ა ბ ა თ ი" — სექტემბრის თვის მესამე სამშაბათი — პარლამენტის გახსნის დღე. ამ დღეს ყოველწლიურად იმართება მასობრივი დემონსტრაციები ჰაგაში 1911 წელს ჩატარებული დიდი დემონსტრაციის აღსანიშნავად, ეს დემონსტრაცია ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოაწყო და საყოველთაო არჩევნების მოთხოვნა წამოაყენა. აღსანიშნავია, რომ ქალებისთვისაც.

2 პიტერ იელეს ტრულსტრა (1860—1930) — 1894 წელს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. პირველად მემარცხენე ინტერნაციონალისტურ პოზიციას უჭერდა მხარს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ პარტიის ლიდერები რეფორმიზმს მიემხრნენ.

3 ფ. მ. ვ ი ბ ა უ ტ ი (1859—1936) — ჰოლანდიის სდმპ-ს წევრი, ოპორტუნისტი, სდმპ-ს პარლამენტური ფრაქციის თავმჯდომარე 1922—1935 წწ.

ეს ფორმა კომუნიზმია.

შეგნებული მქონდა, რომ კომუნიზმი — ჩემი საუკუნის, დროისა და თანამედროვეობის პრობლემა იყო. აგრეთვე მესმოდა, მართალია, ჯერ კიდევ რამდენადმე შინაგანი წინააღმდეგობითა და უკმაყოფილებით, რომ კომუნიზმი თვით საგანთა ბუნებაშია, მიუხედავად იმისა ადამიანები და მათ შორის მეც, გავუწევთ თუ არა წინააღმდეგობას, შევიძულებთ თუ შიში გვექნება მისი, იგი მაინც უნდა დამყარდეს. კარგად მესმოდა, რომ ლაპარაკია იმაზე, რათა ჩვენ შორის უფრო კარგად მოაზროვნეებმა დაუსვან თავიანთ თავს კითხვა, სურთ თუ არა მათ დაეხმარონ და დააჩქარონ კომუნიზმის მოსვლა, თუ გაუბედაობით, ყოყმანითა და ეჭვით ხელს შეუწყობენ კომუნიზმის დაგვიანებას, და მათი მოქმედება აუცილებლად გააძლიერებს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ ყველა ავადმყოფურ მოვლენასა და სიძნელეს...

ასე იდგა საკითხი. ჩემი დახმარების გარეშეც არჩევანი მოხდა, — მე მხოლოდ შემეძლო მომეწონებინა ან არ მიმეღო იგი.

მაგრამ პასუხი უნდა გავცე ამ კითხვაზე იმ მომენტში, როცა ფაშიზმის წინააღმდეგ გაცხარებული თავდაცვითი ბრძოლა გვაქვს?

იმდენ ხანს ვფიქრობდი, ვიდრე სულ არ დავკარგე რაიმეს გაგების უნარი. როცა ვცდილობდი რამე წამეკითხა მშვიდად, ან ქალაქში უაზროდ დავეხეტებოდი, თვალწინ მედგა თითქოს თეთრზე შავით დაწერილი საჭირბოროტო საკითხი: შეგიძლია თუ არა მხარდამხარ მიჰყვე კომუნიზმს?

ჩვენ სამშობლოში, ყველა სხვა ქვეყანაში ხალხი ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვის. ამისთვის აუცილებელი როდია კომუნისტი იყო. ფაშიზმი სპობს ყველაფერს, რომ ადრინდელი წეს-წყობილების ნაცვლად თავისი, ტერორისტული დაამყაროს. მან მოაბრუნა შუასაუკუნეები — მათრახითა და საწამებელი ძელით, მაგრამ ბრძოლისათვის გამზადებული და თანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული. მან ისტორია უკან შეაბრუნა, ევროპის ღამის ყველაზე ბნელი პერიოდისაკენ. ამიტომ, ფაშიზმის წინააღმდეგ არავინ იბრძოდა ისე, როგორც ადამიანები, რომლებიც მომავალს კომუნიზმში ხედავდნენ. სტალინგრადელი სნაიპერი გოგონები, წითელარმიელები, რომლებიც ტანკებს ხელყუმბარებით უკუაგდებდნენ, პარტიზანები, გერმანელების სატვირთო ტრანსპორტებსა და სარკინიგზო შემადგენლობებს საწვავით სავსე ბოთლებით რომ აფეთქებდნენ. მუშები და მუშა ქალები, რომლებსაც ურალსა და ციმბირში გადაჰქონდათ მთელი ქარხნები და უფრო ენერგიულად მუშაობდნენ. ტექნიკოსები, რომელთა გამოგონებულ იარაღებს ვერ უმაგრდებო-

დნენ გერმანელები. ლენინგრადელი ქალები, რომლებიც ფაშისტური გარემოცვისაგან ქალაქის დამცველ ქმრებსა და შვილებს საბრძოლო მასალებს უმზადებენ, მაშინ როცა მათ თავზე ყუმბარები სკდება და ხალხს შიმშილი ტანჯავს... კომუნისტები საბჭოთა ქვეყანაში და მის საზღვრებს იქით — ფრანგ მაკებთან, ნორვეგიისა და დანიის წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში და ჩვენში, ჰოლანდიაში, სადაც მათ — ეს ბავშვებმაც კი იციან — მოაწყვეს თებერვლის გაფიცვა, რომელიც დასავლეთ ევროპაში პირველი დიდი ანტიფაშისტური გამოსვლა იყო.

ამ ფიქრებისაგან სუნთქვა მეკვრის.

უნდა ჩავუფიქრდე და გავერკვე, თუ რა ხდება მსოფლიოში, რა ცვლილებებია მოსალოდნელი. გულმოდგინედ უნდა მოვიფიქრო ყველაფერი, რომ ბოლოს და ბოლოს ამ გარდატეხის არსს ჩავწვდე, მიუხედავად იმისა, ვინა ვარ და რას წარმოვადგენ. აუტანელ შიშს ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ ეს იყო სრულიად ბუნებრივი, ადამიანური შიში შეუცნობელის წინაშე. გაუბედაობა ოთახის ზღურბლთან, სადაც არ იცი, რა ხდება. სანამ კარი არ გაიღება, არ იცი, ვინ ან რა დაგხვდება იქ. და მე, ეკრეთ წოდებული ნასწავლი ქალი, ვფიქრობდი ყველაფერზე, რაც კომუნიზმთან იყო დაკავშირებული, ვკითხულობდი პატარა და დიდ ბროშურებს ტანიას კარადიდან და ვიგრძენი, რომ ჩემი გონება უძლურია დასძლიოს ეს საკითხი, რომ მან ისწავლა ამა თუ იმ საკითხების გაგება, მაგრამ გადაჭრით უარს აცხადებს სხვა საკითხების გარკვევაზე; რომ იგი მიჩვეულია მოქმედებას გარკვეულ სფეროში, სადაც ხალხი თვალსაფარს იკეთებს და მხოლოდ სასტიკად განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია ყურება და ამიტომ, ეჩვევიან იმის დაჯერებას, რომ ამ ვიწრო სფეროს იქით არ არსებობს არაფერი, რაც ანგარიშგასაწევად ღირს...

ტანიას წინაშე არც ერთხელ არ მითქვამს სიტყვა „კომუნიზმი". მაგრამ ახლა წარმოიშვა ჩვენი დამაკავშირებელი რაღაც, რომელიც წინათ არ არსებობდა. მადლობის გრძნობა, რაღაც სულიერი ნათესაობა, საერთო ცოდნა.

მარტოობის დღეები თანდათან კარგავდნენ მტანჯველ სევდიანობას. თითქოს გამიჩნდა გრძნობის ახალი ორგანო, რომელიც ჩემი ქვეყნისა და ჩემი სამყაროს ენაზე მითარგმნიდა სიმართლეს მებრძოლი აღმოსავლეთ ევროპის შორეული სამყაროდან ჩემამდე მოღწეულ ამბებზე. და როცა ჩემი შეგნება უკვე მზად იყო ახლის მისაღებად, კონსპექტებისა და სასწავლო წიგნების ფურცლები კიდევ უფრო უაზრონი მომეჩვენენ; ასოები და სტრიქონები ჩემივე თვალწინ გაუფერულდნენ; ნასწავლობა, რასაც ჩემ თავს ვაწერ-

დი, ძველი სამყაროს უსიცოცხლო და ფორმალური ატრიბუტი აღმოჩნდა... ალბათ ძილში იმდენი არაპოდეს მილაპარაკია, რაც იმ ღამეებში, როცა ჩემთვის ნათელი გახდა· არჩევანი უნდა გავაკეთოთ მათ შორის, რაც მიდის და რაც უკვე ახლოა. თუ ტანიას ეშმოდა კიდეც, როგორ ველაპარაკებოდი საკუთარ თავს, ყოველ შემთხვევაში, არაფრით გამოუმეღავნებია ეს ამბავი. თითქოს არაფერი მომხდარა.

ს ა ფ რ თ ხ ე

ერთხელ, თებერვლის წყნარ და პირქუშ საღამოს, როცა საპლიდან გამოვედი ნაცნობ მისამართზე წასასვლელად, სადაც სასურსათო ტალონებს ვღებულობდი და ვურიგებდი, ვისაც საჭირო იყო, ჩვენი პატარა არხის სანაპიროზე ხალხი შეგროვილიყო და მოპირდაპირე მხარისკენ იყურებოდნენ. შეხედვისთანავე შევნიშნე საფრთხე: იქ პოლიციის მანქანა იდგა. სახლს ჩხრეკდნენ. რას ეძებდნენ? ადამიანებს? ქაღალდებს? თუ იატაკქვეშა საბეჭდ დაზგებს? სახლის შესასვლელთან ვიღაც მწვანეფორმიან თავხედს ხელები გაეშალა, ფეხებგალაჯული იდგა და უსაქმოდ მოყიალე ხალხს უყვიროდა: „გაიარეთ!“ რამდენიმე წუთი თითქოს სიცივისგან გაქვავებული და მოკუნტული ვიდექი. უცებ შიშისგან გულისცემა ამიჩქარდა, რაც სხვა დროს არ მომსვლია, საფრთხე გვიახლოვდებოდა. დიახ, საფრთხე, რომელიც აქამდე ჩვენგან სადღაც შორს იყო, ჩვენს ქუჩას ესტუმრა. ის ჯერ კიდევ სხვაგან იყო, მაგრამ ერთი ნახტომიც საკმარისია, და იგი დაგვეწევა, ჩვენ სხვენზე ამოვა... კბილები ამიკაწკაწდა. უცებ ებრაელთა ქუჩა წარმოვიდგინე, როგორიც ვნახე ორი წლის წინათ, პირველი დარბევის დროს: ალყაშემორტყმული, პოლიციელებით სავსე, რომლებიც ჩექმების ბრახუნით და ყვირილით იმხნევებდნენ თავს სხვის სახლებში შევარდნის წინ. გამახსენდა, მაშინ რამდენიმე სასოწარკვეთილი ადამიანი ფანჯრებიდან რომ გადმოვარდა.

იმ ხნიდან დაიწყო დაპატიმრებები და მკვლელობები, რომლებიც შეიძლება ითქვას, ერთი დღითაც აღარ შეწყვეტილა. თვალნათლივ წარმოვიდგინე, რა უმოწყალოდ ერეკებოდნენ ებრაელებს ყოველი მხრიდან, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, იმ საუკუნეებში, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, როგორც ყველაზე მძიმე და აუტანელი — პალესტინიდან ბაბილონში, პირენეებიდან პოლონეთში.

დღეს, ისევ ერეკებიან ებრაელებს — ჰოლანდიიდან, რომელმაც სამასი წლის წინათ მისცა მათ თავშესაფარი... „ტანია!“ — გავიფიქრე მაშინვე. არა, ტანიას ისინი ვერ დაიჭერენ!

ბარათებისათვის აღარ წავედი და თხუთმეტი წუთის შემდეგ შინ დავბრუნდი. პოლიციის მანქანა იმ მხარეს აღარ იყო. ყველა სახლის კარები და ფანჯრები ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, თითქოს იქ არაფერი მომხდარიყოს, ისევე, როგორც ჩვენს სახლში. შურდულივით ავვარდი ზევით და, პალტოც კი არ გამიხდია, ისე ვეცი წიგნების თაროს. გადავარჩიე ყველა წიგნი, უკლებლივ. ფაშისტებს შორის ბევრია უკულტურო, უცოდინარი ჭაბუკი, რეგვენები, რომლებსაც არავითარი წიგნები არ აინტერესებთ. მაგრამ არსებობენ სხვა ჰიტლერელი ახალგაზრდები, რომლებსაც შესანიშნავად წარმოუდგენიათ, რას ნიშნავს ისეთი გვარები, როგორებიცაა გორკი და ლენინი... თითქოს ვხედავდი, მწვანეფორმიანი პოლიციელები როგორ იქექებოდნენ ჩვენს სხვენზეც. ათ წუთში გადავარჩიე წიგნები. მარქსისტული ბროშურები და ხუთი რუსული თარგმანი ჩემოდანში ჩავტენე და ჩემი საწოლის ქვეშ შევდევი.

ტანიას სახლში დაბრუნებამდე — ეს იყო სადილობის შემდეგ, — წიგნების ადასთან წაღება მოვასწარი. ჩემოდანი დამალა და მოისმინა ჩემი ნაამბობი, ისე რომ სახის მშვიდი გამომეტყველება არ შეუცვლია. მას დიდხანს არ უფიქრია:

— ტანიას შეუძლია ჩემთან გადმოვიდეს, — შემომთავაზა მან.— მაგრამ მხოლოდ ერთი კვირით. მერე ველი... სხვა სტუმრებს. იქნებ თქვენ იმ დროისათვის მისთვის სხვა საცხოვრებელი გამონახოთ. რომელიმე ძალიან ჩვეულებრივ, წყნარ, განმარტოებით მცხოვრებ ოჯახში.

„ჩემო ძვირფასო ადა!“ — ვფიქრობდი მე და სატერფულებს ფეხს ვაჭერდი, სულში სიმამაცის ახალ მარაგს ვგრძნობდი, როცა ტანია შინ დაბრუნდა, მოვუყევი, რაც მოხდა, შევამჩნიე, თავდაპირველად როგორ ძალიან შეშინდა. იგი ჩუმად, მორჩილად იჯდა — მე კი აღშფოთებულ პროტესტს ველოდი! როგორც ჩანდა, ბოლოს და ბოლოს მან ნათლად წარმოიდგინა საფრთხე, რომელიც ორჯერ სასტიკად დაემუქრა მას. ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია, ისე დავითანხმე გადასულიყო აქედან.

იმავე საღამოს იგი ადასთან იყო.

მე ჯერჯერობით სხვენზე დავრჩი ჩვენი ღარიბული ქონების მეთვალყურედ. თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, თუ სად მეშოვა ტანიასათვის ბინა. გავიხსენე ჩვენი სტუდენტები. ბევრის ასავალ-დასავალი აღარ ვიცოდი. ლუიზაც დამეკარგა მხედველობიდან. ადა

მეუბნებოდა: საჭიროა, წყნარი, განმარტოებით მცხოვრები ოჯახი. ესე იგი, ისიც ჩვენი ფოტოგრაფივით ფიქრობს. დაუსრულებლად ვფიქრობდი და უცებ ჩემი მშობლების სახლი გამახსენდა, მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს ფიქრი. არ შემიძლია დედ-მამა შევაწუხო. მამამ დასვენება დაიმსახურა. დედა გულით ავადმყოფია. მისი მთავარი საზრუნავი ჩემი სწავლაა, უფრო სწორად, რაც არ უნდა მოხდეს, სწავლა უნდა დავასრულო. არა, ეს ვარიანტი არაფრად ვარგა.

მაგრამ მერე ისევ დავუბრუნდი ამ ფიქრს. ჩემი მშობლებიც ხომ პატრიოტები არიან და თვალის დასანახად არ უნდათ ნაცისტები. ისინი ჩემ წინადადებას გულგრილად ვერ შეხვდებიან და ვერც უკმაყოფილებას გამოთქვამენ. რაც შეეხება ჩემ მომავალ სწავლას... დიდი ხანი არაა, რაც ხმა გავრცელდა — ფაშისტები სტუდენტებს აუცილებლად მოსთხოვენ, გერმანიის მთავრობას ლოიალობაზე ხელი მოუწერონო. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლები მთლად დაცარიელდება ან დაიხურება კიდეც? მე კი... განა ნამდვილად ისევ მინდა სწავლა?

თავი დავანებე ამ ფიქრებს, მერე ისევ დავუბრუნდი.

...მეორე დილით უკვე მშობლებთან ვიყავი. დედა თეთრეულს აუთოებდა. მამა სასეირნოდ იყო წასული. წვიმა, როგორც იქნა, შეწყდა. თითქმის მთელი საათი დალაგებით ვუყვებოდი დედაჩემს ჩემს მოსაზრებებს, თითქოს ყოვლად უიმედო საქმეს ვიცავდი. მას საშუალებასაც კი არ ვაძლევდი რამე ეთქვა, მხოლოდ ხანდახან შემომხედავდა თავისი ჭკვიანი ნაცრისფერი თვალებით. მას არასოდეს უნახივარ ასე სიტყვამრავალი. დასაცავი სიტყვა დავამთავრე და გავიფიქრე: „რა სისულელეა!“ ტანიაზე ყველაფერი მოვყევი, რასაც სხვა შემთხვევაში არასოდეს არ ვუამბობდი ჩემს მშობლებს. უხმოდ დავაპირე სიგარეტის ამოღება და ამ დროს გავიგონე დედას გონივრული, მშვიდი ხმა:

— არაა საჭირო ამდენი სიტყვების ხარჯვა, შვილო... უნდა გითხრა, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ სხვანაირად გვინდოდა წლების გატარება, განზრახული არ გვქონდა ებრაელ იატაკქვეშელთა შეფარება. დიახ, ასე არ წარმოგვედგინა ახლანდელი ჩვენი ცხოვრება, მაგრამ თავს საშინელი აჩრდილი დაგვტრიალებს, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ... თუ ეს საქმე გადაუდებელია, ჩამოვიდნენ.

წამოვხტი, მაგრამ ისე დარცხვენილი და გახარებული ვიყავი, რომ ვერც კი ვაკოცე დედას.

— შენ ამბობ „იატაკქვეშელებიო“, დედა? მრავლობით რიცხვში? — ვკითხე გაოცებულმა.

დედამ უთო გამოთიშა, სკამზე დაჯდა, შუბლიდან კულული გადაიყარა და თქვა:

— რა თქმა უნდა, მაშ ივდითმა რა ქნას? ნუთუ თქვენ მისი ღვთის ანაბარა მიტოვება გინდოდათ?

გამეხარდა მამის დაბრუნება. მესმოდა, როგორ იწმენდდა ფეხებს უკანა კარებთან. ჩემს ოთახში გავიქეცი, დედას მივანდე ეცნობებინა მისთვის, რომ მის სახლში უნდა ჩასახლებულიყო სამი სტუდენტი ქალიშვილი, რომელთაგან ორნი მალულად იქნებოდნენ.

ნახევარი საათის მერე დაბლა ჩავედი, მამამ უკვე ყველაფერი იცოდა. იგი ისე გულითადად და აღფრთოვანებით მომესალმა, ისე ნაზად და სიყვარულით მექცეოდა, რომ ვიგრძენი: ჩვენი გადმოსვლის გეგმა მოიწონა. მის წუხილში შინაგანი კმაყოფილება გამოსჭვიოდა. მივხდი, რომ მამას უხაროდა ჩემი შინ დაბრუნება, თუმცა ეს მაიძულა ქვეყნის ოკუპაციამ და ტერორმა.

უფლებათა პრინციპები

იოლად დავიყოლიე ივდითი, რომ მისთვის და ტანიასთვის ჰარლემში გადასვლა აუცილებელი იყო; სამაგიეროდ ტანიას შევნიშნე ცოტაოდენი ყოყმანი, უხმო უკმაყოფილებაც კი, რომელიც მალე დასძლია. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მესმოდა მისი: იგი იძულებული იქნება დროებით დაცილდეს თავის მეგობარს.

მალე გადავედით კიდეც. ისევ ჩემს ოთახში ვცხოვრობდი, როგორც სკოლაში სწავლის დროს. მანსარდის დიდი ოთახი ტანიას და ივდითს დავუთმეთ; მამამ თადარიგი დაიჭირა, რომ სასწრაფოდ მოგვეწყო მათი თავშესაფარი. ცოტა დრო გავიდა და ჩვენი ახალი ცხოვრება უკვე ნორმალურად გვეჩვენებოდა, — იმისდა მიხედვით, როგორც ნორმალურად ითვლებოდა ყველაფერი ის, რაც კი შეგვეძლო ფაშისტებისთვის ხელიდან წაგვეგლიჯა, მოჩვენებითი პირადი ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. ისევე, როგორც მე ნორმალურად მეჩვენებოდა, რომ კვლავ დავდიოდი ჩემი მშობლიური ქალაქის თვალუწვდენელ გარეუბნებში, დავდიოდი ველოსიპედით, ვხვდებოდი წიფლისა და მუხის ხეივნებს ჰარლემერჰაუტში[1], ბაღებიან ვილებს, ბაზრის მოედანს, რატუშის

[1] ქალაქის პარკი ჰარლემში.

შენობას და ლაურენს იანსზოონის[1] ულაზათო, ჩემთვის კარგად ნაცნობ ძეგლს, ეკლესიის გვერდითი ნეფთან თითქოს თოჯინებისათვის გაკეთებულ პატარა ანტიკვარულ დუქნებს. კვლავ შემეძლო მომესმინა ზარების ნაზი რეკვა, რომელსაც ზღვაური ვერ ფარავდა.

მე მაინც ვიცოდი, რომ ყველაფერი ეს სულაც არ იყო ნორმალური, აღარაფერი იყო ნორმალური. ვერაფერს შეხედავდი ადრინდელი თვალით და გრძნობით. ტანია ბევრს კითხულობდა, ეწეოდა ყველაფერს, რასაც კი შოულობდა, და იწვა საწოლზე უსაქმურად, რაც მისთვის უჩვეულო და მავნე იყო. ივდითი იმითი კმაყოფილდებოდა, რომ მეცნიერებების დასაუფლებლად მეცადინეობდა, თუმცა საბოლოო შედეგი ახლა უფრო დაშორდა მას, ვიდრე ოდესმე. მეც ვმეცადინეობდი. ყველაფერი, რაც ხდებოდა დროებით, არამტკიცე ხასიათს ატარებდა. გაზაფხული ამაღელვებელი ამბებით იყო აღსავსე. სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ არ ცხრებოდა თავდასხმები ჰოლანდიელ ნაცისტებზე, მათ „W. A-ს რაზმზე" და სამშობლოს სხვადასხვა ჯურის გამყიდველებზე. გერმანელ ჯარისკაცებს წყალში ყრიდნენ, ღამის წყვდიადში ხოცავდნენ პარკებსა და ქალაქგარეთ გზებზე; გერმანელების მანქანებს სალტეებს უხვრეტდნენ, ჭრიდნენ ტელეფონის ხაზებს. ამისათვის ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე კვარტალს აჯარიმებდნენ. ნამდვილი გერმანული გვარის მქონე ჰოლანდიელი ოფიცერი, რომელსაც ჰოლანდიის ესესელთა ლეგიონის გენერლის ჩინი ჰქონდა მინიჭებული, თავისი სახლის წინ მოჰკლა წინააღმდეგობის მოძრაობის გმირმა. ამსტერდამში, შრომის ბირჟაზე ხანძარი მოხდა. საპასუხოდ ნაცისტები ახალგაზრდა მუშებსა და სტუდენტებს იპერდნენ, გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენები. ერთმანეთს აცილებდნენ შერეულ ქორწინებაში მყოფ ცოლ-ქმარს, ებრაელებს უმოწყალოდ აგზავნიდნენ პოლონეთში, საპატიმროებში და საწამებლად. ჩვენ კი ვისხედით სახლში მშვიდად და უწყინრად. ჩვენი ფანჯრების წინ პატარა სკვერი მწვანედ ხასხასებდა და მშვიდად ბრწყინავდა არხის წყალი. თითქოს ვცხოვრობდით კუნძულზე, რომლის ირგვლივ ქარიშხალი მძვინვარებდა. ამ ქარიშხლის მონაბერი და მისი გამოძახილი ჩვენი სახლის კედლებში მაინც შემოაღწევდა ხოლმე; ერთმანეთს ვუმალავდით, როგორ ვშიშობდით ერთმანეთზე...

მოქმედების წყურვილი მკლავდა. ამსტერდამში გულის ტკივი-

---

1 ლაურენს იანს ზოონ კოსტერი (XV საუკუნე) — ჰოლანდიელი სწავლულის ადრიანუს იუნიუსის (1511—1575) დამოწმებით, წიგნის ბეჭდვის გამომგონებელი.

ლით გადავეცი სხვებს ჩემი მისამართები. ჰარლემში მამაჩემის დახმარებით დავუკავშირდი ხალხს, რომლებიც იატაკქვეშ მომუშავეებს ფულითა და სასურსათო ტალონებით ამარაგებდნენ. ისევ ვამზადებდი სამხედრო ტყვეებისათვის გადასაცემებს, თუმცა ისინი მოცულობით თანდათან მცირდებოდა, ულუფის შემცირებასთან ერთად. მაგრამ ეს არ იყო ის საქმე, რაც მიზიდავდა, ვემზადებოდი სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. რაღაც პედანტური წესიერებით ვმეცადინეობდი, ძველი ჩვეულების მიხედვით, დედისა და მამის წინაშე ვალდებულების გრძნობით, რათა მათი ადრინდელი მოლოდინი გამემართლებინა. თუმცა გუნებაში წარსულს მკვდრად და დამარხულად ვთვლიდი. ფაქტიურად ყველა უნივერსიტეტი დახურული იყო. გერმანელთა მოთხოვნამ, რომ სტუდენტებს აუცილებლად მოეწერათ ხელი მათთან ლოიალობაზე, სასწავლებლების კარები გამოკეტა. მიუხედავად ამისა, პროფესორები მაინც ჩუმ-ჩუმად იბარებდნენ გამოცდებს — პატარა ობობების მსგავსად, რომლებიც ქარიშხლის დროს ამაოდ ცოდვილობენ გადაარჩინონ მათ მიერ ოდესღაც გაბმული აბლაბუდა. მარტის პირველ რიცხვებში ამსტერდამს გავემგზავრე, ჩემს კეთილ, ბუზღუნა პროფესორს უნდა შევხვედროდი. ღია ბარათი მივწერე, რომ მთელი ჩემი „ბაგაჟით“ ცენტრალურ ვაგზალში დაველოდებოდი. მან პირველი კლასის მოსაცდელ დარბაზში გამომცადა. ნელთბილი თხიერი სუროგატის, ფხვნილის რძიან, მჟავე ყავას ვსვამდით, რომელსაც ხის კოვზით ვურევდით. შორიახლოს გერმანელი ოფიცრები ისხდნენ; დროდადრო გადმოგვხედავდნენ ხოლმე და ნამდვილად ვერაფერი გაეგოთ ამ უცნაური წყვილის საკვირველი ლაპარაკისა: ჭაღარა, უწესრიგოდ დავარცხნილ თმიანი მამაკაცი მალ-მალე იკეთებდა და იხსნიდა სათვალეს, განუწყვეტლივ იხედებოდა უბის წიგნაკში, რაღაცას ინიშნავდა; წაბლისფერი თმების მჭრქალად მოელვარე ალში გახვეული შუბლშეკრული გოგონა დაბალი ხმით დიდხანს უხსნიდა რაღაცას. მე მართლა მთლიანად გადმოვულაგე პროფესორს ჩემი „ბაგაჟი“. გამოცდა ჩავაბარე.

ვიდრე პროფესორი აუდანი პორტფელში ალაგებდა თავის ქაღალდებს, სკამის საზურგეზე გადაწოლილი ვიჯექი. დავიღალე და ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები მოზღვავდნენ ჩემში, ტირილი მომინდა. გამახსენდა უნივერსიტეტში შესვლის პირველი წელი, ის სიამაყე და აღფრთოვანება, რომლითაც მეცადინეობას შევუდექი, მომაგონდა დიდი აუდიტორიების მომხიბლაობა, ჩვენი სერიოზული დისპუტები, მაშინდელი ამხანაგები — ადა, ლუიზა, და ბევრი სხვა, რომლებიც უკვე დავიწყებული მყავდა... სტუდენტობის

პირველი დღიდანვე ვოცნებობდი ამ უდიდეს წუთზე — მაგისტრის ხარისხის მისაღებად გადადგმულ პირველ ნაბიჯზე. ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მტრების გარემოცვაში, იმ დროს, როცა მთელ ჰოლანდიაში უამრავ ხალხს იჭერენ და სჯიან... ტანია და ივდითი დიდი ხანია იძულებული გახდნენ სწავლაზე ხელი აეღოთ. მე კი გაჭირვებით დღეს ძლივს მოვახერხვე იგი; ეს მხოლოდ იმიტომ შევძელი, რომ როგორც „არიელი" პრივილეგირებული მდგომარეობით ვსარგებლობ... საშინელი სიმწარე და ზიზღი ვიგრძენი. პროფესორმა შემომხედა და მკითხა:

— ქალბატონო ს., როდისღა ჩამაბარებთ სადოქტორო გამოცდას?

ვცდილობდი არ შემეხედა მისთვის, არ შეგენიშნა, რა გაჭირვებით ინარჩუნებდა მხიარულ სახეს და ვუთხარი:

— აღარ ვისწავლი.

მან ყავისნარჩენიანი ფინჯანი გასწია და მკითხა:

— ვიმედოვნებ, სიმამაცე არ დაგიკარგავთ?

თავი გავიქნიე. იშვიათად თუ შემშინებია ასე გულახდილობის, მაგრამ მაინც ვთქვი:

— სხვა საქმე მაქვს...

გაოცებულმა შემომხედა, სათვალე მოიხსნა, მერე ისევ გაიკეთა თავის წვრილ, გრძელ ცხვირზე და ლაპარაკი დაიწყო ნელა, თანაბარი ტონით, როგორითაც, ალბათ, თავს იმხნევებდა ხოლმე:

— მერე ეს ამბავი... ჭკვიანურია?

მხრები ავიჩეჩე და ხმადაბლა ვუთხარი:

— არ ვიცი, პროფესორო, რა არის ჭკვიანური და რა არა... სტალინგრადის მცხოვრებთათვის არ მიუციათ ასეთი შეკითხვა, როცა ისინი თავიანთი ქალაქის ნანგრევებს იცავდნენ.

მან ნელა გაიქნია თავი, როგორც ჩანდა, ჩემი სიტყვები მისთვის არასასიამოვნო და გასაოცარი იყო.

— სტალინგრადი შორსაა, — ჩუმადვე მიპასუხა მან. — გარდა ამისა, ჩვენ დასავლური აზროვნება გვაქვს, ქალბატონო ს. რუსები ჩვენგან განსხვავებული ხალხია.

ახლა კი მივაპყარი აღშფოთებული მზერა:

— ნუთუ ფიქრობთ, რომ რუსები მოკლებული არიან ადამიანურ გრძნობებს? ისეთ გრძნობებს, რასაც განიცდიან ჩვენი წინააღმდეგობის მებრძოლნი, რასაც განვიცდით ყველა ჩვენთაგანი?

პროფესორს ხმა არ ამოუღია. არასოდეს შევპასუხებივარ მას, ყოველთვის მერიდებოდა მისი ავტორიტეტის, სახელისა და ცოდნის.

— არ ვიცი რას ნიშნავს დასავლური აზროვნება, — ვანვაგრძე:

მე უფრო ხმამაღლა, ვიდრე სურვილი მქონდა, მაგრამ მაშინვე დავუწიე ხმას. — როგორღა განსაზღვრავთ თქვენს ფაშისტურ აზროვნებას? თქვენი აზრით, ისიც სპეციფიურია დასავლეთისათვის?

პროფესორი მოიღუშა, — უნდობლად შემომხედა და თითქოს თავს იცავსო, ნელა წარმოთქვა:

— თქვენ აგრესიული გახდით, საშინლად შევწუხდები, თავი საფრთხეში რომ ჩაიგდოთ: ძალიან მინდა ქალებსა და ქალიშვილებს ასცილდებოდეს ეს ამბავი...

მისმა სიტყვებმა ოდნავ დააცხრო ჩემი სიფიცხე. მაგრამ მაინც მინდოდა შევპასუხებოდი. ფაქტიურად პროფესორმა კითხვაზე პასუხი არ გამცა. ამის ნაცვლად უმწეო, გაცვეთილი ფრაზა წარმოთქვა, რამაც აღმაშფოთა. მერჩივნა შეგვეწყვიტა საუბარი. მაგრამ არ მინდოდა ისე დავცილებოდით ერთმანეთს, რომ არ გაგვერკვია გაუგებრობა და არ გამექარწყლებინა ურთიერთწყენა. ძლივს შევიკავე თავი და ვუთხარი:

— პროფესორო, თქვენ შთამაგონეთ უფლებათა პრინციპების პატივისცემა და სწორედ თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე მათი დაცვა მინდა არა მხოლოდ სიტყვებით, ანდა მხოლოდ ჩემს კაბინეტში... როცა საქმე სამშობლოს ეხება, მნიშვნელობა არა აქვს, ქალი ვარ თუ კაცი. მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ: დაცული იქნება თუ არა უფლება...

რაღაც უცნაურად შემომხედა. გამომეტყველება გაურკვეველი ჰქონდა, თითქოს სულიერი ძალა არ ეყო თავისი აზრებისათვის თავი მოეყარა. ამოიოხრა, თავისი ქაღალდივით გამომშრალი, გაძვალტყავებული, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ხელი ერთი წუთით დამადო ხელზე და ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა: — Fata viam invenient... ბიდს ვერ გაექცევი. — მომეჩვენა, რომ ტრადიციული ლათინური ფორმულის მიღმა დიდი მღელვარება და უმწეო თანაგრძნობა იმალებოდა. ხელი ჩამომართვა. ჩემთან ყოფნამ და საუბარმა, უეჭველად, ძალიან ააღელვა იგი. ისიც კი მომეჩვენა, თითქოს დარცხვენილი იყო. თავისი გახუნებული ფართოფარფლებიანი ქუდი დაიხურა, პორტფელი და ხელჯოხი აიღო. მერე ხელზე ხელი მომკიდა და მითხრა: — ჩემო შვილო...

ეტყობოდა კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა: უნდოდა ერჩია ფრთხილად ვყოფილიყავი, თუ პატივისცემა გამოეხატა, იქნებ „ნახვამდისო“ უნდა ეთქვა, ან რაღაც ესურვა ჩემთვის. მაგრამ უცებ შეტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა. მისი დიდი ფიგურა მედიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ მე, რომელიც ოთხი წელი ვიცნობდი მას, შევამჩნიე ცუდად დაფარული უძლურება.

ენით აუწერელი სიამოვნება ვიგრძენი, როცა დედამ გამოცდის კარგად ჩაბარების აღსანიშნავად საზეიმო სადილი გამართა. ამით მას სურდა ეჩვენებინა თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მამამ კურდღლის ყიდვა მოახერხა — ვიღაცას აკრძალულ ზონაში, სილახვავებში ხაფანგით დაეჭირა. ერთი ბოთლი ნამდვილი ღვინოც გვქონდა. ორიოდე საათი ვიმშვიდებდით თავს შინაური სიმყუდროვით. თითქოს არაფერი ვიცოდით ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირეზე. ტანიაც კი ადრინდელივით თავისუფლად და მკვირცხლად იქცეოდა. მან ბევრი იცინა და ლოყებიც კი შეეფაკლა — იქნებ ღვინოს გამო.

მაგრამ ტანიას მხიარულება ხანმოკლე იყო. საღამოობით, როცა ხუთივე ფანჯრებზე ფარდაჩამოშვებულ სასტუმრო ოთახში ვისხედით, იგი წიგნს აიღებდა და კუთხეში მიჯდებოდა. ვამჩნევდი, რომ იშვიათად კითხულობდა. ხან ფრჩხილებს ისუფთავებდა, ხან შუბლშეკრული ფიქრობდა რაღაცაზე, გამხდარი სახე ყოველთვის დახრილი ჰქონდა — ჩვენს მზერას გაურბოდა. შეწუხებული კადეევნებდი თვალს. მამა და ივდითი ჭადრაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: ისეთი სერიოზული პარტიები ჰქონდათ, რომ რამდენიმე საღამო გრძელდებოდა. მოწინააღმდეგეები დიდ შეუპოვრობას, გონებამახვილობასა და მოხერხებულობას იჩენდნენ. არასდროს არ მყოფნიდა მოთმინება ჭადრაკისათვის!

გაზაფხული ადრე დაიწყო. კარგი ამინდი იდგა. ჩვენი სახლის წინ ბალახში ნაირფერი კროკუსები გაიშალა. — თეთრი, ყვითელი და იისფერი; წაბლებს კვირტები დაებერათ და დაუსკდათ. მზე ისე შორეული, გულგრილი და სუფთა ჩანდა, თითქოს გადაეწყვიტა ყურადღება არ მიექცია მოკვდავთა საზიზღარი საქციელისათვის. ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ტანია, ივდითი და მე ჩვეულებისამებრ სასეირნოდ გამოვედით, ჩაფიქრებულმა ტანიამ თქვა:

— იცით, რა კარგი იყო წინათ აქ გაზაფხულობით? ახლა კი აღარ არის გაზაფხულის ის სიტკბო და არომატი. თითქოს ჰაერში საწამლავია გაბნეული... ოდესღაც, ამ დროს ვიწყებდი ხოლმე ცხენით სეირნობას. — და ტანიამ შორს, სილახვავების ზოლისაკენ მიგვითითა.—იქ, ბლუმენდალს იქით ვაწყობდით ნამდვილ Steeple-chases-ს—დღეს დაბრკოლებების გადალახვით...

იგი თანდათან გაერთო ლაპარაკში და მოგვიყვა დღის ამბები. ვუსმენდი მას და თვალწინ წარმომიდგა უდარდელი ცხენოსნები და ამორძალები, პიკნიკები სილახვავებში და მდიდართა სხვა გასართობები. ვგრძნობდი, რომ ტანია ახლა სულაც არ ფიქრობდა ცხენებზე,

ზზიან ამინდსა და სილახვავებზე. დაკარგულ პრივილეგიებზე კი არ წუხდა, წართმეული თავისუფლება ენანებოდა. ბრუმენდალზე, სილახვავებზე ლაპარაკობდა და ამსტერდამზე, მეგობართან განშორებაზე ფიქრობდა... ავფორიაქდი. ვერ ვბედავდი მასთან ლაპარაკის პირდაპირ წამოწყებას — ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავდა. ჩემი დედ-მამისთვისაც არაფერი მითქვამს ამის შესახებ. ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა მისთვის, მაგრამ მან დამასწრო.

ერთ საღამოს, როგორც ყოველთვის, სასურსათო ბარათები და ფულები დამქონდა დასარიგებლად. დედა თავის სკოლის ამხანაგთან წავიდა სტუმრად, რომელთანაც კავშირი არასდროს გაუწყვეტია. როცა შინ დავბრუნდი (ნასადილევს — ყოველთვის ბუტერბროდი მიმქონდა თან და გზადაგზა ვჭამდი), მამა წინა ოთახში გაშოვიდა და მითხრა, ცოტა ხნით მივწექი, ჩამძინებია, ამასობაში ტანია გაპარულაო. ისეთი დამნაშავისა და ვედრების ტონით მელაპარაკებოდა, თითქოს გულგრილობა გამოეჩინოს მისთვის წმიდათაწმიდა მოვალეობისადმი. ძალიან შემეშინდა, მაგრამ მამისთვის არ მისაყვედურია. ისედაც განაწყენებული იდგა დერეფანში, თავი მხრებში ჩაერგო. აღელვებული, კიბის საფეხურებს ვახტებოდი, ისე ავირბინე ზევით. იატაკქვეშელთათვის განკუთვნილ ოთახში ივდითი ჩვეულებისამებრ წიგნებით სავსე მაგიდას მისჯდომოდა. როცა ოთახში შევვარდი, შეშინებულმა შემომხედა. იგი გულმშვიდად იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა. გავცეცხლდი, მხრებში ვტაცე ხელები, სკამიდან წამოვაყენე და ნჯღრევა დავუწყე:

— სად არის ტანია?

რამდენიმე ხანს ხმაამოუღებლივ შემომყურებდა, მერე თავს ძალა დაატანა და მითხრა:

— ამსტერდამში.

ისევ შევანჯღრიე, არ ვიცი ნაწყენი უფრო ვიყავი თუ გააფთრებული.

— ღმერთო დიდებულო! რატომ გაუშვი?

— რა უნდა მექნა, ხანა? — თავს იმართლებდა ივდითი. — ხომ იცი, ტანია რა ჯიუტია. კარგა ხანს ვეჩიჩინებოდი, გონს მოსულიყო. გაგონებაც არ უნდოდა.

— კარები უნდა ჩაგეკეტა და გეყვირა, სანამ მამაჩემი არ მოვიდოდა, ორივენი რაღაცას გახდებოდით.

ივდითს აღარაფერი უთქვამს, თავი დახარა და ატირდა. მხოლოდ მაშინ შევუშვი ხელი, მან მხრების სრესა დაიწყო: მხრები მიტკენია. შემრცხვა. თვითონ ვიყავი ყველაფერში დამნაშავე. ჩემი თავი უნდა

დამესაჯა. განა უსუსურ, მორიდებულ ივდითს შეეძლო სიცოცხლით სავსე ტანიას მედილეგე ყოფილიყო? მისგან ხომ ყოველთვის იყო მოსალოდნელი თავზეხელაღებული საქციელი. ძლივს ჩავიბუტბუტე:

„მაპატიე... შენგან შეუძლებელს მოვითხოვ... მე უნდა მოვქცეულიყავი ცოტა უფრო ჭკვიანად“.

ძირს ჩავედი. მალე დედაც დაბრუნდა. მამამ უამბო ტანიას გაქცევის ამბავი. დედას ისე შეეშინდა, რომ ჩვენც შევშინდით. ავადმყოფ გულზე ხელი მიიდო და საშინლად გაფითრებული მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. მამა გულის წვეთებისათვის წავიდა. ბრაზისაგან გონება მქონდა არეული, დედას მომჯობინებას ვუცდიდი. დედამ ძალა მოიკრიბა და შეტევამ მალე გაუარა.

მაშინვე განვაცხადე:

— ამსტერდამში მივდივარ, ტანიას საძებნელად.

მამაჩემი დერეფანში გამომედევნა. საკიდიდან ლაბადა ჩამოვიღე, სწრაფად ჩავიცვი. მან თავისი დანაოჭებული, შეშფოთებული სახე სახესთან მომიახლოვა და მკითხა:

— იცი, სად უნდა ეძებო?

— დაახლოებით.

— გახსოვდეს, — განაგრძო მან ჩუმი და გულში ჩამწვდომი ხმით, — ჩვენ არ გვინდა, თავი საფრთხეში ჩაიგდო...

არაფერი მითქვამს, შუბლზე ვაკოცე და სახლიდან გავედი. ვერ ვამჩნევდი ვერც ხალხსა და ქუჩებს, ვერც სახლებსა და ახლადამწვანებულ სკვერებს. ტანიასთვის სხვადასხვა სასჯელს ვიგონებდი. მაგრამ მაშინვე გადავწყვიტე, ყველაფერს ვაპატიებდი, ოღონდ მშვიდობით დაბრუნებულიყო.

ტანიას მაშინვე შევხვდი ჰარლემის სადგურის უკან. როგორც კი შევნიშნე, ნაბიჯს ავუჩქარე. მან დამინახა და გამიღიმა. ისე მხიარულად გამიღიმა და ისე ბედნიერად გამოიყურებოდა, თითქოს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო. ჩემი აღშფოთება სადღაც გაქრა და მის ნაცვლად საშინელი უხერხულობა ვიგრძენი. ნაბიჯი შევანელე. მოვიდა ჩემთან, ჩუმად მომკიდა ხელი იდაყვში და მითხრა:

— ხანა!

— ტანია! — ჩავილაპარაკე ჩავარდნილი ხმით. ზურგი შევაქციე და ვკითხე: — თუ ღმერთი გწამს, მითხარი, როგორ გადაწყვიტე ასეთი ოინის ჩადენა?

იგი ისევ მხიარულად და მოფერებით მპასუხობდა:

— ვიცი, რომ ბოდიში უნდა მოვიხადო... შევცოდე. დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე. — მან მხიარულად გაიცინა. — ასე იმიტომ კი

არ მოვიქეცი, რომ თქვენთვის უსიამოვნება მომეყენებინა ან ჩამეშხამებინა ეს დღე. მხოლოდ სუფთა ჰაერზე გამოვედი...

— და მეგობრის სანახავად, — დავძინე მე მწარედ. მისი მხიარულება თანდათან მაღიზიანებდა, ჩემი უხერხულობა სადღაც გაქრა.

ტანიამ თავი დამიქნია. ციხის მიწაყრილზე ახლადამოხეთქილ ხასხასა ბალახს შეხედა, საიდანაც ბინდბუნდში მიმალული სიცოცხლის სუნთქვა მოჰქროდა, რომლის ჩაკვლა შეუძლებელი იყო. სარკესავით კრიალა ლურჯ ცას ახედა, სადაც ღრუბლის თეთრი ქულები მიცურავდა. და უცებ მთელი გარემო ტანიას თვალებით დავინახე— ენახე საღამო, ბუნება, ვიყნოსე მიწის სუნი. აღარსად იყო სიბრაზე, სიმწარე და არც უხერხულობა. მათ ნაცვლად რაღაც უცნაური სევდა დამეუფლა. ტანიამ ხელი მომიჭირა, ალბათ მიხვდა, რა ხდებოდა ჩემში. ადრინდელივით მკაფიო, მაგრამ სერიოზული ხმით მომმართა:

— ხანა... — მერე ხმა დაიდაბლა და განაგრძო: — საკმაოდ დავტკბი თავისუფლებით. ახლა ისევ დავჯდები ჩვენს სენაკში.

სახლში ხელმკლავით, უსიტყვო ერთსულოვნებით დავბრუნდით. დედა, მამა და ივდითი მაგიდას უსხდნენ. შევამჩნიე, დედას ტანიასათვის სასტიკი, დაუმსახურებელი საყვედურის თქმა უნდოდა. ამის უფლება მას უდავოდ ჰქონდა. დედას ვანიშნე გაჩუმებულიყო. ასეც მოიქცა, მაგრამ საყვედურითა და გაკვირვებით შემომყურებდა დანარჩენებივით. მეც გაოცებული ვიყავი, მათ ჩემი მოქმედება ალბათ იმით ახსნეს, რომ რაკი ტანია მშვიდობით დაბრუნდა, ყველაფერი ვაპატიე. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი იყო. ვდუმდი და სხვასაც ვაჩუმებდი ტანიას ხანმოკლე ბედნიერებისათვის, რისთვისაც მან თავი გაწირა, მისი ხიფათიანი სიცოცხლისათვის, რომელთანაც კავშირის გასაწყვეტად ძალა არ შესწევდა.

წარსულის იარები

გაზაფხულის ამ დღეებში პირველად ვესაუბრებოდი ტანიას დაწვრილებით იმ ამბებზე, რომლებზეც ჩავფიქრდი, როცა ზოგი მისი ბროშურა წავიკითხე, პირველად ვყოყმანობდი, როგორც ყოველთვის, აქაც მორცხვობა მიშლიდა ხელს, თითქოს ვამეღავნებდი საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ მე მეხებოდა. ტანია მისმენდა და

ემჩნეოდა, ჩემი სიტყვები ართობდა, თუმცა მას ჩემი დაცინვა გუნებაშიც არ გაუვლია. ტანია თვითკმაყოფილებას განიცდიდა იმის გამო, რომ იურისტი ხანა ს., რომელმაც უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობის დროსაც კი არ იცოდა ყოყმანი, რომელიც ყოველთვის ავლენდა წინაპართაგან ნაანდერძევ და წიგნებიდან საფუძვლიანად ათვისებულ დიდ სიბრძნეს, ახლა ცდილობდა ახალი შეფასება მიეცა ხალხისა და საზოგადოებისათვის. დიდი ხანია ვიცოდი, რომ ქალიშვილები ხშირად გადავაფასებთ ხოლმე საკუთარ შესაძლებლობებს — ჩვენი ჩამომავლობისა და განათლების შედეგებს. ძალიან კარგად მესმოდა, რომ ჩემი შეხედულებები უნდა გადამესინჯა. მაგრამ ყოველთვის არ ვიყავი კმაყოფილი, როცა ტანია რამეს მიხსნიდა, თუმცა ვხედავდი, გარკვეულ საკითხებზე ტანია ჩემზე კარგად მსჯელობდა. ყველაზე უფრო გასაოცარი პარადოქსი ის იყო, რომ საკუთარი შეხედულებების ახლანდელი ცვლილებით დავალებული ვიყავი მაღალი წრიდან გამოსული ბანკირის ქალიშვილისაგან, რომელთანაც ერთ ოთახში რამდენიმე წელი ვიცხოვრე. ხშირად მეგონა, რომ ნამდვილი ტანიას შეცნობა მხოლოდ ახლა დავიწყე.

მაგონდება, მე და ტანია როგორ ვდაობდით ერთხელ პიროვნების თავისუფლებაზე. სიმკვეთრემ, რომლითაც იგი თავის აზრებს გამოთქვამდა, გამახსენა ჩვენი სტუდენტური საზოგადოების დისპუტებზე მისი გოროზი გამოსვლები.

— რად გინდა პიროვნების თავისუფლება? — მკითხა მან ერთხელ. — ჩ ვ ე ნ ს სამყაროში თავისუფალი რომ იყო, დრო და ფული დაგჭირდება... უფრო სწორად, რაღაც, რომელიც ადამიანების უმრავლესობას არ გააჩნია. იქნებ თავისუფლებაში გულისხმობ იმ თავისუფლებას, რომელსაც ყოველთვის გვიცხადებენ? სიტყვიერ თავისუფლებას. ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეიძლება სიტყვა საქმედ აქციო... ჩვენს სამყაროში ყველასათვის გზახსნილია, ვინც ეშმაკობისა და ძალის გამოყენებით, ყოველგვარი უპატიოსნო გზით მიიწევს ზევით, რომ კარგად აყვავდეს — ისევე როგორც ყველა „ძლიერი პიროვნება". ამათგან ყველაზე დიდებული ეგზემპლარები არიან გერმანელების დიდი ფიურერი და მისი სატრაპები!.. და, თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენთან არ შეიძლება იყოს და არც იქნება კომუნისტებისთვის არავითარი პიროვნების თავისუფლება!

როგორც ჩანდა, ტანია ისევ დადგა იმ ხასიათზე, რომელიც წინათ შემიმჩნევია მისთვის, როცა იგი ჩვენს, ქალიშვილურ დავას გაურბოდა, ან იქნებ, უპირატესობის ნიღბით უნდოდა დაეფარა თავისი გესლიანობა? ახლა უკეთ ვერკვეოდი მის განწყობილებებში.

საკმაოდ მორიდებულად შეეპასუხე, რომ კომუნისტურ სახელმწიფოში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, დიქტატურა კი ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ ხალხის ნაწილი თავისუფლებით ვერ სარგებლობს.

ტანიამ აგდებულად, ცოტა არ იყოს, თეატრალურად გაიცინა:

— კერძოდ, ვის თანაუგრძნობ, ძვირფასო ხანა? იარაღების ფაბრიკანტებს, გენერლებს, მონარქისტებს, თაღლითებს, მოღალატეებს, ცნობილ ქურდებს... თვით ფაშისტებსაც კი? დიახ, მათ კომუნიზმი ავიწროებს... და ძალიან მაგრადაც ავიწროებს... მგონი, გონება გეყოფა იმისათვის, რათა შეიგნო, რომ დიქტატურაც არის და დიქტატურაც. დიქტატურა, რომელიც ხალხის მტრებს ლაგმავს, არის დიქტატურა ხალხისათვის, ადამიანების დიდი უმრავლესობისათვის. ეს სწორედ ის დიქტატურაა, რომლისაც, როგორც ჩანს, შენ გეშინია. იმისთვის ხომ არა, რომ იგი სპობს ქოხმახებს, ავადმყოფობებს და სიღარიბეს, ანდა უცოდინარობას? რომ მეშვეობა და გლეხებს ასწავლის ტოლსტოის, შექსპირის და ჰაინეს კითხვას? ვინც დაჩაგრული ხალხის მონობას ბოლოს უღებს? რომ მან სასჯელი დააწესა რასობრივი დისკრიმინაციისათვის, როგორც დანაშაულისათვის? რომელსაც ქალები ჰარამხანებიდან და სამზარეულოებიდან გამოჰყავს და მათ ინჟინრებად, ექიმებად და მინისტრებად აქცევს, თუ... ოჰ!..

უცებ სერიოზული სახე მიიღო, ჩაფიქრდა და მოიღუშა. ამ წუთას სულიერად ისე ახლოს იყო იგი ჩემთან, ასე მეგონა, ვიცოდი კიდეც, რასაც ფიქრობდა: ეს ბედნიერი სინამდვილე არსებობს, მაგრამ ძალიან შორსაა ჩვენგან, რამდენიმე დღის სავალზე, ჩვენს ქალაქს, ჰოლანდიასა და იმ სამყაროს იქით, სადაც სვასტიკიანი დროშები ფრიალებენ, სადაც მმართველობენ ფსიქოპათები და ადამიანები ემბლემით „მკვდარი თავი“... ქვევით, პატარა დივანზე ვიყავით მოკალათებული, ნახევრად მიწოლილი ვიყავი ტანიას გვერდით და ანგარიშმიუცემლად მხარზე დავადევი ხელი. მან აღელვებული სახით შემომხედა, მე შევეკითხე:

— ნუთუ, შენთვის ძალიან ადვილი იყო იმის გაგება და ათვისება, რაც მომიყევი?

ტანიამ თავი დახარა და წამოწითლდა.

— არა, — მიპასუხა მან. — მართალი ხარ. ძალიან ვბრაზდები, როცა ადამიანები გვიან გებულობენ იმას, რაც მე ადვილად მეჩვენება... მეც არ გამადვილებია ამის გაგება.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ტანიამ ისევ დაიწყო ლაპარაკი, უფრო მშვიდი და ბუნებრივი ტონით:

— პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ. სულ რამდენიმე კომუნისტს ვიცნობ. მხოლოდ, ისეთი ადამიანი ვარ, რომელიც კომუნიზმის ლოგიკით განიმსჭვალა და რომელსაც კომუნიზმი ესმის, მაგრამ ხშირად ვერ უგებს მუშებს... ამაზე კიდევ ბევრი ფიქრია საჭირო, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო,—ერთმა გერმანელმა ემიგრანტმა შემაცვლევინა აზრები... იგი ომის დაწყების წინ შვეიცარიაში წავიდა. ისიც ებრაელია. დიდი ხნით ადრე წინასწარმეტყველებდა კატასტროფას.

მან უფრო მკვეთრად მოსჭრა სათქმელი. ახლაღა მოეფინა ჩემთვის ნათელი ტანიას ადრინდელი ცხოვრების ზოგიერთ ამბებს. იგი სტუდენტურ საზოგადოებაში შემოდიოდა, სადაც სერიოზული გოგონები ვიყავით გაერთიანებული. როცა ჩვენ დისპუტებზე კომუნიზმს ესხმოდნენ თავს, ტანია არასოდეს გამოსულა მის დასაცავად, რაც, ჩემი აზრით, კომუნისტს უნდა გაეკეთებინა. იგი ჩვეულებრივ, მხოლოდ ბრაზობდა სხვათა გაურკვევლობაზე და ყოველნაირად აგრძნობინებდა, რომ მათ უმეცრებად თვლის. იგი მებრძოლი ინდივიდუალისტი იყო. მე ვუთხარი ეს ცოტა ყოყმანის შემდეგ. ტანიამ თავი დამიქნია და ნელა ჩაილაპარაკა:

— კი. სწორედ ასეა, მეც ასე ვფიქრობ. ნუ გაგიკვირდება: მე ჯერ საკმაოდ კარგად არ ვიცი, სადაა ჩემი ადგილი. ჩემი მეგობარიც — ამსტერდამში რომ მხატვარია (სწრაფად განმიმარტა ტანიამ) — არაა კომუნისტი. მაგრამ ხანდახან კომუნისტებთან ერთად მოქმედებს და აინტერესებს კომუნიზმი, როგორც მე... ჩვენ გვესმის კომუნიზმი და ვემხრობით მას, მაგრამ ცალი ფეხი ძველ, დასაღუპად გამზადებულ სამყაროში გვიდგას...

მის ხმაში უცებ სიმწარე და სევდა გაისმა.

— შეიძლება, ჩვენთვის არსად არ აღმოჩნდეს ადგილი — არც აქ, არც იქ. ჩვენ არა გვაქვს ჯანსაღი, მთლიანი ორგანიზმი... გაორებულნი ვართ... სხვათა შორის, მგონი, ლენინი სადღაც ამბობს, რომ კომუნისტებად არ იბადებიან, ხალხი კომუნიზმისაკენ მიდის და თან მიაქვს წარსულის სულიერი იარები და ზადი. იქნებ, მართლა მას არ უთქვამს ეს...

— ტანია! — წამოვიყვირე მე. არ ვიცი, ამაღელვა თუ გამაოცა ტანიას ბოლო ფრაზამ. მან თავი გაიქნია. მერე მაგრძნობინა, მეტი ლაპარაკი არ შემიძლია, მარტო დარჩენა მინდაო. მარტო დავტოვე.

მე და ტანია თანდათან იშვიათად ვსაუბრობდით. ვგრძნობდი, რომ მისი თეორიები აღარ მაინტერესებდა. ბოლოს და ბოლოს მუშების გაცნობა მინდოდა. თანდათან მეტი დაწაფებით ვკითხულობდი არალეგალური გაზეთის „დე ვაარხეიდის“ ყველა ნომერს. მოთმინება არ მყოფნიდა გამეგო, წინააღმდეგობაში რა მონაწილეობას ღებულობდნენ კომუნისტები და რა ხალხი იყვნენ ისინი. მამა ჰარლემის მრავალ მცხოვრებს იცნობდა, მათ შორის, ალბათ, კომუნისტებიც იყვნენ. მაგრამ დედ-მამის შეწუხება და მათთვის ჩემი ახალი აზრების გამჟღავნება არ მინდოდა. თვითონ უნდა ვეძებო და ვიპოვო, რაც მინდა, ლენინისა და სტალინის ბროშურებისაგან დამოუკიდებლად. ტანიასი და ჩემი დავის გარეშე, რომლებშიც ხანდახან ოვდითიც ღებულობდა მონაწილეობას. თვით უნდა ჩავწვდე საქმის არსს: ასეთი ხასიათი მაქვს.

ვცდილობდი რამე გამეგო ვინმესგან. ჩემამდე აღწევდა ბუნდოვანი ხმები, თითქოს ჩემი ყოფილი მასწავლებლის ქმარი დაკავშირებული იყო წინააღმდეგობის მოძრაობასთან. იგი ექიმი გახლდათ და ომის დაწყების წინ შეირთო ცოლი. სწორედ იმ გაზაფხულზე ოკუპანტები ცდილობდნენ ექიმები შეეყვანათ ფაშისტურ კორპორაციაში. მაგრამ არ გამოუვიდათ, ექიმებმა ციკი უარი განაცხადეს. მათი უარის გახმაურების შემდეგ, ჩემი მასწავლებლის ქმარი სადღაც გაქრა. იმ ექიმების მსგავსად, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობას მიემხრნენ, მისი საექიმო იარაღებიც დალუქული იყო. ფული, რომელსაც ბანკში ინახავდა, გატაცებული აღმოჩნდა. როცა ეს ამბავი მოვისმინე, თითქოს რაღაც ნაპერწკალი ამიკიაფდა, — გამოჩნდა რაღაც იმედი, რაღაც შესაძლებლობა.

როდესაც მოვიკითხე ჩემი ყოფილი მასწავლებელი, გამოირკვა, რომ იგი ბლუმენდალში გადასულიყო და ცხოვრობდა ეკლესიის უკან, ხეივანში. აპრილში, ერთ დილას მოულოდნელად მოვინახულე ჩემი მასწავლებელი. ჩემი ნახვა გაეხარდა და გაუკვირდა კიდეც. მე კი დაბნეული ვიჯექი მის წინ და არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა მისთვის ჩემი მისწრაფება, რომ სერიოზული საქმისთვის მინდოდა ხელის მოკიდება. მიხაროდა, რომ მასწავლებელი ათასნაირ შეკითხვებს მაძლევდა, რომლებზედაც თავისუფლად ვპასუხობდი, თორემ ჩვენი საუბარი მალე შეწყდებოდა. მომწონდა მისი თავისუფალი და მშვიდი საუბარი, იგი იგონებდა ექსკურსიებს, გამოცდებს, სასკოლო ღღესასწაულებს, ისე, რომ სრულიად არ უხსენებია თავისი თავი და ქმარი. მოვუყევი, რომ ამსტერდამის ცენტრალური სადგურის მო-

საცდელ დარბაზში „არალეგალურად“ ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდა და ამით დავამთავრე საუბარი.

სიჩუმე ჩამოვარდა, მასწავლებელი დაკვირვებით მიყურებდა, თითქოს რაღაც ეჭვი დაებადაო. მაღალი მრგვალი შუბლი და სადად გადავარცხნილი თმები ჰქონდა. თვალები დავხარე. გარეთ, ფანჯარასთან ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, საიდანღაც, შორიდან ისმოდა ახალგაზრდების ხმაური; პირველად მომეჩვენა, თითქოს იქ ვიღაც ილანძღებოდა.

მასწავლებელი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და მანიშნა მეც მივსულიყავი. ფარდიდან ვუყურებდით ბაღებში ჩაფლულ, წყნარ, ნახევრად სოფლურ კოხტა სახლებს.

— ესღა გვაკლდა, — წარმოთქვა მასწავლებელმა.

მივხედი, რაც ჰქონდა მხედველობაში. გავერანებულ ბაღში, სადაც მხოლოდ ერთ ძირ დაკორძებულ იფანს ცისკენ აეპყრო გამხმარი ტოტები, მოიერიშეთა ჯგუფის ძუძუმწოვარა ფაშისტები ვარჯიშობდნენ. ღია-ცისფერ ხალათიანი, მხარზე აშურმა გადაკიდებული, ჩექმებიანი აწოწილი რეგვენი მჭექარე ხმით უყვიროდა ბრძანებებს მწყობრში მდგომ, შიშისაგან თვალებდაჭყეტილ და გატრუნულ, მაგრამ უხეში დისციპლინით აღფრთოვანებულ ბიჭუნებს. დროდადრო რომელიმე მათგანი საყვირით რაღაც გაუგებარ ბგერებს გამოსცემდა. მერე პატარა კაცუნები იწყებდნენ მოძრაობას უცნაური სიჩქარით და არაბუნებრივად, თან ქუსლები ერთმანეთზე ედებოდათ. ყოველ შეფერხებაზე აყლაყუდა სასტიკად იმუქრებოდა, ჩახლეჩილი ხმით იძლეოდა ბრძანებებს და ამეორებინებდა ვარჯიშს.

— ფაშისტთა ნამდვილი სამხედრო წვრთნა! — ნელა ჩაილაპარაკა ჩემმა მასწავლებელმა. — ერთი შეხედე, როგორ ცდილობენ ყოველ ღლაპში ბარბაროსი გააღვიძონ... როგორ ბღალავენ მათს სულებს!

იგი თითქოს თავისთვის უსვამდა ხაზს ამ ფაქტს... მერე ფანჯარას მოსცილდა, მეც ჩემს ადგილს დავუბრუნდი. შევხედე მას და ყოყმანს თავი დავანებე.

— არ შეგიძლიათ თქვენ ქმართან დამაკავშიროთ? — მტკიცედ ვუთხარი მას.

მასწავლებელმა ისევ შემომხედა დაკვირვებით, თუმცა არც ისე გაკვირვებულმა, როგორც მოველოდი.

— ესე იგი, ამისთვის მოხვედი? — მკითხა მან ცოტა ხნის დაძაბული დუმილის შემდეგ. იმედმოცემულმა თავი დავუქნიე:

— დიახ. სწავლას თავი დავანებე. ახლა სხვა საქმე მაქვს. მაგრამ ძალიან უმნიშვნელო. ეს არაა საკმარისი... ვიდრე ასეთი ამბე-

ბი ხდება ჩვენ ქვეყანაში... (ვანიშნე ბაღისაკენ, საიდანაც ისევ მოისმოდა საზიზღარი ღრიალი).

— წარმოდგენა თუ გაქვს, რას აკეთებს ჩემი ქმარი? — მკითხა მასწავლებელმა.

— არა-მეთქი. — ვუპასუხე მე. — მაგრამ იმედი მაქვს, მისი დახმარებით დავუკავშირდები მათ, ვისაც ვეძებ.

მას გაეღიმა.

— ქალიშვილისათვის არაა შესაფერი ეს საქმე, ხანა.

ხმა არ ამომიღია. იგი ადგა, მოვიდა ჩემთან და მხრებზე ხელი დამადო.

— გენდობი... ამ დღეებში შევხვდები ჩემს ქმარს და მოველაპარაკები. უიმისოდ ვერაფერს დაგპირდები. ვხედავ, მტკიცედ გადაგიწყვეტია. მიყვარს მამაცი ახალგაზრდები...

— ქალიშვილებიც?

— მით უმეტეს.

დებივით ვუღიმოდით ერთმანეთს, რაკი ურთიერთნდობა ვიგრძენით. უცებ გავხდით ახლობლები, თითქოს არც ასაკს, არც სხვა დაბრკოლებას, რომელიც ჩვენ შორის იყო, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ათი დღის შემდეგ მასწავლებლის ქმარს შევხვდი. მასწავლებელმა ერთ საღამოს მასთან მიმიყვანა. ერთმანეთს შეეხვედით ციხის ერთ-ერთ მიწაყრილთან, ძველ სახლში. ვიდრე სახლამდე მიხვიდოდი, ეზო იყო გასავლელი, რომლის შუაგულში ცაცხვი იდგა. მისი გაბარდნილი ტოტები ძველ, დანგრეულ, ქვის ჭას დაჰყურებდა. სახლს, რომელსაც უამრავი დერეფანი, კიბე და პატარა ოთახი ჰქონდა, ალბათ სხვა გასასვლელიც ექნებოდა. ჰაერში ეთერის, სადეზინფექციო და სხვა წამლების სუნი იდგა. განმარტების გარეშე აშკარა იყო, ექიმი აქ განაგრძობდა საექიმო მოღვაწეობას. მასწავლებელმა ერთ პატარა ოთახში დამაცდევინა, რომლის კედლებზე გაცვეთილი, მიხაკისფერი ტყავი იყო გაკრული. საოცარი სიწყნარე სუფევდა. ვგრძნობდი, თანდათან როგორ ვეხვეოდი საიდუმლო ცხოვრების, ჩემთვის უცნობი ფაქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხლართებში. და ეს ჩემს მშობლიურ ქალაქში ხდებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელმა თავისი ქმარი მოიყვანა. მან იგი წარმომიდგინა, არა როგორც თავისი ქმარი, არამედ სახელით — ექიმი მარტინი. მას ექიმის ჩვეულებრივი ტანისამოსი ეცვა. მის თეთრ ხალათს ფორმალინის სუნი უდიოდა. სადად დავარცხნილი თმა და დიდი პირი ჰქონდა, მოცისფრო-მომწვანო თვალები დამცინავად უციმციმებდა. ექიმს ხელში ჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა.

ფეხზე ყვითელი ჩუსტები ეცვა. გამომცდელი თვალებით შემათვალიერა და მკითხა:

— თქვენ ჩემთან მოთათბირება გინდოდათ?

მკვირცხლი თვალები უბრწყინავდა. თავი დავუქნიე, ყოველთვის მიჭირდა ადამიანების გაცნობა. ამ ნაცნობობაზე კი ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ჩემი მასწავლებელი გამომემშვიდობა და წასასვლელად მოემზადა. მან მკითხა, თუ მივიდოდი მის სანახავად ერთხელ კიდევ. დავპირდი მისვლას, თუმცა ვერ მივხვდი, რაზე მელაპარაკებოდა, ისე მქონდა ნერვები დაძაბული ექიმთან საუბრის მოლოდინით. მასწავლებელმა ექიმ მარტინს აკოცა. ქმარმა კარებამდე მიაცილა და ჩემთან მოვიდა. შემდეგ ჩიბუხის დატენას შეუდგა თამბაქოთი, რომელიც პირდაპირ ჯიბეში ეყარა. ეტყობოდა დროს მაძლევდა აზრების მოსაკრებად. ჩიბუხს მოუკიდა და მომიბრუნდა. — მბოლავი ჩიბუხი მამაკაცებს რაღაც სანდომიანობას მატებს, ნდობით განაწყობს ადამიანს მათ მიმართ და ამშვიდებს:

— ალბათ, მომცემთ მოწევის ნებას? — მომმართა მან. — ახლახან გავაკეთე ოპერაცია. ტყვია იყო ფილტვებში. სულაც არაა ეს ამბავი სასიამოვნო, ქალიშვილო, ექიმისთვის, მით უმეტეს პაციენტისთვის.

მივხვდი, რომ შემთხვევით არ წამოუწყია ოპერაციაზე ლაპარაკი. პასუხი არ გამიცია, ვუყურებდი, როგორ ტენიდა ჩიბუხში ანთებულ თუთუნს.

— თქვენ?... რამდენადაც ვიცი, თქვენც გწყურიათ ხიფათს გადაეყაროთ?

მის გამომცდელ მზერას მამაცად შევხვდი.

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ექიმო, ხიფათები იქნება თუ არა, — ვუპასუხე მე. — ვიცი, რომ ხიფათი არსებობს. საქმე ისაა, შევძლებ თუ არა საქმეს რაიმე სარგებლობა მოვუტანო. აქამდე ვერ მოვახერხე შევხვედროდი ადამიანებს, რომლებთანაც მუშაობა მინდოდა.

— თქვენ გგონიათ, მე ვიცნობ ასეთ ხალხს? — მკითხა მან.

— დიახ, თქვენ ნამდვილი პატრიოტის რეპუტაცია გაქვთ.

— ჰმ... — ჩაიბურტყუნა ექიმმა, — მადლობელი ვარ ქათინაურისათვის... მართალი რომ ვთქვათ, არც თქვენ გაქვთ ცუდი რეპუტაცია... რატომ წითლდებით. როგორ ფიქრობთ, მიგიღებდით აქ, თქვენ შესახებ რომ არაფერი მცოდნოდა?

ცოტა დაყოვნების შემდეგ განაგრძო:

— ცხადია, დამტარებლად გინდათ მუშაობა?

— თუ საჭიროა... — ვუპასუხე და თან მინდოდა უხერხულობა დამეფარა. მან გაიცინა.

— ყველაფერი საჭიროა, — თქვა მან. — მაგრამ მე ვხედავ, თქვენი სურვილები სხვა მიმართულებით იხრება... ჩვენ ყველაფერი გვჭირდება, — გაიმეორა მან.

პირდაპირ შევხედე და ვკითხე:

— შეიძლება მითხრათ, ვინ გყავთ მხედველობაში, როცა ამბობთ „ჩვენო?"

ჩემი კითხვისთვის პასუხი არ გაუცია. პასუხის ნაცვლად წავიდა და სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა. ცალი ფეხი სახელურზე გადასდო, ფეხს იქნევდა, ყვითელ ჩუსტებს უყურებდა. საუბარი განაგრძო:

— ხომ ხედავთ, ქალბატონო ს., თქვენი სამუშაოს შესახებ ზოგი რამ ვიცი, არაფერი კი არ ვიცი თქვენი შეხედულებების შესახებ... უფრო სწორად, რა მოტივმა გაგიღვიძათ ჩვენთან, წინააღმდეგობის მოძრაობაში მოსვლის სურვილი? რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმიტომ მოხვედით, რომ საქმე თქვენს სამშობლოს ეხება. ეს უდავო და ბუნებრივი წინაპირობაა წინააღმდეგობის ყველა მებრძოლისათვის. ხომ იცით, ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე სავსე იყო სექტებით და ნაირ-ნაირი რელიგიური ძმობით. ამან თავისებური დაღი დაამჩნია წინააღმდეგობის მოძრაობასაც L. O. — L. K. P., M. I. L., OD., R. V. V[1]—ალფაბეტის თითქმის ნახევარი დაიხარჯა სხვადასხვა ჯგუფების აღნიშვნებისათვის. ეს სამწუხაროა, მაგრამ ანგარიშგასაწევია... მოკლედ გადმოგცემთ იმას, რაც გამოცდილებამ მასწავლა. წინააღდეგობაში არიან ორნაირი ჰოლანდიელები, რომლებსაც ყველაზე მეტად ვაფასებ. ესენი არიან კალვინისტები და კომუნისტები. ისინი ყველაზე ფხიზლები და მამაცნი არიან და ყველაზე მეტი რწმენა აქვთ. თუ გნებავთ, შემიძლია აგიხსნათ კიდეც, რატომაა ეს ასე. ყოველ მოქმედებას, რასაც ისინი აკეთებენ ფაშისტების წინააღმდეგ, წყვეტენ თავიანთი მსოფლმხედველობის მიხედვით, რომელიც მათ ამოძრავებთ. კარგად იციან, რატომ აიღეს იარაღი ხელში ოკუპანტების წინააღმდეგ. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ სხვა ჯგუფებში ნაკლებად ღირსეული, მამაცი და ფიცხი პატრიოტები არიან, მაგრამ მათ ამოძრავებთ არასაკმაოდ ნათელი მოტივი. მათ გულის წადილში მეტია პირადული და ეგოისტურიც კი. მე ეს იმიტომ ვიცი, რომ წინააღმდეგობის ექიმი ვარ, — წინააღმდეგობის ყველა მებრძო-

---

[1] ჰოლანდიის წინააღმდეგობის სხვადასხვა ორგანიზაციების ნიშნები.

ლის, ეს დაიხსომეთ. ვმკურნალობ მათს ჭრილობებს, ამიტომ შემიძლია ჩავიხედო მათს სულში და გავიგო მათი ხასიათი... ჰმ!.

ექიმმა ჩიბუხში თამბაქო რკინის მავთულით მოჩხრიკა.

— გულახდილად გელაპარაკებით, ჩემთვის წინააღმდეგობის დაჭრილი ჯარისკაცი — დაჭრილი ჯარისკაცია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აქვთ თუ არა მათ სულში რამე სოციალური ზღუდეები. იმასაც ვიტყვი, რომ რომელიმე ქალი ან კაცი, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობაში შედის, პირველ რიგში იფიქრებს არა სულის ზღუდეებზე, არამედ ადამიანზე, რომელიც მათი საერთო შეხედულებების გამო, სხვებზე უფრო ახლობელი ხდება მისთვის... ნებას მივცემ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ თქვენს ოჯახში არ არის არც მორწმუნე და არც კომუნისტი.

ჩვენი საუბრიდან, უფრო სწორად, ექიმის მონოლოგიდან უეცარმა გადახვევამ გამაკვირვა და გამახარა კიდეც. ჩემთვის ნათელი გახდა ისეთი ამბები, რომლებიც აქამდე არ მესმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ენის ბორძიკით, რაც ასეთ შემთხვევებში მემართებოდა, გაუბედავად დავიწყე ლაპარაკი:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ამბები მომიყევით. წინააღმდეგობის მოძრაობისა ბევრი არაფერი ვიცოდი ამ თვალსაზრისით... სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, მესმის... მეც ძალიან მეჯავრება ყოველგვარი ზღუდეები... ყველა ადამიანის ცხოვრება ზღუდეებს შორის მიმდინარეობს, მაგრამ ხანდახან საჭირო ხდება მათი დანგრევა... თუ საქმე იქამდე მივა. ვიცი, რომ ასევე ხდება სამშობლოსადმი ადამიანის დამოკიდებულების შემთხვევაშიც. იგი ყველასათვის ყველაფერზე ძვირფასის განსახიერებაა. თუმცა მრავალი ადამიანისათვის სამშობლოს ცნება განყენებული რჩება... და მაინც ყველა ჩვენგანს აქვს საკუთარი წარსული, აწმყო და მომავალი... ყველა ადამიანი იმედებს მომავალზე ამყარებს... ჩვენი მომავალი მშვენიერი უნდა იყოს, და ყველას, ვინც ამისათვის იღწვის მომავლის იმედმა უნდა განუმტკიცოს რწმენა, რომ შეიძლება უშიშრად და ბედნიერად ცხოვრება.... აი, რისთვისაა საჭირო ბრძოლა.

ექიმი ოდნავ ცნობისმოყვარეობით, შეიძლება ითქვას, გაკვირვებითაც კი მისმენდა. სწრაფად განვაგრძობდი ლაპარაკს, აზრები თავისთავად ლაგდებოდნენ, უხერხულობა გაქრა.

— ისიც ცხადია, რომ წინააღმდეგობის ყოველი მონაწილე პასუხს აგებს მის გარშემო მყოფ ადამიანებზე... და იმ აზრებზე, რასაც ისინი აქსოვენ სიტყვა „სამშობლოში“. ექიმო, სურვილი მაქვს დავუკავშირდე ისეთ ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან ხალხთან და ყველაზე მეტად ესმით, რატომ იბრძვიან მტრის

წინააღმდეგ, მხედველობაში მუშები მყავს, ის ხალხი, რომელსაც ყველა ქვეყანაში, ყველაზე მეტი ხვდებათ ოკუპაციის დროს... და ვინც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ომის დამთავრებით... ვისთვისაც წინააღმდეგობა მხოლოდ ეტაპია სამართლიანი ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე...

ჩიბუხიანი ხელი დაბლა დაუშვა ექიმმა და თქვა:

— გავიგეთ. იმას კი არ ვამბობ, რომ ყველაფერში გეთანხმებით. ვფიქრობ, რომ ღმერთსაც შეუძლია გვაჩვენოს გზა სამართლიანობისაკენ. ჰმ! ამ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა შეხედულებებს მივდიოთ...

— ახლა ამ განსხვავებებს არ შეუძლიათ დიდი როლის თამაში, — სწრაფად ჩავურთე მე.

მან გაიცინა:

— რა თქმა უნდა. ახლა ჩვენ ერთი გზით მივდივართ, მოკავშირეები, თანამებრძოლები ვართ. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, გავანადგუროთ ყველაფერი, რაც ფაშიზმს თან მოაქვს: სამშობლოს ღალატი, ებრაელების ხოცვა-ჟლეტა და ტერორი. ღმერთს სურს, რომ მიწა სუფთა იყოს, სარეველების გარეშე. — უცებ ექიმმა საათზე დაიხედა. — ოჰო! რა ხანია უნდა მიმეხედა ჩემი პაციენტისათვის.

ჩემს თითებს მოუჭირა ცივი, ექიმის დახელოვნებული ხელი.

— წადით უკანა შესახვევით, — მირჩია მან. — გზას მე გაჩვენებთ.

ხაფანგი

უამრავი ამბები ზვავივით ჩამოგვექცა თავზე და დროებით ჩამომაცილა მიზანს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა.

აპრილის ბოლოს გენერალმა ხრისტიანსენმა მოითხოვა, რომ ჰოლანდიის არმიიდან გადარჩენილები — ჯარისკაცები და უნტეროფიცრები, გლეხების, მუშებისა და სხვა მოქალაქეთა შვილები გასული რიცხვებით ჩაბარებოდნენ ტყვედ გერმანელებს. ეს ამბავი ფაშისტებს იმისათვის სჭირდებოდათ, რომ მოკავშირეებისათვის არ მიეცათ შესაძლებლობა აქ ადგილობრივი არმია შეექმნათ ჰოლანდიის გასათავისუფლებლად.

1941 წლის თებერვალში ებრაელების პირველი დარბევის სა-

პასუხად მუშებმა, კანტორის მოსამსახურეებმა და მაღაზიების გამყიდველმა ქალებმა თებერვლის გაფიცვა მოაწყვეს.

1943 წლის მაისში, როცა გერმანელებმა ახალგაზრდები მოითხოვეს, ჰოლანდიელმა გლეხებმა და მუშებმა გაფიცვით უპასუხეს. მუშებმა მსხვილი საწარმოები გააჩერეს. გლეხებმა გადაჭრილი უარი განაცხადეს რძის მიწოდებაზე, თუ ხრისტიანსენის ბრძანება არ გაუქმდებოდა. რძეს არხებში ასხამდნენ. ვერმახტისათვის ყველი და კარაქი არ ჰქონდათ.

ათასნაირ ცნობებს და ჭორებს ვგებულობდით. გამოცხადდა საველე სასამართლოსი და სიკვდილით დასჯის შემოღება კრებების ჩატარებისათვის, სამუშაოზე უარის თქმისა და იარაღის ტარებისათვის. მუშები მიჰყავდათ და სიკვდილით სჯიდნენ. სოფლებში სისხლის ღვრა იყო. ერთ სოფელში გაფიცული გლეხები ერთად შეყარეს და ყოველგვარი მიზეზის გარეშე დახვრიტეს. მერე გზის გასწვრივ დაალაგეს გვამები და თითოს თითო გლეხი დაუყენეს. ისევ წამოაყენეს რძის, ხორბლის და ჭირნახულის მოთხოვნა. გლეხებმა კვლავ უარით უპასუხეს. მაშინ ისევ დახვრიტეს რამდენიმე კაცი და ისევ წამოაყენეს მოთხოვნა. პასუხად კვლავ უარი იყო. ოთხჯერ გამეორდა უარი და დახვრეტები. მაშინ საველე ჟანდარმერიამ, რომელსაც სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოყვანა ევალებოდა, თავისი ჯალათური როლისადმი ზიზღი იგრძნო და თვითნებურად შესწყვიტა დახვრეტები...

ეს ამბავი დედას უამბო მერძევე ქალმა, დედამ კი ჩვენ გადმოგვცა. მაგიდას ვუსხედით. ფიქრებში წასული მამა სათვალის მინებს წმენდდა. გადაფითრებულმა ივდითმა ჭამა ვეღარ შეძლო. ტანია წელში გაიმართა და თავის ამაყი აქნევით თმა უკან გადაიყარა. დედა ჩურჩულით ლაპარაკობდა:

— ღმერთო ჩემო, ყველგან საშინელი რეპრესიებია... ხანდახან ჩემს თავს ვეკითხები, მეტისმეტს ხომ არ ბედავს ხალხი... რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა.....

უცებ მოთმინება დავკარგე და წამოვიყვირე:

— დედა, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლისა მოკვდები. საქმე იმაში კი არ არის, დიდხანს იცოცხლე თუ არა, არამედ — როგორ იცხოვრე, რის გაკეთება შესძელი — აი, რა არის მნიშვნელოვანი!

შემეშინდა ჩემი ჩანაფიქრი არ გამოვამჟღავნო–მეთქი და გავჩუმდი. ხანგრძლივი, აუტანელი მრავალმნიშვნელოვანი სიჩუმე ჩამოვარდა. ტანიას სახეზე ღიმილმა გაიელვა, რომელშიც რაღაც გულახდილი სიამაყე გამოსჭვიოდა, როგორც მის წეღანდელ თავის აქნე-

ვაში. ჩემი სიფიცხით შეშინებული ივდითი სივრცეს გასცქეროდა. დედა ხმაამოუღებლად და გამომცდელად მომჩერებოდა სახეში, თითქოს ჩემში აღმოაჩინა ისეთი რაღაც, რაზედაც წინათ ეჭვიც არ შეპარვია.

მაისის თვე სიკვდილმისჯილთა სისხლით შეიღება. ერთდროულად გამოაცხადეს ყველა რადიომიმღების კონფისკაცია „მტრების" რადიოგადაცემათა მოსმენა ჰოლანდიელებისათვის პირდაპირ ნაციონალურ ჩვეულებად იქცა, ამიტომ ფაშისტებმა ბოლოს და ბოლოს ყველა რადიომიმღების უკლებლივ ჩაბარება ბრძანეს. მამამ მონტიორისგან, ჩვენი შინამოსამსახურის ძმისგან, იყიდა ძველი მიმღები და პოლიციაში წაიღო. ამავე მონტიორს კედელში ჩაასმევინა ჩვენი კარგი მიმღები, რომლითაც რეგულარულად ვსარგებლობდით. ბიბი-სი განაგრძობდა უკანასკნელი ცნობების გადაცემას, რომელსაც გააფთრებული ტკაცანით აყრუებდნენ გერმანული სპეციალური რადიოსადურები, რომლებიც თავიანთი ისტერიებით იმედსა და მოლოდინის უნარს გვმატებდნენ... ყოველი დღე აყენებდა თავის მოთხოვნებს, მოჰქონდა გულისტკივილი, ავლენდა გმირებს.

ერთხელ, საღამოთი, როცა ბლუმენდალში გავემგზავრე მასწავლებლის სანახავად, რომლისგანაც კარგი ხანი იყო არაფერი მსმენოდა, ტანიამ ისარგებლა შემთხვევით და ისევ გაიქცა.

ყოველ დილით დედა შინამოსამსახურეს რამე დავალებით სადღაც გზავნიდა. როგორც კი იგი კარს გაიხურავდა, ტანია და ივდითი ძირს ჩამოდიოდნენ ათიოდე წუთით... იმ დღეს ყველაფერი თავდაყირა იდგა. ივდითს გრიპი ჰქონდა, იწვა და ძირს არ ჩამოსულა. მამა ერთმა ნაცნობმა მიიპატიჟა, რომელმაც სადღაც ერთი ტომარა ხორბალი იშოვა და ნაწილს ჩვენ დაგვპირდა. დედა და ტანია ყავას სვამდნენ. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. როგორ ჩანს, როცა დედამ ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანა, ტანიამ დრო იხელთა და სახლიდან გაიპარა. მან ეს ისე მოხერხებულად და შეუმჩნევლად გაიქეთა, რომ დედამ ცუდი ამბავი მხოლოდ იმიტომ იაზრა, რომ თორმეტ საათზე, შინამოსამსახურის წასვლის შემდეგ, ზევით უცნაური სიჩუმე გამეფდა. ივდითმა ვერ გაბედა მისი შეჩერება.

როცა დავბრუნდი, დედა, მამა და აკანკალებული, ხალათით მჯდარი ივდითიც კი დაბნეულები და აღელვებულები დამხვდნენ. მაშინვე შევნიშნე, რომ ტანია მათთან არ იყო და მივხვდი სამივეს სასოწარკვეთილების მიზეზს. ამჯერად, უფრო შეეიკავე თავი. ივდითი სასწრაფოდ გავგზავნე ზევით, დასაწოლად, ლაბადა არც გამიხდია, ვთქვი, რომ მივდიოდი ტანიას საძებნელად და აუცილებლად

შოვიყვანდი. მამას უნდოდა გამომყოლოდა, მაგრამ სასტიკი უარი ვუთხარი.

ცუდი წინათგრძნობით დატანჯული მივდიოდი სადგურისაკენ. გული ისე დამმძიმებოდა, რომ მოძრაობა და ფიქრიც კი თითქოს შეშინელდა, ყველაფერი ტყვიასავით დამიმძიმდა. დაახლოებით მახსოვდა ტანიას მეგობრის მისამართი. როცა ამსტერდამში ჩავედი, რამდენიმე ხანს დავეხეტებოდი, ვერაფერი გადამეწყვიტა; რაღაც ალღო მიკარნახებდა, რომ უსაფრთხოების გამო სჯობდა პირდაპირ ამ მისამართით არ მივსულიყავი. თვით ამსტერდამის ნახვაც კი მტანჯავდა. ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობის მიუხედავად, ქალაქი უფრო დამფრთხალი და დაშინებული მომეჩვენა. ხალხით სავსე ტრამვაის გაჩერებები, მაღაზიის წინ დიდი რიგები, გერმანელი პოლიციელები და ჯარისკაცები — ყველაფერი ეს აშკარად მეტყველებდა საალყო მდგომარეობის საიდუმლო სამზადისზე. მაგრამ იქნებ გაუბედაობა და ნერვიულობა, რომელიც დამეუფლა, გადამქონდა გარესამყაროზე. აღარ მახსოვს, თავი როგორ ამოვყავი ძველ ებრაულ კვარტალში, ირგვლივ უპატრონობის მძიმე ატმოსფერო გამეფებულიყო. სამარისებური სიჩუმე იდგა. მაღაზიები აჭედილი და შუშები ჩამტვრეული იყო. აქა-იქ ეკიდა ჩამოხეული ფარდები, რომელსაც ქარი ნელა არხევდა.

ყველგან ვიხედებოდი, ოთახების შავ, ცარიელ მღვიმეებში. „ნაციონალურ-სოციალისტური მოძრაობის“ წევრებმა და ყველა დანარჩენმა ბოროტმოქმედებმა, რომლებიც თავიანთ თავს ჩვენ თანამემამულეებად აცხადებდნენ, სასწრაფოდ დაიტაცეს უპატრონო ქონება. ყველაფერი ნგრევისა და სიცარიელის მტვრით დაფარულიყო. სისხლის სამართლის პოლიციის ორი-სამი პოლიციელი ყარაულობდა თითქმის ცარიელ მთავარ ქუჩას, სადაც ომამდე ხშირად სიამოვნებით მივლია ხოლმე უმიზნოდ, ქალაქის ხალისიანი სიცოცხლით, არეულობით, ერთმანეთთან მტკიცედ შეკავშირებულ ადამიანთა მოღვაწეობით, სივიწროვით, თევზისა და ხილის სუნით, სასიამოვნო, წარმტაცი და ამაფორიაქებელი ალიაქოთით მოხიბლულს. ახლა კი მხოლოდ ორ მწვანე ფორმიან ზურგს ვხედავდი, მესმოდა მათი ნალიანი ჩექმების ბაკუნი ხავსმოკიდებულ ქვაფენილზე. სწრაფად გამოვბრუნდი იქიდან. ნერვები ისე დაძაბული მქონდა, რომ შეიძლებოდა სისულელე ჩამედინა, ფეხებით გამეთელა, მუშტები მერტყა ამ წყეული, საზიზღარი ზურგებისათვის.

ერთ პატარა შესახვევში, რომელმაც ვატერლოოს მოედანზე გამიყვანა, ერთ ადგილზე გავქვავდი, გვერდით ჩამიარა ხალხის პატარა ჯგუფმა. მაშინვე შევიცანი საცოდავი ებრაელები. მიდიოდნენ მძიმე

ზურგჩანთების ქვეშ მოხრილნი, უმწეონი, ზურგზე გადებული დახვეული საბნებისა და ჩემოდნების სიმძიმით გვერდზე გადახრილები, ეს უბედურები სხვა მოქალაქეებთან შედარებით, ჩვეულებრივზე უფრო პატარები მომეჩვენენ. მათ შორის ერთი ბავშვიც ერია. იგი მის გვერდით მიმავალ მამაკაცს ისე შეჰყურებდა, თითქოს დაჟინებით ეკითხებოდა რაღაცას. მამაკაცი პასუხს არ აძლევდა; დიდი თავი წინ წაეხარა; რაღაც, დუნედ და მოუხერხებლად ჩაეცლო ბავშვის ხელისთვის ხელი. ბავშვის გარდა, ყველა ფეხარეული, გაუბედავი ნაბიჯებით მიდიოდა და ერთმანეთს აწყდებოდნენ. მოედნის ამ მხარეს მხოლოდ მე და ისინი ვიყავით, უცებ პირზე ხელი ვიტაცე. მივხვდი. ეს ხალხი აღრიცხვაზე მიდიოდა, რომ მერე გაესახლებინათ. არც ერთი არ იხედებოდა უკან. სიკვდილთან შესაგებებლად მიდიოდნენ. ეს ვარაუდი იმდენად ცხადი და ნათელი, ამავე დროს, იმდენად საშინელი და წარმოუდგენელი იყო, რომ საკუთარი საშიშროება დამავიწყდა. მინდოდა დავდევნებოდი მათ და მეთქვა: „გაიქეცით, დაიმალეთ სადმე! ნუ მიხვალთ იქ! ალბათ არ გესმით, სად და რისთვის მიყევეხართ! წადით იატაკქვეშ — საკანალიზაციო მილშიც კი სჯობია ყოფნა, პოლონეთის სიკვდილის ბანაკში მოხვედრას!...“ ვუყურებდი, ვიდრე შესახვევში არ მიიმალნენ. გაქრნენ, თითქოს არასოდეს ყოფილან ამქვეყნად. ხომ არ მომეჩვენა-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს. საშინლად დავიბენი. ადგილიდან ვეღარ ვიძროდი. ვცახცახებდი. გავაფთრდი, საკუთარი დანაშაულის გრძნობამ და ზიზღმა მომიცვა. მერე სული მოვითქვი. ვიცოდი, რომ თავი უნდა შემეკავებინა და გულგრილი ვყოფილიყავი ყველაფრისადმი, რაც არ უნდა მომხდარიყო. გამახსენდა ტანია, რომლისთვისაც აქ ჩამოვედი. ტანიაც ხომ ებრაელია და იძულებულს გახდიან მათი ხვედრი გაინაწილოს...

ხუთ წუთში გავჩნდი პატარა შუკაში, ძველ, დასანგრევად გამზადებულ სახლში, სადაც წინათ მე და ტანია ვცხოვრობდით. ფოტოგრაფი შინ იყო. ძალიან გაოცდა, როცა კარის გაღებისთანავე მივახალე, ტანიას ბედი საფრთხეშია და უნდა მითხრათ მისი მეგობრის მისამართი-მეთქი. ფოტოგრაფმა შუბლი შეიკრა და ისე ხმამაღლა დაუსტვინა, რომ მეგონა, სიმწრით მოპოვებულ სიმამაცეს საცაა დავკარგავ-მეთქი.

— თქვენ, ალბათ, გაიგებდით, რომ მცხოვრებთა სარეგისტრაციო ცენტრალურ სამმართველოს თავს დაესხნენ?... — ნელა თქვა და სათვალეზე ჩამოვარდნილი თმა გადაიწია. — ტანიას მეგობარი მოხვდა ამ თავდასხმაში. რამდენადაც გავიგეთ დაპატიმრებულთა შორის ის არ არის. მაგრამ მის სახლში ჩასაფრდნენ ბანდი-

ტები — ფაშისტები, ისინი ხვდებიან და აპატიმრებენ ყველას, ვინც ეს ამბავი არ იცის და ზარს დარეკავს მის კარზე... თუ თქვენი ამხანაგი იქ მივა, მათ ჩაუვარდება ხელში...

წუთით თავბრუ დამესხა. მერე გაჭირვებით ავდექი ფეხზე. მისი სამუშაო მაგიდის კიდეს დავეყრდნე და წავიჩურჩულე:

— სად არის მისი ბინა?..

— ვესტერმარკტის მოედანზე, — მიპასუხა ფოტოგრაფმა და სახლის ნომერი დამისახელა.

კარებში გავდიოდი. ფოტოგრაფი დამედევნა, მოაჯირზე გადმოიხარა, უკვე კიბეებზე ჩავრბოდი, როცა მისი ხმა მომესმა:

— არ მიხვიდეთ იმ სახლში! ხომ გეუბნებით...

— სულელი კი არა ვარ! — დავუყვირე საპასუხოდ.

მისმა სიტყვებმა გონს მომიყვანა, მივხვდი, თავს უნდა მოვერიო და დაუფიქრებლად არ მოვიქცე-მეთქი. ნაბიჯი შევანელე, როცა მივუახლოვდი მოედანს, სადაც ვესტერტორენის კოშკიანი ეკლესია იდგა. მოპირდაპირე მხარეს გავყევი, თან საჭირო ნომერს ვეძებდი. სახლი სხვა სახლებს შორის იდგა და გარედან არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ შიგ საფრთხე და ღალატი დაბუდებულიყო. სიწყნარე სუფევდა. ეკლესიის შესასვლელთან რამდენიმე ბავშვი თამაშობდა. ფანჯრებზე ფარდები არ ირხეოდა. ეკლესიას გარს შემოვუარე და იმავე ადგილზე მივედი. თუ სახლში გესტაპოელები იყვნენ ჩასაფრებული, მაშინ მათ უკვე ორჯერ მნახეს. ორჯერ ნახვა კი მეტისმეტია. წასვლაა საჭირო. მაინც არ შემეძლო წასვლა. შევედი ერთ კაფეში, საიდანაც ქუჩის მეორე მხარეზე ჩამწკრივებული სახლებისთვის შემეძლო თვალი მედევნებინა. ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან მოფარებულად დავჯექი. უგემური ლიმონათი დავლიე და უსიამოვნოდ მიბუყბუყებდა კუჭში. დიდხანს ვიჯექი კაფეში; ჩანთიდან წიგნი ამოვიღე და კითხვას შევუდექი, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ მესმოდა; მხოლოდ იმას ვაქცევდი ყურადღებას, რომ დროზე გადამეშალა ფურცელი. დროდადრო მოედანს გავცქეროდი, სადაც არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ხანდახან ძაღლი გაირბენდა ხოლმე; ხან ეკლესიის კოშკზე საათის რეკვა ისმოდა. ბრინჯაოსებრ მოგუგუნე რეკვას მთრთოლვარე ექოდ გამოსცემდა ჩემი ცარიელი კუჭი. ბავშვებს დაუძახეს და სახლებში წაიყვანეს. შუადღე ახლოვდებოდა. ხელურმიანი ორი მამაკაცი შუა მოედანზე გაჩერდა და დაუსრულებელი, ჩემთვის გაუგებარი საუბარი გააბეს. ვხედავდი, როგორ ამოძრავებდნენ ტუჩებს, ხელებს იქნევდნენ და იცინოდნენ. ვერ გამეგო, როგორ შეეძლოთ ხალხს ამდენ ხანს დგომა, ლაყბობა და სიცილი. ერთი ლიმონათიც ვიყიდე და თითო-თითო ყლუპს ვსვა-

ვდი, თან სუროგატული სასმელებისადმი ზიზღს ძლივს ვიკავებდი. დროდადრო შემოდიოდნენ კაფეში, დახლთან სვამდნენ და მიდიოდნენ. მოთუთიებულ დახლთან უპიჯაკოდ მდგომმა კაცმა, რომელიც პირველად ხანდახან მიყურებდა, ახლა გაფაციცებით დამიწყო თვალთვალი. მეშინოდა არ გამომლაპარაკებოდა, რაც ამჟამად სრულებით არ იყო საჭირო. შიშმა შემიპყრო, რომ მას ჩემი აქ ჩუმად ჯდომა საეჭვოდ მოეჩვენებოდა და იფიქრებდა, რაღაცას ელოდებაო. უცებ ეკლესიის უკანიდან გამოჩნდნენ სამოქალაქო ტანისამოსიანი მამაკაცი და ქალიშვილი. მათ მოედანი გადაჭრეს და ქალაქის ცენტრისაკენ წავიდნენ, მამაკაცი ქალს ოდნავ ჩამორჩებოდა. მან ერთხელ ყურადღებით მოავლო თვალი გარემოს, თითქოს ვიღაცას ეძებსო. მარჯვენა ხელი პიჯაკის ჯიბეში ედო. მისი გაძვალტყავებული ფიგურა სიცრუის, თავხედობისა და უმაქნისობის განსახიერება იყო, რაც ჩემი წარმოდგენით ყოველთვის ფაშისტურ დაზვერვასთან იყო დაკავშირებული. ქალიშვილი მაშინვე ვიცანი. ნელა ავდექი, ფეხებს ძლივს ვადგამდი, მივედი დახლთან და უხმოდ გადავიხადე ფული. მამაკაცი და ქალიშვილი, რომელიც თავდახრილი მოდიოდა, ტრამვაის ლიანდაგიან ქუჩაზე გადადიოდნენ, მერე ხალხს შეერივნენ. ანგარიშმიუცემლად მივყვებოდი უკან, სანამ არ მივხვდი ჩემი საქციელის უაზრობას. ტანია მტრის ხელთ იყო. ვიცოდი, სადაც მიდიოდნენ. გესტაპოელი ტანიას „ხოლანდსე სხაუბურხის“ თეატრში წაიყვანდა. ეს იყო ადამიანების რეზერვუარი, სადაც ებრაელებს მიერეკებოდნენ ბანაკში გაგზავნამდე.

ტანია მტრის ხელთ იყო.

რევოლვერიანი კაცი

პირველ რიგში ადასთან გავიქეცი. აქ ვიტირე და გულზე ცოტა მომეშვა. მისი ურყევი სიმშვიდე და მეგობრული თანაგრძნობა ამ წუთში საუკეთესო წამალი აღმოჩნდა. დამპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ებრაელთა საბჭოში მისასვლელად და ტანიას ამბის გასაგებად. წამოსვლის წინ შევთანხმდით, რომ ორსიტყვიან ბარათს გამომიგზავნიდა: „პაკეტი მივიღეთ“, თუ ნამდვილად ეცოდინებოდა, რომ ტანია „ხოლანდსე სხაუბურხშია“. თუ სხვა რამეს გაიგებდა, მაშინ მარტო ხედიან ბარათს გამომიგზავნიდა.

ძლივს წავედი სახლში. საბედისწერო ცნობამ, რომ ტანია ნაცისტების მახეში გაება, ძალიან შეაწუხა ჩემი მშობლები და ივდი-

თი. რამდენიმე დღე ყველანი საშინელ ხასიათზე ვიყავით. ქარიშხალი, რომელიც ჩვენს სახლს გარეთ მძვინვარებდა, ახლა ჩვენთანაც შემოიჭრა. თითქოს სამუდამოდ დაინგრა ადამიანთა ერთსულოვნება. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობოდა, როცა უეცრად საუბარს შევწყვეტდით ხოლმე და ყველა ჩვენთაგანი საშინელ მარტოობას განიცდიდა. ასე იყო ყოველთვის, როცა საუბარი ებრაელების დევნასა და დაპატიმრებას შეეხებოდა ხოლმე. ვფრთხილობდით, რომ ტანიას სახელი არ გვეხსენებინა. ხანდახან ვბრაზობდი კიდეც, როცა ასეთ საერთო უგუნებობას ვხედავდი. აშკარად ვგრძნობდი, რომ უბედურებათა მოჯადოებულ წრეს თავს ვერ დავაღწევდი, თუ ბრძოლას არ გავუმართავდი მას.

ამავე კვირას მივედი ჩემს მასწავლებელთან. როგორც იქნა, შინ დამიხვდა. არ მიკითხავს, სად იყო ამ ხნის განმავლობაში. მასაც არაფერი უთქვამს ამის შესახებ. სამაგიეროდ კარგად შემხვდა, თითქოს ჩვენ ერთმანეთთან უკვე დაკავშირებული ვიყავით საიდუმლო კავშირით, რამაც ძალიან გამახარა. იგი თავის საქმეებში ჩახედულად მთვლიდა და ამიერიდან ასე გაგრძელდებოდა.

— სურვილი აგისრულდა, შვილო, — მითხრა ექიმის ცოლმა.— ამ დღეებში წაგიყვან ჩემს ქმართან. მერე კი ის შეგახვედრებს ისეთ ვინმესთან, რომელიც შენთვის უფრო მეტის თქმას შეძლებს...

რამდენიმე დღე მღელვარე მოლოდინში გავატარე. დანიშნულ დროს გამოვცხადდი ციხე-სიმაგრის სანგრის უკან ერთ ეზოში მოთავსებულ ძველ სახლში. კბილები ამიკაწკაწდა და ფეხები მომიდუნდა, როცა ისევ ვიყნოსე ფორმალინით გაჟღენთილი ჰაერი და ისევ ამოვყავი თავი საავადმყოფოს გულისამრევ ატმოსფეროში. კარი გამიღო მამაკაცმა, რომელსაც არ ვიცნობდი, მაგრამ, ეტყობოდა, ის მიცნობდა. ცოტა ლოდინი დამჭირდა ოთახში, რომლის კედლებზე ყავისფერი ტყავი იყო აკრული, როცა დერეფნიდან ორი მამაკაცის ნაბიჯის ხმა გავიგე, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ნაბიჯების ხმა კართან შეწყდა და მე უნებურად ყელზე მოვიჭირე ხელი — თითქოს სუნთქვა შემეკრაო. კარი გაიღო და ოთახში ექიმ მარტინთან ერთად უცნობი მამაკაცი შემოვიდა. ვერ გავბედე მეორე მამაკაცის შეხედვა და ექიმს შევყურებდი თვალმოუცილებლად, თითქოს მასზე იყო დამოკიდებული ჩემი ხსნა. შევამჩნიე, როგორ მეგობრულად ჩამიცინა ექიმმა, როცა ხელი გამომიწოდა და ჩემკენ წამოვიდა.

— ამ შეხვედრის ლოდინი უფრო მეტხანს მოგიხდათ, ვიდრე გვეგონა, — წამოიწყო ლაპარაკი ექიმმა. — რაღაც საქმეები იყო მოსაგვარებელი... ნერვიულობთ? რატომ?

გავიგონე; როგორ გაიცინა მეორემ. მისთვის ერთხელაც არ შემიხედავს. ექიმმა მარტინმა იგი წარმომიდგინა:

— ეს არის ფრანსი. ერთ-ერთი იმათთაგანი, რომელთა გაცნობაც თქვენ გინდათ.

— ფრანსი. უბრალოდ ფრანსი დამიძახეთ, — თქვა უცნობმა. მის ხმაში შევნიშნე ოდნავი ირონია და თვითკმაყოფილება, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი მზარავდა. ფრანსმა უხეში შალის პალტოს სახელოდან გამომიწოდა ვაჟკაცური, შავი თმით დაფარული ხელი, რომელზეც სახსრების ძვლები უჩანდა. ეს არის მუშის ხელი? შევნიშნე, რომ ფრჩხილები ლამაზად ჰქონდა მოქნილი. ამ ხელის ხასიათის ამოცნობა ვერ შევძელი, მაგრამ მან ცოტა არ იყოს, დამაბნია და იმედი გამიცრუა. თუმცა ეს იყო ნაჩქარევი შთაბეჭდილება, ხელი გავუწოდე და სახეზე შევხედე. ღაწვმაღალი, პატარა პირიანი სახე სუფთად ჰქონდა გაპარსული. იქნებ ასე გულმოდგინედ გაპარსული სახე აძლევდა მას თავის თავზე შეყვარებული ადამიანის გამომეტყველებას. შავი თვალები კეთილად, მაგრამ ოდნავ დაცინვით შემომყურებდნენ. აშკარად ჩანდა, რომ იგი დაინტერესებული იყო და თავის თავს თითქოს უკვე ჩემს მამად და მფარველად თვლიდა.

ექიმი მარტინი ხან ერთს გვიყურებდა, ხან მეორეს და თქვა.

— შეგიძლიათ ისაუბროთ აქ; როცა წასვლას დააპირებ, შემატყობინე, — მიმართა მან ფრანსს. — თქვენ კი ქალბატონო ს., გეტყობათ, შიშმა კიდევ არ გაგიარათ. ფრანსი სულაც არაა თქვენთვის საშიში.

ექიმმა მარტინმა სიცილით გაიხურა კარები. ფრანსსაც გაეცინა. მერე სკამი შემომთავაზა. ერთმანეთის პირდაპირ დავსხედით. ფრანსმა პალტო გაიხსნა და ფეხი ფეხზე გადაიდო. იგი ძალიან ჰგავდა კანტორის წვრილ მოხელეს — მიხაილოფერი კუბოკრული კოსტიუმი ეცვა, ლითონის ქინძისთავით შებნეულ საყელოს ქვეშ ჰალსტუხი ლამაზად ჰქონდა გაკვანძული.

— აბა, დავიწყოთ, მოსწევთ? — მითხრა მან.

წევა დავიწყეთ და იგი შეკითხვების მოცემას შეუდგა: ვმუშაობდი თუ არა იატაკქვეშელთათვის, ხომ არ ვიყავი გაერთიანებული რომელიმე ორგანიზაციაში, მაგალითად, სტუდენტთა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ხანდახან კი გულთბილ შემწყნარებლობით გადმომხედავდა ხოლმე.

— რომელიმე პარტიის წევრი ხომ არ ხართ? — მკითხა თითქოს სხვათა შორის. ამ დროს ცდილობდა არ შემოეხედა ჩემთვის. ალბათ, ფიქრობდა, რომ მარჯვედ გამაბა მახეში.

— არა, მაგრამ, რა თქმა უნდა, უნდა დამიჯეროთ, რომ სრულიად შეგნებულად მხარს ვუჭერ მემარცხენეთა პოზიციებს.

— ჰმ, მემარცხენეთა პოზიციები... მრავალნი თვლიან თავიანთ თავს მემარცხენეებად, — თქვა მან და ისევ ოდნავ ირონიულად გაიღიმა. — მაგრამ ექიმი მარტინი გიდგებათ თავდებად, ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს, — თქვა მან დუმილის შემდეგ. — მჯერა, რომ შეგვიძლია დაგენდოთ. რა თქმა უნდა, ყოველდღე კი არ მოდიან აქ ქალები, ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. მართალია, გვყავს ქალი-დამტარებლები, მაგრამ, როგორც გავიგე, ასეთი სამუშაო თქვენ უმნიშვნელოდ მიგაჩნიათ;

— მე ეს არ მითქვამს, — მკვახედ ვუპასუხე მე. — ექიმ მარტინს მე ვუთხარი, რომ შიკრიკის მოვალეობასაც სიამოვნებით შევასრულებ თუ აუცილებელია-მეთქი.

როგორც ჩანდა, ჩემი სიფიცხე ფრანსს ართობდა.

— თქვენ, ალბათ, ეს გირჩევნიათ, — მითხრა მან, პალტოს შიგნითა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ისევ მალე ამოიღო, — ხელისგულზე რევოლვერი ედო. ეტყობოდა, ჩემი გაოცება უნდოდა. ეს ჰგავდა კარგად გათამაშებულ თეატრალურ ოინს. ვუყურებდი საიმედო იარაღის შავ ლითონს. პირველად ვხედავდი ახლოდან ცეცხლმსროლელ იარაღს. ომის დაწყებამდე კი მისთვის მხოლოდ იარაღების მაღაზიების ვიტრინებში მომიკრავს თვალი. ეს იყო უცხო, უჩვეულო სათამაშო, რომელიც ნამდვილად არ იყო ჩემთვის განკუთვნილი. ახლა კი ჩემს თვალში რევოლვერს სულ სხვა მნიშვნელობა მიეცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა.

— ხომ არ გეშინიათ? — მკითხა რაღაც დაუდევრად, დაცინვით, ცოტა არ იყოს გამომწვევადაც კი, საერთოდ კი საკმაოდ კეთილად.

ნელა გავიქნიე თავი.

— კი არ მეშინია, — მტკიცედ ვუპასუხე მე. — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ არასდროს არ მისროლია. ხომ არ გგონიათ, რომ წინააღმდეგობის რიგებში ასეთი სათამაშოებისადმი მიდრეკილების გამო შევდივარ.

მან შემომხედა. როგორც ჩანდა, მასზე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ტონმა ან სიტყვებმა, იქნებ ორივემ ერთად.

— გასაგებია, თქვენ მართალი ხართ. — მოკლედ მითხრა მან.— სულაც არ გეხუმრებით... კიდევ ერთხელ შეხედეთ რევოლვერს და კარგად იფიქრეთ, გაბედავთ თუ არა ამ „ზარბაზნით“ შეიარაღებას? შეგიძლიათ უარი თქვათ და ჩვენ ორივენი დავივიწყებთ ამ საუბარს.

მისმა სერიოზულად ნათქვამმა სიტყვებმა გამახარა. დაძაბულობა ჩვენს შორის მაშინვე გაქრა.

— არა, უარს არ ვამბობ, — ვუპასუხე მე. — მუშაობას მინდა შევუდგე, რაც შეიძლება მალე.

რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო.

— კარგი, მიგიღებთ ჩვენს ორგანიზაციაში. სხვათა შორის, კიდევ ორი ქალიშვილი გვყავს. რა თქმა უნდა შეხვდებით მათ. ძალიან კარგი ქალიშვილები არიან. ამჟამად აქ არ არიან. მერე იქნებიან.

სკამზე მჯდომმა შეიკრა პალტო.

— სროლას მე გასწავლით. ალბათ, გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ ამას ჩვენს ქალაქთან ახლოს ვაკეთებთ. — მან ჩაიცინა, რაც ძალიან ბუნებრივად მომეჩვენა. — ყველაფრის გაკეთებაში გავიწაფეთ... იცით, ხემსტედის გზაზე რომ მამულია, რომელსაც „ესპანურ მუხებს“ ეძახიან?... ძალიან კარგი, — ცოტა ხნით ჩაფიქრდა. — შემდეგ ორშაბათს მოდით იქ, ველოსიპედით, საღამოს რვა საათზე. სახლის უკან, მეტყევის ბინაში დაგელოდებით. მეტყევე ჩემი ნათესავია. — მან თვალი ჩამიკრა და მისი მოურიდებლობა არ მეუხერხულა. — დანარჩენი მერე იყოს... ყველაფერი დაიხსომეთ?

— ყოველი სიტყვა, — ვუპასუხე მე.

საბრძოლო ნათლობა

ორშაბათამდე კიდევ ხუთი დღე იყო. ჩემი ჩვეულებრივი საქმისათვის თავი არ მიმინებებია. იატაკქვეშელთათვის ადრინდელზე მეტ ფულსაც კი ვშოულობდი. თუმცა ამ ბოლო დროს მისამართების სხვა სია ავიღე, რომელშიც უფრო ნაკლებად შეძლებული მოქალაქეების გვარები იყო აღნიშნული. თავს უხერხულად ვგრძნობდი, რომ ფულს ასე იოლად ვაგროვებდი. ამ სიების მიხედვითაც კი რამდენიმე ასეული გულდენით სხვებზე მეტს ვაგროვებდი. როგორც ჩანდა, ფულის მოგროვების ჩემს მეთოდში მართლა იმალებოდა რაღაც ისეთი, რაც ხალხს გულუხვობისკენ უბიძგებდა... ჩემი სამუშაო იმიტომაც მიყვარდა, რომ, ველოსიპედით ქალაქის შემოვლისას, ბევრი რამის მოფიქრება შემეძლო. ახლა ტანიაზე და ფრანსთან შეხვედრაზე ვფიქრობდი. ტანიაზე ჩვეულებრივზე მეტად ვფიქრობდი, რადგან ბი-ბი-სმა ივლისის ერთ დღეს გადმოსცა ვარშავის გეტოს ებრაელების აჯანყების შესახებ, გერმანელი ჯალათების წინააღმდეგ. ტანიას მწუხარება და სიამაყე უნდა განეცადა ორმოცი ათასი ებრა-

ელი კაცის, ქალისა და ბავშვის გამო, რომლებიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ნაცისტების წინააღმდეგ და დაიღუპნენ. „სიკვდილის წინაც, ერთხელ კიდევ უნდა უთავაზო მტერს ცხვირპირში!" ტანიას ნათქვამი ეს სიტყვები ამ დღეებში ხშირად ჩამესმოდა ყურში, როცა ველოსიპედით დავდიოდი ფულის შესაგროვებლად. იმის წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ სწორედ ამ წუთში შეიძლებოდა ტანიას რამე მოსვლოდა.

კვირის დასასრულს ადასგაი ოვიდა პასუხი, რომელსაც მოუთმენლად ველოდი. ღია ბარათში ეწერა „პაკეტი მივიღე". მართალი რომ ვთქვა, სხვას არაფერს მოველოდი, მაგრამ მაინც შემაძრწუნა ამ ამბავმა, რომელმაც ჩემი ნაფიქრი დაადასტურა. ტანია „ხოლანდსე სხაუბურხის" შენობაშია. ეს იყო პირველი ეტაპი სიკვდილისაკენ მიმავალ იმ გზაზე, რომელზედაც ჩემ თვალწინ უდრტვინველად, ფეხარეული მიდიოდა წინასწარ მორალურად განადგურებული უბედურ ებრაელთა მცირე ჯგუფი.

ადას ბარათის მიღების შემდეგ სახლში მთელი კვირა ყველანი დაღვრემილები და დაძაბულები ვიყავით. ვიცოდი, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო და ახალი ცნობისთვის უნდა მეცადა, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა ამსტერდამში წასვლის სურვილი. თავისი დაობლებული ოთახის კუთხეში მიკუნჭული ივდითი ტიროდა და მხოლოდ საჭმლის საჭმელად ჩამოდიოდა ძირს. ერთადერთი ჩემი იმედი იყო, რომ მეორე დღეს ფრანსს უნდა შევხვედროდი.

ამ ორშაბათს პაპანაქება სიცხე იდგა. გერმანელებს თავიანთი ჯარები გადაყავდათ, და როცა საღამოს ველოსიპედით გავემართე ხემსტედის მიმართულებით, გზაზე გერმანელთა სატვირთო მანქანები კიდევ მიდიოდნენ. მანქანებში უკმაყოფილო სახეებით ისხდნენ ოფლით გაღვარული ჯარისკაცები, ისინი აღარ მღეროდნენ. გზის ორივე მხარეს ტრანსპორტის დაუსრულებელი მოძრაობით ამდგარი ყვითელი მტვრის კორიანტელი პატარა ბაღებს ეფინებოდა. თითქოს ჰაერი მტვრითა და სიმშრალით იყო გაჟღენთილი. სიცხე და დახუთულობა ნაკლებად იგრძნობოდა, იქ, სადაც სარწყავი მდელოებისა და ბუჩქების ვიწრო ზოლიდან სიგრილე მოჰქროდა. ავდარი იყო მოსალოდნელი, მაგრამ მასაც კი არ შეეძლო ატმოსფეროს გაწმენდა.

მივედი დიდ, ყვითელი თაბაშირით შელესილ ქანდაკებებთან, რომლებსაც პატარაობიდანვე ვიცნობდი. ისინი ძველი ბამულის შესასვლელის ახლოს იდგა. იქ უნდა შევხვედროდი ფრანსს. ბამული „სპანიარდსეიკენი" — „ესპანური მუხები" — ახლა ერთგვარ სახელმწიფო მამულად ითვლებოდა. გზატკეცილიდან მოშორებით იყო

და თანდათან გავერანდა. კარგა ხნის წინათ აკრძალეს იქ შესვლა, და მამულის არსებობას მხოლოდ დაბურული ხეივანი და შესასვლელთან აღმართული ქალების უშველებელი და უმსგავსი ქანდაკებებიღა ახსენებდა გამვლელს. ზედამზედველი და მეტაუეკე თვალს ადევნებდნენ, რომ აქ ვინმეს დრო არ გაეტარებინა დაუსჯელად. გერმანელებიც კი არ გაკარებიან ამ მამულს, რაც ძალიან უცნაური იყო: მათ ხომ ჩვეულად ჰქონდათ პარკებში მოეწყოთ თავიანთი საწყობები და ხის ჩრდილებისათვის შეეფარებინათ ავტომანქანები.

გაბედულად გავიარე ქანდაკებებს შორის ველოსიპედით და მეტაუეკის სახლთან აღმოვჩნდი. მუხებქვეშ, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, ესპანელების ბატონობის დროს იყვნენ დარგულნი. ისეთი სიჩუმე გაძეფებულიყო, თითქოს სახლი უკაცრიელი იყო. საღამოს საამო სიმშვიდე და ბუნების ავდრის მომასწავებელი გაყუჩება ჩემში რაღაც შიშის გრძნობას აღვიძებდა, თუმცა არ მინდოდა ამაში გამოტყდომა.

მეტაუეკის სახლთან ჩამოვედი ველოსიპედიდან. ეს იყო შეეიცარულ ყაიდაზე აშენებული დაბალი შენობა, რომელსაც უხეირო ჩუქურთმები ჰქონდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი და უცებ მამაკაცის ხმამ დამაფრთხო:

— ველოსიპედი სახლს უკან, ხე-ტყის თაკარებს შორის დადგი!

ახლა შევნიშნე, რომ გვერდითი ფანჯარა ხელისგულის ოდენაზე იყო აწეული. სქელი ფარდები არ შერხეულა, მაგრამ აშკარა იყო, მის უკან ვიღაც იდგა, რაფაზე ჩამოყრდნობილი, ალბათ, ფრანსი. შიში დავძლიე და სახლს სწრაფად შემოვუარე. იქ მართლაც რამდენიმე თაკარა იყო ამართული: როგორც ჩანდა ეს ხეები გაზაფხულზე. ტყის დასუფთავების დროს მოეზიდათ. ველოსიპედი თაკარებს შორის დავმალე. ამ დროს ყური მოვკარი ჩემ უკან კარის გაღებას. შემოვტრიალდი. — დაბალ, უკანა კარში ფრანსი იდგა უქუდოდ. იგივე მიხაკისფერი კუბოკრული კოსტიუმი, წმინდად გაპარსული სახე და შავი თვალების კეთილი, მაგრამ ოდნავ დამცინავი გამოხედვა.

— შეგაშინე? — მკითხა მან.

— არა, — მოკლედ ვუპასუხე მე. მერე ხაზგასმით ვუთხარი: — არც ისე ადვილია ჩემი შეშინება.

— მით უკეთესი, — მიპასუხა მან.

იგი წუთით შებრუნდა ბნელ, პატარა დერეფანში, და სწრაფად გამოვიდა ფეტრის ქუდით, რომელიც დაუდევრად ჩამოიფხატა თავზე. ხელით მანიშნა უკან გავყოლოდი. ხეების თაკარებს ჩავუარეთ და საცალფეხო ბილიკს დავადექით; მერე წანწალა გადავიარეთ და

ტყეში აღმოვჩნდით. უხმოდ მივდიოდით. ტყე უმთავრესად ფოთლოვანი იყო. ფოთლებს მკვეთრი, სევდისმომგვრელი სუნი ასდიოდა. ტყეში საღამოს სიგრილე იყო. ამ სუნს თან ერთვოდა მომწარო — ცხარე სური ხავსისა და სუროსი, რომელსაც აქა-იქ ხეების ტანი თავიდან ბოლომდე დაეფარა. ჩვენ ზემოთ ქედნები ღუღუნებდნენ. ნაღვლიანად მღეროდა შავი შაშვი. უცებ ბილიკი გაფართოვდა და ფიქვნარში გადავიდა; აქ წიწვის სუნი სძლევდა ფოთლების სუნს. მიწა მშრალი და მიხაკისფერი იყო გამხმარი წიწვისა და გირჩების გამო. უჩვეულო, შიშისმომგვრელი სიჩუმე იდგა, მით უმეტეს, რომ ორივე მხარეს ჩამწკრივებული წიწვიანი ხეები დეკორაციასავით გვთიშავდა ტყისგან. პატარა, მყუდრო ბილიკის ბოლოში, რომელმაც გვერდზე გადაუხვია. ფიცრებისაგან გამოჩორკნილი მერხი იდგა.

— ესეც ასე, — თქვა ფრანსმა. — ვერც ერთი ავაზაკი ვერ წარმოგვადგება თავზე.

მან პიჯაკის ჯიბიდან ის მძიმე, მკრქალი შავი ფერის რევოლვერი ამოიღო, რომელიც ექიმის სახლში მაჩვენა. ამჯერად იარაღის დანახვამ აღარ შემაშინა.

— ცეცხლმსროლელი იარაღი ჟინიანი რამეა, — განაცხადა ფრანსმა. — ერთი შეხედვით ისეთი ნივთია, რომ ხელი არ გინდა მოკიდო, მაგრამ მერე შენ ნაწილად იქცევა ხოლმე. ჯერ ზოგიერთი რამ უნდა გაიგო ამ სათამაშოს შესახებ, რომ მერე თავისუფლად შეგეძლოს მისი გამოყენება... — ფრანსის სუფთად გაპარსულ სახეს ღიმილი მოეფინა. ყოველნაირად მაგრძნობინებდა, რომ იგი ნაზიარები იყო ამ საიდუმლოს, მე კი ახალბედა ვიყავი. — აბა, მომისმინე ყურადღებით. ხომ ხედავ, ბელგიური წარმოების მარკაა „F N.“ ეს კი ნიშნავს „Fabrique Nationale“ ეს ნადირის ლეკვი ხერსტალიდანაა.

ფრანსი გამოთქვამდა ფრანგულ სიტყვებს, მაგრამ ისინი ფრანგულად კი არა, ჰოლანდიურად ეღერდნენ, და მე გავიფიქრე: ფრანგული არ იცი, მეგობარო-მეთქი. რატომღაც ამ ფაქტმა გამახარა. არაფერი მითქვამს და ყურადღებით ვუსმენდი, ის კი დაწვრილებით მაწვდიდა ზოგად ცნობებს ცეცხლმსროლელი იარაღების შესახებ: ძველებურ მსხვილყალიბიან რემინგტონებზე, რომლებსაც ინგლისელები პარაშუტებით აგდებდნენ: რა თქმა უნდა, იშვიათად, ჩვენთვის თავდადებული პოლიციის აგენტებისა და ინსპექტორების მიერ მოწოდებულ პოლიციელების იარაღებზე; საზღვაო პისტოლეტებზე, რომელთა ცნობა შეიძლება ასოებით „K. M“[1]; ისიც მითხ-

[1] Koninklijke Marine—სამეფო ფლოტი (ჰოლანდ.).

რა, თუ რა ძნელია ტყვიების შოვნა. მერე „F N“ რევოლვერის მოწყობილობის ახსნა დამიწყო. ყველაფერს საკმაოდ კარგად მიხსნიდა.. შევნიშნე, რომ ჭკვიანი კაცი იყო, და შეეძლო სხვასთან შეგუება, თუნდაც იმას წარმოდგენაც არ ჰქონოდა გარკვეულ საკითხზე. იგი ბავშვურ-ცბლად, მეგობრულად და არაჩვეულებრივად უბრალოდ, ყოველგვარი სიყალბის გარეშე ლაპარაკობდა. როგორც ჩანდა, უბრალოება მისი ბუნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო. ვგრძნობდი, რომ ჩემი სიმპათია მის მიმართ იზრდებოდა იმისდა მიხედვით, რამდენჯერაც, მისი მოთხოვნით, ვშლიდი და ვაწყობდი იარაღს. მაძლევდა მითითებებს, ისე თითქოს, დაავიწყდა, რომ თავისი თავისადმი პატივისცემის ჩაგონება უნდოდა და ჩემი მფარველის როლს ასრულებდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. რევოლვერის კიდევ ერთხელ აწყობაში დამეხმარა. რევოლვერი ხელში მქონდა ჩაბღუჯული. შევხედე ფრანსის კეთილ სახეს და ვკითხე:

— რომელ ორგანიზაციაში მოვხვდი და ვინა ხართ თქვენ?

სახე მაშინვე შეეცვალა. მოხრილ მუხლს ხელით დაეყრდნო, ჩემკენ დაიხარა და უცნაურად ყრუ და ყალბი ტონით ჩაილაპარაკა:

— ხანა ს., დაემშვიდობე ილუზიებს. არაფერი არ უნდა მოყვე, რაც აქ მოხდა. მე წინააღმდეგობის მებრძოლი არა ვარ. გერმანელთა დაზვერვის მუშაკი ვარ. შენმა ოინებმა, ბარათებთან და პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით, დიდი ხანია ჩვენი ყურადღება მიიპყრო. მე შენ გაპატიმრებ...

ვიცოდი, ყოველნაირად ვგრძნობდი, რომ მატყუებდა. იგი თამაშობდა, როგორც ყოვლად უნიჭო, უბადრუკი მსახიობი. არ დავიჯერე, მაგრამ მაინც წამოვეგე ანკესზე. მისი ცბიერი სიტყვები, ტყის მომწვანო დაისი, სიჩუმე — ყველაფერმა ამან დაძაბა ჩემი ნერვები. წამოვხტი და რევოლვერი მოვუქნიე. მან სწრაფად ამიკრა ხელი რევოლვერზე, რომელმაც წრე მოხაზა და გამხმარ წიწვებზე დავარდა.

მთელი სხეული ამიკანკალდა და დავიყვირე: „არა!“ — და გავიქეცი. გული გახეთქვაზე მქონდა. მინდოდა მეპოვნა ბილიკი, რომლითაც მოვედით. ალალბედზე გადავუხვიე ერთ დაკლაკნილ ბილიკზე. ირგვლივ ისე ჩამობნელდა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში ტყე გახშირებულიყოს. გავიგონე ფრანსის დაძახება:

— ხანა, თუ შეიძლება, ოინებს თავი დაანებე!

მის ხმაში შეშფოთება გაისმოდა. მაგრამ მე ამას აღარ ვაქცევდი ყურადღებას. არ ვიცოდი, მართლა მომატყუა ფრანსმა თუ თავიდანვე მოვტყუვდი მასში. სირბილს ვუმატე. უკან არ მომიხედია.

ფრანსის ყრუ და აჩქარებული ნაბიჯების ხმა თანდათან ჩამომრჩა. მან ისევ დამიძახა სახელი:

— ეშმაკმა დალახვროს! სადა ხარ? შეჩერდი! გეხუმრე!

მაგრამ ჩემ შეგნებამდე არ დადიოდა მისი ნათქვამი. მხოლოდ ერთი ვიცოდი, აღარ მსურდა მასთან რამე საქმე მქონოდა. საჭირო იყო ტყიდან გასვლა და ფრანსისგან თავის დაღწევა. ბილიკებს ვკვეთავდი, გზას ვიმოკლებდი, ალალბედზე მივიწევდი წინ. მალე მიწყდა ფრანსის ხმა. აღარავისთან შეხვედრას არ მოველოდი. უცებ, როცა წიწვნარის ხეივანში მივრბოდი, ჩემკენ მომავალი ორი მამაკაცი დავინახე, შემაჯრჯოლა და გავიფიქრე: ფრანსს არ მოვუტყუებივარ. „ესპანური მუხები“ გერმანელი მზვერავებით არის გაჭედილი და ფრანსმა თავისი ვაჟბატონები გამოგზავნა ჩემს დასაჭერად-მეთქი. ამ აზრმა ღონე წამართვა და შტერივით გავჩერდი შუა ხეივანში, სადაც ჩემკენ ორი მამაკაცი მოემართებოდა. ბედს დავემორჩილე და თვალები დავხუჭე, როცა თვალი გავახილე, ორივე მამაკაცი ჩემ გვერდით იდგა; მათ ძველი ქურთუკები ეცვათ. ერთს პერანგის საყელო გაეღელა.

— ხანა ხარ? — სწრაფად, ხმადაბლა მკითხა ერთ-ერთმა.

— დიახ, — ვუპასუხე მე, თითქოს სრულიად ბუნებრივი ამბავი იყო, რომ მან ჩემი სახელი იცოდა, მეორემ ჩუმად შეიგინა.

— სად არის ფრანსი, დალახვროს ეშმაკმა? ალბათ, ისევ მისი იდიოტური ოინია. — მან გზა განაგრძო, მეორე კი ჩემთან დარჩა.— ყველაფერი რიგზეა, — თქვა მან. — ფრანსმა, ალბათ, გერმანელთა დაზვერვის თანამშრომლად წარმოგიდგინათ თავი, არა?

თავი დავუქნიე. მაშინვე ვიგრძენი, რომ ნერვიულმა დაძაბულობამ მიკლო. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, რაც ძალიან ბუნებრივად ჩავთვალე.

— წავიდეთ, — მითხრა მან და კიდევ ერთხელ გაიმეორა, ყველაფერი რიგზეაო.

ხელი ჰქონდა დამსკდარი, მოკლე და ძლიერი — საიმედო. გზა განვაგრძეთ. მალე ფრანსი და მეორე ამხანაგი დავინახეთ, ჩვენ გველოდებოდნენ. როცა ფრანსმა დამინახა, აშკარად დაიბნა და განზრახ მიიღო დაუდევარი სახე. მერე ღიმილით მომიახლოვდა; — წამოეგე ანკესზე, არა?... ძალიან შეგეშინდა?

— რა თქმა უნდა, შემეშინდა, — ვუპასუხე მე. — ესე იგი, შენ ყოველთვის ასე ხვდები ახალ ამხანაგებს?

მან ჩუმად და დარცხვენილად გაიცინა. ამხანაგები კი იდგნენ და ხან მე მიყურებდნენ, ხან ფრანსს.

მამაკაცმა, რომელსაც ჩემთვის ჰქონდა ხელი ჩაკიდებული, გამიშვა და დინჯად ჩაილაპარაკა:

— ეს ხომ ქალიშვილია, ფრანს, შეიძლებოდა, ცოტა ფრთხილად მოქცეოდი.

— არაფერია, — თქვა ფრანსმა. — უნდა შეეძლოს საფრთხის თავიდან აცილება. — ჩემკენ მობრუნდა და განაგრძო: — მას კარგად ესმის, რომ ცუდი განზრახვა არ მქონია.

ხმა არ ამომიღია. მეორე მუშა აღშფოთებით შეეპასუხა ფრანსს:

— კარგი ცურვა ვერაფრით ვერ ვისწავლე, იმიტომ რომ მამაჩემს ჩვეულებად ჰქონდა მოულოდნელად გადავეგდეთ ხოლმე ბავშვები წყალში. როცა პატარები ვიყავით. მას ეგონა, ასე უფრო მალე ვისწავლიდით ცურვას. მაგრამ მას შემდეგ საერთოდ დავკარგე ცურვის სურვილი.

ვიდრე იგი ლაპარაკობდა, ჩვენ მივდიოდით, მეტყევის სახლში კი არა, როგორც მე მეგონა, არამედ სხვაგან, ფრანსი უცებ შეჩერდა და მკვახედ ჰკითხა:

— ება, რა კავშირი აქვს ამასთან შენს ცურვას?

მუშამ აუჩქარებლად უპასუხა:

— კარგად დაფიქრდი... შენი მეთოდი ძალიან ახირებულია, ზუსტად მამაჩემისას ჰგავს.

გზა განვაგრძეთ. ფრანსი წინ მიდიოდა, მე კი ორი მუშა მომყვებოდა აქეთ-იქით. შიშმა გამიარა ორი ამხანაგის შეხვედრის წყალობით.

— სად მივდივართ? — ვიკითხე მე. ჩემი მგზავრების დუმილი მაწუხებდა.

— შტაბში, — უკან მოუხედავად, მოკლედ მიპასუხა ფრანსმა.

ჩემამდე უკვე აღწევდა დიდი სატრანსპორტო არტერიის სუსტი ხმაური; მანქანების საყვირები, ტრამვაის ზარის ხმები; უცნაური იყო მათი გაგონება აქ, ტყეში, რომელიც ზღვასავით ხმაურობდა, ხეთა ტოტების ნელი რხევის გამო.

— რულანტ, წამოიღე მისი ველოსიპედი, მეტყევის სახლთანაა, — კვლავ მოკლედ გასცა განკარგულება ფრანსმა.

მუშა, რომელიც პირველად მომყვებოდა, ველოსიპედისათვის წავიდა, ჩვენ სამმა კი გზა განვაგრძეთ.

სიტყვა „შტაბი“ ჩემში რაღაც უცნაურ და საკმაოდ ბუნდოვან წარმოდგენას ბადებდა. თითქოს იგი უნდა ყოფილიყო მიტოვებული ქოხმახი, ნახევრად დანგრეული ფარდული, მეტყევის სახლი. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ არც ერთი არ ემთხვეოდა სინამდვილეს. დაისის ბინდში გახვეული ხეხილის ბაღების, ბოსტნებისა და მესრების გვერდით მივდიოდით და ბაღში შესასვლელი ხის კუტიკარის წინ შევჩერდით. ფრანსმა ფეხი ჰკრა კარს და გააღო. ხრეშმოყრილი გზით სახლისაკენ წავედით. ჩემ წინ, ცხელ, საღამოს გამქრქალებულ ოქროსფერ ბინდში აღმართულიყო ძველებური, ბატონის სახლი — განიერი ფანჯრები, ხის დარაბები, გადმოხურული წინგარდა და სვეტები, რომლებზეც გარეული ვაზი იყო შემოხვეული. წყალსადენი ღარის გვერდით, სახურავზე ორი მერცხალი ჭიკჭიკებდა. იდილია!

ფრანსმა უკანა კარი ჩუმად გააღო და ჩუმადვე გაიწმინდა ფეხები. ჭილოფის ხრაშუნი გავიგონე და ფრანსს მივბაძე, თუმცა ტყეში სიარულისგან ჩემი ფეხსაცმლის ძირები გასრიალებულიყო. ასეთმა, ყოველდღიურმა, თითქმის მეშჩანურმა აქტმა, როგორიც ფეხის გაწმენდა იყო, გამიფანტა რომანტიკული შთაბეჭდილება, რაც ჩემზე სახლის პირველად დანახვამ მოახდინა.

ფრანსმა მეორე კარი გააღო — დერეფანში შესასვლელი, მერე მესამე და შევედით ოთახში, სადაც შავ-ქსოვილშემოფარებული ლამპა ეკიდა. კარებში გავჩერდი. მაშინვე შევამჩნიე, რომ ოთახი პაპიროსის ბოლით იყო სავსე. — კინაღამ დავიხრჩვი. ისეთი ჰაერი იდგა, თითქოს ფანჯარა არასოდეს გაუღიათო. ირგვლივ მიმოვიხედე. ოთახი მოუვლელი იყო, ავეჯი თითქმის არ იდგა. კუთხეებში ბნელოდა, მაგრამ ოთახში რაღაც მკაცრი სიმყუდროვე გამეფებულიყო. შუაში იდგა დიდი, მრგვალი მაგიდა, რომელსაც თითქმის იატაკამდე ფარავდა სუფრა. მაგიდაზე საფერფლეები და გაზეთები ეწყო. კედელთან ტყავგადაკრული ორი დივანი იდგა. ერთ-ერთ მათგანზე ორი უპიჯაკო მამაკაცი იჯდა. მათ ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს ყურება. ფრანსი დაწინაურდა, მერე ხელით მანიშნა მასთან მივსულიყავი. მე მივედი. მამაკაცები წამოდგნენ.

— ეს არის ხანა, რომელზედაც გელაპარაკებოდით, — თქვა ფრანსმა რაღაცნაირი ჩახლეჩილი ხმით, თითქოს იგი უხერხულად გრძნობდა თავს. — ხანა, ეს ჩვენი ბიჭები — ედი და იანი.

ედიმ და იანმა ხელი ჩამომართვეს. ისინი ოცდაათი-ოცდაცამეტი წლისანი იქნებოდნენ, ისევე, როგორც გზაში გაცნობილი მუშე-

ბი. თბილად გამიღიმეს, თავი დამიკრეს, მერე ისევ დასხდნენ დივანზე და ყურება დამიწყეს. როგორც ჩანდა, მიჩვეული არ იყვნენ აქ ქალიშვილის ნახვას. მათი მზერა არ მეუხერხულებოდა. ერთმა ფეხით გამოწია ჩემკენ ჩალის სავარძელი, რომელზეც გაცვეთილი ბალიშები ეწყო. დავჯექი და ფრანსს შევხედე. ვამჩნევდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის. პიჯაკი გაიხადა და მაგიდას მიუჯდა.

— ჰმ, დიახ, — ჩაილაპარაკა მან, თითქოს მიხვდა, რომ მისგან ახსნა-განმარტებას მოველოდი. — ჩვენ აქ ვცხოვრობთ. როდისმე გაგიგონია მხატვარ ფილიპე მოონენის სახელი?

ვუთხარი, გამიგონია-მეთქი. მოონენის სახელი კარგად იყო ცნობილი ჰარლემში. ისიც ვიცოდი, რომ გარდა ჰარლემისა, სხვაგანაც კარგად იცნობდნენ მას. ომამდე ხშირად მინახავს ამსტერდამში აფიშები, რომლებიც ამ მხატვრის შემოქმედების გამოფენის გახსნას იუწყებოდნენ.

— ეს მისი სახლია, — მითხრა ფრანსმა. — თვითონ ზემოთ ცხოვრობს. სახლის ქვედა სართული ჩვენ დაგვითმო, მამაცი კაცია.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მუშა, რომელსაც იოხანს ეძახდნენ. შემომხედა და თავი დამიკრა, იანმა თამბაქო გაახვია და გამომიწოდა „თითქმის გამზადებული", როგორც მან თქვა: მხოლოდ ქაღალდის დასველება და დაკრობა იყო საჭირო. იოხანმა ასანთი ამინთო. მათი თავაზიანობა მსიამოვნებდა.

— ზევით სინათლე მოაწესრიგეთ? — იკითხა ფრანსმა. მის ხმაში იგრძნობოდა სიხარული, ცოტა ხნით მაინც უფრო წვრილმან საზრუნავზე რომ გადაჰქონდა ყურადღება. იოხანმა თავი დაუქნია. სიჩუმე გამეფდა. ისმოდა, როგორ ტიკტიკებდა მაღვიძარა, რომელიც ოთახის კუთხეში შავ, საძაგლად ნაკეთებ კამოდზე იდო.

— ვინ არის აქ უფროსი და რა ორგანიზაციაა ეს? — ვიკითხე მე.

ფრანსმა, როგორც იქნა, ისევ გაბედა ჩემთვის პირდაპირ შემოხედვა:

— ჩვენი ორგანიზაცია წინააღმდეგობის საბჭოს ორგანიზაციაა, —მიპასუხა მან. — უფროსი კი მე ვარ.

ასეც ვფიქრობდი. სხვები ხმას არ იღებდნენ და ცნობისმოყვარეობით შემომყურებდნენ. ცოტა შევიცადე და ვიკითხე:

— რა სამუშაო მელის?

ფრანსმა ყველას მოავლო თვალი, მაგრამ ვიდრე პასუხის თქმას მოასწრებდა, კარი გაიღო და ოთახში რულანტი შემოვიდა. მხოლოდ აქ შევათვალიერე იგი კარგად. ლამპის სინათლეზე უფრო მომეწონა, ვიდრე ტყეში, სადაც „მხსნელად" მომევლინა. მხარბეჭიანი ქე-

რა მამაკაცი იყო, პერანგის სახელოები აეკაპიწებინა და საყელო გაეღელა, საიდანაც ღონიერი კისერი უჩანდა. ფართო სახეზე მონაცრისფრო-ცისფერი თვალები და ოდნავ ამობურცული ტუჩები ჰქონდა.

— შენი ველოსიპედი ფარდულშია, — მითხრა მან, ისე, თითქოს ძველი ნაცნობები ვიყავით. მას მადლობის გამომხატველი მზერა შევავლე. რულანტმა სხვებს გადაავლო თვალი და ბრაზისგან ტუჩებთან ნაოჭი გაუჩნდა.

— ბიჭებო, — წარმოთქვა მან, როგორც იქნა, და ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო. — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაღაც უნდა ვთქვა ჩვენს უფროსზე, სხვანაირად არ შემიძლია...

სიტყვა „უფროსი“ მან ოდნავი მახვილით, სხვა სიტყვებზე უფრო მკვეთრად წარმოთქვა. ფრანსი მისკენ შეტრიალდა. იოხანი იღიმებოდა. დანარჩენები გაკვირვებით მიაჩერდნენ რულანტს.

— რულანტ! — წამოიყვირა ფრანსმა და ხელისგული მაგიდას დაჰკრა. ამ შეყვირებით მას რულანტის გაჩუმება უნდოდა.

— ძალიან ვწუხვარ, — ისევ წამოიწყო რულანტმა. — მაგრამ ამხანაგებმა ეს უნდა იცოდნენ, ფრანს. შენი მხრივ ეს უნამუსობაა...

რულანტი ედისა და იანისკენ მიბრუნდა.

— ფრანსმა ტყეში საშინლად შეაშინა ჩვენი ახალი ამხანაგი, როგორც ერთ დროს ტინკა. რა უთხრა ხანას, არ ვიცი. იქნებ გესტაპოელი ვარო, უთხრა, ან კიდევ მამული სავსეა გერმანელებითო, იქნებ კიდევ სხვა რამეც მოიფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ხანამ მოკურცხლა. ბედზე ჩვენ შევხვდით: ახლა ყველაფერი რიგზეა.

ფრანსი, რომელიც მაგიდასთან, რულანტის პირდაპირ იჯდა, ადგა. ახლა ორივენი ფეხზე იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ. ფრანსს კეთილი, ოდნავ თვითკმაყოფილი სახე მოეღრუბლა.

— შენ ისევ შენსას განაგრძობ? — მკაცრად თქვა მან. — ასე ამტკიცებ უფროსის ავტორიტეტს?

ვხედავდი, ედი და იანი როგორი დაძაბული ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ხან ფრანსს და ხან რულანტს. კუთხეში მიმჯდარი იოხანი ისევ წამოდგა.

— დიახ, ასეა, — თქვა მან, — ჩვენ არ ვეხებით უფროსის ავტორიტეტს, რამდენადაც იგი უფროსია, მაგრამ არსებობს აგრეთვე ურთიერთმეგობრული ნდობა, რომელიც არავინ არ უნდა დაარღვიოს. რულანტი მართალია და სულაც არ არის საჭირო მისთვის პირში ბურთის ჩაჩრა. კარგია, რომ ამას ვამბობთ ახლა, როცა ხანაც აქ არის. ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. ხანა ჩვენი ორგანიზაციის წევრია და შენ მას არ მოექეცი ამხანაგურად.

საქმე იმაშია, რომ ეს ჩვენ ყველას გვეხება, შენ პირობა დადევი, ალარ გაგემეორებინა შენი ოინები. რას იფიქრებს ხანა ჩვენზე?

ფრანსმა მუშტები შეკუმშა, მერე ნაძალადევი დაუდევრობით გაიცინა და მივხვდი, რომ იგი თავის დანაშაულს აღიარებდა.

— ღმერთმა შეგინდოთ! — თქვა მან. — რას ჩხუბობთ რაღაც უმნიშვნელო რამეზე? რა მოხდა, თუ ცოტათი გადავაჭარბე? ყველაფერი ხომ რიგზეა, ხანას შიშმა კარგა ხანია გაუარა. სწორი არ არის, ხანა?

უხერხულობა დავძლიე და სასწრაფოდ ვთქვი:

— მოდით, დავივიწყოთ ეს ამბავი... ფრანსზე ნაწყენი არა ვარ... ვგრძნობ, რატომ მოხდა ეს ამბავი.... მხოლოდ მრცხვენია, რომ ასე ავყეევი. უფრო გონივრულად უნდა მოვქცეულიყავი.

რულანტმა თავისი ნაცრისფერი თვალები მომაპყრო და მითხრა:

— მიხარია, რომ ყველაფერს ასე აღიქვამ. კარგი დერიტა გაქვს.

ფრანსმაც შემომხედა, მის თვალებში გულახდილი მადლობა და მეგობრული დამოკიდებულება ამოვიკითხე.

— ხანა წინადადებას იძლევა დავივიწყოთ ყველაფერი, — თქვა მან. — რაკი ასეა, ყოჩაღ, ქალიშვილო. ამრიგად, დავივიწყოთ...

ხმა შეეცვალა, მასში ახლა მორჩილება ჟღერდა, რასაც არასგზით არ მოველოდი. ბოლოს, დარცხვენილად გაიცინა:

— დიახ, ხანდახან სისულელე წამომივლის ხოლმე... პატიებას გთხოვ, ხანა, — გაჭირვებით დასძინა მან, თითქოს ეს ფრაზა ყელში გაეჩხირაო. — თავიდანვე ნდობით განვიმსჭვალე შენ მიმართ, შენც მენდე.

— ო კეი, — ვუთხარი მე.

მომეჩვენა, რომ დივანზე მჯდომმა ედიმ და იანმა შვებით ამოისუნთქეს. რულანტის მოჩვენებითმა სიმშვიდემაც დაკარგა ძალა. იგი მაგიდასთან მივიდა, ფრანსის პირდაპირ დაჯდა და თამბაქოიანი თუნუქა დაიდგა წინ. საქმის კარგად შემობრუნებით გახარებული კუთხეში მჯდომი იოხანი იცინოდა. გავიგონე, როგორ გააღო მან კარადის კარი, ააწკარუნა შუშის ჭურჭელი და მერე მაგიდაზე დაგვიდგა რამდენიმე ბოთლი ლუდი.

ომისდროინდელი წყალწყალა ლუდის დალევამ გამომაცოცხლა. სულ სამი ჭიქა გვქონდა. აქამდე არასოდეს ვმჯდარვარ ხუთ მამაკაცთან და ლუდი არ მისვამს საერთო ჭიქიდან. ეს ჩემთვის ახალი ამბავიც იყო, ბუნებრივადაც მეჩვენებოდა და ამან დამაძლევინა ბორიდება, რომელიც ჩემს სიტყვებსა და მოქმედებაში მუდამ

მეღავნდებოდა. ვგრძნობდი, რომ სწრაფად ვუახლოვდებოდით ერთმანეთს.

ფრანსმა თვითონ გამომაცილა ქალაქისკენ ღამით მიმავალი. გულით უნდოდა თავისი სულელური ნამოქმედარის გაქარწყლება და ძალიან თავისუფლად და ამხანაგურად მექცეოდა. უამრავ კარგ რჩევას მაძლევდა, მაფრთხილებდა, სად როგორი სასიარულო იყო, რომ ველოსიპედს არაფერი გამოსდებოდა. სამჯერ შემეკითხა კიდევ, მივიდოდი თუ არა სროლის შესასწავლად და სამჯერვე დავუდასტურე. რომ აღარაფრით აღარ შევაშინებინებდი თავს. როცა ქალაქს მივუახლოვდით, მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ფრანსმა დაბრუნება. იგი ჩემი ველოსიპედის სახელურზე დაყრდნობილი იდგა.

— მართლა, არ დაგვავიწყდეს, — თქვა მან. — კარგი, საიმედო პირადობის მოწმობა უნდა გიშოვოთ იმ დროისათვის, როცა ჩვენთან ერთად მოგიხდება საქმეზე წამოსვლა. ჯიბეში არასდროს არ ჩაიდო საკუთარი დოკუმენტები!

— გასაგებია, — ვუპასუხე მე. — ასეთ მოწმობას თვითონ ვიშოვი. ეს ჩემი ძველი ხელობაა.

მას გულიანად გაეცინა.

— მართლა შესანიშნავი ქალიშვილი ხარ, — თქვა მან. — მოხარული ვარ, ჩვენთან რომ მოხვედი!

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა იყო ჩემი უძილობა. ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ვფიქრობდი იმაზე, თურმე ბედნიერების სხვადასხვა სახე არსებობს-მეთქი. არის უდარდელი, ბავშვურად უზრუნველი ბედნიერება, ბედისწერის მოულოდნელი საჩუქარი, როცა ანგარიშმიუცემლად მღერის შენი გული — უბიწო ბედნიერება. არსებობს სხვაგვარი ბედნიერება, რომელიც სერიოზულობითაა აღსავსე, იგი ნაყოფია ცოდნისა და შეგნებული არჩევანის, რომელიც სიცოცხლის სახელით გმირობისაკენ ისწრაფვის. ვიწექი ჩემს პატარა ოთახში, გული სავსე მქონდა სერიოზული, ჩემ მიერ არჩეული და მიღწეული ბედნიერებით; ერთადერთი ბედნიერებით, რომელიც მე თვითონ შემეძლო და უფლებაც მქონდა მომეპოვებინა. მართალი რომ ვთქვა, ჩემი გული კი არ მღეროდა, არამედ მთელი არსება აღსავსე მქონდა კურთხეული, სასიხარულო, ახალი სულიერი კავშირის წინათგრძნობით იმ ხალხთან, რომელთა საქმესაც ვეზიარე.

წიგნი პირველ



ლაბირინთი

წინააღმდეგობის საბჭო.

ივლისში, კვირაში ორჯერ, საღამოობით დავდიოდი „ესპანური მუხების“ მამულში, სროლის შესასწავლად, ხანდახან შტაბს ჩავუვლიდი, რომელიც მთავარი გზატკეცილიდან მოშორებით იდგა: ხანაც ბოსტნებისა და ხილის ბაღების გავლით მიმავალ ბილიკს ვირჩევდი, რომელზედაც ჰარლემის ქალაქის პარკიდან გავდიოდი ან კი უფრო შორიდან შემოვუვლიდი, რომ მამულში მთავარი შესასვლელიდან შევსულიყავი, სადაც დიდი ქანდაკებები იდგნენ. სროლას კი მხოლოდ იმიტომ ვეგუებოდი, რომ ამ დროს ყოველთვის თან მდევდა ფიქრი: ჩემი მოვალეობა უნდა შეასრულო-მეთქი. სროლას უმთავრესად ფრანსი მასწავლიდა, ხანდახან კი რულანტი და იოხანიც. პირველად მაშინებდა სროლის ხმა, მაგრამ ჩემი ახალი მეგობრები, თითქოს არც კი აქცევდნენ ამ ამბავს ყურადღებას.

— მთავარ გზატკეცილზე ხმაურია, — მეუბნებოდნენ ისინი.— კიდეც რომ ვინმემ გაიგოს სროლის ხმა, იფიქრებენ, მეტყველე ისვრისო.

სროლას უფრო მალე შევეჩვიე. ვიდრე მოველოდი. უცნაური შეგრძნება გამიჩნდა: თითქოს რევოლვერი ჩემი ხელის მექანიკური დაბოლოება იყო, ხელი თავისუფლად პოულობდა სამიზნეს. სროლაში ყოველი ვარჯიშის შემდეგ. შტაბში, მოონენის სახლში ვიკრიბებოდით. თანდათან ჯგუფის თითქმის ყველა წევრი გავიცანი. მოონენი რამდენიმეჯერ ვნახე ბაღში: იგი მაღალ-მაღალი მამაკაცი იყო, რომელსაც კოპებიანი მელოტი თავი. ტუჩის კიდეებზე ნაოჭები, ენერგიული სახე, ჩაფიქრებული და ბავშვური ღია ცისფერი თვალები ჰქონდა: სიარულის დროს ფეხებს ოდნავ ითრევდა. როცა პირველად დამინახა, მის თვალებში გაკვირვებამ გაიელვა; მერე კი უხმოდ, თავაზიანად მითმობდა გზას, თითქოს საკუთარ სახლში

 სტუმრად იყო. ოჯახიანად მეორე სართულზე ცხოვრობდა. ხანდახან მავიწყდებოდა კიდეც მათი არსებობა

ამ დროისათვის წინააღმდეგობის ჯგუფი არცთუ ძალიან დიდი იყო. ფრანსი ხშირად ამბობდა, საჭიროა მისი რეორგანიზაციაო. მგონი, მისი დაარსებისთანავე რამდენიმე კაცი მოკლეს და დააპატიმრეს. ზოგიერთები სხვა ჯგუფებში გადაეყვანათ ანდა „გაეხსენებინათ", როგორც ისინი ამბობდნენ; რამდენიმე ადამიანს კი, რომლებსაც გაზაფხულზე დიეერსიაში მიეღოთ მონაწილეობა, ჯერჯერობით არ შეეძლოთ გამოჩენილიყვნენ, ამიტომ მათ მხოლოდ სახელებით ვიცნობდი.

ჯგუფი ძირითადად მუშებისაგან შესდგებოდა. იყვნენ ზეინკალი, ხურო, მებოსტნე, შოფერი, კონტორის თანამშრომელი და თერძი. ერთი ბაყალიც კი ერია, რომელმაც თავის ცოლს დაუტოვა დუქანი. იგი საერთოდ სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ აქ თავს შინაურულად გრძნობდა; ცხადია, მისი მომხმარებლები უბრალო ადამიანები იყვნენ.

პირველად, როცა სროლას ვსწავლობდი, ჩემთან არ ამბობდნენ, ამჟამად რა დავალებას ასრულებდნენ; შტაბში მოსვლის დროს ვამჩნევდი, რომ ხან ერთი,ხან მეორე ამხანაგი გვაკლდა. არ მიმალავდნენ, რომ ისინი დავალების შესასრულებლად იყვნენ წასული; მხოლოდ არ ამბობდნენ, სახელდობრ სად და რა დავალებაზე. მე კი ჩვეულად არ მქონდა მეკითხა ის, რისი განდობაც ჩემთვის საჭიროდ არ მიაჩნდათ.

საღამოობით შტაბში დიდხანს ვსაუბრობდით, ყველაზე მეტად — პოლიტიკაზე. ეს საუბრები არაფრით არ ჰგავდა მე და ტანიას საუბრებს. ამ ხალხისათვის პოლიტიკა არ იყო საქმე, რომელშიც სურვილისამებრ ჩაერეოდი ან არ ჩაერეოდი. აქ პოლიტიკა იყო ფაქტი. რეალური ამბავი, რომელშიც ყველა კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული, რომ სცოდნოდა, სად მიდიოდა იგი. ჯგუფის წევრები უსმენდნენ რადიომიმღებს, რომელიც ‘ძავ, უბადრუკ კამოდში იყო დამალული. კითხულობდნენ და განიხილავდნენ ყველა იატაკქვეშა გაზეთს. თვითონ წერდნენ და ჰექტოგრაფზე ამრავლებდნენ სააგიტაციო ფურცლებს, რომლებსაც დიდი რაოდენობით ვავრცელებდი ქალაქში. ძალზე მაოცებდა ის ამბავი, რომ ჩემს ამხანაგებს ყოველთვის შეეძლოთ ზუსტი პასუხის გაცემა, რა იყო კარგი და რა ცუდი, ან საეჭვო ჩვენი დიდი საქმისათვის. ისინი გადაწყვეტილებას ღებულობდნენ ღონისძიების საჭიროებისა და მნიშვნელობის გათვალისწინების შედეგად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მოქმედება პირველ ყოვლისა ხალხის სასარგებლო იქნებო-

და. ჩემს ამხანაგებს ყველაზე მეტად აღშფოთებდათ მოკავშირეების მიერ დაბომბვები, რომელთა შედეგად ხანდახან ჰოლანდიის ქალაქების მთელი კვარტალები ინგრეოდა. თუმცა მესმოდა, როგორ ოხრავდნენ ისინი ამ ამბავთან დაკავშირებით, მაგრამ მოკავშირეებს მიუტევებდნენ. სამაგიეროდ, სარკაზმულად ლაპარაკობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელთა და ამერიკელთა კომპანიაზე, მის მარცხზე და ხმელთაშუა ზღვის საომარ მოქმედებაზე. ჩემს გულუბრყვილო წარმოდგენაზე, რომელსაც ტანიაც იზიარებდა, იქ მეორე ფრონტი გაიხსნაო, ამხანაგებმა სიცილი დამაყარეს.

— აფრიკა — ჯერ კიდევ მეორე ფრონტი არაა, ხანა, — მითხრა ფრანსმა, — მხოლოდ ის კამპანია, რომელიც წითელ არმიას მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ძალას ჩამოაცილებს, იქნება მეორე ფრონტი. აღმოსავლეთში კიდევ არის გერმანელების ორასზე მეტი დივიზია... აფრიკის ამბები ფაშისტი მხეცისათვის მხოლოდ გვერდში ქინძისთავის ჩხვლეტაა; ის კი აუცილებლად უნდა განადგურდეს.

— მოკავშირეებში ბედი გვაქვს, — დამცინავად თქვა ერთხელ ედიმ. — ომამდე ჰიტლერი და მუსოლინი ინგლისელი კონსერვატორების უდიდესი იმედები იყვნენ.

მე შევედავე: ხომ ყველა ხედავს, რომ ამ ომში დიდი სიმამაცე და ენთუზიაზმი გამოავლინა ინგლისელმა ხალხმა.

სიცილი დამაყარეს, იოხანმა კი აღნიშნა:

— ძალიან კარგად თქვი: ინგლისელმა ხალხმა. მათ ბრძოლა უნდათ... ამის დაუფასებლობა ყოვლად შეუძლებელია. ხოლო მმართველობის საჭესთან მდგომი ვაჟბატონები? განა ისინიც ისევე თავდადებით ომობენ?

მივხვდი, რომ არსებობენ ამბები, რომლებიც არასოდეს მომსვლია აზრად, ისევე, როგორც იყო ამბები, რომლებიც სრულებით არ იცოდნენ ჩემმა ამხანაგებმა. მე გაცილებით მეტი ვიცოდი, ვიდრე ზოგიერთმა მათგანმა, მაგრამ აქ მივხვდი, რომ სულ სხვაა — იცოდე არაარსებითი და სულ სხვაა — იცოდე ნამდვილად მნიშვნელოვანი. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ჩემთვის უცხო და ბუნდოვანი. ვხედავდი, რომ მათ მიერ ადამიანების ცნობა და ცხოვრების ცოდნა უშუალოდ გამომდინარეობდა იმ პირობებიდან, რომელშიც თვითონ ცხოვრობდნენ. ფრანსს ახალგაზრდობაში მეტალურგიულ ქარხანაში უმუშავია. მერე პროფკავშირის მუშაკი გამხდარა (აი თურმე საიდან ჰქონია კარგი მიხაკისფერი კოსტიუმი, საყელო და გულდასმით გაკვანძული ჰალსტუხი-მეთქი, გავიფიქრე ცოტა არ იყოს დაცინვით). ტუბერკულოზით დაავადებული მისი ცოლი

ხილეგომში ნათესავებთან ეწვა. დროდადრო მიდიოდა მის სანახავად, საიდანაც ყოველთვის პირქუში და მდუმარე ბრუნდებოდა, მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ამოიღებდა ხოლმე ხმას; მას სიმამაცის გამოჩენის წყურვილი აიტანდა ხოლმე, მოთმინება არ ჰყოფნიდა, ვიდრე ახალ გეგმებს წამოაყენებდა განსახილველად; მათ შორის ორ-სამს ყოველთვის სრულიად ფანტასტიკურს. რულანტი კალატოზი იყო. ახალგაზრდობაშივე გამხდარა კომუნისტი. იგი არჩევნებზე მუნიციპალიტეტის წევრობის კანდიდატად წარმოაყენეს. მერე მიამბო, პირველად შემეშინდა ამ საქმისათვის ხელის მოკიდებაო. დაეხეტებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციებში, აღრიცხვაზე იყო შრომის ბირჟაზე; ჰქონდა პატარა სავაჭრო, მუშებთან საუბრებს ატარებდა, კუნძებს ძირკვავდა, მობილიზაციის დროს რულანტი როტერდამში მუშაობდა და დაბომბვას შეესწრო. როცა ამსტერდამში თებერვლის გაფიცვა მზადდებოდა, იგი ჰარლემის ქარხნებში მოწოდებებს ავრცელებდა, გერმანელთა დაზვერვა მასზე ნადირობდა და არალეგალურად დაიწყო მუშაობა. ერთ საღამოს, როცა ფრანსის მაგივრად რულანტი მიმაცილებდა სროლის გაკვეთილზე, მიამბო, რომ კინაღამ სისხლი ჩაექცა. როცა მასთან სახლში პარტიის ინსტრუქტორი მივიდა და უთხრა, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობის რიგებში გზავნიდნენ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. კაცს, რომელიც გარეგნულად უშიშრად და თავისთავში დარწმუნებულად გამოიყურება, ნუთუ შეიძლება შეეშინდეს? როგორც ჩანდა, შეამჩნია ჩემი გაკვირვება: ნაცრისფერი თვალები დაებინდა, ფართო ნიკაპს ისრესდა და დინჯად თქვა:

— ჰმ... წინათ არასოდეს არავინ მომიკლავს... ქათამიც კი არ დამიკლავს, უცებ ხელში მოგაჩეჩებენ ამისთანა „ზარბაზანს“ და გეუბნებიან: „ესროლე! ადამიანებს ესროლე!...“

— რა ადამიანები არიან ესენი? — შევეპასუხე მე.

— რა თქმა უნდა, ფაშისტები და სამშობლოს მოღალატე-არამზადები, რომლებმაც კარგა ხანია არსებობის უფლება დაკარგეს. მაგრამ აბა სცადე და ესროლე ცოცხალ არსებას, კოხტა ყმაწვილს, რომელიც არასოდეს გინახავს... იცი, ხანა, — სწრაფად დასძინა მან, — თუ ხელში ჩაგივარდა ვინმე, რომელიც გცემდა და გაწვალებდა, ანდა თუ შენ იცი, რომ მან რომელიმე შენი ამხანაგთაგანი დაიჭირა და აბუჩად აიგდო, ან კიდევ რამდენიმე თვე იჯექი საკონცენტრაციო ბანაკში და შენ თვითონ გამოსცადე, რას უშვებიან ისინი ადამიანებს... მაშინ უფრო იოლი საქმეა.

— რულანტ, ნუთუ ასე ძნელია წარმოიდგინო, ფაშისტები როგორ ექცევიან ადამიანებს? — ვკითხე მე.

მან ამოიოხრა, თან ძველი რევოლვერის სავაზნეს ატრიალებდა:

— მართალი გითხრა, ძალიან მიჭირს ამის წარმოდგენა. ყოველთვის მჭირდება საკუთარი თავის გაკიცხვა და მათი გახსენება, ვინც დაიღუპა ან სიკვდილით დასაჯეს...

— ჩემთვის ეს ასე არ არის, — ვუთხარი მე. — ზუსტად ვიცი, რატომ უნდა ვესროლო!

ფრანსი, რულანტი და ჯგუფის წევრების უმრავლესობა არასოდეს არ ლაპარაკობდნენ იმაზე, რასაც აკეთებდნენ. სულ სხვანაირად ეჭირა თავი ჰერლემერ მეერის ჰოლდერის მებოსტნის ვაჟს — იოხანს. ომამდე უმუშევართა ყოველგვარი კომიტეტების წევრი იყო და სოფლის მეურნეობის მუშების მრავალნაირ კამპანიას ხელმძღვანელობდა. იგი სიამოვნებით გვიზიარებდა თავის მოგონებებს.

— ედი, გახსოვს სატვირთო მატარებელზე მომხდარი ხანძარი? შენ, რულანტ, არ დაგვიწყნია თავდასხმა არდენჰაუტის საწყობზე, სადაც მთელი ნახევარი წლის სამყოფი საბრძოლო მასალა ჩავიგდეთ ხელში? გახსოვთ, ის ესესელი ოფიცერი, ქალაქის პარკში, რომელსაც ჰაიჰარად ვმარხავდით, იმიტომ, რომ შორს უკვე გამოჩნდნენ გერმანელები?

დანარჩენები ცდილობდნენ გაეჩუმებინათ ხან ხუმრობით, ხან უხეშადაც კი, ყველას ჰქონდა რაღაც საინტერესო მოსაყოლი თავისი ცხოვრებიდან. ყველას თავისი დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა. და მათზე თანდათან უფრო მეტს ვფიქრობდი, რამდენადაც მეტად ვუახლოვდებოდი. მეგონა, რომ იოხანს ასეთი მოგონებები ხელს უწყობდა დავალების შესრულებაში, ისევე როგორც რულანტი იგონებდა იმ ბანდიტების საზიზღარ ნამოქმედარს, რომლებიც მას უნდა მოეკლა. ზაფხულის მიწურულში ზუსტად ვიცოდი, ჯგუფის რომელი წევრი იყო კომუნისტი; ზოგიერთებმა თვითონ მითხრეს ეს ამბავი; ზოგიერთებმა კი, როდესაც რაიმე გეგმას ვიხილავდით, მსჯელობისას გამოამჟღავნეს, რომ კომუნისტები იყვნენ. სხვათა შორის, ჯგუფის ყველა მამაკაცს ერთი და იგივე განსაცდელი ჰქონდა გადატანილი — კრიზისის დღეები, კოლეინის[1] მთავრობის პოლიტიკა. შრომის ბირჟაზე სიარული, გაფიცვები, სამუშაოს ძებნა. გადაიტანეს ის პირქუში, მშფოთვარე წლები, რომლებმაც მათ ცხოვრების საუკეთესო, ახალგაზრდობის პერიოდი წაართვა; ისინი

---

[1] გ. კ ო ლ ე ი ნ ი (1869—1944) — ჰოლანდიელი საზოგადო მოღვაწე. პირწავარდმილი რეაქციონერი; პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის — პრემიერ-მინისტრი.

მგზნებარედ იგონებდნენ სახელებსა და ფაქტებს, რომლებისაც არაფერი გამეგებოდა. საუბარში ყველა მხურვალედ მონაწილეობდა. მათი საუბრებიდან გამოტანილი დასკვნა, რომელსაც ეთანხმებოდნენ კომუნისტები და არაკომუნისტები, ერთი იყო: ომის შემდეგ ცხოვრება სხვანაირი იქნებაო. იგი არ შეიძლება დარჩეს ისეთი, როგორც იყო — ყოველდღიური საზრუნავით, ქალებით, რომლებიც უდროოდ ბერდებოდნენ, როცა ხვალინდელი დღის იმედი არ ჰქონდა ადამიანს და ბრმა შემთხვევითობას უნდა დანდობოდა. მომავალი ცხოვრება უნდა იყოს ნამდვილი, ადამიანური. მოვისმინე, როგორ ლაპარაკობდა ამავეს სიტყვაძუნწი ბაყალიც კი; გამიკვირდა, რომ იგი მორწმუნე აღმოჩნდა, ოღონდ ისეთი მორწმუნე, რომელიც თავის რწმენას სხვებს არ ახვევს თავს. ყოველთვის მშვიდი, გულმოდგინე და გონიერი იყო; ასეთი წარმოდგენა მქონდა პირველ ქრისტიანებზე; რატომღაც „ადამიანის შვილს“ მეძახდა, — ხანდახან უცნაური აზრები მოსდიოდა ხოლმე. ასე მომმართავდა საზეიმო ვითარებაში, ხანდახან ისედაც. იგი ამბობდა: „ეს ადამიანის შვილი, ხანა, კარგად მოიქცა სახალხო შურისმაძიებლებს რომ მოაგნო“. ან მთხოვდა: „თუ შეიძლება, ერთი ჭიქა ჩაი დამისხი, ადამიანის შვილო“.

ბაყალის წყალობით ჩვენს ჯგუფს აქამდე კიდევ ჰქონდა მარაგი ჩაისა და ზოგიერთი პროდუქტისა, რასაც მოსახლეობა უმნიშვნელო რაოდენობით, ან სულაც არ ღებულობდა...

ხშირად მიკვირდა, ცხოვრებამ ეს ადამიანები — ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა — რატომ არ გახადა გულქვა ან ბოროტი. ყველას ახასიათებდა რაღაც აღმოუფხვრელი თვისება, რომელიც, ჩემი აზრით, მხოლოდ ახალგაზრდებისათვის იყო ნიშანდობლივი, რაც მათ საშუალებას აძლევდა იმედიანი თვალით ეცქირათ ადამიანებისა და საგნებისათვის. ჩემი ამხანაგები ხანდახან გამხიარულდებოდნენ, მაშინ ჩვენ შტაბში ვიცინოდით და ვმღეროდით კიდეც.

საკმაოდ მალე მივხვდი, რომ მხოლოდ ოკუპაციამ და წინააღმდეგობის მოძრაობამ როდი ასწავლა ამ ხალხს ასე ცხოვრება და ფიქრი. თუმცა შესაძლოა, მათი სიცოცხლე ახლა უფრო ნათელი და შინაარსიანი იყო ომამდელთან შედარებით. ისინი ხომ ყველანი იძულებული იყვნენ ებრძოლათ სიცოცხლისათვის; მათ ყოველთვის უხდებოდათ მავნე პირქარის გაპობა და წყალაღმა ცურვა. ისინი მართლაცდა უნდა გაოცებულიყვნენ და დაბნეულიყვნენ კიდეც, როცა მოულოდნელად შეწყვიტეს მათი ბრძოლა. ჩემ პირად ცხოვრებაზე ვფიქრობდი: მან ჩაიარა განსაკუთრებული ძვრების გარე-

შე, საფრთხისაგან ყოველმხრივ დაცულმა, — სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან უნივერსიტეტამდე; მეგონა, თითქოს ამ მრავალი წლის მანძილზე ცხოვრების შუა მორევში მივდიოდი მძინარე და გამოღვიძების თავი არ მქონდა.

ამაოდ მგზავრობა

მოულოდნელად ადასგან მივიღე ცნობა. ამჯერად ხედიანი ღია ბარათი და სასწრაფოდ გავეშურე ამსტერდამში. ადამ საშინელი ამბავი მაცნობა; რამაც დიდი ხნის ამბის უცოდინრობით გამოწვეული დაძაბულობა შეანელა, მაგრამ ახალი მტანჯველი მღელვარება აღმიძრა — ტანია ვესტერბორკის საკონცენტრაციო ბანაკში გაეგზავნათ.

ვდუმდი და გამალებული ვფიქრობდი, რის გაკეთება შეიძლებოდა ახლა ტანიასთვის. ეტყობა, ადამ შენიშნა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, და ნაღვლიანად გააქნია თავი.

— ვიცი, ძნელია, ხანა, მაგრამ რა გაეწყობა. ასეც იყო მოსალოდნელი...

წამოვდექი და ოთახში სიარული დავიწყე.

— არ შემიძლია ტანია ისე გავუშვა აქედან, რომ არაფერი გავაკეთო მისთვის. — მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ვაპატიებ ჩემ თავს...

შეფიქრიანებულმა ადამ მკითხა:

— რა მოიფიქრე? შეიარაღებული თავდასხმა?

ნაღვლიანად გავაქნიე თავი, კარგად ვიცოდი, რომ ამისათვის ჩემი ამხანაგების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება არ შემეძლო.

— არა, — ვუპასუხე მე. — არავითარი თავდასხმა... მხოლოდ მისი მძიმე ხვედრის შემსუბუქება მინდა... თუ ამას რამე სარგებლის მოტანა შეუძლია... აბა იფიქრე, რა მხეცური მოპყრობა ელის.

ადას, როგორც ჩანდა, ძალიან ეეჭვებოდა; ღირდა თუ არა ამის გაკეთება, მაგრამ არ მოითხოვდა მეთქვა, სახელდობრ რა მქონდა განზრახული.

სახლში, როგორც კი წარმოვთქვი სიტყვა „ვესტერბორკი“, ყველანი სულიერად დაეცნენ, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ვესტერბორკი შრომითი ბანაკი იყო ებრაელთათვის, საიდანაც როგორღაც მაინც შეიძლებოდა და-

ბრუნება. ახლა სიტყვა „ვესტერბორკი“ თითქოს ჯოჯოხეთის ჭიშკარზე ეწერა. ივდითი მთლად მოიკუნტა, თითქოს ტანიას ამბის გაგება მისი საკუთარი სუსტი არსებისათვის გამანადგურებელი დარტყმა იყო. მამა გულმოდგინედ წმენდდა სათვალის მინებს.

— რა ვიღონოთ? — იკითხა დედამ. იგი ყველაზე ადრე მოეგო გონს; როგორც ჩანდა მიხვდა, რომ გულხელდაკრეფილი ვერ დავჯდებოდი.

— ვესტერბორკში წავალ, — განვაცხადე მე. — ტანისამოსს, საპონს და ფულს წავუღებ. ციხეში ალბათ ჭუჭყმა შეჭამა და დამშეული იქნება.

— დარწმუნებული ხარ, რომ იქ პატიმრებისათვის გადასაცემს ღებულობენ? — მკითხა მამამ. მან ისევ გაიკეთა სათვალე და სევდიანად და პატივისცემით მიყურებდა.

— ყოველ შემთხვევაში, უნდა შევეცადო! — ვუპასუხე მე.

— თუ საჭიროა, მეც მოვდივარ შენთან ერთად, — მითხრა მამამ.

უარი ვერ ვუთხარი. მადლობელიც ვიყავი მისი. დანარჩენებმა ჩვენი გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღეს. მაშინვე შევუდექით ბარგის ჩალაგებას. მოვაგროვეთ ყველაფერი: შალის კაბები, ჩემი კარგად შენახული ყოველდღიური ფეხსაცმელი. დანაზოგი პროდუქტი. ტანიას ბარათი დავუწერე: „იყავი ძლიერი, მამაცი, მტკიცე. მწამს, რომ ყველაფერს გაუძლებ!“ არაფერი მიმიწერია საბედისწერო წინათგრძნობაზე, რომელიც დამეუფლა.

ჩვენი მგზავრობა ნამდვილი წამება იყო. სადგურზე ძალიან ადრე მივედით, მაგრამ მატარებლები უკვე გაჭედილი იყო. ვაგონებში საშინლად ცხელოდა; აქა-იქ ვჩერდებოდით და ლოდინი გულს გვიწვრილებდა: როგორც ჩანდა, სადმე რკინიგზის ხაზზე საჰაერო განგაშს აცხადებდნენ. ყოველ სადგურზე ვაგონებში შემოცვივდებოდნენ ხოლმე სიცხისაგან გატანჯული ხალხი. უფრო მეტი შემოდიოდა, ვიდრე გადიოდა. დრენტერში მიმავალ ავტობუსში როგორ ჩავსხედით, ახლაც ვერ წარმომიდგენია. მორჩილად მივყვებოდით ხალხის გაცოფებულ დინებას. მამას სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და საყელოზე ეცემოდა. აღფრთოვანებული ვიყავი მისი სიმტკიცით.

საკონცენტრაციო ბანაკი ბორცვიან, თითქმის იდილიურ ადგილზე იყო გაშენებული. ტირიფის ხეები და ნორჩი მუხნარი ნაწილობრივ ნიღბავდა ბანაკს. პურის ჯეჯილის მშვიდობიანი სანახაობის გვერდით, ადამიანის შრომის სასიხარულო სურათის ფონზე ყოველად შეუძლებელი იყო იმ საშინელებათა წარმოდგენა, რაც ხდე-

ბოდა მიუვალი ეკალხლართიანი ღობისა და პირქუშ შლაგბაუმის გადაღმა. დიდხანს ვემუდარებოდი გერმანელ გუშაგს. ქანცგაწყვეტილი მამა კი გზის პირას იჯდა და მელოდა. ბოლოს ჯარისკაცი მაინც წავიდა დაზვერვიდან ვინმეს მოსაყვანად. მოვიდა სამოქალაქო ტანისამოსით, მამაკაცი, რომელიც ჰოლანდიურ ენაზე ლაპარაკობდა. მას ვიწრო, უნებისყოფო სახე და ჰიტლერივით ულვაში ჰქონდა. ურცხვად შემათვალიერა თავით ფეხამდე, ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— თქვენ, ალბათ, უტიფარი გოგონა ხართ. მაგრამ მე ძალიან მიყვარს თავხედები, მით უმეტეს, თუ მათ ასეთი მშვენიერი წითური თმა აქვთ. ამიტომ ახლავე შევიტყობ კანცელარიაში.

ზურგი შევაქციე — აღარ შემეძლო მისი მძივივით წვრილი თვალების ყურება და ყალბი ხმის მოსმენა. ერთ საათზე მეტი გვალოდინა. როცა დაბრუნდა, შეგვატყობინა, ბანაკში ტანია არ არისო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა წავილუღლუღე, რომ, ალბათ, რაღაც შეცდომა არის-მეთქი. მაშინ მან განაცხადა, გერმანელთა ადმინისტრაცია არასოდეს ცდებაო, და ისევ გაიცინა თავისი ყალბი, ორაზროვანი სიცილით.

— ვერ გამიგია, შესახედავად ნამდვილი არიელი, ასე რატომ ცხარობთ ვიღაც ებრაელი გომბიოსათვის?

საფრთხე ვიგრძენი და მივხვდი, რომ აქაურობას დროულად უნდა გავცლოდი. სულიერად განადგურებული მე და მამა მძიმე შეკვრიანად უკან წამოვჩანჩალდით. როცა კარგა მანძილზე დავცილდით საძაგელ ბანაკს და საზიზღარი ჯაშუშის მხედველობის არედან შორს ვიყავით, თავი ვეღარ შევიკავე, მამას მხრებზე მივეყრდნე და გამოვიტირე ჩემი მომაკვდინებელი დაღლილობა და იმედგაცრუება: ტანია პოლონეთში გაგზავნეს!..

ძლივს მივასწარით უკანასკნელ მატარებელს. უკან მომავლებს უფრო გაგვიჭირდა მგზავრობა, თუ საერთოდ შეიძლება ამის წარმოდგენა, ოღონდ ახლა უფრო ნაკლებად ვგრძნობდი სივიწროვეს და სიცხეს, იმას რომ მუჯლუგუნებს მკრავდნენ, ჩემოდნებს მირტყამდნენ და ფეხს მადგამდნენ: ასე მეგონა, თითქოს შინაგანმა ყრუ ტკივილმა მჭიდროდ შეჯავშნა ჩემი სხეული-მეთქი.

ამერსფორტში, სადაც მატარებელი ღამე მივიდა, ბაქანზე უცნაური არეულობა და მღელვარება გამეფებულიყო. ეს არ იყო საკვანძო სადგურისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ჭყლეტა, როცა ყველა ცდილობს გაჭირვებით გაიკვლიოს გზა წინ და ბრძოლით მოიპოვოს დასადგომი ადგილი. ხალხი რაღაცას ყვიროდა,

ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ. თავდაპირველად ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. უცებ მამამ სახელოზე შემახო ხელი:

— გესმის, ხანა?

მამას სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მისი ხმა სულ სხვანაირად ჟღერდა, რაღაც დაბნეულად, მაგრამ ამავე დროს მასში სასიხარულო, თავდაჭერილი მღელვარება გაისმოდა. მივაყურე და გავიგონე ხმები, რომლებიც ჩემამდე ვაგონებიდან და ბაქანიდან აღწევდა. ადამიანები ერთმანეთს ახალ ამბავს უზიარებდნენ. ახალი ამბები ქარის მონაბერივით დროდადრო იჭრებოდა სადგურზე გაჩერებულ ჩვენს მატარებელში; მას ყველა თავისებურად იმეორებდა:

„...ამერიკელები სამხრეთ იტალიაში გადმოსხდნენ...“ „მუსოლინი მეფემ დაიჭირა!“ „მთელ იტალიაში ფაშიზმისა და ომის საწინააღმდეგო დემონტრაციები ტარდება!“

ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე, მამაჩემი როგორ ახსენებდა ღმერთს. მან ჩუმად წარმოთქვა:

— ყოვლისშემძლე ღმერთო, ეს რომ მართალი იქნებოდეს!...

მე კი ისე გატანჯული, თავზარდაცემული და დაბეჩავებული ვიყავი, რომ ჩემს გონებამდე ძლივს აღწევდა ამ წამოძახილების აზრი. მხოლოდ ის მაკვირვებდა, რომ ხალხი ახალი ამბების წამოყვირების დროს თავშეუკავებელ სიხარულს არ ფარავდა, ჩემდა უნებურად ირგვლივ მიმოვიხედე, სიბნელეში სადმე ხომ არ გამოჩნდებოდა სამხედრო ფორმიანი გერმანელი. მაგრამ ამდენ ხალხში, თითქოს, შეუძლებელი იყო ერთი გერმანელის ან გერმანელთა დამხმარე პოლიციაში მომუშავის ანდა ფაშისტი ვაჟბატონის მონახვა, თუ კიდევაც იყვნენ ისინი აქ, რატომღაც სრულ სიჩუმეს იცავდნენ. და მე ბუნდოვანმა ანგარიშმიუცემელმა აზრმა გამიელვა: აღმოსავლეთის ფრონტზე კი ისევ დგას ორასზე მეტი გერმანული დივიზია... და ტანია სადღაც პოლონეთისაკენ მიმავალ გზაზეა! სასოწარკვეთილმა მამას ხელი ვტაცე ხელში. მან ფრთხილად მომითათუნა ხელზე ხელი. ალბათ, ფიქრობდა, რომ ჩემი ცრემლები ნერვიული დაძაბულობის შენელებით და სიხარულით იყო გამოწვეული.

პირველი გზარი

მეორე დღეს შტაბში წავედი. თითქოს ყველა ჩვენი ამხანაგი მოვიდა. ისინი აღელვებულნი სიტყვაუხვნი იყვნენ. ლაპარაკობდნენ

მხოლოდ მუსოლინის განადგურებასა და იტალიაში ფაშისტური ორგანიზაციის დაშლაზე. საღამოს ცნობებმა მეტი ახალი ამბები მოიტანეს. შეიქმნა ახალი მთავრობა, მას სათავეში მარშალი ბადოლიო ჩაუდგა, რომელიც პირობას იძლეოდა; ომს განვაგრძობო. ჰიტლერმა მარშალს შესთავაზა, რომ ფაშიზმით იტალიელთა დასაშინებლად გაუგზავნიდა პოლიციელთა ჯარებს. მაგრამ ამ ღონისძიებას, როგორც ჩანდა, სასურველი მოქმედება არ მოჰყოლია. მთელ იტალიაში გრძელდებოდა დემონსტრაციები „ღერძის“ წინააღმდეგ და ზავის დასადებად. ამ ცნობამ ყველა ძალზე გაგვახარა. ამხანაგებმა არც დუჩეს მიმართ დაიშურეს სარკასტული შენიშვნები. ბოლოს მივხვდი, რაც ხდებოდა. წარმოვიდგინე მუსოლინი, ტრაბახა დესპოტი, რომელსაც რომაელი კეისრის ყვრიმალი ჰქონდა. წარმოვიდგინე ლაიპარის კუნძულებზე მათ მიერ დაარსებული საშინელი გამასწორებელი კოლონიები; უკვე მოხუც კაცს ვაჟიშვილი ომში მოუკლეს; რაც მთავარია, დუჩემ დაკარგა ის ერთადერთი რამ, რაც მას აინტერესებდა: ხელისუფლება! ზუსტად ისე, როგორც კლასიკურ ტრაგედიაში-მეთქი, გავიფიქრე, ბედმა მწარე ხვედრი არგუნა, ნემეზიდამ უწია ბოროტმოქმედს.

როცა ამხანაგებმა საკმაოდ გაქირდეს დამარცხებული მბრძანებელი, ფრანსმა, თითქოს საფლავზე წარმოთქვამს სიტყვასო, საზეიმო ტონით თქვა:

— ესეც მაგათ. ასე მოუვა მუშათა კლასის ყველა რენეგატს... დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, ამხანაგებო: „ღერძი“ მთლიანად დაინგრევა... უფრო მეტი უნდა იყოს ასეთი დარტყმები!

— და ჩქარა, — ჩაურთო ედიმ, — თორემ ინგლისელებს და ამერიკელებს დააგვიანდებათ. როგორც ებრაელების შველა დააგვიანდათ!..

აქამდე არც ერთი სიტყვა არ მითქვამს. მაგრამ, როგორც კი შესაძლებლობა გამოჩნდა, ფრანსს მივუჯექი და ფრთხილად ვკითხე:

— დრო აღარ დადგა, რომ მეც შევასრულო რაიმე დავალება?

მან გაოცებით შემომხედა, ოდნავ შეურაცხყოფილმა, თითქოს მხოლოდ მას ჰქონდა გადაწყვეტის უფლება. მერე მითხრა:

— ჯერჯერობით შეგიძლია მოგვეხმარო „დე ვაარხეიდის“ ბეჭდვასა და მის გავრცელებაში... თუ შეიძლება, ნუ ფიქრობ, რომ ეს საქმე სხვაზე უმნიშვნელოა.

ჩუმად ჩავილაპარაკე:

— მაშ, სროლა რისთვის ვისწავლე, ფრანს?

მან პირველად გაიცინა გულიანად, მაგრამ სრულიად სერიო-

ზულად, ხელი დამარტყა მხარზე, რომელიც მგზავრობის შემდეგ ისევ მტკიოდა:

— ნუ გეშინია, შენი ჯერიც მოვა... ჯერჯერობით ძალები უნდა დავზოგო. ჩვენი ჯგუფი ახლა ადრინდელივით დიდი აღარაა. ურეზერვოდ ხომ ვერ დავრჩები.

მერე თვითონ გამაცილა იქ, სადაც როტატორზე იბეჭდებოდა არალეგალური „დე ვაარხეიდი“. ეს იყო ჰარლემის ჩრდილოეთ რაიონში. როტატორს მუშის ძველი სახლის სხვენზე მალავდნენ, სხვენზე რომ ასულიყავი, უნდა აგეხადა საძვრენი და ხვრელზე კიბე მიგედგა. როტატორი რულანტმა და იანმა გასულ ზამთარს ფაშისტების შრომის ბირჟის კონტორიდან „მოიტაცეს“.

თითქმის ყოველთვის ჩვენი ჯგუფის რომელიმე წევრთან ერთად ვმუშაობდი; გაზეთის გავრცელებაში გვეხმარებოდა სახლის პატრონების გოგონა — ძალიან მხიარული, წითელლოყება. სულ ერთი-ორი წლით თუ იქნებოდა ჩემზე პატარა; მის გარდა გაზეთებს დაატარებდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა კაცი, რომლებიც თავიანთი ველოსიპედებით არხეინად დასეირნობდნენ მთელ ქალაქში, გატენილი ჩანთებით, ყველანი გულითადი, გაბედული ადამიანები იყვნენ.

იტალიიდან არეულ-დარეული, მაგრამ საიმედო ცნობები მოდიოდა. უკეთესი ცნობები იყო აღმოსავლეთის ფრონტიდან. სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ წითელ არმიას ასე ძლიერ და ასეთი წარმატებით იშვიათად თუ სადმე დაურტყამს ფაშისტებისათვის, როგორც დონეცის ფრონტზე, და ასე სწრაფად იშვიათად თუ სადმე წაუწევია წინ. იგი ათიათასობით ჰიტლერელ ჯარისკაცს ანადგურებდა. ყოველთვის, როცა შტაბში მივდიოდი, ვიგებდი, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენი ქვეყნიდან ისევ გაიგზავნა გერმანელი ჯარისკაცებით სავსე ეშელონი.

— და თანდათან უფრო და უფრო ახალგაზრდა ჯარისკაცებს აგზავნიან, — მითხრა ერთხელ რულანტმა. — დღეს მათ სადგურზე შევხვდი. შესახედავად თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისანი იყვნენ. ასეა თუ ისე. მაინც ძალიან მეცოდებიან. რამდენი გულუბრყვილო ბავშვი გაწირავს ნორჩ სიცოცხლეს, რომ საკუთარი სხეულით დაფაროს რღვეული, რომლის ლიკვიდირება შეუძლებელია. აღშურვილობის სიმძიმისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ...

— ვხედავ, უკვე დროა ძიძად დადგე სადმე, რულე, — შეუბრალებლად განაცხადა ედიმ.

რულანტს შევხედე. სავსებით ვეთანხმებოდი მას და მეგონა, ახლა კი იფეთქებს-მეთქი. მაგრამ იგი მშვიდად იჯდა და ერთმანე-

თისათვის გადაეჭდო კალატოზის მოკლე-მოკლე ძლიერი ხელების თითები.

— მე იმაზე ვფიქრობდი, — თქვა მან და ყურადღება არ მიუქცევია ედის გესლიანი შენიშვნისათვის, — რომ ჩემ უფროს ბიჭს ორი წლის შემდეგ თექვსმეტი შეუსრულდება... მე ვნახე ის ბავშვები. სახეებზე სიკვდილის შიში აღბეჭდოდათ.,

— ჰოდა, ძალიან კარგია, — ჩაერია ლაპარაკში იოხანი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო ჩვენ ჯგუფში და ჯერ ცოლ-შვილი არ ჰყავდა.

— დე, გაკვეთილი იყოს ეს მათთვის. სულაც არ მებრალებიან ეგ არამზადები. გერმანელმა ხალხმაც მიბაძოს იტალიელებს და უარი თქვას ომზე.

— უნდა გაანადგურო ეს მამაძაღლები! — შეჰყვირა ზეინკალმა ტომმა.

ფრანსი ჩაერია და საუბარი მოათავა:

— არსებობს ორი ამბავი, მეგობრებო, მათ შორის გერმანიაშიც, მიუხედავად ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ: ერთნი — ჰიტლერები და მათი დამქაშები, მეორე კი — გერმანელი ხალხი. იცით, რა თქვა სტალინმა: „...ჰიტლერები მოდიან და მიდიან. ხოლო გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი — რჩება“.

ამხანაგებს გადავხედე. რაღაც ჩაიბურტყუნეს და გაჩუმდნენ.

ყოველღამე, დაბნელებისთანავე ინგლისის ავიაციის ძრავების ყურთასმენის წამღები გუგუნი ისმოდა. ყოველღამ ტკაცუნებდნენ და საწყალობლად ოხრავდნენ საზენიტო ზარბაზნები. ჰამბურგი დანგრეული იყო. მისი მცხოვრებნი, როგორც გადმოსცემდნენ, მასობრივად ტოვებდნენ ქალაქს. ბერლინის ევაკუაცია, თითქოს დროს უცდიდა. მუსოლინის დამარცხებამ ავსტრიაში მღელვარება გამოიწვია. გერმანიის ვერმახტში მომუშავე ავსტრიელი ჯარისკაცები უცებ საეჭვონი გახდნენ, როგორც გერმანიისათვის საშიში მტრები და შეთქმულნი. ხან აქ, ხან იქ ავსტრიელთა ასეულებს შლიდნენ და ჯარისკაცებს ჯარის სხვადასხვა შენაერთებში ანაწილებდნენ. ამ ზაფხულს მღელვარება მოედო იმ ქვეყნებსაც, საიდანაც არაფერი ისმოდა წინააღმდეგობის მოძრაობაზე; დანიაში გაფიცვები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჰოლანდიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში აეკრძალათ მგზავრობა იმათ, ვინც იქაური მუდმივი მცხოვრები იყო. ამბობდნენ, რომ ფაშისტებს არ ჰქონდათ კარგი მდგომარეობა; გახშირდა თავდასხმები საწიგნაკო ბიუროებზე და პოლიციასა და ჟანდარმერიის შორის სამშობლოს მოღალატე მოხელეებზე. გავრცელდა ხმები, პოლიციამ თავისი რიგე-

ბის წმენდა ჩაატარა და მოღალატეები გაყარაო, და ნაცისტებს განზრახული აქვთ მალე ჩამოაყალიბონ ჰოლანდიელი პოლიციელი-პატრიოტებისათვის გამოსასწორებელი ბანაკებიო. გარდა ამისა, ყველამ იცოდა, რომ იმ პროვინციებში, სადაც მიმოსვლა აკრძალული იყო, უამრავი იატაკქვეშელები იყვნენ; რომლებსაც რეგულარულად უწყობდნენ ალყებს, მაგრამ რამდენადაც ვგებულობდით, ამ ამბავს, ხელშესახები შედეგი არ მოუცია: ამ პროვინციის მცხოვრებნი მოხერხებულად მალავდნენ მათ, ვისაც გერმანელები ეძებდნენ.

სექტემბრის დამდეგს მოხდა „ღერძის“ კრახი, რასაც ფრანსი წინასწარმეტყველებდა: იტალიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მისი ფლოტი მოკავშირეთა ნავსადგურისაკენ გაემართა.

გერმანული რადიოთი მოვისმინეთ ჰიტლერის სიტყვა, იგი ბნედიანივით ღრიალებდა, რომ „გადაგვარებული პლუტოკრატია“ ვერასდროს ვერ შესძლებს გერმანელი ხალხი ჩაითრიოს 25 ივლისის ამბების მაგვარ შეთქმულებაში, რომ ჰიტლერისათვის იტალია, სწორი რომ ვთქვათ, ყოველთვის ბორკილი იყო, და რომ იგი რაკი ამ ბორკილისაგან განთავისუფლდა, უფრო მეტი რწმენითა და აღფრთოვანებით იბრძოლებდა.

— სიკვდილამდე, ადრე და მალე სიკვდილამდე!.. — ხმამაღლა წაიმღერა ედიმ, თითქოს ოპერის მსახიობიაო, როცა მე ამხანაგებს გადავუთარგმნე ჰიტლერის სიტყვა. იმ საღამოს შტაბში ბევრი ვიხუმრეთ, ვიმღერეთ და ვიცინეთ.

სასოწარკვეთილების სიმამაცე

სწორედ სექტემბრის იმ საღამოს, როცა გავიგეთ, ესესელმა პარაშუტისტებმა მუსოლინი ციხიდან გამოიყვანეს და ფაშისტების მიერ დაკავებულ რაიონში გაიყვანესო, ვიღაცამ ტელეფონზე დამირეკა. მილი ავიღე; ქალის ხმა იყო, ოდნავ ჩახლეჩილი ან განზრახ დახშული — პირველად ვერ ვიცანი ხმა — რამდენჯერმე გაიმეორა ჩემი სახელი: „ხანა, ხანა ხარ?!“

— დიახ, მე ვარ... ვინ ლაპარაკობს?

კითხვის გამეორება საჭირო არ იყო: მაშინვე ვიცანი, ვინც მელაპარაკებოდა, თუმცა ეს წარმოუდგენელი იყო. ტელეფონის მილს მივწვდი და ყველას გასაგონად დავიყვირე:

— ეს ტანიაა!...

სასადილო ოთახში მსხდომი მამა, დედა და ივდითი მე შემოვესივნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რაში იყო საქმე. ვკანკალებდი. ხელები მიცახცახებდა, ხმა მიწყდებოდა:

— ტანია... სადა ხარ?

— კათოლიკების საავადმყოფოდან გირეკავ, — წარმოთქვა ჩახლეჩილმა, მაგრამ ძალიან ნაცნობმა ხმამ: ისე ნაღვლიანად ჟღერდა ეს ხმა, თითქოს საიქიოდან ისმისო. — ჩემთან მოსვლა შეგიძლია!?

— მოვალ, — სწრაფად ვუპასუხე, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ტელეფონით ნამდვილად ტანია მელაპარაკებოდა. წამიერად ისიც კი გავიფიქრე: პროვოკაცია, ხაფანგია-მეთქი. უცებ გამახსენდა ფერმკრთალი, უნებისყოფო ფიზიონომია, რომელსაც მძივივით თვალები ჰქონდა — გარკვეული ჯურის ადამიანთა ტიპიური წარმომადგენელი — მოღალატენი, რომლებსაც თავი მიყიდული აქვთ უცხოელებისათვის და ყოველგვარ სისაძაგლეს იყენებენ იმისათვის, რომ ადამიანი დაიჭირონ. მაგრამ ამ ფიქრმა მალე გამიარა და ადგილი დაუთმო სხვას: უნდა გავიგო, რა დაემართა ტანიას-მეთქი, მაშინვე შევჯექი ველოსიპედზე და წავედი.

ველოსიპედის სახელურზე დახრილი გიჟივით მივქროდი. საავადმყოფოს რომ მივუახლოვდი, სვლა შევანელე და ფრთხილად განვაგრძე გზა. საავადმყოფოს გრძელი შენობიდან ას მეტრზე ველოსიპედიდან ჩამოვედი და მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა. უცებ ტანია დავინახე. ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ტანია იყო. მანაც შემნიშნა და გაუბედავად ასწია ხელი. გული ისე მიცემდა, რომ სუნთქვა შემეკრა. მისკენ გავემართე და ისევ გამიელვა აზრმა: იქნებ მახეა-მეთქი?; ჰიტლერელმა ვაჟბატონებმა, ფაშისტთა დამხმარე პოლიციამ ტანია სატყუარად გამოიყენა. ჩასაფრებულნი არიან და როგორც კი გამოვჩნდები, დამიჭერენ. ტანიას ვანიშნე ჩემთან მოსულიყო. იგი გაუბედავი, მორჩილი და დაღლილი ნაბიჯით მოვიდა. საავადმყოფოს სადარბაზო შესასვლელს შევხედე. არავინ არ უთვალთვალებდა ტანიას. ველოსიპედი სახლის კედელზე მივაყუდე, ტანიასკენ წავედი და უხმოდ გადავეხვიე. რამდენიმე წუთით ბავშვივით მაგრად ჩამეხვია.

— ჩქარა, ჩქარა, — ვაჩქარებდი მას, — დაჯექი საბარგულზე.

საშინელი სიჩქარით გამოვქანდი შინისაკენ; ისე ვღელავდი, რომ ველოსიპედით ზიგზაგებს ვაკეთებდი.

გზაზე ხმა არ ამოგვიღია. სახლში უკანა ბილიკით მივედით, კარებიდან ბაღში შევედით. ტანია ოთახში შევაგდე და ფარდები

ჩამოვუშვი. დედა და ივდითი ტანიასკენ გამოქანდნენ, მაგრამ წუთით უხმოდ შეჩერდნენ, ისე საშინლად გამოიყურებოდა იგი, მერე გადაეხვივნენ. მამა მშრალად ახველებდა, რაღაცას ჩურჩულებდა, თავისთვის ბუტბუტებდა და ისევ ახველებდა. როცა ტანიასთან მისალმების ჯერი დაუდგა, მღელვარებისგან ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ დიდხანს ეჭირა მისი ხელი. იქვე ვიდექი და მამას და ტანიას შევყურებდი. მხოლოდ ახლა შევათვალიერე იგი წესიერად. მას თავისი წყალგაუვალი შავი ლაბადა ჰქონდა წამოხურული უცნაურ, ტომარის მაგვარ ბამბის ქსოვილის კაბაზე, რომელსაც ძალიან გრძელი ლიფი და კისერთან უშველებელი ამოჭრილი ჰქონდა. ფეხებზე შავი დიდი ფეხსაცმელი და უხეში, საზიზღარი ვარდისფერი წინდები ეცვა. ტანიას სიკოხტავის ნიშანწყალიც გამქრალიყო. მაგრამ ტანისამოსს კი არ შეეცვალა იგი: სახე ჰქონდა სულ სხვაგვარი. ლოყები ჩასცვენოდა, ქუთუთოები ჩალურჯებოდა, საფეთქლებზე ლურჯი ძარღვები ემჩნეოდა. სიმწრით მოკუმული პირი ძალიან მსხვილი უჩანდა; თვალებს დაჰკარგოდა ადრინდელი გულთბილი, სევდიანი გამომეტყველება — მათში საშინელება გაქვავებულიყო, ისინი სიმკაცრესა და რაღაცნაირ უიმედობას გამოხატავდნენ. იგი ირგვლივ იხედებოდა, ყველას გვათვალიერებდა. ეტყობოდა, თვითონაც არ სჯეროდა თავისი დაბრუნება. მამამ სკამი დაუდგა. მყუდროება პირველად დედამ დაარღვია:

— მშიერი ხარ? წყალი გინდა?

— ვიღუპები, — ჩაილაპარაკა ტანიამ, ისეთივე ჩახლეჩილი ხმით, როგორითაც ტელეფონით მელაპარაკებოდა.

დედამ პური, ჯემი და ჩაი მოუტანა. საშინელი საყურებელი იყო, როგორი სიხარბით, ნამდვილი ცხოველივით ყლაპავდა საჭმელს. დაღეჭვასაც ვერ ასწრებდა. მამა, დედა და ივდითი გვერდით ოთახში გავიდნენ. მინდოდა მეც მათ გავყოლოდი, მაგრამ ტანიამ მანიშნა, დარჩიო.

— მარტო ნუ დამტოვებ, — მითხრა მან.

ყველაფერი შეჭამა და ჩაი დალია. თვალები დახუჭა და სკამის საზურგეზე გადაწვა. ვიდრე გონს მოვიდოდა, უკვე ეძინა.

მთელი საღამო და ის ღამე ტანიას მონაყოლს ვუსმენდით. დედამ ერთად მოაგროვა მისი ტანისამოსი, რომელსაც ტილები ესია. ტანიამ შხაპი მიიღო და სუფთა ტანისამოსი ჩაიცვა. თავის ძველ კაბაში უფრო გამხდარი და პატარა ჩანდა. ხმა რამდენიმე დღე კიდევ ჰქონდა ჩახლეჩილი. მაგრამ შეუსვენებლივ, ჩქარა, სულმოუთქმელად გვიამბობდა. ნერვიული კანკალი, უმიზეზო სიცილი, მისი განსაკუთრებულად დაძაბული საუბარი, რაღაც ახალი, თავისებური,

სასოწარკვეთით გამოწვეული სიმამაცის მოკრებაზე მეტყველებდა. თითქოს ტანიას სულში მომწიფდა გადაწყვეტილება, რომელსაც ჯერ ვერ ჩავწვდომოდი.

ტანიამ დაიწყო „ხოლანდსე სხაუბურხის“ ციხის ამბების მოყოლა. იმაზე, თუ როგორ ეშინოდა პატიმრებით გაჭედილი საკნის და ათასნაირი საშინელების. გერმანელებმა მტაცებლობით დაიწყეს: პატიმრებს საათები, ბეჭდები, სამკაულები და ფულები ჩამოართვეს, უუთებში ჩააწყვეს და წაიღეს. მერე ჰიტლერელმა მომღიმარმა ვაუბატონებმა ჩხრეკა ჩაატარეს; კუთხეში მიმწყვდეულ ოცდაათ შიშველ ქალსა და ქალიშვილს უსირცხვილოდ უსინჯავდნენ სხეულს. პირველ ხანებში პატიმრებს ამაო იმედი ჰქონდათ, რომ საიდანღაც იქნებოდა ხსნა და გადარჩებოდნენ სიმყრალეს, ჭუჭყს, ლოცვებისა და ქვითინის ხმებს, მერე ყველაფერი სულ ერთი გახდა; ადამიანები აღარაფერს უჩიოდნენ, ეყარნენ იატაკზე და ეძინათ, ეხუტებოდნენ ჯერ კიდევ ცოცხალ სხვის სხეულს, მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ — დაევიწყნათ ყველაფერი. დღითი დღე ცნობისმოყვარეობა უჩლუნგდებოდათ ადამიანებს. აღარ აინტერესებდათ, ვინ მიდიოდა სამუდამოდ, ან ვინ ბრუნდებოდა უკან. დროდადრო ხდებოდა გულშემზარავი შეხვედრა ადამიანებისა, რომლებიც უკვე მიეჩვივნენ თავიანთ მდგომარეობას და ახლებისა, რომლებიც მალე ისევე ჩლუნგდებოდნენ, როგორც მათზე წინ მოსულები. გარკვეული ვადის გავლის შემდეგ ისინი ბანაკებში უნდა გაეგზავნათ, რისთვისაც ადამიანებს საქონელზე უხეშად ახარისხებდნენ: ერთმანეთს აშორებდნენ დედებს და შვილებს, და-ძმას, ცოლ-ქმარს. ტანიაც სხვებთან ერთად შეაგდეს სატვირთო მანქანაში, ბაქანზე გადმოსვეს და გინებით ჩასვეს მატარებელში, რომელიც დრენტეში მიდიოდა.

— მაინც ვესტერბორკში? — ჰკითხა მამამ.

ტანიამ მას შეხედა; მხოლოდ ახლა გაიგო, რომ მე და მამა საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავით მის სანახავად. ხმაჩახლეჩით გაიცინა და თქვა:

— ვიცოდი, რომ იქ გასაგზავნთა შორის ვიყავი აღნიშნული. ერთხელ კიდევაც დაიძახეს ჩემი გვარი. მაგრამ მერე ისევ დამტოვეს ადგილზე, არც კი ვიცი რატომ. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოაწია ჩემმა რიგმა. ჩვენ სამეთვალყურეოდ კუპეში ძალიან ახალგაზრდა ჰოლანდიელი პოლიციელი დაჯდა, იგი მეტად უხერხულად გრძნობდა თავს ამ დავალების გამო, არ იცოდა, როგორ უნდა მოგვქცეოდა. ხან ძალიან თავაზიანი იყო, ხან ყვირილს დაიწყებდა ხოლმე. ბანაკის შესახებ შეკითხვებს ვაძლევდით. თვითონ არასო-

დეს არ იყო ბანაკში ნამყოფი. ორი საათის მერე ისეთ დღეში ჩავარდა, მზად იყო თავი მოეკლა. მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი: ეს იყო ჩემი ხსნის ერთადერთი შესაძლებლობა. როცა ხოხეფენი გავიარეთ, ბინდდებოდა, უცებ მატარებელმა სვლა შეანელა. ავდექი და პოლიციელს ვუთხარი: „გამიღეთ კარი!“

მან გულუბრყვილოდ და დაბნეულად დამიწყო ყურება, თითქოს მისთვის მოულოდნელად გამერტყას სახეში. „გამიღეთ კარი-მეთქი“ — დავუყვირე მე. კუპეში მყოფმა ხალხმა ყვირილი დაიწყო, რომ ახლა თუ გადავხტებოდი, დავიმსხვრეოდი. მე გავიცინე და ვთქვი: „ხმა ჩაიწყვიტეთ! სულ ერთი არ არის, როდის ამომძვრება სული — ერთი თვით ადრე თუ გვიან...“ პოლიციელი გაუბედავად ადგა, თითქოს ის არ იყო ჩვენი უფროსი, მგონი, საშველად უნდა დაეძახა ვინმესთვის. ბეჭებში ჩავაფრინდი და ვუმეორებდი: „გამიღეთ კარი-მეთქი!“ მგონი, კიდეც შევიგინე. მატარებელმა სვლას უმატა. ვცადე კარი გამეღო, მაგრამ გასაღები პოლიციელს ჰქონდა, მან ხმის ამოუღებლად გააღო კარი; შუბლი მომაკვდავივით ოფლით დაეცვარა. ყველამ სული განაბა. როცა გადავხტი, ვიღაც ქალმა ცივი ხმით შეჰკივლა. ფერდობზე დავგორდი და თხრილში გავინაბე. მატარებელმა სვლას უმატა. სხეული მოვისინჯე: მოტეხილი არაფერი მქონდა. თხრილის მეორე მხარეს ამოვხოხდი. კაბა და ლაბადა არც გამიწურია და უცებ ისევ გავიგონე სასტვენის ხმა და ბორბლების ავის მომასწავებელი ჭრიალი: მატარებელი გაჩერდა. გაისმა ყვირილი, ყვიროდნენ გერმანულად და ჰოლანდიურად: „კაცი გადახტა! კაცი გაიქცაო!“ მე გავიქეცი. ნახნავში გავრბოდი, ბუჩქებში ვძვრებოდი. საბედნიეროდ ბინდდებოდა. წინ მივქროდი, ვეცემოდი, ვდგებოდი. ჯერ კიდევ მესმოდა ყვირილი. არ მახსოვს საიდან და რამდენჯერ მესროლეს. არც ერთი წუთით არ შევჩერებულვარ—მხოლოდ ფხვიერ სილაში თუ ჩავეფლობოდი და წავიქცეოდი. ხშირ, მაღალ ბუჩქებს შორის ბილიკი მიიკლაკნებოდა. იქით გადავუხვიე. მალე ხერგულს იქით გლეხის სახლი გამოჩნდა. ფანჯარაზე დავაკაკუნე. ვიღაც ქალმა გამოიხედა, როგორც კი დამინახა, მაშინვე მოხურა კარი და ურდულით გადაკეტა. ეზო გადავჭერი და მინდროზე გავედი. იმდენად დაბნელდა, რომ ყველა საგანმა დაკარგა ფერი და რუხად გამოიყურებოდა. შორიდან მომესმა, თითქოს მატარებელმა დაიქშინა და ადგილიდან დაიძრა. ფართო გზაზე გამოვედი. ადამიანის ჭაჭანება არსად იყო. მთვარე ამოვიდა და ყველაფერი საზიზღარი სინათლით გაანათა. ველზე არც ერთი მოსახლე არ იყო, მხოლოდ ძაღლის ყეფა ისმოდა საიდანღაც. მივაყურე და იმ მიმართულებით წავედი. ალბათ, რამდენიმე საათი გავიდა, ვიდ-

რე მეორე სახლს მივადგებოდი; ყეფა ხან მესმოდა, ხან დიდი ხნით წყდებოდა და ალალბედზე მივდიოდი. მაგრამ აი, ისევ აღმოვჩნდი ადამიანებში. როგორც ჩანდა, აქ ერთმანეთთან ახლოს ხუთი-ექვსი გლეხის ფერმა იყო. პირველსავე სახლში დავაკაკუნე, გლეხებმა მიმიღეს და საჭმელი მაჭამეს. ჩემი ტანისამოსი, ლაბადის გარდა, რომელიც ზედ შემშრობოდა, იქ დავტოვე; დიასახლისმა თავისი კაბა მომცა. მისი მისამართი ჩავიწერე. ძალიან მინდოდა ცოტა დამესვენა, მაგრამ იქ დარჩენა ვერ გავბედე. მთელი ღამე მივდიოდი. სახლის პატრონებმა ტყეზე სასიარულო გზა მასწავლეს, არასდროს მივლია ტყეში ღამით და, ალბათ, ვერასდროს გავბედავდი. ამჯერად კი იგი სამოთხედ მეჩვენებოდა, უშიშროების თვალსაზრსით, დილით უკვე მეპელში ვიყავი. ის იყო ინათა, რომ სადგურში მივედი. იქ სამხრეთისაკენ მიმავალი სატვირთო მატარებელი იდგა. ორთქლმავალი ორთქლს უშვებდა. პირველივე სამუხრუჭო ბაქანზე ავედი. მაშინვე დავიძინე. როცა მატარებელი დაიძრა, გამეღვიძა და ვულუვე ციცანი.

ამერსფორტში მატარებელი გაჩერდა დამხარისხებელ გზაზე. ლიანდაგებზე რკინიგზელი მუშების ჯგუფი მუშაობდა. ბაქნიდან ჩამოვძვერი და მათკენ გავემართე. მათ თვალები ისე დააჭყიტეს, თითქოს მოჩვენება ენახოთ. მოვუყევი, გადმოვხტი მატარებლიდან, რომელსაც ებრაელები მიჰყავდა და ჰარლემში უნდა წავიდე-მეთქი. მუშებმა ერთმანეთს გადახედეს და მკითხეს, მქონდა თუ არა ფული. ფული არ მქონდა. ერთმანეთში რაღაც იჩურჩულეს და ჯიბეების ჩხრეკა დაიწყეს. ცხრა გულდენი შეაგროვეს და მომცეს, ერთმა მუშამ ტერიტორიიდან ბაქანზე გამიყვანა. მერე წავიდა სალაროში და ბილეთი მომიტანა ჰარლემამდე: მას ორ გულდენამდე დარჩა და მე მომცა. აუცილებლად უნდა წამოვსულიყავი, თუნდაც მთელ გზებზე ჩემ გამო ჩხრეკა ყოფილიყო. არავითარი პირადობის მოწმობა არ მქონდა, მატარებელში საბუთების შემოწმება რომ ყოფილიყო. საბედნიეროდ, შემოწმება არ ყოფილა. ამსტერდამში ცისფერ ტრამვაიში ჩავჯექი. შუა ბაქანზე სკოლის მოწაფე გოგონები იდგნენ. მათ შორის ჩავდექი და ასე ვიმგზავრე ჰარლემამდე. და ახლა აქა ვარ, თქვენთან!

ტანია საკმაოდ უხეშად მიუბრუნდა ივდითს, რომელსაც ღაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ნუ ღრიალებ! — უთხრა მან. — შენც ცოცხალი ხარ, მეც, ჩვენ ყველანი. მე ვეცდები თავს ვუშველო.

თავზარდაცემული ივდითი, ცდილობდა მღელვარება შეეკავებინა და პირზე ცხვირსახოცი მიიფარა. არც ერთს არ ამოგვიღია

ხმა, გვიან მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა ტანია. მაგრამ იმ წუთებში აღფრთოვანებული ვიყავი ტანიათი, არა, უფრო სწორად ვშიშობდი მასზე, ვხედავდი, რომ მას თავდაცვის ბრმა გრძნობა ამოძრავებდა.

ახალი ნაცნობი

ერთხელ, ოქტომბრის დამდეგს, ჩაბნელებული ქალაქის გავლით, ჩვენს შტაბში მივდიოდი. ამ შემოდგომით შესანიშნავი ამინდი იდგა: ლაჟვარდისფრად ბრწყინავდა ზეცა, მზე სხვა დროსთან შედარებით, უფრო მეტად აცხუნებდა. მაგრამ ბრწყინვალე მადლს უკან სიკვდილი იმალებოდა. სექტემბრის ბოლო რიცხვებში ამსტერდამში სიკვდილით დასაჯეს ცხრამეტი ახალგაზრდა კომუნისტი, ცნობა მოათავსეს გაზეთებში — სათანადო აბდაუბდა აუცილებელი სარედაქციო კომენტარებით იმის შესახებ, რომ ოკუპანტების მოთმინების ფიალა აივსო. ამ საშინელ ცნობაზე ფიქრი თავიდან არ მომშორებია ამ დღეებში. ვიდრე მოონენის სახლამდე მივაღწევდი, ტანიას შესახებ მოსათათბირებლად, უკვე დაბინდდა. სიცხე უფრო დახუთული და შემაწუხებელი გახდა, როცა დაბნელდა და ყველაფერი თითქმის ერთმანეთს შეერწყა. აქა-იქ, შესახვევებში, უკუნეთ სიბნელეს ისე დაეღო ხახა, თითქოს იქვე იწყებოდა ქვესკნელი. ჩემ გვერდით მიდიოდნენ ხალხით გაჭედილი შუქშენიღბული უკანასკნელი ტრამვაები, კიბეებზედაც კი იდგა ხალხი. ვაგონები განათხარ ცხოველებს ჰგავდნენ, ლითონის თათებითა და ფოსფორისმფრქვევი თვალის ღრმულებით, და მიცოცავდნენ სახლების გვერდით, რომლებიც შეიძლებოდა გამომდგარიყვნენ მთის ფრიალო კლდეებად ან რომელიმე ციხის ყრუ კედლად. სიბნელეში გაისმოდა უჩინარი მგზავრების ფეხის ხმა, ხმადაბლა ზუზუნებდნენ ხელფანრები, ეგრეთ წოდებული „დინამიკები"; ადამიანები ხელს აჭერდნენ ბერკეტებს და ლანდივით ლურჯი სინათლე გაიელვებდა სიბნელეში. ირგვლივ ყველაფერი სასწაულებრივი და არარეალური იყო, თითქოს ბარბაროსთა დროს დავუბრუნდით, შუა საუკუნეებზე შორეულს. ტანიაზე შიში, ცხრამეტ დასჯილსა და დაწყებულ დევნაზე ფიქრები დაბორიალებდა ჩემ ტვინში. იშვიათად განვიცდიდი ასე ძლიერ, რომ ატმოსფერო ტერორით იყო გაჟღენთილი. წინათ აზრად არ მომსვლია, რომ ფაშიზმმა ადამიანების სულში თითქოს გადამდები შავი ჭირი ჩანერგა: სწორედ იმ ღამით ვიფიქრე ეს. ასე მეგონა, თითქოს ვგრძნობდი სიბნელეში როგორ ვრცელდებო-

და ფაშიზმის ბაცილა და აავადებდა ჯერ კიდევ ჯანმრთელ ხალხს. ისევ გამახსენდა, როგორ ამბობდა ტანია გაზაფხულზე: „ყველაფერმა დაკარგა თავისი მშვენება და არომატი. მოშხამულია ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთო...“ როცა შტაბთან ველოსიპედიდან ჩამოვედი, ეს შეგრძნება ისე გამიძლიერდა, სახლში შესვლა ვერ გავბედე. მეშინოდა არ ამომერწყია. ბაღში აქეთ-იქით სიარულს შევუდექი, რომ თავს მოვრეოდი და დამეძლია წარმოუდგენელი ზიზღი.

რამდენიმე წუთი დავდიოდი სახლის უკან, უცებ ვიღაცამ ფრთხილად გააღო კარი და გარეთ გამოვიდა. მისაგებებლად წავედი. დაბალი, განიერი ლანდის მიხედვით ტომი იყო. იგი შეჩერდა. გავიგონე დამახასიათებელი ხმა — რევოლვერზე დამცველი დაუშვეს. გამეცინა — ხომ ვიცოდი, რომ არაფერი მქონდა საშიში. ნაძვის ტოტი — უშიშროების ნიშანი — გაჩრილი იყო ბაღის გზისპირა მესერში. როცა ველოსიპედით ჩავიარე, შევეხე კიდევც ტოტს.

— ჰეი, მე ვარ, „ადამიანის შვილი!“ — ვთქვი მე.

— უფალო იესო ქრისტე! — წამოიყვირა მამაკაცის უცნობმა ხმამ. — გოგონაა! — მერე იმ კაცმა ხმა დაიდაბლა, რომელშიც ცუდად დაფარული ცნობისმოყვარეობა ყღერდა: — ჰო, გასაგებია, თქვენ ახალი ხართ.

სულაც არ მწყენია უცნობის სიტყვები და სახლში შევყევი. როგორც ჩანდა, იგი აქ სტუმრად იყო, მაგრამ ისეთ სტუმრად, რომელიც თავს შინაურულად გრძნობს. მას, რა თქმა უნდა. ისიც ჰქონდა გაგებული, რომ წინააღმდეგობის ჯგუფში ვიყავი მიღებული. დიდ ოთახში, სადაც ჩემი ხუთი ამხანაგი იჯდა, უცნობი შევათვალიერე.

ოთახის შუაგულში, ლამპის ქვეშ დადგა და თამამად და დაკვირვებით მათვალიერებდა. განიერი ჯმუხა ფიგურით მართლა გავდა ტომს. სიმაღლით, ჩემ სიმაღლე იყო. პროფილში გამხდარი ჩანდა. მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმები შუბლთან და საფეთქლებთან ეხვეოდა. წარბ-წანწამი უფრო მუქი და ხშირი ჰქონდა ლამპის სინათლით განათებულ სახეზე ბრინჯაოსფერი ედო, რის გამოც ცისფერი თვალები უფრო მტკიცე და მეტყველი ჩანდა.

თავისუფალი, „ელვით“ შესაკრავი ქურთუკი ეცვა. შიგნით კი თეთრი პერანგი: ფეხებზე შავი სპორტული ფეხსაცმელები. იგი გავდა მუშას, რომელიც თავისუფალ დროს სპორტს ანდომებს: შეიძლება, იგი მორბენალი ან ველოსიპედისტი იყო. როცა მოულოდნელად გამიღიმა, თითქოს კმაყოფილია თავისი დაკვირვების შედეგით, მთელი სახე გაუნათდა: მაგრამ თვალები ისევ მტკიცე და შეტყველი დარჩა. მზემოკიდებული ხელი გამომიწოდა.

— ჰუგო მქვია, — მითხრა მან, ჩემთვის ნაცნობი კენემერლანდელის აქცენტით. შტაბში მის სახელს უფრო ხშირად ახსენებდნენ, ვიდრე ჯგუფიდან წასული სხვა ამხანაგებისას. აქ ძალიან აფასებდნენ ჰუგოს.

— მე ხანა ვარ, — ვუპასუხე მე.

— „ადამიანის შვილი", — გაიმეორა მან, ისევ გაიცინა და თეთრი, წვრილი კბილები გამოუჩნდა. — კარგი ხუმრობაა, დანარჩენები თითქოს ანგელოზების შვილები ვიყოთ...

ფრანსი მოგვიახლოვდა. მის სუფთა მოპარსულ სახეზე თვითკმაყოფილება აღბეჭდილიყო.

— ჰუგო ჩვენი ძველი ამხანაგია, ხანა, — მომმართა მან. — იგი ცოტახნით წასული იყო სადღაც... იქ კი დავიდარაბა ატყდა. ხომ იცი, სამაისო გაფიცვა. ჰუგო მაშინ ელექტროსადგურში მუშაობდა. მას შემდეგ, რაც იქ ალიაქოთი მოხდა, ესესელებს მისთვის ორიოდე სიტყვის თქმა მოუნდათ. ჰუგომ კი ეს ამბავი თავისთვის დიდ პატივად მიიჩხია და თქვა: „კარგად იყავითო!"

ყველანი დავსხედით. სინათლეზე სხვადასხვაფრად ბრწყინავდა მისი თმა და სახეს უფრო უმუქებდა.

— მართლაც, მეტისმეტად დიდი პატივია! — გაიმეორა ჰუგომ. — იქიდან გაპარვა და მთელი ზაფხული ლიმბურგის გაერანებულ ადგილას მომიხდა ჯდომა... ასე იყო! — მან ხუმრობით შეიგინა, — დამსვენებლებისათვის კარგ დროს, იქნებ, ძალიან ლამაზი ადგილია. მაგრამ ჰუგოსთვის, არავითარ შემთხვევაში. ხმის გამცემი არავინაა, მხოლოდ მოხუცი ცოლ-ქმარია და კათოლიკეთა მღვდელი, რომელიც ხანდახან შემოირბენდა ხოლმე ჩვენთან ქონის, კარაქისა და ლობიოს საშოვნელად და, სხვათა შორის, ჭეშმარიტების გზაზე ჩემს დასაყენებლადაც. ასე დღიდან დღემდე, უსაქმოდ, ორ მოხუცთან, ღამით კი — ძროხასა და თხას შორის... მხოლოდ საშოვრისათვის წავედი მიწის მუშად იმ ვერანა ადგილას. მართალია, ღარიბებს ძალიან უჭირთ ლუკმა პურის შოვნა.

— მერე, მოგაქციეს ჭეშმარიტების გზაზე? — ვკითხე ჰუგოს.

მან გაიცინა და სიგარეტის დახვევას შეუდგა.

— არა მგონია. ჭეშმარიტების გზა ომამდე ვიპოვე. მეცოდება ჩვენი სოფლის მღვდელი; იგი ძალღონეს არ იშურებდა!

საკითხავი არ იყო, რას ეძახდა ჰუგო „ჭეშმარიტების გზას". ჩემდაუნებურად მის თითებს დავხედე: მისი ხელის ყოველი მოძრაობა მოფერებული, დასრულებული, სრულიად ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყო, ჟესტი — თავდაჭერილი. გავიფიქრე. აი, ჩემ წინაშე ნამდვილი მუშაა, წინააღმდეგობის მებრძოლი იგი არასოდეს

არ გააკეთებს ზედმეტ ჟესტს. ამასთანავე მოძრაობა და ბუნებრივობა თითქოს მისი პიროვნების განუყრელი თვისება იყო.

— ჰუგომ გადაწყვიტა, უკვე დაუდგა ჟამი, რომ ნაცისტებს ისევ გამოსდოს კვანტი, — თქვა ფრანსმა. — რას ვიზამთ, გამოვიყენოთ მისი ხელოვნება. ხალხი არ გვყოფნის.

მერე ფრანსმა ხმას დაუწია. მასში კვლავ გაისმა ჩემთვის ნაცნობი კეთილი თვითკმაყოფილება.

— ორი კარგი „დავალება" მაქვს შენთვის, ჰუგო... ისევ იქ, შენ ძველ, „სამემკვიდრეო მამულში".

— ოჰო, ფრანს, როგორც ყოველთვის, უამრავი ბრწყინვალე გეგმები გაქვს!—უთხრა ჰუგომ. შევნიშნე, რომ მის ბაგეებს მეგობრულმა, დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა. — ჩემი მხრივ, არ დაგაბრკოლებთ, ყმაწვილებო... თუ დავალების შესრულება შესაძლებელია.

ფრანსმაც თითქოს შენიშნა მისი გაღიმება და გამკენწლავი სიტყვები. კისერი მხრებში ჩაწია, ისე როგორც ლოკოკინა იმალება ხოლმე თავის ნიჟარაში, როცა მის რქებს რამე არასასიამოვნო შეეხება. ვხედავდი, რომ ჰუგო თავის პრაქტიკულ გამჭრიახობას ფრანსის ფანტასტიკურ გეგმებს უპირისპირებდა. სიამოვნებით ვადასტურებდი ამ ფაქტს. სამუდამოდ დამამახსოვრდა სროლის პირველი გაკვეთილი „ესპანურ მუხებში"... ფრანსთან მივედი და ძველი დივანისაკენ წავიყვანე — ძალიან აუტანელი გახდა სიჩუმე.

— შენთან მოლაპარაკება მინდა. ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, ფრანს, — ვუთხარი ფრანსს.

დანარჩენები საუბარს განაგრძობდნენ.

პირველად ფრანსი უკმაყოფილო დარჩა, ჰუგოსთან საუბარი შევაწყვეტინე. მაგრამ როცა ტანიაზე დავუწყე ლაპარაკი, თანდათან ყურადღებით დამიწყო სმენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვუთხარი, ტანიას მუდმივად დარჩენა ჩვენ სახლში შეიძლება საზიანო გამოდგეს ჩვენი საქმისათვის-მეთქი. რამდენიმე ხანს ფრანსი ფიქრობდა ჩემ ნათქვამზე და ბოლოს მითხრა:

— ასეთ ქალიშვილებს არ შევხვედრივარ, მაგრამ დაახლოებით შემიძლია წარმოვიდგინო იგი. თუ საქმე მართლა ასეა, როგორც შენ ამბობ, არაფრით არ შეიძლება თქვენი ერთ ბინაზე ცხოვრება. მან მისამართი უნდა გამოიცვალოს, ხანა.

— განურჩევლად, ყველასთან არ შეიძლება მისი დაბინავება,— ავუხსენი მე. — ისეთი მფარველები უნდა გამოვუნახოთ, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობას გაუწევენ მას. მაგრამ, როგორ მოვახერხო ეს ამბავი.

ამ ზაფხულის განმავლობაში ბევრ იატაკქვეშელს ვუშოვეთ თავშესაფარი. ხანდახან ძალიან ჭირდა ამისთანა საქმის გაკეთება. მაგრამ ტანიას საქმესთან შედარებით, ყველა დანარჩენი იოლი იყო. მაგრამ როცა ფრანსმა მითხრა, რომ ტანია ჩვენგან უნდა წასულიყო, მისი განუსჯელი მოქმედება, რომლითაც შეეძლო ყველასთვის ვნება მიეყენებინა, უფრო საშიში მეჩვენა, ვიდრე სხვა დროს მეჩვენებოდა. გამახსენდა ადა და ფრანსს ვუთხარი, რომ ამსტერდამში მყავდა ამხანაგი, რომლისთვისაც შეიძლებოდა რჩევა მეთხოვა, იგი ტანიას იცნობს-მეთქი. ფრანსმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. შევამჩნიე, რომ ძალიან სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს: მან ხომ პირველ რიგში ჩემზე, თავის მებრძოლის უშიშროებაზე გაიფიქრა.

იმ საღამოს შტაბში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ვგრძნობდი, რომ ფრანსს მოთმინება არ ჰყოფნიდა თავისი გეგმები გაეზიარებინა ჰუგოსთვის. ყველა ამხანაგმა და ჰუგომ ერთად დამიყვირეს „ნახვამდის!“, როცა ეზოში მდგომმა მათ ხელი დავუქნიე, რაღაც სულელური ეჭვიანობა დამეუფლა, რომელიც აუცილებლად უნდა დამეძლია. ეს იყო ოდნავ შური ჰუგოსადმი, რომელიც მოულოდნელად მოვიდა შტაბში და გააკეთებს იმას, რაზედაც დიდი ხანი ვოცნებობდი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ მათი საუბარი იქნებოდა მამაკაცთა თავისებური შეთქმულება, საიდუმლო შეთანხმება ყოველნაირად მომფრთხილებოდნენ მე და არ მოეცათ ჩემთვის სახიფათო დავალება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალიშვილი ვიყავი. ბნელი, დახუთული ღამით ველოსიპედით უკან მომავალს, მარტო დარჩენილს, ახალი ძალით კვლავ დამეუფლა მღელვარება, რომელიც შტაბში ყოფნის დროს დამავიწყდა. მაგრამ ეს დაძაბულობა ახლა გადაიზარდა მძაფრ სურვილში, მოქმედებით გამემართლებინა ჩემი დანიშნულება. განა სულ ერთი არ არის, ქალი ვარ თუ კაცი, აღარ მინდა, რომ მიფრთხილდებოდნენ!

გ ა რ ა თ ი

ადამ უკვე იცოდა ტანიას გაქცევისა და დაბრუნების ამბავი; ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, როცა ამსტერდამში ვიყავი ივდითისა და ტანიას ფულის წამოსაღებად. ერთი სანდო მოხუცი კომერსანტი ინახავდა მათ ფულს. ახლა ისევ უნდა მენახა ადა.

როცა ვუთხარი, რაზედაც მივედი, შევამჩნიე, რომ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რა საფრთხეს მიქადდა ტანია ჩემთან ყოფნით. ადას ადრევე გადაკვრით ვუთ-

ხარი წინააღმდეგობის ჯგუფის ამბავი და მისთვის ეს გადაკრული ნათქვამი სრულიად საკმარისი იყო, რომ ყველაფერს მიმხვდარიყო. თუმცა, ამჯერადაც, თავდაჭერილობის გამო, არ სურდა რამეს დამპირებოდა, მაგრამ ვიცოდი, უბედურების დროს არ დამტოვებდა უყურადღებოდ და ეცდებოდა რითიმე დამხმარებოდა. შევთანხმდით, რომ თუ რამე ახალი ამბავი იქნებოდა, ადა ხედიან ბარათს გამომიგზავნიდა.

როცა შინ ვბრუნდებოდი, მაწვალებდა უსიამოვნო გრძნობა, რომ ტანიას ბედს ვწყვეტდი ისე, როგორც ჩემთვის ჯობდა, მას კი არაფერს ვეუბნებოდი ამის შესახებ. გადავწყვიტე ამეხსნა მისთვის ეს ამბავი, მაშინ სინდისი სუფთა მექნებოდა გულახდილად ავუხსენი მას, რატომ იქნება მისთვისაც და ჩემთვისაც უკეთესი, თუ იგი ჩემი მშობლების სახლში არ იცხოვრებს. შინ შემოსასვლელი გზით, ფეხით მივდიოდი და თან აზრებს ვალაგებდი, როგორ უნდა მეთქვა ტანიასთვის ყველაფერი ისე, რომ არ სწყენოდა. როცა წინკარში შევედი, სახლში არაჩვეულებრივი სიჩუმე სუფევდა. სასტუმრო ოთახისკენ გავიქეცი, გვერდით პატარა ოთახში სინათლე დავინახე და იქ შევვარდი... მაშინვე შევნიშნე, რომ ტანია არ იყო.

— სად არის? — ვიკითხე მე. არ იყო საჭირო ახსნა, თუ ვის ვკითხულობდი.

მამამ მაგიდიდან ქაღალდი აიღო და გამომიწოდა. ეს იყო ტანიას ცისფერ ქაღალდზე დაწერილი ბარათი. კითხვას შევუდექი:

„სუნთქვა აღარ შემიძლია აქ, ამ ფაშისტურ ჯოჯოხეთში. როცა ამ ბარათს წაიკითხავ, უკვე შვეიცარიისაკენ მიმავალ გზაზე ვიქნები. გითხარით, უნდა გადავრჩე მეთქი. ეხლა გადავწყვიტე გავაკეთო ეს ამბავი. „ხოლანდსე სხაუბურხში“ მიამბეს ადამიანებზე, რომლებლებსაც შეუძლიათ ბელგიისა და საფრანგეთის გავლით გადამიყვანონ შვეიცარიაში. იქნებ, სიმხდალეა — აქედან გაქცევა — ან ქარაფშუტობა, მაგრამ მე სიცოცხლე მინდა! თქვენ ჩემთვის ყველაფერი გააკეთეთ, რის გაკეთებაც შეგეძლოთ, უფრო მეტიც. სულითა და გულით გიმადლით. ომის შემდეგ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, თავისუფლები. გეხვევით ყველას, განსაკუთრებით ხანას. მაპატიეთ, არ დაივიწყოთ თქვენი უბედური ტანია“.

თავზარდაცემული ვკითხულობდი ბარათს და, როცა უკანასკნელი სამი სიტყვა წავიკითხე, უეცრად სიუსტე და მუხლების კანკალი ვიგრძენი. მომეჩვენა, რომ სწორედ ამ სიტყვებში იმალებოდა საიდუმლო. ტანია უბედური იყო. მაშინვე გავიფიქრე: არ ვიცი, მართლა უნდა თუ არა სიცოცხლე; ან სჯერა თუ არა თვითონ, რომ შვეიცარიაში ჩააღწევს და ამით გადარჩება... რატომ გადაწყვიტა შვეი-

ცარიაში წასვლა? რატომ ინგლისში არა, ანდა შვეიცარიაში? უცებ გამახსენდა, რომ ტანია მიამბობდა ერთ გერმანელ ემიგრანტზე, რომელსაც ომამდე იცნობდა. იგი დიდი ხანია შვეიცარიაში წავიდა. და ჩემთვის თანდათან ნათელი ხდებოდა ამბების საუბედურო და სამწუხარო კავშირი. ტანია გააქცია ადრინდელ, მშვიდობიან ცხოვრებაში დაბრუნების იმედის აჩრდილმა. იგი მარტოოდენ უბედური კი არა, ალბათ, ფსიქიურად დაავადებულიცაა, თუ მისთვის ილუზია უფრო რეალურია, ვიდრე სინამდვილე. მე კი არ შემიძლია მისი შველა!

ოჯახის წევრები, სამივე, მე შემომცქეროდნენ. ელოდნენ, როდის ვიტყოდი გადამწყვეტ სიტყვას. ბარათი მაგიდაზე დავდევი, სასადილო ოთახში გავედი და დივანზე დავჯექი სწორედ იმ ადგილას — გამიელვა თავში, — სადაც ვიჯექი მაშინ, როცა გერმანელი ემიგრანტის შესახებ მიამბობდა.

მამამ ჩაახველა და თქვა:

— ალბათ, მან ეს ყველაფერი მოიფიქრა დრენტედან დაბრუნების შემდეგ. იგი ახსენებს ადამიანებს, რომელთა მისამართი „ხოლანდსე სხაუბურხში“ შეიტყო...

— სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს!... — დედამ ეს სიტყვები ძალიან მკაცრად წარმოთქვა, მაგრამ ამ სიმკაცრის მიღმა დიდი, გულწრფელი წუხილი იმალებოდა. ივდითმა თავი დახარა და იატაკს დასჩერებოდა. ნუთუ იგიც მიხვდა, რომ ტანიას ბარათის სამი უკანასკნელი სიტყვის ტრაგიზმმა წამართვა მეტყველების უნარი?

— ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა შეასრულოს თავისი ჩანაფიქრი, — ისევ დაიწყო მამამ ლაპარაკი. — ხალხი, რომლებსაც საზღვარზე გადაყავთ ადამიანები, ამას მუქთად როდი გააკეთებენ, ტანიას კი არც ისე ბევრი ფული აქვს.

— ალბათ, მოხუც კომერსანტთან შეივლის, მათი ოჯახის მეგობართან, — შენიშნა დედამ. — იგი ხომ სრულწლოვანია. მოხუცს არ შეუძლია ტანიას უარი უთხრას იმაზე, რაც მას ეკუთვნის. მოფიქრების უნარი რომ აქვს, ისეთი გოგონაა, უყელა გარემოების გამოყენებას შეძლებს, რომელიც მიზანს მიაღწევინებს...

მამამ შემომხედა. მერე ადგა და ოთახებს შორის კარებში ჩადგა.

— ოღონდ, თუ ეს ყველაფერი ასეა... როგორც ჩანს ასეცაა... მაშინ იგი დღეს, ალბათ, ამსტერდამშია! იმ კაცთან, რომელიც მის ფულებს ინახავს! მაშინ კიდევ არის დრო მისი გადარჩენისათვის! ხანა, შეგიძლია მას დაეწიო, — არაჩვეულებრივი აღელვებული ხმით თქვა მამამ. — კიდევ შეგვიძლია მისთვის რამე გავაკეთოთ!..

სამივემ ისევ მე შემომხედეს. დამწუხრებულმა ნელა გავიქნიე თავი.

— დღეს ვერაფერს შევძლებთ. ხვალაც. ვერასოდეს. ვერც მე შევძლებ, ვერც შენ, მამა! და ვერავინ! ტანიას დაკავება არ შეიძლება. მან ისეთი გზა აირჩია, რომლითაც ჩვენ ვერ ვივლით. იგი კიდეც რომ დაბრუნდეს აქ, ან სადმე, სხვა ადგილას. ტანია...

„ტანია დ ა ი ღ უ პ ა“, — კინაღამ წამომცდა... უკანასკნელი სიტყვა ჩავულაპე და პირი მოვკუმე. ჩემდა საუბედუროდ, მომეჩვენა, რომ სიტყვა „დაიღუპა“ ოთახში ხმამაღლა და კატეგორიულად გაისმა. „მეც ხომ შემეძლო ამის თქმა ასევე. მამას, დედას და ივდითის სახეებზე ამოვიკითხე, რომ ისინი ყველაფერს მიმიხვდნენ. ჩემ ოთახში ავედი და სიბნელეში საწოლზე გავიშოტე... ტირილის თავი არ მქონდა, ვიცოდი კი, რომ ცრემლი შვებას მომცემდა. უძრავად ვიწექი; მთელ ჩემ არსებას საშინელება დაეუფლა, თითქოს ყველაფერი გამიქვავდა.

; დ ა ვ ა ლ ე ბ ა

დაბნეულობისა და შინაგანი სიცივის შეგრძნება მეორე დღესაც არ მომცილებია. მიუხედავად ამისა, საღამოს შტაბში წავედი. იქ მხოლოდ ფრანსი და ვეინანტი დამხვდნენ. ფრანსმა შემომხედა. მის სახეზე კმაყოფილება ამოვიკითხე, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ხომ ხედავ, ჩვენმა ბიჭებმა ისევ წამოიწყეს კარგი ოინი!...“ მაგრამ, როცა დაკვირვებით შემომხედა, მოიღუშა.

— ფერი აღარ გადევს, — მითხრა მან. — რამე ხომ არ გაწუხებს?

— ცუდად გამოიყურები, — დაადასტურა ვეინანტმა, — ავადა ხარ?

— ყველაფერი რიგზეა, — მოკლედ ვუთხარი მე. ვეინანტის თანდასწრებით არ მინდოდა ფრანსისთვის მეთქვა ტანიას ამბავი. რომლის მოწესრიგებაზე წინა შეხვედრისას თავს ვიმტვრევდი. ფრანსმა მამაშვილურად დამიქნია თავი.

— მაშ, კარგი... — სახე გულკეთილად უბრწყინავდა. — შენთვის პატარა დავალება მაქვს... აჰა! ახლა ხომ მოგვიდა ფერი სახეზე!

ფრანსის სახის კმაყოფილი გამომეტყველებით მივხვდი, რომ ეს „პატარა დავალება“ ცოტა სხვაგვარი იყო, მათთან შედარებით,

რომლებსაც აქამდე ვასრულებდი. მოუთმენლად ველოდი, როდის დაჯდებოდა დივანზე.

— შენ, ალბათ, კარგად გახსოვს, ორ ქალიშვილზე რომ გიყვებოდი, რომლებიც წინათ ჩვენ ჯგუფში მუშაობდნენ, — წამოიწყო ბოლოს ფრანსმა. — ესენი არიან ანი და ტინკა. ტინკა მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო, როცა პირველად გერმანელს ესროლა. ორივენი მუშის ოჯახიდან არიან. ორივე უშიშარი პარტიზანი ქალებია, — სიცილით დასძინა მან, თითქოს ყველაფერი გაიხსენა, რაც ანის და ტინკას ჰქონდათ გაკეთებული და ჩემთვის ეს საიდუმლო იყო. — უკანასკნელად, ჩემ მიერ მიღებული ცნობის მიხედვით, გოგონები ტვენტეში გადასულან — მათ ენსხედში ნათესავები ჰყავთ. ისინი იძულებული არიან დაიმალონ... — მერე ფრანსმა უფრო ნელა და დიდი ამბით დაიწყო ლაპარაკი: — ისინი უნდა ინახულო, და ჩემი დავალება გადასცე: ჩამოაყალიბონ იქ წინააღმდეგობის ჯგუფი. ახლა გულხელდაკრეფით ჯდომის დრო არაა. იქ შენ გაგაგზავნი, რადგან იმ მხარეში ქალების მგზავრობა ჯერ კიდევ ნებადართულია.

რამდენიმე წუთს ვდუმდი, ვფიქრობდი მის სიტყვებზე. გუნებაში არც ისე გახარებული ვიყავი, როგორც მინდოდა. ვგრძნობდი, რომ ეს პროექტიც ნაკარნახევი იყო მისი დაუოკებელი ფანტაზიის მიერ, რომელმაც ბევრჯერ უყო მას ოინი. უეჭველი იყო, ორი ქალიშვილის არსებობა ფრანს ჰუგოს დაბრუნებამ გაახსენა, მაგრამ იგი ჩემი უფროსი გახლდათ. დისციპლინის დარღვევა არ მქონდა განზრახული, მით უმეტეს ვეინანტი თითქოს სავსებით ეთანხმებოდა მის გეგმას.

— ბევრი არაფერი იცი მათ შესახებ, — ვუთხარი ფრანსს. — მათ ანი და ტინკა ჰქვიათ და ნათესავები ჰყავთ ენსხედში...

ფრანსმა ჩაიღიმა და თქვა:

— ალბათ, დები ტვენტში სხვების სახელითა და გვარით ცხოვრობენ. მათი ბიძა პარტიის წევრი იყო. ახლა ის, ალბათ, იატაკქვეშ მუშაობს. ბიძის გვარი ეხერინგია, იგი მუშა-ფეიქარია. წადი და იპოვე ისინი!.. შემიძლია, პარტიის წევრების ორიოდე ძველი მისამართი მოგცე; რაც, ალბათ, დაგეხმარება.

— დაახლოებით როგორი გარეგნობისა არიან გოგონები? — ვკითხე მე.

— ჰმ, დიახ... — გაურკვევლად გააგრძელა ფრანსმა. ყურის ძირი მოიფხანა, მერე ლოყაზე მოისვა ხელი. — თითქოს თვალნათლივ ვხედავ მათ, მაგრამ როგორ აგიწერო?.. ანი — უფროსია, ოცი, ან იქნებ ოცდაერთი წლისა. მუქი თმა აქვს, ყოველ შემთხვევაში,

ტინკაზე მუქი... ტინკა თვრამეტამდე იქნება, უმცროსია... თავის წლოვანებასთან შედარებით უფრო პატარა ჩანს.... აბა, რა არის აქ გასაკვირველი, — მოულოდნელად სიბრაზით თქვა მან — მე მწერალი არა ვარ, არ შემიძლია ყველაფრის ზუსტად გადმოცემა. ორი დანი არიან, ერთი მაღალია და მეორეზე შავგვრემანი. ანუ უფრო წვრილი სახე აქვს, ვიდრე ტინკას, აი რისი დამატება შემიძლია... ჰო! ტინკას კისერზე ხალი აქვს!

— ყველაფერი ეს არაფერში არ დამეხმარება, ფრანს, — ვუთხარი მე, მის მიერ პორტრეტის დახატვის ხელოვნებით ცოტათი დაიმედებულმა. — და კიდევ ერთი რამ: წარმოიდგინე. მე მათ ვიპოვი, მაგრამ ისინი დამიჯერებენ, თუ ვეტყვი, რომ შენგან ვარ გაგზავნილი?

— ეს დამოკიდებული იქნება ადამიანთა დარწმუნების შენს უნარზე, — მიპასუხა ფრანსმა. — მაგრამ, საერთოდ, შეგიძლია მათ პაროლი უთხრა: „ფრანსი კითხულობს, სადაა სანტპოორტის სიმაგრიდან წამოღებული საბრძოლო მასალა“.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ ისინი დამიჯერებენ, — დაცინვით ვთქვი მე. — იქნებ, ყოველივე ეს მახედ ჩათვალონ, ასეცაა მოსალოდნელი. ჰო, კარგი, ყველაფერს გავაკეთებ, როგორც ნაბრძანებია. როდის უნდა წავიდე?

— რამდენადაც შეიძლება ჩქარა, — განაცხადა ფრანსმა.

— ესე იგი, ხვალ, — ვთქვი მე.

ფრანსი ადგა, კომოდთან მივიდა, იქიდან ორნახევარგულდენიანი საკრედიტო ბილეთების შეკვრა ამოიღო და გამომიწოდა.

— აი, ეს შენი საბრძოლო მასალაა.

ვეინანტი გვიყურებდა და ჩუმად იცინოდა.

— უკიდურეს შემთხვევაში ქალიშვილებს ჰკითხე, ახსოვთ თუ არა დევენტერის ნამცხვრები, ვეინანტს რომ ყოველთვის მოჰქონდა მათთვის, — თქვა მან. — ალბათ, ეს უფრო დაგეხმარება, ვიდრე პაროლი.

— ახლა სხვა ამბავი, ხანა, — განაგრძობდა ვეინანტის ჩარევით აშკარად შეურაცხყოფილი ფრანსი. — ახლა, ალბათ, მათ იარაღი აღარ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ, კარგად იციან, როგორ შეიძლება მათი შოვნა. ზოგიერთი რამ მე ვასწავლე მათ... სრულიად შესაძლებელია, ანსა და ტინკას მაინც ჰქონდეთ რაიმე „სათამაშო“. შეიძლება მაშინვე არ გენდონ და რევოლვერი მოგადონ მკერდზე... როგორც გითხარი, არაფრის არ ეშინიათ... ასე, რომ მათთან შეხვედრა საარისკოა. მაგრამ ეს ხომ სწორედ ისაა, რაც შენ გინდოდა.

ფრანსმა და ვეინანტმა ჩაიხითხითეს. ჯიბეებს ფულით ვიტენიდი და მათივე ტონით იქედნურად ვუპასუხე:

— მადლობელი ვარ გულთბილი ზრუნვისათვის, სად არის ჩემი რევოლვერი?

ფრანსმა მაშინვე სერიოზული სახე მიიღო.

— ჯობია სახლში დატოვო. იცოდე, კარგი საბუთები უნდა გქონდეს!

— ესე იგი, ყალბი, — მივხვდი მე. — მაშინ ჩვენი მოსამსახურის საბუთებს წავიღებ, იანენტე დე ვაარდ — და წავალ ტვენტეში კავშირის დასამყარებლად.

ფრანსმა გაზეთს კიდე მოახია და ზედ რამდენიმე სიტყვა დაწერა.

— ესეც მისამართები, — თქვა მან. — დაიზეპირე და ქაღალდი გადააგდე.

— ვიცი, — შევაწყვეტინე მე. — კიდევ გაქვს რამე ინსტრუქციები, ამხანაგო უფროსო?

— ჩემი ლოცვა-კურთხევა, მეტი არაფერი, — შიპასუხა მან.

— ჩემიც! — დაიყვირა ვეინანტმა.

კარებთან ერთხელ კიდევ შემოვბრუნდი, გულკეთილად დამცინავი სახე მივიღე, ასე გვქონდა შეტაბში წესად, წამოვიძახე ედის საყვარელი დევიზი: „ცხვირიდან სისხლის დენა!“, რომელმაც თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, და ოთახიდან გავედი.

ოთახში ატეხილი ხარხარი გარეთ მესმოდა.

საბრძოლო მასალა და დევენტერული ნამცხვრები

ენსხედში წასვლას და ძებნას თითქმის მთელი დღე მოვანდომეთავიდანვე ვერ გავბედე ორ პარტიულ ამხანაგთან მისვლა, რომლების მისამართი ფრანსმა დამიწერა და დავიზეპირე. მათ სახლს თანდათან ვუახლოვდებოდი. ისეთ შთაბეჭდილებას ვქმნიდი, თითქოს მეზობლებში ვკითხულობდი ამბავს. ხანგრძლივი, მომქანცველი გზა გავიარე და ბოლოს ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ალაიაში გამატარესო. ყველგან უარს ვღებულობდი და ეჭვის თვალით მიყურებდნენ. გაჭიანურებული ტვენტური კილოკავი, რომლითაც ხალხი გულკეთილი გამომეტყველებით მპასუხობდნენ, რომ როგორმე მოვეშორებინეთ თავიდან, როგორც ჩანდა, მათთვის თავდაცვის კიდევ ერთი საშუალება იყო. მე ყველაფერი მოვითმინე; დაბინდებამდე

უკვე ვიცოდი, რომ პირველ მისამართზე უკვე გერმანელი ვაჟბატონები ცხოვრობდმენ მათ შესახებ მითხრეს: „იმ ხალხს ჩვენ არ ვიცნობთო", მეორე მისამართზე კი ისევ ცხოვრობდა სახლის ადრინდელი პატრონი მოხუცი ქალი, პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ნორმალურად მიმიღო. მადლობა ღმერთს, იგი იცნობდა ეხერინკებს და თვითონ გამყვა მათთან.

ცოლ-ქმარი ეხერინკები შუახნის ადამიანები იყვენენ. მტკიცე პროლეტარები. ბევრი გამოკითხვა არ დაუწყიათ, როცა ვთქვი, ანისა და ტინკას სანახავად ჩამოვედი — მათ ხომ უნდა გაიგონ ვისი სახელით მოვედი, ხაზგასმით აღვნიშნე მე, — და ანი ჰარლემში ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო-მეთქი. როცა ლაპარაკი დავამთავრე, ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედეს. მერე ცოლმა მითხრა, ანი და ტინკა კარგა ხანია მუშაობენ და დროებით საავადმყოფოში ცხოვრობენო. ახლა უკვე გვიანაა მათთან წასვლაო. მან თავიანთთან ღამის გათევა შემომთავაზა და ხორბლის ფაფა გააკეთა, რომელსაც მშიერი მგელივით ვეცი.

მეორე დილით ეხერინკი გამომემშვიდობა; ამჯობინა არ გავეცილებინე გოგონებთან: „აქ ყველაფერს თვალები აქვს!" — ამიხსნა მან. მშვენივრად გავუგე, რასაც ამბობდა, მისი ჩია ტანის ცოლი დიდი ამბით მოცუნცულებდა ჩემ გვერდით; იძულებული ვიყავი მისთვის ამეწყო ნაბიჯები.

დროებითი საავადმყოფო მოეწყო დასახლების უკან, სადაც ბევრი ვილა იყო გაშენებული, დიდი ბაღის შუაგულში, რომელსაც ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა სიმწვანე და თამამად შეიძლებოდა მისთვის პარკი გვეწოდებინა. საავადმყოფო განაწილებული იყო ხის ნათელ, ვერანდებიან ბარაკებში, სადაც შორიდანვე შევნიშნე პაციენტები, რომლებიც შემოდგომის თბილ ჰაერზე ისვენებდნენ. დეიდა ეხერინკმა შემომთავაზა სკამზე დავმჯდარიყავი და მომეცადა, სანამ იგი ანისთან და ტინკასთან წავიდოდა. ტოტებგაბარდნილ წაბლის ხის ქვეშ მდგარ თეთრ სკამში ღრმად ჩავჯექი, ისე რომ ფეხით ძლივს ვეხებოდი ხრაშუნა ხრეშს და ვუყურებდი მიმავალ ქალს, ვიდრე იგი ბარაკებს არ მიეფარა. ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ ვისაუბრებდი უცნობ გოგონასთან და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ დიდი სისულელე ჩავიდინე, როცა ეხერინკებს ვუთხარი, ანი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო-მეთქი; ანი ხომ უარს იტყოდა ამაზე, როგორმე მათ უნდა გაიგონ, რომ ეს იყო ნათქვამი კარგი განზრახვით. მაინც, საკუთარი დანაშაულის შეგრძნებით შეწუხებული ვიყურებოდი ბარაკებისკენ და რამდენიმე ხნის მერე, როგორც იქნა, დავინახე, რომ ბაღში ჩემკენ მოდიოდნენ დეიდა თავის დისშვილებთან

ერთად. ფრანსის მიერ ნათქვამი ნიშნები, თითქმის ემთხვეოდა: მართლაც, უფროსი ქალიშვილი უფრო მაღალი და შავგვრემანი იყო. მათ უბრალო, წესიერი, მონაზვნებივით მკაცრი გამომეტყველება ჰქონდათ სამედიცინო დის გრძელ, თეთრ ხალათში, — ეს შენიღბვაა-მეთქი. გავიფიქრე მე. ასეთივე სახე ჰონდა ორივეს: უბრალო და ამავე დროს, რაღაც არა ამქვეყნიური და მკაცრი. ვიდრე ჩემკენ მოდიოდნენ ხან ერთ დას ვუყურებდი, ხან მეორეს. ერთი შეხედვითვე მივხვდი, რომ მათთან საერთო ენის გამონახვა ძნელი იქნებოდა. დები ჩვეულებრივი გოგონები არ იყვნენ, მათი თავდაჭერილი, სუფთა შესახედაობის მიუხედავად: წინააღმდეგობის ჯგუფში მათ უკვე ჰქონდათ დავალებები შესრულებული, თუმცა მაშინ სრულიად ნორჩები იყვნენ; ისინი ატარებდნენ იარაღს და მტრებს უსწორდებოდნენ; იცოდნენ, რა იყო სიფხიზლე და დისციპლინა; რამდენადაც გარკვეულად ვხედავდი მათ გულჩახვეულ, ცივ სახეებს და გამომცდელ თვალებს, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ აქაც სრულიად ბუნებრივი უნდობლობის კედლის გარღვევა დამჭირდებოდა. სკამიდან ავდექი და მათ შესახვედრად გავემართე. უფრო მაღალი, უფროსი, რა თქმა უნდა, ანია — „ჩემი საუკეთესო მეგობარი"; ვიდრე რამეს მეტყოდა, ხელი გავუწოდე, ძლივს მოვიცილე თავიდან ჩემთვის ჩვეული მორიდება, რომელიც ყოველთვის ხელს მიშლიდა.

— ან! ძვირფასო, როგორ მიხარია, რომ გიპოვე!.. როგორ გიხდება ეს ტანისამოსი!

მან ხელი ჩამომართვა; მის მზემოკიდებულ, წვრილ და ჭკვიან სახეს, მონაცრისფრო-ცისფერ თვალებს გამომეტყველება თითქმის არ შეუცვლია.

— ცოტა მოულოდნელი შეხვედრაა, — ცივად მიპასუხა მან. — როგორა ხარ?

ეს ნაკლებგამამხნევებლად ჟღერდა, მაგრამ უარი მაინც არ იყო, სახეზე მხნე ღიმილი შევინარჩუნე და ტინკას გავუწოდე ხელი. კისერზე მართლა ჰქონდა ხალი, რომელზედაც ფრანსი მელაპარაკებოდა; იგი ძლივს ჩანდა მედიცინის დის ფორმის ხალათიდან. გუნებაში მიკვირდა, რომ ამ მშვიდ გოგონას, რომელსაც ქერა ნაწნავები თავზე ჰქონდა დამაგრებული და გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა, რევოლვერის ხმარება შეეძლო, და კარგადაც შეეძლო; ცოტა სხვანაირად წარმომედგინა ფრანსის „პარტიზანები" — უფრო თავისუფალი მოქმედებით და ლაპარაკით. რა თქმა უნდა, როცა ჩემ წარმომოდგენაში გოგონების სახეს ვქმნიდი, ეტალონად ავიღე წინააღმდეგობის ჩვენი ჯგუფის მამაკაცები.

— ტინკა, — ძლივს წავილაპარაკე მე, — როგორ გაზრდილხარ!

ტინკამ ოდნავ დამცინავი მზერა მომაპყრო და მაგრძნობინა, რომ თამაშში მონაწილეობას არ აპირებდა, ხმის ამოუღებლად და ძალიან დუნედ ჩამომართვა ხელი. ჩუმად გადავხედე დეიდას და დავიჭირე მისი აშკარად გაკვირვებული, თუ შეიძლება ითქვას, დაბნეული და უკმაყოფილო მზერა. რამდენიმე წუთით აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა; ასე მეგონა, ეს სიჩუმე კარგს არაფერს მოასწავებდა.

ჩვენ ოთხთაგან ვერც ერთმა ვერ მოიფიქრა რამე სათქმელი; არ მინდოდა საუბარი ფრანსით წამომეწყო, ვიდრე აქ დეიდა იყო, დეიდა კი სულაც არ ფიქრობდა წასვლას; როგორც ჩანდა, იგი საჭიროდ თვლიდა თავისი ნორჩი დისშვილების დაცვას ვიღაც გაქნილი ქალიშვილის ხელყოფისაგან, რომელმაც მოახერხა მიკედლებოდა მას და იმასაც მიაღწია, რომ ღამე გაეთია მათთან...

ბოლოს ანმა მტკიცედ განაცხადა:

— არ ვიცი, ქალბატონო ს., საჭიროა თუ არა გავაგრძელოთ ეს კომედია? (ეს მან თქვა რაღაც ხელოვნური ტონით — გამოვიდა თითქოს თვითონ თამაშობდა კომედიას). ჩვენ საავადმყოფოში ლუკმაპურისათვის ვმუშაობთ, კმაყოფილები ვართ ჩვენი მუშაობით. არ ვიცით, რა გინდათ ჩვენგან. ბარემ, მოდით, გულახდილები ვიყოთ: ჩვენ არ გიცნობთ, ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობა მოხდა...

მან მხრები აიჩეჩა, მაგრძნობინა, რომ ისედაც ბევრი სიტყვები დახარჯა. დეიდა ხან ერთ დისშვილს შეხედავდა, ხან — მეორეს. ტინკას უყურადღებო სახე მიეღო და ჩუმად იცინოდა. ანის მკაცრ, მტკიცე თვალებს შევხედე და ვუთხარი:

— რას ამბობთ, არავითარი გაუგებრობა არ არის. ძალიან კარგად მესმის. რომ ჩვენ დროში ადამიანები, გულმავიწყნი ან ფრთხილები ხდებიან., ვფიქრობ ორივენი სრულ ჭკუაზე ხართ... — მერე წავჩურჩულე. — აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ თქვენთვის მეკითხა, სად არის საბრძოლო მასალა. სანტპორტის სიმაგრიდან.

ოსტატურად თამაშობდნენ ანი და ტინკა. ვგრძნობდი, რომ კარგი ფოლადივით იყვნენ გამოწრთობილი. არც ერთს არ შეუხრია წარბი. მხოლოდ მომეჩვენა, რომ უმცროს დას წუთით შეეკრა სუნთქვა. სახე კი უძრავი და მშვიდი დარჩა. კიდევ ცოტახანს ვიდექით ასე, და ერთმანეთს ვზომავდით. უცებ ანი ქუსლებზე ნახევრად შემოტრიალდა და მხარის მოძრაობით მიმართულება მაჩვენა:

— გამომყევი.

გუნებაში სული მოვითქვი: ამ გულგრილობის ციხე-სიმაგრეს პირველი გამონანგრევი გავუკეთე. მათ ხომ შეეძლოთ ყოველ წუთს

უარი ეთქვათ ჩემთან საუბარზე, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული. ოთხივენი ბარაკებისკენ წავედით. დეიდა ჩემს უკან მოდიოდა. თვალმოკვრით შევნიშნე, რომ ვერანდაზე მწოლიარე მამაკაცები თვალს მადევნებდნენ, მაგრამ ამას სულაც არ შევუწუხებივარ, რადგან მხოლოდ ერთი ფიქრით ვიყავი შეპყრობილი: დავალება უნდა შემესრულებინა. დეიდა ეხერინკი ისევ უნდობლად და უსიამოვნოდ მიყურებდა, თითქოს მისი ნდობა გავაცურე. ვალდებული ვიყავი თავი მემართლებინა გოგონებისა და დეიდას წინაშე. პირველი ბარაკის მინებიან კართან დამტოვეს. გავიგონე, ანმა რომ უთხრა ტინკას, როცა კარებში შევიდნენ: „დიასახლისს ვკითხავ, შეიძლება თუ არა მისაღები ოთახით ვისარგებლოთ". ისინი თვალს მოეფარნენ. მე, ალბათ, ხუთი ან ექვსი წუთი ვიცადე. როგორც ჩანდა, გოგონებს დიდხანს მოუხდათ მდგომარეობის ახსნა. გამეხარდა, როცა მომავალი ანი დავინახე, თუმცა მისი სახის გამომეტყველება კარგს არაფერს მპირდებოდა. მას გვერდით მოჰყვებოდა თეთრებში გამოწყობილი, პატარა, მკერდსავსე, სათვალიანი ქალი. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო საავადმყოფოს „დიასახლისი". იგი ისეთი ნორჩი და სუფთა ჩანდა, თითქოს ახლა გამოიღეს მაცივრიდანო. დიდი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა მან ლორნეტით მინის შიგნიდან, მერე შებრუნდა და წავიდა. დეიდა ეხერინკიც აღარსად ჩანდა. ანიმ ფრთხილად მანიშნა ხელით. როცა დერეფანში შევედი, მან გააღო პატარა, თეთრი ლაქით შეღებილი კარი და ოთახში შემიშვა.

ტინკა უკვე იჯდა კარებთან სკამზე. ერთი ხელი ხალათის ჯიბეში ედო, მეორეთი კი, შევედით თუ არა, ოთახის კარი გასაღებით გადაკეტა. მივხვდი, რომ დებმა ეს სიფრთხილისათვის გააკეთეს. ეს ამბავიც ფრანსის ნაამბობს ემთხვეოდა: გოგონებს არ უნდოდათ ხიფათს გადაყროდნენ. არ შემშინებია იმის გაფიქრებაზე, რომ ტინკა, რომელიც უცოდველი თვალებით მითვალთვალებდა, გადამწყვეტ წუთებში — და ალბათ, დირექტორის ლოცვა-კურთხევით — გულზე რევოლვერს მომადებდა, როგორც ფრანსმა მიწინასწარმეტყველა. მშვიდად ჩამოვჯექი ტინკას პირდაპირ, მაშინ, როცა ანი მაგრად ჩაკეტილ ფანჯარასთან დადგა.

— კიდევ ერთი შეკითხვა, ქალბატონო ს., — დინჯად და ისე, რომ ყოველ სიტყვას წონიდა, დაიწყო ანიმ. — გვაინტერესებს, რა შეგიძლიათ გვითხრათ სანტპორტის სიმაგრის შესახებ. ეს საინტერესო უნდა იყოს.

— არ ვიცი, საინტერესოა თუ არა, — ვუპასუხე მე. — უფრო სწორად, არაფერი ვიცი ამ სიმაგრის შესახებ. მხოლოდ ერთი ვიცი:

ფრანსმა დამავალა მეკითხა თქვენთვის, სად არის საბრძოლო მასალა.

ანმა გაიცინა და საყელოზე ღილი შეიხსნა. მას ძლიერი, მზემოკიდებული კისერი და ხელებიც, როგორც ჩანდა, მაგარი, ღონიერი ჰქონდა.

-— რომელ ფრანსზე ლაპარაკობთ?

მოთმინების ფიალა ამევსო.

— იცით რა, — ვუთხარი მე. — თქვენ ვერ შემაშინებთ იმ „ტკაცუნათიც“ კი, რომელსაც ტინკა მოხერხებულად მალავს ჯიბეში. ორივემ მშვენივრად იცით, რა მაქვს მხედველობაში და ვისი დავალებითაც ვარ მოსული. ფრანსმა თქვენი მოძებნა დამავალა და შევასრულე. ახლა საქმეზე გადავიდეთ: ჯგუფი ისევ ფილიპ მოონენის სახლშია მოთავსებული, „ესპანურ მუხებთან“ ახლოს და განაგრძობს მოქმედებას. ფრანსს აუცილებლად მიაჩნია, რომ აქაც საჭიროა მუშაობის გამოცოცხლება; მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ თქვენ ასეთი შესანიშნავი ბაზა გაქვთ. მას უნდა, თქვენ აქ ჩამოაყალიბოთ წინააღმდეგობის ჯგუფი.

შევნიშნე, რომ დებმა ერთმანეთს გადახედეს. ისიც დავინახე, რომ ნამდვილად გამოვააშკარავე. ტინკას მოულოდნელად წამოცდა კიდეც:

— ეს უკვე ფრანსსა გავს!

თუმცა ეს სიტყვები მან აღშფოთებითა და გაოცებით წარმოთქვა, მაგრამ იმავე დროს, მის ბავშვურ, ნათელ თვალებში ფარულმა მხიარულებამ და ცნობისმოყვარეობამ გაიელვა. გამარჯვებულის ღიმილით გავიღიმე. დები მიყურებდნენ. ანის შავგვრემანი სახე უფრო ჩაუმუქდა. მანაც ჩემსავით შენიშნა, რომ ტინკამ თავი გამოამჟღავნა.

— კარგი, ტინკა! — ვთქვი მე, — მოდით, ნიღბები მოვიშოროთ. „ფრანსსა ჰგავს!“ უეჭველია! — ისევ გავიცინე. — ასე მხოლოდ მას შეუძლია თქვას, ვინც ფრანსს იცნობს... განა მართალს არ ვამბობ?

ახლა ტინკას წამოენთო სახე; მან ქვედა ტუჩი მოიკვნიტა; მაგრამ გვიანლა იყო. შევამჩნიე, როგორ გადახედა ანის, თითქოს უხმოდ თხოვდა პატიებას. ავდექი, ორივეს შორის ჩავდექი და ლაპარაკი განვაგრძე, ვიდრე ისინი რამის თქმას მოასწრებდნენ:

— ციხე-სიმაგრეზე ლაპარაკს რომ მოვრჩეთ, ვეინანტისაგან მოკითხვა უნდა გადმოგცეთ. მისი სახელით უნდა შეგეკითხოთ, იგონებთ თუ არა ხანდახან დევენტერულ ნამცხვრებს, რომლებიც მას ხშირად მოჰქონდა თქვენთვის...

უცებ სიცილი მომერია, ძლივს დავასრულე უკანასკნელი სიტყვები და თავშეუკავებლად ავხარხარდი. ეს საუბარი დროებით საავადმყოფოში ჩემსა და ორ კომუნისტ გოგონას შორის, რომლებიც უხმოდ მემუქრებოდნენ რევოლვერით და, თუ საჭირო იქნებოდა, დაუფიქრებლად გამომასალმებდნენ სიცოცხლეს — იქნებ მსუქან გამგესთან შეთანხმებით, რომელიც მსხვერპლის წინასწარ სანახავად მოვიდა, — ეს საბრძოლო მასალა და ნამცხვრები, — ყველაფერი ისე სასაცილოდ და სისულელედ მომეჩვენა, რომ ეს მხოლოდ სოფლელ ლენჩს შეეძლო არ შეენიშნა. წუთით ორივე დის სახეზე დაბნეულობა თუ წყენა გამოხატა, მერე კი ორივე თითქმის ერთდროულად ახარხარდა. სიცილში ანიმ კიდევ გაიხსნა საყელოზე ერთი ღილი, ტინკა კი ისე თავშეუკავებლად იცინოდა, რომ მისი აპრეხილი ცხვირი მუხლებს ხვდებოდა. ისე ვიცინოდით, როგორც მხოლოდ ქალიშვილებს შეუძლიათ სიცილი უმნიშვნელო სიტყვაზე ან მოქმედებაზე. განვიცადეთ სიცილის კარგი ზემოქმედება ადამიანზე — ამან შესანიშნავად შეანელა დაძაბული ვითარება.

სიცილით ვიხრჩობოდით, რომ უცებ დერეფნიდან კარებზე გაისმა ხმადაბალი, აღშფოთებული კაკუნი და ქალის ხმა:

— გოგონებო! გოგონებო... ასე ხმაური არ შეიძლება! მძიმე ავადმყოფები გაიხსენეთ!

ალბათ, ეს გამგე იყო; მაშინვე წარმოვიდგინე მისი მრგვალი პირი და მილივით წინ წამოწეული ტუჩები, მისი გაბადრული, მაგრამ ჩვენი საქციელით ოდნავ ფერდაკარგული სახე. მაშინვე გავჩუმდით. შერიგებისა და სრული ურთიერთობის საზეიმო წუთი დადგა. თვალები და ცხვირები მოვიწმინდეთ; ცხვირზე პუდრი წავისვი — რასაც ანი და ტინკა ცოტა გულგატეხილად ადევნებდნენ თვალს. ჩვენ რაღაც საოცრად სანეტარო მდგომარეობაში ვიყავით, როგორიც დგება ხოლმე ბუნებაში სეტყვის შემდეგ. უცებ ვიგრძენით, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულები ვართ ძალიან სერიოზული საიდუმლოთი და დავდინჯდით. მართალია, ვიცინოდით, მაგრამ ეს იყო ჩვენი სიცოცხლისა და ათასი ჩვენი ახლობელი ადამიანის სიცოცხლის საიდუმლო, ძალიან საპატიო საიდუმლო იმისათვის, რომ სიტყვებით გამოგვეხატა იგი...

მთელი დღე საავადმყოფოში გავატარე, ვისადილე მედიცინის დებისათვის განკუთვნილ სუფრაზე, ყველასთან ერთად; არავის უკითხავს ვინ ვიყავი და ყველა ნახევრად სახუმარო, ნახევრად სერიოზულ გუნებაზე იყო. თითქოს ისინიც ჩვენი საიდუმლოს თანამონაწილენი იყვნენ.

როცა დებთან მარტო დავრჩი, მათ ციხე-სიმაგრე სანტპორტის

ამბავი გამაცვნეს; ეს ყოფილა ერთი პატარა, რკინა-ბეტონის ფორტი, რომელიც გერმანელებს კარგა ხანია მიეტოვებინათ, და იქ სანტპოორტის წინააღმდეგობის მებრძოლები დამკვიდრებულიყვნენ. დროდადრო ფრანსი განკარგულებას იძლეოდა თავისი ჯგუფისათვის მოეტანათ იქიდან საბრძოლო მასალა, ყველაზე უფრო ხშირად იქ ანი და ტინკა მიდიოდნენ და ველოსიპედის ჩანთით მოჰქონდათ საბრძოლო მასალა. ერთხელ გერმანელთა სამი კაცისაგან შემდგარ პატრულს წააწყდნენ თურმე; საქმე სროლამდე მივიდა. და ტინკამ ერთი ნაცისტი მოკლა, ორნი გაიქცნენ. ეს იყო მათი უკანასკნელი გამგზავრება სანტპოორტში; მაგრამ ჩვენ ჯგუფში ხუმრობით თურმე კიდევ დიდხანს ეკითხებოდნენ ერთმანეთს, როდისღა მოგვაწვდიან სანტპოორტიდან საბრძოლო მასალასო.

ჩვენ დაწერილებით განვიხილეთ, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ აქ წინააღმდეგობის ჯგუფი დაარსებულიყო. ანიმ და ტინკამ რამდენიმე ადამიანი დასახელეს, რომლებსაც მე არ ვიცნობდი: საავადმყოფოს მეცეცხლური და მზარეული, მუშები, რომლებიც ანისა და ტინკას დეიდას და ბიძიას სახლში დადიოდნენ. საუბარი მეტად საქმიანი იყო, აშკარად ჩანდა, რომ ქალიშვილებს დავალება მოეწონათ; ალბათ, უმოქმედობა სტანჯავდა ორივეს... ტინკას ისიც წამოცდა, რომ შურდა ჩემი, რადგან მე ისევ უნდა დავბრუნებულიყავი ჰარლემში, ჯგუფის ამხანაგებთან. გრძნობის ამ პატარა აფეთქებამ დამანახა, რომ არც მისთვის, არც ანისთვის, უცხო არ იყო შურიანობის გრძნობა, რაც ძალიან კარგად მესმოდა; ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ ახალბედა ვიყავი, მათ კი ყოველგვარი საფუძველი ჰქონდათ თავი ვეტერანებად ჩაეთვალათ. ტინკას ვუამბე, „დე ვაარხეიდის“ დაბეჭდვისა და გავრცელების მეტი ჯერ ბევრი არაფერი გამიკეთებია-მეთქი; მეც ვგრძნობდი შურს... როცა გამგეს გამოვეთხოვე, ანიმ საღამოს მატარებელზე გამომაცილა.

საავადმყოფოდან წამოსვლისას ვერანდიდან მამაკაცები ხელს მიქნევდნენ, თითქოს საიდანღაც გაეგოთ ჩემი აქ მოსვლის მიზეზი, მეც საპასუხოდ დავუქნიე ხელი. მაშინ ვიგრძენი, რომ ანი, ტინკა და მე ნამდვილი მეგობრები გავხდით. გულახდილად ვუთხარი მათ ამის შესახებ, რამაც ძალიან გამაკვირვა: საერთოდ თავდაჭერილმა ამ ორ გოგონას რატომ გადავუშალე ასე გული მეთქი? ერთმანეთს ვაკოცეთ შეპყრობილებმა ისეთი მღელვარებით, როგორიც მოიცავს ხოლმე ადამიანებს, თუ ისინი ჩაბნელებული გზის მოპირდაპირე მხრიდან მოდიან, გარკვეულ წუთში ხვდებიან ერთმანეთს და მერე ისევ მიდიან სახიფათო წყვდიადში, თავ-თავისი გზით.

გზაში, როცა მიწაზე სწრაფად ეშვებოდა ბინდი და მე, ძლივს

გასარკვევ ფიქრებს შორის ჩაკარგული ვიჯექი ხალხით გაჭედილ, ჩაბნელებულ კუპეში, გამახსენდა, რომ ორი დღე-ღამე მაინც არ მიფიქრია ტანიაზე.

ლოგიო იგზავნება ზაანში

ფრანსი აღფრთოვანებული იყო, როცა შტაბში გამოეცხადდი და ჩემი მგზავრობის ანგარიში ჩავაბარე. მან სხვა ამხანაგების თანდასწრებით შემაქო — სირცხვილისაგან გავწითლდი კიდეც. მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ასე უცებ მივაგენი ქალიშვილების კვალს. ორ-სამჯერ მომიხდა იმ ამბების მოყოლა, რაც ენსხედის მუშათა კვარტალებში შემემთხვა.

წინათაც ვხედავდი, რომ ჩემს მიმართ ამხანაგების პატივისცემა მატულობდა. იმ დღიდან კი — შეიძლება თავისდა შეუმჩნევლადაც კი — მეტ ნდობას ავლენდნენ ჩემს მიმართ. გავიგე, რომ ჩემს აქ არყოფნაში მათ ჰუგოსა და რულანტის ხელმძღვანელობით, ბურგომისტრის ბაღში, იარაღის პატარა საწყობი დაეცარიელებინათ — ეს იარაღი, რა თქმა უნდა, განკუთვნილი იყო ადგილობრივი ფაშისტებისათვის, გასამხედროებული რაზმების ან სახმელეთო ჯარისათვის. შტაბმა გადაწყვიტა ნაპოვნი იარაღის ნაწილი გაეგზავნა ზაანის წინააღმდეგობის ჯგუფისათვის; ამ ჯგუფს განსაკუთრებით სჭირდებოდა რევოლვერები... როცა საკითხი დადგა იმის შესახებ, ვის უნდა წაეღო იარაღი, ზოგიერთმა ამხანაგმა ჩემკენ გამოიხედა, ვიგრძენი, რომ მღელვარებისაგან ვწითლდებოდი და თითქოს ნემსებზე ვიჯექი, ვიდრე ფრანსმა, როგორც იქნა, კვანძი არ გახსნა — თითქოს წინადადება მართლაც უკვე იყო წამოყენებული, ისე განაცხადა:

— დიახ. მეც ასე ვფიქრობ. ეს საქმე ხანასათვისაა.

თითქოს ციებ-ცხელებამ შემიპყრო, მაგრამ კმაყოფილებას გგრძნობდი, თუმცა ვცდილობდი არ გამომემჟღავნებინა. ვგრძნობდი, რომ უფრო საპასუხისმგებლო დავალების მიღებით წინ მივიწევდი. ფრანსმა მაშინვე გამიხმო გვერდზე და საჭირო მითითებები მომცა: ვიდრე იარაღს გადავცემდი, ინფორმაცია უნდა მიმეღო კრომენის ერთ პატარა დუქანში, რომლის მისამართი ფრანსმა მითხრა. იქ ცხოვრობდნენ ღრმად მოხუცებული ცოლ-ქმარი, მგზნებარე პატრიოტები, რომლებიც ვაჭრობას ახერხებდნენ მხოლოდ იმის წყალობით, რომ თავიანთი საბაყლო დუქნის უკანა ოთხი წინააღმდეგობის მებრძოლთა შესახვედრად გამოყვეს. მოხუცებული ქალისათვის, რომელსაც „დედილო დე მოლს“ ეძახდნენ, და, როგორც ფრანსმა

თქვა, იატაკქვეშელთა ნამდვილი დედა იყო, უნდა მეთქვა, რომ ფრანსს განზრახული აქვს ზაანში ორი ტომარა ლობიოს გაგზავნა და რჩევას თხოულობს, ვისთვის შეიძლებოდა მისი გადაცემა. დედილო დე მოლი მაშინ დაგვაკავშირებდა, ვისთანაც საჭირო იყო.

ოქტომბერი იყო და ჯერ კიდევ თბილი ამინდები იდგა, როცა ფელზენის მახლობლად ბორანით გადავდიოდი. მახსენდება ბაღებსა და ხეებზე ჭკნობაში შესული ფოთლების პირველი წაბლისფერი და ოქროსფერი ლაქები და ჩემი აღფრთოვანებული სიხარული, რომელსაც ძლივს ვფარავდი. კრომენში ადრე ჩავედი და ვიწრო ქუჩაზე მაშინვე მივაგენი დუქანს. სადა ჩუქურთმიანი და დაბალსარკმლებიანი ხის ფასადი მწვანე და თეთრი საღებავით იყო შეღებილი, სასწორის თეფშების პრიალი ქუჩის გადაღმა მხრიდან შევნიშნე. დუქანში მხოლოდ მაშინ შევედი, როცა ფანჯრის მინაზე ორჯერ წავიკითხე: „საბაყლო და მარცვლეული საქონელი. ხ. დე მოლი“. წარწერა, როგორც ჩანდა, ძველი იყო, ნახევარი ასოები წაშლილიყო. ყურადღება მივაქციე იმას, რომ დუქანში მხოლოდ ერთი მყიდველი იყო, ისიც ბავშვი. დახლში ქალი იდგა — ალბათ, დედილო დე მოლი — პატარა ტანის, დანაოჭებულ სახეზე ლოყები ჩამრგვალებოდა, ცისფერი, აცრემლებული თვალები კეთილად გამოიყურებოდნენ. იგი, ალბათ, სრულიად გულუბრყვილო შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ ჩავარდნილ პირთან მკვეთრი ნაოჭები არ ჰქონოდა, რომლებიც გულადობისა და ხასიათის არაჩვეულებრივ სიმტკიცის კვალს ამჩნევდა მის სახეს. მაშინვე ინტუიციით შევიცანი მასში განსაკუთრებული პიროვნება. ამ ჩუმი პირისპირ შეხვედრის შემდეგ ზურგი შევაქციე დიასახლისს და ირგვლივ მიმოვიხედე, მან კი ზერელედ შემავლო თვალი. ბევრი არაფერი იყო ახლა საყიდელი ჩვენს ჰოლანდიაში, სურსათ-სანოვაგის უბადრუკ ნარჩენებს კი მხოლოდ წიგნაკებით იძლეოდნენ. აქ ერთადერთი თავისუფლად გასაყიდი საქონელი სუროგატი იყო, რომლებიც ცარიელი ქილებისა და ბოთლების გვერდით ეწყო; როცა გოგონა წავიდა და მოხუცი ჩემკენ მობრუნდა, ნამცხვრისთვის რაღაც სუროგატის ფხვნილი ვკითხე, რომელიც თაროზე ვნახე. როგორც კი თაროსკენ მიბრუნდა ფხვნილის ასაღებად, დაუდევრად ვკითხე:

— ალბათ, ლობიო აღარ გაქვთ?

მან სქელ ქაღალდში გახვეული სუროგატის შეკვრა მომაჩეჩა, ასწია თავისი მზემოკიდებული გონიერი სახე, უფრო ყურადღებით შემომხედა და მითხრა ისეთი ტონით, თითქოს უწმაწურად ვეხუმრეო;

— ლობიო! — რა დროში ცხოვრობთ? წელიწადზე მეტია ლობიოს ერთი მარცვალიც არ მინახია.

— ასეც ვფიქრობდი, — ვუპასუხე მე, — მაშ, ყველაფერი რიგზეა. ფრანსს განზრახული აქვს ამ დღეებში გამოგზავნოს ორი ტომარა...

ბებრული, აცრემლებული თვალებით უფრო დაკვირვებით შემომხედა.

— ნუთუ... — წარმოთქვა მან. მომეჩვენა, რომ ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა. — ეს კარგი ამბავია, ნამდვილად, როგორც ხედავთ, ძალიან გამოგვადგება.

— დიახ-მეთქი — დავუდასტურე. — ფრანსი ასეც ფიქრობდა. ოღონდ მან არ იცის, ვის ჩააბაროს ისინი.

მოხუცმა ცხვირი მოიწმინდა ზემოდან ქვემოთ, თუმცა სულაც არ სჭირდებოდა ცხვირის მოწმენდა; მომეჩვენა, რომ ამით მას უნდოდა ღიმილი დაეფარა. იგი დუქნის შიგნითა კართან მივიდა და მითხრა:

— ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ სხვაგან მოვილაპარაკებთ!

მზიან ოთახში შევედი, რომელსაც ჭერზე მიხაკისფერი დირეები ჰქონდა; გაკრიალებულ გალიაში იადონი რაკრაკებდა; ფანჯრებზე მწვანე კრეპის ქაღალდშემოკრულ ქოთნებში ფუქსიები ხარობდნენ. მოხუცმა სკამი დამიდგა, თვითონ არ დამჯდარა; მუცელზე ხელები გადაიჯვარედინა და კიდევ შემომხედა გამომცდელად.

— მაშ, ფრანსმა გამოგგზავნათ? — თქვა მან.

— თქვენ ხომ არაფერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო? — სერიოზულად ვკითხე მე.

მის რბილ ხმაში ისევ გაისმა მხიარულება:

— მე?... გენაცვალე! მხოლოდ მიხარია! ყოველთვის ვამბობ: ქალებს რატომ აღარ გზავნიან-მეთქი? ისინი ისე თვალში მოსახვედრნი არ არიან, როგორც მამაკაცები, და ხშირად უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ. მათ მხოლოდ საკუთარი თავის ფასი არ იციან... ახალგაზრდა რომ ვიყო, — თქვა უცებ მან და თავისი პატარა, დანაოჭებული მუშტი მაგიდას დაჰკრა, — სროლას ვისწავლიდი. აი, რუსმა ქალიშვილებმა იციან, რაც უნდა გააკეთონ!

მადლიერების გრძნობით დამტკბარი თავს ვუქნევდი. მებრძოლ ქალებზე ფიქრი, როგორც ჩანდა, ძალიან იტაცებდა მას, ალბათ, ბევრ რამეს მეტყოდა, რომ არ შემეწყვეტინებინა ლაპარაკი და საუბარი არ გადამეტანა ჩემთვის დავალებულ საქმეზე.

მოკლე ნაბიჯებით გაიარა ოთახი და სახლის უკანა ნაწილისაკენ გასძახა:

— დე მოლ! აბა, აქ შემოდი!

მოხუცის ყოველი მოქმედება ამაღელვებელი იყო: მისი გამბედაობა, სიმამაცე, სიკეთილე და ეს მშვენიერი პატრიარქალური ჩვეულებაც კი — ქმრისადმი გვარით მიმართვა.

დე მოლი შემოვიდა. მას ჟილეტი ეცვა, უპიჯაკოდ , და თავის ცოლზე უმცროსი ჩანდა; დაბალი იყო, ოდნავ უხეში, მუშის კუნთოვანი ხელები, შავი, თითქოს გამურული სახე და ღია ფერის თვალები ჰქონდა. იგი შკიპერს უფრო გავდა, ვიდრე ბაყალს; ალბათ, წინათ ზღვაში ცურავდა. თავი დამიკრა, თან გამომცდელად შემომყურებდა. მერე ცოლს შეხედა. მისი ცოლი მხიარულად ალაპარაკდა:

— დე მოლ, ეს ქალიშვილი ფრანსმა გამოგზავნა... ხომ იცი, ჰარლემელმა ფრანსმა... მას ისევ აქვს საშუალება საქონლის მცირე დანაზოგი დაგვითმოს, როგორც ეს ამბობს. უკვე ვუთხარი, რომ სწორედ საჭიროა-მეთქი... ახლა სულ სხვა საქმეა — როცა ქალმა მოკიდა ხელი ამ ამბავს.

დე მოლის ხელის ჩამორთმევა მკაცრი, ძლიერი და საიმედო იყო.

— კარგი ამბებია, — თქვა მან. — ჩვენი ბიჭები უკვე კარგა ხანია ჩივიან. რამდენი შეგვიძლია მივიღოთ?

— ორმოცდაათ კილომდე, — მგონი, — ვუპასუხე მე. — მაგრამ თვითონ უნდა მოველაპარაკო ხალხს იმის შესახებ, თუ სად და ვის უნდა გადავცეთ.

დე მოლმა სკამის საზურგიდან ველვეტის ქურთუკი აიღო, ჩაიცვა და გაისწორა.

— სწორია, ახლავე წავალ.

— დაგელოდებით, — ვუპასუხე მე. — რაც ჩქარა გავაკეთებთ ამ ამბავს, მით უკეთესია.

ქმრის წასვლის შემდეგ დედილო დე მოლმა ისევ დაიკრიფა მუცელზე ხელები, ჩემ წინ იდგა და წყალობის თვალით შემომყურებდა.

— მგონი, თქვენ კარგად იცით თქვენი საქმე, — თქვა მან. — დე მოლსაც უყვარს ენერგიულად მოქმედება, როგორც ხედავთ! მშვენიერი კაცია, გამოგიტყდებით... ჩვენი ბიჭები სიამოვნებით მოდიან ხოლმე ჩვენთან....

იგი დედობრივი ალერსით დაიხარა ჩემკენ:

— აქ შეიძლება კიდევ ზოგ რამეს გამორჩეს ადამიანი, გასაგებია?... ხომ არ გაგიმასპინძლდეთ ნამდვილი ყავით?

— ნამდვილით? — ვკითხე მე. — შესანიშნავი გამასპინძლება იქნება!

დედილო დე მოლი კეთილი ჯადოქარივით სწრაფად შევიდა სამზარეულოში. გალიაში იადონი გაბმულად რაკრაკებდა. წითელი ხის სკამზე ბრწყინავდა შემოდგომის მზე. მე ვისვენებდი, რადგან დიდ კმაყოფილებასა და უშიშროების გასაოცარ გრძნობას განვიცდიდი. შემეძლო წარმომედგინა, რატომ უყვარდათ აქ ყოფნა წინააღმდეგობის მებრძოლებს. მთელი დღის ნერვიული დაძაბულობის შემდეგ ეს ოთახი მათთვის ალბათ, წყნარი ნავსაყუდელი იყო. ყავა მომართვეს. დუქანში დროგამოშვებით სპილენძის ზარის წკრიალი გაისმოდა. დედილო დე მოლი დაუღალავად და მოთმინებით ემსახურებოდა მყიდველებს, როცა ისინი წავიდოდნენ, მე მომიჯდებოდა. ყლუპ-ყლუპად ვსვამდით სასწაულმოქმედ არომატულ სითხეს. მოხუცის აცრემლებული თვალები ბრწყინავდნენ. ვიდრე ჩემთან იჯდა, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ლაპარაკი. მან ერთხელ კიდევ გაამახვილა ჩემი ყურადღება იმაზე, რომ აქ ნამდვილი წყნარი ნავსაყუდელი იყო, რომ მას ყველა დედილოს ეძახდა, ამ სკამზე ჩემამდე ათობით ადამიანები ისხდნენ; მაგრამ ბევრი მათგანი აღარასოდეს დაბრუნდებოდა აქ. სწრაფი მოძრაობით ამოისვა თვალებში ხელი და ისევ დაიწყო ლაპარაკი „ყმაწვილებზე", რომელებსაც იცნობდა. ვხედავდი, რომ ამ „ყმაწვილებში" იყო მთელი მისი ცხოვრება. გავიხედე გვერდით ფანჯარაში და ორი ფიგურა დავინახე; მოხუცმაც შენიშნა.

— უყურე: დე მოლი უკვე დაბრუნდა. მგონი, თვითონ თეთრი ფლოორი მოყვება!...

ფლოორის სახელის გაგონებაზე სკამიდან ავდექი. ჩვენ შტაბში მოსმენილი საუბრიდან ვიცოდი, რომ იგი ზაანის წინააღმდეგობის საბჭოს უფროსი იყო. ვუყურებდი, როგორ გაიღო კარები, როგორ გამოატარა დე მოლმა წინ კაცი, რომელიც თავისი გოლიათური აგებულების გამო იძულებული იყო დახრილიყო და ისე შემოსულიყო. ვუყურებდი ოცდახუთი-ოცდაათი წლის კაცის გულღია, მოგრძო, ოდნავ ჭორფლიან სახეს; შუბლზე ჰქონდა ჩამოშლილი ურჩი, ძალიან ღია, თითქმის ჩალისფერი ქოჩორი. იგი მაშინვე მოვიდა ჩემთან და ხელი გამომიწოდა.

— ფლოორი მქვია, — მითხრა მან. — შეგიძლიათ დამიძახოთ თეთრიც... ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივად ასე მეძახიან. შენ, ალბათ, ნამდვილად ხანა ხარ.

— ნამდვილად ხანა ვარ, — გავიმეორე მე. მაშინვე გავწითლდი, უფრო სიამაყით, ვიდრე სირცხვილით: მან ჩემი სახელი იცოდა!

მივხვდი, რომ ჩემ შესახებ წინააღმდეგობის ჯგუფებში ლაპარაკობდნენ. ფლორომა დედილო დე მოლს მხარზე ხელი მოუთათუნა, სკამი დაიდგა, ჩემ პირდაპირ დაჯდა და ისევ დამიწყო თვალიერება, ახლა კი უკვე როგორც მეთაურმა თავის მებრძოლს.

— დიახ, დიახ, ხანა, — თქვა მან, — ახალი ამბები სწრაფად ვრცელდება, განსაკუთრებით ისეთებს შორის, როგორებიც ჩვენ ვართ... — და მან მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. — ძალიან მოხარული ვარ, რომ, როგორც იქნა, გნახე. — თავი ასწია და ცხვირით ჰაერი ღრმად შეისუნთქა. — მგონია, დედილო, ყავის სუნსა ვგრძნობ. ხაზს ვუსვამ: ყა-ვის სუნს.

მოხუცი ერთი-ორჯერ მივიდა მასთან, მხარზე ხელები დაადო და გულაჩვილებულად შეჰყურებდა.

— კი, მაგრამ, შენ ხომ არ გაყინულხარ. ეს ამის პატივსაცემად იყო, — თქვა მან, და ჩემზე ანიშნა. — მაშ, კარგი, რაკი მოხვედი...

ფლორომა შემომცინა:

— ხედავ, რა პატივში ხარ დედილოსთან!

დე მოლი ისევ გაუჩინარდა სახლის უკანა ნაწილში. დედილომ ყავა მოიტანა და ისიც წავიდა. მარტო დავრჩი ფლორომთან. გამომკითხა, თუ რა მოვუმზადეთ, და როცა მოვუყევი საწყობიდან გატაცებული იარაღის ამბავი, მხიარულად დაუსტვინა. იკითხა, რა ტიპისა და ყალიბის იარაღიაო. ყველაფერი ვუთხარი, რაც ვიცოდი. თვალმოუცილებლად მიყურებდა და მისი ცნობისმოყვარეობა სულაც არ მეუხერხულებოდა, მაშინაც კი, როცა ჩემ შესახებ დამიწყო გამოკითხვა.

— როგორც ვამჩნევ — თქვა მან ცოტა ფიქრის შემდეგ, — აქამდე უნდა ჩამოსულიყავი ჩვენთან... შენ სულ ჰარლემში ტრიალებ და, მართალი რომ ვთქვათ, იმ ორი ქალიშვილის გამო... ფრანსი ცუდი როდია, ამას მე სულაც არ ვფიქრობ... მკაცრად ნუ განსჯი მას. ესე იგი, რეზერვად გინახავს! მაგრამ რატომ? შენზე რომ იყოს დამოკიდებული, აქამდეც მოკიდებდი ხელს რამე უფრო საინ--ტერესოს, ხომ სწორია?

— თუ ფრანსი რეზერვად მინახავს, — ვუპასუხე მე, — მგონი, ამას აკეთებს მხოლოდ იმიტომ, რომ მის თვალში ქალიშვილი ვარ და მეტი არაფერი... რა დამამცირებელია! შენ მოიქცეოდი ასე, დამზოგავდი მხოლოდ იმიტომ, რომ ქალიშვილი ვარ?

ცარიელ ჭიქაში კოვზი მოურია და თქვა:

— ეს დამოკიდებულია იმაზე... ჩემი აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს, რისი გაკეთება უნდა და შეუძლია ადამიანს. არავითარი კავშირი არა აქვს საქმეს იმასთან, ქალია იგი თუ კაცი.

— საკითხის ასე დასმას მივესალმები! — შევძახე გახარებულმა, რადგან ვგრძნობდი, რომ ფრანსისთვის არ შემეძლო მეპატიებინა. ფლორომა შეამჩნია ეს და გაიცინა.

— აბა, აბა, ქალიშვილო, — დამშვიდებით დასძინა მან. — საქმე საკმარისია. ნახავ, მტერი ეცდება, უფრო მძიმე მდგომარეობა შეგვიქმნას... ჯერჯერობით კი, მოიტა, ჩამოიტანე ეს ძვირფასი ნივთები, მაშინ შევძლებთ ბრძოლის გაგრძელებას!

ზუსტად მოვილაპარაკეთ, როგორ უნდა გადმომეზიდა იარაღი. ერთ ჯერზე ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, ველოსიპედის ყველაზე დიდი ჩანთაც არ მეყოფოდა, გამოვიანგარიშე, რომ სამი ჩამოსვლა საკმარისი იქნებოდა; ფლორომა მითხრა, ორ-სამ დღეში ერთხელ ჩავსულიყავი, უფრო ხშირად არ შეიძლებოდა. დიდი ბორნით კი არა, პატარათი უნდა გადმოვსულიყავი ვესტზაანში, რაც შეიძლებოდა დილაადრიანად. პირველად ფლორი უნდა დამენახა, ჯებირზე იდგომებოდა. მერე ჩემზე წინ ორასი მეტრის მოშორებით წავიდოდა ველოსიპედით, ასე მიმაცილებდა ერთ მისამართზე ასენდელფტში; მომდევნო ორ ჩასვლაზე მარტო უნდა გამეკეთებინა იგივე. პირველი ჩასვლა 14 ოქტომბრისთვის დავთქვით. დროებით ასენდელფტში დავაწყობდით ყველა ჩემ მიტანილს, მერე კი ზაანელი ამხანაგები იზრუნებდნენ იმაზე, რომ იარაღი იქ დიდხანს არ დარჩენილიყო...

ფლორის წასვლის შემდეგ ხუთი წუთი კიდევ დავიცადე და მეც გავუდექი გზას. დედილო დე მოლმა დიდი ამბით დამადებინა პირობა, რომ აუცილებლად შევივლიდი მასთან, თუ „სადმე მახლობლად ვიქნებოდი“.

— იცოდე, ჩემი სახლი — წინააღმდეგობის სახლია, — თქვა მან გულწრფელად. — მისი კარი მუდამ ღიაა ყოველი თქვენგანისათვის!

უკან ვბრუნდებოდი ველოსიპედით, ჭკნობაშეპარული შემოდგომის ბუნების ოქროსა და მზის სხივებში გახვეული. დღევანდელი შეხვედრების შთაბეჭდილებებით ვიყავი აღსავსე. ძალიან მაოცებდა ის ამბავი, თუ როგორ მტკიცედ აკავშირებდა საიდუმლო ძმობა ადამიანებს, რომლებიც ერთი დღის წინ არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, — ამ დროს პოლდერზე გავლით მივდიოდი და ვფიქრობდი ჰარლემელ ამხანაგებზე, ანიზე, ტინკასა და ენსხედზე; ვფიქრობდი ყველა უცნობზეც, რომლებისკენაც ჩემგან მიემართებოდა და უკანვე მიბრუნდებოდა ადამიანთა სოლიდარობით დამუხტული ცოცხალი ძაფები — ეს იყო საიდუმლო, მძლავრი ქსელი, რომლის მონაწილეც გავხდი.

ჩემი ვარაუდი, რომ სამ გზობაზე გადავიტანდი იარაღს, გამართლდა. ოქტომბრის ბოლოს ასენდელფტში წავიღე რეოლვერების უკანასკნელი პარტია. შემოწმებისას არასოდეს არ მქონია გაუგებრობა; ყველგან დადიოდნენ ქალები ჩანთიანი ველოსიპედებით, პოლდერებზე გლეხებისაგან სანოვაგის საშოვნელად. თმას წინდახედულად თავსაფრით ვიფარავდი და ყოველთვის ვიცვლიდი პალტოს. და ყოველთვის — რაც არავისთვის არ გამიმხელია — ჯიბეში რევოლვერს ვიდებდი. კარგად ვიცოდი, რაც მომელოდა, თუ ნაცისტები ან ფაშისტების დამხმარე პოლიცია დამაკავებდა და ჩემი ველოსიპედის ჩანთაში ჩაიხედავდა. არ განმიზრახავს, ისე ჩავვარდნოდი მათ ხელში, რომ საკუთარი სიცოცხლის დაცვა არ მეცადა და მტრის სისხლი არ დამეღვარა. მაგრამ ამ სამი მგზავრობისას და (კიდევ ბევრი სხვა მგზავრობის დროსაც) მართლაცდა ბედი მწყალობდა. დიდი სიამოვნებით ვისმენდი ამხანაგებისა და ჯგუფის უფროსის ქებას.

შვიდი ნოემბერი

ნოემბერი ცუდი ამინდებით დაიწყო. ჩვენი ჯგუფის მუშაობაში შესამჩნევი მყუდროება გამეფდა, თითქოს ფრანსმა, საბრძოლო მასალისა და იარაღების მოზღვავების მიუხედავად, კარგად არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. იქნებ მისი სულიერი წონასწორობა უფრო იმან დაარღვია, რაც მას უნდოდა ეღიარებინა, მაშინ, როცა სიკვდილის ახალი განაჩენები გამოაცხადეს — ეს მოხდა ოქტომბრის ბოლოს, ყველა თავზარდაცემული ვიყავით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნაცისტებმა მათი გამოქვეყნების ახალი მეთოდი გამოიგონეს: თუ სწორი ცნობა მივიღეთ ციხეებიდან, მაშინ, ალბათ, ორმოცი-ორმოცდაათი კაცი იყო მოკლული. ნაცისტებმა თავის გაზეთებში მოათავსეს ცნობა, რომ სიკვდილით დასჯილთა გვარებს თანდათანობით გამოაცხადებდნენ, მცირე ჯგუფებად, ხუთი ან ექვსი კაცის გვარს ერთად.

ერთ-ერთ შუაგებულმა რულანტმა დაჭმუჭნა გაზეთი, რომელშიც ახლახან წაიკითხა ეს განცხადება და წამოიყვირა: — დალახვროს ეშმაკმა, მათთან ახლა ტერორიც მკაცრად ნაწილდება?

— მათ უნდათ მუდმივად შიშში ჰყავდეთ ხალხი, რომლებსაც სურთ გერმანელებს საკადრისი პასუხი გასცენ, — აი, რაშია საქმე,— დაიბუზღუნა იანმა.

— როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ... ჩვენ ბრძოლას განვაგრძობთ, — თქვა ედიმ.

ფრანსი ხმას არ იღებდა, ეტყობოდა, რაღაც არ ასვენებდა. შეწუხებული სახით, გაჩუმებული იჯდა და ფრჩხილებს იკვნეტდა. უკანასკნელ ხანებში ჯგუფის წევრებს თითქმის არ ელაპარაკებოდა. როგორც ჩანდა, ეგონა, რომ ისინი მისგან ელოდნენ ისეთ რამეს, რაც მას არ შეეძლო. ჰუგო ხანდახან რამდენიმე დღით იკარგებოდა, ვხვდებოდი, რომ ეს გულჩახვეული კაცი, რომელიც ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ხოლმე შტაბში, პირთან მკაცრი ნაოჭითა და ჩვეულებრივზე უფრო სიტყვაძუნწი, მორიგ დავალებას ასრულებდა.

შეთანხმებული ვიყავით, რომ 7 ნოემბერს საღამოს ყველანი შტაბში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, ბი-ბი-სის მოსასმენად, რომელმაც გამოაცხადა, რევოლუციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მოხსენების ტრანსლაცია მოსკოვიდან.

იმ დღეს, შუადღისას ჩვენი სახლის მისამართზე ბელგიიდან მოვიდა ტანიას გამოგზავნილი ხედიანი ღია ბარათი: საფოსტო შტემპელზე აღნიშნული იყო „ნამური“, გამოგზავნის თარიღი — ოქტომბრის შუა რიცხვები. ბარათზე მხოლოდ ჩემი მშობლების მისამართი და ტანიას გვარი ეწერა. ჩვენ რიგრიგობით, უხმოდ ვათვალიერებდით ღია ბარათს, თითქოს მუყაოს უტყვ, ხედიან ნაჭერს შეეძლო კიდევ რაიმე ეთქვა ტანიას ხიფათის შესახებ; ერთადერთი დასკვნა, რაც ჩვენ გამოვიტანეთ, ის იყო, რომ ტანია ნამდვილად უკვე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მინდოდა მეთქვა: „კი, ბელგიაში ჩაღწია, მაგრამ რა იქნება მერე?...“ გავჩუმდი, არ მინდოდა საგონებელში ჩამეგდო შინაურები.

დარდი მაშინვე გამეფანტა, როცა შტაბში მივედი და ჩემი ამხანაგები დავინახე, რაღაც ახალი, აშკარად საგრძნობი ერთსულოვნებით დარაზმულები. ჰუგოც აქ იყო. იგი ედისთან ერთად იჯდა ერთ-ერთ გაცრეცილ ტყავის დივანზე და ორივენი რევოლვერებს წმენდდნენ, ვიდრე ჩვენ რადიოს ვუსმენდით — უკვე დაიწყო მოხსენების ტრანსლაცია მოსკოვიდან. ფრანსი შესანიშნავ ხასიათზე იყო: მან, როგორც ჩანდა თავი დააღწია დაბნეულობას; პირი და წმინდად მოპარსული სახე ამჟღავნებდნენ მის ჩვეულებრივ მტკიცე გამომეტყველებას. როცა რადიოგადაცემა დამთავრდა, რუსეთის რევოლუციის დღესასწაულის პატივსაცემად ლუდი დავლიეთ.

ფრანსის ზურგს უკან მდგომმა ჰუგომ გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. უნებურად მეც გავუღიმე. ტომი რადიომიმღების წინ იყო დაჩოქილი. შავი კომოდის სიღრმიდან ტკაცანი და ღმუილი ისმოდა... ჩვენ თითქოს უხმოდ შევთანხმდით, რომ კუთხეში მჯდომი ფრანსის-

თვის არ შეგვეხედა და სიგარეტებს ვახვევდით. ცოტა ხანიც გავიდა და ტომმა მოსკოვის დაჭერა მოახერხა. მართლაც მუსიკას გადმოსცემდნენ. იგი ჩვენამდე ტალღებად აღწევდა, თითქოს ჩვენსა და შორეულ საბჭოთა ქვეყანას შორის ქარი მძვინვარებდა და ხმებს სივრცეში ფანტავდა.

ვეინანტმა საქმის დიდი ცოდნითა და დარბაისლური თავაზიანობით აავსო ჭიქები ლუდით, და უცებ ეკვი შემეპარა: შეძლებს ბოლომდე გაჰყვეს ჩვენ იდეას, ოქტომბრის რევოლუციის იდეას? პირველი ჭიქა ფრანსს მიართვა. დიდხანს ვისხედით უსაქმოდ, ნელ-ნელა ვწრუპავდით ლუდს. დროდადრო რომელიმე ჩვენთაგანი სიმღერას წამოიწყებდა, ანდა ვუსმენდით მუსიკას, რომელსაც მოსკოვიდან გადმოსცემდნენ და განუწყვეტლივ ვწევდით საზიზღარ, მაგარ თამბაქოს, რომელიც ყველას ხველით გვახრჩობდა. ეს იყო ჩემ ცხოვრებაში პირველი და ოქტომბრის რევოლუციის ყველაზე საკვირველი დღესასწაული. ჰუგო ძველ გაზეთებსა და ბროშურებში იქექებოდა. ბოლოს, როგორც ჩანდა, იპოვა, რასაც ეძებდა. იგი იატაკზე იჯდა რადიომიმღებისაკენ ზურგი ჰქონდა შექცეული, და უცებ გამოთიშა რადიო, მძაფრი მუსიკალური ინტერმეცოს შუა ნაწილში. მერე ჩაიცინა ერთხელ, მეორედ.. ყველას გაგვეღიმა. ჰუგომ დარცხვენილად, ხმამაღლა დაიწყო კითხვა. ძალზე შვენოდა უხერხულობა, ერიდებოდა, ისე, როგორც საერთოდ დასაბამიდან ყველა ახალგაზრდას, ერიდება შერცხვენის. მაგრამ ჰუგომ მაშინვე სძლია უხერხულობა, და ამან ისე გამახარა, რომ პირველად უფრო მას ვუყურებდი, ვიდრე ვუსმენდი, მისი ხმა თანდათან დინჯად აღღერდა. სავსებით გავიმსჭვალე წაკითხული ნაწყვეტის მკაცრი ლოგიკითა და მდიდარი აზრებით:

ჩვენ რამდენიმე დღეში დავანგრიეთ ერთ-ერთი ყველაზე ძველი, უდიდესი ბარბაროსული და მხეცური მონარქია. რამდენიმე თვეში გავიარეთ ბურჟუაზიასთან შეთანხმების, წვრილბურჟუაზიული ილუზიებისაგან განთავისუფლების მთელი რიგი ეტაპები. რაზედაც სხვა ქვეყნებმა ათეული წლები დაკარგეს. ბურჟუაზია დავამხეთ და რამდენიმე კვირაში დავამარცხეთ მისი აშკარა წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში. გამარჯვებული, ბოლშევიზმის ტრიუმფალური სვლით გავიარეთ თვალუწვდენელი ქვეყნის თავიდან ბოლომდე. ჩვენ მივიყვანეთ გამარჯვებამდე და დამოუკიდებელ ცხოვრებამდე ცარიზმისა და ბურჟუაზიის მიერ დამონებული მშრომელთა მასების ყველაზე დაბალი ფენები. ჩვენ დავაარსეთ და განვამტკიცეთ საბჭოთა რესპუბლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუსაზღვრელად უფრო მაღალი და დემოკრატიული, ვიდრე ბურჟუაზი-

ულ-პარლამენტარულ რესპუბლიკათა შორის ყველაზე უკეთესი რესპუბლიკაა".

ჰუგო კიდევ დიდხანს გვიკითხავდა. ყველა ჩვენთაგანი, თვით ვეინანტიც, თავისებურად, უხმოდ უგდებდა ყურს დიად სიტყვებს. არავის წაუღია ხელი ლუდის ჭიქისკენ, არავის შეუხვევია სიგარეტი. ამხანაგებმა ხველაც კი შესწყვიტეს. თითქოს ყოველი სიტყვით იქ-ღინთებოდნენ. ეს სიჩუმე და გამახვილებული ყურადღება მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა ჰუგომ კითხვა დაამთავრა. მან წიგნი დახურა და თქვა:

— ეს ლენინია... აი, როგორ მოიქცნენ ისინი იქ, ჩვიდმეტ წელ-ში...

რულანტმა თავი ასწია და ჩაიბუტბუტა:

— და ეს მოხდა მაშინ, როცა მთელი მსოფლიო მასხრად იგდებ-და კომუნისტებს, როცა ყველა წინასწარმეტყველებდა, სამ თვესაც ვერ იარსებებენო!

იოხანმა ოდნავი ღიმილით, ზარ-ზეიმით წარმოთქვა:

— აი, უკვე ოცდაექვსი წელია ისინი არსებობენ... მერედა რო-გორი წლები იყო ეს წლები! მათ ყველაფერი შექმნეს თავიანთ ქვე-ყანაში — ფაბრიკები, მანქანები; ახლა საკუთარი არმია ჰყავთ, სა-კუთარი გენერლები, რომლებიც წინათ ისეთივე მუშები იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ... ისინი ჰიტლერელ ძაღლებსაც ისე ჩაუმ-ტვრევენ ხერხემალს, რომ შესაწყალებლად არც დააღმუვლებენ.

ოთახის კუთხიდან უცებ ფრანსის ხმა გაისმა:

— ისინი ამას გააკეთებენ... ჩვენც დავეხმარეთ ცოტათი... ამ-ხანაგებო! თქვენთვის ჯერ არ მითქვამს, რის გაკეთება მოასწრო ტვენტეში ჩვენმა ქვეჯგუფმა. გუშინ ანისა და ტინკას წერილი მივი-ღე. იქ საქმე კარგად აეწყო. პირველი თივიანი მატარებელი, რომე-ლიც საზღვარზე უნდა გადასულიყო გლანერბურგთან ახლოს, ფეი-ერვერკივით ააფეთქეს!..

ისე ხმამაღლა დავიწყეთ ვაშას ძახილი, რომ საჭირო გახდა ფრანსის ჩარევა, რომელიც, საერთოდ, ხმაურს არ ერიდებოდა.

— სუთ... — შეგვაჩერა მან.

ფრანსს კმაყოფილი ღიმილით შევცქეროდით. ვეღარ ვცნობდით მას. სადღაც გამქრალიყო მწარე წყენისა და გულგატეხილობის კვალი, რომელიც საშინლად უმახინჯებდა სახეს. ჰუგოს მადლობის გამომხატველი თვალებით იმისათვის შევყურებდი, რომ მან მოი-ფიქრა ჩვენთვის ლენინის სიტყვების წაკითხვა. ჰუგომ თვალები ამა-რიდა, მაგრამ, მის ტუჩებს კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა. იშვიათად თუ მიგრძვნია თავი ისე ბედნიერად, როგორც იმ დღეს.

საოცრად ნათლად მქონდა წარმოდგენილი, რამ მომიყვანა აქ და რა მინდოდა. ვიცოდი, რისთვის ვცოცხლობდი და რისთვის ვიყავით აქ, იატაკქვეშეთის შტაბში, ოკუპირებულ ქვეყანაში, ჰოლანდიის ერთ-ერთ სახლში. და ვიდრე გავერკვეოდი რას ვაკეთებდი, ავდექი, ჩემი ჭიქა ავწიე და წამოვიყვირე:

— მომავლისათვის! სამშობლოსათვის! მშვიდობისათვის!

ყველა ამხანაგი ფეხზე ადგა. ერთიანობის გრძნობით შეკავშირებულნი, ბედნიერნი, სიცილით შევყურებდით ერთმანეთს. ფრანსი ჩემთან მოვიდა და ხელი გადამხვია. მხრებამდე ვწვდებოდი. იგი ფრთხილად, დიდი ამბით მეამბორა თმაზე. ეს იყო დაძმური, ამაღელვებელი ჟესტი და უცებ მომეჩვენა, რომ თითქოს ამ წუთიდან ჩემი ამხანაგებისათვის მე გავხდი ჩვენი ბრძოლის სიმბოლო.

გეგმები

იმ ღამეს, ძალიან გვიან, შინ დაბრუნებისას, შეუმჩნეველად ჰუგოც ჩემი გზით წამოვიდა. წარმოდგენა არ მქონდა, სად ცხოვრობდა იგი. ვფიქრობდი, რომ სადღაც ფელზენის რაიონში ჰქონდა ბინა. ერთხელ რულანტი მიამბობდა, რომ ჰუგო ლიმბურგიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ მშობლების სახლში დაბინავდა და იქ იმალებოდა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, ფლორმა, რომელიც ჰუგოსთან ერთად მაისის გაფიცვას ხელმძღვანელობდა, მისთვის სხვა ბინა გამონახა. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ცოტათი მაშინებდა კიდეც ჰუგოს საიდუმლოებით მოცული გარემო, მაგრამ ამ შიშს თან აღფრთოვანება ერთვოდა. ვფიქრობდი, რა დიდ საქმეებს გააკეთებდა ჩვენი წინააღმდეგობის ჯგუფი, მისი ხელმძღვანელი რომ ჰუგო ყოფილიყო და არა ფრანსი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჰუგომ თავისი დაბრუნებიდან ხუთი-ექვსი კვირის განმავლობაში უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ჩვენ ყველამ ერთად. ჰარლემსა და ფელზენს შორის რაიონს საკუთარი ხუთი თითივით იცნობდა. „ეს მისი ძველი სამემკვიდრეოა“, — თქვა ერთხელ ფრანსმა. სწორედ ამ რაიონში და ამ პერიოდში შეუმჩნეველად გაქრა გერმანელთა დაზვერვის ორი-სამი საშიში პროვოკატორი და დამსმენი. დღემდე ეძებდნენ ამ შურისძიების ჩამდენთ. ვფიქრობ, სიმართლესთან ახლოს ვიყავი, როცა მეგონა, რომ ჰუგომ ყველაზე უკეთ იცოდა ეს ამბავი. მას არაფერი უთქვამს მათ შესახებ, იგი საერთოდ არასოდეს არაფერს ყვებოდა — ყოველ შემთხვევაში, მე არ მიყვებოდა. შეიძლება ფრანსმა მეტი იცოდა. ამ საღამოს ჰუგო პირველად ცდილობდა

ჩემთან საუბარს. აქამდე ჩემთვის განსაკუთრებული ყურადღება არც მოუქცევია: მართალია, ფრანსი ისე იქცეოდა, თითქოს მხოლოდ მას ჰქონდა განსაკუთრებული უფლება ჩემი განმკარგულებელი ყოფილიყო. აი, რატომ იყო, რომ როცა ჰუგო ველოსიპედით გამოჰყვა გვერდზე ჩემს ველოსიპედს, მე ვიფიქრე — ახლა გავიგონებდი რაღაც არაჩვეულებრივს. რამდენიმე ხანი ჩუმად მოვდიოდით ჰარლემისაკენ, ბოლოს ჰუგომ წამოიწყო ლაპარაკი:

— ხანა, შენ ხომ იარაღის გადატანის შემდეგ მხოლოდ გაზეთზე მუშაობდი?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ძალიან გინდა რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება, ხომ ასეა?

— ეს არის ჩემი ყველაზე დიდი სურვილი.

მან ფეხით შეაჩერა ველოსიპედი; მეც უფრო ნელა განვაგრძე გზა.

— გაჩერდი ერთი წუთით, — მითხრა მან. — რაღაცის თქმა მინდა.

ველოსიპედებიდან ჩამოვედით და გზის პირას ხის ქვეშ გავჩერდით. წვიმა ცრიდა. მთელი გარემო უკუნეთში იყო გახვეული. მხოლოდ ჰუგოს თავი მოჩანდა. რომელიც შავად ისახებოდა უფრო ღია ფერის ხეების ფონზე.

— მე და ფლორმა ერთი საქმე ჩავიფიქრეთ, ხანა, — თქვა ჰუგომ ისე ხმადაბლა, რომ სმენის დაძაბვა დამჭირდა მისი სიტყვების გასარკვევად, — ოღონდ სახიფათოა, წინასწარ გეუბნები. საერთოდ, ასეთი საქმეები ყოველთვის საშიშია. აქ საქმე გვაქვს სერიოზულ მცდელობასთან...

ტუჩები ამიცახცახდა და თითქოს გული ყელში მომებჯინა.

— მითხარი, რაშია საქმე, ჰუგო, — ვკითხე მე. უცებ გავიგონე, როგორ თავშეკავებულად გაიცინა.

— არ გეშინია?

— არა, კბილები თუ მიკაწკაწებს, ეს შენ რომ რაღაცას მიმზადებ, იმის წინასწარ განჭვრეტით გამოწვეული ნერვიული დაძაბულობის ბრალია.

მას ისევ გაეცინა.

— გასაგებია. მჯერა, ხანა, რომ შენ ჩვენი საქმისთვის ვარგიხარ. მართალი უნდა გითხრა, როცა ამ გეგმას ვიმუშავებდით, ფლორმა შენ დაგასახელა. „ხანა ერთი იმათთაგანია, ვინც ამის გაკეთებას გაბედავსო“, — თქვა მან. შენ ჩვენთვის საჭირო ხარ, ხანა.

— ჰუგო, — ვეეედრებოდი მე, — ნუ მტანჯავ, მითხარი, რა უნდა გავაკეთო.

— ხვალ დილით მიდი ამხანაგებთან, იმ სახლში, სადაც „დე ვაარხეიდი“ იბეჭდება. ხრეეტე მოგიყვანს ჩემთან და ფლოორთან. ალბათ, ფლოორი კიდევ ვინმეს წამოიყვანს. დანარჩენს იქ გეტყვიან. ოღონდ, ხანა, იცოდე ფრანსს ერთი სიტყვა არ უთხრა ამის შესახებ. ეს ჩვენი თავდასხმაა, გასაგებია?

მან ერთი წუთით ჩემი ველოსიპედის სახელურს მაგრა მოუჭირა ხელი, თითქოს მაფრთხილებსო. მერე უცებ დაიბნა და მითხრა:

— ნახვამდის...

დილის ათი საათიც არ იყო, რომ ჰარლემის ჩრდილოეთ რაიონში, აღნიშნულ მისამართზე გამოვცხადდი. ლოყაწითელა ხრეეტეს უკვე ლაბადა ეცვა.

— თქვენ მოილაპარაკეთ ვინმესთან? — მკითხა მან. თან თითქოს მთელი სახე უცინოდა. მან საჭირო მისამართზე მიმიყვანა, სულ ორი-სამი კვარტალის იქით, იქ მეც მიმქონდა ხანდახან გაზეთები. ახალგაზრდა სახელოსნოს გვერდით ოთახში ფლოორი იჯდა ვიღაც უცნობ მამაკაცთან ერთად. იგი ძველი ნაცნობივით მომესალმა, ახალგაზრდებისათვის ჩვეული თავისუფალი ჟესტით. შუბლზე თეთრი ქოჩორი ჩამოშლოდა, მოგრძო სახე უღიმოდა. თანამოსაუბრე ბრამის სახელით გამაცნო. შავთმიანი, ჩუმი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც სქელი, ნაცრისფერი სვიტერი ეცვა, „გამარჯობა ამხანაგო“, — მომესალმა იგი, მეტი არაფერი უთქვამს, ფლოორმა გამომკითხა, რას ვაკეთებდი ჰარლემში და აღვნიშნეთ თუ არა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული. ყველაფერი ვუთხარი, ოღონდ ცოტა ფრთხილად, ფლოორმა ისე გაიცინა, თითქოს უფრო მეტი იცოდა, ვიდრე მე ვუთხარი. ბრამი ხანდახან ჩუმ-ჩუმად შემომხედავდა ხოლმე. ალბათ, უჭირდა შერიგებოდა იმ ამბავს, რომ წინააღმდეგობის საქმეში ქალებიც ერივნენ. მოვიდა ჰუგო და მაშინვე შეწყვიტა ჩვენი საუბარი, მე და ფლოორს შუაში ჩაგვიჯდა, მაგიდას ნიდაყვით დაეყრდნო და გვითხრა:

— ყველანი აქა ვართ. გაგვაცანი სამხედრო მოქმედების გეგმა.

ფლოორმა მოქმედების გეგმის ახსნა დაიწყო. იგი ისეთი გაქანებით იყო შედგენილი, რომ სუნთქვა შემეკრა, ეტყობოდა, ჰუგოს და ფლოორს ერთად შეემუშავებინათ. ამ გეგმის მიზანი იყო, რათა მწყობრიდან გამოგვეყვანა ფელზენის ელექტროსადგური, რომელიც ენერგიას აწვდიდა ნახევარ პროვინციას — ეს იყო და ეს. მე ჰუგოს შევყურებდი, თავისი უშველებელი ხელებით მაგიდაზე დაყრდნობილი ფლოორი კი ნახშირის საწყობზე ყვებოდა; საწყობი უშუალოდ გარეთა კედელში იყო მოთავსებული, მას ტვირთამწე ჰქონდა, საწყობს ნახშირის გადმოსატვირთავ ადგილთან ტრანსპორტიორი აერ-

თებდა. ფლორომა ქაღალდი და ფანქარი ამოიღო და ზერელეთ დახატა ამ საწყობის, როგორც მან თქვა, ელექტროსადგურის საარსებო ცენტრის გეგმა. ჰუგოს სახე არაფერს არ გამოხატავდა; მხოლოდ მისი თვალების სილაჟვარდეში აღფრთოვანების ნაპერწკლები ბრწყინავდნენ. ერთხელ მან მითხრა: „ჩვენ ხომ ერთმანეთს ვიცნობთ“. ესე იგი, უფრო მენდობოდა, ვიდრე ამას ამეღავნებდა. ამის შეგრძნებამ სიამაყით ამავსო და მტკიცედ გადავწყვიტე გამემართლებინა მისი ნდობა, ფლორორს ვუსმენდი და თავი ჰუგოზე ფიქრით მქონდა გამოჭედილი. მაოცებდა მისი დუმილის უნარი და ცალკე მოქმედებისაკენ მიდრეკილება. ბრამი ნახაზზე დაიხარა, მეც დავხედე ქაღალდს, იმით დაინტერესებულმა, თუ რა როლის შესრულება მომიწევდა.

ფლორორი გვათვალიერებდა მე და ბრამს.

— კაცი, რომელიც ამწეზე მუშაობს, ამ დღეებში ნიშანს მომცემს, — თქვა მან. — ოპერაციის დეტალები, საჭირო ზონარი, საათის მექანიზმი და ასაფეთქებელი ნივთიერება უკვე მზადაა... როგორც კი დღე ზუსტად იქნება დათქმული, საქმეს შევუდგებით. ხანა, უკანასკნელ ინსტრუქციებს ჰუგო გადმოგცემს. ბრამთან ერთად მესერთან მიიტანთ ასაფეთქებელ მასალას. ამ დროისათვის მე და ჰუგო უკვე იქ ვიქნებით. ჩვენ კედელზე გადავძვრებით. ბრამი და ხანა გარეთ გვიყარაულებენ.

ფლორომა გაიღიმა, თუმცა სერიოზული სახე შეენარჩუნებინა, და ლაპარაკი განაგრძო.

— იმ ტერიტორიაზე პოლიციის საკმაოდ ძლიერი რაზმია. შეიძლება, სროლა აგვიტეხონ. წინასწარ გეუბნებით, ყმაწვილებო: ძალზე სახიფათოა, მაგრამ თუ მოხერხდა, კარგი საქმეა... გარკვეული დროის განმავლობაში, სარკინიგზო ტრანსპორტი სრულიად გაჩერდება!

ბრამმა პირველად ამოიღო ხმა.

— ჩემთვის ხიფათი არ არსებობს.

ჰუგომ მე შემომხედა. მის სქელ, შავ წარბებს შორის შეშფოთების ნაოჭი გაჩნდა, თვალებში უხმო შეკითხვა ამოვიკითხე: გეყოფა თუ არა გამბედაობაო? თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მას ოდნავ გაეღიმა.

მალე დავიშალენით. პირველად ჰუგო წავიდა, მერე ბრამი. ფლორომა ნაკუწებად აქცია და პატარა ღუმელში შეყარა ქაღალდი, რომელზედაც გეგმა ეხატა. მერე თავი დამიქნია, მანიშნა, წასვლა შეიძლებაო. წასვლის წინ მხარზე ხელი დამკრა და გულღიად, მხიარულად გამიცინა. ამ ღიმილით გამხნევებული გამოვედი სახლიდან.

ალბათ, ხუთი დღე კიდევ გავიდა, ვიდრე ელექტროქსელში მომუშავემ შეგვატყობინა ამბავი. უკვე ვწუხდი, საქმე ხომ არ ჩაიშალა-მეთქი, რომ ჰუგო გამოცხადდა. იგი თვალს არიდებდა ჩემ მზერას, სამაგიეროდ გაცხოველებული საუბარი დაიწყო სხვა ამხანაგებთან, რომლებიც მწარედ დასცინოდნენ გერმანელთა დადგენილებას, რომ თუ ვინმეს სახლში რადიომიმღებს აღმოაჩენდნენ, მთელ მოწყობილობას ჩამოართმევდნენ.

— უკეთესი იყო ერთიანად ევაკუაციაში გაეგზავნათ ნახევარი ჰოლანდია, — გესლიანად წარმოთქვა ედიმ. — ყოველი არალეგალური რადიომიმღებისათვის გულდენის მეოთხედი რომ მომცა, გავმდიდრდებოდი!

ამრიგად, საუბრის უმეტესი ნაწილი არ მესმოდა. გარეგნულად არაფერს ვიმჩნევედი, მაგრამ შინაგანად ძალიან ვღელავდი, მაინტერესებდა, რა ახალ ამბავს შემატყობინებდა ჰუგო. იმ საღამოსაც სცადა ჩემთან ერთად წამოსულიყო. შტაბს კილომეტრით დავცილდით, მღელვარება თანდათან მემატებოდა. ბოლოს ჰუგომ მითხრა:

— ის ამბავი ხვალ საღამოს უნდა მოხდეს, ხანა. ასაფეთქებელი მასალა ერთ ადგილას არის, დრიხეისში. ბრამი სასაფლაოს პირდაპირ გადასასვლელთან გელოდება... არაფერი დაგავიწყდეს. ბარგს კარგად მიხედე, იმ შემთხვევაში თუ არ გაგვიმართლებს... — მან ხმადაბლა გაიცინა. — არა, მარცხი არ მოგვივა. ასეთი თავდასხმები ყოველთვის გიმართლებს, როცა კარგი დასასრულის იმედი გაქვს.

სულგანაბული ვუსმენდი, ისე დაძაბულად, რომ მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა ლაპარაკი დაასრულა. სუნთქა მიჭირდა. ჰუგო გაჩერდა, სიბნელეში ჩემკენ დაიხარა და მკითხა:

— როგორ, უარს ამბობ?

მის ხმაში აშკარა წუხილი გაისმა.

— რა თქმა უნდა, არა! — ვუპასუხე მე. — მაგრამ ეს ჩემი პირველი გამოსვლაა, ჰუგო... ნურაფერს ნუ მეკითხები!

მან ჩაახველა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაჩუმდა. როგორც პირველად, ახლაც უცებ გაუჩინარდა სიბნელეში. მართალი უნდა ვთქვა, კიდეც გამეხარდა: მთელი ჩემი არსება შეიპყრო იმის რწმენამ, რომ ეს თავდასხმა მართლა შესდგებოდა და მარტო დარჩენა აუცილებელი იყო ჩემთვის, ამ ფიქრებთან შესაგებებლად. მეორე საღამოს მშრალი ამინდი იდგა, მთვარე არ ჩანდა. ქარი ქროდა. როცა გადასასვლელს ვუახლოვდებოდი, მატარებლის ხმაური გავიგონე. ძლივს მოჩანდა მაღლა აწეული შლაგბაუმის

ლანდი. ჩემ გვერდით სიბნელეში მიმოდიოდნენ ფიგურები — მატარებლიდან ჩამოსული ადამიანები. გავჩერდი და ვიცდიდი, სანამ ისინი სიბნელეში მიიმალებოდნენ. დრო საშინლად ნელა მიდიოდა. ბრამი არ ჩანდა. ის იყო ფიქრმა გამიელვა, საქმე ჩაიშლება-მეთქი, რომ უცებ ხეებს გამხდარი ფიგურა გამოეყო:

— ხანა ხარ?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ბრამი აქაა, — თქვა მან.

— მადლობა ღმერთს, რომ მოვიდა, თორემ უკვე ვფიქრობდი...

ბრამმა ოდნავ აგდებულად დაუსტვინა;

— ნერვები? არაა საჭირო. ყველაფერი განრიგის მიხედვით მიმდინარეობს... ტვირთი აქვე ახლოსაა.

ველოსიპედით მივდიოდი, ბრამის სალტის ხრაშუნზე ვიკვლევდი გზას უჩინარ გზატკეცილზე და მხოლოდ ჩემი ფარნის სინათლე ქინძისთავის თავივით მიხტოდა გზაზე. ბრამი ერთი ქუჩის მოსახვევთან გაჩერდა. მე ველოსიპედიდან ჩამოვედი. წამჩურჩულა, რომ ველოსიპედებისათვის მიმექცია ყურადღება. ქვებზე მისი ფეხის ხმა მესმოდა. სიბნელეში გავარჩიე შენობის კუთხეები და კედელი, მერე ფანჯრიდან გამომავალი სინათლის წვრილი ზოლი. კარის გაღება და ჩუმი ლაპარაკი გავიგონე. მაგრამ აი, ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა — ვიღაც ჩემკენ მოდიოდა მძიმე და ნელი ნაბიჯებით, როგორც ჩანდა, დიდი ტვირთი მოჰქონდა. ბრამი გამოჩნდა.

— ყველაფერი საბარგო ღვედებშია გამოკრული, — მითხრა მან. — მოდი ახლოს, ზურგზე წამოიკიდებ ამ შეკვრას, ზურგჩანთასავით... შეგიძლია? — ჩურჩულით მკითხა აშკარად დაეჭვებულმა.

გამეცინა.

— ხშირად დავდივარ ზურგჩანთით, — ვუპასუხე მე.

— მაგრამ, ეს ძალიან მძიმეა. — მიპასუხა ბრამმა.

— ღვედები მხრებზე ჩამომაცვა. მართალი აღმოჩნდა: არავითარი მძიმე ზურგჩანთის შედარება არ შეიძლებოდა ტყვიასავით ტვირთთან, რომელმაც ისე დამაჭირა მხრებზე, რომ ტანისამოსის შიგნით კანი გადამატყავა. ბრამმა ერთხელ კიდევ მკითხა:

— როგორაა საქმე? ნახევარი საათი ასე შეგიძლია ველოსიპედით იარო?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე.

სიჩუმე გამეფდა, რაც ყრუ დარტყმამ დაარღვია, როცა ბრამმა ტვირთი შეიგდო მხარზე. ორიოდე წუთის შემდეგ გზას გავუდექით. ჩემი თანამგზავრი ისევ წინ წავიდა. სიარული ძალიან ჭირდა. ტვირთი თანდათან უფრო უმოწყალოდ მაჭერდა მხარზე. მალე მთელ

სხეულზე თითქოს ცეცხლი მომედო. ტანისამოსი ზურგზე მიმეკრა. მიხაროდა, როცა ქარი ხიდან ჩამობერტყილ თითო-ოროლა ცვარს მომაშხეფებდა სახეზე. ბრამი მშვიდად მიდიოდა, შეუჩერებლივ, თითქოს ეს მისთვის ჩვეულებრივი საქმე ყოფილიყოს. მისი თვითრწმენა მეც მამხნევებდა. დროდადრო მესმოდა ბრამის თავშეკავებული ხმა:

— აქა ხარ?

— ყველაფერი რიგზეა, — ვპასუხობდი მე.

ხიფათზე აღარ ვფიქრობდი; მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი, დაღლილობისგან ხელ-ფეხის დაბუჟების მიუხედავად, ფეხდაფეხ უნდა მივყვე ბრამს და დანიშნულ ადგილზე მივიტანო ტვირთი-მეთქი. გზას თითქმის არც ვამჩნევდი. აჩრდილებად მეჩვენებოდნენ სახლები, ხეების შავი კუნძულები, რომლებიც ცისკენ მიიწევდნენ და ხიდები, რომლებზედაც გადავიარეთ; მათ ქვეშ წყალი შავი ალმასივით ბრჭყვიალებდა. მგზავრები არ გამოჩენილან, მხოლოდ ხანდახან მანქანები თუ ჩაივლიდნენ, ალბათ, გერმანელების. კბილები ერთმანეთს დავაჭირე. ხელ-ფეხის ტკივილი დაბუჟებამ შესცვალა, ასე მეგონა, ძალიან მაგრა შემიხვიეს მაჯები და კოჭები. თითქოს მივეჩვიე ტვირთს, რომელიც მძიმედ მაწვა ზურგზე, და თუმცა საშინლად მიჭირდა ფეხების მოძრაობა, ასე მეგონა, კიდევ დიდხანს ვივლიდი ასეთ მდგომარეობაში. მოულოდნელად ბრამის ხმა გაისმა:

— გაჩერდი!

ველოსიპედიდან ჩამოსვლისას კინაღამ წავიქეცი ჩემი ტვირთიანად. მომეჩვენა, რომ ფეხები ნემსებს დავადგი.

— დაიღალე? — მკითხა ბრამმა.

— არა უშავს, — ვუპასუხე მე. — კრუნჩხვა მომივიდა.

— ცოტა შევისვენოთ, — შემომთავაზა მან.

ფრთხილად ვაბიჯებდი ფეხებს, და სისხლის მიმოქცევა მალე აღდგა. ამასობაში მიმოხედვა მოვასწარი. ჩემთვის ყველაფერი უცნობი იყო. ადგილი უდაბური, დაუსახლებელი და მიტოვებული ჩანდა. ქარი სიმებივით არხევდა და აზუზუნებდა ელექტროქსელის მავთულებს. ცივი, მლაშე ქარი კბენდა და წიწკნიდა ჩემს გახურებულ სახეს. თითქოს ქვეყნის კიდეზე ვიყავით მისული.

— მზათ ხარ? — მკითხა ბრამმა. დავეთანხმე.

— მაშ წავიდეთ; ველოსიპედი გვერდით გამოიყოლე. უკვე ახლოს ვართ, — მითხრა მან.

გზა ფეხით განვაგრძეთ, ველოსიპედები ისე მიგვყავდა. ვტორტმანებდი და ქვით მოფენილ გზაზე ფეხზე მედებოდა ამოშვერილი

ნაწიბურები. მარჯვენა მხარეს ძლივს მოჩანდა ბეტონის სვეტებიანი მესერის მავთულის ცხაური. ბრამი გაჩერდა.

— ველოსიპედი მიწაზე დადეგი, — მითხრა მან. — აი, აქ, ბალახებში.

მისი ნათქვამი შევასრულე. ტვირთიანად დაკუზვა იოლი როდი იყო. ველოსიპედი ხელიდან გამისხლტა; ჩუმად დაიწკარუნა ზარმა, სატერფულებმა ლითონის ხმა გამოსცეს. შემეშინდა.

— ეს არაა სასიამოვნო, — თქვა ბრამმა. — საბედნიეროდ, ქარი ძლიერია და ელექტროსადგურიდან აქეთ უბერავს....

მან გამაჩერა და მიაყურა. ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ სადღაც შორს რაღაც ხმაურობდა, თითქოს თვით ღამის უკუნეთი ღმუოდა.

— წავიდეთ, — მითხრა ბრამმა. — არა, ნუ იჩქარებ. ჯერ მე გადავჭრი მავთულს. რევოლვერი ხელთან ახლოს გაქვს?..

ვიდრე ჰარლემიდან დრიხეისში მოვდიოდით, ალბათ ერთი ათჯერ მოვსინჯე ჩემი რევოლვერი. ახლა კი სულაც არ მახსოვდა იგი. პალტოს ჯიბეში ხელი ჩავიყავი.

— ო'კეი, — ვუთხარი მე.

ბრამს თითქმის ვერ ვხედავდი, როცა მესერის ცხაურთან დაიჩოქა, მხოლოდ ლითონის ფრთხილი ტკაცანი გავიგონე ერთხელ, მერე მეორედ. ბრამმა ისევ მიაყურა: ისევ სიჩუმე იყო, მხოლოდ ჩვეულებრივი, ღამის ხმაური გაისმოდა. სადღაც შორს, უცებ შეშფოთებით ათამაშდნენ პროჟექტორის სხივები გაფანტულ ღრუბლების გროვაში, რომლითაც ცა თანდათან იფარებოდა. ბრამმა, ალბათ, შენიშნა, რომ იქით ვიყურებოდი.

— ეგ არაფერია, — მოკლედ მითხრა მან. — ისინი თვითმფრინავებს ეძებენ. ზევით რაც ხდება, ჩვენ არ გვეხება... ახლა ვიჩქაროთ.

მესერის ცხაურის ხვრელში შევძვერით. ბრამმა მკლავში ჩამჭიდა ხელი და გაძრომაში დამეხმარა, ასხლეტილი მავთული ქვედა კაბაზე გამომედო და კალთა მომახია, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაღალ სველ ბალახებში განვაგრძეთ გზა და ფეხები თვალის დახამხამებაში დამისველდა. შემდეგ წიდაზე მივდიოდით, რომელიც ჩვენ ფეხქვეშ იტკეპნებოდა. უცებ ბნელ, შვეულ კედელთან აღმოვჩნდით. კედელს ხელი შევახე, აგური იყო. ბრამმა ხელი გამიშვა.

— კედელ-კედელ იარე, — მითხრა მან. — ოჰ, არა, დალახვროს ეშმაკმა! იმ მიმართულებით არ მივდიოდი.

მოვბრუნდით და უკან წამოვედით, თან კედელს ხელით ვეხე-

ბოდით; მე მხოლოდ მის ზედა კიდეს ვხედავდი, პირქუშად გამოიყურებოდა პროექტორით განათებულ ცის ფონზე. ისევ შემაწუხა ასაფეთქებელი მასალის სიმძიმემ; უხეში ლითონის ყუთის ქვედა ნაწიბური წელს მიხეხავდა — ალბათ, ტვირთმა დაიწია. მინდოდა ბრამისთვის მეთხოვა, ტვირთი ამიწიე-მეთქი, რომ უცებ ფლორს და ჰუგოს წავაწყდით. ისინი კატებივით უხმოდ მოგვიახლოვდნენ. სულაც არ შემშინებია, რადგან მაშინვე შევიცანი ჰუგოს ხმა.

— დროზე მოხვედით, შესანიშნავია... ხანა! როგორაა საქმე?

მის ხმაში თავშეკავებული სიხარული ეღერდა. ვიგრძენი, როგორ შემეხო იგი და ერთი წუთით შეაჩერა ხელი ჩემ მხარზე — მეტისმეტად მეტყველი, უხმო მოსალმება იყო. მაშინვე დაიწყო ღვედების გახსნა.

— აქეთ, აქეთ, — გაისმა სიბნელეში ფლორის ხმა. ჰუგომ მომხსნა ზურგიდან ტყვიასავით მძიმე ყუთი. გავიგონე ღვედების ჩუმი ჭრიალი — ჰუგომ ტვირთი ზურგზე მოიგდო. ტვირთის უცაბედი მოხსნის გამო, სიმსუბუქე ვიგრძენი, თავბრუ დამესხა. ერთი წუთით თითქოს მთლად დავცარიელდი, უწონადი გავხდი და ის-ის იყო ქარი წამიღებდა. მთვრალივით ვტორტმანებდი. წინ გაშვერილი ხელებით კედელს ვეყრდნობოდი. ჰუგომ, ალბათ, შენიშნა ჩემი მდგომარეობა და ხელი შემაშველა.

— მშვიდად, მშვიდად, — მითხრა მან და მის ხმაში არაჩვეულებრივი მზრუნველობა გაისმა. — რა მოგვიდა, ცუდად ხარ?

ღრმად ჩავისუნთქე, თავბრუხვევამ გამიარა, მხოლოდ მადლიანი, მხსნელი სიმსუბუქის გრძნობა დამრჩა.

— არა მიშავს, — სწრაფად ვუპასუხე მე. — მხოლოდ, ასე მგონია, თითქოს ათასი კილოგრამით დავმსუბუქდი.

მან გაიღიმა.

— ყოჩაღი ხარ, — მითხრა მან. — წავიდეთ, ფლორი და ბრამი წინ წავიდნენ.

ამხანაგებს დავეწიეთ, მოსახვევში შევუხვიეთ. როგორც ჩანდა, ფლორი ეძებდა ადგილს, სადაც ისა და ჰუგო უნდა გადამძვრალიყვნენ კედელზე. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე იპოვიდა საჭირო ადგილს: კედელზე თოკით ეკიდა ლითონის ნაჭერი. შევჩერდით და ერთი წუთით თავები ერთმანეთთან მივიტანეთ.

— ხანა, შენ კუთხეში დადგები, — მითხრა ფლორმა — გვიდარაჯებ და საშიშროების შემთხვევაში გვანიშნებ. სტვენა იცი?

ვუთხარი, ვიცი-მეთქი.

— სანამ არ გიბრძანებ, არ ისროლო... არავითარ შემთხვევაში, ბრამი მეორე კუთხეში დადგება. თქვენს სათვალთვალო ადგილებს

შუა კედელზე ავძვრებით... ჰუგო, საათის მექანიზმი შენა გაქვს?.. მაშინ გავწიოთ. პირველი მე ავძვრები. ბრამ, ვიდრე შენ ადგილს დაიკავებდე, ჰუგო შესვი... საქმე უნდა გამოგვივიდეს.

ფლოორი ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე უფრო შერბილებული ტონით თქვა:

— როცა ჩვენ დავბრუნდებით, სათითაოდ უნდა დავიშალოთ. სხვაგვარად არ შეიძლება. თუ სიცოცხლე გინდათ, ფრთხილად უნდა იყოთ. ჩვენ განკარგულებაში ხუთი წუთი იქნება.

ფლოორმა სიბნელეში ლოყაზე მომისვა ხელი, მერე მძიმედ დაუშვა ჩემ მხარზე:

— მარტო წახვალ, ხანა?

— ჩემზე ნუ წუხხარ, — ვუპასუხე მე.

— მაშ, წადი საგუშაგოზე, — მიბრძანა მან. იგი ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ ძლივს ვარჩევდი სიტყვებს:

— ჩვენი დიდი საქმისათვის, ყმაწვილებო! ნახვამდის.

— ბედნიერებას გისურვებთ, — ვუთხარი მე.

ისევ ვიგრძენი მისი ხელი ჩემ ლოყაზე. და სხვების ხელებიც, რომლებიც სიბნელეში მხრებზე მქონდა მოხვეული... ყველაფერი ძალიან მალე მოხდა. მივხვდი, რომ პირველად არ ადიოდნენ აგურის კედელზე, და წავედი იმ ადგილისკენ, სადაც კედელი მკვეთრად უხვევდა; ისე დავდექი, რომ შემეძლო ყური მეგდო და მეცქირა ორივე მხარეს. იქიდან, სადაც ჩემი ამხანაგები იყვნენ, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მაგრამ, აგურის კედელს მივეყრდნე, მუხლები ოდნავ მიკანკალებდა. პალტოს ჯიბეში რევოლვერი მეჭირა ჩაბღუჯული. თანდათან დავმშვიდდი. სიბნელე ღმუოდა და თრთოდა, მხოლოდ აქ გავიგონე პირველად ყრუ, თანაბარი ქშენა, რომელიც კედლიდან მოისმოდა, — თითქოს იქ, მფრთხალი ძილით ეძინათ, გორგლად დახვეულ გოლიათურ ურჩხულებს. ეს იყო ჩემთვის უხილავი ელექტროსადგური — შენობა, საწყობები, ფარდულები და ტრანსფორმატორი, რომელიც აქამდე არც გამხსენებია, თითქოს ამ კედელთან, რომელთანაც ჩვენ შევჩერდით, მთავრდებოდა სამყარო. იქ ხომ ადამიანები უნდა იყვნენ, მუშები, ინჟინრები, დაცვა. დაცვაზეც არ მიფიქრია. წარმოსახვა დავძაბე და მინდოდა წარმომედგინა, როგორ ჩაძვრებოდნენ ფლოორი და ჰუგო კედლის მეორე მხარეს. მომეჩვენა, რომ ვხედავდი, ასაფეთქებელი მასალიანად როგორ მიიპარებოდნენ ისინი სადგურის სასიცოცხლო ცენტრისაკენ — ნახშირის ამწეიანი საწყობისაკენ. ვცადე წარმომედგინა — როგორ გვამცნობდა ფლოორი მიღწევას, საქმის კარგად დამთავრებას. ვხედავდი, როგორ პოულობდნენ ისინი ამწეს, ნახშირის საწყობის

ვეერდით — ძლივს გასარჩევ უშნო ყუთს: როგორ იჩოქებდნენ და დებდნენ ზონარს; მესმოდა საათის ტიკტიკი, რომელიც საბედისწერო წუთებს ითვლიდა. ვიცოდი, რომ მარცხი არ შეიძლებოდა მომხდარიყო. უცებ, ჩემდა გასაოცრად, გავიგონე, როგორ მიკაწკაწებდა კბილები და ყბები მაგრა მოვკუმე. მომეჩვენა, რომ ამხანაგებს უკვე კარგა ხანია უნდა შეესრულებინათ დავალება, მაგრამ ისინი ჯერ სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებდნენ. შორს ავტომობილის საყვირის ხმა გაისმა. უცებ თვალწინ წარმომიდგა, რომ ჭომდევნო ქუჩაზე, თითქოს მაძებრის თვალებიაო, ინთებიან და ქრებიან ნახევრადშენიღბული ფარები. ხანდახან ფეხის ხმა მესმოდა და ჯიბიდან რევოლვერს ვიღებდი. იარაღი გახურებულიყო ჩემი ხელის მოჭერის გამო. მაგრამ მაშინვე ვმალავდი რევოლვერს, თითქოს შეიძლებოდა მას სინათლის სხივი მოხვედროდა.

ჩემკენ ვიღაც მოდიოდა. ბრამის ხმა ვიცანი:

— ხანა!...

სწრაფად წავედი მისკენ. მან მკლავში მტაცა ხელი:

— ისინი დაბრუნდნენ. ელექტროსადგურის ტერიტორიაზე რაღაც მოხდა! — მან თავშეკავებულად შეიგინა.

— გინდა თქვა, რომ ასაფეთქებელი მასალის დადებაც ვერ მოასწრეს? — ვკითხე უკმაყოფილოდ.

— საწყობთან მისვლაც ვერ მოახერხეს, — გულისტკივილით წარმოთქვა მან.

სწრაფად წავედით და მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ჰუგო და ფლოორი გადაძვრნენ კედელზე. მათი სილუეტები დავინახე და ხმები გავიგონე, ფლოორი ცდილობდა მღელვარება დაეფარა და მე მომმართა:

— მარცხია, ხანა... ხელი შეგვიშალეს. იძულებული გავხდით დავბრუნებულიყავით. ვფიქრობ, ადგილობრივი პოლიციაა.

— შეგნიშნეს? — ვიკითხე და გული ამიძგერდა.

— არა, არა, — თქვა ჰუგომ. — პოლიცია ვერაფერს შენიშნავდა. ჩვენ მათ გამოჩენამდე გავწექით ნახშირზე. — იგი ფლოორს მიუბრუნდა. — ხომ გეუბნებოდი, რომ ვენახეთ ჯიბის ფარნებს ბოიშველიებდნენ.

ფლოორის ხმა არც ისე დამაჯერებელი იყო:

— არ ვიცი, რა ვქნათ... იქნებ ხვალ უკეთ გამოგვივიდეს, ანდა....

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა ჰუგომ ისეთი სიფიცხით, რომ ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე მისი ჩვეულებრივ ცივი, გულჩათხრობილი სახე — ცოტას შევიცდით და კიდევ ერთხელ ვცდით.... ჯანდაბას, შენც აქა ხარ, მეც და თითქოს ყველაფერი რიგზე იყო....

ეს დღესვე უნდა მომხდარიყო და დღესვე მოხდება. მზად ვარ ყველაფერი მარტო გავაკეთო.

— მარტო შენ არაფერს არ გააკეთებ. ან ყველა ერთად, ან არავინ, — თქვა ფლორომ. მისი ხმა მაშინვე მშვიდი და დამაჯერებელი გახდა. — თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩვენ ისევ ავძვრებით კედელზე, და არავითარი ჯანდაბა! — ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე განაგრძო:—ხანა, წადი ისევ შენ საგუშაგოზე, პატარავ. შენც, ბრამ. მე და ჰუგომ რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

ეს თხუთმეტი წუთი ერთ საათად მომეჩვენა. სიცივისაგან აკანკალებული ვიდექი ჩემ კუთხეში და ნოემბრის ქარს ვუგდებდი ყურს, ხომ არ მოიტანდა საიდანმე საათის რეკვის ხმას. მაგრამ ამაოდ. ისევ მესმოდა ხმები, მერე ისევ მიწყდებოდნენ ხოლმე. პროექტორები ჩაქრნენ. ცაზე ქარისგან მონარეკი ღრუბლები ჩამოწვა. მარტოობის გრძნობა მეპარებოდა თანდათან. კედლის იქით ელექტროსადგური ისევ ქშინავდა და ყრუდ კაკუნებდა.

უცებ გავიგონე, რომ მორბენალ ადამიანთა ფეხის ხმა მიახლოვდებოდა. კედელს ავეკარი, წინ ფლორი მორბოდა, ხმით ვიცანი.

— ხანა, სადა ხარ?

— აქ ვარ, — შევეხმიანე მე. — როგორაა საქმე?

— მზადაა! — დამიყვირა მან. — გავიქცეთ.

თავბრუ დამეხსა, ამჯერად სიხარულისგან. ფლორომ ჩემი ხელი შონახა და თან გამიყოლია. ჩემთან მოირბინა მეორე კაცმა, მეორე მკლავში მტაცა ხელი. ასე მოვრბოდი ჰუგოსა და ფლორს შორის, როგორც პატარა გოგონა თავის უფროს ძმებთან ერთად. მალე ბრამიც წამოგვეწია. ჯერ წიდაზე გავრბოდით, მერე ბალახზე.

— გახსოვს, სად არის შენი ველოსიპედი? — ჩუმად მკითხა აქოშინებულმა ჰუგომ.

— მახსოვს. — ასევე ოდნავ გასაგონად ვუპასუხე მე, ფლორომა ხელი გამიშვა.

— ნახვამდის, ხანა! სახლამდე მშვიდობით მისვლას გისურვებ!— მითხრა მან და სიბნელეში გაქრა.

— შენც გისურვებ! — მივაძახე მე.

ჰუგოს ისევ მაგრად ეჭირა ჩემი ხელი და ერთმანეთის გვერდით მივდიოდით. ჯიბეში რევოლვერი ინძრეოდა და თეძოზე მეხლებოდა. ჰუგო ისე მიჭერდა თითებს, რომ ხელები მატკინა.

— სახლამდე გზას გაიგნებ, ხანა? — დამიყვირა მან, თან ქარს ებრძოდა.

— კი, — ყვირილითვე ვუპასუხე მე, — სჯობს, თავს გაუფრთხილდე, ჰუგო! მე მარტო გავიგნებ გზას!

უცებ იგი გაქრა; ინერციის ძალით ისეთივე ჩქარი ნაბიჯით განვაგრძობდი რბენას, როგორითაც ჰუგოსთან ერთად მივდიოდი. მესერი მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა ზედ წავადექი. თითქმის მივხოხავდი, ფეხებში თითქოს რაღაც მედებოდა. მესრის ბეტონის ხიმინჯსა და ცხაურს შევავლე ხელი. მალე სატერფულის ჭრიალის ხმა გავიგონე.

— აქეთ, აქეთ, ხანა! — გაისმა ბრამის ხმა. — სულ ახლოს.

ცხაურის ხვრელში ვძვრებოდი, როცა ხმაური შემომესმა და მივხვდი, რომ ბრამი წავიდა. ავიღე ველოსიპედი და შევჯექი. მთელი სხეული მიკანკალებდა. ველოსიპედი ქანაობდა და ნებისყოფის დიდი დაძაბვით მოვახერხე წონასწორობის დაცვა.

„ხუთი წუთი" — თქვა ფლორმა. მეგონა, რომ უკვე დიდი ხანია გავიდა ეს დრო. ქვაფენილი ხმაურობდა და ირწეოდა ჩემ ქვეშ. ხიდზე მთვარეულის უშიშროებით გადავიარე; ხიდქვეშ, ღრმა არხში მელანივით შავი წყალი ბრწყინავდა. ვიგრძენი მცენარეულობის ნაზი სურნელება, ჭაობისა და ბაღებში ნახევრად დამპალი ფოთლების სუნი. ეს ადგილები სხვა დროს აქ გამოვლისას შემინიშნავს. უცებ აფეთქების ხმა გაისმა. ცა გაანათა განთიადის მაგვარმა, გაფანტულმა წითელმა ფერმა. ამას მოჰყვა დარტყმა. ეს იყო ყრუ, ყეფისმაგვარი ხმა. ისეთივე როგორც საზენიტო ქვემეხის გასროლის დროს გაისმის, სუსტად გაგრიალდა ექო, რომელიც ქარმა მაშინვე გაფანტა. ველოსიპედიდან ჩამოვხტი და ირგვლივ მიმოვიხედე. ნათება და ხმები გაქრა, თითქოს დამესიზმრა; მაგრამ ხუთი წამიც არ იყო გასული, რომ შორს, სიბნელეში ალი ალაპლაპდა.

— იწვის, — წავიბუტბუტე ჩემთვის.

წვრილი გამყინავი ხმით, გაბმულად აღმუვლდა საყვირი, რომლის ხმაური ხან მისუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. მერე მეორეც აჰყვა. სადღაც ახლოს, სადაც, ალბათ, სახლები იყო, ფანჯრებისა და კარების ხმა ისმოდა. ხალხი რაღაცას ყვიროდა. სწრაფად შევაჯექი ველოსიპედს და გზა განვაგრძე. უკვე ვესტერველდის გადასასვლელის ახლოს ვიყავი, როცა ავტომობილების სირენების გამყივანი ღმუილი გავიგონე. სასაფლაოზე ხეების ჩრდილში დავიმალე და გაუნძრევლად ვიდექი იქ, სანამ ჩემ გვერდით ორმა მანქანამ არ ჩაიქროლა. ალბათ, გერმანელთა პოლიცია იყო. მოვიცადე სანამ მიიმალებოდნენ. მეტ მანქანას აღარ გამოუვლია, მხოლოდ ქარი ზუზუნებდა დაუცხრომლად, სწრაფად გავწიე შინისაკენ. გზები უკაცრიელი იყო. მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: ჩემმა ამხანაგებმა მოახერხეს თუ არა ჩემსავით მიმალვა-მეთქი.

ჩვენ დარტყმას ისეთი წარმატება არ ჰქონდა, როგორსაც ფლორორი და ჰუგო ელოდნენ. მეორე დილითვე გავიგე შტაბში, რომ ელექტროსადგურში მოხდა აფეთქება და მერე ხანძარი, მაგრამ ადგილობრივმა სახანძრო რაზმმა მოახერხა მისი ჩაქრობა. ელექტროდენი არ გაწყვეტილა, რკინიგზის ტრანსპორტი არ დაზარალებულა. მაგრამ ჩვენს თავდასხმას სხვა. მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, ამ ამბავმა ხალხს სიმამაცე შემატა, იმედი ჩაუნერგა. ისინი დარწმუნდნენ, ცოცხალია ქვეყნის ფარული ძალები, რომლებიც ტერორით თავს არ შეაშინებინებენო.

დეკემბრის დამდეგს ინგლისის რადიომ მოულოდნელად გასაოცარი ახალი ამბები გადმოსცა. რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი ერთმანეთს შეხვდნენ თეირანში! ამ ცნობამ აღფრთოვანება და ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია. ლამის მთლად შევძვერით რადიომიმღებებში, გვეშინოდა გადმოცემის არც ერთი სიტყვა არ გამოგვრჩენოდა, რომელსაც გერმანელთა რადიოსადგურები აყრუებდნენ. თეირანში წყდებოდა გერმანიის მომავლის საკითხი. ფაშიზმი უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა, უნდა აიძულონ დათანხმდნენ უსიტყვო კაპიტულაციაზე: ამ გადაწყვეტილებას თან სდევდა მიზანი გერმანიისათვის სამუდამოდ მოესპოთ შესაძლებლობა აღმდგარიყო როგორც მილიტარისტული და აგრესიული სახელმწიფო. სამაგიეროდ გერმანელი ხალხი, ერთი ხელის მოსმით განთავისუფლებული ფაშიზმისა და ბოდვითი იდეებისგან, რომლისთვისაც მან თავისი ბედი დამნაშავეთა ბანდას დაუკავშირა, შესაძლებლობას ღებულობდა აღზრდილიყო ახლებურად და თავისი კანონიერი ადგილი დაეკავებინა წესიერი და მშვიდობისმოყვარე ერებს შორის...

ყოველდღიურად უფრო მეტი ინტერესით ვუსმენდით რადიოს.

ეთერში თეირანი მეფობდა. სახლში, ქუჩებში, მაღაზიებში შეიძლებოდა გაგეგო უცხოური სიტყვა, რომელიც უცებ გახდა მიზნისა და იმედის შემცველი. წინათ ამ ქალაქის სახელი ჩემთვის ისე ეღერდა, თითქოს ლაპარაკი იყო დიდი ხნის წინათ გამქრალ ზღაპრულ არაბულ ქალაქზე „ათას ერთი ღამიდან“... ნაცისტებიც იძულებული იყვნენ თეირანზე ელაპარაკათ. დამცინავი და ულმობელი ღიმილით ვუსმენდით მათ რადიოგადაცემებსა და პრესის მიმოხილვებს, რომლებიც იტყობინებოდნენ, რომ თეირანში დაბნეულობა, უთანხმოება და ტრაბახით ლაყბობაა გამეფებული. გერმანელებმა დიდი ხანია გაიგეს, რომ ასეთმა პლუტოკრატიულ-ბოლშევიკურმა ტრაბახმა და დიდმა რეკლამებმა მოკავშირეებს ხელი უნდა შეუ-

წყოს დამალონ მათი საიდუმლო მიზანი: გერმანელი ხალხის მთლიანად განადგურება. მაგრამ მათი საზარელი გეგმები ხელს ვერ შეუშლის დიდ ადოლფს ომის გაგრძელებაში, რა თქმა უნდა, სრულ გამარჯვებამდე!.. სამაგიეროდ კომენტატორები გონივრულად დუმდნენ ესესელთა ავიოდესანტის უმწეო მარცხზე, რომელიც გერმანელებმა გაგზავნეს იმისათვის, რომ თავს დასხმოდა კონფერენციას და ჩაეშალა იგი, იმის შესახებ, რომ თეირანში არც უნახავთ დესანტი, რადგან იგი დროზე გაანადგურეს. ისინი არაფერს ამბობდნენ იმაზედაც, რომ განთავისუფლებულმა იტალიამ ბრძოლა გამოუცხადა „ღერძს"; ხმას არ იღებდნენ აღმოსავლეთის ფრონტიდან უნგრული ნაწილების უკან დაბრუნებაზე; გერმანელთა თვითმფრინავების წარმოების მნიშვნელოვნად შემცირებაზე. გერმანიისათვის საშიშ განწყობილებაზე თურქეთში, რომელიც მზად იყო ანტიფაშისტებს ამოსდგომოდა მხარში, აღმოსავლეთის ფრონტზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში თავიანთი დანაკარგი გულმოდგინედ უნდოდათ დაეფარათ, ამისათვის იყენებდნენ გაცვეთილ ფრაზებს ფრონტის ელასტიკურ შემცირებებზე და ფარულ შეღწევებზე, რაც მხოლოდ გამკილავად გვაცინებდა ჩვენ და მთელ მსოფლიოს...

გამცემლობა

დეკემბრის შუა რიცხვებში ფრანსმა გამოგვიძახა რულანტი, ვეინანტი, იოხანი და მე. საიდუმლო და თვითკმაყოფილი გამომეტყველებით ფრანსმა გამოგვიცხადა, რომ ცნობა მიიღო შერეული სამხედრო ტყვეების დიდი ჯგუფის შესახებ, რომ ახლახან დაბანაკებულა არდენჰაუტთან ახლოს. ერთ-ერთმა ჰარლემელმა კომუნისტმა სიმონ ბ-მ გამოარკვია, რომ ტყვეებს დიდი სურვილი აქვთ დაეხმარონ წინააღმდეგობასო. მათ შეეძლოთ ჰარლემელები საბრძოლო მასალით მოემარაგებინათ, შეედგინათ სანაპირო ზოლის რუკა და კიდევ ბევრი რამ გაეკეთებინათ მათთვის. მოკლედ, ფრანსი წინადადებას იძლეოდა დაგვემყარებინა მათთან კავშირი. კიდევ რა ედო გუნებაში, ჩვენთვის არ უთქვამს. მაგრამ სიმართლესთან ახლოს ვიყავი, როცა ეჭვი მეპარებოდა, რომ იგი ოცნებობდა ქარხნებსა და რკინიგზებზე თავდასხმის მოწყობისათვის დიდი მასშტაბით. ვეინანტმა და იოხანმა მიიღეს დავალება, მოემზადებინათ ჩვენი შეხვედრა სამხედრო ტყვეებთან. ხემსტედში ცხოვრობდა კომპარტიის ერთი წევრი, რომელსაც არი ერქვა; იგი დაგვთანხმდა თა-

ვისი სახლი დაეთმო ამ შეხვედრის მოსაწყობად. სახლი მოედანზე, რატუშის შენობის პირდაპირ იდგა; შეხვედრა საღამოთი უნდა შემდგარიყო; სამხედრო ტყვეებს დავუმზადეთ სამოქალაქო ტანისამოსები იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი იქ მოსვლას ვერ გაბედავდნენ გერმანელთა სამხედრო ფორმით.

ორი დღის შემდეგ იოხანმა გვაცნობა, რომ სამხედრო ტყვეები შეხვედრის თანახმანი არიანო. ისინი სამ კაცს გამოგზავნიდნენ, რომელთაგან ერთ-ერთმა ცოტათი იცოდა გერმანული ენა; სამოქალაქო ტანისამოსის ამბავი ძალიან მოეწონათ. ყველაფერი თითქოს წესრიგში იყო. ვეინახტმა თვითონ წაიღო ტანისამოსი არდენჰაუტში. უნებურად გამიტაცა ფრანსის დაუცხრომელმა ენერგიამ. ვხედავდი რამდენს ჯახირობდა ოპერაციისათვის; ყოველ ჩვენგანს გარკვეული როლი გვქონდა. უსაზღვრო იყო მისი ფანტაზია.

იმ საღამოს, როცა ჩვენ ხემსტედში ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, ქარბუქიანი, საზიზღარი ამინდი იყო. ისე მოიღრუბლა, რომ ნამლევა მთვარე შუქს თითქმის ვერ გვაწვდიდა. როგორც ყოველთვის, სახლის უკან ბაღში მოთავსებული ფარდულიდან ველოსიპედი გამოვიტანე და გზას გავუდექი. უკვე ისე დაბინდდა, როცა ყველაფერი კარგავს ფერს და ერთნაირად ჩამუქდება ხოლმე; სწორედ ისეთი სინათლე, უფრო სწორად, სიბნელე იყო, როგორიც ჩვენ გვჭირდებოდა. შეხვედრაზე ფიქრით ვიყავი გართული, ორასი მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ უცებ ველოსიპედის ჯაჭვი გამიწყდა. მოულოდნელი საბოტაჟის გამო ძალიან მინდოდა ფეხი მეკრა ველოსიპედისათვის! ისედაც ვგვიანდებოდი. ახლა ისღა დამრჩენოდა ტრამვაით წავსულიყავი ხემსტედში, რაც სრულებით არ იყო სასურველი, რადგან ჯიბეში რევოლვერი მედო. ველოსიპედი უკან წავიყვანე, ეზოს უკანა კარიდან ბაღში გადავაგდე და სწრაფად გავემართე ქალაქის ცენტრისაკენ, ამაზე ზედმეტი თხუთმეტი წუთი დავკარგე. ძლივს ავედი ტრამვაიში და ხალხით გაჭედილ ბნელ ბაქანზე ვიდექი, ერთი ხელით ჯიბეში მაგრა მეჭირა რევოლვერი, მეორეთი კი ზუსტად ტრამვაის ბილეთის ფული. ასე მეგონა გაჩერებები დაშორებოდნენ ერთმანეთს—ისე მიიზლაზნებოდა დრო. ყოველ გაჩერებაზე ჩასვლა-ამოსვლისას საშინელი ჭედვა იყო. არ ვიცოდი, რა დრო იყო, როცა კონდუქტორმა, როგორც იქნა, დაიყვირა: „ხემსტედის რატუშა“! გასასვლელისაკენ გავიკვლიე გზა. რამდენიმე წამი ვიდექი ტრამვაის გაჩერებაზე. ჩემს ირგვლივ ტრამვაიში ამსვლელი და იქიდან ჩამომსვლელი ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა. როცა ხალხი წავიდ-წამოვიდა, კიდევ ცოტახანს ვიდექი ერთ ადგილას გაუბედავად და ბინდბუნდში დავინახე, რომ ორი მამაკაცი გა-

ჩერდა ჩემ ახლოს. გამიკვირდა: ისინი თითქოს არც აპირებდნენ ტრამვაიში ჩაჯდომას და უძრავად იდგნენ ერთ ადგილას. ქუდები ჩამოეფხატათ და პალტოს საყელოები აეწიათ, ისინი მე მითვალთვალებდნენ. მათმა გამომეტყველებამ და საქციელმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება, გულში შიში შემეპარა, ცუდი წინათგრძნობა დამებადა. რევოლვერი მაგრა ჩავბღუჯე, მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო. როცა აქეთ-იქით ფრთხილად მიმოვიხედე, ხომ არსად სჩანან ჩემი ამხანაგები-მეთქი, ამ დროს სიბნელეს გამოეყო მამაკაცი და ჩემკენ გამოექანა. მან სწრაფად ჩამიხუტა, თითქოს მაკოცაო, და ხმამაღლა მითხრა:

— გამარჯობა, ძვირფასო! როგორც იქნა! ვიფიქრე, აღარ მოვამეთქი...

მამაკაცის მოულოდნელმა მოქმედებამ, რომელმაც ჩამიხუტა, პირველად დამაბნია. მაგრამ, როგორც კი ხმა ამოიღო, მაშინვე შევიცანი რულანტი. მის მკლავს ჩავეჭიდე და მან სწრაფად წამიყვანა მოედანზე გადავლით. რულანტის საქციელმა როდი დამამშვიდა, პირიქით: მისი მოქმედება და სიჩქარე იმაზე მეტყველებდნენ, რომ საქმე ცუდად იყო. აქეთ-იქით არ მიმიხედია, თუმცა ძალიან მაინტერესებდა, რას აკეთებდნენ ამ დროს გაჩერებაზე ის ორნი. მე მაინც მომეჩვენა, რომ ისინი არ აგვდევნებიან. ხმა არ ამომიღია. სანამ გაჩერებას ოცდაათი-ორმოცი ნაბიჯით არ გავცდით, მხოლოდ მაშინ ვკითხე ჩურჩულით:

— რულანტ... რა მოხდა?

— ყველაფერი ჩაიშალა, — თქვა მან. — მოედანი სამოქალაქო ტანისამოსიანი ჯაშუშებითაა გაჭედილი... უკან ნუ იხედები, დალახვროს ეშმაკმა! წავიდეთ!

— ესე იგი, მარცხია?

— რა თქმა უნდა. ნუ მეკითხები. ჩქარა! სასწრაფოდ უნდა გავეცალოთ აქაურობას.

— სხვა ამხანაგები? — ვკითხე მე, მიუხედავად იმისა, რომ მან მიბრძანა, არაფერი მეკითხა.

— გაფრთხილებულები არიან... — თქვა რულანტმა. — ჩვენ შენ გელოდით... რატომ მოხვედი ტრამვაით?

— ჯაჭვი გამიწყდა, — ვუპასუხე მე.

მან მაგრა მომიბვია ხელი და მთელი მოედანი თითქმის ხელში აყვანილი გადამატარა. დავრწმუნდი, რომ მართალი იყო: ტროტუარზე რამდენიმე ისეთივე შესახედავი მამაკაცი შევნიშნე — ჩამოფხატული ქუდებითა და აწეული საყელოებით; ერთი აქეთ-იქით მიმოდიოდა დინჯად, ორნი თითქოს საუბრით იყვნენ გართული; ორნი

კი ქანდაკებებივით გაქვავებულნი იდგნენ. როცა მათ მივუახლოვდით, ნაბიჯს ვუკელით. რულანტს მივეკარი და სახე მის მხარში ჩავმალე; მან გაცინებაც კი მოახერხა, როცა ორ ქანდაკებას ჩავუარეთ გვერდით, მე კი სულელურად ჩავიხითხითე. როცა გვერდით მიმავალ ქუჩამდე მივაღწიეთ, უცებ ჩვენს უკან, მოედანზე რაღაც ხმაური ატყდა. მორბენალთა ფეხის ხმა გავიგონე და შევჩერდი. რულანტმა წამათრია.

— რულანტ!.. — ვუთხარი მე. — იქ რაღაც ხდება! ვიღაც ჩვენთაგანია!...

— ღვთის გულისათვის, გავიქცეთ! — წინ გამიგდო მან. — ჩემი ველოსიპედი აქაა, სულ ახლოს.

დამთავრებული არა ჰქონდა სიტყვები, რომ რევოლვერის გასროლის მკვეთრი ხმა გაისმა, მან ყრუდ გაიხმაურა სახლების ფასადებიდან მოედნისაკენ. ჩემდა უნებურად მოვიკუნტე. მორბენალთა ფეხის ხმა ახლოვდებოდა, გაისმა დაბნეული, შეშინებული ხმები. მომეჩვენა, რომ გერმანულად ლაპარაკობდნენ.

— შორს, შორს აქედან! — ჩუმად გაიმეორა რულანტმა.

ვიცოდი, რომ გაქცევა იყო საჭირო, მაგრამ რაღაც უცნაური გრძნობა მაკავებდა. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ჩვენს უკან, ვის ესროლეს. ისევ გაისმა სროლა, მერე კიდევ ისროლეს. ხმები უფრო აშკარად გაისმა. რულანტმა მაგრა ჩამკიდა ხელი და იძულებული გავხდი მასთან ერთად მეც გავქცეულიყავი; ვიღაც ველოსიპედიანმა კაცმა გადაგვასწრო, გავიგონე მისი ქშენა და დაღლილი ხმა:

— გაიქეცით! მე თავი დავაღწიე!

ეს ვეინანტი იყო. იგი მაშინვე გაქრა სიბნელეში. რულანტს არაფერი უთქვამს. მაგრამ უფრო აუჩქარა ნაბიჯს და მეც გამიყოლია. მისი ველოსიპედი ერთ პატარა ჩიხში ორ სახლს შორის იდგა. ჩვენ იქ შევცვივდით. ძალიან ბნელოდა. მაგრამ აი, ჩვენ გვერდით სწრაფად ჩაიქროლა ორმა ფიგურამ და ჩვენ კედელს ავეკარით. მათი მძიმე სუნთქვა გვესმოდა. რულანტმა თავისი უხეში ხელის გულით პირი მომიკუმა, შეეშინდა, არ დამეყვირა. მისი ხელი მოვიშორე. ასე ვიდექით გატრუნულები და ველოდით, როდის შეწყდებოდა ნაბიჯების ხმა. კიდევ ერთხელ გაისმა სროლა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს მხოლოდ იმისათვის ისროლეს, რომ განგაში აეტეხათ ან მდევრები გაემხნევებინათ.

ყველაფერი მოხდა რამდენიმე წუთში, ამასობაში გონს მოსვლა მოვასწარი; როცა კარგად მივხვდი, რომ შეიძლებოდა ჩვენთვის ალყა შემოერტყათ, რომ ჩვენი საიდუმლო გამოაშკარავებულია და მთელმა ჩვენმა გეგმამ მარცხი განიცადა, ჩემდა უნებურად ამაკან-

კალა. რულანტმა ხელი გამიშვა. ჩიხიდან გამოსასვლელთან იდგა და დაძაბული უგდებდა ყურს, რა ხდებოდა, მადლობა ღმერთს, არ შეუნიშნავს ჩემი მდგომარეობა. მერე მან ხელი დამიქნია:

— სწრაფად! მომიჯექი უკან, და ხმა არ ამოიღო!..

იგი უკვე გადაჯდა ველოსიპედზე და მიწას ფეხი ჰკრა. მე საბარგეზე მოვუჯექი და რულანტმა სატერფულს დააჭირა ფეხი. მაგრა ჩავეჭიდე მას. ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ამაზე არ მიფიქრია. საშინელი ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა: ამ წუთში რომ ალყა ჰქონდეს შემორტყმული ხემსტედელი ამხანაგის სახლს... ამას ხომ დაპატიმრებები მოჰყვება... დაპატიმრებები და სიკვდილი...

დიდხანს მოვდიოდით ჩემთვის უცნობი შემოვლითი გზით. ეტყობოდა, რულანტი აქ ყოველ ბილიკს იცნობდა. გამახსენდა, რომ იგი ხემსტედში იყო დაბადებული და სადღაც აქ ცხოვრობდა — თუ იგი საერთოდ ცხოვრობდა საკუთარ სახლში; რაშიც ეჭვი მეპარებოდა. ჩვენ არც ერთი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. მესმოდა, როგორ ქშინავდა სახელურზე დახრილი. მხოლოდ მაშინ, როცა ჰარლემის ქუჩები ვიცანი, მან ნელა წაიყვანა ველოსიპედი და მკითხა:

— აბა, რას იტყვი, ხანა? შეგიძლია მარტო წახვიდე?

— კი, — ვუპასუხე მე.

მან ფეხი დადგა მიწაზე და გააჩერა ველოსიპედი. ერთი წუთი უხმოდ ვიდექით გზის კიდეზე.

— რა ცუდი ამბავია, ხანა, — როგორც იქნა ჩაილაპარაკა მან, — საშინლად ცუდი... ველოსიპედით რომ ჩაგვიარა, ის ხომ ვეინანტი იყო, ხომ მართალია?

— კი, — ვუპასუხე მე. — როგორ ფიქრობ, მოახერხა თავის დაღწევა?

— იმედი მაქვს, — მიპასუხა მან. — ალბათ... მარჯვე კაცია.

უცებ ვიგრძენი, რომ ისევ ვკანკალებდი და ვკითხე:

— რულანტ... გაგვცეს?

მან თავი დახარა.

— ძნელია ამის თქმა, — ჩაიბუტბუტა მან, — იქნებ გერმანელები ადევნებდნენ თვალს. არ დაგავიწყდეს, ვერმახტი მათ არ ენდობა.

— იქნებ მათ შორის ვინმე ცუდი ადამიანი ურევია? — ვკითხე მე.

რულანტმა პასუხი დააგვიანა. ხელით მოიწმინდა ოფლიანი სახე.

— მაგ შემთხვევაში... მაშინ საქმე ცუდადაა... საშინლად ცუდად.

მან სწრაფად და მტკიცედ დაადგა ფეხი სატერფულს.

— თავს ნუ იმტვრევ. ჯერ არაფერი ვიცით, ხვალ გავიგებთ, რაც მოხდა.

მივხვდი, რომ ჩემი გამხნევება უნდოდა.

— იქნებ, მართალი ხარ... — ვუთხარი უფრო მტკიცე ხმით.— აბა, ახლა სადმე უშიშარ ადგილას წადი... მადლობელი ვარ, რომ ტრამვაის გაჩერებაზე დამხვდი.

— ფრანსის განკარგულებაა, — მოკლედ ამიხსნა მან და უცებ დაიბნა. — ეცადე ჩქარა მიხვიდე შინ.

ცუდმა წინათგრძნობამ როდი მიმტყუნა. მეორე დღეს, შტაბში რომ მივედი, ფრანსი, რულანტი და ტომი დამხვდნენ. გულდამძიმებულები უხმოდ ისხდნენ. ფრანსი ჩემ შემოხედვას გაურბოდა. რულანტმა ოდნავ დამიკრა თავი. გული მომიკვდა. მივხვდი, კარგს ვერაფერს გავიგებდი. მერე სხვა ამხანაგებიც მოვიდნენ. მხოლოდ ვეინანტი გვაკლდა. ყველანი დიდ მაგიდას ვუსხედით გარშემო, თითქოს მიცვალებული გვედო წინ. ფრანსს, როგორც ჩანდა, ძალიან უჭირდა ხემსტედში მომხდარი ამბის შედეგი ეთქვა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დამნაშავის ტონით ლაპარაკობდა. მის მიერ ნათქვამი შედეგი სამწუხარო იყო. არის და მეორე ამხანაგს მოულოდნელად წაასწრეს იმ სახლში, სადაც ერთმანეთს უნდა შევხვედროდით და დაიჭირეს; ვეინანტი თეძოში დასჭრეს. კიდევ კარგი, რომ მოახერხა დასხლტომოდა მათ და ფრანსთან დაბრუნებულიყო, რომელმაც თვითონ წაიყვანა სახლში, ფესტის ქუჩაზე, სადაც ახლა ექიმი მარტინი მკურნალობდა; ჭრილობა ძალიან სერიოზული არ იყო, მაგრამ ვეინანტმა ბევრი სისხლი დაკარგა. როგორც ჩანდა, სამხედრო ტყვეებმა გაგვცეს. ფრანსმა სიტყვები აღარ დახარჯა ახსნა-განმარტებისათვის. ეს იყო დანაშაულის უსიტყვო აღიარება. ამხანაგები, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებდნენ. უფრო საყურადღებო იყო იმის გადაწყვეტა, თუ რა ზომები უნდა მიგვეღო ჩვენი უშიშროებისათვის. რა იცოდნენ ჩვენ შესახებ სამხედრო ტყვეებმა? ფრანსმა იოხანს დაუწყო გამოკითხვა, სახელდობრ, რა უთხრეს ვეინანტმა და მან ჩვენი ჯგუფის შესახებ უცხოელებს. იცოდნენ თუ არა მათ რამდენი კაცი იყო ჩვენ ჯგუფში, ვინ შედიოდნენ მასში, რას ვაკეთებთ და სადაა ჩვენი შტაბი? იოხანი იფიცებოდა, რომ არც ვეინანტს და არც მას, ამის მსგავსი არაფერი შეუტყობინებიათ, სამხედრო ტყვეებისათვის — ეს ხომ თავისთავად ცხადია. მას წარმოდგენაც არ შეეძლო ამ ყმაწვილთაგან რომელმა შეატყობინა ჰიტ-

ლერელ ჯაშუშებს ჩვენი შეხვედრის შესახებ. რომლებთანაც მან და ვეინანტმა ისაუბრეს, თითოეულმა სანდო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა; მოთმინება არ ჰყოფნიდათ წინააღმდეგობისათვის დახმარება აღმოეჩინათ, დაამთავრა იოხანმა. მაგრამ, მათ შორის, ალბათ, ცოტა როდია გაიძვერა. და ნამდვილად აღმოჩნდა ერთი ავაზაკი.

რულანტმა მაგიდაზე დაწყობილი ხელის თითები ჩვეული მოძრაობით ერთმანეთს ისე გადააჭდო, რომ სახსრები გაატკაცუნა, და თქვა:

— ყველაფერი ნათელია, ამხანაგებო: სასტიკად ჩავვარდით. ვეინანტს და იოხანს ახლა ქუჩაში ცხვირიც აღარ გამოეყოფათ. არავითარ შემთხვევაში: სამხედრო ტყვეები, რომლებიც სანდონი არ არიან, პირველივე შეხვედრაზე შეიცნობენ მათ. ამხანაგები ხომ ორჯერ შეხვდნენ იმათ.

ფრანსი გულდამძიმებული იჯდა. როგორც ჩანდა, ძალიან უმძიმდა დათანხმებოდა რულანტის მოსაზრებებს და უფრო უკერდა ორივე ამხანაგზე უარის თქმა მიუხედავად ამისა, შან თავი დაიქნია; დიახ, დიახ, მართლაც, სხვა გამოსავალი არ არის. იოხანი უფრო გულშემოყრილი იყო. იგი, როგორც ჩანდა, თავისებურ სასჯელად თვლიდა (ყოველ შემთხვევაში მე ასე ვგრძნობდი) ბრძანებას — არ გამოჩენილიყო ქუჩაში და დროებით ჩამოშორებოდა საქმეს. ედი ოდნავ შებრუნებული იჯდა; ოთახის სიბნელეში მისი პროფილი მკვეთრად და მტრულად ისახებოდა. თითქოს, ძლივს იკავებდა თავს, რომ ფრანსს არ დაძგერებოდა. ფრანსმა ხელისგული ნელა დაჰკრა მაგიდას:

— რულანტი მართალია, გესმის, იოხან? მდგომარეობა მძიმეა! მე ვფიქრობ, შენ იქცეოდი ისე, როგორც საჭირო იყო. ჩვენ არა გვაქვს საშუალება წინასწარ განვსჯვრიტოთ, რა მოგველის!..

სიტყვაძუნწმა იანმა ასწია თავისი გამხდარი, მკაცრი სახე და თქვა:

— მაგრამ, ეს ჯერ კიდევ საქმის ნახევარია. ჩვენ ყველანი ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ყოველ შემთხვევაში, ცოტახანს მაინც. ქარიშხალი უნდა ჩადგეს. წარმოუდგენელი სისულელე იქნება, ამ ამბის შემდეგ ჩვეულებრივად განვაგრძოთ ჩვენი საქმიანობა. გესმით თუ არა ეს?..

ვილაცამ ჩაიბურტყუნა, რა თქმა უნდა, ჩვენც ასე ვფიქრობთო. ფრანსი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. გარდა მტანჯველი, მწარე შეგნებისა, რომ ჩვენ გამო ორი ამხანაგი დაპატიმრებული იყო, საშინელ იმედგაცრუებას განვიცდიდი, თითქოს ვილაცამ სასტიკად გამაბრიყვაო. ნუთუ, სწორედ ახლა, როცა საქმე უკეთესობისკენ

წავიდა, როცა ჯგუფი მჭიდროდ შეკავშირდა, სადაც ყველა ერთმანეთისათვის მუშაობდა, შეთანხმებით, რაღაც უბედურ შემთხვევას უნდა ჩაეშალა ჩვენი მოღვაწეობა? მრისხანების ცრემლებით მევსებოდა თვალები; პირი გავაღე აღშფოთების გამოსათქმელად, მაგრამ ფრანსმა დამასწრო.

— ხანა, ზედმეტი არ იქნებოდა ვეინანტი გენახა, რაც შეიძლება მალე. შენ იცი, სადაც წევს იგი, რაც შეეხება იანის წინადადებას... ამის გადაწყვეტა მე არ შემიძლია. ჯგუფიც ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს... ამის შესახებ წინააღმდეგობის მოძრაობის რაიონის ხელმძღვანელს და პარტიულ ინსტრუქტორს უნდა მოველაპარაკო...

მისი ხმა ჩუმად და რაღაც დაღლილად ჟღერდა, მომეჩვენა კიდეც, რომ ფრანსი გაფითრდა.

— იმედი მაქვს, თქვენ გესმით, რა არის ეს... — განაგრძობდა იგი. — ეს ნიშნავს ორგანიზაციის გაუქმებას... კატასტროფას!

ედი უცებ მოტრიალდა მისკენ და მკვახედ უთხრა:

— იყოს კატასტროფა! ოღონდ უარესი კატასტროფები არ მოხდეს!

კარგა ხანს არავის დაურღვევია სიჩუმე. ფრანსის დასკვნითი სიტყვისა და მით უმეტეს ედის გაბოროტებული შეტევის შემდეგ ვერ გავბედე რაიმეს თქმა. მწარე იმედგაცრუებისა და წყენის გრძნობით ვიყავი შეპყრობილი; მაგრამ ფრანსმა თავი შეიკავა და კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა რჩევისათვის ცენტრის ამხანაგებისათვის მიგვემართა. ყველანი — მათ შორის მეც დავეთანხმეთ ამ წინადადებას. ახლა ჩვენი ჯგუფის ბედს პარტია გადაწყვეტდა. ამის შემდეგ ყველანი სახლებისაკენ წავედით, გულდამძიმებულნი და დაღონებულნი.

ახალი აღთქმა

ნებისყოფა დავძაბე, სევდა და ეჭვები მოვიცილე და წავედი ძველ სახლში, ციხე-სიმაგრის სანგართან, ვეინანტის სანახავად. წვიმდა და ყველაფერი, თითქოს განგებ, აძლიერებდა ჩემ ნაღველს; ქუჩებში — სიცივისაგან აკანკალებული ხალხი, მაღაზიების წინ რიგები, ბნელი, უბადრუკი დერეფანი იმ სახლისა, რომლის ზღურბლსაც გადავაბიჯე, საავადმყოფოს საზიზღრად უსიამო ატმოსფერო, კარბოლმჟავისა და შესახვევი საშუალებების სუნი, თვითონ ექიმი მარტინი სახლის ბნელ სიღრმიდან გამოვიდა. ცხვირმოცვე-

თილი საშინაო ფეხსაცმელები ეცვა. ერთ ხელში ჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა, მეორე მე გამომიწოდა, როგორც კი მიცნო:

— თქვენ ხართ? ალბათ, ვეინანტთან მოხვედით...

მისი დამცინავი ნაცრისფერი თვალები გამომცდელად შემომყურებდნენ.

— აბა, როგორაა თქვენი პირადი საქმეები, მას შემდეგ, რაც ბოლო დროს იყავით აქ? იპოვეთ, რასაც ეძებდით?

თავი დავუქნიე; დღეს არავითარი სურვილი არ მქონდა მემსჯელა მასთან წინააღმდეგობის ბედის უკეღმართობაზე. იგი, როგორც ჩანდა, მიხვდა, რომ კარგი მდგომარეობის გამო არ ვიყავი ვეინანტის სანახავად საავადმყოფოში. ექიმმა ჩემთვის ნაცნობი უხეირო ოთახის კარები გააღო.

— ცოტახნით აქ მოგიხდებათ მოცდა, — მითხრა მან. — ჩემი ასისტენტი სწორედ ვეინანტის ჭრილობას უვლის. — მან გაიღიმა და განაგრძო: — ხედავთ, ჩვენთან პირველი კლასის ჰოსპიტალია... ლაბორატორიაზედაც ვფიქრობთ!

აშკარა იყო, ჩემი გართობა უნდოდა. მადლიერებით, მაგრამ საკმაოდ უხალისოდ გავუღიმე.

— რა სჭირს ვეინანტს? — ვკითხე ექიმს.

ხელი ჩაიქნია, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ ღირდა.

— რა სჭირს? ორ კვირაში, ან ათ დღეში ისევ კარგად იქნება. იგი ისეთი მაგარია, როგორც ღორის მოთრიმლული ტყავი... საკმაო სისხლი დაკარგა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ ერთი მხსნელი საშუალება გვაქვს. — მან გულკეთილად გამიღიმა. — დანარჩენს თვითონ მოგიყვებათ. ერთ საათს დარჩებით?

ვუთხარი, დავრჩები-მეთქი. იგი წავიდა და მე ჩემ ფიქრებთან დავრჩი. მაგიდაზე რამდენიმე ძველი ჟურნალი იყო საიალქნო და საავტომობილო სპორტის შესახებ, მათ შორის ფაშისტური ჟურნალის „სიგნალის“ ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი შევნიშნე. მისი ფურცვლა დავიწყე. ჩემდა გასაოცრად ჟურნალში თეირანის კონფერენციის რამდენიმე სურათი ვნახე, რომლებიც ინგლისური გაზეთებიდან გადმოებეჭდათ! ეს იყო კონფერენციის მნიშვნელობის იძულებითი აღიარება და ამ ამბავმა სულიერად გამამხნევა. კარგა ხანს და ხარბი ყურადღებით ვაკვირდებოდი ფოტოსურათებს. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი... მკაცრი, ძალიან თავდაჭერილი, ჭაღარა სტალინი; რუზველტი, მისი გონიერი, სიცოცხლით სავსე ღიმილით; მსუქანი ჩერჩილი, თითებში სიგარითა და ისეთი გამოხედვით, თითქოს ეშმაკობაში მასთან გატოლებას ვერც მოყვარე შეძლებდა და ვერც მტე-

რი. გერმანული კომენტარები წავიკითხე — უფრო მეტი აბდაუბდის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. ჰებელსის უმორჩილეს მსახურებს საყურადღებო რამ აღმოეჩინათ: სურათები უცილობლად ადასტურებდნენ სტალინის ფიზიკურ ნაკლს — ერთი ხელი მოკლე ჰქონდა! სულ ეს იყო, რაც ნაცისტებმა საჭიროდ ჩასთვალეს ეთქვათ ამ ისტორიულ შეხვედრასა და მის გადაწყვეტილებებზე! მათმა აღმოჩენამ თავისი ბავშვური სისულელით გადააჭარბა ომისდროინდელ ყველა გერმანულ ნაჯღაბნს. როცა ექიმმა მარტინმა კარებში თავი შემოჰყო, ჟურნალს დავცქეროდი და ვხითხითებდი. მას გაოცებული, მაგრამ კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— ჰა!... ასე სასაცილოა?

ექიმმა დახედა ჩემ მუხლებზე გადაშლილ ჟურნალს. — აჰ, აი თურმე რა ყოფილა!.. წარმოუდგენელია, არა? ეს ახლავე უნდა მოვუყვეთ ვეინანტს... მხოლოდ ფრთხილად, თორემ ჭრილობა ისევ გაეხსნება!

— შეიძლება მასთან შესვლა? — ვკითხე მე.

— სწორედ თქვენ წასაყვანად მოვედი.

გრძელი ბნელი დერეფნით წავედით. ფორმალინის სუნი ცხვირში მიღიტინებდა. ექიმი მარტინი წინ მიმიძღოდა. მან შემიყვანა ისეთივე ოთახში, სადაც წელან ვიცდიდი. მაგრამ აქ ყვავილები იდგა და კრეტონის ფარდები ეკიდა; თეჯირზე მხიარული ფერის ყვავილებიანი ნაჭერი იყო გაკრული, კედლებს რამდენიმე გრავიურა ამშვენებდა.

ამ ოთახში მაღალ თეთრ საწოლზე, თეთრ ზეწრებში იწვა ვეინანტი და თეთრი უხეში პიჟამა ეცვა; მისი კეთილი, მსუქანი სახეც გათეთრებულიყო. როცა შევედი, უნებურად ისეთი მოძრაობა გაკეთა, თითქოს წამოდგომა უნდოდა. მაგრამ სახე ტკივილისაგან დაეღრიჯა. ექიმმა მარტინმა სწრაფად მიაშველა ხელი და დააწვინა.

— იწექით, იწექით, მეგობარო! — უბრძანა მან. — თუ შეიძლება, არ წამოდგეთ.

ვეინანტს მაგრა ჩაეჭიდა ჩემთვის ხელი. მისი სახე ერთდროულად გამოხატავდა სიხარულს, დაბნეულობას, გულშეუჯერებლობას. მინდოდა ჩემი გრძნობები დამეფარა, მაგრამ არ შემეძლო სულ არ მეფიქრა იმის შესახებ, რაც ვეინანტთან იყო დაკავშირებული: ჩვენი მარცხი, დაჭერები, იქნებ ჩვენი ჯგუფის მოქმედების დროებითი შეჩერებაც... თვალებზე ცრემლები მომადგა; საავადმყოფოს ოთახი, ვეინანტი საწოლში და ექიმი მარტინი — ერთმანეთში აირია. ექიმი კარებისაკენ გაემართა, და როცა ჩამიარა, ხელი მაგრად ჩამომართვა.

— ნახევარი საათი, მეტი არა, — თქვა მან. — მოვალ და გეტყვით.

იგი გავიდა და კარი გაიხურა. საწოლის გვერდით დავჯექი. უკვე დავმშვიდდი და, თითქოს აქ არაფერიაო, ვეინანტს შევხედე. ორივეს გაგვეცინა.

— კარგი ამბავია, ადამიანიშვილო, — თქვა ვეინანტმა. — ჩქარა მიამბე, რა მოხდა. ალბათ, სრული მარცხია, არა?

ცოტა დავაყოვნე პასუხი. მაგრამ ვეინანტი ისე ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით შემომყურებდა, რომ გადავწყვიტე არაფერი დამემალა მისთვის. წარმოვიდგინე, რომ მის ადგილზე მეც არ დავკმაყოფილდებოდი ნახევარი სიმართლით. რომ მოვუყევი, ფაშისტები შეუცვივდნენ არის და ამხანაგთან ერთად დააპატიმრესმეთქი, ვეინანტს სახე მოეღუშა; ცოტა ხანს თვალი ამარიდა; მისი თითები აღშფოთებით ჭმუჭნიდა ზეწრის კიდეს. თუმცა, ჩემი ნაამბობი მოკლე იყო, გადავწყვიტე გამემხილა მისთვის, რომ დარწმუნებული არა ვართ, შევძლებთ თუ არა სამუშაოს გაგრძელებას, და რომ, ყოველ შემთხვევაში, ვეინანტმა და იოხანმა ცოტა უნდა შეისვენონ და რამდენიმე ხანს არსად არ უნდა გამოჩნდნენ. როცა თხრობა დავამთავრე, უხერხულად მიმოვიხედე ირგვლივ, და მზერა შევაჩერე ვეინანტის საწოლთან მიდგმულ პატარა მაგიდაზე. იქ რამდენიმე ვაშლი ეწყო — უდიდესი იშვიათობა, რადგან ფაშისტები სასტიკად იცავდნენ ბაღებს და მთელი ხილი უკანასკნელ ვაშლამდე გაზიდეს; იქვე იდო დაჭმუჭნული წიგნი, პატარა შავყდიანი სახარება და წითელი ფანქარი.

როცა ისევ შევხედე ვეინანტს, ვნახე, რომ მისთვის პირველ მღელვარებას გაევლო; ტუჩები პირქუშად მოეკუმა, წარბებს შორის მკაცრი ნაოჭი გასჩენოდა.

— აი როგორი ამბებია... — ჩაიბუტბუტა მან. — როგორც ჩანს, სამხედრო ტყვეებს შორის გამცემი ერია, ხანა?

— შესაძლებელია, — ვუპასუხე მე. — მათთვის ისეთი ხომ არაფერი გითქვამს, რომ ჩვენ კვალს მოაგნონ?

მისი სერიოზულობა უცებ გაქრა და აღშფოთებით წამოიძახა:

— ჩვენ არაფერიც არ გვითქვამს მათთვის! ისინი თითქოს ჩვენთან მუშაობას ესწრაფოდნენ, მაგრამ მაშინვე რისთვის დავიწყებდით ყბედობას!

ვეინანტი გაჩუმდა და ჩაფიქრებული გაჰყურებდა სივრცეს. დროდადრო მძიმედ ოხრავდა. სიჩუმე გულს მიწუხებდა და ვკითხე:

— როგორ დაგჭრეს?

იგი ისევ მობრუნდა ჩემკენ და მითხრა:

— ჯერაც ვერ მივმხვდარვარ... განა სიბნელეში გაარჩევდი, სად ვიყავი და ვინ იყო იქ... მოულოდნელად სამ ნაცისტ ბანდიტს შორის აღმოვჩნდი. ფრანსმა მანიშნა გავპარულიყავი. მოვახტი ველოსიპედს, გავიქეცი და მაშინვე დავიწყე სროლა უკან... თავის დროზე კარგი წვრთნა მივიღე... ამან ძალიან მიშველა. ყვირილი ატეხეს და მაშინვე ყოველი მხრიდან მისცვივდნენ მათ საშველად. ერთს სირბილის დროს ვკარი ფეხი. მათ მესროლეს — ორჯერ. თეძოში ვიგრძენი ტკივილი, მეორე ტყვია გულს გამიგმირავდა, უბეში ახალი აღთქმის პატარა წიგნი რომ არ მქონოდა.

ვეინანტმა ხელი გაიწოდა პატარა შავი ტომისკენ, დიდი ამბითა და სიყვარულით დაიჭირა ხელში.

— გადავრჩი, ვგრძნობდი, რომ ჭრილობიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ მაგარი ტკივილი არ მიგრძვნია, შევუხვიე გვერდით ქუჩაზე, სადაც შენ და რულანტი დაგინახეთ. მართალი გითხრა, ძალიან გამეხარდა... მგონი, კიდეც დაგიყვირეთ რაღაც...

— კი, შენ დაგვიყვირე: „გაიქეცით! მე თავი დავაღწიეო!“

— სწორია, — თქვა მან ღიმილით. — მათ კიდევ მსდიეს ასიოდე მეტრამდე... ერთხელ კიდევ გავიგონე სროლა, მაგრამ მე უკვე შორს ვიყავი... დავბრუნდი ფრანსთან, იგი მელოდებოდა. ვუთხარი, შენ და რულანტი რომ გნახეთ, და თქვენ წახვედით. მან შვებით ამოისუნთქა, რომ ყველამ დავაღწიეთ თავი საფრთხეს... და აქ მომიყვანა... ახლა აგერ ვწევარ, უკვე შემაკეთეს, მაგრამ ჩვენი საქმე საძაგლათაა...

სახე მოეღუშა; ჩაფიქრდა და ხელში წიგნს ატრიალებდა.

— მაშ, სახარებამ გადაგარჩინა? — ვკითხე მას, როგორმე უსბამოვნო ფიქრებიდან რომ გამომეყვანა.

მან თავი დამიქნია, ცოტა გამოცოცხლდა და წიგნი გამომიწოდა.

— ხედავ ამ ამომწვარ ლაქას? აქედან ასხლტა ტყვია... გაუმარჯოს ნიდერლანდიის ბიბლიურ საზოგადოებას, რომელიც ასეთ, სპილოს ტყავივით მაგარ ყდებს აკეთებს!..

წიგნი ავიღე და ვნახე გარეკანის ტილოზე ტყვიით ამომწვარი ადგილი. გადავშალე: ტყვიას შავად შეეტრუსა პირველი გვერდები. შევნიშნე, რომ ვეინანტს კიდეშეტრუსულ ფურცელზე ერთი ნაწყვეტის გვერდით წითელი ჯვარი დაესვა. მაშინალურად წავიკითხე ეს ადგილი: „იმიტომ, რომ ჩვენი ბრძოლა სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ კი არაა მიმართული, არამედ წინააღმდეგ უფროსთა, წინააღმდეგ ხელისუფალთა, წინააღმდეგ ამ საუკუნის შავბნელი სამყაროს მმართველთა, წინააღმდეგ... (ამ ადგილას ტექსტის ნაწილი დამ-

წვარი იყო). ამისათვის მიიღეთ აღჭურვილობა ღვთისა, რათა შესძლოთ პირისპირ დგომა სიავის ჟამს, ყველაფრის გადალახვა და გაძლება. მაშ, აღსდექით, შეემზადეთ ჭეშმარიტებით შემოსილნი და უბიწობით შეჯავშნულნი“.

— ხომ შესაფერია, ჰა? — მითხრა ვეინანტმა. — კი, გერმანელებმა სამახსოვრო დამიტოვეს.

მისი მოღიმარი თვალების გულღია გამოხედვას შევაგებე მზერა. მეც დავიბენი და სწრაფად გავუწოდე სახარება. მომეჩვენა, რომ მოურიდებლად ჩავიხედე სხვისი სულის კუნჭულში, რისიც არავითარი უფლება არ მქონდა.

— საკვირველია, ხანა, — მითხრა ვეინანტმა, — საოცრად საკვირველია, რომ შეიძლება, ასე უბრალოდ გადაშალო სახარება და მაშინვე იპოვო სიტყვები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლესავით ჭეშმარიტნი არიან... ალბათ, ამიტომაც უწოდებენ მას ღვთის სიტყვას... შესანიშნავი წიგნია!

ცოტა ყოყმანის შემდეგ ვკითხე:

— მაშ რატომ ხარ ჩვენთან, ვეინანტ? კომუნისტებთან, რომლებსაც სხვანაირი სიმართლე აქვთ, და ადამიანებთან, რომლებიც ფიქრობენ თითქმის ისევე, როგორც ისინი?

მსუბუქი მოძრაობით თითქოს ხელში წიგნი აწონა და მითხრა:

— ყველა მიდის თავისი გზით... საკუთარი გზით. ყველანი, ვინც სიმართლეს ეძებენ, ალბათ, იპოვიან ერთმანეთს... თუ პატიოსანი ადამიანები არიან. — მან ჩაახველა. — ეს პატარა წიგნი კი... მან განსაკუთრებული სამსახური გამიწია, ხომ მართალია? ეს ნივთია, რომელსაც არასოდეს აღარ მოვიცილებ. იგი ჩემთან ერთად ჩავა სამარეში!..

გავიცინე, ჩემი მღელვარება რომ დამეფარა.

— აბა, ვეინანტ, მანამდე შენ, ალბათ, ბევრ ვაჟბატონს გააფრთხობინებ სულს?

მან პირველად გაიცინა გულიანად, მაგრამ უცებ გაჩუმდა, სახე ტკივილმა დაუმანჭა.

— იმედი გქონდეს, — მითხრა მან. — ჩემი ნამსახურობის ნუსხა ჯერ არ შევსებულა, ჩემო პატარავ!

კიდევ დიდხანს ვისაუბრებდით, მაგრამ კარებში ექიმი მარტინი გამოჩნდა, რომელსაც ხელში საათი ეჭირა.

— უკვე მივდივარ, — ვუთხარი მე.

ექიმი მარტინი ვეინანტისკენ დაიხარა.

— აბა, როგორაა საქმე, გაგამხიარულა?

— მერე და, როგორ! — წამოიძახა ვეინანტმა. — იმედი მაქვს, ადამიანის შვილო, კიდევ ერთხელ მოხვალ ჩემ სანახავად.

— მოვალ, — ვუთხარი მე და ხელი ჩამოვართვი. — მაგრამ ამ-ბანაგებსაც უნდათ შენი ნახვა; ასე რომ, ამ დღეებში სხვა სტუმრებს ელოდე.

მან ხელი დამიქნია და თეჯირმა დამალა იგი. ექიმმა მარტინმა უკანა გასასვლელამდე მიმაცილა.

— ესე იგი, ხემსტედში საქმე ცუდადაა, ჰა? დაჭერები და ასე შემდეგ... შენ საკმაოდ ფრთხილი ხარ? — მკითხა მან.

ყურადღება მივაქციე, რომ იგი თქვენობით აღარ მელაპარაკებოდა. ამ ამბავმა ისევ გააღვიძა ჩემში იმის რწმენა, რომ ჩვენ დიდი, საიდუმლო ძმობა გვაერთიანებდა.

— ვცდილობ ფრთხილად ვიყო, — ვუპასუხე მე. — მაგრამ ეს ყოველთვის ჩვენზე არაა დამოკიდებული.

მან სერიოზულად დამიქნია თავი და ჩიბუხის გატენა დაიწყო თამბაქოთი, რომელიც პირდაპირ ხალათის ჯიბეში ჰქონდა ჩაყრილი. ვიდრე იგი ჩიბუხს ეწეოდა, მისი გონიერი მონაცრისფერო მწვანე თვალები ჩაფიქრებულად გამოიყურებოდა.

— ვიცი, — თქვა მან, თან აუჩქარებლად აქშიტინებდა ჩიბუხს. — მტერი ერთი წუთით არ გვასვენებს. ჩვენ მასზე ძლიერი, მოხერხებული და ჯიუტები უნდა ვიყოთ. უდიდესი ამოცანაა, ქალიშვილო... Na, mit Gott. აბა, ღმერთი გფარვიდეს?

მან უცებ მხიარულად გაიცინა და თვალები აუციმციმდა:

— ღმერთო შემიწყალე! გესმის? მეც გერმანულად ვიწყებ ლაყბობას! კიდევ ერთი მავნე მიკრობი ოკუპაციის მავნებელ ატმოსფეროში! როგორც ექიმს, უნდა მრცხვენოდეს!..

როცა მივდიოდი, ის ისევ კარებში იდგა და იცინოდა.

«LIEBESGABEN[1]»

პარტიული ინსტრუქტორი ჩვენს შტაბს შობის წინა დღეებში ეწვია. ერთხელ, ხუთნი ვისხედით შტაბში, უცებ მოულოდნელად მოვიდა ფრანსი და გვიბრძანა სასწრაფოდ დავშლილიყავით: მას ახლდა ვიღაც ხელმძღვანელი ამხანაგი მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად. ფრანსი გაფითრებული და მოღუშული იყო, მეტად მაღალფარდოვანი ტონით ლაპარაკობდა, მაშინვე მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა. ჩვენ ნელა ავდექით, წამოვისხით ქურთუკები და პიჯაკები. ბანქო და ჩაის ფინჯნები ისევე დავტოვეთ მაგიდაზე.

[1] სიყვარულის საჩუქრები (გერმ.).

კარებში ცოტა შევფერხდით — ოთახიდან სწორედ მაშინ გამოვდიოდით, როცა სტუმარი შემოდიოდა. გაკვირვებულმა შევნიშნე, რომ იგი ქალი იყო. ალბათ, ხუთი წლით იქნებოდა ჩემზე უფროსი. მაღალი, მაგარი აგებულების, მრგვალი, ნათელი, სასიამოვნო სახის, ჯანმრთელი გამომეტყველების ქალი, მას მამაკაცის მოკლე, ყავისფერი, ალაგ-ალაგ გაცრეცილი ტყავის ქურთუკი ეცვა, თავზე კი ნაცრისფერი თავსაფარი ეხურა, საიდანაც კულული უჩანდა. მისი ძალიან შავი, გამჭრიახი თვალები ერთი წუთით შეჩერდა ჩემზე, როცა გასასვლელთან გვერდით ჩავუარე. მე თავი დავუკარი, მანაც მიპასუხა. ვილაცამ უკნიდან ნელა, მაგრამ მტკიცედ მიბიძგა კარებისაკენ.

როცა ბაღის სიბნელეში აღმოვჩნდით, სადაც ნაკლული მთვარე დროდადრო იჭვრიტებოდა უფერული, ჭუჭყიანი ღრუბლებიდან, დავინახე, რომ ბეჭებში რულანტმა მკრა ხელი. ამხანაგებმა ჩაგვიარეს და ბაღში გაუჩინარდნენ. რულანტს სახელოში ჩავავლე ხელი და ჩურჩულით ვკითხე:

— ვინაა ის ქალი, რულანტ?

— ანი. პარტიული ინსტრუქტორი, — მიპასუხა მან. — ახლა კი ცუდად იქნება ფრანსის საქმე... ტაბე[1], ხანა! ხვალ გავიგებთ ყველაფერს!

სახლში ძალიან კარგ ხასიათზე ვბრუნდებოდი. ეს სულიერი აღფრთოვანება უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიული ინსტრუქტორი ქალი აღმოჩნდა. იგი ისევ წარმომიდგა თვალწინ. — ახალგაზრდა, ენერგიული, გონიერი შავი თვალებით. მან თავი დამიკრა. ამხანაგები მას პარტიულ ინსტრუქტორად ასახელებდნენ, იმის მაგივრად, რომ ეთქვათ — პარტიული ინსტრუქტორი ქალი. მივხვდი, რომ მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ქალი იქნებოდა თუ კაცი. რაკი პარტიის წევრი იყავი, გუნებაში გამეცინა, მგონი, ხმადაბლა მარსელოზას ვუსტვენდი, თან საზიზღარ, სველი თოვლისგან გაუფერულებულ ბურუსში მივაბიჯებდი.

მეორე დღეს გავიგეთ, რა გადაწყვეტილებაც მიეღოთ. მსუბუქი სასჯელი კი არა, ჩემი აზრით, ეს პატივის ახდა იყო. ფრანსს კარგა მაგრად მოხვდა. ეს ყველამ ცხადად დაინახა, როცა მოკლედ, დამნაშავის ტონით, რაც ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო, გვაცნობა, სერიოზული შეცდომები დავუშვიო. როგორც აგვიხსნა, ძირითადი შეცდომა, სიმონ ბ-სა და პარტიის გარეშე სამხედრო ტყვეებთან დაკავშირებაში მდგომარეობდა. ფრანსმა გვითხრა, რომ თქვენც დაგსაჯესო, თუმცა აღიარებდა, პასუხისმგებელი ყველაფრისათვის მარ-

[1] მალაური მისალმება, რაც ნიშნავს „გამარჯობა“ ან „ნახვამდის“, ძალიან გავრცელებულია ჰოლანდიაში.

ტო მე ვარო. რამდენიმე კვირით აგვიკრძალეს თავდასხმებისა და შეიარაღებული ოპერაციების მოწყობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვეინანტი და იოხანი დროებით უნდა ჩამოცილებოდნენ სამუშაოს, დანარჩენები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ იარაღების გადაზიდვით, რომლის ნაწილი იშოვა ჩრდილოეთ ჰოლანდიის პროვინციის წინააღმდეგობის ჯგუფმა; გარდა ამისა, მივიღეთ იარაღი, რომლებსაც ინგლისელები პარაშუტებით ყრიდნენ. ალკმარში ეწყო დეზერტირი ესესელების ფორმის ტანსაცმელი, რაც ამსტერდამში იყო გასაგზავნი. ეს იყო და ეს. მაგრამ ვინაიდან ჩვენ უარესს ველოდით, სასჯელი არც ისე მკაცრი გვეჩვენა. ჩვენ ჩვენს სახლებში წავედით; საუბარი ვერ ავაწყვეთ, ფრანსი მაშინვე წავიდა, თითქოს აღარ შეეძლო თავისი ძველი მებრძოლი ამხანაგების მწუხარე გამომეტყველებისა და მათი საყვედურით სავსე მზერის გაძლება. დანაღვლიანებული და ნაწყენი ვიყავი, თითქოს ვიღაცამ მწარედ მომატყუაო. მზად გახლდით თვითონ გავსწორებოდი ფრანსს, თუმცა გონება მიკარნახებდა, რომ იგი ისედაც სასტიკად იყო დასჯილი.

ჩემს მშობლებს უკვირდათ ჩემი ასეთი ნაღვლიანობა. დედამ და ივდითმა ბევრჯერ მკითხეს, რატომ გავხდი სიტყვაძუნწი. მამა მალულად მადევნებდა თვალს, ეგონა, ვერ ვამჩნევდი. თითქოს სიჩუმითა და საიდუმლოებით შემოვიზღუდე, მაგრამ ამ განმარტების მიღმა სევდა იმალებოდა და მშობლები, როგორც ჩანდა, ამჩნევდნენ ამას.

შობის წინადღეს ამანათი მივიღეთ შვეიცარიიდან! მაშინვე შევნიშნე საფოსტო მარკის მიხედვით. წარმოუდგენელმა იმედმა მომიცვა: იქნებ ამანათი ტანიასგანაა — მაშინ იგი გადარჩენილია–მეთქი... ყველანი ამანათს შემოვეხვიეთ, გვინდოდა გაგვერჩია გამომგზავნის ვინაობა. გამოირკვა, რომ ამანათი ტანიასგან კი არა, მამას ერთი კოლეგას, ებრაელი ჰოლდშტეინის გამოგზავნილი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ 1940 წელს ბედმა გაუღიმა და შვეიცარიაში წავიდა. ამანათში წერილი არ აღმოჩნდა, მხოლოდ ორი დიდი შეკვრა შოკოლადი და ყველიანი რამდენიმე დაწნული კოლოფი იდო. შორეულ წარსულში გამოგზავნილი ზღაპრული საჩუქარივით შევყურებდით მას; ნაღვლიანად გავიფიქრე, რომ შვეიცარიელები, რომლებიც ჰიტლერის მიმართ შემწყნარებლობას იჩენდნენ, აქამდე არხეინად ცხოვრობდნენ. ჩემს მშობლებს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი აზრადაც არ მოსვლიათ. მაგიდაზე დაწყობილი მშვენიერი საჩუქრები ძველი ნაცნობის ყურადღების ნიშნად მიიღეს და ძალიან აუჩუყდათ გული.

— კეთილი ჰოლდშტეინი... — თქვა მამამ. — როგორ მოიფიქრა ამის გაკეთება! ალბათ, შვეიცარიული გაზეთებიდან შეიტყო, ან

იქნებ რადიოს მოუსმინა, რომ ოკუპირებულ რაიონებში პროდუქტები ჭირს.

ისევ ხელში მეჭირა ამანათის გადანაკრავი და კვლავ ტანიაზე ვფიქრობდი, რომელიც გაუჩინარდა და აღარაფერი ვიცოდით მის შესახებ. ამანათზე გადანაკრავ ნაცრისფერ ქაღალდზე მელნით წაწერილი ასოები გადღაბნილიყო; მისამართს ზემოთ დაკრული იყო პრიალა ქაღალდის ღია მწვანე ფერის ნაძვის ტოტი, რომელზეც გოთური შრიფტით რამდენიმე სიტყვა ეწერა. უცებ მივხვდი.

— დალახვროს ეშმაკმა, — წამოვიყვირე მე. — ეს უზრდელობაა!

მშობლებსა და ივდითს ვაჩვენე შემონახვევზე დაკრული ნაძვის ტოტი, ივდითი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ხმამაღლა წაიკითხა: „სიყვარულის საჩუქრები გერმანიიდან!“

ერთმანეთს გადავხედეთ. ყველას ერთდროულად გაგვეცინა — მწარედ, ბრაზიანად, ისე რომ, კარგად არც ვიცოდით, გვეცინა თუ გვეტირა ნაცისტების ყოვლად წარმოუდგენელ, უსირცხვილო თვალთმაქცობაზე. როცა ბევრი ვიცინეთ და ყველამ თავისი აზრი გამოთქვა ამ გერმანულ სიყვარულზე, დედამ რაღაც უცნაურად შემომხედა და მითხრა:

— ხანა... შენ ახლა ისეთი უხეში სალანძღავი სიტყვა თქვი. სად ისწავლე?

დედას შევხედე, ვგრძნობდი, რომ უნდოდა შემოეღწია იმ ყრუ, დახშულ კედელში, რომლითაც შემოვიზღუდე.

— დედა, — ვუთხარი ძალიან მხიარული ტონით, — ამისთანებს თავისთავად ისწავლი, როცა გერმანული ოთხწლიანი ოკუპაციის სირცხვილს განიცდი.

დედას ჩემთვის პასუხი არ გაუცია, მაგრამ ამოიოხრა და განზე გასწია „სიყვარულის საჩუქრები“...

შობამ უღიმღამოდ ჩაიარა, შოკოლადისა და ყველის მიუხედავად. იქნებ ჩემს მშობლებს შვეიცარიიდან მიღებულმა საჩუქარმა გაახსენა ტანია და ის ამბავი, რომ მისგან არაფერი ისმოდა, მაგრამ არავის უხსენებია მისი სახელი. დედამ ტრადიციული საშობაო კრენდელები გამოაცხო, სახლში დაფქული პურის ფქვილისა და ორასი გრამი შალგის ზეთისგან, რომელიც ოკუპანტებმა მოწყალებასავით დაურიგეს ჰოლანდიელთა ყველა ოჯახს, როგორც გერმანული „სოციალიზმის“ გულკეთილად ნაჩუქარი. გერმანელთა ვერმახტის სახლებსა და ოფიცერთა სამიკიტნოებში, რა თქმა უნდა, შალგის ზეთის ხსენებაც არ იყო. იქ ბატები და იხვები ნამდვილ ერბოში იწვებოდა. შობის მთელი პირველი დღე ჰარლემის ქუჩებში უაზროდ

დავეხეტებოდი. ყველგან, სადაც გერმანელები იყვნენ, უშველებელი საშობაო ნაძვის ხე იდგა. ავტომობილებს დაჰქონდათ პაკეტები, რომლებშიც ჩაწყობილი საქონელი, რა თქმა უნდა, მოზიდული იყო ყველა ოკუპირებული ქვეყნიდან; სატვირთო მანქანებს ყუთებით დაჰქონდათ ღვინო — ბოთლებს ამშვენებდა ფრანგული, იტალიური და ესპანური ეტიკეტები. ყოველი მხრიდან ისმოდა ტევტონური საშობაო სიმღერები და საეკლესიო მუსიკა, რომელსაც სენტიმენტალურად განწყობილი ჯარისკაცები ხმას აყოლებდნენ — სპექტაკლი მით უფრო საზიზღარი იყო, რომ წინასწარვე იცოდი: ეს სენტიმენტალურობა საღამოსათვის ნაკლებად ქრისტიანული გართობებით შეიცვლებოდა, თუ არაფერს ვიტყვით აშკარა ბოროტმოქმედებებზე, რომლებიც ამ ღვთის მოშიშ მომღერლებს უკვე ჩაედინათ დღეს, ჩვენი და მილიონობით ჩვენისთანა ადამიანების მიმართ. აღშფოთებული დავბრუნდი შინ. შობის მეორე დღესაც არ ვიყავი უკეთეს გუნებაზე. ისევ წვიმანარევი თოვლი მოდიოდა. ქარი დროდადრო ავობდა; ცამ ღრუბლები გადააფარა დედამიწას, თითქოს არ უნდოდა მისი და მასზე მომხდარი საზიზღარი ბოროტმოქმედებების ნახვა... ქალაქში ხმა დაირხა, გერმანელი ჯარისკაცები ერთმანეთს ეჩხუბებიანო. ნასადილევს ჰაინეს ტომი ავიღე იმ იმედით, რომ მისი გამგმირავი სატირა სევდას გამიქარვებდა და სატირლად გამზადებულს დამამშვიდებდა. მაგრამ, როცა ვკითხულობდი პოემას „გერმანია. ზამთრის ზღაპარი", შევნიშნე, რომ ჰაინეს არც ისე ძლიერ სძულებია გერმანელები, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დაიჩაგრა მათი უხეშობის წყალობით. გაფიქრებაც კი საშინელია! ის გერმანია, რომელსაც წყევლიდა პოეტი, ასი წლის შემდეგ აღსდგა და წარმოგვიდგა უფრო საშინელი სახით. წიგნი თავის ადგილზე დავდეი და დანარჩენი დრო ოჯახურ საქმიანობასა და ფიქრში გავატარე.

ქსანტიპა თუ დინამო?

თოვდა, მერე წვიმა მოვიდა, საგრძნობლად დათბა, ახალი წლის წინა დღეებში სიწყნარე გამეფდა. ნელა მიიზლაზნებოდა იანვარი, მოსაწყენი უსიხარულო დღეები. ნაცისტების მიერ საშობაოდ ხელოვნურად შექმნილი საზეიმო განწყობილება მალე გაქრა: საშობაოდ რამდენიმე მძევალი გამოუშვეს, მაგრამ ახლა ისევ გამოამეღავნეს თავიანთი ნამდვილი სახე. ლეიდენში, სადაც წინააღმდეგობის მებრძოლებმა გერმანელთა შრომის ბირჟის უფროსი მოსპეს — მან გერ-

მანელთა მონობაში გაგზავნა ასობით ჰოლანდიელი, — დაიჭირეს ორმოცდაათი ქალაქელი, რომლებზედაც ფაშისტებს ეჭვი მიეტანათ, რომ ისინი „იწონებდნენ მომხდარ მკვლელობას“ (განა ვინ არ მოიწონებდა ამას!); დაპატიმრებულთაგან სამი მოჰკლეს „გაქცევის მცდელობის დროს“. ეს ამბავი ახალ წლამდე მოხდა. ალყები და დაჭერები მერეც გრძელდებოდა. უმთავრესად ქვეყნის ჩრდილოეთ მხარეში, სადაც, როგორც ჩანდა, ისევ დაიწყო ძლიერი მღელვარება; ამ ამბებს ვგებულობდით ჩვენამდე მოღწეული ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმებით.

ჩვენმა ჯგუფმა ისევ დაიწყო იარაღის გადაზიდვა. შობის შემდეგ ედიმ, იანმა და მე ამსტერდამში წავიღეთ ესესელთა ფორმის ტანისამოსები. საგამომძიებლო ციხეზე, ერთი კომუნისტი პატიმრის გასანთავისუფლებლად და საკნიდან რამდენიმე პოლიტიკური პატიმრის გამოსაყვანად, მოწყობილი თავდასხმა არ გამოგვივიდა: გარაჟი, სადაც დამალული იყო გერმანელებისაგან მოპარული სატვირთო მანქანა, რომლითაც წინააღმდეგობის მებრძოლნი უნდა წასულიყვნენ, თავდასხმამდე ნახევარი საათით ადრე, დაიკავა გერმანელთა პატრულმა, რომელმაც გარაჟში სინათლე შენიშნა. ეს ამბავი შტაბში გავიგე. ფლორი და ჰუგო იქ იყვნენ ხერიტ იანთან ერთად, ისიც წინააღმდეგობის მებრძოლი იყო—ბოლო დროს ხშირად გვესმოდა მისი სახელი. ეს იყო სამარცხვინო მარცხი; მხოლოდ ერთი რამ გვამშვიდებდა, რომ ყველა თავდამსხმელი უვნებლად გადარჩა. მაგრამ მარცხის სიმწარე შემოგვრჩა და უფრო დავნაღვლიანდით, როცა იანვრის დასაწყისში ისევ დახვრიტეს ცამეტი კომუნისტი.

ჩემ თავს ჯიუტად ვუმტკიცებდი, რომ დიდ ფრონტებზე ნაცისტები თანდათან უფრო მწვავე დამარცხებებს განიცდიდნენ. მოსკოვში განთავისუფლებული ქალაქებისა და ოლქების პატივსაცემად წამდაუწუმ გაისმოდა სალუტი. წითელი არმია უკვე პოლონეთში შევიდა. ეს იყო იმ დღეების ყველაზე აღსანიშნავი ცნობა: ამ ამბავთან დაკავშირებით შეთხზული ლექსიც კი გავრცელდა არალეგალურად. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ჰიტლერი ისევ გამოვიდა მოხსენებით, რომელიც გერმანელთა რადიომ გადმოსცა. ამ დინჯად მიმავალ, უბედურებებითა და ყოველდღიური სიმწრით სავსე, პირქუშ კვირეებში ჰიტლერის მოხსენებამ ცოტა შვება მოგვცა: აშკარა იყო, გერმანულმა ფაშიზმმა თავისი დასასრულის მოახლოება შეიგრძნო. თავის ადრინდელ გამოსვლებში ჰიტლერი იმუქრებოდა, ბრაზობდა, შურისძიების ფიცს დებდა; 1944 წლის ამ პირველ სიტყვაში თავისი ჯარისკაცებისა და თანამემამულეების დასამშვიდებლად მხოლოდ ღრმააზროვანი და ბანალური ფრაზების თქმა მოახერხა: „თვით ყვე-

ლაზე უსაშინელესი ქარბუქი ჩადგება... ღრუბლებს იქით მზე ბრწ-ყინავს, ყოველისშემძლე ღმერთი დაიფარავს მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც სიტყვას არ გატეხს...“ ამ ისტერიკიანს არასოდეს გამოუჩენია ასეთი სულმოკლეობა.

იანვრის ბოლოს გავიგეთ, რომ გერმანელებს გამოუქვეყნებიათ იატაკქვეშელთა სიები, მათი გარეგნული ნიშნების მითითებით. სია-ში ბევრი ჩვენი ხალხი აღმოჩნდა. მუშაობა უფრო მიწყნარდა. ცუდ ხასიათზე ვიყავით, მაგრამ ნაღვლიანობის ხსენებაც აღარ იყო. ამავე დროს, შექმნილი მდგომარეობა მაღიზიანებდა. უმოქმედობისა და ლოდინის ატანა აღარ შემეძლო. ერთი ფიქრი დამებადა, რომელიც თანდათან ეუფლებოდა მთელ ჩემ არსებას. ხან თავს ვარიდებდი ამ ფიქრს, ხან კი ისევ ვუბრუნდებოდი. რაც მეტს ვფიქრობდი, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ უნდა გამებედა და განმეხორ-ციელებინა იგი.

თებერვლის დამდეგს, ერთ წყნარ, მოღრუბლულ დღეს ისევ გადავედი ბორნით ფელზენში. პოლდერების მოყავისფრო-რუხი მიწა უფერულ ზეცას ერწყმოდა. ბრუნავდნენ ორი-სამი წყლის წისქვილის ფრთები; ჰორიზონტზე წვრილ-წვრილ ჭავლებად ბოლავდნენ ფაბ-რიკის მილები. იდგა ზამთრის წყნარი, მსუბუქი ამინდი, რომლის მსგავსი არაერთი ათასი ყოფილა ჩვენ ცხოვრებაში. ეს მშვიდი სუ-რათი გულს მტკენდა, ასე მეგონა, ყველაფერს — ბუნებასაც და ადამიანის შრომასაც — ის მიზანი ჰქონდა, დაეფარა ტყუილი, ტი-რანია, რასაც ჩვენ განვიცდით, ადრე მივედი კრომენში. დედი-ლო დე მოლმა როცა მიცნო, მხიარულად შემოკრა ტაში, მესიამოვ-ნა, რომ პატარა მოხუც ქალს ვახსოვდი და გაეხარდა კიდეც ჩემი ნახვა. იგი სწრაფად გამოცუნცულდა დახლიდან, შემომეგება და დუქნის უკანა ოთახში შემიყვანა.

— აბა დამენახე! ჯანმრთელად ხარ და ყველაფერი რიგზეა? საქმეები კარგად მიდის? — მკითხა მან, როგორც კი მარტონი დავრ-ჩით.

— არა, დედილო დე მოლ, არც ისე კარგადაა, — ვუპასუხე მე. — იმისთვის ჩამოვედი, რომ ფლოორთან მინდა მოლაპარაკება.

სახლის უკან ვიღაც მუშაობდა — შეშას ჩეხდა. ოთახს თვალი მოვავლე. იქ ყველაფერი მაშინდელივით იყო; წითელი ხის ოდნავ მბზინავი ავეჯი, მაღალღეროიანი ყვავილები. ჩიტებიანი გალია, ჭე-რის მბრწყინავი ყავისფერი დირეები კეთილისმყოფელი და მიუწვ-დომელი სიმყუდროვით იყო აღსავსე მაშინდელივით, როცა ოქტომ-ბერში აქ ვიჯექი, — მხოლოდ, ახლა მზის სხივებში მტვერი არ ცე-

კვავდა. მოხუცმა მხრებზე დამადო თავისი პატარა, რევმატიზმისგან დამახინჯებული ხელები და მხიარულად აქაქანდა:

— ჰო, როგორც ჩანს, თქვენც გიჭირთ, მაგრამ უკეთესი დროც დადგება. ამ დროს გამძლეობაა საჭირო! შენ გეტყობა, ისეთი არა ხარ, ყურებს რომ ჩამოყრიან ხოლმე... დე მოლს ვთხოვ, ფლოორს შეატყობინოს შენი მოსვლა. მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, სად არის იგი. ეს ყმაწვილები მშვიდად როდი სხედან, — არა, არა!

მან ისევ გაიცინა და პირი მთლად ჩაუვარდა, მრგვალი, პრიალა ლოყები უფრო გამოიკვეთა მის სახეზე.

— ყავაზე ალბათ უარს არ იტყვი?

მან თავი გაყო კარიდან და თავის ქმარს დაუძახა — როგორც ყოველთვის, გვარით მიმართა. ნაჯახის კაკუნი შეწყდა. დე მოლი ოთახში შემოვიდა. იგი ძველებურად გამოიყურებოდა, თითქოს არც კი წავსულიყავი აქედან.

— ა, ეს ოქვენ ხართ... — მითხრა მან. მის გამურულ სახეზე ღიმილმა გადაირბინა. — კიდევ გამოგზავნის ფრანსი ლობიოს?

— თუ საშუალება იქნება, — ვუპასუხე მე.

— მას ფლოორი სჭირდება, — სწრაფად ჩაურთო დედილო დე მოლმა.

— მივდივარ, — უპასუხა ქმარმა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს ჩვენი პირველი შეხვედრის სურათი განმეორდა; დე მოლმა წამოიხურა თავისი ველვეტის ქურთუკი და წავიდა, დედილო დე მოლი დარბოდა სამზარეულოს, ოთახსა და დუქანს შორის. მე ნელნელა ვსვამდი ყავას, ვიცდიდი ოთახში, რომლის მოწყობილობას, ვინ იცის, ადამიანთა რამდენი თაობის ცხოვრების დაღი აჩნდა. დედილო დე მოლი ჩემ პირდაპირ დაჯდა რაღაცნაირი ძველებური ჩანახით და კარტოფილის ფცქვნას შეუდგა.

— შუადღისას ჩვენ ყოველთვის ვჭამთ რამე ცხელ საჭმელს, — ამიხსნა მან.

მთელი ცხოვრების მანძილზე, ალბათ, მხოლოდ ორ-სამჯერ გამიფცქვნია კარტოფილი, მაგრამ უცებ მომინდა რაიმე გამეკეთებინა მოხუცებული ქალისთვის და ვუთხარი, რომ მოვეხმარებოდი. იგი ცოტა ხანს მიყურებდა, როგორ მედგა მუხლებზე ჩანახი, მომცრო დანითა და მოუხერხებელი თითებით როგორ ვაცოდვილებდი ჭირვეულ კარტოფილს; ალბათ, იმდენი ქერქი მოვაფცქვენი, რომ კარგ დიასახლისს ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა. მხოლოდ დედილო დე მოლს არა, იგი იღიმებოდა; მთელი სახე სასაცილო, წვრილი ნაოჭებით დაეღარა.

— როგორც ჩანს, შენ ყოველთვის კანტორაში მუშაობდი, — შემნიშნა მან.

— უფრო უარესი, — ვუთხარი მე. — სტუდენტი ვიყავი. კანონებს ვსწავლობდი.

— აი, თურმე რა ყოფილა! თუმცა, რა თქმა უნდა, ვექილებიც საჭირონი არიან... ოღონდ, მგონი, ექიმები უფრო საჭიროა. მე ისე ვლაპარაკობ, როგორც მესმის.

— მე კი ვიცი, დედილო, რა არ არის საკმარისი, რომ არსებობენ ვექილები და მოსამართლეები, ხალხის უფლებები კი მხოლოდ ქაღალდზე წერია, — ვუპასუხე მე. — ამას კიდევ რაღაც უნდა ამტკიცებდეს — ცოცხალი ძალა. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ძალა, რომელიც იცავს ყველა ადამიანს და არა ის, რომელიც უფლებას იძლევა ერთმა ნაწილმა მეორეს უღელი დაადგას კისერზე.

მას ისე მოეწონა ჩემი სიტყვები, რომ ჩაიხითხითა.

— აი სად უნდა გქონდეს ადამიანს სამართალი, — თქვა მან, და თან თავის ვიწრო, გამხმარ, დედაბრულ მკერდზე ხელი მიიკაკუნა,— თორემ მთლად წამხდარი არსება ხარ. იმათი ჯურისა, რომლებიც გვამცირებენ და გვაბეზღებენ. ისინი — მკვდარი სულები არიან... მესმის, ჩემო პატარავ, რომ წიგნების დანახვაც არ გინდა, როცა შენ ირგვლივ ამდენი სისაძაგლე ხდება. ერთხელ ჩემს თავს ვეკითხებოდი, რა საჭიროა ამდენი სქელი კანონები-მეთქი, უბრალო ადამიანს უჭირს მათი გაგება, იმდენად რთულად არის შედგენილი.

მე თავი დავუქნიე და მამაცად შევუტიე კარტოფილს. მას სულაც არ სწყენია, როცა ნახა, რომ გაფცქვნილი კარტოფილი საბავშვო კუბიკებს უფრო გავდა, ვიდრე კარტოფილის ბოლქვებს.

— მართალი ხართ, დედილო, — ვუთხარი მე. — კანონები ისე უნდა შედგეს, რომ ყველაზე უბრალო ადამიანებმაც მაშინვე შეიძლონ მათი გაგება და დარწმუნდნენ, რომ ეს კანონები სასარგებლოა. ასეც შევადგენთ კანონებს მომავალში. ჩვენი მუშაობა არ შეჩერდება მას მერე, როცა ფაშისტებს გამანადგურებელ დარტყმას ვაგემებთ.

დედილო დე მოლმა ყურადღებითა და გულაჩუყებით შემომხედა; თვალები უბრწყინავდა წამდაუწუმ მომდგარი ცრემლისაგან.

— შენთან შეიძლება ლაპარაკი, — მითხრა მან. — ძალიან მინდოდა გოგო მყოლოდა, რომელიც ისწავლიდა. ქალები ყველგან იძლევიან უფლებას, რომ მასზე მბრძანებლობდნენ. მე კი ყოველთვის ვამბობ: ქალებს რომ მეტი უფლებები ჰქონდეთ, ომიც არ იქნებოდა... აჰ, ღმერთო! დუქანში ისევ რეკავს ზარი!

— შვილები გყავთ, დედილო დე მოლ? — ფრთხილად ვკითხე.

როცა იგი შემობრუნდა. შუაკედლის პატარა კარადაზე დაეინახე სხვადასხვა ასაკის ბიჭების სურათები — თეთრ ბეწვზე გაწოლილ ძუძუთა ბავშვებიდან სკოლის ასაკამდე, და ერთი ჰოლანდიის არმიის ჯარისკაცის ფორმიანი. დედილო დე მოლმა ისე შემომხედა, თითქოს შეურაცხყოფა მიმეყენებინოს ჩემი შეკითხვით.

— მაშ როგორ გგონია? რა თქმა უნდა, მყავს შვილები. ორი ბიჭი.

იგი კარადისაკენ წაცუნცულდა, ორი სურათი მოიტანა, მაგიდაზე დადგა და თავისი კოჟრებიანი თითი მიადო:

— კეესი და იოხანი. ამათზე უფრო ნამდვილი ჰოლანდიური სახელები თუ გაგიგია როდისმე?

რამდენიმე წუთი დასცქეროდა ჯარისკაცის სურათს; მისმა ენაწყლიანობამ ადგილი დაუთმო მწუხარე ჩაფიქრებას; მომეჩვენა, რომ იგი თავის თავს ელაპარაკებოდა.

— მხოლოდ არ ვიცი, სად არიან ისინი... კეესი ჰოლანდიელ ჯარისკაცთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც ცხარე ბრძოლა მოუხდა ბელგიაში და დიუნკერკთან... იქნებ სადმე ტყვეთაა, ანდა ინგლისშია. იოხანი ცურავს. იგი სინგაპურში იყო, როცა იაპონელებმა იქ ხანძარი გააჩინეს... ერთი კი მათი ამბავი გამაგებინა... აი, ყოველ საღამოს ვზივარ და ვუსმენ ინგლისურ რადიოს... მაგრამ ამაოდ, არაფერია. კიდევ უნდა მოვითმინო...

ახლა, თითქოს ისევ დამინახაო, ალერსით გამოიწოდა ჩემკენ თავისი დანაოჭებული თითები, ზემოდან ქვემოთ ჩამომისვა თმაზე ხელი. მისი სახე მაშინვე დაიფარა მხიარული ნაოჭებით.

— მაგრამ მე უმათოდაც საკმაო შვილები მყავს, გესმის? ირგვლივ უამრავი ვაჟიშვილი მახვევია, ყველა ასაკისა. ახლა კი, ღმერთმანი, ასე მგონია, თითქოს ქალიშვილიც გამიჩნდა!

გაფცქვნილი კარტოფილი სამზარეულოში შევიტანე, სადაც დედილო უკვე ქურასთან ტრიალებდა. მალე დე მოლი მოვიდა და გაოცებით ჩახედა მწვანე ჩანახში ჩემ მიერ დამახინჯებულ კარტოფილებს. ბოლოს შემომხედა და მკითხა:

— თქვენ გაფცქვენით?

დედილო დე მოლმა სწრაფად მოაშორა ჩანახი მის გაოცებულ მზერას და კარტოფილი წყლიან ჯამში ჩაყარა.

— დიახ, მ ა გ ა ნ — გესლიანად უპასუხა დედილომ, ჩემ დასაცავად.

დე მოლი მიბრუნდა, ვხედავდი, როგორ იღიმებოდა. ველვეტის ქურთუკი საკიდარზე ჩამოკიდა. ლურჯი ტილოს ხალათის აკაპიწებული სახელოები ჩამოუშვა და თქვა:

— მაშინ თქვენ მოგიწევთ მისი ჭამა... ფლორი ჯერ არ არის. მხოლოდ მოგვიანებით შეუძლია მოსვლა.

იგი ეზოში გავიდა და ისევ გაისმა ნაჯახის კაკუნი, დედილო დე მოლი ქურასთან ტრიალებდა, მე მას თვალს ვადევნებდი.

— რა გქვია? — მკითხა მან.

— ხანა, — ვუპასუხე მე.

ცეცხლის საჩხრეკი ქურას დაარტყა და შეჰყვირა:

— ხანა! ზუსტად ჩემი გარდაცვლილი დის სახელია!..

მისი მჭევრმეტყველების წყარო ისევ ამოჩუხჩუხდა. თითქოს ჩემი სახელი ჯადოსნური ჯოხი ყოფილიყოს, მოვისმინე ზაანის მცხოვრებთა საოჯახო ქრონიკა: ქორწინებების, ვაჟიშვილების, ქალიშვილების, შკიპერების და მეტივეების, მრავალი ავადმყოფობისა და მემკვიდრეობაზე ატეხილი ერთი დავის ამბები. მიუხედავად ამისა, სულაც არ მომწყენია, ყურადღებით არც ვუსმენდი მის მონათხრობს. მისი ცქერით ვტკბებოდი. საათზე დახედვაც დამავიწყდა და ისიც, რომ ველოდებოდი ადამიანს, ვისზედაც დამოკიდებული იყო ჩემი მომავალი.

მოხუცებთან ერთად ვჭამე საუმელი. კარტოფილზე აღარ ვღელავდი, რადგან ვიცოდი, დე მოლი და მისი ცოლი ამ ამბავს იუმორისტულად შეხვდნენ, მოხარშული კარტოფილი უფრო უკეთესი ჩანდა. ფლორი მოვიდა, როცა მე და დედილო ჭურჭელს ვრეცხავდით; დედილომ ჭურჭლის ჭრელი ტილო გამომართვა და მე და ფლორი ყვავილებიან და იადონიან ოთახში გაგვყარა.

ფლორს გულღია, ჭორფლიანი სახე ჰქონდა, თავისი მონაცრისფრო, ცისფერი თვალებით შემომყურებდა, მე უხმოდ ვიჯექი მის პირდაპირ და ჩემს თავს ვეკითხებოდი, როგორ გამენდო მისთვის ჩემი ფიქრები.

— სიძნელეებია? — მკითხა მან დიდი ხნის სიჩუმის მერე, რომელსაც არღვევდა ყვითელი ჩიტუნიას დაბალ ხმაზე რაკრაკი, როგორც ზამთარში იციან ხოლმე.

— არის რაღაც-რაღაცეები, — ვუპასუხე მე. — ოღონდ არ ვიცი, როგორ აგიხსნა.

— თავიდან დაიწყე, — მირჩია მან.

და მე დავიწყე. იგი ყურს მიგდებდა, ვუყვებოდი ჰარლემში ჩემი წარუმატებლობის ამბებს და დროდადრო თავს მიქნევდა: რა თქმა უნდა, მან უკვე ყველაფერი იცოდა. არ შევუჩერებივარ, როცა ფრანსისა და ჩვენი ჯგუფის მუშაობის მიჩუმების შესახებ მკვახედ ველაპარაკებოდი. მხოლოდ ერთი-ორჯერ წარბები ასწია და ჭორფლიანი შუბლი მოეღუშა.

ლაპარაკი დავამთავრე და ჩუმად ვიყურებოდი ფანჯრიდან, საიდანაც მეზობელი სახლის მოწითალო-რუხი კედლის მეტი არაფერი ჩანდა.

— აბა... რა ვქნათ? — მკითხა ბოლოს ფლორმა. — მეტს არაფერს იტყვი? მხოლოდ ფრანსზე საჩივრებია, და მეტი არაფერი?

თავი გავიქნიე:

— არა, არა, მაგრამ ასე აღარ შემიძლია, ფლორო. არ შემიძლია ვიცოცხლო და შორიდან ვუყურო, ჩემ გარშემო ბანდიტები როგორ მშვიდად სჩადიან ბოროტმოქმედებას!

— ეს ყველა ჩვენთაგანს აშფოთებს, — ფრთხილად აღნიშნა მან.

ვგრძნობდი, რომ საცაა შემიპყრობდა ჩემთვის ჩვეული მორიდება, და ერთბაშად წამოვისროლე:

— ჰუგომ იცის, რაც უნდა, და თავის მოვალეობას ასრულებს როგორც ესმის! — იგი არ დაუშვებდა მუშაობის მიყუჩებას!

ფლორმა ხელი მოისვა უხეშ ლოყაზე.

— ასე გგონია? — მკითხა მან აღმაშფოთებელი სიფრთხილით.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე. — კარგად მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ ჩვენ შტაბში მტრების ლიკვიდაციის მორიგ დავალებებზე. ჰუგო წამდაუწუმ გაქრება ხოლმე თითო-ოროლა კვირით. დღევანდლამდე არავისთან მილაპარაკია ამის შესახებ. ფლორო, ხომ არ გგონია, რომ თავი ჩალითა მაქვს გამოტენილი.

— უჭკუოს არ გევხარ, — შერბილებულად მიპასუხა ფლორმა. გულკეთილი ღიმილი აღარ ემჩნეოდა სახეზე. მეც აღარ მიყურებდა. თავის დიდ ხელისგულს პლუშის სუფრას უსვამდა, ჟრუანტელმა დამიარა, მერე შევეკითხე.

— განა ვცდები, ფლორო? იქნებ, ჰუგო აქ, ამ რაიონში სჩადის გმირობას, რასაც ჩვენ ვერც კი ვგებულობთ. იგი მონაწილეობდა, ელექტროსადგურს რომ დავესხით თავს. ახალწლის ღამით ამსტერდამში ციხიდან იან პ.—ს განთავისუფლება რომ ვცადეთ, იქაც ერია. ეშმაკმა იცის, რამდენი მიღწევები აქვს! მხოლოდ შენ შეგიძლია მიამბო ყველაფერი.

— ვთქვათ, რომ ასეა, — დამეთანხმა ფლორი — შენ რა გინდა ჩემგან?

— ჰუგოსთან უნდა გამგზავნო, ფლორო, — ვუთხარი მე. — მე ვიცი, სადაცაა ის. მინდა ვიმუშაო მასთან ან მისი ხელმძღვანელობით. სროლა მინდა. მინდა მოვსპო ობი, რომელიც ჩვენს ხალხს არცხვენს. მხედველობაში იქონიე, გერმანელები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მაინტერესებს. როცა ჩვენ შორის ვხედავ გამცემ-

ლებსა და არამზადა-შემკრებებს, სასოწარკვეთილება მიპყრობს. მით უმეტეს, როცა ესენი ჰოლანდიელები არიან! ისინი ჯალათებს ხელში უგდებენ პატიოსან პატრიოტებს და უდანაშაულო მოქალაქეებს. ასეთ ხალხს სიცოცხლის უფლება არა აქვთ. იცი, რა წავიკითხე მაქსიმ გორკის ნაწარმოებში: „ჩემი აზრით, ტიფის ტილიც კი თავს შეურაცხყოფილად ჩასთვლიდა, გამცემისათვის რომ შეედარებინათო“, მინდა გავაკეთო ის, რასაც ჰუგო აკეთებს: აღვგაკო პირისაგან მიწისა ეს სიბილწე.

ფლორმა სიცილი დაიწყო. სახე ლმობიერი გაუხდა — არასოდეს არ მინახავს ფლორი ასეთი.

— ეს უკვე ნამდვილი სიტყვაა, ხანა! — თქვა მან ბოლოს. — შენ ყველას დაჯერება შეგიძლია, ღმერთმანი!..

მან ერთხელ კიდევ მსიარულად ჩაიფრუტუნა.

— უნდა გამოგიტყდე, შენ კარგად მოიფიქრე ჰუგოზე. მართლა, შემიძლია ზოგი რამ გიამბო ჰუგოს შესახებ: ამ დღეებში ფელზენის ბორანთან ახლოს ავაზაკს ველოდით. ერთ-ერთ იმათგანს, რომლებიც აქ, მეზობლად პარპაშებენ, — უბოროტეს ჯალათს, რომელიც ებრაელებს გაუსწორდა...

— ...ჰო, ვიცი, პაარდმანსი. ის ვაჟბატონი, რომელიც უძაღლოდ არსად დადის, განა ჰუგოც იქ იყო?

ფლორმა თავი დამიქნია. მერე აჩქარებით მიამბო, თითქოს თვითონაც გაიტაცა ახლახან მომხდარი ამბის გახსენებამ.

— ჩვენ ვიყავით — ჰუგო, მე და კიდევ ერთი კაცი, რომელსაც შენ არ იცნობ, — ავტომობილით ვიდექით მოსახვევში. ესესელების მუნდირები გვეცვა. იქნებ ის ფორმები იყო, რომლებიც თქვენმა ჯგუფმა გამოიყენა ახალწლის ღამეს ამსტერდამში. ჰუგომ ბრწყინვალედ ისროლა. ხრეეტემ შეგვატყობინა, როცა პაარდმანსი ბორნით გადმოვიდა. იგი იქ იდგა, თითქმის ერთი საათი იცდიდა. მერეც იდგა ქუჩაში. სანამ არამზადა არ ჩაძაღლდა, მერე მოვიდა აქ, რომ ეს ახალი ამბავი შეეტყობინებინა ჩვენთვის.

— ხრეეტე? — შევეკითხე მე.

— ხომ იცნობ ხრეეტეს! — მითხრა მან. — შენ ხომ ყოველკვირა მასთან ერთად ბეჭდავდი გაზეთს.

თვალწინ წარმომიდგა ლოყაწითელი მხიარული ქალიშვილი, რომელთან ერთად როტატორთან არაერთი ღამე გამიტარებია... რამდენს ვლაპარაკობდით! და სწორედ ის ამოირჩიეს შურისძიების აქტში მონაწილეობისათვის, იმ დროს, როცა მე, დალახვროს ეშმაკმა, ბრაზისაგან გულზე ვსკდებოდი, რომ ფრანსი „სათადარიგოდ“ შინახავდა!

— მშურს მისი, ფლორო, — ისე გულფიცხად ვუთხარი, რომ მან ისევ გაიცინა. ფლორს აღარ დაუმთავრებია პაარდემანსის ამბავი და არც სხვა ამბავი უთქვამს. ჩემი განცდები არ გამოპარვია მხედველობიდან. ჭეშმარიტად არ მყოფნიდა მოთმინება, რომ მალე შეევდგომოდი ნამდვილ საქმეს.

— დამეხმარე, ფლორო, — ვუთხარი მას.

მისი ახალგაზრდული სახის გამომეტყველება ისევ სერიოზული გახდა.

— არ ვიცი, რას იტყვის ამაზე ფრანსი და ჰუგოც როგორ განსჯის ამ ამბავს... — თქვა მან ფრთხილად, ჩემი არაჩვეულებრივი თხოვნის საწინააღმდეგოდ; იქნებ მას ეს ამბავი ერთგვარი დისციპლინის დარღვევა ეგონა. — მაგრამ მე შენი კარგად მესმის... გულახდილად რომ ვთქვა, რაღაც ამის მაგვარი შემინიშნავს ბიჭებისათვის... მათ უქმად ჯდომა არ შეუძლიათ.

— მე კი მხოლოდ ქალი ვარ, — წამოვიყვირე გაცეცხლებულმა. — ბრეტყელებიანი და ნისკარტიანი გარპია, არა? მაშ ასე, მე დავიბადე ქალაქში, სადაც კენაუ[1] ცხოვრობდა. მან კარგად იცოდა, რატომ უნდა მოეწვა ესპანელებისათვის მდუღარე ერბოთი სიფათი, რაც გინდა იფიქრე ჩემზე. — ჩემთვის სულერთია. ოღონდ დამეხმარე!

ფლორი დაბნეულად და დარცხვენილად მიყურებდა, ჩემი აფეთქებით შეწუხებული; იგი მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა საშინლად შეურაცხმყვეს. ვიცოდი, რომ მას ეს თავისდაუნებურად მოუვიდა, მაგრამ გული მწყდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ისიც კი, რომელმაც ერთხელ მითხრა, თითქოს მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მონაწილეობს წინაღმდეგობაში — ქალი თუ კაცი, — გუნებაში ძველ შეხედულებებს უჭერდა მხარს.

— მომისმინე, ხანა, — უცებ მტკიცედ მითხრა ფლორომ. — შენ მოითხოვ რადიკალური ზომების მიღებას და გინდა, რომ ეს მე გავაკეთო. ლაყბობა მამაკაცსა თუ ქალზე, გარპიასა, და ღმერთმა იცის — კიდევ რაზე, აქ არაფერ შუაშია. მე შენ კარგად გიცნობ. ჰო, და გაგგზავნი ჰუგოსთან. მორჩა! მერე კი შენ თვითონ იბრძოლე და მიაღწიე შენსას.

კინაღამ გადავეხვიე, იგი იდგა ჩემ წინ მოჩვენებითი მკაცრი გამომეტყველებით, ისევ მოვლბი, და მის მიმართ უდიდესი სიმპა-

---

[1] კენაუ, სიმონს ხასელაარი (1526—1588) — იმ ქალაქელ ქალთა მეთაური ქალი, რომლებიც 1572—1573 წლებში გმირულად იცავდნენ ესპანელების მიერ გარემოცულ ქალაქ ჰარლემს.

თია ვიგრძენი. მან სწრაფად დახედა თავის საათს, თითქოს უნდოდა თავი დაეღწია გრძნობების გამომჟღავნებისათვის, რომელსაც, როგორც ჩანდა, ელოდა ჩემგან მისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

— სამი საათია, — თქვა მან. — დრო გაქვს ახლა?

— კი, —. ვუპასუხე მე და თან მოუთმენლობის კანკალს ვიკავებდი.

— კარგი, — მითხრა მან. — ჩვენ ერთი საათი მოგვიხდება ველოსიპედით სიარული, ქარის საპირისპიროდ. მაგრამ მაინც მივუსწრებთ ჰუგოს.

— ყოველთვის ქარის საპირისპიროდ მიხდება სიარული, — აღვნიშნე მე. — თითქოს დიდი ხანი არაა, რაც მივეჩვიე — ზუსტად მას შემდეგ, როცა პირველად მივაწვდინე ფეხი სატერფულს...

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა მან. — შენ ადამიანი კი არა, ნამდვილი დინამომანქანა ხარ, — იმდენი ენერგია გაქვს!

ალბათ, ქალისთვის ნაკლებად საქებარია, როცა მას ადარებენ მანქანას, ვიდრე ქსანტიპას. მაგრამ ამჯერად მანქანასთან შედარება შეურაცხყოფად არ მიმიღია. გავიცინე და ოთახიდან გავვარდი. დე მოლი სადღაც წასულიყო. მშვიდობა დავუბარე მის ცოლს, რომელიც გულში ჩავიკარი და ორივე ლოყა დავუკოცნე. ფლორი ქურთუკს იხურავდა და თან მამაკაცური სულელური ღიმილით შემოგვყურებდა.

ნიგნი მესამე

ეარეთლელების ბუნება

ᲙᲐᲪᲘ ᲗᲘᲕᲐᲨᲘ

ველოსიპედით მივდიოდით ჩრდილო-დასავლეთით მიმავალ სოფლის შარაგზაზე. მიმართულებაში დაეჭვება არ შეიძლებოდა, ჰოლანდიისათვის დამახასიათებელი ქარის მიხედვით ვხედებოდი, თუმცა ჰოლანდიაში ქარი ყოველთვის სახეში გცემს. ჩვენგან მარჯვნივ, მდინარე ზაანის გასწვრივ, ცის ფონზე მკვეთრად გამოსახული დასახლებები გაჭიმულიყო, ეიტხესტის ახლოს, მარცხნივ, რკინიგზის ხაზი გამოჩნდა. დიდი ხანია, რაც აქ არ ვყოფილვარ. მხოლოდ ცალკეულ ველოსიპედის გზებს ვცნობდი, სამაგიეროდ ფლორი შეუდარებლად იკვლევდა გზას სოფლის განცალკევებულ და დაკლაკნილ შარავზებზე. მეგონა, სადღაც კასტრიკუმის ახლოს ვიმყოფებოდით. თბილ, მზიან ჰაერში — ზამთრის მიწურული იყო — ჩამოცვენილი მუხის ფოთლებისა და ფიჭვის წიწვის სასიამოვნო არომატი იგრძნობოდა. კურდღლების პატარა ნაკვალევები უშენი ადგილებისა და სილახვავებისაკენ მიემართებოდა. სახლები ცოტა იყო. მთელ ამ გზაზე არც ერთ გერმანელს არ შევხვედრივართ. ფლორს შევეკითხე, არიან თუ არა-მეთქი ისინი საერთოდ ამ მხარეში.

— სად არ არიან ისინი? — წაიბუზღუნა მან. აქ, კენემერის რაიონში გერმან გერინგის დივიზიის ავაზაკები არიან განლაგებული. ფხიზლად იყავი, მართალია, მაინცდამაინც არ უყვართ ეს ბილიკები.

— ისინი პარტიზანების ბილიკებს გვანან. აქ მოსახერხებელი იქნება დამალვა, — ვუპასუხე მე.

ფლორმა ალმაცერად გადმომხედა და არაფერი უპასუხია.

სილახვავების განშტოებებმა ისევ უკან დაიხიეს. თხმელისა და არყის ხეებს შორის, ჩვენ თვალწინ მებოსტნეობის პატარა მეურნეობა გადაიშალა, ერთ-ერთი საუკეთესო და გულმოდგინედ დამუშავებული ფასდაუდებელი მიწის ნაკვეთთაგანი. შორეული სათბურების მინებზე ოდნავ ირეკლებოდა მზე; მინდვრის ცალკეული კვად-

რატები ჭადრაკის დაფასავით მოჩანდა. პატარა ტყეში გადავუხვიეთ. ხეთა ხშირი ტოტები ისე გადახლართულიყვნენ ერთმანეთში, რომ ზაფხულობით ისინი, ალბათ, კარავივით გადაეფარებოდა ადამიანს თავზე. გამოჩნდა ვიწრო და უბრალო ტერასიანი, დაბალი, თეთრი ბათქაშით შელესილი სახლი, რომლის კარებში წითელი და ლურჯი მინები ბრწყინავდნენ; ხოლო სახლს იქით, დაბალი, მოყავისფრო გაფისული ძელებისგან ნაშენი, ასახდელფანჯრებიანი ფარდული მოჩანდა; იქ, ალბათ, მოთავსებული იყო საკუჭნაო ქათმებისათვის და თაროები ყვავილების ბოლქვების გასაშრობად. ყოველივე ამას ისეთი მშვიდი და უცოდველი სახე ჰქონდა, თითქოს არ იყო ომი, ყოველდღიური მკვლელობები და ომიანობის დროინდელი ათასნაირი უბედურება.

ჩემდა უნებურად ჩამოვხტი ველოსიპედიდან. ფლოორმაც ფეხით დაამუხრუჭა ველოსიპედი, ნელა ჩამოხტა, გვერდით დამიდგა და ჩვენ თვალწინ გადაშლილ ჰოლანდიის მიწის ნაკვეთს მიაჩერდა. ისეთი გრძნობა ამეკვიატა, თითქოს ალკმარის ტბასა, რომელიც ბუჩქებს იქით მოსჩანდა, და სილახვავებს შორის მოთავსებული კუთხე მთელი ჰოლანდიის განსახიერება იყო. ფლოორს შევხედე; მივხვდი, რომ აქ უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, რომელიც ჩვენ გვჭირდებოდა.

— აქ დაგიცადო? — ვკითხე მას.

მან ხელმკლავი გამიკეთა.

— არა, არა, ერთად წავიდეთ. მოულოდნელად დავესხათ თავს... თუ აქ არის.

უდარდელად და აუჩქარებლად გავემართეთ სახლისაკენ, საიდანაც რაღაც უცნაური ხის კაკუნი და ჭრაჭუნი მოისმოდა. ჩემთვის ნაცნობი იყო ეს ხმები, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვიგონე, რისი ხმა იყო.

— რა არის ეს? — ვკითხე ფლოორს.

— ვერ მიხვდი? ეს ხომ ხის ცხენია! — მითხრა ფლოორმა და გაიცინა. მან სამზარეულოში შემიყვანა. ქვის ერთი კედლის გასწვრივ იდგა ხის მთლიანი კარადა, რომელშიც ჭის სპილენძის მილსადენი იყო ჩატანებული. დიდ, მრგვალ სამზარეულო მაგიდაზე იდო ჩანგლებისა და კოვზების კალათა. ხოლო მაგიდის ახლოს ხის ცხენზე ამხედრებული ორი წლის ბიჭუნა მთელი ძალ-ღონით ქანაობდა, როგორც კი შეგვნიშნა, ქანაობა შეწყვიტა და თვალები მომაშტერა. ფლოორი მასთან მივიდა და დაიჩოქა.

— ჰეი, ხეის! შეხედე, როგორი დეიდა მოგიყვანე! მიცანი?

ხეისმა ოდნავ დაუქნია თავი. ფუნთუშა ლოყებში ჩაფლული პირი თითქმის არ უჩანდა.

— ვინ ვარ მე?

— თეთრი, — უპასუხა ხეისმა.

ფლოორს ხმამაღლა გაეცინა. მას ბავშვის ხელი ეჭირა ხელში, რომელიც ახლა უფრო უზარმაზარი ჩანდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ხეის, — თქვა მან. — ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ. დედიკო სად არის?

ბავშვთან მივედი და მეც ხელი გავუწოდე. იგი ისევ დამაშტერდა, არც კი შერხეულა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, — მე ხომ ბავშვებს შეჩვეული არ ვიყავი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ისინი თავიანთ განსაკუთრებულ სამყაროში ცხოვრობენ, რომელსაც ერთავითარი კავშირი არა აქვს მოზრდილთა სამყაროსთან-მეთქი, ფლოორს კი, როგორც ჩანდა, სულაც არ უჭირდა ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა. — სად არის დედიკო? — გაიმეორა მან.

პასუხი არ მიუღია, მაგრამ სახლიდან ფეხის ხმა გვიახლოვდებოდა. კარი გაიღო. ფლოორი უკვე მთემზადა სამხედრო სალამი მიეცა დიასახლისისათვის: საშუალო სიმაღლის, ჯანმრთელი, წითელლოყება, ოცდაათიოდე წლის ქერათმიანი ქალი — სწორედ ასეთებად წარმოუდგენიათ ხოლმე ჰოლანდიელი გლეხის ქალი. ვიდრე ვინმე რამეს იტყოდა, მისი მომწვანო-ყავისფერი თვალები გამომცდელად მომაჩერდა სახეში, თითქოს უნდოდა უცებ გამოეცნო, როგორი ადამიანი ვიყავი. ერთმანეთს მივჩერებოდით. ტუჩებთან და უნდობ თვალებთან ნაოჭები გაუჩნდა. ფლოორმა მხიარულად უთხრა:

— მოხარული ვარ, რომ ჯანმრთელს გხედავ, კარლინ... როგორ არის იანის საქმეები? მე, როგორც ყოველთვის, პირქარმა გადმომისროლა. მოვედი ქალიშვილთან ერთად, რომელსაც ძალიან უნდა ჩვენ მეგობართან შეხვედრა. თუ აქ არის...

გლეხის ქალმა, მებოსტნის ცოლმა, როგორც იქნა, გამომიწოდა ხელი. საჭირო იყო თუ არა, ჩემი სახელი მეთქვა? თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც უკვე ნათქვამი იყო მისი სახელი. მეშინოდა მეტისმეტი თავისუფლება ანდა გულჩათხრობილობა არ გამომეჩინა. რამდენადაც შემეძლო, გულთბილად ჩავიბურტყუნე რაღაც. ხეისი ყურადღებით შემოგვყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს.

— ჩვენი მეგობარი... დიახ, ის აქ არის, — თქვა კარლინმა.

რაკი ფლოორი ჩემთან ერთად ამ საქმისთვის იყო მოსული, იგი დამშვიდდა.

— თვითონ წადი მასთან, ფლოორ, შესაძლოა, მიგიღოს...

კარლინის თვალებში მსუბუქი იუმორი ბრწყინავდა. ფლორს გაეცინა, გამეცინა მეც, მხოლოდ უფრო თავშეკავებულად. ფლორი დაიხარა და ხელი გადაუსვა ხეისის ოქროსფერ, გაწეწილ თმას. როცა სამზარეულოდან გამოვდიოდით, კარლინს თავი დავუკარი და შევამჩნიე, რომ გაკვირვებული გვიყურებდა. როგორც კი მე და ფლორი სახლიდან გამოვედით, საქანელის ჭრაჭუნი განახლდა. ფლორმა ეზო გადაჭრა და მორებისაგან ლამაზად აგებულ ფარდულისაკენ გასწია. მეც უკან მივყვებოდი. ფარდულში შევედით, სადაც ადამიანზე ოდნავ მაღლა იყო კოჭები გადებული და სხვადასხვანაირი სუნი ირეოდა; აქ იდგა ქათმის სუნი, რომლებიც უმოძრაოდ ისხდნენ მავთულის ბადის იქით; იგრძნობოდა, კარბოლინიუმის[1], ახალი ყავრისა და თივის სუნი. ფარდული რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი. ფლორმა გამოხურა შესასვლელი კარები და პირდაპირ მეორე კარს მიაშურა. კვადრატულად შემოკავებულ სათავსში აღმოვჩნდით. კოჭებზე რუხი ბარდისა და ლობიოს კონები ეკიდა. იატაკზე სქელ ფენად — არანაკლებ ნახევარი მეტრისა — თივა ეყარა, აქ იდგა აშმორებული ჰაერი, სამარისებური სიჩუმე და რაღაცნაირი მხუთვარება, მაგრამ არცთუ მაინცდამაინც უსიამოვნო.

— გამოდი მეგობარო, — თქვა ფლორმა არაბუნებრივი ბანით, — გაბმული ხარ.

ეს იყო საზიზღარი ხუმრობა, იმის მაგვარი, როგორითაც ჩემ ამხანაგ მამაკაცებს უყვარდათ ერთმანეთის გამასპინძლება. საშიშროება ხომ გამუდმებულ ნერვიულ დაძაბულობას იწვევს, და დროდადრო განმუხტვაა საჭირო. მოთმენაც არ შემეძლო ამგვარი „გართობების" — როგორც ამას ჩემი ამხანაგები უწოდებდნენ, — მას შემდეგ, რაც ფრანსმა „ესპანური მუხების" მამულში ოცი მომიწყო ჯგუფში შესვლის წინ. თვალის დახამხამებაში აშრიალდა თივა, საიდანაც გამოჩნდა ხელი, რომელმაც „რემინგტონის" ძაღის უბრალო-ზარი რევოლვერი პირდაპირ ფლორს დაუმიზნა. მგონი, ფლორი ერთი წუთით მაგრად შეშინდა და მე გავიფიქრე, რომ ახიც იყო მასზე. მაგრამ მას იმ წუთშივე სიცილი წასკდა.

— ეს ნივთი საეჭვოა, რომ გატენილი იყოს. საბრძოლო მასალა ორ თვეზე მეტია, რაც აქ არ გამოგზავნილა!

შევამჩნიე, როგორ სწრაფად შეირხა თივა, წუთიც და ჰუგომ თივის ნაფშვნეტით დაფარული მოოქროსფრო-წაბლისფერი თაკი ამოყო. ამ წუთში არაჩვეულებრივად ლურჯი და მკაცრი მისი ცისფერი თვალების გამოხედვა მაშინვე ჩემზე შეჩერდა. მომეჩვენა,

---

1 ლპობისაგან ხეების დასაცავი საშუალება.

რომ იგი უცებ გაფითრდა, მაგრამ კარგად ვერ დავინახე — ასაწევი ჩარჩო ძლიერ მაღლა იყო ჩადგმული.

— ჰუგო! — ვთქვი მე.

ჰუგოს ცისფერი თვალები გაკვირვებით მიაშტერდა ფლორორს, შეცბუნებულმა ფლორორმა პირზე ხელი აიფარა. მე კი უფრო მეტად შეცბუნებული ვიცდიდი. ჰუგომ მრისხანედ შემომხედა. როგორც ჩანდა, გულით უნდოდა ჩემი ჯანდაბაში გაგზავნა.

— გამარჯობა, — აუჩქარებლად უთხრა ფლორორმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ჰუგომ და თივიდან ამოძვრა.

ყველანი ვდუმდით, სანამ ჰუგომ თივა და ნაფშვნეტი არ ჩამოიბერტყა. იგი გვიყურებდა და, როგორც იქნა, გვკითხა:

— რაშია საქმე?

ფლორორმა ჩაახველა. — ახალი ამბებია, ჰუგო... სამხედრო ტყვეები სხვა ადგილზე გადაიყვანეს.

ჰუგომ ცალი წარბი ასწია და აგდებულად თქვა:

— ეს ამბავი უკვე გასულ კვირას შევიტყვე.

მან ფლორორი გვერდზე გასწია და ფარდულიდან გავიდა. ფლორორმა ჰუგო წინ გაუშვა და მანიშნა უკან გავყოლოდი. თავს ძალიან უბედურად ვგრძნობდი და ვნანობდი, რომ ფლორორს დახმარება ვთხოვე. როცა ეზოში გამოვედით, გაბრაზებულმა ქვას ფეხი წავკარი, რომელიც, რაღაც ეშმაკად ჰუგოს მოხვდა ფეხზე. შევნიშნე, რომ მას ისევ სპორტული ფეხსაცმელები ეცვა. იგი იმ წამსვე შემობრუნდა და მრისხანედ მკითხა:

— ეს კიდევ რაღა სულელური საქციელია!

— ბოდიშს ვიხდი, ეს მე...

ჰუგო ჩემკენ წამოვიდა. ფლორორმაც წინ გადმოდგა ნაბიჯი. ჰუგო შეჩერდა. არაფერი გამეგებოდა. თითქოს ჩემ წინ სხვა ჰუგო იდგა. სწრაფად მივირბინე მასთან და თავიდან ფეხებამდე შევათვალიერე. უკვე აღარ მეშინოდა ამ მამაცი პარტიზანისა, და სურვილი აღმეძრა, არაფრით ვუოფილიყავი ნაკლები ამ სახალხო შურისმგებელზე, რომელმაც ანგარიში გაუსწორა პაარდმანსსა და ხალხის სხვა მტრებს. გარდა ამისა, მეც მქონდა საკუთარი ღირსების გრძნობა.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ არ შემიძლია ასე გულხელდაკრეფილი ვიჯდე ჰარლემში! — წამოვიძახე მე. — არც ერთ ჩვენ მოქმედებას გასაქანი არა აქვს: ერთი ჯავრობს, მეორე გედავება, მესამე ოცნებობს გერმანელთა მატარებლების აფეთქებაზე და ამასობაში არაფერი არ კეთდება! მე საქმე მწყურია, ჰუგო! და ისე მოვაბეზრე თავი ფლორორს, რომ ბოლოს დამთანხმდა შენთან მოვეყვანე!..

ჰუგომაც თავით ფეხამდე შემათვალიერა, თითქოს ცეცხლი მომედო, და უფრო და უფრო მეტად გავბრაზდი.

— ისე ღრიალებ, — თქვა მან, — რომ ამ ოლქის ყოველ გერმანელს ან მის დამქაშს შეუძლია ყური მოჰკრას შენ ხმას...

ფრაზის ბოლოში მან მთელი ქალთა სქესის შეურაცხმყოფელი სიტყვა გადაყლაპა, მე ამაში მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული.

„ესეც!"... გავიფიქრე მე. ხელში ჩავაფრინდი და ნჯღრევა დავუწყე.

— თავდაჯერებული ვირი ხარ, — ავპილპილდი და ვიგრძენი, რომ ცრემლები უნდა წამსკდომოდა, — როგორ გგონია, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია სროლა? მთელ ქვეყანაზე მარტო შენ შეგიძლია რევოლვერი გეჭიროს ხელში, ასეა არა? მაშ, კარგად მომისმინე, უზრდელო: მე აქ მოვედი არა იმიტომ, რომ გეხვეწო, არამედ იმიტომ, რომ რაღაც შემოგთავაზო! დახმარება მსურს შემოგთავაზო და შენ შეგიძლია მიპასუხო „ჰო" ან „არა". თუ თანახმა ხარ, მზად ვარ ყველაფერი შევასრულო, რასაც მიბრძანებ. თუ არადა, სხვა ხელმძღვანელს დავუწყებ ძებნას. იცოდე, არ დაგიჩოქებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მედიდური ხარ! მინდა ვიბრძოლო შენთან ერთად თანაბარი უფლებებით, ისე, როგორც შენი ამხანაგი!

ორივენი თითქმის მტრულად შევცქეროდით ერთმანეთს. შევამჩნიე, რომ ჰუგოს სახე შეეცვალა, გაწითლდა და შეცბა. ზურგს უკან რაღაც სლუკუნი და ჩახშობილი სიცილის ხმა შემომესმა. მოვიხედე: ფლოორი ქვიშიან მიწაზე გორავდა, ხელები გვერდებზე შემოეჭირა, იცინოდა და ფეხებს იქნევდა. თითქოს აღარ შეეძლო ჩვენი აყალმაყალის მოსმენა. ჰუგოს მივშტერებოდი. მისი ტუჩები ოდნავ შეირხა. ისიც. ალბათ, მზად იყო გასცინებოდა. მაგრამ ვხედავდი, რომ ჩემი მკვახე და სამართლიანი სიტყვები გულში მოხვდა. ხოლო მისი გული არცთუ სავსებით ჩვეულებრივი იყო. ეს იყო კომუნისტის გული, და მივხვდი, რაც ხდებოდა მასში, როგორ ებრძოდა ჰუგო მოზღვავებულ გრძნობებს.

— ხანა!... — მითხრა მან და სწრაფად გაქრა მისი სიმკაცრე, სიმტკიცე და მედიდურობა: — უნდა დამეთანხმო, რომ შენი თავდასხმა ჩემთვის მოულოდნელი იყო!

— ეს ჯგუფში ვისწავლე, — მოვუჭერი მე.

მას თითქოს ჩემთვის თვალში შემოხედვა უჭირდა, ხოლო თვითონ მე, ვაღიარებ, რომ ჩემი შეუპოვარი გამოსვლის შემდეგ, მზად ვიყავი ასაქვითინებლად, მაგრამ თავი შევიკავე — ვიცოდი, რომ ამით ყველაფერს წყალში ჩავყრიდი.

ჰუგო განზე იყურებოდა. ვხედავდი მხოლოდ მის პროფილს,

ენერგიულ, ლამაზსა და მოკუმულ პირს და მაღალ, მზემოკიდებულ შუბლს. დალახვროს ეშმაკმა, ძლიერ მიმზიდველია, როგორც მამაკაცი, გავიფიქრე მე. აი, ის დგას და ფიქრობს... ფლორი ისევ მიწაზე იჯდა: გულიანი სიცილის შემდეგ ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს კარლინიც სახლის ზღურბლზე იდგა და ყურადღებით მოგვჩერებოდა, მიბრუნება ვერ გავბედე.

ბოლოს ჰუგომ ჩაახველა და როგორღაც გაჭიანურებულად თქვა:

— ჰმ, ხედავ, ხანა... სულაც არ მითქვამს, რომ ცუდად ისვრი. მე ხომ ამის შესახებ არაფერი ვიცი.

მისი ნაღვლიანი სახე ფლორს დახმარებას სთხოვდა, მას კი მუხლებზე ხელები შემოეჭდო და მხიარულად გვითვალთვალებდა.

— ყოველ შემთხვევაში, ჰუგო, უარი არ უთხრა, დაე მოსინჯოს, — თქვა ფლორმა, ძალიან სერიოზული ტონით, რის მიღმაც ოდნავი დაცინვა იგრძნობოდა. ჰუგომ ღრმად ამოიოხრა. მერე ხელმეორედ შემომხედა. ღმერთმა იცის, რა გამოიხატებოდა ამ ცისფერ თვალებში: დაეჭვება, სიმპათია, მოწყენილობა, თავშეუკავებლობა... მაგრამ უკვე ვხედავდი, რომ სასურველი პასუხი იქნებოდა.

— კარგი... — თქვა მან. — მართალი ხარ... უსაქმობა — სიკვდილია. ჰოლანდიას ცდა აღარ შეუძლია.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თანაშემწედ უნდა ამიყვანო? — შევეკითხე მე.

მან პირქუშად დამიქნია თავი.

— რა თქმა უნდა, იგულისხმება... და ჩვენ ერთად დავამუშავებთ გეგმებს, თუ რა უნდა გავაკეთოთ, როცა ეს წყეული ბობრი ჯაშუში (მან თავი გაბრაზებით გაიქნია ფლორისაკენ) მოშორდება აქაურობას...

ფლორი უკვე ფეხზე იდგა. ისინი ისე იდგნენ პირისპირ, თითქოს მზად იყვნენ ერთმანეთს დაძგერებოდნენ. ახლა კი დადგა ჩემი სიცილის ჯერი. მაღალი, ჯან-ღონით სავსე, გულკეთილი ფლორი, პატარა, ლამაზ და ბრაზისაგან გაცეცხლებულ ჰუგოს წინააღმდეგ... ეს სურათი ზუსტად კომიკური ფილმის კადრი იყო.

— შენ თქვი „ჯაშუშიო“, ხომ? — მუქარით შესძახა ფლორმა და მუშტები ურეოებივით ასწია.

მე ვთქვი: „წყეული ბობრი ჯაშუში“, — გამოსაჯავრებლად, მკაფიოდ გამოთქვა ჰუგომ და ნაბიჯი წინ გადადგა.

ვხედავდი, რომ ორივე ჩემსავით ტკბებოდა ამ კომედიით, მაგრამ კარლინმა, როგორც ჩანდა, მართლა იფიქრა, ისინი, სადაც არის,

ერთმანეთს დაეტაკებიანო, სახლიდან სირბილით წამოვიდა და მამაკაცებს შორის ჩადგა. მერე ისე შემომხედა, თითქოს მე ვიყავი ამ მოჩვენებითი უთანხმოების მიზეზი.

— თქვენებურად ამას ქვია მეგობრობა?! — წამოიძახა მან, თან თვალს არ მაშორებდა. — ყოჩაღ თქვენ! წადით ტყეში და თუნდაც დახოცეთ ერთმანეთი, წვინტლიანებო!

ფლორორი და ჰუგო კარლინს დააშტერდნენ. სიცილი წამსკდა. პირზე ხელი ავიფარე. სათბურებსა და ხუჭუჭა თავებიან კომბოსტოებს ჩავურბინე, ნაკელის მაღალ გროვას ამოვეფარე და გადავიხარხარე.

როცა ბოლოს და ბოლოს ვიგრძენი, რომ ხალხში გამოჩენა შეიძლო, ფლორორი და ჰუგო, როგორც უახლოესი მეგობრები, ტერასის ქვემოთ მერხზე ჩამომსხდარიყვნენ და თამბაქოს ახვევდნენ. სახლიდან პატარა ხეისის ცხენის მხიარული ჭრიჭინი ისმოდა. ღმერთმა იცის, რას ფიქრობდა ჩემზე კარლინი.

„ძალლი მოკვდა“

დღის ბოლოს, როცა ფლორორი ალკმარის მიმართულებით წავიდა, ჰუგომ მე გამომაცილა; შინ დაბრუნება ბევერვეიკის ბორანით და მარკეტზე გავლით მინდოდა. ჰუგო უფრო მეტად დუმდა, ხმელ ბალახს კვნეტდა და თითქოს რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა. ბოლოს მან ხელი დაადო ჩემ ველოსიპედის სახელურს.

— კარგად მომისმინე, ხანა... ვიმედოვნებ, რომ არ ავჩქარებულვარ, როცა შენი შეამხანაგება გადავწყვიტე, თუ შეიძლება ასე ითქვას... მაგრამ ამ გზაზე უამრავი უსიამოვნო ამბები გვხვდება... რომლებზედაც საკმაოდ გვიხდება თავისტეხა... მართალია თუ გინდა, ძალიან ცოტა რამ ვიცი შენ შესახებ... მშობლებთან ცხოვრობ?

თავი დავუქნიე. მან ჩემ ველოსიპედს ხელი შეუშვა და ამოიოხრა.

— ჰოო! — თქვა მან. — ესეც ერთი დაბრკოლებათაგანი. ხედავ, რაც მე და შენ გვინდა ჩავიდინოთ, გერმანელები ნამდვილ ტერორად ჩათვლიან. ხოლო ისინი ულმობელები არიან ყველაფრისადმი, რაც ტერორისტებთან არის დაკავშირებული: მათი სახლის, მშობლების, შვილებისა და ოჯახისადმი, — ერთი სიტყვით, თუ გერმანელებს ოდესმე ხელში ჩავუვარდებით...

— როგორ თუ „ხელში ჩავუვარდებით?“ — გამომწვევად შევეკითხე მე.

ჰუგომ ისე უცნაურად შემომხედა, თითქოს უადგილო შეცდომა დამეშვას.

— მხედველობაში მაქვს ყველაზე ცუდი შემთხვევა... გამიგე, ხანა, თუ ვერ გამიგე?

თავი დავუქნიე, ამჯერად უფრო მორჩილად. მე მას გავუგე.

— ცალკე უნდა ვიცხოვრო, მშობლების გარეშე, ხომ ასეა?

— დიახ, სრულიად მარტო, — დამემოწმა იგი.

ვიცოდი, რომ ჰუგო მართალი იყო. ჩვენ სახლში დედ-მამასთან ერთად ივდითიც ცხოვრობდა. უეცრად გული ჩამწყდა: წარმოვიდგინე, რას უზამდნენ გერმანელები მშობლებს ანდა მიუსაფარ ივდითს, ან ყველას ერთად. ხშირად ხდებოდა, რომ ხალხს, რომლებიც ებრაელებს შეიფარებდნენ, თუკი ეს გამომჟღავნდებოდა, მათთან ერთად სიკვდილის ბანაკში გზავნიდნენ.

— მაშ სად ვიცხოვრო, ჰუგო? — ვკითხე მე.

ჰუგო მებაღის სახლისკენ შებრუნდა:

— იანსა და კარლინს ვთხოვ, შეიძლება აღმოაჩნდეთ შენთვის ადგილი... სახლში არის ერთი ცარიელი ოთახი სხვენზე.

ცოტა ხანს უხმოდ ვიდექით; ჰუგოს ღაწვები ნერვიულად უთამაშებდა, მე ცალი ფეხი სატერფულზე მედგა.

— მომისმინე, ხანა, — ჩურჩულითა და სწრაფად მითხრა ჰუგომ. — ხვალ საღამოს ჰარლემში ვიქნები, სხოტერსინგელის ქუჩაზე. იქ არის თამბაქოს ერთი დუქანი, რომლის აბრაზე აწერია „თამბაქოს კასრი“, სახლის ნომერი დამავიწყდა, მაგრამ ისედაც მიაგნებ... მე იმ სახლში ვიქნები ზემოთ. დარეკე და როცა კარს გაგიღებენ უთხარი — „ძაღლი მოკვდა“.

— ძაღლი მოკვდა, — გავიმეორე ჩურჩულით.

— იქ მოგიყვები, რის წამოწყებასაც ვაპირებ, — გადაწყვიტა ჰუგომ.

— დღეს კი საკმაოდ ვისაუბრეთ. ტაბე!

იგი უკან გაბრუნდა. თითქოს სიზმარში ვიყავი, ისე შევჯექი ველოსიპედზე და სამხრეთისაკენ წავედი. ბინდდებოდა. ნაძვნარის ტყის ბილიკები პირქუშად და ავის მომასწავებლად მეჩვენებოდა. ვცდილობდი, სულ სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ თავში ფიქრები მერეოდა. რა თქმა უნდა, პირქარი ქროდა.

სახლში რომ დავბრუნდი უკვე ბნელოდა. სუფრასთან დედამ მკითხა, თუ რატომ ვდუმდი ყოველთვის. პასუხს თავი ავარიდე, რაღაც გაურკვეველი წავიბუტბუტე და დედა გაჩუმდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა სამზარეულოში მარტო დავრჩით, შეკითხა:

— დედა, ძალიან შეწუხდები, რომ წავიდე?

მან ნაძალადევი სიმშვიდით შემომხედა:

— წახვალ? რაშია საქმე?

— წავალ სახლიდან... — განვუმარტე მე.

დედა მდუმარედ, ნიდაყვით დაეყრდნო ღუმელის კიდეს და მერე ძლივს გასაგონი ხმით მკითხა:

— უკვე ასე ღრმად შეიჭერი?

— რას ნიშნავს „შეიჭერი“? — ვკითხე მე.

— წინააღმდეგობის მოძრაობაში, შვილო, — მიპასუხა დედამ და შემომხედა.

თავი ჩავღუნე და ვუთხარი:

— დედა, აქ დარჩენა აღარ შემიძლია. უკეთესი იქნება, რომ ჩემზე არაფერი გეცოდინებათ... სხვაგვარად არ შემიძლია, დედა. ამ დღეებში....

მან ნაზად მომისვა ხელი ლოყაზე:

— რა გაეწყობა, რადგან ასეა... მამაშენი შეძრწუნდება. მაგრამ მანაც ჩემსავით კარგად იცის, რომ ზოგ რამეს თავს ვერ დააღწევ. მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნია... ჩვენზე ნუ იჯავრებ!

დედას შუბლზე ნაზად ვაკოცე, თუმცა მზად ვიყავი ალერსით დამეხრჩო, და მისკენ ზურგშექცეულმა გულდაგულ დავიწყე ჭურჭლის გამშრალება... მაშასადამე, მშობლებმა იცოდნენ, და, ალბათ, კარგა ხანია, რომ უფრო მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდი, ვიდრე წიგნაკებზე, პირადობის მოწმობებზე ნადირობა და ავადმყოფებისათვის გზავნილებებით მომარაგება იყო. არაფერს მეუბნებოდნენ. ისინი იყვნენ „პირველი ხარისხის“ ადამიანები, როგორც ჩემი ამხანაგები ამბობდნენ. პირველი ხარისხი... თვალები ცრემლებით მევსებოდა. ველარ ვხედავდი თეფშებს, რომლებსაც ვამშრალებდი. აქედან ამხანაგებთან უნდა წავიდე... რას იზამ. ნათლად ვხედავდი ჩემ გზას. და ვიცოდი, რომ არასდროს გადავუხვევედი ამ გზიდან. მთელი მეორე დღე ჩემ ოთახს ვაწესრიგებდი. გადავარჩიე ქაღალდები. ზოგიერთი მათგანი დავწვი, რადგან ისინი სხვას არავის ეხებოდნენ. გადავარჩიე წიგნები, ჩემოდანში კაბები ჩავალაგე. მამა არაფერს მეუბნებოდა, ცდილობდა არ შემოეხედა ჩემთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამენახა რამდენად იყო აღელვებული; მაგრამ შევნიშნე, რომ უბედურებისა, შიშისა და მწუხარებისგან ქვედა ტუჩი უკანკალებდა. ჩვენ ოთხთაგან მხოლოდ ივდითი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. მით უკეთესი-მეთქი, გავიფიქრე მე.

იმ საღამოს წავედი სხოტერსინგელის ქუჩაზე, დუქან „თამბაქოს კასრში“, რომელიც ძალიან ადვილად ვიპოვე... დავრეკე, ქურთუკის ჯიბეში რევოლვერი მაგრად მქონდა ჩაბღუჯული, ზემოთ

საკიბურის ჯოჯოხეთურ წყვდიადში კარები გაიღო. ჩავიბურტყუნე— „ძაღლი მოკვდა". გაისმა რაღაცნაირი კაკუნი, ვიღაც ძირს ჩამოვიდა. ხელი ხელში ჩამჭიდა და თან წამიყვანა. სხვენის კვამლით სავსე პატარა ოთახში აღმოვჩნდით. პატარა ჭრაქი მქრქალი და ლურჯი ალით ენთო. ყვავილების სადგარზე ფუქსია ყვავილობას ამთავრებდა. მის გვერდით ჩვეულებრივი, შავი ტილოგადაკრული სკამი იდგა. ადამიანი, რომელმაც ზევით ამომიყვანა, ოთახში აღარ ჩანდა. ხელზე შევამჩნიე, რომ იგი ქალი იყო. გაოგნებული ვიხედებოდი ირგვლივ, რომ უცებ ოთახში ჰუგო შემოვიდა. მან ბეჭებზე ხელები მომხვია და მზრუნველობით დამსვა სკამზე. მერე ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარი ჩაკეტა და ჩემთან მობრუნდა. ცალი ხელით კედელს მიყრდნობილი, ჩემკენ ოდნავ დახრილი იდგა, ვხედავდი, რომ მისმა შავი წამწამებით დაჩრდილულმა თვალებმა ისევ მშვიდი გამომეტყველება მიიღეს. პირი კი ჩვეულებრივ მოკუმული ჰქონდა.

— ხანა, — დაიწყო მან. — განზრახვა არ შეგიცვლია? — და იმ წამსვე გაიცინა — ალბათ, ჩემ სახეზე აღშფოთება გამოიხატა. — გასაგებია, — განაგრძო მან. — აქ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ, კარებს იცავენ. სახლი ხომ სავსეა იატაკქვეშელი ოფიცრებით, მათ საუცხოო რევოლვერები აქვთ... — და მან დამახასიათებელი ჟესტი გააკეთა. — ხანა! როცა მოისურვებ, მაშინ შეგიძლია გადმოხვიდე ფერლიმენების იმ ოთახში.

— რაც შეიძლება ჩქარა, — ვუთხარი მე.

— მეც ასე ვფიქრობ, — დამემოწმა ჰუგო. — იმისათვის კი არა, რომ აგაჩქარო, მაგრამ ჩემ თავში მწიფდება ერთი პატარა გეგმა.

იგი უფრო მეტად დაიხარა ჩემკენ, მისი სახე მშვიდი მეჩვენა, თვალები კი თითქმის შავი. მან თავისი „პატარა გეგმა" გამაცნო.

ერთი საათის შემდეგ, თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი მოვდიოდი „თამბაქოს კასრიდან", უცებ გავიმსჭვალე იმ აზრით, რომ დღეს უკანასკნელად გაეთევდი ღამეს მშობლების სახლში — სანამ მათთან ხელმეორედ დავბრუნდებოდე. „დავბრუნდები კია?" — გავიფიქრე მე. „თუ მართლაც უკანასკნელი ღამე იქნება?" — „სანამ ომია", — მიპასუხა შინაგანმა ხმამ. ახლა დიდხანს ვეღარ გაგრძელდება. ჩემი სევდა და შინაგანი ბრძოლა მღელვარებამ შესცვალა: უცებ დავინახე პერსპექტივა, რომელსაც ჰუგო ახლახან ამიწერდა. „ძაღლი უნდა მოკვდეს", — წარმოვთქვი ხმადაბლა და თვითონვე შემეშინდა ჩემივე სიტყვების.

მეორე დღეს მშობლების სახლიდან წასვლა არც ისეთი მტანჯველი აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი. სანამ ივდითს ჯერ კიდევ ეძინა, ჩემი ჩემოდანი ქვევით ჩავიტანე — ის ახლა ისევ ზემოთ დაბინავდა. განსაკუთრებით მაგრად გავბერე ველოსიპედის საბურავები. დედას და მამას თავი ისე ეჭირათ, თითქოს ერთი კვირით მივდიოდი სადმე სტუმრად. მამა მეხუმრებოდა კიდეც: ბავშვობაშიც ხანდახან მივდიოდი ხოლმე ვინმესთან სტუმრად, მაგრამ უფრო ხშირად, იმავე საღამოს შინ ვბრუნდებოდი... ვიცინოდი და ნაღვლიანად ვიგონებდით ბავშვობის დროინდელ ჩემ მგრძნობიარობას. მერე ბაღჩაში გავედი და ჩემოდანი საბარგულზე მივაშაგრე. მამამ განაცხადა, ბაღში სამუშაო მაქვსო, და მერე აღარც გამოჩენილა. დედა დერეფანში გადამეხვია, მაგრამ არაფერი უთქვამს: სამზარეულოში მოახლე ტრიალებდა. ყველაფერი პროზაული იყო და ეს ჰარმონიულად ერწყმოდა თებერვლის ნაღვლიან დღეს. ჩვენი სახლის პირდაპირ მდებარე სკვერს ღამის წვიმის შედეგად შავი ფერი დასდებოდა და ცივად და პირქუშად გამოიყურებოდა. მზერა შევავლე ჩვენს სახლს, აგურის შენობებიან ჩვენს პატარა ქუჩას და ვცდილობდი, ყოველივე ეს ღრმად ჩამრჩენოდა მეხსიერებაში.

ბორანზე ბევრი გერმანული ტრანსპორტი იყო, რუხ მანქანებს სხვადასხვა ტვირთი გადაჰქონდათ. შევნიშნე, რომ მისადგომს ფაშისტების დამხმარე პოლიცია იცავდა. ნიდაყვით დავეყრდნე ბორნის მოაჯირს და წინ ვიყურებოდი — ვუმზერდი ნაპირებსა და არხს. თითქმის შუადღე იყო, როცა მეზოსტნეობის მეურნეობის ახლოს, ნაპირზე გადმოვედი. თვალი მოვკარი, რომ ჰუგო ნაკვეთში მუშაობდა, მას უბრალო, რუხი სამუშაო ხალათი ეცვა, კეფაზე კი სასაცილო, ძალიან პატარა ბერეტი ეხურა. როგორც კი დამინახა, მაშინვე ადგა, ჩემ შესახვედრად გამოემართა და ველოსიპედი ჩამომართვა.

კარლინ ფერლიმენმა სხვენის პატარა ოთახში წამიყვანა. ამჯერად იგი უფრო ალერსიანი და წინდახედული მეჩვენა. მივხვდი, რომ ჰუგომ მას ჩემი ამბავი უამბო და ღმერთმა იცის, რა არ უთხრა. ოთახს დაქანებული ჭერი ჰქონდა, ახლადგარეცხილ ხის იატაკს საპნის სუნი ასდიოდა. იქვე იდგა პირსაბანი ტაშტისა და დოქის ქვესადგარი. წითლად შეღებილ საწოლს საუცხოო გადასაფარებელი ეფარა. კარლინს ვკითხე, თქვენ ხომ არ მოგიქსოვიათ-მეთქი, თავი დამიქნია, თითქოს ამაზე უბრალო საქმე ქვეყნად არა ყოფილიყოს რა.

— თქვენ ვერ გაგიტოლდებით, — ვუთხარი მე და მისადმი პატივისცემა ვიგრძენი.

— გიყვართ ხელსაქმე? — მკითხა კარლინმა, თან აქა-იქ ხან რას და ხან რას ასწორებდა.

— არ ვიცი... — მივუგე მე. — ალბათ, არა. ერთხელ შევეცადე ჩხირებით წინდები მომექსოვა, მხოლოდ ცალი წინდა მოვქსოვე, ისიც სამი თვე გამიჭიანურდა.

რაკი ქალებისათვის საერთო თემა ვიპოვეთ, ერთმანეთს გავუღიმეთ.

ნახევარი საათის შემდეგ სუფრასთან კარლინის ქმარი გავიცანი. იან ფერლიმენი, გამხდარი, მაღალი კაცი იყო, ჩრდილოეთ ჰოლანდიის ტიპიური მკვიდრი; ძალიან უხდებოდა სამუშაო კომბინეზონი. ოქროსფერი ქოჩორა თმები ხეისს მამისა გამოჰყოლოდა. იანი სიტყვაძუნწი იყო და სწორედ ეს მომეწონა. ხასხასა ფერით შეღებილი საბავშვო სკამის საზურგეზე ჩამოკიდებული ხეისი მე მაკვირდებოდა, როგორც კი თვალი ჩავუკარი, ბიჭი იმ წუთში შებრუნდა.

ნასადილევს ჰუგო გაქრა და მალე დაბრუნდა თავისი, ჩემთვის უკვე ნაცნობი, ტანისამოსით: „ელვით“ შესაკრავი ქურთუკით, ველვეტის შარვლითა და სპორტული ფეხსაცმელებით, ეტყობოდა, ტანისამოსს ფარდულში ინახავდა, სადმე თივის ქვეშ. ფარდულის წინ სკამზე ვიჯექი, როცა იგი ჩემთან მოვიდა.

— სანახების დასათვალიერებლად წავიდეთ, ხანა, — თქვა მან. — რევოლვერი თანა გაქვს?

რევოლვერისათვის ზევით ავედი: მოვასწარი მისთვის შესაფერი ადგილი მომეძებნა სხვენის ერთ-ერთი კოჭის უკან. როცა ძირს ჩამოვდიოდი, ჰუგო უკვე დაჰქროდა ველოსიპედით, ზედ წარმოუდგენელ ფოკუსებს აკეთებდა, როგორც ნამდვილი ცირკის მსახიობი.

— ალბათ, ბევრი გიმეცადინია ტანვარჯიშში? — ვკითხე, როცა უკანიდან მივუახლოვდი.

მოულოდნელობისაგან კინაღამ გადმოვარდა ველოსიპედიდან, მაგრამ მაინც მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება.

— ათიდან ოც წლამდე — თავდაჭერილად მიპასუხა მან. — ეს ამბავი ძალიან გამომადგა.

ველოსიპედზე შევსხედით და გზას გავუდექით. დაახლოებით თხუთმეტი წუთი მივდიოდით. ჰუგო მიმართულებას მაჩვენებდა. სილახვავებში, მიყრუებულ, მიტოვებულ გზაზე, სადაც ხშირი ბუჩქნარი იყო, მან მიბრძანა შევჩერებულიყავი. კარგად ვერ მივხვდი, რა უნდოდა. მიბრძანა ველოსიპედი დამეჭირა, თავისი საკუთარი მანქანა კი ხეზე მიაყუდა.

— ესეც ასე, — თქვა მან. — ახლა კი ცირკის მსახიობად შენი გადაქცევაც ვცადოთ, ხანა: რევოლვერი სადა გაქვს?

ირგვლივ ყვავები ყრანტალებდნენ და ზღვის მერცხლები ყღურტულებდნენ; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სადღაც სულ ახლოს აკრძალული სანაპირო ზონა იყო. ცალი ხელით ველოსიპედი მეჭირა და ჰუგოს ვუყურებდი, რომელმაც ჯიბის დიდი დანით ანწლის ტოტი მოსჭრა.

— ხანა, იცი, რა არის ეს? — მკითხა მან, როცა ტოტს მიწაში არჭობდა.

— მგონი, ვხვდები, — ვუპასუხე ღიმილით, — ერითმება „ეიზელს"[1]...

— საზრიანი ხარ... ამრიგად, ეს კვეიზელია. ის კაცი, რომელიც ჩვენ გვჭირდება. იქნებ მას სხვა რამე ეწოდება. მაგალითად, მისი უდიდებულესობა ჰარლემის დროებითი ბურგომისტრი პლეკერი. ანდა, თუ ბედი გაგიღიმებს, ვინმე ანტონ მიუსერტი, ისიც დროებითი.

— ერთი სიტყვით, ყველაზე უკანასკნელი ნაძირალები, — შევნიშნე მე.

— დიახ, — თქვა ჰუგომ და მაშინვე სერიოზული სახე მიიღო, — ისინი, რომლებიც ტყვიას იმსახურებენ შუბლში ან გულში. იმიტომ, რომ ამ ადამიანებს უსინდისო აზრები უტრიალებთ თავში და შავი და ვერაგი სული აქვთ. ყოველთვის გახსოვდეს ეს, ხანა, ამრიგად, შუბლში ან გულში.

— შენი გაკვეთილები უქმად არ დაიკარგება — ვუთხარი ღიმილით, მაგრამ მასავით სერიოზულად.

ჰუგო ბილიკის გვერდით ჩარჭობილ ტოტის ახლოს დადგა.

— მაშ დაიწყე, — თქვა მან. — ველოსიპედით მიხვალ. დაინახავ კვეიზელა ან პლეკერს, ანდა ვინმე სხვას მათი ხროვიდან. მისგან ათ მეტრზე მარჯვნივ მოუხვევ და უკან დაბრუნდები. მაგრამ მობრუნებამდე უნდა ისროლო. გახსოვდეს, რომ აუცილებლად უნდა მოახვედრო, თორემ გაგაგდებ.

— მაშინვე უნდა მოვახვედრო მიზანში? — ვკითხე შეშინებულმა, თუმცა ვაღიარებ, რომ ჩემი შიში ცოტა თვალთმაქცური იყო.

მაგრამ სერიოზულობა, რომელიც ჰუგოს რამდენიმე წუთის წინ დაეუფლა, აღარ მოშორებია. მან მოკლე, მბრძანებლური ჟესტი გააკეთა.

---

[1] Jirel — ჭირხლი. ყინვიანობა (ჰოლანდ.)

— ხანა, მოდი აქ, ვარჯიში დაიწყე. ივლი ველოსიპედით, მობრუნდები და ისვრი. სად არის შენი რევოლვერი? მომეცი, ფისტონებით დავტენი. ისინი მხოლოდ ტკაცუნებენ.

გამოვართვი ფუჭი ვაზნებით დატენილი რევოლვერი, ქურთუკის ჯიბეში ჩავიდევი, წავედი ველოსიპედით და დავბრუნდი უკან. როცა ტოტს მივუახლოვდი, ჰუგომ დამიყვირა „მიდი!“ ბილიკიდან გადავუხვიე და იმ დროს დავცურდი, მაგრამ მაინც ვისროლე. ველოსიპედი გადავაგდე, მე კი ჰუგოსკენ გავიქეცი. მან თავი გადაიქნია.

— ააცდინე, — თქვა მან. — შენ არანაკლებ ორი მეტრისა მოტყუვდი.

— დავცურდი და იმიტომ, — ვუთხარი მე.

— ეს არ უნდა მოხდეს, — შემეპასუხა იგი.

ისევ ავიღე ველოსიპედი და ყურადღებით შევხედე ჰუგოს.

— ყოველთვის ასეთი ულმობელი ხარ?

— საშინლად ულმობელი, — მიპასუხა ჰუგომ და მართლაც მრისხანე გამოხედვა ჰქონდა. შევჯექი ველოსიპედზე და წავედი პირდაპირ. მერე მოვბრუნდი უკან. ბილიკიდან გადავუხვიე. ტოტს დავუმიზნე. ჰუგომ თავი გაიქნია. ისევ წავედი. უკან გამოვბრუნდი. ვისროლე და ისევ დავცურდი. ჰუგომ მეორედ დატენა ჩემი რევოლვერი. ერთხელ კიდევ შევჯექი ველოსიპედზე, გადავუხვიე ბილიკიდან და ვისროლე.

— ზუსტია! — თქვა ჰუგომ. — ესე იგი, პლეკერი მოკვდა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მან უკვე თხუთმეტი წუთის წინ გადაიარა ქუჩა და შენ ესროლე ვიღაცას, შენთვის სრულიად უცნობ ადამიანს. მოახვედრე თავში, პირდაპირ ტვინში. ერთი სიტყვით, ქების ღირსი ხარ!

პირველად გავიცინეთ. ხელისგული და კუნთები მტკიოდა. მაგრამ ამ ვარჯიშმა ისე გამიტაცა, რომ ძლივს გავჩერდი. ჰუგოს იობის მოთმინება აღმოაჩნდა. ოცდაათჯერ ვისროლე და სამჯერ მოვახვედრე.

— დამწყებისათვის ცუდი არ არის, — თქვა ჰუგომ.

სიტყვა „დამწყები“ მეწყინა. მის მხარს შევეხე.

— აბა მაჩვენე, შენი შესაძლებლობა.—გამომწვევად ვუთხარი მე.

მან ოდნავ მოჭუტული თვალებით შემომხედა, ხელი გადაისვა მოკლედ შეკრეჭილ ხუჭუჭ თმაზე და თქვა:

— რა გაეწყობა... მომეცი რევოლვერი.

ჩემი რევოლვერი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო, შეჯდა ველოსიპედზე და წინ წავიდა. მერე ნელა შემობრუნდა და უკან წამოვიდა,

ბრწყინვალედ იცავდა წონასწორობას. იგი რეზინივით მოქნილი იყო. მისი ვიწრო, წვეტიანი სპორტული ფეხსაცმელები სატერფულზე ქალის ფეხსაცმელებივით პატარა ჩანდა. სასიამოვნო საყურებელი იყო იგი. ბილიკიდან გადახვევამდე და სროლამდე უკვე მივხვდი, რომ ზუსტად გაისროლა. ასეც მოხდა. მან რევოლვერი მომცა, მე კი ამოვიოხრე, თავი გავიქნიე და ვთქვი:

— ვირტუოზი ხარ, ჰუგო.

ყოველგვარი შეცბუნების გარეშე მიიღო ჩემი ქება.

— სხვაგვარად არც შეიძლება ჩვენი სპეციალობისთვის, — მიპასუხა მან.

მეორე დღეს ნაღვლიანად ჟინჟღლავდა. როცა ძირს ჩავედი, შუბლშეკრული ჰუგო ფანჯრიდან იყურებოდა, იგი მომიბრუნდა და მკითხა:

— რას ფიქრობ, ხანა, იმაზე... განვაგრძოთ ასეთ ამინდში?

ქუჩაში გავიხედე: ბუჩქები, ჩარდახი, მინდვრები და სათბურები წვიმისგან ბრწყინავდნენ, წყალი წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა ძირს.

— ამბობენ, რომ ძნელ ვითარებაში ვარჯიში ძალიან გამოსადეგია ჯარისკაცებისთვის, — განვაცხადე ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად. — თუ შენ შინ ჯდომას არ აპირებ, მეც შენთან მოვდივარ.

ჰუგომ პატივისცემით შემომხედა.

— ისევ რომ დაცურდე და ტალახში ჩავარდე?

— ავდგები, — ვუპასუხე მე.

ვისაუზმეთ და წავედით... ამჯერად სანაპირო ზონისკენ კი არა, კასტრიკუმსა და ეიტხეესტს შორის მოთავსებული ადგილისკენ წავედით. სოფლის შარაგზით, ტირიფის მსხვილ, დამპალ ჯირკვებს შორის. მთლად გავიწუწეთ, სანამ იქ მივიდოდით, და როცა ორი საათის შემდეგ უკან დავბრუნდით, გასაწურები ვიყავით. კარლინის სამზარეულოში ნამდვილი სამოთხე იყო, სადაც ქურა ენთო და მუხის შეშა ტკაცუნებდა. ჩვენ ტანისამოსს ორთქლი ასდიოდა. ერთი ჭიქა ანწლის ნაყენის დალევის შემდეგ დაგვცხა კიდეც. მაგრამ უფრო დამცხა ჰუგოს ქათინაურებისგან, რაც სადილის შემდეგ თავის ფარდულში წასვლის წინ მითხრა:

— საოცრად მალე ისწავლე სროლა.

მესამე და მეოთხე დღეს ისევ მშრალი ამინდი იყო. ვვარჯიშობდით ველოსიპედიდან სროლაში, ხან სად და ხან სად, დილით და დღისით. უნაგირზე კატასავით მარჯვედ ვიჯექი და დავდიოდი დაუღალავად, ყურადღებას არ ვაქცევდი კუნთების ტკივილსა და

დაღლილობას. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ველოსიპედი და მე ერთ არსებას წარმოვადგენდით. ჰუგოს მეთვალყურეობით ველოსიპედით სიარულსა და სროლაში ოთხი დღის ვარჯიშის შემდეგ მივხვდი, რომ არსებობდა ოსტატობის უფრო მაღალი საფეხურები, და მე კიდევ ბევრი სწავლა მჭირდებოდა...

სილახვავებს შორის ხევში წყნარი საღამოები იყო. იქ ადრე ღამდებოდა და საშინლად მოწყენილი ვიყავი. ვთქვი, შინ წავალ და წიგნებს მოვიტან-მეთქი. კარლინი ყოველთვის კემსავდა ან ქსოვდა რაღაცას. მე კი ასეთი რამეები არ მიტაცებდა. ჰუგო და იანი შაშს თამაშობდნენ. თავის დროზე ინგლისის რადიოს გადმოცემებს ვუსმენდით. საღამოს 10 საათამდე ყველა წვებოდა, ასე რომ ძილისათვის საკმაოზე მეტი დრო იყო და მე ბევრს ვფიქრობდი ჩემი ცხოვრების ასე შეტრიალებაზე. იმაზე, რომ ახალ გზას დავადექი, როშელიც სრულიად შეგნებულად ავირჩიე, ამასთანავე, ისიც არ ვიცოდი, მივაღწევდი თუ არა მიზანს, რისთვისაც გავწყვიტე კავშირი ახლობლებთან — მშობლებთან და ჰარლემელ მეგობრებთან. თუმცა ფლორმა მოიწონა ჩემი ნაბიჯი — ის ხომ პარტიის წევრია, მისი ნაწილი. ვიცოდი, რომ აღარაფერს გავაკეთებდი პარტიის გარეშე. მაგრამ ხანდახან მავიწყდებოდა მისი საიდუმლო, უხმო არსებობა. ჩემი პარტია მაინც არსებობდა, პარტია სადარაჯოზე იდგა. იგი არსებობდა ქვეყანაში, სადაც ჩვენ ოკუპაციის უღელქვეშ ვცხოვრობდით. არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი პარტიის ხელმძღვანელები ველოსიპედებით დადიოდნენ ტყის ბილიკებით გელდერლანდსა და უტრეხტში, კავშირს არ წყვეტდნენ კონსპირაციულ ბინებთან, ერთი დიდი ქალაქიდან მეორეში გზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს. პარტიის იატაკქვეშა ხელმძღვანელობა ახერხებდა თავშეყრას ყველაზე წარმოუდგენელ ადგილებში: ფეხტაზე, ხიდთან საყარაულოში, ძველ ეისელში სოფლელი მუშის სახლში, ოსტერბეეკში, ვილაში... ხელმძღვანელობას ერთგული ხალხი ეხვია გარშემო, და ჩვენ ხშირად გვავიწყდებოდა მისი არსებობა, რომ იგი თვალს გვადევნებდა, რომ იგი შორიდან გვიჩვენებდა გზას, გვამხნევებდა, მოგვიწოდებდა მოხერხებულობის, გამჭრიახობისა და გამბედაობისაკენ...

მეც პარტიის ნაწილი ვიყავი, ისევე როგორც პარტია იყო ჰოლანდიის ნაწილი, სადაც ყველა სინდისიერ ადამიანს სძულდა გერმანელები, სადაც ერთი წერდა სტატიას არალეგალურ გაზეთში, მეორე ბეჭდავდა მას როტატორზე. მესამე ავრცელებდა. სადაც უსახელო პოეტები წერდნენ ლექსებს, რომლებიც ხალხში ვრცელდებოდა და იმედს უნერგავდა მათ, ან მტრის სიძულვილს უღვივებდა. ყველა

იბრძოდა თავისებურად. ათასობით მცხოვრებნი მალავდნენ პატრიოტებს, ხანდახან ერთზე მეტსაც. იატაკქვეშელებს აძლევდნენ ფულს, სასურსათო ტალონებს, ყალბ დოკუმენტებს. წინააღმდეგობის მებრძოლს თითქმის ყველა ოჯახში შეეძლო შესვლა, და მას დახმარებას უწევდნენ. ჩვენ იმ დიდი ქსოვილის ძაფები ვიყავით, რომელსაც სამშობლო ჰქვია. ეს იგრძნობოდა ყველაფერში. ყურს ვუგდებდი ინგლისური საჰაერო ესკადრილიის თავდასხმებს, რომლებიც კვირიდან კვირამდე, თითქოს, იზრდებოდა რაოდენობით და სიმძლავრით. ეს ესკადრილიები ხან სად გამოჩნდებოდნენ, ხან სად — დღის სინათლეზეც კი, თითქოს მასხრად იგდებდნენ გერმანელების ენაბორძიკა საზენიტო ქვემეხებს... ირგვლივ ყველაფერი ისწრაფვოდა კაცობრიობის მტრების გასანადგურებლად, და მათ განუწყვეტლივ ურტყამდა. საბჭოთა კავშირის წითელი პოლკები უტევდნენ ფაშისტებს და ყირიმიდან ერეკებოდნენ. რადიო იტყობინებოდა პარტიზანების გმირობაზე ოდესის მისადგომებთან — ცხადი იყო, რომ გაზაფხულისათვის ფაშისტები იძულებულები იქნებიან ოდესაც დატოვონ... ამ წყნარ საღამოებში ამას ისე ნათლად წარმოვიდგენდი, თითქოს ჩემ წინ ევროპის რუკა იყო გადაშლილი. ამ რუკაზე ყველაფერი ცოცხლდებოდა: იწვოდნენ და ხრჩოლავდნენ ქალაქები, საბრძოლო წესით მიდიოდა ჯარი, ჩემი ამხანაგების — რუსი პარტიზანების საარტილერიო ზალპები გუგუნებდნენ, წმენდდნენ რუსულ მიწას ფორმიანი და უფორმო ფაშისტებისაგან, შავმიწა ნიადაგიანი უკრაინის ვრცელ ველებს დამპყრობლებისგან. ყაჩაღები იმედოვნებდნენ, რომ ეს მიწები იოლად ნაშოვნი ნადავლი იქნებოდა ჰოლანდიელი გამცემლებისათვის, რომლებმაც დააარსეს „აღმოსავლეთის კომპანია“, ამიტომ საზეიმოდ უწოდებდნენ თავიანთ თავს „აღმოსავლეთის გლეხებს“. ახლა მათ გამოქცევა უხდებათ. ამ გაბერილ „აღმოსავლეთის კომპანიას“ უნდა განეხორციელებინა გარკვეული ხარისხის მომხვეჭელთა და ავანტიურისტთა იდეალები. გვიანაა, ძალიან გვიან, ეფიქრობდი მე. მსოფლიო გადაკეთდება და განიწმინდება ჩვენ ანტიფაშისტურ ქურაში, და თვითონ მეც, როგორი პატარა და უმნიშვნელოც უნდა ვიყო — ყოფილი სტუდენტი — იურისტი ხანა ს., ჰოლანდიელი ქალიშვილი, — უნდა გავწმინდო დედამიწა ჩემ პატარა მონაკვეთზე — ყველგან, სადამდეც კი მიაღწევს ჩემი რევოლვერის ცეცხლი. უნდა განადგურდეს ადამიანის მოდგმის ნაძირალა, რომელსაც სიცოცხლის უფლება არა აქვს. არ მჭირდება არც იუსტინიანისა და არც ნაპოლეონის კოდექსი, რომ ამ უბრალო ადამიანური აზრების სიმართლე ვიგრძნო. მე მაქვს საკუთარი წარმოდგენა უფლებაზე და მაქვს რევოლვერი.

ჩემი ჩასვლიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, დილით მე და ჰუგო ველოსიპედებით გავემართეთ ეიმეიდენის მიმართულებით. ამ დღეს ისევ მშრალი ამინდი იდგა, სუსხიანი ჰაერი ლოყებს წიწკნიდა, მორუხო-თეთრი ყინული იდო წყალსატევებში. ღამის მსუბუქ ყინვას სილახვავები დაეთრთვილა, იმავე დროს გზის პირებზე ამოსული ბალახების სუნში და ძველ, წყნარ ბაღებში, რომელთა გასწვრივაც მივდიოდით, გაზაფხულის გამაცოცხლებელი სუნთქვა იგრძნობოდა. — სულში იმედი და რწმენა მტკიცდებოდა. ჰუგო უჩვეულოდ მდუმარე და გულჩახვეული გამოიყურებოდა. წინადღით, კვირას, როგორც ჩანდა, დაზვერვაზე იყო. ყველაფრიდან აშკარად ჩანდა, რომ შინაგანად ემზადებოდა გამიზნული ოპერაციისათვის: ახალი ნაოჭები თვალებთან, მოკუმული პირი, სიტყვაძუნწობა. თუმცა, მეც არ მქონდა ბევრი ლაპარაკის სურვილი. მშვიდად ვიყავი, შეიძლება ითქვას, ძალიან მშვიდად. ვფიქრობდი კაცზე, რომელიც პირველ მსხვერპლად ავირჩიეთ, — ხეერტ კვეიზელზე. როგორც ჰუგომ მითხრა, იგი უსაქმური, არაფრისმაქნისი კაცი იყო; სკოლა დაამთავრა, იჯდა უსაქმურად და მშობლების ხარჯზე ცხოვრობდა, ოცდაცამეტი წლის რომ შეიქნა, მაშინვე რაპარდის პარტიის მიხაკისფერი ფორმა ჩაიცვა. მაგრამ, მერე გაიხადა ეს ფორმა, რადგან ნაცისტებისა და ფაშისტთა დამხმარე პოლიციის შავი ქურთუკი დიდ მოგებას აძლევდა... ვაებატონი, რომლის ხელიდან ძაღლიც კი არ აიღებდა ლუკმას! მთელი წლის განმავლობაში მის გამო საშიში იყო ეიმეიდენიდან ჰარლემამდე მატარებლებით მგზავრობა. იგი ამ მატარებლებში, განსაკუთრებით, ხალხით გაჭედილ ბაქანებზე ტრიალებდა, სამხედრო ფორმა კი არა, მეტისმეტად ღარიბი კაცის პიჯაკი ეცვა და კეპი ეხურა. ჰუგომ ამიხსნა, როგორ იქცეოდა იგი. ლაპარაკს გაიბამს, გასაგებია? ლაპარაკობს გერმანელების, სასჯელების, საბარათო სისტემის და საერთოდ წყეული წყობილების წინააღმდეგ. და ყოველთვის ორი-სამი კაცი ეგება მის ანკესზე; აღმოჩნდებიან ხოლმე გულუბრყვილონი, რომლებიც მას კვერს უკრავენ და, ჰგონიათ, რომ ამ არამზადას სახით თანამოაზრე ნახეს... როცა მატარებელი ჰარლემში ჩადის, კვეიზელი მორიგე ფაშისტ პოლიციელს უთითებს „მეამბოხეებზე“... ღმერთმა იცის, ამ გზით რამდენი ადამიანი ჩააგდო გესტაპოს კლანჭებში.

ქალაქი ეიმეიდენ-ოოსტი, სადაც უნდა მოგვენახა ეს ავაზაკი,— ჰუგომ გაიგო, რომ იგი ცხოვრობდა იქ და იკვებებოდა სადღაც თერძის ქვრივთან, — დილის საათებში ხალხმრავალი არ იყო. უღ-

რუბლო ცის სინათლე დასდგომოდა აგურის წითელ შენობებს, რომლებიც ჩამწკრივებულიყვნენ კოხტად გაკრეჭილ გაზონებიან და მზრუნველად გასხლულ ბუჩქებიან ქუჩებზე, რაც ყველაფერს ჰოლანდიისათვის დამახასიათებელი წესიერებისა და სიმშვიდის ელფერს აძლევდა. პატარა საფუნთუშეს წინ რამდენიმე ქალი იდგა. ველოსიპედებით ჩავუარეთ და ვერ გავიგეთ, რაზე საუბრობდნენ, მაგრამ მათი სახის გამომეტყველებითა და ტონით მივხვდით, რომ საუბარი მშვიდი არ იყო. სკოლიდან გაბმული კითხვა ისმოდა, ბავშვები ერთად, ხმამაღლა კითხულობდნენ. მზე ცისარტყელასავით დასთამაშებდა ფანჯრის მინებს.

ქუჩა, რომელზედაც კვეიზელი ცხოვრობდა, ზუსტად პირველ ქუჩას გავდა; ბარელიეფებით მორთული, მაღალი თაღის ქვეშ გავლის შემდეგ აღმოვჩნდით ამ ქუჩაზე; ქუჩა მოედანს უფრო გავდა, რადგან ოვალური სკვერის ორივე მხარეს მიემართებოდა.

თაღთან ჰუგო ველოსიპედიდან ჩამოვიდა, ქუჩას ზურგი შეაქცია და პაპიროსის გახვევას შეუდგა.

— ჩემს მარცხენა მხარს იქით სახლს დაინახავ, — მითხრა მან. — თუ მახვილი თვალი გაქვს, ნომერსაც შენიშნავ... ორმოცდახუთი. „უკუდო“ ციფრები...

— რა? — შევეკითხე მე, დაკვირვებით შევხედე ნომერს, მაგრამ მაინც ვერ გავარჩიე.

— „კუდიანი“ ციფრები... ბედნიერებას ნიშნავს, — ჩუმად, მაგრამ გაბრაზებით მიპასუხა ჰუგომ. — უნდა ვცადოთ, ხანა, რომ დღეს ამ ნომერმა — სწორედ დღეს — ბედნიერება მოგვიტანოს.

ჰუგო გაჩუმდა, თითქოს ისედაც ზედმეტი თქვაო. ველოსიპედებზე შევსხედით, ჰუგოს მარჯვენა ხელი ჩემი ნიდაყვისათვის ჰქონდა ჩაკიდებული, შეყვარებული წყვილივით ჩავუარეთ სახლს. ახლა ვნახე სახლის ნომერი. ეს ქუჩაში გამომავალი შენობა ქალაქ ეიმეიდენ-ოოსტითა და მისი მცხოვრებებით ეხამებოდა მთელ უბადლო ჰოლანდიას; ამას არ ეხამებოდა მხოლოდ ამ სახლში მცხოვრები გამცემი, რომელიც გესტაპოში აბეზღებდა თანამემამულეებს, მასზე უკეთეს ადამიანებს. ქუჩის ბოლოშიც ისეთივე თაღი იყო, როგორიც ქუჩის თავში, და ჩვენ იმ თაღის ქვეშ გავიარეთ.

ჰუგომ მითხრა:

— თორმეტი საათი ახლოვდება. შუადღისათვის გამოიღვიძებს. ღილის ნაბახურევზე და თავისი ბუნაგიდან გამოძვრება სიგარეტებისა ან პურისათვის. ან ორივესთვის ერთად. ტალონები, რა თქმა უნდა საკმაო აქვს. შენ ერთ თაღთან იქნები, მე კი მეორესთან, სახლს

ორივე ვუთვალთვალებთ. თუ კაცი შენ მხარეს გამოჩნდება, შენ მოკლავ, თუ ჩემ მხარეს — მე.

— ჰუგო, რომ არ ვიცი, როგორია? — ვუთხარი მე.

ჰუგომ ნამწვი ჩამდინარე არხში გადააგდო.

— ოდნავ ჩემზე მაღალია, არაჩვეულებრივად პატარა თავი აქვს. როცა ფაშისტური სამხედრო ფორმა აცვია, ასე გეგონება, ერთიანად ჩექმაში ზისო. როცა სამოქალაქო ტანისამოსშია, მაშინ კი გავს ბარდას მარცვალს სვეტზე. არაფრით არ შეგეშლება სხვაში.

მიმავალ ჰუგოს ვუყურებდი. მას დიდი წრე უნდა შემოევლო, რომ ქუჩის მეორე ბოლოში გასულიყო. მე თაღთან დავრჩი. ყურადღება რომ არ მიმეპყრო, მანუფაქტურის მაღაზიასთან მივედი, რომლის ვიტრინაში მთელი თაღი თვალნათლივ ჩანდა. ამ გამჭვირვალე ანარეკლის ქვეშ ვათვალიერებდი უბადრუკ მუყაოს კოლოფებს, რომლებშიც წინათ, ალბათ, ცხვირსახოცები ეწყო, ბავშვის მაქმანის გაყვითლებულ ჩაჩს, რომელსაც ვიტრინისათვის ლამაზი და მდიდრული სახე უნდა მიეცა, და რამდენიმე პირსახოცს, რომლებიც იატაკის ჩვარს გავდნენ; მათზე იარლიყები მიემაგრებინათ, რომლებზედაც ეწერა „15 ერთეული". ვერ წარმომედგინა, თუ ვინმე იყიდდა ამ პირსახოცებს. ისინი ბამბისა იყვნენ... კიდევ ერთხელ დაკვირვებით შევხედე თაღის ანარეკლს. სადღაც ზარის რეკვა გაისმა. თორმეტი საათი... ზარის რეკვასთან ერთად, რომელსაც ფაბრიკის სირენების ღმუილიც აჰყვა, ეტყობოდა, სკოლის კარიც გაიღო. რამდენიმე წუთში ჰაერს მოეფინა ბავშვების გიჟური, აღფრთოვანებული ყვირილი. მაგრამ ეს ხმები მალე შეწყდა. ნამდვილი, ხანგრძლივი მხიარულებისა და ცელქობისათვის არ იყო კალორიები და ვიტამინები. როცა ბავშვები ჩემს ქუჩაზე გამოჩნდნენ, დინჯად მოდიოდნენ. ორმა თუ სამმა თაღის ქვეშ გაიარა. ისეთი სახე მივიღე, თითქოს მათი ცქერით ვიყავი გატაცებული, მაგრამ ორმოცდამეხუთე ნომერ სახლისკენ გავაპარე მზერა და დავრწმუნდი, რომ იქ სრული სიწყნარე სუფევდა.

მერე ველოსიპედით წრე გავაკეთე, თან თვალს ვადევნებდი, „ბარდის მარცვალი" რომ არ გამოჩენილიყო. როგორც ჩანდა, ნაბახურევზე ძილი გრძელდებოდა. იქნებ, მთელი ორშაბათიც გაგრძელდეს და მხოლოდ საღამოზე გამოვიდეს გარეთ ეს ავაზაკი. მაშინ ამ წყნარ ადგილას ხალხს აუცილებლად მოვხვდებით თვალში. ამის გაფიქრება ვერ მოვასწარი — სწორედ გვერდით ქუჩით მოვდიოდი, უნდა შემეხედა, თაღთან რამე ცვლილება ხომ არ არის-მეთქი, — რომ რამდენიმე კაცი გამოჩნდა სადგურ კაზემბროოტსტრაატიდან მომავალ გზაზე. ისინი მალე წავიდ-წამოვიდნენ

სხვადასხვა მიმართულებით და მხოლოდ ერთი კაცი მოდიოდა ჩემკენ. პატარა ჩემოდანი ეჭირა, მკლავზე საწვიმარი ლაბადა გადაეგდო. მას ყველაზე პატარა თავი ჰქონდა, როგორიც კი ოდესმე მინახავს, შორიდან ისე ჩანდა, თითქოს თავი მთლად დამალული ჰქონდა ქუდში.

ვეცადე სწრაფად დავმალულიყავი, რომ მას არ შევენიშნე. თაღთან მივედი, ველოსიპედი დავაყენე და გავიხედე, ჰუგო ხომ არსად ჩანს-მეთქი. იგი ქუჩის მეორე მხარესაც არ ჩანდა; ალბათ, მანაც გადაწყვიტა ცოტა ხნით მიმალულიყო. ქუჩაში სკოლიდან მობრუნებული ბავშვები თამაშობდნენ. ისინი ასკინკილაობდნენ, კლასობანას თუ თამაშობდნენ, ან ისე ხტუნავდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. ველოდი როდის გამოჩნდებოდა ქუჩაზე ჩემოდნიანი და ლაბადიანი კაცი, ვიდრე იგი თაღთან მოვიდოდა, უნდა მივმხვდარიყავი, მართლა ხეერტ კვეიზელი იყო თუ არა, ავაზაკი კვეიზელი, როგორც მე მას ერთხელ ვუწოდე. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ის მოდიოდა: ამას მიკარნახებდა მზვერავის განსაკუთრებული ინსტინქტი, რომელიც მნიშვნელოვნად გამიმახვილდა წინააღმდეგობის ჯგუფში მუშაობის დროს. მე და ჰუგო ვცდებოდით, რომ გვეგონა, კვირას ნაქეიფარი კვეიზელი ორშაბათს სახლში იჯდა. იგი სადგურიდან მოდიოდა. ესე იგი, სადღაც უმგზავრია. როგორც ჩანდა, ისევ ჰარლემში იყო. ისევ მგზავრობდა ხალხით გაჭედილი მატარებლის ბაქნით, სადაც ათეულობით ადამიანი დგას, რომლებიც მზად არიან, როგორც კი შემთხვევა მიეცემათ, გადმოანთხიონ თავიანთი სიძულვილი გერმანელებისადმი. რამდენი ბოროტმოქმედების ჩადენა შეეძლო ამ ავაზაკს, სანამ მე და ჰუგო ველოსიპედებით მოვდიოდით ეიმეიდენში? აუტანელი იყო ეს ფიქრი. როცა დავრწმუნდი, რომ „ბარდას მარცვალმა“ მართლა მოუხვია კუთხეში და მიახლოვდებოდა, ველოსიპედთან ჩავიჩოქე, წაღის აბზინდი გავიხსენი, მუხლებსა და ნიდაყვს შორის ყურადღებით ვიყურებოდი, თან ნელა ვიკრავდი აბზინდას. ვხედავდი, როგორ გადაიარა ქუჩა პატარა თავიანმა კაცმა. აი, იგი უკვე თაღს უახლოვდებოდა. მისი სახე ქუდის ფარფლებქვეშ სამზარეულოს თაროზე დარჩენილ, ორი დღის წინ გაჭრილი ლიმონივით იყო დამჭკნარი. სახის კანი მუქი ჰქონდა, ცხვირიდან ტუჩის კიდეებამდე ღრმა ნაოჭი ჩასდევდა, თითქოს ვიღაცას ნახშირით ჩამოეხაზა, თითქოს კაინის დაღი დაესვა. ავდექი და ველოსიპედი ავიღე. ბავშვები ისევ თამაშობდნენ ქუჩაში, მაგრამ მათ ჩემთვის არ სცხელოდათ. ახლა კვეიზელისაკენ ველოსიპედით მივდიოდი მე და რამდენიმე ჩანთიანი ქალი მიიჩქაროდა — როგორც ჩანდა, საფუნთუშედან. მე სვლას

ვუკელი, და როცა კვეიზელს ცხვირწინ ჩავუარე, უცებ გადავუხვიე და თავაზიანად, თითქოს მოულოდნელი შეხვედრით გაოცებულმა წარმოვთქვი:

— ა-ა-ა, ბატონო კვეიზელ!..

მგონი, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია; ოღონდ ძალიან უკმაყოფილოდ შემომხედა. მივხვდი; რომ მასაც ჰქონდა გამომუშავებული თავისებური ყნოსვა და ნამდვილად იგრძნო უბედურების მოახლოება. ახლა ვნახე მისი თვალები. ქუდის ფარფლებქვეშ იყვნენ მიმალულნი, მაგრამ მაინც ვნახე, როგორ აწრიალდნენ ისინი. უცებ მან მეორე ხელში გადაიტანა ჩემოდანი და ლაბადა, აი, სულელი! ჩემთვის ჩავიცინე: ნამდვილად სულელი—მარჯვენა ხელი დაკავებული ჰქონდა. უცებ მოვბრუნდი და გვერდით ჩავუარე. მაგრამ შემობრუნების დროს ამოვიღე ჩემი რევოლვერი, რომელიც მე და ჰუგომ ერთად დავტენეთ, და ჰუგოს რჩევის მიხედვით — ავაზაკს პირდაპირ თავში ვესროლე. ტყვია ზუსტად თავში მოხვდა. კვეიზელმა, რაღაცნაირი ხორხისმიერი ბგერა გამოსცა, თითქოს კვნესის ჩახშობა უნდოდა. მგონი, ერთადერთმა მე გავიგონე ეს ხმა. მხოლოდ ქვაფენილზე ჩემოდნის დაცემის ყრუ ხმა შეიძლებოდა გაეგოთ შორს. გაუჩერებლად და ველოსიპედიდან ჩამოუსვლელად დავმალე რევოლვერი. მშრალ, უსწორმასწორო ქვაფენილზე თითქმის გრაციოზულად — მე ამას ვგრძნობდი — მოვუხვიე უცებ. თაღიან ქუჩას გავხედე. ბავშვებს არაფერი შეუნიშნავთ. სატერფულებს მაგრად დავაჭირე ფეხი და სწრაფად შევუხვიე მოსახვევში. უკანასკნელად თვალი მოვკარი ქალებს, რომლებსაც ხელში პურები ეჭირათ. ისინი შეჩერდნენ და გაოცებულნი უხმოდ დასჩერებოდნენ ჩვარივით დაგდებულ კაცს.

მეორე თაღთან მივედი და ვნახე, რომ ჰუგოც დაიძრა ადგილიდან და ჩემს წინ მიდიოდა, გვერდით პარალელურ ქუჩას გავყევი. გაშიშვლებული სკვერის გვერდით, პატარა ვიადუკის წინ ფაბრიკის მუშების ჯგუფი შევნიშნე. მებრძმედეების ცელა მოდიოდა. უკეთესი შემთხვევის ნატვრაც არ შეიძლებოდა. პირდაპირ მათ შუა გავატარე ველოსიპედი და ერთმა ახალგაზრდა გარუჯულმა მუშამ რაღაც მხიარული და თავხედური მომაძახა, მე კი საპასუხოდ ენა გამოვუყავი. უკან მოვიხედე და გავიფიქრე, რომ ეს პატარა ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც ქურთუკებიდან და პალტოებიდან კომბინეზონები უჩანდათ, დაფარავდა ჩემ კვალს. მაინც ძალიან გამეხარდა, როცა შევნიშნე, რომ გვერდითი ბილიკიდან ჰუგო მიახლოვდებოდა. იგი ერთ წუთში ჩემთან გაჩნდა და ხელი

დამიქნია: არ შეჩერდეო. ცოტა ხნის შემდეგ მან მხრებზე ხელი დამადო.

— შენ, ალბათ, დაინახე? — წამოვიწყე ლაპარაკი.

— კი, — მიპასუხა მან. — თაღიდან. ცოტა გასეირნების შემდეგ, ის იყო დავბრუნდი. შესანიშნავად შემობრუნდი, ხანა. მაშინვე მოკალი?

— თავში მოვარტყი, — ვუპასუხე მე.

გაიღიმა და არაფერი უთქვამს. ხელი ჩემს მხრებზე ედო. უფრო ვნერვიულობდი, ვიდრე ამის გამეღავნება მინდოდა ჩემი თავისთვის. ჰუგოსგან უდიდესი, გამათბობელი სიმშვიდე გადმოდიოდა ჩემს არსებაში, როგორც ჩანდა, მას რკინისებური ნერვები ჰქონდა, დაჯერებულად, უკან მიუხედავად, აწვებოდა სატერფულს. მხოლოდ არხის მეორე მხარეს დამიწყო აჩქარება.. მაგრამ ახლაც არაფრით გამოუმეღავნებია თავი — არც სიტყვით, არც დაკვირვებული ცქერით გერმანელების მხარეს, რომლებიც გვერდით ჩაგვივლიდნენ ხოლმე. არასოდეს შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ამოდენა თავშეკავება, თვითრწმენა და მშვიდი სიმამაცე ჰქონოდეს. რა თქმა უნდა, ის ხომ კომუნისტია, გავიფიქრე მე.

აფეთქებები ეიმეიდენში

მიიზლაზნებოდნენ დღეები. ჯერ ყინვები იყო, მერე ყველაფერი გადნა, წვრილი თოვლი წამოვიდა — „პოლარული თოვლიაო", განაცხადა ფერლიმენმა — თითქოს იგი როდისმე ყოფილიყო ნამყოფი იმიერპოლარეთში; მალე კი ისევ დადგა წყნარი, თითქმის გაზაფხულივით თბილი, მზიანი ამინდი, და მთელი შემოგარენი ისე ახლობელად და მშობლიურად მომეჩვენა, თითქოს წლების მანძილზე ვცხოვრობდი იქ.

ერთხელ ვიყავი სახლში — სწორედ რომ ვთქვათ, ჩემი მშობლების სახლში. ხუთ წუთზე მეტხანს არ დავრჩენილვარ. წიგნების კარადიდან გორკი და ჰაინე ავიღე. რილკე თაროზე დავტოვე; ახლა ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, მინდოდა მამაცური, ადამიანური სიტყვის გაგონება. წამოვიღე კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ოდესღაც შტაბიდან მქონდა წამოღებული, შტაბს კი გადასცა ერთმა ჰარლესელმა ამხანაგმა: ჯონ რიდის „ათი დღე, რომელმაც მსოფლიო შესძრა". ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობდი გორკის „დედას" და „მაძებარს". უკანასკნელი წიგნი — ადამიანზეა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ზნეობრივი საფუძვლები და არ გა-

აჩნდა სამშობლო, — განსაკუთრებულად ჭკუის სასწავლებლად მიმაჩნდა. სადღაც წავიკითხე, რომ ამ წიგნს რუსულად ერქვა „ზედმეტი ადამიანის ცხოვრება“. ეს სათაური უფრო შეეფერებოდა მას. ადამიანის სახის ამ „ტიფის ტილში“ გორკიმ გვიჩვენა ასეთი ტიპის ადამიანებისათვის დამახასიათებელი სრული ზნეობრივი სიცარიელე, — ამათ რიცხვს ეკუთვნოდა, ჰუგოს აზრით, ავაზაკი კვეიზელი; სწორედ ასეთი წრიდან კრებდნენ აშკარა გამცემლებსა და ჯაშუშებს. ხშირად ვკითხულობდი ჰაინეს ხავერდივით რბილსა და ხანჯალივით ბასრ ლექსებს, იმ კაცის ლექსებს, რომელიც ასი წლის წინათ ხსნიდა, თუ რა რწმენა უნდა დაიცვან პატიოსანმა ადამიანებმა. ჯონ რიდმაც, ამ მგზნებარე და აღტაცებულმა თვითმხილველმა, გამიზიარა ოქტომბრის რევოლუციის — დიადი გარდატეხის ამბები, რომლის ოცდაექვსი წლისთავი გასულ წელს პირველად ვიზეიმე ამხანაგებთან და მსოფლიოს მილიონობით სხვა ადამიანებთან ერთად. მესმოდა, რომ ცვლილებები, რომლებზედაც რუსი კომუნისტები ლაპარაკობდნენ, უკვე ხორციელდებოდა. მაგრამ შეც და ყველა ჩვენთაგანი ვიტანდით დღეებს, რომლებიც მსოფლიოს შესძრავდნენ. ჰოლანდიაში ზოგიერთები ფიქრობდნენ, ყველაფერი ისევ კარგად იქნება, როცა ძველი დრო დაბრუნდებაო. ამან გამახსენა 1813 წლის განწყობილება. ბრწყინვალედ ვიცოდი ისტორიის გაკვეთილებიდან ვან ხოხენდორპის[1] მოწოდებები, რომლებიც მაშინ ძალიან სულელურად მეჩვენებოდნენ. ერთ საღამოს, ფერლიმენებთან და ჰუგოსთან საუბრის დროს, მათ მოუყევი, როგორი მანიფესტი გამოსცა მთავრობამ ნაპოლეონის მიერ ქვეყნის რამდენიმე წლის ოკუპაციის შემდეგ... „მთავრობაში შედიან ყველაზე უფრო გამოჩენილი ადამიანები... ხალხისათვის ზეიმი იმართება...“

ჰუგომ და იან ფერლიმენმა სარკაზმულად გაიცინეს, კარლინმა კი მხრები აიჩეჩა. როგორც პრაქტიკულმა ქალმა, მაშინვე გამოიტანა დასკვნა:

— თითქოს მას შემდეგ რამე შეიცვალა!

ჰუგომ უარის ნიშნად ხელი გაიქნია, იან ფერლიმენმა კი თავისი თხელი ტუჩები დამანჭა:

— დარწმუნებული იყავით! გამოჩენილ ადამიანებს ისევ მოუნდებათ მბრძანებლობა, მას შემდეგ, რაც ხალხი საზიზღრად აწეწილ საქმეს გამოასწორებს, სხვისი გულისთვის ცეცხლში ჩავარდება... მაგრამ ამჯერად ბატონები ხახალხო ზეიმით ვერ გადარჩებიან.

---

[1] ვან ხოხენდორპი, ხეისბერგ კარელი (1762—1834) — ჰოლანდიელი საზოგადო მოღვაწე, რომელიც 1813 წელს ჰოლანდიას მოუწოდებდა გაერთიანებულიყო ორანელთა დინასტიის მფარველობაში.

თებერვლის მეორე ნახევარი თითქმის სულ მზიანი იყო. ხანდახან ჰუგო ყოველგვარი განმარტების გარეშე მთელი დღით სადღაც იკარგებოდა ხოლმე; როცა სახლში იყო, იან ფერლიმენს ეხმარებოდა, რომელიც მიწას ამზადებდა სატაცურისათვის. ვხედავდი, როგორ მოჰქონდათ მუქი, ნოყიერი ნეშომპალა და სქელ ფენად ალაგებდნენ ბოსტნის ბოლოს, მიწის განიერ ზოლზე. სხვათა შორის, იქ იზრდებოდა სხვადასხვა ხარისხის სატაცური „ყვითელი ბურგუნდიული“, „კოლოსალური კონოვერა“ და „ადრეულ ფლეიმენური“ — სუფრასთან მამაკაცები მათზე ისეთი სახით ლაპარაკობდნენ, თითქოს ერთმანეთს უზიარებდნენ ქალთა გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოს. ჰუგოს ისევ თავისი სასაცილო ბერეტი ეხურა და ყვითელი, ხის ფეხსაცმელი ეცვა. იგი მაოცებდა და აღმაფრთოვანებდა კიდეც: ისე იოლად გადადიოდა ერთი საქმიდან მეორეზე. კარლინს მეც ვეხმარებოდი მეურნეობაში, მაგრამ იგი უხალისოდ მაძლევდა რაიმის რეცხვის ან წმენდის უფლებას. ხეისი და მე ნელნელა ვეჩვეოდით ერთმანეთს. ჩვენი მეგობრობა ჩემი პრიალა საპუდრეს წყალობით დაიწყო. ყოველთვის, როცა დამინახავდა, რომ ჩანთიდან საპუდრეს ვიღებდი, თავის ფუნჩულა ხელებს ზევით ასწევდა და იძახოდა:

— ხეისსაც გაუკეთე თეთრი ცხვირი!..

ერთხელ ვცადე ზღაპარი მეამბნა მისთვის, მაგრამ შუა თხრობაში ცხენზე ქანაობას შეუდგა. მისთვის ჯერ უცხო იყო გამონაგონები ქონდრისკაცებისა და ტყის ფერიების შესახებ.

საქმე, რომლისთვისაც ჰუგოსთან გამოვცხადდი, არ შეჩერებულა. ხანდახან ფლორს ვხვდებოდით, თუ ჰარლემიდან ცნობას მივიღებდით, რომ ზაანში ისევ ლობიო იყო გადასატანი. ერთხელ თვითონ ფლორმა მოგვმართა დახმარებისათვის: ტროტვილის ტვირთი იყო გადასაზიდი ჩრდილოეთ ჰოლანდიაში, სწორეთ იმ რაიონზე გავლით, სადაც გერმან გერინგის დივიზია მოქმედებდა. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანი იყო გზიდან ჩამოგვეცილებინა დამნაშავე ელემენტები, რომლებიც ჰუგოს შეტანილი ჰქონდა თავის „მსჯავრდადებულ“ გამცემთა სიაში... ანდა „ჰუჭყიანი საცვლების სიაში“, როგორც იგი უწოდებდა მათ. მას გასაკვირად ეჭირა თავი. შშვიდი, უშიშარი რწმენა, რითაც იგი ატარებდა ყოველ ოპერაციას და ხელის სიმტკიცე, შურისგების აქტის შესრულების დროს, ჩემში მარტო აღფრთოვანებას როდი იწვევდა. სურვილი მქონდა, მეც ისეთი ვყოფილიყავი. ალბათ, არ ვიყავი ცუდი მოწაფე. დამბეზღებლებისა და მოღალატეთა დევნა და ლიკვიდაცია ყოველთვის მაგონებდა საზარელი ვირთხების დევნას. ყოველთვის, როცა კარგად ჩატა-

რებული თავდასხმის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი, მეგონა, ფაშისტ ნაძირალასთან შეხებამ გამსვარა-მეთქი. კარლინს ერთ ქვაბ ცხელ წყალს ვთხოვდი, ავდიოდი, ჩემ ოთახში, რომ თავით ფეხებამდე გავბანილიყავი.

ჩემსა და კარლინს შორის თანდათან დამკვიდრდა წყნარი, წმინდა ნათესაური ურთიერთობა. იგი ცნობისმოყვარე არ იყო. მაგრამ, შევნიშნე, რომ ძალიან უნდოდა ჩემ შესახებ სცოდნოდა უფრო მეტი. ზოგიერთ საკითხში მისთვის შეუცნობელი ვიყავი. ახალგაზრდა ქალიშვილმა, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობდა და ყოველგვარი მაღალი მატერიები შეისწავლა, კითხულობდა წიგნებს უცხო ენებზე, ყველაფერ ამას წინააღმდეგობის მოძრაობაში ამჯობინა მონაწილეობა უბრალო მუშის, ყოფილ მებრძმედის მხარდამხარ... ეს იწვევდა, როგორც შევნიშნე, მის ჩემდამი სიმპათიას, მაგრამ ამავე დროს — გაოცებასაც. ერთ დილას, როცა ორივენი სამზარეულოში ვტრიალებდით, თავი ვერ შეიკავა, შეკითხვა მომცა და თანაც გაწითლდა:

— იქნებ, — დაიწყო მან, — სისულელედ მოგეჩვენოს, რაც მინდა გკითხო: მართალია, რომ რამდენიმე ადამიანი მოკალი?

გამეღიმა:

— არა, კარლინ, ადამიანები კი არა... სამშობლოს მოღალატეები. ისინი მხოლოდ გარეგნულად გვანან ადამიანებს.

— კარგად იცი, რაც მაქვს მხედველობაში, — შემეპასუხა იგი, თითქოს ჩემი მშვიდი რწმენისგან თავს იცავსო, — ჩემი აზრით, საშინელებაა ადამიანის სიკვდილის ნახვა, თუნდაც იგი ავაზაკი იყოს. ამის შესახებ დღედაღამ თუ ფიქრობ?

თითზე ჩემს წითურ თმას ვიხვევდი და ვუპასუხე:

— რაზე ვფიქრობ დღედაღამ... ყოველ შემთხვევაში, არა იმ ნაძირალაზე. ვფიქრობ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა ისევ განთავისუფლდეს... რომ გერმანელები და მათი დამქაშები უნდა დავამარცხოთ ქვეყნის შიგნით და გამოვუტანოთ განაჩენი... მე მხოლოდ ჩემი შესაძლებლობისდა გვარად სამუშაოს ვუმსუბუქებ მომავალ სამხედრო ტრიბუნალებს, კარლინ. ყოველთვის, როცა ვხედავ, როგორ ეცემა ასეთი ვაუბატონი, კმაყოფილების სიამოვნებას განვიცდი. ამითი ხომ მრავალ პატიოსან პატრიოტს ვიხსნი დაპატიმრებისა ან გერმანიაში გადასახლებისგან.

წინსაფრის ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა კარლინმა ნელა დამიქნია თავი.

— კი, მე მესმის, რაც გიბიძგებს ამ საქმისკენ... მაგრამ აქ აუცილებლად სიმამაცეა საჭირო, ისეთი სიმამაცე...

— ...როგორიც ქალებს არ გააჩნიათ, ასე გინდა თქვა, არა?

მან რაღაც მოკრძალებით შემომხედა და სწრაფად თქვა:

— მე მგონია, მამაკაცებისთვისაც კი ძნელია ეს საქმე. ქალი-შვილისთვის კი მეტისმეტად ძნელი.

— ძალიან ცუდად აფასებ ჩვენს ქალთა მოდგმას, კარლინ, — შევნიშნე მე. — რის გაკეთება არ შეუძლიათ ქალებს, თუ მოინდომებენ... მეც ვერ წარმომედგინა ეს, სანამ გათელილი გზით სიარულს არ დავანებე თავი.

მან შემომხედა და მის მზერაში პატივისცემაც გამოიხატებოდა და გაოცებაც. გამახარა მისი ქმრის მოსვლამ, რადგან საუბარი შევწყვიტეთ. როგორც ჩანდა, კარლინს ჩემთვის ქათინაურის თქმა უნდოდა, მე კი აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი ამ შემთხვევაში.

შევამჩნიეთ, რომ გერმანელები უფრო და უფრო ნერვიულობდნენ. არაფერია გასაკვირი, ამბობდა ფერლიმენი, მათ ხომ რუსები მოსდევენ მომაკვდინებელი „კატუშით“... საქმე მხოლოდ „კატუშაში“ როდი იყო. მოკავშირეები, როგორც ჩანდა, დიდ ოპერაციას ამზადებდნენ, რაც გერმანელმა ჯაშუშებმა შეიტყვეს. ჩვენი სანაპირო ზონიდან მრავალჯერ გაასახლეს მოსახლეობა — გერმანელები ამ ამბავს ნეიტრალური სიტყვით — „ევაკუაციით“ ფარავდნენ; ამ მცხოვრებთა სახლებში ან ვერმახტის მოსამსახურეები ცხოვრობდნენ, ანდა გავერანებული იყო იქაურობა. მაგრამ ამ გაზაფხულზე ხალხთა ევაკუაციამ და დაცარიელებამ საშიშ ზომას მიაღწია. მარტის შუა რიცხვებში პირველად გავიგეთ გერმანელთა ბარბაროსული გეგმის შესახებ, რის მიხედვითაც მათ უნდოდათ ნახევარი ეიმეიდენის აფეთქება... ეიმეიდენის მკვიდრი ჰუგო პირმოკუმული დადიოდა იანის ეზოსა და კვლებს შორის.

— ეს, რაღაც კარგი ამბავი არ არის, — განაცხადა მან. — რაღაცას აპირებენ... რა უნდათ გერმანელებს? რატომ უნდა შეეწიროს ეიმეიდენი? იმიტომ, რომ იქ კარგი ნავსადგურია? ის ზღაპარი, რომ ინგლისელებს აქ უნდათ დესანტის გადმოსხმა, პატარა ხეისსაც არ სჯერა... შეიძლება მხოლოდ ის ვიფიქროთ, რომ ოკუპანტებს ჩვენი შეშინება უნდათ. ტერორით დაშინება! აი რაშია საქმე. ეს უაზრო ნგრევაა. იმიტომ, რომ მათმა „აღმოსავლეთის კომპანიამ“ კრახი განიცადა. იმიტომ, რომ რუსები თავისთან ისე ურტყამენ გერმანელებს, რომ ჩვენ ოკუპანტებსაც რიკოშეტით ხვდებათ.

მეორე დილით ჰუგო გაქრა. კარლინს და იანს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდათ, არც მე ვიყავი მოლაყბე. საღამოს, როცა ჰუგო შინ დაბრუნდა, ვცდილობდით ეიმეიდენი არ გვეხსენებინა. მაგრამ,

ნასადილევს, როცა ცის კიდურზე ოქროსფერი ცივი დაისი ქრებოდა, ჰუგომ გასეირნება შემომთავაზა... ეს იყო ჩვეულებრივი ნიშანი, რომ მას ჩემთან მარტო სურდა მოლაპარაკება.

— ეს ამბავი სწორია, ხანა — წამოიწყო მან, როცა ერთ შემოსავლელ ბილიკზე გავედით. — ეიმეიდენის ასობით მცხოვრები უკვე გასახლებულია ფრისლანდიასა და გრონინგენში... პოლიციაში, სადაც რამდენიმე ძველი ნაცნობი მყავს (ჰუგოს დამცინავად გაეცინა) — მითხრეს, რომ გერმანელები ითვალისწინებენ ინგლისელების შემოჭრას. ასეთი ამბავია! ამასობაში კი ეიმეიდენის მთელ ზღვის სანაპიროს... ააფეთქებენ. დალახვროს ეშმაკმა, ახლაც არ მჯერა ინგლისელების შემოჭრა. უბრალოდ ნაცისტების მორიგი ხულიგნობაა!

მუშტებმოკუმშული ჰუგო გვერდით მომყვებოდა.

— რატომ არ აკეთებენ არაფერს ინგლისელები? უკვე რამდენი თვეა, რუსები დაეინებით მოითხოვენ მეორე ფრონტის გახსნას. მოკავშირეებს კი არ სურთ. იქ, სადღაც, სამხრეთ იტალიაში ჩხირკედელაობენ. თუნდაც ერთი ადამიანის დაკარგვისა ეშინიათ. რუსები კი სისხლს ღვრიან... ჩვენც და ყველა ოკუპირებული მხარე... ღმერთო ჩემო, ხანა, რატომ გრძელდება ეს ამბავი ასე დიდხანს?

იგი ოდნავ წინ მისწრებდა. დროდადრო მუშტებს საფეთქლებზე იჭერდა. არასოდეს მინახავს იგი ასე აგზნებული, არასოდეს გაუმჟღავნებია თავისი ემოციები ასე აშკარად. ვდუმდი და შინაგან უხერხულობას ვგრძნობდი, როგორც ჩვეულებრივ, იმ შემთხვევებში, როცა ჩემი თანდასწრებით ვინმე ძალიან მღელვარედ გამოთქვამდა თავის გრძნობებს. მე ჩავიბუტბუტე:

— ვფიქრობ, შენ ცდები ინგლისელების შესახებ... ისინი ფრთხილები არიან, ეს მართალია, რა თქმა უნდა...

— ისინი თავიანთ კუნძულზე სრულიად უშიშრად გრძნობენ თავს! — წამოისროლა ჰუგომ. ახლა იგი ბილიკზე ჩემ წინ მიდიოდა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო. — პირველი ძნელი დღეები მათ უკან მოიტოვეს... ფრთხილები არიან! ღმერთო ძლიერო! სხვები კი თავს ნებას აძლევენ ფრთხილები იყვნენ!

— წითელი არმიის შტაბშიც ითვალისწინებენ, ალბათ, ამ გარემოებას, — ვუთხარი მე.

— დიახ, — პირქუშად ჩაილაპარაკა ჰუგომ. მათ თვითონ ათასობით დანგრეული ქალაქები აქვთ... მათ არ იციან, სად მდებარეობს ეიმეიდენი.... მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, მე ვგრძნობ, იგი აქ არის — აი, აქ!

და ხელისგული მკერდზე მიირტყა, ხმა არ ამომიღია. ჩვენ სხვადასხვანაირად არ ვფიქრობდით, მაგრამ მეგონა, რომ არ გამოვამჟღავნებდი ჩემ გააფთრებას და ჯავრს. თუმცა იქნებ მისთვის უკეთესი იყო, რომ ჩემთან შეეძლო გულის გახსნა.

შინ ერთად ვბრუნდებოდით. ჰუგო გვერდით გამომყვა და უხმოდ გამიკეთა ხელმკლავი. უფრო დავიბენი და ახლა კი ნამდვილად ვიგრძენი, რომ ენა ხორხზე მიმეკრა. ჰუგო ისე ჩამეჭიდა, როგორც ადამიანი, რომელიც დასაყრდენს და ნუგეშს ეძებდა. მთელი სულიერი ძალა მოვიკრიბე, რომ მისი პატარა ნაწილი მაინც გადასცემოდა მას. ის მართლა დამშვიდდა და მე ვიფიქრე, იქნებ ეს ჩემი დამსახურებაა-მეთქი. მან მხოლოდ სახლთან გამიშვა ხელი. სახე ჩაფიქრებული და ბავშვივით ნაღვლიანი ჰქონდა. უცებ ძალიან მომინდა ჰუგოსთვის თავზე გადამესვა ხელი. მეგონა, მთელი ჩემი მოქმედება მოუხეშავი, მოუხერხებელი იქნებოდა და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე, რომ მარტო დავრჩენილიყავი.

მარტის ბოლოს აფეთქების ხმა გავიგონე. ხმა ეიმეიდენისა და ზღვის მხრიდან მოისმოდა. გერმანელებმა მართლა უმოწყალოდ ააფეთქეს ქალაქში მრავალი სახლი და ნავსადგურის ნაგებობანი. ჰაერი მთელი დღის განმავლობაში ირყეოდა და თრთოდა აფეთქებებისაგან, რომელიც ამ ავაზაკებმა მოაწყეს. ჰუგო თავის ფარდულში, თივაში იმალებოდა. იან ფერლიმენი ბოსტანში მუშაობდა; ვხედავდი, ხანდახან როგორ გაიმართებოდა ხოლმე და შეწუხებული მიუგდებდა ყურს აფეთქების ხმას. კარლინი მთლად გაფითრებული იყო.

— როგორ შეუძლიათ ადამიანებს ასეთი რამის ჩადენა! — თქვა მან.

რომ არ მინდოდა იმდენად უკმეხად ვუპასუხე:

— მე ხომ გეუბნებოდი, კარლინ, ისინი ადამიანები არ არიან-მეთქი... ისინი მხოლოდ გარეგნულად, თანაც შორიდან გვანან ადამიანებს...

ჩვენთაგან მხოლოდ ხეისი არ განიცდიდა საშინელებას, როცა ამ შორეული აფეთქებების ხმას ისმენდა. იგი ეზოში ფიცრებს უტრიალებდა. ნიჩბით მიწას ჩიჩქნიდა და სრულიად კმაყოფილი იყო. სადილის შემდეგ მე ჩავაწვინე ლოგინში. ამ დროს გინდოდა თუ არა, აუცილებლად უნდა წაგესვა მისი ცხვირისთვის პუდრი. თვალს ვადევნებდი, როგორ იძინებდა. ახლახან იჯდა და ხმამაღლა ტიკტიკებდა — უცებ დაეძინა. ბედნიერი, ვფიქრობდი მე. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ, ხეისივით, დახუჭონ თვალი და იძინონ, როცა

ირგვლივ ქალაქებისგან ნანგრევებიღა რჩება და ამ ადამიანებს არ შეუძლიათ თავი იმართლონ, რომ მცირეწლოვანი ბავშვები არიან.

ჩუმი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ჰუგოს, როცა ისევ გამოჩნდა სახლში. თუმცა, არ მომცა საშუალება, რომ დიდხანს მედევნებინა მისთვის თვალი: იგი გაქრა რამდენიმე დღით. კარგად მესმოდა, რომ სხვადასხვა ამბების გამო მას ანგარიში უნდა გაესწორებინა და უნდოდა მის მიერ ნაკისრ საქმეზე მხოლოდ თვითონ ეგო პასუხი. მისთვის უკმაყოფილების გამოთქმაც ვერ გავბედე, იმის გამო, რომ მეც არ წამიყვანა თან.

უბაყურა

შინ დაბრუნებული ჰუგო საკმაოდ დამშვიდებული ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, თავი უფრო თავისუფლად ეჭირა, ვიდრე ეიმეიდენის ნგრევის დღეებში. ფიქრებში უკვე ვემზადებოდი, რომ ჩქარა მასთან ერთად ახალი თავდასხმისათვის გავემგზავრებოდი. სულიერი მოთმინება დავკარგე, ვხედავდი, როგორ უსარგებლოდ მიდიოდა დღეები, როცა მტერი, როგორც ჩანდა, ერთ წუთს არ კარგავდა.

უცებ პატარა ხეისი ჩაწვა. სიცხემ აუწია და მადა დაეკარგა, მეორე დღეს საოცრად დაუსივდა ლოყები, კისერი და ყურის ძირა ჯირკვლები. ყბაყურა აღმოაჩნდა... ბავშვი საწოლში იწვა. სახე უცებ უზარმაზარი გაუხდა. თვალები, ცხვირი და პირი თითქმის არ უჩანდა; ყლაპვა უჭირდა. ძილში ბორგავდა, წამოიყვირებდა და ისევ იძინებდა. ყველანი გარს ვეხვეოდით. ყოველ წუთს ვიხედებოდით მასთან, კარებიდან ხელს ვუქნევდით. ის კი გულგრილად გვიყურებდა უაზრო თვალებით და ხმას არ იღებდა.

იან ფერლიმენმა კასტრიკუმიდან ექიმი გამოიწვია, რომელიც ჩქარა გამოცხადდა, რაღაც წამლები მისცა და ხეისს მდგომარეობა შეუმსუბუქდა. სანამ ექიმი სახლში იყო, მე და ჰუგო ვიმალებოდით. იმავე დღეს და მომდევნო დღეებში დაუფიქრებლად შევდიოდი ოთახში, სადაც ბავშვი იწვა. წავიღებდი საპუდრეს და ცხვირზე ვუსვამდი ვარდისფერ, სურნელოვან პუდრს, ხეისი ნელა იღიმებოდა.

ბავშვის ავადმყოფობის მესამე დღეს, მაგიდასთან საუბარი გავაბით, რომელ ჩვენთაგანს ჰქონდა ყბაყურა მოხდილი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მე არ მომიხდია ყბაყურა. იან ფერლიმენმა და ჰუგომ მაშინვე სიცილი დაიწყეს:

— ფრთხილად იყავი. მაშინ ნახავ, როცა ხეისივით გექნება საბე!

— არ ვიცოდი, რომ ყბაყურა გადამდები იყო.

— მაშ როგორ გეგონა, — წამოიძახა ყველამ.

კარლინმა კი თქვა:

— მე მეგონა, შენ უკვე დიდი ხანია მოიხადე ეს საბავშვო უსიამოვნებები.

კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით და ვიცინოდით. არც ერთ ჩვენთაგანს ფიქრად არ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა ავადმყოფობა გადამდებოდა, მაგრამ, საღამოს უკვე გამომაჩნდა ავადმყოფობის პირველი ნიშნები. ღეჭვა და ყლაპვა მიჭირდა. კისრის არე დამისივდა. საძაგელი ღამე გავატარე. მთელი ღამე ვკანკალებდი ცივ-ცხელებისაგან. მეორე დღისთვის ავადმყოფობამ მთლად დამრია ხელი, ლოგინში ვიწექი, თავი ტყვიასავით მქონდა დამძიმებული,

— მოწყალეო ღმერთო! — წამოიძახა კარლინმა, დილით ჩემ ოთახში შემოსვლისას. — რას ვავხარ!

შეცბუნებული ვიყავი და ვბრაზობდი, რამდენადაც შემეძლო ჩემ მდგომარეობაში მყოფს. ლანძღვა წამომცდა, რითაც არანაკლებ გავაკვირვე და შევაცბუნე კარლინი.

მიუხედავად ჩემდამი თანაგრძნობისა, თავი მაინც ვერ შეიკავა სიცილისაგან.

— იან, ჰუგო! — წამოიძახა მან. — აბა, ერთი აქ მოდით და დატკბით ხანას ცქერით!..

ლანძღვა გავიმეორე და საბანში ჩავიმალე.

— გაგიჟდი, კარლინ? — წამოვიძახე გაბრაზებულმა. — ისინი ვერ მნახავენ, სანამ ამ წყეული ყბაყურიდან არ გამოვჯობინდები!

— დაბრუნდით უკან! — დაუყვირა კარლინმა მამაკაცებს, რომლებიც, როგორც ეტყობოდა, უკვე კიბეზე ამოდიოდნენ. — მას არ უნდა, რომ ნახოთ...

მრცხვენოდა, ვბრაზობდი, გაცოფებული ვიყავი, იმიტომ, რომ ბრმა შემთხვევამ ხელი შემიშალა შემესრულებინა ჩემი მოვალეობა. საერთოდ, მეც ისე ვიქცეოდი, როგორც ხეისი — მეძინა, ხანდახან ძილში წამოვიყვირებდი, მხოლოდ მე არავინ მხედავდა და არავინ მისმენდა. განუწყვეტლივ მაკანკალებდა და ჩემივე თავი მეცოდებოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ძალიან მაწყენინეს. მაშინ, როცა ხეისი საკმაოდ სწრაფად, ერთ კვირაში გამომჯობინდა, სამზარეულოში ცხენზე მთელი ძალ-ღონით ქანაობდა და ღუმელთან თბებოდა, ხანა ს. კი ზემოთ იწვა. ჩემი გამოჯანმრთელება გაცილებით ნელა მიმდინარეობდა, რადგან ჩემთვის ექიმის გამოძახება არ შეეძლოთ.

კარლინი მივლიდა დასავით, დედასავით და მეც ვცდილობდი, არ გამომემეღავნებინა ბრაზი და წყენა. ზოგჯერ ლოგინიდან გამოვძვრებოდი და სარკეში ვიხედებოდი. სიმსივნემ თანდათან დაცხრომა იწყო. მაგრამ ტანში მამტვრევდა, თვალებ ქვეშ ლურჯი არშია მქონდა შემოვლებული და საერთოდ ისეთი შესახედავი ვიყავი, თითქოს სასჯელად კილის ქვეშ ათჯერ მაინც გამათრიესო... ჰუგო ყოველ საღამოს ამოდიოდა ჩემთან, ნებას ვაძლევდი კარის ზღურბლზე მდგარიყო, იმ პირობით, რომ არ შემომხედავდა, და ვისმენდი მის მონაყოლ ახალ ამბებს. აღმოსავლეთიდან ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები მოდიოდა. აპრილის შუა რიცხვებში რუსებმა ბრძოლით ხელმეორედ აიღეს ყირიმი, ოდესა გარემოცვაში იყო და ჩქარა აიღებდნენ. მოსკოვში საარტილერიო სალუტები გრგვინავდნენ, ხოლო დასავლეთში მხოლოდ ინგლისის საჰაერო ესკადრილიის გუგუნი ისმოდა. როცა ამ ამბებს ვისმენდი, წარმომედგინა, რომ ჩვენ გიგანტურ ფოლადის მარწუხებში ვიყავით მომწყვდეული. ამ მარწუხს შიგნით კიდევ შეგვიძლია მოძრაობა და ჩვენც აქეთ-იქით ვეხეთქებით და ვიკბინებით, მაგრამ მარწუხი მარწუხად რჩებოდა. ვიცოდი, რომ ჩემი ცუდი განწყობილება გადატანილი ავადმყოფობითა და ორგანიზმის გამოფიტვით იყო გამოწვეული, და ვცდილობდი ამის შესახებ ჰუგოსთან არ მელაპარაკა. ერთხელ, დღისით, როცა უკვე გამოვჯობინდი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერ სუსტად ვიყავი, ჰუგო გამოცხადდა, ხელში ყავისფერ ქაღალდში გახვეული რაღაც ეჭირა. შეკვრამ ცნობისმოყვარეობა აღმიძრა, დამავიწყდა, რომ ჰუგოს არ უნდა ენახა ჩემი დასიებული სახე. იგი საწოლთან მოვიდა და ისე იყურებოდა, მივხვდი, რომ აღელვებული იყო და საქმეზე მოვიდა. ძალიან გვიანი იყო მისი გაგდება. წამოვწითლდი და საბანში ჩავძვერი.

— შემოსავლის ნება არ მომიცია... — ჩაიბუზღუნე, დარცხვენილმა, მან თავშეკავებულად გაიცინა და მშვიდად მიპასუხა:

— ვიცი, მაგრამ შენთვის რაღაც საინტერესო მოვიტანე, აბა, მიხვდი, ხანა, რა იქნება.

საბნიდან მხოლოდ ცხვირი გამოვყავი და ყავისფერ შეკვრას დავაშტერდი, რომელიც ჰუგოს მუხლებზე ედო.

— მითხარი, რას მალოდინებ...

მან სახვევი შემოხსნა და ზევით ასწია საგანი. ეს იყო წიგნი, მუქ-მწვანე ტილოს ყდაში ჩასმული და უკვე თითებით გაჭუჭყიანებული. ყდის ზედა ნაწილს ლომი — ნიდერლანდების გერბი ამშვენებდა, ხოლო ქვემოთ ჭდეული ინიციალები („R. P“.), ტილოში ღრმად ჩამჯდარიყო. „Rijkspolitie“— სახელმწიფო პოლიცია. —

მექანიკურად წარმოვთქვი მე. ჩვენი ცნობილი რევოლვერების წყალობით ვიცოდი ეს ასოები.

— სწორია, — ღიმილით მომიგო ჰუგომ, — აი, გეთაყვა. პოლიციის რეესტრი, თავისუფალ დროს გამოსაყენებლად, რომელიც შენ, ეჭვს გარეშეა, აღმოგაჩნდება, ეიმეიდენში ჩემი ძველი მეგობრებისაგან ცოტა ხნით ვითხოვე.

დამავიწყდა ჩემი გარეგნობა, — დამავიწყდა საერთო ყველაფერი, უკვე ლოგინზე ვიჯექი და ხელი გავიწოდე მწვანე რეესტრისაკენ. ჰუგომ ფოლიანტი გადმომცა.

— აქ შეტანილია ყველა, ვინც იატაკქვეშეთში იმალება და ვისაც პოლიცია ეძებს. — თქვა მან. — აი შენთვის სამუშაო. უახლოეს დღეებში ყველა გვარი გადაწერე.

— ჰუგო!... — აღფრთოვანებით წამოვიძახე მე. — ღმერთო, როგორ მოახერხე ამის ხელში ჩაგდება?

— აბა, აბა, — თავდაჭერილად მიპასუხა ჰუგომ, — ხომ გითხარი: ჩემი ძველი მეგობრის წყალობით. მათი წყალობით, რომლებიც ჩვენ გვითვალთვალებდნენ უმუშევართა დემონსტრაციებსა და გაზეთების გავრცელების დროს, ხოლო ახლა ისინიც მზად არიან საკუთარი ხელებით დაგლიჯონ გერმანელები, ჩვენი ნავსადგურის დანგრევის გამო, და, მაშასადამე, ცოტათი უფრო დამყოლები გახდნენ...

ისე ჩავბღუჯე ხელში რეესტრი, როგორც ძუნწმა ფულით სავსე ტომარა.

— წადი, ჰუგო, — მტკიცედ განვაცხადე მე. — ახლავე ავდგები. უკვე კარგად ვარ და საქმეს შევუდგები.

ჰუგო სკამიდან მორიდებულად ადგა, საჩვენებელი თითი გაიშვირა და თქვა:

— საქმეს შეუდექი, მაგრამ იცოდე, რომ საღამოს ამ წიგნს თან წავიღებ, თივის ქვეშ.

გვარების გადაწერას შევუდექი, მართლაც, წიგნი ღამღამობით ჰუგოს მიჰქონდა ფარდულში, დილით კი ისევ ვაგრძელებდი მუშაობას. არ ვიცი, თბილ ხალათში გახვეულმა ჯერ კიდევ ავადმყოფმა ჩემი სხვენის ოთახში რამდენი დრო გავატარე უამრავი ჩემთვის ნაცნობი და უცნობი გვარების გადაწერაში — ფრანსისა და რულანტის, ფლორისა და ტომის, და. რა თქმა უნდა, ჰუგოსიც, ჩემი ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ მაგონდებოდა, როცა გადაწერას ვწყვეტდი: საფეთქლებში რაღაც მირტყამდა, წელში მამტვრევდა და თავი მიბრუოდა, ყელში გულისრევა მაწვებოდა. მაგრამ ვგრძნობდი სიამაყესა და სიხარულს, შინაგან კმაყოფილებას — ავადმყოფობის

მიუხედავად, მე ხომ რაღაცას ვაკეთებდი, რაც ოკუპანტებს ზიანს მიაყენებდა.

უკვე მესამე დღე გადიოდა, რაც ჰუგომ პოლიციის რეესტრი ჰომიტანა, ჩემ მაგიდაზე ნელ-ნელა იზრდებოდა ამოწერილი გვარებით გავსებული ქაღალდების დასტა. საქმის დასასრულს ვუახლოვდებოდი, რაც უფრო ზრდიდა ჩემ გულმოდგინებას. ისეთი დაძაბულობით ვმუშაობდი, რომ ის ხმებიც კი ვერ გავიგე, რომელიც სახლში და ეზოში გაისმა. ნასადილევს სიწყნარე იყო, მაგრამ ჩვეულებრივ სიწყნარეს ყურადღებას არ ვაქცევდი. მხოლოდ მაშინ მივაყურე, როცა ქვემოდან მომესმა, თითქოს გერმანულად ლაპარაკობდნენ, სწრაფად ავდექი, მუხლები მიკანკალებდა... მაგრამ არა მარტო ყბაყურის შემდგომი სისუსტისგან. სამზარეულოს კარების გაღება გავიგონე, მერე ჩემამდე კარლინის ხმამ მოაღწია. სასოწარკვეთილმა ქაღალდებს გადავხედე, სწრაფად ჩავალაგე ისინი რეესტრში, ქათქათა თეთრეულიანი ლეიბი ავწიე, და საპოლიციო რეესტრი ქვეშ შევდევი. თავი თავსაფრით წავიკარი და ხალათიანად შევ წექი ლოგინში. ქვევით, სამზარეულოში გერმანელთა მყვირალა ხმები და სიცილი ისმოდა; ეს მათი ტიპიური, მოჩვენებითი, უხეშობაში შერეული მხიარულება იყო.

—Was ist da oben?[1]

გავიგონე როგორი შიშით წარმოთქვა კარლინმა:

— ავადმყოფია... Krank...[2]

ვიღაცამ სხვენზე ამოსასვლელი ქვემო კარები ძლიერად მოსწია. კიბეებზე ჩექმების ბრახუნმა საბრალო თავი ამატკივა; ოფლად დავიღვარე.

ვიღაცამ, ალბათ, ფეხი ჰკრა ჩემ ოთახის კარს და გააღო. ჩაჩქანები დავინახე. ეჭვს გარეშე იყო, რომ ესენი გერმან გერინგის დივიზიიდან იყვნენ! შემოწმება, შემოწმება... მაშასადამე, მათ მეგოსტნის სახლამდეც მოაღწიეს. დავინახე, თუ როგორ გამოჩნდა ზღურბლზე ერთ-ერთი გერმანელი. მის უკან, რამდენიმე საფეხურის ქვემოთ მეორე იდგა, ავტომატები, აირწინაღები, ორდენების ბაბთები ღილკილოებში... ყველაფერი წესის მიხედვით იყო. უძრავად ვიწექი.

გერმანელი ცივი და გამომცდელი თვალით მათვალიერებდა. ადგილიდან არ ვიძროდი.

---

[1] რა არის იქ, ზევით (გერმ.).

[2] ავადმყოფი (გერმ.).

—Krank?

— არ შეიძლებოდა მისთვის მეგრძნობინებინა, რომ გერმანული ვიცოდი.

— ავად ვარ... — ჩავილაპარაკე ხრინწიანი ხმით.

— Was hat sil?[1]—დაიყვირა კიბეზე მდგარმა ვაჟბატონმა,— Bekommt sie ein Kind ober was?[2]

და თავის ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა.

— Was haben sie?[3]—მკითხა გერმანელმა კარიდანვე.

ერთი ხელი გამოვყავი საბნიდან და ჩემი გასიებული ლოყა ვაჩვენე. მერე გაჭირვებით წავილუღლუღე რაღაც, თითქოს პირის გაღება მიჭირდა. გერმანელი, ეტყობა, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— Mumps... Zeigenpeter![4]—უთხრა მან მის უკან მდგომს და იმ წუთში მესამე ხმამ ქვემოდან ამოსძახა:

— Wo bleibt ihr? Was gibt's dort?[5]

კიბეზე მდგომმა ვაჟბატონებმა ერთხმად უპასუხეს:

— Krankes Mädel... Mumps hat sie...[6]

ქვემოთ ვიღაცის უხეშმა ხმამ სწრაფად და აღშფოთებით წარმოთქვა:

— Mumps?.. Aber das ist ja ansteekedd! Verdammt noch mal! Kcmmt hinunter, Fölpel! Die steckt uns die ganze Rootte an! Dalli, dalli! Heraus aus'm Unglückshaus![7]

კიბეზე მდგომნი უკვე მარჯვნივ ზურგისაკენ შებრუნდნენ. მათი ჩექმების ბაკუნი და გააფთრებული ღრიალი — თითქოს გამოქვაბულის ადამიანები დათვზე სანადიროდ გამოვიდნენო — მტკივნეულად მივლიდა თავში... გაშტერებამ და შიშმა, რაც გერმანელების გამოჩენამ გამოიწვია ჩემში, გამიარა. ამის ნაცვლად ისეთმა კანკალმა ამიტანა, რომ კბილს კბილზე მაცემინებდა. მხოლოდ ახლა უცებ გამახსენდა, რომ ჩემი ლაბადა კარების პირდაპირ ეკიდა და

---

1 რა სჭირს? (გერმა.).

2 ბავშვს ელოდება, თუ რა? (გერმ.).

3 რა გჭირთ? (გერმ.).

4 ყბაყურა!.. (გერმ.).

5 სადა ხართ? რა არის მანდ? (გერმ.).

6 ავადმყოფი ქალიშვილია... ყბაყურა აქვს... (გერმ.).

7 ყბაყურა... მაგრამ ეს ხომ გადამდები ავადმყოფობაა! ფუი, დალახვროს [illegible]! ჩამოდი ძირს, ხეპრევ! ის თითქმის მთელ ჩვენ ასეულს გადასდებს! [illegible], ჩქარა! შორს ამ საშინელი სახლიდან (გერმ.).

ჯიბეში რევოლვერი იდო. გერმანელები საწოლთან რომ მოსულიყვნენ იმის შესამოწმებლად, ავადმყოფობას ხომ არ ვიგონებდი, მაშინ შესაძლებლობა არ მექნებოდა იარაღი ამეღო. ნებისყოფა დავძაბე და, როგორც იქნა, დავმშვიდდი.

მაგრამ, ნამდვილად არ ვიცოდი, მეცინა თუ მეტირა. კიდევ კარგი, რომ ხუთის წუთის შემდეგ კარლინი ჩემთან ამოვიდა. იგი საშინლად იყო გაფითრებული.

— წავიდნენ... — ძლივს თქვა მან, და ჩემი საწოლის ცვერდით მოწყვეტით დაჯდა სკამზე. — მადლობა ღმერთს, ველოსიპედებით მოკურცხლეს, ცოფიანებივით. იანს კი, რომელიც ბოსტანში მუშაობდა, ათასნაირ სისაზიზღრეს ეძახდნენ... ღმერთო ჩემო, რა მოხდა აქ?

— სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა შენთვის. — ვუპასუხე და ვიგრძენი ლეიბქვეშ ამოდებული ქვასავით მაგარი პოლიციის რეესტრი. — ჰუგო სადღაა?.

— ზაანში წავიდა დილით. — მიპასუხა კარლინმა.

—მადლობა ღმერთს, — ამოვისუნთქე, შვებით. — როგორ აღმოჩნდნენ ისინი აქ?

— სრულიად მოულოდნელად. ეზოზე გავლით მიდიოდნენ ველოსიპედებით და სამზარეულოს ფანჯრებთან ჩამოხტნენ... — ამიხსნა კარლინმა. — შენი გაფრთხილებაც ვერ მოვასწარი, მაგრამ წარმოდგენა არა მაქვს, რატომ მოკურცხლეს ასე სასწრაფოდ.

ვუამბე, რაც მოხდა, მას თვალები გაუფართოვდა და უნდობლად შემომხედა.

— აი, თურმე რა ყოფილა... მაშასადამე, გვიხსნა მათმა შიშმა გადამდები სნეულებისადმი.

— სწორედ აგრეა-მეთქი, — დავემოწმე.

— ბედმა გაგვიღიმა, — თქვა კარლინმა და შვებით ამოისუნთქა.

— დიახაც, ბედმა გაგვიღიმა.

მარცხიანი თავდასხმა

გაზაფხულდა. სილახვავების ზონაში თავდაპირველად თითქმის ვერც ვამჩნევდი გაზაფხულის დადგომას, ვიჯექი სხვენზე და პოლიციის რეესტრიდან ვიწერდი გვარებს. ოთხ კედელს შორის მოხრილი ჯდომა არც თუ ისე უწყობდა ხელს ჩემს გამოჯანმრთელებას. მაგრამ მაინც გამოვჯობინდი. ჰუგომ გაიგო თუ არა გერმანელების

შემოსევა ჩვენ სახლზე, ჯერ შეშფოთდა, ალბათ, გუნებაში აბუეტები და ბოთეები გვიწოდა, მაგრამ, როცა გაახსენდა გერმანელების შიში გადამდებ სნეულებისადმი, დამშვიდდა.

— სწორია, — თქვა მან. — ხშირად გვსმენია ამის შესახებ. სიკვდილივით ეშინიათ ინფექციის... დიახ, სრულიად შესაძლებელია, რომ ამის შემდეგ დიდხანს აღარ გამოჩნდნენ აქ.

და მაინც მაშინვე შევნიშნეთ, რომ ჰუგო უფრო ფრთხილობდა, მეტ დროს თავის ფარდულში ატარებდა. თუ ჩვენთან ერთად იჯდა სახლში, არასოდეს არ სტოვებდა რევოლვერს ფარდულში: მისი შემყურე მეც არ ვიშორებდი იარაღს, თუმცა არავისთვის გამიმხელია ეს.

დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში, ჰუგომ ისევ შეახვია პოლიციის რეესტრი დახეულ ყავისფერ ქაღალდში, და ძველი ფეხსაცმელებივით საბარგულზე მიმაგრებული წაიღო უკან, ეიმეიდენში. ამ დღეს პირველად გამოვედი ჰაერზე. ჩემი გადაწერითი სამუშაო დამთავრებულია! ბოლოს და ბოლოს მეც შევნიშნე გაზაფხული; რუხი, მცენარეულობას მოკლებული სიშიშვლე, თითქოს აღგვილიყო პირისაგან მიწისა. ახლად ამოხეთქილი ბალახი და მისი ჯერ კიდევ შეუმჩნეველი მბზინვარება მზად იყვნენ გარემოს გამოსაცოცხლებლად. იანის ბოსტნის კვლები ჩამუქდნენ; როცა მზე შუბის ტარზე იდგა და სათბურების მინებზე ბრჭყვიალებდა, მეჩვენებოდა, თითქოს ვხედავდი უკუნეთ სიბნელეში, მიწის ქვეშ, გაჟიჟინებულ სატაცურის მოთეთრო ყლორტებს როგორ გამოჰქონდათ კვირტები.

ჰუგო საღამოს, ვახშმობამდე დაბრუნდა შინ. სახეზე მაშინვე შევატყვე, რომ რაღაც უსიამოვნება მოხდა. შეიძლება, ისევ დაიწყო სადმე მოქმედება ზილბერტანეს დამსჯელმა რაზმმა; უკანასკნელ ხანს შურისძიების ცეცხლით ანთებული გერმანელები სიმკაცრეში განსაკუთრებით გაიწაფნენ ჩვენს მიდამოებში. ჩემი ფიქრები უფრო შორს მიქროდნენ... ვინ იცის, იქნებ დაუნოსა გერმანელთა დაზვერვამ; რომ მე... ვაითუ, ჩემ მშობლებს და ივდითს რამე აუტეხეს... ვინ იცის. ჰუგოს ცისფერი თვალების მკაცრმა შემოხედვამ მაშინვე შეწყვიტა ჩემი ფიქრების დენა. თავის დაქნევით მანიშნა, ბილიკზე გავყოლოდი.

— ღვთის გულისათვის, რა მოხდა, ჰუგო? — ვკითხე მაშინვე, როგორც კი სახლს გავცდით.

— იანი, ედი და ტომი ბორანზე დააპატიმრეს, — პირდაპირ მითხრა მან.

ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ვიყავი. ვიგრძენი, რომ ფეხზე დგო-

შა აღარ შემეძლო, კბილები ამიკაწკაწდა; ალბათ, მთლად გავფითრდი, რადგან ჰუგოს შეეშინდა, ხელი შემაშველა და შემაკავა.

— ღმერთო ჩემო, რა მოგვიდა? — უმწეოდ წამოიძახა მან,— ცუდად ხარ, ხანა?

— ძალზე მოულოდნელი იყო, — წავიბუტბუტე. — არაფერია.. გაივლის... ყველაფერი მიამბე.

ჰუგომ ერთხელ კიდევ შემომხედა დამნაშავესავით და ვიგრძენი, რომ ძალიან ფრთხილად დაიწყო თხრობა. ჰარლემის წინააღმდეგობის ჯგუფს თურმე კვლავ დაუწყია შურისძიების აქტების განხორციელება. მართლაც, სისულელე იყო, რომ ამხანაგებს ასე დიდხანს მოუხდათ უმოქმედობა. ამბობდა ჰუგო; ყველა გაახარა პარტიის ინსტრუქტორის გადაწყვეტილებამ. ფრანსმა ცენტრალურ ელექტროსადგურზე თავდასხმის ახალი გეგმა შეიმუშავა. ამავე დროს, ტომმა, იანმა და ედიმ ბენტფელდის მუნიციპალიტეტის შენობიდან გაიტაცეს სასურსათო ბარათებისა და პირადობის მოწმობების ბლანკების მთელი დასტა და განზრახული ჰქონდათ გადაეტანათ კენემერლანდის წინააღმდეგობის ჯგუფში. მაგრამ იმ ბორანზე, რომლითაც ისინი გაემგზავრნენ, აღმოჩნდა გერმანელთა პატრული. ედის უნდოდა საბუთებიანი ჩემოდანი არხში გადაეგდო, მაგრამ ვიღაც სამოქალაქო ტანისამოსიანმა ვაჟბატონმა, რომელიც ბორანზე იყო, გერმანელთა დაზვერვა გააფრთხილა. ორ წუთსაც არ გაუვლია, რომ სამივე პოლიციის მანქანაში ისხდნენ ხელდაბორკილები. ედიმ გასროლა დააპირა, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა; ტომი და იანი დაიბნენ.

— სამივე აღნიშნულია პოლიციის რეესტრში, — შევნიშნე მე. კარგა ხანს დავბორიალებდით ბუჩქებს შორის, რომლებზეც მსხვილი და წებოვანი კვირტები დაბერილიყვნენ.

— რა ვიღონოთ?.. — ვკითხე, როგორც კი დავძლიე თავს.

ჰუგომ ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელები.

— ისინი ამსტერდამში, ვეტერინხსხანსში სხედან... უნდა გავანთავისუფლოთ.

— თავდასხმა? — ვკითხე მე. — გამოგვივა კი რამე?

დარწმუნებული ვარ ამ დროს მასაც იგივე გაახსენდა, რამაც მე გამიელვა გუნებაში: ერთხელ, ახალწლის დილას დამხმარე პოლიციელთა ფორმაში გადაცმულმა წინააღმდეგობის მებრძოლთა ჯგუფის წევრებმა, ამაოდ სცადეს ვეტერინხსხანსიდან გაენთავისუფლებინათ რამდენიმე დაპატიმრებული ამხანაგი... ჰუგომ შემომხედა, მერე სივრცეს მიაპყრო მზერა, სახეზე კუნთები დაეძაბა, მტკიცე გამომეტყველება მიიღო.

— ამჯერად უნდა გამოგვივიდეს, — მიპასუხა მან.

იან ფერლიმენის სტვენა მოგვესმა: ეს იმის ნიშანი იყო, რომ კარლინმა სუფრა გააწყო, ნელა გავემართეთ სახლისაკენ, ისედაც ცუდი მადა, ჰუგოსთან საუბრის შემდეგ, მთლად დამეკარგა. ჰუგოც ნაძალადევად ჭამდა და ხმის ამოუღებლად იჯდა. იანი და კარლინი ძალას აღარ გვატანდნენ ჭამაზე — საერთოდ კი ძალიან გულუხვები იყვნენ, განსაკუთრებით ჩემი ავადმყოფობის შემდეგ მზრუნველობას არ მაკლებდნენ; თითქოს პატარა ხეისიც კი მიხვდა უფროსების გუნებას და ჩანგლითა და კოვზით ჩუმად თამაშობდა. ჩემი ფიქრები ისევ ჰარლემის შტაბს დასტრიალებს. მეჩვენება, თითქოს ვზივარ დიდ, ბნელ, თამბაქოს ბოლით გაჟღენთილ ოთახში, სადაც გაცვეთილი დივნები დგას და რადიომიმღები ტკაცუნებს. აგერ, იქ ზის ტომი, მერე იანი, იქ კი ედი. ისინი იცინიან, მღერიან, და მუსოლინის დამარცხების აღსანიშნავად ლუდს სვამენ... ღაწვებზე ცრემლები მდიოდა. ყველაზე მეტად ის მწყინდა, რომ ვერ მივიღებდი და არც უნდა მიმეღო მონაწილეობა თავდასხმაში: ძლიერ სუსტად ვიყავი, გარდა ამისა, კარგადაც რომ ვყოფილიყავი, იქ გაცილებით მეტი იყო საჭირო, ვიდრე მიმავალი ველოსიპედიდან სროლა.

ნავახშმევს მე და ჰუგო ისევ გავედით სასეირნოდ. ეტყობა, ჰუგოს უნდოდა როგორმე დავემშვიდებინე, გულახდილი იყო. წინააღმდეგობის საბჭომ აცნობათ, გადაწყვეტილია დაპატიმრებული მებრძოლებისა და მათთან ერთად სხვების განთავისუფლებაო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან უკვე დამყარებულია კავშირი, ყვებოდა ჰუგო, ისინი სავსებით გვეთანხმებიან, რომ მოსამზადებელია ერთობლივი დარტყმა. ტომის, ედის და იანისთვის კი არა — თუ შესაძლებელი იქნება, თავდამსხმელებმა ციხიდან უნდა გაანთავისუფლონ ყველა პატიმარი...

საუბარი არ შემიწყვეტინებია; ვხედავდი, რომ იგი უკვე გატაცებული იყო ახალი ოპერაციით. ვერ წარმომედგინა, როგორ შესძლებდნენ ვეტერინხსხანსის ციხის კარის გატეხას, თუმცა, რა თქმა უნდა, გამეხარდებოდა, თუ ამხანაგები მოახერხებდნენ სიკვდილმისჯილ ადამიანთა დახსნას. მეშინოდა, ჰუგოს შემართება არ გამენელებინა (ჰუგო ყოველნაირად ცდილობდა შეეჩერებინა იგი) ეჭვებით, რაც ალბათ, ჩემი ავადმყოფობის შედეგი იყო. კარგად ვიცოდი, როდესაც ჯანრმთელად ვართ, გაცილებით მეტი შეგვიძლია და მეტის სურვილიც გვაქვს, მივდივართ კიდევაც რისკზე, ყველაფერს ნათლად ვხედავთ და შედეგიც კარგია... ამ წუთს მშურდა ჰუგოს ჯანმრთელობა, ურყევი ნებისყოფა, მისი მხრებისა და მკლავების ძალა...

მალე სრულიად გამოვჯანმრთელდი — ძალიან მინდოდა კარგად ყოფნა, როგორც მოველოდი, ამ დღეებში ჰუგო დიდი ხნით იკარგებოდა. ხანდახან ზოგიერთ ამბავს მიყვებოდა, უფრო ხშირად კი უცნაურად პირქუში ბრუნდებოდა. კუშტად მოკუმული პირი ამჟღავნებდა მის ფარულ გულისწყრომას. მისგან მაინც გავიგე, რომ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ წინააღმდეგობის საბჭოდან. ხერიტ იანს, ფლოორს, ტონის და კიდევ რვა კაცს, ზაანიდან და ჩრდილოეთ ჰოლანდიიდან. ჰარლემი გზავნიდა რულანტს, ჰუგოს და ერთ ახალგაზრდას; გარდა ამისა, კომპარტიას ამსტერდამიდან უნდა გაეგზავნა ათი კაცი. მათ უკვე იზრუნეს თავშესაფარზე ციხის გუშაგისათვის, რომელიც ციხის კარებს ღიას დატოვებდა.

მიიზლაპნებოდა აპრილი. დღეები გრძელი, უღრუბლო და უქმი იყო; დღისით კარლინს ვეხმარებოდი, თუმცა წინანდელივით, არც ახლა შემეძლო მეურნეობის დარგში მიღწევებით დატრაბახება: ჩემი გაფცქვნილი კარტოფილი კამათელს გავდა, ადრინდელივით, როცა დედილო დე მოლს ვეხმარებოდი. ჰუგოს შინ არყოფნისას დღეები უფრო გრძელი მეჩვენებოდა, კითხვას ვერ ვახერხებდი. ჩემდა შეუმჩნევლად, ფიქრები სულ სხვაგან მიმაქანებდნენ, მელანდებოდა კედლები, დერეფნები, რკინის კარები, მორბენალი ხალხი. თითქოს ხელმეორედ განვიცდიდი ჩვენს ყველა ოპერაციას, მაგრამ წარმოსახვა ჩემში სამწუხარო წინათგრძნობას ბადებდა. კარლინი გამომცდელი თვალებით მიყურებდა და ერთხელ მითხრა:

— ჯერ კიდევ ცუდად გამოიყურები.

რაღაც ორჭოფული პასუხი გავეცი; საერთოდ კარგი იყო, რომ კარლინმა ეს მითხრა, ამით მან გამაფრთხილა. თავს მეტი ყურადღება მივაქციე, ძალდატანებით ვსეირნობდი, ვჭამდი, ვისვენებდი. არ მინდოდა ჰუგოსათვის საზრუნავი მომემატებინა, მით უმეტეს, ვამჩნევდი, რომ თანდათან მატულობდა მისი ნერვიული დაძაბულობა— ასე იძაბება ნელ-ნელა შეკუმშული მუშტი.

აპრილის მიწურულში ჰუგოს გუნება გამოუკეთდა. დაძაბულობამ უკლო. ხუმრობდა იანთან, ეთამაშებოდა პატარა ხეისს. სწორედ ამ დროს ბიბის-მა გამოაცხადა, რომ ინგლისმა თავისი ქვეყნის საზღვრიდან მგზავრების გადაყვანა შეწყვიტა და ინგლისში გაგზავნილ ყოველგვარ დიპლომატიურ პაკეტს ცენზურა შეამოწმებდა.

სმენა გავამახვილეთ. ჰუგომ თავი დამიქნია.

— დალახვროს ეშმაკმა, ხანა, მგონი, შენ მაინც მართალი ხარ ინგლისელების მიმართ... თუ ეს სიფრთხილის ზომები დიდ აქციებს არ მოასწავებს, მაშინ მე აღარაფერი მესმის!

აშკარად რაღაც მზადდებოდა და მწიფდებოდა, შეუძლებელი

იყო, რომ ეს არ შეენიშნა ადამიანს, დღე-ღამეც არ იყო გასული, რომ ამას სხვა ცნობა მოჰყვა, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ მთელ დედამიწაზე ახლა არ მოიპოვებოდა ადამიანი, რომელსაც გერმანელების რწმენა შერჩა: ესპანეთმა ნაცისტებს ვოლფრამის მიწოდება შეუწყვიტა, თურქებმა კი გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება — ჰიტლერისათვის აღარ მიეყიდათ ქრომი.

— ვირთხები ტოვებენ ჩასაძირად განწირულ გემს, — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა იან ფერლიმენმა; ჰუგომ და მე აღელვებულებმა უხმოდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი, როგორც ძველმა მებრძოლმა მეგობრებმა...

აპრილის უკანასკნელ დღეს ჰუგო გაქრა.

პირველ მაისს ჩვეულებრივზე უფრო ვნერვიულობდი. მთელი სიმშვიდე და ძალ-ღონის სიჭარბე, ვითომ რომ მოვიკრიბე, უცებ დავკარგე. სასეირნოდ გავედი, მაგრამ იძულებული გავხდი გზის პირას ჩამოვმჯდარიყავი, რადგან უცებ ვიგრძენი, რომ სიარული აღარ შემეძლო. სახლში გაოფლიანებული დავბრუნდი. ძლივს ავაღწიე ჩემი სხვენის ოთახში და ცრუმორწმუნე მოსწავლესავით თითებზე დავიწყე მკითხაობა. რევოლვერი გავტენე და დავიფიცე, ჩემი ხელით შუბლში ვესვრი ტყვიას გამცემ ლაგეს, თუ გავიგე, რომ თავდასხმამ შედეგი არ გამოიღო და წინააღმდეგობის მებრძოლები კი დაპატიმრებული არიან-მეთქი, საწოლზე გავიშოტე და ვკანკალებდი შიშისაგან, რომელიც კვლავ დამეუფლა. ეს აუტანელი იყო. წამოვხტი, სარკის წინ დავდექი და ცივი, ზიზღით სავსე მრისხანე საბრალმდებლო სიტყვა წარმოვთქვი. „ჰე, ნერვებმოშლილო სულელო, ცრემლებს აფრქვევ და ცახცახებ. ნუთუ ეს შენ ხარ, ამაყი, უვნებელი ხანას.?“

სახეაფორაჯებული, ხშირ წაბლისფერკულულებიანი ქალიშვილი გაბრაზებული შემომყურებდა სარკიდან.

„ რას იფიქრებს იგი შენზე, უცებ რომ შემოვიდეს და ასეთ მდგომარეობაში გნახოს?“ — მკითხა ქალიშვილმა სარკიდან. მისმა სიტყვებმა უცებ გამომაფხიზლა. სარკეს მოვშორდი, პირი დავიბანე, საწოლზე დავწექი და ხელები თავქვეშ ამოვიწყვე. უკვე დავმშვიდდი და შემრცხვა. ჰუგოსი შემრცხვა.

შევნიშნე, რომ ამ წუთებში მხოლოდ ჰუგოზე ვფიქრობდი... ღამეც მშვიდად გავატარე, თუმცა ჰუგო არ დაბრუნებულა და შემეძლო ადვილად მივცემოდი სასოწარკვეთილებას, ეჭვებსა და ცუდ წინათგრძნობას. მეორე დილით იანი და კარლინი, რომლებმაც მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ჰუგო „საქმეზე“ წავიდა, თვალს მარიდებ-

დნენ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მორიგი ოპერაციის შემდეგ ჰუგო შინ არ დაბრუნებულიყო.

მხოლოდ სადილობის წინ მოვკარი ჰუგოს თვალი. იგი ველოსიპედით დადიოდა ეზოში. თვალთ დამიბნელდა. კარლინი ჩემ გვერდით ბაკანთან იდგა და ბავშვის საცვლებს ავლებდა წყალში. მან სველი ხელები მტაცა და დამიჭირა, რომ არ წავქცეულიყავი.

— დალახვროს ეშმაკმა!.. — ჩავიბუტბუტე მე, ისე გავბრაზდი, კბილი კბილს დავაჭირე. კართან მივედი, სწორედ ამ დროს ჰუგო კედელთან აყენებდა ველოსიპედს. ვხედავდი მის ზურგს, ტყავის ქურთუკს, სპორტულ ფეხსაცმლიან პატარა ფეხებს, ბრწყინვალედ იცოდა, რომ კარებში ვიდექი, მე ამას ვგრძნობდი. მივხვდი, რომ არ უნდოდა შეხვედროდა ჩემს კითხვად ქცეულ მზერას. კარგა ხანს უხლაფორთებდა ველოსიპედს ყოველგვარი საჭიროების გარეშე. როგორც იქნა, შემობრუნდა ჩემკენ. შემეშინდა და მისკენ გავიქეცი. გაფითრებული, გაუპარსავი და გამხდარი იყო.

— ჰუგო, მარცხია!? — წამოვიყვირე მე.

თვალები მომაპყრო; გამოხედვა პირქუში ჰქონდა. მასში გამოიხატებოდა სასოწარკვეთილება, საკუთარი ღირსების შეურაცხყოფა, უსიტყვო რისხვა. ეჭვი არ იყო, თავდასხმა მარცხით დამთავრდა! ჩემ წინ იდგა ცოცხალი და უვნებელი ჰუგო, ტანჯვისა და მწუხარების განსახიერებად ქცეული. პირად დამარცხებას არ შეეძლო ასე დაებნია იგი. კარგად მესმოდა მისი. მომინდა რაიმეთი მაინც დამემშვიდებინა ჩემი ამხანაგი, რომელიც ასე მძიმედ განიცდიდა ჩვენს დამარცხებას. მივვარდი და გადავეხვიე. იგი უხმოდ და გაკვირვებით დამაცქერდა, გამხდარი სახე უფრო გაუფითრდა. დავიბენი და მაშინვე ვუსაყვედურე ჩემ თავს ეს საქციელი. ჰუგომ ხელები გამიხსნა და ნელა ჩამოიღო მხრებიდან.

— დიახ... — ძლივს წარმოთქვა მან, თითქოს ახლა შესძლო ჩემ წამოძახილზე პასუხის გაცემა. — მარცხია და მერე როგორი!

მისი ხელისათვის მაგრად მქონდა ხელი ჩავლებული. მერე ძალით წავიყვანე ვერანდის ქვეშ, ჩვენი ძველი სკამისაკენ, ფანჯარაში კარლინის სახე გამოჩნდა; ეს ნიშნავდა სადილზე მიპატიჟებას — თითქოს ეს ყოფილიყოს ახლა მთავარი! მოუთმენლად ავუქნიე ხელი მას. ხელებში თავჩარგული იჯდა ჰუგო. მეც დავჯექი. ვუცდიდი.

დიდხანს ვისხედით უხმოდ, მერე დაიწყო ლაპარაკი. თეფშების, დანებისა და ჩანგლების მონოტონურ წკარუნში, ხეისის სიცილსა და ყვირილში ვუსმენდი ჰუგოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მონათხრობს, იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა ჯგუფის დავალება, როგორ ხდებოდა ციხეზე თავდასხმა.

...ოცდაათ აპრილს წინააღმდეგობის მებრძოლნი სარფატისტრა-ატის ქუჩაზე, ერთ სახლში შეგროვდნენ, სადაც ხერიტ იანი და მისი შტაბის წევრები ციხის გეგმაზე დახრილნი ინსტრუქციას აძ-ლევდნენ მათ. ზოგ ამხანაგს ეძინა, ზოგი იჯდა და ეწეოდა, ვიდრე კოშკის საათმა დილის ოთხი საათი არ დარეკა: კომენდანტის საათი დასრულდა. ყველანი ქუჩაში გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ჰუგო ერთ-ერთ ჯგუფს მიუძღოდა; ფლოორი რაზმის ბოლოში მიდიოდა; მას ევალებოდა ხელში ჩავარდნილი მტრების განადგურება. ციხის გარეთა კარი ღია იყო. ციხის დარაჯმა, რომელმაც ასეთი მნიშვნე-ლოვანი სამსახური აღმოუჩინათ, მაშინვე შეაფარა თავი კონსპირა-ტიულ ბინას, რომელიც ამსტერდამში გამონახა მისთვის წინააღმდე-გობის საბჭომ. იცოდნენ, რომ ციხის შენობაში ოცდაათამდე ესე-სელი უნდა ყოფილიყო; დაუბრკოლებლად შეეიდნენ წინა ეზოში, იქიდან კი ქვის წინაგარდაში და 'დერეფნების' განშტოების ცენტრში მოხვდნენ. —ეზოში ყველა მებრძოლმა ფეხსაცმელების ზემოთ შა-ლის წინდები ჩაიცვეს, ჰუგოს გარდა, რომელსაც სპორტული ფეხ-საცმელები ეცვა. („ამ ფეხსაცმელებით კატაზე ფრთხილად შეგიძლია მიეპარო რამეს, ხანა!"). ამ დრომდე ყველაფერი რიგზე მიდიოდა. დერეფნებში ძე-ხორციელი არ ჰაჰანებდა. ერთ-ერთ საკანში ვიღაც ყრუდ და გაბმით ახველებდა. თავდამსხმელებმა ნიღბების გაკეთება დაიწყეს. ეს საქმე დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ უცებ დერე-ფნის ერთი რუხი კარიდან ციხის ჰოლანდიელი გუშაგი გამოჩნდა. შემოსევა რომ დაინახა, შეჩერდა, დასაყვირებლად პირი დააღო, მაგრამ უცებ ჰუგომ ქეჩოში სტაცა ხელი, ერთი ხელით პირი მოუ-კუმა, მეორეთი კი რევოლვერი მკერდქვეშ ჩაარტყა. წინააღმდეგო-ბის ჯგუფის მებრძოლები გუშაგს თოჯინასავით ხელიდან ხელში გა-დასცემდნენ ერთმანეთს, ვიდრე ფლოორამდე მიაღწევდა, რომელ-მაც იგი გათოკა და პირი დაუცო... ადრინდელივით გამეფებულიყო დაძაბული და მოულოდნელობით სავსე სიჩუმე... უცნაური ბინდ-ბუნდი დერეფნის შეთეთრებულ კედლებს შორის... კარის წინ, საი-დანაც გუშაგი გამოვიდა, ხერიტ იანი და ჰუგო შეჩერდნენ. მათ ერთმანეთს გადახედეს და ხერიტ იანმა კარი გააღო. ოთახს ძლივს ანათებდა ჭერთან ჩამოკიდებული ნათურა. მოცისფრო ბინდბუნდ-ში რამდენიმე მამაკაცის ფიგურა გამოისახა. ერთი მათგანი ფეხზე წამოხტა. ჰუგო სწრაფად მიიჭრა მასთან და ხმადაბლა უთხრა: „ხე-ლები მაღლა! კრინტი არ დასძრა"! ყველამ მორჩილად ასწია ხელე-ბი. ხერიტ იანმა ხელის დაჭნევით უბრძანა: „გამოდით!.." ამათაც

შშვიდობიანად მიაღწიეს ფლორთან და ზაანის რაიონის ჯგუფის ამხანაგებთან — საიმედოთა ხელში მოხვდნენ... ისევ სიჩუმე, ტანისამოსის მსუბუქი შრიალი, შალისწინდებიანი ფეხსაცმელების ყრუ ხმა, რომელიც დერეფანში მომდევნო კარისაკენ მიემართებოდა... კარის ზედა ნაწილში შუშა იყო ჩასმული, რომელზეც ტიულის ფარდა ეფარა. რა უნდა იყოს იქ? ხერიტ იანი რამდენიმე წამს იხედება შიგ... თითქოს არავინაა, ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ესესელი... ტონი და რულანტი სიფრთხილისათვის კართან დარჩნენ გუშაგებად, დანარჩენებმა გზა განაგრძეს, გვერდით დერეფანში. ხერიტ იანი შეჩერდა, ჰუგოს და კიდევ ერთ ამხანაგს თავის ჯგუფიდან ანიშნა მასთან მისულიყვნენ. ღია კარიდან სინათლე გამოდიოდა. როგორც ჩანდა, საკანი არ იყო. უფრო ახლოს მიეპარნენ. არავითარი ხმა, მხოლოდ ვიღაცის ოხვრა ისმის, თითქოს რაღაც ცხოველი ფრუტუნებს. ჰუგო და ხერიტ იანი ერთდროულად იხედებიან ოთახში: ტყავგადაკრულ დივანზე მაგიდის გვერდით ესესელს სძინავს.

ამხანაგები სამხედრო საბჭოს აწყობენ. იქნებ ესესელს სიკვდილმისჯილთა საკნების გასაღებები აქვს? ცოცხლად უნდა დავიჭიროთ. რომ მოვკლათ, სროლაა საჭირო. სროლა არ შეიძლება: ეს მარცხის ნიშანი იქნება, იმის ნიშანი, რომ გაქცევაა საჭირო... ფლორი მოიხმეს. ფლორი ამბობს: „საკუთარი ხელებით მოვუგრეხ კისერსო". (— შენ ხომ იცი, ხანა, რა ძლიერი ხელები აქვს ფლორს!...), ფლორი ესესელის ოთახში იპარება. ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ მაგიდის ქვეშ რაღაც შეინძრა, ვიღაცის აბურძგნული ჩრდილი გამოჩნდა... ღრენა... ეს ძაღლის თავია, დოგისა თუ ნაგაზისა, მაგრამ აშკარად, სისხლითა და ხორცით ნაკვები. ძაღლის თვალები მწვანე ცეცხლივით ელავს, მაგრამ უფრო საშინელია მისი თეთრ-დაბრეცილკბილებიანი ხახა. ფლორი უკან გადმოხტება, ძაღლი შემზარავი ღრენით ისკუპებს მისკენ. ხერიტ იანი ისვრის და საშინელი ცხოველი ვარდება. ესესელი შეირხა. ხერიტ იანი თავის „ზარბაზანს" სხვა მხარეს უმიზნებს. მომდევნო სამ ტყვიას გერმანელს ესვრის. იგი დივანზე ძვლებით სავსე ტომარასავით გდია. განგაში ციხეს მოედო. დერეფნებიდან ოთახში მოისმის ყრუ გუგუნი. თითქოს ხალხი კარს უბრახუნებს. გაურკვეველი მხრიდან გაისმის ხმები- წუთიერი და მტანჯველი დაბნეულობა. ხერიტ იანი თავის მებრძოლებს უკან, შიდა ეზოსკენ უბიძგებს: „გაიქეცით აქეთ მოდიან"... ჩვენები იარაღმომარჯვებულები გასასვლელისკენ გარბიან. ამ დროს კი გადამკვეთი დერეფნის მოსახვევიდან განგაშის ხმა მოისმის. ისმის ჩვეულებრივი გინება, წყევლა, ჩექმების ბრაგუნი; საგუშაგო შენობიდან გერმანელების მთელი ხროვა

გამოცვივდა. ავტომატის პირველი ჯერი სეტყვასავით აცვივათ წინააღმდეგობის ჯგუფის მებრძოლებს. ამხანაგები ადგილზე გაქვავდებიან. მერე ისინიც იწყებენ სროლას. ესესელები უკან იხევენ. წინააღმდეგობის მებრძოლები ერთბაშად აღებენ შიდა ეზოში გამავალ კარებს. ეზოში გათოკილი და პირში ჩვარჩადებული ციხის გუშაგები დგანან. ფლორი მათ დერეფანში შეაგდებს ჩვენებსა და ესესელებს შორის, რომლებიც თავდამსხმელებს ისევ მისდევენ. ესესელები მეორეჯერ ისვრიან. რამდენიმე კაცი დაჭრილია, მაგრამ არავინ მომკვდარა, ყველანი ფეხზე დგებიან. ციხის გუშაგების დერეფანში შეგდება ცოტა ხნით შეფერხებას იწვევს, — ხანმოკლეს, მაგრამ ძვირფასს; ესესელები წინ მიიწევენ და თავქუდმოგლეჯილი მორბიან, მაშინ, როცა ჩვენები კედელზე გადადიან. ფაშისტები მესამე ჯერად ისვრიან. ფლორი და ტონი ჰუგოს გვერდით ეცემიან, ჰუგო მათ ფეხზე წამოაყენებს, მიჰყავს კედელთან და მათ გადაძრომაში სხვები შველიან; ჰუგო კიდევ ერთხელ იხედება ირგვლივ, და ხედავს, რომ ერთი ამხანაგი მიწაზე გდია. ჰუგო სროლით ბრუნდება უკან, მასთან ერთად კიდევ სამი-ოთხი კაცი ისვრის — კომუნისტები და წინააღმდეგობის საბჭოს წევრები. ჰუგო სწრაფად იხრება დავარდნილი ამხანაგისკენ, ეს ხერიტ იანია. იგი ცოცხალია და იდაყვებზე წამოიწევს. ჰუგო ამხანაგებს ეძახის: „დააკავეთ ისინი კიდევ ერთი წუთით... ნახევარი წუთით". ხერიტ იანს კედლისაკენ მიათრევს. კიდევ ათი-ოცი წამი. საგუშაგოზე მდგომი ამხანაგები ასწევენ მას და კედლის იქით გადასვამენ. ჰუგო სროლას განაგრძობს. მის გვერდით კიდევ ვიღაც ისვრის. განთიადისას — სინათლეზე ვერ ამჩნევს, რომელია. ესესელები ისევ უტევენ. ისინი უკვე შიდა ეზოში არიან. ჰუგო და უცნობი ამხანაგი გარბიან და კედელზე გადაძვრებიან. ქუჩა. ხალხი არ ჩანს. ვიღაც მიდის ველოსიპედით, რომელიც მოკუზულა და ფეხებს ძლივს ანძრევს. ჰუგო მაშინვე სცნობ ხერიტ იანს. უცნობი ამხანაგი თავს უქნევს და გაუჩინარდება. ჰუგო მიიჩქარის, რომ ლეიდენის რაიონის შესახვევებს შეაფაროს თავი. კოშკის საათი ხუთჯერ რეკავს. ციხეზე თავდასხმა მარცხით დამთავრდა.

ტომი, იანი და ედი ისევ სხედან სიკვდილმისჯილთა საკანში.

იმ დილით ჰუგო ერთი დურგლის ეზოში ფიცრებსა და ცემენტის ტომრებს შორის იმალებოდა, იცდიდა, სანამ ქუჩაში ხალხი არ დაიწყებდა სიარულს. თავის ჯიბეში იპოვა კარგი სიგარეტის შეკვრა, რომელიც მაგარი მწეველი ედისთვის ჰქონდა შემონახული. იმ დღეს იგი ამსტერდამში დარჩა. საღამოს კი ზაანის რაიონში წავიდა. დედილო დე მოლთან შეიტყო, ფლორი და ტონი დაჭრილი არიანო.

მათ კონსპირატიულ ბინას შეაფარეს თავი: ფლორს თეძოს ძვალი გაუხვრიტეს, ტონი კი მხარში იყო დაჭრილი. ჰუგომ ერთი ღამე საბაყლო დუქნის სხვენზე გაატარა.

და, აი, ის ისევ-აქ არის, უვნებელი, მაგრამ იმედგაცრუების, გააფთრებისა და შურისძიების ტანჯვით გაწამებული. სიგარეტის შეკვრა ისევ გაუხსნელი უდევს პალტოს ჯიბეში. ტყავის შიდა ჯიბეში, რომელშიც თავის რევოლვერს ინახავს.

მელას ხრიკები

ჰუგომ ჩქარა დასძლია სულიერი შფოთვა და სისუსტე. მეც საქმისკენ მივისწრაფოდი. მცირე თავბრუხვევის მიუხედავად, ვგრძნობდი, ყოველგვარი დავალების შესრულება შემეძლო. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ჰუგომ მითხრა:

— ჰარლემის შტაბში წავიდეთ, იქ რაღაც მზადდება.

იმ მაისის დღეებში ქარ-წვიმიანი ამინდი იდგა. თითქოს ჩვენთან ერთად ბუნებასაც აშფოთებდა ხალხის წინაღმდეგ ჩადენილი ის წარმოუდგენელი ბოროტება, რომელიც ოკუპირებულ ევროპაში ხდებოდა. ძალა არ შემწევს გამოვთქვა ის გრძნობები, რომლითაც შეპყრობილი ვიყავი: მეგონა, მთელ მსოფლიოში ვერ იპოვიდი საკმაო ცეცხლს, ნაცისტური სიბილწე რომ ამოგეშანთა.

ლაბადებში გახვეულები ველოსიპედებით წავედით „ესპანური მუხების“ ბატონების ძველ სახლში. ლაბადის ქვეშ სვიტერი მეცვა, ჰუგოს ძველი ზამთრის პალტო, რჩმელსაც შავი ტყავის შიდაჯიბე ჰქონდა რევოლვერისათვის. მე კი ორმაგი ტილოს ჯიბე დავიკერე ლაბადაზე და, ალბათ, ამით ამოვწურე ჩემი ხელგამრჯეობა. დედაჩემს რომ ენახა, როგორ მივაკერე, ალბათ, თავს გააქნევდა მხოლოდ. ჯიბე თავის მოვალეობას ასრულებდა, ეს იყო მთავარი.

სველი გზა ბრწყინავდა. ჰაერი თითქოს მთელი სიმძიმით დასწოლოდა დედამიწას. ახლადგაშლილი ფოთლები და მათი ნაზი, მომწარო არომატი რომ არა, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, უკვე ოქტომბერი დგასო. ეკანკალებდი.

ველოსიპედები ეზოში შევიტანეთ, მესერთან დავტოვეთ და ბაღის ბილიკს გავყევით... კანკალმა მთლად ამიტანა. ვნერვიულობდი. აი, ხის კარი და ის ნაცნობი ხმა, მისი გაღებისას რომ ისმოდა. მერე უკანა შესასვლელი, უსურვაზის რომანტიკული ტალავერით გადმოხურული... და ჩვენი ოთახი...

ჰუგომ ოდნავ მიბიძგა და კარში პირველი შემიშვა, ოთახში ნახევრად ბნელოდა: ზეცა ღრუბლებს დაეფარა. ფანჯრებს წინა მხრიდან ტოტები ეფარებოდა. ხოლო ოთახში საგნები თამბაქოს ბოლში იყო გახვეული. მიუხედავად ამისა, ვიცანი ვეინანტი, რომლის ფიგურა ფანჯრის ფონზე მკაფიოდ გამოსახულიყო. ის მაშინვე მობრუნდა ჩვენკენ. ფრანსიც იქ იყო, ხოლო მის უკან ერთ-ერთ ძველ დივანზე მჯდარი რულანტი და ჩემთვის უცნობი რამდენიმე მამაკაცი ძლივს ჩანდნენ.

და აი, პირისპირ მდგარნი, ხელის ჩამორთმევითა და ჩვეულებრივი გამოთქმით „როგორაა საქმე?..“ მივესალმეთ ერთმანეთს. ყოველ ჩვენთაგანს მოაგონდა აქედან წასული სამი ამხანაგი, მაგრამ არც ერთს არ დაუძრავს სიტყვა.

თვალი თანდათან შეეგუა ოთახის სუსტ განათებას. ფრანსს ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა, მან ორ ახალბედას წარუდგინა ჩემი თავი: მაღალ, ქერა ჭაბუკს, ოტოს, და გარეგნულად არაფრით რომ არ მიიქცევდა ყურადღებას, ისეთ კაცს, რომელსაც ვიხერი ერქვა. მის სახეზე თვალსაჩინო იყო მხოლოდ ნაცრისფერი ცნობისმოყვარე თვალები. ჰუგო მას ძველი ნაცნობივით შეხვდა, მივხვდი, რომ იგი პირველი მაისის თავდასხმაში მონაწილეობდა.

ექვსი მამაკაცი და ერთი ქალიშვილი. ამჯერად ესენი შეადგენდნენ ჰარლემის წინააღმდეგობის საბჭოს, ყოველ შემთხვევაში, მის ბირთვს, მებრძოლ რაზმს. ამასთან, ჰუგო და მე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნახევრად დამოუკიდებლად ვმოქმედებდით.

რაღაც სევდა, რაღაც ნაღველი იგრძნობოდა ამ შეხვედრაში, თითქოს მოგონებათა საღამოზე, სამგლოვიარო მიტინგზე მოვედით, აშკარა იყო მარტო მე არ მქონდა ასეთი შეგრძნება. რულანტი, რომელსაც ეგონა, ვერ ვამჩნევდი, ცნობისმოყვარეობით მიყურებდა — თითქოს ჩემი გარეგნობით შეეძლო ამოეხსნა, რას ვაკეთებდი და რითი ვცხოვრობდი აქამდე — ფრანსზე არანაკლებ შეწუხებული და მოღუშული ჩანდა; მიხაროდა, რომ ორმა ახალბედამ ოდნავ მაინც გამოაცოცხლა ჩვენი შეხვედრა, ვიფიქრე, ალბათ, ესენი არ იცნობდნენ-მეთქი ჩვენს დაპატიმრებულ ამხანაგებს.

ამ, ჩემთვის კარგად ნაცნობ ოთახში თითქოს უფრო ზრდადამთავრებულად და რაც მთავარია — უფრო გამოცდილად ვგრძნობდი თავს. კარგად მესმოდა, რომ ჩემ ადრინდელ ამხანაგებს ეს უნდა შეემჩნიათ. ოტომ ყველას ჩამოურიგა დასალევი, რომელსაც მხოლოდ სახელად ერქვა ყავა. იგი ცხელი და ტკბილი იყო, ყოველგვარი არომატის უქონლობის მიუხედავად, მაინც ოდნავ გაჰფანტა ჩვენს სულში გამეფებული წყვდიადი და სიცივე.

საუბარი ვერ ავაწყვეთ; იგი მხოლოდ მაშინ გაცხოველდა, როცა ფრანსმა მე და ჰუგოს მოგვმართა:

— იცით თუ არა, რომ ტომი, იანი და ედი ფელზენის ბორანზე ვინმე სამოქალაქო ტანისამოსიანმა ვაჟბატონმა გასცა?

პასუხი არ გამიცია, ჰუგომ კი თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— ახლა უკვე ვიცით, ვინც იყო იგი, — დასძინა ფრანსმა. მის ხმაში გაისმოდა ახალი ნოტები, რაღაც სიმტკიცე, რომელიც გაცილებით უფრო მომეწონა, ვიდრე მორიდებული, გაუბედავი ტონი, როგორითაც იგი აქამდე გველაპარაკებოდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ვინ არის? — სწრაფად იკითხა ჰუგომ. — მე ვიცნობ?

— ძალიან კარგადაც იცნობ და გაოცდები კიდეც, — უპასუხა ფრანსმა, — იგი ფოსლანდერია.

მართლაც, ჰუგო გაოცებით მიაჩერდა ფრანსს, მე კი ვერაფერს მივხვდი, რადგან ფოსლანდერის გვარი ჩემთვის უცნობი იყო.

— მაგრამ, ბევერვეიკელი გერმან ფოსლანდერი ხომ არ არის?.. — უნდობლად იკითხა ჰუგომ.

ფრანსმა, რულანტმა და ახალბედა ვიხერმა ერთად დაუქნიეს თავი.

— ჩვენი „პარტიული ამხანაგი“ ფოსლანდერი, — თქვა რულანტმა და ფეხზე წამოდგა; ეტყობოდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

ჰუგოს აღელვება ფიზიკურად ვიგრძენი. თითქმის ზუსტად ვიცოდი, რა ფიქრები უტრიალებდა ახლა თავში.

— ჭერიც ნუ ღირსებია, მიწაც გახეთქია... — ჩაილაპარაკა მან, და უმწეოდ დაეშვა სკამზე, — დანამდვილებით იცით?

ფრანსმა მრავალმეტყველად რამდენჯერმე დაუქნია თავი.

— დიახ, ისეთი კაცისაგან, რომლის სიტყვაში ეჭვის შეტანა უსაფუძვლოა. სიმონ ბ-საგან გავიგეთ. სამხედრო ტყვეებთან მომხდარი ამბის შემდეგ სიმონი ფოსლანდერთან ფიქტიურ მსახურად მუშაობდა. მოგეხსენებათ, სიმონი როგორი დაკვირვებულია — მას მუშის ნათელი და ფხიზელი ჭკუა აქვს.

ჰუგომ თავი გაიქნია.

— საშინელებაა, — თქვა მან. — ის რომ ფოსლანდერს რაღაც უცნაურად ეჭირა თავი... მაგალითად, მისი ქარაფშუტობა... ყველაფერს იმ ამბავს ვაწერდი, რომ იგი საჭირო საქმიანობას ეწეოდა და ურთიერთობა უხდებოდა ბურჟუაზიასთან... მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ასეთი მიზნებისათვის იღვწოდა!..

— „ამხანაგი“ ფოსლანდერი! — ისევ გესლიანად და მწარედ ჩაილაპარაკა რულანტმა, — „მოკავშირე“ ფოსლანდერი!...

უცებ ჰუგო ადგა, ფრანსთან მივიდა, მხარზე ხელი მოკიდა და შეანჯღრია.

— ალბათ, თავის დროზე, აპელდოორნში ის იყო, რომ ცდილობდა გერმანელთა დაზვერვასთან დაესმინა იატაკქვეშა პოლიტიკური ორგანიზაცია?

— დიახ! — ჩაილაპარაკა ფრანსმა. — სწორედ ის იყო. რის გაკეთებაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც! ლუი ი. და იან დ., რომლებმაც სწრაფად ვერ მოახერხეს დამალვა, დააპატიმრეს იქიდან არც ისე შორს.

ჰუგო ნაბიჯებით ზომავდა ოთახს. მისი მღელვარება ყველას გადაგვედო. ამხანაგები ფოსლანდერზე ლაპარაკს განაგრძობდნენ. ყველა ყვებოდა, რაც იცოდა. მე კი არამცთუ არ ვიცნობდი, გაგონებითაც არაფერი გამეგონა მის შესახებ. თუმცა, რაც ახლა გავიგე, ისიც საკმარისი იყო, რომ ჩემში ზიზღი და შურისძიების მეტი გრძნობა გამოეწვია. გერმან ფოსლანდერი... წვრილბურჟუაზიული წრიდან გამოსული, ხელმოცარული საქმოსანი იყო, რომელსაც, როგორც ჩანდა, სჯეროდა, რომ არაჩვეულებრივი კომერციული ნიჭით დაჯილდოვა ბუნებამ. იგი ამსტერდამიდან ბეევერვეიკში გადადის საცხოვრებლად და სამეურნეო საქონლით სპეკულანტობს... ახალგაზრდობიდანვე ბევრი კომუნისტური პარტიის წევრი იცნობდა. კომუნისტებს თავს კომუნისტად შეატყუებს. თვალში ხვდებათ მისი მეშჩანური ჩვევები: მას ღია ფერის, მყვირალა ტანისამოსი უყვარს, აღმერთებს ჭყეტელა ყვითელი ფერის ხელთათმანებს, დიდ დროს ატარებს სხვადასხვა კაფეებში, ბრიჯის თამაშის მოყვარულ მედუქნეთა კლუბის წევრია. დროდადრო ეხმარება პარტიულ ორგანიზაციას, როცა განცხადებების გამოსაქვეყნებლად ფული არ ყოფნის, რეგულარულად სწირავს ცოტაოდენ თანხას, ესპანეთის დახმარების კომიტეტს და მხარს უჭერს საერთაშორისო მუშათა დახმარებას... მაგრამ თვითონაც არ იცის, დაბეჯითებით რისკენ ისწრაფვის. აშკარად კომუნისტად აღიარება არ შეუძლია და არც უნდა, ეს სახელს გაუტეხდა ბურჟუაზიული კლიენტების თვალში. მხოლოდ ოკუპაციის შემდეგ, თითქოს საბოლოოდ განსაზღვრა თავისი პოზიციები: მალე არალეგალურად დაიწყო ცხოვრება. ეჭვს არ იწვევდა. მისი დიდკაცური მანერები ძალიან გამოდგა კავშირის დასამყარებლად: თებერვლის გაფიცვის შემდეგ, როცა გერმანელები განუსჯელად აპატიმრებდნენ, ვინც ხელში მოხვდებოდათ, ამსტერდამელმა კომუნისტებმა რამდენჯერმე გაგზავნეს იგი გელდერ-

ლანდში სპეციალური დავალებით, სადაც არალეგალურად მოქმედებდა კომპარტიის ხელმძღვანელობა... ამ დავალებებს დამაკმაყოფილებლად ასრულებდა.

— მეტისმეტად ენდობოდნენ, — თქვა ფრანსმა, თითქოს თვითონ კი თავიდანვე იგრძნო მისი გამცემლობა. — რაღა გინდათ? მეტისმეტად დავენდეთ... მაგრამ შარშან შემომდგომამდე თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა... მერე კი ეს ამბავი გამოაშკარავდა.

ჰუგო ისევ დაჯდა: როგორც ჩანდა, გუნებაში კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი გამცემის მთელი ცხოვრების გზას.

— მერე იგი დააპატიმრეს, — ჩაიბუტბუტა რულანტმა, — აქედან დაიწყო ყველაფერი...

— მართალია, — მხარი აუბა ფრანსმა. — ხომ გახსოვს, ჰუგო? შარშან შემოდგომაზე ფოსლანდერი მოულოდნელად წაიყვანეს...

— იგი მალე დაბრუნდა... უვნებელი, თითქოს აქ არაფერიაო,— პირქუშად გამოეხმაურა ჰუგო.

— მართალია, — გაიმეორა ფრანსმა, — აი, რა სისულელეა! რატომ მაშინვე არ ვკითხეთ ჩვენ თავს, რატომ მაინცდამაინც ის გადარჩა უვნებლად, და ასობით სხვები კი ვერა? ისინი რატომ იყვნენ დასახვრეტად განწირულნი, განთავისუფლებულმა ფოსლანდერმა კი ნიკოლოზობა დღეს ისევ კენემერლანდში ამოყო თავი.

ჰუგომ მუშტი შუბლზე მიირტყა:

— ფოსლანდერი... ჰო! ახლა ვიცი; რატომ ვერ მოვახერხეთ მისთვის თვალის დევნება. ჩვენ ვეტერინხსხანსის პირველი თავდასხმით ვიყავით გართული.

არფერი მითქვამს, მაგრამ გავიფიქრე: „ესე იგი, ჰუგოც მონაწილეობდა მასში. ჩემთვის კი არაფერი უთქვამს ამის შესახებ“.

— ძალიან მოუცლელნი ვიყავით, — გავიგონე ფრანსის ხმა. — ამასობაში კი იგი თავის საქმეს აკეთებდა. ცხადია, რაკი მხოლოდ ის დაბრუნდა, ესე იგი, თავი მიჰყიდა მტერს...

— ვის დაებადა ეს აზრი პირველად? — იკითხა ჰუგომ.

— ხომ გითხარი: სიმონ ბ.-ს, — უთხრა ფრანსმა. — უნდა ვაღიაროთ, რომ მას ისეთი ალღო აქვს, რომ შეიძლება შეშურდეს კიდეც ადამიანს... ჯერ კიდევ სამხედრო ტყვეებთან ურთიერთობისას გადაწყვიტა, კარგად შეემოწმებინა ფოსლანდერი. სარისკო საქმე იყო. მან ამსტერდამელი პარტიული ამხანაგებისაგან მასთან წაიღო წერილი, რომელშიც ისინი ფოსლანდერს თხოვდნენ, სიმონი მიეღო თავისთან სამუშაოზე, ხელზე მოსამსახურედ: იმიტომ, რომ, თითქოს, თუ ასე არ მოიქცეოდნენ, სიმონს გერმანიაში გზავნიდნენ შრომითი ვალდებულების მოსახდელად. ფოსლანდერი წამოეგო ან-

კესს. თებერვლიდან მოყოლებული სიმონი ფხიზლად ადევნებდა მას თვალს. ფოსლანდერი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ემუშავა მათთვისაც და სხვისთვისაც: სწორედ ამას მოელოდა სიმონი...

— ესე იგი, ოპერაციამ ზოგიერთი რამ გვასწავლა! — მწარედ თქვა ჰუგომ, — სროლა, თავდასხმები... კომედიის გათამაშება...

წუთით ყველანი გაჩუმდნენ. მერე ფრანსმა დაასრულა თხრობა ცბიერი მელას[1] შესახებ, რომელიც ჩვენ რიგებში იყო ერთადერთი მიზნით — რაც შეიძლებოდა უფრო მოხერხებულად დავესმინეთ.

— ...სიმონს ერთი თვის წინ თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ყოველთვის, როცა ფოსლანდერი „საქმეზე" მიდიოდა ამსტერდამში ან ჰარლემში, გერმანელთა დაზვერვაში შეიკლიდა ხოლმე... უეჭველია, იგი იქ ასმენდა ჩვენს ხალხს და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ მიზეზით შეუნარჩუნეს სიცოცხლე... სიმონი სამჯერ გაჰყვა მის კვალს. უკანასკნელად ფოსლანდერი ფელზენის ბორანით მიდიოდა. სწორედ იმ საღამოს გაიგო სიმონმა, რომ ბორანზე სამი ჰოლანდიელი ტერორისტი დაიჭირეს.

ისევ გავჩუმდით.

— აი როგორი ამბებია... — ჩუმად თქვა ჰუგომ. — კენემერლანდელი ამხანაგები.... არავითარ ზომებს არ ღებულობენ?

ფრანსმა დაცინვით გაიღიმა და თქვა:

— მათ კი აქვთ სურვილი, ალბათ... მაგრამ უკვე გვიანაა, მთელი კვირა გავიდა... იქამდე სიმონმა ვერაფრით ვერ შესძლო დაერწმუნებინა ისინი, რომ ფოსლანდერი ნამდვილად ბანდიტია. სულ ერთი თვის წინ ფოსლანდერმა ხომ მოამარაგა იატაკქვეშეთი სასურსათო ბარათების უშველებელი დასტით... და როცა სიმონი მივიდა კაცთან, რომელიც შესანიშნავად ისვრის, მან უარი განაცხადა ფოსლანდერის ლიკვიდაციაზე და სიმონის წინადადება მასხრად აიგდო.

— რატომ თქვი, გვიან არის, მთელი კვირა გავიდაო? — მოუთმენლად ჰკითხა ჰუგომ.

— იმიტომ, რომ მას შემდეგ ფოსლანდერი გაქრა, — უპასუხა ფრანსმა. — ამსტერდამში გადაბარგდა, როგორც სიმონი ამბობს... მოუხელთებელი გახდა.

— მოუხელთებელი? — ბრაზიანად და უნდობლად იკითხა ჰუგომ. — გაქრა?

— წავიდა. გაქრა, — დაემოწმნენ რულანტი და ფრანსი.

---

1 სიტყვების თამაში! „Yos" — ფოსლანდერის გვარის პირველი მარცვალი ჰოლანდიურ ენაზე სიტყვა „Yos" ნიშნავს „მელას".

როგორც ჩანდა, ჰუგოს კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ აღარაფერი უკითხავს. შევამჩნიე, ცოტათი დამშვიდდა.

— სიმონი ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც მან ტომი, იანი და ედი გასცა, ფოსლანდერი თავს არც ისე დაჯერებულად გრძნობს — უპასუხა ფრანსმა, — როგორც ჩანს, ბევრი იცნობს მას... ჩვენი მელია გაქნილი ადამიანია. ალბათ, უფრო საიმედო ადგილი გამოძებნა.

— შენ ასე გგონია? — თქვა ჩაფიქრებულმა ჰუგომ.

— რა თქმა უნდა... — თქვა ფრანსმა. — შეცდომა დავუშვით, ჰუგო. საბოლოო გამარჯვებამდე მოგვიწევს ლოდინი... სანამ სახალხო ტრიბუნალები არ დაამყარებენ წესრიგს იქ, სადაც ჩვენ დაუდევრობა გამოვიჩინეთ.

ჩაფიქრებული ჰუგო თავს უქნევდა. პირთან ოდნავ შესამჩნევი ნაოჭი გაუჩნდა — უტყუარი ნიშანი იმისა, რომ მის გონებაში რაღაც გადაწყვეტილება მომწიფდა. საუბარში აღარ მონაწილეობდა, თუმცა ცენტრალურ ელექტროსადგურზე ახალი თავდასხმის დაწვრილებით განხილვა დავიწყეთ.

როცა მე და ჰუგო შინ ვბრუნდებოდით, იგი კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული და გულჩახვეული. მხოლოდ ბორანზე, ირგვლივ მიმოიხედა და ჩუმად მითხრა:

— ამრიგად, ხანა, აქ ჩაიდინა თავისი უკანასკნელი საზიზღრობა ამ მამაძაღლმა გამცემმა!

— რამეს გავაკეთებთ? — ისევე ჩუმად ვკითხე ჰუგოს, ბორანის მოაჯირზე მასავით გადახრილმა.

იდაყვს ზემოთ ხელი მომიჭირა და მითხრა:

— სწორედ ამ კითხვას ველოდი შენგან, ხანა, რა თქმა უნდა, რაღაცას გავაკეთებთ, თუმცა ფრანსი ამბობს, არამზადა მოუხელთებელიაო. მოუხელთებელი ადამიანები არ არსებობენ... მასზე ნადირობას დავიწყებთ.

მელაზე ნადირობა

მიიზლაზნებოდნენ პირველი დღეები, იმის მოლოდინში, თუ როდის შეიმუშავებდა ჰუგო ოპერაციის გეგმას. მაგრამ მოწყენილი არ ვიყავი. ახლა ისევ შემეძლო კითხვა, რადგან ვიცოდი, რომ რაღაც საქმე უნდა გაგვეკეთებინა. ვუყურებდი, ბოსტანში როგორ მუშაობდა ჰუგო ფიწლითა და თოხით; შუბლი უნაოჭდებოდა, ხელები დინჯად და დაჯერებულად უვლიდა მიწას. ასე მეგონა, თითქოს ვხე-

დავდი კიდეც, მის თავში როგორ იბადებოდნენ გეგმები, როგორ არჩევდა მათ, აწონ-დაწონიდა და იწუნებდა, ვიდრე არ დაებადებოდა საბოლოო, უფრო მარჯვე.

წიგნებს ვკითხულობდი, ვუსმენდი ინგლისის გადმოცემებს. იმ დროისათვის საბჭოთა ჯარები ძველ საზღვრებთან იყვნენ მისული. მარშალი ტიმოშენკო მილიონიანი არმიით იდგა ბალტიისპირეთში და დასავლეთისაკენ გამანადგურებელი დარტყმისათვის ემზადებოდა. კარგად არ მქონდა წარმოდგენილი, როგორი უნდა ყოფილიყო ასეთი ფრონტი. მე იგი წარმომედგინა ფოლადის ციხე-სიმაგრედ, რომელიც დაუოკებლად მიიწევდა წინ...

ჩვენი ფრონტი კი ისეთი ვიწრო, პატარა და შეუმჩნეველი იყო; იგი მიემართებოდა ჰოლანდიის რამდენიმე მდინარესა და პოლდერებს შორის, სილახვავებსა და გლეხთა დასახლებების უკან. საიდუმლო თავშესაფრებში მიმალული ორი ათასამდე ჰოლანდიელი იბრძოდა მათზე ასჯერ ძლიერ ოკუპანტების წინააღმდეგ. იქ კი, აღმოსავლეთში თავს იყრიდა რკინისა და ცეცხლის უდიდესი ძალა, რომელიც მზად იყო თავს დასტყდომოდა ჰიტლერიზმს ისეთ საშინელ მეხად, რომლის მსგავსი ჯერ არ იცოდა ისტორიამ...

ყველა ქვეყანაში საკუთარი ფრონტია. და ყველას თავისი ვალი აქვს. ვიდრე ნაცისტები განადგურდებიან. ნაცისტებს, ჩვენთანაც კი, ჰოლანდიაში, არ უნდოდათ დანებება და ყოველნაირად ცდილობდნენ თავის დაძვრენას. ისინი უცებ გამოვიდნენ პრესაში, იმუქრებოდნენ და აფრთხილებდნენ ხალხს, რომ მთელ რიგ მკაცრ ზომებს მიიღებდნენ თითოეულის მიმართ, ვინც ხელს გაუმართავდა მათ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ნაპირზე მოკავშირეთა ჯარები შემოიჭრებოდნენ.

— თითქოს ინგლისელები უკვე პეტენსა და ზანდფორტს შორის დგანან! — დაცინვით ამბობდა ჰუგო იმ საღამოს, როცა გაზეთში გერმანული ცნობა წავიკითხეთ. მან ალმაცერად შემომხედა და მკითხა: — ხანა, ალბათ, შენ უფრო უკეთ იცი, მოვლენ ჩვენთან ინგლისელები თუ არა?

გამეცინა:

— ჩემზე არაა დამოკიდებული... შენც ხომ ხედავ, როგორ ეშინიათ გერმანელებს. ტყუილად ხომ არ ღებულობენ ამ ზომებს...

— მართალია, — დაიძახა იან ფერლიმენმა, რომელიც დანით ნამწვავებს აქუცმაცებდა ჩიბუხის დასატენად. — არც ისე კარგადაა მათი საქმე, ჰუგო! ისინი გრძნობენ, რომ გარდუვალი დასასრული ახლოვდება...

— ამას ჩემი ხის ფეხსაცმელიც კი გრძნობს, — სიცილით განაგრძო ჰუგომ.

ისევ ცივი და წვიმიანი ამინდი იდგა. პირველად ვიფიქრე, რომ ჰუგო მზიან ამინდს დაელოდებოდა; ვიცოდი, რომ რამდენიმე დღე არ გვეყოფოდა. მაგრამ ერთ საღამოს მან მითხრა:

— ხვალ მიკდივართ, ხანა. მაგრამ იცოდე, ამ საქმისათვის ერთი კვირა დაგვჭირდება...

მან სასურსათო ბარათები და ფული მაჩვენა:

— გაგვიჭირდება... ყოველ შემთხვევაში, არც ისე ადვილად მოგვარდება ყველაფერი, მაგრამ ვიცი, რომ შენ აიტან.

— როგორ ფიქრობ, სად არის იგი? — ვკითხე თითქმის ჩურჩულით.

— ხვალ გაირკვევა, — მხრები აიჩეჩა ჰუგომ.

მეორე დღეს ველოსიპედებზე რომ ვსხდებოდით, წარმოდგენა არ მქონდა, საით აპირებდა ჰუგო წასვლას, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ასუმბურგი უკან მოვიტოვეთ, გაკვირვებით შევნიშნე, რომ დასავლეთის მიმართულებით მივდიოდით.

— ჰუგო, — ვკითხე მე, — ბეევერვეიკში მივდივართ?

— სწორედ იქ ვაპირებდი წასვლას, — მიპასუხა მან.

— მაგრამ ავაზაკი ხომ წავიდა იქიდან... — წამოვიწყე ლაპარაკი, მაგრამ მისმა ირონიულმა ღიმილმა იმწამსვე გამაჩუმა.

— ის კი წავიდა, მაგრამ მისი ცოლი არ წასულა.

თანდათან გონება გამინათდა.

— აჰა... ძებნა იქიდან გინდა დაიწყო!

ჰუგო არ ჩქარობდა. თითქმის მთლად ჩამძვრალიყო თავის ზამთრის პალტოში, მხოლოდ ფეხები უჩანდა, რომლებითაც სატერფულებს ატრიალებდა. ლურჯი ბერეტი შუბლზე ჩამოეწია. ტუჩის კიდეში ჩამქრალი სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი. მე როგორი შესახედავი ვიყავი, არ ვიცი. ისევ ჩემი საწვიმარი ლაბადით შევიმოსე, შიგნით კი სვიტერი ჩავიცვი. ძნელი წარმოსადგენია უფრო საშუალო და შეუმჩნეველი წყვილი, როგორებიც ჩვენ ვიყავით. ერთ ადამიანსაც არ შემოუხედავს ჩვენთვის. გზაჯვარედინებზე მდგომ ფაშისტთა დამხმარე პოლიციის გუშაგებიც კი, რომლებიც ყოველ გამვლელს ეპვის თვალით უყურებდნენ, არ გვაქცევდნენ ყურადღებას.

ფოსლანდერი ბეევერვეიკის ძალიან გრძელ, მთავარი ქუჩის შესახვევში ცხოვრობდა. ჰუგომ მითხრა გამეელო ამ ქუჩაზე, რომ კარგად დამეხსომებინა ფოსლანდერის სახლი. ეს იყო ბიურგერის კარგი საცხოვრებელი, რომელსაც ზემოთ მინიანი შვერილი ჰქონდა.

ფარდებიდან ყვავილის ქოთნები მოჩანდა, გაპრიალებულ შესასვ-ლელ კარზე სპილენძის დაფა იყო მიმაგრებული, რომელზედაც ეწერა: „გ. ფოსლანდერი, საგალანტერიო და კავეული საქონელი". არავითარი ნიშან-წყალი შიშისა ან წინდახედულობის. ოთახში სპირტქურა ენთო. სახლის ერთი მხარე ვიწრო შესახვევში გადიოდა, სადაც გაუქმებული, ნაცრისფერი კარი ვნახეთ.

გული ზომიერად მიცემდა, როგორც ყოველთვის, საპასუხის-მგებლო წუთებში. ფოსლანდერის სახლიდან ცოტა მოშორებით და-ვაყენეთ ველოსიპედები, ნელა დავდიოდი ჩაბნელებულ მოსახვევებ-ში და ველოდით, როდის მოათავებდა ვახშამს და დააწვენდა თავის შთამომავლობას დიასახლისი. როცა იგი ყველაფერს მორჩა, შესა-ხვევის მხრიდან, ღია კარიდან შევედით და გამოვეცხადეთ მას. ჰო-ლანდიაში ჩვეულებრისამებრ შესახვევში გამავალ კარს არ კეტავენ.

ჩამოვიცვით ნიღბები, რომლებიც ჰუგომ წინადღით დაამზადა. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო. გვერდის კარი ღია იყო. შევიპა-რეთ სახლში, რომელიც ყველა ჰოლანდიური სახლის მსგავსად იყო აგებული: ჯერ დერეფანი იყო, მერე სამზარეულო, მის გვერდით კი შიგნითა ოთახებში შესასვლელი. ჰოლანდიური მეშჩანური ყოფის დალოცვილი ერთფეროვნება — არასოდეს გაგაოცებთ მოულოდნე-ლობით...

დერეფანში შევჩერდით. ჩვეულებრივი, შავსაფარველიანი ლა-მის ნათურა ენთო. ოთახებიდან ისმოდა ისეთი ნელი ნაბიჯების ხმა, თითქოს ვიღაც ჩუსტებით ან წინდებით დადიოდა.

— დადექი აქ, იყარაულე, — მითხრა ჰუგომ და ბნელ კუთხეში მიმაყენა. — როცა დავუსტვენ, ჩემთან მოდი.

მეორე ოთახში მყოფს ძალიან ფაქიზი სმენა ჰქონდა, — ქალის ხმამ დაგვიძახა:

— ვინ არის?...

ჰუგომ სწრაფად გააღო ოთახის კარი და ღია დატოვა, ისე, რომ დერეფანში სინათლე გამოდიოდა. განზე გავდექი და ველარ ვხე-დავდი, რა ხდებოდა ოთახში, სამაგიეროდ, ყველაფერი კარგად მეს-მოდა.

— დიახ, ქალბატონო ფოსლანდერ, — პირდაპირ საქმეს შეუ-დგა ჰუგო. — არ გაინძრეთ. არ იყვიროთ... თორემ გესვრით.

მომესმა ყრუ კვნესა, თითქოს ჩემთვის უხილავმა ქალმა ყვი-რილი შეიკავა.

— ვი-ი-ინ... ხა-ა-ართ?..

— არავითარი შეკითხვები! დაჯექით! არ გაინძრეთ... ასე, — გაისმოდა ჰუგოს ხმა, არც ისე უხეში, ვინც ჰუგოს ხასიათი იცო-

და... — მხოლოდ ერთადერთი კითხვა მაქვს. ველი აბსოლუტურად ზუსტ პასუხს: სად არის ამჟამად თქვენი ქმარი — გერმან ფოსლანდერი?

ჩუმად შევიხედე ოთახში. დავინახე ჰუგოს პალტოს კალთა, მერე ავეჯი: მუხის ჩარჩოიანი სარკე, ჭრელი კრეტონის მაგვარი ნაჭრით გადაკრული სავარძელი და ყალბი, სპარსულის მსგავსი ხალიჩა, — მთელი ეს უგემოვნო, უბადრუკი ფუფუნება. ქალი, როგორც ჩანდა, გონს ვერ მოსულიყო და გაუგებარ, ხორხისმიერ ხმებს გამოსცემდა.

— იცით თუ არა, სად არის, თუ არ იცით? — ჰკითხა ბოლოს და ბოლოს თმენადაკარგულმა ჰუგომ.

— ა-ა-არა... — ენის ბორძიკით თქვა ქალმა. — მე არაფერი ვი-ი-იცი...

ჰუგომ დაუსტვინა. მაშინვე შევედი ოთახში, ხელში რევოლვერი მქონდა მომარჯვებული. კრეტონის მეორე სავარძელში უძრავად იჯდა ჩემზე ხუთიოდე წლით უფროსი ქალი, რომელსაც ლურჯი ჯემპრი და მუქი ნაცრისფერი ქვედაკაბა ეცვა. საცოდავი, უმწეო შესახედაობა ჰქონდა. თმა გასწეწოდა, ღია ცისფერი თვალები, რაღაც სულელური გაოცებით შემომაჩერდნენ: მის თვალწინ უცებ წარსდგა რევოლვერიანი და ნიღბიანი ქალი! მაშინვე მივხვდი, რომ ნამდვილი ყეყეჩი და მორჩილი ბატი იყო. ასეთებს ვერ ვიტანდი. მის უკან, ფარდაჩამოფარებული ფანჯრის წინ საწერი მაგიდა და ისეთივე სტილის სკამი იდგა — მის მარჯვნივ კი — სერვანტი, რომლის კარებში წახნაგოვანი შუშა ბრწყინავდა; სერვანტის გვერდითა კედლებს ხის ჩუქურთმები მიყვებოდა — ყურძნის მტევნები... გავიგონე ჰუგოს დამცინავი ხმა.

— ქალბატონმა არაფერი იცის... თვალი არ მოაცილო! როგორც კი ოდნავ გაინძრეს, ტყვია დაახალე შუბლში. ზუსტად უნდა გავიგოთ, სად არის ვაჟბატონი.

მან თვალი ჩამიკრა, ქალს შიშისაგან სახე გაოგნებოდა. რევოლვერს ვუმიზნებდი და ამით ვაჩერებდი. ჰუგომ კი საწერი მაგიდა გაჩხრიკა. უკვე მივხვდი მის განზრახვას. გულმოდგინედ გაპრიალებულ მაგიდაზე, რომელზეც წესიერად ეწყო ნივთები, ბრინჯაოს სამელნესა და სამშრალებელს შორის ბარათების პატარა კოლოფი იდო. ჰუგომ კოლოფიდან ყველაფერი გადმოყარა და რევოლვერის ლულით მაგიდაზე მიმოყარა წერილები.

ქალი ვერ ხედავდა, რას აკეთებდა ჰუგო და ისევ უმწეო და დატანჯული გამომეტყველებით შემომყურებდა. მიხაროდა, რომ ჩემი

მოწითალო-წაბლისფერი თმა დიდი თავსაფრით მქონდა დაფარული: ყველაზე სულელი ქალებიც კი იხსომებენ ასეთ ნიშნებს...

როგორც ჩანდა, ჰუგომ რაღაც მნიშვნელოვანი იპოვა. ქალის ზურგს უკანიდან უხმოდ მაჩვენა ღია ბარათი და შიდა ჯიბეში ჩაიდო. ნაპოვნით აშკარად კმაყოფილმა თავი დამიქნია. მერე საწერ მაგიდას მოცილდა და შავად მოლაპლაპე ბუხრის გვერდით დადგა.

— თქვენ ისევ იმეორებთ, რომ არაფერი იცით? — ჰკითხა ჰუგომ.

ქალმა მზერა ახლა მასზე გადაიტანა.

— არაფერი არ ვიცი, — წარმოთქვა მან ჩახლეჩილი ხმით, თითქოს — საცაა ატირდებაო.

ჰუგომ ალმაცერად შეხედა ბუხრის დაფაზე დალაგებულ ფოტოსურათებს. რევოლვერი მიაშვირა სამი ბავშვის სურათს.

— როგორც ვხედავ, შვილები გყოლიათ. — თქვა მან.—ამიტომ სიცოცხლეს არ წაგართმევთ — მხოლოდ ამ მიზეზით... სადა გაქვთ ტელეფონი? — შეშინებულმა ქალმა დერეფნისკენ მიუთითა. ჰუგო ოთახიდან გავიდა. მესმოდა, როგორ ხლაფორთობდა იგი დერეფანში და მივხვდი: მავთულები გადაჭრა. მერე ოთახში შემობრუნდა.

— ახლა კუთხესთან მიდით, მანდილოსანო... ასე. შებრუნდით კედლისკენ და არ დაიძრეთ იქიდან, სანამ ხუთასამდე არ დათვლით, თორემ აქაურობას ხელყუმბარით ავაფეთქებ.

ქალი თვინიერად წავიდა მითითებული კუთხისკენ. ჰუგომ სახელოში ჩამავლო ხელი, დერეფანში გამოვედით და კარი გამოიხურა. შესახვევით გავედით ქუჩაზე — იმავე გზით, საიდანაც მოვედით. უკვე ძალიან ბნელოდა და ვიღაცას დავეტაკეთ. „წინ უნდა იყუროთ, ჩერჩეტებო!“ — დაიბუზღუნა კაცმა, რომელიც განზე გახტა. ნაბიჯს ვეშატეთ და მალე ველოსიპედებთან მივედით. ორი წუთის მერე უკვე დიდ გზაზე მივქროდით პირქარის საწინააღმდეგოდ, წვიმაში.

დროზე მივედით თამბაქოს დუქნის ზემოთ მოთავსებულ ბინაში. ჰუგომ ველოსიპედები ზევით აიტანა. გრძელ დერეფანში კიდევ რამდენიმე ველოსიპედი იდგა. დიდ ოთახში იყვნენ ხუთი მამაკაცი და ერთი ქალი — მას დედობრივი ალერსიანი და ამავე დროს მტკიცე მანერები ჰქონდა... თამბაქოს ბოლით ახრჩოლებულმა ჰაერმა ჰარლემის წინააღმდეგობის შტაბი გამახსენა. მე და ჰუგო მაშინვე მომცრო ღუმელთან დაგვსვეს; ტანისამოსი გაკიშრეთ და გავთბით. არავის არაფერი უკითხავს ჩვენთვის. არავის არავისთვის წარუდგენივართ. ქალი ოთახიდან გავიდა და დაბრუნდა ლანგარით ხელში, რომელზეც ორი თეფში შაქარმოყრილი ხორბლის ფაფა ელაგა; მე

გავიფიქრე, ეს ადგილი, ალბათ, მთელ იატაკქვეშეთშია განთქმული, რაკი აქ ასე კარგად აქმევენ-მეთქი. მგლებივით ვქამდით. იშვიათად თუ მომშივნია ასე.

— საწოლი მხოლოდ ამისთვის მაქვს, — თქვა ქალმა ჩემზე. გვერდზე მოგვიჯდა და სიამოვნებით გვიყურებდა, როგორ ვსანსლავდით ფაფას.

— ხომ იცით, ბევრჯერ მძინებია ორ სკამზე, — ბუზღუნით თქვა დარცხვენილმა ჰუგომ. — მაგრამ ჩვენ ორიოდე წუთით ცალკე გვინდა მოვილაპარაკოთ.

როცა უკვე პატარა ოთახში ვისხედით, სადაც გასაცოდავებული ფუქსია იდგა და სკამებზე შავი მაუდი იყო გადაკრული — ამ ოთახში ადრეც ვიყავი ნამყოფი, — ჰუგოს ვკითხე:

— რა ნახე ფოსლანდერის საწერ მაგიდაზე?

ჰუგომ შიდა ჯიბიდან ღია ბარათი ამოიღო და დიდი ამბით გადმომცა. მასზე აღნიშნული იყო თარიღი — 27 აპრილი და უტრეხტის შტემპელი. განზრახ არ წავიკითხე გამგზავნის მისამართი, მაგრამ თვალი გადავავლე მეორე მხარეზე ნაწერს.

„ძვირფასო მეგობარო ფ.! შეგიძლია მომილოცოთ. ს.-სა და ვან დერ ბ.-ს კეთილი სიტყვის დახმარებით ინსპექტორის ადგილი ვიშოვე. ამასთან დაკავშირებით გახსენებ ჩვენ უკანასკნელ საუბარს. თუ გჭირდება კარგი შემოსავლიანი ადგილი, მაშინ, რა თქმა უნდა, ვეცდები გიშოვო რამე შესაფერი. ყოველ შემთხვევაში, ეცადე მოკლე ხანში მოახერხო ჩემთან შეხვედრა. შესაძლებლობისდაგვარად წამომიღე ორი ცალი კარგი რადიონათურა, აქაურები არ ვარგა. საუკეთესო სურვილებით.

შენი...“.

ხელმოწერა ვერ გავარჩიე და გამგზავნის მისამართს დავხედე, სადაც აღნიშნული იყო: „პ. ბაბელო, სახელმწიფო პოლიციის ინსპექტორი, ბურგომისტრი ვეერსტის ქუჩა, 303, უტრეხტი“.

—შესანიშნავია, — ვთქვი მე და ღია ბარათი ჰუგოს დავუბრუნე.

— იცი რა, ხანა, იმ ქალს არ დაუნახავს, მე რას ვაკეთებდი, მაგრამ თუ ჭკვიანია, მაშინვე მიხვდება ყველაფერს. თუ ძალიან გონიერია, მაშინ წერილების კოლოფს გადაათვალიერებს, რომ გაიგოს, ხომ არ აკლია რომელიმე წერილიო, მაგრამ ამისათვის მას ტვინი არ ეყოფა. იგი ფიქრობს, რომ იოლად გადარჩა მარტო ტელეფონის დაზიანებით.

— მაგრამ იგი ხომ მისწერს ქმარს, რაც მოხდა, — ვუპასუხე მე.

— შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ხვალ ანტონ მი-

უსერტის[1] ქალაქში ვიქნებით. ასე ვთქვათ, ლომის ბუნაგში. ბაბელო პოლიციის ინსპექტორია... ამაზე ბრწყინვალე და უბრალოს ვერაფერს მოიფიქრებს კაცი.

ისევ ღია ბარათს დავუბრუნდი. — რას ანიშნებს ბაბელო, როცა წერს „ს.-ს წყალობითო?“ „ვან დერ ბ.“, უეჭველია, ვინმე ფაშისტის გვარია.

— დიახ, ეს ს.-ც ეჭვს არ იწვევს, — თქვა ჰუგომ. — სად ასწავლიან თუ იცი ამ ჰოლანდიელ ჯალათებს, რომლებიც გერმანელთა სამსახურში არიან?

— რა სისულელეა, ამაზე რომ არ მიფიქრია. რა თქმა უნდა: ს ხ ა ლ კ ხ ა ა რ შ ი.

— კარგი კომპანიაა, არა? — აღნიშნა ჰუგომ. — დამბეზღებლები და მონებზე მონადირენი. ამ „უსტარს“ მხოლოდ ქვემოთ აკლია წარწერა: „ჰაილ ჰიტლერ“... სავსებით შესაძლებელია, რომ მალე ისინი ერთმანეთს ასე მიესალმებიან.

— რამდენად სულელია ეს არამზადა — ღია ბარათში წერს, უტრეხტში რადიონათურები არაფრად არ ვარგაო, — ვთქვი მე. — ასეთი „Grauelmirchen“[2]-სათვის სახელმწიფო პოლიციის ახლად გამოჩეკილი ინსპექტორი ციხეში ამოყოფს თავს...

მგონი, ხუმრობა მოეწონა ჰუგოს, მაგრამ დიდხანს არ გვისაუბრია. სიამოვნებით დავემორჩილე ჰუგოს ბრძანებას ადრე დავწოლილიყავი და თვითონაც, ალბათ, მალე დაწვა თავის ორ სკამზე, დასაძინებლად თუ არა, იმისათვის მაინც, რომ გონებით გადაესინჯა ყველა ახალი გეგმა. ძილმა წამიღო, თითქოს ნელ-ნელა ჩავეშვი მუქ, სასიამოვნო, აბრეშუმივით რბილ წყალში.

დილით ველოსიპედები ჰარლემის ერთ-ერთ გაჩერებაზე დავტოვეთ და უტრეხტში წავედით. მგზავრობა კარგა სადავიდარაბო იყო. მატარებლებს დაუსრულებელი შემოწმებების გამო თავს ვარიდებდით: ამსტერდამში ცისფერი ტრამვაით მივედით, მერე ავტობუსში გადავსხედით, რომელიც ფეხტის რაიონს გაივლიდა. ტრამვაი ნორმალურად მიდიოდა. სამაგიეროდ, ავტობუსი ფერხდებოდა და დიდხანს იდგა ხოლმე ერთ ადგილზე, — ფუჭდებოდა ძრავა, რომელიც შეშით ხურდებოდა. ჩვენს უკან მჯდომმა ქალმა თქვა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ორმოცდაათი წუთის შემდეგ სათადარი-

---

1 ა. ა. მ ი უ ს ე რ ტ ი (1894—1946) — ჰოლანდიის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს 1946 წელს.

2 სისაძაგლე (გერმ.).

გო ავტობუსი მოვიდა, რომელშიც პირველ რიგებში ფაშისტთა დამხმარე პოლიციის შავ სამხედრო ფორმიანი რამდენიმე თანამშრომელი იჯდა. გარეგნულად შეიძლებოდა ისინი კაცს ჰიმლერის ყოფილ დამცველებად მიეღო. თუმცა ჭაბუკები ჩვენზე უარესად გრძნობდნენ თავს. და მაინც, როცა უტრეხტში ავტობუსიდან ჩამოვედით, ძალიან გამეხარდა, რომ გადავრჩით!

უტრეხტში ომის დაწყების შემდეგ არ ვყოფილვარ. ყოველთვის პირქუშ ქალაქად მოჩანდა იგი; კონსერვატიზმისა და დაცემის განსახიერებად ვთვლიდი. ეს შთაბეჭდილება უფრო გამიმტკიცდა. იქნებ იმიტომ, რომ აქ იყო ნაციონალ-სოციალისტების შტაბ-ბინა. ძველი სახლებიდან და მოუვლელი ქუჩებიდან, სადაც, ალბათ, ჭუჭყი და სიღარიბე უნდა ყოფილიყო გამეფებული, გულისდამამძიმებელი გაპარტახების სუსხი მოდიოდა. რასაც თითქმის ფიზიკურად ვგრძნობდი. საქმე მარტო ოკუპაციასა და იქ მყოფ ათიოდე ფორმიან ვაებატონს როდი ეხებოდა. უბრალო ადამიანები აქ ნაცემი ძაღლებივით დადიოდნენ, ანდა როგორც ისეთი ძაღლები, რომლებსაც ცემის ეშინიათ. წესიერება მხოლოდ ფანჯრებზე ჩამოკიდებულ გახამებულ ფარდებს ემჩნეოდა და ობივატელთა დაგრძელებულ სახეებსაც ზედ შეყინოდა, მხოლოდ ასეთ საზიზღარ მეშჩანურ ჭაობში და მხოლოდ ისეთ გადაგვარებულს, როგორიც მიუსერტი იყო, შეეძლო აზრად მოსვლოდა გერმანელ ნაცისტებისათვის მიებაძა. ამსტერდამსა და სხვა ნებისმიერ ადგილას არაფერი ამის მსგავსი არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ძალ-ღონე აღარ მქონდა, სულიერ სიცარიელესა და სიცივეს ვგრძნობდი, როცა დღისით ქალაქში წავედით იმის გასაგებად, თუ სად ცხოვრობდა ჩვენი ბაბელო. გზად მხოლოდ ორი ოაზისი შეგვხვდა, სადაც დასვენება შეიძლებოდა: ობსერვატორიის შენობის მაგვარი, უშველებელ ხეებში ჩაფლული, თხრილშემოვლებული ქალაქის ტაძარი, ნამდვილი ბასტიონი; მერე მალიბაანი — კოლფის (ბურთის მსგავსი) სათამაშო მინდორი, რომლის შესახედაობა ნორმალურ დროს კარგ ხასიათზე დამაყენებდა. მაკანკალებდა. ჰუგომ ეს შენიშნა და მკითხა:

— გცივა?

უარის ნიშნად თავი გავიქნიე:

— ყველაფერში ეს საზიზღარი ქალაქია დამნაშავე. ღმერთო ჩემო, აქ ნახევარი წლის განმავლობაში მოვკვდებოდი! მშვიდობიანობის დროსაც კი.

ჰუგო ისე მიყურებდა, თითქოს სხვა ენაზე ვლაპარაკობდი, და უნებურად გამეცინა: ასეთი ამბები ჰუგოს სრულიად არ აინტერესებდა. განა მართალი არ იყო? რა თქმა უნდა, მართალი იყო. ეიმე-

იდენიც არ იყო ლამაზი ქალაქი, უცებ გავიფიქრე მე. პირიქით, ჩემი აზრით, მისი ერთფეროვანი, ისარივით სწორი ქუჩები უფრო მეტად ააშკარავებდა მისი შესახედაობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს: გასულ საუკუნეში უხეიროდ აგებული ხელოვნური ნავსადგური, ცუდი, თავისებურებას მოკლებული. მიუხედავად ამისა, ყველანი კბილებს ვაკრაჭუნებდით, როცა ეიმეიდენი დაანგრიეს, ყველაზე მეტად ამას ჰუგო განიცდიდა.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გრძნობა აკავშირებს ადამიანს ამა თუ იმ სახლთან, ქუჩასთან, ქალაქთან. იქნებ, მცდარი შეხედულება მქონდა უტრეხტზე.

— როგორ მინდოდა ცოტა ხანს მაინც დავკვირვებოდი ამ ვაჟბატონ ბაბელოს, — ჩაილაპარაკა ჰუგომ, — სადაა აქ ბურგომისტრ ვეერსტის ქუჩა?

წიგნების მაღაზია მოვძებნეთ. შევედი და ქალაქის გეგმა ვიყიდე. ეს გეგმა დავათვალიერეთ პარკში, რომელიც, ცუდი ამინდების მიუხედავად, უკვე ამწვანებულიყო. ქალაქის ძველი არხის მეორე მხარეს უნდა გადავსულიყავით. იქიდან მიდიოდა ავტობუსი იმ ქუჩაზე, რომელიც ყვითელ გეგმაზე წითელი ციფრებით იყო აღნიშნული.

— ჯერ ამ ავტობუსით წავიდეთ, — თქვა ჰუგომ.

მალე ვიპოვეთ ავტობუსის გაჩერება, ჩავსხედით და უკანასკნელ სადგურამდე მივედით. გრძელ ქუჩაზე, რომელზედაც ბაბელო ცხოვრობდა, ვერ იტყოდით ძველი იყო თუ ახალი, ლამაზი თუ საზიზღარი. რაღაც უსახური ჩანდა. ჩემი აზრით, ეს უტრეხტის ტიპიური ქუჩა იყო, კონსერვატიზმის ცივ ბურუსში გახვეული. 303 ნომერი ვიპოვეთ ქუჩის ბოლოში, რომელიც მასავით უსახურ, ჩამკვდარ პატარა მოედანს უერთდებოდა; აქაური ახალი შენობა იყო საფოსტო კანტორა და აბანო.

უკანასკნელ გაჩერებაზე ავტობუსიდან ჩამოვედით და სათათბიროდ გავჩერდით ქვით მოკირწყლულ მრავალ ქუჩას შორის მოთავსებულ ბაღში, სადაც მცენარეულობა თითქმის არ იყო. მიწიდან მხოლოდ წვრილ წკნელებს ამოეყოთ თავი, რომლებიც, როგორც ჩანდა, ახლო საუკუნეების განმავლობაში უნდა გაზრდილიყვნენ და ხეებად ქცეულიყვნენ. ამიტომაც მთელი ეს რაიონი „მწვანე ქალაქად“ მოენათლათ.

— აბა? რა უნდა გავაკეთოთ ახლა? — ვკითხე ჰუგოს.

— პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, როგორი გარეგნობა აქვს ამ კაცს, — თქვა ჰუგომ. — ამისათვის ყველაზე შესაფერი დრო დღის ბოლო იქნება, საგულისხმოა, რომ ეს ავაზაკი ბაბელო განყოფილე-

ბიდან შინ ბრუნდება. რა თქმა უნდა, თუ სხვა საათებშიც არ არის დაკავებული. მაგალითად, შუაღამის მერე, როცა იგი კარებზე ზარს დაურეკავს უდანაშაულო ადამიანებს, გააღვიძებს და ლოგინიდან პირდაპირ დაკითხვაზე წაიყვანს...

— სავსებით მზად ვარ, ჰუგო, ნუ ცდილობ დამარწმუნო, ფიქრები მხოლოდ ამ საქმეზე მაქვს გამახვილებული.

ჰუგომ მხოლოდ გაიცინა. მთელი დღე ქალაქგარეთ, ბილიკებზე დავეხეტებოდით, მოსაწყენ და ცარიელ გარაჟებიან და ბაღებიან ახალ ქუჩებში, სადაც რუხი მიწიდან საბრალო, ეულ კროკუსებს აქა-იქ ამოეყოთ თავი... გულისგამაწვრილებლად ცრიდა განუწყვეტლივ. გადავწყვიტეთ ცოტათი მაინც გაგვეშრო ტანისამოსი შოფრების ერთ-ერთ კაფეში, სადაც სითბო და სიმყუდროვე იყო, თუმცა იქ საშინელ დასალევს აძლევდნენ, რასაც თითქოს დასაცინად ერქვა ყავა. კედელზე ეკიდა დაფა „პოლიტიკაზე ლაპარაკი აკრძალულია“, მაგრამ ჩვენ ირგვლივ მაგიდებთან პოლიტიკაზე საუბრობდნენ. როგორც ჩანდა საბჭოთა მოღალატეებს არ ვგავდით, შოფრები დროდარდო თვალს შეგვავლებდნენ, განაგრძობდნენ ბანქოსა და შაშის თამაშს და ღვარძლიანად იხსენიებდნენ ქვეყნად გამეფებულ რეჟიმს.

დღის ბოლოს ისევ მივედით ახლადგამოჩეკილ ინსპექტორ ბაბელოს სახლთან. სიფრთხილისათვის საფოსტო კანტორასთან ვიდექით, საიდანაც კარგად ჩანდა ვიწრო გალერეა, რომელიც 303 ნომერ სახლს ამშვენებდა. დიდხანს არავინ გამოსულა სახლიდან. თავს მშვიდად ვერ ვგრძნობდით, რადგან შესამჩნევ ადგილზე ვიდექით, უცებ სახლის კარი გაიღო. ჰუგომ სწრაფად აიფარა სახეზე ხელები და სიგარეტი გააბოლა, თან თითებს შორის იპვრიტებოდა. სახლიდან გამოვიდა პოლიციის ფორმიანი გამხდარი მამაკაცი, რომელიც ველოსიპედს მოაგორებდა. შავი ლაბადიდან თეთრი კაშნე მოუჩანდა. უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა. ველოსიპედზე შეჯდა და გაბრაზებული მოსწყდა ადგილს; განწყობილება აშკარად ცუდი ჰქონდა, ჰუგომ ფრთხილად მკრა ხელი ზურგში.

— საჭიროა კარებზე დავრეკოთ და ვიკითხოთ ბაბელო, — თქვა მან. — მაშინ დაბეჯითებით გავიგებთ, ეს იყო თუ არა. ჰუგო შესახვევით წავიდა საფოსტო კანტორისაკენ. მე კი სახლების კედლების გასწვრივ გავიარე, 303 ნომერი სახლის თაღში შევედი და დავრეკე. კარი მოზარდმა გოგონამ გამიღო; მისი გარეგნობის მიხედვით იგი ან შინამოსამსახურე იყო, ან სოფლიდან ჩამოსული ნათესავი.

— შეიძლება ინსპექტორს მოველაპარაკო? — ვკითხე, რამდენადაც შემეძლო, დარბაისლური კილოთი.

გოგონამ თავით ფეხამდე შემათვალიერა, თითქოს შემატყო,

რომ ჩემი კილო და გარეგნობა არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, ველოსიპედით მიმავალი პოლიციელის მხარეს თავი გაიქნია და მითხრა:

— იგი ეს-ესაა წავიდა სამსახურში.

— ოო, ესე იგი შემიძლია იქ ვნახო, — ვთქვი მე, გამოვემშვიდობე და გზა განვაგრძე მეორე შესახვევისაკენ, რომელმაც შემოვლითი გზით მიმიყვანა იმავე ადგილზე, სადაც ჰუგო იდგა საფოსტო კონტურის ყრუ კედელთან და სახეზე გაზეთი აეფარებინა.

— ისაა, — ვუთხარი მისვლისთანავე.

— კარგად გაარჩიე მისი სახე? — მკითხა ჰუგომ და გაზეთი დაკეცა.

— რა თქმა უნდა, შემიძლია მისი თითოეული ნაკვთის აღწერაც: სწორი ცხვირი, ჰიტლერისებური ულვაშები, დაბალი შუბლი, შავი თვალები, არაჩვეულებრივად განიერი პირი (ძალზე ბევრს ყვიროდა სხალკხაარში); საერთოდ ისეთი ცხვირ-პირი აქვს, რომ ჰარლემის პარკში მდგომი ნურკსიც[1], მასთან შედარებით — ამომავალი მზეა.

— ესეც ახალი ამბავი! — შესძახა საგონებელში ჩავარდნილმა ჰუგომ. — შენ რა, საკვირაო სკოლის არაკებს ყვები? რომელი ნურკსი?

მე გავიცინე.

— ჰუგო, ამაზე თავს ნუ იმტვრევ, ხომ ხედავ, რომ ჩემს გონებაში ჩვენი ბაბელოს ზუსტი სურათი აღიბეჭდა... — რა უნდა გავაკეთოთ შემდგომში?

ლოყაზე ხელი მოისვა, თითქოს უნდოდა გაეგო, გასაპარსი ჰქონდა თუ არა წვერი.

— უკვე ექვსი საათია, შევიდეთ სადმე, ბოსტნეულის რაგუ მაინც ვჭამოთ და სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას.

რომელიღაც სასადილოში ვჭამეთ ბოსტნეულის რაგუ, რომელიც ომიანობის დროისა და ფასისათვის, არც თუ ისე საშინელი აღმოჩნდა. ქალაქის მეორე ბოლოში გავემართეთ.

ხელმკლავი გვქონდა ერთმანეთისათვის გაკეთებული, რასაც განსაკუთრებული ექვი უნდა გაეფანტა, მაგრამ ხიფათი მაინც ჩაგვსაფრებოდა ყავისფერ, მწვანე და ნაცრისფერ ფორმიანი სამხედროების სახით. ვგრძნობდი, ჰუგოს რევოლვერი როგორ მაჭერდა გვერდზე. ჩემი იარაღი მომარჯვებული მქონდა გარეთა ჯიბეში იმ შემთხ-

---

[1] ნ უ რ კ ს ი — ცნობილი ჰოლანდიელი მწერლის ჰილდებრანდის (ნ. ბეეტსი, 1814—1903 წწ.) წიგნის — „კამერა-ობსკურას" პერსონაჟი.

ვევისათვის, თუ ვინმე შეგვეჩეხებოდა და ჰუგოს საბუთებს მოსთხოვდა: იგი, რა თქმა უნდა, ძალიან ახალგაზრდად და ჯანმრთელად გამოიყურებოდა, რომ „შრომითი ვალდებულებიდან“ განთავისუფლების საბუთი ჰქონოდა. რვა საათისათვის, როცა ჩვენ ნელი სიარულით მივაღწიეთ ქალაქის გარეუბანს და აღმოვჩნდით ვიწრო არხთან, რომლის გასწვრივ ძველი დაბალი სახლები და ბარაკები ჩამწკრივებულიყვნენ, — ამ არხის წყალი, თითქოს, უსარგებლოდ მიედინებოდა მინდვრების გვერდით, — როგორც იქნა, თვალს მოეფარნენ სამხედრო ფორმიანი ადამიანები. აღარ წვიმდა, მაგრამ ცივი, ნოტიო ქარი უბერავდა და მიხაროდა, რომ ჰუგო ჩემთან იყო. ასე ცოტათი მაინც თბილოდა. იგი თავს მშვენივრად გრძნობდა ზამთრის თბილ პალტოში.

ჰუგო გაჩერდა პატარა ხიდთან; გაღმა მოჩანდა რუხი მოედანი, რომლის გარშემო უწესრიგოდ იდგა ფარდულები და ჩარდახები; წვიმისაგან გამოხუნებულ ერთ ფიცარზე გავარჩიეთ წარწერა: „ცემენტის ფა...რი...ფან...დინი“. მინდოდა გამომეცნო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს იტალიიდან გადმოსახლებული, რომელიც აქ ცემენტს აკეთებდა. იქნებ საკვამურის მწმენდელის ან მეღუმელის მემკვიდრეები იყვნენ? ჰუგომ ჩუმად მითხრა:

— აი ჩვენი ოტელი.

ხიდზე გადამატარა. ჩვენგან ასი მეტრის მოშორებით ორი ბავშვი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ქალაქისაკენ, ცოტა იქით, გარეუბანთან, ვიღაც მიჰქროდა ველოსიპედით. კომენდანტის საათი ახლოვდებოდა. ჰუგოს ფეხდაფეხ შევყევი გავერანებულ ჩარდახის ქვეშ. ფან-დინის ფაბრიკა უპატრონოდ იყო მიტოვებული; ალბათ, გერმანელებმა დახურეს იგი, როცა იტალია „ღერძს“ განუდგა; ისინი ყოველთვის პოულობენ, ვისზე იყარონ ჯავრი, შურისძიების წყურვილის მოსაკლავად. უმწეო იტალიელები ჰოლანდიაში სწორედ შესაფერისი მსხვერპლი იყვნენ.

ჰუგომ ერთი პატარა ფარდულის კარი მოსინჯა, რომელიც რკინის მავთულით მაგრად იყო მიბმული. თავისი პატარა, კუნთებიანი ხელით ჰუგო ატრიალებდა ნახევრადდაჟანგულ მავთულს, ვიდრე არ გატყდა. ჰუგომ ფარდულის კარი გააღო. შიგნით — მტვერი და ბინდბუნდი, დამტვრეული ვედროები, დამპალი ფიცრები, ფეხქვეშ — დამტვრეული აგური... ჰუგოს მიერ შერჩეული ღამის გასათევი ადგილი სრულიადაც არ იყო მდიდრული. სამაგიეროდ, ჩვენი ინკოგნიტო არ გამომჟღავნდებოდა და ყალბი საბუთების წარდგენა არ მოგვიხდებოდა. საოცრად მარჯვედ იცოდა ჰუგომ შესაფერი ადგილის შერჩევა. ნელ-ნელა თვალი შეეჩვია ბინდ-ბუნდს და დავინახე

ჰუგო, რომელმაც ხელით მიმითითა რაღაც გალიაზე. იქ ხმამაღლა წვეთავდა წყალი წყალსადენის მილიდან.

— აი, საბაზანე ოთახი, ქალბატონო, — თქვა მან. — გინდათ ახლავე ისარგებლოთ თუ ხვალ დილით აჯობებს?

სახუმარო ტონის მიუხედავად, მაინც მივხვდი, რომ ჰუგოს რაღაც აწუხებდა, და იგი სხვა რამეზე ფიქრობდა. შენობის დათვალიერების დროს სქელ ხის გობს წავაწყდი, რომელიც, ცხადია, ცემენტის ხსნარისათვის იყო. ჩუმად გადავაბრუნეთ იგი და რაღაც მერხის მაგვარი გამოვიდა. ყველაფერი ეს უხმაუროდ გავაკეთეთ. წყალსადენ მილის გვერდით მაღალი და ფართო ფანჯარა იყო; დიდი ხნის განმავლობაში მასზე დაგროვილ მტვერს ბათქაშის მაგვარი ნაფენი წარმოექმნა. გობის უკან ჰუგომ დაახვავა ქკები და ფიცრები, ღრმად ამოიოხრა და ფეხები გაჭიმა.

— სამწუხაროა, რომ საწოლები ნაქირავებია, ბარი დაკეტილია, ცენტრალური გათბობა კი გამორთული. რაც შეეხება დანარჩენს, სრული კომფორტი გვაქვს...

— შეუდრეკელი ოპტიმისტი ხარ, ჰუგო, — ვუთხარი მე. — თუ არსებობს ქვეყნად რამე, რასაც შეეძლება შენი გამოყვანა წონასწორობიდან?

წუთით შეაგვიანა პასუხი და მისი ნათქვამი, ცოტა ნაძალადევად გაისმა.

— ესაა საკითხი, რაზედაც არასდროს არ მიფიქრია, — თქვა მან. — ყველა ადამიანი თავისებურია, სხვისგან განსხვავებული... და შენც ხომ არა ხარ იმათთაგანი, ვინც ვინმეს მისთვის გზა-კვალს ააბნევინებს, — სწრაფად დასძინა მან.

— შენ ასე ფიქრობ? — ვკითხე მე. — ესე იგი, შენ ჩემით კმაყოფილი ხარ?

— განა ამ სამუშაოზე წამოგიყვანდი, რომ არ გენდობოდე? — ამჯერად სწრაფად მიპასუხა მან.

გამეცინა და ვუთხარი:

— შენ სიტყვას ქათინაურის მნიშვნელობას ვანიჭებ, ჰუგო.

მის პასუხში ისევ დაბნეულობა ეღერდა:

— აბა, რას ლაპარაკობ... ჩვენ აქ იმისთვის კი არ ვართ, რომ ერთმანეთს ქათინაურებით ველაპარაკოთ. უნდა მივაგნოთ, სად ცხოვრობს ფოსლანდერი... ახლა კი დავიძინოთ, ხანა... გათბი? იქნებ ჩემ პალტოს მოიხურავ?

წინადადება ძალიან მაცდუნებელი იყო და უნდა მიმეღო. მართალი რომ ვთქვა, ძალიან ციოდა — ჩემი ლაბადა კიდევ არ გამშრალიყო და სიცივე ტანისამოსის შიგნით მატანდა. ჰუგომ მოუხერ-

ხეხლად მომახვია თავისი პალტო და გობიდან ადგა. ცოტა ხანს რაღაცას ეძებდა ბნელში, სადაც ოდნავ ჩანდა მაღალი ფანჯარა, და ძველი ტომრების გროვა მოიტანა.

— დავიწყებიათ ისეთი საწოლის დადგმა, რომელსაც ზამბარებიანი ლეიბი ექნებოდა, — თქვა მან, თან გობის გვერდით იატაკზე ტომრებს ფენდა, რომელზეც დაწვა და დანარჩენი ტომრები ზემოდან დაიფარა.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე ეძინა. ჰუგოს ზამთრის პალტოში გახვეული ვიჯექი გობზე, ვთვლემდი, და ვამთქნარებდი. რამდენიმე წუთის შემდეგ მეც დავწექი, პალტო წავიხურე და ჩემი თანამებრძოლივით დავიძინე.

...დილა უთენია მამლებმა გააბეს ყივილი. გამეღვიძა. თითქოს მძიმე გამაბრუებელი ძილისაგან გამოვფხიზლდი. მამლები... ჯერ მეგონა, რომ ფერლიმენების სახლში ვიყავი. აისის სუსტ სინათლეზე გაკვირვებული შევცქეროდი ქაოსურად დახროვებულ ფიცრებს, მტვერს და გაპარტახებულ გარემოს ჩემ ირგვლივ. ვიდრე ყველაფერი არ გამახსენდა... საათს დავხედე, შვიდის თხუთმეტი წუთი იყო. ჩემი მოუხერხებელი გობის საწოლიდან იატაკს დავხედე. ჰუგო იწვა ტომრებზე და ბავშვივით მშვიდად და ბუნებრივად ეძინა. თმა შუბლზე ჩამოვარდნოდა. ხელები თავქვეშ ამოედო, ერთი მუხლი მაღლა აეწია: საოცრად ჭუჭყიანი და მტვრისგან რუხადქცეულ ტომრებზე წითელი ასოებით წანაწერი წავიკითხე — „ფანტადინი. უტრეხტი“.

მამლები აღარ ყიოდნენ. ქუჩაში სიჩუმე გამეფებულიყო. ჰუგოს მხარზე შევეხე. მან თვალები რამდენჯერმე გაახილა და დახუჭა. შემდეგ უაზროდ მიმოიხედა. ერთბაშად წამოჯდა, ტუჩები მოილოკა და თქვა:

— ეშმაკმა წაიღოს, რა საშინელი გემო მაქვს პირში!

— აბაზანა კიდევ მუშაობს, — ვუთხარი მე.

მან ნაძალადევად გაიღიმა, ალბათ გაახსენდა თავისი ოხუნჯობა, შემდეგ ადგა. თავით-ფეხამდე კირის მტვრით იყო დაფარული.

— დალახვროს ეშმაკმა! — გაიმეორა მან ზედიზედ. — ესეც კარგი ამბავი.

მეც ავდექი. გაერთიანებული ძალით შევუდექით მისი ტანისამოსის გასუფთავებას. დიდი წვალება დაგვჭირდა, ვიდრე მას წესიერი შესახედაობა მიეცემოდა. ცხვირი დამაცემინა და ჰუგომ პირზე ხელი ამაფარა.

ნახევარი საათის შემდეგ ქალაქისკენ გავწიეთ. გზად პური და ერთი შეკვრა მარგარინი ვიყიდეთ, ძველი ფართო ქუჩით სიმაგრის

სანგართან მივედით და იქ ვისაუზმეთ. დავლიეთ რაღაც ნალექი, რომელიც ყავის მარკით იყიდებოდა. მერე ისევ თვალს ვადევნებდით კვარტალს, სადაც ბაბელოს სახლი იყო. თვითონ პოლიციელი არ გვინახავს, გამოჩნდა უსუფთაოდ ჩაცმული გოგონა კალათით ხელში — სწორედ ის, რომელსაც გუშინ სახლის კართან ველაპარაკებოდი. ჰუგო სწრაფად წავიყვანე საფოსტო კანტორაში, ავტომატიდან მანამდე ვიღებდით ორ ცენტიან მარკებს, სანამ ხურდა ფულები არ გამოგველია. მოვიდა და წავიდა ქალაქის ავტობუსი. ბოლოს გადავწყვიტეთ, უმჯობესი იქნებოდა ამ კვარტალს გავცლოდით; ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ძალიან ვგავდით მაწანწალებს. არასდროს ასე არ დამნანებია ველოსიპედის უქონლობა.

ქალაქის ცენტრთან ახლოს, კვლავ იაფფასიან სასაუზმეში ვისადილეთ და განვაგრძეთ ხეტიალი. ბოლოს ასე მეგონა, თითქოს მთელი თვეა უტრეხტში დავდივარ-მეთქი. ჰუგო ურყევ გულგრილობას ინარჩუნებდა. მთელი დღის განმავლობაში ორი სიტყვაც კი არ უთქვამს. მხოლოდ დღის ბოლოს შეეტყო მოუსვენრობა.

— უნდა გადავწყვიტოთ ხანა... — ჩაილაპარაკა მან. — ველოსიპედები არა გვაქვს, ამიტომ ჩვენი ძველი ოინი — მობრუნების დროს სროლა — დღეს არ გამოგვადგება...

— რა გაქვს მხედველობაში? — ვკითხე მე. ხელიხელგაყრილი მივდიოდით.

— ეს კაცი უნდა წავიყვანოთ, — ამიხსნა მან. — მოვიტაცოთ, ან კიდევ რას ეძახიან ამ ამბავს იანკები?

— ხომ არ გაგიჟდი, ჰუგო? — ვუთხარი მე. — ამ მიზნისთვის ავტომობილი მაინც უნდა გვყავდეს.

მან მკაცრად და გამომწვევად შემომხედა.

— განა ექვსი წელი ტყუილად ვიყავი შოფერი, ბრძმედებთან?— ჩუმად თქვა მან. — მანქანები... ყოველ მოსახვევთან დგას.

შევხედე მას, მივხვდი რაც ჰქონდა ჩაფიქრებული, და ვუთხარი:

— ორმაგად სახიფათოა, ჰუგო. კაცის მოტაცება და ავტომობილის მოპარვა.

— მარტო ჩემი თავის იმედი არა მაქვს, — მიპასუხა მან შთამაგონებლად.

— ვღებულობ წინადადებას, — დავეთანხმე მე. — ახლა კი მითხარი, როგორ, სად და როდის მოხდება ეს ამბავი?

— რომელი საათია? — მკითხა მან.

— ოთხი საათი და ორმოცდაოთხი წუთია, — ვუპასუხე, როცა საათზე დავიხედე.

— ძალიან კარგი, — თქვა ჰუგომ. — კარგად დამიგდე ყური. თუ ეს ვაუბატონი სამსახურში წავა იმავე დროს, როგორც გუშინ, მაშინ იგი თავისი სახლიდან გამოვა, როცა ექვსს ათი წუთი აკლდება. ესე იგი თითქმის ერთი საათი დრო გვაქვს, რომ საჭირო მოქმედებისთვის მოვემზადოთ... დრო არც ისე დიდია... ავტომობილის შოვნა უფრო მდიდრულ კვარტალებში შეიძლება. გარდა ამისა, ისეთი ქუჩა უნდა შევარჩიოთ, საიდანაც ადვილად შემეძლება დამალვა.

— სადგურის უკან, სანაპიროზე, — ვუთხარი მე. — რამდენადაც მახსოვს, იქ ბევრი მანქანა იდგა და მოსაბრუნებელი ადგილიც არის.

— გასაგებია. ასეც მოვიქცევით.

ჩვენ კატარეინესინგელზე წავედით — ასე ეწოდება დიდ არხს და სანაპიროს, რომელიც მხედველობაში მქონდა. გზაში ჰუგოს ვკითხე:

— იცი, იქიდან როგორ უნდა მივიდეთ ბაბელოს სახლამდე?

— ამ ციხე-სიმაგრის სანგარს შემოვუვლი, — მიპასუხა მან. — როცა მალიბაანამდე მივალ, მერე გზასაც გავიგნებ.

კატარეინესინგელზე ჯერ მხოლოდ გერმანელთა კანტორები გვხვდებოდა, ხან „Verwaltung", ხან კი „Zentralstelle"[1] მესრებთან ან სადარბაზო შესასვლელებთან ნაცრისფერ კუბოსავით მდგარ გერმანულ მანქანებს გვერდს ვუვლით. სამაგიეროდ ერთ ბაღთან, რკინიგზის უწყების შენობასთან ბედმა გაგვიღიმა. იქ ოთხი მანქანა იდგა. ჰუგოს ყურადღება მაშინვე ლურჯმა მანქანამ მიიპყრო. იგი გაჩერდა და სიგარეტს უკიდებდა.

— ხედავ, იმ ლურჯს? — მკითხა მან, — მას აირგენერატორი არა აქვს. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ძრავა სინთეტური ბენზინით მუშაობს. ვინ ღებულობს სინთეტურ ბენზინს? ადამიანები, რომლებსაც სინდისი სულ დაკარგული აქვთ... ამიტომ ჩვენი მანევრი ორნაირ სიამოვნებას მომანიჭებს. ერთი რამის ცოდნაც არ მაწყენდა: დაკეტილია თუ არა კარები.

ავტომობილისკენ გავემართე, ჰუგო შეშფოთებული მადევნებდა თვალს.

— რას აკეთებ?

— მიბრუნდი. წინდა ჩამომეჩაჩა.

ისე მოვიქეცი, თითქოს წინდას ვიწევდი და იმისთვის მოვეფარე ლურჯ მანქანას, თან მისი კარები მოვსინჯე. მერე ჰუგოსთან მივბრუნდი, რომელიც თვინიერად იდგა ჩემკენ ზურგშექცეული, თუმცა

---

[1] „სამმართველო" და „მთავარი კანტორა" (გერმ.).

ვიცოდი, რომ მას ბევრჯერ უნახავს ჩემი ფეხი შიშველიც და წინდებიანიც.

— ღიაა, — ვუთხარი მე.

მან ისე მაგრად მიჩქმიტა ხელზე, რომ შევკივლე, რკინიგზელმა, რომელმაც ველოსიპედით ჩაგვიარა, გაოცებულად და აღშფოთებულად შეხედა ჰუგოს.

— ახლა წადი, ხანა, — მითხრა ჰუგომ. — საბაზრო რესტორნის გვერდით ტროტუარზე დამიცადე. თუ ეს ფანდი გამომივიდა, გამოგიელი და წაგიყვან.

უცებ გავიფიქრე, რომ ჩვენი ერთად მუშაობის განმავლობაში დღეს პირველად ვიქნებოდი მისგან მოშორებით ამ სარისკო საქმის გამო, რომლის შედეგის გათვალისწინება არც ერთს არ შეგვეძლო. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ათიოდე წუთის შემდეგ მარტოდმარტო დავრჩე უტრეხტში. შეიძლება ჰუგო შენიშნონ, დაიჭირონ და წაიყვანონ, ამ დროს მე აქ არ ვიქნები. ჩემდა უნებურად გავხედე სანაპიროს, იქით, სადაც გერმანელთა ნაცრისფერი მანქანები მუხანათურად იყვნენ ჩამწკრივებული და წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა, როცა პატრონი შენიშნავდა მანქანის გატაცებას და განგაშს ატეხდა. ყველა ამ გერმანული კანტორებიდან და სამმართველოებიდან გამოცვივდებოდნენ შეიარაღებული მტრები! მზად ვიყავი ჰუგოსთვის ხელი ჩამეკრა და რაც შეიძლებოდა ჩქარა, სირბილით წამეყვანა აქედან... ძალიან გამიჭირდა ამ სურვილის დაძლევა. ჰუგომ შემომხედა, როგორც ჩანდა, თვალებში შიში შემნიშნა.

— გეშინია? — ჩუმად მკითხა მან.

— არა, — ვუთხარი მე, თან კბილები მიკაწკაწებდა.

ჰუგომ მწარედ გაიცინა:

— წადი! წადი, მალე მოვალ. დიდი ხნის საქმე არაა.

საბაზრო რესტორნის მიმართულებით წავედი. მექანიკურად მივაბიჯებდი, ისე მექანიკურად, რომ გერმანელთა მანქანებს ისე ჩავუარე, ყურადღება არ მიმიქცევია მათთვის. მივედი ხიდთან, ჩავუარე რესტორანს და შეფისულ ხის ნაგებობებს ფრეებურგზე. ხიდისკენ ზურგშექცეული გავჩერდი კიოსკთან და თვალიერება დავუწყე „ადლერს", „დას რეიხს", „ნიშანს" და სხვა პასკვილურ, ღმერთმა იცის, რა და რა დასახელების პატარა გაზეთებს. დაძაბული ველოდი, რომ სადაცაა ჩემს ზურგს უკან სირენები აღმუვლდებოდნენ და ავტომატების ჯერის ხმას გავიგონებდი. მაგრამ არაფერი მოხდარა, ვიცოდი, რომ ჰუგოს ჩემი მონაწილეობის იმედი ჰქონდა, თორემ ნამდვილად გრძნობას დავკარგავდი. განიერი ტროტუარი შეირყა ფეხქვეშ, როცა ჩემ გვერდით სალტეების ხრაშუნით გა-

ჩერდა მანქანა. მოვიხედე — კარი გააღეს. მანქანიდან ხელი გამოჩნდა, მე ვიცანი ეს ხელი; ჩემში თითქოს კაშხალი გაირღვაო... თითქმის უგრძნობლად დავეცი ჰუგოს გვერდით ნაცრისფერ ტყავგადაკრულ დასაჯდომზე. გონზე მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა რამდენიმე ქუჩა გავიარეთ. ჰუგო ხელზე ხელს მიქერდა.

— ხანა, — მითხრა მან. — გამოფხიზლდი, საყვარელო. გონს მოდი. თავი შეიკავე.

შემრცხვა. გონს მოვეგე. პირველ რიგში გამახსენდა, რომ ჯიბეში რევოლვერი მედო. იარაღს ხელი შევახე. მისმა სიმძიმემ ძალისა და თვითრწმენის გრძნობა ჩამინერგა. თუმცა, რა თქმა უნდა, სწორედ ჰუგო დამეხმარა კვლავ საკუთარი ღირსების გრძნობა მომეპოვებინა...

ექვსი წუთის შემდეგ ჩვენთვის ნაცნობ კვარტალში ვიყავით. საათი ექვსის ნახევარს უჩვენებდა. ჰუგომ მანქანა ჯერ ეგრეთწოდებულ „ნწვანე ქალაქში“ წაიყვანა და კათოლიკური ეკლესიის წინ დააყენა.

— მხოლოდ ერთი სამწუხარო ფაქტი არ გამითვალისწინებია, ხანა, — მითხრა მან სიცილით. — საწვავის მრიცხველს შეხედე, ძალიან ცოტაღაა დარჩენილი.

— რად გვინდა საწვავი, ჰუგო? — ვკითხე მე.

მან ამიხსნა, როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენი ოპერაციის მეორე ნაწილის შესრულება და რამდენიმე კონკრეტული მითითება მომცა.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, — დასძინა მან მისთვის უჩვეულო მკაცრი და დამაჯერებელი ტონით, — რომ მანქანის ქურდზე ნადირობა ჯერ არ დაწყებულა... ძალიან დიდი მარცხი იქნება, ოპერაციის დროს მანქანის პატრონისათვის დაბრუნებამ რომ მოგვიწიოს.

ნერვიულობის მიუხედავად, გამეცინა. რანაირია ეს ჰუგო! ასეთ წუთებშიც კი ხუმრობს!

ექვსს აკლდა თხუთმეტი წუთი, რომ მუქლურჯი ავტომანქანა იდგა ბაღის გვერდით, სადაც საფოსტო კანტორა და აბანო იყო მოთავსებული, რომლებითაც მთავრდებოდა ბურგომისტრ ვეერტსის ქუჩა. მანქანიდან გამოვედი და ქუჩას ქალაქის ცენტრისკენ გავყევი. უკვე დამშვიდებული ნელი ნაბიჯით მივდიოდი, ხელები პალტოს ჯიბეებში მეწყო და ერთ ხელში რევოლვერი მქონდა ჩაბღუჯული. ყურს ვუგდებდი ყოველი ავტომობილის ხმას, რომელიც ჩამიქროლებდა. გვერდით ჩამიარა ქალაქის ავტობუსმა და ჩემგან ოცი მეტრის მანძილზე გაჩერდა. სამი კაცი ჩამოვიდა ავტობუსიდან და ქუჩა გადაჭრა. ქუჩის მეორე ბოლოდან ბიჭუნა მოდიოდა ველოსიპედით. ავ-

ტობუსი წავიდა, ბიჭი კი მიახლოვდებოდა. მაღაზიის წინ ლაპარაკში გართული ორი მამაკაცი იდგა; მათი გარეგნობის მიხედვით წვრილი რანტიები იყვნენ. თვალი შევავლე საათს: ექვს ათი წუთი აკლდა. თუ ინსპექტორ გაბელოს სიზუსტე უყვარს, მაშინ ახლა იგი ჩემ უკან უნდა მოდიოდეს, ესე იგი, ჰუგოს ავტომობილის ხმასაც გავიგონებ.

წუთიც არ იყო გასული, რომ ავტომანქანის ხმაური გაისმა. გავჩერდი, იმ მხარეს მივბრუნდი და ერთი თვალის გადავლებით ქუჩა შევათვალიერე: ველოსიპედიანმა ბიჭმა მოსახვევში შეუხვია, ავტობუსის მგზავრები ტროტუარზე მიდიოდნენ, ორი მოხუცი ისევ ლაპარაკობდა. კანტორიდან ველოსიპედით მოდიოდა ჰიტლერივით ულვაშიანი გრძელცხვირა კაცი, რომელსაც მუნდირს შიგნით თეთრი შარფი ეკეთა; დღეს პოლიციელი გუშინდელივით გაბრაზებული არ იყო. მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ლურჯი ავტომობილი. დავინახე, საჰაერო შუშის შიგნით როგორ დამიქნია ჰუგომ ხელი. უცებ ავტომობილი ოდნავ შესამჩნევად მოსწყდა ადგილს; ავტომობილსა და ინსპექტორს შორის პატარა მანძილი უცებ შესამჩნევად შემცირდა და მანქანის წინა ბუფერი ველოსიპედის უკანა ნაწილს მოხვდა.

დარტყმამ ინსპექტორი გადმოაგდო. თვალის დახამხამების უმალ მასთან გავჩნდი. იგი გვერდით გადავარდა და ველოსიპედი გამოუსხლტა. ინსპექტორი გინებით წარმოდგა ფეხზე. შარვლის მარჯვენა ტოტი გაუტალახიანდა. მე ეს ერთი თვალის შევლებით შევნიშნე. დავინახე, რომ მუქ-ლურჯი მანქანა ბაბელოს მეორე მხარეს გაჩერდა. როგორც კი ჩვენი ვაჟბატონი წამოდგა, რევოლვერი პირდაპირ ცხვირ-პირთან მივუტანე.

— ხმა, კრინტი! — ვუთხარი მას. — მობრუნდით. ჩაჯექით მანქანაში.

სულელურად მომაჩერდა სახე, რომელსაც გრძელი ცხვირი და დაბალი შუბლი ჰქონდა — გონებრივი განვითარება ათი წლის ბავშვისას არ აღემატებოდა. ხელი ვკარი ინსპექტორს და ჩავუსისინე:

— სწრაფად. მანქანაში ჩაჯექით, თორემ გესვრით.

მიმოვიხედე. ბავშვისთვის საკმაო რეაქციაც არ ჰქონდა, მაგრამ მისი ფუტურო ტვინი, როგორც ჩანდა, მიხვდა, რა მახეშიც იყო გაბმული. ჰუგომ კარი გააღო.

— შედით, — წავისისინე მესამედ.

პოლიციელი ისევ უსიტყვოდ დამემორჩილა; მაგრამ მის დაბინდულ თვალებში მაინც გაიელვა მძვინვარებამ, პროტესტმა. სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ უკვე მის უკან ვიჯექი და რევოლ-

ვერი ბეჭებს შორის მქონდა მიბჯენილი. ჰუგო გზას გაუდგა. შურდულივით გავვარდით ამ ქუჩიდან, მთელ ინციდენტს, შეშინებული ინსპექტორის მოუხეშაობის მიუხედავად, ისე ცოტა დრო დასჭირდა, რომ ორი მოსაუბრე ისევ იდგა მაღაზიის წინ, როგორც ჩანდა არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, თუ რა ხდებოდა მათ გვერდით.

ვიდრე ინსპექტორს ცეცხლმსროლელ იარაღს ვართმევდი, იგი ჩუმად იჯდა; მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვა მესმოდა. მაგრამ, ეტყობა, მისთვის ნათელი გახდა ჩვენი მანევრის მიზანი. თუ პირველად იგი გაშტერებული იყო ჩვენი თავდასხმით, ახლა მთლად მოიშხამა. მის ზურგზე რევოლვერის კაკუნს განვაგრძობდი — მას ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყებოდა, რომ არაფრის გაკეთების საშუალებას არ მისცემდნენ.

უცებ მან ლაპარაკი დაიწყო. პირველად გავიგონე მისი ხმა. სწორედ ასეთ, ვახმისტრისათვის დამახასიათებელ ხმას მოველოდი მისგან.

— ხულიგნებო, — თქვა მან და მომეჩვენა, რომ კბილები ერთმანეთს დააჭირა.

— ჰო, — უთხრა ჰუგომ, ისე რომ ერთი წუთითაც არ მოუშორებია თვალი ქუჩისათვის და ხილვერსუმისაკენ მიმავალ დიდ გზატკეცილზე გადაუხვია. — ბატონი ინსპექტორი აზროვნებას იწყებს... ეს კარგია. ესე იგი, მასთან ლაპარაკი შეიძლება.

— მე ტერორისტებს არ ველაპარაკები. — უცებ წამოიკივლა ბაბელომ. — პირველი გოლი თქვენ სასარგებლოდ იყო. მეორე ჩემი სასარგებლო იქნება. როგორც კი გერმანულ მანქანას შევხვდებით, მაშინვე დავიყვირებ...

რევოლვერის ლულა მაგრად დავარტყი ინსპექტორს ბეჭებს შორის. იგი გაჩუმდა და თითქოს ისევ მოლბა, მას შემდეგ, რაც სულიერად ცოტა გაიმხნევა თავი მუქარით. ჰუგომ ჩაიხითხითა.

— შენს უკან სროლის ჩემპიონი ზის. მან ზუსტად იცის, სადა გაქვს გული. თუ ტყვიას ტვინში არ ირჩევ...

— ...ესე იგი, — დავძინე მე, — იმ არეში, სადაც ნორმალურ ადამიანს ტვინი აქვს. უმჯობესი იყო ხმა ამოგეღოთ, ბატონო პიტერ ბაბელო.

მაგრამ მან აღარაფერი თქვა. ცოტა გვერდით გადავიხარე და საჰაერო შუშის გვერდით სარკეში ჩავიხედე, იმ იმედით, რომ ამ ავაზაკის ცხვირ-პირზე რამე ამომეკითხა. აშკარად ჩანდა, რომ გონებაშეზღუდული და ბრაზიანი კაცი იყო. ეტყობოდა, დაძაბულად ფიქრობდა.

— ჩვენ მხოლოდ პატარა ინფორმაცია გვინდა, — უთხრა ჰუგომ. — რა თქმა უნდა, იცი, სად იმყოფება შენი მეგობარი გერმან ფოსლანდერი, ასე არ არის? ბევერვეიკელი ფოსლანდერი!

გადასასვლელი გვერდით მოვიტოვეთ და ხრუნენკანის ფორტს ავუარეთ. ჩვენ გვერდით გერმანული სატვირთო მანქანებით გერმანელთა დაცვა მოგვყვებოდა. შევნიშნე, რომ ბაბელომ ფრთხილად ასწია თავი. მომეჩვენა, რომ დაყვირება უნდოდა. სწრაფად გადავაბრუნე რევოლვერი და ფოლადის მძიმე ტარი მაგრად დავარტყი ბაბელოს კეფაში.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ჰუგომ, როცა გაოცებული მზერა მიაპყრო დადუმებულ ბაბელოს. — რა მოხდა?

— დაყვირება უნდოდა, — ეუპასუხე მე. — აი, იმ გერმანელებისათვის.

ბაბელო რაღაცნაირად მოეშვა და კარებს მიეყრდნო.

— უკეთესი იქნება, ჩემ მხარს დაეყრდნოს, ხანა, — მითხრა ჰუგომ, — ვინმემ რომ ნახოს გაფითრებული, გვერდით ფანჯარაზე მიტმასნილი პოლიციელი, გაუკვირდებათ.

ჩვენ ვლაზღანდარობდით, თან ვცდილობდი მწყობრიდან გამოყვანილი ფაშისტი ვაებატონი ჰუგოს მხრებზე მიმეყრდნო.

— რჩეული საზოგადოება, — შევნიშნე მე. — როგორ გვაქვს ბენზინის საქმე.

— თითქმის გათავდა, — მიპასუხა ჰუგომ, — პირველსავე ხეივანში შევუხვევ, რომელიც ჭკუაში დამიჯდება.

მან სვლას უმატა. ბაბელოს რევოლვერი დავათვალიერე. იარაღი ტყვიებით გატენილი და მცირე ყალიბისა იყო, თავისუფლად ჩაეტეოდა ჩემ მიერ დაკერებულ ჯიბეში. ჰუგომ დაახველა. გზას გავხედე, ხილვერსუმის მხრიდან გერმანელთა მსუბუქი ავტომანქანა ახლოვდებოდა. მომეჩვენა, რომ მაღლქუდიანი ადამიანები — კარგად ვერ ვარჩევდი, — დაკვირვებით გვიყურებდნენ; ერთადერთი იმედი ის იყო. რომ ისინიც ჩვენი ნადავლიანად ჩვენსავით გაურკვევლად გვხედავდნენ. რამდენიმე საშიში წამი და გერმანელებმა გვერდით ჩაგვიქროლეს. ჰუგომ თქვა:

— უჰ... მართლაც დროა დიდი გზიდან გადავუხვიოთ... აი, იქ შარაგზაა, ეს ადგილები, ჩემი აზრით, მჭიდროდ არაა დასახლებული.

ჩუმად ვისხედით. ჰუგომ დიდი ტრასიდან გადაუხვია და გვერდით მიმავალ ტყიან გზაზე გადავიდა. აქიდან გვერდით უხვევდა კიდევ ერთი გზა — ტირიფების ხეივანი, რომელიც საბაღო მეურნეობებსა და მინდვრებს შორის მიემართებოდა, საკმაოდ განიერი იყო ავტომანქანის გასასვლელად. აქ მართლაც ძეხორციელი არ ჩანდა.

მაშინვე მომეჩვენა, რომ გზატკეცილიდან უკვე შორს ვიყავით. ჰუგომ მანქანა გააჩერა და ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. ახლადგამოჩეკილი ინსპექტორი ისევ უგრძნობლად იყო. ჰუგომ ერთი ხელი ქეჩოში ჩაავლო, მეორე კი მაგრად გაარტყა ყურში.

პოლიციელმა ქუთუთოები დაახამხამა. განიერი ხახა, რომლის ზედა ტუჩს ჰიტლერის მაგვარი ულვაში ამშვენებდა, შეირხა, მოგვესმა გაუგებარი ხმები:

— ია-ა-ა... უ-უ-უ...

ბაბელო გამოფხიზლდა. თავს აღარ ანძრევდა, პირდაპირ და მტკიცედ ეპირა, აშკარა იყო, მოსაზრების უნარი ჰქონდა. ამჯერად ჰუგომ მიაყუდა ინსპექტორი კარზე და უხმოდ მიბრძანა, მიზანში მყოლოდა ამოღებული; მერე მას მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, ახლა ხომ მოხვედი გრძნობაზე? ერთხელ კიდევ გეკითხები, სად არის ფოსლანდერი?

ვხედავდი ბაბელოს პროფილს... ქუთუთოების ხამხამს თავი დაანება და ყბების მოძრაობას შეუდგა, თითქოს რაღაცას ღეჭავსო. მერე მოკლედ უპასუხა:

— არავითარ ფოსლანდერს არ ვიცნობ.

მე და ჰუგოს ერთდროულად გაგვეცინა. ჰუგომ ღია ბარათი ამოიღო, რომელიც ჯიბეში გაცვეთილიყო და ისეთი აღარ იყო, როგორიც ჰუგომ ბეევრვეიკში ფოსლანდერის კოლოფიდან ამოიღო.

— კარგად შეხედეთ მიმღებისა და გამგზავნის მისამართებს, ბატონო ბაბელო, — ჩაილაპარაკა ჰუგომ. — ეს გაგიმახვილებთ მეხსიერებას.

როგორც ჩანდა, ბაბელოსთვის არავის უსწავლებია, როგორ შეიძლებოდა ზრდილობიანად თავი აერიდებინა ძნელი შეკითხვებისათვის.

— არ ვიცნობ ფოსლანდერს, — გაიმეორა მან. და გულუბრყვილოდ დასძინა: — კიდევაც რომ ვიცი, მე არ ველაპარაკები ტერორისტ ვიგინდარებს...

— „კიდევაც რომ ვიცი“ კი არა, „კიდევაც რომ ვიცოდე“, — შევუსწორე ინსპექტორს ნათქვამი. — ჰოლანდიური ენა, როგორც ჩანს, ძნელია „ხალხისა და სამშობლოს“ საზოგადოების სუბიექტთათვის.

მან გაოცებითა და მტრულად შემომხედა.

— თანაც გომბიოა, — თქვა მან დუმილის შემდეგ. — როგორ არ გრცხვენია პოლიტიკაში ჩარევის... ჰმ... აშკარაა!

მან ისე ბინძური და ორაზროვანი მზერა მესროლა, რომ ჰუგოს

ჰარევის დრო დადგა. მან ინსპექტორს პირდაპირ სახეში ჩაარტყა მუშტი.

— შენ მხოლოდ ერთ რამეს გეკითხებიან, საძაგელო, — ხმადაწეულად უთხრა მან. — სად არის ფოსლანდერი?

პოლიციელი აფშუტუნდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა.

— ტერორისტო, ნაძირალავ, — თქვა მან და ისევ დაასრუტუნა ცხვირი. — არ იფიქროთ, რომ დაუსჯელად დაგვისხლტეთ ხელიდან. მე თვითონ მოგკლავთ... და განა მარტო თქვენ.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, — უპასუხა ჰუგომ. — მადლობელი ვართ აღიარებისათვის. კითხვა იგივე მაქვს: სად არის ფოსლანდერი?... ათ წამს გაძლევ.

პოლიციელმა ხელის ზურგით მოიწმინდა სისხლი. ჰუგოს ბრინჯაოსფერი სახე თითქოს გაუქვავდა, მას ადრინდელივით ეჭირა თავი, მაგრამ მის ხმაში კანკალი შევნიშნე, და მივხვდი, რომ მოთმინების ფიალა აევსო.

— ათი წამი, — გაიმეორა მან. — ვიწყებ თვლას.

მან ხმამაღლა დაიწყო თვლა. პოლიციელი ხმას არ იღებდა. როცა ჰუგომ შვიდამდე დათვალა, ბაბელომ განწირულ და უაზრო ცდას მიმართა. იგი საჯდომზე შეხტა ისე, რომ თავი კინაღამ დაარტა ავტომობილის სახურავს და წინა საჯდომის საზურგედან მე მომვარდა რევოლვერის წასართმევად. წუთით ჩემ სახესთან მისი სუნთქვა ვიგრძენი — იგი უშველებელ, გააფთრებულ კატას გავდა; საზიზღარი პირიდან სისხლის სუნი ამოსდიოდა. მისი ძარღვიანი, გრძელი ხელი, გამწარებული მოიწევდა ჩემი მარჯვენა ხელისაკენ, რომელშიც იარაღი მეჭირა. რა თქმა უნდა, სწორედ ეს მოძრაობა არ უნდა გაეკეთებინა მას. სწრაფად ავწიე მარცხენა ნიდაყვი და მისი დარტყმით მოვიშორე ინსპექტორის უშველებელი თავი; მან რაღაცნაირი თხლიპინა ხმა გამოსცა. ჰუგომ ორჯერ ჩასცხო მუშტი ბაბელოს ცხვირ-პირში. ტანის ზედა გრძელი ნაწილი შეტორტმანდა საჯდომზე, წინ გადაზნექა დაიწყო და ბაბელო მანქანის წინა ფანჯარას თხემით მიეყრდნო.

— წყეული ლენჩი, — შეიგინა ჰუგომ. — რამე გატკინა, ხანა?

— საქმე იქამდე არ მისულა, — ვუპასუხე მე.

ერთი წუთით ჰუგოს თვალები თბილად შემომყურებდნენ. არაფერი უთქვამს, ისევ მინაზე დამხობილ მოწინააღმდეგეს მიუბრუნდა.

— ისმენ თუ არა, ბაბელო? — ჰკითხა მან. დახრილმა თავმა აქნიეს. — სად არის ფოსლანდერი?

— ბილტხოვენი... — გაისმა ვახმისტრის ბანი, თუმცა ახლა მას

ველარ იცნობდით. ინსპექტორმა აშკარად ვერ შესძლო უკუეგდო თავისი ბანდიტური ჩვევები; ამ ნაცისტის სხეულს განაგებდა განადგურების ბრმა, ჯიუტი წყურვილი. ვიდრე გონს მოვიდოდით, ბაბელო წამოდგა და შეკუმშა თავისი უშველებელი მუშტი... დავინახე, ჰუგო როგორ დაიხარა. მე სწრაფად და თითქმის ავტომატურად ვმოქმედობდი. იარაღი შევმართე და ორჯერ ვესროლე ბაბელოს თავში. მანქანის ვიწრო არეში რევოლვერის ხმა მოკლედ და ყრუდ გაისმა. ბაბელოს დიდი პირი გაიღო. ინსპექტორი ჰუგოს დაეცა, რომელმაც ხელი მოხვია და წამსვე დასაჯდომზე დააგდო.

— ეს ხმას ველარ ამოიღებს, — თქვა ჰუგომ და მოკლულ პოლიციელს დახედა.

— დიახ, — ვუპასუხე მე, ღრმად ამოვისუნთქე და რევოლვერი ჯიბეში ჩავიდევი. — ველარ ილაპარაკებს და ფოსლანდერის მისამართს ვერ გვეტყვის.

— ბილტხოვენი, — თქვა ჰუგომ.

— შენ გგონია, რომ ეს მართალია? — ვკითხე მე, ვშიშობდი, რომ ძალიან ნაჩქარევად ვისროლე.

— ამას მალე შევამოწმებთ, — მიპასუხა ჰუგომ. იგი პოლიციელის გვამისკენ დაიხარა და გასინჯა. ფორმის ქურთუკის გულჯიბიდან — ტყავგადაკრული უბის წიგნაკი ამოუღო და მაჩვენა. ვიდრე იგი ფურცლავდა წიგნაკს, მეც მხრებს ზემოდან თვალს ვადევნებდი ჩანაწერებს. სამსახურებრივი დანიშნულებები, ჩანაწერები პაემნების შესახებ, ოღონდ გაურკვეველი იყო, ვისთან, რაღაც ანგარიშები და ყველაზე ბოლოს ანბანზე დალაგებული მისამართები.

— ასო „ფ"-ზე ნახე, ჰუგო! — ვუთხარი მე.

მან შეამოწმა, მაგრამ ასო „ფ"-ზე არავითარი ფოსლანდერი არ იყო აღნიშნული. ჰუგომ ყურის ძირი მოიფხანა, უხმოდ ვიჯექი და ვცდილობდი რამე მომეფიქრებინა.

— იცი რა, — ვუთხარი მე, — თუ ფოსლანდერი მართლა ბილტხოვენშია, მაშინ იგი მათ საერთო ნაცნობთან იქნება. კიდევ ერთხელ გადაათვალიერე წიგნაკი, ბილტხოვენის მცხოვრებნი ხომ არ არიან აღნიშნულნი.

ჰუგომ წინაკიდან ფურცელი ამოხია და ამოიწერა ყველა ის გვარები, რომლებიც თავის მხრივ ჩვენთვის არაფრის მთქმელი იყო, რადგან მათ გვერდით არაფერი იყო აღნიშნული. ჰუგომ შუბლი შეიკრა და კიდევ ერთხელ გადაათვალიერა წიგნაკი.

— ჰმ, — წარმოთქვა მან. — ვინ იცის, აქ ჩაწერილი გვარები ამ აბეზარის მეგობრები და ნაცნობები არიან. თუ მათი განადგურება უნდოდა?

მხრები ავიჩეჩე.

— ამას მხოლოდ ბილტხოვენში გავიგებთ, ჰუგო, იქ უნდა წავიდეთ დღესვე... გარდა ამისა, უკვე თავი მომაბეზრა ამ საძაგელმა, როგორც შენ მას უწოდე. ლიკვიდირებული ადამიანებზე მონადირე სასიამოვნო სანახაობაა, განსაკუთრებით, როცა შენ გვერდით აგდია, როგორც ეს ავაზაკი, ასეთ მეზობლობას ნამდვილად დიდხანს ვერ გაუძლებ.

ჰუგომ თავი გადასწია და უხმოდ გაიცინა.

— ბრწყინვალეა, — თქვა მან, როგორც იქნა. — თითქოს ფლორის ან ტონის სიტყვები მესმის... მაგრამ შენ მართალი ხარ. მივდივართ ბილტხოვენში, სადღაც აქ ახლოს უნდა იყოს.

ოდესღაც მშობლებთან ერთად ბილტხოვენში გავატარე ზაფხული და გამახსენდა ტყის პატარა ბილიკები, დაბურული ხეივნები, ბაღები, ბორცვიანი, მანანებიანი უშენი ადგილი. მას შემდეგ, ალბათ, ბევრი რამ შეიცვალა. მისი გარეუბნები ფართოდ გაიშალნენ ომამდე.

— სულ ახლოსაა, — ვუთხარი მე. — მაგრამ კომენდანტის საათი ახლოვდება. ჩვენ ისევ უნდა დავიმალოთ, ჰუგო.

ჰუგო ავტომობილის ფანჯრიდან უკვე ათვალიერებდა მიდამოს. ჩვენ ირგვლივ სიწყნარე გამეფებულიყო. სადღაც, გზატკეცილზე გერმანელთა სატვირთო მანქანები მირახრახებდნენ; მესმოდა მათი ყრუ გუგუნი. აღმოსავლეთისაკენ მიმავალი უშველებელი მანქანები. ყოველდღიურად...

ავტომობილიდან გამოვედით და მჭიდროდ მივხურეთ კარები, ისე რომ არ გვეხმაურა. მარცხნიდან ძაღლის ყეფა მოისმა. ჰუგომ შემომხედა: — ჩვენი იქით წასვლა არ შეიძლება. — მან ირგვლივ მიმოიხედა. — საშინლად გრძელი დღეებია! მალე ყოველგვარი მოძრაობა შეწყდება. შენ კი ისევ ჩანხარ ყოველი მხრიდან.

იგი თხრილზე გადახტა. — ამ ბაღებზე გადავიაროთ. ჩვენთვისაც გამოჩნდება სადმე თავშესაფარი.

მეც გადავხტი, მაგრამ მას მოუწია ჩემთვის ხელის შეშველება და ამოთრევა: ისე შორს ვეღარ გადავხტი. მივდიოდით მოხნულ ნაკვეთებსა და მწირ მინდვრებს შორის; ვეძებდით ღამის გასათევ ადგილს.

გავიფიქრე, რომ ჰუგო მონადირეს გავდა — ისე ჩუმად მიიწევდა წინ. მთელი მისი ლამაზად ასხმული სხეული, თითქოს გულისყურით და ფრთხილად უგდებდა ყურს. საკვირველია, ამ ადამიანს, რომელიც პორტის ქალაქში დაიბადა, ბრძმედთან მუშაობდა და სიცოცხლის ნაწილი შოფრის კაბინაში გაატარა, როგორ შემორ-

ჩა ამდენი ბუნებრივი, ნამდვილი სილამაზე. ხშირად ვაკვირდებოდი ხოლმე მას, როცა გვერდით მივყვებოდი. იგი ჩემი ხელმძღვანელი იყო. გამახსენდა ის დღე, როცა ფლორმა ჰუგოსთან მიმიყვანა... როგორ ჯიუტად მოვითხოვდი მისგან, რომ მასთან მუშაობა მსურდა თანაბარ საფუძველზე... იგი იცავდა ამ პირობას; მაგრამ მე კარგა ხანია გამიჩნდა გრძნობა, რომ ჰუგოს გარეშე, მართალი რომ ვთქვა, ბევრს არაფერს წარმოვადგენდი. აი, ახლაც, ასე მეგონა, ის განასახიერებდა ყველაფერს, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო: მეგობრობას, ოკუპანტების სიძულვილს, პარტიას, წინააღმდეგობის ბრძოლას, ჩემი სიცოცხლის მიზანს... იგი, როგორც ჩანდა, მიხვდა, როგორი თვალით ვუყურებდი, ხვდებოდა ჩემ ფიქრებს. მან რამდენჯერმე შემომხედა ხან ღიმილით, ხან, ცოტა არ იყოს, დარცხვენილად.

მაგრამ იგი მაშინვე შეუდგა ადგილმდებარეობის შესწავლას— ჩვენ მარცხნივ და მარჯვნივ პატარა, საკმაოდ მოუვლელი ფერმები იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე მოსჩანდნენ ისინი ღრუბლიან, ნოტიო საღამოს სინათლეზე.

— ეგერ, ფარდული დგას, — თქვა ჰუგომ. — წითელსახურავიანი სახლის გვერდით. თუ ძაღლი არა ჰყავთ, იქ შევალთ.

შეიძლება, ჰყავდათ კიდეც ძაღლი, მაგრამ მისი არსებობა არ გვიგრძვნია. ფარდული საკუჭნაოს მაგვარი იყო; იქ სამიწათმოქმედო ხელსაწყოები იდგა, მაზიდები, საქონლის სარწყულებლები, როგორებსაც გლეხები ზაფხულობით საძოვრებზე იყენებდნენ, და ელაგა თივა. როცა ფარდულში შევედით, ჰუგომ ორი სარწყული ერთმანეთზე დადგა და კარებზე შიგნიდან მიაყუდა. იდგა ნაკელისა და ტალახის სუნი, ხოლო, როცა თივაზე დავწექით, ჩვენ გვერდით ორმა-სამმა მინდვრის თაგვმა შრიალით გაირბინა. ვიგრძენი, რომ საშინლად ვიყავი დაღლილი; რაც გასაკვირველი როდი იყო.

— თბილადა ხარ? — გაისმა ჰუგოს ხმა ბინდში, იმაზე უფრო ბნელში, ვიდრე გუშინ ფანტადინის ცემენტის ფაბრიკაში იყო, უტრეხტის მეორე ბოლოში, რომელიც ახლა ძალიან შორეულად მეჩვენებოდა...

— საოცრად... — ჩავილაპარაკე ძილში წასულმა. დაღლილობამ და თივის აშმორებულმა სითბომ უკვე იმოქმედა ჩემზე.

— ასე მგონია, შინა ვარ-მეთქი, — მითხრა ჰუგომ, და მივხვდი, რომ იგი ფერლიმენების ფარდულზე ფიქრობდა.

— როგორ გგონია, უკვე იპოვეს ბაბელო და ავტომობილი?— მძინარე ხმით ვკითხე; დახუჭულ თვალებწინ კიდევ ერთხელ გადამირბინა ჩვენი დღევანდელი ნადირობის სურათებმა.

— რა თქმა უნდა, არა, — მიპასუხა ჰუგომ. — გაზეთებში ხომ ,ყოველთვის ვკითხულობთ: „დილა ადრიან ე-ელმა გლეხმა ხ.— თავის თხრილში, ნაკელის გროვასთან იპოვა ტყვიით დახვრეტილი გვამი...“ და ასე შემდეგ.

— „ტერორისტები მუშაობენ, — განვაგრძე მე. — სისხლიანი დივერსიები დამპყრობთა მთავრობის წინააღმდეგ ისეთ სახეს ღებულობს, რომელიც დადგენილი წესების თავხედური დარღვევაა“.

ვიწექით და ჩუმად ვიცინოდით; დიდი, შავი საბანივით ფუთნავდა ჩემ სხეულს სითბო; ვიგრძენი, რომ ჩემ გონებასაც ბურუსი ეფარებოდა.

— შემდგომში, როცა ამ დროს გავიხსენებთ, ხანა, რას ვიფიქრებთ მაშინ? — მკითხა ჰუგომ და მისმა ტონმა ძილი დამიფრთხო.

— ვიფიქრებთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ვაკეთებდით ისეთ რამეს, რაც ზიანს აყენებდა ჩვენს მოსისხლე მტერს — ვუპასუხე მე. — ჩვენი ხალხისა და ყველა პატიოსანი ადამიანის დაუძინებელ მტერს...

— მე ეს არა მაქვს მხედველობაში, — მითხრა ჰუგომ. — მე ვფიქრობ, რომ ადამიანები, რომლებიც ჩვენს შემდეგ იცხოვრებენ, განა დაიჯერებენ, რომ ჩვენ ასე ვცხოვრობდით... რომ ხელყუმბარები გვეწყო ჯიბეებში და ისე დავდიოდით, რევოლვერს ისე ვხმარობდით, როგორც მონტიორები ქანჩის გასაღებებს; რომ ჩვენ, მშვიდობიანი მოქალაქენი თავს ვესხმოდით ციხეებს, ვიტაცებდით ავტომობილებს, საქონლის ფარდულში გვეძინა, ვეძებდით სამშობლოს გამყიდველებს...

— მომავალი თაობა განა იმის მოფიქრებასაც კი შეძლებს, ჰუგო, რომ მოღალატენი არსებობდნენ, — ვუპასუხე მე. — ისინი ვერაფერს ვერ წარმოიდგენენ: ვერც ტერორს, დევნას, ებრაელთა დაჭერას, ვერც ალყაში მოყოლას, ვერც ხალხის გერმანიაში გაგზავნას მონური შრომისათვის, ვერც საკონცენტრაციო ბანაკებს...

— ...არც სნაიპერ ქალიშვილებს, რომლებსაც, მართალი რომ ვთქვათ, სწავლა უნდა გაეგრძელებინათ, — ჩაურთო ჰუგომ და მეტისმეტად მესიამოვნა მისი ხმის თბილი ტონი. — ძნელია იმ ბავშვების წარმოდგენა, რომლებმაც თავიანთი სურვილით დატოვეს მშობლების სახლი, რომ წინააღმდეგობის რიგებში ებრძოლათ...

— და მუშებისა, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ყოველ შაბათს კონვერტით პატიოსნად ღებულობდნენ ნამუშევარ ფულს, — ვთქვი მე, — ადამიანებისა, რომლებსაც წინათ არავინ იცნობდა, ახლა კი უცებ პარტიზანებად და სახალხო გმირებად არიან გადაქცეულნი...

— ჰო, რა სათქმელია, — დაიწყო ჰუგომ ცოტა დუმილის შემდეგ. — განა სულ ერთი არ არის, რას იტყვიან ჩემზე ადამიანები ორი ათას წელს. ოღონდ ისინი იყვნენ ბედნიერი. ოღონდ მათ არასდროს გამოსცადონ შიმშილისა და ომის შიში. ჩემი აზრით, დენურასოდეს გაგვიხსენებენ...

ხმას არ ვიღებდი. ჰუგოსავით უბრალოდ და ლამაზად ლაპარაკი მე არ შემეძლო. მეც ნაკლებად მაინტერესებდა, რას იტყოდნენ ჰუგოზე და ჩემზე, ჩვენს ბრძოლაზე, ჩვენი დამმონებელი დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ. ვიცოდი, რომ ხალხი ნამდვილად თავისუფალი და ბედნიერი იქნებოდა, არ ექნებოდა არაფრის შიში. ეს მე იმიტომ ვიცოდი, რომ ვიწექი აქ და ხელში მომარჯვებული მქონდა რევოლვერი, სადღაც კი დარჩა ჩემ მიერ მოკლული ბანდიტი, რომელსაც მართლმსაჯულებამ უწია, იმ მართლმსაჯულებამ, რომელსაც ჩემთან ერთად ასობით იატაკქვეშა მებრძოლი ანხორციელებდა. მართლმსაჯულების გზა — ეს ის გზაა, რომლითაც ვალდებული ვართ ვიაროთ, ჩვენი სურვილის მიუხედავად.

— ძალიან მაწუხებს, ვიპოვით თუ არა ფოსლანდერს ბილტხოვენში, — წარმოვთქვი მე.

— ხვალ, ხვალ, — მოკლედ მიპასუხა ჰუგომ. — ჯერ დაისვენე. ხმაზე გაეჩინეე, რომ დაღლილი ხარ.

უცებ ისეთი გრძნობა დამებადა, თითქოს პატარა ვიყავი. ვიღაცისაგან განაწყენებული და ყველასგან მიტოვებული. და ხელი ჰუგოსკენ გავიწოდე. რამდენიმე წუთს ჩემი ხელი ამოდ ფათურობდა თივაზე. მერე ჩემკენ გამოწეულ ჰუგოს ხელს მივაგენი. ჩვენი თითები ერთმანეთს შეეხო. ჰუგო ძალიან თავაზიანი იყო. მან ფრთხილად, ალერსით მომიჭირა ხელი.

— რა ყოჩაღი მყავხარ, — თქვა მან ოდნავ გასაგონად...

პირველად ხელის წართმევის სურვილი დამებადა, მაგრამ ამის ნაცვლად მასთან ახლოს მივიწიე. მომინდა სიბნელეში მეპოვა მისი სახე. ვიპოვე კიდეც. ხელით შევეხე მის ლოყას და უცებ შევნიშნე, რომ იგი გატრუნული, სუნთქვაშეკრული იწვა. რამდენჯერმე ალერსით მოვუსვი ლოყაზე ხელი, მერე თმაზე მივუალერსე... ისე, როგორც ძალიან დიდი ხანია მინდოდა ამის გაკეთება. ის, რისი გაკეთებაც წინათ არ შემეძლო და ვერ ვბედავდი, შესაძლებელი გახდა აქ, მტვრიან სიბნელეში, უცხო ადგილას, გლეხის ფარდულში. გავიგონე ჰუგოს ჩურჩული:

— ხანა, რატომ აკეთებ ამას?

— იმიტომ, რომ მიყვარხარ, — ვუპასუხე მე.

უცებ გამაოცა იმ ფიქრმა, რომ ჩვენ კარგა ხანია მხოლოდ იმას

ვაკეთებდით, რომ ყოველნაირად ვუმეღავნებდით ერთმანეთს სიყვარულს. მაგრამ ახლა, როცა მე პირდაპირ და უბრალოდ გამოვთქვი ეს, გამეხარდა და შემეშინდა კიდეც. შევნიშნე, როგორ მაგრად მიძგერდა გული. არ ვიცი, ჰუგო რას განიცდიდა. იგი ჩემზე უფროსი იყო. იქნებ მას უკვე უყვარდა კიდეც ვინმე ქალი, შესაძლებელია, რამდენიმეც. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. სწრაფად გავაშვებინე ხელი და მეორე გვერდზე გადავბრუნდი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ჰუგოს სუნთქვა მესმოდა — არათანაბარი და მძიმე. ბოლოს მან ხმა ამოიღო:

— კარგად არ მესმის...

წამოგზნებული სახე თივაში ჩავმალე და ისე ვუპასუხე:

— მინდა, რომ არასოდეს დავცილდეთ ერთმანეთს... და კიდევ მინდა, რომ აღარასოდეს ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, ვიდრე ომი არ დამთავრდება და თავისუფლები არ ვიქნებით...

სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ გავიგონე ჰუგოს მძიმე სუნთქვა. კარგახნის დუმილის შემდეგ მისი ყრუ ხმა.

— ხომ სწორად გავიგე, ხანა?

— კი, სრულიად სწორად გამიგე... სამუდამოდ დაიხსომე ეს, ჰუგო. და ნურაფერს იტყვი ამის შესახებ, სანამ ჰოლანდიაში თუნდაც ერთი გერმანელი ან სამშობლოს გამყიდველი იქნება.

დიდხანს შრიალებდა თივა ჰუგოს ქვეშ. ასე მეგონა, თითქოს ვხედავდი მის მღელვარებას, როგორ უჭირდა თავის დაძლევა.

— ძილი ნებისა, ხანა...

— ძილი ნებისა, ჩემო კარგო, — ვუპასუხე მე.

...მეორე დილით ორივეს ადრე გაგვეღვიძა. ჰუგო ცდილობდა თვალი აერიდებინა ჩემთვის. კარებზე მიხერგილი მოხსნა და გააღო... ჰუჰრუტანაში ოქროსფერი, ნისლით ოდნავ დაბინდული მზის სხივები შემოიჭრა.

ნიავს მიწის მკვეთრი არომატი შემოყვა და მომეჩვენა, რომ ეს ნაცნობი სუნი რაღაც კარგის მაუწყებელი იყო.

— როგორც იქნა, გაზაფხულის ამინდია, — თქვა ჰუგომ, ისე რომ ჩემთვის არ შემოუხედავს. თივიდან ამოვძვერი, ტანისამოსი გავიბერტყე და ჯიბის სავარცხლით თმა დავივარცხნე.

ფარდულიდან გამოვედით, კარები გამოღებული დავტოვეთ და მინდორზე გადავიარეთ. თითქოს არავინ გვადევნებდა თვალს. მამლები ყიოდნენ და ძაღლები ყეფდნენ, ხერგულს იქიდან ძროხის ცოხნა ისმოდა. მზე ბრწყინავდა უღრუბლო ცაზე. თბილი ნიავი უბერავდა და ტანისამოსში ატანდა. ხეებსა და ბუჩქებზე დაფენი-

ლი თხელი მწვანე ნისლი თითქოს უფრო ჩამოწოლილიყო. დილის ჰაერი გვამხნევებდა.

— მშია, ჰუგო. — ვუთხარი მე.

— მაღაზიები ჯერ არ გაღებულა, — მიპასუხა მან.

სასოფლო გზატკეცილზე სიწყნარე იყო. მშვიდად მივდიოდით შემხვედრთა თვალწინ — ჯერ მერძევე შემოგვხვდა, მერე გლეხი, რომელიც ნაკელით სავსე ფორანზე იჯდა, და ორი ბავშვი. როგორც ჩანდა, მათ არც უცნაური ვეჩვენეთ და არც რამით შესამჩნევი. ალბათ, უკვე ნამდვილ მაწანწალებს ვგავდით, რაც იოტის ოდნადაც არ გვმატებდა სამხედრო ფორმიან მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის შესაძლებლობას.

— როგორ მინდა, ჰუგო, ერთი კარგად მაბანავა და სუფთა ტანისამოსი ჩამაცვა, — ვუთხარი მე.

— მეც. — დამიდასტურა ჰუგომ. — გაპარსვაც მინდა.

მოვძებნეთ კაფე, რომელიც ყოფილ საბაჟოს გავდა. გარდა ცნობილი ყავის ერზაცისა — აღარ ვიცი, მისი რამდენი ვარიანტი გავსინჯეთ აქაურ, ყველა პროვინციულ კაფეებში, — აქ ჩვენ ტალონებზე პურის თითო პატარა ნაჭერი მოგვცეს. როცა ჰუგომ საუზმე მოსთხოვა და ფული აჩვენა, შინ გაკეთებული ყველი მოგვიტანეს. რამდენიმე დღის განმავლობაში ეს იყო ჩვენი საფუძვლიანი საუზმე. კაფეს დიასახლისი, რომელიც გარეგნობით გლეხის ქალს გავდა, ცნობისმოყვარეობით გვაკვირდებოდა მე და ჰუგოს, მაგრამ არაფერი უკითხავს. ოკუპაცია ძალიან დიდხანს გრძელდებოდა, ხალხი მიეჩვია დაეფარა ცნობისმოყვარეობა და ჩუმად ყოფილიყო. მხოლოდ ამინდზე და იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ როგორც იქნა, ყველას გასახარად გაზაფხული დადგა.

როცა ადამიანთა უმრავლესობისათვის ნამდვილი სამუშაო დღე დაიწყო (საკვირველია, მაგრამ, ძირითადად ცხოვრება, თითქოს ნორმალური გზით მიდიოდა — აი, გარემოება, რომელსაც მომავალი თაობა, მგონი, ვერ მიხვდება), მე და ჰუგო საველოსიპედო გზით მივდიოდით, ტყის პირისა და ბილტხოვენის გარეუბნის გასწვრივ, რომელიც შენდებოდა. ცისფერმა დაფამ, რომელზედაც თეთრი ველოსიპედი ეხატა, კვლავ გამახსენა ჩემი ორბორბლიანი მანქანა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩემ ცხოვრებასთან და მუშაობასთან. როგორ მაკლდა იგი! გვერდით ფოსტალიონმა ჩაგვიარა. სადღაც ახლოს ნამდვილად სკოლა იყო. ბავშვების სიმღერა შემოგვესმა. გზის განაპირას ნაძვის ხის ნაგვერდულისგან გაკეთებული თითქმის გაუშალაშინებელი მერხი იდგა. მერხზე ჩამოვჯექით და მზეს მივეფიცხეთ. ჰუგომ პალტოს გახსნა ვერ გაბედა,

რადგან შიდა ჯიბეში რევოლვერი ედო. ვხედავდი, რომ მას მზე უკვე მოეკიდა. იგი სულს ძლივს ითქვამდა.

— ეს რა ჰავაა.... — დაიბუზღუნა მან. — გუშინ საშინელმა ამინდმა და მარცხმა გაგვაწამა, დღეს კი სიცხემ შეგვაწუხა...

— და შენ უნდა დაიცვა ჩვენი უფლება ამ ჰავაზე, — ვუთხარი მე.

ჰუგომ დაბნეულად შემომხედა. მერე გაიცინა და თავი დაიქნია — ეტყობოდა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ჩემს იქედნურ შენიშვნაზე. მან ბაბელოს უბის წიგნაკიდან ამოხეული ფურცელი ამოიღო. რომელზედაც მისი ხელით იყო დაწერილი ბილტხოვენის მცხოვრებთა გვარები და კითხვას შეუდგა. თან თავს აქნევდა.

— თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. რა უნდა ვქნათ, ხანა?

ეს იყო ერთ-ერთი ის იშვიათი შემთხვევათაგანი, როცა იგი რჩევისათვის მომმართავდა.

— ჯერ უნდა ვიშოვოთ მისამართების წიგნი და გავარკვიოთ, რა ხალხი არიან ესენი, — ვუთხარ მე. — იქნებ, საფოსტო კანტორაში ტელეფონის წიგნით ვისარგებლოთ?

ჰუგომ ბოწონების ნიშნად თავი დაიქნია. შეძლებისდაგვარად ვცდილობდით გაშენებულ გარეუბანში ვყოფილიყავით უფრო მეტად. შევანჩნიე, რომ ბილტხოვენი, მე რომ მახსოვდა, ისეთი აღარ იყო, ძალიან გაზრდილიყო, გარს შემორტყმოდა ახალი ქუჩები, მწვანე ხეივნებითა და სახლებით. გადასასვლელს გვერდი ვერ ავუარეთ და გადავედით მეორე მხარეს. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი გვხვდებოდა სამხედრო ფორმიანები. ეს გასაგებიც იყო — რადგან აქვე, ახლოს იყო სუსტერბერგის აეროდრომი, აბესფორტის ბანაკი... მთელი რაიონი ოკუპანტებით იყო სავსე. ჰუგოს ისევ გავუკეთე ხელმკლავი, რადგან ერთმა შეიარაღებულმა გერმანელმა დაჟინებით დამიწყო ცქერა. გამეხარდა, რომ გადასასვლელი მაინც არ იყო ჩაკეტილი. ფრთხილად გადავიარეთ პატარა მოედანი და საფოსტო კანტორისაკენ წავედით. მის გვერდით კაფე-საკონდიტრო იყო, რომელიც კექსს სთავაზობდა მომხმარებლებს. ახლა ჩემი ინიციატივით ჰუგო კაფეში შევგზავნე — მას ჰქონდა პურის ბარათები, — რომ ჩაი და კექსი დაეკვეთა, მე ფოსტაში წავედი. ფოსტა ახალ, ნათელ და გრილ შენობაში იყო მოთავსებული, სადაც ტელეფონის რამდენიმე ჯიხური იდგა. როცა დავრწმუნდი, ადგილობრივი ტელეფონების წიგნი იქ იყო, ერთ-ერთ ჯიხურში შევედი და კარები მოვიკეტე, ჩავიხედე წიგნში, რომ შენახა, ჰქონდათ თუ არა ტელეფონები იმ პირებს, რომელთა გვარები ქაღალდზე მეწერა. ხუთი კაციდან სამს აღმოაჩნდა ტელეფონი. გარდა ამისა, რამდენიმე საინტერესო

აღმოჩენა მოვახდინე. პირველ რიგში, თვალში მოხვდა ის, რაც მე და ჰუგოს ზეადგელობიდან გამოგვრჩა: ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი ეკუთვნოდა ვინმე ბატონ ვან დერ ბეიერს, უტრეხტის სავაჭრო ბანკის დირექტორს. გამახსენდა ასოები „ვ. დ. ბ." ბაბელოს წერილიდან. მეორე აღმოჩენაც არანაკლები იყო. ვინმე მეკერნიკი, რომლის მისამართი ვნახე, როგორც გარეკანზე ეწერა, 1940 წელს გამოცემულ ტელეფონის წიგნში, სახელმწიფო პოლიციის კაპრალი იყო, ინსპექტორი ბაბელო და პოლიციის კაპრალი მეკერნიკი!.. მესამე აბონენტი იყო ვინმე ტორსეტი, ფეხსაცმელების მაღაზიის მფლობელი. იგი აქვე ახლოს, დორპსტრატზე ცხოვრობდა.

ეჭვიც არ იყო, რომ ბაბელოს წიგნაკში ჩაწერილი გვარები ნაცისტებს ეკუთვნოდათ. მართალია, ორი გვარი, 1940 წლის ტელეფონების წიგნში არ იყო აღნიშნული. მაგრამ ჩემი აზრით, პოლიტიკური ღანაშაული ორი დანარჩენი ბატონისა, რომლებიც ჩანაწერში იყვნენ მოხსენებული, ისევე უეჭველი იქნებოდა, თუ გაირკვეოდა, რომ ახლა, 1944 წელს, მათ ტელეფონები აღმოაჩნდებოდათ. გამოვედი ჯიხურიდან და ფოლადისა და შუშისგან გაკეთებულ მომცრო კანტორისაკენ გავემართე, რომელშიც ქალიშვილი იჯდა და ტელეფონით იძლეოდა ცნობებს.

— ორი ადამიანის პოვნა მინდა, რომელთა გვარები თქვენ ტელეფონის წიგნში არ არის აღნიშნული, — ვუთხარი მას: — მიუიურხოფი და სნეიტერსი, მინდოდა მათთან დამერეკა.

ფანჯრის იქით მჯდომმა სათვალიანმა ფერმკრთალმა ქალიშვილმა მეგობრულად გამიღიმა.

— მიუირხოფი და სნეიტერსი... დიახ, ისინი ახალი ჩართულები არიან სატელეფონო ქსელში, — მიპასუხა მან იმ წუთშივე. — იცით, ტელეფონის წიგნი ჩვენ 1940 წლისა გვაქვს, ამიტომ ვერ იპოვეთ მათი გვარები.

— ო, — წამოვიწყე მე და გაუგებარი, გულჩათხრობილი სახე მივიღე. — თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისინი მაშინ არ ემხრობოდნენ მოძრაობას?[1].

ქალიშვილმა დაბნეულად გამიღიმა, თითქოს აღიარებდა, რომ ძალიან ბევრი მენდო და უნებურად საიდუმლო გამიმხილა.

— ასეც შეიძლება ითქვას, — მიპასუხა მან. და სწრაფად დასძინა: — შეგაერთოთ რომელიმე მათგანთან?

— მათი ტელეფონების ნომრები და მისამართები მინდა, — განვაგრძე მე იმავე ზომიერი და მშვიდი ტონით.

---

[1] ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა (ფაშისტთა პარტია) ჰოლანდიაში.

მან ყველაფერი დამიწერა ქაღალდის ნაგლეჯზე და აუჩქარებლად წამოვედი კარებისაკენ, მაგრამ ცოტა ხნით შევჩერდი დაფასთან, სადაც გაკრული იყო ცნობები, „სს“-ისა და სხვა ორგანიზაციების მოწოდებები, ყმაწვილების შეგროვების შესახებ ჰოლანდიის „უშიშარ“ ახალგაზრდების წრიდან, თანაც იქ მიდიოდნენ უმთავრესად ხელმოცარულნი და ავაზაკნი, რომლებსაც არც უნდა რქმეოდათ ჰოლანდიელები. მერე ნელა გადავიარე მოედანი, შევედი კაფეში, ბნელ კუთხეში ჰუგოს მივაგენი და მივეხმარე სამი ნაპერი კექსის ჭამაში, რომელსაც სახამებლის გემო ჰქონდა, მერე დავლიე ჩაი, იგი იავაში სულაც არ იყო დაკრეფილი. ამასობაში ჰუგოს მოვუყევი, რისი გაგებაც მოვასწარი.

— მშვენიერია, — თქვა მან. — ნამდვილად იმ ხროვიდან არიან. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ფოსლანდერი ერთ-ერთ მათგანთან უნდა იმალებოდეს.

ცოტა შევიცადეთ, კიდევ ვჭამეთ კექსი, დავლიეთ ჩაი და მზეზე გამოვედით.

რა თქმა უნდა, როცა ასე მოულოდნელად კარგი ამინდი დაიჭირა, ჰუგოს საზამთრო პალტო ცუდად გამოიყურებოდა. ყველანი უპალტოოდ დადიოდნენ. ზოგიერთ მამაკაცს, მოხუცებს და შეძლებულებს, რომლებსაც, როგორც ჩანდა გადაეწყვიტათ საზეიმოდ აღენიშნათ გაზაფხულის დადგომა, ღია ფერის ფლანელის შარვლები ჩაეცვათ. ჰუგომ ოდნავ შეანელა ნაბიჯი, თან უყურებდა გადასასვლელს, რომელიც დიდ გზაზე ხაფანგი შეიძლებოდა გამხდარიყო. მე მეორე მხარეს გავიხედე.

— იქ სადღაც კიდევ არის ბილიკი, მის ბოლოში კი ზამბარიანი კუტიკარი, — ვუთხარი მე, რაც ბუნდოვნად მახსოვდა. — ეს გადასასვლელი მეც არ მომწონს.

ვეძებეთ და ვიპოვეთ კუტიკარი. ახლოს არავინ იყო, მხოლოდ ერთი რკინიგზის მუშა რაღაცას აკეთებდა ლიანდაგებზე, რომლებზეც გადავიარეთ და ქალაქის გარეუბანში მოვხვდით.

მაშინვე დავინახეთ, რომ ლამაზი და მშვიდობიანი შესახედაობის ხეივნები ნაცრისფერ, მწვანე და შავ სამხედრო ფორმიანი მტრებით იყო სავსე. მათ მიერ დაკავებული სახლები კანტორებს გავდა; იქ შიკრიკები ირეოდნენ, ქუსლებს აბაკუნებდნენ, საბეჭდი მანქანების კაკუნი და სამხედროფორმიანი ბატონების მყეფარა ხმების ნაცნობი ღრიანცელი ისმოდა. აქა-იქ ვილების აივნებზე, რომლებიც მათი გარეგნობის მიხედვით, უფრო მეტად ბავშვთა თავშესაფარი ან სანატორიუმი უნდა ყოფილიყო. უმუნდირო ოფიცრები იწვნენ, ფეხზე კი ჩექმები ეცვათ. პირველად სნეიტერსი ვი-

პოვეთ. იგი ცხოვრობდა ბარეუბნის ახალ სახლში, რომელსაც იდილიური, ლერწმის სახურავი ჰქონდა. სახლის გვერდით გლეხის ქოხის ქვეშ შეფარებული გარაჟი იყო; კარის დაფაზე წარწერის მიხედვით გავიგეთ, რომ სამოქალაქო ცხოვრებაში იგი სამშენებლო მასალით მოვაჭრე იყო.

— მესმის, — ჩაილაპარაკა ჰუგომ, და ფიქვებს ამოეფარა, რომლებიც გრძელი ხეივნის გასწვრივ ჩაემწკრივებინათ. — ამ ქვემძრომ სნეიტერსს ამოურჩევია პარტია და სპეციალობა, რომლებიც ბევრი ფულის შოვნის საშუალებას იძლევიან. შემოსავალი განაღდებულია!

ჩვენ ფრთხილად გავემართეთ ფიქვნარს უკან.

მერე მეორე მისამართს მივაგენით — ბატონ „ვ. დ. ბ.-ს", ასე დავუწყე ხსენება უტრეხტის სავაჭრო ბანკის დირექტორს. ამ ბატონის რეზიდენციას თუჯის გალავანი ერტყა. იქ წყალსატევებში თეთრი დუმფარეგი ლივლივებდნენ, წიწვიანი ხეები დაერგოთ, ხელოვნური ბორცვები გაეკეთებინათ და აქა-იქ თეთრი მერხები ელაგა; იგი ცხოვრობდა ძველებურ მებატონის დიდ სახლში, რომელსაც მუდიროდ დახურული ფრანგული ფანჯრები ჰქონდა. სახლი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს რამდენიმე დღე არავის დაედგა ფეხი იქ. ჩვენ ნელა მივდიოდით ამ მშვენიერების გვერდით. ჰუგო გზადაგზა ახვევდა სიგარეტს.

— რას იტყვი? — მკითხა მან. — ახლაც სცადე თქმა, რომ ფაშიზმი აკოტრებს ჩვენს ხალხსო.

— კი, სწორედ ხალხს. მაგრამ არა ამ ვაჟბატონებს, — ვუპასუხე მე.

ჰუგომ ქაღალდი დაასველა, დააწება სიგარეტი და ასანთს დაუწყო ძებნა.

— ასეთ რამეს დიდი სიამოვნებით დავასხამდი ნავთს და ოთხივ მხრიდან ერთდროულად წავუკიდებდი ცეცხლს, — თქვა მან. — ამ ცეცხლში გამოვწვავდი მამას, დედას და მთელ ჯალაბობას.

— მამას, დედას და ჯალაბობას როგორმე გავუმკლავდებით,— შევედავე მე. — სახლის დაწვა კი დამენანებოდა. ჰუგო, ომის შემდეგ იგი ბრწყინვალე სანატორიუმი იქნება, სუსტი ბავშვებისათვის...

— შენი ანაბარიც სუსტი ბავშვებისათვის სწორედ საჭირო იქნება, — ღვარძლიანად თქვა ჰუგომ. — შეხედე: რითი არ ივარგებს დასასვენებელ სახლად წინააღმდეგობის მებრძოლთათვის? სპეციალურად იმ ადამიანთათვის, რომლებიც სამშობლოს მოღალატეების გამოთაყვანებამდე დეენაში შეიშალნენ.

თავი ვეღარ შევიკავე და გავიცინე. ჰუგომ გაკვირვებით შემომხედა.

— ჩვენ ჯერ არ ვიცით „ვ. დ. ბ.“, მოღალატეა თუ არა, — ვუპასუხე მე, — შენ კი უკვე იმაზე ფიქრობ, როგორ დასაჯო.

— სამაგიეროდ იმ ორის შესახებ... რა გვარებია? სნეიტერსსა და მიუიურხოფზე უკვე ვიცით, რომ მოღალატენი არიან. ისინი ხომ ბაბელოს ნაცნობები არიან. ეს არ უნდა დაგავიწყდეს, ხანა.

მთელი დღე ბილტხოვენის დაბურულ ხეივანში ვტრიალებდით. სამი დანარჩენი მისამართის გაგება ვერ მოვახერხეთ, როგორც ჩანდა, ისინი რკინიგზის მეორე მხარეს იყვნენ. მეორეჯერ გადავედით რკინიგზის კუტიკარით. ფეხსაცმელებით მოვაჭრე ტონსეტს მაშინვე მივაგენით. დორსპსტრაატზე. როცა საფუნთუშეში შევედით პურის საყიდლად და სხვათაშორის ვიკითხეთ ხეივანი, სადაც ძიურხოფი ცხოვრობდა, გამოირკვა, რომ იგი ნახშირით მოვაჭრე ყოფილა და ცხოვრობდა იქვე ზეისტ-უტრეხტის გზატკეცილთან. ქუჩა, რომელზედაც მეკერინკი ცხოვრობდა, მდებარეობდა რკინიგზის იმ მხარეს, საითაც ქალაქის ცენტრალური ნაწილი იყო. ეს ქვიშიანი ხეივანი გვიმრიან ტყეზე გადიოდა; სახლები ხეივნის მხოლოდ ერთ მხარეს იყო აშენებული, გზის პარალელურად. საველოსიპედო გზა თითქმის ფანჯრებქვეშ მიდიოდა.

როცა დაბურულ, წყნარ ხეივანთან მივედით, სადაც პატარ-პატარა ვილები იყო გაშენებული, ერთმანეთს გადავხედეთ.

— ჩვენ ისევ დავბრუნდებით აქ, — თქვა ჰუგომ და უკან დაბრუნდა. კვლავ სადგურისაკენ გავემართეთ. გერმანული მანქანები ხმაურით დაჰქროდნენ ორივე მხრივ. მაღაზიებში უამრავი გერმანელი ირეოდა. ვერ ვიტყვი, რომ თავს მშვიდად ვგრძნობდით ამ პატარა დასახლებაში.

— აბა, ჰუგო, გაქვს თუ არა რამე მოსაზრება იმაზე, თუ სად იმალება ფოსლანდერი?

ჰუგომ თავი ნელა დამიქნია:

— ვფიქრობ, რომ ამ უშველებელ დარბაზებს ჯვარი უნდა დაეუსვათ... ბატონ „ვ. დ ბ.“ ნაცისტიც რომ იყოს, მაინც ვერ მოითმენს, რომ ფოსლანდერის მსგავსი ქვემძრომი დიდებულ მაროკულ ხალიჩაზე დადიოდეს, მით უმეტეს, ეძინოს მის ატლასის ლოგინში...

— ეს მართლაც სწორია, — ვუთხარი და გამეცინა. — ჭრავალნაირნი არიან „ხალხის მეგობრები“.

მესამედ გავიარეთ კუტიკარი. გვშიოდა, მაგრამ კომენდანტის საათი ახლოვდებოდა. ვილებიანი ხეივანიდან ტყის სიღრმეში შევედით. მზე ჩადიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ თბილოდა. როცა, როგორც

იქნა, რაღაც თხრილში თუ ქვიშიან ორმოში აღმოვჩნდით, ღრმად ჩავისუნთქე ფიქვის არომატი. ჰუგო სიცხეს წყევლიდა, პალტო გაიხადა და მიწაზე გააგო. მეც ლაბადა გავიშალე. სვიტერში კარგად ვგრძნობდი თავს. დავწექით და ზეცას მივაპყარით მზერა. იგი თითქვის ულაჟვარდო იყო; მასზე მიცურავდნენ მხოლოდ ღრუბლის წვრილი, გრძელი ვერცხლისფერი ზოლები, რომლებიც უცებ წითლად შეიღებნენ, მერე გაიფანტნენ და დაიკარგნენ ცის ჩამუქებულ სილურჯეში.

ჰუგოს ეძინა და თავზე ბუზი დაბზუოდა. ხმელი ტოტი ავიღე და ბუზი მოვაშორე. ასე გავიმეორე რამდენჯერმე სანამ ძილი არ მომერია. საათს დავხედე. ბინდდებოდა, მეცხრე საათი დაიწყო. ვარსკვლავებს სხივი მოემატა. ლიანდაგზე მატარებელმა გაირახრახა. ვერმანტის ჯარისკაცები სხვაგან გადაჰყავთ, მიაქვთ დატაცებული სიმდიდრე, აწვდიან სამხედრო აღჭურვილობას. გეგონებოდათ არასდროს ადგებოდა სხვანაირი ცხოვრება. მაგრამ მაინც ყველაფერი შეიცვლება... როდისმე... ყველაფერი სხვანაირად იქნება. სხვანაირი იქნება ჩვენი ხალხისა და თითოეული ადამიანის ცხოვრება. ჩემი ცხოვრებაც. თვალებს ძლივს ვახელდი, მაგრამ ჰუგოს გადავხედე. გუშინ ძილი ნებისა ვუსურვე და „ჩემო კარგო"-მეთქი ვუთხარი. ახლა ეს მხოლოდ ჩემთვის შემიძლია ვთქვა. იგი მშვიდად სუნთქავდა და ძილში იცინოდა — ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. ძალიან მინდოდა მის ლოყას შევხებოდი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ. უკანასკნელად ჰუგოს სახე დავინახე.

მეორე დღე დავკარგეთ ორი მისამართის ძებნაში, რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა. გამოირკვა, რომ „ვ. დ. ბ-ს" დიდ სახლში, რომელიც მთლიანი მესრით იყო შემორტყმული და პირქუში ფანჯრები ჰქონდა, შესვლა ძნელი იყო. დანაძლევება შემეძლო, რომ ფოსლანდერი მანდ არ იმალებოდა. მაგრამ, ჰუგო ფიქრობდა, რომ სახლის უკან შეიძლებოდა მებაღის ბინა ყოფილიყო. ბაღი დავათვალიერეთ იქით მხრიდან, მაგრამ არავითარი სახლი არ ჩანდა.

— ბატონი „ვ. დ. ბ." ალბათ, შვებულებაშია, — თქვა ჰუგომ. — ვფიქრობ, რომ იგი რებბტესგადენშია... იქ მიდის ბევრი ასეთი გამდიდრებული ჯილაგის წარმომადგენელი, დავალების... ან ორდენის ბაბთის მისაღებად.

მთელი ყურადღება მივაპყარით სამშენებლო მასალებით მოვაჭრე სნეიტერსის სახლს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში, არარაობიდან, რომელსაც ტელეფონიც კი არ ჰქონდა, მდიდარ, გარეუბნის სახლის მფლობელად იქცა. აქ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილას, უფრო ძნელი იყო აუჩქარებლად სიარული, ისე

რომ ვინმეს ყურადღება არ მიგეპყრო. ირგვლივ სულ ბაღები იყო, რომელსაც არ ჰყოფდა ცარიელი ადგილის ან ტყის ზოლი. შეიძლებოდა ერთი სახლის წინ მდგომს მეორე სახლისთვის გედევნებინა თვალი. დილით ვნახეთ, რომ გარაჟიდან ნაცრისფერი მანქანით ქალი გამოვიდა და დღისით დაბრუნდა სახლში. ამის შემდეგ სახლიდან გამოვიდა დაბალი, მსუქანი კაცი ხელ-ჯოხითა და სიგარით— აშკარად ცდილობდა არისტოკრატის გარეგნობა ჰქონოდა. იგი გადასასვლელის მიმართულებით წავიდა და ერთი საათის მერე დაბრუნდა უსიგაროდ. იღლიაში კორესპოდენციები ჰქონდა ამოჩრილი.

უფრო მოგვიანებით ვნახეთ, რომ ტანდაბალი კაცი და ქალი ტერასზე ისხდნენ და ჩაის სვამდნენ. ისინი ორნი იყვნენ, რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ მათთან ვიღაც იმალებოდა, მაგრამ, მე გავიფიქრე, რომ ავაზაკს სულაც არ სჭირდებოდა ასე გულმოდგინედ დამალვა, თუ იცოდა, რომ სამშობლოს მოღალატეთა მფარველობაში იყო.

დღე იწურებოდა. სურსათისათვის წავედი — პურისა და მარგარინის საყიდლად. დღის ბოლოს ისევ წავედით ტყეში, ოღონდ გზატკეცილის მეორე მხარეს.

— მარცხია, — თქვა ჰუგომ. — მე შენ გეუბნები, ფოსლანდერი აქ არ არის... ისევ უნდა გადავიდეთ რკინიგზაზე, ხანა. საშიშ ზონაში.

ორი დღის გაუპარსავ ჰუგოს წვერი ამოუვიდა. მე კი ისეთი ჭუჭყიანი ვიყავი, რომ დარცხვენილად ვუყურებდი ჩემ ტანისამოსს და ხელებს. ამ საღამოს კიდევ გავბედეთ ხალხში გარევა: დასახლების განაპირას პატარა სასტუმრო იყო. შევედით იქ, ვერანდის ქვეშ დავსხედით, დავლიეთ რაღაც ძმარივით სასმელი, რომელსაც ლიმონათად ასაღებდნენ, მაშინვე ამტკივდა კუჭი. საპირფარეშოში ხელ-პირი დავიბანე, მაგრამ ამ ამბავს ჩემთვის დიდი მორალური სიამოვნება არ მოუგვრია. როცა ისევ ტყეს შევაფარეთ თავი, ჰუგომ მორიდებით შემომხედა და მკითხა:

— თავს ცუდად გრძნობ?

— ცოტათი, — დაურიდებლად ვუთხარი. — ჩვენ ხომ ოთხი დღეა ტანთ არ გაგვიხდია... მაგრამ ეს კი არ არის ყველაფერზე საძაგლობა, წარმოიდგინე, ჩვენ ვცდებით, რომ ბაბელომ მოგვატყუა და ფოსლანდერი სულაც არ ცხოვრობს ბილტხოვენში.

— ამას ხვალ გავარკვევთ, — მითხრა მან გაბრაზებით, თითქოს მან ჩემზე მეტი იცოდა რამე!

სუფთა ჰაერზე, პალტოში გახვეული ძილი სასიამოვნო იყო, მაგრამ ციოდა. დილით ზურგი და წელი მტკიოდა, მაგრამ, როგორც

კი სიარული დავიწყე, ტკივილებმა მაშინვე გამიარა. ჩვენი მესამე დღე ბილტხოვენში ისევე გავიდა, როგორც ორი წინა, უშედეგოდ. ისევ გადავედით რკინიგზაზე. ფრთხილად დავეხეტებოდით დორპსტრაატთან ახლოს, იქ ვერ ვბედავდით აშკარად გამოჩენას. ტყეში ვისვენებდით, ოღონდ სხვა მხარეს, გაწამებულები, გაოფლიანებულები და მარცხის გამო შეწუხებულები ვიყავით. ერთმანეთისთვის არ გვინდოდა გაგვემხილა ჩვენი გაწყობილება.. თუმცა ჩვენი მტვრიანი, ოფლიანი სახეები საკმაოდ აშკარად მეტყველებდნენ ამაზე, ვიკვებებოდით პურით, დამჭკნარი ვაშლით—კარგი ხილი მატარებლის მთელი შემადგენლობებით გაჰქონდათ გერმანიაში — და ერთი შეკვრა ყველით, რომელიც ხეივნის ერთ შესახვევში დუქანში ვიშოვე, დუქნის პატრონი კარგა ხანს მაკვირდებოდა, იმიტომ, რომ შემთხვევით მყიდველი ვიყავი... რამდენიმე საათი ვიხეტიალეთ მიუიურხოფის ვილასთან, რომელიც ფასადით ნახშირის საწყობს გადაჰყურებდა. მაგრამ იქ შემსვლელ-გამომსვლელთა შორის ფოსლანდერი არ ერია. დორპსტრაატზეც საქმე უკეთესად არ იყო. რამდენიმე ხანი თვალს ვადევნებდით ფეხსაცმლებით მოვაჭრის მაღაზიას ქუჩის მეორე მხარეს მოთავსებულ კაფედან, მაგრამ იძულებულები ვიყავით ჩუმად გავპარულიყავით იქიდან, როგორც კი კაფეში შემოსული ადგილობრივ ფაშისტთა სამხედროფორმიანი ორი ყმაწვილი დავინახეთ; ისინი ბილიარდისკენ წავიდნენ, რომელიც იმ ადგილთან ახლოს იდგა, სადაც ჩვენ ვისხედით. ცოტა ხანს ვიხეტიალეთ მუშათა კვარტალში, რკინიგზის ლიანდაგებს გაღმა, სადაც ერთნაირი კვადრატული სახლები იდგა. დაბურული ხეივნების შემდეგ, რომლებსაც ბაღები და ვილები ერტყა გარს, მუშათა კვარტალი რაღაც უფერულ, ნაღვლიან შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად ამისა, მთელ ამ უფერულობაში იგრძნობოდა რაღაც საიმედო, უსიტყვო სოლიდარობა ჩვენთან და ეს დამამშვიდებლად მოქმედებდა.

— ნეტავ თავი შეგვეფარებინა ერთ-ერთი ამ სახლისათვის ღამით, —უნებურად წარმოვთქვი სანუკვარი ოცნება. ჰუგომ გაკვირვებით შემომხედა. როგორც ჩანდა, მასაც გაუელვა გუნებაში ასეთმა ფიქრმა.

— არც ისე კარგად ცხოვრობენ ესენი, — ნელა დაიწყო მან, ისე რომ ჩემთვის არ შემოუხედავს. — რამდენი ოჯახის მამა და ვაჟიშვილია გერმანიაში გაგზავნილი. ზოგნი გაიტყუეს, ზოგნი ძალით წაიყვანეს... და ვინ იცის, რამდენია წინააღმდეგობის მოძრაობაში შესული...

— ყველას ხომ არ შეუძლია ჩვენსავით მიიღოს მონაწილეობა

წინააღმდეგობაში, — ვუპასუხე მე. — ისინი ამას თავისებურად აკეთებენ. მათაც ისევე სძულთ გერმანელები, როგორც ჩვენ. ერთნი გაზეთებს ავრცელებენ, მეორენი ვინმეს შეიფარებენ ხოლმე და ამით რწმენას უმტკიცებენ ყველას...

— განა იციან მათ, რა სწამთ? — აბუზღუნდა ჰუგო.

— რა ცუდ გუნებაზე ხარ დღეს! რა თქმა უნდა, უფრო მოწესრიგებული საზოგადოება. უფრო კარგი, სრულყოფილი სამყარო. კომუნისტებმა უნდა აჩვენონ მათ, როგორ უნდა აშენდეს ეს ახალი სამყარო.

ჰუგომ თავი დამიქნია:

— სწორია, სწორია. ხშირად ვცდილობ წარმოვიდგინო, ყველაფერი ეს როგორც უნდა მოხდეს, ხანა. ძველი სამყაროს წარმომადგენლები ეშმაკები, ცბიერები და გამოცდილები არიან. მხოლოდ ის იციან, როგორ მოატყუონ ხალხი... გაიხსენე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია. იქ საკითხი ასე იდგა: ყველაფერი ან არაფერი! იქ ყველამ, ვინც წითლებს ეხმარებოდა, იცოდა, რომ საქმე მის სიცოცხლეს და კეთილდღეობას ეხებოდა. აქ კი?... ჩვენი გუშინდელი პატრონები დღესაც ატყუებენ თავიანთ მუშებს. ისინი სიამოვნებით სარგებლობენ შრომის ნაცისტური კანონებით, რომ ისინი ხელში ჰყავდეთ ჩაჭერილი. ან ხელს უწყობენ, რომ გერმანიაში გაგზავნონ. და აქვე უმტკიცებენ: ჩვენ თქვენი კეთილდღეობისათვის ვმოქმედებთო. ჩვენთვის ძვირფასია თქვენი ინტერესებიო... ამაში მდგომარეობს მათი უნამუსო ტაქტიკა: მიიტყუონ მუშები ტყუილი დაპირებებით, სამკეცი ტყავი გახადონ და კაპიკები უხადონ... ომი მარტო იმისთვის არ მიმდინარეობს, რომ ნაგავი გაიგავოს მშობლიური მიწიდან. ლაპარაკია, როგორც შენ თქვი, უფრო სრულყოფილ ჰოლანდიაზე. კაპიტალისტებთან ვერასდროს მიაღწევ უფრო სრულყოფილ წესებს ქვეყნად. მათთვის ომი, და ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული, იყო და დარჩება მხოლოდ ბიზნესად... უფრო სწრაფი და მსხვილი მოგების შესაძლებლობად... აი, კიდევ რისთვის უნდა მოისპონ ისინი!

ჰუგოს არასოდეს ულაპარაკია ასე დიდხანს. მე მხოლოდ ენერგიულად ვუქნევდი თავს, თანხმობის ნიშნად.

— ყველაფერი მართალია. — ვუთხარი მე. —მაგრამ შენც ჩემსავით ისიც კარგად იცი, რომ კაპიტალისტების ყველა ვარაუდი ყოველ წუთს შეიძლება ჩაიფუშოს... ჩაფუშონ ადამიანებმა, რომლებიც ისტორიას ქმნიან.... ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომლებიც იატაკქვეშეთში მუშაობენ, „თავისუფალმა მეზღვაურებმა“, რომლებიც ან თვითონ იბრძვიან, ანდა ხალხს აგროვებენ საზღვაო ბადრაგებად:

დაანგრიონ მუშებმა და გლეხებმა, რომლებმაც ორი კოლოსალური გაფიცვის მოწყობა გაბედეს გერმანელების წინააღმდეგ. ადამიანებმა, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში არიან გამომწყვდეულნი და მალე დაბრუნდებიან სახლებში, ცხოვრების ახალი გამოცდილებით გამდიდრებულები. განთავისუფლების მერე ისინი იტყვიან, როგორი უნდა გახდეს ჰოლანდია. დანარჩენი ყველაფერი ადვილია!

ჰუგომ ჩუმად დაუსტვინა.

— დანარჩენი ყველაფერი ადვილია, — გაიმეორა მან. — საინტერესოა! მაინტერესებს, ხანა, შეგეძლო ამის მსგავსი რამე გეთქვა, როცა უნივერსიტეტში სწავლობდი?

გამეცინა: — რა თქმა უნდა არა. იმ დროს მოვიფიქრებდი ბევრ სხვადასხვანაირ, ძალიან რთულ და ხელოვნურად ჩახლართულ ფრაზებს, რათა დამემტკიცებინა, რომ თეთრი — შავია, შავი კი — თეთრი. ცხოვრებამ მასწავლა, ჰუგო... ამბავი, რომელზედაც ლაპარაკია, შეიძლება გამოვთქვათ ყველაზე უბრალო სიტყვებით; გარდა ამისა, მთავარია არა ლაპარაკი, არამედ გაკეთება. — ადამიანი — ყველაზე უფრო რთული ქმნილებაა, მაგრამ უდიდესია მისი ზრახვები. — ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც წვიმა და მზის სხივი. თუ შენ ერთ ხელში კანონების კრებულს დაიჭერ, მეორეში ლოგიკის სახელმძღვანელოს და ვინმეს დაუწყებ მტკიცებას, რომ იგი უნდა იყოს პატიოსანი, სამართლიანი და უანგარო, მაშინ შენი საქმე ცუდად იქნება. წესიერება — ადამიანის ორგანული თვისებაა. იგი ჰაერივით აუცილებელია ადამიანისათვის. ამიტომ, როცა ჩვენ გვერდით ნაცისტი ან სამშობლოს მოღალატე გამოჩნდება, მაშინვე ვგრძნობთ, რომ ჰაერი მოწამლულია.

— სწორია, — თქვა ჰუგომ, თან ნახევრად დამცინავად, ნახევრად აღფრთოვანებით მიყურებდა. გამაწითლა მისმა ყურებამ.

— აი, — ვთქვი გაბრაზებულმა. — მშვენივრად გესმის, რაც მაქვს მხედველობაში.

მან ხელი დაადო ჩემ ხელს, რომელიც ხის მესერზე მედო.

— მესმის, — მიპასუხა მან. — გაოცებული ვარ, რა კარგად ამიხსენი საქმის არსი.

მცხელოდა და მაბრაზებდა მისი მზერა, ხელის მოჭერა, ხმის ტონი — ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ეს მორჩილსა და უმწეოს მჰდიდა.

— დღეს კი, საქმის არსი იმაშია, ჰუგო, — გავაწყვეტინე მე,— რომ დამსმენი დავიჭიროთ. ჩვენ აქ უსაქმურად ვდგევართ. ამ დროს კი სადღაც, ამავე რაიონში ტრიალებს ავაზაკი, რომელიც უკვე დიდი ხანია უნდა იწვეს მიწაში ერთი მეტრის სიღრმეზე.

ჰუგომ თავშეკავებულად გაიცინა:

— მიწის ამ ფენას იგი მიიღებს. სწორი ხარ, ხანა, წავიდეთ.

ისევ ჩვენ ბილიკს დავუბრუნდით, დორპსტრაატი გადავჭერით და კვლავ გავყევით ვიწრო, მზიან ხეივანს, რომლის იქითაც იყო სახლი, რომელიც ჯერ არ გვქონდა დათვალიერებული, — იგი პოლიციის კაპრალს მეკერინკს ეკუთვნოდა.

ვცადეთ მივსულიყავით ახლო ხეივანთან, საიდანაც მოჩანდა ქალაქგარეთა, ვილებით გაშენებული ადგილის იდილიური სანახაობა; ერთ-ერთ ვილაში პოლიციელი მეკერინკი ცხოვრობდა, მაგრამ მისი სახლის წინ ტყის ზოლი ისე განიერი იყო, რომ არ შეგვეძლო გვენახა, ვინ შედიოდა და გამოდიოდა ვილიდან. დღის მეორე ნახევარში უკან გამოვბრუნდით, სიცხისა და მარცხისაგან შეწუხებულები შევედით კაფე-საკონდიტროში, სადაც ფანჯრების წინ ისევ ეკიდა დაფა წარწერით: „კექსი“, სასაცილოა! ქალიშვილს, რომელიც გვემსახურებოდა, კოხტა შავი კაბა ეცვა და თეთრი წინსაფარი ეკეთა; რამდენიმე მოხდენილად ჩაცმული ქალი უზრუნველად სვამდა ყავას, თითქოს არც ჩვენ ქვეყანაში და არსად, მთელ მსოფლიოში, არ მიმდინარეობდა ომი, რომელთან შედარებითაც ყველა ადრინდელი ომები გულუბრყვილო ხუმრობა იყო... ამ კაფეს კუთხეში ვისხედით ჰუგო და მე, ჭუჭყიანები, მტვრიანები, პალტოებქვეშ ცეცხლმსროლელი იარაღები გვქონდა, ჩვენთან ახლოს ქუჩის მეორე მხარეს „კომენდატურაში“, რომელზეც სვასტიკიანი დროშა ფრიალებდა, იყო ჩვენი მოსისხლე მტერი. ამ წინააღმდეგობათა შეუსაბამობა და დანაშაულებრიობა უცებ ისე საზარელი მეჩვენა, რომ ჩაი და კექსი იქით გავწიე.

როცა სიჩუმე გამეფდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველმა სულდგმულმა ბინას შეაფარა თავი, ჩვენ გვიმრიან ტყეში ვიწექით, ძალიან ჩუმად უნდა ვწოლილიყავით, ირგვლივ სახლები იყო. შიში შემეპარა, რა თქმა უნდა, სულელური, რომ სულ ადვილად გვიპოვიდნენ, თუ ვინმე ფანჯარასთან ან აივანზე დადგებოდა ჭოგრით ხელში და დაისის სინათლეზე ტყის თვალიერებას დაიწყებდა. საბედნიეროდ არავის მოსვლია აზრად ფანჯარასთან ჭოგრით ხელში მდგარიყო. ბინდი თანდათან ეშვებოდა და მალე მთლად ჩაგვნთქა სიბნელემ.

— მე წავალ, ხანა, — თქვა ჰუგომ, როცა ისეთი სიწყნარე დადგა, რომ ხმელ წიწვებქვეშ მოსიარულე ხოჭოს შრიალიც კი ისმოდა.

— მერე მიპოვი? — ვკითხე მე.

მან ბეჭზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

— რა თქმა უნდა. თვალი მადევნე და როცა დაგისტვინო, მომეშველე.

მთლად ჩამობნელდა. ცას ეფარებოდა ფიჭვის ტოტები, რომლებიც ბუსუსებიან, შეუწყნარებლად მოშრიალე ფარდასავით გადამფარებოდა თავზე. მხედველობა დავძებე, რომ ჰუგოსათვის თვალი მედევნებინა გვიმრების ჩაბნელებული დაბალი საფარველიდან, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ვიწექი, ველოდი, აღფრთოვანებული ვიყავი, როგორ ჩუმად მიდიოდა ჰუგო. როგორ მინდოდა, დაესტვინა მას და გავქცეულიყავი მისაშველებლად. ვიცოდი, რომ ვერ ავიტანდი მასთან მოშორებას. ძალიან მინდოდა მცოდნოდა ისიც, ასეთივე გრძნობას განიცდიდა თუ არა ჩემს მიმართ.

დიდხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა, თუმცა სიჩუმე არ მამხნევებდა. როცა ბოლოს, როგორც იქნა, გავიგე, რომ ჰუგო წიწვებზე ფეხების სირალით ბრუნდებოდა, თან გამეხარდა, თან იმედგაცრუება ვიგრძენი.

— როგორაა საქმე? — ვკითხე და ხელში ხელი ვტაცე. იგი ჩემ გვერდით მიწაზე დაწვა.

— არაფერი გამოვიდა, — თქვა მან. — სახლში ბევრი ხალხია. ორი მამაკაცის ხმა გავიგონე. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს! ეს შეიძლება ვინმე პოლიციელი ყოფილიყო; ამ ავაზაკებს ხომ ნება აქვთ ღამის ყოველ დროს ეთრიონ ქუჩებში.

— არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა? — ვკითხე მე.

— ფანჯრები კარგადაა შენიღბული, — მიპასუხა ჰუგომ, — როგორც ფიუერერის ერთგული მსახურის სახლს შეეფერება.

— მოდი, დავიცადოთ და ვნახოთ, ვინ გამოვა სახლიდან, — შევთავაზე მე.

ტყის პირთან მივსხდით და მეკერნიკის სახლის წინ ამოვყავით თავი.

— თითქმის ათი წუთი მოვანდომე მისი სახლის ნომრის მოძებნას, — თქვა ჰუგომ. — მაგრამ ეს იყო სწორეთ ის, ადგილობრივი „პოლიციის უფროსი", როგორც მეტყველებდა დაფა მის კარებზე. აი, როგორ დიდ მდგომარეობას მიაღწია მან, ჩვენმა კაპრალმა.

— ეს ვაუბატონი რისკზე მიდის, — ვთქვი მე. — ასეთი ტიტული თვითონვე მოითხოვს პარტიზანის ტყვიას.

ვიწექით და ველოდით. ცა თანდათან განათდა, ჰაერში თითქოს რუხი მტვერი დატრიალდა. მეკერნიკის სახლში სიჩუმე გამეფებულიყო, როგორც სხვა სახლებში. ჰუგომ ხელი წამკრა და მითხრა:

— ისევ არაფერი... გათენებამდე უნდა დავიმალოთ. ახლა წავიდეთ უკან, ჩვენ ადგილზე.

მეძინებოდა. როგორც კი ისევ დავწექით მაღალ გვიმრებს მოფარებულები, მაშინვე ჩავთვლიმე. როცა გავიღვიძე, მზე ანათებდა. ჰუგო ფრთხილად მეწეოდა:

— დროა აქედან წავიდეთ.

კიდევ ერთი დღე დაიწყო. მოდიოდნენ მატარებლები. ხმაურით მიემართებოდნენ ვერმახტის მანქანები. ბავშვები სკოლისაკენ მიიჩქაროდნენ. ბაღში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა ცხოვრება, მაგრამ მე ამას ვღებულობდი... როგორც სიმკაცრეს... დღე ოკუპირებულ ქვეყანაში! თანაც გეგონებოდა, თითქოს ყველაფერი საუკეთესო წესრიგში იყო. ახალი დღე ახალი საზიზღარი საიდუმლოებებით და ფარული გამცემლობით.

ჩვენ ბილტხოვენის ხეივანში მივდიოდით თავჩაქინდრულები. უცებ ვიგრძენი, რომ ჰუგო გამომცდელად მიყურებდა.

— თუ დაიღალე, ხანა... — თქვა მან ყოყმანით, — მაშინ მარტო მე გავაკეთებ ამ საქმეს... დაბრუნდი სახლში. არ მინდა მოიქანცო...

„მოქანცვაზე" გამეცინა, მაგრამ გულში მესიამოვნა მისი მზრუნველობა.

— დალახვროს ეშმაკმა, ვინ ლაპარაკობს შინ დაბრუნებაზე?— შევედავე და გამოვცოცხლდი. — ჩვენ ერთად გავაკეთებთ ან არ გავაკეთებთ ამ საქმეს. მაგრამ მე თანახმა არა ვარ ვიჯდე სახლში, როცა შენ მარტოდმარტო იხეტიალებ აქ.

— ძალიან კარგია, ძალიან კარგი, — სწრაფად მიპასუხა ჰუგომ, — კარგი, რაკი შენ ასე გსურს...

ამ დღეს რიგრიგობით ვადევნებდით თვალს სნეიტერსისა და მიუიურხოფის სახლებს. ჩვენ შევიპარეთ ბატონ „ვ. დ. ბ.-ს" ძველებური სახლის შესახედავად. არსად ჩანდა ფოსლანდერის კვალი. დღის ბოლოს ფოლდერისაკენ წავედით; ალღო გვიკარნახებდა, რომ დროდადრო აუცილებელი იყო დამალვა: ჰუგოს ოფლი ღვარად ასკდებოდა, რადგან საზამთრო პალტო ეცვა. ჩემი ტანისამოსი გამტვერიახდა და დაიჭუჭნა, — ჩვენ გარეგნობას ყურადღება უნდა მიეპყრო. სიმხნევეს აღარ ვგრძნობდი. მაგრამ მე ვიცოდი — ნაწილობრივ იქიდან, რასაც ჰუგოს შესახებ შტაბში მიღებოდნენ, — რომ ჩვეულებად არ ჰქონდა წამოწყებული საქმის მიტოვება. მეც ვფიქრობდი, რომ ეს იყო სწორი.

გზაზე, რომლითაც ჩვენ მივდიოდით, შედარებით ცოტა მანქანები და ფეხით მიმავალი ხალხი გვხვდებოდა. გარეუბნის სახლებს უკან, რომლებიც თანდათან უფრო შორდაშორს იდგნენ ერთმანეთისაგან, უკვე ბილტხოვენის მიდამოები იწყებოდა. დროდადრო

მოსეირნეებს ვაწყდებოდით. გზაზე შემოგვხვდა ხანში შესული, მოკლედ შეკრეჭილი თეთრულვაშიანი კაცი; მას წვრილუჯრედებიანი რუსი კოსტიუმი ეცვა, მკლავზე ხელჯოხი ეკიდა. როცა ჩვენთან სულ ახლოს მოვიდა, შევნიშნე, რომ ხელში მოუკიდებელი სიგარეტი ეჭირა.

ჩემდა გასაკვირად, იგი ჩვენ გვერდით გაჩერდა, ჰუგოს შეხედა და კითხა, ასანთი ხომ არ გაქვსო. ჰუგომ თვალი შემავლო, ისეთი გამომეტყველებით, თითქოს არც კაცი და არც მისი თხოვნა არ მოეწონა; მე, რამდენადაც შეიძლებოდა, შეუმჩნეველად ავიჩეჩე მხრები. ჰუგომ ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო და აუნთო ნაცრისფერ კოსტიუმიან კაცს. უცნობმა ბოლის პირველი ბოლქვი გამოუშვა და მზერა ჰუგოდან ჩემზე გადმოიტანა; მისმა თვალებმა უცნაურად, დამცინავად თუ თანაგრძნობით გაიელვეს. მისმა მამაშვილურმა თანაგრძნობამ მაშინვე ამიჩუყა გული.

— იმედი მაქვს უცნაურად არ მოგეჩვენებათ, რომ გამოგელაპარაკეთ... — იკითხა უცნობმა. — უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე გნახეთ, აქ რომ დადიოდით. თითქოს ვიღაცას ან რაღაცას ეძებთ.

ვხედავდი, რაკი ჰუგომ ტუჩები მოკუმა, ეს იმას ნიშნავდა, რომ არ მოსწონდა მოხუცის სიტყვები, ერჩივნა თავიდან მოეშორებინა იგი და მალე წავსულიყავით. მაგრამ ცნობისმოყვარეობა აღმეძრა. ღმერთმა იცის, რატომ — ჩვეულებრივ ეს მე არ მემართებოდა, — ამჯერად სრულიად არ ვგრძნობდი უნდობლობას.

— ვიღაცას ვეძებთ, — უყოყმანოდ ვუთხარი მე.

ჰუგომ გვერდში გამკრა, თითქოს წინააღმდეგობის მოძრაობაში მე ვიყავი ყველაზე მოლაყბე კაჭკაჭი, მოხუცი ბატონი იგივე მზრუნველობით სავსე მზერას არ გვაშორებდა.

— მე აქ ახლოს ვცხოვრობ, — თქვა მან დინჯად. — თუ რამე დაგჭირდებათ... ან თუ როდისმე კარგად დაბანა მოგინდეთ.. ბანაკის ცხოვრებისაგან ჰაერზე ყველაფერი ჭუჭყიანდება... კეთილი გულით გთავაზობთ, მოდით ჩემთან, როცა გინდოდეთ. და რაც მალე მოხვალთ, უკეთესი იქნება.

თავისი ნაცრისფერი პიჯაკის უბის ჯიბიდან სადარბაზო ბარათი ამოიღო და ჰუგოს გაუწოდა. მერე ქუდი მოგვიხადა, უკან გაბრუნდა ისე, რომ აღარც მოუხედავს.

ფიჭვნარში, სადაც წიწვით მოფენილ ოღრო-ჩოღრო მიწაზე მზის ათინათი ცეკვავდა, სადარბაზო ბარათი დავათვალიერეთ. მასზე მხოლოდ გვარი და მისამართი ეწერა. მას ეძახდნენ მაგისტრ

ფ. ი. ლივენსს. ეს გვარი და სახელი ჩვენთვის არაფრის მეტყველი იყო.

ჰუგომ შემომხედა, და მითხრა, მართალია, შეკითხვის ფორმით:

— პროვოკაციაა, არა, ხანა?...

შევყურებდი ბარათს და ვფიქრობდი. ჯერ ვერავითარი ახსნა ვერ მომეძებნა.

— არ მესმის, — განაგრძობდა ჰუგო. — თუ მან იცის, ვინცა ვართ, — მინდა ვთქვა, თუ ხვდება რომ წინააღმდეგობის მებრძოლები ვართ, — მას კარგა ხნით ადრე შეეძლო დავესმინეთ პოლიციაში, ან თვითონ გერმანელებთან. სულაც არ სჭირდებოდა ჩვენი სახლში მიპატიჟება და მახის დაგება.

— მახის დაგება სახლში ყოველთვის უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ქუჩაში თავდასხმა, — ვთქვი მე. — ქუჩაში შეგიძლია თავი დაიცვა, გაიქცე კიდეც. სახლში კი თითქმის ყოველთვის დასასრულია.

ჰუგო დაწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

— არა, მე ეს არ მესმის... იქნებ, იგი წესიერი კაცია?..

— პატიოსანი სახე აქვს, — ვთქვი მე. — თვალები კეთილად შემოგვყურებდნენ. თუ შეიძლება პირველ შთაბეჭდილებას ვენდოთ, მას უნდა რამე გააკეთოს ჩვენთვის.

— ამ კაცში არის რაღაც არაჩვეულებრივი, — თქვა ფიქრებში წასულმა ჰუგომ. — უნდა გავიგო, რაშია საქმე. მაგისტრი ლივენსი, მან, როგორც ჩანს, იცის, რომ ჩვენ საბანაკო ცხოვრებას ვეწევით, როგორც მან გამოთქვა. ვფიქრობ, ხანა, ღამე ამ რაიონში დავრჩეთ და ვეცადოთ გავიგოთ, ვინ არის ეს ბატონი.

იმ საღამოს ლივენსის სახლის მახლობლად დავიმალეთ, სახლი იმ ხეივანთან იდგა, სადაც სამშენებლო მასალით მოვაჭრე სნეიტერსი ცხოვრობდა. აქ იყო ტყე, პატარა, მაგრამ ისეთი მოხერხებული, სადაც ნამდვილად შეიძლებოდა თავის შეფარება. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ხანდახან ხეივნიდან გერმანული სიმღერა მოისმოდა. ჩვენ ვუსმენდით, მივდიოდით ფანჯარასთან, ვერანდასთან და კართან. ზოგან შიგნიდან სუსტი სინათლე გამოდიოდა, ეს იმას ნიშმავდა, რომ სახლში ნამდვილად ცხოვრობდნენ; მაგრამ ლაპარაკი არ გვესმოდა. ხანდახან ისმოდა ნაბიჯების ხმა, კარის ჭრიალიც და სკამის გაწევის ხმა. წყნარად დავბრუნდით ტყეში.

— ახლა ვნახოთ, დადიან თუ არა მასთან სტუმრად სამხედრო-ფორმიანი ნაცნობები.

ძალიან დიდხანს ვიცადეთ, ხომ არ გამოჩნდებოდა ვინმე. მე

წავიძინე კიდევაც, რაკი ჩემ გვერდით საიმედო მეგობარი მეგულებოდა. სადღაც საათმა დარეკა, მერე სახლშიც. ადრინდელივით სიჩუმე იდგა, ქუჩაში არავინ ჭაჭანებდა.

— გავბედოთ, ხანა? — უცებ მითხრა ჰუგომ.

— გინდა დავაკაკუნო? — ვკითხე მე.

— კი... რევოლვერით ხელში, — თქვა მან. — მართალი უნდა გითხრა, ამ დარბაისელმა ბაბუამ დიდი ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა...

— ის უცნაური, მოუკიდებელი სიგარეტი... — შევახსენე მე.

ისევ მივხოხდით სახლთან. სამზარეულოს კარზე დავაკაკუნეთ, მაგრამ ისე ფრთხილად, რომ ჰუგოს მეორედ მოუხდა დაკაკუნება. სიბნელეში კარებში ადამიანის რუხი ფიგურა გამოჩნდა, რომლის შეცნობა ძნელი იყო.

— ვინ არის? — ხმადაბლა, მაგრამ გაბედულად იკითხა მან.

— ასანთი ხომ არ გექნებათ ჩემთვის? — ჰკითხა ჰუგომ.

სიბნელეში სიცილი გაისმა:

— აჰა... ეს თქვენ ხართ. შემოდით. შემოდით ჩქარა.

ჩვენს უკან მან კარები დახურა. სიბნელეში რევოლვერმომარჯვებულები ვიდექით. შიშს არ ვგრძნობდი. ვფიქრობ, გუნებაში ჰუგოც დარწმუნებული იყო მოხუცის გულწრფელობაში — სხვაგვარად იგი არასოდეს გაწირავდა ჩემ სიცოცხლეს.

— გამომყევით, — მიგვიპატიჟა მოხუცმა.

იგი გზას გვინათებდა ხელის ფარნით. ცისფერი სინათლე კარებს გასწვრივ, კიბეებზე, იატაკის თბილ, სქელ საფენზე და დერეფანში მაგიდის გრეხილ ფეხებზე დაციმციმებდა. მერე სახლის პატრონმა კარი გააღო. აღმოვჩნდით ოთახში, სადაც ტყავგადაკრული ღრმა სავარძლები და წიგნების კარადა იდგა. ბუხრის წინ ვეფხვის ტყავი ეგდო, საწერი მაგიდის ზემოთ ეკიდა მაღალი, მუქი ფერებით ნახატი სურათი და რამდენიმე ვერცხლის ჩარჩოიანი ფოტოსურათი. ბუხრის გვერდით ელექტროქურაზე ჩაიდანი დუღდა. ამ ოთახმა, სადაც ყავისფერი, ლურჯი და წითელი ფერები ერწყმოდა ერთმანეთს, არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე — ეს ვიგრძენი განსაკუთრებულად ბილტხოვენის ტყეში ჩვენი ცივი და მოუხერხებელი ღამისთევების შემდეგ; იგი ისე მყუდრო, მშვენიერი და სტუმართმოყვარე მეჩვენა, რომ წუთით დამავიწყდა ომი, ოკუპაცია და გამცემლების დევნა.

— დაბრძანდით, — შემოგვთავაზა სახლის პატრონმა. ახლა, როცა უქუდოდ იყო, მისი ჭაღარა თმები ლამპის მკრთალ სინათ-

ლეზე ბრწყინავდა. კარის პირდაპირ სკამზე დავჯექი. ჰუგო ისევ იდგა ფეხზე და ხმას არ იღებდა.

— ჩაის ინებებთ? — გვკითხა სახლის პატრონმა და ჩაის პატარა ბორბლებიან მაგიდასთან მივიდა, რომელიც კედელთან იდგა. ლაპარაკის დინჯ და თავაზიან ტონს, ნამდვილად, ისეთი შთაბეჭდილების შექმნა შეეძლო, თითქოს ჩვენ აქ ყველაზე უმაღლესი საზოგადოების დარბაზობაზე მოვედით.

— სიამოვნებით, — ვუპასუხე მე და ჰუგოს შევხედე, რომელიც მოხუცის უკან იდგა და ხელით მანიშნებდა, თითქოს მეკითხებოდა, რა ვქნათო. მხრები ავიჩეჩე, ლივენსმა მაგიდა ოთახის შუაში შემოაგორა. მასზე ვაზით შინაური ნამცხვარი და სამი ფინჯანი ჩაი იდგა, რომლებსაც ორთქლი ასდიოდა. ჰუგო მოხუცს პირქუშად, თითქმის მუქარით შეჰყურებდა. ერთი ხელი პალტოს ბორტში ჰქონდა ჩაყოფილი, ტყავის გულჯიბესთან.

— რამე განზრახვა ხომ არ არის?... — ჰკითხა მან, როცა ლივენსმა სკამზე მიუთითა.

რუხკოსტიუმიანმა ჭაღარა მასპინძელმა გაიცინა.

— არ მენდობით, რა თქმა უნდა ფიქრობთ, რომ ჩემი სახლი ფაშისტი ვაებატონებით ან დამხმარე პოლიციითაა სავსე და ერთ მშვენიერ მომენტში დაგიჭერენ?

— შესაძლებელია, — უპასუხა ჰუგომ ისეთივე პირქუში, უნდობი ტონით.

— სწორად არ ფიქრობთ, — თქვა ლივენსმა. — მე ჰოლანდიელი ვარ. ისეთივე როგორიც თქვენ. თქვენში არ მოვტყუებულვარ. ნურაფერს ვკითხავთ ერთმანეთს. მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა გითხრათ... როცა ჩემი მსგავსი ადამიანები, რომლებიც საქმეს ჩამოსცილდნენ, თავის სიბერის დღეებს ატარებენ ისეთ ადგილას, როგორიც ბილტხოვენია, და ბევრს დადიან ფეხით, მათი საყვარელი დროსტარება სეირნობაა. ეს სასარგებლოცაა. ის, ვინც ბევრს დადის, ბევრს ხედავს, იმის დასწავლა, რომ ყველაფერი შენიშნო, აუცილებელია, ყურადღება რამდენიმე დღის წინ მოგაქციეთ, როცა ამ დასახლებაში ცნობილ ფაშისტთა დამქაშების სახლებთან ტრიალებდით. ყოველ დღე თვალს გადევნებდით — მაპატიეთ, — როგორ გამოჩნდებოდით ხოლმე ყოველ დილით მტვრიანი, დაჭმუჭნული ტანისამოსით. ზოგიერთი დასკვნები გავაკეთე. „მონადირენი“, — ვიფიქრე მე. სიტყვამ მოიტანა და ნადირობის მხოლოდ ასეთ სახეს მივესალმები. ამიტომ, მზად ვარ, რითაც შემიძლია, დავეხმარო ასეთ ნადირობას... მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ. სხვანაირად არ გაიგოთ ფრთხილი მოხუცის მითითება, ასეთი სახით

თქვენი აქ გამოჩენა არ შეიძლება. ნამდვილად მიიპყრობთ ყურადღებას. ჩვენთან პოლიციის ნაწილში, არიან პატიოსანი, აქ დიდხანს ნამუშევაი პოლიციელები, მაგრამ არის რამდენიმე ახალგაზრდა ავაზაკი. პოლიციის უფროსი მეკერინკი ამ მხარეში ძალიან ცუდი სახელით სარგებლობს, ებრაელებისა და პატრიოტების სასტიკი დევნისათვის.

მე და ჰუგომ ერთმანეთს გადავხედეთ.

— თქვენთვის აუცილებელია ბაზა, ოპერაციის ჩასატარებლად, — თან კოვზით ჩაის ურევდა. — არ შეგიძლია მშვიდად ვუყურო, როგორ კარგავთ დროს და ძალ-ღონეს, იქნებ სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებთ. ამიტომ ჩემ სახლს გთავაზობთ თავშესაფრად იმ დრომდე, რაც თქვენ დაგჭირდებათ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ უარი თქვათ ჩემ წინადადებაზე. თუმცა ძალიან მეწყინებოდა... აბა, ჩაი დალიეთ, ვიდრე ცხელია.,

ჰუგომ ბოლოდ ახლა ამოიღო ხელი უბიდან. ვნახე, რა ჭუჭყიანი და უხეში იყო ეს ხელი. მალულად დავხედე ჩემ ხელებსაც. ფრჩხილებზე შავი არშია მევლო. მათი დამალვა მომინდა, მაგრამ სად დავმალავდი.

— ბატონო ლივენს, — ჩუმად კითხა ჰუგომ, — რით დამიმტკიცებთ, რომ აქ მახე არ არის?

მოხუცმა, რომელიც სიგარეტის შეკვრას ხსნიდა. მხრები აიჩეჩა. — რითი შეგიძლია დაგიმტკიცოთ? არ შემიძლია. გეუბნებით ნამდვილ სიმართლეს, რასაც ვფიქრობ. გსმენიათ თუ არა ოცდაორის პროცესის ამბავი?

— სტუდენტები... — ჩაილაპარაკა ჰუგომ. — გასული წლის დამდეგს რომ დახვრიტეს.

მოხუცმა თავი დაუქნია, სივრცეს მიაპყრო მზერა და თქვა:

— ჩემი ვაჟიშვილი მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. ინჟინერი ახლად დაქორწინებული. დიდი მომავალი ელოდა. იგი სამშობლოს ბედნიერებისათვის დაიღუპა.

ჰუგო ხმას არ იღებდა. ლივენსი ადგა, აიღო ვერცხლის ჩარჩოიანი ფოტოსურათი და მოგვიტანა. ძალიან ახალგაზრდა და გონიერი კაცისგამხდარი სახე ნაღვლიანი თვალებით შემოგვცქეროდა, მას შავი ქოჩორი ჰქონდა და გადაკეცილი საყელო უჩანდა. ლივენსს სიტყვა აღარ დაუძრავს. ჩვენც ვეღარ ამოვიღეთ ხმა. მაშინ ლივენსი მივიდა იმ კედელთან, სადაც დიდი სურათი ეკიდა. გადაბრუნა იგი. მეორე მხარეზე დედოფალ ვილჰელმინას სურათი და გამოხუნებული წითელი-მოთეთრო-ლურჯი ბაბთა ეხატა. მოხუცი

სურათს უყურებდა და თავს იქნევდა. მომეჩვენა, რომ ამ ჟესტით მას მისალმების გამოხატვა უნდოდა.

— უდიდესი ქალია, — თქვა მან ბოლოს. — ერთადერთია მთელი ლონდონის ჯგუფიდან, რომელსაც, ჩემი აზრით ესმის, რა ხდება ჩვენში... მოისმინეთ მისი გამოსვლა რადიოთი?

ჰუგომ თავი დაუქნია და ჩაის სმას შეუდგა, ლივენსმა სურათი ისევ გადააბრუნა და ჩვენ მოგვიჯდა, სიგარეტები შემოგვთავაზა, ხარბად დავიწყეთ წევა.

— მაშ, კარგი, — თქვა მან. — კარგად მესმის, ვინცა ხართ. ერთმანეთს ნუღარ მივცემთ ზედმეტ შეკითხვებს. ჩვენ ყველანი მხოლოდ პატრიოტები ვართ. ყველას ერთი რამე გვსურს... ძალიან მინდა გავიგო, ღებულობთ თუ არა ჩემ წინადადებას.

ჰუგო დიდხანს იყო ჩაფიქრებული და ხმას არ იღებდა. მოუსვენრობამ შუბლი შეუკრა. მეც იგივეს განვიცდიდი: მჯეროდა ჩვენი მასპინძლისა და ვიცოდი, რომ რისკზე მივდიოდით.

— ბატონო ლივენს, — თქვა ბოლოს ჰუგომ. — გავბედავ ამას. უნდა გავბედო... ჩემმა თანამგზავრმა უფრო ადრე მითხრა, რომ გენდობათ. ვიმედოვნებ, არ მოვტყუვდებით. თუ გვიმტყუნებთ, მარტო ჩვენ არ დავიღუპებით. ამას გპირდებით.

ლივენსის ტუჩებზე ისევ გადაირბინა ოდნავმა, ძუნწმა ღიმილმა.

— ჩემთვის ცნობილია ეს დაუწერელი კანონი, — თქვა მან.— მოხარული ვარ, რომ შემიძლია დაგეხმაროთ.

მეც და ჰუგოც მხოლოდ ახლა მოვიხიბლეთ ნამდვილად, მე ვიტყოდი, ამ სახლის სითბოთი და მოხუცის სტუმართმოყვარეობით. ლივენსმა სააბაზანე ოთახის კარები გააღო, სადაც ნამდვილად ცხელი წყალი მოჩუხჩუხებდა. ჰუგოს საპარსი მოწყობილობა მისცა და ორივეს დაგვილაგა პიჟამოები. როცა ნამდვილად ომამდელი წარმოშობის საპონს ვისვამდი, მან, მგონი, ჩუმად ჰკითხა ჰუგოს, დაქორწინებულები ვიყავით თუ არა, როცა სააბაზანედან გამოვედი— მასპინძლის ძველ ხალათში გახვეული, სუფთა ფრჩხილებით, თითქოს ხელმეორედ დაბადებული და სააბაზანე ჰუგოს დავუთმე, ლივენსმა გვერდით პატარა ოთახზე მიმითითა:

— შეგიძლიათ იქ დაიძინოთ. მხოლოდ ერთი პირობით: რომ ადრე ადგებით და რვა საათამდე გახვალთ სახლიდან, ისევე როგორც თქვენი კოლეგა, რომელსაც ასეთივე პირობები შევთავაზე. ცხრის ნახევარზე ჩემთან მოდის ქალი, რომელიც სახლს მილაგებს და სადილს მიკეთებს. პირველის ნახევარზე იგი უკვე მიდის. ამ ხნის განმავლობაში არ შემიძლია სახლში დაგტოვოთ. თქვენი მე-

კობარი ქვევით სავარძელზე დაიძინებს. ოთახი და საწოლი ისეთ მდგომარეობაში უნდა დატოვოთ, თითქოს აქ არავის შემოეხედოს.

— ჯადოქარი ხართ, ბატონო ლივენს, — ვუთხარი მე. — კეთილი სული.

მან დაფიქრებულად და ნაღვლიანად შემომხედა.

— არც ერთი ვარ და არც მეორე. ერთ-ერთი შეურაცხყოფილი და დაზარალებული პატრიოტთაგანი ვარ. თქვენ აკეთებთ საქმეს, რომელშიც მეც მინდოდა მონაწილეობა მიმეღო, ოცდაათი წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, — ჩემი შვილის საქმეს. თქვენ აგრძელებთ იმას, რაც მან დატოვა დაუსრულებელი. ამიტომ მიყვარხართ, თუნდაც თქვენი სახელიც კი არ ვიცი, არ ვიცი ვინა ხართ.

გამეღიმა: — ბატონო ლივენს, მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით: ოდესღაც მე მქონდა ერთადერთი პატივმოყვარული სურვილი — ჩემი გვარის წინ აღმენიშნა იურიდიული მეცნიერების მაგისტრის ტიტული.

მოხუცმა თავისი წვრილი, ოდნავ მოხრილი წარბები ასწია.

— სტუდენტი ხართ! — თქვა მან. — ნუ გამიწყრებით, თუ მაინც არ ვიქნები მორიდებული. თქვენი კოლეგა მუშად შევიცანი...

— არ შემცდარხართ, იგი მუშაა, — ვუპასუხე მე. — მერე და როგორი ადამიანია! სხვა ქვეყანაში, სხვა პირობებში შეეძლო მთელი არსებითის ეხელმძღვანელა.

— ტიმოშენკო, — ჩაილაპარაკა ლივენსმა. — ვოროშილოვი თუ კიდევ ის, დიდულვაშებიანი, რა გვარია?

— ბუდიონი, — ღიმილით ვუპასუხე მე. — წითელი კავალერია.

— კი, თქვენ იმათ ჩემზე უკეთ იცნობთ, — თქვა მოხუცმა.— დიახ. ადამიანთა ახალი ტიპები. ამ დროებაში ბევრ რამეს ვსწავლობთ. ჩვენ ვსწავლობთ ახლებურად განვსაჯოთ ის, რასაც წინათ ამოცანად წარმოგვიდგენდნენ.

— ამოცანად?.. არა, უფრო სწორად ბოროტმოქმედებად, — მწარედ ვთქვი მე. — ახლა კი, როცა რუსი ადამიანები თავს წირავენ, წირავენ, და იბრძვიან ძალლონის დაუზოგავად, ჩვენ მათ მივესალმებით... ჩვენი დიდი მოკავშირენი! ჩვენი გმირი თანამებრძოლები!

ლივენსი თავის გრძელ, საჩვენებელ თითზე ნიშნიან ბეჭედს აწვალებდა. — სამყარო შეიცვლება და სრულიად სხვა სახეს მიიღებს. მაგრამ სახელდობრ როგორს... ამას ნუ მკითხავთ. ეს არ ვიცი, — თქვა მან.

გამეცინა და კარგად დაბანილი თმები შევარხიე. — არც შე-

გეკითხებით, — ვუპასუხე მე. — მხოლოდ გეტყვით: რომ მე ვხვდები, რა ცვლილებები მოხდება.

ვიცდიდით, ვიდრე სუფთა და გაპარსვისაგან გავარდისფერებული ჰუგო ძირს არ ჩამოვიდა. ხელში ქაღალდი ეჭირა, რომელზეც ხუთი გვარი იყო ჩამოწერილი — ხუთი მისამართით, რომლის გაგებას ამდენი ძალ-ღონე მოვანდომეთ.

— ამ ადამიანებზე უფრო მეტ რამეს ხომ ვერ გვეტყოდით, ბატონო ლივენს? — ჰკითხა ჰუგომ. — სწორედ ეს კითხვა პირადული ხასიათისა არ არის.

ლივენსმა თავის თხელ ცხვირზე მსხვილ, შავჩარჩოიანი სათვალე გაიკეთა.

— ვან დერ ბეიერი, უტრეხტის სავაჭრო ბანკი, — წაიკითხა მან. — ამ რაიონის ავაზაკი ნომერი პირველი. ბურგომისტრის თანამდებობას უმიზნებს. „აღმოსავლეთის კომპანიის“ ყველაზე დიდი მეპაიეა...

— ...რომელიც წითელი არმიის მიერ ზარალის აუნაზღაურებლადაა ლიკვიდირებული, — დასძინა ჰუგომ.

— კომპანია ლიკვიდირებულია, — თქვა ლივენსმა, — მეპაიეები კი, სამწუხაროდ, არა. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათაც იგივე ბედი ეწევათ. ყოველმა მათგანმა დაიმსახურა ეს. მაგრამ ახლა ამ ვაჟბატონს აქ ვერ იპოვით. იგი „გერმან გერინგის“ კონცერნთანაა დაკავშირებული. თუმცა, იგი აგრეთვე ყოველგვარი გერმანული აქციებით სპეკულანტობს, წინათ უკრაინელ გოგონებს ყიდდა ნაცისტების ცოლებზე, რომლებსაც შინაური მონები უნდოდათ ჰყოლოდათ. ახლა, რამდენადაც ვიცი, ისევ გერმანიაშია წასული თავისიანების მოსანახულებლად, რომ უფრო განამტკიცოს თავის მეგობარ კრუპთან კავშირი.

— კანდიდატი მომდევნო დამსჯელი ექსპედიციისათვის, — აღვნიშნე მე.

ლივენსმა შემომხედა და ღიმილით თქვა:

— წინააღმდეგობის მოძრაობის ენა კარგად არ ვიცი, მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ იგი მომწონს... ვინა გყავთ კიდევ სიაში? აჰა, მეკერნიკი ვინცაა, უკვე გითხარით... დანარჩენი სამი — ჩვეულებრივი სპეკულანტები არიან. სისხლის სამართლის დანაშაული არა აქვთ, უბრალოდ, უპრინციპო უბადრუკი კაცუნები არიან, რომლებიც ნაცისტებს რომ ეკუთვნიან, იმის გამო გახდნენ ვერმახტის, გერმანელთა დაზვერვისა და მათი მონათესავე ორგანიზაციების მიმწოდებლები. ამიტომაც ავიდნენ მაღლა, ჰაერის ბურთებივით.

— მოიცათ, მალე მათაც განგმირავენ, — ჩაიბუტბუტა ჰუგომ.

საუბარს განვაგრძობდით. თვალში მომხვდა გუშინდელი გადაშლილი გაზეთი, რომელიც საწერ მაგიდაზე იდო. ვნახე, რომ შიგ მსხვილი შრიფტით ისევ იყო დაბეჭდილი სიკვდილით დასჯილი წინააღმდეგობის მებრძოლთა და მძევალთა სია. ლივენსმა თვალი გააყოლა ჩემ მზერას და გაზეთი გამომიწოდა.

— გუშინ შვიდი კაცი იყო გამოცხადებული, — თქვა მან. — არცერთ სიას არ ვტოვებ გადაუთვალიერებლად. ყოველ შემთხვევაში იმას, რასაც ისინი გაზეთში აქვეყნებენ, ჩვენ შესაშინებლად. აქ კი მთელი დოსიეა.

საწერი მაგიდის ერთი უჯრა გამოსწია. იქ იდო პატარა კანტორის წიგნი. მან იგი გახსნა და გამომიწოდა.

წიგნში ჩაწერილი იყო სასამართლოს განაჩენი და გვარები ყველა ჰოლანდიელისა, რომლებიც ნაცისტებმა დაიჭირეს და აწამეს. უხმოდ ვფურცლავდი წიგნს, მერე ჰუგოს გავუწოდე, მან უარი მითხრა და წიგნი ლივენსს დავუბრუნე.

— დანაშაული! — თქვა ჩვენმა მასპინძელმა და მუშტი მოკუმა — დანაშაული, რომლისთვისაც შესაფერისი სასჯელი არ მოიძებნება.

...ჩვენ აქ უცნაური კვირა გავატარეთ, არარეალური, მშვენიერი, დილაობით, რვა საათამდე უკვე სუფთა ჰაერზე ვიყავით. საღამოს სტუმართმოყვარე ბინას ვუბრუნდებოდით. ჩვენ და ჩვენი ტანისამოსი გავსუფთავდით. ჩვენ კუჭებს შიმშილი დაავიწყდა. ამის გამო ხასიათი გამოგვიკეთდა. ჰუგომ თავისი რევოლვერი ლივენსის სახლში დამალა და უპალტოოდ დადიოდა. მის ნაცვლად იგი მასპინძლის ლურჯ კოსტუმს იცვამდა; მართალია, კოსტუმი ცოტა განიერი იყო, მაგრამ ეს ჩვენთვის სასარგებლო იყო, რადგან იღლიის ქვეშ ტილოს პატარა ჯიბე მივაკერეთ, — რომლითაც ჰუგო ახლა ჩემს მიერ ბაბელოსათვის წართმეულ მცირეყალიბიან რევოლვერს ატარებდა. გაზეთებში წავიკითხეთ, რომ უტრეხტსა და მარტენსდეიკს შორის იპოვეს მოპარული ავტომანქანა, რომელშიც ბენზინი დახარჯული იყო, შიგნით კი პოლიციის ინსპექტორის უსულო გვამი იდო. გაურკვეველი იყო, ეს პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ, თუ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაული. ინსპექტორის ველოსიპედი მის სახლთან ახლოს იპოვეს, მაგრამ არავის უნახავს, ბაბელო როგორ წაიყვანეს მანქანით, ჯერჯერობით პოლიცია ძიებას ალალბედზე აწარმოებდა.

— ბაბელო, ფოსლანდერი, მეკერინკი, — მითხრა ჰუგომ. — ეს სამეული ნაჯახის ღირსია!

მაგრამ ჩვენ კიდევ ვერ მივაგენით ფოსლანდერს. ყოველ

საღამოს უშედეგო ცდების შემდეგ ვბრუნდებოდით ლივენსის სახლში. იგი არაფერს გვეკითხებოდა. ხანდახან ფიქრი გამიელვებდა ხოლმე, ალბათ, იგი ჩვენთან ერთად სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ძებნაში. ჩემი წინადადება ჰუგოს გავუზიარე. მან ჯერ გაიცინა:

— როგორ, ის — რას ამბობ! მოხუცი ისედაც ძალიან ნასიამოვნებია, რომ გვეხმარება, და უნდა ვთქვა, რომ ბრწყინვალედ გვეხმარება, მაგრამ მონაწილეობის მიღება... რანაირად?

— აი, რანაირად: ათვალიეროს ყურადღებით. იგი ხომ ბევრს დადის ფეხით, — ვუთხარი მე. — სწორედ ამ საშუალებით შეგვნიშნა მან.

ცოტა ფიქრის შემდეგ ჰუგო დამეთანხმა:

— ეს იდეაა, ხანა.

ამ კვირის დასასრულს, როცა ლივენსის დიდ ოთახში ვისხედით და ჩაის ვსვამდით (რაც ჩვეულებად გადაგვექცა), ლაპარაკი დავიწყეთ იმაზე, ხომ არ შეეძლო ლივენსს ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიეღო თვალის დევნებაში. ლივენსი ჩვენ წინადადებას არაჩვეულებრივი ყურადღებით შეხვდა, თუ არ ვიტყვით — აღფრთოვანებითო. როგორც ჩანდა, იგი მადლობელი იყო, რომ ჩვენ სამუშაოში ვაბამდით. მოკლედ გავაცანით საქმის არსი, ავუხსენით, რომ ფოსლანდერის პოვნის იმედი გვაქვს რომელიმე ამ ბასამართების საშუალებით, რომლებიც ბაბელოს წიგნაკში ეწერა. ლივენსმა თქვა, რომ ახლა უკეთ შეგვეძლო დავალების განაწილება, ჰუგომ მას ფოსლანდერის ნიშნები აუწერა, მოხუცმა რამდენჯერმე გაიმეორა ხმამაღლა და დაიხსომა.

მაისი დასასრულს უახლოვდებოდა. ბაღები აყვავდა. ქარს დაჰქონდა ამწვანებული არყის ხის, სუმბულისა და აყვავებული კუნელის სურნელება. ლივენსის ფარულ რადიომიმღებს გამამხნევებელი ახალი ამბები მოჰქონდა. საბჭოთა ჯარებმა გერმანელთა პოზიციები გაარღვიეს ბალტიისპირეთში და აღმოსავლეთ პრუსიისაკენ გაემართნენ. იტალიაშიც კი მოკავშირეები ამოძრავდნენ და რომს უახლოვდებოდნენ, თუმცა არც მაინცდამაინც ცქვიტად — რუსების შვიდმილიან ნაბიჯებთან შედარებით.. .ჩვენ ქვეყანაში კი ყოველდღე იყო დაპატიმრებები. გაზეთები შეუწყნარებლად წერდნენ დაჭერილ ტერორისტებზე, წესრიგის დამრღვევებზე, ხალხის მტრებზე და ებრაელების მფარველებზე; სისრულეში მოჰყავდათ სასიკვდილო განაჩენები და ლივენსი ყოველ დღე წერდა მათ გვარებს თავის კანტორის წიგნში....

ვერაფრით დავძლიე მოუსვენრობა, რომელმაც შემიპყრო.

ჰუგო სიტყვაძუნწი, გულჩახვეული და უცნაური გახდა, თითქოს ნაპუპში შეძვრაო. კიდევ სჯეროდა თუ არა, რომ ფოსლანდერს დავიჭერდით? აქ, ბილტხოვენში? მე ხანდახან ეპვი მეპარებოდა ამაში. ჩვენ ოთხ ფაშისტთან ათასნაირი ადამიანი დადიოდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ფოსლანდერის ნიშნები, ლივენსიც ვერ დაიკვეხნიდა მიღწევებს. ვან დერ ბეიერე კი, როგორც ჩანდა, ისევ გერმანიაში იყო.

მაგრამ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი. ერთხელ საღამოს ლივენსმა გვაცნობა, პოლიციის უფროსს ორი კაცი ესტუმრაო, ერთ-ერთს ადგილობრივი ფაშისტის თუ ფაშისტთა დამხმარე პოლიციის სამხედრო ფორმა ეცვა, მეორე კი — სამოქალაქო ტანისამოსით იყო. სამხედროს ახლდა საშინელი ძაღლი — ნაგაზი. ჰუგო ლივენსს სახელოში ეცა და სწრაფად ჰკითხა:

— როგორ გამოიყურება ის, სამოქალაქო ტანისამოსიანი?

— ძნელი სათქმელია, — უპასუხა მოხუცმა. — მას ხაკისფეჩარჩოიანი, შავმინებიანი სათვალე უკეთია... ოცდაათ წელს და ორმოცდაათსაც მისცემდა კაცი... ყოველთვის ძაღლიან პოლიციელთან ახლოს იყო, თითქოს მათ უნდა დაეცვათ იგი. საერთოდ, საკმაოდ კოხტად იყო ჩაცმული.

— კოხტად? — ჰკითხა ჰუგომ, იგი ლივენსის მონათხრობს ცოტა არ იყოს გულგატეხილად უსმენდა, ახლა კი უცებ გამოცოცხლდა: — რას ნიშნავს „კოხტად“? ქარაფშუტულად?

— დიახ, მართლაც სწორედ „ქარაფშუტულად“, — თქვა ლივენსმა. — იგი ნამდვილი ფრანტია. ხელთათმანიც კი ჭყეტელა ყვითელი ფერისა აქვს...

მე და ჰუგო ერთად წამოვდექით ფეხზე.

— ჭყეტელა ყვითელი ფერის ხელთათმანი, — გაიმეორა ჰუგომ და მე შემომხედა, — ეს ის არის, ხანა. ბატონო ლივენს, იგი ნამდვილად ის არის, — უთხრა მან მასპინძელს. — ყვითელი ხელთათმანები — ეს არის მისი სუსტი მხარე! ღმერთო ჩემო! ესე იგი, იგი აქ არის... და ეშინია... ძაღლიანი პოლიციელის თანხლებით დადის. ჰა, ჰა!

ჰუგოს გრძნობები კარგად მესმოდა. მაგდამ იგი მალე მოეორია თავს. მის სახეს თითქოს შეაცივდა სერიოზულობისა და მღელვარების გამომეტყველება. მან შემომხედა; მე უკვე ლაბადა ავიღე. ჰუგომ ლივენსს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— უნდა წავიდეთ, ბატონო ლივენს, მეტს ვერაფერს გეტყვით. თუ დღეს კომენდანტის საათისათვის არ დავბრუნდით, ესე იგი, საქმე გამოგვივიდა და გავიქეცით. ასეთ შემთხვევაში თქვენ ყველა-

ფერი, რაც მე და ხანას აქ დაგვრჩება, ან დაწვით, ან დამალეთ, მათ შორის ჩემი ზამთრის პალტოც; თქვენკენ მომავალი ყოველი კვალი უნდა მოისპოს.

შეწუხებულმა ლივენსმა მამობრივი გრძნობით მხარზე დაარტყა ჰუგოს ხელი, მეტი არაფერი უთქვამს. მე და ჰუგო სახლიდან გზაზე გავედით და რკინიგზა გადავჭერით; ჩვენთვის უკვე ნაცნობი უკანა ხეივნებით გვიმრიან ტყეში შევედით და პოლიციის უფროსის სახლის პირდაპირ აღმოვჩნდით. ტყეში დავიმალეთ და დაწოლილები თვალმოუცილებლად ვუყურებდით სახლს.

დრო მიდიოდა. სახლიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც ადგილობრივი ფაშისტური ქვეგანაყოფის სამხედრო ფორმა ეცვა; გვერდით ძაღლი მიყვებოდა, რომელზედაც ლივენსი გველაპარაკებოდა, — ჯაჭვზე გამობმული ბანჯგვლიანი საშინელება. სამხედრომ ძაღლი სასეირნოდ გამოიყვანა და ხეივნის გასწვრივ მიდიოდა. ძაღლმა ცხვირი ჩვენკენ გამოიშვირა და დაიფშუტუნა, მაგრამ პატრონი ჯაჭვს არ უშვებდა და ძაღლს არ შეეძლო მოგვვარდნოდა. ფაშისტმა ხეივანი გაიარა, უკან დაბრუნდა და სახლში შევიდა, როცა ძაღლმა მოისაქმა.

— ფოსლანდერის პირადი დაცვა! — ჩაიბუტბუტა ჰუგომ. — წარმოგიდგენია ეს გაიძვერა სახლში ზის? რა მარჯვე ოინს მოვიმოქმედებდით, ხანა, ველოსიპედები რომ გვქონდეს! — ისინი სამნი არიან!..

— საით გავიქცეთ? — ვკითხე მე.

— ყველაზე კარგია პირდაპირ ბაღებით, რკინიგზაზე გადასვლა და ტყეში. მაგრამ, მოიცა... ეს არ ივარგებს. უნდა დავიცადოთ, სანამ ფოსლანდერს მარტო არ შევხვდებით. მერე ჩავჯდეთ ავტობუსში და მოვუსვათ.

ჰუგო დინჯად და თავშეკავებულად ლაპარაკობდა, მაგრამ ვამჩნევდი, რომ მონადირის აზარტი არ ჩამქრალიყო მასში. მე კი ვიცოდი: დაუსრულებლად დიდი და მოსაწყენი დრო უნდა გვეცადა მოთმინებით.

ამჯერად ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. შვიდი საათისათვის სახლიდან სამი მამაკაცი გამოვიდა. ფაშისტი თავისი ძაღლიანად, მეორე სამხედროფორმიანი — მაღალი წითურსახიანი მამაკაცი, როგორც ჩანდა მეკერინკი იყო, მის გვერდით, გამხდარი, გულმოდგინედ ჩაცმული კაცი ხაკისფერი სათვალით, თუმცა მზე უკვე ჰორიზონტს უახლოვდებოდა. ჰუგო ჩემ გვერდით იდგა და გასასროლად გამზადებული მშვილდივით დაიძაბა.

— ფოსლანდერია, — თქვა მან. — ოჰ შენი, ეშმაკმა წაიღოს! ეს ის ავაზაკია! — კარგად დააკვირდი, ხანა.

სამი მამაკაცი ხეივანს გაჰყვა. ორ სამხედროფორმიანს, როგორც ჩანდა, არაფერი აწუხებდა, ფოსლანდერი კი აქეთ-იქით იხედებოდა. მე ბუნდოვნად ვარჩევდი ფოსლანდერის სახეს და გამხდარ, მოუსვენარ ფიგურას, რომელსაც საიმედო დაცვა მიჰყვებოდა: კუთხეში გადაუხვიეს გზაზე, რომელიც გადასასვლელისაკენ მიდიოდა და მალე თვალს მიეფარნენ. ეს გადაგვარებული აბეზღებდა და ღალატობდა ჩემ ამხანაგებს!

— ჰუგო, — ვუთხარი მე, — იცი რა? ისინი მას სნეიტერსთან წაიყვანენ... თუ მათ ვან დერ ბ-ს სახლის გასაღები არა აქვთ.

ჰუგო გაფითრდა და კუტიკარისაკენ ძალით წამიყვანა.

— დიდი ხანი არაა, რაც შენ მარწმუნებდი, — ვუთხარი ჰუგოს, — „ვ. დ. ბ.-ს“ მსგავსი კაცს არ შეუძლია დაუთმოს თავისი ირანული ხალიჩა და აბრეშუმის საბნები ისეთ ადამიანს, როგორიც ფოსლანდერია... ვიხელმძღვანელოთ ამით. მაშინ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩება, როცა არ არის მესამე და მეოთხე, სწორედ — სნეიტერსი.

უკაცრიელი, მიხვეულ-მოხვეული ხეივნით მივედით იმ ადგილას, სადაც სამშენებლო მასალით მოვაჭრის სახლი იდგა. აქ სიმშვიდე გამეფებულიყო. ხშირ ფიჭვნარში ვიწექით და ყურს ვუგდებდით თითქმის კომენდანტის საათამდე... საკმაოდ დიდი ვადა იყო — ამ ხნის განმავლობაში გზატკეცილით მიმავალი სამი კაცი უნდა მოსულიყო სნეიტერსის იდილიურ ქოხში. მაგრამ ისინი არსად სჩანდნენ.

— უნდა დავბრუნდეთ ჩვენ ბაზაში, ჰუგო, — ვუთხარი მე.— თორემ ჩვენ თვითონ შეიძლება ჩავვარდეთ... მათ დამბეზღებელი სხვა ბუნაგში წაიყვანეს.

ჩვენ ისევ დავბრუნდით ლივენსის სახლში, ვიდრე კომენდანტის საათი დაიწყებოდა. მოხუცს ჩვენთვის არაფერი უთქვამს, როცა უარის ნიშნად დავუქნიეთ თავი. სანზარეულოში წავიდა, რომ ჩვენთვის რამე ცხელი საჭმელი მოემზადებინა.

— რა მოხდა, ვერ შეხვდით თქვენ კაცს? — გვკითხა მან, როცა მაგიდასთან მიგვიწვია.

— შეხვედრით კი შევხვდით... — უპასუხა ჰუგომ. მაგრამ გაძლიერებული დაცვა ჰყავდა და ეშმაკმა იცის სად წაიყვანეს.

ლივენსმა შემოგვთავაზა მოკლედ გვეთქვა, რა ვნახეთ.

— ისინი სუსტდეიკის გზატკეცილით წავიდნენ? — იკითხა

მან. — იქ ჩვენი ფაშისტი მებრძოლების კლუბია. პატარა სასტუმროს უკან, გზების გასაყარზე... რა თქმა უნდა, ეს ტიპი იქ იმალება.

— ესე იგი, ცოლმა გააფრთხილა, — მითხრა მე ჰუგომ, როცა მარტონი დავრჩით. — მას აღარ უნდა თავის საფრთხეში ჩაგდება. განსაკუთრებით ბაბელოს ამბის შემდეგ...

უცებ მან ბავშვივით, მთელი გულით გაიღიმა და სახის ნაკვთები მაშინვე მოულბა.

— როგორ ეშინია! — და რა კარგია, რომ ეშინია! შიში თავისთავად სასჯელია!

ჰოლანდიელ ფაშისტთა კლუბი მოთავსებული იყო დიდ, შვეიცარული სტილის ნალეში, მასზე ფრიალებდა მიუსერტის დროშა, რომელზეც სამკუთხედი იყო გამოსახული, როგორც წესი მოითხოვს, მთავარი შესასვლელის ზემოთ ჩამოკიდებული იყო დაფა წარწერით — დირექტორის გვარი და განცხადება, რომ მას ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის უფლება აქვს... ასე რომ არ ყოფილიყო, გერმანელები არ გახდებოდნენ ამ კლუბის ნუდმივი სტუმრები. მეორე სართულის გასწვრივ გრძელი გალერეა მიემართებოდა, რომელზეც პატარა ოთახები გამოდიოდნენ.

— ესე იგი, მათ იგი იქ დამალეს... — ჩაფიქრებულად თქვა ჰუგომ, — როცა ფრთხილად გამოვედით დაზვერვაზე.

ვცდილობდით, შეძლებისდაგვარად სახლისთვის თვალი არ მოგვეცილებინა. იქ შედიოდა და გადიოდა ათასნაირი ხალხი — სამხედროები, მინწოდებლები. მათში ფოსლანდერი არ ერია. დღისით კლუბთან ვერმახტის ავტომანქანა მოვიდა, რომელშიც ორი ოფიცერი იჯდა და გალავანს შიგნით გაჩერდა. ორი საათის შემდეგ ვნახეთ, რომ იგივე მანქანა ხმაურით წავიდა.

— ნუთუ ჩვენი ვაჟბატონი არასდროს გამოდის ჰაერზე? — ვკითხე ჰუგოს, როცა ტყეში სათვალთვალო ადგილი დავიკავეთ. საიდანაც კლუბის წინ გზატკეცილიც ჩანდა.

— დამიჯერე, რომ გაიქცა, — თქვა ჰუგომ. — შეიძლება, იგი აღარც გამოჩნდეს.

ჩვენ მაინც შევცდით. გამცემი უცებ გამოჩნდა კლუბის წინ. ბაღში, მაგრამ მას ისევ ახლდა ორი წოწოლა ფაშისტი ვაჟბატონი: ერთ მათგანს ჯაჭვით მოჰყავდა ძაღლი, ჩვენ ტყის სიღრმეში შევედით. ისინი დასახლებისკენ კი არ წავიდნენ, ტყისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოგვეფარნენ თვალთ, ჰუგომ შეიგინა.

— დალახვროს ეშმაკმა! ჩვენ არც კი ვიცით, იქ რა ადგილე-

ბია! — წამოიძახა ჰუგომ. — გავბედავდი, სამივე ავაზაკი და ძალლი მომეკლა, რომ ვიცოდე, სად და როგორ შეიძლება დამალვა.

— რომ დავათვალიეროთ ეს ადგილი? — ვკითხე მე.

წავედით იმ მიმართულებით, საითაც ფოსლანდერი მიიმალა თავისი ესკორტით. იქ კარგა გავერანებული ხეივნები და რამდენიმე სახლი იდგა. ხეივნები მთავრდებოდა ტყესთან, რომელიც, როგორც ჩანდა, ბილტხოვენიდან ლაჰე ფიუიურსემდე გადაჭიმულიყო. აქ ავტობუსები არ დადიოდნენ. მხოლოდ ველოსიპედებს შეეძლო ჩვენი ამოცანის შესრულება.

— მოთმინებაა საჭირო, ჰუგო, — ვუთხარი მე.

თავის დაქნევით მანიშნა თანხმობა.

მეორე დღემაც თითქმის წინადღესავით ჩაიარა. დიდი სიფრთხილით ვუტრიალებდით გარშემო კლუბის შენობას.

მხოლოდ შუადღისას გამოვიდა ფოსლანდერი სახლიდან. მას ისევ ხაკისფერი სათვალე ეკეთა და ჭყეტელა ყვითელი ხელთათმანი ეცვა. ისევ გამცილებლები ახლდა; ამჯერად ძაღლი საბელით მიჰყავდა თვითონ დაცვის უფროსს.

— სად მიდიან? — გაიკვირვა ჰუგომ, როცა ფოსლანდერი და მისი თანამგზავრები დასახლების ცენტრისაკენ წავიდნენ. — უკან გავყვეთ, ხანა!

ფოსლანდერი ჩვეულებისამებრ წამდაუწუმ უკან იხედებოდა. ეს გარემოება ართულებდა ჩვენ ამოცანას. რადგან ორივე ვაკბატონი ჩვენსავით გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მიდიოდა და ფოსლანდერს შეიძლებოდა ჰუგო ეცნო. ამავე დროს, არაფრით არ შეიძლებოდა ჩამოვრჩენოდით მათ. ჰუგომ ერთი ხელი ხელში ჩამჭიდა, მეორე მხარზე გადამხვია. ძველმა ხერხმა, როცა ჩვენ ვანსახიერებდით ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთის ყურებით ვერ ძღებიან, როგორც ჩანდა, ახლაც გასჭრა: ორივე ტიპს, რომლებიც მიდიოდნენ ფოთლებით მოფენილ ფეხით სასიარულო გზაზე, ეჭვი არ შეპარვიათ, მიუხედავად იმისა, გვხედავდნენ უკან რომ მივყვებოდით.

უეცრად მივხვდი.

— იცი რა, ჰუგო, — ეუთხარი სწრაფად. — ავაზაკი აქ აღარ დაბრუნდება. — იგი სადგურზე მიდის.

— არავითარი ბარგი რომ არა აქვს თან, — შემომედავა ჰუგო.

— დაკვირვებით შეხედე, — ეუთხარი მე.

მართლაც, მალე მატარებელი უნდა მოსულიყო. უკვე კარგა ხანია შესწავლილი გვქონდა მატარებლების განრიგი: რომლები ჩერდებოდნენ აქ, რომლები ჩაივლიდნენ გაუჩერებლად. მატარებე-

ლი ამსტერდამი-უტრეხტი მალე უნდა მოსულიყო. ჰუგომ აღელვებისაგან მაგრად მიჩქმიტა ხელზე.

— ნელა, ჰუგო, — ვუთხარი მე, — თორემ ხვალ მთლად დალურჯებული ვიქნები!

— ოჰ, გაიძვერა! — წამოიყვირა ჰუგომ, ჩემი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. — აქ. რომ უფრო ცოტა მანქანები და ხალხი მიმოდიოდეს...

— რა უნდა გავაკეთოთ, თუ მატარებელში ჩაჯდება? — ვკითხე მე.

მან ორჯერ ღრმად ამოიოხრა.

— გაბედავ წაყვე და უთვალთვალო, გამოდის თუ არა როდისმე მარტო?

— მხოლოდ შენთან ერთად, — ვუთხარი მე.

— მატარებლებში წამდაუწუმ ამოწმებენ საბუთებს.

— რისკია ყველა საქმეში... და ყველგან. მაგრამ თუ შენ მტკიცედ გადაწყვიტე, რომ ავაზაკი უნდა მოვსპოთ, ჩვენ მას მოვსპობთ.

— ოლ რაიტ, — წარმოთქვა ჰუგომ.

შლაგბაუმი უკვე დაშვებული იყო, როცა ვნახეთ, რომ ფოსლანდერი და მისი გამცილებლები უკვე ბაქანზე მიდიოდნენ. ფეხს ავუჩქარეთ, რომ დავწეოდით. ჰუგომ ნელა ჩამიდო ხელში ფული და სალაროსაკენ წავედი ბილეთების საყიდლად. როცა სარკმელთან დავდექი, ფოსლანდერმა ჩემკენ მოიბრუნა სახე — მან უკვე აიღო ბილეთი, შემომხედა და მეც შევხედე. დავინახე გამხდარი, ფერმკრთალი სახე, დუნე პირი და ძალიან მოკლე ნიკაპი, — ჩვენ გულგრილად მოვაშორეთ ერთმანეთს მზერა. უცებ აზრმა გამიელვა: რა იქნება, რომ უცებ მოვბრუნდე, ამოვიღო რევოლვერი და ვესროლო? ეს იქნებოდა გადაგვარებულის მოსპობის რადიკალური საშუალება. ჰუგო მაშინვე აიღებდა გეზს და მეორე ფაშისტს მოუვლიდა. მაგრამ მე არ ვიცოდი, რა ხალხი იყო ბაქანზე. არ ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა დავნდობოდით სადგურის პერსონალს, გაგვიშვებდნენ თუ დაგვაკავებდნენ. არ ვიცოდი, რამდენი ფაშისტი იჯდა რკინიგზის ლიანდაგებთან მოთავსებულ კაფეში. ოდესღაც მე და ჰუგო ამ კაფედან ვუთვალთვალებდით ნაცისტ ტონსეტის ფეხსაცმლის მაღაზიას... წუთიერი აფეთქება ჩაქრა. ფოსლანდერი ისევ მივიდა თავის გამცილებლებთან. მე კი ჰუგო მოვძებნე. იგი იდგა დაფის უკან, რომელზეც მოძველებული რეკლამები იყო გაკრული და გულმოდგინედ არიდებდა სახეს ხაკისფერ-სათვალებიანი კაცის მზერას.

— ვერ გაიგონე, სად მიდიან? — მკითხა ჰუგომ, როცა ბილეთი მივეცი...

— ძალიან გვიან მივედი სარკმელთან, — ვუპასუხე მე.

ჰუგომ ისევ მომხვია ხელი წელზე. მატარებელი მოახლოვდა და ჩვენ კუტიკართან დაიხრიგინა.

— ხომ არ გაბედავ, აქ, ბაქანზე ესროლო, — როცა იგი ვაგონში შესვლას დააპირებს? — სწრაფად ვკითხე მე.

— მეც ვფიქრობდი ამაზე, — ჩაიბუტბუტა ჰუგომ... — მაგრამ ეს სადგური — ნამდვილი მახეა. აქ ვერასდროს ვერ დაიმალები... ჩვენი ერთადერთი შესაძლებლობა უტრეხტია. იქ შეგვიძლია შეუმჩნეველად წავიდეთ, აქ კი ვერა.

ნაცრისფერი, გველივით სადა, დიზელის მატარებელი შემოსრიალდა ბაქანის გასწვრივ. ვცდილობდით გვენახა, რას აკეთებდა ფოსლანდერი. ის და დაცვის უფროსი მეორე კლასის ვაგონში შეხტნენ ძაღლიანად. ჩვენ მშვიდად ჩავსხედით მესამე კლასში.

მგზავრობა ხანმოკლე იყო, სულ ექვსიოდე წუთი,—ესაა ყველაზე მოკლე მანძილი რკინიგზის გადასარბენთა შორის. დიზელის მატარებელი მიჰქროდა ლიანდაგებზე და ფიქრებიც მიჰქროდნენ ჩემ თავში. ჩვეულებრივად, მატარებელი გაჭედილი იყო. ბაქანზე ვიდექით და იდაყვებით ვიგერიებდი მგზავრებს, რომლებიც ყოველი მხრიდან გვაწვებოდნენ: მათ ჩვენ ჯიბეებში რევოლვერები არ უნდა შეემჩნიათ. ბაქანზე ვფიქრობდი, რომ ვაგონს გავივლიდით და შევიდოდით კუპეში, სადაც ფაშისტები ისხდნენ, ახლა კი უკვე ვშიშობდი, რომ უტრეხტში სწრაფად ვერ ჩამოვიდოდით მატარებლიდან.

— კარებთან ახლოს მივედით, ჰუგო. — წავჩურჩულე ჩემ ამხანაგს.

მგზავრებს ხელის კვრით, თან ბოდიშის მაგივრად ვუღიმოდით, გზა გავიკვლიეთ გასასვლელი კარებისაკენ. ჰუგო ისევ მეხვეოდა და იცინოდა, მაგრამ ამ ხელოვნურ სიცილს მიღმა ვამჩნევდი გამახვილებულ ყურადღებას და სიმშვიდეს, რომელიც მის არსებას დაუფლებოდა. ამან მეც დამამშვიდა.

როცა მატარებელი უკვე უტრეხტის სადგურის ბაქნის გასწვრივ მისრიალებდა, ჰუგომ და მე კარი გავაღეთ და პირველები გადმოვხტით მატარებლიდან. მაგრამ მაშინვე მეორე კლასის ვაგონებისკენ არ წავსულვართ. ხალხს შევერიეთ და გასასვლელისაკენ გავეჩქარეთ. წინ მიმავალი ფაშისტის შავ ქუდს ვხედავდი; ძაღლი არ ჩანდა, მაგრამ იგი ერთთავად ყეფდა. ჰუგოს ისევ ჩემ წელზე ჰქონდა ხელები მოხვეული. ნაცრისფერსათვალიანმა კაცმა წუთით მოაბრუნა ჩვენკენ უფერული სახე და მოდუნებული პირი.

— ახლა ან არასოდეს, ხანა, — თქვა ჰუგომ.

უკვე გასასვლელთან მივედით. რკინისა და შეშის ვიწრო გასასვლელიდან დამბეზღებელი და მისი გამცილებელი ფაშისტი გარეთ გავიდნენ. მათ სადგურის წინ ტროტუარი გაიარეს, როცა ჩვენ კონტროლზე გავდიოდით. ერთი წუთით დამსმენის ირგვლივ სიცარიელე იყო. ვხედავდი, ჰუგომ როგორ მოისინჯა რევოლვერი იღლიაში. მეც ხელი ჩავიყავი ლაბადის ჯიბეში. მოულოდნელად გვერდით გაგვირბინა ორმა ბავშვმა, მათ სიცილით მისდევდა ახალგაზრდა დედა — როგორც ჩანდა, ვერ ერეოდა თავის პატარებს. შევნიშნე, რომ ჰუგომ თავი შეიკავა და ჯიბიდან რევოლვერი არ ამოუღია. მეც არაფერს ვაკეთებდი.

— წყეულიმც იყავ! — კბილებში გასცრა ჰუგომ.

უცებ მან შემაჩერა. გავჩერდით და ვუყურებდით, ფოსლანდერი და ფაშისტი როგორ მივიდნენ გადაღმა ტროტუართან. მაღალი, თეთრი სასტუმროს სადარბაზოს წინ გერმანული მანქანა იდგა.

— დაზვერვა, — წამჩურჩულა ჰუგომ.

კარგად დავაკვირდი. მანქანაში შოფრიანად მონაცრისფრომწვანე სამხედროფორმიანი სამი კაცი იჯდა. კარი ღია იყო. ფოსლანდერი მანქანაში შოფრის გვერდით ჩაჯდა. ფაშისტთა დაცვის უფროსი მიესალმა „ჰაილ ჰიტლერის“ დაყვირებით. აგტომობილი დაიძრა. მცველმა მას თვალი გააყოლა, ვიდრე იგი მოსახვევს არ მიეფარა. მერე საბელიანი ძაღლიანად ნელა გაბრუნდა უკან და სადგურის მოედანი გადაკვეთა.

მე და ჰუგო ადგილიდან არ დავძრულვართ. ვგრძნობდი, რომ კანკალმა ამიტანა, მთლად მოვეშვი და ძლივს ვიდექი ფეხზე, თითქოს ეს მე კი არა, ვიღაც უცხო, უცნობი ხანა იყო. ჰუგოს ჩახლეჩილი, გაბოროტებული ხმით წარმოთქმული წყევლა გულზე არ მხვდებოდა. არამზადა მიიმალა! ვერ ვბედავდი ჰუგოს შეხედვას, არ მინდოდა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვედროდა. ამ წუთებში მეც მზად ვიყავი თვალსაფარი სათვალე გამეკეთებინა.

— წავიდეთ, ხანა, — მითხრა მან, როგორც იქნა.

ბილტამდე ტრამვაით მივედით, იქიდან კი ფეხით დაგბრუნდით ბილტხოვენში.

— ბედს რომ გაეღიმა ჩვენთვის და ახლა მეკერინკი შეგვხვედროდა, — დიდი ამბითა და მრისხანედ განაცხადა ჰუგომ, როცა გზატკეცილზე მივჩანჩალებდით, როგორც შვებულებაში მყოფი წყვილი, რომლებსაც უსაქმოდ ყოფნა მობეზრდათ, — მაშინ ეს მაინც აგვინაზღაურებდა დღევანდელ ზარალს...

— მზად ვარ ახლავე ვისროლო, — ვუთხარი მე.

მაგრამ მეკერინთან შეხვედრის შემთხვევა არ მოგვეცა. იძულებული ვიყავით გულში ჩაგვეკლა ბრაზი და წყენა, გულნატკენი დავრჩენილიყავით. როცა ლივენსის სახლში შევდიოდი, ისეთ დაღლილობას ვგრძნობდი, როგორიც აქამდე არასოდეს მიგრძვნია. ჩემ ოთახში ჩავიკეტე და მარტო გამოვიტირე, მრისხანება და იმედგაცრუება. მალე გავიგონე ქვეით შუშის ჭურჭლის წკარუნი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჰუგო იყო; იგი არ ტიროდა ჩემსავით, მაგრამ ჯავრისგან ჩვენი მასპინძლის ძველი ჯინი გადაკრა. ჰეორე დღეს ძებნა განვაახლეთ, ეცდილობდით არ დავნებებოდით სევდას, რომელმაც გუშინ ისე ადრე ჩაგვაწვინა ლოგინში. ლივენსი, ჩვეულებისამებრ დინჯი და თავდაჭერილი იყო. მოთმინებით ელოდა, რა დავალებას მისცემდა მას ჰუგო, ვიდრე სასლიდან გავიდოდით. ჰუგომ მას შესთავაზა ისევ ედევნებინა თვალი პოლიციის უფროსის სახლისათვის. ჩვენ კი სადგურსა და ფაშისტების კლუბის შენობას შორის უნდა გვეევლო... ისევ დავაბიჯებდით ჩახჩახა მზის ქვეშ, და ველოდით წარმატებას, რასაც ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. მართალი რომ ვთქვათ, უკვე ვიცოდით, რომ ამაოდ ველოდით წარმატებას.

— ჰუგო, განა ღირს ჩვენი კიდევ აქ დარჩენა? — ვკითხე, როცა ლივენსის სახლში ვბრუნდებოდით.

— იქნებ, ავაზაკი ისევ დაბრუნდეს აქ, — მიპასუხა ჰუგომ. — წინასწარ ეს არავინ იცის.

მაგრამ იგი ჩემ მზერას გაურბოდა, მეც არ მჯეროდა, რომ მას ფოსლანდერის დაბრუნების იმედი ჰქონდა. ჩვენი მასპინძელი დაზვერვიდან დაბრუნდა იმ რაიონიდან, სადაც მეკერინკის სახლი იყო, ჩვენსავით უიმედო შედეგით. სადილმა უხერხულ დუმილში ჩაიარა. ჩაის დალევის წინ ჰუგომ გაზეთების გადათვალიერება დაიწყო (მე თავიც არ შემიწუხებია ამით); ვნახე, რომ მან ერთი განცხადების კითხვის დროს ტუჩები მოკუმა და უცებ გაზეთი გადააგდო. მე იგი ავიღე, კარგად დავკეცე და დავიწყე ძებნა, სახელდობრ რამ აღაშფოთა ჰუგო. როზენდალზე ინგლისელების სანაპირო თავდასხმის ვრცელი და ტენდენციური განცხადების გვერდით წავიკითხე, რომ „უპასუხისმგებლო ტერორისტების“ ხროვამ უკვე მერამდენჯერმე სცადა ამსტერდამის ციხეზე — ვეტერინხსხანსზე თავდასხმა და პოლიტიკურ დამნაშავე პატიმართა განთავისუფლება. თითქმის ყველა თავდამსხმელი დაპატიმრებული და დასჯილია, ვინც ჰოსპიტალში არ გარდაიცვალა იმ ტყვიით, რითაც მათ ფხიზელი დაზვერვა გაუმასპინძლდა.

ჰუგოს შევხედე. იგი ჩუმად იჯდა, ოდნავ წინ გადმოხრილს თითები მაგრად გადაეჭდო ერთმანეთისთვის.

— ვინ?... — ნუთუ თავდასხმაში ისევ ღებულობდნენ მონაწილეობას ჩვენები?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მითხრა ჰუგომ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემზე ნაკლებ არ იყო შეშფოთებული. — ესე იგი, მათ კიდევ ერთხელ სცადეს...

მან მოკლე თმაზე ხელი გადაისვა და აიბურძგნა.

— იქნებ, გაზეთებმა ისევ იცრუეს, — ვუთხარი მე. — იქნებ...

— არა,—შემაწყვეტინა ჰუგომ.—ვიცნობ მათ მეთოდებს. თავდასხმა რომ გამართლებოდათ, ხმას არ ამოიღებდნენ. მაგრამ, რაკი თავდასხმა მარცხით დამთავრდა; თავს ნება მისცეს სიმართლე დაეწერათ. ცოტათი თუ კიდევაც გადააჭარბეს... ძაღლები!

უკანასკნელი სიტყვები ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა, რადგან ლივენსი, რომელსაც ჩაი მოჰქონდა, შემოდიოდა ოთახში. ბევრჯერ შევთავაზე გადმოეცა ჩემთვის ჩაის მომზადებისა და დასხმის საქმე, მაგრამ აუცილებლად თვითონ უნდოდა ამის გაკეთება. არაფერი უთქვამს, როცა გვნახა, რომ მე და ჰუგო ერთმანეთის პირდაპირ ქანდაკებებივით გაქვავებულები ვისხედით. ჩაის ვსვამდით უხმოდ, დაღვრემილად და მომეჩვენა, რომ ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს პროცესი.

— ჰუგო, არ კმარა? — ვკითხე, როცა ერთმანეთს ძილი ნებისა ვუსურვეთ.

იგი სივრცეს მიაჩერდა, თითქოს რაღაც ფარული ტკივილი აწუხებდა. ვიცოდი, ძალიან უჭირდა შერიგებოდა იმ ამბავს, რომ თვალსა და ხელს შუა გაუქრეს ფაშისტი მხეცი.

— კმარა, — მიპასუხა მან. — სწორია... მაგრამ ძალიან მინდა, რომ შტაბში რაიმეს მოხსენება შეგვეძლოს! გესმის?

მეტისმეტად კარგად მესმოდა ეს ამბავი. ორივე ხელი მოვკიდე ჰუგოს სახეზე, თუმცა ჩემ თავს პირობა მივეცი, რომ სანამ ნამდვილად თავისუფლები არ ვიქნებოდით, არ გამომეჩინა სინაზე და სიმპათიები, და ვაკოცე წარბებს შორის, სადაც მწუხარების ნაოჭებს მოეყარათ თავი. მაშინვე ზევით გავიქეცი და ჩემ ოთახში შევვარდი. ჰუგო მეცოდებოდა, მაგრამ უფრო მიმძიმდა იმის შეგნება, რომ იძულებულები ვიყავით უარი გვეთქვა იმედზე, რომელიც უკვე აშკარად განუხორციელებელი იყო.

მთელი მეორე დღე, ისევ მხოლოდ წესისათვის, ახლოს ვიყავით კლუბთან, რომელზეც მიუსერტის დროშა ფრიალებდა, მაგრამ ფოსლანდერი არ გვინახავს.

საღამოს ისევ ლივენსის სახლისაკენ წავჩანჩალდით, შვებულებაში მყოფებივით თავი მოურიდებლად გვეჭირა. როცა ხეივნის

გასწვრივ მივდიოდით, სადაც გერმანელ ოფიცერთა კაზინო იყო, მომეჩვენა, რომ სადარბაზო შესასვლელთან უჩვეულოდ ბევრი ავტომანქანა მოგროვილიყო. როცა გზატკეცილი გადავჭერით, აქაც თვალში მომხვდა, რომ ოკუპანტების მანქანები ჩვეულებრივზე მეტი იდგა. თითქოს ფეხით მოსიარულენიც უფრო მეტი ჩანდნენ. ყველანი აშკარად აღელვებულები იყვნენ, ჰაერში რაღაც არაჩვეულებრივი, აუხსნელი რამ ტრიალებდა, ამავე დროს, ზოგიერთების სახეზე შეშფოთება, ზოგიერთებისაზე კი — აშკარა კმაყოფილება იხატებოდა.

— ჰუგო, — ვუთხარი მე და მაგრად მოვუჭირე ხელზე ხელი — რაღაც მოხდა. ეს ჰაერშიაც კი იგრძნობა.

მან მხრები აიჩეჩა და წაიბუზღუნა.

— რა უნდა იგრძნობოდეს? ინგლისელთა ავიაციისათვის ჯერ კიდევ ძალიან ადრეა, გერმანელი კი ფრენას ვეღარ ბედავს....

— არა, არა, — შევეპასუხე მე, — არა, მაგაზე არ გელაპარაკები, ხომ იცი, რომ ეგ არ მქონია მხედველობაში... რაღაც ხდება და სრულიად არაჩვეულებრივი რამ...

მან მხრები აიჩეჩა და შინ დავბრუნდით. სახლში შესვლა ვერ მოვასწარით, რომ ლივენსი მხიარული სახით შემოგვეგება. მან ხელები გაშალა, თითქოს გულში უნდა ჩაგვიკრასო.

— მეგობრებო... ბავშვებო... — თქვა მან და ხმა ჩაუწყდა. — მოგილოცავთ... ახლა კი ეს მალე მორჩება... დღეს დილით ადრე ინგლისელები ნორმანდიის სანაპიროზე გადმოსხდნენ... „D—day“[1] — თქვეს რადიოში. ეს ნაპრალია ატლანტის სანგარში! აქაური გაზეთებიც კი წერენ ამ ამბავს!

ერთ-ერთ უშველებელ ტყავის სავარძელში ჩავეშვი. ჰუგო ჩვენ მასპინძელს მხრებში ჩააფრინდა, თითქოს უნდოდა შეენჯღრია. მაგრამ მაშინვე შეეშვა მას და აღფრთოვანებით გაიქნია ხელები.

— რას ლაპარაკობთ? თვითონ მოიგონეთ?

ლივენსს უნდოდა გაზეთისთვის წასულიყო.

— არა, — წამოიძახა მან, — არ ვიგონებ! გერმანელები უკან იხევენ! ბი-ბი-სი რეგულარულად გადმოსცემს ცნობას, ჩვენი მოკავშირეები წინ მიიწევენო. გერმანელები, რა თქმა უნდა, დღესაც ირწმუნებიან, რომ თავდასხმა შეაჩერეს და ათასობით ინგლისელებს ცელავენ. რასაც ამბობენ, ყველაფერი ტყუილია!

ჰუგო ჩემკენ დაიხარა. ბავშვივით ამიყვანა სავარძლიდან. გა-

---

[1] D—day, Doomsday—განკითხვის დღე, საჭაროს დასასრული (ინგლ.).

მაკვირვა ამ ტანმორჩილი კაცისათვის მოულოდნელმა ფიზიკურმა ძალამ, სიცილით ორივე ხელით დავეყრდნე მის მხრებს.

— ხანა! — დაიყვირა მან. — შენ მართალი ხარ! მართალი აღმოჩნდა ინგლისელების შესახებაც კი... ევროპაში მეორე ფრონტია!

მეორე ფრონტი

რამდენჯერმე გადავიკითხე ეს ბინძური, ოკუპანტების ბანის მთქმელთა გაზეთები; ნაცისტებსაც აღარ შეეძლოთ დაემალათ თავდასხმის ამბავი. ვუსმენდით ბი-ბი-სის, რომელიც უკანასკნელ ცნობებთან ერთად ყოველ საათში გადმოსცემდა ატლანტის სანგარის გარღვევის პირველ ცნობას. თითქოს საკუთარი თვალით ვხედავდით ოთხი ათასი გემი, არაჩვეულებრივი აღშურვილობით, როგორ მიცურავდა ლა-მანშზე და მიემართებოდა ქალაქ კანის ჩრდილოეთით, ზღვის სანაპიროსაკენ; გემები გადახურული იყო თავისებური ქოლგით — თერთმეტი ათასი თვითმფრინავით; მათ ატლანტის სანგარზე უნდა გადაეყვანათ მოკავშირეთა ჯარი, რომლებმაც ბრძოლით უკვე დაიკავეს გერმანელთა გვამებით მოფენილი ხიდწინა სიმაგრე.

ამ ცნობამ შთაბეჭდილება ჰუგოზედაც კი მოახდინა, იმ ჰუგოზე, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა პირქუშად უკანასკნელი სიტყვებით ეგინებინა ყველაფერი, რასაც მოკავშირეთა ჯარი დასავლეთში აკეთებდა: ისინი რუსებს აბრძოლებენ და თვითონ ხელს არ ანძრევენო, არ ჩქარობენ, მათ თავიანთი გეგმები აქვთ მომავლისთვისო...

— რაკი ინგლისელები თავდასხმაზე წავიდნენ, — თქვა ჰუგომ, — ესე იგი, დარწმუნებულნი არიან, რომ ომი დიდხანს არ გაგრძელდება! რას ვიზამთ! სჯობს გვიან, ვინემ არასოდეს.

— ხომ გეუბნებოდით, დიდი ცდა აღარ დაგეჭირდება მეთქი,— თქვა ლივენსმა. — თქვენ მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდით მართლები... ინგლისელები ზუსტი ადამიანები არიან, მათ, რა თქმა უნდა, გულდასმით შეიმუშავეს თავდასხმის თავიანთი გეგმა...

სიხარულისგან გავსულელდი. ფიქრებში თვალწინ წარმომიდგა ბედნიერი მომავლის სურათები, რომლებიც განახორციელებდნენ ჩემ წარმტაც ოცნებებს. ჩვენი გერმანელებიც ისევე იძულებული იქნებიან გაიქცნენ აქედან, როგორც კარელიის ყელიდან, ბელორუსიიდან და ბალტიისპირეთიდან გარბიან. ჩვენ ქუჩებშიც იფრიალე-

ბენ დროშები. ჩვენთანაც გაასამართლებენ ბოროტმოქმედებს... ვიგრძენი, რომ თვალები ცრემლებით მევსებოდა. ლივენსმა ეს შენიშნა და მხოლოდ ერთხელ, პირველად დამადო თმაზე ხელი.

— შენ იუსტიციის მაგისტრის ტიტულის მიღებას მოესწრები, შვილო, — მითხრა მან. მერე გულჯიბიდან რბილი, აბრეშუმის თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და გამომიწოდა, რადგან, მოხუცი რომ მომეფერა, ცრემლები ნიაღვრად წამსკდა... ვფიქრობდი ჰარლემზე, დედ-მამაზე და ყველა ამხანაგზე.

— ჰუგო, — ვთქვი მე, თან ცხვირს და თვალებს ვიწმენდდი მოსწავლესავით, — ხვალვე შინ მივდივართ.

ჰუგომ დაბნეულად და ოდნავ დამცინავად დამიქნია თავი; მას რა უჭირდა, თავისი მღელვარების დაფარვა სულელური, მამაკაცური ღიმილით შეეძლო...

ლივენსი სარდაფში ჩავიდა და ბოთლი ამოიტანა; მისი მუქმწვანე ფერი ტყის გუბის მდგარ წყალს მოგაგონებდათ. ბოთლის ყელზე ოქროსფერი ფოლგა იყო შემოწებებული. ბოთლს შეუბერა, მტვერი მოაშორა და მაღლა ასწია. მაგარი, დაგრეხილი რკინის მავთული ამაგრებდა საცობს, რომელიც პატარა ბომბს გავდა. მერე მასპინძელმა ბოთლი ლამპასთან მიიტანა. ბოთლის მუქი სიმწვანის შიგნით, მოოქროსფერო შხეფები ჩქეფდნენ.

— შამპანურია, — თქვა მან, — მინდოდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებამდე შემენახა. მაგრამ აღარ მოვიცდი. თავისუფლება ცხრა მთას იქით როდია. მართლაცდა ვისთან უნდა დავლიო ეს კეთილშობილი სასმელი ასეთ მომენტში? ახლა, თქვენთან ერთად დავლევ!

მან მაგიდაზე სამი მაღალი, თლილი სირჩა დაალაგა. ჰუგოს სახეს ისევ დასთამაშებდა დაბნეული, ოდნავ დამცინავი ღიმილი, თვალები უბრწყინავდა. მე კი ისევ ავტირდა: თითქოს ამ დროს მზად ვიყავი ყოველგვარი სიმპათიის გამომჟღავნებაზე გული ამჩვილებოდა. ველარ ვცნობდი ჩემს თავს. ამ წუთში ხომ სასიხარულო ამბავს ზეიმობენ ყველა ოკუპირებულ მხარეში, ასი ათასობით ოჯახებში; ისე აღელვებული ვიყავი, რომ თავს ძლივს ვიკავებდი. იქნებ ასობით ციხეებსა და ბანაკებშიც, სადაც, როგორც ხშირად გამიგონია, ახალი ამბები მალე აღწევენ. შევკრთი და ნერვიულად გავიცინე, როცა გავიგონე სროლის ხმა — საცობი ჭერს მოხვდა: „ჩვენმა მასპინძელმა შამპანური გახსნა. „ინგლისელების პატივსაცემი სალუტი!..“ — გავიფიქრე მე. — მათ რომი გაანთავისუფლეს გასულ კვირას. ახლა პარიზის ჯერი დადგა... ისევ ამოქმედდა ჩემი ფანტაზია.

— ასწიეთ სირჩები! — დაიყვირა ლივენსმა, — გამარჯვებისა იყოს!

სირჩები ავიღეთ. ოქროსფერი სითხე — ცივი, აქაფებული, მოხტუნავე — შიშინებდა და სირჩებიდან გადმოდიოდა. წინწკლები გვეშხეფებოდა ხელებსა და ტანისამოსზე. გამარჯვების სადღეგრძელო დავლიეთ. შამპანური აეღერდა ჩემ სისხლში. მესმოდა, როგორ მძიმედ სუნთქავდა ჰუგო.

— პირველად ვსვამ ამ სასმელს, — თქვა მან. — ახლა მესმის, რატომ უყვართ იგი ადამიანებს.

— სადღესასწაულო სასმელია, — ავუხსენი მე. — მეც პირველად ვსინჯავ მას. არაფერი გაქვს დასარცხვენი.

— განა მრცხვენია? — გაიკვირვა მან. მის სახეზე პირქუში ნაოჭები სრულიად გაქრა; გაბრწყინებული იყო, იღიმებოდა, მისი კრიალა ცისფერი თვალები შემომყურებდნენ. ასევე თბილად დავუკარი თავი საპასუხოდ. ბედნიერი ვიყავი და ვფიქრობდი, შესძლებდა თუ არა ამოეკითხა ჩემ თვალებში ბედნიერება? ასე მეგონა, შამპანური დამეხმარა მენახა თავისუფლი მომავალი, ცხოვრება ნაცისტების გარეშე...

...მეორე დილით ლივენსს გამოვემშვიდობეთ. მოხუცი ადრე წავიდა ბაღში, მოტეხა ყასმინის ტოტები, მოჭრა რამდენიმე ნარგიზი და ტიტა და თავისი ხელით გადმომცა ცოცხალი, ცვრიანი თაიგული. სიამოვნებით გადავკოცნიდი მოხუცს, მაგრამ შემრცხვა და ვერ გავბედე. უხერხულად ჩამოვართვით ხელი. მადლობის სათქმელი სიტყვა ხელის მტკიცე გაქნევით გაგვაწყვეტინა. გული აუჩვილდა და არც ცდილობდა დაფარვას.

— თუ შეძლებთ, ისევ მოდით, — გვითხრა მან. — ან თუ საქმე ისევ მოგიყვანთ აქ... თქვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ჩვენ ხალხს თქვენ უნარჩუნებთ რწმენას და სხვებს ძალას მატებთ. მოხარული ვარ, რომ თქვენთვის პატარა რამის გაკეთება მაინც შევძელი.

ისევ ზამთრის პალტოში გამოწყობილმა ჰუგომ მორცხვად გაიღიმა.

— სამწუხაროა, ბატონო ლივენს, რომ არაფრის დატოვება არ შეგვიძლია წინააღმდეგობის სამახსოვროდ....

— შემდეგისათვის ველოსიპედები წამოიღეთ, — თქვა მოხუცმა, თვალები უბრწყინავდა და უციმციმებდა.

...გულაჩუყებულები და ცოტა დანაღვლიანებულები მივდიოდით ხეივნებით გზატკეცილისაკენ, რომ ავტობუსში ჩავმსხდარიყავით და წავსულიყავით ბილტხოვენიდან... ყვავილები მოუხერხებ-

ლად მეჭირა. ჰუგო ძლივს მოდიოდა თავისი მძიმე პალტოთი. სნეიტერსის სახლი მარჯვნივ მოვიტოვეთ. სამაგიეროდ ვან დერ ბ.-ს — ყოფილი „აღმოსავლეთის კომპანიის“ ყოფილი „დიდი მოგოლის“ ძველ, ბატონის სახლთან უნდა ჩაგვევლო. თუჯის ერთი კარი ღია იყო. ბაღში შევედით, ხშირი ბუჩქების ხერგულს მოვეფარეთ და კარგახანს ვუთვალთვალებდით სახლს. მაღალი ფრანგული ფანჯრები ოდნავ ღია იყო; ზოგიერთ მათგანში დილის ნიავი არხევდა ფარდებს. სახლთან გრძელი, მუქი ლაქით შეღებილი ავტომანქანა იდგა, ბაღის შლანგიდან მას წყალს ასხამდა ვიღაც უპიჯაკო, შავწინსაფრიანი კაცი. მე და ჰუგომ ერთმანეთს გადავხედეთ.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ჰოლანდიაში... — ჩაიბუტბუტა ჰუგომ. — ავტობუსს ჩვენი მოცდა მოუწევს ცოტა ხნით, ხანა!

ტყეს შევაფარეთ თავი, სახლთან ახლოს. აქედან ვერ დავინახავდით ჭიშკრიდან ადამიანთა გამოსვლას, მაგრამ რადგან შოფერი ისევ მანქანას უტრიალებდა, ცხადი იყო, რომ უტრეხტის სავაჭრო ბანკის დირექტორს, აღმოსავლეთის მუშების მონური შრომისათვის მიმწოდებელ სპეკულანტს, კრუპის აქციების პატრონს, ჯერ არ ჰქონდა განზრახული თავისი მშვენიერი სახლიდან წასვლა. დროდადრო რომელიმე ჩვენგანი, უფრო ხშირად მე, მივდიოდით სახლთან და ვუთვალთვალებდით, — ხეივანებში ხალხმა იმატა და ჰუგოს თავისი ზამთრის პალტოთი შეიძლებოდა ზედმეტი ყურადღება მიეპყრო; შეიძლებოდა ვინმეს გახსენებოდა, რომ ადრეც ვიღაც ზამთრის პალტოიანი კაცი აქ რაღაცას ეძებდა... გერმანელები ისევ ნერვიულობდნენ და მიმოდიოდნენ თავიანთ კანტორასა და „დასასვენებელ სახლებს“ შორის. ჰოლანდიელებს როგორც გუშინ საღამოს, კმაყოფილი სახე ჰქონდათ, მათ ისევ დაუბრუნდათ საკუთარი ღირსების გრძნობა, რა თქმა უნდა, არ იყო არც ერთი ადამიანი, რომელსაც არ სცოდნოდა, რომ „D — day“, რომელზედაც ბი-ბი-სი მრავალჯერ ლაპარაკობდა გაკვრით, უკვე დადგა... „D — day, Doomsday“, — ვიმეორებდი ვიდრე ტყეში ვიწექით და ველოდით, ხომ არ გამოჩნდებოდა ქუჩაში ბატონი ვან დერ ბ. თავისი ლიმუზინით. ჰუგოს ვუხსნიდი, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ინგლისელებს ეს „განკითხვის დღე“ — სამყაროს დასასრული... ჰუგო კარგ გუნებაზე იყო, ბალახის ღეროს ღეჭავდა და იცინოდა.

— „სამყაროს დასასრული“ და „განკითხვის დღე“ — ეს კარგია, ხანა, — აღნიშნა მან. — თუ ეს მართლა ნამდვილი დასასრული იქნება მათთვის.

მაგრამ სწორედ ამ დღეს — სრულიად გაუთვალისწინებლად—

ჩვენი მოთმინების დიდმა უნარმა ერთხელ კიდევ ჩააბარა გამოცდა. მაგრამ ახლა არ ვგრძნობდით მტანჯველ გულდამძიმებულობას გუშინდელივით, როცა აქ დავეხეტებოდით და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჩვენი ცდა უნაყოფო იყო. „განკითხვის დღეზე“ ფიქრით გამხნევებულებს შეგვეძლო სიცხე, წყურვილი და შიმშილი აგვეტანა. ხუთჯერ მაინც ვიყავი სახლის დასათვალიერებლად, მანქანა ყოველთვის თავის ადგილზე იდგა. შუადღის დასვენების შემდეგ შოფერმა გუბურასთან ტერასაზე გამოიტანა დაწნული სკამები და ქოლგები. იქ გამართეს ჩაის სმა. დავინახე ორმოცდაათი წლის გამხდარი ქალი, რომელიც სარგადაყლაპულივით გაჭიმული იყო და აშკარად ცდილობდა ოცი წლით უმცროსი გამოჩენილიყო; თმა მყვირალა წითურ ფერად ჰქონდა შეღებილი. დავინახე პანამიანი მამაკაცი, რომელსაც ორმაგი ნიკაპი და დიდი ქეჩო ჰქონდა — სხვათა შორის, როგორც ჩანდა, სრულიადაც არ რცხვენოდა თავისი სიმსუქნისა, როცა იგი გუბურასთან ქოლგის ქვეშ დაჯდა და პანამა გვერდით სკამზე დადო, გამოუჩნდა მელოტი, პრიალა, მზემოკიდებული თავი. ომით გამდიდრებული, გამაძღარი და ბუზღუნა, გაიძვერა და სპეკულანტის კლასიკური ტიპი... დავბრუნდი ჰუგოსთან და შევატყობინე, ბატონი ვ. დ. ბ., როგორც იქნა, გამოცხადდა-მეთქი.

ჰუგო ყურადღებად იქცა — გაფაციცებულად, მაგრამ თავშეკავებულად, რა კარგად ვიცნობდი მისი თვალისა და პირის ამ გამომეტყველებას, რომელიც მონადირის სიფიცხეზე მეტყველებდა. მან მითხრა მიმეხედა მისი პალტოსთვის, თვითონ კი ბაღებს შორის მიმავალი ბილიკით წავიდა დაზვერვაზე.

— ბრწყინვალე ეგზემპლარია, — თქვა მან, როცა დაბრუნდა.— არავისთვის არ იქნება დიდი დანაკლისი, ხანა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ამ ბატონს კისერზე აწევს.

— არ გეცოდება ეს სანდომიანი ქვრივი? — ვკითხე მე.

ჰუგომ ისეთი დამახასიათებელი ზიზღის გამომხატველი წმინდა მამაკაცური ჟესტით მიპასუხა, რომ სიცილით დავწექი ფიჭვის წიწვებზე.

დრო გადიოდა, იმედი უნდა გვქონოდა, რომ თუ ვ. დ. ბ. წასვლას ფიქრობდა, მალე წავიდოდა. ისევ წავჩანჩალდით ბატონის სახლისაკენ, შეუყვარებული წყვილებივით გადახვეულები, რომლებისთვისაც ერთმანეთის გარდა არაფერი არსებობს. ჰუგოს თავისი პალტო ეცვა, მე კი თაიგული აღარ მეჭირა.

— მენანება, — თქვა ჰუგომ, — მაგრამ ეს კიდევ ერთი ზედმეტი ნიშანი იქნება. ყვავილები აქ დარჩეს....

რამდენიმე ხანს მაგრად ჩახუტებულები ვიდექით ბატონის სახ-

ლის წინ მაღალ ხერგულთან. ბოლოს ვნახეთ ის, რასაც კარგა ხანია ველოდით. ავტომანქანა გზას გაუდგა. რადგან ტერასაზე ვ. დ. ბ. აღარ ჩანდა, მისი ცოლი კი ზანტად წამოწოლილიყო შეზლონგზე, ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ნაცისტების დამქაში მარტო მიდიოდა.

ჰუგომ ხელი მკრა, რადგან ავტომანქანამ ლამაზად შემოუარა გაზონს და ჩვენ გვიახლოვდებოდა. აქეთ-იქით მიმოვიხედეთ. ვერ ვიტყვი, რომ ირგვლივ უკაცრიელობა ყოფილიყო. ერთ-ერთი ახლობელი ხეივნიდან ავტომობილი გამოვიდა, იგი გერმანული არ იყო. ბაღში, არც ისე შორს, ისხდნენ ადამიანები — კითხულობდნენ, ჩაის სვამდნენ, ისვენებდნენ. მიუხედავად ამისა, ბედი უნდა გვეცადა. ჩვენს რევოლვერებს უკვე წამოვაცვით საბშობი. მესერს მივუახლოვდით. მუქი, გრძელი ავტომანქანა, შენელებული სვლით მიუახლოვდა თუჯის ჭიშკარს. მე და ჰუგო შუაგზაზე ვიდექით გადახვეულები. შოფერმა საყვირით ნიშანი მოგვცა. თითქოს შეშინებულები აქეთ-იქით გადავხტით, მე შოფრის გვერდით აღმოვჩნდი, ჰუგო — არამზადის მხარეს, რომელიც ღია ფერის ტყავის ბალიშზე გადაწოლილი იჯდა — გარკვევით ვხედავდი მის პანამას.

როცა ავტომანქანა გალავნიდან გამოდიოდა, ჩვენ თითქმის ერთდროულად გავისროლეთ. მე ორჯერ, ჰუგომ — სამჯერ. არ ვიცი, რა გაიფიქრა ჰუგომ, მაგრამ მე გუნებაში ვამბობდი: „ეს შენ, მოკლული უკრაინელი და პოლონელი გლეხებისათვის, მათი მონათგაყიდული ცოლებისა და შვილებისათვის!...“ ავტომანქანამ შუაში გაგვიარა, მაგრამ სულ სხვანაირად მობრუნდა, ვიდრე ამას გააკეთებდა მაშინ, შოფერს შეგნებულად რომ ემართა იგი. მანქანამ, რომელსაც აღარავინ მართავდა; გვერდზე გადაუხვია და ხეს დაეტაკა. რამდენიმე წამს თვალს ვადევნებდით ავტომობილს. შიგნით არავინ იძროდა, არავითარი ხმა არ ისმოდა. მხოლოდ ყრუდ ზუზუნებდა ძრავა.

ხელიხელჩაკიდებულები უკან მოვბრუნდით და ფეხით სასიარულო გზას გავყევით, რომელიც ბაღებს შორის მიემართებოდა. წინ ორი კაცი შემოგვხდა, რომლებიც ძლივს მოაბიჯებდნენ, ეტყობოდათ, პენსიონერები იყვნენ. სწრაფად ჩავუარეთ მათ, ჩვენთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მივედით ხეივნამდე, რომლის გასწვრივ პატარა ვილები იყო გაშენებული; ყოველი მათგანის წინ თითო მუხა და თითო წაბლი იყო დარგული. ჰუგომ ხეზე მიყუდებულ ველოსიპედს მოჰკრა თვალი. ირგვლივ მიმოიხედა. დასახლებაში ჯერ არავის აეტეხა განგაში. წყნარი, ცხელი დღე ბრწყინავდა ყვავილების ბუჩქებზე, ხეებსა და სახლებზე. ჰუგომ აიღო ველოსიპედი და ცირკის მსახიობივით მარდად დაჯდა ზედ.

— მომიჯექი უკან, ხანა, — მითხრა მან და დაიძრა. მე უკვე ვიჯექი მის საბარგულზე და ვხტოდი. ჰუგო ჯერ მშვიდად მიდიოდა, ხეივანს ავცდით. მომეჩვენა, რომ ჩვენს უკან რაღაც დაიყვირეს, მაგრამ, იქნებ, რომელიმე ბაღში ბავშვები ყვიროდნენ. ჰუგომ სვლას უმატა და საშინელი სისწრაფით გადაუხვია გზატკეცილზე, სადაც სწორი, ფილებით მოფენილი ბილიკი იყო გაკეთებული ველოსიპედებისათვის. გზის გასაყარზე, სადაც პატარა სასტუმრო იყო, ჰუგომ განზე გადაუხვია. გვერდით ჩაგვიქროლა ვერმახტის ნაცრისფერმა მანქანამ. უხმოდ ვიჯექი, რომ ჰუგოსთვის ხელი არ შემეშალა, მასაც არ ამოუღია ხმა.

ხუთი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მარტენსდეიკისკენ მიმავალ გზაზე ვიყავით, ავტობუსის გაჩერებასთან, საიდანაც დაფაზე წარწერის მიხედვით უტრეხტისაკენ შეგვეძლო გამგზავრება. ჰუგომ ველოსიპედი ხის მესერს იქით მინდორზე, ბალახებში ჩააგდო. იქ მას მალე ვერ იპოვიდნენ. თითქმის თხუთმეტი წუთი ვიცადეთ, ვიდრე გზის მოსახვევიდან არ გამოჩნდა ქშენით მომავალი ავტობუსი, რომელიც თავის უკან მხრჩოლავ შავ კვამლის კუდს ტოვებდა. ავტობუსი ჩვეულებისამებრ გაჭედილი იყო. მაინც შევძელით მსხდომებთან შესვლა. მგზავრებმა ხითხითი დაიწყეს და მივხვდი, რომ ისინი ჰუგოს ზამთრის პალტომ გაამხიარულა.

— ყინვის ფეშინია? — ჰკითხა ჰუგოს ჩვენ გვერდით მჯდომმა გლეხმა, რომელსაც მუხლზე ლელისგან მოწნული კალათა ედგა. ხითხითი გრძელდებოდა. მეც სულელივით გავიცინე, ჰუგომ კი თქვა:

— დილით გადავწყვიტე თბილად ჩამეცვა... არასდროს არ ვიცით, დღეს რას შეგვიმზადებს ზეცა.

როგორც ჩანდა, ყველაფრის მიუხედავად, იგი გახარებული იყო. ყოველ შემთხვევაში, ხიფათში არ იგდებს თავს-მეთქი, გავიფიქრე, მის გადაკრულ სიტყვას შემოჭრის შესახებ არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა. ავტობუსის წინ, სარკეში შოფრის ღიმილს მოვკარი თვალი; მგზავრებმა ხუმრობა დაიწყეს, იღიმებოდნენ და აღარავის გახსენებია პალტო.

ჩამოვედით უტრეხტში და ისევ ვიგრძენით ჩვეულებრივი კმაყოფილება, რომელიც ავტობუსის გაჩერებას და იქიდან გადმოსვლას ახლავს ხოლმე, — წარმოუდგენელი ჭყლეტისა და აურზაურისგან თავის დაღწევა. მე და ჰუგო ყოველნაირად ვცდილობდით ასეთ ყოფაში მგზავრები არ შეხებოდნენ ჩვენ რევოლვერებს, რომლებიც ტანისამოსში გვქონდა დამალული; რამდენადაც შეგვეძლო, ვტრიალებდით, ყოვლად უცნაურ მოძრაობებს ვაკეთებდით, და

მიუხედავად ამისა, მაინც ჩვეულებრივ, არავინ ეჭვს რომ არ მიიტანდა, ისეთ ადამიანებად ჩავითვალეთ.

უტრეხტში ჩავსხედით ისეთ ავტობუსში, რომელსაც მდინარე ფესტის გასწვრივ გავლით ამსტერდამში უნდა ჩავეყვანეთ. ექვსი საათი ხდებოდა. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, კომენდანტის საათამდე ჰარლემში ვიქნებით. გამეხარდა, უტრეხტიდან რომ გავედით, ამჯერად დასაჯდომი ადგილები გვქონდა, თუმცა ისეთივე სივიწროვე და დახუთული ჰაერი იყო, როგორც წინა ავტობუსში. ჰუგოს სახეზე მარგალიტებივით მოგორავდა ოფლის წვეთები. ავტობუსში ჩასხდომამდე გაზეთი ვიყიდეთ. გერმანელები იუწყებოდნენ, რომ ნორმანდიაში შემოჭრილ მოკავშირეებს ძველებურად სასტიკად უმასპინძლდებოდნენ. ჩვენ უფრო სამწუხარო ცნობა წავიკითხეთ. ხერტოგენბოსში შემოჭრის ღამეს დახვრიტეს ოცდაოთხი პატრიოტი ბრაბანტეში დივერსიისა და გერმანელთა კომუნიკაციის განადგურებისათვის. ჰუგომ უხმოდ მაჩვენა ეს ცნობა. წავიკითხე იგი და დაღუპულთა გვარებს მიღმა დავინახე ოკუპანტების სისხლმოწყურებული, უძლური გააფთრება, რომლებსაც მთავარ ფრონტზე თავიანთი დამარცხების საზღაურად უდანაშაულო ადამიანებთან ანგარიშსწორების გარდა ვერაფერი მოეფიქრებინათ. გავიფიქრე, რომ ბილტხოვენში ალბათ უკვე იპოვეს „აღმოსავლეთის კომპანიის“ გმირი და მისი ლაქია: იქნებ გერმანელთა ჩლუნგ გონებამდე დავა, რომ ჩვენ პატარა ფრონტზეც ხვდებათ წინააღმდეგობა... ალბათ, მაგისტრმა ლივენსმაც იცის ეს ამბავი, ფიქრობს ჰუგოზე და ჩემზე, და ეღიმება.

ჩვენ ისევ გვიღიმოდა ბედი. შეშის საკითხის მოუწესრიგებლობის მიუხედავად, ავტობუსი ამსტერდამში შვიდ საათზე ჩავიდა. გადავწყვიტეთ ჰარლემში ცისფერი ტრამვაით წავსულიყავით. კომენდანტის საათის დაწყებამდე დანიშნულ ადგილზე მისვლას ვჩქარობდით, ძველი არხის გასწვრივ სწრაფად ვიარეთ და ჰარლემს მივადექით. მეჩვენებოდა, რომ აქ ყველაფერი ძველებურად იყო, როცა დედ-მამასთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობიდან ვბრუნდებოდი და ჩემ თვალწინ მიცურავდნენ ჰოლანდიის პირველად შეხვედრილი ტირიფები, მშობლიური მდინარის წყლები. აი, ჩემი საყვარელი, ჩამავალი თბილი მზის ოქროსფერ სხივებში გახვეული ამსტერდამის ჟანგმოკიდებული ყავისფერი კარიბჭე... გრძნობას რომ ავყოლოდი, მშობლების სახლში გავიქცეოდი, ისე ძლიერ მოქმედებდა ჩემზე მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლა. მაგრამ გრძნობას გონებამ აჯობა. ჩუმად მივესალმე ფესტის ციხე-სიმაგრის სანგარს,

წყნარ სანაპიროებს, წმინდა ბაფოს მაღალ შპილს, სახელოვანი ლაურენს იანსზოონის სინესტისაგან გამწვანებულ ძეგლს...

რვა საათმა დარეკა, როცა სხოტერსინგელზე „თამბაქოს კასრის“ კარებზე დავრეკეთ. კარები თვითონ დიასახლისმა — წინააღმდეგობის მებრძოლთა კეთილმა გენიამ გაგვიღო. ძველი მეგობრებივით ვუღიმოდით ერთმანეთს.

ცბიერი მელა ვერ ვიპოვეთ, მაგრამ შემთხვევით მოვსპეთ ორი აფთარი, გამიელვა თავში, როცა საშინლად დაღლილმა, ვიდრე დავიძინებდი, ხორბლის ფაფით დავნაყრდი და ვცადე ჩემი თავისთვის ჩამებარებინა ექსპედიციის ანგარიში, რომელიც მე და ჰუგომ ახლა დავასრულეთ...

საუვედური

მეორე დილით მე და ჰუგომ შესანახად მიბარებული ველოსიპედები გამოვიტანეთ, თავი ისევ უშიშრად ვიგრძენით, შევსხედით და ჭნნედ გავემართეთ შტაბში, „ესპანურ მუხებში“. მაგრამ ველოსიპედებით სიარულის სიამოვნებას გვიშხამავდა ფიქრი, რომ უსიამოვნო ახსნა-განმარტების მიცემა გველოდა. შეფარვით გადავხედავდი ხოლმე ჰუგოს, მინდოდა გამეგო, როგორ გრძნობდა თავს. მაგრამ სახე შეშფოთებული ჰქონდა.

შტაბის კარებში ასე თუ ისე გაბედულად შევედით, თითქოს გუშინაც აქ ვიყავით. როცა დიდ ოთახში შევედით, — წინ ჰუგო შევიდა, დამოუკიდებელი სახით — თითქოს ვინ გაბედავს მისაყვედუროსო, — ყველა ამხანაგის თვალები ჩვენ მოგვაჩერდა, რომლებშიც ამოვიკითხეთ კითხვა, საყვედური, გაკვირვება და შეცბუნება. უცებ უხერხულად ვიგრძენი თავი. ყველა ამხანაგი აქ იყო. გაისმა შეძახილები:

— აი, ესენიც! სჯობს გვიან, ვინემ არასოდეს!

— ისევ ამოცურდით ზედაპირზე, დარდი-მანდებო?

— ცოცხლები ხართ?

— ალბათ ინგლისს შეაფარეთ თავი, ჰა? და დაბრუნდით, როცა შემოჭრა დაიწყო!

ამხანაგების სახეებს შევავლე თვალი... იქით დგას ფრანსი, რომელიც მზად არის რამე მწარე თქვას, რულანტს თვალებში შესც�eია სასტიკი საყვედური, ახლები — ოტო და ვიხერი გაოცებული გვიყურებენ: ვეინანტმა თავი კი გაიქნია, მაგრამ გახარებულია ჩვენი

ნახვით; ფლორორიც იქ იყო, მანაც თავისი ფოლადის თვალების მკაცრი მზერა მოგვაპყრო. ჰუგო, რომელიც შუა ოთახში ჩემ გვერდით იდგა, თავის ზამთრის პალტოში, ამხანაგებს შორის, რომლებსაც პიჯაკებიც გაეხადათ, რადგან ოთახში ცხელოდა, უცნაური სანახავი იყო. ოდნავ გავულიმე რულანტს და ვეინანტს, რომლებიც თითქოს სხვებზე უფრო მეგობრულად გვიყურებდნენ; ჰუგოს თავის მოძრაობაზე მივხვდი, რომ რიგრიგობით ყველა ამხანაგს უყურებდა. პირველი მისალმების შემდეგ ოთახში უხერხული და გულის გამაწვრილებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჰუგომ მზერა ფლორორზე შეაჩერა. რამდენიმე ტყვიასავით მძიმე წუთის განმავლობაში ისინი ერთმანეთის პირისპირ უსიტყვოდ იდგნენ. თანდათან შევწუხდი.

— აბა? — წარმოთქვა უცებ ჰუგომ. — ილაპარაკე!

ფლორორმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ. შევნიშნე, რომ ფლორორი კოჭლობდა, და მაშინვე გამახსენდა: პირველ მაისს იგი თეძოში რომ დაჭრეს, ვეტერინსხანსის ციხიდან პატიმრების განთავისუფლების ცდის დროს.

— აბა, ილაპარაკე! — გაიმეორა ჰუგომ.

ფლორორმა იგი თავით-ფეხამდე შეათვალიერა.

— ესე იგი, გრძნობ, რომ მართალი არა ხარ, არა? — თქვა მან. — ბედი შენი, რომ კიდევ შეგიძლია ეს იგრძნო... სამი კვირა დაიკარგო ისე, რომ არავითარი ცნობა არ მოგვაწოდო. მიატოვო ამხანაგები და ღმერთმა იცის, სად იხეტიალო, და ამასთან ერთად თან გაიყოლიო კიდევ ერთი მებრძოლი!

როგორც კი ფლორორმა შემომხედა, მაშინვე ამოვუდექი ჰუგოს გვერდით.

— განა მე ისეთი ადამიანი ვარ, ვინმეს ნებას მივცემ გამიყოლიოს? — მკვახედ შევეპასუხე. — მე თვითონ შევუერთდი მას ჩემი სურვილით. ფლორორ.

ფლორორმა ხელი ასწია, თითქოს უარყოფდა ჩემი მხრიდან ყოველგვარ განმარტებას და მობოდიშებას.

— ანარქისტების კარგი წყვილია! ორივეს შეგახურებენ. არც გამიკვირდება, პარტიამ ორი სამი თვე სამუშაოს რომ ჩამოგვაშოროს.

ფლორორთან მივირბინე, მის გრძელ, უშველებელ ხელს ჩავეჭიდე და შევანჯღრიე.

— არა, არა! თქვენ ამას არ გააკეთებთ!

ამხანაგებს გადავხედე, გამომწვევად შევარხიე თმა და თავი ავწიე:

— ბოლოს და ბოლოს, რას ფიქრობთ თქვენ? განა ვისვენებდით და ვერთობოდით?.. არა, ჩვენ ვნადირობდით!

ფრანსმა, რომელსაც აქამდე, გასაოცრად მშვიდად ეჭირა თავი, წინ წამოიწია:

— ნადირობდით? ვისზე?

— ფოსლანდერზე, — მოვუჭერი მე და პირველად ვიგრძენი უხერხულობა, რადგან ჰუგო ნაწყენად და თითქოს მორჩილადაც კი დუმდა.

— აი, ასეცაა, — თქვა რულანტმა. — სწორედ ასე ვფიქრობდი. ისინი ისე ელვის უსწრაფესად გაქრნენ მაშინვე, როგორც კი ვუამბეთ, ვინ გასცა ტომი, ედი და იანი...

— შეიპყარით? — გვკითხა ფრანსმა დაჟინებით. აშკარად ეს საკითხი უფრო აინტერესებდა მას, ვიდრე ჩვენ მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის ფაქტი.

ჰუგომ ზამთრის პალტო გაიხადა და კუთხეში სკამზე მიაგდო.

— არა, — უპასუხა მან, როცა ფრანსისკენ ზურგით შებრუნდა.

— მის კვალს მივაგენით, — ვთქვი მე. — მაგრამ ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავდა — ფაშისტი ვაჟბატონები, ძაღლები, გერმანელი მზვერავები, ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, რომ კარგად დაეცვათ მისი ძვირფასი პიროვნება.

მაგრამ ფლორი ისევ ურყევი იყო. ამჯერად მე შემომხედა:

— ამან წაგართვათ სამი კვირა? სამი კვირა ტყუილადაა დაკარგული?

— მთლად ასე არაა, — ვუპასუხე მე. — ამ ხნის განმავლობაში მოვსპეთ ერთი სხალკხაარელი ინსპექტორი და მონების შემკრები, „აღმოსავლეთის კომპანიის“ მეპაიე.

— ეს უკვე რაღაცაა, — თქვა ფრანსმა.

— ყველაფერი კარგია, — აღშფოთებული იყო ფლორი, — მაგრამ არც ერთმა მოკვდავმა არ იცოდა, სად იყავით... და პირობას გაძლევთ: უკანასკნელად ასრულებთ ასეთ ოპერაციას წინააღმდეგობის საბჭოსთან წინასწარ შეთანხმების გარეშე! შენ რატომ არ იღებ ხმას, ჰუგო?

ჰუგო სკამზე დაჯდა და სიგარეტის გაკეთებას შეუდგა, თან ჩაიცებით უყურებდა სათუთუნეს და პაპიროსის ქაღალდს.

— ხანამ უკვე თქვა ყველაფერი, — უპასუხა მან.

მისკენ მიბრუნებულმა ფლორომ კოჭლობით გადადგა ერთი ნაბიჯი:

— მე ეს არა მაქვს მხედველობაში, — დაიღრიალა მან, —

შენც იცი, რომ ამაზე არაა ლაპარაკი... დისციპლინის დარღვევაზე შენ სიტყვაც არ დაგიძრავს! ან იქნებ. უკვე დაგავიწყდა, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

ჰუგო წამოხტა. ისევ ვუყურებდი ერთმანეთის პირისპირ მდგარ უზარმაზარ ფლოორსა და პატარა ჰუგოს, სწორედ ისევე, როგორც მაშინ, როცა ფლოორმა ფერლიმენების სახლში მიმიყვანა, სადაც ჰუგო იმალებოდა. მაშინ ისინი ხუმრობდნენ, ახლა კი საქმე სერიოზული იყო. ვიცოდი, რომ თუ არ ჩავერეოდი, წაეჩხუბებოდნენ ერთმანეთს.

— ფლოორ, — ვუთხარი მე და სწრაფად ჩავდექი მათ შორის. — დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით შენ მართალი ხარ... მაგრამ ჩვენც ზოგიერთ საკითხში მართალნი ვართ: ფოსლანდერი რომ მოგვესპო, ყველას გაგეხარდებოდათ... მართლაცდა, ჩვენი ბრალი ხომ არ არის, დავმარცხდით. სასტიკად არ გაგვიმართლდა.

ფლოორი ჩემკენ მობრუნდა და ბუზღუნით მითხრა:

— შენ ყოველთვის მონახავ საპასუხოს. კარგი. მეტს არაფერს ვიტყვი.

ოთახში დიდხანს იგრძნობოდა არასასიამოვნო დაძაბულობა, მიუხედავად იმისა, რომ ვეინანტი, რომელსაც რაღაც სასწაულით ლუდი ეშოვნა, ძალლონეს არ იშურებდა, რომ თავი თამამად გვეგრძნო. ჭიქებით ხელში ჩუმად ვისხედით და ვერავინ ახერხებდა ლაპარაკის დაწყებას, თუმცა მეგონა, არის უამრავი ამბავი, რომელზედაც სწორედ ახლაა საჭირო ლაპარაკი-მეთქი.

— რა მოუვიდა ტონის? — ვიკითხე მე და ფლოორს შევხედე.

— მხარშია დაჭრილი, — მოკლედ მიპასუხა ფლოორმა. ეტყობოდა, მას ჯერ კიდევ არ უნდოდა მეგობრულ ტონზე გადასვლა.— ძვალი აქვს დამსხვრეული. მტანჯველი რამეა... მაგრამ მალე მოიკეთებს...

— მესმის, — ვთქვი მე. მიუხედავად ჩემი ცდისა, მელაპარაკა ბუნებრივად და გამეფანტა ასე უჩვეულო და შემაწუხებელი განწყობილება, რომელიც ოთახში გამეფებულიყო, ხმა ამიკანკალდა.— ვეტერინხსხანსის უკანასკნელ თავდასხმაში მონაწილეობა თქვენ არ მიგიღიათ?

ფრანსმა და რულანტმა ორივემ ერთდროულად უარის ნიშნად ჩაიქნიეს ხელი. ეს შეიძლებოდა ორნაირად გაეგო ადამიანს. ფლოორმა შემომხედა და ნელა გაიქნია თავი. ვეინანტმა მითხრა:

— იქ იყო წინააღმდეგობის ჯგუფი „ერთგულება“... რომელსაც ოთხანეს პოსტი ხელმძღვანელობდა. გაგიგონიათ მისი სახელი... მათ

შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ისინი თითქმის ყველანი დაიჭირეს.

— მერე დასაჯეს, — დასძინა რულანტმა. — კიდევ რისი გაგება გაინტერესებს?

— როგორაა ტომის, ედის და იანის საქმე? — ჩუმად ვიკითხე.

— ისევ სხვადან, — მიპასუხა ფრანსმა.

— რამე იმედი არის?

პასუხი არავინ არ გამცა. მხოლოდ ფრანსმა აიჩეჩა მხრები.

— გერმანელები თანდათან ბოროტდებიან, — თქვა მან. — თქვენ კი იცით, რომ მათ ხელშია ხერიტ იანიც?

— ამსტერდამის წინააღმდეგობის საბჭოდან? — დაეჭვებით იკითხა ჰუგომ. — მე თვითონ ვნახე, პირველი მაისის თავდასხმის შემდეგ როგორ მიდიოდა ველოსიპედით!..

— კი, ზურგში სროლის შემდეგ, — თქვა ფლოორმა და თავისი ვეება ხელები გულზე დაიკრიფა. — ეს არ შეიძლება თქვენ იცოდეთ... იგი მშვიდობით მივიდა თავის იატაკქვეშა ბინაზე პრინსენგრახტზე. დიასახლისი ექიმთან წავიდა. როცა ისინი მოვიდნენ, აღმოჩნდა, რომ ხერიტ იანი დადამბლავებული იყო. ტანის ქვედა ნაწილი და ფეხები წაერთვა. ტყვია ზურგის ტვინში გაეჩხირა.

აქამდე ჩემზე ვიყავი ნაწყენი და მცხელოდა, მაგრამ ახლი კი უცებ შემცივდა, თითქოს სუსხიანმა ქარმა დამბერაო. ვიჯექი და ისევ ფლოორს შივჩერებოდი დაქინებით.

— ასეთ მდგომარეობაში იწვა ორი კვირა, — განაგრძობდა ფლოორი. — მის მეგობრებს, რა თქმა უნდა, ესმოდათ, რომ იგი იქიდან უნდა წასულიყო. ბევრჯერ ურჩევდნენ გადასულიყო სხვაგან. ეს შეიძლებოდა სანიტარული მანქანით გაეკეთებინათ. მაგრამ მას არ უნდოდა, და გერმანელთა დაზვერვამ იპოვა იგი.

— იგი ავადმყოფის საკაცით წაიყვანეს დაკითხვაზე, — თქვა ფრანსმა, როცა ფლოორი გაჩუმდა. — მან იქვე უთხრა, რას ფიქრობდა მათ შესახებ.

— როგორ, დააპატიმრეს და დაკითხეს დამბლადაცემული ადამიანი? — წამოვიყვირე მე.

— მაშ როგორ გგონია? — მითხრა ფრანსმა. — ნუთუ პირველად გესმის ნაცისტებისა და მათი ხასიათის ამბავი... ისინი მას სიკვდილს შიუსჯიან, აი ნახავ.

ჰუგოს შევხედე. იგი ისევ იჯდა, თავი დაეხარა და თითებში აუნთებელ სიგარეტს ატრიალებდა, წვრილად დაფხვნილი თამბაქო იატაკზე ცვიოდა.

— მომისმინეთ! — უცებ წამოიძახა მან. მისი ხმა ჩახლეჩილად

და რაღაც გაუბედავად ყღერდა. მას ნამდვილად ძალიან უჭირდა ეთქვა თავისი გადაწყვეტილება.

— მართალია. ანარქისტივით მოვიქეცი... ესაა ჩემი შეცდომა... თვითვე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს. ყოველთვის მგონია, რომ გარკვეული საქმე თუ განვიზრახე, აუცილებლად უნდა შევასრულო. ასე იყო ამჯერადაც, როცა ფოსლანდერზე ვნადირობდი... და მე არ შემაჩერა იმანაც კი, რომ ხანას საფრთხეში ვაგდებდი... მას ყოჩაღად ეჭირა თავი... მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი გავიგე, რაც ამ ხანებში მოხდა, ვხედავ, რომ არ მქონდა წასვლის და, მით უმეტეს, ხანას წაყვანის უფლება... მომეცით შესაძლებლობა, ფლორო, და შენც, ფრანს, გამოვისყიდო ჩემი დანაშაული...

ლოყები ისევ წამომეგზნო, როცა გავიგონე, როგორი ტონით ლაპარაკობდა ჰუგო თავისთავზე და ჩემზეც. გული მეკუმშებოდა იმის გამო, რომ მას თავისი დანაშაულის აღიარება მოუხდა, ამავე დროს ვამაყობდი მისით: მე ხომ ვიცოდი, როგორ უჭირდა მას თავისი შეცდომის აღიარება. მის შეხედვას ვერ ვბედავდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ყველა ჩვენი ამხანაგი უხერხულად გრძნობდა თავს, როცა ჰუგომ, როგორც იქნა, სიტყვა აიღო.

პირველად ფლორომ დაიწყო ლაპარაკი. მისი ხმაც მთლად სხვანაირად ყღერდა, ოდნავ ჩახლეჩილად.

— კარგი, ჰუგო... შენ დაამტკიცე, რომ დისციპლინა არ დაგვიწყებია... ვფიქრობ, ჩვენ ყველანი დავკმაყოფილდებით ამის განცხადებით...

მან მშრალად ჩაახველა.

— ჩემზე რაღას ფიქრობთ?.. — ვკითხე მე. — მე ჰუგოს შეხედულებებს ვიზიარებდი, რომ კარგი იქნებოდა ფოსლანდერის ხელში ჩაგდება...

— ჰმ, — მიპასუხა ფლორომ სიტყვების ძებნით. — არ მინდა დავამტკიცო, რომ ანარქისტი ხარ.... მაგრამ შენ და ჰუგოს ერთი და იგივე ხასიათი გაქვთ: ორივე ჯიუტები და თავისებურები ხართ. ამ მხრივ შენ მამაკაცს გავხარ.

პირი მომეღრიცა.

— ეს ქათინაურია? — ვკითხე მე. — მადლობელი ვარ... ყველას მადლობას გეუბნებით. მეც ისე ვფიქრობ, როგორც ჰუგო. ნამდვილად ვწუხვარ, თქვენ რომ არ იცოდით, ისე ამდენი დრო დავკარგეთ ერთ კაცზე, მაგრამ უფრო ვწუხვარ, რომ იგი ხელიდან დაგვისხლტა. ახლა მხოლოდ ერთი რამე მინდა: რამე დავალება მომეცით. უკეთესი იქნება — ყველაზე რთული. არა და ყოველთვის შემაწუხებს სინდისი, ეს კი სულაც არ მინდა.

ვეინანტი, რულანტი და ახალბედა, რომელსაც ეიხერს ეძახდნენ, იღიმებოდნენ. ფლორორი გაოცებული მიყურებდა, ხელს ისვამდა წვერმოუპარსავ სახეზე, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მე და ჰუგო შინ წავედით ფერლიმენებთან. პალტო ჰუგომ გაახვია და საბარგულზე დადო. ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრები დამეუფლნენ. ვიდრე ველოსიპედებით ჰარლემის ქუჩებში მივდიოდით. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და რაიონული საფოსტო კანტორის წინ ველოსიპედიდან ჩამოვედი, ჰუგოს ვთხოვე დაეცადა ჩემთვის. ფოსტაში ღია ბარათი ვიყიდე და დაჟანგული კალმითა და სახელმწიფო საზიზღარი მელნით დავჯღაბნე: თ ხ ა შ ე ბ მ უ ლ ი ფ ო რ ა ნ ი ი ს ე ვ მ ი დ ი ს. მ ე ე ტ ლ ე გ ო გ ო ნ ა თ ა ვ ს მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ გ რ ძ ნ ო ბ ს.

ღია ბარათზე მშობლების მისამართი დავწერე. ისინი მაშინვე მიხვდებიან, ვისი გამოგზავნილიცაა იგი, თუმცა განგზავნის მისამართი გამოგონილი დავწერე. გამოთქმა „თხაშებმული“ ჩვენ სახლში საყვარელ ხუმრობად ითვლებოდა მას შემდეგ, რაც მე ბავშვობისას, როცა არდადეგებს ოვერეისელში ვატარებდი, წავიყვანე ასეთი ფორანი და ამომშრალი არხში ჩავვარდი. დაე მამა და დედამ იცოდნენ, რომ ჩემი საქმე კარგადაა. დრო იყო მათთვის ჩემი ამბავი მეცნობებინა.

ნადირობა გრძელდება

იანმა და კარლინ ფერლიმენებმა სიხარულით მიგვიღეს, ყოველნაირად გვიმეღავნებდნენ მეგობრულ გრძნობას და მივხვდი, რომ ისინი ძალიან წუხდნენ ჩვენზე... ჩვენი ექსპედიციის განმავლობაში არც გამხსენებია ისინი, რაკი ვხედავდი, რომ ჰუგოსაც დროებით დაავიწყდა ფერლიმენები. კარლინმა იმავე დღეს გამოაცხო ტორტი სახამებლისა და პურის გაცრილი ფქვილისგან, რომელსაც დიდი სიფრთხილით ინახავდნენ პარკში, იანმა კი რომელიც დარცხვენილად იღიმებოდა, გაზაფხულის ყვავილების თაიგული მომართვა; მთელ მის პატარა საბოსტნო მეურნეობას გარს ერტყა აყვავებული ბუჩქების ფართო ზოლი. ბალახი — თავთაუნა შორეულ სილახვავებზე ვერცხლისფრად ლივლივებდა; ბოსტნეული მშვენივრად ამოსულიყო. მხოლოდ ხეისმა ძლივს გვიცნო. სამი კვირა — დიდი ვადაა პატარა ბიჭის ცხოვრებაში. იმანაც კი, რომელიც პირველად ცნობისმოყვრეობითა და შიშით შემოგვყურებდა, გაიღიმა, როცა საპუდრე ვაჩვენე, და ჩვეულებისამებრ, ტკაცანით

გავაღე მისი სახურავი. თითქოს მზემ გაუბრწყინაო სახე; იგი აღფრთოვანებული შემომყურებდა, ხელები გამომიწოდა, თითები გაშალა და სიხარულით წამოიყვირა:

— ხეისსაც გაუკეთეთ თეთრი ცხვირი!..

გულში ჩავიკარი, მერე მუხლებზე დავისვი, პუდრი ცვივოდა მისი საყვარელი ცხვირ-პირიდან. უცებ მივხვდი, რომ თავს უბედურად ვიგრძნობდი, ხეისის უნდობლობა რომ არ დამეძლია.

მალე მე და ჰუგო ჰარლემში გამოგვიძახეს: ჩვენ შტაბში პარტიის ახალი ინსტრუქცია მოვიდა. მაშინვე წავედით, თუმცა ჯერ კიდევ არ დავმშვიდებულიყავით საყვედურის შემდეგ. შტაბში ფლოორი დაგვხვდა. პირველად მანაც რაღაც ირიბად შემოგვხედა. მაგრამ საერთოდ თავი ისე ეჭირა, ვერაფრით დაეჭვდებოდი, რომ სხვა ამხანაგებზე ცუდად იყო ჩვენ მიმართ განწყობილი. აშკარად ჩანდა, წინააღმდეგობის საბჭოს ხელმძღვანელობას გადაეწყვიტა მოეხსნა ფლოორის მეერ ჩვენთვის მოცემული საყვედური. ამისათვის გამოუთქმელად მადლობელი ვიყავი უფროსი ამხანაგების.

ფლოორი და ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი მაგიდის გარშემო ვისხედით. ჩრდილოეთ ჰოლანდიელებისათვის დამახასიათებელი პუნქტუალობით ფლოორმა დაგვიწყო ახსნა, როგორი ამოცანები იყო დასახული ჩვენს წინაშე. ახლა, როცა მეორე ფრონტი ფაქტიურად გახსნილია, გამორიცხული არ არის, რომ მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთში შევლენ. ეს კი ნიშნავს, რომ სამხედრო მოქმედება შეიძლება მალე გადავიდეს ჩრდილოეთში, რამდენადაც საფრანგეთის შემდეგ გერმანელებს უნდა წაართვან ბელგია და პირველ რიგში ჰოლანდია, როგორც საზღვაო ფორტები. ომის ამ სტადიაზე, ხაზი გაუსვა ფლოორმა, ჩვენი ამოცანაა დავაზიანოთ გერმანელთა სამხედრო მანქანის — მთავარი ნერვი — კომუნიკაცია. თუ გაგვიმართლებს, ჩვენ, ე. ი. იმ დამონებულ ხალხებს, რომლებიც ცდილობენ დაამსხვრიონ თავიანთი ბორკილები, და თუ ჩვენ ინგლისელებს დავეხმარებით, მაშინ განთავისუფლება ნამდვილად შესაძლებელი იქნება ახლო მომავალში... რა თქმა უნდა, თქვა ფლოორმა, თან რიგრიგობით ყველას გვიყურებდა, ეს უკანასკნელი კი არ უნდა იყოს ამოსავალი, არამედ იგი უნდა დავისახოთ საბოლოო მიზნად. ზედმეტ რისკზე არ შეიძლება წასვლა. წინააღმდეგობის ჯგუფები უფრო უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს. კარსმომდგარი დიდი ბრძოლის მოლოდინში ჰარლემის წინააღმდეგობის საბჭომ მიიღო განსაკუთრებული დავალება: უნდა მოვაგროვოთ სურსათი ჰარლემის ახლო რაიონებში, განსაკუთრებით ჰარლემერ მეერის პოლდერ

ში. იატაკქვეშეთს ბევრი სახსრები დასჭირდება, მაგრამ ყველაზე მეტად სურსათი.

ასეთი ცნობის მოსმენის მერე ყველამ ერთმანეთს გადავხედეთ შეფიქრიანებულებმა და იმედგაცრუებულებმა. ფრანსმა კეფა მოიფხანა, თითქოს სულ სხვა რამის მოსმენას ელოდა. ჰუგო რაღაც უცნაურად იღიმებოდა. ფლორორი ისევ აუშფოთებლად განაგრძობდა საუბარს და ჩვენ ვერ მივხვდით, თვითონ როგორ იყო განწყობილი ამ ინსტრუქციისადმი. ყოველ შემთხვევაში, ნათელი იყო, რომ იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა მისთვის დაკისრებულ დავალებას, მან განაცხადა, ფრანსსა და რულანტს მოუხდებათ უხელმძღვანელონ სურსათის მარაგის დამზადებასო, და დასძინა, თითქოს ჩვენი დამშვიდება უნდაო, რომ ამ დროისათვის ეს სამუშაო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წინაალმდეგობისთვისო. იგი საშუალებას მოგვცემს შევემზადოთ უფრო რთული ოპერაციებისათვისო...

როგორც ჩანდა, ამხანაგები ნელ-ნელა შეურიგდნენ ასეთ პერსპექტივას, ფლორორმა მალე დაამთავრა თავისი სათქმელი. უცებ იგი მე და ჰუგოს მოგვიბრუნდა, დაჟინებით დაგვაცქერდა, რაც თითქოს კარგს არაფერს მოასწავებდა, და თქვა, რომ ერთი წუთით მარტო ჩვენთან უნდოდა საუბარი. დანარჩენი ამხანაგები სწრაფად გავიდნენ ბოლით სავსე ოთახიდან, და ჩვენ ფლორორთან მარტო დარჩენილებმა თავი უჩვეულოდ და უხერხულად ვიგრძენით.

იგი უხმოდ გვიყურებდა, მერე თავი დაიქნია. ჰუგო სრულიად მშვიდად იყო, მე კი ძალიან ვღელავდი. ოღონდ არ ვიცი, ამას სხვები მამჩნევდნენ თუ არა. ფლორორმა მოულოდნელად გაიცინა.

— რა თავ-პირი ჩამოგტირის, ხანა! — მითხრა მან. — ისევ გაწუხებს სინდისი? აბა, თავი დაანებე მაგაზე ფიქრს. ჩვენ სხვა საქმეები გვაქვს.

ჩემდა უნებურად ფლორორისაკენ წავიწიე. ჰუგო არ განძრეულა, მხოლოდ უფრო ყურადღებით შეხედა მას. ჰუგომ მაგიდაზე დიდი, ძლიერი ხელი დადო და თითები ერთმანეთს გადააჭდო.

— კარგად მომისმინეთ, — გვითხრა მან. — უკვე იცით, რისი გაკეთება ევალება თქვენ ჯგუფს. თქვენ ორივესთვის განსაკუთრებული დავალება მაქვს, და უნდა გითხრათ, რომ ამას გაძლევთ საყვედურზე უფრო სიამოვნებით.

ჰუგომ პაპიროსის ქაღალდს დასტაცა ხელი, — ეს იყო მისი ჩვეულებრივი ჟესტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მღელვარება დასძლია. მან გაიღიმა და მზემოკიდებული ლოყები დაუმრგვალდა. ვხედავდი, რომ გულზე მოეშვა, ფლორორის უკანასკნელმა სიტყვებმა

გაახარა. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ჰუგოს ყველა ფიქრი და მოქმედება, ასე თუ ისე, აღიქმებოდა ჩემს შემეცნებაში.

— ყველაფერი, რასაც თქვენ დაგვავალებთ... — თქვა ჰუგომ.

თავის ენერგიული დაქნევით დავადასტურე მისი სიტყვები.

— თქვენ არ იყავით და იმის ნახევარიც არ იცით, რაც აქ ხდება, — თქვა ფლოორმა, — მაგალითად, რომ უკვე ერთი თვის განმავლობაში გერმანელები ყოველნაირად აძლიერებენ თავიანთი პოლიციის აპარატს... აშკარაა, ეს დაკავშირებულია შემოჭრის საწინააღმდეგო ღონისძიებებთან... დაინიშნა პოლიციის ახალი უფროსი, მას ხერებაუტს ეძახიან. წარმომავლობით დეიდენიდანაა. ოკუპაციის დაწყებიდანვე ნაცისტი, თავგამოდებული დამბეზღებელი და იუდოფობია. ურჩევნია აგიტაციის გაწევა აღმოსავლეთის ფრონტზე გასამგზავრებლად, თვითონ კი აქ რჩება, რომ უმწეო მოსახლეობა ტერორით დააშინოს და იაფად მიჰყიდოს გერმანელებს...

— საკმარისია, ფლოორ, — ვუთხარი მე. სისხლი ამემღვრა, როცა პოლიციის ახალი უფროსის დახასიათება მოვისმინე: პირველად კი არ ვხვდებოდი ასეთ ტიპებს, მაგრამ ამის გამო ჩემი ზიზღი მათდამი არ მცირდებოდა.

— სად არის იგი? — იკითხა ჰუგომ.

ფლოორმა ნელა გაიცინა და თქვა:

— ამის გაგება თქვენ მოგიხდებათ. მხოლოდ ერთი რამე შემიძლია გითხრათ: დიდ თანამდებობებზე ხერებაუტის გარდა კიდევ ბევრი ავაზაკი დასვეს. ოკუპანტებს, რა თქმა უნდა, ესმით, რომ სიძნელეები შეხვდებათ, და პოლიციის აპარატის ქანჩებს ამაგრებენ იმით, რომ ნიშნავენ ისეთ ვაჟბატონებს, რომლებმაც უკვე თავი გამოიჩინეს სინდისის უქონლობითა და დახვეწილი სიმკაცრით... მიხვდით, რას მოითხოვენ თქვენგან?

— მივხვდით, — ვუპასუხე მე, — რომ შენ მეხსიერებაში კიდევ ბევრი გვარები ინახება, გარდა ხერებაუტისა, რომელზეც ლაპარაკია.

ფლოორი ადგა სკამიდან და ღიმილით მიპასუხა:

— შესაძლებელია. ჯერ ამ ვაჟბატონით დავიწყეთ. ფრანსმა იცის ამ დავალების შესახებ... ახლა კი უნდა წავიდე: კიდევ მაქვს საქმეები. წარმატებებს გისურვებთ!

გამომშვიდობება მოკლე, მაგრამ მეგობრული იყო. თეთრი ფლოორის ნაბიჯების ხმა უკვე ბაღიდან ისმოდა, მე და ჰუგო კი ისევ ვისხედით და ერთმანეთს მივჩერებოდით. ჰუგომ აღფრთოვანებით თქვა:

— რა ყოჩაღია!..

მალე ჩვენც წავედით შტაბიდან. კარგ ხასიათზე ვიყავით, შეი-ძლება ითქვას, მშვენიერ ხასიათზე.

ვიცინოდით და ვმასხრობდით. ოხუნჯობა გვინდოდა. ეს მხია-რულება ჩვენი დაბრუნებით, ახალი დავალებითა და კარგი ამინდით იყო გამოწვეული. ჰარლემის პარკში ნაყინის კიოსკთან გავჩერდით სუროგატი მოგვცეს — ვაფლი, რძის ფხვნილისაგან ველოსიპედის ტუმბოთი ადღვებილი ნაღებით, ვაფლი ხის ნახერხის გემოს ტოვებ-და პირში. ერთი ხელით ველოსიპედები მიგვყავდა, მეორეში კი ჰა-ეროვანი სასუნსნავი გვეჭირა და ბაღის ბილიკებზე დავდიოდით.

— ჩვენ აქ მაინც მეტისმეტად კარგად ვცხოვრობთ, — თქვა ჰუგომ. — თვით გებელსმა აღნიშნა ეს ფაქტი, როცა ახლახან ამს-ტერდამში სასტუმრო „ამერიკენში“ გაჩერდა... ეს ამბავი იცი?

— მიამბე-მეთქი, — ვთხოვე.

ჰუგომ დაიწყო მოყოლა, მაგრამ გაჩუმდა, როცა მე უცებ გავ-ჩერდი და ჩუმად ამოვიოხრე. ბილიკზე ჩვენკენ მოდიოდა კაცი, რომელიც მაშინვე ვიცანი. იგი უქუდოდ იყო, ქარი არხევდა მის შუბლზე ჩამოშლილ ქაღარა კულულებს. ზურგს უკან შემოწყობილ ხელებში ხელჯოხი ეჭირა, მშვიდი და ჩაფიქრებული გამოხედვა ჰქონდა. სახეზე ალმური მომედო, მთელ სხეულზე თითქოს ცეცხ-ლი მომეკიდა. მაგრამ სასტიკმა სინამდვილემ მაშინვე დააფრთხო მოულოდნელი შეხვედრის ხანმოკლე სიხარული: მე და მამა ერთ-მანეთს არ უნდა შევხვდეთ ჰარლემში, აქ, ქუჩაში.

— ჩქარა, ჰუგო, — ვუთხარი მე. — მოდის კაცი, რომელმაც არ უნდა დამინახოს. წინ დამიდექი.

არ ვიცი, როგორ მოახერხა ჰუგომ სწრაფად და მოხერხებუ-ლად ჩემ წინ ველოსიპედის დადგმა ისე, რომ გამვლელები ვეღარ შემხედავდნენ. მე კი ჩემი ველოსიპედისაკენ ისე დავიხარე, თით-ქოს ჩანთაში რაღაცას ვეძებდი, თუმცა შიგ ჩვრის მეტი არაფერი იდო, — ჩანთა უხსოვარი დროიდან ცარიელი იყო. მზით განათ-ებულ რუხ ფილებზე დავინახე მამაჩემის ფეხები, რომელმაც ჩემ გვერდით გაიარა, — რა კარგად ვიცნობდი მის ნაბიჯებს! ფრთხი-ლად გავსწორდი და მიმავალ მამას გავადევნე თვალი. იგი ისევ გა-მართული მიდიოდა, არ ამჟღავნებდა არც ცნობისმოყვარეობას, არც გაოცებას, — ჩემი დანახვა მას არ შეეძლო.

მთლად ვცახცახებდი, როცა ისევ შევჯექი ველოსიპედზე. ჰუ-გოს არაფერი უკითხავს, როგორც ჩანდა, ყველაფერს მიხვდა.

ხერებაუტის ამბავი ხანგრძლივი და მოსაწყენი იყო, გვეგონა, სრულებით არ ჰქონდა განზრახული ჩვენთვის შესაძლებლობა მოეცა, ბოლო მოგვეღო მისი დანაშაულებრივი კარიერისათვის. ჰუგომ შეიტყო, რომ იგი ცხოვრობდა ხემსტედში ებრაელი ფაბრიკანტის ბინაზე, რომლის გასახლება, ალბათ, თვითონ ბრძანა. თავის კანცელარიაში, რომელიც ჰარლემში იყო, ავტომანქანით დადიოდა. ისეთ ადგილებში ვუსაფრდებოდით, სადაც ჩვენთვის უფრო ადვილი იქნებოდა მასზე თავდასხმა. ნელა არასდროს დაჰყავდა მანქანა. ხანდახან ჭის საკუთარ ბაღში ვუცდიდით; მაგრამ იგი თითქოს საფრთხეს გრძნობდა, რამდენიმე დღე ზედიზედ ძალიან გვიან ბრუნდებოდა შინ... ისე გვიან, რომ იმ დროისათვის ჩვენ უკვე უნდა წავსულიყავით.

ბოლოს და ბოლოს მაინც მოვახერხეთ მისი ხელში ჩაგდება. მის ავტომანქანას რაღაც არ ჰქონდა წესრიგში, და ერთხელ იგი ჰარლემში ველოსიპედით წავიდა. ჩვენ მას ვსდიეთ თითქმის ბორცვებამდე და სპორტულ მოედნებთან წამოვეწიეთ. გზაზე მოძრაობა არ ნელდებოდა. ოსტატურად შემოვბრუნდით ისეთ ადგილას, სადაც ავტომანქანათა ყველაზე დიდი მოძრაობა იყო და ეინდენხაუტის ახლოს არამზადისათვის გზის გადასაჭრელად გავემართეთ, ისე რომ იგი ჩვენ შორის აღმოჩნდა; ჩვენ ვესროლეთ, და იგი ველოსიპედიდან ჩამოვარდა. ეს იყო ელვის უსწრაფესი, გაბედული და წარმატებითი თავდასხმა. ყოველი მხრიდან ხალხი იქითკენ გაეშურა— ავტომანქანებით, ველოსიპედებით; ტრამვაი გაჩერდა. წამითაც არ ჩამოვსულვართ ველოსიპედებიდან, პარკი გადავჭერით სპაარნეს მიმართულებით, ქალაქის აღმოსავლეთი გარეუბანი გავიარეთ, ფესტის სანგართან უკან შემოვბრუნდით და ისევ ჰარლემში მოვედით, ქუჩებში უკვე ლაპარაკობდნენ ხერებაუტის სიკვდილზე. ესე იგი, ტყუილად არ დაგვიხარჯავს ტყვიები.

ფერლიმენების მეურნეობაში, სილახვავებს იქით, სადაც მე და ჰუგო მშვიდობიანად დავბრუნდით, სიჩუმე და სიმყუდროვე იყო. ჰუგომ ისევ დაიწყო იანთან ერთად ბოსტანში მუშაობა, რამაც მას სულიერი წონასწორობა დაუბრუნა; მე კი, ჩვეულებისამებრ მარტო დავეხეტებოდი. შეფოთლილი ბუჩქები, ნორჩი მუხების სუნი, რომელსაც ერთვოდა არყის ხის მომწარო-მოტკბო სუნი, შორეული, ქედმოუხრელი სილახვავები, რომლებზეც მხოლოდ ქარი დანავარდობდა და ზღვის ჩიტები კვნესოდნენ, კარგად მოქმედებდა ჩემზე. წვრილ ბილიკებზე დავეხეტებოდი, მაგრამ უფრო ხშირად ბალახებ-

ში ვწვებოდი, თავქვეშ ხელებს ამოვიდებდი, გავცქეროდი ზაფხულის ცას, სადაც ქარს პატარ-პატარა ღრუბლები მიმოეფანტა, და არაფერზე არ ვფიქრობდი. უფრო სწორად, ვფიქრობდი, რომ არაფერზე ვფიქრობდი. იქნებ, ჩემი სულის სიღრმეში სევდა იყო მიმალული. ანდა, მოსვენებას არ მაძლევდა რაღაცის მოგონება, ვიღაცის სახე... საშუალო ასაკის, დაფიქრებული უქუდო კაცის სახე, რომელსაც შუბლზე ჭაღარა კულულები ეყარა; მისი ზურგს უკან შემოდებული ხელები ჯოხს ხელს უჭერენ... ამ კაცმა არ იცის, სად ვიმყოფები, რას ვაკეთებ... ჰარლემის პარკში მან გვერდით ჩამიარა და ვერ მიცნო... არა, ეს იყო კაცი, რომელსაც იძულებული ვიყავი დავმალვოდი, რომელთანაც ურთიერთობის უფლება აღარ მქონდა...

ხანდახან უცებ სრულიად მოულოდნელ დროს თვალები ცრემლებით მევსებოდა, და ვერაფერს ვუხერხებდი ჩემს თავს. კარლინი, რა თქმა უნდა, ხედავდა ამას, მაგრამ არაფერს ამბობდა; იმედი მქონდა, რომ იანი და ჰუგოც ვერ შემამჩნევდნენ.

ხერებაუტზე თავდასხმის ოთხი-ხუთი დღის შემდეგ სტუმარი გვეწვია. ეს იყო თეთრი ფლოორი. ამ გულითადი, ყოველთვის დინჯი ადამიანის დანახვამ კარგ გუნებაზე დამაყენა. ჰუგოსაც შევატყვე, რომ გაეხარდა ფლოორის გამოჩენა. ფლოორიც, როგორც ჩანდა, შესანიშნავ გუნებაზე იყო; მის თვალებში მხიარული ნაპერწკლები კრთოდნენ, პირი უღიმოდა. როგორც კი ჩვენთან მარტო დარჩა, მან გვითხრა:

— თქვენზე გაზეთში დაწერეს.

— დიდი ამბავია! — თითქოს არად ჩააგდო ჰუგომ, ძველი მორკინალივით. — პირველად ხომ არ გაუწერივართ გაზეთში!..

ფლოორმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და დაკეცილი გაზეთი „ჰარლემსე კურანტი“ ამოიღო.

— მაგრამ ასეთი შესანიშნავი ჩანაწერები თქვენ შესახებ ალბათ, არასდროს წაგიკითხავთ, — გვითხრა მან. — აი, ინებეთ... აქ თქვენზეა ლაპარაკი.

ბოსტნის უკან, სილახვავებისკენ მიმავალი გზის პირას დავსხედით, მწვანეში, სიჩუმით გარემოცულნი, ზღვის ნიავი გვიბერავდა. ჰუგომ გაზეთი გაშალა, მე მას მხარზე მივეყრდნე. პირველად ვერ მივხვდი, რატომ მიგვითითა ფლოორმა სტატიაზე, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ზნეობის გაველურება“, და თითქმის ერთი სვეტი ეკავა. მაგრამ პირველივე სტრიქონის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა:

„გუშინ ჰარლემთან ახლოს სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. როცა ახლახან დანიშნული პოლიციის უფროსი ველსიპე-

დით მშვიდად მოდიოდა ხემსტედიდან სამსახურში, მას, ტრანსპორ-ტის შეჯგუფებულ მოძრაობაში წამოეწია ახალგაზრდა კაცი და ქა-ლიშვილი, რომლებმაც ბარბაროსული გულგრილობით რამდენჯერ-მე ესროლეს რევოლვერი. ჭრილობა ისეთი სერიოზული იყო, რომ იმ წუთას გამოძახებული სასწრაფო დახმარება საჭირო აღარ აღ-მოჩნდა".

— ესე იგი, ერთით ნოლი ჩვენ სასარგებლოდ... —თქვა ჰუგომ, რომელიც ჩანაწერს ხმადაბლა კითხულობდა. — მაგრამ რა შუაშია აქ „ზნეობის გაველურება"?

— განაგრძე კითხვა, ბარბაროსო, — ვურჩიე მე. — ახლა მო-ყვება ფაშისტური მორალი!

ფაშისტი ჟურნალისტი წინააღმდეგობის ორგანიზაციას თავს ესხმოდა საკიცხავი ტირადებით. იგი მათ უწოდებდა მხეცური ინს-ტინქტების კერას, რამაც მოიცვა ჩვენი ხალხი ებრაელების, მარქსის-ტებისა და პლუტოკრატების გავლენით.

ბოლოში ამტკიცებდნენ, რომ შავ-წითელი ფაშისტური დროშა ისევ ისე იფრიალებს ჰოლანდიაში, რომ უგუნურის ტყვიამ მართა-ლია შეიძლება მოსპოს ადამიანი, მაგრამ იდეალი,—არასოდესო. ახ-ლა კი გადავიხარხარე და ჩემი ხმა ჰუგოს ტენორსა და ფლოორის ბანს შევუერთე.

— რა აქვს მხედველობაში ამ მოსყიდულ მჯღაბნელს, როცა „ზნეობის გაველურებაზე" ლაპარაკობს? — წარმოსთქვა ბოლოს ჰუგომ, როცა ცოტა დავმშვიდდით, — სჯობდა ელაპარაკათ იმათ მხეცურ ინსტინქტებზე, რომლებიც ათასობით ებრაელთა ბავშვებს ხოცავენ....

— ანდა ზნეობაზე საკონცენტრაციო ბანაკებში, ზილბერტანში ჩადენილ მკვლელობებსა და მასობრივ ძარცვაზე, — დავსძინე მე.

ფლოორი სულ იცინოდა, მაგრამ ოდნავ ირონიულად.

— თქვენ სერიოზულად ღებულობთ ამ მთხზველებს!.. — შე-ნიშნა მან. — ასეთ ნაძირალებთან ნამდვილი პატრიოტი კამათში არ ებმება. ზურგს უკანაც კი, როგორც ახლა თქვენ ხართ.

ჰუგომ გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, მე კი ვკითხე:

— გვითხარი, ფლოორ, რაკი აქ მოხვედი, ესე იგი, უთუოდ— რაიმე საქმე გაქვს? ვინაა მომდევნო სამიზნე?

— ხანა ასე უწოდებს მათ, ვისაც მე ბანდიტებს ვეძახი, — დასძინა ჰუგომ.

ფლოორმა მზერა ჰუგოსგან ჩემზე გადმოიტანა და სერიოზუ-ლად თქვა:

— წინააღმდეგობის საბჭოს სიის მიხედვით მომდევნოა ხერე-

ბაუტის ზაანდამელი კოლეგა, და ჩვენ გვავალებენ გზიდან მის ჩამოცილებას.

— შესაფერია, — დავეთანხმე მე. ჰუგომ კმაყოფილებით დაიქნია თავი.

— რა შვილი ბრძანდება? — იკითხა მერე მან. — ისევ რომელიღაც არარაობა, ნაძირალაა, რომელმაც ზედაფენებში აძრომა მოახერხა?

— მთელი თავისი სიცოცხლე პოლიციაში დაბალ თანამდებობაზე მუშაობდა, — უპასუხა ფლოორმა, — წინ წაიწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ვაშას“ და „ჰაილ ჰიტლერის“ ძახილი ისწავლა. იქამდე მის სამსახურებრივ კარიერაში არავითარი წინსვლა არ აღინიშნებოდა...

— ნაცნობი ტიპია, — ვუთხარი მე. — წარმატებას მიაღწია თავისი უხეირობით.

— მართლაც, რომ ასეა, — დამეთანხმა ფლოორი. — შარშან ზაანდამის პოლიციის უფროსი გახდა. მცხოვრებლებს თავისი ხუთი თითივით იცნობს; თითქმის ყველაზე შეუძლია თქვას, რომელ პარტიას ეკუთვნოდა ომამდე; ანტიფაშისტები ჰყავს მიზანში ამოღებული და ხალხის მოგროვებისათვის მიღებული ჯილდოებით კარგა დიდი კაპიტალი დაიგროვა. იმის გარდა, რასაც ღებულობს იატაკქვეშელებისა და ებრაელების დაჭერაში.

— და აქამდე ვერ გაუმასპინძლდით ტყვიით? — წამოვიყვირე მე, რადგან თანდათან ვცხარდებოდი, იმისდა მიხედვით, ფლოორი როგორ გვიხატავდა ნაცისტის პორტრეტს.

ფლოორმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცოდით, რამდენად დიდი დანაშაული მიუძღოდა. ხომ იცით, რანაირი მოღვაწენი არიან ისინი; საკუთარი ნამოღვაწარის ეშინიათ. უჩუმრად თაღლითობენ. მაგრამ ახლა პოლიციის ერთერთმა მუშაკმა რაღაცეები გვიამბო. ამ არამზადის ბოროტმოქმედებათა მთელი სია წარმოგვიდგინა — მას დენ დრუუტს ეძახიან.

— როგორც ჩანს, მეორე პოლიციელიც კარგი ბანდიტია — ჩვენ მოგვემხრო მოკავშირეების შემოჭრის შემდეგ! — დასცინოდა ჰუგო.

— თავისთავად ცხადია, — დაეთანხმა ფლოორი. — ყოველ შემთხვევაში, ემთხვევა იმას, რაზედაც ჩვენ კარგა ხანია ეჭვი გვქონდა... ჩვენი ინფორმაციები თანდათან სრულყოფილი იქნება, იმისდა მიხედვით, ინგლისელების ხიდწინა სიმაგრე ნორმანდიაში რამდენად გაიშლება პარიზის მიმართულებით. მაგრამ არის ერთი გარემოება, რის გამოც ზაანის წინააღმდეგობის საბჭოს არ უნდა დრუ-

უტის საქმისათვის ხელის მოკიდება: ჩვენ არ უნდა გამოვჩნდეთ ამ რაიონში, რადგან ქუჩაში შეიძლება რომელიმე ავაზაკმა გვიცნოს— მათ ხომ აქვთ ჩვენი ნიშნების აღწერილობა. ეს სრულიად ზედმეტი რისკია.

— მაშასადამე, ჩვენ გვხვდა პატივი, სული გავაფრთხობინოთ ამ დრუუტს, — თქვა ჰუგომ.

მე ხმა არ ამომიღია. ფლოორის უკანასკნელმა სიტყვებმა დამაწყებინა იმაზე ფიქრი, რომელსაც აქამდე თავს ვარიდებდი. ვიდექი ერთ ადგილას გაოგნებული და დაბნეული.

ფლოორმა და ჰუგომ გაკვირვებით შემომხედეს. ფლოორს მხარზე მოკიდე ხელი.

— ფლოორ. — ვუთხარი მე, — შენ ნიშნებზე ლაპარაკობ... როგორ გგონია, ჰარლემში აქვთ თუ არა მათ ჩვენი ნიშნები? გაზეთში ლაპარაკია ახალგაზრდა კაცსა და ქალიშვილზე. ყოველ შემთხვევაში ხომ გვნახეს...

ფლოორმა შემომხედა; ცხვირთან ძარღვმა თამაში დაუწყო.

— გნახეს... მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. განა ცოტა ყმაწვილები და გოგონები დადიან ფეხით და ველოსიპედებით!

— ჰარლემში არიან ადამიანები, რომლებიც მიცნობენ, — შევევდავე მე. — მე კი მათ შესახებ არაფერი ვიცი — კარგები არიან თუ ცუდები...

— ხანა, რა მოგივიდა? — მითხრა ჰუგომ.

— ფლოორმა გამახსენა, — ვუპასუხე მე. — საქმე იმაშია, რომ ამ ამბავმა არავითარ შემთხვევაში პოლიცია არ უნდა მიიყვანოს ჩემი მშობლების სახლში.

— შენ ყველგან საშიშროება გელანდება, — დაიბუზღუნა ჰუგომ. — რამდენი ხანია ამ მხარეში ვმუშაობ, მაგრამ ჩემი ნიშნები ჯერ ვერ გაიგეს... თორემ დედაჩემი ეიმეიდენში კარგა ხნის წინ დაეჭვდებოდა ცუდ ამბავზე. მთავარია, სწრაფად იმოქმედო და სწრაფად დაიმალო...

მე მაშინალურად დავუქნიე თავი, მაგრამ გუნებაში არ ვეთანხმებოდი ჰუგოს. თითქოს ისევ თვალნათლივ ვხედავდი დედას და მამას სამზარეულოში (რატომ წარმოვიდგინე ისინი სამზარეულოში, ამას მერე მივხვდი), მათ უკან დავინახე ივდითის წყნარი, მორჩილი, შავი ნაწნავების ჩარჩოში ჩასმული სახე...

— არა, — მოკლედ და მტკიცედ განვაცხადე. — ჰარლემში უნდა წავიდე. დღესვე უნდა გავიგო, რა ხდება იქ.

— მე ხომ იქიდან მოვედი! — თქვა ფლოორმა. — შენს მშობლებს რამე რომ შემთხვეოდათ, ჩვენს ჯგუფს ეცოდინებოდა.

— უნდა წავიდე, — დავიჩემე მე. — ზაანდამში ვერ წავალ, ვიდრე არ გავიგებ, ყველაფერი რიგზეა თუ არა ჩემს სახლში.

ჰუგომ და ფლორომა უკმაყოფილოდ შეხედეს ერთმანეთს, როგორც მამაკაცებმა იციან ხოლმე, როცა ქალის სიჯიუტეს წააწყდებიან. ჰუგომ რაღაც ჩაიბუტბუტა და ფეხსაცმლის ძირი მიწის გორახს წაკრა, ფლორომა კი ხელი ლოყასთან მიიტანა.

— ხანა, — უცებ თქვა ფლორომა. — მე ახლა კენემერლანდში ვარ წასასვლელი, მაგრამ შემიძლია ჰარლემზე გავლით წავიდე... სიტყვას გაძლევ, შეგატყობინებ შენი მშობლების ამბავს. თუ იქ ყველაფერი რიგზეა, მე ხეის ფერლიმენს ღია ბარათს გამოვუგზავნი, შემდეგი სიტყვებით: „გულითადი მოლოცვა“.

თავი დავუქნიე:

— არა, საქმე ამაში არ არის, დედამ და მამამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ რაღაც ზომები. თუ ჰარლემით წახვალ, ძალიან დაგიმადლებ. მაგრამ ბარათი უნდა გაგატანო და პირადად გადასცე.

— დიდი სიამოვნებით!

სახლისკენ წავედი, ამხანაგები უხმოდ გამომყვნენ. ჩემმა საქციელმა, როგორც ჩანდა, გააოცა ისინი. ჩემს ოთახში ჩავიკეტე, ავიღე ქაღალდი და კალმისტარი და სასწრაფოდ დავწერე:

ძვირფასო მ. და დ. ივდითი დაუყოვნებლად უნდა წავიდეს თქვენგან. გაუკეთეთ ყველაფერი, რასაც შეძლებთ. ძალიან კარგად ვცხოვრობ. გეხვევით ყველას. კიდევ ცოტა მოთმინებაა საჭირო. მალე გავიმარჯვებთ. ხ.“

წერილი სუფთა კონვერტში ჩავდევი და ფლორს მივუტანე. რომელიც თავისი ველოსიპედის გვერდით, ქვის საფეხურზე ჩამომჯდარი მოთმინებით მიცდიდა. მან წერილი შეინახა.

— ნუ წუხდები, ხანა, — მითხრა მან. — არ დამეკარგება.

იგი მაშინვე შეჯდა ველოსიპედზე და გზას გაუდგა. მიმავალ ფლორს გავყურებდი. იგი დინჯად, დაჯერებულად მიდიოდა ბილიკზე. მზე დასთამაშებდა ოქროსფერ თმებზე. დავმშვიდდი. გზაზე მარტო მდგომმა ისევ ვიგრძენი ჩემ გვერდით მეგობრების დიდი, საიდუმლო არმია, რომელთანაც დაკავშირებული ვიყავი ყოველნაირად. როცა დავბრუნდი ჰუგოსთან, რომელიც ისევ ნაკვეთში დაბორიალებდა, უკვე შემეძლო გაღიმება.

მეორე და მესამე დღეს ფლორორი არ გამოჩენილა, რამაც დამამშვიდა. ჩემი მშობლები საფრთხეში რომ ყოფილიყვნენ, იგი აუცილებლად შემატყობინებდა. მესამე დღეს პატარა ხეისის სახელზე ლამაზი ღია ბარათი მოვიდა, რომელზეც ძნელად გასარკვევი ხელით ეწერა: „გულითადი მოლოცვები". ვხედავდი, კარებში მდგარი კარლინი ხელში როგორ ატრიალებდა ღია ბარათს, როცა ფოსტალიონი უკვე მიაქროლებდა ველოსიპედს.

— რა სისულელეა, — ჩაილაპარაკა მან. — ხეისის დაბადების დღე ხომ ოქტომბერშია. ვინ გამოგზავნა? ვიღაც ვიტე დე ვიტია[1]. რა არის ეს?

მან ამომხედა, რადგან თავი ვერ შევიკავე და გამეცინა. მაშასადამე, ფლორორმა შეასრულა პირობა, მან ხომ თქვა: „თუ ყველაფერი რიგზე იქნება, ხეისს გამოვუგზავნი ღია ბარათსო..."

— თავს ნუ იმტვრევ ღია ბარათის გამო, კარლინ, — ვუთხარი მას და გულზე მომეშვა. ხეისი, რომელიც კაბაზე მებღაუჭებოდა, ავიყვანე და მაღლა ავწიე. — ეს ერთი ცნობაა, რომელსაც მე ველოდი... აჰა, ხეის. გქონდეს ლამაზი სურათი. რაც გინდა, ის უყავი, თუ გინდა ნაკუწებად აქციე...

იმ ამბის დაჯერებამ, რომ ჩემი წერილი მიღებული ჰქონდათ და ჩემს სახლს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, გასაოცრად საომარ გუნებაზე დამაყენა. აქამდე ვცდილობდი არ მეფიქრა ზაინის რაიონში ჩვენ მიერ ჩასატარებელ ოპერაციაზე, რადგან შინაგანად განწყობილი არ ვიყავი ამისათვის; ახლა კი ენერგიის ისეთი მოზღვავება ვიგრძენი, რომ, მეგონა, სასტიკად გავუსწორდებოდი დრუუტის მსგავსს ათ არამზადას. ჰუგომ რაღაც გაუბედავად შემომხედა, როცა მუშაობა შევაწყვეტინე — იგი ხენდროს კვლებს აფხვიერებდა.

— ჰუგო, დროა დაზვერვაზე წავიდეთ, — ვუთხარი მე.

იგი უსიტყვოდ ადგა, ხელები ძველ, სამუშაო შარვალზე შეიწმინდა და უხმოდვე წავიდა ფარდულში ტანისამოსის გამოსაცვლელად. იან ფერლიმენმა აიღო ჰუგოს მიტოვებული თოხი, ეშმაკური ღიმილითა და თავის ქნევით თქვა:

— რა კარგი თანაშემწეები ხართ... მაშასადამე, ყველაფერი ისევ მე დამაწვება კისერზე.

— ჩვენ მთავრობას ლონდონში გაუგზავნე ზარალის ასანაზღა-

[1] Wit—თეთრი (პოლანდ.).

ურებელი ანგარიში, — ვურჩიე მე. — იგი სურვილით კვდება, რომ რამე გააკეთოს დაჩცირებული ხალხისათვის.

— მხოლოდ მარტოოდენ სიტყვებით.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ფარდულიდან გამოვიდა ჰუგო, რომელსაც ტყავის პალტო და სპორტული ფეხსაცმელები ეცვა, მან თავისი ველოსიპედის სალტე გასინჯა, მერე ჩემი ველოსიპედისა და წარბებაწკეპილმა შემომხედა; მე თავი დავუქნიე: ყველაფერი რიგზეა-მეთქი.

— აბა, გზას გავუდგეთ... — ჩაილაპარაკა მან.

ჩვენი ზაანდამის ექსპედიცია დაიწყო.

მე ვთქვი, რომ დაზვერვაზე წასვლაა საჭირო-მეთქი: სწორედ დაზვერვით დავიწყეთ. ყოველთვის მეგონა, რომ ზაანდამს კარგად ვიცნობდი; მაგრამ ჩვენი ოპერაციის სამზადისის დროს დავრწმუნდით, რომ ეს ცოდნა ძალზე ზერელე იყო. პირველივე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ქალაქის იმ ნაწილში უნდა ვყოფილიყავით, სადაც სადგური იყო. მდინარე ზაანი მრავალი ყურეებით დამალვაში შეგვიშლიდა ხელს — გარდა პატარა ბორნებისა, რკინიგზის ლიანდაგებს ზემოთ ვიადუკისა ან ერთმანეთისგან მოშორებული ხიდებისა, — ყველგან წყალი იყო, რომელსაც ვერსად გაექცეოდი. სამაგიეროდ სადგურის გვერდით საპოლიციო უბანი იყო. რამდენჯერმე გავიარეთ ველოსიპედით ქალაქის ეს ნაწილი და საფუძვლიანად გავიცანით ამ რაიონის დიდი და პატარა გვერდითი ქუჩები, ბაღებისა და უკანა ეზოების გადამკვეთი მრავალი ვიწრო გასასვლელები. ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებდი ქალაქს. აქ იმისთვის კი არ მოვედით, რომ შხატვრებივით, დავმტკბარიყავით ქალაქის სიმშვენიერით, მაგრამ მაინც შევნიშნეთ, რომ იგი ლამაზი იყო, თუმცა მას ნამდვილად აკლდა ერთი რამ — ნავსადგურში ხე-ტყით დატვირთული გემები არ მიმოდიოდნენ. ხე-ტყის საწყობები თითქმის დაცლილი იყო. მდინარეზედაც არ ჩანდა გემების მაღალი ანძები.

— ეს არამზადები ყველაფერს სიკვდილის დაღს ასვამენ, — თქვა ჰუგომ, როცა ნავსადგურის რაიონს ვათვალიერებდით.

სპეციალურად წავედით პატარა მოედანზე, სადაც ქვის პეტრე პირველი თავდადებულად შრომობდა გემის ასაშენებლად, მოწიწებით შევყურებდით კვარცხლბეკზე ამოკვეთილ რუსულ სიტყვებს. გვეგონა, რომ ისინი — მათი შინაარსისაგან დამოუკიდებლად — როგორღაც გვაახლოვებდა მათთან, ვინც ჩვენს მოსისხლე მტერს უმოწყალოდ ურტყამდა აღმოსავლეთ ევროპაში.

— ყოველ შემთხვევაში, მან იზრუნა ზაანდამი მოემარაგებინა

სამშენებლო ხის მასალით, — თქვა ჰუგომ. — თუმცა მასთან შეგუება ადვილი არ იყო... თუ ვცდები?

— არა, არ ცდები, — ვუპასუხე მე. — ყველა ხალხს ისეთი მმართველი ჰყავს, როგორსაც იმსახურებს. როგორც ჩანს, ის იყო მათთვის საჭირო — მან აიძულა თავისი ქვეყანა გამოფხიზლებულიყო და წინ წასულიყო... სიტყვამ მოიტანა და, მიგიქცევია თუ არა ყურადღება, რომ ჰოლანდიას და რუსეთს ერთმანეთთან არასდროს უომიათ?.

— არც ისე კარგად ვიცი ისტორია, — გაიცინა ჰუგომ, — მაგრამ რაკი შენ ასე ამბობ, სიამოვნებით გეთანხმები, მეამება კიდეც შენი მოსმენა.

გზა განვაგრძეთ, რომ საპოლიციო უბანსა და გარეუბნის გზატკეცილს შორის ქუჩათა განლაგებას გავცნობოდით.

— ჰუგო, იცი, რას ვფიქრობ? — ვუთხარი მე. — ჩვენი ქვეყანა თვითონვე ისჯიდა თავს იმით, რომ ინგლისსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან კარგი დამოკიდებულების შექმნაზე არ ზრუნავდა... მათთვის რაც კარგია, ჩვენთვისაც იყო და იქნება კარგი... მხედველობაში მაქვს, რომ ჩვენს ძვირფას აღმოსავლეთ მეზობლებს, როგორც წინათ, ახლაც მხოლოდ ერთი რამ უნდათ: შეიერთონ ჩვენი ქვეყანა, ხელთ იგდონ ჩვენი მდინარეები, ნავსადგურები, ჩვენი საზღვაო ფლოტი...

— შეიძლება ისიც კი ითქვას, — დაცინვით დასძინა ჰუგომ, — უძრავ-მოძრავი ქონება. ადამიანებისა და ცხოველების ჩათვლით.

— ჩვენ ინგლისელებზე უხდა ავიღოთ გეზი, — ვუთხარი მე.

— ოჰ, შენც ყოველთვის შენი ინგლისელებით, — ხელი აიქნია ჰუგომ. — უკეთესია, მოდი ვიფიქროთ, როგორ მივაგნოთ მალე დრუუტის კვალს. ესაა ჩვენი ძვირფასი აღმოსავლეთ მეზობლების მტაცებლური მისწრაფების მოსპობის ყველაზე კარგი საშუალება.

ჩვენი „ნადირობის“ ყოველი შემთხვევის დროს მეორდებოდა ერთი და იგივე ელემენტი: პირველ დღეებში დაზვერვა, შეცნობა, მოსინჯვა და ჩვენთვის საინტერესო პირის სახლამდე მიცილება, ფლორისაგან დრუუტის ზოგიერთი ნიშნები გავიგეთ: შუახნის კაცი იყო, საშუალო ტანის, ჩვეულებრივი თმა და მონაცრისფრო-ყავისფერი თვალები...

— ყველაფერი ერთნაირი, საშუალო, — ბუზღუნებდა ჰუგო. — ასეთი ნიშნები ზაანდამის ათი ათასობით მცხოვრებს აქვს.

— გარდა ამისა, მას სამხედრო ფორმა აცვია, — შევახსენე დაცინვით.

— და კაინის დაღი აქვს, — მწარედ დასძინა ჰუგომ, — თუმცა

ადვილად ვერ შენიშნავ მას... იმედი მაქვს, მის ცხვირ-პირზე ამოვ-წვავთ ამ დაღს.

— მაშინ ჯერ უნდა ვეცადოთ გავიგოთ, როგორ გამოიყურება ეს ცხვირ-პირი და როგორ სხეულზეა მოთავსებული, — ვუპასუ-ხე მე.

და ჩვენ ვცდილობდით გაგებას. ვანსახიერებდით შეყვარებულ წყვილს, დავეხეტებოდით საპოლიციო უბნის რაიონში, ვიდექით მაღაზიის ვიტრინის წინ ვესტზეიდზე, თუმცა საქონლის გამოფენა თანდათან მცირდებოდა; თავდაპირველად ვარაუდით ვხელმძღვა-ნელობდით, მერე გულუბრყვილოდ გამოვკითხავდით ხიდთან მომუ-შავე მესაათეს ან ქუჩის დამგველს. ბოლოს საკმაოდ ზუსტად გავარ-კვიეთ, როგორი იყო ჩვენთვის საჭირო კაცი. ფლორორის აღწერა სრუ-ლიად დადასტურდა: ამ ნაცისტების დამქაშს ყველაფერი ერთნაირი, „საშუალო“ ჰქონდა; სამოქალაქო ტანისამოსში იგი სრულიად უმნი-შვნელოდ გამოჩნდებოდა და არაფრით არ მიიპყრობდა ვინმეს ყუ-რადღებას.

მის გამოხედვაში აშკარად ჩანდა შიშნარევი მტრობა; იქნებ სხვები ამჩნევდნენ ამას. ჩვენ იგი რამდენჯერმე ვნახეთ, როცა საპო-ლიციო უბანში შედიოდა და გამოდიოდა. მას ყოველთვის ვიღაც-ვი-ღაცები ახლდნენ. მოშავო-ლურჯ სამხედრო ფორმას რაღაც მო-ეხერხებლად, გულშეუჯერებლად ატარებდა, თითქოს ვერაფრით შეგუებოდა იმ აზრს, რომ ყველა ეს სირმები და წარჩინების ნიშნე-ბი ნამდვილად მას ეკუთვნოდა. თავისი შრომითი კარიერის მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე ქვაფენილზე დადიოდა.... პოლიციის უბ-ადრუკ გუშაგს, რომელსაც მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ დაა-სხა, აღარ შეეძლო შეჩერება და ფულისათვის საშინელ დანაშაულ-ობებს სჩადიოდა.

— მართლაც, უბედური შესახედაობა აქვს, — ვთქვი მე, როცა დავრწმუნდით, რომ ეს ვაჟბატონი დრუუტი იყო.

— რა იყო, გეცოდება? — დამცინოდა ჰუგო, — იმიტომ, რომ მუნდირს ვერაფრით ვერ შეუხამა თავისი ტანადობა? სჯობს კაინის დაღზე იფიქრო!

— იქნებ, მე უფრო ვფიქრობ ამაზე; ვიდრე შენ, — გავაწყვე-ტინე, მისი დამრიგებლური ტონით გაბრაზებულმა. — პირველად მე ვესვრი, გასაგებია?

ჰუგომ ღიმილით შემომხედა და ხელი ხელზე დამადო,

— რა მოხდება, ისევ ისე რომ გავაკეთოთ, როგორც ამას წი-ნათ? — მკითხა მან. — ორივემ ჩვენ-ჩვენი მხრიდან.

— თუ ისე გავაკეთებთ, როგორც მომენტი მოითხოვს? — შევთავაზე მე.

მხიარულად გავიცინეთ, რაკი ისევ ერთ აზრზე დავდექით. საპოლიციო უბანი რომ დავინახეთ, გეგმის შემუშავებას შევუდექით, თან ვცდილობდით წარმოგვედგინა სამშობლოს გამყიდველის ლიკვიდაციის ყველა წვრილმანი: როგორ მივუახლოვდებით მას, მერე როგორ დავიმალებით და დავფარავთ ჩვენს კვალს. ასე ვფანტაზიორობდით მტრის მოლოდინში ორი-სამი დღე. ყოველ საღამოს ხელცარიელი გვიხდებოდა დაბრუნება კასტრიკუმს იქით, საბოსტნე მეურნეობაში. ვხედავდი, რომ ჰუგო სიტყვაძუნწი და გულჩახვეული ხდებოდა. სახე მკაცრი და მიუკარებელი ჰქონდა, თვალებში თითქოს დაძაბული ფიქრი ჩასდგომოდა. არ ვიცი, როგორ გამოვიყურებოდი მე; ალბათ, რაღაც ამის მსგავსი ხდებოდა ჩემშიც, ეს მე შევნიშნე ფერლიმენების გამოხედვაში, როცა შეხვედრისას შემომხედავდნენ ხოლმე.

მესამე დღეს ისევ წავედით ზაანდამში და ვესტზეიდზე წიგნის მაღაზიის წინ გავჩერდით, სადაც ახალი გაზეთი იყო გამოკრული. პირველ გვერდზე ერთი ცნობა წავიკითხე და ჰუგოს უნებურად ხელზე ხელი წავატანე.

— ხედავ?.. — ვკითხე ჩაწყვეტილი ხმით და მთელი სიმძიმით ჰუგოს დავეყრდნე; გული ისე ნელა მიცემდა, თითქოს სისხლისაგან დაიცალაო. —დახვრიტეს ხერიტ იანი და კიდევ სამი კაცი, გვარების გამოუცხადებლად...

ჰუგო დააშტერდა შავარშიაშემოვლებულ პატარა ცნობას. სახე ისევ შეუვალი ჰქონდა, მაგრამ მზემოკიდებული კანი გაუფითრდა.

— „დივერსიები და შეიარაღებული თავდასხმები... “— კითხულობდა იგი ხმადაბლა. — ესე იგი, მაინც მოკლეს, მიუხედავად იმისა, რომ დამბლადაცემული იყო...

ხელებში ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავი, და სული მოვითქვი.

— და კიდევ სამნი, გვარების გამოუცხადებლად, — ვთქვი მე.— კიდევ სამხი...

ჰუგომ შემომხედა. საშინელმა გრძნობამ შეგვიპყრო ორივე. ჰუგოს აქამდე გაფითრებული სახე უცებ შეთრთოლდა და ჩამუქდა სისხლის მოწოლის გამო.

— შეუძლებელია, ხანა, — წაიჩურჩულა მან.

— ამ აშკარა მკვლელებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, — ვთქვი მე. გააფთრებამ, რომელმაც საშინელება შესცვალა, განდევნა

სისუსტე და ნახევრად გონდაკარგული მდგომარეობა. — მიხვდი? ესენი არიან ტომი, იანი და ედი.

— შეუძლებელია... — გაიმეორა ჰუგომ. მისი ტუჩები ისევ მოძრაობდნენ, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ შესძლო.

— წავიდეთ, — ვუთხარი მას და წავიყვანე. სახლების გასწვრივ მივდიოდით, სკოლას ჩავუარეთ და პატარა ყურესაკენ წავედით, სადაც მომცრო ბორანი დადიოდა, ვგრძნობდი, რომ ჰუგო საპოლიციო უბნისათვის უნდა მომეშორებინა; როცა ელდა გაუვლიდა, შეიძლებოდა. ისე გაბოროტებულიყო, რომ, ვაითუ, რამე მოუფიქრებელი ჩაედინა — ვინ იცის, იქნებ, ჰუგოსაც შეეძლო ასე მოქცეულიყო.

მდინარე ზაანს გაღმა გადავედით. იქითა მხარე წყნარი და მშვიდი იყო; იქ, უშველებელი ფაბრიკისა და გავერანებულ პაკჰაუზების ჩრდილში გაშენებული იყო საკმაოდ უშნო მუშათა კვარტალები. ბაღებისა და მაღალხიდებიანი არხის გასწვრივ მივხეტიალობდით; ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ამ მშვენიერ ადგილებს და ვტკბებოდი; დღეს კი ყველაფერი უსიცოცხლო მეჩვენებოდა: სიცოცხლის ნიშანი არ ემჩნეოდა ქვებს, კედლებს და მიწას, რომელზეც რაღაც-რაღაცეები იყო დარგული; ჩვენ გვერდით მიმავალი ადამიანებიც აჩრდილებს ჰგავდნენ. ჰუგოს გვერდიდან არ ვიშორებდი; ველოსიპედები ხელით მიგვყავდა, როგორც მოძრავი საფარი, რიყის ქვებზე და აგურით მოფენილ საძაგელ ბილიკზე მივდიოდით; ჰუგოს ლამაზი, მსუბუქი და მოქნილი ფეხები ახლა ტყვიასავით დამძიმებული მოჰქონდა. ერთ ბაღში, სადაც ხეები მეჩხერად იყო დარგული და ბალახი არ მოეთიბათ, მერხთან გავჩერდით. ველოსიპედები ბაღის რკინის მესერზე მივაყუდეთ და მერხზე დავსხედით. ორი საცხოვრებელი სახლის კორპუსებს შორის ზაანის მბრწყინავი ფართო ზოლი მოჩანდა, რომელზეც ოდნავ ირწეოდა რამდენიმე ძველი ნავი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი თუხთუხით მიცურავდა პატარა ბორანი.

კარგა ხანს ვდუმდით. ჰუგოს კვლავ მივეხუტე, ამჯერად იმიტომ კი არა, რომ მისგან ძალა გადმომცემოდა, არამედ იმისთვის, რომ ჩემი სინაზისა და ერთგულების გამომჟღავნებით დამემშვიდებინა. გაუბედურებული სახით მიაშტერდა სივრცეს; მისმა ხელებმა რაღაც უხერხულად და გაუბედავად, თითქოს რცხვენოდათ თავისი სისუსტის, ჩემი ხელი მოძებნა. ფრთხილად მომითათუნა თითები ხელზე და მერე მაგრად მომიჭირა. მხოლოდ ცოტახნის შემდეგ ვიგრძენი, რომ მისი შინაგანი დაძაბულობა კლებულობდა. ბოლოს ლაპარაკი

წამოიწყო, ისე რომ ჩემთვის არც შემოუხედავს. მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც ზაანი ზაფხულისათვის დამახასიათებლად ბრწყინავდა სივრცეში, და რაღაცნაირი, ყრუ ხმით მითხრა:

— ასე იოლად არ შერჩებათ ეს ამბავი, ხანა... სამაგიერო გადახდებათ, ძალიან მალეც.

თავი ჰუგოს მხარზე მედო. მინდოდა ხმამაღლა ავტირებულიყავი, მაგრამ გარემოება არ მაძლევდა ამის უფლებას: ბაღი, სადაც ჩვენ ვისხედით, ივნისის ზიანი დღე, მებრძოლ ამხანაგთან ყოფნა, ომი... კბილები ერთმანეთს დავაჭირე და ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე:

— რა მოიფიქრე, ჰუგო?

— ეს მოხდება დღესვე, — მრისხანედ წარმოთქვა მან. უცებ ხელი გამიშვა და ადგა. ისე რომ თავისდა უნებურად ხელი მკრა.

— რომელი საათია, ხანა?.. თორმეტის ნახევარი? მაშასადამე, კიდევ ბევრი დრო გვაქვს. არაა საჭირო ბევრი ვიტრიალოთ აქ, ბილტხოვენში რომ გავაკეთეთ, ისე. ლოდინი აღარ შეიძლება. ძალიან ბევრი ბოროტება ხდება ირგვლივ.

მგზნებარე, ფიცხმა სიტყვებმა, როგორც ჩანდა, დაამშვიდა. მხოლოდ ახლა შემომხედა. მის თვალებში ჩემდამი დიდი სიყვარული და ურყევი სიმტკიცე ამოვიკითხე.

— დარწმუნებული ხარ, რომ ძალა გეყოფა? — ვკითხე მე.

მან ხელები გამომიწოდა და თითები გაშალა, არც ერთი თითი არ შეთრთოლებია.

— ხომ ხედავ, დამშვიდებული ვარ, ხანა, — მითხრა მან. — სრულიად დამშვიდებული...

მისი ხელი ავიღე და გრძნობამორეულმა ვაკოცე.

— რა შესანიშნავი ხარ, საყვარელო!

სახე კვლავ მოეღრუბლა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან ახალგაზრდად და მორიდებულად გამოიყურებოდა. ჩემი ხელიდან ხელი გაინთავისუფლა.

— რას სჩადიხარ, ხანა? უმჯობესია, მითხრა, შენ როგორ გრძნობ თავს... მაჩვენე, შენს ხელებს დავხედავ.

ხელები გავუწოდე. ჩემი ხელები არ იყო ისეთი მშვიდი, თუმცა ვცდილობდი, ყოველი ძარღვის მოძრაობა შემეკავებინა.

ჰუგო ჩემსა და იქვე მდგარი სახლის ფანჯარას შორის ჩადგა. მერე ოდნავ წინ გადმოიხარა, მარჯვენა ხელით ჩემი ორივე ხელი ლოყაზე მიიდო.

— ჩემო ძვირფასო, — ხმადაბლა მითხრა მან.

შევსხედით ველოსიპედებზე და გავსწიეთ; მარტონი ვიყავით

ჰოლანდიის ზაფხულის ამ დილით; მზად ვიყავი ჰუგოსთან ერთად ქვეყნის კიდემდე მევლო.

— გამიგონე, ხანა, — დაიწყო მან ლაპარაკი, — ეს ჯალათი ახლა გამოვა თავის კანტორიდან და შინისაკენ წავა. დღეს ან არასოდეს. ვსდიოთ კვალდაკვალ, ვიდრე მოხერხებულ მომენტს ვნახავთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ მდინარეზე გადავიდეს. დასავლეთისაკენ უკანდასახევი გზა თავისუფალი უნდა გვქონდეს... პირველად შენ გაისვრი.

უკანასკნელ სიტყვებზე ჰუგოს გაეღიმა, მეც გავუღიმე.

— არა, შენ, — ვუპასუხე მე.

— არა, შენ, — გაიმეორა მან.

— როგორც კი მანიშნებ, — ვუთხარი მე.

ველოსიპედებიდან ჩამოვედით საპოლიციო განყოფილების პირდაპირ, ერთმანეთის პირისპირ გავჩერდით ველოსიპედებზე დაყრდნობილები — როგორც ტიპიური ჰოლანდიელი შეყვარებული წყვილი: ქალიშვილი პრანჭვით ღებულობს კავალერის არშიყობას. ეს მშვიდობიანი სურათი ისე ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, რომ თვით გუშაგმა პოლიციელმაც კი, რომელიც გაფაციცებით უყურებდა ჩვენ გვერდით ველოსიპედებით მიმავალ ორ მამაკაცს, მგონი, ვერც შეგვნიშნა და ზანტად წავიდა საპოლიციო განყოფილებისაკენ.

ჩვენ მიერ გათამაშებული სასიყვარულო სცენა თითქმის შუადღემდე გაგრძელდა. თორმეტს ხუთი წუთი აკლდა, რომ საპოლიციო განყოფილებიდან სამხედრო ფორმაზე ნიშანდაკერებული ორი კაცი გამოვიდა — ბრიგადირები ან ინსპექტორები იქნებოდნენ. ცას ახედეს. ალბათ, მათაც სიამოვნებდათ კარგი ამინდი, ან იქნებ, ინგლისელთა ავიაციის ეშინოდათ. შევიდნენ თუ არა ფარდულში, სადაც ველოსიპედები ჰქონდათ შენახული, სადარბაზოს კიბეებზე სირმებითა და ვარსკვლავებით შემკული დრუუტი გამოჩნდა, მას შეშინებული გამოხედვა ჰქონდა. ალბათ, შევტოკდი.

ჰუგოს ხელი მსუბუქად, მაგრამ მტკიცედ შეეხო ჩემს ხელს, ახლა უხმოდ, უძრავად ვიდექი, და ველოდი.

ბრიგადირები უკვე მიჰქროდნენ ველოსიპედებით, როცა დრუუტი ფარდულში შევიდა..

— მეორე მხარეს შეაბრუნე ველოსიპედი, ხანა, — ჩამჩურჩულა ჰუგომ ყურში.

ველოსიპედები ისე შევაბრუნეთ, რომ ყოველ წუთში შეგვეძლო შესხდომა და წასვლა. მე და ჰუგო ვიცინოდით, თითქოს თავში მხო-

ლოდ მხიარული, სალაღობო ფიქრები გვიტრიალებდა. სწორედ ამ დროს ჩვენგან ათიოდე მეტრის მანძილზე ჩაგვიქროლა იმ კაცის მუქ-ლურჯმა ფიგურამ, რომელსაც ვუთვალთვალებდით. მე ისევ შევტოკდი ჩემდა უნებურად, და ჰუგომ ისევ დინჯად და მტკიცედ შემაჩერა.

— ზედმეტი სიჩქარე არაა საჭირო, ხანა... — მითხრა მან. — დავითვალოთ ხუთამდე ან ექვსამდე, რაც პატარა უპირატესობას მოგვცემს: ვაგბატონი ვერაფერს მიხვდება... აბა, ახლა შეგიძლია დაიძრა.

ჩვენ თვალწინ შორს მოჩანდა ლურჯი ზურგი. მზე ირეკლებოდა პოლიციის უფროსის ახალ, ბრჭყვიალა ველოსიპედზე, ჩექმის ტყავზე, ღვედის ქამარსა და რევოლვერის ბუდეზე. გამაღიზიანებელი სიჯიუტით გაიელვებდნენ ხოლმე ჩექმები, რომლებიც აღმა-დაღმა მოძრაობდნენ. იძულებული ვიყავით სწრაფად გვევლო, რადგან დრუუტი ჩქარი აღმოჩნდა. ჰუგოს შევხედე. ჩუმად მიჰყავდა ველოსიპედი. ვხედავდი მხოლოდ მის მუხლებს, რომლებიც სწრაფად ადიჩამოდიოდნენ, ჩემი მუხლების გვერდიგვერდ. ვხედავდი სატერფულზე მის ვიწრო, მოქნილ ტერფებს. ჰუგო ხმას არ იღებდა და მოთმინებას ვკარგავდი. თითქმის პეტრეს ძეგლთან მივედით. ხალხი არ ჩანდა. უცებ საათმა დაიწყო რეკვა, სადღაც შორიდან გემის სასტვენის წვრილი და მკვეთრი ხმა მოისმა. შუადღე დადგა და ქუჩები მაშინვე გაივსო ხალხით. ისევ შევხედე დრუუტს; ძეგლთან მოხვევას აპირებდა, მაგრამ სიჩქარეს ოდნავადაც არ უკლო.

— დროა! — მითხრა ჰუგომ. იგი შემთხვევით შეეხო ჩემს სახელურს და ჩემმა ველოსიპედმა ზიგზაგი გააკეთა, მაგრამ ერთი წუთის მერე ისევ სწორად ვიჯექი დასაჯდომზე. სწრაფად ამოვიღე ხელი ჯიბიდან. რევოლვერის ხელის მოკიდებამ რწმენა მომცა. წინ მიმავალ ლურჯფორმიან ველოსიპედისტს გავხედე და მივხვდი, რომ უნდა ავჩქარებულიყავი. და მე გავისროლე, არც ვიცი რამდენჯერ, ოთხჯერ თუ ხუთჯერ.

ვერ გავიგე, რა შეცდომა დავუშვი. რა გავაკეთე არასწორად, მოველოდი, რომ ლურჯფორმიანი არამზადა გადმოვარდებოდა ძირს და მოკვდებოდა — ასე იყო წინათ ბევრჯერ. დრუუტი კი მხოლოდ გადმოხტა ველოსიპედიდან. მე წინ გავქანდი სვლის შეუჩერებლად. თვალებს არ ვუჯერებდი. მაშასადამე, ვერ მოვახვედრე? ჰუგოს შევავლე თვალი. იგი ჩემ გასწვრივ, მაგრამ მეორე მხარეს მოდიოდა ისე, რომ პოლიციელი ჩვენ შორის იყო, დავინახე, ჰუგომ გაოცებისაგან პირი რომ დააღო, მასაც ჩემსავით ვერ წარმოედგინა, რომ

კაცი, რომელსაც ზედიზედ ამდენჯერ ესროლეს, ცოცხალი დარჩებოდა. როგორც ჩანდა, ჰუგოსაც ვერ წარმოედგინა, რომ ავაცდენდი, რომ ეს დრუუტი ჩვენ თვალწინ მოუხერხებლად ჩქარობდა ველოსიპედიდან ჩამოსვლას ალბათ, რაღაც წამოვიყვირე, ლანძღვა თუ გაფრთხილება, არ ვიცი, რა. ოღონდ მე უცებ დავინახე—ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა — როგორ დააგდო დრუუტმა ველოსიპედი, რევოლვერის ბუდეზე იტაცა ხელი და მაინც საკმაოდ სწრაფად ვერ მოქმედებდა. ეტყობა, რაღაცამ შეუშალა ხელი. გვერდით ჩავუქროლე, ისე რომ ნახევრად მიბრუნებული ვიყავი მისკენ, და, როგორც კი სროლის ხმა გავიგონე, ფეხი დავდგი მიწაზე და ველოსიპედი გავაჩერე, რადგან ჩემი ველოსიპედის მუხრუჭი ცუდად მუშაობდა. ვიცოდი, რომ დრუუტი სროლას ვერ მოაწრებდა „მადლობა ღმერთს, — გავიფიქრე მე, — მაშასადამე, ჰუგოს ესროლა“, უკან მივიხედე.

ჩემგან ხუთი-ექვსი მეტრის მანძილზე მეორე მხარეს იდგა ჰუგო და ხელში რევოლვერი ეჭირა. მოკუნტული დრუუტი თავისი ველოსიპედის გვერდით იწვა, გამეხარდა. ახლა ჰუგო ველოსიპედს მოახტება, და ჩვენი შეთანხმებისამებრ, ბოტენმაკერსტრაატზე გაქროლდებოდა.

მაგრამ ჰუგო ველოსიპედზე არ ჯდებოდა. ჩემი სიხარული იმ წუთშივე გაქრა. მხრებისა და ხელის კრუნჩხვით მოიბრალებაზე ეტყობოდა, რომ დრუუტი ცოცხალი იყო. და თვალებს არ დავუჯერე: ბანდიტი მიწას დაეყრდნო მარცხენა ხელით და წამოიწია. მარჯვენაში რევოლვერი ეჭირა. პოლიციელის ქუდის პრიალა ფინსაფრის ქვეშ ვხედავდი მის ნაცრისფერ, საშუალო შესახედაობის. საშინელი შიშისა და სიძულვილისგან დაბრეცილ სახეს, რომელიც ჰუგოს შეჰყურებდა. მაგრამ, აი, რევოლვერიანმა ხელმა მაღლა აიწია. დრუუტმა თავისუფლად ესროლა ჩემს ამხანაგს. ზუსტად ესე. როგორც სიკვდილის საფრთხის მოლოდინში ვირთხა შესისინებს ადამიანს სახეში, რომელმაც მახეში გამოამწყვდია.

ვერაფერი გამეგო, ვხედავდი მხოლოდ, რომ ხალხი ყოველი მხრიდან შემოესია დრუუტს. ალბათ ნახევარი წამის მეტი არ გასულა, მაგრამ მეგონა, რომ დრო საშინლად გაგრძელდა. წარმოუდგენლად ბევრი ამბავი მოხდა დროის ამ პატარა მონაკვეთში, როცა ჩემში ერთმანეთს ენაცვლებოდა ხან ეჭვი, ხან სიხარული, როცა შიშს სიმტკიცე სცვლიდა, თითქოს ადამიანის გრძნობებს შეეძლოს ელვის უსწრაფესად გამოეხმაუროს ყველა ამბავს. დრუუტის სროლის შემდეგ, რამდენიმე წუთით თითქოს გონება დამიჩლუნგდა და ისევ ვიდექი, ერთი ფეხი ტროტუარზე მედო და უკან ვიყურებოდი, უცებ

აზრმა გამიელვა, რომ ჰუგოსთან შეთანხმების მიხედვით, მაშინვე უნდა წავსულიყავი აქედან. სწრაფად ვკარი ფეხი ტროტუარს და იქაურობას გავეცალე, ჩემ უკან კი ავტომანქანები სვლას ანელებდნენ, ციკი ხმით წიოდა ქალი, და ყველა ეს ნაირნაირი ხმები ერთმანეთში ირეოდა, რაც არეულობისა და სენსაციის შთაბეჭდილებას ქმნიდა...

ძალიან მალე ჩამოვიტოვე უკან ეს ამბავი და სწრაფად გადავუხვიე პროვინციულ გზატკეცილზე. წარმოვიდგინე, რომ ახლა ჰუგო, როგორც ყოველთვის, თამამად იკვლევდა გზას ხალხში, რომელიც ძირს დაცემულ პოლიციის უფროსს შემოესია; რომ იგი უკვე მოდის შესახვედრი ადგილისაკენ, როგორც შევთანხმდით, პარალელური ქუჩით, სადგურის გვერდით. მეგონა, რომ მოხერხებული და მარდი ჰუგო გაცილებით ჩემზე ადრე მოვიდოდა იქ, და, როგორც კი გზატკეცილზე გადავუხვევდი, მაშინვე ვნახავდი ჩემ წინ მიმავალს. სვლას ვუმატე.

ძალიან გამიკვირდა, როცა პროვინციულ გზატკეცილზე ჰუგო არ დამხვდა. გუნებაში გამეცინა კიდეც, რატომ ვიფიქრე, ჰუგო ჩემზე ადრე მოვიდოდა-მეთქი. სადგურამდე მივედი. სიჩუმე გამეფებულიყო, განსაკუთრებული გამოცოცხლება არ იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, ყურება დავიწყე, როგორ ტვირთავდნენ კალათებს. თითქოს ამის მსგავსი არაფერი მენახოს, თან შეფარვით სადგურის საათს ვუყურებდი. პატარა ისარმა რამდენჯერმე გადაინაცვლა ოდნავი ტკაცუნით; წუთი წუთს მისდევდა. ყოველი მათგანი ძვირფასი იყო. გავხედე გზატკეცილს სადგურს უკან, იმ ადგილისაკენ, სადაც საგზაო ნიშანი „ვესტზაანი" იდგა, და სადაც ჰუგოს უნდა შეეხვედროდი. ვერ გამეგო, რატომ იგვიანებდა ასე, ცოტათი უკან დავბრუნდი, ვიფიქრე, ხომ არ შეეშალა შეხვედრის ადგილი-მეთქი, რაც ძნელად წარმოსადგენი იყო. გზაზე რამდენიმე ველოსიპედისტი მოდიოდა, მაგრამ მათში ჰუგო არ ერია.

გულში სულის ამომრთმევი შიში შემეპარა. კანკალი დამაწყებინა, კბილს კბილზე ვაცემინებდი. შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. კანკალის შესაჩერებლად ქვედა ტუჩი მოვიკვნიტე. არ მინდოდა ჩემს თავს გამოვტყდომოდი, რომ შიშმა შემიპყრო. მტკიცედ მოვაბრუნე ველოსიპედი და წავედი იქ, სადაც უკანასკნელად ვნახე ჰუგო.

იქ ყველაფერი შეცვლილიყო. იშვიათად თუ მოგროვილა ამ ადგილზე ამდენი ხალხი. თავდასხმას მოეზიდა არა მარტო მახლობელ სახლებში მცხოვრებნი, მოსულიყვნენ ქარხნიდან მუშები, რკინიგზელები, მოსწავლეები — თავდასხმა ხომ ზუსტად შუადღისას მოხდა; ხალხი ირეოდა ქვაფენილსა და ტროტუარებზე. რამდენიმე ძველი

თაობის პოლიციელი, პატიოსანი პატრიოტები ცდილობდნენ ხალხი დაეშალათ; მაგრამ, როგორც კი ერთ ადგილზე დაშლიდნენ ხალხს, ისინი მეორე ადგილას გროვდებოდნენ — ზუსტად ისე, მათ რომ მოენდომებინათ ტომარაში კარტოფილის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადაყრა. თვალების ცეცებით ვეძებდი, ჰუგო ხომ არ იყო სადმე. მაგრამ იგი არსად ჩანდა, ისევე, როგორც აღარ იყო პოლიციელი, რომელიც ველოსიპედის გვერდით იწვა და ესროლა მას... ხალხში ძლივს ვიკვლევდი გზას. ისევ ამიკაწკაწდა კბილები. დამებადა აზრი, რომელზეც აქამდე არ მიფიქრია: ამ უბადრუკ, მშიშარა, დაჭრილ ვირთხას საფრთხის მომენტში ხომ შეეძლო სასიკვდილო კბენა. უკანასკნელ წუთებამდე ეჭვიც არ შემპარვია, რომ მახ ჰაერში ისროლა...

დაახლოებით ჩემი ასაკის ქალიშვილს გამოველაპარაკე. მას წითელი ბერეტი ეხურა,, საიდანაც კულულები ჩამოშლოდა, და ჩეძნაირი ლაბადა ეცვა. ძალიან გულუბრყვილო სახე მივიღე და ვკითხე:

— რა მოხდა აქ?

წყლიანი ცისფერი თვალები მომაპყრო და სერიოზულად, ყოყმანის გარეშე მითხრა:

— იატაკქვეშელებმა პოლიციელს ესროლეს, ერთ-ერთ ფაშისტს.

როგორც ჩანდა, ჩემმა მიამიტმა სახემ ნდობა ჩაუნერგა. თავი დავუქნიე და ვკითხე: — მოკვდა?

მან გაიცინა და მიპასუხა: — მოკვდა.

— ვინც თავს დაესხა? — ვკითხე მე.

— არ იციან, სად არის, — მიპასუხა ქალიშვილმა.

ისევ დავუკარი თავი და მოვცილდი იქაურობას. არ ვგრძნობდი არც კმაყოფილებას და არც სიამაყეს, თუმცა ახლა ნამდვილად ვიცოდი, რომ დრუუტი ცოცხალი აღარ იყო. უცებ პოლიციელმა შემაჩერა:

— აბა, ქალიშვილო, ტროტუარზე ველოსიპედით სიარული არ შეიძლება... ღმერთო ჩემო, რა ხალხია, გაიარეთ! საყურებელი არაფერია!..

ველოსიპედი ქვაფენილზე დავდგი, პირდაპირ შევხედე პოლიციელს და ვკითხე:

— რა მოხდა აქ?

მას ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე ჩაიბუზღუნა:

— თავდასხმა... სისულელის მორიგი შსხვერპლი...

— თავდამსხმელი დაიჭირეთ?

— არ ვიცი, — მიპასუხა პოლიციელმა და ზურგი შემაქცია. — თქვენ რაში გეკითხებათ? წესიერი ადამიანები ასეთ ამბებს თავს არიდებენ...

მაშასადამე, არაფერია... არავინ არაფერი იცის... იქნებ ვინმემ ნახა ჰუგო? სად არის იგი? შეხვედრის ადგილისაკენ გავემართე სწრაფად, თან თავს ვარწმუნებდი, რომ ტყუილად შევშინდი, ჰუგო უკვე იქ მიცდის მოუთმენლად და, ალბათ, ბრაზობს, რომ ასე დავიგვიანე... თუ დრუუტმა ისროლა კიდეც, ჰუგოს არ მოხვედრია. ნამდვილად არ მოხვედრია.

ისევ წავედი პროვინციულ გზატკეცილზე, ისევ აღმოვჩნდი სადგურთან, მატარებელი მოვიდა, საიდანაც რამდენიმე კაცი ჩამოვიდა. სადგურიდან გზაჯვარედინისაკენ წავედი, რომლისკენაც აქამდე არ მინდოდა გახედვა. იქ არვინ ჩანდა, მხოლოდ ერთ მოხუც ქალს ხელის ურემი მოჰყავდა.

ჰუგოს ნაკვალევიც კი არსად ჩანდა.

ცოტა ხანს ფეხით ვიარე, ველოსიპედი ხელით მიმყავდა; გაუგებარი სისუსტის გამო ვირყეოდი, თავბრუ მეხვეოდა, გადავწყვიტე ცოტა ხანს ჩამოვმჯდარიყავი ამომშრალ არხთან, რომლის პირდაპირ, ტყის გუბურაში ბავშვები თავიანთ გაკეთებულ პატარა გემებს უშვებდნენ. უაზროდ ვუყურებდი მათ, ჩემი შეგნება ვერ აღიქვამდა, რა იყო ჩემ თვალწინ. ვცდილობდი გამეხსენებინა, როგორი იყო ჰუგო, უკანასკნელად რომ ვუყურებდი, იგი ველოსიპედზე იჯდა მკაცრი, დაძაბული სახით. მერე, არა, იმავე წუთში დავინახე, როგორ იდგა იგი ველოსიპედთან და ხელში რევოლვერი ეჭირა. როცა მას დრუუტმა სროლით უპასუხა, მის სახეზე გაკვირვება ამოვიკითხე... ჰუგოს ვიგონებდი, და უცებ თვალწინ წარმომიდგა შავ ჩარჩოში ჩასმული გაზეთის განცხადება: „დახვრეტილია წინააღმდეგობის ოთხი მებრძოლი“. ხერიტ იანი და კიდევ სამნი, გვარების დაუსახელებლად... მტვრიანი ბალახიდან წამოვხტი.

წარმოუდგენელია! წარმოუდგენელია! თითქოს მესმოდა ჰუგოს ხმით ნათქვამი ეს სიტყვები.

ნახევარი საათის შემდეგ დედილო დე მოლის დუქანთან გავჩნდი. ასე მეგონა, ჩემმა სხეულმა შეგრძნების უნარი დაკარგა, თითქოს მთლად გავიყინე შინაგანად; საშინლად დავიღალე, მხოლოდ ტვინი მუშაობდა მტანჯველი სიცხადით—იმის დამადასტურებლად, რომ ისევ ცოცხალი ვიყავი; საფეთქლებში რაღაც მირტყამდა და თავში მტეხდა თანდათან უფრო ძლიერად. ველოსიპედი ხის მესერს მივახეთქე, გვერდით კარს ხელი ვკარი და დერეფნის გავლით პატა-

რა ოთახში შევედი, სადაც, როგორც ვფიქრობდი—თუმცა ვიცოდი, რომ თავს ვიტყუებდი — შეიძლებოდა, არა, უნდა მჯდარიყო ჰუგო...

ცარიელ ოთახში სიჩუმე გამეფებულიყო. სპილენძისა და ფაიფურის ჭურჭელი ბზინავდა. იადონი აჭიკჭიკდა, თითქოს რაღაც მკითხაო.

ჩუმი კვნესა აღმომხდა მკერდიდან. მაგიდასთან ხელებზე დაყრდნობილი ვიჯექი, როცა ოთახში დედილო დე მოლი შემოვიდა. არც კი გამიგია მისი ნაბიჯების ხმა. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მისი იქ ყოფნა, როცა პატარა, რევმატიზმისაგან დამახინჯებული ხელი ჩემს თმას შეეხო; მოხუცმა ფრთხილად გადამისვა თმაზე ხელი კეფამდე, მერე ისევ დამადო თავზე — ეს იყო რაღაც უღონო, უძლური ალერსი.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მოხუცის შეხედვას გავბედავდი.

იგი ჩემ გვერდით იდგა. ჩვეულებრივზე უფრო პატარად, სახედანოჭებულად და მწუხარედ გამოიყურებოდა. გამამხნევებელ და დამამშვიდებელ სიტყვებს ბუტბუტებდა, როგორსაც ეუბნებიან პატარა ბავშვებს ტირილის დროს. კისერზე ხელები მოვხვიე და მოხუც მკერდში ჩავეხუტე. იგი ალერსით მისვამდა თავზე ხელს და თავისი ღუღუნა, დამამშვიდებელი ხმით ბუტბუტებდა.

არაფერს მეკითხებოდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა მისთვის, რომ ჰუგო დაიჭირეს — ამის თქმას ვერ ვბედავდი. ხომ არ შემეძლო მისთვის მეთქვა, ჰუგო მოკვდა-მეთქი. მეშინოდა უბედურებაზე ენას არ ეყივლა, და მხოლოდ ვტიროდი. ამას კი, ამ შესანიშნავ ქალს თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერს მიხვდა.

მხოლოდ კარის ზარმა, რომელიც მოუთმენლად რეკავდა, იძულებული გახადა დედილო დე მოლი მივეტოვებინე. მოხუცი გავიდა თუ არა, გვერდითი კარიდან შეუმჩნევლად გავედი. შევჯექი ველოსიპედზე და სწრაფად წავედი, მეშინოდა, რომ მოხუცი დამიძახებდა ან მისი ქმარი შემხვდებოდა. ისევ პროვინციულ გზატკეცილზე აღმოვჩნდი, სრულიად მარტო, მხოლოდ გერმანელთა ნაცრისფერმა მანქანებმა ჩამიქროლეს. მომეჩვენა, თითქოს არც კი ვყოფილვარ დედილო დე მოლის ოთახში.

ლურჯი ცა თითქოს გაუფერულდა, მზეც კი გაყინულა, რაღაცნაირი მკვდარი და პატარა, სრულიად სხვანაირი მეჩვენებოდა, ვიდრე დილით ზაანდამის პარკში, სადაც მე და ჰუგო ვისხედით მას შემდეგ, რაც გაზეთში საუბედურო განცხადება წავიკითხეთ.

ამ დროს ჩემში იმედის პატარა მფრთხალმა ნაპერწკალმა იფეთქა. ვიგრძენი, როგორ მიბრუნდებოდა ძალ-ღონე და სვლას ვუმატე.

ქარი ძვალ... და რბილში მატანდა. დაძაბულობა და უგრძნობლობა გაქრა.

რა თქმა უნდა, ვფიქრობდი მე. ვიდრე უკან დავბრუნდი, იმ მოედნისაკენ, საიაც ჩვენ დრუუტს თავს დავესხით, ჰუგომ მოასწრო ჩვენი შეხვედრის ადგილზე მისვლა. ამაოდ მელოდა იქ და მერე შინ წავიდა, ფერლიმენებთან. ახლა იგი იქ ზის და მელოდება, თან ისევე შეწუხებულია, როგორც მე ვწუხდი მასზე.

მინდვრები, არხები, ბაღები და სოფლები უკან მოვიტოვე. მთლად მოვიახლოვდნენ სილახვავების მუქი მომრგვალებული თხემები. პატარა ლაბურულმა ბილიკმა შემიფარა. გახურებული მანანასი, თავთავასი და არყის ხის ფესვის სუნი მეცა... აი, პირველი ფხვიერი სილა.

როცა ბოსტნის კიდესთან მოვუხვიე და ეზო დავინახე, კინაღამ ავტირდი.

პატარა ბეისი სილიან ხის ყუთთან თამაშობდა, როცა ეზოში შევედი. სახლიდან კარლინი გამოვიდა თეთრეულის კალათით ხელში.

თითქმის გადმოვვარდი ველოსიპედიდან. იგი იდგა და მიყურებდა, როგორ გავიმართე და წავედი მისკენ. სახეზე შევნიშნე, რომ საშინელი გამომეტყველება მქონდა. ეცდილობდი გამეღიმა. კარლინი ადგილიდან არ დაძრულა, სანამ მასთან არ მივედი. ფეხები თანდათან მიმძიმდებოდა, და სწრაფად ველარ მივდიოდი.

ბოლოს თითქოს შორიდან გავიგონე მისი ხმა:

— ... გინა ჰუგო შენთან არ არის?

გავჩერდი: იგი რაღაცას მეკითხებოდა... ჰუგოს შესახებ... ესე იგი, ჰუგო არ დაბრუნებულა...

ხელები გავიშვირე კარლინისაკენ, თუ ფანჯრის რაფისაკენ, სულ ერთი იყო. ოღონდ რამეს დავყრდნობოდი. მაგრამ სიცარიელე დამხვდა.. ვიგრძენი, რომ მარტო დავრჩი, სრულიად მარტო და დაცეცი.

წერტილები მარადიულობაში

ალბათ, იანმა და კარლინმა შემიტანეს სახლში. როცა გონს მოვედი, ვნახე, რომ დივანზე ვიწექი იმ ოთახში, სადაც ნავახშმევს ერთად ვატარებდით საღამოს.

კარლინი ჩემ გვერდით იჯდა, შუბლზე ცივ კომპრესებს მადებდა და მეკითხებოდა: — ახლა უკეთ ხარ?

უნებლიეთ დავუქნიე თავი. სულაც არ ვიყავი უკეთ, უფრო ცუდად ვგრძნობდი თავს. ისევ, როგორც დედილო დე მოლის ოთახში, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. არ შემეძლო მეთქვა, რა საშინელება მიგლეჯდა გულს.

მთელი დღის განმავლობაში ვიწექი, გულგრილად ვადევნებდი თვალს ჭერის დირეზე მოთამაშე მზის ათინათს.

გვიან, საღამოზე გავიგონე, რომ ვიღაც მოვიდა. წამოვიწიე პლედ ქვეშ, რომელიც ჩემთვის დაეფარებინათ, თუმცა არც სიცივეს და არც სითბოს არ ვგრძნობდი, და ამ დროს კარებში კარლინმა შემოჰყო თავი.

— ფლორია, — მითხრა მან.

კარები გაიღო. ფლორი დავინახე. კარის სწორკუთხედ სინათლეში იდგა, და ჩამავალი მზის სხივით განათებული მისი სილუეტი ხეზე ამოკვეთილივით მკვეთრად ისახებოდა. თუმცა მისი ფიგურის მხოლოდ კონტურებს ვხედავდი, მაგრამ იმის მიხედვით, როგორ ფრთხილად შემოაბიჯა კარებში, აშკარად მივხვდი, ყველაფერი დამთავრებული იყო.

— ფლორ!—წამოვიყვირე და პლედი იქით მივაგდე. დივანიდან წამოვხტი. ფეხები მეკვეთებოდა, თავში ერთდროულად ვგრძნობდი სიმძიმეს და სიცარიელეს, თვალწინ შავი ნაპერწკლები ხტოდნენ.

— ეი-ეი-ეი... — თქვა შეწუხებულმა ფლორმა. მისმა უშველებელმა ხელებმა ბავშვივით ამიტაცა, დივანზე დამსვა და მოუხერხებლად მომახვია პლედი. — ეი-ეი-ეი!

— ფლორ, — განვუცხადე მე, — სიმართლეს ავიტან. დაანებე თავი შენ „ეის“ ძახილს. მინდა სიმართლე ვიცოდე, მხოლოდ სიმართლე.

ფლორმა სკამი მოსწია და პირდაპირ დამიჯდა. თეთრი ქოჩორი უცნაურად წამოშვეროდა წინ, მზისაგან მოწითალო-სპილენძისფრად შერუჯულ შუბლზე ჩამოფარებოდა. ასევე უცნაურად და უმწეოდ ელაგა ხელები მუხლებზე. ველოდი, რომ ხელს ლოყასთან მიიტანდა და ყბას მოისრესდა, მაგრამ მისი ხელები არ იძვროდნენ. ეტყობოდა ვერაფერი მოეფიქრებინა, როგორ დაეწყო საუბარი.

— შენ რამე იცი? — მკითხა როგორც იქნა და სახეში მომაჩერდა, თითქოს მე უნდა მეთქვა, რა მოხდა.

— არაფერი არ ვიცი, — ვუპასუხე მე. მინდოდა მაგრად შემენჯღრია და დამეცალა იგი ამ სიდინჯისა და არასაჭირო სიფრთხილისაგან. — სრულიად არაფერი ვიცი!.

— დრუუტმა დასჭრა ჰუგო, — წარმოთქვა ბოლოს ფლოორმა; ვხედავდი, როგორ უმძიმდა მას ამ უბრალო ახალი ამბის თქმა.

რამდენჯერმე გადავყლაპე ნერწყვი, ვიდრე ვიკითხავდი:

— მოკვდა?..

ფლოორი ცდილობდა ჩემთვის არ შემოეხედა, მან მხრები აიჩეჩა:

— ჯერ არ ვიცით, — ჩაიბუტბუტა მან. — შენ იცნობ პოლიციელს, რომელმაც დრუუტის შესახებ მოგვაწოდა ცნობები... დღეს ჩვენ ერთ ამხანაგთან მოვიდა, რომ ეთქვა...

— ღვთის გულისთვის, ფლოორ, მითხარი როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

თითქოს როგორც იქნა, თავი იხსნა საშინელი დაძაბულობისგანო, ფლოორმა ყბა მოიხრისა.

— დრუუტი ჩაძაღლდა, ეს შენ უკვე იცი, — მითხრა მან. — თქვენ მას საკმაო რაოდენობით ტყვია მოახვედრეთ.

— ჰუგომ მოახვედრა, — ვუთხარი მე. — მე ავაცდინე, ფლოორ. ეს ჰუგომ გააკეთა.

ფლოორის ერთი თეთრი წარბი გაკვირვებით აიწკიპა.

— აი თურმე როგორ ყოფილა... — ჩაილაპარაკა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ. — ეს არ ვიცოდი, ხანა. მე ვფიქრობდი... მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, დრუუტი უკვე მკვდარია.

— მაგრამ ვიდრე ჩაძაღლდებოდა, სროლა მოასწრო, — ვუთხარი მე. — ეს იყო რაც ბოლოს ვნახე, ფლოორ.

— სწორია; და მან ჰუგოს მოახვედრა ტყვია, — მიპასუხა ფლოორმა. — სამი ტყვია მუცელში.

მე ქუთუთოები დავხარე; თვალწინ ისევ ამითამაშდნენ ნაპერწკლები, ყურები მიშხუოდა, თითქოს სადღაც წყალი მოჩქეფსო. კბილები ერთმანეთს დავაჭირე და თავი შევიმაგრე, რომ გრძნობა არ დამეკარგა.

— მერე! — მოვითხოვე მე.

— ჰუგომ მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრის გავლა შესძლო, — მიპასუხა ფლოორმა. — ბოტენმაკერსტრაატზე გადაუხვია.

...როგორც შევთანხმდით, — წავიჩურჩულე მე.

— იქ, როგორც ჩანს, ჩამოვარდა ველოსიპედიდან. სისხლისაგან იცლებოდა და ერთ სახლამდე მიაღწია... მაგრამ ამაოდ... სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. მცხოვრებთა დახმარების იმედი ჰქონდა. მაგრამ უიღბლოდ მივიდა.

— რას ნიშნავს „უიღბლოდ?“ — ვკითხე მე. — გამცემლები აღმოჩნდნენ?

ფლოორმა მხრები აიჩეჩა: — ორი სულელი მოხუცი ქალი ვერაფერს მიხვდა. როცა იგი დაჭრილი შევიდა მათ ოთახში და პირდაპირ მაგიდაზე გაიშხლართა... თან ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და გვერდით დაიდო... ეს ბებერი საფრთხობელები ისე შეშინდნენ სისხლისა და იარაღის დანახვაზე, რომ მაშინვე პოლიციაში გაიქცნენ...

— არა!.. — წამოვიყვირე მე და რაღაც წყეველაც მივაყოლე.

ფლოორმა თავი დამიქნია და აღშფოთებით თქვა:

— დიახ. საშინელებაა, რომ 1944 წელს, ომის მეოთხე წელს, როცა ყველა ცდილობს მტერი გასრისოს, კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, როგორც ჩანს, არაფერი გაეგებათ... მით უმეტეს, ეს ასეა. რა თქმა უნდა, პოლიცია სიხარულით გამოცხადდა. ჯერ მხოლოდ ერთი ინსპექტორი. თავდასხმიდან ერთი საათის შემდეგ ამ ბებერი ტუტუცების კარებს ფაშისტი ჯაშუშები და სანიტარული კარეტა მოადგა.

— სად წაიყვანეს ჰუგო? — ვკითხე ფლოორს ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— საპოლიციო ნაწილში... პირველად, — სწრაფად დასძინა ფლოორმა, როცა მე ავმოძრავდი. — მათ მიერ გამოძახებულმა ექიმმა დაადგინა, რომ კუჭის არეში სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ჭრილობა შეუხვიეს და გაძლიერებული დაცვის თანხლებით ამსტერდამში გაგზავნეს Wg[1]-ში, უფრო ზუსტად ლაზარეთ „ლიუფტკაფეში“ — Wg-ში.

— ცოცხალია, ცოცხალია? — წამოვიყვირე.

— ხომ ვითხარი, რომ ჩემმა პოლიციელმა ეს არ იცის. — მიპასუხა ფლოორმა. მან ისევ ჩაღუნა თავი დამნაშავესავით. მთელი მისი პოზა იმას მეტყველებდა, რა უიმედოდ უყურებდა ამ ამბავს.

— ღმერთო ჩემო, ფლოორ! რამე უნდა ვიღონოთ! — ვთქვი მე. — თუ ჰუგო ლაზარეთშია, ადვილად შეიძლება მისი იქიდან დახსნა!..

— ახლავე? — მკითხა მან და მის ხმაში რაღაც მორჩილება და გულდამძიმებულობა გაისმა. — მძიმედ დაჭრილი?

— განა ჭრილობა ასე მძიმეა? — ვკითხე და ტუჩები ამიცახცახდა მოსწავლესავით.

— ძალიან მძიმეა. ყოველ შემთხვევაში... მე ასე გავიგე. რაც ვავიგე იმის გარდა ვერაფერს გეტყვი, ხანა. „უშიშროების სამსახუ-

---

[1] W. g.—Wilhelmine gasthuis-ის დასაწყისი ასოები—ედოფალ ვილჰელმინას სახელობის საავადმყოფო (ჰოლანდ.).

ვრის“ ოფიციერებია აქ, ზაანდამშიეე დაიწყეს დაკითხვები, ბუნებრივია, ამაოდ.

ჩუმად ვიწექი, ვცდილობდი წარმომედგინა მძიმედ დაჭრილი. დოლბანდებით შეხვეული, უმწეო ჰუგო, რომელიც დაკითხვაზე ჰყავდათ ჩემთვის საძულველ სამხედრო ფორმიან ადამიანებს. ვერაფრით ვერ შევძელი ამ სურათის წარმოდგენა.

— ბუნებრივია, — გავიმეორე მე, ისე რომ არც მესმოდა, რას ვამბობდი, უკვე აღარაფერია ბუნებრივი. არის მხოლოდ შიში, საშინელება, ყველაფრის საოცარი უაზრობა. — მაშ რა ვქნათ ახლა? — ჩურჩულით ვკითხე, — რა ვქნათ ახლა, ფლორორ?

ფლორორი წამოდგა, კარგა ხანია მივხვდი, რომ იგი თითქოს ნაკვერჩხლებზე იჯდა და მე მინახულა მხოლოდ გარდუვალი მოვალეობის შეგნებით და მეგობრობის გრძნობის გამო, მაგრამ იგი მზად იყო, ანდა ერჩივნა კიდეც, ჰუგოს მაგივრად თვითონ მოხვედროდა ტყვია.

— ხანა, — მითხრა მან, — დღეს უკვე ველარ მოვასწრებ ამსტერდამში წასვლას: მალე მზე ჩავა. მაგრამ ხვალ დილიდან წავალ. მერე აქ მოვალ და მოგიყვები, რა მდგომარეობაშია ჰუგო.

— კარგი, — დავეთანხმე მე.

კარებთან ფლორორი შემობრუნდა, მოვიდა ჩემთან, მაგრად ჩამოშართვა ხელი, მერე ლოყაზე მომითათუნა, და მითხრა:

— გამაგრდი, გოგონი!

ანგარიშმიუცემლად დავუქნიე თავი.

პლედი მეხურა და უგრძნობლად ვიწექი პატარა, სუფთა ოთახში, ვხედავდი, როგორ ბინდდებოდა; ბინდმა პირი შეიკრა და დადგა ლანდებისა და ლაქების იდუმალი, ჩუმი თამაშით აღსავსე ღამე, რომლის აზრსაც ვერ ვხვდებოდი. დივანზე უძრავად ვიწექი და თვალს ვადევნებდი ყველაფერს. მესმოდა, როგორ დადიოდნენ აქეთ-იქით კარლინი და იანი და აყურადებდნენ. როგორც ჩანდა, ჩემზე შიშობდნენ; ხმას არ ვიღებდი და ჭამა-სმაზე უარი განვაცხადე.

უგრძნობლობა...

მხოლოდ დილით ჩამეძინა. გრძნობადაკარგულივით, ღრმა ძილით მეძინა. გამომეღვიძა. თავის ტკივილი ამყვა, რომელიც საფეთქლებში მიკაკუნებდა. ძილმა ერთი სამსახური გამიწია: რამდენიმე ხანს ყველაფერი დამავიწყდა. სამაგიეროდ ახლა, როცა გავიღვიძე, ივნისის მზიან დღეს, თვალწინ საშინელი სიცხადით წარმომიდგა გუშინ მომხდარი ამბავი.

თავს ვიტყუებდი, ვცდილობდი იმედი მქონოდა. გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ იმედი აღარ იყო.

ფლორს ველოდი, მას ხომ უნდა მოეტანა ჩემთვის ჰუგოს ამბავი.

ისევ მოვიდა კარლინი და საჭმელი მომიტანა: ხილი, შინ გამომცხვარი თეთრი პური და რძე.

ყველაფერი შევჭამე და დავლიე, თუმცა არაფრის გემო არ გამიგია. ხენდროს წვნიანი სიტკბოც კი ვერ გავიგე, როგორც საჭირო იყო.

ველოდი...

ბინდდებოდა, როცა ფლორი როგორც იქნა მოვიდა. ფრთხილად შემოვიდა ოთახში, სადაც ჯერ სინათლეც არ ენთო. ამჯერად იგი ნამდვილად გაურკვეველი აჩრდილი, შემთხვევითი ლანდი იყო, რომელმაც ოთახის სხვა ჩრდილებს ჩაუარა გვერდით. მისი შეკითხვაც დახშულად და გაურკვევლად გაისმა:

— ხანა... არ გძინავს?

— არა, — ვუპასუხე მე.

ხმა ისე ჩახლეჩილი მქონდა, თითქოს მთელი დღე მეყვიროს; მე კი მთელი დღე ხომ ხმის ამოუღებლად ვიწექი, მეტყველების უნარწართმეული, როგორც მძიმე ავადმყოფი.

ფლორმა ჩემკენ მოსწია სკამი, რომლის ფეხი ხალიჩას გამოედო. ბოლოს ფლორი დაჯდა. იგი ისე ნელა და ფრთხილად მოძრაობდა, რომ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

— ჰუგო მოკვდა, ხომ? — ვკითხე მე, რადგან უკვე აღარ შემეძლო სიჩუმის ატანა.

მხოლოდ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გაისმა მისი თავშეკავებული პასუხი:.

— კი... მოკვდა.

უაზრობაა, გავიფიქრე მე. ფლორი ამბობს, ჰუგო მოკვდაო, მაგრამ ეს უაზრობაა. ჰუგო იცინის, ან ველოსიპედით მიდის, ან სადმე წევს დამალული და ხელში რევოლვერი უჭირავს. იგი გამცემს უთვალთვალებს ან სილახვავებს შორის სახლისკენ მოდის. დღეს საღამოს, ალბათ მოვა. ჰუგო, რომელზედაც ფლორი ლაპარაკობს, ვიღაც სხვაა, რომელსაც მე არ ვიცნობ. ჰუგო, რომელსაც მე ვიცნობ, წინააღმდეგობის მოქნილი, ცქვიტი, ძლიერი მებრძოლია, რომელიც თავს არავის გააბრიყვებინებს. ეს კაცი ისე სავსეა სიცოცხლით და ისე უყვარს სიცოცხლე, რომ ფლორის მტკიცება საერთოდ სასაცილოა. ჩემი ჰუგო არ მომკვდარა. იქნებ ის მოკვდა, რომელიც ზაანდამში დაიჭირეს, მძიმედ დაჭრილი, სისხლისაგან რომ იცლებოდა...

უცებ ეს ორი გამოსახულება ერთმანეთს შეეჯახა ჩემს შეგნებაში.

და მომეჩვენა, თითქოს ტკაცანიც კი გავიგონე. ცოცხალი ჰუგო, რომელსაც ვიცნობდი, გუშინ ვხედავდი, ხელზე მკოცნიდა, მის მხრებს ვეკვროდი, და მკვდარი ჰუგო, რომელზედაც ფლორორი ლაპარაკობდა, ერთ არსებად გადაიქცნენ.

— ხანა! — მომესმა ფლორორის ხმა. — რას აკეთებ?

დივანიდან ავდექი და მაშინვე წავიბორძიკე, ფეხები პლედში გამეხლართა. მერე კარებისაკენ წავედი. გავიგონე, როგორ წამოხტა ფლორორი და დამიყვირა:

— ხანა!

კარი გავაღე, დერეფანი გავიარე. სამზარეულოში აღმოვჩნდი. მუქი ფარდები ჩამოშვებული იყო, მაგიდის ზემოთ ერთადერთი ელექტრონათურა ენთო, იანი და კარლინი ხეისთან ერთად სამზარეულოს მაგიდას უსხდნენ და ჭამდნენ. როცა სამზარეულოში შევედი, მე მომაჩერდნენ — მთვრალივით ვბარბაცებდი. იანმა მაგიდაზე დადო კოვზი, იგი შვილს ფაფას აჭმევდა, ჩემზე მოშტერებულ კარლინს თვალებში შიში შევნიშნე.

— ფლორორმა ახლა შემატყობინა, — ვთქვი მე ისეთივე მჭახე ჩახლეჩილი ხმით, — ჰუგო მოკვდაო... გერმანელთა დამქაშმა მოკლა... გესმით თქვენ? ჰუგო აღარაა ცოცხალი! ჰუგო, რომელიც ჩემი ქმარი უნდა გამხდარიყო. ომის შემდეგ დაქორწინება გვინდოდა. ერთადერთთან, რომელიც მიყვარდა და მეყვარება. იგი მოკლეს...

ჩემ თვალწინ მაგიდა გაცურდა. იანის, კარლინისა და ხეისის სახეები უკუნეთში ჩაინთქნენ. ნათურამ დაპატარავება იწყო და პატარა, მბჟუტავ სპირალად იქცა. ყურებში ისევ შხუილი ვიგრძენი, თითქოს ჭერიდან წყალმა შემოხეთქაო. მეორედ დავკარგე გრძნობა.

ისევ იმ დივანზე ვიწექი. მეჩვენებოდა, რომ ზღვის ხმაური მესმოდა, თუმცა ზღვა აქედან ძალიან შორს იყო. მე მხოლოდ ქარის ზუზუნი შემეძლო გამეგო, რომელიც სანაპიროს გასწვრივ დაჰქროდა. სახურავს ქვეშ ჩიტები ფრთებს აშრიალებდნენ. მაგიდაზე სანთელი ენთო. საბანში გახვეული კარლინი ერთ-ერთ თავის პლუშის სავარძელში მოკუნტული იჯდა. მას ეძინა. ჯერ ვერ მივხვდი რატომ იჯდა იგი აქ და მე რატომ ვიწექი დივანზე.

ახლა უკვე ვიცოდი რატომ.

არ ვტიროდი. აპათიამ შემიპყრო. უმწეოდ ვგრძნობდი თავს ცხოვრების წინაშე, ყველაფრის წინაშე, რაც მოხდა და შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო. ფიქრები ნელა მიედინებოდა — მარტივი, გარკვეული, ნათელი.

პირველად წარმოვიდგინე მკვდარი ჰუგო: საკაცეზე, უძრავი, გულხელდაკრეფილი. მის სახესაც კი ვხედავდი, იგი არ გამოხატავ-

და არც სიძულვილს, არც სიყვარულს, მხოლოდ. სიჩუმეიდე ეფინა-ვცდილობდი სწორედ ასეთი წარმომედგინა და მეგონა, რომ თვით-ონაც უარი უნდა მეთქვა სიძულვილზე ან სიყვარულზე. ნელა, ძალი-ან ნელა შევუშვი სიმართლე გულში.

პლედის ქვეშ მშვიდად მწოლიარემ, თავი კარლინისკენ მივაბ-რუნე.

ბევრი ამბავი ახლა გახდა ჩემთვის ნათელი. ისე ვუყურებდი მათ, როგორც უნდა უყურებდეს ზრდადასრულებული ადამიანი. ვგრძნობდი, რომ ჩემი ყმაწვილქალობის ჟამი დამთავრდა. ახლა, ჰუ-გოს სიკვდილის შემდეგ, ცხოვრებას მოწიფული ქალივით უნდა მივ-დგომოდი.

საშინლად შემოფარგლულია ადამიანის არსებობა... ჩვენში მოთავსებული უსასრულობა მეღავნდებოდა როგორც ბანმოკლე წვა: ყოველი ადამიანი — ერთი წერტილია მარადიულობაში.

და ეს მოგზიზგზე წერტილი, უსასრულობაში აალებული, ნაპე-რწკლებად აგზნებული ეს მოვლენა — ცხოვრების ბატონ-პატრონი და მისი შემქმნელია. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადა-მიანი ცხოვრებას თვითონ აძლევს შინაარსს. სხვაგვარად ნის სიცოც-ხლეს არავითარი ფასი არა აქვს.

ფიქრით არ შემეძლო მზის სისტემის უთვალავი გარსკვლავების არსებობას გავწვდომოდი. როგორც კი ვცდილობდი ანის გაკეთე-ბას, მთავარი ძაფი, საყრდენი წერტილი მეკარგებოდა. მაგრამ მე ადამიანი ვხდებოდი, როცა ფიქრებს დედამიწას მივაპყრობდი, რო-ცა ვფიქრობდი იმაზე, თუ ეს პატარა მიწა როგორ გადამექცია კე-თილად და გულუხვად ჩემთვის და ჩემი ახლობლებისათვის.

დედამიწა — ჩვენი ცხოვრების ასპარეზია. არა, იგი სამყაროს მცირედი ნაწილია. იგი ჩვენ გვეძლევა იმისათვის, რომ როცა გავქ-რებით მისი პირიდან, დავტოვოთ იგი სხვანაირი, უფრო სრულყო-ფილი, უფრო ადამიანური.

სწორედ ამაშია ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებულობა. და ღირებულება. ადამიანები, რომლებიც რამეს სჩადიან საერთო კეთილდღეობის ანგარიშგაუწევლად, თავს ესხმიან და ეწინააღმდე-გებიან ამ კეთილდღეობას, სიცოცხლის ღირსნი არ არიან. ცხოვრე-ბას მხოლოდ სიცოცხლით შეიძლება ემსახურო. მხოლოდ მან, ვინც საერთო კეთილდღეობისათვის დაიწვა, შესძლო თავისი „მეს", თავი-სი ბუნებისმიერი შეზღუდულობის მრისხანე ბორკილებისათვის თავის დაღწევა. მაგრამ ვინც ისე მოკვდა, რომ ეს ბორკილები ვერ დაამსხვრია, იგი, ჩემი აზრით, მხოლოდ უბადრუკი, უსარგებლო ნაპ-ერწკალია.

ჰუგომ დაამსხვრია ბორკილები. მან იცხოვრა. როგორც მხოლოდ ცოტანი ცხოვრობენ. მისმა წვამ სხვა ადამიანებია სიცოცხლე; იხსნა. ახლა მე მესმოდა, რომ სიკვდილზე აბეზარი ფიქრი შეიძლება დავძლიოთ, თვით ჰუგოს საშინელ სიკვდილზე ფიქრიც კი. თუ ერთი წუთითაც არ დავივიწყებ, რომ უნდა ვიფიქრო არა მის სიკვდილზე, არამედ მის სიცოცხლეზე.

არ უნდა ვიტირო იმაზე, რომ ჰუგო მოკვდა. ეს იქნებოდა საკუთარი თავის სიბრალულით გამოწვეული ტირილი. ჰუგოს მიმართ ახლა აღარავითარი თანაგრძნობა არ შეიძლება, ჩემ მიმართ კი, არ. მსურდა, არც უნდა დამეშვა ეს.

თავისუფალი უნდა ვიყო, თავი უნდა დავაღწიო ,ჩვენი არსებობის შეზღუდულობისა და ბარბაროსობის საშინელ შეგრძნებას.

მინდოდა დავმწვარიყავი, დეე, ცოტა ხნით, თუ სხვაგვარად არ შეიძლებოდა, მაგრამ ჰუგოზე ნაკლებ მგზნებარედ არა.

ყველაფერ ამაზე ვფიქრობდი ყოველგვარი სიყვარულისა და სიძულვილის გარეშე. ისევე, როგორც ფიქრობ ბენზმარიტებაზე, რომელსაც ვერსად დაემალები. სულიერად დავმშვიდდი. იმდენად, რომ თავადაც მიკვირდა. ვიწექი, სივრცეს მივჩერებოდი. ვიდრე ფარდებში განთიადი არ გამოჩნდა. მაშინ დამეძინა ბოლოელი განმაკურნებელი ძილით.

ოთხი ავტორისა

ჩანაფიქრი ბედზე

23. თეინ დე ფრისი

ფოტოსურათი

მეორე დილით, ჩვეულებრივად, ავდექი და, ჩვეულებრივადვე სასაუზმოდ გავედი. ფლოორი წინა ღამით ვერ წავიდა, მაგიდასთან ჩემ პირდაპირ იჯდა. იან ფერლიმენი ბოსტანში მუშაობდა, კარლინი კი — ისევ შიშით შემომყურებდა და თავი რაღაც მორიდებულად და უხერხულად ეჭირა — მერე კი მოახერხა და ხეისთან ერთად შეუმჩნევლად გაიპარა. მე და ფლოორი მარტო დავრჩით.

მომეჩვენა, რომ ეს ამბავი მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა. შევნიშნე, მალულად, შეშინებული შემომხედავდა, მერე ისევ მაგიდაზე გადაფარებულ მუშამბაზე გადაიტანდა მზერას, ან ფანჯრის მიღმა მწვანე ლანდშაფტს გაჰყურებდა. განვიზრახე ფლოორთან მელაპარაკა და მთელი ნებისყოფა მოვიკრიბე. მე მაინც ყველაფერი უნდა გავიგო ჰუგოს შესახებ.

— ფლოორ, — წამოვიწყე მე, — შეგიძლია ყველაფერი მითხრა ახლა.

მისი ნათელი ნაცრისფერი თვალების გამოხედვა დაბნეულიც იყო და გამომცდელიც.

— არ ვიცი, ხანა, შეგიძლია კი...

— შემიძლია ავიტანო? კი, ფლოორ... პირობას გაძლევ, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაყენებ, არ ვიყვირებ და არ ვიტირებ... ყველაფერზე ვიფიქრე, ფლოორ. ახლა ვიცი, რომ იმ დღეს დილიდანვე არაფერი გამოგვდიოდა... ასე უნდა მომხდარიყო. ამას წინასწარვე ვგრძნობდი, როცა დრუუტს ვესროდი და ვერც ერთი ტყვია ვერ მოვახვედრე მიზანში. დავთრგუნე ეს წინათგრძნობა. მაგრამ სწორედ მაშინ განისაზღვრა ჩვენი მარცხი.

ფლოორი ხმას არ იღებდა. ყლუპ-ყლუპად დალია ერთი ჭიქა რძე.

— ყველას შეიძლება მარცხი შეემთხვეს, — განვაგრძობდი მე. — არ ვაპირებ ჩემი დანაშაულის შეგნებით თავი გავიწამო. მაგრამ, მე რომ უკეთ მესროლა...

ფლორომა სწრაფად დადგა ფინჯანი მაგიდაზე და მითხრა:

— არა, ხანა, მაგაში არაა საქმე... არც მინდა შენგან ამის მოსმენა. მარცხია — ეს მართალია. მე სულაც არ მიკვირს... თქვენ, შენ და ჰუგოს ძალიან ბევრჯერ გაგიმართლათ ბედმა.

მისი უკანასკნელი სიტყვებით შეძრწუნებული ხმას ვეღარ ვიღებდი, თუმცა ეს სიტყვები სრულიად სხვა აზრით იყო ნათქვამი, ვიდრე წარმოვიდგინე. ფლორს ზურგი შევაქციე. მაგრამ, როგორც ჩანდა, მაშინვე იგრძნო, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ფრაზამ ჩემსა და ჰუგოს „ბედნიერებაზე". დაახველა და ფინჯანი სწრაფად მიიტანა პირთან, თუმცა იგი ცარიელი იყო.

— აღფრთოვანებული ვარ შენით, ხანა, — მითხრა მან. — ასეთი უბედურების გადატანის შემდეგ ბევრს არ შეუძლია თავის დაჭერა. შენ მკითხე ჰუგოს სიცოცხლის უკანასკნელი საათების შესახებ. რა თქმა უნდა ყველაფერს გიამბობ.

გულში რაღაც საშინელი, წარმოუდგენელი ეჭვი შემეპარა:

— ნუთუ იგი...

ფლორომა ხელი ჩაიქნია.

— რომ ჰუგოს... რომ ჰუგოსთვის რამე ეთქმევინებინათ? ხანა! როგორ გაიფიქრე? მათ მხოლოდ ვინაობა გამოტყუეს ჰუგოს...

— ესე იგი, გრძნობაზე იყო? — ვკითხე შეშფოთებულმა.

— ჰუგოს მაშინვე გაუკეთეს ოპერაცია ლაზარეთ „ლიუფტკაფეში", — მიპასუხა ფლორომა. — მიხვდნენ, რომ მათ წინაშე არაჩვეულებრივი კაცი იყო. იმ რეგვენებს მართლა ეგონათ, რომ ოპერაციის შემდეგ სალაპარაკოდ შეაგულიანებდნენ...

— ანდა, გაასამართლებდნენ... — დავსძინე მე. — როგორც ხერიტ იანს.

— როგორც არ უნდა ყოფილიყო, — განაგრძობს ფლორი, — სწორედ ამაში მოტყუვდნენ. ჰუგომ ბევრი სისხლი დაკარგა. გერმანელმა ექიმებმა მაშინვე თქვეს, განწირული იყოო.

— როგორ მოახერხე ამ ამბების გაგება, ფლორ?

მან მხრები აიჩეჩა და თქვა:

— ზაანდამში პოლიციელებისაგან და W. g-ში სანიტრებისაგან, რომლებსაც წინააღმდეგობის საბჭოსთან კავშირი აქვთ. პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყველაფერი მართალია.

— მერე რა გაუკეთეს? — ვკითხე მე.

— „უშიშროების სამსახური" მოსვენებას არ აძლევდა უკანასკნელ წუთამდე, — მიამბობდა ფლორი. — ინექციებს უკეთებდნენ, და იგი დროდადრო გრძნობაზე მოდიოდა, ბანდიტები მის საწოლს არ შორდებოდნენ. საკმარისი იყო წუთით გაეხილა თვალები,

მაშინვე კითხვებს აყრიდნენ... იგი არ პასუხობდა. თანდათ უფრო მეტ დოზებს უშხაპუნებდნენ. ისიც თანდათან უფრო ცოტა ხნით მოდიოდა გონს. კრინტიც არ დაუძრავს. ვინ იცის. რა არ გაუკეთეს!

— ფლორო, ჰუგოსნაირი ადამიანები ხომ ცოტანი არიან... ხომ მართალია? — ვკითხე მე.

— ჰუგოსნაირი მხოლოდ ერთია — თვითონ ჰუგო... — მიპასუხა ფლორომა და ენა დაება. — არ ვიცი, ხანა. შევძლებ თუ არა მა[illegible] ვით მოვიქცე: ხმის ამოუღებლად მოვკვდე.

ჩუმად ვუსხედით სასადილო მაგიდას, ვიდრე დილის მზის ათინათი არ აციმციმდა ფაიფურის ლურჯ ჭურჭელზე, სარძეველზე, ფინჯნებსა და დანებზე. ჩემი ფიქრები თავს დასტრიალებდნენ შორეული ლაზარეთის თეთრ ოთახს, რომელიც პოლიციის მწვანეფორმიანი უხეში ადამიანების ყოფნით იყო შებღალული და ჩირქმოცსებული. ვხედავდი, როგორ ისხდნენ ეს ჯაშუშები: თითქმის მათ გვერდით — ასე მეჩვენებოდა მე — ესვენა ჩემი მეგობრის უკან გადაწეული თავი. იგი ხმას არ იღებდა და იღიმებოდა.

— კიდევ დიდხანს იცოცხლა ჰუგომ? — ვკითხე ფლორა[illegible]გა ხნის დუმილის შემდეგ.

— თითქმის მზის ჩასვლამდე, — მიპასუხა ფლორომ.

— მერე, ნუთუ არ იყო მის გვერდით ვინმე კარგი ადამიანი? — დავინტერესდი მე.

— იყო ექიმი და რამდენიმე სანიტარი — უკვე გითხარი, რომ მათ ჩვენთან კავშირი ჰქონდათ... ისინი ჯაშუშების საქციელსა მიახვედრა, რომ ლაზარეთში წინააღმდეგობის გამოჩენილი მებრძოლი მოიყვანეს... ჩვენი მეგობრები ფარულად ბეჭდნენ, რომ როგორც კი მისი გადაყვანა შესაძლებელი გახდებოდა, გაეგზავნათ სადმე შორს. როგორც ჩანს, გერმანელებს არ უნდოდათ ხალხს გაეგო, ვინ დაიჭირეს. მისი კუბო ცალკე ოთახში დგას, ჰუგოს ხელზე მიმაგრებული აქვს ბარათი: „ინგლისელი მფრინავი“.

გაუნძრევლად ვიჯექი, ვიდრე ფლორი ჩვენთვის სიგარეტებს ახვევდა. ჩუმად გავაბოლეთ. კვამლი რგოლებისა და სპირალების სახით ადიოდა ზევით. იკლაკნებოდნენ მზის სხივებში, რომელიც სამზარეულოს ანათებდა. კვამლს თვალს ვადევნებდი, ფლორი კი ჭილოფს მისჩერებოდა. ბოლოს, საფერფლეში ნაწწვავი ჩააქრო და ადგა.

— თუ ნებას მომცემ, ხანა, წასვლა მინდა... რაღაც საქმეებია... ამ დღეებში ისევ მოვალ.

მხოლოდ ახლა შევხედე თვალებში:

— მე რა გავაკეთო, ფლორო? რა ვქნა ახლა?

მხარზე ხელი მომითათუნა:

— არაფერი... მზეზე ისეირნე. დამშვიდდი. გამოჯანმრთელდი.

ხელი გავუწოდე და ნაღვლიანად გავუღიმე.

არ ვიცი, როგორ მოვითმინე მომდევნო ერთი კვირა. ფლორის რჩევის მიხედვით ვიქცეოდი. მზეზე ვსეირნობდი, ხის ჩრდილში, ბალახზე ვისვენებდი. ძალ-ღონეს ვიკრებდი, ვჭამდი, მეძინა და განუწყვეტლივ ვფიქრობდი მხოლოდ ერთ რამეზე: ოთახზე, სადაც საძულველი, მწვანე სამხედრო ფორმიანი ხალხი იყო, თეთრ საწოლზე, რომელშიც მთლად გაფითრებული ჰუგო იწვა; იგი ხმას არ იღებდა, იღიმებოდა და თავს იქნევდა, როცა რამეს ეკითხებოდნენ. „ინგლისელი მფრინავი“ — ეწერა ბარათზე. სიკვდილის შემდეგაც კი არ მისცეს უფლება დარჩენილიყო იმად, რადაც სინამდვილეში იყო. უკანასკნელ წუთებამდე თვალი არ მოუშორებიათ მისთვის, თქვა ფლორმა. და უკანასკნელ წუთებამდე ჰუგო წინააღმდეგობის მებრძოლად დარჩა, ვფიქრობდი მე.

და უცებ, როცა ვსეირნობდი სილახვავების უაზროდ ნათელ, აყვავებულ ბუნების წიაღში, აუტანელი მწვავე ფიქრით გავიმსჭვალე: ვიზედაც ამდენს ვფიქრობდი, ვისაც ფიქრებში ვესაუბრებოდი, ეს ხომ ჩემი ჰუგო იყო. ჩემთვის საყვარელი ადამიანი, რომელსაც ველარასოდეს ველარ ვნახავდი. ჩემში დარჩება მხოლოდ მასზე ფიქრი, მოგონება, წარმოდგენა, ბევრი მოგონება და წარმოდგენა!.. რა მწარეა და, რა წარმოუდგენელი!

იან და კარლინ ფერლიმენებთან ერთად მაგიდასთან ვიჯექი, ვლაპარაკობდი სხვადასხვა ამბებზე, მე კი მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი. ვუსმენდით ბი-ბი-სის გადმოცემებს, რომელიც გვამცნობდა მოკავშირეთა წინსვლისა და გამარჯვების ამბებს ყველა ფრონტზე, დედამიწის ყველა კუთხეში. ვუღიმოდი იანსა და კარლინს და ისევ მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი. ჰუგოზე, რომელსაც დაასაფლავებდნენ, როგორც ინგლისელ მფრინავს... მაგრამ სად?

მართალია, უკვე შევეგუე დანაკარგზე ფიქრს... მაგრამ მაინც ვიცოდი, რომ ამქვეყნად არაფერი იყო ამაზე მძიმე.

ერთხელ, დღისით, როცა ჩვეულებისამებრ, სასეირნოდ წასასვლელად ვემზადებოდი, შორიდან ველოსიპედით მომავალი ფლორი დავინახე. იგი სწრაფად მოდიოდა; სახე გაწითლებოდა და ქარი თმას უწეწდა. მის შესაგებებლად წავედი; როცა ახლოს მოვიდა, სახეზე უჩვეულო გამომეტყველება შევნიშნე.

— ფლორ! — დავუყვირე შორიდანვე. — ცუდი ამბავი მოგაქვს?

იგი ველოსიპედიდან ჩამოვიდა და ოფლიანი სახე მოიწმინდა. — დალახვროს ეშმაკმა, ეს იმიტომ, რომ ვჩქარობდი...

როგორც შევნიშნე, დროის გაყვანას ცდილობდა; იძულებული ვიყავი მოთმინებით დავლოდებოდი, თუმცა წუხილითა და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ვიწვოდი. ცოტა ხანს ხელი არ შემიშლია მისთვის ჩუმად ევლო ჩემ გვერდით და ხელით ეტარებინა ველოსიპედი, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოვითმინე:

— მითხარი, ფლორორ... მე ახლა თითქოს ჯავშნიანი ვარ.

იგი შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, ველოსიპედს დაეყრდნო და თქვა:

— ხანა... ამას წინათ მე ყველაფერი არ მითქვამს შენთვის ჰუგოს შესახებ... და არც შემეძლო ეს, რადგან ყველაფერი მეც არ ვიცოდი...

— რაშია საქმე? რაზე ამბობ, ფლორორ? — შევყვირე მე.

მან თავი გაიქნია, ველოსიპედი ფიჩვის ხეს მიაყუდა და ისევ სახის წმენდას შეუდგა:

— კიდევ ვესაუბრე ჩვენს ზაანელ მეკავშირეებს... — ძლივს წარმოთქვა მან, თითქოს თავის დანაშაულს აღიარებსო. — კიდევ რაღაც მოხდა, ხანა, ჰუგოს სიკვდილამდე... მასთან იყო ზაანდამელი ექიმი. ერთი იმათთაგანი, რომლისთვისაც ლაზარეთის სანიტრებს ცუდი არაფერი შეუნიშნავთ, იმიტომ რომ, მათ მაშინ არ იცოდნენ ის, რაც ჩვენ ახლა ვიცით, სახელდობრ ის, რომ იგი სანდო არ იყო...

— სანდო არ იყო? — შევეკითხე და ვიგრძენი, რომ ვფითრდებოდი.

— არასაიმედო, ყალბი ადამიანი, ფაშისტების დამქაში, — მოკლედ და როგორღაც მორიდებულად მიპასუხა ფლორორმა. — ის ექიმიც ცდილობდა ჰუგოსგან რამე გაეგო. მაგრამ ჯაშუშებისგან განსხვავებულად. იგი ჰუგოსკენ დაიხარა, თავი პატრიოტად მოაჩვენა და ჰკითხა: „ხომ არაფერი შემიძლია გაგიკეთო, ჭაბუკო?“ და ჰუგომ მას უთხრა, რომ მის ტყავის პალტოზე მიკერებულ ჯიბეში დევს ფოტოსურათი, რომელიც მან, ექიმმა უნდა გადასცეს მის პატრონს.

საშინელმა ეჭვმა შემიპყრო.

— რომელი ფოტოსურათი? — ვკითხე ჩურჩულით.

ფლორორმა ნაცრისფერი თვალები ისევ მორიდებულად მომაპყრო.

— ვერ ხვდები? — საცოდავი გამომეტყველებით მკითხა მან.— შენი ფოტოსურათი პასპორტისათვის, მეორე მხარეს შენი გვარი, სახელი და მისამართი ეწერა.

— არაფერი მესმის... — დავიწყე მე, და მართლაც არ ვიცოდი, როგორ აღმოაჩნდა ჰუგოს ჩემი სურათი. როგორც ჩანდა, უბრალოდ, ჩანთიდან ამომიღო იგი. ან ღმერთმა იცის, საიდან მოიტანა, იქნებ ფერლიმენებთან აიღო, ან ჩვენი ნადირობის დროს ბილტხოვენში... ფიქრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მაშინვე წარმოვიდგინე, რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ამ ამბავს.

— მერე, პოლიციას ხელში ჩაუვარდა ეს სურათი... ექიმის საშუალებით? — ძლივს წარმოვთქვი მე.

— იგი ჰარლემის „უშიშროების სამსახურში“ მოხვდა, — თქვა ფლორომ რაღაცნაირად, უხმოდ. — და მათ რაღაც ზომები მიიღეს.

ფლორს სახელოში ჩავაფრინდი. მან თავისი უშველებელი, ძლიერი ხელით მომიცილა.

— რა? როგორი ზომები? — წამოვიყვირე მე. — ღვთის გულისათვის, ფლორო, ნუ აჭიანურებ. პირდაპირ მითხარი, ყველაფერი!

— მათ შენი მშობლები წაიყვანეს, — მიპასუხა მან, თან მაგრად ჩამკიდა ხელები მხრებში. — მშვიდად, ხანა, მშვიდად! ჯერ ყველაფერი არაა დაღუპული! ისინი დაპატიმრებულები არიან...

— მომიყევი მათი დაპატიმრების ამბავი! — ვეეედრებოდი მე. — როგორ ამბობ, რომ „ყველაფერი არაა დაღუპულიო“... ყველაფერი, ყველაფერი დაიღუპება... ფლორო! ხომ არ იცი, მათ ჩვენ სახლში ებრაელი გოგონა იპოვეს თუ არა?

პირველად შემომხედა ფლორომ გაოცებით:

—ამის შესახებ არაფერი ვიცი. ჰარლემის წინააღმდეგობის საბჭომ ეს ამბავი სანდო წყაროდან გაიგო. თქვენ მარჯვნივ და მარცხნივ მცხოვრები მეზობლები ხედავდნენ, როგორ წაიყვანეს შენი მშობლები ჯაშუშები თქვენთან სახლის უკან, ბაღჩიდან შევიდნენ. მეზობლებს ესმოდათ, როგორ აბრახუნებდნენ ისინი რევოლვერებით ვერანდის კარზე და მერე მთელს სახლში რომ დადიოდნენ. მალე პოლიციის დახურული მანქანა მოვიდა, რომელშიც შენი მამა და დედა ჩასვეს.

ცუდად გავხდი. თავბრუ დამესხა, და ჩემს ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. ფლორის ხელს მაგრად ჩავეჭიდე.

—მაშასადამე, ივდითი გადარჩენილია... —ჩავილაპარაკე მე. — ამაში მაინც გაგვიმართლდა...

ფლორი შეშფოთებითა და მზრუნველობით მამაგრებდა ფეხზე.

— აბა, გონს მოხვედი, ხანა? — მკითხა მან. — კბილები მაგრად დააჭირე ერთმანეთს...

კბილების კაწკაწით დავუქნიე თავი, თუმცა მუხლები მეკვეთებოდა და შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

—ყველა... მხოლოდ იმას მოითხოვს... რომ მე... კბილი კბილა დავაჭირო... — ვბუტბუტებდი მე. — ხანდახან ეს... ნამდვილად, ყოველგვარ ძალას აღემატება.

ფლოორს ხელიდან დავუსხლტი. ბუჩქებში შევვარდი. გული ამერია, მთელი სხეული მიცახცახებდა. ვგრძნობდი, სადაცაა მოვკვდებოდი, ამის დიდი სურვილიც მქონდა... მაგრამ, მაშინაც კი, როცა სულიც არ მქონდა მოთქმული, ვიცოდი, რომ არ მინდა, არ შემიძლია და არ უნდა მოვკვდე. ჩემი ამოცანა უნდა შეესრულო.

...ხელმოკიდებული მომიყვანა ფლოორმა ბოსტნამდე. სადაც კარლინს გადამცა. მან დამაწვინა, ცივი წყალი და ასპირინი მომცა, საწოლთან დაჯდა და ჩემი ხელი აიღო. ხუთი წუთის შემდეგ იგი გავუშვი და დავიძინე. მერე, უცებ, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო, გამომეღვიძა. წოლა აღარ შემეძლო. მეძახდნენ მიცვალებულები, მიხმობდნენ ცისში გამომწყვდეულები. ლოგინიდან წამოვხტი, ჩავიცვი, წყალგაუმტარ ლაბადაში რევოლვერი ჩავიდევი. ასე გამოწყობილი გავედი სამზარეულოში გაოცებულ ამხანაგებთან.

— ფლოორ, მომეხმარე ველოსიპედის სალტის შემოწმებაში, — ვთხოვე მას. — ჰარლემში წავალ.

ფლოორი ადგა და კარებში ჩადგა — უშველებელი, ძლიერი, საკმაოდ მრისხანე გამომეტყველებით.

— ხანა! — მითხრა მან. — არავითარ სისულელეს არ ჩაიდენ, გასაგებია!

თავი დავუქნიე.

— შტაბში უნდა მივიდე, ფლოორ. ზუსტად მინდა გავიგო, რა მოხდა.

მან ცოტა დაფიქრების შემდეგ მითხრა: — კარგი... მეც შენთან ერთად წამოვალ.

— მე მარტო წავალ, ფლოორ, — მტკიცედ ვუთხარი მე. — ამიერიდან ჩემი ნიშნები ცნობილია. იფიქრე ამის შესახებ?

მან მკლავში ხელი გამომდო და სახლიდან გამიყვანა.

— ხანა... არ გაკავებ, ოღონდ მე მინდა ვიცოდე, ნამდვილად შეგიძლია თუ არა ბრძოლა? მეტი მსხვერპლი აღარ შეიძლება.

მუშტები მოვკუმშე და მრისხანედ ვუპასუხე:

— მე ხომ გითხარი, თითქოს ჯავშნიანი ვარ-მეთქი. ჯავშანი მაქვს შიგნით და გარეთ.

მან თვალები დახარა და ფარდულისაკენ წავიდა. ჩემი ველოსიპედის სალტის შესამოწმებლად.

მეტი მსხვერპლი აღარ შეიძლებაო, თქვა ფლორომ.

ჩემი მშობლების ჩათვლით, უკვე ექვსი მსხვერპლი დავითვალე. ექვსი ადამიანი, რომელთაც მე ვიცნობდი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მე არ ვიცოდი, ამ პატარა ქვეყანაში, ათას ადგილას, ამ მომენტში რამდენ ადამიანს დასდევდნენ, ყიდდნენ, აპატიმრებდნენ და კლავდნენ.

შიში მიმარბენინებდა. აღარ ვამჩნევდი ბუნების მშვენიერებას, ვერ ვგრძნობდი ზაფხულის ჰაერს. სახელურზე დახრილს მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა: მევლო წინ. გზებზე, საველოსიპედო გზებსა და ხიდებზე. ბორანზე გადასვლა მტანჯველი განსაცდელი იყო ჩემთვის. მხოლოდ ქვებს, ასფალტსა და ბეტონს ვამჩნევდი. მთელი ქვეყანა თითქოს ქვისა და ბეტონისაგან გაკეთებული, მკვრივი და დაუმორჩილებელი მეჩვენებოდა.

ვფიქრობდი მათზე, ვინც შტაბში დამხვდებოდა და ამის მეშინოდა. მეშინოდა მათი სახეებისა და თანაგრძნობის, მათი წუხილის, სიტყვების, რომელთაც ისინი მეტყოდნენ. ჰუგოზე ნათქვამი სიტყვების. ტომზე, ედისა და იანზე, ჩემი მშობლების დაპატიმრებაზე...

კარგი იქნებოდა, რომ ხანდახან ადამიანებს თანაგრძნობის ნიშნად გაჩუმება შეეძლოთ; ყოველგვარი კეთილი სიტყვა ზედმეტია.

გული აჩქარებულად მიცემდა, როცა შტაბს ვუახლოვდებოდი და თან ირგვლივ ვიხედებოდი, ვინმე ხომ არ მითვალთვალებს-მეთქი. ორჯერ აქეთ-იქით გავლის შემდეგ საეჭვო ვერაფერი შევამჩნიე. მერე შევუხვიე ბაღში, ველოსიპედი მებაღის მიტოვებულ სახლში დავდგი და გულაძგერებული გავემართე სახლისაკენ.

დერეფანში მიმავალმა რადიომიმღების ტკაცანი გავიგონე: ჩემი ამხანაგები, როგორც ჩანდა, სადგურს იჭერდნენ, რომ უკანასკნელი ცნობები მოესმინათ: დღის ბოლო იყო, როცა საერთოდ ვუსმენდით ხოლმე ბიბი-სის. ვერ გადამეწყვიტა ოთახის ზღურბლის გადაბიჯება, გული თითქოს ყელში მომებჯინა.

პირველად ფრანსი დავინახე, რომელიც კარის მარჯვნივ იჯდა, დამალულ რადიომიმღებთან. როგორც კი შემნიშნა, მაშინვე გაწკაპუნება გაისმა — მან რადიო გამორთო და ნელა წამოდგა. ოთახს თვალი მოვავლე, მხოლოდ სამნი იყვნენ: ფრანსი, ვეინანტი და ახალგაზრდა ოტო, ახალბედა. სამივემ შეძრწუნებული მზერა მომაპყრო.

გაუჩინარება მომინდა. ადგილიდან ვერ ვიძროდი. ამ ოთახში ვნახე პირველად ჰუგო. ამ ოთახში მომხიბლა მან, რაც მერე სიყვა-

რულში გადაიზარდა. აქ მესმოდა მისი ლაპარაკი, ვხედავდი, როგორ ჩუმად იჯდა ძველ დივანზე ან დადიოდა ოთახში თავისი პატარა, ლამაზი ფეხებით, ახლა მისი ფეხები თეთრი ზეწრით იყო დაფარული, ხელზე კი მიბმული ჰქონდა ფირფიტა წარწერით „ინგლისელი მფრინავი“. თუ ჯერ კიდევ არ დაუსაფლავებიათ...

ვერ შევძელი ადგილიდან დაძვრა, სასოწარკვეთილებამ შემიპყრო და ჩემი უძლურების შეგნებამ ბრაზით ამავსო. რომ ვფიქრობდი, იმაზე ძნელი აღმოჩნდა ყველაფერი. პირველად ვეინანტი მიხვდა ჩემს მდგომარეობას. მან მთელი ოთახი გამოიარა, მოვიდა ჩემთან და ორივე ხელი მომკიდა ხელზე. იგი უხერხულობისა და სიბრალულის გარეშე, კეთილი ღიმილით შემომყურებდა, როგორც ძველ მეგობარს. მისმა თანაგრძნობამ გამომიყვანა გარინდებიდან, მაგრამ ამასთან ერთად უფრო უბედურად ვიგრძენი თავი. ბარბაცით მივედი მაგიდამდე და სახე ხელებში ჩავმალე. წუთით მომინდა ოთახიდან ბაღში გავვარდნილიყავი და მოცხარის ხშირი ბუჩქების უკან გამომეტირა ჩემი უბედურება. დიდი გაჭირვებით მოვერიე თავს. „გული ჯავშნიანი მაქვს“, — ვუთხარი ფლორს. ჩემო საბრალო, უბედურებისგან ჩამკვდარო გულო, სად არის შენი ჯავშანი?..

ვხედავდი, რომ ამხანაგები დაბნეულად შემომყურებდნენ. ფრანსი ჰალსტუხს ნერვიულად აწვალებდა, თუმცა იგი კოხტად იყო ვაკვანძული. მან ნამდვილად არ იცოდა, რითი დაეწყო საუბარი.

— აი, — ვთქვი მე, რამდენადაც შემეძლო მტკიცედ და პირქუშად. — მე ისევ აქ ვარ... ყველამ იცით, რაც მოხდა. მინდოდა ერთ საკითხზე შეგთანხმებოდით: ნულარ გავიხსენებთ დაღუპულს... ყოველ შემთხვევაში, ახლა...

ენა დამება და საუბრის ძაფი გამიწყდა, როცა ლაზარეთის საწოლზე მკვდარი ჰუგო წარმოვიდგინე. ბოლოს ისევ მოვერიე თავს, თუმცა ეს წარმოუდგენლად ძნელი იყო ჩემთვის.

— ჰუგო...— დავიწყე მე, და საკუთარმა ხმამ ყური მომჭრა.

— ჰუგო მხოლოდ კარგი ამხანაგი კი არა, ყველაზე უკეთესი იყო ჩემთვის...

მომეჩვენა, რომ ისევ ვკარგავდი საუბრის ძაფს. ტუჩები ამიცახცახდა. სიტყვის წარმოთქმა ვეღარ შევძელი. ტუჩის ცახცახი რომ შემეჩერებინა, ხელები მივიჭირე ზედ. უცებ ჩემ გვერდით ფრანსის ჰიჯაკის კალთა დავინახე. მისი ხელი მტკიცედ და დინჯად დაეშვა ჩემს ჯხარზე, ხმაც მშვიდად და თავდაჭერილად ეღერდა:

— ყველაფერი ვიცით, ხანა... ყველა განვიცდით ამ ამბავს — ისი-

ნიც, ვინც აქ ვართ და ვინც არ არიან. შენ სწორი თქვი: ჰუგო მხოლოდ კარგი ამხანაგი როდი იყო, იგი ჩვენ შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო, ისევე, როგორც ის სამნი, რომლებიც ხერიტ იანთან ერთად მოკლეს გერმანელებმა. ეს ჩვენი საერთო უბედურებაა. მხოლოდ, უნდა ვთქვა — ყველას გვწყინს, რომ ამ ბოლო ხანებში შენ ამდენის გადატანა მოგიხდა... ყველანი პატივს გცემთ. უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ ასე მტკიცედ გიჭირავს თავი.

ცრემლებით გაღვარული სახე ფრანსს მივაპყარი.

— სულაც არა ვარ პატივისცემის ღირსი,— ვუთხარი ფრანსს.— არც ერთს არ გჯობივართ არაფრით... მე ავაცდინე დრუუტს; ამის გამო მოხდა ყველაფერი!

— აბა, რას ლაპარაკობ? — გამაწყვეტინა ფრანსმა. ვხედავდი, რომ იგი მართლა გაკვირვებული იყო. — რაო, შენ გინდა მთელი დანაშაული დაიბრალო?

მეორე მხრიდან ეეინანტი მომიახლოვდა. მის მრგვალ, კეთილ სახეს შევხედე.

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ხანა, — თქვა მან. — ყველა საქმე სარისკოა. მხოლოდ ჩვენ კი არ განვაგებთ მომხდარ ამბებს. თოკის მეორე ბოლოშიც მოქმედებენ რევოლვერიანი ადამიანები.

მე რაღაც უაზროდ და დაღლილად დავუქნიე თავი. — კი შენ მართალი ხარ, —ვუპასუხე მე. — მაგრამ, მაინც უკეთესად უნდა მესროლა... არ ვიცი, რა დამემართა. ვფიქრობ, რომ იმ დღეს არაფერი არ გამომდიოდა....

ფრანსმა სწრაფად დამაფარა პირზე ხელი:

— არა, ხანა, ნუ დაარღვევ შენ მიერვე შემოთავაზებულ პირობას: რომ აღარ გველაპარაკა ამაზე. და, საერთოდ, თავს ტყუილად ნუ იტანჯავ.

ისევ დავუქნიე თავი. ხომ ვიცოდი, რომ ეეინანტი და ისიც მართალი იყვნენ; მაგრამ დანაკლისით გამოწვეული ტკივილი და იმის შეგნება, რომ ფაქტიურად მე ვიყავი უბედურების მიზეზი, ამ ოთახში უფრო მტანჯავდა. გარდა ამისა, უკანასკნელი ამბებით ძალიან ვიყავი შეშფოთებული. ხან ერთ ამხანაგს შევცქეროდი, ხან მეორეს, ახალგაზრდა ოტომ, რომელიც ცოტა მოშორებით უხმოდ და შეუმჩნევლად იჯდა, დაბნეულად დახარა თავი, როცა მას შევხედე.

— არის კიდევ რაღაც, — ვთქვი მე. — შენ იცი, რაც მაქვს მხედველობაში... მათ ჩემი მშობლები წაიყვანეს...

სამივე დუმდა. ფრანსს მაგრად მოეკუმა ტუჩები.

— მართალია, რომ მათ მხოლოდ ჩემი დედ-მამა წაიყვანეს? მათთან ერთად ებრაელი ქალიშვილი ხომ არ ყოფილა? — ვკითხე მე.

ოტო წამოხტა.

— მე შემიძლია გიამბო. — იგი, ახალგაზრდობისა თუ უხერხულობის გამო, აჩქარებულად ყვებოდა — მე ველაპარაკე შენი მშობლების მეზობლებს, როგორც კი გავიგეთ ფოტოსურათის ამბავი... თქვენი მარცხენა და მარჯვენა მეზობლები ამბობენ, რომ ჯაშუშებმა მანქანაში მხოლოდ შენი დედა და მამა ჩასვეს ... ვფიქრობ, რომ აქ მესამე პირი თუ იყო, ისინი მაშინვე შენიშნავდნენ და მეტყოდნენ ჯიდეც.

— რა თქმა უნდა , — დაემოწმა ვეინანტი. — ხომ ხედავ, ხანა!

— იცით, ვისი ნამოქმედარია ეს ამბავი? — ვიკითხე მე.

ფრანსმა თავი დამიქნია:

— ობე სხააფისა და კიდევ ოთხი მისთანა ავაზაკის. ამავე დროს, მათ არც ერთი გერმანელი არ ახლდათ თან... გერმანელებმა მხოლოდ ჩაიბარეს მათ მიერ დაპატიმრებულები.

— ვინ არის ობე სხააფი?

თითქოს თავს იმართლებსო, ფრანსმა ხელები გაშალა.

— ჰო, მართლა, — მითხრა მან. — შენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იცნობდე მას ... იგი ლეევარდენიდანაა, ფაშისტთა „უშიშროების სამსახურში“ მუშაობდა და ფრისლანდიაში ისე გულმოდგინედ დასდევდა იატაკქვეშელებს, რომ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გამოჩენას უკვე ვერ ბედავს. ახლა აქ გადმოვიდა და აქაც უკვე ცუდი სახელი აქვს: იგი დააწინაურეს — ობერშარფიურერის წოდება, თუ რაღაც მაგისმაგვარი მიიღო, და თავისი ბოროტმოქმედების მიუხედავად, როგორც ჩანს, შედარებით უშიშრად გრძნობს თავს.

— ობე სხააფი, — ვთქვი მე, — დავიხსომებ ამ სახელს და გვარს... ხომ არ იცით, სად არიან ახლა ჩემი მშობლები?

ფრანსმა ოტოს შეხედა. იგი ისევ გამოვიდა ოთახის ბნელი კუთხიდან:

— ამსტერდამში, ამსტელფეენსევეხზე. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

ნელა წამოვდექი. არასდროს არ მქონია ასეთი შეგრძნება, თითქოს უკვე ყველაფერი ითქვა და წარსულს ჩაბარდა. სამაგიეროდ ახლა ვიცი რა გავაკეთო. უცბად ჩაფიქრებული და მომწიფებული გადაწყვეტილების გარდა თითქოს აღარაფერი დამრჩენოდა. და ამ ტანჯვის წუთებში მან გარკვეული შვება მომცა, თუმცა ვგრძნობდი, რომ

ვეღარასოდეს შევძლებდი გაცინებას, გულგრილობა და გარინდება არ მომცილდებოდა.

— რა განიზრახე, ხანა? — მკითხა ვეინანტმა, როცა ავდექი და კარისაკენ გავემართე. ოთახში დაძაბული სიჩუმე გამეფდა. ამხანაგები მომიახლოვდნენ, ოტოც კი ადგა და შეშფოთებული ცნობისმოყვარეობით შემომყურებდა სახეში.

— მივდივარ ... მე მინდა ... მივდივარ, რომ ჩავბარდე „უშიშროების სამსახურს", — ვუპასუხე მე. — ჩემი მშობლები უნდა განთავისუფლდნენ. დედაჩემი გულით ავადმყოფია. მამაც, რა თქმა უნდა, აუცილებლად ავად გახდება მათ აყროლებულ ციხეში.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ფრანსის დაეჭვებული ჩაცინება გაისმა:

— ხანა! არა, შენ ასეთი სულელი არა ხარ ... ნუთუ ფიქრობ, რომ ისინი მშობლებს უბრალოდ გასცვლიან შენში?

— ხანა, — დაიწყო ვეინანტმა ლაპარაკი. — ჭკუიდან არ შეიშალო ... მაშინ მათ კლანჭებში უცებ სამი ადამიანი აღმოჩნდება. ამასთანავე ერთი მათგანი წინააღმდეგობის მებრძოლია. ის, ვინც სამშობლოს მოღალატეებს ესროლეს, მისი ფოტოსურათი საშიშ ტერორისტს უპოვეს.

მთელი სიმძიმით დავეყრდნე მაგიდას.

— ასე უნდა მოვიქცე, აუცილებლად... — ვთქვი მე. ბრმა, პირქუშმა სასოწარკვეთილებამ სული შემიხუთა და აზროვნების უნარი წაამართვა. — ვერ დავუშვებ, რომ დედა და მამა...

უცებ ფრანსი ჩემთან მოვიდა. მხრებში ჩამკიდა ხელები და ძალით დამსვა.

— ხანა, — მოკლედ მითხრა მან, — მე შენი უფროსი ვარ თუ არა?

— კი, — ვუპასუხე მე.

— მაშინ მომისმინე. — ხმა უფრო მკაცრი, მშრალი და ენერგიული გაუხდა . — იმისათვის კი არა, რომ ახალი დავალების შესასრულებლად მინდიხარ ... იმიტომ კი არა, რომ უბრალოდ გიბრძანებ, არ ჩაიდინო არავითარი სიხულელე, იმის მსგავსი, რაც ახლა მოიფიქრე. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ვინმეს გაუგონია, რომ წინააღმდეგობის მებრძოლი თავისი ფეხით მიდიოდა პოლიციაში? თუნდაც ათასი მშობლისათვის, ხანა? წინააღმდეგობაში ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება. იქნებ ეს სისასტიკეა, იქნებ უჩვეულო ამბავია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, უჩვეულო და სასტიკია. ჩვენ აქ ნორმალურად არ ვცხოვრობთ. აბა, იფიქრე, როგორ შეიცვა-

ლა შენი პირადი ცხოვრება. მდგომარეობა ასეთია, რამდენადაც საშინელი არ უნდა იყოს.

მის მკვეთრ, მშვიდ ხმაში სიმტკიცე იგრძნობოდა, და ეს ხმა ჩემს გატანჯულ სულს ღრმად ჩასწვდა.

— ფრანსი მართალია, — თქვა ვეინანტმა, ცოტა ხნის შემდეგ. — სრულიად მართალია, ხანა. ძალიან მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ რას ვიზამთ. მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

— დიახ, — დავეთანხმე მე. — მართალია... ჩვენთვის მხოლოდ მომავალია მნიშვნელოვანი. მართლები ხართ.

სასოწარკვეთილი ვიყავი, მაგრამ ჩემი ამხანაგების მტკიცე და საღმა მსჯელობამ იმოქმედა ჩემზე. დავემორჩილე მათ. კარგი გააკეთა ფრანსმა, რომ გამახსენა, შენი უფროსი ვარო — გავიფიქრე მე. ახლა ჩემთვის აუცილებელი იყო უფროსის ყოლა. მართლა, რა მითხრა მან?

— შენ რაღაც ახალი დავალება ახსენე? — მივუბრუნდი ფრანსს და მორიდებულად ვკითხე.

იგი ისევ ჩემ გვერდით იდგა. თავი დამიქნია და მითხრა:

— კი. დავალება არის. ოღონდ დღეს ამაზე არ ვილაპარაკებთ. ვილაპარაკებთ ხვალ, როცა მთელი ჯგუფი მოგროვდება.

და მან გამიღიმა, ისე, როგორც გაუღიმებენ ხოლმე ბავშვს, რომელმაც მძიმე კრიზისის შემდეგ პირველად გაახილა თვალი.

— გაოცდები, ხანა; მოკავშირეების შემოჭრის შემდეგ სულ მალე ჩვენთან დაბრუნდნენ შენი ძველი ნაცნობები. ახლა, უკვე მთლად ჩაეფლნენ ჩვენს საქმიანობაში ...

— ძველი ნაცნობები? — ვკითხე მე. — საიდან არიან?

— აბა, გამოიცანი? — მითხრა ფრანსმა. — და პირობა მომეცი, რომ სისულელეებს არ ჩაიდენ. შენ წინააღმდეგობის მოძრაობას სჭირდები. ხომ იცი, რომ ბრძოლის უკანასკნელი ეტაპი დაიწყო.

— ვიცი, — ვუპასუხე მე. — სისულელეებს არ ჩავიდენ... ახლა „თამბაქოს კასრში“ წავალ, იქ, ალბათ, შეიძლება ღამის გათევა.

გამომშვიდობებისას ფრანსს ჩვეულებრივზე დიდხანს ეჭირა ჩემი ხელი. მივხვდი: მას უნდოდა შემესრულებინა ჩემი დაპირება. მაგრამ არც მე ვფიქრობდი პირობის დარღვევას.

მეორე დილით თითქმის ყველაზე ადრე გამოვცხადდი „ესპანური მუხების“ ბატონის ძველ სახლში. იქ ფრანსი და რულანტი დამხვდნენ; რულანტიც ისევე მეგობრულად და მორიდებულად მომესალმა, როგორც გუშინ სხვა ამხანაგები. ბევრი არ გვილაპარაკია, მხოლოდ ფრონტებიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები განვიხი-

ლეთ. გერმანელთა ჯარები ნორმანდიაში ისევ უკან იხევდნენ, რუსებმა კარელიის ყელი აიღეს, ფრონტის სხვა უბნებზე პოლონეთის საზღვარს უახლოვდებოდნენ.

— გერმანელები ჩვენ ახლა რაღაცას გვიმზადებენ... —დაიწყო რულანტმა.— აქედან ვერმახტის ჯარისკაცებით სავსე შემადგენლობები მიდის. აქ კი მატარებლებს მოჰყავთ ეკლესიის მსახურები და მუქ-ნაცრისფერ ჭუჭყიან ფორმებში ჩაცმული, სამსახურიდან გადამდგარი მებრძოლები ... საკმარისია ერთი საათი დაჰყო სადგურზე და შექმნილ მდგომარეობაზე უფრო მეტს მიხვდები, ვიდრე ბი-ბი-სის ყველაზე ვრცელი კომენტარიდან შეგიძლია გაიგო.

— სწორია, — დაუდასტურა ფრანსმა, — მათ ადამიანების რესურსები არ ჰყოფნით ... ისინი ფრონტზე მხოლოდ ესესელებსა და პოლიციელთა ბანდებს არ გზავნიან; ეს უკანასკნელნი კი უმწეო მოსახლეობის წინააღმდეგ იბრძვიან.

რულანტი ჯიბის დანით თეთრ ნაჭდევებს აკეთებდა თხმელის ჯოხზე. სამუშაოდან თავის აუღებლად თქვა:

— გერმანელი ახალგაზრდობა კი სიკვდილს სწავლობს! ფიუერერისათვის სიკვდილს! არაფერი მესმის ამ ახალგაზრდების ან, უფრო სწორად, მე არ მესმის, როგორ უნდა აამოქმედო ახალგაზრდა ადამიანები ასე, ისინი ხომ, ღმერთმანი, ძალიან აფასებენ სიცოცხლესაც და მომავალსაც!

— ვერ წარმომიდგენია, რომ ისინი მართლაც პირადი სურვილით მიდიოდნენ ფრონტზე, — ვთქვი მე. — რულანტი სწორს ამბობს: ახალგაზრდებს შეუძლიათ მხოლოდ მომავალზე ფიქრი. არ მჯერა, რომ ახალგაზრდა გერმანელებს სხვა სურვილები ჰქონდეთ. მათ ჯოჯოხეთში ძალით ერეკებიან, ყოვლად უგუნურ ძალდატანებას მიმართავენ!..

მოდიოდნენ სულ ახალი ადამიანები. მესმოდა მათი საუბარი დერეფნიდან. ძალიან გამიკვირდა, როცა ქალების ხმა გავიგონე. რას ლაპარაკობდა ფრანსი? „ძველი ნაცნობებიო“?... როცა კარი გაიღო, ოთახში მართლაც ორი ქალიშვილი შემოვიდა. პირველად საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. ქალიშვილები ვიცანი. ფრანსმა მართალი მითხრა: ანი და ტინკა იყო, ორი ჰარლემელი ქალიშვილი, რომლებიც თითქმის ერთი წლის წინათ მე მოვნახე ენსხედში. მათ იქ ჩამოაყალიბეს ჯგუფი დივერსიისა და საბოტაჟის მოსაწყობად. ჩვენ ერთმანეთს გავუღიმეთ და ხელი გავუწოდეთ; მაგრამ მაშინვე მძიმე მოგონებამ დაანაღვლიანა ჩვენი შეხვედრა— დების თვალებში სევდა ამოვიკითხე; მათ ეშინოდათ ჩემთვის გული არ ეტკინათ, რადგან, რასა-

კვირველია, ენსხედშივე გაიგეს, რა უბედურებაც დამატყდა თავს.

— როგორაა საქმეები?.. — მხოლოდ ეს მკითხეს ქალიშვილებმა. მეც თავი დავუქნიე და ვკითხე:

— როგორ ხართ-მეთქი?

ოთახში მყოფი მამაკაცები ჩვენზე მეტ უხერხულობას განიცდიდნენ. ამას ყველაფრით ვგრძნობდი და ისევე მწვავედ, როგორც გუშინ. საერთო დაბნეულობა უფრო გამწვავდებოდა, უცებ ვეინანტი, ვიხერი და ოტო რომ არ მოსულიყვნენ. გაისმა მისალმებები, თავდაქერილი სიცილი — ჩემ გამო ამხანაგები თავს შეზღუდულად გრძნობდნენ. ყველა შესცქეროდა ვეინანტს, რომელიც ჯიბიდან რაღაც საიდუმლოებით მოცულ პაკეტებს იღებდა. ამხანაგები გარს შემოეხვივნენ, იმით გახარებულები, რომ საშუალება ეძლეოდათ ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ. ფრანსმა ხელში აიღო პატარა პარკი, რომელიც ვეინანტმა დიდი ამბით დადო მაგიდაზე და უყნოსა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა ფრანსმა. — მაპატიე, ვეინანტ... მგონი, ყავის სუნი მცემს!

რიგრიგობით ყველა ყნოსავდა ტომსიკას. ყავის გამამხნევებელ და განუმეორებელ არომატში იმალება საოცარი მომხიბლაობა; მოუვლელი ოთახი თითქოს გადიდდა, შორეთის, თავისუფლების სიო დაჰბერა. გუნება გამოუკეთდათ, ყველა გაბზიარულდა. ქალიშვილებს შევხედე. ანი სულ არ შეცვლილიყო; ტინკა უფრო მოზრდილად და სერიოზულად, იშნებ, უფრო შეუპოვრადაც გამოიყურებოდა. ჩვენ პირველად გავიცინეთ, თუმცა ჯერ კიდევ გვერიდებოდა ერთმანეთის.

— ვინ წავა ყავის დასაფქვავად? — ვიკითხე მე.

— მე! — წამოიყვირა ტინკამ.

— მე! — თქვა ოტომ, თავაზიანობისა და კიდევ სხვა მოსაზრებით.

— ესე იგი, ორმაგ სიამოვნებას იგრძნობ: დაფქვის დროს სუნით დატკბები, მერე კი, ყავას აადუღებენ, — თქვა ანმა. და კეთილად, დედობრივი გრძნობით გაჰკრა ოტოს გვერდში ხელი. — ამან დაფქვას, ტინკა. შენ კი წადი და წყალი შეადგი.

— თქვენ, ახალგაზრდები, ყოველთვის ჩქარობთ, — თქვა რუულანტმა. — და არც კი შენიშნეთ, კიდევ რა დააწყო ვეინანტმა მაგიდაზე.

ისევ მივცვივდით ჩვენს ამხანაგს, ბაყალს; მან ნაცრისფერი ქაღალდის პაკეტიდან ლითონის ორი ქილა გადმოყარა.

—ხათაბალა! — დაიყვირა ფრანსმა და თვალები გაუბრწყინდა. ამ წუთში იგი სკოლის მასწავლებელს ჰგავდა, რომლის მოწაფეები ზედიზედ შეუცდომლად ხსნიან ყველა ამოცანას . — ყოვლად შეუძლებელია! შესქელებული რძე!

სასოებით შევცქეროდით ჰოლანდიის ადრინდელი ფუფუნების უბადრუკ ნარჩენებს, ქილებს ხელში ვწონიდით, ვათვალიერებდით ღია ფერის ეტიკეტს, რომელზედაც მინდორზე საძოვრად გაშვებული ძროხები ეხატა.

— სად იშოვე ესენი, შე კონტრაბანდისტო? — ჰკითხა რულანტ-

— ნურასდროს ნუ იკითხავ იმას, რაც შენ არ გეხება, — შეაწყვეტინა ვეინანტმა. — მე ხომ არ გეკითხები, როგორ შოულობ სურსათს? — შენ, ალბათ, უკვე იცი, ხანა, — მითხრა მან ღიმილით, — რომ რულანტს მეფურაჟის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა?

— მგონი, ყური მოვკარი, — ვუპასუხე მე.

— ეს ორივემ გააკეთა, რულანტმა და ოტომ! — აგვიხსნა ფრანსმა. — მათ ჰარლემერ მეერის მთელი რაიონი გადაჩხრიკეს. ახლა მოხუც დავრდომილთა თავშესაფრის პატარა ეკლესიაში სურსათის სამოცდაათზე მეტი შეკვრა აწყვია. ხორბალი, ბარდა და ლობიო.

რულანტმა ხელი გაიქნია:

— ნუღა იტყვით! გახსოვს, ოტო, როგორ გავწვალდით გადაზიდვის ნებართვის შოვნის დროს?

—...ან კიდევ როცა საკუთარი ხელით ვამზადებდით! რამდენი ხალხის შოვნა დაგვჭირდა მოსახმარებლად... სატვირთო მანქანების შოფრები, მეწისქვილეები! რამდენი საზიდარი დავიქირავეთ, საბარგიანი, სამბორბლიანი ველოსიპედები, ხელის მაზიდები!..

— თავისებურად, ეს ოპერაციაც პირველი კლასისა იყო, — თქვა ფრანსმა. — აბა, ტინკა, წადი და გააკეთე, რაც შენმა დამ გითხრა: წყალი შეადგი! შენ კი, ოტო, ყავა დაფქვი!

საერთო გამოცოცხლებამ ის დრო გამახსენა, როცა პირველად მიმიღეს შტაბში, მაგრამ დღეს იგი მეტისმეტად საგანგებო, დაუჯერებელი იყო; როცა გავიხსენე ყველა, ვისაც მაშინ აქ შევხვდი, მომეჩვენა, რომ ოთახს პირქუში ჩრდილი გადაეფარა. ამხანაგებმა ცოტა ხანს კიდევ შეინარჩუნეს მოჩვენებითი უშფოთველი მხიარულება. მე კი ცალკე ვიჯექი და საუბარში არ ვმონაწილეობდი.

ვტკბებოდით ნამდვილი ყავითა და დაკონსერვებული ნამდვილი რძით, ნელა, თვალდახუჭულები ვსვამდით. როგორ მინდოდა გამეგო, რაზე ფიქრობდნენ ჩემი ამხანაგები! ფრანსი, როგორც ყოველთვის,

ლმობიერი და თვითკმაყოფილი იყო; ვხედავდი იგი თავს ისევ გრძნობდა პატარა, მაგრამ გამოცდილი საბრძოლო რაზმის ბელადად.

— მომისმინეთ, — თქვა მან ბოლოს, — მოკავშირეთა შემოჭრის შემდეგ დღეს პირველად შევგროვდით აქ, როგორც წინააღმდეგობის ჯგუფი. უნდა განვიხილოთ ახლანდელი მდგომარეობა, როგორ წარიმართა იგი ჩვენთვის, მას შემდეგ... ჩვენ მიერ განცდილი დანაკარგის შემდეგ. მოკავშირეები ყველგან წინ მიიწევენ. გერმანელებს მათ მიერ ოკუპირებული რაიონებიდან გაჰყავთ თავიანთი ბრძოლისუნარიანი ჯარები, აქ კი მოხუცებს გზავნიან... მაგრამ აქ რჩება სისხლის სამართლის პოლიცია და „უშიშროების სამსახური", როგორც უკვე გითხარით. ისინი, რა თქმა უნდა, ისე მოუჭერენ პოლიციის ქანჩებს, რომ ამოოხვრასაც ვერავინ შეძლებს... ყოველ შემთხვევაში, ეცდებიან, ასე მოიქცნენ. ჩვენს ჯგუფს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ კიდევ რამდენიმე თვე მოგვიწევს მძიმე მდგომარეობაში ყოფნა. ძალიან ცუდად გვაქვს საბრძოლო მასალის საქმე. წესიერი ველოსიპედებიც არ გაგვაჩნია. ჩვენი რევოლვერები მოძველებულია... ამ ამბებზე ვესაუბრე პარტიის ხელმძღვანელობას. რაც შეიძლება. ძალე უნდა მოვკიდოთ ხელი საქმეს და, რაც ჩვენთვის აუცილებელია, უნდა ვიშოვოთ...

— რა გზით? — იკითხა ვეინანტმა.

— მშვენიერად შეგიძლია ყავისა და რძის შოვნა, — უპასუხა ფრანსმა, — განა ასევე ვერ იშოვი ორიოდე ველოსიპედს? გერმანელი პატრულები მშვენიერი ველოსიპედებით დადიან...

— ეს რა? დავალებაა? — ჰკითხა ვეინანტმა, თან ყურს იწიწკნიდა.

— შეგიძლია ასე ჩათვალო, — განუცხადა ფრანსმა. — შენ, ვიხერი და ოტო რამდენიმე შესაფერ ველოსიპედს იშოვით; ვისგან იშოვით — ამას შენ გადაწყვეტ: კოლაბორაციონისტებისგან, გერმანელებისგან, პოლიციელებისგან — მნიშვნელობა არა აქვს, საიდან იშოვი. აქ ორი სათადარიგო ველოსიპედი გვჭირდება.

— ბარემ ჩემთვისაც იშოვე ქალის კარგი ველოსიპედი, — უთხრა ტინკამ, — თორემ ჩემი ძველ საკერავ მანქანას ჰგავს, რომლიდანაც ცოცხალ-მკვდარი ჩამოვდივარ ხოლმე... მე თვითონ შევღებავ სხვაფრად.

— ჩემთვისაც არ იქნება ზედმეტი ფუფუნება ახალი ველოსიპედი, — ჩავურთე მე.

— ჩავიწერთ, ამხანაგებო, ქალის ორ ველოსიპედს, — თქვა ვეინანტმა.

— რულანტს და მე ხემსტედში ერთი საქმის მოგვარება მოგვიწევს, — შეგვატყობინა ფრანსმა. — პირველ კვირეებში იქ ჩვენთვისაც საქმაო იქნება სამუშაო... აქ სამი ქალიშვილი დარჩება.

— ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა ანმა და თავისი ხშირი თმა შეარხია.

ფრანსმა გაიღიმა:

— როგორც კი ველოსიპედებს მოიტანენ, თქვენ წახვალთ წინააღმდეგობის საბჭოსთვის რაიმე იარაღებისა და საბრძოლო მასალის საშოვნელად. ჩვენს ხელმძღვანელობას აქვს მისამართები, სად აწყვია ისინი თქვენთვის გამზადებული, და ისეთი მისამართებიც, სადაც მათი შოვნა შეიძლება.

— ჩვენ ხომ მივიღებთ ჩვენს წილს? — იკითხა ოტომ.

— რა თქმა უნდა, მაგაზე არ შეწუხდე, — უპასუხა ფრანსმა. — მაგრამ ახლა იძულებული ვართ, ყოველი ვაზნა დავზოგოთ, დამოუკიდებლად გამოსვლას ვერ შევძლებთ.

— როცა კარგ მარაგს გავიკეთებთ, მაშინ?.. — ვკითხე მე.

— მაშინ დავიწყებთ ბრძოლას, — თქვა ფრანსმა, თან სახელოზე ნაოჭს ისწორებდა. — უკვე გათვალისწინებული მაქვს, ვინ იქნება ჩვენი პირველი ნომერი, ალბათ, შენ იცი, ხანა.

„რაც ფრისლანდიაში იატაკქვეშელებმა ვერ მოახერხეს, უნდა მოხერხდეს ჰარლემში“, — გავიფიქრე მე. ხმა არ ამომიღია, ისე დავუქნიე თავი.

მეორე ფინჯანი ნამდვილი ყავა დავლიეთ, თუმცა უკვე თხიერი იყო. ამჯანაგები თანდათან დაიშალნენ. ქალიშვილებთან ერთად ყველაზე დიდხანს დავრჩი შტაბში. ვცადე მათთვის გამომეკითხა ტვენტეს ჯგუფის დივერსიის მარცხით დამთავრების ამბავი, მაგრამ ისინი უხალისოდ იძლეოდნენ პასუხს. მივხვდი, რომ ამ ჯგუფის ისტორია პატარ-პატარა მარცხების ჯაჭვს წარმოადგენდა და ბოლოს ქალიშვილებმა გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ თავიანთი მოქმედების ძველ რაიონში. ძალიან მიხაროდა მათი აქ ყოფნა.

შავგვრემანი ხანა

ერთმანეთს მისდევდნენ გულის გამაწვრილებელი კვირეები. კარგად მახსოვდა აქ გატარებული მსგავსი დღეები, როცა ფრთხილად მოქმედება გვიხდებოდა, ყველანი ვისხედით შტაბში და უსაქმობის-

გან გული გვიწუხდა. ამჯერად იმიტომ ვისხედით უმოქმედოდ, რომ ოპერაციებისათვის მზად არ ვიყავით.

ველოსიპედების საქმე ვერ გვარდებოდა. ორი კვირის განმავლობაში სამმა ჩვენმა ამხანაგმა, რომელთაც ეს საქმე ჰქონდათ დავალებული, მამაკაცისა და ქალის თითო ველოსიპედის შოვნა მოახერხეს მხოლოდ. ქალიშვილებმა მწვანე და ნაცრისფერი ლაქით შეღებეთ და ტინკას ძველი ცხენის ურემი დავშალეთ, გამოსადეგი ნაწილები კი მებაღის სახლში დავმალეთ.

რულანტისა და ფრანსის საქმე როგორ მიდიოდა, ვერ გავიგეთ. ისინი ხმას არ გვაწვდიდნენ.

სამი კვირის განმავლობაში ანი, ტინკა და მე სულ ორჯერ ვიყავით იარაღების მოსატანად. ორივე ქალიშვილი გულადი და მარჯვე გამოდგა. მათ გამბედაობაში ტვენტეში ჩვენი გაცნობის მერე ეჭვი არ მეპარებოდა. ისინი რევოლვერსა და საბრძოლო მასალებიან კოლოფებს ველოსიპედის ჩანთებში პურივით ალაგებდნენ. არ ეშინოდათ გზაზე გერმანელთა პატრულის შეხვედრის, ან ხიდებთან და გზაჯვარედინებზე მდგომი ფაშისტთა დამხმარე პოლიციის თანამშრომლებისა, რომლებიც ნადავლს სუნს უღებდნენ. ერთხელ ფელზენთან, ბორანზე ტინკამ მშვიდად მიაყუდა თავისი ველოსიპედი ვერმახტის ავტომანქანაზე, მხიარულად ელაპარაკებოდა ორ გერმანელ ოფიცერს და პასუხობდა მათ არც მთლად რიგიან ხუმრობას.

იარაღებისათვის მეორედ წასვლის დროს — ეიტხესტიდან ფელზენამდე— განვიცადეთ ისეთი რამ, რაც თვალნათლივ ადასტურებდა ჩემი ახალი ამხანაგების სიმშვიდეს, თუმცა ამაში ისედაც ვიყავი დარწმუნებული.

როცა ველოსიპედის ჩანთები ტყვიასავით მძიმე ტვირთით ავავსეთ და უკან ვბრუნდებოდით, ბეევერვეიკში შესვლისას ქუჩაში გავიჭედეთ და იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით; ჩვენგან ასი მეტრის დაშორებით, ვერმახტის ორი სატვირთო მანქანა ერთმანეთს ბორბლებით დაეჯახა და ქუჩა ჩაკეტა. ქვეითად მავალნი და ველოსიპედიანები გზის თავისუფალ, ვიწრო გასასვლელში იკვლევდნენ გზას თევზებივით, რომლებსაც რაბში ერეკებიან. არ ვიცი, როგორ მოხდა, ალბათ, ჩანთა ძალიან მძიმე იყო, ანი ველოსიპედიანად შექანდა, რაღაც უხეირო მოძრაობა გააკეთა და წაიქცა. ველოსიპედის მაგრად გატენილი ჩანთა გვერდით ჩაცურდა. რაღაც გაწყდა— ალბათ, ღვედი არ იყო მაგარი. ქვაფენილზე პატივცემული და გულუბრყვილო ჰოლანდიელთა ჯგუფის თვალწინ გაიფანტა ჩვენი საზღვაო და პოლ-

იციის პისტოლეტები, ვაზნებიანი კოლოფები და ცალკე ვაზნები— იარაღების უწესრიგო მაღაზია შუა ქუჩაში.

მაშინვე დავდექით ანის ველოსიპედთან. მაგრამ ჩვენმა მარაგმა უკვე მიიპყრო ყურადღება. მუქ-ნაცრისფერ პალტოიანმა ვიღაც ქალიშვილმა — იგი ისე გამოიყურებოდა, თითქოს თავის სიცოცხლეში არ ეთქვას საგინებელი ან უხეში სიტყვა, — ცივი ხმით წამოიყვირა: „იესო, მარიამ!..“ მუშებმა გასაფრთხილებლად დაგვიყვირეს, ახალგაზრდა ყმაწვილს კი, მკვდრის ფერი დაედო, როცა მოტოციკლეტის წინა ბორბლის ქვეშ ვაზნები შეუცვივდა. შეშინებულმა მოტოციკლეტი მიატრიალა. რამდენიმე წუთში მხოლოდ ჩვენ ხამნი დავრჩით ქუჩაში, ყველანი გაიქცა-გამოიქცნენ.

ტინკამ თავისი ველოსიპედი ხეზე მიაყუდა, მე კი ჩემი მანქანა მეჭირა და ისევ ისე ვიდექი. ვერმახტის ორი მანქანისაკენ გავიხედე, რომლებიც ჩვენგან ასი მეტრის მანძილზე იდგნენ. მწვანე უნიფორმიანი ჭაბუკები გვიახლოვდებოდნენ და რაღაცას გვიყვიროდნენ, სიტყვები ვერ გავარჩიე. ირგვლივ მიმოფანტულ რევოლვერებსა და ვაზნებს შორის დაჩოქილი ანი სწრაფად აგროვებდა მათ და ჩანთაში ტენიდა. ტინკა ანის მისაშველებლად გაიქცა, მე კი მისი ველოსიპედი მეჭირა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა და, გარდა ამისა ისეთი სიმშვიდე გამოვიჩინეთ, რომ თავი ვერ შეეიკავე და გადავიხარხარე. ტინკამ ჯერ მე შემომხედა, მერე ანს; ანმაც ვერ შეიკავა თავი და ხმამაღლა გაიცინა. ტინკას პატარა, სიცოცხლით სავსე სახე გულიანი, უშიშარი სიცილისაგან აუცახცახდა — ასე იცინიან სრულიად ნორჩი გოგონები. ათიოდე წამი ვიცინეთ. ზუსტად ასე ვიცინოდით სამივე ენსხედში, ჰოსპიტალში. მერე ანის ველოსიპედი ავიღეთ, ჩანთა მაგრად მივამაგრეთ ზედ და ისევ გავუდექით გზას, აქაოდა არაფერიაო. ვერმახტის ავტომანქანებში სამხედროები მიბრუნდნენ და თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ერთმა უნტერ-ოფიცერმა გერმანულად დაგვიყვირა: „რა მოხდა მანდ?“ — მე კი, როგორც ყოველთვის, საპასუხოდ ჰოლანდიურად დავუყვირე: „არაფერი.. ერთი ქალი წაიქცა“. ჩვენ მტრებს გვერდით ჩავუარეთ. ერთი საათის შემდეგ საბრძოლო მასალა დანიშნულ ადგილზე მივიტანეთ. მხოლოდ მაშინ გავიცინეთ ისევ; ახლა დიდი დრო გვქონდა. შტაბში ჩვენმა მონათხრობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯერ კიდევ ამ შემთხვევამდე თმა შავად შეეიღებე. ეს გავაკეთე ანის რჩევით, რადგან ფრანსმა ზუსტი ცნობები მოიტანა: ჩემი ფოტოსურათი და ნიშნები პოლიციის უწყებებში იყო მოთავსებული.

„წითური თმა“ — მითითებული იყო გარეგნულ ნიშნებში. მე

მართალი ვიყავი. როცა ვფიქრობდი, რომ ჩემი თმის ღია ფერით მტერი უფრო ადვილად დამიჭერდა. შევედი აფთიაქში, რომლის მისამართი ვეინანტმა ექიმ მარტინს გამოართვა. იქ მომიმზადეს საზიზღარი, მაგრამ საიმედო ნარევი: თმა იანისა და კარლინ ფერლიმენების სახლში შევიღებე. შტაბში გადმოსვლის შემდეგ ისევ იქ ვცხოვრობდი, მხოლოდ ხანდახან ვათევდი ხოლმე ღამეს „თამბაქოს კასრში". როცა სარკეში ჩემს თავს შევხედე, ძლივს ვიცანი ჩემი ოდნავ ჭორფლიანი, ფერმკრთალი სახე, რომელიც თითქოს შავ მქრქალ ხის ჩარჩოში იყო ჩასმული, ჩემივე თავის შემეშინდა და ასე ვფიქრობ, რომ კარლინსაც შეეშინდა ჩემი. მაგრამ იგი გაფრთხილებული იყო და, როცა პირველად დამინახა, წითურის ნაცვლად შავი კულულებით, მხოლოდ ეს მითხრა:

— როგორღაც უცნაურია, ხანა... ხელახლა უნდა შეგეჩვიო.

თმის შეღებვით გამოწვეულმა წყენამ ცოტათი შემიმსუბუქა ჩემი დიდი მწუხარება. არ უნდა მელაპარაკა მის შესახებ, არც კი უნდა მეფიქრა... ეს ფიქრი გულს მიმძიმებდა: ნუთუ მართლა არ უნდა მეფიქრა? სულ ერთია, როგორადაც არ უნდა გამოვიყურებოდე. ჩემ წინაშე მხოლოდ ერთი მიზანია — მტერი უნდა გავანადგურო... ვიცოდი, ახლა თმის ფერს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმიტომ, რომ ვის წინაშეც ვამაყობდი წითური თმით, იგი ვეღარ მხედავდა.

ანი, ტინკა და მე მოუთმენლად ველოდით დავალების მიღებას. ყოველ დილით ვცხადდებოდით შტაბში. ჩვეულებრივად, ფრანსი ხან დაგვხვდებოდა, ხან კი არა. ერთხელ ანმა გიტარა მოიტანა. ანი და ტინკა ჩემზე ბევრად მუსიკალურები იყვნენ. სკოლაში საბავშვო სიმღერებს რომ გვასწავლიდნენ, იმასაც ვერ ვიხსომებდი, მხოლოდ „მარსელიოზას" სტვენა შემეძლო. იმასაც აუცილებლად ვამახინჯებდი ორ ადგილას პასაჟში „L'étandard sanglant est Levé", თუმცა გულმოდგინედ ვიმეორებდი სიტყვებს. ანმა და ტინკამ მასწავლეს რუსი პარტიზანების სიმღერები, კატალონელი მომკელების სიმღერები, და „ვარშავიანკა". მათ იცოდნენ სიმღერა „ბანდერა როსას" — „წითელი დროშის" იტალიური ტექსტიც, აგრეთვე 1636 წელს ერიხ ვაინერტის მიერ მადრიდის სანგრებში შეთხზული, —ტელმანის სახელობის ბრიგადის სიმღერაც. ამ სიმღერის მოსმენის დროს ყოველთვის ჩემდა უნებურად ვფიქრობდი იმაზე, რომ იტალიელი კომუნისტები განთავისუფლების შემდეგ ისევ იმღერებენ თავიანთ სიმღერას, ბუხენვალდში გამომწყვდეული ტელმანი კი იქნებ უკვე მოკლეს ესესელებმა-მეთქი... ყველა ამ სიმღერის ღიღინი ვისწა-

ვლე მაშინ, როცა ანი და ტინკა ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მთელი ხმით მღეროდნენ ხმამაღლა, მოჟღრიალე გიტარის უცნაურ აკომპანემენტზე. მებატონის ძველი სახლი საკმაოდ შორს იყო გზატკეცილიდან, რომ ვინმეს გაეგონა ჩვენი სიმღერა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავრწმუნდი, რომ იანთან და კარლინთან დარჩენა აღარ შემეძლო. აღარ მინდოდა იქ დარჩენა. ისინი ჩემთვის და-ძმაზე ახლობლები იყვნენ. თავიანთ საზრდოს მინაწილებდნენ და ის მცირე ფული, რასაც მე და ჰუგო ვუხდიდით მათ, არ უნაზღაურებდა პროდუქტის ღირებულებას: მაშინ ფულს არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ფერლიმენებმა თავშესაფარი მოგვცეს, რაც არც ისე ხშირად ხდებოდა, ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე. იცოდნენ, რა ხალხს იფარავდნენ გერმანელებისაგან. ყველაფრის მიუხედავად, ფერლიმენებისაგან უნდა წავსულიყავი, სამზარეულოში ვიჯექი, პატარა ხეისი მუხლებზე მეჯდა და მათ ვესაუბრებოდი იმის შესახებ, რომ მათზე ვშიშობდი, რადგან ახალი დავალებები მქონდა მიღებული, ჩემი ფოტოსურათი კი პოლიციას ჩაუვარდა ხელთ. დასტურის ნიშნად თავი დამიქნიეს, კარგად გვესმის რამდენად მნიშვნელოვანია ეს არგუმენტიო, რა თქმა უნდა, მართალი ხარო; მაგრამ, ჩვენ სამივემ კარგად ვიცოდით სხვა, ფარული, უფრო სერიოზული მიზეზი: აქ მარტო გაჩერება აღარ შემეძლო. ერთხელ დილით ჩემს თავს შევნიშნე, როცა ავდექი, ჩემი პატარა ოთახის ვიწრო ფანჯარაში დავიწყე ყურება —რასაც ხშირად ვაკეთებდი წინათ, რომ მენახა სადმე ბოსტანში ხომ არ მუშაობდა ჰუგო. მეორეჯერ წარმოვიდგინე, რომ მივდივარ ჰუგოსთან რაღაცის მოსაყოლად, გავიარე გრძელი საქათმე, შევჩერდი ფარდულში, სათავსის წინ, სადაც ბარდასა და ლობიოს ინახავდნენ. მაგრამ ჰუგო ახლა აქ არ არის და არასოდეს აღარ იქნება.

ჩემოდანში სწრაფად ჩავალაგე ჩემი ტანისამოსი, ბარგი ცოტა მქონდა. იანსა და კარლინს ბევრი არ ულაპარაკიათ. როცა მათ ვემშვიდობებოდი, ისევ განვიცადე მტანჯველი მორიდება. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მეთქვა, ამიტომ გამეხარდა, როცა კარლინმა მიხსნა მდგომარეობიდან და გადამეხვია.

სამივენი ეზოში იდგნენ და ხელს მიქნევდნენ. კარლინს ხელში ხეისი ეჭირა, რომელიც ყვიროდა: „ნახვამდის, დეიდა!“ — იანი კი ნელა მიქნევდა ნიჩაბს, სანამ სილიანი გზის მოსახვევს არ მივეფარე.

ამ დღეს, როცა ველოსიპედით ჰარლემში მივდიოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბრმა, უმწეო არსება ვიყავი, რომელიც სტიქიონის ანაბარა მიატოვეს... ადამიანი, რომელსაც ფეხქვეშ ნია-

დაგი გამოეცალა და ჯერ ვერ უპოვია ახალი საყრდენი წერტილი.

ანი ერთ მედიცინის დას იცნობდა, რომლის ოთახს სხვენი ჰქონდა, სადაც ერთი საწოლი დაეტეოდა. იქ უნდა მეცხოვრა. ხოლო როცა მედიცინის და სახლში არ იქნებოდა, შემეძლო მის ოთახში ვმჯდარიყავი და მესარგებლა გაზქურით, სამზარეულოს ჭურჭლით, თუ რამის გაკეთებას მოვისურვებდი.

დიდი გაჭირვებით ვეგუებოდი ჩემს ახალ საცხოვრებელს. მესმოდა დილით ადრე რომ მიდიოდა მედიცინის და; მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა მის ოთახს დავპატრონებოდი. გავასწორებდი ჩემს საწოლს — წინაალმდეგობის ჯგუფმა იგი ჩემთვის ინათხოვრა ექიმ მარტინისაგან, — და შტაბში მივდიოდი, ერთხელ დავათვალიერე, რა წიგნები ელაგა თაროებზე ჩემს ახალ დიასახლისს. იქ იყო სამედიცინო სპეციალური ლიტერატურა. რამდენიმე წიგნი ქალიშვილებისათვის — აშკარაა, ამ წიგნებს მათთან დაკავშირებული ამბების მოსაგონებლად ინახავდა, — და ორი-სამი ლექსების კრებული. გადავფურცლე, მაგრამ სადა, ლამაზმა სიტყვებმა სრულიად არ ამაღელვა.

ზაფხულის იმ ცხელ დღეებში ცუდად მეძინა. ჩემს „საძინებელ“ ოთახში, რომელიც დღისით თუნუქის სახურავისაგან ხურდებოდა, ღამითაც ფისის სუნით გაჟღენთილი სიმხურვალე იდგა. დირეებქვეშ ბეღურების უამრავი ბარტყი ჟღურტულებდა, როგორც იყო უძველესი ქალაქის ყველა ძველ სახლში. დიდხანს ვიწექი უძილოდ, უკუნეთ სიბნელეს მივჩერებოდი. დროდადრო ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემგან აღარაფერი დარჩა, ყოველგვარ გრძნობიერებას მოკლებულ გარსის გარდა. ყველაფერი რასაც წინათ წარმოვადგენდი, რასაც ვაკეთებდი, რაც ადრინდელ ცხოვრებასთან მაკავშირებდა წართმეული, ამოგლეჯილი, და მოკვეთილი მქონდა, ვცხოვრობდი იმავე ქალაქში, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, სადაც დავიბადე, ესეც კი არაფერს ცვლიდა. იძულებული ვიყავი ფარულად მეცხოვრა, დავდიოდი საზიზღარი, შეღებილი თმით, რითაც დავცინოდი საკუთარ თავს. იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც არ უნდა ვეცნე, და არც მე უნდა მეცნო ისინი... ფაქტიურად აღარ ვარსებობდი. „ხანა ს.“ იყო სახელი, მეხსიერებიდან ამოვარდნილი წარსულის ფორმულა. ჩემივე თავთან ბრძოლა მიხდებოდა, მტანჯველი შეგრძნების გამო, რომ თითქოს, რასაც აქამდე ვაკეთებდი, უაზრობა იყო და ცხოვრებამ მიმტყუნა.

ვიცოდი, რომ მთლად მართალი არ ვიყავი, მაგრამ თავის შეკავება აღარ შემეძლო და საკმაოდ აშკარად ვაგრძნობინებდი ხოლმე ჩემი ჯგუფის ამხანაგებს ჩემს მოუთმენლობასა და უკმაყოფილებას.

რა თქმა უნდა, ვამჩნევდი, რომ ფრანსს ეს არ მოსწონდა, აღიზიანებდა; მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო. ერთხელ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ვკითხე, როდის უნდა დაგვეწყო მოქმედება. უმნიშვნელო თავდასხმები რაღაც ველოსიპედებისათვის არაფრად არ ითვლებოდა. საკმაო ვაზნები დაგვიგროვდა, „მარაგი", რომელზედაც ფრანსი ამდენს ლაპარაკობდა, უკვე გვქონდა. ვხედავდი, ამხანაგები მეთანხმებოდნენ. თვითონ ფრანსსაც უნდა ეგრძნო, რომ ძალიან დიდხანს ითრევდა ფეხს უმიზეზოდ. მან ბუზღუნით ჩაილაპარაკა:

— როგორც შენ გსურს, ისე მოვიქცეთ... ხვალ ვილაპარაკოთ დაწვრილებით.

მაგრამ მან კიდევ სამი დღე გაიყვანა, როგორც ჩანდა, იგი ანის ან სხვა ვინმეს შეხვდა; მხოლოდ მაშინ გვაცნობა, შეგვიძლია დავიწყოთ ოპერაცია ობე სხააფის წინააღმდეგო.

სროლა სკოლიდან

ივნისის დასასრულსა და ივლისის დასაწყისში ანი, ტინკა და მე რამდენჯერმე წავედით დაზვერვაზე, სხააფის კვალის საპოვნელად. ფრანსის სიტყვებით, ავაზაკი, როგორც ჩანდა, თავს უშიშრად გრძნობდა ჰარლემის რაიონში, მაგრამ ერიდებოდა ხალხში ყოფნას. ორიენტაციისათვის ჩვენ მხოლოდ რომელიღაც გაზეთიდან ამოჭრილი, ისე ძალიან დასვრილი და გაცვეთილი ძველი ფოტოსურათი გვქონდა, — აშკარად ეტყობოდა, რომ დიდხანს იყო ნადები საფულეში ან უბის ჯიბეში, — რომ, იმის მიხედვით, ადამიანის ცნობა შეუძლებელი იყო.

ოტო გვერდზე გავიხმე და ვკითხე:

— შენ ხშირად დადიხარ აქეთ-იქით... თვალი ადევნე, თუ ობე სხააფის კვალს მიაგნებ, სასწრაფოდ გვაცნობე... ოღონდ, შენ არ ესროლო, გესმის?

— იგი თქვენთვის მოიტოვეთ რეზერვში, არა? — გულკეთილად გაიცინა ყმაწვილმა, — კარგი, გულმოდგინედ ვადევნებ თვალს.

ოტო მომწონდა. ძალიან მორიდებული იყო, უპირატესად — თავი შორს ეჭირა. იგი არ იყო უბრალო ოჯახიდან, მუშა არ იყო, როგორც მეორე, ახალბედა, ვიხერი. ოტოს მამა სოფლის სკოლის მა-

სწავლებლად მუშაობდა სადღაც ლეიდენსა და ჰარლემს შორის. ოტო საშუალო სკოლის უფროსი კლასიდან გამოვიდა, რომ ჩვენ შემოგვერთებოდა. ერთხელ თავის გეგმებზე დამიწყო ლაპარაკი:

— ქიმიის შესწავლა? არა, ახლა არა. რამდენიმე თვეა სახელმძღვანელოში აღარ ჩამიხედავს... თუმცა ეს დიდი საცთუნებელია, თუ მართალი გინდა. მაგრამ ჯერ საბოლოოდ უნდა გავუსწორდეთ ავაზაკებს. მაშინ თავიდან დავიწყებ ცხოვრებას.

ქიმიაზე დავუწყე გამოკითხვა. მან ღიმილით გაიქნია თავი.

— ტყუილად თავის გაღიზიანება არ ღირს, ხანა... შენც ხომ მიანებე სწავლას თავი, მიხვდი, რომ არის უფრო მნიშვნელოვანი ამბები.

დაფიქრებულმა თავი დავუქნიე და ვუთხარი:

— კი... მაგრამ მე თავი ნაწილობრივ იმიტომ დავანებე, რომ ამ მეცნიერებაში უკვე ვეღარ ვხედავდი ვერაფერს სასარგებლოს... ძალიან არაპრაქტიკულია. ეს ს ა მ ა რ თ ა ლ ი კი არა, მხოლოდ იურიდიული ფორმალობაა... რასაც ვერასოდეს ვერ იტყვი ქიმიაზე, ყველა მისი ფორმულის მიუხედავად. იგი ყოველთვის დარჩება ზუსტ მეცნიერებად.

— ისიც რა თქმა უნდა, ცვლილებებს განიცდის, როგორც სამართალი, — თქვა ოტომ. — მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან შეესატყვისება ცხოვრებას... არა, მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ლაბორატორიასა და ყველაფერ იმაზე ფიქრი, რაც მასთანაა დაკავშირებული, თავში ალკოჰოლივით მივარდება ხოლმე; და დიდი გაჭირვებით ვიკავებ თავს.

— ახლა მთავარია ობე სხააფი, — ვთქვი მე.

— და ველოსიპედები, — ამყვა ოტო.

ანი და ტინკა დეიდასთან ცხოვრობდნენ ბლუმენდალის საზღვართან, შტაბისაკენ მომავალ გზაზე ყოველდღე გამოივლიდნენ ხოლმე პოლიციის ყაზარმასთან, სადაც „უშიშროების სამსახური“ იყო მოთავსებული. თანდაყოლილი სიფხიზლისა და გამჭრიახობის მიუხედავად, დებმა ჯერჯერობით ვერ დაადგინეს, ვინ იყო იქ ობე სხააფი.

— ძალიან ბევრი ვიგინდარა დაეხეტება აქ, — ბუზღუნებდა ტინკა შტაბში და თმას იწნავდა გაყვლეფილი სარკის წინ, — როგორც ჩანს, ჩვენი ვაუბატონი მხოლოდ სიბნელეში მოქმედებს.

— ვინ იცის, რამდენჯერ ჩაუარე გვერდით, როცა იგი მანქანით მიდიოდა, — ვუთხარი მე.

— შეიძლება ბრაზისაგან გულზე გასკდე, — თქვა ანმა.

— იქნებ ოტოს უფრო გაუღიმოს ბედმა, — შევნიშნე მე.

— არ მშურს ასეთი ბედნიერება, — ისე ხმამაღლა წამოიძახა ტინკამ, რომ სამივემ გადავიხარხარეთ.

მოწყენილები ვიყავით. შტაბში წიგნების მოტანა დავიწყე, გადავწყვიტე, თავიდან ბოლომდე, საფუძვლიანად წამეკითხა „კაპიტალი“. კითხვას შევუდექი. მაგრამ გულს ვერ ვუდებდი. თუმცა თავს ვარიდებდი დაპატიმრებულ მშობლებზე ფიქრს, მაგრამ სხვა ჩემი ფიქრებიც როდი იყო სასიხარულო. სულ მეჩვენებოდა, რომ დრო ამოდ იკარგებოდა, და გულხელდაკრეფილი ვიცდიდით... არაფერია ასეთ მდგომარეობაზე ცუდი. ხანდახან მთელი დღე გარს ვუვლიდი ქალაქს — და ბოლოს და ბოლოს, ჰარლემი განა მსოფლიოს დედაქალაქია! სხააფის ცხოვრების დახლართულ გზას ხომ სადმე უნდა შეჰყროდა ჩემი გზა, ვფიქრობდი მე. მაგრამ ვერ მივაგენი ამ გზას. მივდიოდი შტაბში იმ იმედით, რომ ანი და ტინკა უკეთეს ამბავს მოიტანდნენ. დღისით რამდენიმე საათი ვიჯექი ხოლმე მარტო, თავი ხელებში მქონდა ჩარგული და ვცდილობდი, ყურადღება გამემახვილებინა, რომ „საქონლის“ რთულ არსს ჩავწვდომოდი. საკითხებს ვიწერდი და ჩემდა გასაოცრად, ბევრი რამეც დაკიხსომე, ისე, რომ ზოგიერთი შემეძლო მომეთხრო ანისა და ტინკასათვის, რომლებიც სწავლამოწყურებულნი შეკითხვებს მაძლევდნენ. ანი დიდხანს უკრავდა გიტარას და მუსიკას უხმოდ ვუსმენდით. ხან ისევ ვიკრიბებოდით, ვსვამდით ლუდს, რომელიც თანდათან საზიზღარი ხდებოდა, და ვუსმენდით დების სიმღერას.

სხააფის ამბავი პირველად რულანტმა მოიტანა. ერთხელ ზაფხულის გრძელ, მზიან დღეს, როცა მოწყენილობისაგან გულშეღონებულები ვისხედით ბველ დივანზე და ზანტად ველაპარაკებოდით ერთმანეთს, ოთახში რულანტი შემოვიდა და განაცხადა:

— მე ვიცი სადაცაა სხააფი!

მაშინვე გამოვცოცხლდით, შემოვეხვიეთ ცნობისმოყვარეობითა და შურით ავსილნი, და კითხვები დავაყარეთ, ვიდრე გვიპასუხებდა, აუჩქარებლად დაჯდა დივანზე და მოხერხებულად მოიკალათა.

— ჩემი ცოლისძმის, კორის მეზობლად, — თქვა ბოლოს რულანტმა.—ხოოივახენსტრატზე, ხემსტედსა და ჰარლემის საზღვარზე ცხოვრობს ერთი პიროვნება, იგი უკვე კარგა ხანია შეგობრობს ერთ ტიპთან „უშიშროების სამსახურიდან“. იგი კვირაში ერთი-ორჯერ მოდის ხოლმე მასთან, როგორც კი მისი ქმარი წავა სახლიდან. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ყველამ იცის. ამ დღეებში კორს ბედნიერება ჰქონდა ერთი მისი მეზობლისგან გაეგო, ეს ტიპი ნამდვილად ობე სხააფიაო.

— ვაშა! — წამოვიყვირე მე,—შენს ცოლისძმას ხომ არ ეშლება, რულანტ?

— ეშლება? კაცი, რომლისგანაც მან ეს გაიგო, ლეეფარდენის გვერდით სოფელში ცხოვრობს, ის და ობე სკოლაში ერთ მერხზე ისხდნენ.

— ვაშა! — კიდევ ერთხელ შევძახე მე. — ობეს ტრფიალებას ბოლო მოეღება.

— იქნებ, მასთან ერთად ის მეძავიც ჩავიგდოთ ხელთ? — შეინოვვთავაზა ტინკამ.

გუნება გამოგვიკეთდა. გამოვცოცხლდით. რულანტს დაწვრილებით ვათქმევინეთ, სად ცხოვრობდა მისი ცოლის ძმა და მაშინვე წავედით დასაზვერად. იგი სრულიად ახალ კვარტალში ცხოვრობდა, რომლის შენებას ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეუდგნენ, მაგრამ ოკუპაციის გამო მშენებლობა შეჩერდა. ახალი სახლები განლაგებული იყო სილიან უშენ ადგილას, სადაც აქა-იქ ბალახს ამოეხეთქა. ხიდიანი საგდები არხი ამ ქუჩას ქალაქის პირველ, განიერ ქუჩასთან აერთებდა. არხის გასწვრივ კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე უფრო ძველი სახლი, მათ შორის კი მიემართებოდა გამოუყენებელი სამშენებლო ნაკვეთებისა და ბაღების უდაბური ადგილები, რომლებზედაც არავინ არ ზრუნავდა. ხიდთან მურყნისა და ტირიფის მეჩხერი ტყე იყო, სადაც თუ სიფხიზლეს გამოიჩენდი, დამალვა შეიძლებოდა. სახლების ორ მწკრივს შორის სკოლის შენობა იდგა, მის უკან კი — ღობეშემოვლებული მინდორი იყო. ყველაფერს ქალაქის დაცვისათვის დამახასიათებელი დაღი აჩნდა — ძველისა და ახლის ნარევი; ასეთი სურათი ჩვეულებრივად, ყოველთვის იწვევს მსუბუქ სევდიან განწყობილებას და მომავლის იმედს.

მთელი კვირის განმავლობაში ვზვერავდით ამ კვარტალს მე, ანი და ტინკა. „უშიშროების სამსახურის“ არც ერთი მზვერავი აქ არ გამოჩენილა. დღისით რამდენჯერმე ვნახეთ სამოქალაქო ტანისაცმლისიანი არასასიამოვნო გარეგნობის ტიპი, იგი ერთ-ერთ ბინაში შედიოდა; თუმცა ანი ამბობდა, ამ ვაჟბატონს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს „სამშობლოს მოღალატე“ ეწერა ზედო, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავდა, რომ ობე სხვაფთან გვქონდა საქმე.

ამხანაგები ყოველდღე გვეკითხებოდნენ, როგორ მიდიოდა საქმე, ჩვენ კი გვეჩვენებოდა, თითქოს მათ უხაროდათ, საქმე რომ ადგილიდან ვერ დავძარით. ისინი გულკეთილად დაგვცინოდნენ, მე კი ბრაზი მახრჩობდა, და ძალიან გამეხარდა, როცა ჩემთან ერთად ოთახში მარტო დარჩენილმა ოტომ მითხრა:

— მე ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ვერ ვისვრი... არ შეგიძლია, რამდენიმე გაკვეთილი ჩამიტარო?

მაშინვე გამახსენდა, შტაბში პირველად რომ მოვედი, როცა ნაძვების ხეივანში, „ესპანური მუხების“ მამულში, სროლას ვსწავლობდი. გამახსენდა პირველი საშინელი ხუმრობა, რომელიც ფრანსმა მომიწყო, როცა ტყეში წამიყვანა და უცებ გამომიცხადა, გერმანელი აგენტი ვარო. ოტოს დავეთანხმე სროლა მესწავლებინა მისთვის.

ამის შემდეგ, მამულის ფიჭვების ხშირ ხეივანში, რომელიც ხმებს ახშობდა, ყოველდღე ვვარჯიშობდით. ხანდახან ანი და ტინკაც ჩვენთან იყვნენ. თუმცა ვათ არ სჭირდებოდათ სროლაში ვარჯიში. ისინი ზუსტად ისროდნენ და დასცინოდნენ ოტოს, როცა მიზანს ააცდენდა ხოლმე; იგი უფრო გაუბედავად ისროდა, ვიდრე მოველოდი.

— ძალიან ძაბავ ხელს, — უთხრა მას ტინკამ.

— მშვიდად უნდა დაუმიზნო, — დასძინა ანმა. — როცა ჩახმახს ხელს აჭერ, მაშინვე იფიქრე ტყვია უკვე მოხვდა მიზანს-თქო.

— მოდი, ოტო, გავიმეოროთ, — ვუთხარი მე. — უფრო გაბედულად.

დღისით თვალს ვადევნებდი იმ კვარტალს, სადაც სხააფის ხასა ცხოვრობდა, თუ რულანტისა და მისი ცოლისძმის რწმუნება და რულანტის ნაცნობის ცნობები სწორი იყო. ბედი არ გვიღიმოდა. უსაქმობისაგან მოთენთილები დავეხეტებოდით ქუჩებში: ვუმზერდით აგურის სახლებსა და სკოლის კედლებს, არხის მონაცრისფროცისფერ წყალს, ალაგ-ალაგ ამოსულ ბალახებს და მშენებლობებთან დაყრილ სილას; ეს ერთფეროვანი სურათი გამაღიზიანებელი და მოსაწყენი იყო თვალისთვის... ჩვენ თვალდახუჭულად შეგვეძლო გზის გაგნება.

— ალბათ, ობე სადღაც სხვა ადგილას საქმიანობს, —გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

— გააგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე... ან საფრანგეთში, — თქვა ანმა.

— რა კარგი იქნებოდა! — წამოიძახა ტინკამ, — იქ კი ნამდვილად მოუღებენ ბოლოს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი რევოლვერების ტყვიას გადაურჩება.

— არა, არა, — ვთქვი მე. — ფრანსი მართალია. აქედან ჯარები მიდის, პოლიციას კი აქ ტოვებენ. ისინი მათ დასაშინებელ საშუალებად სჭირდებათ. პოლიციის ამოცანაა — მკაცრად მოეპყრან. ოკუპირებულ ქვეყნებს.

— ერთ გულდენს ჩამოვდივარ, რომ ეს არამზადა ჯერ კიდევ აქაა, — თქვა ანმა.

— მე კი ვამატებ კიდევ ერთ გულდენს, ორსაც კი; სულ ერთია, ისინი არაფრად არ ღირან, — გამოეპასუხა ტინკა.

ჩვენი საუბრიდან მეორე დღესვე დავრწმუნდით, რომ ეს ავაზაკი ისევ აქ დაბრძანდებოდა, თუმცა ფეხით კი არა, ველოსიპედით. ის იყო ვაპირებდით კვარტალიდან წამოსვლას, სადაც ორი საათი ვყურყუტებდით, რომ უცებ თვალი მოვკარით ქალაქიდან ხიდისკენ ველოსიპედებით მომავალი „უშიშროების სამსახურის“ ორ მზვერავს. ისინი პირველად ანმა დაინახა; იგი ხელში მწვდა, და მე ველოსიპედიდან ჩამოვედი. ჩვენ უკან ტინკამ ხმაურით ჩაისუნთქა ჰაერი.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ანმა, — ორი ერთად.

— ტინკა, — ვუბრძანე მე.— გაჰყევი მათ, ჩვენ კი აქ დავრჩებით. თვალი ადევნე, ხოოივახენსტრაატისკენ ხომ არ წავლენ.

ვიდრე მეორე მხარეს გავუხვევდით და საგდებ არხს გავუყვებოდით, მე და ანი თვალს ვადევნებდით სამხედრო ფორმიან ორივე ვაჟბატონს. ერთ მათგანს — ქერას, საკმაოდ მსუქანს, უშველებელ წითელყურებიანს, თითქმის თეთრი ულვაში ჰქონდა, მეორე — შავთმიანი და გამხდარი იყო. ქერა, ჩემი აზრით, ჭკვიანი არა, მაგრამ გულკეთილი იქნებოდა, თუმცა სიკეთე სულ არ ეხამებოდა მის სამარცხვინო თანამდებობას. შავთმიანი, თუ მისი გარეგნობით ვიმსჯელებდ, ეშმაკი და გესლიანი ჩანდა. მე გავიფიქრე, ქერა ნამდვილად ფრისლანდიელია, შავთმიანი კი, უფრო საშიში სუბიექტი, — აუცილებლად ობე სხააფია-მეთქი. ტინკა უკვე დაედევნა მათ, მაგრამ, როცა იგი ხიდზე ავიდა, ისინი თვალს მიეფარნენ, სახლთან მოუხვიეს.

ათიოდე წუთი ვიცადეთ. მერე ტინკაც მოვიდა. იგი ახალგაზრდის დამახასიათებელი უდარდელობით მოგვიახლოვდა. ყველანი დავიმალეთ არხის გვერდით მურყანსა და ტირიფებში.

— როგორაა საქმე? — ვკითხეთ ტინკას. — გაიგე რამე?

ტინკამ ვიწრო მხრები აიჩეჩა: — ძალიან ცოტა. შავგვრემანი ხოოივახენსტრაატზე №11 სახლში შევიდა. მსუქანი ქერა გარეთ დგას და ყარაულობს.

ერთმანეთს გადავხედეთ.

— ორი პარაზიტი — რა თქმა უნდა, ბევრია, — ჩაილაპარაკა ანმა. — თუმცა არ შევშინდებით.

— გასაგებია, საშიში არაფერია, — დაუდასტურა ტინკამ. —

— როგორ ფიქრობ, ხანა?

— თუ ორივეს მოვკლავთ, დარწმუნებული ვიქნებით, რომ ერთ-ერთი მათგანი ობეა, — ვუპასუხე მე, — მაგრამ, ეს სახუმარო საქმე არაა.. ორი თაღლითი ავაზაკი რა თქმა უნდა, მშვენივრად ხმარობენ რევოლვერებს... მაგრამ ჩვენ ერთი რამ მტკიცედ ვიცით: ობე თავს ვერ გრძნობს ისე იმედიანად, როგორც ამას ფრანსი ამტკიცებს, ავაზაკს მცველი უშოვია.

ვერ გადაგვეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავით, ვიდექით და ჩუმად შევცქეროდით ერთმანეთს.

— თუ იგი ობეა... — დაიწყო ანმა.

— გეფიცები, რომ ის არის, — განაცხადა ტინკამ. — ყველაფერი ემთხვევა. მისამართი. დღისით მოსვლა...

— ნუთუ ეს მსუქანი სულ სადარბაზოში იდგომება? — ვიკითხე მე. ენა მოვიკვნიტე, რადგან ამ დროს მსუქანი ქერა ისევ გამოჩნდა ჩვენი მხედველობის არეში. ველოსიპედებზე შევსხედით და წარაფიდან წამოვედით; პირველ მოსახვევში გავჩერდით.

— უჰ! — ამოვიოხრე დაღლილმა. — მხოლოდ ხლაფორთს გვიმატებენ... ობემ თავის მცველი ერთი-ორი საათით გაუშვა, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა.

დიდი მოთმინებით, რომელიც უკვე ჩვეულებად გვექცა, ველოდით ამბის განვითარებას. თუმცა, ახლა აღარ ვიყავით ისე მომთმენნი. მომქანცველი გაურკვევლობისა და იმედგაცრუების მრავალი დღის შემდეგ პირველი ამაღლვებელი შემთხვევა გვეძლეოდა.

მსუქანი ქერა მაძებარი ანმა შებინდებისას ნახა, როცა იგი მართლა გამოჩნდა და ხოოივახენსტრაატზე წავიდა. იგი ნამდვილად იმისათვის დაბრუნდა, რომ თავისი თანამებრძოლი და უფროსი წაეყვანა.

— მაშასადამე, ჩვენი მოსაზრება სწორი გამოდგა, — ვთქვი, მე. — სახე მოღრეცილი გამხდარი შავგვრემანი — ობე სხაფია. ახლა, საკითხავი ისღაა, ყოველთვის მცველიანად დადის თუ არა?

ანმა ფხიზლად მიმოიხედა ირგვლივ.

— აქედან გაქცევა მხოლოდ არხის გასწვრივ შეიძლება, — მითხრა მან... — ამ ადგილიდან კი ძნელია ვინმეს მოკვლა.

— ვინმესი? თუ არაფერი შეიცვლება, მაშინ ორივე უნდა მოვკლათ, — შევესიტყვე მე.

—რა გაეწყობა, მე არ მეშინია, — თქვა ტინკამ.

— რა თქმა უნდა! ამაში ეჭვი არ ეპარება არავის, ვინც გიცნობს, — უთხრა ანმა. — შენ შეგიძლია ამის გაკეთება. მგონი მეც შევძლებდი და ხანაც. მაგრამ ჩვენი ოპერაცია კარგად უნდა

დამთავრდეს... ესე იგი, ჩვენ ბაზაზე უნდა დავბრუნდეთ. კიდევ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.

ზერელედ ვუგდებდი ყურს დების ხუმრობას და გულითად საუბარს. მეც ანიკით მოვავლე თვალი გარემოს. იგი მართალი იყო: აქედან გაქცევა ახალი კვარტალისა და სკოლის მხარეს შეუძლებელი იყო. იქ სილიანი უშენი ადგილიდან საძოვარი იწყებოდა, სადაც რა თქმა უნდა, თხრილები და ხერგულები იქნებოდა; რაც დაგვაბრკოლებდა, იმ შემთხვევაში თუ თავდასხმა არ გაგვიმართლდებოდა და იძულებული გავხდებოდით გაქცევით გეშველა თავისთვის. ციცაბო ნაპირებიანი არხიც ნაკლებად შესაფერი გზა იყო უკან დასახევად.

— ავტომანქანიდან სროლაა საჭირო. — ვთქვი მე.

— ჰუგოსავით, როცა მან ბორანზე მოსპო პოლიციის ჯაშუში... — წამოიწყო ტინკამ და უცებ გაჩუმდა. დავინახე — თუმცა დებს ეგონათ, რომ ვერ შევნიშნე, —ანმა სწრაფად რომ გაჰკრა ტინკას იდაყვი.

— ეს მთელი ჯგუფის საქმეა, — სწრაფად გამოასწორა მან.

დაფიქრებულმა დავუქნიე თავი.

— მართლაც, სწორია, — ვუთხარი მე. — კარგად უნდა გავეერკვეთ შექმნილ მდგომარეობაში, ქალიშვილებო, ჩავიხატოთ ადგილმდებარეობის გეგმა.

შტაბში ყველა ერთად ვათვალიერებდით ჩემ მიერ უხეშად დახატულ გეგმას: არხი, ხიდი და ახალი კვარტალი. რულანტმა ოდნავ შეავსო ჩემი ნახაზი, მან დაუმატა ქალაქისკენ მომავალი მოკლე გზები. მართლაც, სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ უკან დასახევი გზა მხოლოდ ხიდზე იყო. თუ სხააფს ხოოივახენსტრაატზე მოვკლავდით, მეორე მხარეს უკანდასახევი გზა, როგორც პირველად მეგონა, სრულიად გამორიცხული იყო.

— თუ ისინი სულ ერთად დადიან? — ვიკითხე მე.

— მაშინ ჯგუფურად მოქმედებაა საჭირო, — თქვა ვეინანტმა.

—სახიფათოა აქ, ამ მოსახვევში, — ჩაილაპარაკა ფრანსმა, რომელიც გეგმაზე იყო დახრილი. — ჩემი აზრით, ქალიშვილებმა უნდა ადევნონ თვალი, მარტო ხომ არ მიდის ობე იქ.

— ამასობაში ივლისიც გავა... — დავიბუზღუნე მე.

— მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას, — შემომედავა ფრანსი. — და განსაკუთრებით ახლა. გერმანელები გარბიან... იქნებ, შემოდგომაზე ყველაფერი გადაწყდეს, მაშინ დავიჭერთ ობეს.

— ფრანს, გჯერა, რომ ომი ასე მალე დამთავრდება? — ვკითხე სუნთქვაშეკრულმა. უცებ გულისტკივილით შევიგრძნე, რომ ჰუგო

და ჩვენი სხვა ამხანაგები, ათობით მებრძოლები — ჩვენი თანამემამულენი ომის მიწურულში დაიღუპნენ. ახალი ცხოვრების კარები უკვე გამოღებული იყო. ისინი ვერ ხედავდნენ დღეს, რომლის განთიადი უკვე დაიწყო. ამავე დროს ვიცოდი: უნდა გამხარებოდა, რომ კარები გამოღებული იყო და მალე ყველაფერი დამთავრდებოდა — ლაპარაკი ცოცხლებზე იყო.

— წინასწარმეტყველი არა ვარ და მარჩიელობას ვერ დავიწყებ... — თქვა ფრანსმა ცოტა მკაცრად. — მე პასუხს ვაგებ თქვენზე. უნდა ვეცადოთ ობე ზედმეტი რისკის გარეშე მოვსპოთ.

ჩვენ ისევ შევუდექით დაჟინებულ ძებნას, რომელიც დიდ მოთმინებას მოითხოვდა. სამი დღის განმავლობაში „უძიშროების სამსახურის“ ვაჟბატონები ახალ კვარტალში არ გამოჩენილან; მაგრამ, თანდათან უფრო მეტი საშიშროება იყო, რომ ვინმეს ყურადღება მიგვეპყრო. და აი, შავგვრემანი, ცბიერი სახის ვაჟბატონი ისევ გამოჩნდა. ახლა მას სხვა გამცილებელი ახლდა — დაბალ-დაბალი ჭაბუკი, რომელსაც ცხვირთან ხალი და თითქმის რომ არ უჩანდა ისე, მოჭუტული თვალები ჰქონდა.

— გავყვები მათ და ვნახავ, რას აკეთებენ, — ვთქვი მე.

უეჭველად, გამხდარი შევგვრემანი ის იყო, ვისაც ჩვენ ვეძებდით, — ჩვენ მიერ მსჯავრდადებული არამზადა, რომელმაც ჩემი დედ-მამა დააპატიმრა. მხოლოდ გამცილებელი შეიცვალა. მალე ობე ხოოივახენსტრაატის ქუჩაზე №1 სახლში გაუჩინარდა. დაბალი ჭაბუკი, რომელსაც თვალები ჭუჭრუტანას უგავდა, ცოტა ხანს გაჩერდა სადარბაზო შესასვლელთან, თვალი შემავლო, გაბრუნდა და წავიდა ქალაქისაკენ, რაკი დარწმუნდა, რომ ქუჩაში საშიში არაფერი იყო. მოგვიანებით, დღის ბოლოს, იგი ისევ გამოცხადდა — ჯაშუშის წასაყვანად, რომელიც დინჯად და მთქნარებით გამოვიდა სახლიდან, სადაც, აშკარა იყო, სიამოვნებით ერთობოდა.

— ეს შავგვრემანი — ობეა, ზუსტად შეიძლება ითქვას, — განაცხადა ანმა.

— აჰ, ნეტავი ერთი მაგას გავაცურებდეთ! — ამოიოხრა ტინკამ. ეს საკითხი შტაბში განვიხილეთ, თან ქუჩის გეგმას ვათვალიერებდით.

— ყველაზე მოხერხებულია სკოლაში დამალვა, — თავისი აზრი გამოთქვა ანმა. —სხვენის ფანჯრიდან სროლა. როცა ობე იმ დედაკაცის სახლიდან მიდის, ბავშვები სკოლაში აღარ არიან.

— მთავარია დარწმუნებული იყო, რომ არ ააცდენ, — თქვა ფრანსმა. — სხვაგვარად ვერ წამოხვალთ იქიდან.

—ყველაფერი კარგად ჩაივლის, სნაიპერი რომ გვაპოვნინა, — ვთქვი მე.

ახალბედა ვიხერმა, რომელიც რულანტთან და ოტოსთან ერთად ველოსიპედებს შოულობდა და იშვიათად ლაპარაკობდა, ჩუმად გაიცინა ჩემს ნათქვამზე.

—რამ გაგაცინა? — ვკითხე ვიხერს.

— შენ თუ სნაიპერს ეძებ, ვიხერი, რა თქმა უნდა, იცნობს ასეთ ვინმეს, — თქვა ვეინანტმა და მანაც გაიცინა. იცინოდნენ ფრანსი და რულანტიც. მივხვდით, რომ ისინი ჩვენ დაგვცინოდნენ. — ორმოცი წლის[1] მაისის დღეებში ვიხერი გრებებერგის მისადგომებთან ისროდა... — განაგრძობდა ვეინანტი. — არასდროს არ აუცდენია, ხომ ვიხერ?

ვიხერის მუდამ მშვიდი ნაცრისფერი თვალები აციმციმდნენ.

— „არასოდეს" — ძალიან ძლიერადაა ნათქვამი... მე მხოლოდ ის ვიცი რომ ჯერ კიდევ ომამდე ვერ მიტანდნენ ტირებში, ბაზრობებზე. ყოველთვის მე ვიღებდი პირველ ჯილდოს.

— დიდებულია, — წამოვიძახე მე.

—შორი მანძილიდან? —ჰკითხა ანმა დაეჭვებული ხმით.

— ნამდვილი სნაიპერისათვის ორმოცდაათ მეტრ განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა ფრანსმა, რომელიც, როგორც ჩანდა, ძალიან დაინტერესდა. — ასე არაა, ვიხერ?

— ადგილზე უნდა ვნახოთ, — გონივრულად უპასუხა ვიხერმა.

მეორე დილით მე და ვიხერი წავედით. ახლა უკვე ველარ გავბედე ხიდზე გადასვლა და მარტო ვიხერი გავაგზავნე ადგილმდებარეობის შესასწავლად. იგი ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— მანძილი არ არის მთავარი უბედურება, — თქვა მან. — ქუჩაში სროლა შეიძლება ფასადის მხრიდან, სკოლის პატარა ფანჯრებიდან. იქ, როგორც ჩანს, საპირფარეშოებია მოთავსებული.

— მერე რა? — მოუთმენლად ვკითხე მე, მისი საქმიანი მსჯელობით გამხნევებულმა.

— როგორ უნდა შევიდეთ სკოლაში? — თქვა მან. იქ ხომ ბავშვები არიან. სროლა რომ მოგვიწიოს იმ შემთხვევაში, ბავშვებს საფრთხეში ხომ ვერ ჩავაგდებთ.

ერთმანეთის პირისპირ მდგომნი დაძაბულად ვფიქრობდით. უცებ გამახსენდა:

---

1 1940 წლის 10 მაისს, როცა ჰიტლერელთა ჯარებმა ჰოლანდია დაიპყრეს, გრებებერგის მისადგომებთან (გელდერლანდის პროვინცია) მოხდა ბრძოლა, რომლის პატივსაცემად იქ მონუმენტია აღმართული.

— ვიხერ! რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვები სკოლაში აღარ იქნებიან! არდადეგები დაიწყება! თხუთმეტი ივლისის შემდეგ სკოლა მთლიანად ჩვენ განკარგულებაში იქნება.

შემომხედა, ტუჩის კიდეები აეწია, თვალები გაუბრწყინდა. ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაიცინა.

—ყოჩაღ! —წამოიყვირა მან. —ამაზე არ მიფიქრია... აბა, ახლა...

— ახლა ობეს აღსასრული დადგა, ხომ მართალია? — ვკითხე მე, თან ვცდილობდი აღფრთოვანება დამეოკებინა.

— უეჭველია, — მიპასუხა ვიხერმა.

ისევ განვიხილეთ ჩვენი გეგმა ჯგუფთან ერთად. რულანტი თვითონ წავიდა გარემოს დასათვალიერებლად, მერე ფრანსი და ვიხერიც წავიდნენ. ანმა, ტინკამ და მე იქ ნახევარი დღე დავყავით. ვეინანტმა და ოტომ იზრუნეს ჩვენთვის წყვილი, პირველი კლასის ველოსიპედი ეშოვათ. ისინიც წავიდნენ სანახავად, როგორ მოეთავსებინათ ვიხერი უფრო უკეთესად ხოოივახენსტრაატის პირდაპირ. ყველანი კარგ გუნებაზე ვიყავით.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. ბოლოს დადგა დღე, რომელსაც, როგორც დავრწმუნდით, ვერავითარი ომი და ოკუპაცია ვერ გადასდებდა: დადგა თხუთმეტი ივლისი და სკოლაში არდადეგები დაიწყო.

— მოდით, მაინც მოვიცადოთ, — შემოგვთავაზა ანმა. — იქნებ მაშინვე შეუდგნენ სკოლის დასუფთავებას. მაშინ სწრაფად გვიპოვიან.

ორი დღე ზედიზედ ვადევნებდით თვალს. სკოლა ცარიელი იყო.

— სკოლის დასუფთავებას აგვისტოს ბოლომდე არ დაიწყებენ, — თქვა რულანტმა. — საერთოდ სწავლის დაწყებამდე მთელ ავეჯს მტვერი ედება.

— მაშინ ვიკავებთ სკოლას,—გადაწყვიტა ფრანსმა. აშკარა იყო მას უნდოდა ოპერაციისათვის ეხელმძღვანელა, და უეჭველად, ჰქონდა ასე მოქცევის უფლება. ვიხერს დაავალეს ემორიგეა აქ ყოველ დღე, სანამ სასურველი შესაძლებლობა არ იქნებოდა.

— ჩვენ რაღა გავაკეთოთ? — იკითხა ტინკამ, რომელსაც მოთმინება არ ჰყოფნიდა და თან ცოტა შეურაცხყოფილიც იყო, — პირველად ხომ ჩვენ მივიღეთ ობეს დასჯის დავალება!

— მდგომარეობა შეიცვალა, — მოუჭრა ფრანსმა. — თქვენ ხიდთან ჩვენი უკანდახევის საფარველი იქნებით. შენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაისვრი, თუ რამე შეფერხება მოხდება.

— შენ, მგონი, წინაალმდეგი არა ხარ შეფერხების, არა, ტინკა? —ჰკითხა ვეინანტმა უმცროს დას, ნაწნავში ჩაავლო ხელი და მოსწ-

ია. ტინკამ მას ბუზის საკლავი დაარტყა, რომელიც მაგიდაზე იდო და ვეინანტი სასწრაფოდ მე მომეფარა.

ოტო სადღაც წავიდა შეუმჩნევლად.

— თავს მოსაჭრელად ვდებ, დღეს იგი კარგ ველოსიპედს მოიტანს, რომელზეც კარგა ხანია თვალი უჭირავს, — თქვა რულანტმა მამობრივი სიამაყით. — რომ ვიხერს კეთილად დაბრუნების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს.

— ჯერჯერობით მე ჩემ საკუთარ დიდწონას წამოვიღებ, — თქვა ვიხერმა.

დღის ბოლოს ის და ვეინანტი სადღაც წავიდნენ. მათ მუხლებსა და საჯდომზე დაკერებული კომბინეზონები ჩაიცვეს, თან გრძელი შეკვრა წაიღეს, რომელიც გაზეთსა და ჯუთის ტომრებში შეახვიეს. ტომარაში ყველაფერი ჩაეტეოდა: გადასაკრავი, ზეინკალ-მილგამყვანის ხელსაწყოები (თუმცა ჰოლანდიაში შეუძლებელი იყო თუნდაც ერთი მილის პოვნა, რომელიც გერმანელების მიერ არ იყო ჩამორთმეული) და მეტრიც. შესაძლებელია, შიგ კარაბინიც იდო სნაიპერისათვის. გარდა ამისა, ვეინანტის ველოსიპედის სახელურზე კუპრიანი პატარა, ძონძებშემოხვეული ბადია ეკიდა. ჩემი აზრით, ორივე ამხანაგი უპატიოსნესი მუშებივით გამოიყურებოდა... და არც ისე ახალგაზრდებად, რომ გზაზე დაეჭირათ და შრომითი ვალდებულების მოსახდელად გაეგზავნათ.

მოგვიანებით ვეინანტი დაბრუნდა, ვიხერი და გრძელი შეკვრა სკოლაში დარჩნენ; მხოლოდ ვეინანტის ველოსიპედის სახელურზე ისევ ეკიდა კუპრიანი ბადია. გარს შემოვეხვიეთ და კითხვები დავაყარეთ.

— ვიხერი უკვე ჩასაფრდა სკოლაში და ცუდმადობს, — თქვა ვეინანტმა. — ვფიქრობ, იგი ანბანებიანი კუბებით თამაშობს დროის გასაყვანად...

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა? — ჰკითხა ფრანსმა.

— უკეთესად რომ არ შეიძლებოდა. არც ერთ ადამიანს არ მოსჩვენებია უცნაურად, როცა სკოლის ბაღში შევედით. შენობას შემოვუარეთ — სკოლის უკან საცხოვრებელი სახლები არ არის: მწვანე საპნის უქონლობის გამო მინებს კუპრი წავუსვი და ქაღალდის ზოლები დავაკარი. მინები თითქმის არ წკრიალებდნენ.

— კლიტის ანაბეჭდის აღება ხომ არ დაგავიწყდა? — ჰკითხა რულანტმა.

— გაკეთებულია, — უპასუხა ვეინანტმა. — ხვალ გასაღები მზად იქნება.

მეორე დღეს კომბინეზონიანი ვეინანტი ისევ წავიდა სკოლაში. მან ვიხერს ყუთით საჭმლის მარაგი და გასაღები მიუტანა, რომ ვიხერს გამოსვლა შესძლებოდა.

ოტო იმ დილითაც არ გამოჩენილა შტაბში. ქალიშვილები ადრევე წავედით ხიდის რაიონში, შორიდანვე შევნიშნეთ, რომ სკოლის სხვენის პატარა სარკმელი ღია იყო. საერთოდ სკოლის შენობა კი ძალიან მოუვლელად გამოიყურებოდა და არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

ამ დღეს ობე სხააფი არ მივიდა თავის ხასასთან. ექვსი საათისათვის, როცა დავრწმუნდით, რომ ცდა აღარ ღირდა, უკანასკნელად შევხედეთ სკოლას, ნახევრად გამოღებულ სარკმელს და ჩვენი სამზირი დავტოვეთ.

მეორე დილით, როცა შტაბში მოვგროვდით, ფრანსმა გვკითხა:

—რომელიმე თქვენთაგანმა ნახა ოტო, ან რამე ცნობა მიიღო მისგან?

— გამოცხადდება, არ დაიკარგება, — ბუზღუნით შენიშნა ვეინანტმა. — ველოსიპედს დარაჯობს.

— საერთოდ კი მას ჩვეულებად არა აქვს გაუფრთხილებლად ასე დიდხანს არ გამოცხადდეს, — თქვა რულანტმა. — რომ არ ვიცოდე, მისი მოხერხებულობის და სიფრთხილის ამბავი...

— მასზე შეიძლება არ ვიღელვოთ, — თქვა ანმა.

მე ამაში არ ვიყავი დარწმუნებული; გულის კოვზთან რაღაც გაურკვეველი, საზიზღარი შეგრძნება მღრღნიდა, მაგრამ ამ შეგრძნებას შეიძლება მოვეტყუებინე. შესაძლებელია, ჩემი ნერვიული მდგომარეობა, იქნებ, იმით აიხსნებოდა, რომ ოპერაცია უნდა ჩაგვეტარებინა. დრო არ მქონდა მეფიქრა იმაზე, რატომ არ ცხადდებოდა ოტო. ხოოივახენსტრაატზე ვიყავით წასასვლელი.

საგდებ არხთან მოვიკალათეთ, შუადღემდე ისე ვიქცეოდით, თითქოს ძალიან მხიარული ვიყავით, ვიცინოდით, აქეთ-იქით დავეხეტებოდით. ბოლოს უკვე გვეჩვენებოდა, რომ რიყის ქვებიც კი ჩვენ გვიცქეროდნენ. რამდენჯერმე დავამთქნარე; გუნებაში უიმედობა ისადგურებდა, მინდოდა, მალე დამთავრებულიყო ეს ამბავი.

ოთხის ნახევრისათვის ობე სხააფი გამოჩნდა. მას გამცილებლად ისევ მსუქანი, ქერა, ულვაშიანი ახლდა, რომელიც ფრისლანდიელად ჩავთვალე. ისინი ისეთი სისწრაფით მოჰქროდნენ ჩვენკენ, რომ ძლივს მოვასწარით დამალვა.

როცა მსუქანი სამხედროფორმიანი ისევ ქალაქისაკენ გამობრუნდა, ჩვენ კვლავ დავიკავეთ ჩვენი პოზიცია ხიდთან, მაგრამ ცოტა

მოშორებით, სადაც მეჩხერმა წარაფმა ასე თუ ისე დაგვმალა თავის საფარველ ქვეშ. მოსაწყენად და მომქანცველად მიდიოდნენ წუთები, თითქოს ხანგრძლივი შუალედებით იყვნენ გათიშულნი. და ხემსტედის კოშკის საათის რეკვაც ჩვენამდე აღწევდა რაღაც კანტიკუნტად. ხანდახან რომელიმე ჩვენგანი გამოდიოდა წარაფიდან და უყურებდა, რა ხდებოდა სკოლასთან.

სარკმელი ისევ ღია იყო.

ნეტავ თუ დაინახა ვიხერმა, რომ „უშიშროების სამსახურის“ ვაჟბატონები გამოცხადდნენ?

ჩვენ მიერ დაკავებულ სამზირს ვტკეპნიდით, ვღელავდით და ვწუხდით.

ხუთი საათისათვის მსუქანი დაბრუნდა. ვგრძნობდი, როგორ მძიმედ და არასასიამოვნოდ ნელა მიცემდა გული, მისი ტიკტიკი ყელში გადადიოდა. თითქმის არ ვუყურებდი ჩემს ამხანაგებს — ჩვეულებისამებრ მეშინოდა, რომ თუ მათ შეშფოთებას შევნიშნავდი, უფრო ავღელდებოდი. მე მხოლოდ ვთქვი: მსუქანი კაცი მოვიდა!

— კი, — მორიდებულად დამიდასტურა ანმა. — ათ წუთში ყველაფერი უნდა გადაწყდეს...

ქერა მოსახვევს მიეფარა, როცა ხოოივახენსტრაატზე გადაუხვია. ანი, ტინკა და მე გაუნძრევლად ვიდექით ხიდთან, გახურებულ, ნოტიო ხელებში რევოლვერები გვქონდა ჩაბღუჯული, თან თვალმოუცილებლად შევყურებდით სკოლის სარკმელს.

წამები ნელ-ნელა მიცოცავდნენ, თითქოს ჩემს არსებაში ითვლიდნენ ანგარიშს. ყოველთვის მერეოდა თვლა და ხელახლა ვიწყებდი: ორმოცდაჩვიდმეტი, ორმოცდათვრამეტი, ორმოცდაცხრამეტი... კვლავ ერთი წუთი გავიდა.

საათს დავხედე, რომ შემემოწმებინა, რამდენი ხანი ვიდექით აქ, რომ უცებ გაისმა სროლა.

ჩვენ გავინაბეთ; ტინკამ მაგრად ჩაკიდა ხელი ანს სახელოში. მაშინვე გაისმა მეორე გასროლა. დაძაბულად შევყურებდი სკოლის სარკმელს. თითქოს იქ არაფერი შეცვლილა.

მერე შევნიშნე, ჩარჩო როგორ ფრთხილად ჩაკეტეს შიგნიდან. დრო საოცრად ნელა მიიზლაზნებოდა. ველოდი, რომ ხალხი გამოცვივდებოდა, ყვირილს გავიგონებდი. მაგრამ ირგვლივ საოცარი სიჩუმე სუფევდა.

ვიღაც გამოვიდა სკოლის ეზოდან — ლურჯი ფიგურა, რომელსაც მხარზე შეკვრა ჰქონდა გადებული; ერთი ხელით ველოსიპედი

მოჰყავდა. იმ წუთში გაისმა ქალის ციცი ხმით კივილი. ანმა, ტინკამ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. საკითხავი არ იყო, ვინ კიოდა. ჯაშუშის ხასამ განგაში ატეხა.

ვიხერის ლურჯი ფიგურა ცოტა ხნით, წუთით მიეფარა ქუჩის კუთხეში მდგარ სახლებს. მერე ისევ გამოჩნდა ველოსიპედზე მჯდომი და გვერდით ჩაგვიარა. ჩვენკენ არ მოუხედავს, მაგრამ გავიგონეთ მისი ხმა:

— იქ დედაკაცი მორბის... დააკავეთ.

უხმოდ შევსხედით ველოსიპედებზე და მაშინვე გავქანდით ქალისაკენ, რომელიც შუა ქუჩაში ხელებგაშლილი მორბოდა.

— დაიჭირეთ მკვლელი!.. დაიჭირეთ მკვლელი!

როგორც მოველოდი, იგი მსუქანი და ვულგარული გარეგნობის ქალი იყო,. ხვეული თმებით, მოწითალო, ჭრელი ხალათი ეცვა. ალბათ, მან ასევე გამოიხედა ფანჯრიდან და ნახა, თავისი კურო და მისი გამცილებელი როგორ გაგორდნენ მიწაზე. ქალი კიოდა და ხელს იქნევდა, მეორე ხელით კი ხალათის აფრიალებული კალთა ეჭირა. ფანჯრებში აქა-იქ ხალხი გამოჩნდა. ზოგნი სადარბაზოებიდან გამოვიდნენ; ამ საათებში აქ არ იყო ხალხმრავლობა. მამაკაცების უმრავლესობა სამუშაოზე იყო — ჯერ კიდევ მუშაობდნენ მთელი დღე.

მე სხვა მხარეს გავიხედე: ჩვენგან ორმოცდაათ მეტრზე, სწორედ სკოლის წინ, ქუჩაში ეგდო უწესრიგო მწვანე გროვა. გავარჩიე ფეხები, ჩექმები და გვერდზე გადავარდნილი ხელი.

გროვა ისე უძრავად და წყნარად იდო, რომ აშკარად ჩანდა — ანგარიში მთლიანად გასწორებული იყო. ისევ ქალს შევხედე. იგი თანდათან გვიახლოვდებოდა, ისევ გააღო პირი. ენა რაღაც საზიზღრად, პატარა, ვარდისფერი კიბორჩხალივით ეკიდა, — და დაიყვირა:

— მკვლელობაა.!.. ეგერ მიდის მკვლელი!

სამივენი ერთდროულად ჩამოვხტით ველოსიპედებიდან და ისე დავაყენეთ ისინი, რომ, თითქოს დაბნეულებმა, ქუჩა თითქმის გადავღობეთ?

— რა მოხდა? — ჰკითხა ანმა, რამდენადაც შეეძლო ძალიან გულუბრყვილო ტონით; ადრეც შევნიშნე, რომ ანი ყველა მსახიობზე უკეთ ახერხებდა გულუბრყვილო იერის მიღებას.

ქალმა როგორღაც უღონოდ გაიქნია ხელები უკან. იძულებული გახდა გაჩერებულიყო, ჩვენი ველოსიპედები უშლიდა ხელს.

— იქ... — დაიწყო სულშეხუთულმა; როგორც ჩანდა, მთლად გამოსცლოდა ძალა ჩქარი სიარულისა და ელდისაგან. — თქვენც ხედავთ... ისინი დახოცეს... ვიღაც ვაჟმა...

— მაგრამ ესენი, მგონი, გერმანელები არიან, — თქვა ტინკამ, ისეთივე მოჩვენებითი გულუბრყვილობით, როგორც მისმა დამ. — მართლა მოკვდნენ?

ქალმა რიგრიგობით შემოგვხედა, იგი სულს ძლივს ითქვამდა და ხალათს იჭმუჭნიდა მკერდზე.

— არავინ ღებულობს ზომებს... არავინ! — გაჰკიოდა იგი. — რა არის ეს?.. მკვლელობა დღისით, მზისით!..

— წადით, სადმე ახლოს ტელეფონი მონახეთ და პოლიცია გამოიძახეთ! — შევთავაზე მე.

— თქვენ მაგივრად მე დავრეკავ, — მაშინვე შესთავაზა ანმა. — წადით შინ... დავრეკავთ საავადმყოფოში, სასწრაფო დახმარებასა და პოლიციაში. დამშვიდებული წადით... თუ ორივე მოკვდა, კვილით ვერ გააცოცხლებთ, — დასძინა მან შეუბრალებლად. ქალმა მას შეხედა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: გაბრაზებულიყო ანზე თუ მადლობა ეთქვა მისთვის.

— დარეკეთ... დიახ, დარეკეთ... ღმერთო, ღმერთო! — ძლივს ამოილუღლუღა მან. უცებ შეტრიალდა და დახოცილებისაკენ გაიქცა.

— გვენდეთ! — დაუყვირა ანმა. კიდევ ერთხელ შევხედეთ დახოცილ ჯამუშებს, შევსხედით ველოსიპედებზე და გზას გავუდექით. ხიდთან უკან რომ მოვიხედე, დავრწმუნდი, რომ ფანჯრებიდან ისევ იხედებოდა ხალხი; მაგრამ მკვდრებთან მისვლას ვერავინ ბედავდა, გარდა ცეცხლისფერხალათიანი ქალისა.

ხიდზე გავედით და სიცილი ავტეხეთ. ნერვიული დაძაბულობა გაქრა; თითქოს ყველაფერი იოლად მიდიოდა. პირდაპირ წარმოუდგენლად!

— დარეკეთ, თუ შეიძლება... — აწრიპინდა ტინკა წითელხალათიანი ქალივით. — ზორბად მოვატყუეთ!

— საინტერესოა, დიდხანს ეყრებიან ეგ ავაზაკები მანდ? — თქვა ანმა და სიცილისაგან ასლუკუნდა კიდეც.

— ყოველ შემთხვევაში, ზეინკალმა დამალვა მოასწრო, — ვუპასუხე მე. — აი, გასროლაც ასეთი უნდა!

ძალიან შორიდან შემოვუარეთ და შტაბში მივედით. ვიხერი უკვე იქ იყო. მას კომბინეზონის გახდა მოესწრო და არც კარაბინი ჩანდა სადმე. აქვე იყვნენ ფრანსი და რულანტი. მომეჩვენა, რომ არაჩვეულებრივად დუმდნენ, — ასე კარგად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ეს სიჩუმე საკვირველი იყო.

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ამხანაგებო! — შევძახე მე. ოთახში შესვლისას.—ის ობეს ხასა...

სიტყვა ყელში გამეჩხირა. ხან ერთ ამხანაგს ვუყურებდი, ხან მეორეს. რაღაც დაბნეულად გამოიყურებოდნენ. ვიხერიც კი, რომლის სახეზე საზეიმო გამომეტყველების დანახვას ველოდი, ცდილობდა ჩვენთვის არ შემოეხედა. ანმა და ტინკამაც მაშინვე შენიშნეს მათი თავშეკავებულობა და გაუბედავად შემომხედეს მე.

— რამე მოხდა? — იკითხა ანმა.

რულანტი მიბრუნდა, ფრანსმა ჰალსტუხზე მოიკიდა ხელი, მერე ჯიბეში ჩაიდო.

— მარცხი და გამარჯვება ერთდროულად... — თქვა მან. — სამწუხარო ამბავია! ვეინანტმა ეს-ეს არის შეიტყო, რომ გუშინწინ ოტო საფოსტო კანტორასთან შეიპყრეს, სწორედ იმ დროს, როცა იგი ახალი ველოსიპედით წამოსვლას აპირებდა.

— ოტო?— შევკივლე მე და მთლად გავშეშდი. — სად არის? რა უყვეს?

— საქმეც იმაშია, რომ არაფერი ვიცით, — მიპასუხა ფრანსმა.— ვეინანტი წავიდა ამბის დაწვრილებით გასაგებად... ოტოს, ალბათ, რევოლვერი თან ჰქონდა... გერმანელები თუ იარაღს უპოვიან, მაშინ ლაპარაკი იქნება არა მარტო ველოსიპედის მოპარვაზე...

მუხლები ამიკანკალდა. ანისა და ტინკას გაფითრებულ სახეებზე შიში აღბეჭდილიყო. სამივენი დავსხედით: .მე პირველივე სკამზე, დები — დივანზე.

— იგი ველოსიპედს შოულობდა... — ჩაილაპარაკა ანმა. — კარგ ველოსიპედს, რომ ვიხერი ადვილად გაქცეულიყო. ახლა კი ვიხერი ჩვენთან ზის, ჩვენ არაფერი მოგვსვლია, ოტო კი დაიჭირეს... ოტო, რომელსაც ერთხელაც არ უსვრია!

ანმა თავი დახარა. შევნიშნე, როგორ დაეცა ხელზე მსხვილი ცრემლი.

მ ა რ ც ხ ი

ყველანი ერთად ვისხედით და უხმოდ ველოდით ვეინანტის დაბრუნებას. მთელი ორი საათი გავიდა, ვიდრე იგი დაბრუნდებოდა.

— ოტო პოლიციის უბანში ზის, ფესტთან, — შეგვატყობინა მან. — ისინი ამტკიცებენ, რომ მას დღეს წაიყვანენ ამსტერდამში, პოლიციის დახურული მანქანით.

— ვინ ამტკიცებს? — ჰკითხა ფრანსმა.

— მოხუცი ბრიგადირი, რომელიც მინდოდა მომესინჯა, — უპასუხა ვეინანტმა. — ყოველ შემთხვევაში, მან მითხრა, მათ, ვისაც იარაღს უპოვიან, მაშინვე ეიტერპესტრაატზე გზავნიანო.

— კიდევ არის პატარა იმედი... იქნებ, მას თან არ ჰქონდა რევოლვერი... — შევნიშნე მორიდებულად.

სხვებმა უხმოდ გაიქნიეს თავი. ვხედავდი, რომ მათ ეს ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნდათ. ვეინანტი სკამზე დაჯდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. როგორც ჩანდა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ვიხერი და ჩვენ, ქალიშვილები, უკვე დავბრუნდით. მივხვდი-მეთქი, თავი დავუქნიე.

— კი, კი, ვეინანტ, — ვუთხარი მე. — ჩვენ აქ ვართ. მშვიდობიანად, უვნებლად. ყოველ შემთხვევაში, ამან მაინც გაგვიმართლა... ორნი...

— სხააფი და კომპანია? — იკითხა მან, ცდილობდა არც თავი და არც ჩვენ არ ჩავეთვალეთ დამარცხებულად და დარდს არ მისცემოდა.

— ყოჩაღ! როგორ გამოგივიდა, ვიხერ? რამდენჯერ გაისროლე?

— ორჯერ, — უპასუხა ვიხერმა, რომელსაც არც პოზა, არც გამომეტყველება არ შეუცვლია.

ანმა დაიწყო მოყოლა, რა ხერხებით ვცდილობდით ობეს ხასის გაჩერებას და მერე როგორ დავპირდით, რომ დავრეკავდით საავადმყოფოსა და პოლიციაში და ამ დაპირებით დავაბრუნეთ სახლში!

—ალბათ, იგი ისევ იცდის თავისი ძვირფასი მიცვალებულების გვერდით, — დასძინა მან. ვეინანტმა გაღიმება მოახერხა, სხვებმა თავის დაქნევით გამოხატეს თავშეკავებული მოწონება. ამ დღეს არავის შეეძლო გახარება. ჩვენი სნაიპერის ბრწყინვალე გამარჯვება დაჩრდილა ოტოს დაპატიმრებამ.

ფრანსი შეშფოთებული დააბიჯებდა ოთახში. მას ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს, თავისივე თავს რაღაცას უმტკიცებდა, ედავებოდა. ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს. უცებ მაგიდას დაჰკრა ხელი.

— სხვა შესაძლებლობა არ არის, — განაცხადა მან ისეთი ტონით, თითქოს იძულებული იყო მისთვის არასასიამოვნო გადაწყვეტილება მიეღო. — O. D.-ს ამხანაგებს უნდა მივმართოთ, მათ აქვთ ავტომატური პისტოლეტები, მათ შეუძლიათ თავდასხმის მოწყობა, ჩვენ კი არა.

ამ წელს პირველად გავიგონეთ ავტომატური პისტოლეტების ამბავი, რომლებიც თითქოს უფრო ძლიერ და ზუსტად ისროდ-

ნენ, ვიდრე გერმანული ავტომატები. ერთხელ ფლოორმა აგვიწერა იგი; მან ასეთი ავტომატური პისტოლეტი ნახა — L. O. — K. P.-ს წინააღმდეგობის ერთ-ერთ ჯგუფში — ჩრდილოეთ ჰოლანდიის პროვინციის ჩრდილოეთ რაიონში; ამ ჯგუფის მებრძოლებს ინგლისელების მიერ ჩამოყრილი იარაღი შეხვდათ. ჩვენ ხომ უცხოეთთან არ გვქონდა კავშირი, ამიტომ არ გვქონდა ასეთი იარაღი; ჩვენ ვისროდით ჩვენი ბელგიური და ფრანგული პისტოლეტებიდან, და თუ ბედნიერი შემთხვევა მოგვეცემოდა, მაშინ ჩვენს იარაღის მარაგს ემატებოდა კარგი რემინგტონებიც, რომლებიც თვითმფრინავიდან იყო ჩამოგდებული.

— როგორ თუ თავდასხმა? — ჰკითხა რულანტმა გაუბედავად, ცოტათი დაიმედებულმა. — შენ გინდა თქვა, ფრანს, რომ ისინი შესძლებდნენ ეცადათ...

— გაენთავისუფლებინათ ოტო. რატომაც არა? — თქვა ფრანსმა. —ჩვენ ხომ წინააღმდეგობის საბჭოდან ვართ, ჩვენ მოვსპეთ ობე სხაფი და K°, როგორც მათ ვეინანტმა უწოდა, მ ა თ თ ვ ი ს ა ც...

— გასაგებია, ცუდი არ იქნებოდა, — მხარი აუბა მას ვიხერმა. — გარდა ამისა, ჩვენ მათთან მოლაპარაკება გვქონდა შემოჭრის შემდეგ...

— ფრიცი ისევ იქ არის? — იკითხა ანმა. — მას არასოდეს არ ეშინოდა თანამშრომლობის... სროლის არ ეშინია, როცა საჭიროა.

— ანი მართალია, — თქვა ვეინანტმა. — ვინმე ჩვენთაგანი უნდა წავიდეს ფრიცთან მოსალაპარაკებლად... შენი წასვლა აჯობებს, ფრანს.

ფრანსი შესამჩნევად გამხიარულდა, როცა შტაბიდან გამოდიოდა „თამბაქოს კასრში“ წასასვლელად.

გულდამძიმებულები და დამწუხრებულები ვისხედით. დღე იწურებოდა; მეშინოდა, რომ ძალიან ცოტა დრო გვრჩებოდა მოსამზადებლად, თუ ოტოს მართლა დღესვე გზავნიდნენ ამსტერდამში. ბაგრამ არაფერი მითქვამს. ზედიზედ ვახვევდით საზიზღარ სიგარეტს და მთელი ოთახი კვამლით ავავსეთ. როცა ფრანსი მოვიდა, ხველება აუტყდა და პირზე ხელი აიფარა,

— ღმერთო ჩემო... მოწყალეო, — ჩაილაპარაკა მან. — კიდევ როგორ...ხართ ცოცხლები... ასეთ სიმყრალეში!

ვეინანტმა ფანჯრის ზედა ნაწილი გააღო, ფრანსმა ქურთუკი გაიხადა. ყველანი გაფაციცებული შევყურებდით მას.

— თანახმანი არიან, — თქვა ფრანსმა. — გადაწყვიტეს ჩვენი დახმარების გარეშე იმოქმედონ. ფრიცი უკვე ცდილობს გამოჰყოს

სამი კაცი, — მას მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ ჰყავს, როგორც იგი ამბობს... ავტომატური პისტოლეტების შესახებ ჩანაფიქრი ძალიან მოეწონა. ისინი მანქანას ჩაუსაფრდებიან ამსტერდამის საგუშაგოს იქით მდებარე ტევენუმის გარეუბნის სამიკიტნოსთან. იქიდან შეიძლება გაქცევა. როცა ისინი სალტეებს ესვრიან და დახვრეტენ, ფრიცი ირწმუნება, სამივენი იოლად გაანთავისუფლებენ ოტოსო.

გაგვიხარდა, რომ საშუალება გვეძლეოდა ყურადღება სხვა საგანზე გაგვემახვილებინა და გაცხოველებით შევუდექით თავდასხმის სხვადასხვა გეგმების განხილვას. ამის შემდეგ სახლებში წავედით. საშინლად დაღლილი მივედი ჩემს სხვენში. იქ ძალიან ცხელოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს პატარა სარკმელს დღე და ღამ ღიას ვტოვებდი. ვერ დავიძინე. არ ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა იმედი გვქონოდა... თავში რაღაც მტანჯველ და შემაშფოთებელ სიცარიელეს ვგრძნობდი. უცებ ჩემი თავი ისევ ანთან და ტინკასთან ერთად წარმოვიდგინე ახალ, სუფთა კლინკერცენილზე, სადაც ორი ჯაშუში იქნა მოკლული. საიდანღაც ამოტივტივდა ქალის სახე, რომელიც ყვიროდა „დაიჭირეთ მკვლელი!“ მერე კი, როგორც შორეული, ბუნდოვანი ზმანება, სროლის გაკვეთილები, რომელსაც ოტოს ვუტარებდი, ანისა და ტინკას შენიშვნები და უწყინარი ხუმრობა ყოველთვის, როცა ოტო მიზანში ვერ ახვედრებდა ტყვიას... და იგი დაზარალდა მხოლოდ და მხოლოდ ველოსიპედისათვის, უსულო საგნისათვის, იმ წყეული ველოსიპედისთვის, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია, როგორც ცხენი ან აქლემი სჭირდება აფრიკისა და არაბეთის მცხოვრებთ. ოდნავ ჩავთვლემდი თუ არა, შეშინებული მეღვიძებოდა. მელანდებოდა ხან პოლიციელების მიერ ალყაშემორტყმული, ხან საკანში მჯდომი ოტო... წამოვვარდებოდი საწოლიდან, მივრბოდი ფანჯარასთან და მივაყურებდი, სამარისებურ სიჩუმეში ხომ არ შემომესმებოდა სროლა, ბათქის გრიალი, ჩვენი მხსნელი ბათქის... სიჩუმე გამეფებულიყო. ზღვის სანაპიროსაკენ პროჟექტორის სხივები მოუსვენრად ირეოდნენ ღრუბლებში. ინგლისის თვითმფრინავების გუგუნი არ ისმოდა — მათი დრო ჯერ არ დამდგარიყო. ყველაფერი კარგად მოხდაო, ვიმეორებდით ყოველდღე. ყველაფერი კარგად მიდისო... პარიზისათვის ბრძოლა საცაა უნდა გაჩაღებულიყო. ერთხელ ბავშვობისას, მშობლებთან ერთად, გავლით ვიყავი პარიზში. მახსოვს, ფეოდალიზმის დროინდელი უშველებელი, კოშკებიანი შენობები, დაკლაკნილი მდინარე, უამრავი ქანდაკება, ვიწრო, ციცაბო ქუჩები და სახლები, რომელთა კედლები მო-

ფენილია ხავსის ჭუჭყიანი ლაქებით, რომლებიც ობე სხააფის მცველის სახეზე შენიშნულ ხალს გვანან... პარიზი... ერთიც ვნახოთ, პარიზიც აღუდგენელ ნანგრევებად იქცეს კოვენტრისა და როტერდამის მსგავსად?.. ისროლეთ, ისროლეთ, მოვუწოდებდი მე, როცა ჯაშუშის წითელხალიანი და მოჭუტულთვალიანი სახე წარმომიდგებოდა თვალწინ; ესროლე, ვიხერ, ისინი პარიზს დასწვავენ... რამდენჯერ გავიღვიძე შეძრწუნებულმა, ცივ ოფლს მასხამდა, მეშინოდა, რომ ვერასდროს დავაღწევდი თავს დაღლილობას. ვიხერმა მაინც ისროლა, ვფიქრობდი მე. ობე ცოცხლებში აღარ წერია. მადლობა ღმერთს, ობე ჩაძაღლდა... და უცებ დავინახე პოლიციის პატარა ჯაშუში, რომელსაც ხალი ჰქონდა მოღიმარ სახეზე, — იღლიაში ავტომატი ამოეჩარა და მანქანაში ჯდებოდა, სადაც უკვე ისხდნენ ჩემი მშობლები. მათ პირდაპირ კი — ოტო, მომავალი ქიმიკოსი. იგი დაიჭირეს იმიტომ, რომ წინააღმდეგობის მებრძოლთათვის ველოსიპედის შოვნა უნდოდა.

განთიადისას დამეძინა გაწამებულსა და დაქანცულს. არავის გავუღვიძებივარ. აქამდე ყოველთვის თვითონ ვიღვიძებდი, ვემორჩილებოდი რაღაც განსაკუთრებულს, არასდროს რომ არ მიმტყუნებდა, ისეთ გრძნობას, მრცხვენოდა, რომ სწორედ ამ დღეს ვერ გავიღვიძე ადრე.

როცა შტაბში მივირბინე, ყველანი შეკრებილიყვნენ. ამხანაგებს არაფერი უთქვამთ ჩემთვის დაგვიანებაზე. მათი გამომეტყველება ამბობდა ყველაფერს: დღეს გუშინდელზე უფრო საქციელწამხდარნი იყვნენ.

— არაფერი გამოვიდა? — ვიკითხე ჩახლეჩილი, დაბალი ხმით. — ავტომატური პისტოლეტების მიუხედავად?

— არ გვიმართლებს, არაფერში არ გვიმართლებს ბედი, —თქვა ფრანსმა. იგი ძალიან გესლიანად ლაპარაკობდა. — ფრიცის ბიჭებმა სულ სხვა მანქანას აუტეხეს სროლა... ჩვენ ისიც არ ვიცით, ისევ აქ ზის ოტო, თუ მეორე გზით გაგზავნეს ეიტერპესტრაატზე.

დაქანცულმა უხეში სალანძღავი სიტყვა წარმოვთქვი. ჩემი შიში, ჩემი წინათგრძნობა ახდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ვინ არის დამნაშავე?

ფრანსმა მხრები აიჩეჩა:

— ძნელი გადასაწყვეტია... ალბათ, მომზადებისათვის ძალიან ცოტა დრო იყო...ყოველ შემთხვევაში O. D. ჯგუფმა, რაც შეეძლო, გააკეთა.

— მარცხი მარცხია, — ვერ მოითმინა რულანტმა. — მომისმი-

ნე, ხანა... სჯობს ყველაფერი ერთად გაიგო. არის კიდევ ერთი ახალი ამბავი.

გაზეთი, რომელიც მაგიდაზე იდო, მან ჩემკენ გამოსწია და ოთხკუთხა ცერა თითით სტატიაზე მიმითითა.

„ადოლფ ჰიტლერი საოცარ თავდასხმას გადაურჩა — ფიუურერმა განაცხადა, განგება მიფარავსო“.

— რაო? — გავიკვირვე მე. — რას ნიშნავს ეს?

— წაიკითხე! — გაისმა ანის ხმა დივანიდან.

კითხვა დავიწყე. ცნობა უცნაური, არეული და იმდენი გახელებული გამოხდომებით იყო გაჭედილი, რომ უცებ ვერ გავიგე, რა მოხდა. მაგრამ ბოლოს ყველაფერს მივხვდი: ოც ივლისს, ვერმახტის რამდენიმე მაღალი თანამდებობის ოფიცერს ჰიტლერის აფეთქების მიზნით ბომბი დაუდვიათ მის შტაბში. თავდასხმა მარცხით დამთავრდა. რადგან აფეთქების დროს ჰიტლერი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით იმყოფებოდა, და ბომბისგან დაზარალდნენ ფიურერის მხოლოდ უახლოესი თანამშრომლები. ჰიტლერი საჯაროდ გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, ვერც ერთი თავდასხმა ვერაფერს დამაკლებსო: დარწმუნებულია, ბედისწერა რომ იფარავს მას...

— დალახვროს ეშმაკმა, დალახვროს ეშმაკმა! — ვიმეორებდი მე.

ოთახში ჯდომა აღარ შემეძლო. სახლიდან გამოვვარდი, ბაღიდან ბილიკზე გამოვედი, რომლის ორივე მხარეს ბოსტნეულის კვლები და მოცხარის ბუჩქები იყო, მერე ტყის ბილიკზე გადავუხვიე. ღონე გამომელია, გული მიძგერდა, მაგრამ მაინც განვაგრძობდი სწრაფ სიარულს. არავისი ნახვა არ შემეძლო, ჩემი ამხანაგებისაც კი. ბოლოს შარშანდელ გამხმარ ფოთლებსა და ქანგისფერ წიწვებში ჩავეფლე, ორრიგად ჩამწკრივებულ ფიჭვებს უკან, რომ უგრძნობ მიწაზე გამომეტირა ჩემი გააფთრება, დაბნეულობა და უბედურება.

ზაფხულის დაძაბულობა

ივლისი გავიდა ერთმანეთის საწინააღმდეგო მშფოთვარე ამბებით. ბი-ბი-სი დაწვრილებით ცნობებს გადმოსცემდა ჰიტლერის

წინააღმდეგ მაღალი თანამდებობის ოფიცერთა აჯანყების შესახებ. ეს ხმები ინგლისიდან გავრცელდა და, ნამდვილად, ანტიფაშისტური იყო, მაგრამ რამდენადაც მეტს ვლაპარაკობდით ამ ამბავზე შტაბში, იმდენად უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჰიტლერის გენერლები უბრალოდ სხვა სახეობის ფაშიზმის მიმდევრები იყვნენ. ისინი, ალბათ, სიამოვნებით იომებდნენ შიკლგრუბერის გარეშე, სიხარულით დადებდნენ ზავს დასავლეთთან, იქნებ, დროებით დამორჩილებოდნენ კიდეც აღმოსავლეთს. მათ უნდოდათ ომი, რევანშის აღება, მაგრამ სხვა დროს — როცა მათთვის მოსახერხებელი იქნებოდა. ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ რულანტმა, ფრანსმა და მე, თუმცა სხვები ამბობდნენ, ყველაფერს შავ ფონზე ხედავთო. ანდა, როგორც ვეინანტმა თქვა, „წითელ ფონზეო". ანმა განაცხადა, „არ ვენდობი არც ერთ გერმანელს, ვიდრე იგი სამხედრო ფორმით დადის, და თუნდაც ყველაზე კარგი გერმანელი, რაც ადრე მოკვდება, უმჯობესიაო".

რამდენიმე დღე არაფერი ვიცოდით ოტოს შესახებ. მერე გავიგეთ, რომ ცოტახანს იგი ვეტერინხსხანსის ციხეში იჯდა, ივლისის ბოლოს კი პატიმართა დიდ ჯგუფთან ერთად გაგზავნეს ამერფორსტის გამნაწილებელ ბანაკში. ეს ცუდი ამბავი იყო; მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ შეიძლებოდა მას უფრო ცუდად მოპყრობოდნენ, და სწორედ ამისი გვეშინოდა.

დადგა აგვისტო, და სამხედრო ცნობებმა ისეთი სახე მიიღო, რომ ყურადღება გავამახვილე. არასდროს არ მჯეროდა ომის მალე დამთავრება, თუმცა ჩემი ამხანაგები იმედოვნებდნენ ამას. ახლა ხშირად მეჩვენებოდა, რომ ფაშიზმის ნგრევის მომენტი ახლოვდებოდა: საფრანგეთიდან გარბოდნენ ოდესღაც უძლეველი ურდოები, საბჭოთა ჯარები ბალტიისპირეთში გზას უჭრიდნენ და ანადგურებდნენ მათ; აღმოსავლეთ პრუსიის მცხოვრებნი საზღვარზე გარეკეს სანგრების სათხრელად და გადამღობი ხაზების ასაშენებლად. ბალკანეთში ნაცისტების ძალაუფლების დაცემის წინადღე იყო: პარტიზანებმა ხელთ იგდეს მთელი ოლქები, იუგოსლავები ლომებივით იბრძოდნენ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მთავრობას ჰიტლერთან ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული — რუმინეთში და ბულგარეთში, ხალხი თავგამოდებით უწევდა წინააღმდეგობას. ფაშისტი მჯღაბნელები თავიანთ დიდსა თუ პატარა გაზეთებში გაჰკიოდნენ იმის შესახებ, ჰიტლერის „იდეალური ევროპა" გაიმარჯვებს, ასე განსაჯა განგებამ. რაც უფრო ხშირად ახსენებდნენ ისინი „ევროპას", მით უფრო სწრაფად ეცლებოდათ გერმანელებს ხელიდან მთელი

ოლქები. თვით მიუსერტიც ეცა კალამს და ზარ-ზეიმით განაცხადა, სამხედრო პერსპექტივები ძალიან საეჭვოა, მაგრამ ბედისწერა ადოლფ ჰიტლერის მხარეზეა, რაშიც ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდითო. გაიმარჯვებს მხოლოდ ერთი კაცი. და ეს კაცი — ადოლფ ჰიტლერიაო. არავის უფიქრია დაეცინა მიუსერტის სტატიისათვის, იმდენად სულელური იყო იგი. მტერმა და მისმა დამქაშებმა გონიერების ნატამალიც დაკარგეს და საშიშ მხეცებად იქცნენ. ყოველდღე გამოჰქონდათ სიკვდილის განაჩენები. სისხლის სამართლის პოლიცია და „უშიშროების სამსახური“ ჰოლანდიელებს ჟლეტდნენ როტერდამში, სილახვავებში, ადამიანებს ქუჩებში ესროდნენ, ბარაკებიდან მძევლები გამოჰყავდათ და პასუხს აგებინებდნენ კარპატებსა და დუნაიზე ნაცისტების დამარცხებისთვის.

მეგონა, რომ თოფის წამლისა და გავარვარებული ტყვიის ატმოსფეროში ვცხოვრობდით; ზაფხული მოშხამული იყო, საშინელი სიძულვილი ციებ-ცხელებასავით მტანჯავდა. ძლივს ვითმენდი ჩემი ამხანაგების მსჯელობებს, რომლებიც დიდხანს ფიქრობდნენ და წონიდნენ ყველა გარემოებას, როცა წყვეტდნენ საკითხს, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა ამჟამად. ისინი ადგენდნენ ზუსტ გეგმებს, როგორ წავწევდით საქმეს წინ — ყველა ერთად თუ ცალ-ცალკე ჯგუფებად: ჯარით სავსე ვაგონებს გავანადგურებთ, გადავჭრით მავთულებს, წასასვლელად გამზადებულ ტრანსპორტებში ხელყუმბარებს შევაგდებთო. მე კი სულ ასე მეჩვენებოდა, თითქო სპილოს ვჩხვლეტდით ქინძისთავით. ანი, ტინკა და მე მეტწილად „დე ვაარხეიდს“ ვბეჭდავდით ჰექტოგრაფზე, ვარიგებდით გაზეთებს მისამართების მიხედვით, ვაგროვებდით ფულებსა და ტალონებს იატაკქვეშელთათვის. თვალახვეულ მტერთან აგრეთვე თვალახვეული ბრძოლა რომ შემხვედროდა, უფრო უბედურად არ ვიგრძნობდი თავს. უბედური ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად საიმედო ამბები მოდიოდა. როცა გავიგეთ, თვით გერმანიაში თავგანწირული ზომები მიიღეს იმისათვის, რომ გერმანელი ხალხისთვის აეცილებინათ მომაკვდინებელი საშიშროება, ჩვენ ამას ასე განვმარტავდით: „რამდენიც უნდა იჩალიჩოთ, თქვენი წირვა გამოსულია“, ესეც კი არ მახარებდა, ისე როგორც ჩემს ამხანაგებს უხაროდათ. ხშირად თეთრად ვათენებდი. ღამეები ახლა მშვიდი აღარ იყო. ტრანსპორტს, რომლის გაგზავნას აღმოსავლეთისაკენ ღამღამობით ცდილობდნენ გერმანელები, რასაც წლების მანძილზე ჩადიოდნენ, მოკავშირეთა მფრინავები თავს ესხმოდნენ და ესროდნენ. ყურს ვუგდებდი თვითმფრინავის ქიმზე ტყვიამფრქვევის შორეულ,

წყვეტილ კაკანს; საზენიტო ქვემეხები სანაპიროზე მძიმედ ოხრავდნენ და ბუტბუტებდნენ ღრმა მოხუცებივით, უძლურნი იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მოკავშირეების უპირატესი ძალისათვის, რომლებიც, თითქოს, აღარაფრად აგდებდნენ გერმანელთა თავდაცვას. ინგლისელი მფრინავები დღისითაც კი გამოჩნდებოდნენ ხოლმე ჰოლანდიის ცაზე, რომ სროლა აეტეხათ მატარებლებისა და გერმანელთა მიმავალი ჯარისათვის. მაგრამ ყველაზე ხშირად ასაფრენ მოედნებს უშენდნენ, საიდანაც გერმანელებმა, დიდი ხანი არ იყო, ლონდონს დაუწყეს ახალი ჭურვების სროლა, ისინი მათ „ფაუ—1"-ს ეძახდნენ და ჰოლანდიის სანაპიროდან, ჰაგის რაიონიდან უშენდნენ ინგლისს. სილახვავების თავზე წამდაუწუმ იმართებოდა საჰაერო ცხარე ბრძოლები, რაც გვესმოდა, ვხედავდით, და ყოველთვის ცვივოდა მიწაზე ორივე მხარის ცეცხლმოდებული თვითმფრინავები. ნაცისტების პრესა ნიანგის ცრემლებს ღვრიდა ჰოლანდიელთა სიცოცხლესა და მათ საცხოვრებელზე ბრიტანელთა ბარბაროსული ხელყოფის გამო. ყველანი გულგრილად ვეკიდებოდით ამ პროპაგანდას. მართლაც, ინგლისელები ყოველთვის როდი იქცეოდნენ გონივრულად; ხშირად მათ ორიენტაციას აკარგვინებდა მცდარი ცნობები, და ჩვენ, მართლაც მსხვერპლად ვწირავდით ადამიანებსა და ქალაქების მთელ რაიონებს. რა თქმა უნდა, არც ერთი გონიერი ჰოლანდიელი სერიოზულად არ ღებულობდა გერმანელების ცრემლებს. მტრის მიმართ დაუზოგავები ვიყავით, ჩვენ ხომ მან ჩაგვაგდო უბედურებაში. არავის დავიწყებია, ვინ დაღვარა პირველი სისხლი; ამის დავიწყება არ შეიძლება.

იმ დღეს, როცა ჰიმლერმა გერმანიაში სახრჩობელაზე აიყვანა გენერლები და მაღალი თანამდებობის ოფიცრები, რომლებმაც ჰიტლერის მთავარ ბანაკში ბომბი დადვეს, ჰოლანდიაში სისხლის სამართლის დამხმარე პოლიციამ დახვრიტა პატრიოტების კიდევ ერთი ჯგუფი, რადგან მათ იარაღი უპოვეს. ორივე ცნობა ერთსა და იმავე გაზეთში წავიკითხეთ. მომეჩვენა, თითქოს ხელი მკრეს და შავ, ადუღებულ მდინარეში შემაგდეს, რომელიც უნდა გამეცურა და გავსულიყავი მეორე, ამწვანებულ, მზიან ნაპირზე. უკანა გზა არ ჩანდა და მთელი ძალით მივისწრაფოდი მეორე ნაპირისაკენ, სადაც თავისუფლება იყო. მაგრამ, ის ნაპირი შორს იყო, ჩემ ირგვლივ ხალხი იხრჩობოდა, ვცდილობდი დაღლილობა და ზიზღი დამეძლია, და თავგამოდებით ვფართხალებდი შავ წყალში, რომელიც თანდათან მატულობდა და ბობოქრობდა. ჰაერიც თანდათან სისხლის სუნით და დენთის კვამლით იჟღინთებოდა.

დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში ამერიკა-კანადის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი საფრანგეთში შეიჭრა, პარიზს გვერდი აუარა და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. მათ გერმანელთა წინააღმდეგობა დასძლიეს და ბელგიის საზღვრებთან მივიდნენ იმ დროს, როცა სადესანტო ჯარების სხვა ნაწილები პარიზის გასანთავისუფლებლად ემზადებოდნენ.

— ისინი ბელგიის საზღვრებთან არიან! — წამოიძახა რულანტმა. — ბიჭებო, ეს თითქოს წარმოუდგენელია — მაგრამ მართალია...

კიდევ ერთხელ დავხარეთ თავები ძველ, სასკოლო ატლასზე, რომელიც ერთადერთი გვქონდა შტაბში, თან ვითვლიდით დაახლოებით რამდენი კილომეტრი დარჩა ჯარს, რომელიც ჩვენ გასანთავისუფლებლად მოდიოდა.

— ვთქვათ, ორასი კილომეტრი, — განსაზღვრა ვეინანტმა.

— ან იქნებ, თუ ბელგიაში წინ მიიწევენ, რაღაც ას ორმოცდაათი კილომეტრი, — თქვა ფრანსმა.

— თუ `სანაპიროს გაყვებიან, როგორც ახლა, — შენიშნა ანმა, — მაშინ ერთ კვირაში ზელანდიის ფლანდრიამდე მივლენ.

ერთმანეთს შევყურებდით. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა ჩრდილოეთ საფრანგეთი, ბელგია, ზელანდიის ფლანდრია უკვე იხსენიებოდნენ სამხედრო ცნობებში. შევნიშნე, რომ ტინკამ ხელზე იჩქმიტა. მეც მზად ვიყავი მეჩქმიტა ჩემივე თავისთვის. დაუძინებელი მტრით გარემოცულნი, ყოველ წუთს ვგრძნობდით, რომ მოქმედება შეზღუდული გვქონდა და მოწამლულ ატმოსფეროში ვცხოვრობდით: სიკვდილის განაჩენები, წინააღმდეგობის მებრძოლებით გავსებული ციხეები, ებრაელების გამნაწილებელი ბანაკი ვესტერბორკში, ორი საკონცენტრაციო ბანაკი პოლიტიკურ პატიმართათვის ამერსფორტსა და ფიუსტეში... ნუთუ მთელი ის საშინელებანი, რაც განიცადეს ადამიანებმა ბელორუსიაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, ბალკანეთში, ახლა უნდა განვიცადოთ ჩვენც, ევროპის ამ პაწაწინა კუთხის თიხიან-სილიანი მხარის მოსახლეობამ, რომლებმაც მტრის გაძლება შევძელით?..

— არასოდეს ვისურვებდი ჩვენი ფაშისტების ადგილზე ყოფნას, — გულუბრყვილოდ შენიშნა ვიხერმა. — ახლა კი, მათ სულ ცხვირიდან წასდინდებათ...

— შეახურებენ, — თქვა რულანტმა, და სიამოვნებით გაიცინა, თითქოს მას ეს შეხურება არაფრად უღირდა.

— ძალიან მაგრადაც შეახურებენ, — დასძინა ვეინანტმა.

ვხუმრობდით, ვგრძნობდით, რომ გულში რწმენა გვიღვივდებოდა. მეც კი, თუმცა ვერასდროს ვერ ვბედავდი რაიმე მეწინასწარმეტყველა, მეშინოდა კიდეც დამეჯერებინა უკეთესი მომავლის პატარა იმედიც, ვიცინოდი ამხანაგებთან ერთად. ეს იყო პირველი უდარდელი სიცილი დიდი ხნის მანძილზე. თვალები კი ცრემლებით მევსებოდა. მინდოდა გულიდან ამომეგდო მწარე მოგონებები, ყველაფერი, რაც მაწუხებდა; მაგრამ ისინი ჩემთან იყვნენ, და ცრემლების შეკავება არ შემეძლო.

ყოველდღე მოდიოდა ამაღელვებელი ცნობები. ჩვენი ფრანგი ძმები წინააღმდეგობიდან — მაკები, რომელთა შესახებ ხშირად ვისმენდით ინგლისის რადიოგადმოცემებით, როგორც გამბედაობის, ვაჟკაცობისა და სიმარჯვის მაგალითებზე, დიდი ოპერაციების ჩატარებას შეუდგნენ. საფრანგეთის სამხრეთით და ცენტრში, სადაც გერმანელები ჯერ კიდევ მტკიცედ იდგნენ, მაკებმა უმაგალითო ნადირობა დაიწყეს. მარტოოდენ თოფებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულნი დასავლეთისაკენ მიერეკებოდნენ ნაცისტების ბრწყინვალედ აღჭურვილ ჯარს... რადიოს არ ვცილდებოდით. გვეშინოდა მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა ჩვენი ფრანგი ძმების ერთი ნაბიჯიც კი, მათ საფრანგეთის პირინეების მთელი რაიონი გაწმინდეს მტრისაგან და მერე, გაანადგურეს ნაცისტების ბუდეები, რომლებიც კიდევ იყო შემორჩენილი პარიზის სამხრეთით.

პარიზი ფრონტად იქცა.

პარიზი ისევ დავინახე ისეთი, როგორიც ჩემს მეხსიერებაში იყო აღბეჭდილი. ფრანსიც ერთხელ იყო პარიზში ნამყოფი, რულანტი კი ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ცოტა ხნით ჩასულა პარიზში დავალებით. ყველანი პარიზზე ვფიქრობდით. ვცდილობდით აგვეწერა იგი სხვა ამხანაგებისათვის, რომლებიც იქ არ იყვნენ ნამყოფი, რომელთათვისაც თვით სიტყვა „პარიზი“ დასავლეთ ევროპის ყველა სხვა გეოგრაფიული სახელისგან განსხვავებით ჟღერდა.

აგვისტოს მიწურულში ბი-ბი-სი იტყობინებოდა, პარიზში ბრძოლები დაიწყოო. ქალაქში ჯერ არც ერთი მოკავშირე ჯარისკაცი არ შესულა. პარიზელმა მუშებმა, პატრიოტებმა, ქალიშვილებმა და ქალებმა ბარიკადები გამართეს და ოკუპანტებს ესროდნენ ყველაზე პრიმიტიული იარაღით.

— საფრანგეთი, მარიანა!... პარიზმა თვითონ გაინთავისუფლა თავი. ყველაფერი რამდენიმე დღეში მოხდა.

თითქმის მთელი დღე ვუსხედით რადიოს და ხარბად ვიჭერდით საფრანგეთის განთავისუფლების ყოველ ახალ ცნობას. ქალიშვილები დაუსრულებლად ვიხოცავდით ცხვირს, მამაკაცები იგინებოდნენ და ხმაურობდნენ, და ყველანი მზად ვიყავით სიხარულით ავღრიალებულიყავით.

პარიზის განთავისუფლება ისევე სწრაფად მოხდა, როგორც მოულოდნელად, ხმაურით ამოვარდება ხოლმე საცობი ბოთლიდან. ხელს აღარაფერი უშლიდა სითხის გადმოღვრას. ნაცისტების ჯარები დაბნეულად გარბოდნენ,რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.მოკავშირეებს თითქმის არ უხდებოდათ შებრძოლება.

ყოველდღე ვუსხედით ჩვენს ძველ რადიომიმღებს, იმის იმედით, რომ ახალი სასიხარულო ცნობები მოგვესმინა. სწორედ ასეთ დროს მოვიდა ფლორი და მოგვიტანა უკანასკნელი ინსტრუქციები.

— დავალებები ისევ ძველებურია... უფრო საშიში პოლიციელების ხელში ჩაგდება, პირველ რიგში — კოლაბორაციონისტების. დასასრული ახლოვდება, თუმცა ისინი კიდევ ეცდებიან ბევრ ჩვენგანს მოუგრიხონ კისერი... ასეა თუ ისე, ისინი იატაკქვეშეთის მიერ მსჯავრდადებულნი არიან. ჩვენთვის ცოცხლებში აღარ ითვლებიან... ობე სხააფის ლიკვიდაცია საუკეთესო ოპერაცია იყო!

მან ვიხერისკენ გაიქნია თავი, რომელიც რულანტის უკან, ბნელში ჩუმად იჯდა.

— ახლა კი, კიდევ რაღაცას შეგატყობინებთ, — თქვა ფლორმა, როცა უბადრუკი სიგარეტი გაახვია და ერთი ჭიქა ჩვენი წყალწყალა ლუდი დალია. — წინააღმდეგობის ორგანიზაციები ამჟამად ადრინდელზე მეტად ეხმარებიან ერთმანეთს. მათი ხელმძღვანელობის წევრები ხშირად თათბირობენ ერთად. ახლა გათვალისწინებულია რაღაც ახალი. ვიმედოვნებ, ძალიან მალე მოგვიწევს საკუთარი, შიდა ჯარის შექმნა, ისეთივესი, როგორიც ფრანგებს ჰყავთ... ჩემი აზრით, ბრძოლა გადადის უკანასკნელ სტადიაში, ანდა მე აღარაფერი გამეგება.

საკუთარი შიდა ჯარის ჩამოყალიბების ცნობა სიამოვნებით მივიღეთ.

— ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენც ჩავებმებით ამ ბრძოლაში? — ჰკითხა ჩვენმა ხელმძღვანელმა.

ფლორმა გაიცინა: — განა ჩვენ ისედაც არა ვართ ბრძოლაში ჩაბმული?.. საერთოდ, მალე ბრძოლამ შეიძლება სხვა ხასია-

თი მიიღოს... ლონდონშიც უნდათ, რომ შეიქმნას წინააღმდეგობის შიდა ჯარი. მათ სათავეში უფლისწული იქნება. ისინი მოქმედებას დაიწყებენ, როცა გერმანელები სერიოზულად გადაწყვეტენ ჩვენი ქვეყნის დატოვებას.

— ისინი იქ, ჩრდილოეთის ზღვის მეორე მხარეს, როგორც ჩანს, აქტიურობენ, — შენიშნა ფრანსმა.

რულანტმა დაცინვით დასძინა: — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ფლორომა გაიცინა, ჩვენ გადმოგვხედა, ანი, ტინკა და მე ხელგადახვეულები ვისხედით მის პირდაპირ — და გვითხრა:

— თქვენ სამისათვის არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საქმე, როგორც კი შეიქმნება წინააღმდეგობის შიდა ჯარი — ჩვენ მას ჩვეულებრივ „წშჯ"-ს ვუწოდებთ, მებრძოლები მკლავებზე ლურჯ სამკლაურებს გაიკეთებენ, რომელზედაც აღნიშნული იქნება ასოები „წშჯ", არ შეგიძლიათ ჯერჯერობით ორასი ასეთი სამკლაურის მომზადება? ვიზრუნებ, რათა ქსოვილით უზრუნველგყონ.

— თეთრასოებიანი ლურჯი სამკლაურები, ხომ? — ჩაეკითხა ტინკა. — მაშასადამე, ჩვენ ნემსით მოგვიწევს მუშაობა, ასე, ხომ?

ფლორომა გაკვირვებით შეხედა მას, სხვებიც გაკვირვებით უყურებდნენ ანისა და ჩემ გარდა. მშვენივრად მესმოდა, რასაც გრძნობდა ტინკა.

— ტინკა სწორია,— ვთქვი პირქუშად. — მეც არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა კერვას. დიდი ხანია ნემსი არ მჭერია ხელში, რაც მთავარია, მე მხოლოდ აწყვეტილი ღილი თუ დამიკერებია ოდესღაც...

ფლორომა ხარხარი დაიწყო, სხვებიც იცინოდნენ. გავბრაზდი. ღმერთმა იცის, ამ კაცებს რა წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე, ყოველთვის მოურიდებლად დაგვცინიან ქალიშვილებს. ეს კი უმსგავსი მხიარულებაა! გამეხარდა, როცა ფლორომა მაგიდაზე დააკაკუნა და სიცილი შეწყდა, თუმცა თვითონვე იცინოდა.

— იმას, რასაც თქვენ, ტინკა და ხანა აცხადებთ, — თქვა მან, — სამხედრო დისციპლინის დარღვევის სუნი უდის. მე თავაზიანად გკითხეთ, ხომ არ შეგიძლიათ სამკლაურების გაკეთება-მეთქი, ახლა კი გიცხადებთ, რომ ეს ბრძანებაა. გასაგებია?

ტინკამ პირზე ხელი მიიფარა, ანმა ენა გააწკლაპუნა. მე კი ფლორს შევხედე. იგი მკაცრად ლაპარაკობდა, მაგრამ მის თვალებში ისევ ციმციმებდა მხიარული ნაპერწკლები.

— კარგი, — ვუთხარი მე. — ვემორჩილებით ბრძანებას. ოღონდ იზრუნე, რომ ქსოვილი და ძაფი მივიღოთ.

— თავს არ შევირცხვენთ, — განაცხადა ანმა. — ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია თქვენზე უკეთ: რევოლვერების ხმარებაც და ნემსით მუშაობაც.

ლტოლვილნი

ისევ ჩვენ-ჩვენს ადგილებზე დავსხედით. დავიწყეთ მსჯელობა, როგორ შეგვესრულებინა უკეთ „ძველი დავალება". ფრანსი ფიქრობდა, რომ სხვანაირად უნდა განაწილებულიყო ჩვენი როლები. მან გვითხრა, ობე სხაოფის ხასამ სამივე ქალიშვილი გნახათ, თუ ის მთლად სულელი არ არის, და კარგად დაუფიქრდება თავდასხმას, თქვენზე ეჭვს მოიტანსო. გარდა ამისა, პოლიცია ჩვენ უკვე გვიცნობდა. ამიტომ მან შემოგვთავაზა ერთად კი აღარ გვევლო, არამედ ყოველთვის თან გვხლებოდა რომელიმე მამაკაცი, თუ საბრძოლო ოპერაციაზე მოგვიხდებოდა წასვლა.

— ეს რაღაა, უნდობლობა ჩვენი შესაძლებლობის მიმართ? — ვკითხე დამცინავად და კმაყოფილება ვიგრძენი, როცა დავინახე, ფრანსი როგორ გაწითლდა.

— მე თქვენს უშიშროებაზე ვლაპარაკობ, — მიპასუხა გაბრაზებულმა.

ჩვენ კიდევ ცოტა ვითათბირეთ. გადავწყვიტეთ, რომ ვიხერი და ანი წავიდოდნენ ხერებაუტის მოადგილის ბოლოს მოსაღებად. ამ ვაუბატონის გვარი პიტერსი იყო—ყველაზე ჩვეულებრივი და კარგი ჰოლანდიური გვარი, რისი ღირსიც იგი ნამდვილად არ იყო. ტინკას და ვეინანტს ევალებოდათ პოლიციის პატარა ჯაშუშის მოკვლა, ლოყაზე ხალი რომ ჰქონდა. გავიგეთ, რომ იგი ჩრდილოეთიდან იყო ჩამოსული, გვარად პიბინხა. ჩვენ მიერ მესამე სიკვდილმისჯილი მე და რულანტს გვხვდა წილად; იგი №. A-ს[1] ჯარების ბანფიურერი გახლდათ, აღმოსავლეთ ფრონტზე მოხალისედ გასაგზავნად ჩაწერას დაუძვრა და უკვე ნახევარი წელი იყო, რაც თავის დანაშაულს ისყიდიდა იმით, რომ სასტიკად დევნიდა პატრიოტებს სამშობლოში. ამ ტიპს, გვარად კალეგრააფს, ჰქონდა ერთი განსაკუთრებული ჩვეულე-

---

[1] №. A—Weerafdeling (ჰოლანდ.)—ჰოლანდიის ფაშისტური პარტიის გასამხედროებული რაზმები—„ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა".

ბა, რომელიც რამდენადმე ართულებდა ჩვენს ამოცანას: მას სამხედრო ფორმა ეზიზღებოდა და იმით ქუჩაში არ გამოდიოდა. ორ დანარჩენ ვაჟბატონთან არ იყო ასეთი სირთულე.

ჩვენთვის დაიწყო ნერვიული დაძაბულობით აღსავსე, მშფოთვარე დღეები. ხანდახან დაზვერვაზე ცალ-ცალკე მივდიოდით, ზოგჯერ — ერთად. ხდებოდა, რომ უცებ შევნიშნავდით ჩვენ „სამიზნეს“, მაგრამ გარემოება არახელსაყრელი, ან აშკარა სახიფათო იყო. ამიტომ ვერ ვბედავდით გავსწორებოდით ვაჟბატონებს.

ამასობაში შტაბში მოვიდა ლურჯი ქსოვილის შეკვრა და თეთრი ძაფი. მაშინვე შევუდექით სამკლაურების გამოჭრას და კერვას. ვეინანტმა ყველა სამკლაურს ცარცით ლამაზი ასოები „წშჯ“ დაახატა. ჩვენ კი ამოქარგვას შევუდექით. ყურს ვუგდებდით რადიოცნობებს, ანდა ამხანაგების შენიშვნებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამდნენ იმის გამო, თუ რა ზომებს მიიღებდნენ მოკავშირეები ბელგიის საზღვარზე... ეს ხდებოდა საყოველთაო ნერვიული აღგზნების დღეებში — რამდენად განსხვავდებოდა ეს დღეები მშვიდობიანობისა და წყნარი დროისგან, როცა ჩვენი ბებიები და დეიდები კერავდნენ.

აგვისტოს ბოლოს ბალკანეთში გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ გამძვინვარებული მოძრაობა დაიწყო. საბჭოთა არმიამ პრუტი გადალახა და რუმინეთს მიაშურა. საბჭოთა ჯარების ერთი ნაწილი ტრანსილვანიაში შეიჭრა, მეორე კი ბელგრადისაკენ დაიძრა. სექტემბერმაც სასიხარულო ცნობები მოგვიტანა. ფინელებს ბოლოს მობეზრდათ ფაშისტებთან ლაციცი და მათაც დაყარეს იარაღი. გერმანელთა ჯარები გარეკეს საფრანგეთიდან და მათ თავი მოიყარეს ლუქსემბურგში, ეიფელსა და არდენში... თვალს ვადევნებდით ჩვენს ვაჟბატონებს, ვეძებდით პარკებსა და ხეივნებში. ანდა ვქარგავდით ასოებს და ვჭრიდით სამკლაურებს; ძალიან ვცდილობდით, მაგრამ ასოები „წშჯ“ ლურჯ ქსოვილზე აქეთ-იქით გვებრიცებოდა. მალე, ფინელების კაპიტულაციის შემდეგ, ბი-ბი-სმა გამოაცხადა, მოკავშირეები ბელგიის ტერიტორიაში შევიდნენო.

ფრანსმა და რულანტმა ოთახში ისეთი ცეკვა დაიწყეს, რომ ძველი იატაკი აჭრიალდა. თეთრი ძაფი გავწყვიტე და ოთახის მეორე ბოლოში ვისროლე სამკლაური, რომელსაც ვკერავდი.

— დღეისათვის კმარა, — განვაცხადე მე. — მივდივარ! დე, თეთრმა ფლორმა თუნდაც ათჯერ ილაპარაკოს დისციპლინაზე... ჩვენგან ას ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე ბრძოლებია, მე კი ვზივარ აქ შტერივით და ნემსით ვცოდვილობ...

— მაგრამ ხომ იყო ასეთი შეთანხმება... — თქვა ჩემი საქციელით გაოცებულმა ფრანსმა.

— ახლა, მამაკაცებმა იმუშავეთ ჩვენ მაგივრად, მრავალფეროვნებისათვის, — შესთავაზა ტინკამ. — ფრანს, ჯანყის ატეხვა არ მინდა, მაგრამ ამ ნაჯღაბნის კერვას მოთმინებიდან გამოვყავარ... განსაკუთრებით, როცა ირგვლივ ასეთი ამბებია!

— მაშ რა გინდათ? — გვკითხა რულანტმა.

— ცოტა სუფთა ჰაერის სუნთქვა, — განვუცხადე მე.

— მერე და როგორ გვინდა, — თქვა ანმა და მანაც გადადო საკერავი. — ვიხრჩობი ამ ბუნაგში...

დარცხვენილი მამაკაცები დაბნეულად შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ფრანსმა ყრონტი მოიქექა.

— ჰმ, დიახ... — თქვა მან. — თქვენ თითქოს მართლები ხართ... ბოლოს და ბოლოს აქ ატელიე არაა და არც თქვენ ხართ დაქირავებული მუშები... წადით და ფრთხილად იყავით!

სადგურზე წავედით. ველოსიპედები შესანახად ჩავაბარეთ და ბაქანის ბილეთებით ხელში ავედით კიბეებზე. ბაქანზე მატარებელი ჩამოდგა. ამ დროს ჩვენ გაგვისწრო ორმა ადამიანმა, რომლებიც ხმამაღლა მოაბაკუნებდნენ და ხელს იკვრეინებოდნენ. ქალი და კაცი ბარგით იყვნენ დატვირთული, და მათი სიმძიმისაგან გაწითლებული; ორივეს ორივე ხელში თითო ზურგჩანთა და ჩემოდანი ეჭირა. ქალმა ფეხი წამოჰკრა რაღაცას და წაიქცა. კაცმა თავისი ჩემოდანი დადგა, წყევლა წაიბუტბუტა და ქალს ადგომაში შეეშველა.

— ყოველთვის ასე ხარ... ჩქარა, ჩქარა. ყოველთვის რაღაც გემართება!

ცოლ-ქმარს მივყევით. მატარებელი ხალხით იყო გაჭედილი, როგორც ყველა მატარებელი. ჩვენი ცოლ-ქმარი, უამრავი ბარგით, გამონაკლისი არ იყო; მრავალი მგგათნაირი წყვილი და კენტი იყო, რომლებიც თავიანთ ტვირთიანად ცდილობდნენ ვაგონებში შესვლას. ვიღაც ქალმა ჟანდარმს დაუძახა მისაშველებლად, რომ დასაჯდომი ადგილი მიეღო; იგი მას თვალწინ ქაღალდის ნაგლეჯს უფრიალებდა: ჟანდარმმა არც შეხედა ქაღალდს; იმის მიხედვით, თუ როგორ პასუხობდა ამ ქალს, მივხვდით, რომ სულაც არ ადარდებდა მისი ბედი.

— აქ რაღაც სხვა ამბავია... — თქვა ანმა. — როგორც ჩანს, ისინი შინ გაქცევას ჩქარობენ, ვიდრე ქარიშხალი არ დასტყდომიათ თავს.

— ამ გერმანელი ჟანდარმისათვის სულ ერთია ისინი სამშობლოში ჩავლენ თუ არა, — დასძინა ტინკამ.

ორივე ამხანაგს მაგრად ჩავავლე ხელი.

— იცით თუ არა თქვენ, ეს რას ნიშნავს? — ვკითხე მე, თან მღელვარებას ძლივს ვიკავებდი. — მათ ფაშისტური ორგანიზაციისგან ან რომელიღაც უაჩაღთა ბანდისგან მიღებული აქვთ შეუვალობის მოწმობა, გერმანელს კი უკვე აღარ ეპიტნავება ჩვენი ფაშისტები.

განვაგრძობდით მატარებლის ყურებას, ბოლოს იგი დაიძრა.

— ჰო, ესენი თავიანთი პასუხისმგებლობითა და რისკით მიდიან, — თქვა ანმა. — მხედველობაში მიიღე, რომ არც გერმანიაშია სახარბიელო ამბავი. ყველგან დაბომბვებია. სიკვდილის განაჩენის შიშით გაჩაღებულია იძულებითი სამუშაოები.

— და იქნებ, მაშინვე სამწყობრო სამსახურიც... — თქვა ტინკამ. — ასე იყო აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც გერმანელებმა დავრდომილთა თავშესაფრებიდან მოხუცი ქალები გამორეკეს, რუსების ტანკების შესაჩერებლად.

— ჩვენ საცოდავ ფაშისტებს, ალბათ, ცუდი დღე ადგათ, რაკი ასეთ საქციელს კადრულობენ... — ჩავილაპარაკე მე.

— ერთი მატარებელიც გავუშვათ, — შემოგვთავაზა ანმა. — იქნებ, რამე საინტერესო ვნახოთ.

სადგურზე დავრჩით. მოსაცდელ დარბაზში ვისხედით და რაღაც სუროგატი დავლიეთ, ჭიქებიდან ამოშვერილი წველოებიც კი უფრო გემრიელი იყო, ვიდრე ეს სალაფავი. ბევრს არ ვლაპარაკობდით; კუთხეში იჯდა რკინიგზელთა ლურჯქურთუკიანი და წითელქუდიანი ორი გერმანელი; ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ყველას.

მომდევნო მატარებლის მოსვლის დროს, რომელიც ამსტერდამიდან ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, სადგურზე კიდევ სამი კაცი გამოჩნდა: ისინი ძალიან შეწუხებულები ჩანდნენ. თავით ფეხებამდე ბარგით იყვნენ დახუნძლულები, როცა მატარებელი ჩამოდგა, ისინი საბუთებს აფრიალებდნენ და გაყვიროდნენ; მაგრამ ვერც წითელქუდიანი რკინიგზელები და ვერც ჟანდარმი, რომლებსაც მათ მიმართეს, ვერაფრით დაეხმარნენ გამგზავრებაში.

— შინ უფრო წყალწყალა ნარცხის ხვრეპა მოუწევთ, როცა დანარჩენი ღორებიც თავს მოიყრიან ოკუპირებული ოლქებიდან, — წარმოვთქვი მე.

ანმა და ტინკამ ჩაიხითხითეს.

სადგურიდან წამოვედით იმაში დარწმუნებული, რომ ავაზაკების წანწალი დაიწყო. როცა ქუჩაზე გადავდიოდით ბარგის შესანახი კამერიდან ველოსიპედების გამოსატანად, ვიღაცამ მაგრად გამკრა ხელი და გადაგვისწრო.

— თავხედო, თვალებში ვერ იხედები?— დავუყვირე, უფრო სწორად, მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ჩვენ კიდევ ორმა სუბიექტმა ჩაგვირბინა, ისინი პირველს მისდევდნენ. ეს ორნი სისხლის სამართლის პოლიციიდან იყვნენ. ისინი ტროტუარზე მიმავალ ხალხს დაურიდებლად კრავდნენ ხელს, იმუქრებოდნენ, ღრიალებდნენ:

—Stehenbleiben, du Hundsfott![1]

ხელი ლაბადის ჯიბეში ჩამიცურდა, სადაც რევოლვერი მედო. ვხედავდი, ანი და ტინკა ერთდროულად ასევე მოიქცნენ. სისხლის სამართლის პოლიციელებს დავედევნეთ. მათ წინ უქუდო კაცი მიდიოდა. ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ იგი წინააღმდეგობის მებრძოლი იყო, რომლის კვალსაც მიაგნეს, ან უბედურებაში ჩავარდნილი ჩვენი თანამემამულე. მას ყავისფერი პიჯაკი, ამობურცულ ზოლებიანი პლისის შარვალი და სამუშაო ფეხსაცმელები ეცვა. კისერზე თხელი კაშნე ჰქონდა მოხვეული. ჩვენ უკვე ვეწეოდით მათ; პოლიციელები განაგრძობდნენ ბურტყუნს:

—Stehenbleiben, dich krieger wir doch![2]

დევნილი ქუჩის მოსახვევს უახლოვდებოდა. პოლიციელებმა ნაბიჯს უმატეს. ჩვენც ავჩქარდით. ამ დროს კუთხეში გამოჩნდა მცირე ჯგუფი, ოთხი კაცი. ახალგაზრდა კაცი მათ დაეტაკა. იმ ოთხმა კაცმა, მათდა უნებურად, გზა გადაუღობეს მას. დევნილსა და მდევრებს შორის პატარა მანძილი ერთ წამში უკიდურესად შემცირდა. შევნიშნე, როგორ ამოიღო რევოლვერი ერთმა პოლიციელმა.

—Du Schwein von Deserteur!..[3]

მეც თითქმის ამოვიღე ჩემი რევოლვერი ჯიბიდან. მაგრამ პოლიციელის შეძახებამ ყველაფერი ნათელი გახადა. არ ვიცი, ანი და ტინკა მიხვდნენ თუ არა, რა დაიყვირა გერმანელმა, — ყოველ შემთხვევაში, მათ ხელი გავუწოდე და გავაჩერე. გაისმა სროლა, მაშინვე გაისროლა მეორე პოლიციელმაც. ლტოლვილმა შეყვირა და თავდაღმა დაეცა. პოლიციელები მისკენ დაიხარნენ. ხალხი შეგროვდა.

— წავიდეთ, გოგოებო, — ვუთხარი ჩემს ამხანაგებს. — იგი დეზერტირია. პოლიციელმა ეს ყველას გასაგონად გამოაცხადა. დაე, თვითონ გაუსწორდნენ.

განზე გავედით და თვალთვალი დავუწყეთ. დეზერტირი, როგორც ჩანდა, მძიმედ არ იყო დაჭრილი. პოლიციელებმა ფეხზე წამოაყენეს, ორივე მხარეს ხელი მოკიდეს და წაიყვანეს.

---

1 გაჩერდი, მამაძაღლო! (გერმ.).

2 გაჩერდი! სულ ერთია, დაგიჭერთ! (გერმ.).

3 ოჰ, შე, ღორო, დეზერტირო!.. (გერმ.).

— მაგრამ, მაინც... — თქვა ტინკამ. — რაკი დეზერტირია, ესე იგი, მტერი არაა.

— მას მისაგებელის შეეშინდა, — შეეპასუხა ანი.

— მეც ასე ვფიქრობ,— ვუთხარი მე.— ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს, სხვაზე ადრე ცდილობს გაქცევას.

— საიდანა აქვს იმ ბიჭს ასეთი ტანისამოსი?— იკითხა ტინკამ.

— როგორც ჩანს, სადმე გზაში ჩაუსაფრდა მუშას და გაძარცვა, — ვთქვი მე.

ცოტა ხანს ვუყურებდით პოლიციელებს და მათ შორის მიმავალ ლტოლვილს. იგი კოჭლობდა და გაფითრებული იყო. უკან გავბრუნდით და ჩვენი ველოსიპედები გამოვიტანეთ შესანახი საკნიდან, რომლის პატრონმა, ძველკომბინეზონიანმა კაცმა, ჩურჩულით იკითხა:

— რა მოხდა, კიდევ დაიჭირეს ვინმე?

— დეზერტირი, ფეხში დაჭრეს,— ვუპასუხე მე.

— სამწუხაროა, გულში რომ არ მოხვდა ტყვია,— თქვა მან ისევე ჩუმად; როგორც ჩანდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ გავცემდით. — ეს პირველი შემთხვევა როდია. ბოლო დღეებში მხოლოდ ასეთ რამეებს ხედავ და გესმის... ისინი ჩემთანაც მოდიან. დღისით სამხედრო ფორმით მოვლენ, ველოსიპედს ჩამაბარებენ, დილით კი სამოქალაქო ტანისამოსით მოდიან და მიაქვთ. არაფერს ვამბობ. ოღონდ კი გაიფხიკებოდნენ აქედან.

— ნეტავ ყველანი დეზერტირად წასულან...— თქვა ანმა.

როცა შტაბში ვბრუნდებოდით, შევნიშნეთ, რომ სარეკლამო სვეტებზე ახალი Bekanntmachungen-ები[1] იყო გაკრული.

შევჩერდით. ერთ-ერთი ამ განცხადებათაგანი მოუწოდებდა ყველა ჰოლანდიელ სამხედროს, რომლებმაც თავი იატაკქვეშეთს შეაფარეს იმის შიშით, რომ ტყვედ არ ჩავარდნილიყვნენ, განეცხადებინათ, მზადა ვართ მოხალისედ წავიდეთ გერმანელთა აღმოსავლეთის რომელიმე ფრონტზეო; ამ შემთხვევაში ისინი გადაურჩებოდნენ დევნას მომავალში.

— რა თავხედობაა, — აღშფოთდა ანი, — თვითონ ხომ იპარებიან!

— მხოლოდ ნაცისტებს შეეძლოთ ასეთი რამის მოგონება,— თქვა ტინკამ. მეორე განცხადება წარმოადგენდა უფრო მკაცრი მუქარისა და აკრძალვის სიას, იმ შემთხვევაში, ვინც მტერს დახმარებას გაუწევდა, ავარიას გადარჩენილ მფრინავს თავშესაფარს მისცემდა

[1] განცხადებები (გერმ.).

ან იარაღი და არალეგალური ლიტერატურა აღმოაჩნდებოდა...

— შემდეგ და შემდეგ...— ვთქვი მე. — წავიდეთ, ბავშვებო, სახლში... თორემ მამიკოები და ბიძიკოები შეწუხდებიან.

შტაბში წავედით, რომ რაც გავიგეთ, ამხანაგებისათვის მოგვეთხრო. იშვიათად თუ ვყოფილვართ ასე კარგ გუნებაზე და ასე მღელვარებით ავსილნი, როგორც სექტემბრის ამ დღეს ვიყავით. მეც კი აღარ მეეჭვებოდა ომის მალე დამთავრება.

საშინელი სამშაბათი

ცხოვრება სვლას განაგრძობდა, რომელსაც ხან კვირეებით ვითვლიდით, ხან დღეებით, ახლა კი იგი საათობით, ნახევარ საათობითაც კი ითვლებოდა. ხანმოკლე დროში მეტისმეტად ბევრი ამბავი ხდებოდა.

ნადირს ვუთვალთვალებდით და სამკლაურებს ვკერავდით. ყველა ჩვენთაგანი შტაბში მოდიოდა უტყუარი დამამტკიცებელი საბუთით, რომ ფაშიზმის აღსასრული დაიწყო.

— ხემსტედერვეხში ფაშისტთა მთელმა ოჯახმა — მამამ, დედამ და ვაჟმა, — თავი ჩამოიხრჩო, — ირწმუნებოდა რულანტი.—ჩემმა ცოლისძმამ კორმა ნახა, როგორ წაიყვანა ისინი „G. G. D.—მ“[1].

— სპაარნესთან, ყურეში ნაპირზე დამხრჩვალი გამორიყა, — თქვა ვეინანტმა. — ისინი ამქვეყნიურ სამსჯავროს აღარ უცდიან.

ვეინანტი დინჯად, ყოველგვარი იუმორის გარეშე ლაპარაკობდა, და მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სწამდა სხვა სამსჯავრო.

— ფხიზლად იყავით, მხედველობიდან არ გამოგრჩეთ, — თქვა ფრანსმა. — იქნებ, პიბინხა, პიტერსი და კალეგრააფიც ცურავენ სადმე...

— იქნებ, ღამით უკვე გაიპარნენ, — შენიშნა ვიხერმა.

— ო, რა სიმარჯვე იქნებოდა! — ჩაივიშვიშა ტინკამ.

თითქოს ჰაერშიც იგრძნობოდა მოუსვენრობა, ფაციფუცი, და სიხარულზე არანაკლები შიში. ხალხი ქუჩებში სრულიად აშკარად ლაპარაკობდა ომზე. ხანდახან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასძახებდნენ ხოლმე ნაცნობები ერთმანეთს მოკავშირეების წინსვლის

[1] ქალაქის სამედიცინო სამსახური.

უკანასკნელ ცნობებს. ბიჭები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ გამვლელებს, რომლებიც გაბრაზებული იყურებოდნენ უკან და უჯავრდებოდნენ მათ. ისინი არხეინად მღეროდნენ:

ვხედავ აგერ კუთხეში დგას
ბედუკუღმართი ფაშისტი.

ჰარლემის გარეუბნის კვარტალთა ხეივნებში მანქანებს ტვირთავდნენ. ღამით გზებზე ძრავების ხმაური ისმოდა. ხმა დაჰყარეს სპეციალურ შემადგენლობაზე, რომლითაც სამშობლოს მოღალატეებს უშიშარ ადგილზე წაიყვანდნენ.

სექტემბრის მეოთხე დღეს მოღალატეები, რომლებიც აქამდე ჩუმად და ფრთხილად მიიპარებოდნენ, დაფეთებულნი გარბოდნენ. დღისით რადიომ გვაცნობა, მოკავშირეებმა ბრიუსელი აიღეს და სწრაფად მოიწევენ ჰოლანდიის საზღვრებისკენო.

— ოჰ, როგორ მინდა ბაღში ყველა ტყვია ერთად გავისროლო! — მხიარულად წამოიძახა ტინკამ.

— უმჯობესია ჩვენი ვაუბატონი ჩავიგდოთ ხელთ, — დაიბუზღუნა ვეინანტმა.

გზატკეცილზე დილიდანვე იწყებოდა მოძრაობა და ჯგლეთა.რულანტი, ფრანსი და მე ვფიზლობდით. იარაღმომარჯვებული ანი და ვიხერი მთელი დღე ყარაულობდნენ „უშიშროების სამსახურის“ ყაზარმების რაიონში, ელოდნენ, როდის გამოჩნდებოდა „ხალიანი“. ახლა გზატკეცილზე იშვიათად თუ დაინახავდით მსუბუქ მანქანას; უკიდურეს შემთხვევაში, ათიდან ორ მანქანას ვერმახტის ოფიცრები გადაჰყავდა.

თავბრუ მესხმოდა ბრიუსელის განთავისუფლების გაფიქრების გამო. მოკავშირეთა ჯარები ხეივნებში, მოკავშირეთა დროშები მთავარ მოედანზე, უამრავი აღელვებული და გახარებული ხალხი გარს ეხვევა ხაკისფერ ფორმიან სამხედროებს. ყველაფერი ეს ხდება ჩვენგან რკინიგზით რამდენიმე საათის სავალზე... თითქმის აქვე.

შორს, სანაპიროზე, ისევ ისვრიან. საჰაერო ბრძოლის ბათქები დღის სიჩუმეს არღვევდა. მაგრამ ეს ხმები ავისმომასწავებლად კი აღარ მიმაჩნდა, არამედ განთავისუფლების მუსიკასავით ჟღერდა. ეს თავბრუდამხვევი აღფრთოვანებული მდგომარეობა, როცა ყველაფერი სიზმარი გგონია, ძველებურად დამეუფლებოდა. წამდაუწუმ ვცდილობდი გამოვფიზლებულიყავი, რომ მთლად არ ავყოლოდი ოცნებას, ფეხით ან ველოსიპედით სიარულის დროს. მე საქმე მქონდა. კალეგრააფის კვალი უნდა მეპოვნა.

მე, ფრანსი და რულანტი ქალაქის ცენტრთან ხასტხიუსფესტის

ხიდზე რომ მივდიოდით, გავიგონეთ, ერთი კაცი მეორეს რომ უყვიროდა:

— ინგლისელები ვალხერნის კუნძულზე გადმოსხდნენ!

გამვლელები გარს შემოეხვივნენ მას.

— ვინ თქვა? საიდანაა ეს ცნობა?

— რა თქმა უნდა, — ბი-ბი-სიმ გადმოსცა!

— მე კი საფრანგეთის რადიოგადაცემას ვუგდებდი ყურს...— თქვა მოხუცმა ბატონმა ფრთხილად, მაგრამ გულწრფელად. — არაფერი უთქვამთ ბრიუსელის ჩრდილოეთის მხარის ოპერაციაზე.

— ფრანგები ყოველთვის ჩამორჩებიან ლონდონს!

— მთავარია, რომ ყველაფერი დამთავრდა... სამი-ოთხი დღის შემდეგ ჩვენც თავისუფლები ვიქნებით.

— შურისგების დღე! შურისგების დღე!— მღეროდა ორი მოზარდი.

უცებ ხიდზე ხალხის გროვა მიმოიფანტა.

ქალაქის ცენტრიდან გერმანელთა სისხლის სამართლის პოლიციის მანქანა მოჰქროდა. პოლიციელებს არც შემოუხედავთ ჩვენთვის. აშკარა იყო, დეზერტირების დასაჭერად მიისწრაფოდნენ. ორი ბიჭი მათ უკან მიჰყვიროდა:

— შურისგების დღე!

გზა განვაგრძეთ. არასოდეს ყოფილა ასეთი სივიწროვე ძველ, ვიწრო ქუჩებში. თითქოს ხალხი ისწრაფოდა დამტკბარიყო იმის იმედით მაინც, რასაც რადიოგადაცემები პირდებოდა მათ.

— ეს ენთუზიასტები საშიშნი არიან, — თქვა ფრანსმა.— გერმანელები დაიხსომებენ მათ და სასტიკად გაუსწორდებიან. უამრავი მსხვერპლი იქნება.

რატუშისა და წმინდა ბავოს ეკლესიის წინ ბავშვები მოგროვილიყვნენ. ისინი ისე ხმაურობდნენ, თითქოს აქ წამოეყვანათ საშუალო სკოლის მთელი კლასები — ბიჭები და გოგონები. დროდადრო რომელიმე მათგანი ორანელთა დინასტიის სიმღერას წამოიწყებდა. მაგრამ სიცილი და ყვირილი ფარავდა ყოველგვარ ხმებს. თითქოს სიტყვები „ბრიუსელი“ და „მოკავშირეები“ ხმების მღელვარე ზღვაზე ფეთქდებოდა და ანათებდა მას.

გერმანული მუქი-ნაცრისფერი ავტომანქანები საყვირების გაბმული ყვირილით გზას იკაფავდნენ ხალხის გროვაში. ბავშვებმა მოკურცხლეს, როცა მოედანზე უშველებელი მდიდრული ავტომანქანა გამოჩნდა. იგი ნამდვილად არ იყო გერმანული ნაწარმი, მაგრამ შიგნით გერმანელი სამხედროები ისხდნენ. თვალმოკვრით შეიძლებოდა

დანახვა ქუდის, ნაცრისფერი სამხედრო ფორმისა და მონოკლის. შოფრის გვერდით ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცი იჯდა.

— ესენი, თუ დასჭირდათ, ძალით გაიკაფავენ გზას, — თქვა რულანტმა.

უაზროდ ქარაფშუტული, სახიფათოდ აღფრთოვანებული განწყობილება ბანგივით გაბნეულიყო ჰაერში. თითქოს ჩვენც დავთვეერით და, ჩვენდა უნებურად, ავყევით მოახლოებული თავისუფლებით წინასწარ ტკბობის საერთო აღფრთოვანებას. ისე გადავეჩვიეთ თავისუფლებას, რომ ახლა იგი ღვინოსავით გვათრობდა. მე ცოტა სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი თავისუფლება: უფრო საზეიმო, უფრო დიდებული და უფრო მშვიდი — უცნაური, მყვირალა მხიარულებისა და მოზრდილი ბავშვების ქარაფშუტული გამოსვლის გარეშე, რომლებიც ერთმანეთს არ აცლიდნენ ახალი ამბების წამოყვირებას... ჩემამდე აღწევდა საუბრის ნაწყვეტები:

— ინგლისელები უკვე ზელანდიის ფლანდრიაში არიან!

— აბა მოისმინეთ! ისინი უკვე ვალხერენზე არიან!

— გერმანელები გარბიან სამხრეთ ჰოლანდიიდან სოფლის შარაგზებით.

— ბრედა აღებულია!

— ქვეყნის სამხრეთში ამოქმედდნენ წინააღმდეგობის შიდა ძალები.

— შიდა ძალები... ეს რაღაა?

— განა არ იცი? იგი მხოლოდ ორმოცდარვა საათია, რაც არსებობს... ეს არის წინააღმდეგობის მებრძოლთა გაერთიანებული ძალები.

— მაშ აქ რატომ არ დაარტყამენ გერმანელებს?

— ეჰ, მათ ჯერ არ გაუღვიძიათ....

მე და რულანტმა ერთმანეთს გადავხედეთ. ფრანსი თავისი ჩვეულებრივი, შეუცნობელი ღიმილით იღიმებოდა. მან რაღაც ჩაიბუტბუტა იმის შესახებ, რომ ადამიანები ტყუილუბრალოდ იგდებენ თავს საფრთხეშიო. მართალი რომ ვთქვა, ჩვენ ყველამ შვება ვიგრძენით, როცა პოლიცია მოვიდა და მყვირალა ხალხის გროვა გარეკა: მეც ფრანსივით მეშინოდა, რომ ბუდედანგრეულ კრაზანასავით გაღიზიანებული გერმანელები სროლას დაიწყებდნენ.

შტაბში რომ დავბრუნდით, ვეინანტი და ტინკა იქ დაგვხვდნენ, ისეთი მხიარული გამომეტყველება ჰქონდათ, რომ მაშინვე მივხვდი, რასაც გვეტყოდნენ.

— პიბინხას საქმე დამთავრებულია! — გამოგვიცხადა ტინკამ,

ოთახში შესვლისთანავე. — მას სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა და სამხრეთისაკენ მიდიოდა... მაგრამ ხალხმა გასცა იგი!

— მოგილოცავთ, — მივაძახეთ სამივემ ერთად.

— სად ჩაიგდეთ ხელში? —ჰკითხა ფრანსმა, რომელიც ლუდის ბოთლებს ხსნიდა.

— კაფე „მოხუც მეცნიერთან" ახლოს, — თქვა ვეინანტმა. — ძალიან გაგვიჭირდა მივყოლოდით მის კვალს, ქუჩებში იმდენი ხალხია, ისეთი სივიწროვე... ხალხი ნამდვილად გაგიჟდა, ყველგან დადიან და ლაყბობენ, თითქოს ჩვენში ნაცისტები აღარ არიანო...

რულანტმა გადმომხედა: — ჩვენ რაღა ვქნათ...

ფრანსი ისევე მიუჯდა რადიომიმღებს; ვუსმენდით მუსიკის ნაწყვეტებს, ხმები ერთმანეთს ისე ენაცვლებოდა, თითქოს ყელში წყალს ივლებენო, ისმოდა რაღაც საუბრის ნაკუწები. ვიხერი და ანიც დაბრუნდნენ.

— მარცხია, — გამოაცხადა ანმა, რომელიც თავსაფარს იხსნიდა. — პიტერსი არსად არ ჩანს. გარდა ამისა, ქალაქის მუნიციპალიტეტის მდივანი დილიდანვე გაიპარა.

— ნახეთ, როგორ გარბიან დიდი თანამდებობის გერმანელი ოფიცრები? — ჰკითხა მათ რულანტმა.

ერთმანეთს ვუზიარებდით დღევანდელ შთაბეჭდილებებს, რომ უცებ ფრანსმა ისევ დაიჭირა ბი-ბი-სი. დაბრკოლებებსა და კატის კნავილის მაგვარ ხმებში ისმოდა კომენტატორის ხმაც, რომელმაც გვაცნობა, ჰოლანდიის განთავისუფლების ჯერი დადგაო.

— ხომ არ მომესმა? — წამოიძახა ტინკამ.

— მან თქვა: „ჰოლანდიის განთავისუფლების რიგიაო!" — შესძახა აღელვებულმა ფრანსმა.

— დაწვრილებით უნდა გავიგოთ! — მოვითხოვე მე.

რადიოს მოსმენას განვაგრძობდით. ხელის შემშლელი რადიოსადგურები თითქოს გაგიჟდნენ; ლონდონს ვიპერდით, მაგრამ ჩვენამდე აღწევდა რაღაც სიტყვებისა და ფრაზების ნაწყვეტები, რომელთა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებას ვერ ვახერხებდით.

— რომ ვიცოდეთ, სად იმყოფება ახლა მოკავშირეთა ჯარები!

— ამოიოხრა ანმა.

— ალბათ, იქ ბევრი იქნებიან ჰოლანდიელი ემიგრანტები, — თქვა ვიხერმა.

— წინააღმდეგობაც ეხმარება მათ სამხრეთში, — შეგვახსენა ფრანსმა.

ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ გარბოდნენ გერმანელები როზენდალიდან, ტილბურგიდან, ეინდხოვენიდან...

ძნელი დასაჯერებელი იყო ბრიუსელის განთავისუფლება. მაგრამ უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო ჩვენი საკუთარი ქალაქები —კოშკებზე წითელ-თეთრ-ლურჯი დროშები, ბრაბანტის საბაზრო მოედნებზე მოცეკვავე ბავშვები, სოფლის შარაგზებზე ჰოლანდიის მკვიდრი ჯარისკაცები და ამერიკული ტანკები, საძულველი ნაცისტების მუქ-ნაცრისფერი საბრძოლო მანქანებისა და მათი სისხლმოწყურებული ჯარისკაცების ნაცვლად.

— სად შეფერხდნენ ჩვენი განმათავისუფლებლები, სად? — ვკითხავდი მე.

— დღეს ღამით ყველანი შტაბში დარჩებით, — გადაწყვიტა ფრანსმა. — ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ; შინაგანად ვგრძნობ, რომ გრანდიოზული ამბების მიჯნაზე ვართ!

— რას ლაპარაკობ, — გულკეთილად გაიცინა ვეინანტმა. —რამე შენიშნე?

აღფრთოვანება, სიხარული, გიჟური მხიარულება გაისმოდა ჩვენ მწარე ხუმრობაში, უმნიშვნელო სიტყვებში; მაგრამ საქმე სიტყვებსა და მათ მნიშვნელობაში როდი იყო. უბრალოდ, მოთხოვნილება გვქონდა გველაპარაკა რამეზე, რასაც არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა გაჭირვებებთან, ომის სიძნელეებთან, არც მკვლელობებსა და დევნასთან... დიახ, სიხარულს გადავეჩვიეთ.

როცა დაღამდა, რიგრიგობით ვთვლემდით ძველ დივანზე. ჩვეულებრივად ღამით, სიწყნარე იყო ხოლმე, თუ არ ჩავთვლით, საზენიტო ქვემეხების სროლას, რომელსაც ჩვენ უკვე აღარ ვაქცევდით ყურადღებას, ან ზღვის თავზე შემთხვევით გამართული საჰაერო ბრძოლის ხმებს. ამ ღამითაც კი ათასნაირი ხმები გვესმოდა — მიმავალი მანქანების ჩუმი ხმა, რაღაც ხმაური და ყრუ ხრიგინი. ჩვენი ოთახის ფანჯარაზე შუქშესანიღბავი ფარდები ეფარა, მაგიდაზე სანთელი ენთო. აუტანელი სიცხე იყო. ზოგიერთებს ეძინათ; ზოგნი კი ერთმანეთს შევყურებდით.

— დალახვროს ეშმაკმა, მგონი, ჯარისკაცების ფეხის ხმა მესმის, — თქვა ფრანსმა.

— ინგლისელი ჯარისკაცების! — დასძინა რულანტმა.

— ღმერთო ჩემო, თავი დაანებეთ ხუმრობას! — ჩავერიე მე. — თქვენი ხუმრობა ნერვებს მიშლის.

— მაგრამ ფრანსი მართალია, — შენიშნა რულანტმა. — ნამდვილად ჯარისკაცები დადიან.

— წავიდეთ, ყმაწვილებო! — თქვა ფრანსმა... — ბაღზე გავლით ფრთხილად გავალთ გზაზე. უნდა გავიგო, რა არის ეს.

— ძნელი მისახვედრი არაა, — მშვიდად და გულგრილად განაცხადა ვიხერმა, რომელიც ორ სკამზე იყო წაძინებული.

წავედით სანახავად. გზა ნაცრისფერ ზოლს ჰგავდა, რომელზეც რწევით მიედინებოდნენ გაურკვეველი ლანდები; სიჩუმეს მხოლოდ ზოგჯერ არღვევდა ავტომანქანის გუგუნი. მიდიოდნენ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები. ფარების ლურჯი, წვრილი სხივები დაძვრებოდნენ გზაზე, ზაფხულის მშფოთვარე სიბნელეს ხვრეტდნენ და სივრცეს ავიწროებდნენ. თითქოს ჩვენ გვერდით მიცოცავდა გრძელი, სახსრებიანი ცხოველი.

— ჩუმად მიიპარებიან, — წაიჩურჩულა რულანტმა. — მათაც ესმოდათ ბი-ბი-სის გადმოცემები.

— ამჯერად არაფრით არ შეიძლება ებრაელთა ნაყბედარს გადავაბრალოთ... — ჩავიბუტბუტე მე.

— ჩუ... — გაგვაჩუმა ფრანსმა. — აი, ისევ მიდიან.

სიბნელეს მივაჩერდით. ჩაგვიარა გრძელმა მწკრივმა. გვესმოდა ჩექმების ჭრიალი და ლანჩების ჩვეულებრივი ფრატუნი. სიბნელე ფარავდა მათ სახეებს, არ ჩანდა მეომავალი ჯარისკაცების გამართულობა; მაგრამ ჩვენი შეშფოთებული წარმოდგენა ყველაფერს გვიხატავდა, რისი შემჩნევაც სინათლეზეც შეიძლებოდა.

— ეს ხომ ვერმახტია, დალახვროს ეშმაკმა! — წაიჩურჩულა გახარებულმა რულანტმა.

— ჩუმად!.. — გაიმეორა ფრანსმა; გავიგონე, როგორ გაკრა მან რულანტს გვერდში. — მათ შეუძლიათ ყველანი ამოგვხოცონ... დე, წავიდნენ!

მოვიცადეთ, ვიდრე ჩაივლიდნენ. ჯარისკაცების მწკრივებს უკან ისევ მიდიოდნენ მსუბუქი ავტომანქანები, რომლებიც ხმადაბლა აყვირებდნენ საყვირს, მიდიოდნენ სატვირთო მანქანები, ველოსიპედები და რამდენიმე მოტოციკლი.

— სწორედ იქითკენ მიემართებიან, საითაც საჭიროა, — ვთქვი მე, როცა შტაბში დავბრუნდით; მძინარე ამხანაგებიც გავაღვიძეთ, რომ მათაც ენახათ ღამის საზეიმო სანახაობა. — იმ მხრიდან ხომ მოკავშირეები მოდიან.

— ალბათ, ლეიდენიდან გერმანელები აღმოსავლეთისაკენ მიდიან, — თქვა ვეინანტმა, — მერე ხელდერის ველზე გავლით წავლენ აღმოსავლეთისაკენ. მათ, რა თქმა უნდა, თავიანთი რაიხისაკენ უკანდასახევი თავისუფალი გზა უნდათ დაიტოვონ...

— როგორ გამეხარდება, წინააღმდეგობის შიდა ჯარებმა რომ დაასწრონ! — თქვა ტინკამ. — რატომ ვერ ახერხებენ, რომ თუნდაც რამდენიმე ხიდი ააფეთქონ? გერმანელებმა ხომ აუცილებლად უნდა გადაიარონ დიდი მდინარეები.

ასე გაგვყავდა ღამე, დროდადრო გარეთ გამოვდიოდით, ყურს ვუგდებდით, ვუყურებდით ჯარის გაურკვეველი ლანდების უწესრიგო უკანდახევას — ისინი განუწყვეტლივ მიდიოდნენ ზაფხულის ღამის წყვდიადში.

გათენდა. არც ერთს არ გვინდოდა დაძინება. არავის შიოდა. მოთმინება არ გვყოფნიდა, ვიდრე ქუჩაში გამოვიდოდით.

როგორც კი დამთავრდა კომენდანტის საათი, მე და რულანტი, გზას გავუდექით.

— ვაითუ, კალეგრააფი სხვებთან ერთად გაიქცა? — ჩაილაპარაკა ჩემმა თანამგზავრმა.

— იქნებ, რომელიმე არამზადა შეგვხვდეს, რომელიც ტყვიის ღირსია, — ვუპასუხე მე.

გზატკეცილზე გავედით თუ არა, დავინახეთ, რომ გაქცევა გრძელდებოდა. მიდიოდნენ ჩემოდნებით, ტომრებითა და ფუთებით დატვირთული ყოველგვარი ფერის ავტომანქანები, ახლები და ძველები. გერმანელებს უნდა გაეძარცვათ კენემერლანდი, მთელი ჩრდილოეთ ჰოლანდია. ფაშისტი ვაჟბატონები ყოველნაირად ცდილობდნენ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას. გავჩერდით და ვუყურებდით. ჩუმად ვითვლიდით კიდეც მათ.

— ოცდასამი უკანასკნელი ხუთი წუთის განმავლობაში, — ვთქვი მე. — ძალიან კარგია!

სისხლის სამართლის პოლიციის ავტომანქანა, გუშინ ქალაქში რომ დადიოდა, ისევ გამოჩნდა ქალაქის პარკის გვერდით. იგი ღრიალით შეიჭრა ერთ-ერთ ხეივანში, ალბათ, იმისთვის, რომ შეემოწმებინა, სადმე ხომ არ იყვნენ დამალული სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული გერმანელები. ქუჩა ხალხით იყო სავსე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო. ხალხი მოდიოდა ოკუპანტების გაქცევის საყურებლად.

— პლეკერი, ალბათ, უკვე ჰიტლერის სხვენზე ზის, — გავიგონე ფაბრიკაში მიმავალი ქალაშვილებიდან ერთ-ერთის ხმა.

—როგორ გავძლებთ უპლეკეროდ! —სიტყვა ჩამოართვა მოხუცმა მუშამ, რომელმაც დამტვრეული ველოსიპედით გადაუსწრო მათ.

—რულანტ, ვერ გავრკვეულვარ, სიზმარში ვხედავ ამ ამბავს თუ

ცხადში,—ვთქვი მე. ვიცი, რომ ველოსიპედით მივდივარ, გზედავ შენ, მაგრამ ეს ჰარლემი არ არის... ეს რაღაც საგიჟეთია!

— კი, სიგიჟეა, და ეს ჟამი უნდა დამდგარიყო... მაგრამ სად უნდა მოვნახოთ ახლა ჩვენი ვაუბატონი, ვერაფრით ვერ მომიფიქრებია. მთელი ეს ფაშისტური ბინძური სიმაიმუნე დაიძრა ადგილიდან.

— სადგურზე ვეძებოთ, — შევთავაზე მე.

სადგურთან უფრო მეტი ხალხი ტრიალებდა, ვიდრე გაცხარებული ტურისტული სეზონის დროს.

სადგურის წინ მოედნიდან ვხედავდით ბაქანზე ჩამომდგარ წასასვლელად გამზადებულ მატარებელს. იგი აშკარად იმ „კამრადებისა“ და მათი „მეგობარი“ ქალებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებსაც საკუთარი მანქანები არ ჰყავდათ და ეევედრებოდნენ წაეყვანათ ისინი სადმე უშიშარ ადგილას. მოედნიდან ვუთვალთვალებდით, სადგურის შენობაში როგორ ეტენებოდნენ ფუთებითა და ბოხჩებით დატვირთული გამცემლები თავიანთი ჯალაბობით —ცოლებითა და შვილებით. ამის მსგავსი რამ ვნახეთ მე, ანმა და ტინკამ გუშინ, მაგრამ ამჟამად სურათი უფრო საშინელი იყო. ლტოლვილნი ყაყანებდნენ, ხელს კრავდნენ გერმანელ ჯარისკაცებს, რომელთაც, როგორც ჩანდა, წესრიგი უნდა დაემყარებინათ სადგურზე; ისინი თითქმის ერთმანეთის თავებზე გადადიოდნენ, მარჯვედ ხმარობდნენ მუშტებსა და იდაყვებს და გზას იკაფავდნენ.

— აი, ახალი ევროპის ერთსულოვნება, —გაიცინა რულანტმა.

ბაქანზე სასტვენის ხმა გაისმა. ბარგით დატვირთული ლტოლვილები, რომლებიც ჯერ კიდევ სადგურის შესასვლელში იქეშყებოდნენ, სასტვენის ხმას ყვირილით გამოეხმაურნენ. ჯგლეთა უფრო გაცხოველდა. ჟანდარმმა, რომელიც კინაღამ წააქციეს, მოკლე ხმალი იშიშვლა და სიბრტყით ურტყამდა ვისაც მოხვდებოდა, თან უშვერი სიტყვებით იგინებოდა; სიტყვები ვერ გავარკვიეთ, მხოლოდ გვესმოდა მისი გაბრაზებული, ზიზღით სავსე ყვირილი. ბაქანზე მეორედ გაისმა სასტვენის ხმა. მე და რულანტი გრიგალში მოხვედრილი ცხოველებივით ვიდექით. ამ სანახაობამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: იოტის ოდენა სიხარულს და კმაყოფილებას აღარ ვგრძნობდით. ეს სირბილი, ჩხუბი, მატარებელში ადგილის დასაკავებლად ლტოლვილთა მიერ გამართული უბადრუკი ბრძოლა საზიზღარი საყურებელი იყო.

—ღმერთო დიდებულო, — ამოვიოხრე მე, — რა უმაქნისი ბრბოა!

—როგორც იქნა მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ფიურერისათვის დახოცილიყვნენ, —თქვა რულანტმა, —და, ახლა კი გარბიან.

— მერედა როგორ გარბიან! — ვთქვი მე. — წავიდეთ, რულანტ, ვული მერევა ამ ნაძირალების ყურებით.

ქალაქის ცენტრში დავბრუნდით. ჩემდა გასაკვირად, შევნიშნე, რომ რამდენიმე კაცი სხვენის სარკმლიდან ჰოლანდიის დროშას კიდებდა.

ქვევით, ქუჩაში სისხლის სამართლის პოლიციის პოლიციელი იდგა, იგი გაცოფებული იქნევდა ხელს:

— Verdammt noch mal... Die Fahne weg![1].

ადამიანები სხვენში მიიმალნენ, დროშა დარჩა. პოლიციელმა რევოლვერი ამოიღო და რამდენჯერმე ესროლა დროშის კალთას. გამვლელები გაჩერდნენ და სიცილი დაიწყეს. ბრაზისგან გაწითლებული პოლიციელი მათკენ მიბრუნდა და მაშინვე გაეცალა იქაურობას. ის იყო პარკამდე მივედით, რომ სამხრეთიდან ქალაქისაკენ სწრაფად წამოვიდა სამი თვითმფრინავი. გავჩერდით. ათობით ადამიანმა თვალებზე ხელები მოიჩრდილა და დაქინებით შესცქეროდა ცას.

— ღმერთო... ესენი ხომ ინგლისელები არიან! —დაიყვირა კიღაც ბიჭმა.

ჩვენც დაძაბულად დავუწყეთ ყურება თვითმფრინავს. კუდზე ნიშანიც კი გავარჩიეთ, თუმცა საკმაოდ მაღლა მიფრინავდნენ. ჩვენ ირგვლივ ისმოდა შეძახილები:

—ბიჭმა მართალი თქვა! — დაიყვირა ვიღაცამ იქვე ახლოს.— მოკავშირეები უტევენ!

შევნიშნე, რომ რამდენიმე ავტომანქანამ სწრაფად გადაუხვია გზიდან და დიდ მუხებს შეაფარა თავი. ისევ დაიწყო ჩემთვის უკვე ნაცნობი, აზრთა არეული გაცვლა-გამოცვლა, სმენითა და მიხვედრებით, პატარა სიხარულით, ცარიელი იმედებით, რომლებსაც ხალხი ერთმანეთს უზიარებდა, ყოველგვარი შიშის გარეშე ოკუპანტებისა და მათი დამქაშების წინაშე.

თვითმფრინავები სახლებს მიეფარნენ. ჩვენ გზა განვაგრძეთ, თუმცა ბევრნი დარჩნენ ადგილზე, როგორც ჩანდა, იმის იმედით, რომ თვითმფრინავები კიდევ გამოჩნდებოდნენ. სადღაც შორს მატარებლის სასტვენის ხმა გაისმა.

— დაიძრა! — ვთქვი მე. — საინტერესოა, რამდენი დარჩა იქ.

რულანტმა მხრები აიჩეჩა.

---

[1] წყეულებო... მოხსენით დროშა! (გერმ.).

— შენ რას გაღელვებს ეს ნაძირალები? სჯობს კალეგრააფი მოვნახოთ: დაუსჯელად არ უნდა წავიდეს.

— საერთოდ არ უნდა წავიდეს იგი, — გავუსწორე რულანტს ნათქვამი.

დაუსრულებლად მივდიოდით ველოსიპედით და ყოველ მანქანაში ვიხედებოდით. ყველაზე მეტად ის მაოცებდა, რომ ფაშისტებს გაქცევა ცხოვრების ნორმალურ დინებას არ არღვევდა. ფაშისტი ვაჟბატონები და გერმანელები მიდიოდნენ, მაგრამ მათთან ერთად ტრამვაებსა და ავტობუსებში მგზავრობდნენ ისინიც, ვინც აქ უნდა დარჩენილიყვნენ; გზის გასწვრივ იდგა ხალხი, ყველგან დროშებს ფენდნენ და არავინ უწევდა წინააღმდეგობას. ქარხნები საყვირით იძლეოდნენ სამუშაო დღის დამთავრების ნიშანს.

როცა მეორედ გავემართეთ ქალაქისაკენ, ჩრდილოეთიდან უკან დაბრუნებული სამი თვითმფრინავი დავინახეთ. ისევ ძალიან მაღლა მიფრინავდნენ. მომეჩვენა, რომ ისინი ჰარლემ-ამსტერდამის რკინიგზის ხაზის გასწვრივ მიისწრაფოდნენ. უცებ ისინი სწრაფად დაეშვნენ ისე დაბლა, რომ სახლებს მოეფარნენ. ტყვიამფრქვეველები აკაკანდნენ.

ველოსიპედებიდან ჩამოვედით, თუმცა არაფერი არ ჩანდა, და მივაყურადეთ. ჩვენთან ერთად სხვებიც უსმენდნენ.

— ეს გერმანელები არ ისვრიან... —თქვა ხანშიშესულმა მამაკაცმა, რომელიც ყოფილ ოფიცერს გავდა.

— მგონი, რაღაცას ვხვდები... — განაცხადა რულანტმა.

მას თავისი აზრი არ დაუსრულებია — თვითმფრინავები მესამედ გამოჩნდნენ, კატაპულტიდან ამოვარდნილი ჭურვივით აიჭრნენ ზევით. მობრუნდნენ, ისევ ძირს დაეშვნენ შურდულივით და მომაკვდინებელი ტყვიების სეტყვის გზა გაავლეს.

— ისინი ტყვიებს უშენენ მატარებელს, რომელიც ახლახან დაიძრა, — თქვა რულანტმა. — დამიჯერე.

— ფაშისტი ვაჟბატონებით სავსე მატარებელს, ხომ? — ვკითხე მე.

— სწორედ ასეა.

— ღმერთო ჩემო, მგონი, შენ მართალი ხარ... სამართლიანობა გაიმარჯვებს, რულანტ.

— წავიდეთ, — მითხრა მან, და ველოსიპედზე დაჯდა. — გაჩერება არ შეგვიძლია... ერთი კვირის სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ გამაგებინა, სად არის ახლა კალეგრააფი.

— ისინი ხანდახან ჩვეულებრივ ლტოლვილებს ეტმასნებიან

და ჰგონიათ, რომ ამ გზით დააღწევენ თავს საფრთხეს, — ვუთხარი მე. — იქნებ, მან უკვე იგემა ტყვია. ინგლისური.

რულანტმა ღვარძლიანად გაიღიმა: — ინგლისური ტყვია შეეძლო ჩემგანაც მიეღო.

ჩვენ ფაშისტების სამხედრო კლუბისკენ წავედით. ყველა კარი მაგრად დაკეტილი დაგვხვდა. ქვედა ფანჯრებს ყვითელი ფარდები ეფარა. ზედა სართულზე თითქოს არასდროს არ ყოფილა ცოცხალი ადამიანი. ვინ იცის, მერამდენჯერ დავბრუნდით უკან, გაბრაზებულები და იმედგაცრუებულნი.

მაგრამ იმ დროს, როცა ის იყო უნდა წამოვსულიყავით, დაიჭრიალა და გაიღო მუქ-ნაცრისფერი პატარა კარი, რომელიც შენობის გვერდით ქუჩაბანდზე გადიოდა. კაცმა, რომელსაც უბრალო ნაცრისფერი სპორტული ქურთუკი ეცვა და ნაცრისფერივე სპორტული ქუდი ეხურა, ველოსიპედი გამოაგორა და ისევ დაკეტა კარი.

— ფუ, დასწყევლოს ეშმაკმა, — წავჩურჩულე რულანტს. — ეს კალეგრააფი არ არის?..

— იმედია, არ მოტყუებულხარ, — მიპასუხა მან: — აბა, მამილო, ერთი კარგად დამანახე შენი სიფათი...

სპორტულკოსტიუმიანი კაცი განსაკუთრებულად აუჩქარებლად მიდიოდა ჩვენ წინ. უკან ვერ გავყვებოდით, ჯერჯერობით ქუჩაში შედარებით ცოტა ხალხი იყო, მაგრამ როგორც კი იგი მივიდა უფრო ფართო და ხალხმრავალ ქუჩამდე, ჩვენც დავიძარით ადგილიდან. დავინახეთ, რომ ნაცრისფერტანისამოსიანმა კაცმა რამდენჯერმე მოიხედა უკან.

— შეუძლია ჩვეულებრივ მოქალაქედ მოეჩვენოს ადამიანს, —თქვა რულანტმა. — ფიცს დავდებდი, იგი უწყინარი ბიურგერია-მეთქი.

— ვინ იცის, ის ქუჩაბანდი სულაც არ ეკუთვნის ფაშისტების სამხედრო კლუბს? — ვკითხე მე.

— გამიგონე, — თქვა გაბრაზებულმა რულანტმა, — როგორც ჩანს, ამ არამზადას კარგად აუშლია შენთვის ნერვები, რაკი ყოყმანს იწყებ...

— ჩვენ დანამდვილებით გავიგებთ ის არის თუ არა, როცა ზვეიხერის ხეივანზე გადაუხვევს, — ვუპასუხე მე. — იგი იქ ცხოვრობს.

— ვინ გითხრა, რომ შინ წავა? — მკითხა რულანტმა. — იქნებ, სადმე მანქანა უდგას და გასეირნებას მოისურვებს.

გავჩუმდით და მივდიოდით, მხედველობიდან არ ვუშვებდით ნაცრისფერტანისამოსიან კაცს. იგი მარჯვედ და მშვიდად მიიკვლევ-

და გზას ქვეითად მოსიარულეთა და მანქანებს შორის, არავის უშლიდა ხელს, რამდენადაც შეგვეძლო შეგვემჩნია, არავინ და არავის ესალმებოდა. მან ქალაქის გარეუბანს მიაღწია და აუჩქარებლად ფლორის პარკით წავიდა. ცისფერი ტრამვაი, რომელიც ამსტერდამიდან მოდიოდა, რაღაც ნახევარი წუთით გადაგვეღობა გზაზე. როცა ტრამვაიმ გაიარა, რაც შეგვეძლო ავჩქარდით; მაგრამ, პარკში შევედით თუ არა, დავრწმუნდით, რომ კაცი მხედველობიდან დავკარგეთ: იგი გაქრა.

რულანტმა მაგრად შეიგინა. პარკში გავჩერდით და ირგვლივ მიმოვიხედეთ. რულანტმა ერთხელ კიდევ შეიგინა ხმამაღლა.

— რულანტ, მოდი ვცადოთ, ზვეიხერის ხეივანზე წავიდეთ, იქნებ არამზადის კვალს წავაწყდეთ. — ვუთხარი მე.

ოთხი წუთის შემდეგ ხეივნის ბოლოში გავჩერდით. ბაღებსა და მესრებში ვიხედებოდით; ერთი სახლის წინ ველოსიპედი იდგა ბუჩქების ხერგულზე მიყუდებული. წინ და უკან დავიწყეთ ხეტიალი, დაკვირვებით ვიხედებოდით ირგვლივ. უცებ, ხერგულიდან ნაცრისფერტანისამოსიანი კაცი გამოჩნდა. ხელში ჩემოდანი ეჭირა. უკან მოჰყვებოდა მოდაზე ჩაცმული, აღელვებული ქალი, მასაც ჩემოდანი ეჭირა.

— აბა, რა გითხარი მე?

— დალახვროს ეშმაკმა, მგონი, იპარება... — ჩაილაპარაკა რულანტმა.

ნაცრისფერტანისამოსიანმა კაცმა თავისუფალი ხელი ველოსიპედს მოჰკიდა. თავჩაქინდრული ცოლი უკან მიჰყვებოდა. ხმა არ ამოუღიათ. ხეივნიდან გამოვიდნენ და პარკისაკენ გაემართნენ. სწრაფად მივედით სახლთან და ვნახეთ, რომ სახელ-გვარიანი ფირფიტა მოხსნილი იყო.

— ის არის, — თქვა რულანტმა. — გვარიანად თუ უგვაროდ.

— სადაა მანქანა, რომელიც მან თავისთვის მოიმზადა. — ვკითხე მე.

— რა შარიანი ხარ... — თქვა რულანტმა. — სჯობს უყურო, რას აპირებს ეს ბატი.

ცოლ-ქმარი ირმების ნაკრძალის გვერდით ბილიკს გაჰყვნენ და გზატკეცილისკენ წავიდნენ. მერე ტრამვაის გაჩერებასთან მივიდნენ. ქმარმა ველოსიპედი ხეზე მიაყუდა და ცოლთან მივიდა. ქალი ტრამვაის ჯიხურის კედელს მიეყრდნო; აშკარად ჩანდა, როგორი შეშინებული და დამწუხრებული იყო. იდგნენ ერთმანეთის გვერდით და უყურებდნენ, როგორ მიჰქროდნენ მათ გვერდით გერმანული

და სხვა ავტომანქანები; ამ დროს ჩვენ მერხზე ვისხედით, ცოლ-ქმრისგან ოცდახუთი მეტრის მანძილზე, და თვალ-ყურს ვადევნებდით, მათ.

— ფულს არ დავიშურებდი, ოღონდ გამეგო, რაზე ფიქრობენ, — თქვა რულანტმა.

— ...და რაზე ლაპარაკობენ, — დავსძინე მე.

ხემსტედისკენ მიმავალი ტრამვაი რომ მოახლოვდა, ცოლ-ქმარი გადახურულიდან გამოვიდა. ტრამვაი გაჩერდა. დავინახეთ, თუ როგორ ეხმარებოდა ის კაცი ცოლს ტრამვაიში ჩაჯდომისას. მან უკანა ბაქანზე ორი ჩემოდანი დადგა. ტრამვაი წავიდა. ნაცრისფერტანისამოსიანმა კაცმა უხერხულად ასწია ხელი, როგორც ჩანდა, უნდოდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი გამომშვიდობება. როგორ ეჭირა თავი მის ცოლს, ამის დანახვა და გაგონება ჩვენ არ შეგვეძლო. იგი ტრამვაიმ წაიყვანა.

ნაცრისფერტანისამოსიანი კაცი დაბრუნდა თავის ველოსიპედთან, საკეტი გახსნა და ველოსიპედი ჰარლემისაკენ მიაბრუნა.

— დალახვროს ეშმაკმა, ისევ ქალაქში მიდის, — თქვა რულანტმა. — ალბათ, ბანკიდან ფულის გამოტანა დაავიწყდა.

— ახლა კი ვეღარ წაგვივა ხელიდან, — განვაცხადე მე.

— ჯერ ძნელია ამის თქმა... — შემესიტყვა რულანტი.

საველოსიპედო გზაზე უკან გავყევით ნაცრისფერტანისამოსიან კაცს. იგი წელანდელივით საზიზღარი, არაბუნებრივი სიმშვიდით მიდიოდა.

— უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს კალეგრააფია, — ჩავილაპარაკე მე. ჩვენსა და მას შორის სამი კაცი მიდიოდა. ჩვენ უკან ხემსტედიდან მომავალი ტრამვაის რეკვა ისმოდა, წინ კი, შორს, ტემპელირსტრაატთან მეორე, ამსტერდამში მიმავალი ტრამვაი რეკავდა. ამ დროს შევნიშნე, რომ ნაცრისფერტანისამოსიანმა კაცმა გზა გადაჭრა; ეს მან გააკეთა მოულოდნელად სწრაფად, და, ალბათ, განზრახ. იქნებ შეგვნიშნა კიდეც? იქნებ, განგებ გადაუხვია სწორედ იმ ადგილას, სადაც გზა გაჭედილია ტრამვაებით, ავტომანქანებითა და ველოსიპედებით?

— ბატონო კალეგრააფ! — მივაძახე გაქცეულს. — ბატონო კალეგრააფ!

მან თავის გვარის გაგონებაზე მოიხედა, პირი დააღო და თვალები დააჭყიტა. ეს კარგად მოვიფიქრე, შეუძლებელი იყო არ მოეხედა, როგორც ყველა ადამიანი მოიხედავს ხოლმე, როცა თავის გვარს გაიგონებს. მას ხომ შეუმჩნეველად უნდოდა გაქცევა. ასეთივე შემთხვევა იყო კვეიზელთანაც.

— რულანტ, ის არის, — [illegible] რულანტს.

უკვე გადავუხვიეთ [illegible] გზას. ვხედავდი, როგორ დაეხარა სახელურისკენ [illegible] ზურგი, მისი ფეხები პირველად ამუშავდა სწრაფად. [illegible] ერთი ხელი მეკიდა და ტრამვაის ლიანდაგებს შორის გავ[illegible] ხელი ჯიბეში ჩავიყავი რევოლვერისათვის. რულანტს შ[illegible] — იგი ჩემ გვერდით მოდიოდა, ჩემსავით ცდილობდა გაესწრო ტრამვაისათვის, რომელიც წამოგვეწია და რეკვა ატეხა. გზატკეცილის მარცხენა მხარეს ტრამვაის ორ ლიანდაგს შორის მოვექეცით. კალეგრააფი უკვე მეორე მხარეს მიდიოდა.

— მე ვესვრი! — თქვა რულანტმა ჩახლეჩილი ხმით.

— არა, მე! მე! — დავუყვირე მე.

იმ დროს, როცა ნაცრისფერტანისამოსიანმა კაცმა გზატკეცილიდან გვერდით ქუჩაზე გადაუხვია, მე და რულანტს ტრამვაი დაგვეწია და რახრახით ჩაგვიარა. ვერც მივხვდი, რომ ცისფერი ვაგონები ძალიან ახლოს იყო ჩემთან. მისმა რახრახმა წუთით შემაცბუნა. როცა ისევ თვალი მოვკარი ნაცრისფერ ზურგს, დავუმიზნე და ვესროლე. და მაშინვე ვიგრძენი, რომ ყველაფერი არ მქონდა რიგზე; ველოსიპედის უკანა ბორბალი რაღაცას გამოედო, დაცურდა, ველოსიპედი აცახცახდა. ერთხელაც ვისროლე და შევნიშნე, რომ კალეგრააფის ველოსიპედმა ზიგზაგების კეთება დაიწყო. ვიგრძენი რულანტის ძლიერი ხელი, რომელიც მომეშველა ტრამვაის ლიანდაგიდან გადავსულიყავი... გადავედით მეორე მხარეს და შევედით ხეივანში, სადაც კალეგრააფი გადმოვარდა ველოსიპედიდან.

— ფრთხილად! — მომესმა რულანტის ხმა. წინ მივქროდი, ისევ ცალი ხელით მეჭირა სახელური და გამზადებული ვიყავი მესამედ მესროლა. უცებ დავინახე, რომ კალეგრააფი გაჭირვებით დგება ფეხზე. იგი უცნაურად ბრუნავდა — მაშინვე გამახსენდა, რომ ასეთ მანევრებს ასწავლიან ნაცისტების აგენტებს, — კალეგრააფმა ბარბაცით გადაიარა ქუჩა, მივიდა ხესთან და გაჩერდა. ერთი ხელით ხის ტანს მიეყრდნო და შემომხედა. მეორე ხელი ამოიღო ჯიბიდან. სისხლით მოსვრილი სახე მოღრეცოდა. და მან რევოლვერიდან სროლა დამიწყო. ჩვენგან ათი-ოცი მეტრით უკან გერმანელთა ავტომანქანები მიქროდნენ. წინ კი ათი-ოცი მეტრის მანძილზე ადამიანები მიდიოდნენ. დავინახე, როგორ მოიხედეს მათ ჩვენკენ და გაიქცნენ. ამ დროს მჩხვლეტავი ტკივილი ვიგრძენი ჯერ ერთ, მერე მეორე თეძოში. მაგრამ ეს იყო წუთიერი მწვავე ტკივილი. უფრო ცუდი იყო, მას რომ უგრძნობლობა მოჰყვა, ფეხები დამისუსტდა. უკვე

ვეღარ შევძელი სატერფულზე ფეხის დაჭერა. რამდენიმე წუთი მთვრალივით ვტორტმანებდი დასაჯდომზე. თვალწინ შავი ნაპერწკლები აციმციმდნენ, ყურები მიწიოდნენ, გონებას ვკარგავდი.

სადაა რულანტი? რაღაც დავიყვირე, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. თვალებში შავი ჭავლი, მთელ ტანში სიცხე და გუკუნი არ წყდებოდა და უფრო მეტად მტანჯავდა. ვიგრძენი, რომ ვეცემოდი.

ვიღაცამ შემანჯღრია და ბეჭებქვეშ ხელი ამომდო,, დავინახე ჩემკენ დახრილი სახე. ქუთუთოები ავახამხამე. ქუთუთოების მოძრაობაც ტკივილს მგვრიდა. გავინძერი და ისევ ტკივილი ვიგრძენი. სახე უფრო დაიხარა ჩემკენ; ჩემთვის ნაცნობი სახე. ძლივს მივხვდი, რომ იგი რულანტი იყო: არ მახსოვდა, რომ მე ვისროდი.

— შეგიძლია ველოსიპედით წასვლა? ღვთის გულისათვის, ხანა, —ჩუმად და აღელვებულად წარმოთქვა რულანტმა. — შეგიძლია ველოსიპედით სიარული?

გავინძერი, თითქოს მთელს სხეულში ტყვია მქონდა ჩაღვრილი. თეძოებზე თითქოს მაგარი, თბილი, ნოტიო ბურუსი მედო. ხელი გადავისვი ზედ, თითქოს შემეძლო მისი მოშორება და რაღაც უცნაურს შევეხე... სისხლი?

თვალები ამიჭრელდა. გამახსენდა, რაც მოხდა, ვიღაცამ რევოლვერი მესროლა. კალეგრააფი... როდის მოხდა ეს ამბავი?

— რულანტ! — ვუთხარი მას და ორივე ხელში ჩავკიდე ხელები. — მოვახერხებთ გაქცევას?

— ველოსიპედით სიარული რომ შეგეძლოს... — მიპასუხა მან.

— მომეშველე, — ვუთხარი მე. სისუსტისაგან ვკანკალებდი. სისხლისგან ვიცლებოდი, ფეხები ვერ მიძლებდა. თანდათან მიღონდებოდა გული, ვიგრძენი, რომ კაბა ფეხებზე მომეკრა. რულანტის ძლიერ, მშვიდ ხელებს მხსნელი, სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა. ამიყვანა და ველოსიპედზე დამსვა. და ერთი ხელი მაგრად ჰქონდა ჩემთვის ჩავლებული, ვიდრე იქაურობას არ მოვშორდით. ფეხს ვაჭერდი სატერფულს, ვამოძრავებდი, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი. ვერ გამეგო, როგორ ვახერხებდი მოძრაობას, მაგრამ წინ ჩნდებოდნენ სხვადასხვა სახლები, ხეები, მწვანე ყვავილნარები და მერე ჩამოვიტოვებდით ხოლმე უკან.

— რულანტ, — დავიწყე მე და ყბები ისე ამიხმაურდა, თითქოს სიტყვებს ვკენტდი შუაზე, — სადაა კალეგრააფი?..

— იმაზე ნუ წუხარ, თავის ბებიასთანაა. ჰოლანდიის განთავისუფლებას ვერ მოესწრება, — მიპასუხა რულანტმა.

— ესე იგი... ეს ამაოდ... არ მომხდარა, — ვთქვი მე.

დავინახე მისი შეშინებული სახე. ალბათ, მიხვდა, რაზეც ვლაპარაკობდი. გულშეღონების სისუსტის ამ წუთებში უცებ უმოწყალო სიცხადით დავინახე ის, რაც ჩემი სულის სიღრმეში ინახებოდა: ასევე მიდიოდა ჰუგო, დრუუტზე თავდასხმის შემდეგ, დაჭრილი, სისხლისგან იცლებოდა. ასევე მიაღწია მანაც ერთ სახლამდე... ფეხებს კიდევ ვაჭერდი სატერფულს. ვიღაცის ხელი ზურგს მიმაგრებდა. ტკივილისაგან გონებადაკარგული ჰუგო ვიღაცის ოთახში დაეცა... სად დავეცემი მე? აღარაფერი გამეგებოდა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ველოსიპედით მივდიოდი, ფეხებიდან სისხლი მდიოდა, და მეგონა, ამ განთავისუფლების დღეს მე მხოლოდ სიარული შემიძლია დაუსრულებლად, სადმე, ჩემს ამხანაგებს შორის რომ მოვკვდე-მეთქი.

დასასრული

არ მოვკვდი. და იმ დღეს, იმ არეულ სამშაბათს, ჰოლანდია არ ვანთავისუფლებულა. ეს დღე გავატარე რაღაც ბუნდოვან, ნახევრადგაშტერებულ მდგომარეობაში, რომელსაც მხოლოდ საშინელი ტკივილების შეტევა არღვევდა, ამ დღეს თითქოს ვიყავი აქ და არც ვიყავი...

პატარა ოთახში ვიწექი, რომელიც მაშინვე ვიცანი. რულანტის სახლში ვიყავი. საშიშროებაზე არ ვფიქრობდი. ციებ-ცხელებას გონების დაკარგვა ენაცვლებოდა. ხელს ვკიდებდი ჩემს თეძოებს, რომელზეც უხეში ტილო შემომახვიეს. განძრევა მიჭირდა და მეშინოდა მათი შეხედვის, საკუთარი სისხლის დანახვის. ქუჩიდან მესმოდა საზეიმო შეძახილები და დროდადრო სროლის ხმა. მე ვფიქრობდი: „შურისგების დღე... შურისგების დღე? რას ნიშნავს ეს სიტყვები?“

ვყვიროდი, წყალს ვითხოვდი. რაღაცას ვყვიროდი ჰუგოზე. მეგონა, რომ ზაანდამში ჰუგოს გვერდით დავეცი ქუჩაში, ნაცისტის ტყვიით განგმირული. ჰუგოსთან ერთად მინდოდა სიკვდილი, მაგრამ არსად იყო ჰუგო.

მერე ისევ მივხვდი, რომ რულანტის ოთახში ვიწექი, სადაც მზის სუსტი სხივები იჭრებოდნენ ფარდაჩამოფარებული ფანჯრებიდან. შევნიშნე, რომ საწოლთან ვიღაც იჯდა. ეს ანი იყო.

— რა ამბავია? როგორაა განთავისუფლების საქმე? — ვკითხე მას.

— იწექი! — მითხრა მან და ტუჩები დამისველა. — ექიმი მოვა და გიშველის.

— მოკავშირეები უტევენ? — ვკითხე და მკლავში ჩავავლე ხელი.

— ამბობენ, უტევენო, — მიპასუხა ანმა. — ადამიანები ყვავილებით ხელში დგანან გზების გასწვრივ.

— ისინი ფაშისტ ვაჟბატონებიან მატარებელს ესროდნენ? — ვკითხე მე.

— კი. ნახევარი გადარჩენილები მინდვრებში გაიქცნენ. მაგრამ ჩემთვის ნება არ მოუციათ შენთან ამაზე მელაპარაკა. საერთოდ არ შეიძლება შენი ლაპარაკი.

ყურადღება არ მივაქციე მის ნათქვამს, და ლაპარაკი განვაგრძე:

— ან, შენ იცი, რომ ტინკამ და ვეინანტმა პიბინხა მოჰკლეს „მოხუც მეცნიერთან“ ახლოს... ხოლო მე და რულანტმა — კალეგრააფი სხაუტესალში.

— მე და ვიხერმა კი — პიტერი, — მითხრა ანმა. — ამ დილით იგი სწორედ მანქანაში ჯდებოდა. ჩვენ ორივემ ერთდროულად ვესროლეთ. ფრიცის O. D. ჯგუფი კარგად მოქმედებს შარაგზებზე... — უცებ ანი მიხვდა, რომ ჩვენმა საუბარმა აკრძალული მიმართულება მიიღო. — ლაპარაკის უფლება არა გვაქვს, ხომ გითხარი!

— რა მოხდა მერე, — შევესიტყვე მე. — მადლობა ღმერთს, ისედაც საკმაო ამბები ვიცი.

უცებ ოთახში ექიმი მარტინი შემოვიდა, მე კი ისევ დავსუსტდი ტკივილისა და დაღლილობისგან. ექიმმა მაგრად დამიჭირა ხელები და ჩემი ჭრილობები გასინჯა. მას თამბაქოსი და ფორმალინის სუნი უდიოდა, მისი ნაცრისფერი თვალები მზრუნველად და ყურადღებით შემომყურებდნენ.

— რად გინდოდა ერთბაშად ამდენი ტყვია, — მითხრა მან. — დიახ, ხანა, აქ არ შემიძლია შენთვის ოპერაციის გაკეთება. ჩემს კლინიკაში მოგიწევს წამოსვლა.

— როგორ უნდა მივიყვანოთ, ექიმო, იქ? — გავიგონე ანის ხმა.

ექიმმა მარტინმა მე თავი დამანება. ვხედავდი, როგორ ჩურჩულებდნენ ისა და ანი. თვალებზე ისევ გადამეფარა ბინდი; ტკივილისა და სისუსტისაგან გონება დავკარგე. გონზე მაშინ მოვედი, როცა ვიგრძენი, რომ ჩემ ქვეშ რაღაც კაკუნებდა და ირწეოდა. ურიკაზე, ხელის ურემზე თუ ველოსიპედის ეტლში ვიწექი, კარგად არ ვიცი. მივხვდი, რომ მეგობრებს გადავყავდი და მშვიდად ვიყავი.

ექიმმა მარტინმა იმავე საღამოს ამოიღო ტყვიები. პირში ჩვარგაჩრილი ვიწექი. ქსოვილი ყვირილს ახშობდა. არასდროს გამომიცდია ასეთი ტკივილი. როცა გონს მოვედი, პირველად ვიგრძენი შვება, რაღაც მსუბუქი სიგრილე, მივხვდი, რომ ტყვია ამოღებული იყო და ჭრილობები შეხვეული.

რამდენიმე საათი ვიყავი ძილ-ღვიძილში, ხან ნათლად ვგრძნობდი ყველაფერს, ხან არაფრის შეგრძნება არ მქონდა. ეს არც თუ ისე ცუდი იქნებოდა. მაგრამ ვერც ტკივილმა, ვერც ნახევრადმთვლემარე მდგომარეობამ, რომელიც გონებას აბნელებს, ვერ შეძლო ჩაეხშო აკვიატებული მღელვარება: რა ხდება? რა ზომებს ღებულობენ ამხანაგები? რა მდგომარეობაშია ჰოლანდია?

ოთახში ბნელოდა; შორიდან აღწევდა ქალაქის ხმაური, რომელიც ძლივს ისმოდა. ველოდი, ხომ არ მოვა რომელიმე ამხანაგი-შეთქი. ვიძინებდი და, ალბათ, რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ვიღვიძებდი. დროის შეგრძნება დავკარგე. ვცადე საათის რეკვისთვის დამეგდო ყური. ანგარიში მეშლებოდა. საღამოს, ძალიან გვიან — იქნებ, ღამეც კი — მოვიდა ექიმი მარტინი. ხმით ვიცანი:

— გძინავს?

— არ მძინავს, — ვუპასუხე მე, — როგორაა საქმეები?

— კარგად, — თქვა მან, — ყველაფერი კარგად მიდის... თავი დაანებე ყველაფერზე ფიქრს. მოდი, სიცხე გავზომოთ.

გავზომეთ: თითქმის ორმოცი იყო. ექიმი თერმომეტრს პატარა წვრილცხვირა ელექტროფარნით ანათებდა.

— მშვიდად იწექი, — მითხრა მან. — შენი საწოლის გვერდით ხილის წვენი დგას. რაც შეგიძლია, ბევრი სვი ამ დღეებში.

— ექიმო, რას ნიშნავს „ყველაფერი კარგად მიდის?“ მოკავშირეები უკვე შემოვიდნენ ჰოლანდიის ტერიტორიაზე? — ვკითხე მას.

— ამ დღეებში ეს ყველაფერი უნდა დაივიწყო, — გაურკვეველი პასუხი გამცა მან.

— ესე იგი, არ შემოსულან, — გამოვიტანე დასკვნა.

— ძალიან არეული ცნობები მოდის, — მითხრა ექიმმა. — ინგლისელებმა ცოტა იჩქარეს, როცა განაცხადეს, განთავისუფლება ახლოაო... მაგრამ, ყველაფერი ნამდვილად კარგად მიდის.

— ბალკანეთში, არა? — მწარედ ვუპასუხე მე.

— არა, მარტო ბალკანეთში კი არა. გერმანიის ჯარები პანიკამ შეიპყრო. მთელი ჯგუფები მიდიან დეზერტირებად... ზოგიერთები სამოქალაქო ტანისამოსებს იცვამენ და სამხრეთისაკენ გარბიან, რომ იქ ტყვედ ჩაბარდნენ... მაგრამ, მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

შენთვის ამისთანა საკითხებზე ფიქრიც არ შეიძლება, ლაპარაკი კი ყოვლად შეუძლებელია.

— ვის შეუძლია მათზე არ იფიქროს? — ვკითხე მე.

— მესმის, ახლა კი დაიძინე. — მითხრა ექიმმა. — დაიძინე! ხვალ კი გულახდილად გეტყვი, რაც ხდება.

მისი წასვლის მერე ისევ დავიწყე მიყურადება. ვგრძნობდი, ჩემს სისხლში ციებ-ცხელება ხან რომ მატულობდა და ხან კლებულობდა, ზღვის ზვირთცემასავით. იყო წუთები, არ ვიცოდი, სად ვიმყოფებოდი. მერე ისევ წარმომიდგებოდა, თითქოს შტაბში ვარ და ყურს ვუგდებ ჩვენგან მიმავალი გერმანელების ნაბიჯების ხმასმეთქი. შორიდან მესმოდა სროლა: ალბათ, ნაცისტები წშჯ-ს გადააწყდნენ... წინააღმდეგობის შიდა ჯარების მებრძოლები მკლავზე თეთრ ასოებიან ლურჯ სამკაულებს ატარებენ. მეც ვისვრი, მაგრამ ჩემი ველოსიპედი ტრამვაის ლიანდაგში გაიჩხირა; ნაცრისფერტანისამოსიანი კაცი სახეს მანჭავს და რევოლვერს მიმიზნებს.

მეორე დღეს ექიმი მარტინი ისეთი არაბუნებრივად გამოცოცხლებული შემოვიდა ჩემთან, რომ მაშინვე მივხვდი: საქმე კარგად არ იყო! იღლიაში რაღაც შეხვეული ჰქონდა ამოდებული.

— დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა, — მითხრა მან. — აბა, გუშინდელი დღის გმირი როგორ გრძნობს თავს? შენი მეგობრები რამდენიმე ქილა ხილის კონსერვს გიგზავნიან... ეს ძალიან შეგერგება.

— ექიმო, როგორი ახალი ამბებია? — ვკითხე მე.

— ჰო-ო, — გაიმეორა მან, — რა უნდა გითხრა? გუშინ საღამოს უკვე გითხარი, რომ ბი-ბი-სიმ ცოტა იჩქარა...

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საწოლიდან ვვარდებოდი ორმოში. — ესე იგი...არ გავთავისუფლებულვართ?

ექიმმა მარტინმა ნაძალადევი მხიარულებით გაიცინა:

— თუ ჯერ კიდევ არა, მალე გავთავისუფლდებით! ამჯერად ბელგიელები ჩვენზე ბედნიერები აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ისინი გაცილებით უფრო ახლოს არიან ნორმანდიასთან, ხომ ასეა?.. ნუ აღელდები, ჩვენი ჯერიც ნამდვილად მოვა. დიდი მდინარეები — რა თქმა უნდა, ბარიერია, რომლის აღებაც არც ისე ადვილია...

— მართალია, ექიმო, რომ გუშინ ხალხი ყვავილებით ხელში იდგა ქუჩების გასწვრივ და მოკავშირეებს ელოდა?

მან ხელი ჩაიქნია: — კი, რამდენიმე ახირებული იდგა... რა თქმა უნდა, ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ენთუზიასტები... მოიტა, მაჯას გაგისინჯავ. ჯერ კიდევ ცოტა არათანაბარია... სიცხე გაქვს?

— ოცდათვრამეტი და ოთხი, — მივუგე მე.

— კარგია! — წამოიძახა ექიმმა. — მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა, სიცხე კლებულობს... ტკივილები ისევ გაქვს?

თავი დავუქნიე, კარგა ხანია მივხვდი, რომ ჩემი ავადმყოფობის მდგომარეობაზე შეკითხვებით ცდილობდა ლაპარაკისათვის ავერიდებინე. და მზად ვიყავი ასატირებლად.

— ესე იგი, გუშინდელი დღე არ იყო განთავისუფლების დღე, — ჩავილაპარაკე, და ვიგრძენი, რომ უდანაშაულოდ განაწყენებული ბავშვივით ამიცახცახდა ტუჩები.

— არა, არ იყო, — მიპასუხა ექიმმა. არაკეთილგანწყობილად კი არა, მაგრამ საკმაოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითქოს მას უკვე მობეზრდა ჩემი მოსმენა. — ჩვენ ამას ოთხი წელი ველოდით... განა არ შეიძლება კიდევ რამდენიმე დღე ველოდოთ?

ხმა არ ამომიღია და კედლისაკენ გადავბრუნდი.

— წყნარად იწექი, — მითხრა ექიმმა მარტინმა. — მალე უნდა წამოგაყენოთ ფეხზე, რომ ყვავილებით ხელში შეგეძლოს გზის პირას დგომა, როცა მოკავშირეები მართლა მოვლენ.

პასუხი არ გამიცია, ბევრს ვფიქრობდი ამხანაგებზე, ანიზე, ფლორორზე, ათასობით ადამიანზე, რომლებიც ასე აბობოქრებული ხარობდნენ გუშინ ქუჩებში. ვფიქრობდი სკოლაში მყოფ ბავშვებზე, საავადმყოფოებში მწოლიარე ადამიანებზე: ოთხკედელს შორის გამოკეტილები, ისინი იცდიდნენ. როდის გაიცემოდა ნიშანი — ზარების რეკვა და ეროვნული ჰიმნი „ვილჰელმუსი“; ვფიქრობდი ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეულ ქალებსა და კაცებზე: დამალულ ებრაელებსა და იატაკქვეშელებზე, რომლებსაც გადარჩენა სწყუროდათ. გუშინ თავისუფლებამ მათ თავისი მსუბუქი ფრთა შეახო. მაგრამ არაფერი არ შეცვლილა, ყველაფერი ძველებურად დარჩა.

ცხარე ცრემლები ეცემოდნენ ბალიშზე. ციებ-ცხელება ხან ნელდებოდა, ხან ცხოველდებოდა. ჩემი სხეული წინააღმდეგობას უწევდა მას, გონებაც ცდილობდა დახმარებოდა, მაგრამ იმედგაცრუების მწარე გრძნობა ხელს უშლიდა ჩემს ჯანმრთელობას. ვიწვოდი, ძალონე არ მქონდა, გაბრაზებული და შეურაცხყოფილი ვიყავი. სიცხე მატულობდა, და ჩემს გახურებულ ტვინში საშინლად პირქუში ფანტაზიები იბადებოდა.

ამხანაგები მოდიოდნენ და ათასნაირი სასუსნავი მოჰქონდათ: ვაშლი, მსხალი და შოკოლადის ბატონიც კი, რომელიც დიდი ხანი გულმოდგინედ იყო სადღაც შენახული. ვკითხე, როგორი მდგომარეობა იყო, და მათ მიამბეს, ჰოლანდიის ჯარი კემპენში დგას ჰოლან-

დიაში შემოსაჭრელად გამზადებულიო; გერმანელებმა დატოვეს ფინეთი და ბულგარეთი, ბელგრადს კი მალე გაანთავისუფლებენო. საბჭოთა ჯარებმა პოლონეთსა და გერმანიას შორის საზღვარი გადალახესო.

— ათასნაირ სისულელეებს ნუ მოუყვებით, — ხუმრობით უთხრა ექიმმა მარტინმა მათ, როცა ჩემთან შემოიყვანა ისინი. — თორემ ხანას უკვე ესიზმრება, ფიურერის შტაბში ვარო!

ხუმრობას რომ ცდილობდნენ, უფრო ვღიზიანდებოდი. მხოლოდ მაშინ გამოვცოცხლდი, როცა ანი და ტინკა მოვიდნენ და მიამბეს, მოკავშირეები უკვე გერმანიის საზღვარზე არიანო.

— უკანასკნელ დღეებში პანიკა ცოტათი შენელდა, — მაცნობა ანმა. — გზებზე აღარ შეიმჩნევა „ლტოლვილთა“ დინება... მაგრამ, მათ ახლა უფრო ეშინიათ... უბრალო, პატიოსანი ჰოლანდიელები ცისფერი ტრამვაით აღარ დადიან; „ლტოლვილებმა“ წასასვლელად ტრამვაის ვაგონები მოითხოვეს... მათ ყველაფერი მიაქვთ, რაც ხელთ მოხვდებათ — ველოსიპედები, ავტომობილის სალტეები, სპილენძის მავთულები...

ციებ-ცხელებამ მიკლო. დაღლილი და თითქოს დამტვრეული ვიყავი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს წონაში არანაკლებ ათი გირვანქისა ვიყავი დაკლებული — ალბათ, ეს ასეც იყო. მაგრამ ყოველდღიური ცნობები მაფხიზლებდა, მინდოდა წამოვმხტარიყავი ლოგინიდან, გადამეცვა კაბა და გავქცეულიყავი „ესპანურ მუხებში“, შტაბში... ჩვენი ჰოლანდიელთა ჯარები ეინდხოვენისაკენ გაიჭრნენ.

ინგლისელები ნამდვილად იბრძოდნენ ველხერენის კუნძულზე.

ზელანდიაში ისინი ზედიზედ იჭერდნენ გერმანელთა ბადრაგებს; გერმანელები თვითონვე ეგებებოდნენ მტრებს. მათ შიმშილი მიერეკებოდა. გერმანული სამხედრო ფორმის ზემოდან იცვამდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ; ბევრს ერჩივნა ფეხშიშველი გაქცეულიყო, ვიდრე თავი გაეცა საძულველი ჩექმებით.

მოკავშირეთა პირველი ჯარები გერმანიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ მის აღმოსავლეთ ნაწილში. ექიმ მარტინს ვეველრებოდი ევროპის რუკა ეშოვა ჩემთვის. ერთხელ სასკოლო ატლასი მომიტანა.

— ახლა გამოდგება ეს ძველმანი, — თქვა მან. — შეხედე, ხანა, აქ კიდევ არის ავსტრო-უნგრეთის მონარქია და გერმანიის იმპერია; როცა ატლასი იბეჭდებოდა, რუსეთში მეფე იჯდა...

— მაგრამ ჩრდილოეთის ზღვა და ალპები, დონი და დუნაი იგივე დარჩა, — შევედავე მე.

რუკას შევხედეთ; კანადელები და ამერიკელები ლიმბურგის საზღვრის გასწვრივ, ვუპერსა და რაინისაკენ მიიწევდნენ.

— ფაშისტები კიდევ რამდენ ხანს ითრევენ ფეხს ჩვენთან? — წამოვიყვირე მე. — მოკავშირეები რაღას აპიანურებენ?

ექიმმა თავი გაიქნია. ძველი ჩვეულების მიხედვით ხელი თეთრი ხალათის ჯიბეში ჩაიყო თამბაქოსათვის, მაგრამ მაშინვე ამოიღო, რადგან ჯიბე ცარიელი ჰქონდა.

— კარგი ამბავი ცოტაა. — თქვა მან. — რაუტერი მუქარას არ იშურებს. „უშიშროების სამსახური“ ისეთ ალყებს აწყობს, როგორიც ჯერ არ ყოფილა... ყველა მამაკაცს — თექვსმეტიდან ორმოცდაათ წლამდე, იძულებულს ხდიან მდინარეების გასწვრივ სიმაგრეები აშენონ.

— ჩვენს მამაკაცებს? ჩვენი მდინარეების გასწერივ? — ეკითხე მე.

— მაშ როგორ გგონია? როგორც ჩანს, გერმანელებს უნდათ ჰოლანდია ციხე-სიმაგრედ აქციონ. ჩვენ იძულებულნი ვიქნებით დავეხმაროთ მათ იმაში, რომ ჩვენივე ძმებისაგან ვიხსნათ.

— მოახერხებენ ამას?.. — ეკითხე შეშინებულმა.

— მათ მიერ მოგროვილი ხალხის ნახევარი ღამით გაიქცევა,— მიპასუხა ექიმმა. — ისევე, როგორც ისინი, რომლებსაც თავის დროზე გერმანელები აგროვებდნენ და იტაცებდნენ აეროდრომების ასაშენებლად...

— ვინც გაქცევას ვერ მოახერხებს, საბოტაჟს მოაწყობს, — ვთქვი მე.

— ალბათ, — თქვა მან. — ყოველ შემთხვევაში, არამზადებს, როგორც იქნა, ახლა აქ ძალიან უპირთ.. ისინი გაზის მომჭირნეობას ეწევიან — მხოლოდ გარკვეულ საათებში უშვებენ. დღეიდან კი პურის ულუფა შემცირებულია. თითქოს აქამდე ძალიან დიდი იყო.

გამოჯანმრთელებას ვჩქარობდი. მაგრამ, ჩემს ჭრილობებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ, მათ ნორმალური ვადა მოითხოვეს. ხანდახან მედიცინის დის წასვლის მერე, რომელიც ექიმ მარტინს ეხმარებოდა, ვცდილობდი დავმდგარიყავი ჩემი საწოლის გვერდით, მაგრამ საზიზღარი სისუსტე ლოგინში მაწვენდა. ვწყევლიდი ჩემს უმწეობას და მოუთმენლობა მტანჯავდა. ანმა და ტინკამ წიგნები მომიტანეს — შოლოხოვი, ჯეკ ლონდონი და ბენ ტრავენი, მაგრამ ძალიან აღგზნებული ვიყავი იმისათვის, რომ წესიერად წამეკითხა ისინი.

ჩემმა უძლურებამ ამატირა, როცა გავიგე, რომ რაუტერის ბრძანებით წაყვანილ ხალხს გზავნიდნენ არა ჰოლანდიის მდინარეებ-

ზე, არამედ უფრო შორს — მათ მონებივით გაგზავნიდნენ გერმანელთა შრომითს ბანაკებში, იმისათვის, რომ უკანასკნელ გერმანელებს, რომლებიც მთავრობის განკარგულებაში იმყოფებოდნენ, შეძლებოდათ თოფით ხელში ფრონტზე წასულიყვნენ.

— ნუთუ მატარებლების შეჩერება არ შეიძლება? — ვკითხე მე რულანტს, რომელმაც ეს ამბები შემატყობინა და დაბნეული, გაუბედურებული სახით უყურებდა ჩემს მწარე ტირილს. — ბოლოს და ბოლოს, სად არიან ინგლისელები? განა წინააღმდეგობის შიდა ჯარებს ხიდების აფეთქება არ შეუძლიათ?

— შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გამხეცებულები არიან გერმანელები, — მითხრა ბოლოს რულანტმა. — სულ უბრალოდ ხოცავენ ადამიანებს. ისინი ველოსიპედებს იტაცებენ, პირდაპირ ხელიდან სტაცებენ ხალხს... ყოველი მხრიდან ჩამოიყვანეს უფროსი კლასის მოსწავლეები... თავიანთი შრომითი ბანაკებისათვის.

— მე კი აქ ვწევარ... — ვთქვი მე. — მაშინ, როცა უნდა ვისროდე... უნდა ვისროდე!

რულანტი ჩემს დამშვიდებას ცდილობდა:—ცოტაც მოითმინე... თვითონ გერმანელებსაც აღარაფერი სჯერათ, თავიანთი დამარცხების გარდა.

— მაგრამ ისევ რამდენ სიავეს გვიკეთებენ ყოველდღიურად!— წამოვიყვირე მე. — უფალო ღმერთო, მალე მთელი ევროპის ტრიბუნალები არ ეყოფა მათ!...

როცა პირველად, ფეხების თრევით, ჯოხზე დაყრდნობილმა ოთახში გავიარე, ცნობა მოვიდა საპარაშუტო დესანტზე, რომელიც გადმოსვეს გერმანელთა ჯარების განლაგებაში არნემთან, მდინარეების ლეკისა და რაინის გასწვრივ. მოკავშირეთა ჯარები ნეიმეგენისაკენ გაიჭრნენ. ქალაქი გაანთავისუფლეს, მაგრამ იგი ნახევრად დანგრეული იყო, როგორც ცნობა იუწყებოდა. მალე ამ მდინარეების ჩრდილოეთით მცხოვრებმა ჰოლანდიელებმა კიდევ ერთხელ აჯობეს გათავხედებულ ოკუპანტებს: რკინიგზელებმა თავი ანებეს სამუშაოს, ღვთის ანაბარა მიატოვეს სადგურები, მოძრავი შემადგენლობები. მატარებლები გაჩერდნენ. გადაზიდვა და გადაყვანა შეწყდა.

ჯოხით დავეხეტებოდი ოთახში. ხანდახან ექიმი მარტინი შოულობდა დროს ჩემთან სასაუბროდ, ხან კი ამხანაგები მოდიოდნენ. გარე სამყაროდან მოსული ცნობები კარგისა და ცუდის უცნაურ ნარევს წარმოადგენდა: ჰოლანდიაში საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, ყველაფრის მარაგი ამოიწურა, ნახშირი დაიხარჯა, გაზის ანთება მხოლოდ საღამოობით იყო ნებადართული. ელექტრონის ნორმა ნა-

ხევრად შემცირდა, ეს საშინელი მდგომარეობაც მისასალმებელი გახდა: ეს საიმედო ამბავი იყო... ეს გახლდათ ახლო ხანებში გერმანიის დაცემის საწინდარი. რამდენადაც გაუჭირდებოდათ მათ, იმდენად უკეთესი იყო ჩვენთვის.

ინგლისელები გერმანიის საზღვარზე ბომბავდნენ ქალაქებს, კანადელები და ჰოლანდიელები ზელანდიას წმენდდნენ გერმანელებისაგან. რამდენადაც რუკის მიხედვით შემეძლო განსჯა, გერმანელები გამაგრდნენ ტერიტორიის ძალიან პატარა ნაკვეთზე, მაგრამ ეს კუთხე იყო სანაპირო და გადმოსასხდომად კარგი, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლოთ მისი გამოყენება სამხედრო ბაზად; მათ არ შეეძლოთ უარის თქმა მიწის ამ ნაკვეთზე. მათ მხოლოდ ერთი რამ უნდოდათ: თუ თვითონ დამარცხდებოდნენ, ჩვენც დავღუპულიყავით.

ისევ დაიწყეს ქარხნებისა და სახლების აფეთქებები ეიმეიდენსა და ფელზენში. ჩემს ფარულ თავშესაფარში აფეთქებების საშინელი გუგუნი აღწევდა. ლოგინზე გაწოლილი, მუშტებმოკუმშული, ვფიქრობდი ჰუგოზე, რომელიც ბრაზისგან და აღშფოთებისგან გაფითრდა, როცა ეიმეიდენში პირველად გაისმა აფეთქების გრუხუნი. მას შემდეგ ერთ წელზე მეტი დრო გავიდა.

მაგრამ გერმანელები ეიმეიდენით არ კმაყოფილდებოდნენ. მთლად გაგიჟდნენ. ხანდახან, როცა ცნობებს ვუსმენდი, ვგრძნობდი, რომ ფაშისტების შურისმაძიებლურ სიძულვილის ბურუსში ვიყავი გახვეული.

ეიმეიდენის აფეთქებიდან ორი კვირის შემდეგ გერმანელებმა ამსტერდამში ააფეთქეს საპორტო ნაგებობა. ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ გამოიყურებოდა ახლა ის ადგილი: ნამტვრევებით სავსე დაცარიელებული ნავსადგური, აქა-იქ გამოშვერილია რკინის დამტვრეული ნივნივები — უკაცრიელი, წაბილწული მიწა. ამსტერდამსა და ეიმეიდენზე ფიქრის დროს ყოველთვის წარმოვიდგენდი ხოლმე წყლის სივრცეს, რომელშიც წინ და უკან დაჰქროდა უამრავი პატარ-პატარა ბუქსირი, აუჩქარებლად იღებდნენ გეზს საოკეანო გემები, სადაც თუხთუხებდნენ აუჩქარებელი ბორნები, სადაც იფრქვეოდა კვამლის ბოლქვები, ისმოდა რკინის რაკუნი, — იქ სიცოცხლე დუღდა.

— წასვლა მინდა აქედან, — ვუთხარი ექიმ მარტინს, როცა დიდი გაჭირვებით მივედი მის სამუშაო კაბინეტში. როგორც ჩანდა, ისევ ეშოვა თამბაქო — იგი ეწეოდა.

— შენ მე მიხსენი... — მითხრა მან. ვხედავდი, რომ თვალს მა-

რიდებდა და უკირდა ამის თქმა. — გუშინ საღამოს წინააღმდეგობის ერთი მებრძოლი მივიღეთ... ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგი; ტყვიებითაა დაცხრილული. როგორც კი შესაძლებელი იქნება მისი გადმოყვანა, იმ ოთახში დავაწვენთ, სადაც შენ ხარ.... მეცოდები, ხანა, მაგრამ იმ კაცთან შედარებით შენ საკმაოდ მოკეთებული ხარ.

— მართლაც მოვმაგრდი... — ვუპასუხე მე.

— ოღონდ ნუ გეშინია, რომ ქუჩაში გაგაგდებ, — თქვა ექიმმა ხუმრობის ტონით, უხეიროდ, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე. — ქალაქში არის ერთი ოჯახი, სადაც შეგიძლია ახლავე წახვიდე, რომ საბოლოოდ მოიკეთო.

იმ დღესვე გადავედი. ოჯახი, რომელზედაც ექიმი ლაპარაკობდა, შედგებოდა მოხუცი დედ-მამისა და გაუთხოვარი, უკვე ხანში შესული ქალიშვილისაგან. ისინი წარმოუდგენლად გულთბილად მომექცნენ; სპეციალურად ჩემთვის მოემზადებინათ შემინული ვერანდა, რადგან ჯერ კიდევ არ შემეძლო კიბეებზე ასვლა. ამ ოჯახში, უფრო სწორად ამ სახლში, მხოლოდ ერთი რამე იყო, რასაც ვერ ვეგუებოდი. სახლის პატრონებს ძაღლები უყვარდათ: ჰყავდათ ირლანდიური სეტერები და დიდი, ბანჯგვლიანი, ინგლისური ნაგაზები, როგორც კი გადავაბიჯე სახლის ზღურბლზე, მაშინვე დავინახე ისინი. აქ ოთხფეხების ყოფნაზე მეტყველებდა არა მხოლოდ ყოველნაირ ხმაზე ყეფა; ყველგან — დერეფნებში, ყოველ ოთახში და ჩემს შემინულ ვერანდაზეც კი — იგრძნობოდა ძაღლის სუნი, რომლითაც გაჟღენთილიყო ხალიჩები, ავეჯი და შპალერი. ამაზე სახლის პატრონებს ვერაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ ძაღლის სუნის ატანაც არ შემეძლო. ახლა კი, მეძინა თუ დავდიოდი, ვსუნთქავდი ამ ჰაერს. ჩემს ახალ დიასახლისს ვერ გაეგო, რატომ არ ვჭამდი თითქმის არაფერს, რატომ არ მეძინა კარგად, მიუხედავად იმისა, რომ საუმელიც და ლოგინიც ძალიან კარგი იყო; მის ქმარს და ქალიშვილს ჩემთვის ტკბილეული და ხილი მოჰქონდათ, ნება მომცეს თავისუფლად მეთვალიერებინა მათი წიგნები, როცა და რამდენ ხანსაც მსურდა. მე კი ყველგან მხოლოდ ძაღლების არსებობას ვგრძნობდი, მაშინაც, როცა შინ იყვნენ ისინი და მაშინაც, როცა დედ-მამას და ქალიშვილს სასეირნოდ მიჰყავდათ. ვერანდის ფანჯრებს მთლიანად ვაღებდი, ეს ცოტათი მშველოდა; ახლომახლო მდებარე ბაღებიდან მონაბერ ნაგვიანევი ზაფხულის მწკლარტე ჰაერს ვსუნთქავდი. მაგრამ მერე ისევ ამ ძაღლის სუნით გაჟღენთილი, სტუმართმოყვარე სახლის ჰაერით უნდა მესუნთქა.

—ღვთის გულისათვის, გამიყვანე აქედან,—ვუთხარი ანს, როცა ძაღლებიან სახლში ჩემი დაბინავებიდან ერთი კვირის შემდეგ მოვი-

და ჩემთან. — ამ სიმყრალისაგან ვკვდები. ხალხი ძალიან კეთილი და თავაზიანია, მაგრამ ისე შეყვარებულები არიან თავიანთ ძაღლებზე, რომ ვერც გრძნობენ, მათაც რომ უდით ძაღლის სუნი...

— ღმერთო ჩემო, სად გინდა წასვლა? — მკითხა დაბნეულმა ანმა, თან თანაგრძნობით შემომყურებდა. ისიც ვერ იტანდა ძაღლის სუნს.

— არ შეიძლება ისევ ჩემს სხვენში გადავიდე? — ვკითხე მე.

ძაღლისმოყვარულები ვერ მიხვდნენ რატომ გადავდიოდი მათგან, მაგრამ არც დავუკავებივართ.

ანმა და ტინკამ ჩემს სხვენში გადამიყვანეს. მედიცინის დას, რომელსაც, როგორც ჩანდა, წინათ ეჭვიც კი არ აუღია, ვინ ვიყავი, არ უნდოდა ისევ სხვენზე დავესახლებინე.

— ჩემს ოთახს დაგითმობთ, მე უმეტესად შინ მაინც არა ვარ.

— მაგრამ თქვენ ღამის მორიგეობაც გიწევთ, — შევესიტყვე მე.

— მაშინ თქვენ იძულებული იქნებით აიტანოთ ჩემი საზოგადოება დღისითაც, ვეცდები ძალიან არ შეგაწუხოთ ჩემი შინ ყოფნით.

დივანი მეორე საწოლად აქცია. და ვიწექი ზედ დილით, დღისითაც და საღამოსაც. ნელ-ნელა ვჯანმრთელდებოდი. ციებ-ცხელება და ტკივილები ხანდახან მაწუხებდა, ვგრძნობდი, რომ ნამდვილად ადრე წამოვედი ექიმ მარტინისაგან, მაგრამ არავისათვის არაფერი მითქვამს ამის შესახებ. ოთახში ყავარჯნებით ძლივს დავდიოდი, და პირველად ვეყრდნობოდი კარადებს, მაგიდას და კედლებს. მერე უყავარჯნოდ გავლა ვცადე.

ფეხებს ვიზელდი, ჭრილობებში ისე მჩხვლეტდა, როგორც დაბუჟებულ ფეხებში იცის ხოლმე, როცა მათში ისევ გაივლის სისხლი. ჩემთვის იოლი ვარჯიში მოვიფიქრე. ჩემმა დიასახლისმა ერთხელ სწორედ იმ დროს მომისწრო, როცა პირველად ვცადე ჩაცუცქება და წავიქეცი.

— სრულებით არა ხართ ფრთხილი! წამოიძახა შეშინებულმა. — თქვენ თავს ძალას ატანთ.

დავნებდი ლოგინზე დავეწვინე და ღიმილით გავიქნიე თავი. თუმცა სისუსტისაგან ოფლი ღვარად მასკდებოდა, მაინც ბედნიერი ვიყავი: ვგრძნობდი, რომ ისევ მოვიკრიბე ჩემი კიდურების დამორჩილების ძალა.

ამხანაგები ისევ მოდიოდნენ ჩემთან. მოჰქონდათ არალეგალური „დე ვაარხეიდი“ და მიამბობდნენ, რა ხდებოდა ჩვენს ფრონტზე. როგორც იქნა ჩვენი ფრონტიც გაჩნდა!

ახლა ბრძოლები არნემისათვის მიმდინარეობდა. ბრიტანეთისა და პოლონეთის სადესანტო ჯარებს უნდა გაენთავისუფლებინა ქალა-

ქი. მაგრამ საქმე შეფერხდა. მათ მხედველობაში არ მიიღეს ესესელ-თა ჯარის ერთი კოლონა, რომელიც სწორედ ამ დროს მდინარე ლე-კის გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ მიისწრაფოდა.

I კოლონა ბრძოლაში ჩაება. მან ოოსტერბეეკთან, მდინარის გასწვრივ ვიწრო ზოლში მოამწყვდია განმანთავისუფლებლები და შეაჩერა. თვითონ კი მერე მდინარეზე გადავიდა და ბეტიუვეს რაი-ონში განლაგდა. ინგლისის ავიაცია უძლური იყო — ორი უკანასკ-ნელი დღე-ღამის განმავლობაში ამ ადგილს ფარავდა შემოდგომის პირველი სქელი ნისლი.

— ნუთუ შენს ღმერთს არ შეუძლია იქ რაიმე გააკეთოს? — ვკითხე ვეინანტს, როცა ჩემს სანახავად მოვიდა და მიამბო, არნემის განთავისუფლების იმედი აღარ არისო.—ღმერთი რატომ არ გზავ-ნის იქ მზის თუნდაც ერთ სხივს?..

ცოტა ხანს უხმოდ მიყურებდა, მერე მითხრა: — ღმერთს ვერ მოსთხოვ, ყოველთვის გამოასწოროს ადამიანების მიერ გაფუჭებუ-ლი საქმე..

— ვეინანტ! — ხომ არ გინდა თქვა, რომ ვიღაცამ შეგნებულად გ ა ა ფ უ ჭ ა ჩვენი განთავისუფლების საქმე?.. — წამოვიძახე მე.

— მე ამას არ ვამბობ, — შემეპასუხა იგი.—იქნებ, ყველაფერი უფრო ადრე გააფუჭეს... იქნებ, ომის დაწყებამდე დიდი ხნის წინ, როცა ჰიტლერი განადიდეს, იმის მაგივრად, რომ გაერთიანებულიყვ-ნენ და მოესპოთ, ფეხქვეშ გაუგეს საარი, მემელი, ავსტრია, ჩეხო-სლოვაკია, ოღონდ კი აღმოსავლეთისაკენ წასულიყო... ახლა კი ღმე-რთი უნდა ჩაერიოს და გამოასწოროს ყველა სისულელე და მოგვა-შოროს ყველა უბედურება, რომელიც ჩვენ თვითონ, ადამიანებ-მა ჩავიდინეთ? არა, ხანა, ასე არ ვარგა, ქრისტიანობა არც ისე უბრა-ლო საქმეა...

ამ საუბრის მეორე დღეს ჩემთან ფრანსი მოვიდა და მითხრა, რომ არნემი დაკარგული იყო ჩვენთვის. მართალია იყო ყველა წინა-პირობა იმისათვის, რომ ბრძოლით დაებრუნებინათ გერმანელების მიერ დაკავებული ბეტიუვეს პატარა ნაწილი. მაგრამ არნემი ისევ გახდა ფრონტისპირა გერმანული ქალაქი. ხმები დაირხა, ესესელები შეუდგნენ იმ სახლების დარბევას, რომლებიც მცხოვრებლებმა და-ტოვეს ქალაქისათვის ბრძოლის დღეებშიო.

ფარდებს ამოფარებულს შემეძლო ვიწრო არხისათვის მეცქი-რა. ხის ფოთლები სწრაფად ყვითლდებოდნენ, ფოთოლცვენა იწყე-ბოდა. ცას ავხედე, იგი მქრქალი, ღია ცისფერი და ფაიფურივით ნაზი იყო. ზაფხული გავიდა.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში, როცა გაზეთები სავსე იყო ცნობებით ქალაქ ხელდერის დაბომბვის შესახებ, სადაც გერმანელებმა რაღაც ფლოტის მაგვარი გაამზადეს გასაქცევად, ჩემთან ანი და ტინკა მოვიდნენ. მათი სიცილი კიბეებიდანვე შემომესმა; ისინი მხიარულად იყვნენ. როცა ოთახში შემოვიდნენ, დავინახე, რომ ყვავილებიც კი მოეტანათ.

— ღმერთო! — შევძახე მე. — თითქოს ჩემი დაბადების დღე იყოს!

— ყოველ შემთხვევაში, დღეს დღესასწაულია!.. — თქვა ტინკამ. — ვერაფრით ვერ მიხვდები, ვინ გაანთავისუფლეს!..

— გაანთავისუფლეს? ახლა? — ვკითხე მე.

გავეოცდი, მიჭირდა იმის დაჯერება, რომ ნაცისტები კიდევ ანთავისუფლებდნენ ხალხს; გაზეთები მხოლოდ ძალადობისა და ციხეებში დამწყვდევაზე წერდნენ.

— თქვით, ვინ გაანთავისუფლეს... ოტო?

ანმა თავი გაიქნია, თან ვაზაში ყვავილები ჩადო. — არა, ის არა. შენი დედ-მამა დაბრუნდა შინ.

— ციხიდან? — წამოვიძახე მე და შევხტი, არც კი მიგრძვნია თეძოების ჩვეულებრივი მწვავე ტკივილი.

— ფიუხტიდან, — მიპასუხეს ანმა და ტინკამ ერთდროულად. ტინკამ კი ისევ დასძინა: — მართლა, მართლა. შეგიძლია გვერწმუნო... მე და ანი მაშინვე წავედით და ვნახეთ, როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ.

— ამიწერეთ ისინი, — მოვითხოვე მე, თან თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ ავღრიალებულიყავი.

ქალიშვილებმა ამიწერეს, როგორ გამოიყურებოდნენ ჩემი მშობლები. ყველაფერი ემთხვეოდა. სხვა გზა არ იყო, უნდა დამეჯერებინა, თუმცა ძალიან მიჭირდა. თან ვიცინოდი, თან ასატირებლად მზად ვიყავი. მოუთმენლობისაგან ვცახცახებდი. ქალიშვილების ჩემთან ყოფნა, მათი მონათხრობი ყაჩაღურ თავდასხმებზე, უნგრეთში რუსების შეჭრის შესახებ, ჰიტლერზე ბოლო დროს გამონაგონი ანეკდოტებიც კი მაღიზიანებდა: დაქაბულად ვიცინოდი და ამას თვითვე ვგრძნობდი. მართალი რომ ვთქვა, გამეხარდა ჩემი ამხანაგების წასვლა. მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი ამ უდიდეს ახალ ამბავთან ერთად... უნდა მოვმზადებულიყავი იმისათვის, რომ საქმეს დავბრუნებოდი.

მტერი ჯერ ისევ ჩვენს ქვეყანაში იყო.

ქუჩაში პირველად იმ დღეს გამოვედი, როცა ნაცისტებმა კიდევ ერთი ბარბაროსული საქმე ჩაიდინეს: როტერდამში ააფეთქეს საპორტო ნაგებობა. ამ დღეს საკუთარი თვალით პირველად ვნახე ფაშისტების დამხმარე პოლიციის მოქმედება. მათ, როგორც ჩანდა, ველოსიპედები დასჭირდათ (გასაქცევად, თუ მოკავშირეები მაინც მოახერხებენ შემოჭრას-მეთქი, ვფიქრობდი მე). ჩამორთმეული ველოსიპედების დამფრთხალი პატრონები მორჩილად მოკუნტულიყვნენ თავიანთ მანქანებთან; ისღა დარჩენოდათ ქვითრები მიეღოთ და წასულიყვნენ. ვინც ველოსიპედიანად გაქცევას დააპირებდა, გერმანელები ესროდნენ. მე დავინახე, როგორ გაიქცა ერთი ჭაპუკი; ხანშიშესულ ქალს ფეხში მოარტყეს ტყვია, იგი დუქანში შეიტანეს. ველოსიპედი კი გერმანელებმა წაიღეს.

კოჭლობით დავდიოდი ქუჩებში. ქალაქი სრულიად უცხო მეჩვენა. ისევ დადიოდნენ ვერმახტის ავტომანქანები; გერმანელები. როგორც ჩანდა, ისევ დაბრუნდნენ აქ, ხუთი სექტემბრის გაქცევის ცდის შემდეგ. სატვირთო მანქანებზე იდგა დაზგები, დინამო-მანქანები, კბილანა ბორბლები. დაშალეს კიდევ ერთი ქარხანა. რამდენიმე კვარტალს იქით გერმანელი ჯარისკაცები სატვირთო მანქანაზე აწყობდნენ საბავშვო ეტლებსა და თვითმგორავებს, რომლებსაც, ალბათ, წინასწარ თავი მოუყარეს პაკჰაუზში. ყველა ნივთი ნახმარი იყო. როგორც ჩანდა, გაქურდეს ახალგაზრდა მშობლები და პატარა ბავშვები.

წვნეშით მივაღწიე რაიონს, სადაც ჩემი მშობლების სახლი იყო. ფერლიმენებიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ იქ გამოჩენას ვერ ვბედავდი. მაგრამ ამ დღეს თავის შეკავება არ შემეძლო. სადღაც, გულის სიღრმეში, ეკვი მეპარებოდა ანისა და ტინკას მიერ მოტანილი ამბის სიმართლეში. საკუთარი თვალით უნდა მენახა და დავრწმუნებულიყავი.

ოდნავი კოჭლობით, ნელა მივყვებოდი სკვერს, რომელსაც ჩვენი ქუჩა და სახლი ემიჯნებოდა. ახლა ფიქრიც აღარ მინდოდა იმაზე, რომ ჩემი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იყო პოლიციის უწყებებში, ვინ იცის, მერამდენჯერ. რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მითვალთვალებდნენ და ბედნიერნი იქნებოდნენ ჯილდოს თუ მიიღებდნენ, ან ჰოლანდიელების მიმართ ბრმა, უგნური სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი და პატრიოტს დიდი სიხარულით ჩაბარებდნენ „უშიშროების სამსახურს“. მხოლოდ ერთი რამ მინდო-

და: თვალი მომეკრა ჩემი მშობლებისათვის. იქნებ, დედამ ფანჯარა ასწიოს სუფრის დასაბერტყად, ან მამა გამოჩნდეს წინგარდაზე — ვინ იცის, იქნებ გასეირნება მოუნდეს.

ერთი საათი ან უფრო მეტიც დავეხეტებოდი იქ, ვიდრე არ ვიგრძენი, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა ჩემი გაჩერება. და სწორედ იმ დროს, როცა ქალაქის ცენტრისაკენ ვაპირებდი გაბრუნებას, დავინახე მამა: იგი ბაღჩის უკან ბილიკზე გამოჩნდა.

შემეშინდა. კოჭლობით, რამდენადაც შემეძლო, სწრაფად შევედი პირველსავე მაღაზიაში. ეს იყო რძეულის მაღაზია, სადაც არც ბიდონები და არც მყიდველები არ ჩანდნენ. ღმერთს ვევედრებოდი, ცოტა ხნით შემძლებოდა ცარიელ მაღაზიაში გაჩერება, ვიტრინის მინიდან ქუჩაში ვიყურებოდი. ვხედავდი, ქუჩის მეორე მხარეს მამა რომ მიდიოდა. იგი გამხდარიყო, საყელო გაგანიერებოდა. მაგრამ შეთხელებული თმის კულული ძველებურად შუბლზე ჰქონდა ჩამოვარდნილი და სიარულის დროს უფრიალებდა; როგორც ყოველთვის, უქუდოდ იყო. მისი ჯოხი ოდნავ ეხებოდა ტროტუარის კიდეს. როცა მაღაზიაში გამყიდველის ცოლი შემოვიდა, ვიგრძენი, რომ ყელში რაღაც მომაწვა.

— ერთი... ბოთლი... რძე, — ვთქვი მე, როგორც იქნა. ქალმა ვაოცებით და ეჭვით შემომხედა. ვიფიქრე; ეს ვერ მიცნობს-მეთქი.

— ბავშვის ბარათი გაქვთ? — მკითხა და ხელი გამომიწოდა.

— ბავშვის ბარათი?.. — ვკითხე მე გულცივად.

— რა თქმა უნდა! — მკაცრად მითხრა მან, ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მას სულელად ვთვლიდი. — მხოლოდ ბავშვები ღებულობენ რძეს.

გამოვვარდი მაღაზიიდან და წავედი, მამაჩემი რომ მიდიოდა, იმის საპირისპირო მხარეს.

მეორე დღეს ველოსიპედით სიარული ვცადე. დასაჯდომზე დავჯექი და საშინელმა შიშმა შემიპყრო. ვაითუ ისეთ ადგილას მოვხვდე, სადაც ალყა იქნება-მეთქი? მაშინ თავს ვერ დავაღწევდი, ეს კარგად ვიცოდი. ველოსიპედის იმედზე ყოფნა შეუძლებელია. ვინმემ რომ მიცნოს? გამჩხრეკენ... ამ დღიდან, სახლიდან რომ გავდიოდი. რევოლვერიც მიმქონდა. რევოლვერი ჩემი მოუშორებელი საკუთრება გახდა, ჩემი მეორე „მე". მჭირდებოდა იმის შეგრძნება, რომ ჩემი ერთგული იარაღი მეხებოდა თეძოზე. იგი ჩემივე ნაწილი გახდა, იმ ცხოვრების ნაწილი, რომლითაც იმ დღეებში ვცხოვრობდი.

ფრთხილად დავდიოდი ველოსიპედით მოსახვევსა და შორეულ ხეივნებში, მაგრამ გაუბედავად დავდიოდი, და, როცა შინ ვბრუნდე-

ბოდი და ველოსიპედს ჩავკეტავდი, ფეხები დაღლილობისაგან მიბ-
ეუოდა, მიწყებდა ჩემთვის ნაცნობ ჩხვლეტას.

ერთი კვირის შემდეგ საქმე უკეთ წავიდა. გადავწყვიტე ყოყმა-
ნისათვის თავი დამენებებინა. ანგარიშს აღარ გავუწევ დაღლილობას,
ტკივილებს. შემიძლია ველოსიპედით სიარული. მაშასადამე, ყველა-
ფერი რიგზეა. სახლიდან გამოსვლა დავიწყე, წავედი შტაბში. უკვე
რამდენი დღე იყო, ამხანაგები არ მენახა!

შტაბში თითქოს ყველაფერი შეცვლილიყო. ზოგი ნივთი აღარ
იყო, თითქოს ამხანაგებს შენობის დატოვება გადაეწყვიტათ. იქ მხო-
ლოდ ვიხერი და ვეინანტი დამხვდნენ. ისინი ხმაურითა და სიხა-
რულით მომესალმნენ, პატარა სნაიპერიც კი; იგი საერთოდ ძალიან
ცოტას ლაპარაკობდა. მათ მიამბეს, პარტიის ინსტრუქტორი ანი რამ-
დენიმე დღის წინ იყო აქ და ფრანსმა მისგან მიიღო დავალება ნორ-
დზეეს არხის გაღმა გადავიდესო. კენემერლენდში ფრანსს ჩააბარე-
ბენ წინააღმდეგობის შიდა ჯარების ნაწილსო; რულანტი ჩვენი ჯგუ-
ფის უფროსი გახდაო; შეთანხმდნენ, ჩვენი ძალებით მოვაწყობთ
დივერსიებსო; ახლა, როცა რკინიგზის ტრანსპორტი არ მუშაობ-
და — მხოლოდ ერთეული მატარებლები დადიოდნენ, რადგანაც
მათი მომსახურე პერსონალი გერმანიიდან იყო ჩამოყვანილი, —
ადრინდელზე უფრო აქტიურად უნდა გამოვიყვანოთ მწყობრიდან
გერმანული ავტოტრანსპორტიო.

ყურს ვუგდებდი, და მხოლოდ თავს ვუქნევდი. ჯერ ვერ გავრ-
კვეულიყავი, რა უნდა გამეკეთებინა ამ ახალ გარემოებაში. დივერ-
სია არასდროს ყოფილა ჩემი ხელობა. გულახდილად რომ ვთქვა,
ჰუგოსთან და ფლორთან ერთად ელექტროსადგურის მწყობრიდან
გამოყვანის ცდის შემდეგ, დივერსიებში მონაწილეობა არ მიმიღია.
მაგრამ თუ ჩვენგან ამას მოითხოვენ... მზად ვარ. მე ყოველთვის
მზად ვიყავი.

დავიცადე, სანამ რულანტი და ორივე ქალიშვილი არ მოვიდნენ.
ისინიც სიხარულით და მეგობრულად შემხვდნენ. მაგრამ ყველანი
შეცბნენ, როცა ვიკითხე, რა საქმე ჰქონდათ ჩემთვის შერჩეული. რუ-
ლანტმა, რომელსაც აშკარად ეშინოდა ჩემი წყენინების, ყ�-
ყმანით
თქვა: ჯერჯერობით არ ღირს თავდასხმებში მონაწილეობა მიიღო,
სადაც აუცილებელია ფეხის სისწრაფე, დასამალად. ანსა და ტინკას
გადავხედე. რულანტმა შენიშნა ჩემი გამოხედვა.

— ანი და ტინკა იმითი გვეხმარებიან, რომ გერმანელი გუშაგე-
ბის ყურადღებას იპყრობენ, როცა ჩვენ ოპერაციაზე მივდივართ... —
ამიხსნა რულანტმა.

თვალები დავხარე და ვუპასუხე: ო, ასეთი რამე მე არ შემიძ-ლია.

საერთო დაბნეულობა გრძელდებოდა, რომელსაც მე მოვუღე ბოლო ჩემი შეკითხვით, არ შეიძლება „ღე ვაარხეიდში“ ვიმუშაო-მეთქი.

— ველოსიპედით სიარული უკვე შეგიძლია?.. — მკითხა რულ-ანტმა.

— კი, მომეცი რამე საქმე, რულანტ, თორემ მოვკვდები, — ვუპასუხე მე.

— რას ვიზამთ, — თქვა რულანტმა. — ჩვენ O. Д. ჯგუფიდან ვიქირავეთ მშვენიერი როტატორი. იგი იშოვეს გერმანულ „არბაიტ-სბიუროში“, როგორი კარგი რამეები აქვთ!... „დე ვაარხეიდი“ სა-უცხოო შესახედავი იქნება!

ამრიგად, ისევ იმ სამუშაოს შევუდექი, რომელსაც წინათაც ვაკეთებდი დროდადრო,—გაზეთ „დე ვაარხეიდის“ ბეჭდვას და და-რიგებას. ხელნაწერებს დონკერ სპაარნზე ქოთნებით, ტაფებითა და თიხის სოფლური ჭურჭლით მოვაჭრე პატარა დუქანში ვღებულ-ობდი. არავინ იცოდა, ვის მოჰქონდა იქ ხელნაწერები. პირის გადამ-ღები აპარატი წითელლოყება ხრეეტეს მშობლების მეზონინში იდგა. ხრეეტეს ხანდახან ისევ ვხვდებოდი ხოლმე ჰარლემში, მაგრამ იგი ისე იქცეოდა, თითქოს არ მიცნობდა. ვბეჭდავდი გაზეთის ანაბეჭდ-ებს და შეკვრებად ვურიგებდი ჩრდილოეთის კვარტალისა და ხემს-ტედის მუშებს, აგრეთვე მასწავლებელს ხაუტფაარტის კვარტალში, ხარატს, რომელსაც ბრძმედებში მიჰქონდა და ქალიშვილს, რომელ-იც ერთ-ერთ უნივერსალურ მაღაზიაში მუშაობდა... სახლში ხანდა-ხან ჩემი მოწყალების დის პალტოს ჯიბეში ჩავდებდი ხოლმე ერთ ეგზემპლარს; ჩვენ ამაზე არასოდეს გვილაპარაკია, მაგრამ მას, ალ-ბათ, სადმე მიჰქონდა პატარა ფურცელი, სადაც იგი თავის სასარგებ-ლო საქმეს აკეთებდა. ყველა ახალ ამბავს მე თვითონ ვბეჭდავდი — თითები ყოველთვის დასვრილი მქონდა იისფერი საღებავით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გერმანელები ისტერიამ შეიპყ-რო: ისინი მძარცველობდნენ და ყველაფერს ანადგურებდნენ თავი-ანთ გზაზე. მათ არნემის მცხოვრებნი გარეკეს ქალაქიდან — ველიუ-ვეს ბორცვებზე მიემართებოდნენ დაუსრულებელ პროცესიებად და მთელს ქვეყანაში იფანტებოდნენ. მთელი დოვლათი, რაც არნემელ-ებს დარჩათ, ნაცისტურმა კალიამ გაზიდა, შთანთქა, და, რისი წაღე-ზაც არ შეიძლებოდა, ნამტვრევებად აქცია. არნემის საზღვრებს იქით დათარეშობდნენ, როგორც არასდროს. ისინი ანგრევდნენ რატუ-

შებს, ხიდებს, ფარდულებს, გლეხების ფერმებს, მთელს სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ. სოფელი პიუტენი ერთი პარტიზანული მამაცობისათვის ისე დასაჯეს, რომ უნებურად ჩეხური სოფლის ლიდიცეს ბედი გამახსენდა. ესესელებმა რომელი მამაკაცის დაჭერაც შეძლეს, საქონელივით გარეკეს ამერსფორტის ბანაკში, მათი ოჯახები გაასახლეს და სახლები ფერფლად აქციეს. დილით ადრე ბანაკში ყველა ხელმძღვანელი დახოცეს. დანარჩენები გერმანიაში წაიყვანეს. გადასახლებები ჩვეულებრივი ამბავი იყო. ველიუვედან და ტვენტედან, უტრეხტიდან და როტერდამიდან ნაცისტები მამაკაცებსა და ყმაწვილებს ეტაპით გზავნიდნენ ვესტფალიასა და რურში. ხანდახან ჩვენთან გამოჩნდებოდა ამ დაუსრულებელი, საშინელი გადასვლების მხილველი და დაწვრილებით ყვებოდა ამბებს. გერმანელთა დამსჯელი რაზმები მთელს ჩვენს ქვეყანაში დაძრწოდნენ, თითქოს საკუთარ მიწაზე თესვას შეუდგნენო, მაგრამ, ალბათ, ამ თავდასხმებსაც ჰქონდა თავისი სისტემა; ამ დევნას და ხოცვას, ხანსად და ხანსად, ერთი მიზანი ჰქონდა: მომაკვდინებელი საშინელების დანერგვა, შიშის დიქტატურის შექმნა. „დე ვაარხეიდი“ და სხვა გაზეთები რკინიგზელებს აფრთხილებდნენ თავი შეეფარებინათ იატაკქვეშეთისათვის. მათი დიდი უმრავლესობა ასეც მოიქცა. ამის შემდეგ მალე „უშიშროების სამსახურმა“ იმათი დაჭერა დაიწყო. ვინც სექტემბერში სამუშაოს დაანება თავი. ჩვენი საშუალებით გებულობდა ხალხი, რომ გერმანელები ჰოლანდიაში აგროვებდნენ მოკავშირეთა სამხედრო ფორმებს. ისინი კანადელების შემოჭრას ელოდებიანო, წერდა ჩემი პატარა გაზეთი. ისინი მზად იყვნენ ჰოლანდიის ტერიტორიაზე ეწარმოებინათ პარტიზანული ომი.

ყოველგვარ ახალ ამბავს მე ვავრცელებდი. ჩემს მელნით დასვრილ ხელში მეჭირა მოხსენებები ტერორის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მძვინვარებდა. მაგრამ მე აგრეთვე ვღებულობდი ცნობებს წითელი ჯარების წინსვლის შესახებაც, რომლებიც მემელთან იდგნენ, ბუდაპეშტს უახლოვდებოდნენ, ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ ენერგიულად ავიწროვებდნენ გერმანელებს კარპატებსა და იუგოსლავიაში. უნგრეთის პოლკებმა, რომლებიც გერმანელებმა მოტყუებით მოაგროვეს, ოქტომბრის თვეში მასობრივად დაიწყეს მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა. ინგლისელებმა ბრძოლით აიღეს ბოლონია და დაიწყეს ნაცისტების გარეკვა იტალიიდან ავსტრიაში. ახენისათვის გაიმართა სატანკო ბრძოლა.

ანი და ტინკა ჩემზე უფრო საჭირო საქმეს აკეთებდნენ: უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც ისინი მამაკაცებს წინააღმდეგობის შიდა

ჯარში წერდნენ. ისინი უამრავ მუშებს იცნობდნენ და გარდა ამისა, ფრანსის და რულანტისაგან მისამართების სია მიიღეს. ქალიშვილები სისტემატურად ადიდებდნენ სიას. მამაკაცთა უმრავლესობა დათანხმდა სამსახურს შესდგომოდა მაშინვე, როგორც კი ნაცისტების ჯარები წავიდოდა ჰოლანდიიდან, ბევრმა სახლში წაიღო იარაღი და ყოველ შემთხვევისათვის წ. შ. ჯ. ასოებამოქარგული სამკლაური... ზოგიერთებს, როგორც ჩანდა, მოეწონა, რომ მას მიმართეს, და შემოუერთდნენ ჩვენს ჯგუფს. ამხანაგები ცდილობდნენ. სადაც კი მოახერხებდნენ, ზიანი მიეყენებინათ ჩვენი დაუძინებელი მტრისათვის. ხანდახან ისინი O. D. და K. P-ის ჯგუფებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას თავდასხმაში. ერთხელ ისინი თავს დაესხნენ კარტოფილიან ტრანსპორტს ჰარლემსა და ხოოფდორპს შორის, ხოლო მეორეჯერ მოახერხეს რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება ფელზენთან ახლოს, როცა გერმანელებს განზრახული ჰქონდათ აღმოსავლეთში გაეგზავნათ დაუმუშავებელი ფოლადის უკანასკნელი პარტია. ამან ძალიან შეგვიწყო ხელი, მაგრამ ეს ამბავი ძალიან ცოტა იყო .

როცა ბეჭდვასა და გაზეთების დარიგებას მოვრჩებოდი, ჩვეულებრივად შტაბში მივდიოდი ხოლმე. იქ ყოველთვის იყო რომელიმე ამხანაგთაგანი. ანი გიტარას უკრავდა და ჩვენ ხმადაბლა ვამღერებდით პარტიზანულ სიმღერებს... დაცვივდნენ ფოთლები ბაღებსა და ტყეში. ჩვენ ირგვლივ მთელი სამყარო ყვითელი და ნაცრისფერი იყო. რაც მთავარია — ნესტიანი. წვიმდა და სქელი ნისლი ეფინა სანაპირო ზოლს. ჰაერში თანდათან სიჩუმე და სიმშვიდე მეფდებოდა. ზღვაზე ახლა თითქმის აღარ ხდებოდა ბრძოლები. იშვიათად, როცა მზიანი ამინდი იყო, ან არ წვიმდა, ინგლისელები ბომბავდნენ „ფაუ-1“-ის სასტარტო მოედნებს. ლონდონის რადიო, რომელიც საზეიმო ტონს ინარჩუნებდა, აცხადებდა, რომ მოკავშირეები ბრაბანტესა და ლიმბურგში წინ მიიწევდნენ. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ყველაფერი ეს არც თუ ისე ენერგიულად, ზოზინით კეთდებოდა და რომ სამხრეთით გერმანელებმა ბრედზე თავდასხმა და ქალაქის გაძარცვაც მოახერხეს. ლონდონის რადიო გაფიცულ რკინიგზელებს მოუწოდებდა გამაგრებულიყვნენ. მაგრამ მათ განა სჭირდებოდათ ასეთი მოწოდება, ისინი კარგა ხანია მიიმალნენ; „უშიშროების სამსახურის“ მიერ ჩატარებულ ალყებს არც ისე დიდი ნადავლი მოუტანიათ. „უშიშროების სამსახური“ შურს იძიებდა ყველაზე: ქალაქში ტერორს განაგრძობდა, ხალხს იჭერდა და მდინარის ნაპირებზე მიწის სამუშაოებზე გზავნიდა. საშინლად დაღლილი, პატარა ჩემოდნებიანი და ფუთებიანი ადამიანები ფეხის თრევით მიჰყვებოდნენ

ბრძელ მწკრივებს, რომლებიც სამხრეთ ჰოლანდიის, გელდერლანდისა და ოვერეისელის გზებზე მიედინებოდა. როცა ეს ძალით შეკრებილი ჰოლანდიელები სადღაც აჯანყდნენ და უარი განაცხადეს სიარულზე, ესესელებმა მწკრივებს ჩამოუარეს ავტომატებით და ოცამდე კაცი დახოცეს ყოველგვარი გარჩევის გარეშე, ლანძღვითა და წყევლა-კრულვით.

გვამების დამარხვის ნებას არ იძლეოდნენ. ისინი გზებზე ეყარნენ; ჩაუვლიდნენ ხოლმე ქალები და ბავშვები. გვამებს ტოვებდნენ მომდევნო პარტიის შესაშინებლად.

ნაცისტებმა ახალი მანერები აითვისეს. თუ მათ მოეჩვენებოდათ, რომ ქუჩაში ვინმემ რამე თქვა მათი საწინააღმდეგო, ან მათთვის უსარგებლო მოძრაობა გააკეთა, ისინი ესროდნენ. ჰოლანდიის ყველა გზაზე ეყარნენ მიცვალებულები. ესენი იყვნენ ჰოლანდიელი მოქალაქეები, რომლებსაც სიცოცხლე წაართვეს სასამართლოსა და ძიების გარეშე, უცხოელი ოკუპანტების მიერ დახოცილები, რომლებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს ისინი იყვნენ ჩვენი გზების ბატონ-პატრონნი. მიცვალებულები მანამდე ეყარნენ, ვიდრე სხვა ჰოლანდიელი, სიცოცხლეს არ გაიმეტებდა გასაწირად და არ აალაგებდა მათ.

ქვეყნად სიჩუმე მეფობდა, რომელსაც მხოლოდ გერმანელი მკვლელების გასროლის ხმა არღვევდა.

ვალხერენის კუნძულზე გერმანელებმა კაშხალები ააფეთქეს. კუნძული წყალმა წალეკა. ასე მეგონა, წყალი თანდათან ზევით იწევდა და გვფარავდა ჩვენც, და სადაც იყო — დავიხრჩობოდით.

ნაადრევი ზამთარი

წვიმდა. სიცივე გაყინული ნაბიჯებით მტკიცედ მოაბიჯებდა ნესტიან მიწაზე, მოდიოდა ჰოლდერებიდან, არხებიდან და ტყეებიდან. ზამთარი ადრე დადგა. სანაპიროზე არასოდეს არ ყოფილა ამდენი ყვავი და თოლია. ისინი დამშეულები იყვნენ. ადამიანებსაც შიოდათ. ისინი იყინებოდნენ. ნახშირი არ იყო. ომის წინა წლებში ცოტას მაინც ვღებულობდით ნახშირს, დარჩენილი ნახშირი გერმანელებმა თავიანთთვის დაიტოვეს. დენის მიწოდება შეწყდა. გაზი დღისით კარგა ხანია უკვე აღარ იყო.

— დროა მოკავშირეები შემოიჭრან, — ვლაპარაკობდით შტაბში.

— სადღა არიან ინგლისელები? — კითხულობდნენ ადამიანები მაღაზიებში, ქუჩებსა და ყველგან, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ.

ცივი და ნესტიანი საღამოები დაიჭირა. მეგონა, არასოდეს ყოფილა ასეთი ჭუჭყიანი და მწარე შემოდგომა-მეთქი. ავდიოდი სხვენზე, სადაც როტატორი იდგა, ამქონდა კიბე და ვხურავდი საძვრენს. ხელები მიშეშდებოდა. რკინა და ფოლადი დღითიდღე უფრო ცივი ხდებოდა, ვიდრე მუშაობას შევუდგებოდი, დიდხანს ვიორთქლავდი უმოძრაო თითებს, ყოველი კუთხიდან და ჭუჭრუტანიდან ნიტევდა სიცივე და შიმშილი. დღეში — თითის სისქე ორი ნაჭერი პური და რამდენიმე კარტოფილი. ულუფა ყოველ კვირა მცირდებოდა.

ერთხელ შტაბში რულანტმა გვითხრა:.

— არა, უკვე მომბეზრდა ეს ამბავი... აქამდე არ მინდოდა ხელი მეხლო მარაგისათვის, რომელიც ივნისში მე და ოტომ ჰარლემერ მეერში დავაგროვეთ; მაგრამ ჩემს სახლში ბიჭები შიმშილისაგან ბღავიან... ვფიქრობ, არც თქვენ გაქვთ უკეთესი მდგომარეობა.

— ისინი საზოგადოებრივი სამზარეულოების გახსნას აპირებენ, — თქვა ვიხერმა.

ჩვენ ერთხმად, მწარედ გავიცინეთ.

— და ყოველდღე სრული სადილი იქნება, არა...— დასძინა ვეინანტმა. — დარბაისლური ჰოლანდიური მენიუ—წვნიანი, ბოსტნეული, ხორცი, კარტოფილი, პუდინგი და, გარდა ყველაფრისა, ბლინურები...

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — იკითხა რულანტმა. — კიდევ უნდა შევინახოთ ჩვენი ხორბალი და ბარდა?

— ვისთვის? — აღშფოთდა ტინკა. იგი გახდა და რალაცნაირად გაშავდა, თვალებს ქვემოთ შავი არშია შემოეკვლო. ჩვენ ხმას არ ვიღებდით, მაგრამ იმასვე ვფიქრობდით, რასაც ტინკა ფიქრობდა.

რულანტმა მე შემომხედა. ეტყობოდა, ყოყმანობდა.

— თქვენ არაფერს იტყვით?.. მაშინ, გადაწყვეტილებას მე ვკისრულობ. ვფიქრობ მაქვს ამის უფლება...

— უფლება კი არ გაქვს, ვალდებული ხარ. — შევაწყვეტინე მე. — ყოველ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა, წინააღმდეგობის მებრძოლთა დასახმარებლად.

თითქოს ყველამ შვება იგრძნო, როცა მე ჩემი აზრი გამოვთქვი. ნორმა ჩვენ დავაწესეთ: ყოველი ჩვენგანი ერთი კვირის სურსათს

ღებულობდა, იმის მიხედვით, თუ ოჯახში რამდენი სული ჰყავდა, რულანტი ყველაფერს ფრთხილად და ზომიერ ულუფებად ანაწილებდა. მივხვდი, რომ იგი ხანგრძლივსა და ძნელ ზამთარს ითვალისწინებდა. საოცარი სითბო ვიგრძენი გულის სიღრმეში, როცა მან თქვა, რომ ყოველკვირეული ნორმა გაეგზავნებოდა ჩემს მშობლებს, თუმცა ამის შესახებ მე სიტყვაც არ დამიძრავს.

შტაბში რულანტისა და ვიხერის მიერ თუნუქისგან გაკეთებულ უბრალო, პატარა ღუმელზე მომცრო კვერების ცხობა დაიწყეთ. ეს ღუმელი რაიმეს მოსახარშადაც ვარგოდა. სითბოს არ იძლეოდა. მამაკაცები „ესპანური მუხების" მამულის მიდამოებში ტყეში მიდიოდნენ, ხეებს ჭრიდნენ და საბავშვო ეტლით მებაღის სახლში მოჰქონდათ. ქალიშვილები ვხერხავდით, მამაკაცები კი წვრილად ჩეხავდნენ. ხერხვა კარგი იყო, ვთბებოდით. ხალხის უმრავლესობას შეშა არ ჰქონდა. დიდი ქალაქებიდან ჩვენთან მოვიდა ცნობები სიცივის შედეგებზე. შიმშილის ატანა უფრო იოლია, ვიდრე სიცივისა. პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ ახერხებდა ხალხი რამე საჭმლის შოვნას, — თითქოს ყოველ მათგანში გაიღვიძა უძველესმა მხეცურმა ინსტინქტებმა, რომლებიც, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდა საჭმლის მოთხოვნილებას. სიცივის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალება იყო: სათბობი. გასათბობი კი არაფერი იყო. ხალხი ადრე წვებოდა, ჩვენც ასევე ვიქცეოდით. ზოგიერთებს კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი ნავთი ან სანთელი, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს მათი მარაგიც გამოილია. საწყობებში ხანდახან ქვანახშირისა და კოქსის შოვნა შეიძლებოდა, მაგრამ ოკუპანტები იმასაც თვითონ დაეპატრონენ. დაბნელებისთანავე უფროსები და ბავშვები მიდიოდნენ საწყობებთან, ხის მესერებში გასაძრომებს აკეთებდნენ ანდა მავთულებს გასწევდნენ, ძვრებოდნენ ხვრელში და ნახშირის გროვიდან ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ნატეხები ჩაეყარათ ტომარაში, გერმანელი ყარაულები აქაც ისროდნენ დაუზოგავად. ამსტერდამში რიტლანდების ქუჩაზე მათ მოჰკლეს პატარა ბიჭი, რომელიც წიდის გროვაში ცდილობდა ანთრაციტის ნატეხები ეპოვა. დაცარიელებული რკინიგზის ლიანდაგებს მიჰყვებოდნენ ქალებისა და მოხუცების ჯგუფები, რომლებიც წვეტიანი ჯოხებით ჩხრეკდნენ ლიანდაგებს შორის დაცვენილი ქვანახშირის მოჟანგისფრო-მოყავისფრო ნარჩენებს.

— რა უნდა გაუგო ამ გერმანელებს? — ჩიოდა ვეინანტი, როცა შევიკრიბეთ და სამხედრო ცნობებს ვიხილავდით. — ყოველი მხრიდან გარემოცულნი არიან. ამერიკელები და კანადელები — დასავლეთით. რუსები სამხრეთითა და აღმოსავლეთით. გერმანული ავი-

აცია აღარ არსებობს. ინგლისელებმა დაბომბვა რომ დაიწყონ, გერმანელების არცერთი თვითმფრინავი არ აფრინდება... მათ აღარ შეუძლიათ თუნდაც ერთი სამხედრო ქვეგანაყოფი წამოაყენონ ფეხზე. გერმანელთა ჰოსპიტლები და ღამისსათევები დაცარიელებულია, იქ მყოფთაგან მილიცია შეადგინეს... რაღა უნდათ კიდევ?

— ის უნდათ, რომ ჩვენც გადაგვიყოლონ უფსკრულში, — უპასუხა რულანტმა.

ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები. მკვლელობები და ძარცვა-გლეჯა. გერმანელებმა ბრძანეს დაეტოვებინათ სანაპირო სოფლები და დაცლილი სახლები პირწმინდად გაძარცვეს. ისინი ხანდახან არც უცდიდნენ ხოლმე ევაკუაციას. თითქოს ვერმახტისაგან მხოლოდ მძარცველების ბანდა დარჩა. მათ, ვინც პირველსავე მოთხოვნაზე არ მისცემდა თავის ველოსიპედს, თბილ ფეხსაცმელს, ადგილზეევე კლავდნენ. ახლა მოითხოვდნენ, რომ მოსახლეობას ჩაებარებინა მათთვის საბნები და ზამთრის შალის ტანისამოსები, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სიკვდილის შიშით გერმანელთა — Sammelstellen.[1]-ში მიჰქონდათ თავიანთი ტანისამოსი.

მაგრამ უმრავლესობა არ მიდიოდა იქ.

— სულ ერთია, აქ არ არის იმდენი გერმანელი, რომ თითოეულ სახლს ჩამოუარონ და ქონება წაართვან, — ვამბობდით ჩვენ.— თუმცა უარს არ იტყოდნენ... სახლების მიყოლებით გაძარცვაზე, რომ უკანასკნელი მატარებელი დაეტვირთათ ნაძარცვი ქონებით.

— ბილტხოვენში მცხოვრები მამაკაცები გერმანელებმა სახლებიდან გამორეკეს უტრეხტსა და ამერსფორტს შორის მწყობრიდან გამოყვანილი რკინიგზის შესაკეთებლად, — შევატყობინე მე მეგობრებს. ყოველთვის ვიცოდი უკანასკნელი ახალი ამბები. ყველაზე უკანასკნელად მომხდარი ჩამორთმევის შესახებ ვიცოდი: ზამთრის შალის ტანისამოსის შემდეგ გერმანელებმა მტვერსასრუტები მოითხოვეს. ჰააგას უნდა შეეტანა სამოცდაათი ათასი წყვილი ქვედა საცვალი. ნაცისტები იძულებული გახდნენ ბეტიუვე დაეტოვებინათ, მაგრამ წასვლისას ბოსლებიდან გაჰყავდათ უკანასკნელი საქონელი. ესესელთა ჯარი მიერეკებოდა ჩვენს ჯოგებს — ცხენებს, ცხვრებს, ღორებს. ოკუპანტებმა უტრეხტში საქონლის საკლავი კომპანია დააარსეს. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ღორის ქონითა და ჰოლანდიური ძეხვით მაინც მოემარაგებინათ უსახლკაროდ დარჩენილი თავიანთი ძვირფასი ნათესავები.

---

1 მიმღები პუნქტები (გერმ.).

— ქონი, ქონი, ქონი, —ვიმეორებდით ჩვენ. — მათ შეუძლიათ გაძლონ უსახლოდ, უტანისამოსოდ, უღუმელოდ, მაგრამ უქონოდ კი არა.

— ჩვენი გლეხები თვითონ შეუდგნენ საქონლის ხოცვასა და დამარხვას, — ვთქვი მე.

— ჩვენ არ ვნებდებით, — ამბობდნენ ამხანაგები.

— არც არასდროს დავნებდებით, — ესიტყვებოდნენ დანარჩენები.

აქა-იქ გერმანელი მოსახლეობაც ჭირვეულობდა. რეინის მხარეში მოსახლეობამ უარი განაცხადა ნაცისტების ბრძანებაზე გასახლებულიყვნენ.

— რას ფიქრობენ ფიურერის ბანაკში? — დასცინოდა რულანტი.— როცა გაქცევა მოუწევთ, მოსახლეობის წაყვანას ხომ არ აპირებენ ბარგის ნაცვლად?

— გერმანიაში თვითონ გერმანელებიც მოუთმენლად ელიან განთავისუფლებას, —ირწმუნებოდა ვეინანტი.

—თუ ისინი, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებებში ყელამდე არ არიან ჩაფლულნი, —შევეპასუხე მე. —შენ გგონია, რომ იქ ყველანი ასეთი სუფთები არიან?

ჰოლანდიელებმა ცოტა კმაყოფილება ვგრძნეს, როცა მოვიდა ცნობები ჩვენგან გაქცეულ ფაშისტ ვაჟბატონებს მასობრივად გზავნიან ლიუნებურგის უდაბურ ადგილებში სამუშაოდ, სადაც ნაცისტებმა ახალი თავდაცვითი ხაზის აგება დაიწყესო.

„ისეთივე ელასტიურის, როგორც წინა იყო“, —ფიქრობდა ყველა.

ჩვენი ფაშისტი ვაჟბატონები იძულებული იყვნენ გერმანიაში მიწა ეთხარათ თავიანთი პატრონებისათვის, ისევე როგორც ჩვენი მამაკაცები ჰოლანდიაში ოკუპანტების ბრძანებით თხრიდნენ მიწას. მთელი დღის განმავლობაში მათ აძლევდნენ მხოლოდ ორიოდე ნაჭერ პურსა და ერთ მათლაფა წყალწყალა სალაფავს, სადაც კომპოსტოს რამდენიმე ფოთოლი ცურავდა. მათგან ნაწილმა სცადა გაქცევა. ზოგიერთმა მოახერხა კიდეც ეს. ამ გონზემოსულ ადამიანთა ამბები რამდენიმედ მაინც გვანუგეშებდა ჩვენს ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში.

სისხლი იღვრებოდა ჰოლანდიაში. განთავისუფლებული ბელგიიდან ჩრდილოეთისაკენ გაიქცა ფლამანდიელი ესესელების მთელი ჯგუფი. რაუტერმა მათ სამოქმედო ასპარეზი ველიუვეში მისცა. შურისგების შიშით, ისინი უფრო მეტს ძარცვავდნენ, ვიდრე თვით

გერმანელები. იტაცებდნენ საწყობში კიდევ დარჩენილ მანუფაქტერას. ხალხს იძულებით სამუშაოებზე აგზავნიდნენ. ხვრეტდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც მათი დამსჯელი ექსპედიციის მსხვერპლთათვის პურის ნაჭერი ან ჭიქა წყალი მიჰქონდათ.

გაზეთი ძალიან პატარა იყო ყველა ცნობის მოსათავსებლად ჰოლანდიის გარეთ მიღწეული გამარჯვებებისა და ქვეყნის შიგნით სიმკაცრის შესახებ; დივერსიებსა და წინააღმდეგობის მოძრაობის ჯგუფების კრებებზე; ღალატზე, ფარულ მკვლელობებზე, ნგრევაზე.

მე სხვენზე ვკანკალებდი, როტტორის მანქანა ტკაცუნებდა და წესიერად ბეჭდავდა ცნობებს ზედიზედ, მერე ველოსიპედით დამქონდა გაზეთები მთელს ჰარლემში. ვიცოდი, რომ სადღაც შორს დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა — უნგრეთში, ელზასში, გერმანია-პოლონეთის საზღვარზე, მაარზე. ჩვენში კი ჯერ კიდევ ზუზუნებენ სამხედროფორმიანი მკვლელების გაავებული ტყვიები, რომელთა პასუხად მხოლოდ წინააღმდეგობის მებრძოლთა სროლის ხმა გაისმის. წყნარი, ნისლიანი ამინდები შემოდგომის ძლიერი შტორმებით, თავსხმებით, ქარითა და სეტყვით შეიცვალა.

— ასეთ ამინდში ბრძოლა ძნელია, — ვვოხრავდით ჩვენ, როცა ვგროვდებოდით შტაბში... ერთადერთ ადგილას, სადაც საკმაო სითბო იყო!

გერმანელებმა პარტიობით დაიწყეს ამერსფორტისა და ხეევენინგენის ტყვეთა ბანაკებიდან პატიმართა გაგზავნა გერმანიაში. ჩვენ ოტოზე დავიწყეთ ფიქრი. გერმანელებმა ხეისდენში რატუშა ააფეთქეს, აფეთქების დროს ასზე მეტი ადამიანი დაიხოცა. როტერდამში გერმანელებმა მოითხოვეს, რომ მამაკაცები ჩვიდმეტიდან ორმოცდაათ წლამდე გამოცხადებულიყვნენ აღნიშნულ ადგილას. მოვიდა ოცდაათი ათასი.

გერმანელებს ეშინიათ, რომ როტერდამი ფრონტისპირა ქალაქი გახდება... — ვამბობდით ჩვენ. — მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, როტერდამელები ასე მორჩილად რატომ გამოეხმაურნენ მათ მოწოდებას?

როტერდამის შემდეგ ოკუპანტებმა ბრძანეს გერმანიაში გაერეკათ ჰააგელი მამაკაცები. მაგრამ ჰააგელები არ მივიდნენ. მაშინ დაიწყეს სახლების საყოველთაო ჩხრეკა. გერმანელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც თვითონვე ძლივს იდგნენ ფეხზე, მოახერხეს ცამეტი ათასი ყმაწვილი და მამაკაცი მოერეკათ ერთ ადგილზე.

ხანდახან ისეთი საშინელი შემთხვევები იყო აღწერილი, რომ ომამდე ასეთი რაიმეს გაგონების შემდეგ რამდენიმე დღე ვეღარ

მოვიდოდა ადამიანი გონს, მაგრამ ჩემში ესენი არ იწვევდნენ საშინელებას. სახლებში ტელეფონებს ხსნიდნენ. გერმანელებმა ქონება ჩამოართვეს წითელ ჯვარს. გერმანელი ჯარისკაცები ზარაფხანაში შეიჭრნენ და იქიდან ვერცხლი გამოიტანეს, ლიხტერები დატვირთეს და წაიღეს. ძარცვა ნაკლებ ბოროტებად გვეჩვენებოდა. მაგრამ ყოველდღიურ მკვლელობების მიმართაც თითქოს ნაკლებ მგრძნობიარენი გავხდით. რაღაც ყრუ ტკივილი გვიკუმშავდა გულს. ჩემს საქმეს ვაკეთებდი, დამქონდა „დე ვაარხეიდი", ველაპარაკებოდი ხალხს, წინააღმდეგობის შიდა ჯარში ვწერდი ახლებს... და ხშირად მეჩვენებოდა, რომ თითქოს ყინულის გარსში ვცხოვრობდი. ვებრძოდი ამ სიცივეს, გრძნობების დაჩლუნგებას, რადგან არ მესმოდა, რომ ეს იყო თავისებური, შინაგანი დაცვა იმ ზღვა შთაბეჭდილებებისაგან, რასაც თავს მატეხდა ულმობელი სამყარო. მეც და მილიონობით ჩემს ახლობლებსაც. ვხედავდი, რომ ჩემი ამხანაგებიც მოიცვა რაღაც გულგრილობამ და სიმშვიდემ. ჩაფიქრებულები გახდნენ. ანი გიტარას აღარ უკრავდა. გამეხარდა, როცა ბრძანება მოვიდა, საინსტრუქციო საუბრები ჩაგვეტარებინა. ვიკრიბებოდით ჰარლემის ხან ერთ, ხან მეორე ოჯახში, რომელიმე პარტიის წევრთან; სიმონ ბ. ერთ-ერთი ინსტრუქტორი იყო, ისევ გვიხდებოდა ტვინის დაძაბვა, გონების გავარჯიშება, საკუთარ თავში სულიერი ძალის გაღვიძება, რომ გავრკვეულიყავით იმაში, თუ რა სოციალური პროცესი იმალებოდა ძარცვასა და ტერორში. ძარცვა და ტერორი აღარ იყვნენ ნაკლებად საშიშნი. მაგრამ, როცა ვცადეთ განგვეხილა იგი ისტორიული თვალსაზრისით, დავინახეთ, რომ ამ მოვლენებს მხოლოდ დროებითი, გარდამავალი ხასიათი ჰქონდათ. სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ნათელი გახდა მწვავე საჭიროება იმისა, რომ მალე შეიქმნებოდა სრულიად სხვა, სხვანაირად მოწყობილი სამყარო... მიხაროდა, რომ არსებობდა ჩემი პარტია. იგი მოუწოდებდა ჩემს გონებას, ჩემს ფიქრებს. მან მასწავლა თავაწეული, გამართული სიარული. მან ფრთხილად მომიკაკუნა სულში და მითხრა: „ნუ შეცბუნდები; მომავალი ბოროტმოქმედებს კი არა, თავისუფალ ადამიანებს ეკუთვნით; იგი ასევე გეკუთვნის შენც..." ყველანი როდი იყვნენ სულიერად ისე მტკიცენი და ძლიერნი, როგორც მე და ჩემი ამხანაგები, ნოემბერში პოლიციამ დაიჭირა ორი კაცი, რომლებიც ჰარლემერ შეერში, იარაღით ხელში მისდევდნენ გლეხებს, სურსათის წართმევის მიზნით. ეს ორნი აღმოჩნდა იმათთაგანი, რომლებიც ჩვენ წ შ ჯ-სათვის შევაგროვეთ, ჩვენი რეკომენდაციით ჰქონდათ მათ იარაღი.

მათ ეს შიმშილისათვის ჩაიდინეს. დაიჭირეს გლეხი, რომელმაც უარი უთხრა სურსათის მიცემაზე. პოლიციაში გამოტყდნენ, რომ იარაღი იატაკქვეშელთაგან მიიღეს. იმავე კვირას ანის და ტინკას ნიშნები აღინიშნა პოლიციის ნუსხაში.

— არც შემიძლია გავბრაზდე მათზე, — თქვა ანმა, როცა დავხედეთ პოლიციის გაზეთს, რომელიც გარკვეული გზით მოდიოდა ჩვენთან. — ბიჭები შიმშილობდნენ... იარაღი არ უნდა მიგვეცა!

მე არ ვეთანხმებოდი მას; არ ვიზიარებდი მის სიბრალულს მათდამი, თუმცა ვიცოდი, რომ ორივეს ოჯახი ჰქონდა.

— ყველაფერი კარგია, ყველაფერი მშვენიერია! — ვთქვი მე. — მაგრამ თანამემამულეებს არ ესვრიან, თუნდაც საჭმელზე უარი გითხრან. პატრიოტები შეგნებულები უნდა იყვნენ... თუ შეგნება არ ჰყოფნით... გამცემლებსა და მოღალატეებზე უკეთესები არ არიან. შენც ხედავ, რა შედეგი გამოიღო ამ ამბავმა. ახლა თქვენ შესახებ დაბეჭდეს პოლიციის გაზეთში.

— რა მკაცრი ხარ, — დაიჩივლა ანმა.

— ჩვენ ვებრძვით დანაშაულებრივ სამყაროს, — ვუპასუხე მე.

გასეხებული

ნოემბირს ბოლოს ჰარლემის შტაბს ჩვენი ძველი უფროსი ეწვია. ფრანსმა ახლა ჩვენზე სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა, — ჩემი აზრით, მას უფრო დიდი წარმოდგენა შექმნოდა თავის თავზე. არაფერია გასაკვირი, ვფიქრობდი მე, იგი ხომ კენემერლენდის წინააღმდეგობის ჯგუფს უდგას სათავეში-მეთქი. ფრანსი მარტო არ იყო; მას ბეწვისქურქიანი მსუქანი, ჯანმრთელი ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი ახლდა. მომეჩვენა, რომ იგი ნანახი მყავდა ერთ-ერთი საერთო საბრძოლო ოპერაციის დროს ან კიდევ „თამბაქოს კასრში". ყველას გულითადად ჩამოგვართვა ხელი.

— არენდი მქვია, — თქვა მან. — თქვენთან მოვედი ფელზენის წინააღმდეგობის ჯგუფის სახელით. ბევრი რამ გვაქვს გაგონილი ჰარლემის წინააღმდეგობის ჯგუფის სნაიპერ ქალიშვილების შესახებ.

პასუხად რაღაც ჩავილაპარაკეთ, რადგან კარგა ხანია გადაჩვეული ვიყავით მაღალ საზოგადოებაში მიღებულ თავაზიან მოპყრო-

ბას. არენდი უეჭველად მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა — ინტელიგენტური საუბარი და მანერები ჰქონდა. მისი არაჩვეულებრივი ხელებისა და ფრჩხილების დანახვის მერე, მალულად შევავლე თვალი ჩემი თითის ბოლოებზე შემოვლებულ სამგლოვიარო არშიას; ეს კაცი სულაც არ მომჩვენებია უსიმპათიოდ.

მაგიდას ვუსხედით გარშემო და ვსაუბრობდით, ვიდრე არ მივხვდით, სად ემარხა ძაღლის თავი. როგორც არენდმა შეგვატყობინა, ფელზენის ჯგუფი მთელ რიგ „დამსჯელ ექსპედიციებში“ იყო ჩაბმული, ამიტომ სჭირდებოდა ხალხით შევსება და თანამოქმედება. არენდის ღია-ცისფერი თვალები ჩვენ მოგვჩერებოდა, მას, როგორც ჩანდა, თავისი მამაკაცური მომხიბლაობის მოშველიება უნდოდა. ანმა, ტინკამ და მე ნელა ვკარით ერთმანეთს ხელი — ყველაფერს ვიცხვდით.

— არენდს განზრახული აქვს, — თქვა ფრანსმა ქედმაღლურად და თან დაბნეულად, — წაგიყვანოთ დროებით „სესხად“...

— სწორედ ასეა! — დაემოწმა არენდი ღიმილით, და ყველა ჯანსაღი კბილი გამოაჩინა. — ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, მაგრამ გამოთქმა „სესხება“ ძალიან გავრცელებულია წინააღმდეგობის ჯგუფებში.

თავი დავუქნიეთ — ჩვენ ეს ვიცოდით. ჩვენი ჯგუფიდან ხშირად „სესხულობდნენ“ ხან ერთ, ხან მეორე ამხანაგს. ფრანსმა გამომცდელად შემოგვხედა.

— აბა, რას იტყვით? არ მოგწონთ ეს წინადადება? აქ თქვენ მნიშვნელოვან ოპერაციებს უკვე აღარ აწარმოებთ, — თქვა ფრანსმა, თითქოს საქმის შეჩერება ჩვენთან იმით იყო გამოწვეული, რომ იგი წინააღმდეგობის სხვა ჯგუფში გადაიყვანეს.

არენდმა რულანტს შეხედა, რომელსაც ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა, და თავაზიანად წარმოსთქვა:

— მე ვფიქრობ, პირველ რიგში გადაწყვეტილება შტაბის უფროსმა უნდა მიიღოს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

რულანტმა მას უხალისოდ შეხედა.

— თქვენ ჩემგან ყველაზე კარგი მსროლელები მიგყავთ, — უთხრა მან. — რას ვიზამთ, თუ საქმე ამას მოითხოვს... ქალიშვილებმა თვითონ გადაწყვიტონ.

ხამიენი ჯიუტად ცდუმდით. რულანტის მკვეთრი წინააღმდეგობა ჩვენთვის საკმაოდ ნათელი პასუხი იყო. მე ისევ ვკარი ხელი ანს, რომ მას ეთქვა რამე.

— მოვიფიქრებთ,—თქვა ანმა.—გადაეცით თქვენს ხელმძღვა-

ნელობას, რომ ჯერჯერობით არ შეგვიძლია გადაწყვეტილების მიღება.

— „ჯერჯერობით“ ცუდად არ ჟღერს, — თავაზიანი ღიმილით თქვა არენდმა. — ყოველ შემთხვევაში, კმაყოფილი ვარ, რომ თქვენმა უფროსმა მთლად უარი არ გვითხრა... სიამოვნებით მოგცემთ დროს მოსაფიქრებლად. ჩვენ ყოველთვის გვექნება თქვენთვის საქმე — დღესაც, ხვალაც და ზეგაც. როცა გნებავდეთ, მობრძანდით.

არენდთან ერთად მიმავალ ფრანსს ცოტა იმედგაცრუებული გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა.

— ესეც ორგანიზაცია! — წამოიყვირა ვიხერმა. — მათ ადამიანებიც ბევრი ჰყავთ და იარაღიც ბევრი აქვთ, და კიდევ ჩვენგან, ღარიბი ხალხისგან უნდათ ხეირის ნახვა!

— იქნებ, ეს არც ისე უაზრობაა. — თქვა რულანტმა წელანდელივით მკაცრად. — ყოველ შემთხვევაში, ფელზენელებთან საუბარი მაინც გექნებათ, ამისი იმედი გქონდეთ!

— რულანტ! შენი აზრით, ჩვენი „გასესხება“ შეიძლება ერთი ზედმეტი თეფში წვნიანისა და ძროხის ძვლისათვის? — ვუთხარი მე.

აღარავის აღარაფერი უთქვამს ამის შესახებ. მომდევნო დღეებშიც ამხანაგებს არც ფელზენელები და არც მათი წინადადება აღარ უხსენებიათ.

დადგა დეკემბერი და სამხრეთ პროვინციებიდან სამხედრო მოქმედებების შესახებ ცნობების მოწოდება შეწყდა.

ჩვენ ჰარლემის ჯგუფში ძალიან ცოტა სამუშაო იყო. ძალზე უმნიშვნელონი გავხდით. ანდა ამბებმა ჩვენთვის შეუფერებელი, დიდი ვაქანება მიიღო. დეზერტირი-ესესელების შემთხვევის შემდეგ ქალაქსა და ახლო მდებარე სოფლებში სასტიკად უსწორდებოდნენ ბალტს. მამაკაცებსა და ყმაწვილებს მიერეკებოდნენ მდინარე ეისელის სიმაგრის ხაზზე; იქიდან ყოველად წარმოუდგენელი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოდიოდა. არავითარი შესაძლებლობა არ იყო ძალით შეკრებილი ხალხის დასაბინავებლად; დაიწყო მასობრივი გაქცევა. რაც ნაცისტებმა ვერ შეაჩერეს; სულ ახალახალი ხალხი მოჰყავდათ, მაგრამ ისინიც გარბოდნენ.

ძველებურად მიმოდიოდნენ გერმანული ჯანქანები, ხანდახან მიდიოდა სატვირთო მატარებელი გერმანელი ბრიგადების თანხლებით. მათ ჩვენი ქარხნების მოწყობილობა მიჰქონდათ გერმანიაში. როცა ჩვენი მსხვილი საწარმოები მთლიანად გაძარცვეს, ხელი

მიჰყვეს სარკინიგზო მასალებს. ჯერ ელექტროქსელის ზედა მავთულებს, რომლებიც კვირეების განმავლობაში მოკლებული იყვნენ ენერგიას, მერე ტრანსფორმატორებს მისდგნენ, და ბოლოს ყოველგვარ უძრავსა და მოძრავს. რკინიგზები დარღვეული იყო, და იქ სიცოცხლე ჩაკვდა.

რულანტმა და ვიხერმა გამოიანგარიშეს, რომ გერმანელებს ჯერ კიდევ დღეში სამი-ოთხი მილიონი გულდენის ღირებულების ტვირთი გაჰქონდათ. ეს ხდებოდა იმ ქვეყანაში, რომელიც თითქოს ძლივსლა სუნთქავდა; სადაც ხალხი ისე იყინებოდა, რომ დღისითმზისით დიდ გზებთან ახლოს ტყეს ჩეხდნენ, სადაც უფრო მოურიდებლები შედიოდნენ მიტოვებულ სახლებში და გამოჰქონდათ ხის ყოველგვარი ნივთი. მორიდებულნი კი, მოხუცები და ინვალიდები, ძალიან ძვირად ყიდულობდნენ გადამყიდველებიდან მოპარულ შეშას — რადგან იგი აძლევდა სითბოს, რაც ძალიან საჭირო იყო მათთვის.

ანი, ტინკა და მე როტატორზე ვმუშაობდით და ვბეჭდავდით არალეგალურ გაზეთს „დე ვაარხეიდს". გაზეთების შეკვრა მიგვქონდა გამნაწილებელ პუნქტებში. პატარა, ჯიუტი და უშიშარი ტინკა ზოგჯერ ველოსიპედით დადიოდა თითქმის ხილეგომამდე. იგი ჩვენ შორის ყველაზე უმცროსი იყო და ყველაზე მეტად აწუხებდა შიმშილი; მზად იყო ყოველ წუთს ეჭამა. რულანტი მტკიცედ იცავდა დადგენილ ნორმას; ახლა, როცა მაღაზიაში მხოლოდ იშვიათად შეიძლებოდა რამე სურსათის შოვნა, გვეგონა, თითქოს ჩვენი ნორმა მნიშვნელოვნად შემცირდა. სამაგიეროდ შიმშილი ძლიერდებოდა.

— არ ვიცი, დიდხანს გაგრძელდება ასე თუ არა,—თქვა რულანტმა. — მართალია, ჩვენ შეგვიძლია ფეხზე დავიკიდოთ ყველაფერი და ერთბაშად შევჭამოთ მთელი მარაგი, მერე რაღა ვქნათ?.. ჩემი ბიჭებიც გახდნენ შიმშილისგან. რასაც საზოგადოებრივი სამზარეულო იძლევა, საჭმელად არც შეიძლება ჩაითვალოს.

გარემოცულ ჰოლანდიაში შიმშილი მეფობდა. ქურდულად, თითქმის შეუჩნეველად შემოიპარა უკანა კარებიდან. ახლა კი მთელს ქვეყანაში მბრძანებლობდა, თავხვდურად დაეკრიჭა კბილები და, მგონი, დიდხანს, ძალიან დიდხანს აპირებდა ჩვენს წვალებას.

თოვდა. ყინვები დაიკირა. ხანდახან, განსაკუთრებით დილ-დილაობით, ვხედავდით ადამიანებს, რომლებიც გზატკეცილზე მიღოღავდნენ და მიათრევდნენ საბავშვო ეტლებს, ან რამე უბრალო საზიდარს. ისინი ჰარლემერ მეერში მიდიოდნენ რამე სურსათის შოვ-

ნის იმედით. ვხედავდით საღამოთი როგორ ბრუნდებოდნენ შინ. ეტლები ხშირად ისევ ცარიელები იყვნენ. ადამიანები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. ისინი თოვლში მიაფლატუნებდნენ ძველ ფეხსაცმელებს. ჭუჭყიან თხრილებში ისვენებდნენ. შვიდ-რვა გრადუსიან ყინვაში. ჯერ სალაშქროდ ორი-სამი კაცი მიდიოდა. მერე მთელი გროვამ დაიწყო ერთად სიარული. პირველად ისინი ჰარლემერ მეერში ვნახეთ, მერე ამსტერდამისკენ მიმავალი რკინიგზის მეორე მხარეს. მერე სპარნვოუდსა და სპაარნდამში. ისინი მოწყალებას თხოულობდნენ საბაღო მეურნეობებში ოვერფეენსა და ბუნებრუკს შორის. ეს იყო დამშეულთა ლაშქრობები: ქალები, ბავშვები, მოხუცები. მამაკაცები კი ვერ ბედავდნენ წასვლას; ისინი თანდათან უფრო იმალებოდნენ Arbeitsinnsatz[1]-ის შიშით.

პირველად გერმანელები ყურადღებას არ აქცევდნენ სურსათის მაძიებელ ადამიანებს. მალე მოისაზრეს, რომ დამშეულთა გროვა მათ ამოცანას უმსუბუქებდა. საღამოობით გერმანელები გზებზე ელოდნენ თავიანთი ეტლებითა და ზურგჩანთებით უკან მომავალ ხალხს. ქალებსა და ბავშვებს ერთ ადგილას მოაგროვებდნენ და ართმევდნენ ნაშოვნ სურსათს, მერე ვერმახტის მანქანით მიჰქონდათ თავიანთი ნადავლი. საშინელ ამბებს გვიამბობდნენ. პენინგსვეერის მახლობლად ნაცისტებმა მოჰკლეს ქალიშვილი, რომელიც ერთ-ერთ მათგანს მივარდა, რადგან მან ყავისფერი ლობიოს პარკი წაართვა.

არაფერს შეეძლო შეეჩერებინა სურსათის საძებნელად მიმავალი ხალხი. ყოველდღე ახალ-ახალ პარტიებს ვხედავდით. გავიგეთ, რომ ამსტერდამელებმა და ჰაგელებმა უტრეხტს ჩაუარეს და ველიუვეზე გადავიდნენ, ანდა შევიდნენ ჩრდილოეთ ჰოლანდიის პროვინციაში კაშხალამდე, ყოფილი ზღვის ზვიდერზეეს გავლით. ისინი მზად იყვნენ ერთ ტომარა ხორბალში, ერთ ნაჭერ ღორის ქონში მიეცათ ძვირფასეულობა, ზეწრები, სუფრის ვერცხლეული. სოფელში ყოველთვის შეიძლებოდა რაღაცის შოვნა. გლეხებს შორის იყვნენ ადამიანები და მტარვალები. ერთნი თავიანთ ხორბალს ყიდდნენ ზომიერ ფასებში, როგორის ხსენებაც აღარ იყო უკვე დიდი ხანია; მეორენი თავიანთ სურსათს ბარბაროსულად დიდ, მევახშურ ფასს ადებდნენ; თავიანთ სკივრებს ერთ ტომარა კარტოფილსა და თალგამზე გადაცვლილი ოქროთი, ვერცხლითა და ძვირფასი საცვლებით ავსებდნენ. ამავე დროს მყიდველმა არ იცოდა, ნაშოვნ სურსათს გადაარჩენდა თუ არა გერმანელების კონტროლს.

[1] შრომითი ბეგარა (გერმ.).

გაჭირვებულ, დაბეჩავებულ ხალხს, რომელიც ადრეც ნახევრად ნშიერი ცხოვრობდა, სურსათის საყიდელი არც ფული ჰქონდა და არც გადასაცვლელი ნივთები. ადამიანები შინ ისხდნენ და ტულიპების ბოლქვებს ხარშავდნენ, რომლებსაც სილახვავებთან მებაღეობის მეურნეობებში მოწყალებით თხოულობდნენ.

გული გვერეოდა იმის გახსენებაზე, რომ ტულიპების ბოლქვები უნდა გამხდარიყო ჩვენი საკვები.

ვებრძოდი საშინელ მელანქოლიას, რომელსაც ჩემში იწვევდა ტყვიისფერი მიწა, მოქუფრული სათოვლე ღრუბლები, შიმშილი. უნგრეთიდან და სლოვაკიიდან მიღებულ ძუნწ სამხედრო ცნობებს მივვარდებოდი ხოლმე; სლოვაკიაში მოსახლეობა აჯანყდა ოკუპანტების წინააღმდეგ და იბრძოდა რუსებთან ერთად.

მაგრამ ეს ქვეყნები შორს იყვნენ. უფრო შორს იყო წყნარი ოკეანე, ინგლისელების მიერ დაბრუნებული მალაკის ნახევარკუნძული და ფილიპინებისათვის ბრძოლა, სადაც ამერიკელთა ჯარები წინ მიიწევდნენ ყოველდღიურად. თვითონ ეს სახელებიც ზღაპარივით ჟღერდა. ვცდილობდი წარმომედგინა შორეული მარჯნის კუნძულები, პალმები, მზის ბრწყინვალება, თეთრი სახლები და ვერაფრით ვახერხებდი ყველაფერ ამის დაკავშირებას ომთან, ომი — იყო აქ, სადაც თითქოს ყველაფერი პირქუში, აშმორებული და რუხი გახდა, ყველაფერი გაიყინა და ჩაკვდა; სადაც რკინის ბორკილებში ვისხედით. იქ კი, შორს, ყველგან სინათლე იყო. იქ, უკიდურეს შემთხვევაში, საერთო მტრის წინააღმდეგ ომი მაინც შეეძლოთ, როგორც საჭიროა. საქმის კეთება მწყუროდა. ანი და ტინკაც მხოლოდ ამაზე ფიქრობდნენ.

— მოდით, წავიდეთ ფელზენელ ამხანაგებთან, — შემოგვთავაზა ერთხელ ტინკამ. — მარტო „დე ვაარხეიდზე“ მუშაობა არ მაკმაყოფილებს.

— ჩვენ მათ არ ვიცნობთ, — ვთქვი ყოყმანით, რითაც მინდოდა გამოვმტყდარიყავი იმაში, რომ ხშირად ვფიქრობდი არენდის წინადადებაზე, გვემუშავა ფელზენის წინააღმდეგობის ჯგუფისათვის.

— მოდით, რულანტსა და ამხანაგებს მოვეთათბიროთ, — შემოგვთავაზა ანმა.

ჩვენ ვითათბირეთ. რულანტმა და სხვებმაც მხოლოდ მხრები აიჩეჩეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ უსაქმოდ ჯდომა არ შეგვეძლო და გვითხრეს, მოიქეცით ისე, როგორც უმჯობესად მიგაჩნიათო.

ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ხანდა-

ხან ვფიქრობდი, რომ ძალიან სასაცილო იქნებოდა „გასესხებულად“ ყოფნა. ეს გამოთქმა ხმარებაში იყო და საერთოდ რომ ვთქვათ, ძალიან შეესატყვისებოდა საქმის არსს. ანი და ტინკა, როგორც ჩანდა, ჩემს გადაწყვეტილებას ელოდნენ—მე ხომ მათზე უფროსი ვიყავი. ჯერ ისევ ვყოყმანობდი; მაგრამ ამ დროს მოხდა ამბავი, რომლის გამოც ჩემს ყოყმანს ბოლო მოეღო; დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებში ნაცისტებმა ფონ რუნდშტედტის მეთაურობით მალმედის ტყეებსა და ბორცვებზე და არდენში დაიწყეს გააფთრებული სატანკო შეტევა და ამერიკელთა ხაზები გაარღვიეს.

ამჯერად ამბების შესახებ ჩემი წარმოდგენა საკმაოდ ზუსტი და საიმედო იყო. თითქოს ვხედავდი კიდეც, თავიანთი შავად შეღებილი ტანკებით ავაზაკები როგორ გაქანდნენ თოვლით დაფარულ ტყეებსა და მდინარეების დამრეც ნაპირზე — კარგად ვიცნობდი ამ ადგილებს, რადგან ზაფხულობით ხშირად ვიყავი იქ ნამყოფი. პანიკა წყნარ სოფლებში, მცხოვრებთა გაქცევა, მასობრივი ძარცვა-გლეჯა. ამერიკელები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იცნობდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა ოინებს, დაიბნენ და უკან დაიხიეს. თოვლი და ნისლი იყოო, აცხადებდნენ ფრონტიდან მოსულ ცნობებში. ამერიკელების დაბნეულობა და ყოყმანი ხელს უწყობდა გერმანელებს. სამაგიეროდ მე მოვათავე ყოყმანი.

— მივდივართ ფელზენელებთან, — მტკიცედ ვუთხარი ანსა და ტინკას, როგორც კი პირველი სამწუხარო ცნობა გამოვაქვეყნეთ გერმანელების მოულოდნელი გამარჯვების შესახებ. — რაკი ვითარება შეიცვალა....

ვიცოდით, სად შეიძლებოდა ფრანსის ნახვა. ვთხოვეთ მას გადაეცა ფელზენელი ამხანაგებისათვის, რომ ჩვენ მზად ვიყავით დროებით გვემუშავა მათთვის, იგი მოელაპარაკა, და ჩვენ მაშინ გავიგეთ პირველად, სად იყო არენდისა და მისი ამხანაგების შტაბი.

— ესეც ახალი ამბავი, — თქვა ტინკამ, — რამდენჯერ ჩამივლია აქ!

აღნიშნულ მისამართზე იმ დღეებში წავედით, როცა გერმანელთა სატანკო შეტევის ცნობა ყველამ შეიტყო, ბრძოლები გაჩაღდა ლეიკის მიდამოებში. ნაცისტურმა პრესამ, რა თქმა უნდა, ტრაბახი დაიწყო ამ მიღწევით, რომელიც გერმანელებისათვის უნგრეთსა და სლოვაკიაში დამარცხებისათვის მიღებული ჯილდო იყო. რას ფიქრობდნენ გერმანელები, ჩვენთვის გაუგებარი იყო. ისინი, როგორც ჩანდა, მართლა ფიქრობდნენ, რომ ამერიკელებისათვის მეორე დიუნკერკის მოწყობას შეძლებდნენ. მათ თავიანთი ფლოტისა და „გერმან გერინგის“ დივიზიის ნარჩენების შეგროვება დაიწყეს

სანაპირო ხაზზე, კუკ ვან ხოლანდისა და ვასენარის კონცხებს შორის. ეს სამზადისი ხალხს უკვე ვეღარ აშინებდა, მხოლოდ სევღას გვრიდა. როგორ შეიძლებოდა ასეთი ამბავი მომხდარიყო უდიდესი იერიშის შემდეგ, რომელიც ზაფხულსა და შემოდგომაზე მოკავშირეებმა წამოიწყეს!.. მე, რა თქმა უნდა, თვალს ვადევნებდი ჩემს თავს, ვცდილობდი ამხანაგებისათვის არ მეჩვენებინა ჩემი განწყობილება. მაგრამ ძალა არ მყოფნიდა იოლად გადამეტანა ეს მარცხი. შეიძლება, ამის მიზეზი შიმშილიც იყო, ჩვენ კი ჯერჯერობით სხვებზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით!

სახლი, რომელშიც ფელზენელებს შტაბი ჰქონდათ, საკმაოდ დიდი იყო. იგი ბრძმედებისაკენ მიმავალ გზასთან ახლოს იდგა, ფიქვებს უკან და ჰგავდა საკმაოდ რესპექტაბელურ ვილას, რომელიც შეიძლებოდა რომელიმე ფაბრიკის დირექციის წევრის საკუთრება ყოფილიყო. ისე ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, რომ თვალში არავის მოხვდებოდა: ტინკა მართალი იყო, მრავალჯერ ჩაგვიელია აქ, ისე რომ ეჭვიც არ აგვიღია. დიდ, საქანდაკო მორთულობებიან შესასვლელ კარზე ეკიდა დაბეჭდილი დაფა: „გთხოვთ შემოხვიდეთ გვერდითი კარიდან". სახლს შემოვუარეთ — სქელი ფარღები ფანჯრებში შეხედვის საშუალებას არ იძლეოდა — და დავრეკეთ. ორჯერ მოგვიხდა დარეკვა, ვიდრე გვერდით კარებში — ნაკლებად მასიურ, მაგრამ საგრძნობლად დიდი ზომის — მინის „სპეკერეტი" არ გაიღო. ტიულის ორფა ფარდაში ვიღაცის გაურკვეველი ლანდი გამოჩნდა, და მხოლოდ მაშინ გავიგონეთ არენდის ხმა:

— აა, ჰარლემელი სნაიპერები!

კარები გაიღო. არენდი გამოვიდა და მაშინვე შინ შეგვიყვანა. მას რაღაცნაირი, „ელვით" შესაკრავი ქურთუკი ეცვა, რომელმაც უმალ ჰუგოს ქურთუკი გამახსენა. მე მოვიკუნტე და უხმოდ დავეკარი თავი არენდს. მან ყველას ჩამოგვართვა ხელი, თან უდარდელად იცინოდა.

— შემოდით ჩქარა... ჩვენთან თბილა: საშინელი ამინდია. ისევ თოვას აპირებს... მოხარული ვარ, რომ გხედავთ!

ჰოლში შევედით. ორი მამაკაცი შაშს თამაშობდა.აქ რამდენიმე კარი შემოდიოდა. ორი მათგანი ღია იყო, საიდანაც კვამლის ნაცრისფერი ბოლქვები გამოდიოდა. კვამლსა და სითბოში გავეხვიეთ მაშინვე. ჰაერი დახუთული, მაგრამ სასიამოვნო იყო. ღია კარებიანი ოთახებიდან ხმები გამოდიოდა. ხმები მაშინვე შეწყდა, როცა არენდმა და ჩვენ კარებს ჩავუარეთ.

— ჩვენ აქ ჯარისკაცთა უაზარმისმაგვარი გვაქვს, — ხუმრობით თქვა არენდმა.—ზევით ხელმძღვანელობაა; სწორედ დღეს „ოფიც-

რები“ ცოტანი არიან... არ იფიქროთ, რომ ეს ოფიციალური წოღება იყოს. მე ვუწოდებ ასე...

იგი კიბეებზე დაწინაურდა, ჩვენ ისევ გადავხედეთ ერთმანეთს, ვიდრე მას მივყვებოდით. ტინკამ კომიკური ჟესტი გააკეთა, რომელიც ნიშნავდა: „სად მოვხვდითო?“ ანმა მხრები აიჩეჩა. ბეც რაღაც გაურკვეველი უნდობლობა შემეპარა.

არენდმა დიდ ოთახში შეგვიყვანა, რომელიც, რამდენადაც ფანჯრიდან დანახულით მიეხვდი. უკანა ეზოში გადიოდა. კედლები ხის პანელებით იყო შემოფიცრული. იატაკზე ძვირფასი ხალიჩა ეფინა. კედლებზე ჩამოკიდული სურათები, ალბათ, ნამდვილი იყო: სურათებისა არაფერი გამეგება. ლითონის უამრავხვეულებიანი ლამპა მძიმე საგანს წარმოადგენდა. ჩვენს წინაშე ნამდვილი ბასტიონი აღმოჩნდა, წითელი ხისგან ნაკეთები განიერი საწერი მაგიდის სახით. მაგიდაზე ბრჭყვიალა შუშა იდო. არენდის გარდა ოთახში ორი კაცი იყო. ერთი საწერ მაგიდას მისჯდომოდა, მეორე მიყრდნობოდა წიგნების კარადას, რომელშიც წითელყდიანი წიგნები ელაგა. როცა შევედით, საწერ მაგიდასთან მჯდომი ადგა. ოთახს სწრაფად მოვავლე თვალი და მერე მას შევხედე. იგი დაბალი, ოთხკუთხა ბეკებიანი იყო, თმა შეკაღარავებოდა, ძლიერი და თავის თავში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მას ეცვა მუქი ნაცრისფერი კარგად შეკერილი კოსტიუმი — რომელიც ამ პირობებში თვალში მოსახვედრი იყო — და თეთრი პერანგი; ყოშებიდან მანეეტები უჩანდა, რომლებიც დიდი მასიური ოქროს საკინძებით ჰქონდა შებნეული, მარცხენა ხელით თითქმის შავი, კუს ბაკნის სათვალე მოიხსნა, მარჯვენა ჩვენ გამოგვიწოდა. ისევ უნდა შევჩვეოდი ამ წრის ხალხს; თუ ლივენსს არ ჩავთვლით, ბოლო ხანებში მათ თითქმის არ შევხვედრივარ; ჩემ წინაშე თითქოს ომამდელი ყაიდის, მაღალი საზოგადოების, დახვეწილი და გულგრილობაში დახავსებული ადამიანი წარმოდგა. სახელდობრ რა გვითხრა მან, არ დამიხსომებია, მხოლოდ ის მახსოვს, რომ მისი ხმა გულითადად ჟღერდა. იგი ჩვენ წარმოგვიდგა, როგორც იურიდიული მეცნიერების მაგისტრი პაული; მეორე კაცმა, რომელიც იგივე ყაიდის ადამიანად მეჩვენა, ინჟინერ კააპსტადტად გაგვაცნო თავი. მას ეცვა მიხაკისფერი, საუცხოოდ დაუთოვებული კოსტიუმი, იმავე ფერის სქელლანჩებიანი სპორტული ფეხსაცმელი და ფაფუკი, მიხაკისფერი ნაქსოვი ჟილეტი; თვალში მოსახვედრი იყო ნაიარევ პირთან და მარჯვენა ხელის თითზე წამოცმული მეტისმეტად დიდი ნიშნიანი ბეჭედი. მათ დიდი, ტყავის სავარძლები შემოგვთავაზეს, დარე-

კეს, რომ ყავა მოეტანათ — როგორც ჩანდა, აქ სრული იერარქია იყო, — და მაგისტრმა პაულიმ ისიც გვკითხა, მშივრები ხომ არა ხართო; მათ გუშინდელი კარტოფილის ღვეზელის კარგი ნაჭერი კიდევ დარჩათ, თქვა მან. უარი განვაცხადე ამ წინადადებაზე, ოუმცა ვგრძნობდი, რომ კარტოფილის ღვეზელის კარგი ნაჭერი ძ'ძვენიერი იქნებოდა ჩემთვის. ანმა და ტინკამაც თქვეს, ამჟამად მადაზე არა ვართო (ვფიქრობ, არც ეს შეეფერებოდა სინამდვილეს); მართალია, ჩვენ ავიღეთ შემოთავაზებული სიგარეტები და საუბარი გაიბა.

ყველაზე მეტს პაული ლაპარაკობდა, ინჟინერი კააპსტადტი მხოლოდ კვერს უკრავდა მას, ხოლო არენდი დინჯად იჯდა მის გვერდით, როგორც ახალგაზრდა შიკრიკი ორი უფროსი ოფიცრის საზოგადოებაში. მაგისტრმა პაულიმ გვითხრა, რომ მათთვის ცნობილია ჩვენი სახელები, ბევრი რამ გაუგონიათ ჩვენს გმირულ თავდადებაზე და დიდად დააფასეს ჩვენი თანხმობა მათთან მუშაობის ვამო. ჩვენ ჩავილაპარაკეთ, რომ არაფერი გვინდოდა გარდა კეთილი საქმისათვის მუშაობისა; ჩვეულებრივი მორიდებულობა ვიგრძენი და მივხვდი, რა შორს წავედი იმ წრიდან, სადაც ადამიანები გაპრიალებული ფეხსაცმელებით ხალიჩებზე დადიან. კარგად შეკერილი კოსტიუმები აცვიათ ომის მეოთხე წელსაც კი და შეუძლიათ დარჩნენ ვექილად, ინჟინრად ანდა ვინმე მათ მაგვარად... ინჟინერმა კააპსტადტმა გვკითხა, მთელი დღე თავისუფლები ვიყავით თუ არა. ჩვენ ვუთხარით, რომ დილის საათებში „დე ვაარხეიდის“ ბეჭდვითი და დატარებით ვიყავით დაკავებული. დავინახე, ინჟინერმა და მაგისტრმა პაულიმ როგორ გადახედეს ერთმანეთს; პაულიმ ისევ გაიკეთა კუს ბაკნის სქელჩარჩოიანი სათვალე და თქვა:

— ქედს ვიხრი ამის წინაშე... ჩვენი არალეგალური გაზეთები ოქროზე ძვირფასია, ისინი კი, ვინც მათ ბეჭდავს და დაატარებს, უფრო ძვირფასი. არალეგალური გაზეთი ხალხს სიმამაცეს უნარჩუნებს... თქვენ ნახულობთ, რა თქმა უნდა, ინგლისის პრესას? მხედველობაში მაქვს ჩვენი „მფრინავი ჰოლანდიელი“.

იგი თავის საწერ მაგიდაზე დაიხარა და უჯრიდან ამოიღო თხელი, პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ფურცლების დასტა, რომლებსაც ინგლისის ავიაცია ყრიდა ჰოლანდიაში. ხანდახან ჩვენც გვივარდებოდა ხოლმე ისინი ხელში, მაგრამ უკანასკნელი ნომრები არ მქონდა წაკითხული. გადავფურცლე და ვნახე, რომ იქ მოთავსებული იყო ინგლისელების ბრძოლის შესახებ მალაკის ნახევარკუნძულზე, რუნდშტედტის შეტევაზე; მაგრამ აქ აღმოვაჩინე მოკლე

ჩანაწერი, რომლის წაკითხვაც ორჯერ მომიხდა, რომ მივმხვდარიყავი მის შინაარსს. ბრიტანეთის არმია, რომელიც საბერძნეთში გადასხდა, ჩათრეული იყო ბრძოლაში იქაური წინააღმდეგობის შიდა ჯარებთან, ელასთან. მაგისტრ პაულის დაკუბრუნე თავისი „მფრინავ...ჰოლანდიელის“ ფურცლები და ვუთხარი, რეგულარულად ვკითხულობთ ამ ფურცლებს-მეთქი.

კიდევ თითო სიგარეტი მოვწიეთ, დავლიეთ ყავა — არ ვიცი, შიგ მართლა იყო თუ არა ყავა, ყოველ შემთხვევაში, გავსინჯეთ ფხვნილის რძე — და ბოლოს შევთანხმდით, რომ კვირაში ორჯერ გამოვცხადდებოდით იმის გასაგებად, ექნებოდათ თუ არა ჩვენთვის დავალება. პაული ერთხელ კიდევ დაიხარა თავისი საწერი მაგიდისაკენ და უჯრიდან პაკეტი ამოიღო.

— აი, ჯერჯერობით ნომერი პირველი დავალება, — თქვა მან. — პაკეტი ფრიცისათვისაა ჰარლემში წასაღები. მგონი, თქვენ მას იცნობთ?

დავუდასტურე, ფრიცს ვიცნობ-მეთქი.

— მაშინ, თუ შეიძლება, გადაეცით ეს არენდის სახელით. პასუხი არაა საჭირო, — თქვა მან.

— ადვილი დავალებაა, — ვუპასუხე მე.

იგი საწერ მაგიდას მოშორდა და მამაშვილურად შეგვათვალიერა სამივე.

— სხვა დავალებებიც იქნება. — თქვა მან. — ვხედავ, რომ ისეთ ადამიანებს ეკუთვნით, რომლებსაც მხოლოდ ყველაზე ძნელი დავალებები აინტერესებთ. ცოტაც მოიცადეთ და ამის დროც დადგება.

როცა გამოვემშვიდობეთ და ჰარლემში მოვდიოდით, ანმა თქვა:

— ღმერთო ჩემო! ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ წინააღმდეგობაშიც იყო რანგები და წოდებები! ჯარისკაცების ყაზარმა ძირს და ბატონები ზევით!.. როგორც არენდმა თქვა.

— სამწუხაროა, რომ სწორედ ყაზარმაში არ მოგვიხდა შეხედვა, — აღნიშნა ტინკამ. — ძალიან მინდოდა მენახა ხალიჩები არის თუ არა იქ.

— რას იტყვით თქვენ ამ ამბებზე? — ვიკითხე მე ისე, რომ ჩემი აზრი არ გამომითქვამს და არც მინდოდა გავლენა მომეხდინა ქალიშვილებზე.

— ჩემი აზრით, არც ისე ცუდია, — თქვა ტინკამ

— არენდი ძალიან სიმპათიური ჩანს, — დასძინა ანმა.

— გარდა ამისა, ჩვენ მხოლოდ დროებით ვართ დათმობილი,

— ვთქვი მე. — თუ არ მოგვეწონება, რულანტის საშუალებით ისევ მოვაწყობთ, რომ კვლავ უკან დაგვაბრუნოს. საბოლოოდ ჩვენი ბედი წინააღმდეგობის საბჭოშია.

ჰარლემში ჩამოვედით თუ არა, პაკეტი „არენდის სახელით“ ფრიცს გადავეცი „თამბაქოს კასრში“. როგორც შევატყვე, იგი გაოცებული იყო, რომ მე ფელზენელებთან ვიყავი დაკავშირებული, მაგრამ გაოცება მას მხოლოდ სახეზე გამოეხატა, სიტყვიერად არაფერი უთქვამს, მადლობა მითხრა. შინ რომ ვბრუნდებოდი, ისევ იმაზე ვფიქრობდი, როგორ უნდა მოვკიდებოდი ჩვენს ახალ ურთიერთობას.

დაწოლის დროს კი გამახსენდა „მფრინავ ჰოლანდიელში“ მოთავსებული პატარა ცნობა: საბერძნეთში მოხდა ბრძოლა ბრიტანეთის სადესანტო ჯარებსა და წინააღმდეგობის შიდა ჯარებს შორის. ვიგრძენი, რომ ამის შესახებ ამხანაგებთან საუბარი მჭირდებოდა.

სასტიკი ბეშმარიტებანი

მეორე დღეს დამავიწყდა, რომ ჩვენს შტაბში მინდოდა საბერძნეთში მომხდარი ამბების განხილვა. მეგობარ ქალიშვილებთან ერთად რულანტს ანგარიში ჩავაბარეთ ფელზენში ჩვენი ყოფნის გამო.

— ჰმ, ნუთუ. თქვენი ნებაა, — თქვა ჩვენმა უფროსმა ოდნავ ღვარძლიანად. — იმედი მაქვს, იქ მუშაობა უფრო მოგეწონებათ.

ორი დღის მერე ისევ ახალი ცნობა მოვიდა საბერძნეთში ბრიტანეთის ჯარსა და ამ მრავალტანჯული პატარა ქვეყნის პარტიზანებს შორის შეტაკების შესახებ. როგორც კი შემთხვევა მოგვეცა, შტაბში ეს საკითხი წამოვაყენე. ჩვენ შორის არავინ იყო ისეთი, რომელიც ვერ მიხვდებოდა, რომ ინგლისის მთავრობა იქ ფლიდურ და ორპოფულ თამაშს აწარმოებდა.

— ეს ჩერჩილი საერთოდ თავხედია, — თქვა რულანტმა,—დამერწმუნეთ, რომ იგი უსინდისო პოლიტიკას ეწევა... თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რა ხდება იქ.

— მერედა როგორ, — გამოვეხმაურე მე.—დაუნინგ სტრიტზე უკვე ეშინიათ საბერძნეთის თავისუფალი მთავრობის შექმნისა, რომელშიც კომუნისტები მიიღებენ მონაწილეობას.

— თქვენ ასე ფიქრობთ?.. — გაოცდა ვეინანტი, რომელიც ჩვენ-ნზე ნაკლებ იყო პოლიტიკაში გარკვეული.

— შენ კი სხვაგვარად ფიქრობ? — ჰკითხა რულანტმა. — რომ ისინი ელას-ის ძალებს იმიტომ ერეკებიან მთაში, რომ ელას-მა კარგად იბრძოლოს გერმანელების წინააღმდეგ?.. აბა მაშ ნახავ. კომუნისტები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ, სანამ ქვეყანაში მტერი იქნება. ომის დამთავრების შემდეგ კი მათ კუკუს ამოპკრავენ.

—მაშ რა უნდათ ინგლისელებს საბერძნეთში? —იკითხა ტინკამ.

— დასაყრდენი პუნქტები, — სწრაფად ვუპასუხე მე. —გზა ინდოეთისაკენ. და ბარიერი, პლაცდარმი, ბაზა იარაღით მომარაგებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ბალკანეთის დანარჩენი ნაწილი გაწითლდება...

— ღმერთმანი, ეს რაღაც სიმართლეს ჰგავს, — თქვა ანმა.

ჩვენ ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით, საკუთარ თავს დროს ვაძლევდით ამ სასტიკ ჭეშმარიტებებთან შესაგუებლად. მერე ნელა დავიწყე ლაპარაკი. მეგონა, რომ უცებ, ნათლად მივხვდი მრავალი ამბის დედააზრს:

— აი თურმე როგორაა საქმეები... ლონდონში, ჰოლანდიის მინისტრთა კაბინეტში, გააფთრებული დავიდარაბაა. დღეს ერთ მინისტრს აგდებენ, ხვალ—მეორეს. ამასობაში მათ ყველას ერთი საზრუნავი აქვთ: როგორ მოიშორონ კომუნისტები თავიდან, როცა ომი დამთავრდება მ ა თ თ ა ნ ამათ არავითარი ზავი არ სურთ და როცა ჰიტლერს ბოლო მოეღება, კომუნისტებს შავ დღეს დააყრიან...

ვეინანტმა გაკვირვებით შემომხედა და თავი გაიქნია:

— როგორ მოგელანდა ასეთი რამეები, ადამიანის შვილო?.. კომუნისტები მთელს მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობენ...

— მით უარესი მათთვის, — მოვუჭერი მე.

— პოპულარობით!.. ვისთან სარგებლობენ პოპულარობით? უბრალო, კარგ ადამიანებთან, ისეთებთან, როგორიც შენ ხარ, ვეინანტ... და ეს კიდევ ერთი მიზეზია ვაებატონებისათვის, რომ კომუნისტები თავიდან მოიშორონ. იცოდე, კომუნისტები მათთვის—ჰიტლერზე უარესია. ჰიტლერს უნდა მხოლოდ ბატონობა, ძარცვა და საკუთარი, ბატონთა რასისთვის დახმარება, რომ იგი მსოფლიო ბატონი გახდეს. კომუნისტებს კი ყოველგვარ ბატონობასთან ერთად ამ ბატონობის მოსპობა უნდათ. მათ უნდათ, რომ მსოფლიო სულ სხვანაირად გამოიყურებოდეს, მსოფლიოც და ადამიანებიც... ეს კი — მიუტევებელი მისწრაფებაა.

— იქნებ, მოკავშირეებს არც უნდათ ომის დამთავრება?—თქვა ვიხერმა.

ყოველი მხრიდან საპროტესტო შეძახილები გაისმა. მე ხმას არ ვიღებდი და ვფიქრობდი: დიახ, იქნებ ასეცაა, ხალხი, რომელიც ამერიკისა და ინგლისის სათავეშია, იქნებ არც არის დაინტერესებული მშვიდობით. და იმიტომ კი არა, რომ ნაცისტები ისევ დაეხეტებიან ყველგან, არამედ იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დგას უდიდესი ძალა —წითელი დივიზიები. პირველ რიგში სწორედ მათ განადგურებას ისურვებდნენ ეს ვაებატონები, ჩემს ფიქრებს, თითქოს ჩემი ამხანაგები იზიარებდნენ.

— ჰიტლერიც ნამდვილად არ შემცდარა, როცა ამ ქვეყნებს მიმართა, —თქვა ტინკამ. —იგი პირველად რომ აღმოსავლეთით წასულიყო, მაშინ ისინი იმ წუთში მის მხარეზე დადგებოდნენ —ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, ჰოლანდია...

—მეც სწორედ ამაზე ვფიქრობ, —აღნიშნა რულანტმა.—თუ ჩვენ საკმაოდ კარგად არ დავიცავთ თავს, იმისი მსგავსი რაიმეს გადატანა მოგვიწევს, რაც საბერძნეთში ელას-ს ხვდა წილად... ჯერ გერმანელთა, მერე ინგლისელების ან ამერიკელების ოკუპაცია.

—მაგრამ ჩვენ ხომ განვაგრძობთ ბრძოლას, —შევესიტყვე მე.

— რა თქმა უნდა, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას! —წამოიძახა ანმა, რომელიც კარგა ხანია ხმას არ იღებდა. — რადგანაც ჩვენ საქმე გვაქვს დაუძინებელ მტერთან და არამზადებთან. რადგან ჰოლანდია ოკუპირებულია და უნდა გავუსწორდეთ ოკუპანტებს. იმიტომ, რადგან ამას გვკარნახობს ჩვენი სინდისი, თუ რაც გინდა უწოდე ამ გრძნობას.

— ვალდებული ვართ და ვიბრძოლებთ კიდეც, მანამდე, ვიდრე საჭირო იქნება... ვიბრძოლებთ ახლაც და ომის შემდეგაც, — თქვა ვეინანტმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ჩვენს სიტყვებს.

— მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი; — განვაცხადე მე. — ხალხს იმედი აქვს, რომ ომის შემდეგ ჰოლანდიაში ცხოვრება უკეთესი იქნება. უფრო სამართლიანი, უფრო ერთსულოვანი. როცა ჰიტლერს დაამარცხებენ, ადამიანებს შორის არსებული ადრინდელი ზღუდე მოისპობა.

— შენც ლაპარაკობ,—ჩაიბუზღუნა ვიხერმა.—აი, ნახავ, ორმოციანი წლების ჩვენი მესვეურები, თუ მოახერხებენ, სწორედ იმას ეცდებიან, რომ ისევ აღმართონ ეგ ზღუდეები. აი, რატომაა, რომ ჰოლანდიაში უკვე დღესვე ხან ერთი, ხან მეორე ვაიბატონები გამოდი-

ან ბი-ბი-სში და სისულელეს ჩმახავენ ჯანსაღ, კანონიერ წესრიგზე, რომელიც უნდა აღდგეს განთავისუფლების შემდეგ...

—თანაც, მხედველობაში აქვთ, რომ პირველ რიგში, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი უნდა მოიქცნენ წესიერად, —თქვა რულანტმა.—ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, არაჯანსაღი და უკანონოა...

— იმიტომაც ჰქვია ჩვენს საქმეს იატაკქვეშური—აღვნიშნე მე სარკაზმულად.

ცოტა ხნით ისევ გავჩუმდით. ბოლოს ვეინანტმა დინჯი და მტკიცე ტონით განაცხადა:

— შეიძლება მე ისე კარგად ვერ ვერკვევი პოლიტიკაში, როგორც თქვენ... მაგრამ გეთანხმებით იმაში, რასაც ლაპარაკობთ: ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, როდისმე ხომ უნდა გაიმარჯვოს პატიოსნებამ და სამართლიანობამ!

— ამინ! —დავუდასტურე მე.

დ ა ვ ა ლ ე ბ ე ბ ი

ანმა, ტინკამ და მე ფელზენელებთან დავიწყეთ მუშაობა. გარკვეულად არ ვიცოდით, რაში მდგომარეობდა ჩვენი ძირითადი სამუშაო. პირველად პაკეტების წაღება და მიღება გვიხდებოდა ხან ალკმარში, ხან ბლუმენდალში სხვადასხვა მისამართებზე ანდა ლეიდენში. მეორე კვირას ანსა და ტინკას მძიმე ყუთი გაატანეს ჰაგაში, მე კი ხალფვეხში ვიღაცასთან წერილის მიტანა დამავალეს. არენდი ისევ გულთბილად და ამხანაგურად გვექცეოდა. ნაკლებად მისახვედრი იყო, რა ჰქონდათ გუნებაში მაგისტრ პაულის და ინჟინერ კაპსტადტს. მათ სიცილსა და თავაზიანობაში, ჩემი აზრით, შეინიშნებოდა ცოტაოდენი ხელოვნურობა. ჩვენ ძველ ქურთუკებსა და ლაბადებში, ძველი ველოსიპედებით, გახუნებულ ფეხსაცმელებში სახარბიელო შესახედაობა არ გვქონდა. მაგრამ განა ნამდვილმა ჯენტლმენმა თავისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი ამით უნდა განსაზღვროს? ვილის ქვედა სართულზე მყოფი ადამიანების —ყაზარმის ჯარისკაცების — ზრახვებისა და ხასიათის გაგება არც ისე ძნელი იყო. იქ იყვნენ მუშები და ახალგაზრდები ბიურგერთა წრიდან. ზოგი მათგანი 1940 წლის მაისის დღეებში იყვნენ მობილიზებულნი; სხვებმა წინააღმდეგობის ორგანიზაციაში ისწავლეს იარაღის ხმარება; მაგრამ ყველამ იცოდა სროლა. ეს დიდი ჯგუფი არ იყო, მისი შემადგენლობა

იცვლებოდა და ათიდან ოცამდე ადიოდა ხოლმე, თუმცა თავიანთ შტაბში არასოდეს არ გროვდებოდნენ მთლიანად; ქვეყნისათვის ძძიმე დღეებში, მათ იმ მხარის რამდენიმე პირის თანამშრომლობის იმედიც ჰქონდათ. სახლის ქვედა სართულში ისხდნენ, იდუღებდნენ ბურდოს, რასაც ყავას ეძახდნენ, თამაშობდნენ კარტს, ზედა ბატონების საფერფლეებიდან ნამწვავებს ირჩევდნენ და საქმის გამოჩესას ელოდნენ. ბევრი მათგანი ვიცანით, ყოფილი ესესელების დამსჯელ რაზმებში მონაწილეობდნენ. ისინი გვემასხრებოდნენ, როგორც ყოველთვის ემასხრებიან მამაკაცები ახალგაზრდა ქალებს; ანი და ტინკა პასუხს არ უგვიანებდნენ (მე ხომ განსაკუთრებული მოხერხებულობით არ გამოვირჩეოდი); და ჩვენ მათ ამხანაგებივით ვუყურებდით. ორი მათგანი სამზარეულოში ყოველთვის რაღაცას აკეთებდა; კარგა ხანია შევნიშნეთ, რომ ამ ჯგუფს სურსათის საკმაო მარაგი ჰქონდა. თალგამის, კომბოსტოს და ძირძურების პიურე სანიმუშოდ შემზადებული კერძი იყო, და როცა უნდა მივსულიყავით მათთან, საუმელს გვთავაზობდნენ, თუ რაძე იდგა ქურაზე. მოკლეჩექმიანმა ახალგაზრდა კაცმა მარტენმა, რომელიც მზარეულის მოვალეობას ასრულებდა, — მისი გულმოდგინედ გაწმენდილი სპორტული ქუდი დერეფანშივე ვნახეთ, — რამდენიმე დღის შემდეგ გვიამბო, რომ თუ სურვილი გვექნება, შეგვიძლია პირველ რიგში თითო ჭიქა დავლიოთ: ზევით ბატონებს როგორც ჩანდა, ალკოჰოლიანი სასმელები საკმაო ჰქონდათ, და დილდილობით „ჯარისკაცებს“ შეეძლოთ წაეღოთ და გამოეყენებინათ ის, რაც დარჩათ წინა საღამოს.

— შენ რომ გენახა ისინი, როცა ბანაკიდან მეისფელტის განთავისუფლება მოახერხეს, —თქვა მაარტენმა. — რამდენი სასმელი გვერგო ყველა ჩვენგანს! ის ხომ მხოლოდ ნარჩენი იყო ზედა სართულიდან!

— ვინ არის მეისფელტი? —იკითხა ანმა.

მარტენმა წარბები ასწია: — განა არ იცი? იგი სდმპ-ს (ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის) ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია, ომამდე, რა თქმა უნდა... იგი ამერსფორტში იჯდა.

— და მათ მოახერხეს მისი განთავისუფლება? —ვკითხე გაოცებულმა. —როგორ მოახერხეს?

— ის ერთადერთი მაგალითი არ არის, —მიპასუხა მაარტენმა —ჩვენ ბატონებს ბრწყინვალე რაცნობობა ჰყავთ. აი ნახავ.

ტინკა სამზარეულოს მაგიდას დაეყრდნო, მაარტენს დაუწყო ყურება და ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა:

— უნდა ვთქვა, რომ აქ, თქვენთან რაღაც უცნაური ამბავი ხდე-

ბა... პირველ ყოვლისა, ეს ბატონები ზევით და უბრალო ჭაბუკები ქვევით. ჩვენს წინააღმდეგობის კავშირში ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა.

მაარტენმა ტინკას თეფშზე კიდევ ერთი კოვზი ბოსტნეულის რაგუ დაუდო და სიცილით უთხრა:

— დიახ, წინააღმდეგობის საბჭო! ესენი ხომ ჩვენი ბოლშევიკები არიან, ხომ ასეა? თქვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს თანაბრად ანაწილებთ!

ჩვენ გავიცინეთ, მაგრამ ჩემთვის გაურკვეველი იყო, როგორ იყო ამ ამბის მიმართ განწყობილი თვითონ მაარტენი—იწონებდა თუ დასცინოდა.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ომის შემდეგ ქვეყანა უფრო სრულქმნილი უნდა გახდეს. და აღარ უნდა იყოს ეს საზიზღარი განსხვავება — ადრინდელსა და ახლანდელ ადამიანთა შორის.

მაარტენი ჩაფიქრდა. მხრები აიჩეჩა.

—რას ნიშნავს „უფრო სრულქმნილი“? განსხვავება ყოველთვის არსებობდა და, რა თქმა უნდა, სამუდამოდ დარჩება, მომავალშიც... ოღონდ ყველა ასრულებდეს თავის მოვალეობას. ოღონდ გერმანელები ჩაძაღლდნენ.

—აჰ, საქმე რომ ასე უბრალო იყოს, —ვთქვი და ამოვიოხრე.

არც ერთი ჩვენთაგანი არ აპირებდა პოლიტიკური პაექრობის გამართვას, თუმცა ძალიან მინდოდა უფრო მეტი გამეგო იმ კაცზე, რომლის განთავისუფლება ამერსფორტის ბანაკიდან ფელზენელებმა შოახერხეს. გავიფიქრე ოტოზე, ჩვენს ამხანაგებზე, რომლებიც ბანაკში მოხვდნენ და რომლებზედაც მერე აღარაფერი გაგვიგია, და მე გავჩუმდი. ანი, ტინკა და მე აქ იმისათვის კი არ მოვედით, რომ პაულისა და მისი მეგობრების საიდუმლოებები ამოგვეხსნა, სულაც არ გვინდოდა ჩვენი აზრები მაარტენისა და მისი მსგავსი ახალგაზრდა ადამიანებისათვის მოგვეხვია თავს. ის, რასაც მაარტენი გვეუბნებოდა, გარკვეულ ფარგლებში, რა თქმა უნდა, სხვების კრედოსაც წარმოადგენდა. მათ სძულდათ ოკუპანტები და ძალიან დაინტერესებულები იყვნენ მხოლოდ ერთ რამით—რაც შეიძლება მალე გაერეკათ ისინი ქვეყნიდან. დანარჩენს ყველაფერს ურიგდებოდნენ. წუთით დავფიქრდი, გაურკვეველი, მძიმე გრძნობა შემომაწვა გულზე... ჰოლანდიელი ხალხის უმრავლესობას ნამდვილად სურს თუ არა იცხოვროს უფრო სრულქმნილ ქვეყანაში?.. მე ხშირად ვამტკიცებდი ამას; მაგრამ ახლა ვგრძნობდი, რომ ყოყმანი დავიწყე.

შობა ახლოვდებოდა. ლეიკის გარშემო რუნდშტედტის გააფთრებული შეტევა გრძელდებოდა. გაზეთები გაჭედილი იყო ხმებით გამარჯვებების შესახებ, მაგრამ ისინი სდუმდნენ იმაზე, რომ რუსებმა ბუდაპეშტს ალყა შემოარტყეს და ავსტრიის საზღვრებამდე მივიდნენ, რომ გერმანულ ბადრაგებს ზედიზედ ძირავდნენ ინგლისელები. ჰოლანდიაში უმოწყალოდ მკაცრი ზამთარი იდგა. არასდროს არ მინახავს ჩემი მშობლიური ქალაქი, ჰარლემი, ასე მოუვლელი, ასეთი ჭუჭყიანი, ასე საცოდავი. თოვლს არავინ ჰგვიდა. ქუჩები უსუფთაოდ გამოიყურებოდა. ქვაფენილებს ყინულის ფენა გადაეკრა, ფანჯრები გაიყინა, ან აღარ ჩანდა დარაბებიდან, რომლებსაც არავინ აღებდა. ქალაქში გავლის დროს აქა-იქ ვხედავდი ადამიანთა გროვას, რომლებიც გაშტერებულები იდგნენ რიგებში იაფფასიანი საზოგადოებრივი სასადილოების წინ. დურდო, რომელიც კონსერვის ქილებითა და ქვაბებით მიჰქონდათ, არ იმსახურებდა ადამიანის საჭმლის სახელწოდებას. ბიჭები დაეხეტებოდნენ მოყინულ არხებზე და მშიერ, გამოფიტულ თოლიებზე ნადირობდნენ შურდულებით. მე ხანდახან ვთბებოდი შტაბში, მაგრამ მედიცინის დის სახლში ყინავდა. მართალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ არასოდეს არ ვთბებოდი. და არც არავის შეეძლო გამთბარიყო. პატარა ღუმელების მილებიდან, რომლებსაც უსხდნენ ადამიანები და ბურბუშელებსა და ნაფოტებს უკეთებდნენ, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყვნენ ან რამე მოეხარშათ, სწრაფად ამოდიოდა და იფანტებოდა კვამლის თხელი ხვეულები. მცხოვრებთა უმრავლესობას ახლა ტულიპის ბოლქვისა და შაქრის ჭარხლის გარდა სხვა საკვები არ გააჩნდა; ისინი კეპავდნენ ბოლქვებს და მისგან პიურეს და წვნიანს აკეთებდნენ. ხარშავდნენ შაქრის ჭარხალს, აკეთებდნენ სიროფს, მერე მას ყვავილების ბოლქვებს ასხამდნენ. ზოგიერთები, განსაკუთრებით მარტოხელა მოხუცები, ვერ შოულობდნენ ბოლქვებს და შაქრის ჭარხალს. ისინი ავად ხდებოდნენ, წყნარად იწვნენ რამდენიმე დღე და წყნარადვე, უხმოდ იხოცებოდნენ. დამშეულთა ლაშქრობა არ წყდებოდა. ამ ლაშქრობების დროსაც იღუპებოდა ხალხი.

დადგა შობა და ნაცისტებმა მხიარულად იზეიმეს იგი, კიდევ ერთხელ დაანახეს ქვეყანას თავიანთი საზიზღარი შინაგანი მე. ისინი გაუბედურებული ხალხის დასანახად დაატარებდნენ სასმელებით სავსე საზიდრებს; ხის ყუთებში ბოთლები რახრახებდნენ. მიჰქონდათ ფიჩვის მწვანე ტოტები და აქა-იქ მღეროდნენ კიდეც. მათი

ყაზარმების ახლომახლო ფქვილისა და ზეთის სუნი იდგა; ნამცხვრის სუნი ტრიალებდა ირგვლივ და წარსულის ილუზიებს აღიზიანებდა. კიბეებზე ბავშვები იდგნენ, პატარა სახეები ნიავისათვის მიეშვირათ, რომელსაც ეს სიმაძღრისა და სიუხვის სუნი მოჰქონდა; ისინი სიცივისა და ჭამის საშინელი სურვილისაგან კანკალებდნენ.

— თქვენთვის არის დავალება, — გვითხრა არენდმა, როცა შობამდე ორი დღით ადრე გამოვცხადდით ფელზენელთა' შტაბში.

— ინჟინერი კაპიტანი უკვე გკითხულობდათ. იგი ზევითაა.

კაპიტანი მარტო იჯდა ოთახში, სადაც თავის დროზე მაგისტრ პაულისთან ერთად მიგვიღო, თავაზიანად მოგვესალმა, დაჯდომა და მოწევა შემოგვთავაზა. ამჯერად ყავისფერი კოსტიუმის ნაცვლად მას მშვენივრად მორგებული ლურჯი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა. პატარა ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი უჩანდა; უნებურად ჩემს თავს ვკითხე, ვისა აქვს ახლა ამ თეთრეულის რეცხვის საშუალება-მეთქი. თავზე ხელი გადაისვა ისე, რომ მისმა დიდმა ნიშნიანმა ბეჭედმა გაიელვა, მან ღიმილით შემოგვხედა.

— როგორც იქნა, დღეს თქვენთვის ძალიან ძნელი დავალება მაქვს... ამავე დროს სახიფათოც, —თქვა მან და ღიმილის ნაჩეებში დაიმალა მისი ნაიარევი პირთან. — ვიცი, რომ რისკის არ გეშინიათ...

იგი ისევ გვიღიმოდა. მე მოუთმენლად ვუთხარი:

— თქვით.

— ეიმეიდენში დაბეტონებული სიმაგრიდან საბრძოლო მასალა უნდა იშოვოთ, — თქვა მან.

ალბათ, ჩვენ სამივემ ისე დავაჭყიტეთ თვალები, რომ მას ხმამაღლა გაეცინა და აგვიხსნა:

— რა თქმა უნდა, ეს ისევე ეღერს, როგორც, მაგალითად, მე თქვენგან ჰიტლერისათვის პორტფელის წართმევა მეთხოვა.

— დაახლოებით ასეა, — თქვა ანმა. — თქვენ, ესე იგი, მხედველობაში გაქვთ გერმანელთა სიმაგრე... ნავსადგურთან?

ინჟინერმა კაპიტანმა თავი დაუქნია: — დიახ, სწორედ ეგ... მაგრამ ახლავე უნდა გითხრათ, რომ აქ არის პატარა საიდუმლო. ამჟამად ეს სიმაგრე გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს უკავია. ამ ჯგუფში ჩვენ გვყავს შესანიშნავი მეკავშირე.

ძალიან ენერგიულად და ოდნავი პოზიორობით მივიდა გვერდითი ოთახის კარებთან და გააღო იგი, როგორც ფოკუსნიკმა, რომელიც თავის საუკეთესო ოინს აჩვენებს. ოთახში შევიხედეთ. ახალგაზრდა კაცი, რომელიც იქ იჯდა დივანზე და ინგლისურ ჟურნალებს

ფურცლავდა, ადგა და ჟურნალებს თავი ანება; შევხედე ჯერ ჟურნალების სახელებს, მერე კი ახალგაზრდა კაცს. იგი ოცდახუთი წლის იქნებოდა; სამოქალაქო კოსტიუმი ეცვა, უბრალო და კოხტა. როცა დაგვინახა, ტუჩებზე თავაზიანმა ღიმილმა გადაურბინა. მან ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და მოგვესალმა.

—Hab'die Ehre, Meine Damen,—თქვა მან.—Mein Name ist. Paul. Bin leider nicht imstande, Familienname dazu zu hennen. Kommt hoffentlich auch bald[1].

ისევ გავოცდით; თვით ფაქტმა შემაძრწუნა, რომ წინაალმდეგობის ერთ-ერთი ჯგუფის შტაბში შევხვდით კაცს, რომელიც თავისუფლად და წუნდაუდებლად ლაპარაკობდა გერმანულად, — ნამდვილ გერმანელს. ანმა და ტინკამ პაულის საპასუხოდ რაღაც ჩაილაპარაკეს, მე კი უხმოდ დავუკარი თავი. ინჟინერი კაპიტანი წინ წამოდგა.

— არავითარ ეჭვს რომ არ იწვევდეს, — დაიწყო მან ისევ ღიმილით, მაგრამ უფრო თავდაჭერილი ტონით, — პაული — ლიბერალის, რაიხსტაგის ყოფილი წევრის შვილია. მას ძულს ფაშისტები. და მზად არის ყოველგვარი საშუალებით დაგვეხმაროს.

— Durchaus[2], — უპასუხა პაულმა, რომელსაც, როგორც ჩანდა, ჯარგად ესმოდა ჰოლანდიური.

— იგი საპორტო სიმაგრეში განლაგებულ რაზმში მსახურობს, — განაგრძობდა კაპიტანი. — ამჟამად იქ ისინი არც ისე ბევრნი არიან; სამხედრო-საზღვაო ფლოტი უმთავრესად თავმოყრილია მაასის შესართავსა და ჰააგას შორის. დავსხდეთ; თათბირის ჩატარება დგომელა უხერხულია.

დავსხედით და ჩვენს შორის პაული მოთავსდა. შეუძლებელი იყო პრუსიელის უფრო ტიპიური ფიზიონომიის წარმოდგენა, ვიდრე ამ შავგვრემანის ოდნავ ფართო სახე იყო, რომელსაც მაღალი ყვრიმალები, ძალიან მოკლედ შეჭრილი, გულმოდგინედ დავარცხნილი ოდნავ ხვეული თმა, დიდი პირი და ოთხკუთხა ნიკაპი ჰქონდა. სამხედრო ფორმაში უფრო ტიპიური გერმანელი იქნებოდა. სამოქალაქო ტანისამოსში იგი თითქოს მასკარადზე იყო. არ ვიცოდი, რა მეფიქრა მასზე, და ანსა და ტინკას შევყურებდი, რომლების-

---

[1] მაქვს პატივი, პატიეცემულო მანდილოსნებო. ჩემი სახელი — პაულია. სამწუხაროდ, ჩემი გვარის დასახელება არ შემიძლია. ვიმედოვნებ, რომ მალე შევძლებ ამას (გერმ.).

[2] უდავოდ (გერმ.)..

თვისაც ისევე მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, როგორც ჩემთვის.

ინჟინერი კაპიტანი მაგიდას მიუჯდა და თქვა:

— პაული გვთავაზობს შობის პირველ საღამოს მივრდეთ სიმაგრესთან და საბრძოლო მასალა წამოვიღოთ. იგი საგუშაგოზე იდგომება ერთ კაცთან ერთად, რომელსაც ომი ძალიან მობეზრდა. პაული ფიქრობს, ხალხი მთლიანად დღესასწაულით იქნება გატაცებულიო.

— Ohne Frage, — შენიშნა პაულმა, რომელიც დაძაბულად უსმენდა ინჟინრის ნათქვამს. — Man hat uns einen schönen französichen Kognak zugeführt[1].

მან თქვა „ჩვენ". ეს მაშინვე ეხამუშა ჩემს სმენას. არაფერი მიპასუხნია, მხოლოდ ისევ დავუქნიე თავი. როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ ძალიან არ ანსხვავებს თავისთავს მისი ნაცისტი თანამებრძოლებისაგან. იქნებ, იგი იმედოვნებს კიდეც, რომ როცა მისი საგუშაგო საათი დამთავრდება, ისიც მიეძალება „შესანიშნავ ფრანგულ კონიაკს", გავიფიქრე მე. სამხედრო ნადავლი სამხედრო ნადავლია, იქნებ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც არდენში იბრძვიან, ამ წუთში სიმამაცისათვის ჭამენ ჩვენს „შესანიშნავ ჰოლანდიურ ყველს"....

— ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვიფიქროთ, — თქვა ინჟინერმა კაპიტანმა, რომელიც, როგორც შევნიშნე, ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩვენი სახეების გამომეტყველებას, — რომ ბატონები არ გამოამჟღავნებენ საჭირო სიფხიზლეს შობის ამ პირველ საღამოს. ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ. საბრძოლო მასალა ძალიან გვჭირდება. პაულმა ეს იცის.

— Durchaus, — დაუდასტურა პაულმა. როგორც ჩანდა, ეს მისი საყვარელი სიტყვა იყო, უცებ მომეჩვენა, რომ ჩვენ ირგვლივ მთელი ატმოსფერო გაურკვეველი, ბუნდოვანი გახდა, რასაც შეიძლებოდა უამრავი ხიფათი მოჰყოლოდა. ჩვენი სიჩუმე ინჟინერმა კაპიტანმა, როგორც ჩანდა, უსიტყვო თანხმობად ჩათვალა. მას არც უკითხავს, ვიწონებდით თუ არა ამ ოპერაციას; პირდაპირ გადავიდა საბრძოლო დავალების განხილვაზე.

— შებინდებისას ერთ-ერთი ჩვენგანი წაგიყვანთ შენობაში, სადაც ქაშაყებს ფუთავენ. იგი ზღვისაკენ მიმავალი გზიდან ცოტა მოშორებითაა. ეს სულ ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული დაბეტონებული სიმაგრიდან, მათ შორის კიდევ დგას რამდენიმე

---

[1] რა თქმა უნდა, ჩვენ შესანიშნავი ფრანგული კონიაკი მოვიტანეს (გერმ.).

ფარდული და საწყობი. მაგრამ მათში ახლა არც ერთი სულდგმული აღარაა.

— სულ რამდენია? —იკითხა ტინკამ და თავისი პატარა ცხვირი მიაბრუნა კაცისაკენ, რომელიც მაგიდას უჯდა.

— Fünfzig Kilo wird's schon sein,[1]—თქვა პაულმა, რომელიც სიამოვნებით უყურებდა ტინკას თამამ, სასიამოვნო სახეს.

— ორმოცდაათი კილო, — გადავთარგმნე მე. — ესე იგი, თექვსმეტ-თექვსმეტი კილოგრამი ერთ ადამიანზე... ჰმ... ჩვენი ველოსიპედების ჩანთები მიჩვეულია ამას...

— ვაზნებია? — იკითხა ანმა.

პაულმა დაუდასტურა, რომ ლაპარაკი იყო ვაზნებზე. ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო და ფურცელი ამოხია. ფანქრით ადგილის გეგმის ხატვას შეუდგა, თან გვიხსნიდა, როგორ და როდის უნდა მივახლოვებოდით სიმაგრეს.

ქაღალდი ავიღე, დავკეცე და საიმედოდ შევინახე. როგორც ჩანდა, საუბარი დამთავრდა და პაულს გამოვემშვიდობეთ, არ ვიცოდი, შევძლებდი ან საჭირო იყო თუ არა მისთვის ხელი გამეწოდებინა. ძალიან არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე მოქცევა სწორი არ იქნებოდა. პაულს ხელი გავუწოდე, ანმა და ტინკამაც მომბაძეს.

— Auf Wiedersehen, ნახვამდის, — თქვა პაულმა. მან სასიამოვნოდ გაიღიმა და ხელები შუბლთან მიიდო. ეს იყო სისულელე, რადგან მას სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა.

ჰარლემში რომ ვბრუნდებოდით, კიდევ დიდხანს ვლაპარაკობდით, საქმეს ყოველი მხრიდან გადავავლეთ თვალი და ბოლოს გადავწყვიტეთ მაინც მოგვეკიდა მისთვის ხელი. შეიძლება, მისკენ გვიბიძგა პატივმოყვარეობამ — დავალება შეგვესრულებინა მხოლოდ ქალიშვილთა ძალებით, მამაკაცების მონაწილეობის გარეშე! მაგრამ, შესაძლოა, აქ აგრეთვე დიდი როლი ითამაშა ჰარლემის წინააღმდეგობის საბჭოს მებრძოლთა თავმოყვარეობამაც, რომელიც ხიფათის წინაშე არასოდეს არ იხევდა უკან. ეს გადაწყვეტილება კიდევ იმიტომ მივიღეთ, რომ ჩვენ ისევ განვიცდიდით სულიერ დაძაბულობას: შიმშილის საშინელებებთან ერთად, რომელიც ჰოლანდიას დაატყდა თავს, დაიწყო ალყები, რომლებსაც აწყობდნენ ვესტლანდის მოსახლეობაში, იქ დაბანაკებული ნაცისტების ჯარები; ისინი აგრეთვე აწყობდნენ ყაჩაღურ, მძარცველურ

[1] ორმოცდაათი კილოგრამი იქნება (გერმ.).

თავდასხმებს და ჩვენს მამაკაცებს მდინარეების გასწვრივ თავდასაცავ ნაგებობებზე მიერეკებოდნენ. ამას იტყობინებოდნენ უკანასკნელ ცნობებში.

თუმცა, როგორც შევნიშნეთ, არავითარი საფუძველი არ გექონდა ფელზენის წინააღმდეგობის ჯგუფის მონაწილეთა მიმართ ეჭვი აგვეღო, რომ მათ არ სურდათ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა. შობის წინადღეს, საბრძოლო მასალების საშოვნელად წასვლის წინ, გავიგეთ, ეიმეიდენის ნავსადგურში მდგომი გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორი საინსპექციო გემი ჩაეძირათ. როცა მეორე დღეს ფელზენის შტაბში გამოვცხადდით, იქ საერთო საზეიმო განწყობილებაზე იყვნენ. როცა ამხანაგებს კარგად ჩავლილი თავდასხმა მივულოცეთ, გახარებულმა მაარტენმა ყავისფერი ლობიოს ზედმეტი ულუფა მოგვცა, ამასთანავე მასში აღმოვაჩინეთ ღორის ტყავის გზააბნეული ნაჭერი.

ვიდრე ამ დღეს ეიმეიდენში წავიდოდით, ანმა, ტინკამ და მე ერთმანეთს საზეიმო დაპირება მივეცით. ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობდით დაპატიმრებებსა და ტანჯვა-წამებას, რომლითაც გერმანელები თავიანთ მსხვერპლებს უსწორდებოდნენ, გაგვიგონია ამბავი ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ცნობილნი იყვნენ ყველაზე მტკიცედ და საიმედოდ, მაგრამ ნაცისტების წამებას ვერ გაუძლეს. ერთმანეთს დავპირდით, რომ ჩვენ —ხომ არავინ იცნობს თავისთავს — არ დავუშვებდით ამას. თუ ერთად დაგვიჭერდნენ, ჩვენი რევოლვერების ყველა ტყვია ერთმანეთისთვის უნდა გვესროლა, რომ წამებას ან სირცხვილს გადავრჩენოდით.

სულ ამ შეპირებაზე ვფიქრობდი, როცა არენდის მეთაურობით ველოსიპედებით მივდიოდით გაუკაცრიელებულ თევზების საგუბარში, სადაც ჯერ კიდევ იდგა ყოფილი თევზსაჭერი საწარმოს სუნი. ამ სუნმა სენტიმენტალურად განმაწყო, თუმცა წინათ ამას ვერ ვიტანდი. სათევზაო ნავსადგურის კუთხეში ერთმანეთთან მჭიდროდ იდგნენ დათოვლილი მოყავისფრო ერთანძიანი თევზსაჭერი გემები. იქ მხოლოდ თოლიები დაფრინავდნენ და შიმშილისაგან შეწუხებულები ჩხაოდნენ. ბინდდებოდა. ზღვიდან სასტიკი, მწვავე სიცივე უბერავდა: გაყინული სისუფთავე! ჩემმა კიდურებმა ისევ დაკარგეს შეგრძნების უნარი. ზღვის უმოწყალო ქარი კი მკბენდა ლოყაზე და მატანდა ხელებში, რომლებსაც ძველი, გაცვეთილი ხელთათმანები მიფარავდა. უცებ ზღვის დანახვის საშინელმა სურვილმა ამიტანა. ვიანგარიშე, რომ ზღვა 1942 წლიდან არ მენახა. და წარმოვიდგინე, როგორია ახლა წყალი — აბო-

ბოქრებული. ფოლადისფერი ტალღები, ასეთია ჩვენი ზღვა ზამთრობით. ჩვენი მკაცრი და სასტიკი მოკავშირე ფაშისტ ნაძირალებთან ბრძოლაში ევროპის შიგნით... ეს ზღვა თითქოს საშინელი სინამდვილის სიმბოლო იყო; სული დამძიმებული მქონდა. ველოსიპედიდან ჩამოსვლისას გამახსენდა ჩვენი შეთანხმება. ცუდ სიზმარში მყოფივით მივაბიჯებდი; როგორც იქნა, ანი და ტინკაც მოვიდნენ და ჩამოვიდნენ ველოსიპედებიდან. არენდს ბეწვის საყელო აწეული ჰქონდა და მისი ხმა თითქოს მიწაყრილიდან ამოდიოდა:

—ახლა მე უკან დავბრუნდები; სინამდვილეში უკვე აკრძალულ ზონაში ვართ... თქვენ ამ კაფეს ჩაუვლით გვერდით. იმის იქით პატარა ბილიკია. იგი მიგიყვანთ, სადაც საჭიროა. ხის კედელს წააწყდებით. იქ აბრაზე აწერია „ვესელის ქაშაყების შეფუთვა“: ასეები იმხელაა, რომ ბინდშიც შეიძლება მათი წაკითხვა... მომდევნო სამოქმედო პროგრამა ცნობილია თქვენთვის. წარმატებას გისურვებთ.

არენდი თანდათან ჩუმად და ჩქარა ლაპარაკობდა. უკანასკნელი სიტყვების თქმისას მან რიგრიგობით ჩამოგვართვა ხელი, და როცა წარმატებას გვისურვებდა, უკვე ველოსიპედზე ჯდებოდა. იგი უკან წამოვიდა. ჩვენ მარტონი დავრჩით მტრედისფერ ბინდში. ნაცრისფერ სახლებს შორის და მხოლოდ ნაცარა თოლიები დაფრინავდნენ ცაში. იქვე, ახლოს მდებარე ზღვასა და ჩვენს შორის იყო ბეტონისა და ფოლადის სიმაგრე, ერთ-ერთი ნიმუში ყველაზე საშინელი თავდასაცავი ნაგებობებისა, რომლითაც გერმანელებმა გაოხრეს ჩვენი სანაპირო ზოლი. სწორედ ამ ბასტიონიდან უნდა წაგვეღო ორმოცდაათი კილო საბრძოლო მასალა. და ეს ორმოცდაათი კილო უნდა წაგვეღო აქედან ქალიშვილებს...

თავის შემაგრება დამჭირდა, მივედით შენობასთან, სადაც ქაშაყებს ახარისხებდნენ და ფუთავდნენ. შიგნით ნისლი და სიბნელე იყო. წამდაუწუმ ვაწყდებოდით უწესრიგოდ დაყრილ ყუთებს. შენობაში ცივი, უსიცოცხლო ჰაერი უფრო გაქღენთილიყო თევზის სუნით. ვიდრე ნავსადგურთან. სადღაც ზემოთ, სახურავის დამტვრეულ თავბანდზე ქარი უსტვენდა. ზღვაურია-მეთქი, გავიფიქრე მე. ამ ზღვაში, სადღაც დაცურავდნენ ჩვენი „თავისუფალი მატროსები“, იბრძოდნენ ჩვენი მეზღვაურები, აცილებდნენ საბრძოლო მასალიან გეგმებს, გულით ატარებდნენ ჩვენი სამშობლოს, იმ საიდუმლო სამშობლოს ნაწილს, რომელიც წარმოდგენილი გვქონდა ჩ ვ ე ნ, იმათ, რომლებიც ვზრუნავდით მასზე და საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით მას.

— რაო, შენ ტირი? — უცებ მომესმა ანის ხმა.

მე თვითონაც ახლა შევნიშნე, რომ ცრემლები ჩამომდიოდა ლოყებზე.

— მე... არაფერია, —სწრაფად ვუპასუხე მე, — ოღონდ... უბრალოდ, დაუჯერებელია, რომ დღეს შობაა.

— მართალი ხარ, — მიპასუხა ტინკამ, მისი ხმა ფრყევად, ანალგაზრდულად და მხიარულად ჟღერდა. — ერთადერთი შვება მხოლოდ ეს არის... ხოლო ღორობამ უკიდურეს ზომას მიაღწია. ხომ როდისმე უნდა გამოკეთდეს მდგომარეობა.

— რა თქმა უნდა, — დაემოწმა ანი. იგი ჩემ გვერდით იჯდა და ჩემ მხარზე ჰქონდა ხელები მოხვეული. — ჩემთვის ნაცნობია ეს გრძნობა... ასე ხდება შიმშილის გამო. თუ მდგომარეობა გესმის, უფრო იოლად იტან ყოველგვარ გასაჭირს.

ცხვირი მოვიწმინდე და ვთქვი: — გონებით ყველაფერი მესმის. მაგრამ ხანდახან... ოჰ, რა უნდა ვილაპარაკო! უნდა გადავიტანოთ ყველაფერი. გადავიტანოთ დღევანდელი და ყველა მომდევნო დღე. ვიდრე სამართლიანობა და წესიერება არ გაიმარჯვებს, როგორც ვეინანტი ამბობს...

— ეს უკვე შესაფერი საუბარია, — თქვა ანმა. — ღმერთო ჩემო, რა სიმყრალეა ამ ფარდულში... უკვე რამდენიმე წელია აქ ერთი თევზიც არ ყოფილა... ნუთუ ფელზენის შტაბის ხალხს არ შეუძლიათ ჩვენთვის ერთი უხეირო პარფიუმერიის ფაბრიკა გამოძებნონ?

ორივე და ცდილობდა —დავაფასე მათი ვაჟკაცური ძალდატანება თავიანთი თავისთვის — ყველაფერი ხუმრობაზე გადაეტანათ, მათ გაიხსენეს ძველი ანეკდოტები ჰიტლერზე, რომლებიც კარგა ხნის წინათ მქონდა გაგონილი, გერმანელთა საზღვაო და სამხედრო საჰაერო ძალების „სიმამაცეზე“, რომლებიც უკვე აღარ არსებობდნენ, თუმცა ჩვენს ქვეყანაში კიდევ დაეხეტებოდნენ მატროსები და სხვა დეზერტირები. აღფრთოვანებული ვიყავი ანით და ვუმადლოდი მას: მერამდენედ ვრწმუნდებოდი, თუ რა დიდი ძალა იმალებოდა მუშათა კლასის გულში. ქალიშვილებს, როგორც ჩანდა, წილად ხვდათ სასტიკი სიყმაწვილე, უფრო მეტად სასტიკი, ვიდრე ჩემი იყო. ისინი წინააღმდეგობის მოძრაობაში მოვიდნენ იმ ასაკში, როგორშიც მე; რომელსაც სრულიად გაურკვეველი შეხედულება მქონდა ცხოვრებაზე, მივიღე თუ არა პირველი დახმარება მამისაგან, ლუიზასთან და ტანიასთან ერთად ამსტერდამის მეზონინში გადავედი საცხოვრებლად. დებმა ცხოვრების თითქმის

ყოველგვარი სიავე განიცადეს, რომელიც კი შეიძლებოდა თავს დასტყდომოდა ქალიშვილებს მეტად ფაქიზ ასაკში. ისინი თვითონ-ვე გაუფრთხილდნენ თავიანთ თავს, შინაგანად გამოწრთობილები იყვნენ, და როცა აქ, ჩემ გვერდით, მეთევზეთა ძველ ფარდულში ისხდნენ მკრთალი აჩრდილებივით, ძალღონეს არ იშურებდნენ ჩემ გასამხნევებლად... მამხნევებდნენ მე — მე ხომ ჩემს თავს პირობა მივეცი გული შემეჯავშნა მანამდე, ვიდრე სამშობლოს წინაშე ვალს არ მოვიხდიდი...

ჯავშანში შევიკეტე. ვიცოდი: უკლებლივ ყველაფერი გარდა-უვალი და აუცილებელი გახდა — კოშმარები, შიმშილი, მტრის განადგურების ვალდებულება, სადაც არ უნდა შეხვედროდი მას.

...დავიწყეთ ოცნება, როგორც შტაბში ვაკეთებდით ხოლმე. ვადგენდით ყველაზე მდიდრულ საშობაო მენიუს, მაგიდასთან მიგ-ვქონდა ნამცხვრები, ხორცი, პუდინგი, თხილი, თაფლი, ხილის კომპოტები, ახალი ბოსტნეული, კამფეტები, შემოვუსხდებოდით მაგიდას, რომელზედაც მთელი დოვლათი იყო დახვავებული. უცნაური და უაზრო სურვილები, რომელიც ჩვეულებრივ შეიპყ-რობს ხოლმე მშიერ ადამიანებს! წინათ ასეთ ამბებს ვკითხულო-ბდით მხოლოდ ყმაწვილებისათვის განკუთვნილ სათავგადასავლო წიგნებში ანდა გზასაცდენილ მოგზაურებსა და პოლარულ მკვლე-ვარებზე დაწერილ მოთხრობებში... ვვოცნებობდით თავდავიწყე-ბამდე, გამოთაყვანებამდე. ქაშაყების ყუთზე ჩამომჯდარს თვლემა შემეპარა, ანმა და ტინკამაც უკლეს ლაპარაკს. თითქოს შორიდან ვესმოდა მათი ხმები, რადგან ქარი და თოლიების ჟივილი მიშლი-და ხელს — ეს ერთადერთი ხმა, რომელიც გაისმოდა ქაშაყების შემფუთავ, მიტოვებულ შენობაში.

შევკრთი, როცა ზარის ხმა გაისმა, თუმცა ზარები ადრეც რეკ-დნენ; მაჯის საათს დავხედე. ცხრას უჩვენებდნენ გახუნებული ძაფებივით ისრები, რომლებიც ძლივს ანათებდნენ.

— დროა! — ვთქვი მე.

გავიგონე ტინკას მთქნარება, როგორც ჩანდა, ქალიშვილებსაც ჩასთვლიმათ. ჩვენი წყალგაუვალი ლაბადების ქამრები მაგრად შემოვიჭირეთ, მაგრად გავიკარით თავსაფრები, ხელები რევოლვე-რებს ჩავავლეთ და თევზეულის ფარდულიდან გამოვედით.

ზღვაური პირდაპირ ქუჩის გასწვრივ ქროდა. გერმანული მძიმე მანქანების სიარულის გამო ქუჩა ღრანტეებიანი იყო და ყი-ნულის სქელ ფენას დაეფარა — სწორედ ის ქუჩა, რომლის გასწვ-რივაც, მზიან დღეში ზაფხულის ცის ლაჟვარდებსა და ჩალისფე-

რი სილახვავების ფონზე — რა დიდი ხნის წინ იყო ეს ამბავი! —ეიმეიდენის პლაჟისაკენ მიდიოდნენ ღია ფერის ტანისამოსებიანი ჰოლანდიელი მოქალაქეები... თვით არ მესმოდა, საიდან მქონდა ასეთი მწარე სენტიმენტალობა. სხვა დროს არ მიფიქრია ამის მსგავს ამბებზე, მთელს ჩემს ყურადღებას ვამახვილებდი დავალებულ საქმეზე. იქნებ, ამჯერად ალღო მკარნახობდა, რომ საჭირო იყო ამ დავალებაზე უარი გვეთქვა და ამით თავიდან აგვეცილებინა საფრთხე; იქნებ, იმიტომ, რომ გულში საშინელი შიში მქონდა შეპარული... თოვლის გამო ვარსკვლავები არ ჩანდა; ღრუბლები მთლად დაბლა ჩამოწვნენ. ჰაერი დამძიმებული იყო, ქარი ავობდა. როცა უბადრუკი ნაგებობები, რომლებიც ასე თუ ისე გვიფარავდა დაბეტონებული სიმაგრისაკენ მიმავალ გზაზე, უკან ჩამოვიტოვეთ, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი, ზამთრის ქარში უმწეოდ დავრჩით.

— ღმერთო ძლიერო! —სუსტად გაისმა ჩემ უკან ტინკას ხმა, — ღვთის გულისათვის მაგრად დამიჭირე, თორემ ქარი წამიღებს!..

ანმა ჩაიხითხითა და მომეჩვენა, რომ მასაც აწვალებდა საშინელი საფრთხის შიში, რომელიც თითქოს ჩვენ გველოდა. მაგრად ჩავეჭიდეთ ერთმანეთს და გაჭირვებით მივდიოდით. სიმაგრეების დანახვა არ შეგვეძლო. შორს, სადღაც სილახვავებში, ჩვენგან მარცხნივ ცაში ისარივით გაიელვა სინათლის ზოლმა, მერე გაფართოვდა, ღრუბლებში მრგვალ ლაქად იქცა და ჩაქრა.

— ისინი ინგლისის თვითმფრინავებს ეძებენ, — თქვა ანმა.

ჩვენ დროდადრო ფეხს წამოვკრავდით ხოლმე რამეს და გაჭირვებით მივჩანჩალებდით წინ. პროექტორმა ისევ იელვა, მისმა სხივებმა უცებ მიმართულება იცვალა, და გეგონებოდათ, დედამიწის ზედაპირის გადასინჯვა უნდათო.

საზიზღარ დაცინვად მეჩვენა ეს ამბავი.

—აი ღორები, —წავისისინე მე. —თითქოს იციან, რომ აქ მივდივართ... დაწექით თავდაღმა, ამხანაგებო!

მიწაზე გავწექით, პროექტორი კი ჰორიზონტალური სხივებით ძებნას შეუდგა.

მიწაზე გაწოლილებმა ირგვლივ მიმოვიხედეთ: ბინდბუნდში გამოიკვეთა გერმანული ფორტი — ბაზალტის მთის მასივივით ზორბა.

—უჰ, —ვეღარ მოითმინა ტინკამ, როცა ფეხზე დგებოდა. — კიდევ ერთი წუთი რომ ვწოლილიყავი, მთლად მივეყინებოდი მიწას.

— მოდით, პაულის ნიშანს დაველოდოთ, — შევთავაზე მე.

— იგი უკვე დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო აქ, — შენიშნა ანმა.

— ხომ არ დაავიწყდებოდა, რომ ჩვენ უნდა მოვსულიყავით? — გვკითხა ტინკამ.

— უფრო სამხიარულოს ვერაფერს მოიფიქრებ, — უთხრა გაბრაზებულმა ანმა.

ერთმანეთს მაგრად გადახვეულები უძრავად ვიდექით, ყოველ შემთხვევაში, ასე უფრო თბილოდა. წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიმყოფებოდით. იქნებ, უკვე ქუჩაზე კი არა, ალალბედზე მოვდიოდით დაბეტონებული სიმაგრის ტერიტორიის მახლობლად. იქნებ, სადმე მოსახვევში მდგარი პაული უკვე ნიშანს გვაძლევდა, ჩვენ კი ვერ ვხედავდით. ქალიშვილებისათვის არაფერი მითქვამს, მაგრამ ამის გაფიქრებაზეც კი საზიზღარი სისუსტე ვიგრძენი. მომეჩვენა, რომ სადღაც თვითმფრინავები გუგუნებდნენ, თუმცა ქარი ყოველი მხრიდან ისე უბერავდა, რომ თოლიების ჩხავილსაც კი ახშობდა. ისევ დავხედე საათს და ვნახე, რომ გზაში მხოლოდ თხუთმეტი წუთი ვყოფილვართ, მე კი მეგონა, თითქოს რაძდენიმე საათი გავიდა-მეთქი.

— რამე გესმით? — ვიკითხე ბოლოს, რადგან ვეღარ ავიტანე დაძაბულობა.

— არაფერი, — მიპასუხა ანმა.

— არ ვიცი, — თქვა ტინკამ. — თითქოს იქ, სიმაგრეში ვიღაც მღერის.

— თუ ასეა, — შევნიშნე მე, — მაშინ, ესე იგი, სადღაც კარი ღიაა. კედლებიდან ჩვენამდე სიმღერის ხმა ვერ გამოაღწევდა.

სმენა გავამახვილეთ. ტინკა მართალი იყო. სადღაც ხმები გაისმა, გაურკვეველი გერმანული სიმღერის ხმა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიეთ, რომ თითქმის მიზანთან ვიყავით. ჭუჭრუტანიდან სინათლის ზოლმა გაიელვა. სქელ ნისლში გამოჩნდა მთრთოლვარე სუსტი ნათება, რამდენიმე გასროლა რაღაცნაირად, ყრუდ გაისმა სივრცეში და მოთეთრო ნაპერწკლებად გაიფანტა.

— ღმერთო დიდებულო, ფეიერვერკი! — წამოიყვირა ტინკამ. — რას ნიშნავს ეს?

— „ბედნიერ შობას“. — ვუპასუხე მე.

— ეს კარგია, — თქვა ანმა, — ისინი უკვე დათვრნენ!

— შესანიშნავი ფრანგული კონიაკი! — დასძინა ტინკამ.

— ვიდრე ჰაერში ისვრიან, არაფერია, — ვთქვი მე. — მხო-

ლოდ მეტ დროს წაგვართმევენ, როცა ეს მთვრალი ვაჟბატონები დაიშლებიან, ჩვენ და პაულს მხოლოდ მაშინ შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ.

ჩვენ ვიყურებოდით და ვუსმენდით. სადღაც სიბნელეში ისევ იფეთქა მოწითურო ნათებამ და ისევ ატყდა სროლა. ამჯერად ნაკლებად ისმოდა ხმამაღალი სიცილი, სამაგიეროდ უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდნენ.

—მალე ისინი ყველანი ქუჩაში გამოვლენ საჩხუბრად,—თქვა ტინკამ. — გახსოვს, ან, როგორც მაშინ, როცა მე და შენ ბარეფიესტრაატზე ტრაქტორის უკან ვიდექით...

— ჩუ, ჩუმად! — შევაჩერე მე. — იქ რაღაც მოხდა.

ყვირილი არ წყდებოდა, თუმცა ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ყოველნაირად ვცდილობდი მივმხვდარიყავი, რა ხდებოდა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ ხმაური არ შეწყდა.

— ჩხუბობდნენ, — განაცხადა ანმა.

— ალბათ, მთვრალ ჯარისკაცებს ქუჩაში უნდოდათ გამოსვლა და დატუქსეს, — ავუხსენი მე.

— საქმე ცუდადაა, — თქვა ტინკამ. —შეიძლება, დაცვა გააძლიერონ.

— ჩვენ ისევ უნდა ვიცადოთ? — იკითხა ანმა

—ჯერჯერობით პირდაპირი საშიშროება არ არის... — ვუპასუხე მე.

ერთმანეთის გათბობას განვაგრძობდით. რიგრიგობით ვდგებოდით შუაში. ერთი წუთით არ მოგვიშორებია თვალი სიმაგრისათვის, რომელიც პირქუშ მთასავით ამართულიყო ჩვენ წინ. მალე იქ მართლა რაღაცამ გაიელვა —გამოჩნდა ჯიბის ფანრის მკრთალი სინათლის პატარა წრე, მაგრამ ისეთი მბჟუტავი და სუსტი, რომ მხოლოდ მე და ტინკამ შევნიშნეთ.

— აგერ პაულის ნიშანი! — ერთდროულად წამოვიძახეთ ორივემ.

— მე არაფერი არ დამინახავს, — თქვა ანმა.

ალბათ, ამ წუთში სამივეს გაგვიელვა ერთმა და იმავე აზრმა. ვაითუ, მახე გველისო? იქნებ, პაულს მოულოდნელად წაასწრეს და აიძულეს საიდუმლო გაეცა. იქნებ ისინი ჩვენ ახლოს მიტყუებას ცდილობდნენ, პირობითი ნიშნის გამოყენებით, რომელზედაც ფელზენში შევთანხმდით... ეჭვით ვიყავით შეპყრობილი, მაგრამ ხმამაღლა არ გვითქვამს არაფერი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ეუახლოვდებოდ-

ით სიმაგრეს, თან დაძაბული ვიყურებოდით, იქით, სადაც სინათლის წრე გამოჩნდა და ისევ გაქრა... გავშეშდით, როცა ჩვენ წინ მოულოდნელად ვიღაცის ფიგურა აღიმართა. ეს იყო მეზღვაური, რომელსაც ქურთუკი ეცვა, უწინაფრო ქუდი ეხურა და მხარზე მოკლე კარაბინი ეკიდა.

— Jhr seid da, ja? Komm, komm, alles steht fertig[1].

— რა მოხდა? — ვკითხე მე. ჩემდა საბედნიეროდ პაულის ხმა შევიცანი.

— Betrunkene... Krawall... Schnell, Schnell[2]. — ამბობდა იგი და წინ გაგვიყოლია ხელის ბიძგებით.

წინააღმდეგობას არ ვუწევდით, რომ გვიბიძგებდა, მაგრამ რევოლვერისათვის ერთი წუთითაც არ შემიშვია ხელი. იმედი მქონდა, რომ ანიც და ტინკაც არ მოიქცეოდნენ უჭკუოდ. პაული ყრუ ხმით წამდაუწუმ იმეორებდა თავის „ჩქარა, ჩქარას“ და ძალიან ნერვიულობდა, მშვენივრად მესმოდა მისი მდგომარეობა, მაგრამ ვცდილობდი არ ავყოლოდი მის განწყობას.

— Die Mäde?![3]—მოულოდნელად გაისმა სხვა ბუზღუნა ხმა. ბურუსს გამოეყო მეორე მეზღვაური. თითქოს მოქმედება ხდებოდა სივრცეში, სადაც მხოლოდ აჩრდილები იყვნენ დასახლებულნი, რომლებიც გაურკვევლად ჩნდებოდნენ ღამის სიბნელეში.

—Sind da,[4]—უპასუხა პაულმა.

მეორე მეზღვაურმა, რომელსაც პაულივით უწინაფრო ქუდი ეხურა და კარაბინი ეკიდა, ხელები გაშალა და შეგვაჩერა:

—Stehenbleiben! Genau so. Nicht mucksen, wir bringen euch die Patsch dinger schon hier...[5]

პაული და მეორე მეზღვაური, უკანვე გაბრუნდნენ. ჩვენ წყნარად დავდექით ჩამწკრივებულები. ეჭვები არ მასვენებდა. ვაითუ ყველაფერი ეს მოწყობილია და ესენი დამხმარეების მოსაყვანად წავიდნენ, რათა გაგვაუვნებლონ-მეთქი? თავს ძალა დავატანე, შიმშილით გამოწვეული პირქუში ფიქრები თავიდან მოვიშორე და რევოლვერი მაგრად ჩავბღუჯე.

— არ დაგავიწყდეთ ჩვენი შეთანხმება, — ვთქვი მე, თუმცა სრულებით არ მინდოდა ამის თქმა. — თუ რამე მოხდება...

---

1 ეს თქვენ ხართ, არა? წავიდეთ, წავიდეთ, ყველაფერი მზადაა (გერმ.).

2 მთვრალები არიან... ერთი ყოფა აქვთ... ჩქარა, ჩქარა... (გერმ.).

3 ქალიშვილები არიან? (გერმ.).

4 ისინი არიან (გერმ.).

5 გაჩერდით ერთ ადგილას. აი, ასე. არ ილაპარაკოთ. ტკაცუნებს აქ მოგიტანთ... (გერმ.).

მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ხდებოდა. გვეჩვენებოდა თითქოს უკვე დიდი ხანია ვიცდით; ნამდვილად კი პაული და მისი ამხანაგი ხუთ წუთში დაბრუნდნენ, რომელთაც ზურგზე მუქი, დიდი ტომრები ეკიდათ. ვიდრე გამოჩნდებოდნენ, მათი მძიმე სუნთქვა გავიგონე და მაშინვე გავიფიქრე ის, რაც აქამდე აზრად არ მომსვლია: ფარდულამდე ფეხით უნდა წავსულიყავით და ვაზნები ზურგით გვეთრია, ვიდრე ჩვენი ველოსიპედების ჩანთაში დავმალავდით მათ...

ჩემს ფეხებთან ყრუ ხმაურით დავარდა შეკვრა. გავიგონე პაულის თანამგზავრის ბუზღუნა, დაბალი ხმა:

—Herrgottssakra!.. Du machts ja einen Heidenlärm, Mensch! Müssen die da drinnen uns hören[1].

ჩვენ წინ პაული იდგა.

—Konnte nicht mehr... So eine Felsenlast... die drinnen hören nicht. Die Laurmen schon wieder...[2]

მეორე მეზღვაურმაც თავისი ვაზნები პაულის ტომრის გვერდით დადო.

—Glüch auf mit der Schiessbude[3],—თქვა მან ბუზღუნით და უკმაყოფილოდ... მაგრამ, იგი თითქმის მაშინვე გაბრუნდა და გაუჩინარდა. პაული ჩვენთან დარჩა. იგი უხერხულად, მშრალად ახველებდა. ტომრებს დავხედეთ, ახლა ანი და ტინკაც მიხვდნენ, რომ ყოველგვარი სიფრთხილის დაცვით მოგვიხდებოდა ამ საშიშ ადგილას მძიმე ტვირთის თრევა. უკან ფეხით ნახევარი კილომეტრი გვქონდა გასავლელი... უცებ რომ ვინმე შეგვხვდეს? თუ ამ გზაზე ორფეხა სულდგმული დადიოდა, მხოლოდ გერმანელი იქნებოდა.

—Fut mir leig,—თქვა პაულმა და მისი ხმა არც ისე მხნედ დამაჯერებლად ჟღერდა.—Muss wieder zu rüch. Damit man keinen verdacht... Huschl[4]

და იგი მაშინვე გაუჩინარდა. ვიდექით სიბნელეში, ზღვაური გვიბერავდა, აკრძალულ ზონაში ვიყავით და წინ ორმოცდაათკილომეტიანი ტვირთი გვედო. ტინკამ გულიანად დაიწყო ლანძღვა.

---

1 ეშმაკმა წაგიღოს!.. როგორ ხმაურს ტეხ, ყმაწვილო... არ გაგვიგონ იქ; (გერმ)...

2 მეტი აღარ შემიძლია... ისეთი მძიმეა... მათ იქ არაფერი ესმით. ისინი ისევ ხმაურობენ... (გერმ.).

3 ტირში გამარჯვებას გისურვებთ (გერმ.).

4 ძალიან სამწუხაროა. მე უნდა დავბრუნდე. ეკვი რომ არ შეეპაროთ... ჩუ! (გერმ.).

— რა ვქნათ? — იკითხა ანმა.

— რასაკვირველია, უნდა წავათრიოთ, — ვუპასუხე მე. — ეს ტვირთი აქ რომ დავტოვოთ, პაულს და მის ამხანაგს ცუდი დღე დაადგებათ.

— დიდი დანაკლისი იქნება! — ჩაიბუზღუნა ტინკამ.

— არ იქნება ძალიან დიდი დანაკლისი, — დავეთანხმე მე. — მაგრამ ფელზენში ამ ტვირთს ელიან.

ანი უკვე დაჩოქილიყო ტომრებთან. მან შეამოწმა იგი და გვითხრა: — კოლოფებია ჯუთის ტომარაში... რაღას იზამ: უნდა გავანაწილოთ, დიდ და პატარა ტომრად. პატარას ერთი ჩვენგანი წაიღებს, დიდს კი ორნი ერთად.

მან უკვე შუაზე გაყო ერთი ტომრის ტვირთი. მას ტინკა დაეხმარა. მე სიმაგრისკენ ვიყურებოდი რევოლვერით ხელში და ნიშანში მქონდა ამოღებული იქაურობა. უკუნეთი სიბნელე და სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო.

— მომეშველე, — მთხოვა ანმა. იგი ცდილობდა პატარა ტომარა ზურგზე მოეგდო. მე და ტინკამ ავიღეთ მოუხერხებელი ტვირთი და ზურგზე დავადევით ანს. მან თავი დაგვიქნია და წაბარბაცდა მძიმე ტვირთის გამო, მერე ღრმად ამოიოხრა და თავი შეიმაგრა. მისი შავი ფიგურის მიხედვით მივხვდი, რამდენად გაუჭირდა.

— ახლა ჩვენი ავიღოთ, — თქვა ტინკამ.

მძიმედ ვსუნთქავდით, კბილებს ვაკრაჭუნებდით და ვუხლაფორთებდით ჩვენ ტვირთს; რომ მხარზე გაგვედო ორივეს. ათასნაირად ვიგრიხებოდით. სხეულის საშინელ დაძაბვას მხოლოდ ერთი კარგი შედეგი მოჰყვა: ორიოდე წუთის შემდეგ აუტანლად დაგვცხა. ტინკა ჰოლანდიელი მეზღვაურივით საშინლად ილანძღებოდა. ბოლოს ასე თუ ისე შევძელით ფეხზე დადგომა. ზურგზე ტომარა გვეკიდა და ქვემოდან ერთმანეთისათვის ჩაკიდებული ხელებით ვამაგრებდით. როგორც იქნა, გავუდექით გზას. ანი წინ მიდიოდა. მე წარმოდგენა არ მქონდა, საჭირო მიმართულებით მივდიოდით თუ არა, სიბნელეში ყველაფერი ერთნაირად ჩანდა, ერთფრად შეღებილი — მუქ-ნაცრისფრად, ნაცისტების საყვარელ ფერად... ძლივს მივაბიჯებდით, ფეხი გვიცურდებოდა, ვფორხილობდით და ერთმანეთს ვეხლებოდით. თითქოს ვგრძნობდი კიდეც, ხელებზე და ზურგზე როგორ მილურჯდებოდა მტკივნეული ადგილი. სიმაგრისაკენ სვლა გასეირნება იყო იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ახლა განვიცდიდით, და ჩვენივე ბრალი იყო, რომ ეს საშინელი ტვირთი გვეკიდა ზურგზე! რამდენჯერმე შევებრძოლე თავს, რომ არ მეთქვა: აქ დავდოთ ტვირთი, მათ თოვლი დაფარავს-მეთქი...

მაგრამ არ მითქვამს. თავმოყვარეობას ვერ დავკარგავდი და საბრძოლო მასალას ვერ დავტოვებდი ღვთის ანაბარად. იგი ჩვენთვის უფრო ძვირფასი გახდა, რადგან ამდენი ტანჯვა და ხიფათი გადავიტანეთ მის გამო. ტინკამ ვერ მოასწრო ჩვენთვის ეთქვა, ეიმეიდენის სათევზაო ნავსადგურის პირველი ფიცრის ნაგებობას მოვკარი თვალიო, რომ უცებ ჩვენ წინ ისევ დავინახეთ ღრუბლებში მოთამაშე-პროექტორის სხივები.

— ესღა გვაკლდა, — თქვა ანმა და მომეჩვენა, რომ ლაპარაკი ქვითინმა გააწყვეტინა. აქამდე მას ხმა არ ამოუღია, მიუხედავად იმისა, რომ ოც კილოგრამს მარტო მიათრევდა. პროექტორი ჩაქრა, მერე ისევ აინთო. საშინელი შიში ვიგრძენი, იმის გამო, რომ შეიძლებოდა ისევ გაემეორებინათ ჰორიზონტალური სხივით მიდამოს გადასინჯვა. ჩემი შიში არ გამტყუნებულა: სინათლის ზოლი უცებ ძირს დაეშვა და მაშინვე, ზღვის სანაპიროდან ქვეყნის გულისაკენ გაცოცდა.

— დააგდე ტვირთი!.. — გავეცი განაკარგულება. — პროექტორია! დაწექით თავდაღმა!..

ამის თქმაც არ იყო საჭირო. ანმა უკვე დააგდო ტომარა, მე და ტინკამაც ერთდროულად დავაგდეთ ჩვენი ტვირთი, ორიოდე წუთის შემდეგ უძრავად გავიჭიმეთ მიწაზე. პროექტორის სხივმა პოლარულ ნათებასავით ცივი ლურჯი სინათლის ციმციმით გადაგვიარა თავზე. მერე ფარდულსა და მიტოვებულ სახელოსნოებს მისწვდა, რომლის უკანაც ქაშაყების შემფუთავი ფარდული იყო, სადაც ჩვენი ველოსიპედები იდგა. კარგად დავიხსომე, რა მიმართულებით უნდა წავსულიყავით. მგონი, ტინკამ თავი ასწია.

— იწექი, იწექი,— წაიჩურჩულა ანმა. — იქნებ, მათ რამე შენიშნეს და კიდევ ერთხელ გაგვანათონ.

სამარისებურ სიჩუმეში, ოფლით გაღვარულები ვიწექით და გაქვავებულ მიწას ვეკვროდით, ვიდრე ისევ არ აგვიტანა სიცივემ. მაშინ გაჭირვებით ავდექით და ხელის ფათურით დავიწყეთ ტომრების ძებნა. ერთი მათგანი გამაგრებულ მიწაზე დაგდების დროს გახეულა და ორი ყუთი ვაზნა გაფანტულა; ბრაზისაგან კბილებს ვაკრაჭუნებდით. ხელებს ვაფათურებდით და ვაგროვებდით გაფანტულ ვაზნებს. ყველაფერი უხმოდ კეთდებოდა. მე კი ტირილი მინდოდა. ჯოჯოხეთშიც არ იქნებოდა უფრო მეტი სატანჯველი, როგორც ვაზნებისათვის ამ ღამეულ ლაშქრობაში, აკრძალულ ზონაში, საშინელ სიბნელეში, ათგრადუსიან ყინვასა და ქარში იყო.

ბოლოს და ბოლოს ისევ ერთად ვიდექით. ორივე ტომარა გვე-

ჭირა, რომლებიც როგორღაც გადავარჩიეთ; გახეული კოლოფიდან გამოცვენილი ვაზნები ლაბადების ჯიბეებში ჩავიყარეთ.

— მეტი აღარ შემიძლია, ზურგი ჩამემტვრა, — თქვა ტინკამ.

— მაშინ თრევით წავიღოთ, — შევთავაზე მე.

— არა, არც წავიღებთ და არც წავათრევთ, — შეგვესიტყვა ანი. — ერთი ჩვენთაგანი აქ დარჩება ტომრების მეთვალყურედ, ორი კი წავა და ველოსიპედებს მოიყვანს. ამას სულ ხუთი წუთი დასჭირდება.

— რატომ ადრე ვერ მოვიფიქრეთ! — გული დამწყდა მე.

— აბა, ჩქარა წადით, — გვაჩქარებდა ტინკა. — მისი გაურკვეველი ლანდისა და მუყაოს კოლოფების ტკაცანით მივხვდი, რომ იგი საბრძოლო მასალებიან ტომარაზე დაჯდა. — მე აქ ვრჩები. ისე ვარ ზიზღით აღსავსე, რომ გერმანელთა მთელი ასეულის თავდასხმას გავუმკლავდები.

მე და ანი შემფუთავი შენობის მოსაძებნად წავედით. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ბინდში კიდევ შეიძლებოდა ვესელის გვარის წაკითხვა. ახლა კი, ღამით, თვალშეუვალ სიბნელესღა ვხედავდით. ვეძებდით ირგვლივ. კარების ძებნაში კედლებს ვაწყდებოდით. ჰაერს ვყნოსავდით, რათა თევზის სუნი გვცემოდა, ყველა ფარდულს ხელს ვუფათურებდით. ანის სლუკუნი და წყვეტილი სუნთქვა მესმოდა. იგი ნამდვილად სიბრაზისა და ქანცგაწყვეტით გამოწვეულ ცრემლებს ებრძოდა.

— თუ როდისმე კიდევ წამოვიდე... — ჩაილაპარაკა მან.

მისთვის პასუხი არ გამიცია, მაგრამ ვიფიქრე: იგი მართალი იყო. და უცებ ერთი აზრი დამებადა, რომელიც მაშინვე მოვიშორე თავიდან. აქ ნამდვილად რაღაც ვერ არის კარგად. ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ გულში გაიღვიძა და ჯიუტად მეტანებოდა ეჭვი. მაგრამ, აი, ჩემი ფიქრების დენა შეწყდა — კიდევ ერთ ფარდულს წავაწყდი და ხის კარი შიგნით გაიღო. ნამდვილად ვიგრძენი გაფუჭებული თევზის სუნი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

— ან, მოვედით!.. — ვთქვი გახარებულმა.

ველოსიპედები ისევე იდგნენ ფარდულის სიღრმეში, როგორც დავტოვეთ. ისინი გამოვათრიეთ ქუჩაში, რომლის ცნობა მხოლოდ ნასიარულევი და მერე გაყინული თოვლის შავბნელი ბელტებით შეიძლებოდა. ისევ წავედით ტინკასაკენ, რომელიც საბრძოლო მასალიანად გვიცდიდა.

— მეგონა, არასდროს აღარ მოხვიდოდით, — თქვა ტინკამ. კბილები უკაწკაწებდა, მისი აკანკალებული ხმით მივხვდი, რომ მის-

-მა ნერვებმაც ვერ გაუძლო, თუმცა იგი ახლახან გვიმტკიცებდა, გერმანელების მთელს ასეულს გავუმკლავდებიო.

საბრძოლო მასალების ველოსიპედთა ჩანთაში განაწილება ჩვენთვის ჩვეული საქმიანობა იყო და, სიბნელის მიუხედავად, მალე მოვრჩით ამ საქმეს. შევსხედით ველოსიპედებზე და ზღვის სანაპიროდან ეიმეიდენისაკენ გავემართეთ. მხოლოდ მაშინ, როცა თან ერთმანეთს ვაფრთხილებდით და თან გადავდიოდით რკინიგზის ოდნავ მბზინავ ლიანდაგებზე, უცებ გავიფიქრე, რომ შუაღამისას. უჩუმრად მივდიოდით დასახლებულ რაიონში... აქა-იქ უკვე ისმოდა ხმები. სადღაც მღეროდნენ, ყვიროდნენ, ღრიალებდნენ. ამ ადგილას უფრო მეტი გერმანელი ზეიმობდა შობას. მაგრამ რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო ნაკლებად გვესმოდა ხმები; უკვე ვფიქრობდი, ვინმესთან შეხვედრისგან დაზღვეული ვართ-მეთქი, რომ უცებ კაზემბროოტსტრაატთან გერმანელების მთელს ჯგუფს შევხვდით, რომლებიც დღესასწაულობდნენ. მოსახვევში შევუხვიეთ თუ არა, კინაღამ შევიჭერით მთვრალ, მოყაყანე ადამიანთა გროვაში. შორიდან მათი ხმა არ გაგვიგია, რადგან ქარს მათი ხმები ზღვისკენ მიჰქონდა. ერთ ოკუპანტს ჩავუქროლე და ოდნავ დავეჯახე კიდეც; იგი წაიქცა და ჰუნის ნამდვილი საბრძოლო ყიჟინა დამცა. ნამდვილად ასეთი ყოფით მოდიოდნენ ანი და ტინკაც. არც ერთი ჩვენგანი ხმას არ იღებდა; მხოლოდ სვლას ვუმატეთ, რომ სიმთვრალისაგან თავიანთთვის მობუტბუტე ადამიანთა სამწუხარო წინაალმდეგობებისათვის აგვერიდებინა თავი. მათი ყვირილი მსხვრევადი ჭურვის ხმასავით მოგვდევდა უკან; ცალკეული ყვირილის გარჩევაც შეიძლებოდა:

—Halt! Halt![1]

—Verboten![2]

—Stehenbleiben... wir schiessen![3]

მივდიოდით უფარნებოდ, ველოსიპედის სახელურებზე ვიყავით გაკრულნი.

ჩვენ უკან ყვირილი სროლის ხმებით შეიცვალა. ტყვიები ზუზუნით გვცდებოდა, მათი ექო მშრალი მკლე ტკაცუნით გაისმოდა წყლის ზედაპირზე. ისე ჩანდა, რომ ნაცისტები უბრალოდ ერთობოდნენ. მათ კიდევ ბევრჯერ ისროლეს ჰაერში, აშკარად, უმიზნოდ. მთვრალების ღრიანცელი თანდათან უკან ჩამოვიტოვეთ.

---

1 შეჩერდი! შეჩერდი! (გერმ.).

2 ...აკრძალულია! (გერმ.).

3 შეჩერდი... გესვრით! (გერმ.).

— თავიანთი ღრიალით არ ააფორიაქონ ზოგიერთი ფხიზელი ვაკბატონები მეზობლად, — ჩაილაპარაკა ანმა, რომელმაც გამოთქვა, ის, რაც ჩვენც გვაწუხებდა.

უფრო ნელა და ფრთხილად წავედით; შიშმა არ გადაგვიარა, სანამ ფიქვნარს უკან მდგარ სახლთან არ მივედით. როცა ველოსიპედიდან ჩამოვხტით, მხოლოდ მაშინ მივხვდი, როგორ ვიყავი დაღლილი. ასე მეგონა, მთელი სახსრები დაჟანგული რკინისა მქონდა. ფეხებმა შეგრძნების უნარი დაკარგა. როცა ჩვენს პაროლზე კარები გააღეს, ბარბაცითა და კედელზე ხელის ფათურით შევედი სახლში. ჩემსავით გაწამებული ანი და ტინკაც შემომყვნენ.

ქვედა ოთახში რვა კაცი იყო, არენდიც იქ დაგვხვდა. ცოტა ხანს უხმოდ გვიყურებდნენ, თითქოს გაკვირვებისგან მოძრაობის უნარი დაკარგეს. მაგრამ მერე სწრაფად დაგვითმეს ადგილი ღუმელთან. არენდი ლაბადების გახდაში დაგვეხმარა. ვიღაც ყავის მოსამზადებლად გაიქცა. დანარჩენები გავიდნენ ველოსიპედების ჩანთებიდან ვაზნების ამოსალაგებლად, რადგან ხელი უღონოდ გავიქნიე და ვთქვი: — ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია... თქვენ თვითონ შემოიტანეთ.

— იქნებ ცოტათი მაინც იგრძნოთ, რა არის ეს.. — დასძინა ტინკამ.

— რომელი საათია? — იკითხა ანმა, რომელმაც თავი კედელს მიაყრდნო, ასე გეგონებოდა, საცაა დაიძინებსო.

— ზუსტად შუაღამეა, — თქვა არენდმა.

გავვოცდი. ნუთუ საბრძოლო მასალებისათვის ლაშქრობა მხოლოდ სამი საათი გრძელდებოდა?... მე კიდევ მეყო ძალა დამელია სასმელი, რომელიც ერთმა ამხანაგმა მომიტანა. მეტი აღარაფერი მახსოვს. მეც, ანი და ტინკასავით, სკამზე ჯდომელას ჩამეძინა... გამეღვიძა ისეთივე გრძნობით, თითქოს ძვლებისა და ძარღვების ნაცვლად სახსრები დაჟანგული, ეღარუნა რკინისა მქონდა. დიდი გაჭირვებით გავიმართე. პირქუში დილა იყო. ღუმელი აღარ ენთო. გვერდითი ოთახებიდან ყრუ ხმები გამოდიოდა. ხანდახან მამაკაცის სიცილი ისმოდა. იაფფასიანი თამბაქოს მწველი კვამლი შემოდიოდა ჩვენ ოთახში. გამახსენდა ღამის ექსპედიცია და გუშინდელი ამბის გახსენებამ დღესაც მომგვარა შიში. ჩემი საათი გაჩერებულიყო. ჩემი აზრით, რვა საათი, ან ცხრის ნახევარი უნდა ყოფილიყო. დღე იწყებოდა. შობის მეორე დღე. ანსა და ტინკას ისევ ეძინათ... უცებ მარტოობის გრძნობამ, შინაგანმა სიცარიელემ და ყველაფრისადმი ისეთმა ზიზღმა შემიპყრო, რომლის მსგავსი ჯერ არ განმეცადა. წუნარად ვიჯექი, რომ ამხანაგები არ გამეღვიძებინა; გარდა ამისა,

სულ არ მინდოდა, ჩვენ გვერდით მყოფ მამაკაცებს შეენიშნათ ჩემი გაღვიძება.

ასე ვიჯექი დიდხანს, უნებისყოფოდ, შინაგანად დაცარიელებული, ფიქრებისა და სურვილების გარეშე .— შიმშილსაც კი არ ვგრძნობდი — გაუნძრევლად ვიჯექი. სადღაც საათმა ცხრაჯერ დარეკა, ანი და ტინკა უხერხულად შეირხნენ, ამოძრავდნენ მაგარ, მოუხერხებელ სკამებზე, თვალები აახამხამეს. ირგვლივ მიმოიხედეს, დამინახეს და, მგონი, ისევე როგორც მე ცოტა ხნის წინ, მიხვდნენ, რომ გამოღვიძება კარგს არაფერს გვთავაზობდა... როცა მათ ლაპარაკი დაიწყეს, ჩვენთან მამაკაცებმა შემოიხედეს...

—მოხვედით გონს?

— როგორც ჩანს, დასვენება აუცილებელი იყო, არა?

— რა საშინლად გამოიყურებოდით...

თუ მამაკაცები ქალებს თანაგრძნობას უცხადებენ მათი შესახედაობის გამო, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მართლა საშინლად გამოიყურებიან. მიხაროდა, რომ გუშინ ღამით არ ჩავუფიქრდი, რატომ გვიყურებდნენ ასე შეწუხებულად. ოთახში სარკე ეკიდა, მაგრამ გამბედაობა არ მეყო ავმდგარიყავი და ჩამეხედა შიგ. მე ისედაც შემეძლო დაახლოებით წარმომედგინა, როგორ გამოვიყურებოდი: ჩავარდნილი ლოყები, ჩალურჯებული ქუთუთოები; და მერე, ეს შეღებილი თმები — მისი შავი ფერი დღითი დღე საძაგელ ელფერს ღებულობდა.

ფელზენელები ისევ ძალიან მზრუნველობდნენ ჩვენზე, ჩვენ შორის მაგიდა ჩადგეს, ჩაი, თავიანთ ღუმელზე გამომშრალი ორცხობილები და ნახევარ-ნახევარი ჭიქა რძეც კი მოგვიტანეს. ხარბად ვჭამდით და ვსვამდით, სულაც არ ვფიქრობდი იმაზე, რომ მაშინაც კი როცა ვჭამთ, მამაკაცების თვალში მაინც ქალებად ვრჩებით. მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, რომ ჩვენი მანერები არ გამოირჩეოდა სინატიფით, როცა არენდმა ნელა და ტაქტიანად გააბრძანა მამაკაცები ჩვენი ოთახიდან.

როცა ასე თუ ისე დავნაყრდით, გავთბით და ჰარლემში ვაპირებდით დაბრუნებას, ისინი ისევ მოვიდნენ ჩვენთან, სიგარეტებით გაგვიმასპინძლდნენ და ქათინაურებს გვეუბნებოდნენ ჩვენ მიერ ჩადენილ მამაცობის გამო.

— როგორ გააკეთეთ ყველაფერი? — დაინტერესდა არენდი.

ერთმანეთს გადავხედეთ. ჩემი ამხანაგების სახეებზე ამოვიკითხე, რა უნდა მეპასუხა.

— მერე, როდისმე გიამბობთ, — ვუთხარი მე. — ახლა შინ გვინდა წასვლა... მხოლოდ ერთი რამის გაგება მინდა: ბატონები, ალბათ, ახლა აქ არ არიან?

სიტყვა „ბატონი“ ოდნავ განსხვავებულად გამოვთქვი. არენდმა ცოტა დარცხვენით შემომხედა.

— ბატონი პაული და სხვები შობის დღეებს შინ ატარებენ...— თქვა შან, თან აშკარად ცდილობდა თავისი ხმისთვის სიდინჯე და ბუნებრივობა მიეცა.

— ასეც ვფიქრობდი, — ვთქვი მე. — თქვენ კი მადლობას გეუბნებით, — დავსძინე უფრო რბილად.

— თითქოს ახლა დავიბადეო, — თქვა ტინკამ.

...ჰარლემში ანსა და ტინკას დავემშვიდობე, და, როცა ძლივს ავცოცდი ზევით, ჩემი მედიცინის დის ოთახში, მაგიდაზე მისი წერილი დამხვდა. იგი შვებულებით წასულიყო მშობლებთან სხაგენში და მხოლოდ ახალი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა. პატარა ოთახში საშინლად ყინავდა და ისევ ვიგრძენი დაღლილობა. ყველა საბანი მოვაგროვე, რაც კი იყო, და ლოგინში ჩავწექი, მძიმე ავადმყოფივით დასუსტებული და სიცივისაგან აკანკალებული.

შ ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი

შობის დღესასწაულის შემდეგ მარტო წავედი ფელზენში ანგარიშის ჩასაბარებლად, როგორც ანსა და ტინკას მოველაპარაკე. მაგისტრი პაული და ინჟინერი კააპსტადტი ადგილზე აღმოჩნდნენ, ისინი როგორც ყოველთვის, უნაკლოდ იყვნენ ჩაცმულნი და თავი ძალიან თავაზიანად ეჭირათ. მათთან იყო მესამე მამაკაციც, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი თმა, ფართო პირი, არაბუნებრივად დიდი და წითელი ყურები და ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი თვალები ჰქონდა. არასოდეს მენახა ასეთი მახინჯი კაცი. არც მოხდენილობით ჰგავდა დანარჩენ ორ მამაკაცს, თუმცა კარგი კოსტიუმი ეცვა და შევნიშნე, რომ მის ფეხსაცმელებს მაგარი ლანჩები ჰქონდა. როცა ოთახში შევედი, იგი არ ამდგარა, როგორც ჩემი ნაცნობი ორი ფელზენელი, და მე გულისტკივილით შევიგრძენი ის ფაქტი, რომ ჩემი გარეგნობა მამაკაცებზე უკვე აღარ ახდენდა შთაბეჭდილებას... ასეთ მახინჯზედაც კი, როგორიც ეს დიდყურიანი უცნობი იყო.

— ქალბატონი ს., — წარუდგინა მას ჩემი თავი მაგისტრმა პაულიმ. — ეს კი ბატონი მეისფელტია, ქალბატონო ს. მისი გვარი, რა თქმა უნდა, თქვენთვის ნაცნობია.

„ეს კაცი გამოიყვანეს ამერსფორტის ბანაკიდან“, — გავიფიქრე მე და ხელი ჩამოვართვი მას. მეისფელტი ბოლოს ამოძვრა თავისი ტყავის სავარძლიდან და მეტისმეტად ოფიციალურად უპასუხა ჩემს ხელის ჩამორთმევას.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველად მესმის ეს გვარი, — განვაცხადე მე.

მეისფელტმა ტკბილ-მწარედ გაიცინა. მისი უშველებელი პირი ფითქმის ყურებამდე გაიხსნა.

— მე კი თქვენი ვიცი, — მითხრა მან. — მამათქვენი — ჩემი პარტიული ამხანაგია, ყოფილი ს Ď მ პ-დან.

— მაშასადამე, ეს იყო დიდი ხნის წინათ, — გავარკვიე მე ძალიან მეგობრული ტონით. პაულისაც გაეცინა, ნაიარებიან ინჟინერს პირი მოებრიცა.

— ქალბატონი ს. — ჰარლემის წინააღმდეგობის საბჭოდანაა,— მიმართა მან მეისფელტს, თითქოს ბოდიშს იხდიდა, რომ მე საჭირო მანერები არ გამაჩნდა. — იგი აქ, უეჭველია, იმისთვის მოვიდა, რომ გვიამბოს, თავის ორ ამხანაგ ქალიშვილთან ერთად როგორ იშოვა ჩვენთვის საბრძოლო მასალა, ეიმეიდენის დაბეტონებული სიმაგრიდან.

— დაბრძანდით, ქალბატო ს., — მითხრა პაულიმ.

მომეჩვენა, რომ ახლა უფრო თავაზიანად მექცეოდნენ, ვიდრე მაშინ, როცა ანსა და ტინკასთან ერთად ვიყავი. დავჯექი შემოთავაზებულ სკამზე, ავიღე შემოთავაზებული სიგარეტი და ვუპასუხე:

— დიახ. ანგარიშის ჩასაბარებლად მოვედი.

მაგისტრი პაული თავისი მაგიდის უჯრისკენ დაიხარა. სირჩები და ძვირფასი ღვინის ეტიკეტიანი ბოთლი ამოიღო.

— დალევთ ჩვენთან ერთად, ქალბატონო ს? — მკითხა მან, და ჩემ წინ ასწია მუცლიანი ბოთლი.

თავი გავიქნიე. — სპირტიან სასმელებს არ გეახლებით:

მეისფელტმა, რომელიც დაუდევრად ეწეოდა, პაულის თავისი სირჩა გაუწოდა და ღვინო დაასხმევინა, ჩემი სიტყვების პასუხად ცალყბად გაიცინა:

— პურიტანული ზნე-ჩვეულება და კომუნიზმი. ეს ამბები, ეტყობა, განუყოფელნი არიან... ხანდახან ჩემი თავი ძალიან მოდიდან გასულად და გახრწნილად მეჩვენება.

მან ღიმილში უფრო მეტად დაიბრიცა სახე და ხელში აიღო პატარა მოელვარე სირჩა: — ჯანმრთელობას გისურვებთ, ქალბატონო... გამარჯვებისა იყოს!

მათ დალიეს, ფიქრებში გართული, ჩუმად ვიჯექი, ვიდრე ეს წმინდა მამაკაცური ცერემონია ჩათავდებოდა. პურიტანობა და კომუნიზმიო, თქვა მეისფელტმა. ესე იგი, მათ უკვე ულაპარაკიათ ჩვენზე, ქალიშვილებზე. „მაინც რას ფიქრობენ ესენი ჩვენზე?“ — უცებ გამიელვა თავში. ისევ რაღაც სევდამ შემიპყრო, თუმცა ვიფიქრე, რომ უკვე დავმშვიდდი შობის პირველ დღეს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ; ისევ დამიწყო ღრღნა ეჭვებმა, ცუდმა წინათგრძნობამ, რომ აქ რაღაც ვერ იყო სუფთად. მე მინდოდა ფელზენელებისათვის დაწვრილებით ამეწერა, როგორ დავიტანჯეთ, ვიდრე მივიღებდით და მშვიდობით მოვიტანდით ფელზენში ორმოცდაათ კილო საბრძოლო მასალას. მაგრამ უცებ მივხვდი: ეს არ იყო საჭირო. რაში ენაღვლებათ მათ, ჩვენ რა გადავიტანეთ? ისინი ამის წარმოდგენასაც ვერ შესძლებენ.

არავის შემოუთავაზებია, მაგრამ დავიწყე მოყოლა მოკლედ და ძალიან მშრალად. გამოვტოვე ჩვენი მწარე განსაცდელები, როცა ვლაპარაკობდი, მე თვითონ მეჩვენებოდა, რომ ლაპარაკი იყო რაღაც ფოკუსზე, რომელიც ხუმრობით გააკეთა ვიღაც სხვამ და არა ჩვენ. ვგრძნობდი, რომ მეისფელტი თვალმოუცილებლად მიყურებდა. პაულიმ ერთი-ორჯერ მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

— გაბედული ოპერაციაა, — თქვა მან. — მე ვხედავ ქალბატონო ს., რომ თქვენი პატაკი სამხედრო წესის მიხედვით ძუნწია დაწვრილებით ამბებში... მაგრამ მესმის, რომ ყველაფერი ისე კარგად არ ხდებოდა, როგორც თქვენ წარმოგვიდგინეთ... გულახდილად გვითხარით, გერმანელებს არ შეხვედრიხართ?

წამოვწითლდი. გავბრაზდი ჩემს სიწითლეზე. სამივე მამაკაცს რიგ-რიგობით შევხედე და ვუპასუხე: — შეგვხვდნენ, მაგრამ ისინი ისე მთვრალები იყვნენ და ისე ცუდად ისროდნენ, რომ იოლად ავუარეთ გვერდი...

პაულის ისევ გაეცინა: — როგორც ვხედავ, თქვენ გადაჭრით არ გსურთ წინააღმდეგობის მოძრაობა წარმოგვიდგინოთ რაღაც „ილიადად“... მაინც თავს ნებას მივცემ გითხრათ, რომ აქ ყველანი გულწრფელად აღფრთოვანებული ვართ თქვენით და თქვენი ორი თანამებრძოლით. თავს ვალდებულად ვთვლით, მადლობა გამოგიცხადოთ, ხომ მართალია კაპიტანტ?

ინჟინერმა თავი დაუქნია.

— უდიდესი მადლობაც კი... თქვენ მას გადასცემთ თქვენ ამხანაგებსაც, ხომ ასეა? — თქვა კაპიტანტმა. — თქვენ ყოველგვარი საფუძველი გაქვთ იმისათვის, რომ ბანაკის უფროსობა მიიღოთ,

— ყოველგვარი გადასვლის გარეშე განაცხადა მან, — მოკავშირეთა მიერ დაჯილდოებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

ისევ გავწითლდი. ვერ მივხვდი, რაზე ლაპარაკობდა იგი. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ სადმე შორს ვყოფილიყავი ამ კაბინეტიდან, სადაც სარკესავით გაპრიალებული სავარძლები იდგა და ძვირფასი ღვინოების სუნი ტრიალებდა, შორს ამ მამაკაცებისგან, რომელთა ტანისამოსი წვიმით არ სველდებოდა და არ ჰქონდა ცუდი სუნი საპნის უქონლობის გამო...

— რა ბანაკის ხელმძღვანელობა? — ვიკითხე მე განსაკუთრებული აღფრთოვანების გარეშე.

— რა თქმა უნდა, — ამიხსნა მეისფელტმა, — ფაშისტ ვაჟბატონებს და მათ დამქაშებს ომის შემდეგ გამოსასწორებელ ბანაკებში გავგზავნით და მაშინ მათთვის დაცვა დაგვჭირდება. მკაცრი და სამართლიანი დაცვა.

აი უკვე მეორედ ახსენა სიტყვა „გამარჯვება". თითქოს იგი ამ სიტყვით იყო აღსავსე. ჩემს თავს შევეკითხე, როგორ ფიქრობს იგი გამარჯვების მიღწევას, თუ სხვას არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ლაპარაკობს მასზე, სვამს შესანიშნავ ლიქიორებს და უსმენს ბი-ბი-სის, რომ გაიგოს, რამდენად წაიწიეს წინ მოკავშირეთა ჯარებმა და საბჭოთა არმიამ.

—როცა ომი დამთავრდება, — ვთქვი ცივად, —მე სხვა საქმეები გამომიჩნდება, იმის ნაცვლად, რომ სიცოცხლე გავუმწარო ამ სამშობლოს მოღალატეებს. ახლა ისინი აქედან უნდა გაირეკონ, ეს მართალია... მაგრამ ომის შემდეგ ჩემს ენერგიას უკეთესი საქმისათვის გამოვიყენებ...

— მაგალითად? — მკითხა მეისფელტმა.

— ჩვენს საზოგადოებაში წესრიგი უნდა დამყარდეს. ახალი მორალური ნორმები უნდა შეიქმნას, — ვუპასუხე მე. — რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი საძაგელი მოვლენა, როგორიც ნაციზმია...

— ჩვენი, ყველასი სურვილი ეს არის, — გულითადად აღნიშნა პაულიმ. — მე მესმის. სტუდენტი-იურისტი თქვენი სურვილით მოხვედით წინააღმდეგობის მოძრაობაში, ხომ ასეა? და, რა თქმა უნდა, სწავლის დამთავრებას ისურვებთ. ცხადია, თქვენთვის, სხვებზე უფრო ნათელია, რომ ჰოლანდიაში აუცილებელია კანონიერებისა და ნორმალური ხელისუფლების აღდგენა... სად მომისმენია ეს სიტყვები?

— არც ისე მნიშვნელოვანია სამართლის შ ე ს წ ა ვ ლ ა, — ვთქვი მე. — მალე საჭირო გახდება სამართლის საფუძვლიანად დ ა ნ ე რ გ ვ ა...

ვხედავდი, რომ მეისფელტი გულმოდგინედ მიქნევდა თავს.

— სწორედ რომ საჭირო გახდება, — ჩაურთო მან. — დემოკრატიისათვის, რომ აგიტირებულმა უმცირესობამ თავისი ნება-სურვილი თავს არ მოახვიოს უმრავლესობას. ჰოლანდიელი ხალხი უარყოფს ყოველგვარ ექსტრემიზმს... შეიძლება ექსტრემიზმი გამოსადეგი გახდეს პრობლემების გადასაწყვეტად ჩამორჩენილ რაიონებში, როგორიც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთშია; წითელი დიქტატურის თავისებური ფორმა... აი ასე. აქ, რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ გამოვა.

დაკარგული სულიერი წონასწორობა აღვიდგინე.

— არ მჯერა, ბატონო მეისფელტ, რომ აქ დამსწრეთაგან რომელიმეს შეეძლოს ამტკიცოს ან იწინასწარმეტყველოს ამის მსგავსი რამ ჰოლანდის შესახებ, — განვაცხადე მე. — მწამს, რომ თვითონ ჰოლანდიელი ხალხის საქმე იქნება ამოირჩიოს და შეიქმნას ცხოვრების ისეთი ფორმები, როგორიც მის ხასიათსა და ინტერესებს შეესატყვისება.

პაულიმ თავის მაგიდას დაჰკრა ხელი.

— აი, მესმის იურისტი! — წამოიძახა მან. — ბრწყინვალე ჩამოყალიბებაა, ქალბატონო ს.! მიიღეთ ჩემი მოლოცვა... მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ლონდონში, ალბათ, იმხელა წარმატებას მიაღწიეს, რომ ახლო მომავლისათვის უკვე შეიმუშავეს ცხოვრების ფორმები. აქ შექმნილ გარემოებას აქ გარედან, ესე იგი, ობიექტურად უყურებენ. უნდა დამეთანხმოთ, რომ ამ თვალსაზრისით ყოველ ემიგრირებულ მთავრობას უპირატესობა აქვს.

— შეგიძლიათ იფიქროთ რაც და როგორც გინდათ, — მოურიდებლად განვაცხადე მე. — მაგრამ აქ ვიყავით ჩ ვ ე ნ ყველანი, და ჩ ვ ე ნ ვიცით, რაზე ფიქრობდა და რაზე იმედოვნებდა აქ ხალხი... და ჩ ვ ე ნ შეგვიძლია ამაზე ვიქონიოთ საკუთარი აზრი...

— ყველას აქვს საკუთარი ოცნებები და იმედები, — თქვა ინჟინერმა კაპსტადტმა და ეჭვიანად გაიცინა, — გარდა საერთო სურვილისა — დაინახონ, როგორ გარეკავენ გერმანელებს.

მეტი აღარაფერი მითქვამს. ვგრძნობდი, რომ საუბარი კარგად არ დამთავრდებოდა. მე უკვე ისედაც გამომიწვიეს გამომეთქვა ჩემი აზრი ისეთ საკითხებზე, რომელზედაც გაჩუმება მერჩივნა, ხოლო თუ ვისმეს გავუზიარებდი მას, მხოლოდ ჩემს ამხანაგებს. საათს დავხედე, ვიგრძენი ჩემთვის ჩვეული საზიზღარი უხერხულობა, და ვთქვი, მელოდებიან-მეთქი ჰარლემში. სამივენი ადგნენ და სერიოზულად და თავაზიანად გამომემშვიდობნენ. პაულიმ კიდევ გაი-

მეორა, ძალიან გიმადლით სამივე ქალიშვილსო, და მერე მკითხა, ხომ არ განაწყენდები, თუ ერთ შეკვრა სიგარეტს შემოგთავაზებო... გავიცინე და თავი გავიქნიე.

— გასამრჯელოს სახით კი არა, — ამიხსნა მან. — ასეთი საქმე აუნაზღაურებელია. თქვენი პიროვნებისადმი ჩემი პატივისცემის აღსანიშნავად.

სიგარეტის შეკვრა ჯიბეში ჩავიდევი. ქვედა ოთახის კარებში გასვლისას გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე ამხანაგებს და წავედი. შობის შემდეგ ალყები გახშირდა. თექვსმეტიდან ორმოცდაათ წლამდე მამაკაცები გარეთ გამოჩენას ვერ ბედავდნენ. გერმანულ პირადობის მოწმობებს Ausweise-ს—მხედველობაში აღარ ღებულობდნენ. ვინც გერმანელებს ხელთ ჩაუვარდებოდა, ართმევდნენ ფულს, საათებს, ბეჭდებს, მერე მათ მიერ შეპყრობილ ადამიანებს გერმანიაში გზავნიდნენ. ძნელი არ იყო იმის წარმოდგენა, კატასტროფის მოლოდინში როგორი საშინელი ქაოსი, როგორი გუნებაგანწყობილება სუფევდა გერმანიაში, როცა ქარხნების, მატარებლების, საწარმოების მუშაობას ახერხებდნენ ყოველი მხრიდან ჩამორეკილი უცხოელი მუშების მონური შრომით, რადგან მხოლოდ ამ გზით ხერხდებოდა შეიარაღება და ფრონტზე გაგზავნა, უკანასკნელი გერმანელი მუშისა, რომელიც აქამდე სახარატო დაზგასთან იდგა ან რკინიგზის შემადგენლობას ემსახურებოდა. როცა ქუჩაში გავედი, იქ მხოლოდ ქალები და ბავშვები დავინახე. ბავშვები ძლივს მიჩანჩალებდნენ უფასო საზოგადოებრივ სასადილოში და თან მიათრევდნენ პატარა ქვაბებსა და ვედროებს. მართალია, წვნიანის ულუფა ერთი ლიტრიდან მეოთხედ ლიტრამდე იყო შემცირებული. მღვრიე წყალი, რომელსაც კომბოსტოს მურკის, თალგამისა და ჭარხლის სუნი უდიოდა. ასეთი საქმელი კუჭს ნახევარი ან ერთი საათით ათბობდა, მერე კი უფრო ცუდად ხდებოდა ადამიანი.

ვუფიქრდებოდი ფელზენელებთან ჩემს საუბარს, სამ მამაკაცს, რომლებთანაც ვლაპარაკობდი, უდავოდ, ჰქონდათ თავიანთი საკუთარი შეხედულება იმის გამო, თუ რა ბედი უნდა სწვეოდა ჩვენს ქვეყანას ომის შემდეგ. სიტყვა „ლონდონს" წამდაუწუმ ახსენებდნენ. მათ, ალბათ, ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ მთავრობასთან. შეიძლება, რამე საწინააღმდეგოს თქმა ამის შესახებ? არა. არაფრის. მაგრამ, როგორ მოხდა, რომ მე და ჩემს ამხანაგებს არასოდეს არ გვქონია ასეთი ურთიერთობა? ჩვენ თითქოს ღარიბი ნათესავები ვიყავით, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ყველგან და ყოველთვის ჩაგრავენ ხოლმე... არა. არ შეიძლება უსამართლო იყო.

პაულიმ და კააპსტადტმა სინდისიერად გადამიხადეს მადლობა, გამოთქვეს თავიანთი გულწრფელი აღფრთოვანება ჩვენით... მხოლოდ მარტო მეისფელტმა გულღიად და ყოველგვარი თავაზიანობის გარეშე გაილაშქრა კომუნიზმის წინააღმდეგ. რას ვიზამთ! იგი ეკუთვნოდა ეგრეთ წოდებულ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც მუშა-კომუნისტებს მტრებად თვლიდნენ, ისეთი ჯურის ადამიანებს რომლებიც განწირულნი არიან ისტორიის მიერ...

ამხანაგებს ვუამბე ფელზენელების შტაბში ჩემი საუბრის შესახებ. რულანტმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს თავს ბედნიერად თვლიდა, რომ ფელზენელებთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამხანაგებმა მოსწიეს პაულის ნაჩუქარი სიგარეტი, — მე, რა თქმა უნდა, არც მიფიქრია ჩემთვის დამეტოვებინა იგი. ცუდ გუნებაზე ვიყავით. უფრო ცუდზე. ვიდრე ერთი წლის წინათ, როცა ჩვენს ჯგუფს მოქმედების უფლება წაართვეს. გამახსენდა, დაახლოებით ამ დროს რომ მივიღეთ ტანიასაგან ღია ბარათი ბელგიიდან. უნდა ვაღიარო, რომ მას შემდეგ ტანიაზე აღარ მიფიქრია. ნუთუ ასეთი უგულო გავხდი? ნუთუ ომის სიძნელეებმა ისე დაგვტანჯა. რომ აღარაფერს ვხედავდით გარდა საშინელი გზისა, რომელიც უნდა გადაგველახა? ჩემს თაცს ვეკითხებოდი, რა უნდა მოსვლოდა ტანიას, რომ ჩაეწია შვეიცარიაში, ხომ უნდა მოეწერა წერილი: ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვის წინ ეს შესაძლებელი იყო. ახლა კი საფოსტო კავშირი ისე აირია, რომ ამსტერდამიდან გამოგზავნილი წერილი ჰარლემში ერთი კვირის მერე აღწევდა...

შიმშილით ტანჯვა დღითი დღე უფრო აუტანელი ხდებოდა. რულანტმა გვითხრა, მარაგი მალე გამითავდება და განზრახული მაქვს, ახალი წლის შემდეგ შევამცირო ულუფა ჯგუფის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვისო. ამ კვირაში პირველად ვნახე, როგორ კვდებოდა კაცი ქუჩაში. უფრო სწორად, ეს კაცი — იგი სამოცი-სამოცდაათი წლისა იქნებოდა — უკვე მკვდარი იყო. ერთ დილას ვნახე, რომ იგი ბაუერსკადეზე ხის ძირას იჯდა. მის გვერდით რამდენიმე კაცი იდგა; ისინი წუხდნენ, მაგრამ არაფრით შეეძლოთ შველა, მკაცრად იკავებდნენ თავს. მივუახლოვდი მათ და ვიკითხე, დახმარებისათვის ხომ არ დამეძახა. ერთმა მამაკაცმა დიდი, დამშეული თვალებით შემომხედა და მითხრა: — მას ახლა აღარ უნდა შველა. შენც ხომ ხედავ.

მხოლოდ მაშინ დავხედე დაკვირვებით მწოლიარე მამაკაცს. ძველი პალტო ეცვა, ძველი, მრგვალი, ფარფლებიანი ქუდი ცხვირზე ჩამოფხატოდა. სახის ქვედა ნაწილი დანაოჭებული და ყვითელი ჰქონდა.

— იქნებ, აქედან წაღებაა საჭირო? — ვიკითხე მე.

— რა თქმა უნდა! — დაიბუზღუნა ვიღაც მეორე კაცმა. — ჩვენ შეგვიძლია პოლიციას შევატყობინოთ, მეტი არაფერი. ახლა წამდაუწუმ კვდება ვინმე.

პოლიციისათვის შეტყობინება ჩემს თანამოქალაქეებს მივანდე. თითქოს ვხედავდი, მიცვალებულის საცოდავ სხეულს, როგორ დებდნენ ხელის ეტლზე და მიჰქონდათ. წინათაც მინახავს ჩემს ქალაქში ღატაკები, მაგრამ არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა შიმშილით. ახლა კი კვდებოდნენ. მდიდარ ჰარლემში. ჰოლანდიაში. ვერმახტის რამდენიმე ჯარისკაცმა ჩაიარა ხესთან, მიცვალებული რომ იდო, რომელსაც მოხელის ძველი ქურთუკი ეცვა და მრგვალი, ფარფლებიანი ქუდი ეხურა. გერმანელებს არც დაუხედავთ მისთვის, ამავე კვირას რამდენიმე პოლიციელს შევხვდი, რომლებსაც ტილოგადაფარებული ეტლი მიჰყავდათ. მიცვალებულები ისე გამხდრები იყვნენ, რომ ვერ იფიქრებდით, თუ ტილოს ქვეშ ადამიანთა ცხედრები იდო. შტაბში ამხანაგებიც ასეთსავე შემთხვევებს ყვებოდნენ. იხოცებოდნენ მოხუცები და ბავშვები. როგორც „ისპანკის“ ეპიდემიის დროს, ამბობდნენ რულანტი და ვიხერი, რომლებსაც თვრამეტი და ცხრამეტი წლები ახსოვდათ. ახალი წლის წინადღით ჰოლანდიაში ნაცისტების ნაცვალმა მოწყალებით განაცხადა, დასავლეთ რაიონების მცხოვრებლებს ნება ეძლევათ სურსათი მოიმარაგონ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ პროვინციებშიო. ეს ოფიციალური ცნობა შედგენილი იყო საზეიმო და მფარველური ტონით. თითქოს ოკუპირებულ ჰოლანდიაში დახოცილ ადამიანებს უდიდეს პატივს სცემდნენ.

გერმანულმა ჰუმანურობამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი... ვერ წარმოგვედგინა, როგორ შეიძლებოდა ამ მარაგის გაკეთება. ჯერჯეროობით მხოლოდ ერთი გზა იყო თავისუფალი—წყალსავალი გზა. ინგლისელები ლომ-არწივებივით დაფრინავდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და მზად იყვნენ ჩაეძირათ ყოველგვარი ტრანსპორტი. ზევიდან ვერ არჩევდნენ დამშეული ჰოლანდიელებისათვის გადაჰქონდათ კარტოფილი თუ გერმანელები თავიანთთვის იმარაგებდნენ. ჯერჯერობით იმის იმედი არ უნდა გვქონოდა, რომ ახალი დოვლათის ზღვაში ვიცურავებდით....

იმავე დღეს, როცა „ესპანური მუხებიდან“ ვბრუნდებოდი, დავინახე, რომ ვიღაც ფეხების მძიმე ფრატუნით მოდიოდა ლეიდსეფაარტის მხრიდან. იგი მართლა ძლივს მიითრევდა ფეხებს, მაგრამ მე ვიცანი. გული ყელში მომეჯინა. ვიგრძენი ჩემი უბედურება და უმწეობა. თვალწინ გადაშლილი ზამთრის სურათი—შიშველი ხეები, ჭუჭყიანი თოვლი, სახლები, რომლებიც მუქი ყინულის ნატეხებს

ჰგავდნენ, — უცებ ერთმანეთში აირია... სული მოვითქვი და მამაკაცს დავედევნე.

— მამა!.. მამა!... — დავუძახე ყრუ ხმით, ვიდრე მოვისაზრებდი, თუ რას ვაკეთებდი.

მამა ჩემკენ მობრუნდა. შემაშინა მისმა გამხდარმა, შეშფოთებულმა სახემ. არასოდეს მენახა იგი ასე გამოფიტული. ქუდი ყურებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. მისი დანაოჭებული, დაკეცილი ნიკაპი თბილ ნაქსოვ შარფში იყო ჩამალული. დავინახე, როგორ გაუფართოვდა თვალები, ხელი ასწია, მეორე ხელით ჯოხს დაეყრდნო. ირგვლივ მიმოვიხედე. ქუჩაში არც ერთი სულდგმული არ ჭაჭანებდა. გავბედე და მამასთან მივედი, ერთი ხელით მოვეხვიე და სახით სახეზე მივეკარი. მაშინვე ვიგრძენი, რომ სახე სველი ჰქონდა. თავისუფალი ხელი ბეჭებზე მომითათუნა.

— ჩემო შვილო... — თქვა მან როგორც იქნა. — ჩემო შვილო... როგორი გამხდარი ხარ.

— მამიკო! შენ ხარ ასეთი გამხდარი!

ერთმანეთს გავულიმეთ, ვუყურებდით ერთმანეთს და დაგვავიწყდა, რომ ორივე გაფითრებულები და გამხდრები ვართ. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ცოცხლები ვიყავით.

— დედა როგორ არის? — ვკითხე საჩქაროდ.

— დედაშენი შესანიშნავი ქალია. დაავადებული გულის მიუხედავად, მამაკაცივით უმკლავდება უბედურებას...

— ივდითი? — ვკითხე ყოველგვარი გადასვლის გარეშე.

— იგი ამსტერდამშია, და იმედი მაქვს, არაფერი უჭირს, — მიპასუხა მამამ ჩუმად. — თუ შეიძლება, წავიდეთ აქედან... ჩვენი აქ დგომა არ შეიძლება.

გზა განვაგრძეთ — ზეილსტრაატისკენ მიმავალი არხის გასწვრივ. აღარ გვილაპარაკნია. თავს ბედნიერად ვთვლიდით, რომ ერთად ვიყავით, რა თქმა უნდა, ათასი შეკითხვა გექონდა ერთმანეთისათვის მისაცემი. მაგრამ მთავარი სათქმელი უკვე ნათქვამი იყო. მამა წამდაუწუმ შემომხედავდა ხოლმე გვერდიდან; მაშინ მაგრად მოვუჭირე ხელი ხელზე, რომელიც ჩემთვის ჩაევლო.

— შენ როგორ ხარ? — მითხრა მან ბოლოს მზრუნველობით, მაგრამ განგებ ძლივს გასაგონად. — კარგად ართმევ თავს საქმეს?

თანხმობის ნიშნად ორჯერ დავუქნიე თავი: — კი, ვახერხებ. კარგ ადამიანებთან ვცხოვრობ... საჭმელი მაქვს... თქვენ ყოველთვის ღებულობთ სურსათის პაკეტებს?

— შესანიშნავია, რომ ვღებულობთ, — მითხრა მან. — მაშინვე მივხვდით, რომ შენგან იყო... და შენი ამხანაგებისაგან. ამ ხორბ-

ლისა და ლობიოს გარეშე დედაშენი და მე, ალბათ, ვერ გადავრჩებოდით.

თითქოს გულ-მუცელი გამეყინა, უცებ წარმოვიდგინე, რომ მამაჩემი სადღაც ქუჩაში წევს, ხეზე მიყრდნობილი და გაყინული. ანდა დედა წევს ლოგინში საშინლად გამხდარი, ღონემიხდილი. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მოხუცები, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამა ერთხელ პარკში ვნახე, ოციოდე წლით დაბერებულიყო. მის ხელებსა და ბეჭებს რომ ვეხებოდი, მთლად გაძვალტყავებულიყო. როგორ მდგომარეობაში მნახა მან მე, რას ფიქრობდა, როცა შემეხო?..

— მეტისმეტად ხომ არ წუხხართ ჩემზე? — ვკითხე მე.

თავისი გამხდარი ხელი ხელზე დამადო. — ძვირფასო შვილო, — მითხრა მან, — არ შემიძლია გითხრა, არ ვწუხვართ-მეთქი... მაგრამ ვიცით, რომ იქცევი ისე, როგორც სინდისი გიკარნახებს. ამიტომ ჩვენმა წუხილმა ხელი არ უნდა შეუშალოს შენს სამუშაოს... მაგრამ შენ, ალბათ, ძალიან გიჭირს?

— ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია, — ვუპასუხე თავშეკავებულად. — რაც უნდა გავაკეთო... გერმანელებს უნდა გავუსწორდეთ, მამიკო. და ჩვენ ამას მივაღწევთ.

მამაჩემის ხმაში, რაღაცნაირი სიმკაცრე ეღერდა, რაც სხვა დროს არ შემინიშნავს.

— საქმე ისე მიდის, უეჭველია, — დამიდასტურა მამამ. — შენ იცი, რომ რუსები ავსტრიის ტერიტორიაზე შევიდნენ და დიდ შეტევას იწყებენ პოლონეთში?

— დღეს არავითარი ცნობა არ მომისმენია, — ვუპასუხე მე. — დიდებულია... ესე იგი, რადიომიმღები აქამდე შეინარჩუნეთ?

მამამ გაიღიმა და მისმა ღიმილმა თითქოს გული გამიპო.

— ეს არის ჩვენი იმედი და ნუგეში, — მითხრა მან.

დავდიოდით, ხან ერთ ხან მეორე ქუჩაზე, მაგრამ ყველა ქუჩა ერთნაირად ცივი და პირქუში იყო. არ ვიცოდი, როგორ ხსნიდა მამა ჩვენს შეხვედრას: რომ მე ისევ ჰარლემში გადმოვსახლდი?.. მაგრამ, თუ ასეც ფიქრობდა, არაფერი უთქვამს ამის შესახებ. იქნებ, სხვა ფიქრებში იყო გართული.

— აი, მე და შენ დავდივართ აქ, — მითხრა მან. — წინათ, ამ დროს, შობასა და ახალწელს შორის, დავდიოდით მაღაზიების ვიტრინების წინ. ყველგან საშობაო ნაძვისხეები იდგა. ყველგან უამრავი საქონელი იყო დახვავებული — ნამდვილი სიუხვე!.. ხალხს სადღესასწაულო, დაწყნარებული განწყობილება ჰქონდა, წელი კარგად მთავრდებოდა...

იგი გაჩუმდა. განსხვავება იმ დღეებსა და დღევანდელ უსიხარულო მდგომარეობას შორის ისე დიდი იყო, რომ მამას ლაპარაკი აღარ ჭირდებოდა ამაზე. მე ვუთხარი:

— ცოტა მოთმინებაც, მამიკო... მომავალ წელს შობას თავისუფლები ვიდღესასწაულებთ... იქნებ, ისეთ სიუხვეს ვეღარ ვნახავთ, როგორიც უწინ იყო, მაგრამ გერმანელები აღარ იქნებიან!

ჩვენკენ მოდიოდა ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც კეპი ეხურა და ზედ თავშალი ჰქონდა მოხვეული. იგი თითქმის დაგვეჯახა და შემოგვხედა; მომეჩვენა, თითქოს თვალი გამოგვაყოლა. მაშინვე მივხდი, დაუდევრად რომ მოვიქეცი. დავსეირნობ ჰარლემში მამასთან ერთად, თითქოს აქ არაფერიაო. ბევრნი იცნობენ მას, შეიძლება იგი იცნონ; მაშასადამე, შესაძლებელია, მეც მიცნონ. ჩემი დაჭერისათვის კი ჯილდოა დანიშნული...

ფრთხილად მივეყრდნე მამის მხრებს და ვუთხარი:

— რა კარგია, მამა, ერთმანეთი რომ ვნახეთ... დედას ჩემგან ბოლო კოცნა გადაეცი... ახლა კი უნდა წავიდე. დიდად სახიფათოა ორივესთვის.

მის თვალებში სევდამ და მიხვდომამ გაიელვა.

— ჰო, — თქვა მან ჩუმად .— ძალიან დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი, ხომ სწორია?.. იმედი მაქვს, ძვირფასო, რომ ჩქარა ისევ გნახავ... მართლა კარგ ხალხთან ხარ?

— კი, ძალიან კარგ ხალხთან, — ვუპასუხე მე. — მართლა, კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა: იცნობ თუ არა ვინმე მეისფელტს? ყოფილ სოციალ-დემოკრატს?

— იმას? შენც იცნობ მას?.. ჰმ.. ალბათ, თავისი პირველი სიტყვა დაბადებისთანავე წარმოთქვა. გერმანელების გარეკვა მხოლოდ ლაპარაკით რომ შეიძლებოდეს, მისი წყალობით დღეს თავისუფლები ვიქნებოდით.

მეღიმებოდა, როცა ჩემი ფელზენელი ახალი ნაცნობის მოულოდნელ კრიტიკას ვისმენდი. ერთხელ კიდევ მოვეფერე მამას ლოყაზე და მაშინვე თვითონვე გამიკვირდა, რომ ასე ადვილად გავაკეთე ეს, ასე მორცხვმა და მორიდებულმა.

— არც მაინცდამაინც სახარბიელოა ბატონი მეისფელტის დახასიათება, — შევნიშნე მე. — ნახვამდის, მამიკო... იფიქრე იმაზე, რაც გითხარი: მტერს გავუსწორდებით.

— დედაშენს საშინლად გაეხარდება, — მითხრა მამამ და კიდევ ერთხელ მაგრად მომიჭირა ხელი.

მივხვდი, რისი გაკეთებაც უნდოდა, იგი სახლში წავა სასწრაფოდ და დედას ახარებს, რომ მე მნახა, რომ მე ისევ ჰარლემში

დავბინავდი. ახლა ისინი სულ ჩემზე ილაპარაკებენ — დღეს, ხვალ და მომდევნო დღეებში. სიმამაცესა და რწმენას მოიკრებენ მხოლოდ იმაზე ფიქრის წყალობით, რომ მე ცოცხალი ვარ და კარგი მეგობრები მყავს... ვიგრძენი, გული რომ ამიჩვილდა, თვალები დამენამა; წამწამები ერთმანეთს ეკვროდნენ ქარ-ყინვის გამო. შემოვლითი გზით წავედი შინისაკენ. ვფიქრობდი, რამდენად გავიზარდე გასული წლის განმავლობაში, გავხდი დამოუკიდებელი და თვითდარწმუნებული... და გზადმიმავალს კიდევ ერთი რამ გამახსენდა: მამამ ვერ შევნიშნა, რომ თმები შეღებილი მქონდა. კარგად დავიმალე თმა შალის თავსაფარქვეშ. ამან მაინც ააცილოს დედას და მამას ზედმეტი წყენა.

ბიულეტენების გაკვრა

არდენში რუნდშტედტის მეთაურობით ნაცისტების შეტევა შოულოდნელად შეჩერდა.

ბი-ბი-სი გადმოსცემდა მოკავშირეთა სადაზვერვო ოპერაციების ამბებს, რომელთა შედეგადაც გაირკვა, რომ შეტევაზე გადასულ გერმანელთა ნაწილებს ბენზინი აღარ ჰქონდათ. ისინი თავიანთი ტანკებით ეგრეთ წოდებული „ვეფხვებით“ ჩარჩნენ ერთ ადგილას, და თითქოს მიეყინენ გარემო ლანდშაფტს. ისინი ადგილიდან აღარ დაძრულან.

— აი, როგორაა საქმე, — ვთქვი მე, როცა ამ ცნობას შტაბს გადავცემდი, — ახლა იანკებს შეუძლიათ „ვეფხვების“ გარემოცვას შეუდგნენ და ნაცარ-ტუტად აქციონ ისინი. მაშასადამე, ეს ამბავიც უკან მოვიტოვეთ.

— არა, ჯერ კიდევ არ მოგვიტოვებია უკან, — თქვა შეწუხებულმა რულანტმა. უკანასკნელ ხანებში, იგი ხშირად იყო ცუდ, პესიმისტურ გუნებაზე. მაგრამ მე ეს ძალიან კარგად მესმოდა. მისი დიდი, კალატოზის ძლიერი სხეული იტანჯებოდა საკვების გამუდმებული უკმარისობით. ძლიერ ცუდად გამოიყურებოდა. ყველანი ძალიან გავხდით, ეს მაშინვე თვალში მოხვდებოდა ადამიანს; მაგრამ ამაზე როდი ვფიქრობდით. რულანტს კი მეტისმეტად ემჩნეოდა; მან ძალიან ბევრი დაიკლო წონაში.

— შვედებმა შემოგვთავაზეს, რომ ოკუპირებულ ჰოლანდიაში

სურსათს გამოგზავნიან... იცი, ეს ამბავი, რულანტ? — ვკითხე მე-
მან თავი დამიქნია:

— თუ ინგლისელები არ ჩაძირავენ ხომალდს.

— სურსათი მოვა ოვერეისელიდან და ფრისლანდიიდან, — დავძინე მე.

— ეს დიდი ხანია უკვე ყოველდღე მესმის. სად არის მერე? — მკითხა მან.

—ძალიან კარგი ახალი ამბებია; — ვუთხარი მას. — გინდა კიდევ ერთხელ გიამბობ? ფონ რუნდშტედტი თავისი „ვეფხვებით“ არდენის ტყეში ჩარჩა, ბუდაპეშტი იწვის; გერმანელები ამაოდ ცდილობენ სურსათი მიაწოდონ ალყაში მყოფ თავიანთ გარნიზონს. მაგრამ იგი განადგურდება... საბჭოთა ჯარები ვისლასთან დგანან და მეორე ნაპირზე უკვე იღებენ ხიდწინა სიმაგრეს. სლოვაკიაში პარტიზანები ბოლოს უღებენ გერმანელთა უკანასკნელ ბანდებს. ჰოლანდიაში იდუმალად იკარგება მეტრიკული წიგნები...

რულანტმა სერიოზულად დამიქნია თავი, პირდაპირ იცქირებოდა, და ჩემს ტონზე დაიწყო ლაპარაკი:

— დორდრეხტში ამ ბანდიტებმა მიითვისეს ბრაბანტიდან ჩვენი შვილებისათვის გამოგზავნილი სურსათის ამანათები...

— სწორია, — დავუმოწმე მე. — მაგრამ დორდრეხტის წინააღმდეგობის მოძრაობამ მათ საკადრისი პასუხი გასცა: ციხეს თავს დაესხნენ და ოთხმოცზე მეტი პატრიოტია განთავისუფლებული...

— ადვილი წარმოსადგენია, — თქვა რულანტმა, — როგორი რეპრესიები დაიწყება.

— უკანასკნელ რეპრესიებს ჩ ვ ე ნ განვახორციელებთ, რულანტ, — ვუთხარი მე.

ბოლოს მან თავისი ნაცრისფერი თვალები მომაპყრო. იგი თითქოს ერთიანად შეირხა, როგორც წყლიდან ამოსული ძაღლი შეირხევა ხოლმე და გაიბერტყავს წყლის წვეთებს.

— სწორი ხარ, — მითხრა მან. — ისინი წირვაგამოსული არამზადები არიან... დარდი მომერია, ხანა.

— ახლა ყველას ეგ აწუხებს, — ვუთხარი მე. — მაგრამ შენთვის ეს არ შემიმჩნევია...

სამხედრო ცნობები მართლაც ისეთი იყო, რომ მე ისევ მოვიკრიბე სულიერი ძალა. ისევ გაიმართა გაცხოველებული საუბარი. ტიკას უცებ ასეთი აზრი დაებადა:

— რა იქნება, ჩვენც რომ გავაკეთოთ ბიულეტენები, გაზეთ „დე ვაარხეიდის“ ბიულეტენების მსგავსი, რომ რამდენიმე სიტყ-

ვით გადავცეთ მნიშვნელოვანი ცნობები? იმათთვის, ვისაც ახლა რადიომიმღები აღარა აქვთ, ან არ შეუძლიათ მისი ჩართვა?

— მართალია, — დაცინვით თქვა ვიხერმა, რომელმაც თავისი ჩვეულებრივი დუმილი დაარღვია, — მერე ქალაქში გავაკრათ ეს ბიულეტენები, არა?

— რატომაც არა? — თქვა ტინკამ. — თუ პარტია ნებას დაგვრთავს..

— გაბედავთ კი? — იკითხა ვიხერმა, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ გამბედაობას არავის დავესესხებოდით.

— ტინკა, — შევთავაზე მე, — ამაზე თვითონ უნდა მოველაპარაკოთ პარტიულ ხელმძღვანელობას... ჩემი აზრით, შესანიშნავი რამ მოიფიქრე.

იმავე დღეს მივედი სიმონ ბ.-სთან. პოლიტმეცადინეობის ორი-სამი დღის შემდეგ მას ვკითხე, რა თქვა პარტიის ინსტრუქტორმა ჩვენი გეგმის შესახებ, ბიულეტენების გაკვრაზე-მეთქი, და სიმონ ბ.-მ მიპასუხა.

— გეგმა მოიწონეს... რა თქმა უნდა, ეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული. იმის მიუხედავად, თუ როდის გააკრავთ ბიულეტენებს — დღისით თუ ღამით. ასეთი საქმის სარგებლობის გათვალისწინება ძნელია. მაგრამ მათ შეუძლიათ ხალხის მორალურად გამხნევება, სწორედ ეს იქნება თქვენი ამოცანა... იმდენი ხალხი იღუპება შიმშილისაგან, ეს ზამთარი კი უფრო სასტიკი იქნება.

— ესე იგი, მოიწონეს ჩვენი გეგმა? — ისევ შევეკითხე მე. — და შეგვიძლია ვიმოქმედოთ ჩვენი სურვილის მიხედვით?

— კი, შეგიძლიათ, — მიპასუხა სიმონ ბ.-მ.

ჩვენ მოვახერხეთ შავი ლაქის საღებავისა და ფუნჯის შოვნა, საღებავი მაშინ დაგვრჩა, როცა ველოსიპედები მოვიტაცეთ და შევღებეთ, წვრილი ფუნჯები კი რულანტმა ფილიპ მოონენისგან ინათხოვრა. ყოველ საღამოს, როცა გაზეთს ვბეჭდავდით, რომელიმე ჩვენგანი ბიულეტენსაც აკეთებდა. პირველ ხანებში ცუდი გამოგვდიოდა, ასოები ძალიან დიდი იყო და ფურცელზე მხოლოდ ნახევარი ცნობა გვეტეოდა; გარდა ამისა, ვერაფრით ვერ გამოვითვალეთ, თითოეულ სტრიქონზე რამდენი ასო დაეტეოდა. მაგრამ ერთი კვირის მერე გავიწაფეთ. ბიულეტენებს ვახვევდით მილაკივით და გაზეთებთან ერთად ვალაგებდით ველოსიპედების ჩანთებში. რომელიმე ჩვენგანს ფუნჯი და წებოიანი ქილა მოჰქონდა. როცა გზაჯვარედინზე არავინ ჩანდა, ჩამოვდიოდით ველოსიპედებიდან, რომელიმე სახლის კედელს წებოს წავუსვამდით და ზედ ბიულეტენს მივატყეპ-

ებდით, ხელით გავასწორებდით და აუჩქარებლად განვაგრძობდით გზას.

მალე გავიწაფეთ ბიულეტენების სწრაფად და გაბედულად გაკვრაში. ორიოდე კვირის შემდეგ ამ საქმეს უკვე ელვის უსწრაფესად ვაკეთებდით. ახლა ტექნიკა სხვანაირი გვქონდა: ერთი ჩვენგანი ბიულეტენს უკუღმა გაფენდა ველოსიპედის დასაჯდომზე, მეორე ზედ წებოს წაუსვამდა, მესამე კი აიღებდა დასველებულ ბიულეტენს და აკრავდა კედლებზე, ბოძებზე ანდა სარეკლამო ტუმბაზზე — ყველგან, სადაც გვინდოდა. თითო-თითო გამვლელს ყურადღებას არ ვაქცევდით. გავთამამდით. ერთხელ ჩვენი პლაკატი საპოლიციო უბნის გვერდით კედელზე, ფანჯრებს შორის გავაკარით, ვიღაც გამვლელის თანდასწრებით. იგი ცნობისმოყვარეობით გვადევნებდა თვალს; როგორც კი კედელზე ბიულეტენი შენიშნა, მაშინვე მივიდა, მაგრამ შეხედვისთანავე მოკურცხლა. მეორეჯერ ჩვენი ბიულეტენი კერძა ელების Bekanntmachungen[1]-ს ზედ დავაკარით. მას შემდეგ თავისებურ სპორტად გვექცა ბიულეტენების დაწებება გერმანელების განცხადებებზე, სს-ის ჯარების შემკრებ პლაკატებზე, ანტიინგლისურ კარიკატურებსა და ყველაფერზე. რაც ნაცისტების სამზარეულოდან გამოდიოდა ძლევამოსილი გამარჯვებების ახალი ამბებით.

„რუსებმა ვისლაზე ხიდწინა სიმაგრეები გააფართოეს. საბჭოთა ჯარების მასობრივი შეტევები ზემო სილეზიაში. ამერიკელები წინ მიიწევენ ფილიპინებში. რუნდშტედტი იძულებულია თავისი ჯარის ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე გააგზავნოს. ამერიკელები თოვლიან შტორმში ნელა უტევენ არდენთან“.

ამ იანვრის დღეებში ჰარლემშიც ხშირად თოვდა. თუ არ თოვდა, დღისით ჩვენი ბიულეტენების გაკვრა გვიჭირდა. ხანდახან, როცა ბიულეტენს გავაკრავდით, თვალსაც არ დავახამხამებდით, ისე ვიდექით შორიახლო და ვაკვირდებოდით, ჩვენი ცნობების დანახვაზე როგორ იქცეოდნენ გამვლელები. ზოგიერთები გაჩერდებოდნენ, შეშინებულები მიმოიხედავდნენ, სასწრაფოდ წაიკითხავდნენ ბიულეტენს და სწრაფადვე მიდიოდნენ. სხვები ფეხებს ძლივს მიითრევდნენ და ისე ჩაუვლიდნენ გვერდით ბიულეტენს, რომ ვერც შენიშნავდნენ. ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე ხმადაბლა კითხულობდა ბიულეტენს, თან იცინოდა. ერთხელ ახლადგაკრული ბიულეტენის

[1] განცხადებები (გერმ.).

წინ პოლიციელი შეჩერდა. მან ნელა და ყურადღებით წაიკითხა ბოლომდე და მერე სარეკლამო ტუმბას ფურცელი ააგლიჯა... ჩვენ გვაოცებდა ის ამბავი, ძალიან ცოტა სიძნელეებს რომ ვაწყდებოდით და თითქმის არ შეგვიმჩნევია, სიფხიზლის გამოჩენა. ერთი მხრივ, ეს გამბედაობას გვმატებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასოდეს ვიგვიწყებდით რევოლვერების წაღებას. ყოველ მოსახვევში შეიძლებოდა სასიკვდილო ხიფათს გადავყროდით. ალყები გრძელდებოდა. გერმანელები ხალხს მეტრიკული წიგნების მიხედვით ეძებდნენ. ამსტერდამში მთავრობასთან გამოცხადდა რამდენიმე კაცი მოხალისედ. როგორც ჩანს, ისინი შიმშილმა აიძულა—მათ იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელებისგან დამატებით მიიღებდნენ სურსათს. ისინი გამოცხადდნენ იმისათვის, რომ შეედგინათ იმ ადამიანთა სია, რომელთა გარეკვაც შეიძლებოდა სამუშაოზე „შრომითი ბეგარის“ წესით. მოხალისეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს ამის გამო. წინააღმდეგობის წევრებმა მაშინვე ფეხდაფეხ დაუწყეს მათ დევნა. ერთხელ, როცა ასეთი ჯგუფი კანტორიდან გამოდიოდა, გაისმა ბათქი, ათი კაცი ეყარა თოვლზე. ახლა ჩვენ ყოველი ბიულეტენის ბოლოს ვწერდით საგულისხმო ლოზუნგებს: „ჰ ო ლ ა ნ დ ი ე ლ ებ ო, შ ტ კ ი ც ე დ გ ა ნ ა ც ხ ა დ ე თ უ ა რ ი გ ე რ მ ა ნ ი ა ში ს ა მ უ შ ა ო დ წ ა ს ვ ლ ა ზ ე! დ ა ე ხ მ ა რ ე თ ე რ თ მ ა ნ ე თ ს, რ ა ც კ ი შ ე ს ა ძ ლ ებ ლ ო ბ ა გ ა ქ ვ თ!“

ყველანი ვშიმშილობდით. რულანტმა გააკეთა ის, რისიც დიდი ხანია გვეშინოდა. შეამცირა ჩვენი ულუფა. შვედეთიდან მომავალ სურსათით დატვირთულ გემზე რაღაც შორეული მირაჟივით ლაპარაკობდნენ. შიმშილმა იმ ზომას მიაღწია, რომ ყველას სიკვდილით ემუქრებოდა. საკმარისი იყო ნახევარი საათი გვებეჭდა, რომ უკვე თვალები გვიჭრელდებოდა; ვიდრე მუშაობას შევუდგებოდით, დიდხანს უნდა დაგვესვენა. ველოსიპედებით გაზეთების ტარება წამებად გვექცა. ბიულეტენების გაკვრა ცოტა შევამცირეთ, თუმცა ისევ ღირსების საქმედ მიგვაჩნდა ეს ამბავი. თუ ფელზენში მოგვიხდებოდა წასვლა, შტაბში თითქმის გულწასულები მივდიოდით. რამდენჯერმე გვაძლევდნენ საჭმელს მოსამაგრებლად. მაგრამ ამ საჭმლის ხარისხი ისეთი აღარ იყო, როგორიც დეკემბერში. ხალხი ჭკუიდან შესაშლელ ფასს იძლეოდა ერთ კარტოფილსა და ერთ ფინჯან ლობიოში. ახლა ხშირად შეიძლებოდა გზის პირას დავარდნილი მიცვალებულების ნახვა; ჩვენც კი აღარ ჩამოვდიოდით ველოსიპედებიდან, როცა უსულო გვამს ვნახავდით კედელთან ან სადარბაზო შესასვლელთან. მიცვალებულების მქრქალი-ლურჯი კანი იმას

მოწმობდა, რომ სიკვდილი შიმშილით იყო გამოწვეული, როცა ვხედავდით არაბუნებრივად მოკუნტულად მწოლიარე ადამიანს, ვხვდებოდით, რომ მისი სიკვდილის მიზეზიც შიმშილი იყო.

უნაყოფო კვალი

I

ადრინდელივით ფელზენელებისგან ვღებულობდით და ვარიგებდით შეკრულებსა და წერილებს. როგორი მტანჯველი იყო ეს ხან სწორი, ხან მიხვეულ-მოხვეული გზები, რომლებსაც თითქოს ბოლო აღარ უჩანდა, განსაკუთრებით თუ თოვდა. გზადაგზა წამდაუწუმ ვისვენებდით; ვიადუკებს ქვეშ, მწვანე ხერგულებთან, ბოსლებთან, ხრეშის გროვებთანაც კი, რომლებიც ვინ იცის, რამდენი ხანი ეყარა იქ. მეისფელტი ხშირად იყო ფელზენის შტაბში და ყოველთვის ჰქონდა ჩვენთვის საქმე. ხანდახან დაჯინებით მოითხოვდა, რომ დავალება შეესრულებინა ჩვენგან მხოლოდ ერთს; იგი ამბობდა, ორი და, მით უმეტეს, სამი ქალიშვილი ერთად ეჭვს გამოიწვევსო. რა ცნობებს გვატანდნენ, არასოდეს არ გვეუბნებოდა. ჩვენც არ ვეკითხებოდით. მაგრამ ერთხელ ანი გაგზავნა ჰაგაში და შეკრული გაატანა ერთ კაცთან, რომელსაც ხაზეს ეძახდნენ. ანი წავიდა მითითებული მისამართით და დიდი ხნის აქეთ-იქით სიარულის შემდეგ მიაგნო საჭირო ადგილს. ეს კაცი „უშიშროების სამსახურის“ თანამშრომელი აღმოჩნდა. ანი ძალიან შეწუხებული დაბრუნდა.

— რა ოინებს აწყობენ ესენი! — აღშფოთებული იყო იგი. — მირჩევნია ვისროდე, ვიდრე ჩიქორთული გერმანული ენით ავუხსნა რამე გერმანელს, რომელიც ქათინაურების თქმას ცდილობს.

როცა ფელზენში ისევ მოგვიხდა წასვლა, უკმაყოფილება გამოვთქვი მეისფელტის დავალებებზე. თვითონ არ დაგვხვდა შტაბში, რაც ძალიან ვინანე. მაგრამ პაულის და კაპიტანს ვკითხე, რა განზრახვა ჰქონდა მეისფელტს, ერთ-ერთი ჩვენგანი ჯაშუშთან რომ გაგზავნა-მეთქი. კაპიტანმა საყვედურით შემომხედა, მაგისტრმა პაულმ კი მხარზე ხელი დამკრა:

— კავშირი, ქალბატონო ს...

— „კავშირი“ — აქ მაგიური სიტყვაა, — ვთქვი მე. — ჩემი ამხანაგი ამბობს: „მე სროლა მირჩევნიაო...“ და მეც ვეთანხმები.

— მე თქვენ გაგაფრთხილეთ, რომ გექნებათ რთული და ადვილი დავალებებიც, — განაცხადა პაულმ.

ჩემდა უნებურად ანის სიტყვები გავიმეორე:

— რა ოინებია? ვერმახტის ან სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხალხთან კავშირი კიდევ მესმის... იქ არიან ადამიანები, რომლებსაც ძალდატანებით დააწყებინეს მუშაობა. მაგრამ „უშიშროების სამსახურის“ ხალხთან და ესესელებთან კავშირი... მათ თავისუფლად აირჩიეს პროფესია. ესენი დაუძინებელი მტრები არიან.

კაპიტანტს სახე თითქოს დაუგრძელდა და საზიზღარი გაუხდა; ნაიარევი გაუთეთრდა.

— ქალბატონო ს., — მითხრა მან, — თქვენ იცით, როგორ ვაფასებთ თქვენს თანამშრომლობას. მაგრამ არაფერი გვავალებს, ანგარიში ჩაგაბაროთ ჩვენი შეხედულებებისა და ზრახვების შესახებ... ეს ხომ ომია.

— და ჩ ვ ე ნ ჯარისკაცები ვართ, — განვაცხადე მე, ისე, რომ ხაზი გავუსვი სიტყვა „ჩვენს“. მაგრამ ვგრძნობდი, რომ იგი თავისებურად მართალი იყო.

— სწორედ ასეა, — მითხრა მან მშვიდად, თითქოს მიდასტურებდა, რომ მე სწორედ გავიგე მისი ნათქვამი.

— ვალდებული არ ხართ ჩვენი დავალებები შეასრულოთ, მაგრამ სასურველი იყო წინასწარ გაგვეფრთხილებინეთ. რატომ უნდა დავკარგოთ ზედმეტი დრო თქვენი კომენტარების მოსმენაში?

ვბრაზობდი, შეურაცხყოფილი ვიყავი, მაგრამ ვეცადე თავი შემეკავებინა და წამოვედი. ფელზენელებთან საუბარი ანსა და ტინკას გადავეცი. ისინიც შეურაცხყოფილად თვლიდნენ თავს; სიმართლე რომ ვთქვა, ნამდვილად არ ვიცოდით, რატომ. ინჟინრის არგუმენტები უცილობელი ჩანდა. დავალებას ასრულებენ — მორჩა და გათავდა. ანდა წინასწარ უარს აცხადებენ, და აი, სიტყვები „ოინებს აწყობენ“ მესამედ ითქვა, ახლა ეს სიტყვები ტინკამ წარმოთქვა.

— რა ოინებს აწყობს ეს ხალხი? რა შუაშია აქ ხაზე? როგორ განთავისუფლდა მეისფელტი ამერსფორტის ბანაკიდან? საიდან გამონახეს პაული?

— როგორ, რა, რატომ... — ვთქვი მე. — უცნაურია, რომ ჩვენთან, წინააღმდეგობის საბჭოში მსგავსი შეკითხვების მიცემა არ გეჭირდება.

— სამაგიეროდ ჩვენ არავითარი „კავშირი“ არა გვაქვს, — ღვარძლიანად თქვა პატარა ტინკამ.

ერთ კვირაზე მეტი აღარ გამოვჩენილვართ ფელზენში. სწორედ

ამ კვირაში რუსები საბოლოოდ შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიაში, მაშინ კი გერმანიაში ქაოსი დაიწყო. ბერლინი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ბრძოლის კრიტიკული სტადია დადგა...

— და ისინი ამას „კრიტიკულ სტადიას“ ეძახიან! — აღშფოთებულები ვიყავით ჰარლემის შტაბში. — მათი ჯარები ათასობით ბარდებიან ტყვედ... მატერიალურ ნადავლს ვინ მოთვლის. მთელი აღმოსავლეთის ფრონტი ფაქტიურად იშლება. ის ჯარები, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძვიან, რუსებზე ხშირად ესვრიან თავიანთ გაქცეულ ჯარისკაცებს, რომლებმაც ყველა გზები გაავსეს... რუსებს ვეღარ მისწვდებიან. რუსებს ისეთი ზარბაზნები აქვთ, რომ მათი ჭურვები თითქმის ნახევარ პოლონეთის მანძილზე წვდება... და გერმანელები ამას „კრიტიკულ სტადიას“ უწოდებენ!

რულანტიც კი გამხიარულდა და ლაპარაკი დაიწყო სწრაფ დასასრულზე. ჩვენ გამარჯვებების მაუწყებელ ბიულეტენებს ვაკრავდით ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდებოდა. ერთხელ ველოსიპედით დაგვედევნა ფაშისტთა დამხმარე პოლიციის მოსამსახურე. ეს ამბავი სასეიროც კი იყო. ტინკამ ესროლა და სალტე გაუხვრიტა: პოლიციელი თოვლში გადავარდა. სხვათა შორის, უფრო შიშისგან: იგი არ მოელოდა, რომ ვესროდით.

მეორე კვირას მაინც წავედით ფელზენელებთან. არენდმა გვითხრა, ბრძანება მივიღე, ამიერიდან ზევით აღარ აგიშვათო. შემოგვთავაზეს „ჯარისკაცებთან“ დარჩენა; თუ რამე საქმე ექნებოდათ, შეგვატყობინებდნენ.

— აჰა, — ვთქვი მე და ანსა და ტინკას გადავხედე, მერე ისევ არენდს შევხედე.—ეს სასჯელია ურჩობისათვის...

არენდმა გაკვირვებით ასწია წარბები, და მე მოკლედ ვუამბე, წინა მოსვლაზე როგორ გავილაშქრე იერარქიის წინააღმდეგ, უფრო სწორად, იმ მანერის წინააღმდეგ, როგორითაც ექცევიან ხელქვეითებს, რაც წესად აქვთ მიღებული აქაურ ხელმძღვანელობას, რომლებიც ჩვენი მომსახურებით სარგებლობენ.

—ყველაფერში წესრიგია საჭირო, — თქვა არენდმა სერიოზულად, და ვერ მივხვდი, იგი მართლა ასე ფიქრობდა თუ არა. ჩემი აზრით, ეს მეტისმეტად გერმანულად ჟღერდა.

მართალი რომ ვთქვა, არც ისე არასასიამოვნო იყო ქვევით, ამხანაგებთან ჯდომა. მათთან დაწვრილებით შეიძლებოდა სამხედრო ცნობების განხილვა. მათ იცოდნენ ახალი ამბები, რომლებიც ჯერ ჩვენ არ გაგვეგო: ინგლისელებმა ახლახან დაბომბეს ჭურვების მმართავი ქარხანა დორდრეხტში.

— საწყალი დიდრეხტელები, — ვთქვი მე. — ჯერ მათ საბოტაჟისთვის ლანძღავდნენ, როცა იმ წყეულ ჭურვებს არ სურდათ აფეთქება... ეს შემთხვევაც მათ დანაშაულად ჩაეთვლებათ.

— გერმანელებს ახლა ყველგან საბოტაჟი ელანდებათ, — გაიცინა ერთმა ფელზენელმა, ღაწვმაღალმა ჭაბუკმა. — განა ტყუილად ელანდებათ... იმის გამო, რომ მეტრიკის წიგნები იკარგება, გერმანელებმა პოლიციიდან ორასი ოფიცერი დააპატიმრეს და სადღაც უპირებენ გაგზავნას.

— მეტრიკის წიგნები მაინც დაიკარგება, — თქვა კიდევ ვილაცამ.

— სამწუხაროა, რომ გერმანელები მათთან ერთად ვერ გააპახლებენ მთელს ჩვენს ხალხს, — გამქირდავად ამბობდა მესამე.

— შენ ირონიულად ლაპარაკობ, — თქვა არენდმა — მაგრამ გერმანელებს არასდროს დაუმალავთ, რომ ისინი ნამდვილად ფიქრობენ ომის დამთავრების შემდეგ პოლონეთში გაგზავნონ ჰოლანდიელების უმეტესი ნაწილი „მუშა საქონლის“ სახით. იმისათვის, რომ უმაღლესი რასის ხალხს — გერმანელებს — შეეძლოთ ჩასახლდნენ აქ, ჩვენს სახლებში და იპარპაშონ ჩვენს მიწა-წყალზე.

— მოწყალეო ღმერთო. — ვთქვი მე. — გერმანელებმა მხოლოდ იმიტომ იციან სად არის პოლონეთი, რომ იქედან მოედინება ცუცხლი, რომელიც ნაცარტუტად აქცევს მათ ფუყე დიდებულებას...

— მშვენივრადაა ნათქვამი, — შენიშნა არენდმა.

ისევ რუსების შემოტევაზე დავიწყეთ ლაპარაკი. და მხეცობაზე, რომელიც აღმოაჩინეს საბჭოთა ჯარებმა, როცა გაანთავისუფლეს სამხედრო ტყვეების სიკვდილის ბანაკები. ბი-ბი-სიმ პირველად გადმოსცა ცნობა ბანაკებზე, რომლებიც ესესელებმა მოაწყვეს პოლონეთში ებრაელების გასანადგურებლად. თუ წინათ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა ამ ბანაკებში მომხდარ საშინელებებზე, ახლა სრულიად ნათელი გახდა ფაშისტების საშინელი, ჯოჯოხეთური განზრახვა. ათასობით ერთმანეთზე დაყრილი გვამებით სავსე თხრილები. აირის საკანები, რომლებიც შეუჩერებლივ ხრჩოლავდნენ. მათ მიერ დახოცილებისგან დატაცებული, სანიმუშოდ დახარისხებული ქონების საწყობები და უსახელო ადამიანების პირდაპირ მიწაზე დაყრილი, ნახევრად გახრწნილი შიშველი გვამები. ლაბორატორიები, სადაც ნაცისტების ექიმები ებრაელ ქალებზე აწარმოებდნენ ისეთ ექსპერიმენტებს, რომლებიც მეტისმეტად მძიმედ ითვლებოდა ვირთხებისა და კატებისთვის. ბავშვების მასობრივი

პროცესიები, რომლებსაც აიძულებდნენ სიმღერით შეხვედროდნენ გაზით დახრჩობას. ესესელი ქალები, რომლებიც ადამიანებს სცემდნენ წინა პარტიებთან მოყვანილი ებრაელების მყესებისაგან დაგრეხილი მათრახებით. ესესელების ციხის ზედამხედველები, რომლებიც საღამოობით კლასიკურ მუსიკას უსმენდნენ მაგიდის ლამპის შუქზე, რომელსაც ებრაელების ტყავისგან გაკეთებული შუქფარი ჰქონდა.

ეს ყველაფერი ვიცოდი და თვითონ ვათავსებდი ჩვენს გაზეთში, და მიუხედავად ამისა, როცა მოვისმინე, როგორ ლაპარაკობდა ხალხი ამ ამბავს ხმამაღლა, ცუდად გავხდი. აღშფოთება, გაცივებულ ლავასავით, შეუვალი ჯავშანივით იცავდა ჩემს სულს. მაგრამ ახლა მგრძნობიარე და უნებისყოფო გავხდი, დავიწყე ჩაფიქრება — ანისა და ტინკასავით, — ახლაც ვიგრძენი, რომ ვფითრდებოდი. თვალწინ მედგა ტანია ისეთი, როგორიც იყო იგი ვესტერბორკის ციხიდან გამოქცევის შემდეგ. ის იყო დავაპირე არენდისთვის მეთხოვა, ღვთის გულისათვის სხვა რამეზე ვილაპარაკოთ-მეთქი, რომ ზევით დაგვიძახეს.

აქ იყვნენ მაგისტრი პაული, კაპიტანი და კიდევ მესამე მამაკაცი. იგი ჩვენთვის არ გაუცვნიათ. მან საკმაოდ პირქუშად, მაგრამ კეთილმოსურნედ დაგვიკრა თავი, საიდანაც დასკვნა გამოვიტანე, რომ მას უკვე უამბეს, ვინ ვიყავით ჩვენ და რას წარმოვადგენდით.

მაგისტრი პაული და კაპიტანი რიგ-რიგობით ლაპარაკობნენ, მესამე კაცი კი უსმენდა მათ და მოწონების ნიშნად თავს უქნევდა. გამოირკვა, რომ მათ ჩვენი სამსახური დასჭირდათ საშიში პიროვნების ლიკვიდაციისათვის. როგორც გადმოგვცეს იგი ქალი იყო. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს. ამასთანავე ეს ქალი ჰოლანდიელი არ არის, იგი ფრანგია, — ხაზგასმით აღნიშნა პაულმ. მას მადამ შევალს ეძახდნენ. იგი პეტენის მომხრეა ანდა, ყოველ შემთხვევაში, ჰიტლერის თაყვანისმცემელი. იგი აქტიურად თანამშრომლობს გერმანელებთან და, მიუხედავად ამისა, ჰოლანდიის გამოჩენილ წრეებში თავს ანტიფაშისტად ასაღებს. მესამე თანამოსაუბრემ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი:

— ოჰ, რა არის პეტენი და ჰიტლერი, შეგიძლიათ მათ თავი დანებოთ... იგი ჩვეულებრივი ჯაშუშია, დამბეზღებელი.

— რაც არ უნდა იყოს, ასეთი ტიპის ქალი, — თქვა პაულმ, — მეტისმეტად საშიშია ჩვენი იატაკქვეშეთისათვის. და იგი უნდა გაქრეს. რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესია.

ხმას არ ვიღებდით. ალბათ, სამივე ერთსა და იმავეს ვფიქრობდით. არც ერთ ჩვენთაგანს ქალი არ მოუკლავს. ქალები—მხეცებიც კი, რომლებიც ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში მძვინვარებდნენ, არ გამხდარან ჩვენი რევოლვერის მსხვერპლნი... ასე, ესე იგი, ჯაშუში, დამბეზღებელი?

— არაფრის თქმა არ გინდათ? — გვკითხა კაპიტადტმა, რომელიც ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან—მეორეს.

— ჯერ ძნელია რამის თქმა, — ვუპასუხე მე. — მადამ შევალი ფრანგი ქალია და გერმანელების ჯაშუში... მერე?

მესამე, ჩვენთვის უცნობი მამაკაცი, ტყავის სავარძლის კიდეზე აკაკუნებდა თითს.

—დიახ, მერე... — გაიმეორა მან. — მართალია. სწორედ ახლა დავკარგეთ ამ ქალის კვალი. სულ ახლახან იგი ხემსტედში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩუმად მიიმალა. ამასობაში იგი ჰარლემში რამდენჯერმე ნახეს ჩემმა კოლეგებმა. შორს წასვლას ვერ მოახერხებდა.

— ჰარლემელმა კოლეგებმა? — ვკითხე მე, თითქოს ეჭვი არაფერში შემპარვიაო. უცნობის პიროვნება ჩემთვის თანდათან ნათელი ხდებოდა.

— დიახ, პოლიციაში... მე ინსპექტორი ვარ, — თქვა მან ცოტა გაბრაზებულმა, თითქოს შენიშნა, რომ ზედმეტი წამოცდა და ინანა. პაულიმ და კაპიტადტმა სწრაფად გადახედეს ერთმანეთს, როცა ასეთი აღიარება გაიგეს. ჩვენ კი ისეთი სახე მივიღეთ, თითქოს აქ არაფერიაო, მაგრამ, მე გავიფიქრე: მაშასადამე, ეს ყოფილა პოლიციის პისტოლეტების მომწოდებელი...

—ჩვენთვის ძნელია რაიმეს გაკეთება, თუ არ გვეცოდინება, სად უნდა ვეძებოთ ეს ქალი, — თქვა ანმა.

— თქვენ, ალბათ, არაერთხელ გიძებნიათ თქვენი მსხვერპლი, —შეგვეპასუხა ინსპექტორი, და მისი ტუჩის კიდეებზე სიმკაცრის ნაოჭები გამოჩნდნენ. მან, როგორც ჩანდა, ჩვენ შესახებ ბევრი რამ იცოდა, ეს ცხადი იყო: ჩვენ სამივე ნახსენები ვიყავით პოლიციის უწყებებში. ისევე, როგორც ყველა ის პირი, რომლებიც ჩვენ გავანადგურეთ (თუმცა სია სრული არ იყო).

— ჩვენ მაშინ ის მაინც ვიცოდით, სად დაგვეწყო ძებნა, — თქვა ტინკამ, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა.

— შემიძლია ძველი მისამართი მოგცეთ, — განაცხადა ინსპექტორმა. მან თავისი უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია, მისამართი ჩაწერა და გვითხრა:

— ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული წინააღმდეგობის თქვენნაირი მებრძოლებისადმი, რომლებიც ასეთი დაჟინებით ეძებენ იმას, ვისი პოვნაც უნდათ.

მან ეს ქათინაური ისე დათაფლულად წარმოთქვა, რომ აშკარად ჩანდა მისი სიყალბე. პაულიმ და კააპსტადტმა გულმოდგინედ დაუქნიეს თავი.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ამჯერადაც გაგიმართლებთ ბედი, — თქვა კააპსტადტმა, რომელმაც გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, თითქოს, ჩვენ უკვე თანახმანი ვიყავით.

გუნებაში გავიფიქრე, ხომ არ გამოგვეყენებინა შექმნილი მდგომარეობა, რომ პატარა შანტაჟი მოგვეწყო და მოგვეთხოვა ახალი რევოლვერები. ღმერთი ხედავს, ჩვენ შეგვეძლო მათი კარგად გამოყენება. მაგრამ თავი დავანებე ამ განზრახვას. ბოლოს და ბოლოს მეტისმეტად ამაყი ვიყავი ასეთი საქმისათვის.

— ჯერ ვერც დაგეთანხმებით და ვერც უარს გეტყვით, — განვაცხადე მე.

— ხვალ მოვალ და შეგატყობინებთ, რა გადავწყვიტეთ, — დასძინა ანმა.

მაგისტრმა პაულიმ მადლობის თვალით შემოგვხედა.

— რამდენადაც მალე იქნება, მით უკეთესია, — თქვა მან. — თქვენ უკვე იცით, როგორცაა საქმე: ეს არამზადა ყოველდღე დიდ ზიანს გვაყენებს... იგი ოკუპანტებთან განუწყვეტლივ აბეზღებს ადამიანებს.

გამოვემშვიდობეთ მათ, მივიღეთ, როგორც ყოველთვის, თითო სიგარეტი და ჰარლემში წავედით, ჩემ ცივ ოთახში, რომ საქმე აგვეწონ-დაგვეწონა.

— მაშასადამე, ამ ბატონებს ჰარლემის პოლიციასთანაც აქვთ კავშირი, — თქვა ანმა.

— ეს ვაჟი კი მათ პოლიციის პისტოლეტებს აწვდის, — განაცხადა ტინკამ.

— მაშინვე მივხვდი, — დავუდასტურე მე.

— რატომ ეშინიათ მათ ასე ძალიან ამ მადამის? — იკითხა ანმა. — თუ იგი ვინმე იმათგანს გასცემს, მათ შეუძლიათ მაშინვე განთავისუფლონ იგი. ანდა...

— ისე კი ჩანს, რომ ძალიან უნდათ მას გაუსწორდნენ, — ვთქვი მე.

— მათ ასევე უნდოდათ ყოფილ ესესელებს გასწორებოდნენ, — აღნიშნა ტინკამ. — განა ისინი ამდენად საშიშნი იყვნენ?

— ისინი ჰოლანდიელებს ძარცვავდნენ, — ვუპასუხე მე. —

მაგრამ არ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მადამ შევალი ასოციალური ელემენტი იყოს.

— ყოველი ფაშისტი ასოციალური ელემენტია, — შემისწორა ანმა.

ერთ განსჯა-განმგებლობაში ვიყავით. და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ საქმიდან მეტისმეტად ბევრის გამოჩხრეკა გვინდოდა. სხვა შემთხვევაში, როცა საჭირო იყო გამცემლებისა და ჯოლაბორაციონისტების განადგურება, დიდხანს არ ვაგვიანებდით და არ ვყოყმანობდით.

— მოდით, მაინც ვცადოთ. მისი კვალის მიგნება, — შემოგვთავაზა ბოლოს ტინკამ. მისმა ახალგაზრდულმა სიფიცხემ და ფათერაკებით გატაცებამ ჩვენც აგვიყოლია.

— ვერაფერს ვუხერხებ ჩემს თავს, — თქვა ანმა. — საერთოდ ძალიან დამაინტერესა ამ ამბავმა.

დავიწყეთ მადამ შევალის კვალის ძებნა ისევე, როგორც სხვების კვალს ვეძებდით. ჩვენ ხემსტედში წავედით აღნიშნულ მისამართზე. მშვენიერი შეკვრა გავაკეთეთ და ტინკა ამ შეკვრით ხელში შიადგა იმ სახლის კარებს, სადაც თავის დროზე მადამ შევალი ცხოვრობდა. მას უთხრეს, დიდი ხანია გადავიდა აქედანო. ტინკას ძალიან იმედგაცრუებული სახე ჰქონდა, აგრეთვე უთხრეს, ფრანგი ქალი ოვერფეენში პანსიონატში გადასახლდაო, მაგრამ სახელდობრ რომელში, არ იცოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ წავიღეთ პანსიონების სია და ველოსიპედებით წავედით ოვერფეენში და ყველგან ვიმეორებდით სრულიად უბრალო ხერხს — შეკვრით ხელში დადიოდა ტინკა. ხუთი მისამართიდან ოთხზე მადამ შევალს არავინ იცნობდა. მეხუთეში შევიტყვეთ, რომ იგი ვერმახტის ვიღაც ოფიცერმა წაიყვანა და პანსიონის მეპატრონეები გახარებული იყვნენ, რომ თავიდან მოსცილდათ ასეთი საეჭვო მდგმური — ეს უცხოელი ქალი!

—რას ნიშნავს „წაიყვანა“? — ვკითხეთ ჩვენ, — გინდათ თქვათ, რომ დააპატიმრა?

— არა, ალბათ, დაპატიმრებული არ არის. მოვიდა ავტომანქანა, სადაც მან ჩემოდნები ჩაალაგა და ბავშვიანად მხიარულად ჩაჯდა შიგ.

— ბავშვიანად? — ხელმეორედ ვიკითხეთ ჩვენ. არ ვიცოდით, რომ მას ბავშვი ჰყავდა.

— დიახ, მას სამი წლის ბიჭი ჰყავს... და გერმანელმა ოფიცერ-

მა დედა და შვილი ორივე წაიყვანა. მას შემდეგ მადამ შევალზე არავის არაფერი გაუგია.

ეს კვალი უნაყოფო გამოდგა. „დე ვაარხეიდის“ დარიგების დროს ფხიზლად ვადევნებდით თვალს, რომ იქნებ ფრანგი ქალის მაგვარი ეინმე შეგვენიშნა სადმე — ჩვენი აზრით, მას საკმაოდ მოხდენილი გარეგნობა უნდა ჰქონოდა. ფელზენში გამოჩენას ვეღარ ვბედავდით; იქ, აუცილებლად, მოთმინება დაკარგეს, რადგან ჩვენ პირველი გამარჯვების შემდეგ რაღაც ამოცანის წინაშე შევფერხდით.

შ ე კ რ უ ლ ა

ნაცისტები იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ შვედეთიდან გამოგზავნილი პურისა და მარგარინისგან. მის განაწილებას ხელი მოჰკიდა წითელმა ჯვარმა. რაც გერმანელ ხელისუფლებს შეეძლოთ გაეკეთებინათ, ის იყო, რომ მათ უნდა გაეცათ ტალონები, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა ამ სურსათის მიღება. ნახევარი ფუნთუშა და ნახევარი შეკვრა მარგარინი სულზე. ეს ულუფა პატარა თბილი კუნძული იყო შიმშილისა და ზამთრის გაჭირვების ზღვაში.

ცივ ზამთარს დასასრული არ უჩანდა, თითქოს ჰიტლერს თავისმა განგებამ ხელი შეუწყო პატიოსანი ხალხის წამებაში. ყინვა მატულობდა. ჯერ კიდევ თან გვქონდა შეკრულა, რომელიც ჰაგაში უნდა წაგვეღო მეისფელტის დავალებით. მაგრამ ჯერჯერობით ეს შეუძლებელი იყო. ჩვენ შტაბში პატარა ქურის სუსტ სითბოს ვეფიცხებოდით და ვოხრავდით. ამ ცივ დღეებში ცნობა მოვიდა იალტის კონფერენციის შესახებ. დიდი სამეულის ხელმძღვანელები ყირიმში შეხვდნენ ერთმანეთს, ისევე, როგორც, თავის დროზე, თეირანში ჰქონდათ შეხვედრა. უნდა განეხილათ საკითხი, როგორ დაემთავრებინათ ომი.

— დ ა მ თ ა ვ რ დ ე ს ო, გესმის რულანტ? — ვთქვით და ჩვენ უფროსს ვუბიძგეთ, რომელსაც ხშირად პესიმისტური განწყობილება შეიპყრობდა ხოლმე. მან რაღაც ჩაიბუტბუტა და მერე გვითხრა:

— ჯობია, ყური უგდეთ, მერე რას იტყვიან.

ინგლისის რადიომ დაწვრილებითი ცნობები გადმოსცა მოლაპარაკების შესახებ და ბოლოს ჩამოთვალა იალტაში მიღებული გა-

დაწყვეტილებები. გერმანია, გერმანელი ერი, საზეიმოდ აღნიშნა დიქტორმა, შესაძლებლობას მიიღებს დაუბრუნდეს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახს. გერმანული მილიტარიზმის მარადიულ ტირანიასა და აგრესიას კი ბოლო მოეღება. გერმანული მილიტარიზმი საერთოდ მოისპობა; ნაციზმთან ერთად მოისპობიან ომსმოწყურებული ბარონები, იარაღის მეფაბრიკეები, გენერლები და აგრესიის ის წყარო, რომელიც ევროპის წინააღმდეგაა მიმართული მას შემდეგ, რაც გერმანია არსებობს — სახელდობრ გერმანული არმია.

ჩუმად ვისხედით და ვფიქრობდით ოკუპირებულ ევროპაზე, საჩხრჩობელებზე, კედლებზე, რომლებთანაც ხალხს ხოცავდნენ. ციხეების ბნელ საკნებზე, ბანაკებსა და სულსახუთავებზე. ვფიქრობდით მკვდრებზე, რომელთა დამარხვა შეუძლებელი იყო კუბოებისთვის ფიცრების უქონლობის გამო. ტილოებში, ზეწრებსა და პალტოებში გახვეულ ცხედრებს სამბორბლიანი ველოსიპედების ეტლებში. ან ციგებზე სდებდნენ და სასაფლაოზე მიჰქონდათ. ხშირად მესაფლავეები მიცვალებულთა ნათესავებს მთელ პურს, ერთ პარკ ლობიოს ან ხორბალს სთხოვდნენ, ვიდრე გაქვავებულ მიწას ბარს დაჰკრავდნენ. ვფიქრობდით გერმანიაში გასაგზავნი ჩვენი თანამემამულეების ფასის მომატებაზე: გერმანელთა დამხმარე პოლიციაში მომუშავენი თითოეულ მათ მიერ დაჭერილი ჰოლანდიელისათვის ახლა ხუთ გულდენს ღებულობდნენ. ვფიქრობდით სურსათებიან ხომალდებზე, რომლებსაც ჩვენი თანამემამულენი ტვენტესა და გრონინგენიდან გზავნიდნენ გერმანულ „ფორტში“ ჰოლანდიაში, რომ ცოტათი მაინც დაეცხროთ შიმშილი თავიანთი თანამოძმეებისათვის, რომლებსაც ესესელები იჭერდნენ და იპარავდნენ... უხმოდ ვისხედით პატარა ღუმელთან. ყინვისგან ფანჯრის მინები გათეთრდნენ და აღარაფერი ჩანდა. ფანჯრის იქით კი გადაშლილი იყო თოვლის სქელი ფენითა და გაყინული ტალახის ქერქით დაფარული ჰოლანდიის მიწა: ასე მეგონა, ეს ქერქი ფარავდა მთელ დედამიწას და ამ ქერქის ქვეშ თავგანწირვით იბრძოდა და კვდებოდა კაცობრიობა, იმიტომ, რომ ასე ბრძანეს ერთმა მუჭა გერმანელებმა, რომლებიც ძალაუფლების წყურვილით იყვნენ გაცოფებულნი...

გავიდა კვირა, რომლის განმავლობაში ყინვამ სასტიკად გაგვაწამა და აი, წყნარი ამინდი დადგა. ჯერ კიდევ რვა გრადუსამდე ყინვა იყო, მაგრამ ქარი ჩადგა. ბოლოს გადავწყვიტეთ მეისფელტის შეკრულა ჰააგაში წაგვეღო; შეუსრულებელი დავალება დღითი დღე გვაწუხებდა. გადავწყვიტეთ, ამჯერადაც სამივე წავსულიყავით; გზებზე შემოწმებები და ალყები არ წყდებოდა, ამიტომ აუცილებ-

ლობის შემთხვევაში საჭირო იყო იარაღით ხელში დაგვეცვა ერთმანეთის სიცოცხლე.

გზას გავუდექით გზატკეცილით კი არა, არამედ სოფლის შარაგზებით რეიხენხუკზე, ლეივენხორსტზე, რეინსბურხისა და ფოორსხოტენის გავლით. ხშირად ვისვენებდით სხვა მგზავრებივით, რომლებიც გზაზე გვხვდებოდნენ — ველოსიპედებით, ხელის ურმებით, საბავშვო ეტლებით. თუმცა ცოტანი იყვნენ.

როცა ფოორსხოტენის მახლობლად ფლიტის არხთან მივედით, ვიგრძენით, რომ წინ წასვლის ძალა აღარ გვქონდა. ასე გვეგონა, ჩვენი მგზავრობა არასოდეს დამთავრდებოდა. მე გავჩერდი, ველოსიპედი დავაგდე, იგი დაღმართზე დავარდა, მასთან ერთად მეც წავიქეცი. ანი და ტინკაც ზუსტად ასევე მოიქცნენ. ლაპარაკი საჭირო აღარ იყო, ისედაც კარგად გვესმოდა ერთმანეთის; შიმშილისაგან ვკვდებით, ჩვენთვის ყველაფერი სულერთია, სასოწარკვეთილებამდე ვართ მისული. გზის პირას ვიწექი და ვფიქრობდი; აი, თურმე, როგორ ხდება ეს... თავს დამარცხებულად აღიარებ, ხელებს ასწევ, ფეხებს გაჭიმავ — დანარჩენს შიმშილი და სიცივე აკეთებს... ძლივს მოვერიე თავს, — მწვავე სურვილმა შემიპყრო, მორჩილად დავნებებოდი დაღლილობას და ტინკა შევანჯღრიე.

— ხუთი წუთი... მეტი არა, —განვაცხადე მე.

როგორც ჩანდა, ტინკაც ასევე ფიქრობდა. მერე ანი შევანჯღრიე. ერთმანეთს შევხედეთ და გავიმეორე:

— ხუთი წუთი, თორემ დაგვეძინება და ველოსიპედებს მოგვპარავენ.

ანმა თავი ისე დამიქნია, თითქოს მხოლოდ ამაში იყო საქმე... მხოლოდ ახლა შევნიშნე, როგორ გახდომოდა კისერი. მისი ახალგაზრდა, მშვენიერი სახე ნაოჭებითა და შავი ლაქებით დაფარულიყო. ტინკას უშიშარი სახე კი შიმშილისაგან დაგრძელებულიყო. ჩვენ ვთქვით „ხუთი წუთი", ეს ნიშნავდა: არ მივნებებოდით დაღლილობას, არ დაგვძინებოდა... ანი წამოჯდა კიდეც და მუხლებზე ხელები შემოიხვია. მან მითხრა:

— იცი, საინტერესოა, რა არის ამ შეკრულაში, რომელიც ტინკას უდევს ჯიბეში? იგი ზუსტად ისეთივეა, როგორიც მე „უშიშროების სამსახურის" ჯაშუშს წავუღე ერთ დროს.

— მერე რა რის აქ საინტერესო? — ვკითხე მე.

— ჰმ... მე ვიფიქრე... საინტერესო იყო გაგვეგო, რა არის შიგ.

— ეს უკვე მეისფელტის საქმეა, — ვთქვი მე.

— წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ს ა ქ მ ე ა, — დააზუსტა ანმა.

ერთმანეთს გადავხედეთ. ტინკამ კი თავისი დიდი ჯიბიდან შეკრულა ამოათრია. ყოველი მხრიდან შევათვალიერეთ, მსუბუქი იყო. შიგ ნამდვილად ხის ან მუყაოს კოლოფი იდო.

— კარგი, — უცებ თქვა ტინკამ. — შეკრულას ვხსნი.

— გაგიჟდი? — შეჰყვირა ანმა. — ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება.

— რატომ? შენ ხომ ამბობ, ეს წინააღმდეგობის მოძრაობის საქმეაო... ჩვენც ხომ ვმონაწილეობთ მასში.

ანმა ლოყაზე ხელი შემოიდო და ოდნავ გაიღიმა. — იქნებ, მართალი ხარ. მე, რა თქმა უნდა, ცნობისმოყვარეობა მკლავს.

— მეც, — დავძინე მე — მიდი, ტინკა, გახსენი. პასუხს ყველა ერთად ვაგებთ.

ტინკამ თავის თითებს სული შეუბერა და თოკის გახსნას შეუდგა. იგი არაფრით არ იხსნებოდა. რიგრიგობით ვითბობდით თითებს და ვცდილობდით კვანძის გახსნას, როგორც იქნა, გაიხსნა. ქაღალდი იმ წუთში შემოვხსენით, პატარა ბრტყელი ყუთი გამოჩნდა... „ოცდახუთი ცალი“ — წავიკითხე იარლიყზე; დახატულ ოქროს მედალსა და ჭრელ ეტიკეტს შორის კი — სიტყვები „Flor de Havana“[1].

— დალახვროს ეშმაკმა!.. — წამოიძახა ანმა. — სიგარებია!

— სიგარები? — ისე იკითხა ტინკამ, თითქოს მათმა ნახვამ და ხისა და თამბაქოს ნაზმა, სასიამოვნო სუნმა ვერაფერს მიახვედრა იგი. — ამისათვის უნდა ჩავიგდო საფრთხეში სიცოცხლე?

— განა ეს წინააღმდეგობის მოძრაობის საქმეა? ჯაშუშებისა და პოლიციის ინსპექტორების მომარაგება თამბაქოთი? — თქვა ანმა.

— ესეც შენი კავშირი, — ჩავილაპარაკე მე. — ჩვენ ფელზენელ მეგობრებს შეუძლიათ გაანთავისუფლონ ყველა, ვინც ნაცისტებს ჩაუვარდებათ კლანჭებში. ისინი გერმანული გულმოწყალებისაკენ გზას იკაფავენ ომამდელი ჰოლანდიური სიგარებით...

თვალებზე ცრემლები მომადგა — ამჯერად აღშფოთების ცრემლები. ჩემს დაღლილ, გათოშილ სხეულში ადრინდელი, დაუოკებელი ენერგიის ალმა იფეთქა.

— აბა, მორჩი, ტინკა, — ვუთხარი მე. — ისევ ისე შეკარი, როგორც იყო... თამბაქოს მივუტანთ ბატონ ინსპექტორ ბლესკენსს. მერე წავალთ მეისფელტთან და ახსნა-განმარტებას მოვთხოვთ.

არც ერთი ჩვენგანი აღარ გრძნობდა დაღლილობას. ფრთხი-

---

[1] ჰავანის ყვავილი (გერმ.).

ლად, თითებს ვითბობდით და ისე შევახვიეთ სიგარებიანი ყუთი. გზა განვაგრძეთ, გააფთრებულები ვაჭერდით ფეხებს სატერფულებზე. ჰააგაში მივაგენით იმ კაცის სახლს, ვისთვისაც პატარა ყუთი უნდა გადაგვეცა. გადავწყვიტეთ, მასთან მე და ტინკა ერთად მივსულიყავით. ყუთი ავიღეთ და გავწიეთ იმ სახლისაკენ, რომლის მისამართი მეისფელტმა პაპიროსის ქაღალდზე დაგვიწერა. დავრეკეთ და ცოტა შევიცადეთ. კარი გაგვიღო სვიტერიანმა კაცმა, რომელსაც პოლიციელის შავი შარვალი და ჩექმები ეცვა.

— ბატონი ბაკერი ბრძანდებით? — ვიკითხე მე.

მან თავით ფეხამდე შემათვალიერა მეტისმეტად უნდობლად, თუ არ ვიტყვით, ზიზღითო.

— ბაკერი? არა, — მოკლედ მიპასუხა მან. — ბაკერი აქ არ ცხოვრობს, მეც არავის ვიცნობ ასეთს... მე ბლესკენსს მეძახიან.

— მაშინ სწორია, — თქვა ტინკამ. — ჩვენ თქვენთვის შეკრულა მოგვაქვს ფელზენიდან, თქვენ იცით, ვისგანაც.

მამაკაცმა ოდნავ გამოღებული კარი ფართოდ გააღო და სწრაფად გვითხრა: — შემოდით.

თავი ამოვყავით გრძელ, არასასიამოვნო, ძალიან ნათელ დერეფანში, როგორებიც აქვთ ხოლმე ძველი მოდის, მაგრამ არა ჰოლანდიურ სახლებს. ბლესკენსმა ხელი გამოიწოდა შეკრულასკენ.

— მომეცით... და ერთი წუთი დამელოდეთ... ვნახავ, პასუხი იქნება საჭირო თუ არა.

არაფერი გვითქვამს. მხოლოდ ერთმანეთს გადავხედეთ და ლოდინი დავიწყეთ. ინსპექტორი ერთი წუთის მერე დაბრუნდა. აშკარა იყო, მას თითები ჩვენსავით არ ჰქონდა გაყინული, ან იქნებ კარგი ჯიბის დანა ჰქონდა. მის სახეზე აშკარად აღბეჭდილიყო სიამოვნება, თუმცა არ სურდა ამის გამომჟღავნება.

— პასუხი არ იქნება, — თქვა მან .— თქვენ კი გაწეული შრომისათვის მადლობა...

ერთხელ კიდევ შეგვათვალიერა დაკვირვებით, თითქოს ცდილობდა ამოეხსნა, ფელზენელ მეგობრებს რატომ ჰყავდათ ჩვენსავით შემოფლეთილი და საცოდავი დამტარებლები. მერე შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქაღალდის გულდენი ამოიღო. ცოტა გაუბედავად გაუწოდა იგი ტინკას.

— შეიძლება... — თქვა მან და წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო. ტინკამ სწრაფად და ბრაზიანად გააწყვეტინა.

— გმადლობთ! ფულს არ ვღებულობთ, ჩვენ წინააღმდეგობისათვის ვმუშაობთ.

სწრაფად წავედით გასასვლელისაკენ. ხმა არ ამოგვიღია, ისე

მივედით გზაჯვარედინამდე, სადაც ანი გველოდებოდა. მან კითხვით სავსე თვალებით შემოგვხედა.

— იმ რეგვენს ჩვენთვის გულდენის მოცემა უნდოდა... გულდენი ერთი პატარა ყუთი სიგარისათვის! — თქვა ტინკამ.

— არა, გაწეული შრომისათვის... — დავძინე მე.

— „პასუხი არ იქნება", — გამოაჯავრა ტინკამ პოლიციელი.— ჰა! პასუხისათვის ჩვენ თვითონ წავალთ ფელზენში.

ახლა, როცა ჩვენი მისია დამთავრებული იყო, სასუსტე ვიგრძენი. შეკრულა ჰააგაში იმიტომ მივიტანეთ, რომ ვალდებულების შეგნება და აღშფოთება გვაჩქარებდა, ახლა კი ჰააგის უკაცრიელ ქუჩაში ვიდექით დაღლილები, მშივრები, უმწეონი და დაბნეულად შევცქეროდით ერთმანეთს.

— ვაუბატონს გაუკვირდა კიდეც, რატომ გვქონდა ასე საცოდავი შესახედაობა, — ვთქვი მე. — ამის ამოკითხვა მის თვალებში შეიძლებოდა... ჩვენ კი ქანცი გავიწყვიტეთ, რომ ის და მისი მსგავსნი თამბაქოთი მოგვემარაგებინა! ახლა კი ნათელია, რა იყო ყველა შეკრულაში, რომლებსაც ჩვენ დავატარებდით — ხალფევეხში, ლეიდენში, ფრიცთან... იყო თამბაქო! ბრინჯი! ძეხვი!.. და, ღმერთმა იცის, კიდევ რა დაგვქონდა!

— ჩვენ კი დავქრივართ ველოსიპედებით, — თქვა ტინკამ, — ჯიბეში რევოლვერები გვიდევს და პოლიცია დაგვეძებს...

ისევ წავჩანჩალდით რეისვეიკისაკენ, ფლიტის არხისაკენ. მეტისმეტად გატანჯულები და გუნებაგაფუჭებულები ვიყავით იმისათვის, რომ ველოსიპედებზე შევმსხდარიყავით.

— ახლა მაგისტრი პაული და თუნდაც ინჟინერი აქ რომ იყვნენ, — თქვა ანმა, —გამოვარკვევდით, სად შეიძლება კარგი სადილის მიღება კერძო ფასად. ვფიქრობ, ცარიელი კუჭით მოგვიხდება, უკან დაბრუნება.

— ამდენი კილომეტრის გავლა... თავდაუზოგავად... — დავძინე მე.

პირველად ახლა დავინახე, რომ ტინკა უხმოდ ტიროდა. მისი ვიწრო მხრები თრთოდნენ, და მან თავის გამხდარ, გაწითლებულ სახეზე ხელი აიფარა.

— ტინკა, ტინკა! — ვამშვიდებდით ჩვენ.

სახეზე ისევ ხელმიფარებულმა ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— თუ მეისფელტს ან იმათი ბანდის რომელიმე წარმომადგენელს ვნახავ, ტყვიას დავახლი შუბლში... დავახლი, აუცილებლად დავახლი!

დიდხანს მოგვიხდა მისი დამშვიდება. ბოლოს და ბოლოს იგი დამშვიდდა. ცხვირი მოიწმინდა. უხმოდ შევახტით ველოსიპედებს და ფლიტის არხს გავყევით.

ბინდდებოდა, როცა არდენხაუტს ნალდენფელდამდე მივაღწიეთ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავისვენეთ თვლემით, რამდენჯერ ვებრძოდით ძილს, რომლის გამო ფეხზე ძლივს ვიდექით. ნელა მივდიოდით, თითქოს მექანიკურად ვასრულებდით მოსაწყენ, მომქანცველ პროცედურას. თითქოს ერთ ადგილას ვიდექით, ისე ნელა მიცურავდნენ ჩვენ გვერდით სახლები, ხერგულები, ტყის გაჩეხილი ადგილები, სადაც მხოლოდ ჯირკვები და დამტვრეული პატარა ხეებიღა იყო დარჩენილი. ნალდენფელდთან უკნიდან სუსტი ქშენა შემოგვესმა. ასე ქშენდნენ აირგენერატორიანი ავტომანქანები. მივხვდით, რომ ახლა გადაგვისწრებდა გერმანული პატარა სატვირთო მანქანა. მანქანამ ჩაგვიარა და კვამლი დააყენა; როცა მანქანას ჩვენთვის უნდა ჩაევლო, უცებ ყავისფერი ბრეზენტის ტენტის ქვეშ დავინახეთ თბილად ჩაცმული ჟანდარმი. როცა მან შეგვნიშნა, დაიხარა, რაღაც საგანი გამოიღო და გადმოგვიგდო. ძრავას ქშენის ხმასთან ერთად გაისმა ჟანდარმის დამცინავი ხარხარი. მან ხელი დაგვიქნია და სატვირთო მანქანასთან ერთად მოსახვევს მიეფარა.

ველოსიპედებიდან ჩამოვედით. ჟანდარმის გადმოგდებულ საგანთან ყველაზე ახლოს ანი აღმოჩნდა. იგი დაიხარა და პური აიღო — ჯარისკაცების ერთი ცალი მაგარი, შავი პური იყო.

— ღმერთო, როდისმე გინახავთ ასეთი რამ? — შესძახა ანმა.

მისი პირველი სურვილი იყო აეღო პური და თოვლით დაფარულ, გაყინული ბუჩქისკენ გადაეგდო. მე და ტინკა ხელში ვეცით.

— გაგიჟდი? — აღვშფოთდი მე. — საჭმელი საჭმელია!

პური გამოვართვი, რომ სამ ნაწილად გამეტეხა, უცებ ტინკამ უცნაური ტონით წარმოთქვა: — როგორც ჩანს, თქვენ ვერ იცანით, ვინ გადმოგვიგდო პური?..

უხმოდ შევხედეთ მას.

— პაული იყო! — თქვა ტინკამ ისეთივე უცნაური ტონით:— საველე ჟანდარმერიის ფორმაში.

— პაული? — გავიმეორეთ ჩვენ. ანმა ჰკითხა: — ისა, ეიმეიდენის დაბეტონებული სიმაგრიდან რომ იყო?

— იგი ხომ სამხედრო-საზღვაო ფლოტში მსახურობდა! — ვთქვი მე.

— გეფიცებით, პაული იყო, — თქვა ტინკამ. — გარდა ამისა... საველე ჟანდარმერიის რომელ თანამშრომელს მოუვა აზრად ჩვენთვის პურის გადმოგდება?

— მაგრამ, როგორც ჩანდა, იგი დაგვცინოდა, — შევნიშნე მე.
— იქნებ მოგეჩვენა, — მითხრა ანმა.

პური გავანაწილე და ჭამას შევუდექით, თან ამაოდ ვცდილობდით ამოცანის ამოხსნას, რომელიც — ის-ის იყო, მოგვცეს. საუტვირთო მანქანის ქშენა შორიდან ისმოდა. მგლებივით ვლეკდით და ვყლაპავდით პურს. უკანასკნელი თვეების განმავლობაში პირველად ვჭამდით კარგ პურს. ამან გამბედაობა და ძალა შეგვმატა, რომ ჰარლემამდე დარჩენილი გზა გაგვეელო. უცებ წვრილად დაიწყო თოვა. უკანასკნელი ჩვენი სიტყვები ისევ იმ შეუცნობელ კაცს ეხებოდა, რომელიც ფელზენში გავიცანით და რომელმაც ასე უცებ გამოიცვალა ფორმა.

ჟალიშვილი გისხოფი...

მეორე დღეს შვედური პური და მარგარინი უნდა მიგვეღო, ამიტომ ფელზენელებთან წასვლა გადაიდო — ახსნა-განმარტება გვინდოდა მათთვის მოგვეთხოვა სიგარებიანი პატარა ყუთისათვის, რომელიც მათი დავალებით წავიღეთ. შტაბში რაღაც ბანკეტისმაგვარი მოვაწყვეთ: ყოველ ჩვენგანს ერთზე მეტი სასურსათო ბარათი გვქონდა და ყოველმა ჩვენგანმა მთელი პური და გირვანქა მარგარინი მიიღო. ვეინანტმა თავისი დამატებითი წილი დაუთმო რულანტს, რომელსაც ბავშვები ჰყავდა. ვიხერმა კი ჩემი დამატებითი წილი ჩემს მშობლებს წაუღო. იგი, სხვათა შორის, მომიყვა, რომ რამდენიმე დღის წინ მან ჩემს მშობლებს ცოტა შეშა მიუტანა — დახერხილი რკინიგზის შპალები. ყველა კარგ გუნებაზე ვიყავით. პირველად ვფიქრობდით თეთრი პური პატარა ულუფებად დაგვეჭრა და გამოგვეზოგა, მაგრამ შიმშილისგან ისე გაწამებულები ვიყავით, რომ ერთ ჭამაზე შევჭამეთ მთლიანად, ნამცეციც კი არ დაგვიტოვებია. განსაკუთრებით აგვაღელვა იმ დღეს არალეგალურად გაგებულმა ცნობამ: ბენზინიანი და ნავთიანი ორი ხომალდი, რომელიც, ღმერთმა იცის, ოკუპანტებმა საიდან მოიყვანეს უტრეხტში, წინააღმდეგობის მებრძოლებს აუფეთქებიათო. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელები დიდ პარტიებად ბარდებოდნენ ტყვედ: ათობით ათასი ვერმახტის ჯარისკაცები იარაღს ყრიდნენ და რუსებთან მიდიოდნენ. ამერიკელებმა, როგორც იქნა, რუნდშტედტის ჯარი რაინს გაღმა გა-

დარეკეს და ზიგფრიდის ხაზთან მივიდნენ; მაგრამ, იმასთან შედარებით, რაც აღმოსავლეთში ხდებოდა, მათი მიღწევები ძალიან უმნიშვნელო იყო. შორეულ აღმოსავლეთში მათი თანამემამულენი უფრო სწრაფად მიიწევდნენ წინ; მათ იმას მიაღწიეს, რომ იაპონიის ნავსადგურები ამერიკული ბომბდამშენების მოქმედების რადიუსში აღმოჩნდნენ.

როცა ფელზენში ისევ მივედით, სიგარიანი პატარა ყუთით გამოწვეული აღშფოთება ცოტათი დაცხრა. შევთანხმდით, რომ ჯერ არ წამოვჩრიდით ამ საკითხს, და ვნახავდით, კიდევ რა დავალება ექნებოდათ ჩვენთვის ფელზენელებს. ამჯერად ქვევით ნახევარი საათი ვიცადეთ. და, როცა ზევით ავედით, იქ პაული და კაპიტანი დაგვხვდა. მათი გამომეტყველებიდან მივხვდით, რომ რაღაცის შეტყობინება სურდათ ჩვენთვის: ისინი აღელვებულად თუ არა, საზეიმო განწყობით ადგნენ ფეხზე.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — გვითხრა მაგისტრმა პაულიმ, რომელსაც, როგორც ჩანდა, ამ შემთხვევისათვის გაეჩაღებინა უშველებელი სადღესასწაულო სიგარა. — ჩვენ ახალი ამბავი ვიცით იმასთან დაკავშირებით... რა ჰქვია მას, კაპიტანტ?

კაპიტანტმა, რომელიც, ჩვენ კი არა, თავის სარკესავით გაპრიალებული ფეხსაცმლის ცხვირს დასჩერებოდა, წარმოთქვა:

— მადამ შევალი.

მაგისტრი პაული თავისი გულისხმიერი ტონით განაგრძობდა საუბარს.

— მადამ შევალი... სწორია, ასე ეძახიან. გვარი, მართლაც, საინტერესოა, ხომ ასეა, ქალბატონო ს.? დიახ. თქვენ მის კვალს მიყევით იქამდე, როცა იგი ვერმახტის ოფიცერმა წაიყვანა პანსიონატიდან, ხომ ასეა?

ჩვენ თავი დავუქნიეთ. მან ცოტა პაუზის შემდეგ მხიარულად გაიცინა და თქვა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ ეს მამაკაცი... ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მადამ შევალი — გერმანელი ოფიცრის ხასაა? შეცდომაა, ჩემო ქალბატონებო, შეცდომა! ჩვენი ცნობების მიხედვით იგი ქალის ძმაა.

იგი ისევ გაჩუმდა ცოტა ხნით, რომ ჩვენთვის მოეცა საშუალება, რათა ახალი ამბის მნიშვნელოვნება კარგად შეგვეგრძნო.

— მისი ძმაა, — გაიმეორა პაულიმ. — იგი წარმოშობით გერმანელი აღმოჩნდა, რომელიც ომამდე რამდენიმე წლით ადრე ფრანგს გაჰყვა ცოლად. სრულიად კანონიერად ატარებს გვარს —შევალს. გვარი ფრანგული გახდა, გული კი გერმანული დარჩა, გესმით? ბა-

ტონ შევალის შესახებ ჩვენ მეტი არაფერი ვიცით. ძმამ კი თავის დას მშვენიერ ქალაქში, პარლემში დაუქირავა ბინა. იგი, სამსახურეობრივი საზრუნავით დაღლილი, ხანდახან მიდის ხოლმე დასთან.

მან ისევ მხიარულად გაიცინა; კაპიტანმა კი როგორღაც ცინიკურად დაკრიჭა კბილი, თითქოს არ სჯეროდა მონაჩმახი მათი დაძმობის შესახებ და ყველაფერს ამას სისულელედ თვლიდა. ჩვენ კი შესაძლებლობისა და ძალის მიხედვით ზომიერად ვიღიმებოდით. ჯერჯერობით ამ ამბავში ვერაფერს ვხედავდით სასაცილოს.

— მაშასადამე, დავალება ძალაში რჩება? — ვთქვი მე, როცა ვიგრძენი, რომ სიჩუმე უსიამოვნოდ გაგრძელდა.

— ძალაში რჩება, — დამიდასტურა კაპიტანმა. ახლა იგი ათვალიერებდა თავის ფრჩხილებს, რომლებიც — ამაში იოტის ოდენა ეჭვი არ მეპარებოდა — ჩემ ფრჩხილებზე უფრო ცივილიზებული იყო.

მე განვაგრძე:

— თქვენ ლაპარაკობთ თქვენს ცნობებზე, ბატონო პაული... მე ვფიქრობ, მათ ღებულობთ თქვენი მეგობრის, პაულის საშუალებით?

პაულიმ და კაპიტანმა გაოცებით შემომხედეს.

— დი-ახ, — სიტყვა გააგრძელა პაულიმ. — განა სავალდებულოა, ყოველთვის დავასახელოთ ინფორმაციის წყარო?.. ამ შემთხვევაში ნამდვილად პაული იყო... თქვენ ეს გაინტერესებთ?

სამივემ დავუქნიეთ თავი, მამაკაცებმა უფრო დაკვირვებით შემოგვხედეს

ანმა სწრაფად დაიწყო ლაპარაკი:

— დიახ, ძალიან გვაინტერესებს... ცოტა ხნის წინ თქვენ პაული გაგვაცანით, იგი მაშინ სამხედრო-საზღვაო ფლოტში მუშაობდა, ყოველ შემთხვევაში, ასე თქვით... და იგი ეიმეიდენის დაბეტონებულ სიმაგრეში მეზღვაურებთან ერთად იყო... ამ დღეებში კი ჩვენ ისევ ვნახეთ იგი, და მას საველე ჟანდარმერიის ფორმა ეცვა.

პაულიმ და კაპიტანმა ერთმანეთს გადახედეს. კაპიტანმა სიგარეტს მოუკიდა, პაულიმ კი უფრო გულთბილად გაიცინა, ვიდრე საერთოდ იცინოდა ხოლმე.

— როგორ გეკადრებათ! საჭიროც არ არის აგიხსნათ, რომ გერმანელები ახლა ძალიან შევიწროებულნი არიან, რომ მათ ხალხი არ ჰყოფნით... ძალიან ბევრი ჯარისკაცის გაგზავნა უხდებათ აღმოსავლეთში! ამიტომ იძულებული იყვნენ—ეს ნამდვილი ამბავია — მეზღვაურების ერთი ჯგუფი პოლიციაში სამუშაოდ გაეგზავნათ. და გარწმუნებთ, რომ პაულიმ მაშინვე მოითხოვა იქ გადასვლა.

— მოითხოვა? — თითქმის ერთდროულად ვიკითხეთ ჩვენ.

კაპიტანი ჩვენკენ დაიხარა: — რა თქმა უნდა, პაული ხომ ანტიფაშისტია. იგი ჩვენთვის მუშაობს. ამიტომ, მან ისარგებლა მისთვის შეთავაზებული შემთხვევით, რომ უფრო მეტი ცნობები შეეკრიბა, ვიდრე აქამდე ახერხებდა.

მან ეს წარმოთქვა მოუთმენლად, თითქოს გვტუქსავდა, დატუქსვას გაფრთხილების ელფერი დაჰკრავდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: თქვენთვის მეტის ცოდნა არაა საჭირო. რა თქვენი საქმეა ჩვენ ვისთან ვთანამშრომლობთო?

ყველაფერს მივხვდი. როგორც ჩანდა, ანიც და ტინკაც მიხვდნენ.

— მაშ, ასეა, — თქვა ანმა.

— დიახ, — დაუდასტურა პაულიმ. იგი ჯერ კიდევ იღიმებოდა, მაგრამ ღიმილი თითქოს შეაშრა სახეზე და სრულიად შეუფერებელი გახდა.—ახლა კი, „დაუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს“ ანდა, ყოველ შემთხვევაში ჩვენს „ცხენს“... ხა-ხა-ხა! აი, მისამართი პატარა ვილის, სადაც იგი ცხოვრობს. ამ საქმის დასრულებას, რა თქმა უნდა, თქვენ განდობთ.

— სიტყვამ მოიტანა და, როგორაა სხვა დავალებების საქმე?— იკითხა კაპიტანმა. — ეიმეიდენისა და დრიხეისის დამნგრევეზე? ამის შესახებ არაფერი შეგიტყობინებიათ.

ვიგრძენი, როგორ წამოვწითლდი. არავისთვის არ შემიხედავს— ჩემს ამგანაგებსაც არ აუხედიათ ზევით, — ისე ვთქვი: — ჯერჯეობით სრული მარცხია... იმ არამზადის ძაღლმა გააფუჭა საქმე.

ვუამბე ჩვენ ფათერაკებზე, ნაგაზსა და მის პატრონზე, რომელიც ვერ ვნახეთ. პაულიმ და კაპიტანმა მონაყოლი მოისმინეს ყოველგვარი კომენტარების გარეშე, არც არაფერი უკითხავთ. როცა ლაპარაკი დავამთავრე, პაულიმ თქვა:

— სამწუხაროა... ძალიან სამწუხარო. იქნებ, ცოტა მოგვიანებით კიდევ სცადოთ ამ საქმის ხელის მოკიდება. ეს კაცი სიაშია, ხომ იცით... მაგრამ მადამ შევალი უფრო მნიშვნელოვანია. მან თავისი საქმე გააკეთა. ეს ქალი კი ახლაც ყოველდღიურად გვაყენებს ზიანს!

იგი თავის საწერ მაგიდას მოშორდა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და წარმატება გვისურვა —გვაგრძნობინა, რომ ჩვენი საუბარი დამთავრებული იყო. კაპიტანმა მას მიბაძა.

— იმედი გვაქვს, მადამ შევალს არ შეუძენია ძაღლი, ან რამე სხვა საშინელება, —თქვა მან.

შეწუხებულები, ცუდ გუნებაზე ვბრუნდებოდით ჰარლემში.

— უკანასკნელი შენიშვნა ინჟინერს, რა თქმა უნდა, შეეძლო არ ეთქვა, — სკეპტიკურად გაიცინა ტინკამ.

— ისევ მოგვიხდება ამ კაცის საქმისათვის ხელის მოკიდება,— თქვა ანმა, — ნეტავ რას გულისხმობდა პაული, როცა თქვა, რომ „შევალი“ ასეთი სასაცილო გვარიაო?

— ეს სიტყვა „ცხენს“ ნიშნავს, — ავუხსენი მე. — უბრალოდ პაულის უკბილო ხუმრობა იყო.

— მე კი უკვე ვფიქრობდი, ამ ქალისგან გავთავისუფლდით- მეთქი, — ამოიოხრა ტინკამ, — ფუ! ქალისთვის სროლის წინააღმდეგი ვარ!

— რა თქმა უნდა, ეს ასეა, — ვთქვი მე. — მაგრამ თუ იგი „უშიშროების სამსახურში“ კარგ ადამიანებს აბეზღებს?

იმავე დღეს წავედით იმ სახლის დასაზვერად, სადაც ძმამ და დააბინავა — ფრანგ-გერმანელ ჯაშუშთან. სახლი სპანიარდსალეს უკან იდგა, ბეიტენსპაარნეს მიმართულებით; ეს იყო ძველებური ვილა, შვეიცარული შალეს სტილით აშენებული, მაღალ სვეტებზე შემდგარი. ბაღში წიწვიანი ხეები და ბაძგი ხარობდა, შიგ ლელქაშის ფანჩატური იყო გამართული. სახლის ფანჯრებზე ყინული გამდნარიყო — ეს მადამ შევალის სასარგებლოდ არ მეტყველებდა და მაშინვე თვალში ხვდებოდა ადამიანს, რადგან ირგვლივ ყველა ფანჯარა გათეთრებული იყო ყინულისგან. სახლთან ველოსიპედით ჩავლისას შევნიშნეთ, რომ გალერეაში შესასვლელ კიბესთან საბავშვო ციგა იდგა. გული შემეკუმშა. ვეცადე მალე დამვიწყებოდა ამ ციგის ნახვა.

დავათვალიერეთ სახლი და ახლომახლო ადგილები ქუჩის მხრიდან, რომელიც შალეს უკან ჩაუდიოდა. შევნიშნეთ, რომ ამ მხრიდან შალე არ ჩანდა, მას ქვის კედელი ფარავდა, რომელსაც თავზე უხვად ჰქონდა ჩარჭობილი შუშის ნამტვრევები. სახლის წინ მოთავსებული ბაღიც საიმედოდ იყო დაცული გარესამყაროდან — იქ ძაღლი აღმოჩნდა, მართალია ნაგაზი კი არა, მწყემსის ძაღლი იყო: ვიდრე ჩვენ ბაღის გასწვრივ მივდიოდით, იგი შიგნიდან მოგვსდევდა, და, როცა წავედით, გაჩერდა.

—ფიქრიც ზედმეტია, ამ მხრიდან შეუძლებელია, —თქვა ტინკამ.

— ყოველი მხრიდან ბაღის მესერია, — დასძინა ანმა. — რა კარგად ამოურჩევია ამ ქალს დასასახლებელი ადგილი.

— ვნახოთ, რა არის პირდაპირ, — შევთავაზე მე.

შალეს პირდაპირ პატარა ვილა იდგა, რომელსაც „შავი შაშვები“ ერქვა; ისიც ძველი მოდისა იყო, ვიწრო ფანჯრებით ფასადისაკენ და ფრანგული ფანჯრებით გვერდით კედლებზე. წინ ძელურებისგან გაკეთებული ყვითელი ბილიკი ჩასდევდა. სახლის გვერდით ცალკეული ბუჩქები და თოვლით სქლად დაფარული ცისფერი ნაძვები ხარობდნენ. ეს ადგილი მადამ შუვალის სათვალთვალოდ პირდაპირ იდეალური იყო.

— როგორ შევიდეთ ამ სახლში? — ოხრავდა ანი.

საინტერესოა ვინ ცხოვრობს იქ; ვფიქრობდი მე.

ტინკას წვეტიანი სახე მთლად დაუგრძელდა. არხს ისევ უკან გამოვყევით. ტინკამ თქვა:

— ფელზენელები უნდა დაგვეხმარონ...

— როგორ? — ჰკითხა ანმა.

— მათი პოლიციის ინსპექტორი იცნობს ჰარლემის პოლიციის ინსპექტორს, — თქვა ტინკამ. — იმან უნდა მოგვიხერხოს, რომ „ცხენის“ სახლის პირდაპირ სახლში შევძლოთ შესვლა. იმედი ვიქონიოთ, რომ იქ წესიერი ხალხი ცხოვრობს.

მე და ანმა ვიფიქრეთ ამ წინადადებაზე. ჯერ იგი ფანტასტიკური მეჩვენა, მაგრამ, რამდენადაც მეტს ვფიქრობდი, იმდენად რეალური მეჩვენებოდა.

— ტინკა, — თქვა ანმა, — ეს რომ მოხერხდებოდეს!..

— ტინკა, — წამოვიძახე მე, — გენიალური იდეაა!

— ერთადერთი გამოსავალია, — თქვა ტინკამ მორიდებულად და ამავე დროს ამაყად.

ისევ ფელზენში წასასვლელად ძალიან გვიანი იყო და არც ღირდა ჩვენი ენერგიის ზედმეტად დახარჯვა. ფელზენში მეორე დღეს წავედით. პაული არ იყო; კაპიტანდამ მოთმინებითა და ყურადღებით მოისმინა ჩვენი განმარტება. მისთვის შალესი და სახლის გეგმა ჩავიხაზეთ, რამდენადაც დავიხსომეთ. დავარწმუნეთ, რომ „შავი შაშვები“ ერთადერთი სათვალთვალო ადგილი იყო—იგი იძლეოდა შესაძლებლობას, ჯაშუშის- ლიკვიდაცია სისრულეში მოგვეყვანა, იმ პირობით, თუ ვინმე შეგვიყვანდა სამყოფელში.

კაპიტანდამაც გვკითხა: — კეთილი... რა გზით შეიძლება იქ შესვლა?

გავაცანით ტინკას გეგმა — პოლიციის შუამდგომლობის ამბავი.

კაპიტანდამ ისე შემოგვხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ძალიან გაგულადდითო, მერე პირველად გაიცინა და გვითხრა:

— დიახ, გაბედული ნაბიჯია, გაბედული ნაბიჯი... მაგრამ აქ არ-

ის ზოგიერთი სირთულე... რა თქმა უნდა, დღეს არ შემიძლია გადაწყვეტილი პასუხი მოგცეთ. კარგად უნდა მოვიფიქრო.

შევთანხმდით დღეზე, როცა შეიძლებოდა მივსულიყავით და ვეგეგო ფელზენის შტაბის გადაწყვეტილება. დანიშნულ დღეს მივედით და სამი წუთიც არ დაგვიცდია ძირს. პაული, კაპიტანი, მეისფელტი და ჩვენთვის უკვე ნაცნობი პოლიციის ინსპექტორი ზევით ისხდნენ. ისინი არასოდეს არ ყოფილან ასე თავაზიანები. ინსპექტორმა გვითხრა, გეგმა, რომელიც შემოგვთავაზეთ მეტყველებს მოხერხებულობასა და სიმამაცეზეო — ტინკა გაწითლდა... და „შავი შაშვების“ მცხოვრებ ქალთან უკვე მოლაპარაკებულები ვართო. დიახ, დიახ, იმ ძველ სახლში მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობსო, აქ ძალიან კარგად ცნობილი და ყველას მიერ პატივცემული ექიმის ქალიშვილი. იგი უკვე ხანში შესული ქალია, ცოტა უცნაური, მაგრამ ძალიან ენერგიული და, პირველ ყოვლისა, დიდი პატრიოტი. გვარწმუნებდა ფელზენის ინსპექტორი; იგი აღფრთოვანებით დაგვეთანხმა მადამ შევალის ლიკვიდაციაში მონაწილეობისთვის; უკვე თავიდანვე შენიშნა, იქ ყველაფერი ვერ არის მთლად კარგადო, ქალიშვილი ბისხოფი სულაც არ არის გულჩვილი პიროვნება, განსაკუთრებით 1940 წლის შემდეგო...

— დიდი იმედის მომცემია, არა? — გვკითხა მაგისტრმა პაულმ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ. მე ვკითხე:

— როდის შეგვიძლია სახლში სათვალთვალოდ შესვლა?

— რაც მალე იქნება, მით უკეთესია, — გვიპასუხა ინსპექტორმა, რომელმაც პაულის შეხედა. — ეს საქმე ისედაც გაჭიანურდა... მე თქვენ ჰარლემში ჩემს კოლეგასთან გაგაგზავნით. ის მიგიყვანთ ქალბატონ ბისხოფის სახლში.

ზუსტად მოვილაპარაკეთ, როგორ წარგვადგენდა იგი დიასახლისთან და როგორ განხორციელდებოდა ოპერაციის ხელმძღვანელობა. ამჯერად ოთხმა კაცმა გვისურვა წარმატება — მათ შორის მეისფელტმაც, რომელსაც ჩვეულებრივზე დინჯად ეჭირა თავი. მომეჩვენა, რომ ფელზენელები კმაყოფილები იყვნენ. და მე ისევ გავიფიქრე: ნეტავი ასე რატომ ჩქარობენ მადამ შევალის საქმის მოთავებას-მეთქი? რას წარმოადგენს იგი? ორი დღის შემდეგ, საღამოზე უკვე „შავ შაშვებში“ ვიყავით. ჰარლემის პოლიციის ინსპექტორმა — ამჯერად სამოქალაქო ტანისამოსით იყო — მიგვაცილა იქ. ეს მსუქანი და საკმაოდ იქედნური ტიპი, თითქოს სიამოვნებას ხედავდა ჩვენს დაცინვაში. მან რაღაცნაირად გვითხრა: — მე მა-

შინვე გიცანით თქვენ! — ამან, რა თქმა უნდა, გაგვახსენა, რომ ჩვენი გვარები პოლიციის უწყებებში იყო აღნიშნული და გერმანელები ჩვენს დაპატიმრებას მოითხოვდნენ. შერეც ღვარძლიან მოსწრებულ სიტყვებს გვეუბნებოდა, მიგვანიშნებდა პლაკატების გაკვრასა და სხვა იატაკქვეშა საქმიანობაზე, რომლებიც სასჯელს იმსახურებდნენ; მან ქალიშვილ ბისხოფს ჩვენი თავი გააცნო როგორც „სამი ბოროტგანმზრახველი". იგი ეშმაკურად იცინოდა და გვაგრძნობინებდა, რომ მის ხელშია ძალაუფლება აქაც და იქაც — ოკუპანტებთან და წინააღმდეგობის მოძრაობაშიც! დაგვტოვა, ალბათ, ძალიან კმაყოფილმა იმით, რომ ნერვები აგვიშალა.

ქალიშვილი ბისხოფი მაღალი და გამხდარი პიროვნება იყო. არ ვიცი, სურსათის ნაკლებობის გამო გახდა, თუ ყოველთვის ასეთი იყო. მას მუქი-ყავისფერი კაბა ეცვა, რომელიც მკერდზე ძველი მოდის აქატის გულსაბნევით ჰქონდა შებნეული. როცა ლაპარაკობდა, ხელოვნური ზედა ყბა უწკაპუნებდა; გარდა ამისა, შევნიშნეთ, რომ მას პარიკი ეკეთა. ორი გამხდარი მშიერი კატა კრუტუნებდა და საცოდავად კნაოდა მის ფეხებთან, რომელზეც საშინაო, შავი მძიმე ფეხსაცმელები ეცვა. მან წაგვიყვანა ოთახში, საიდანაც შეიძლებოდა ცხენის შალეს დანახვა. ცხენს ვეძახდით გერმანელ-ფრანგ ქალს.

— მაშასადამე, თქვენ წინააღმდეგობის ჯგუფიდან ხართ? — გვკითხა დიასახლისმა. — კარგით, კარგით, კარგით... ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ ქვეყანას შეიძლებოდა ასეთი უბედურება შემთხვეოდა! ახალგაზრდა ქალიშვილებიც კი იძულებული არიან ისროლონ... აი, როგორი საქმეა! არ გეგონოთ, რომ არ მშურს თქვენი, გესმით? მართლა მშურს თქვენი, და დარწმუნებული ვარ, რომ მამაჩემი — თქვენ იცნობდით, ცნობილ ექიმ ბისხოფს, თქვენს მშობლებს, ალბათ, ეცოდინებათ ეს გვარი... — რაზე ვლაპარაკობ? ოჰ, დიახ, რომ მამაჩემი თქვენ მიმართ, ალბათ, უღრმესი პატივისცემით გაიმსჭვალებოდა: იგი ნამდვილი პატრიოტი იყო, შესანიშნავი პატრიოტი... ძალიან კარგად მახსოვს, რომ თავის დროზე ბისმარკის შესახებ გვაფრთხილებდა, ვილჰელმ მეორეს კი არასოდეს არ ენდობოდა... ფრთხილად, აქ ძირს ჩასაცვლელია, სინათლე კი საკმარისი არ არის... აი, ყოველთვის ასეა ძველ სახლებში: არაკომფორტაბელურნი, მაგრამ სამაგიეროდ მოხერხებულნი არიან! მე არაფრის გულისათვის არ წავიდოდი აქედან... შეხედეთ, აი ოთახი.... თუ ძალიან ფრთხილად დაორთქლავთ მინას, ყინულები გადნება და იმ წრიდან შეგიძლიათ იყუროთ და სახლს თვალი ადევნოთ....

აი ასე... კარგად ხედავთ? — კი, იქ ცხოვრობს იგი, და თქვენ მაშინვე შეგიძლიათ დარწმუნდეთ ამ ქალის ცუდ ყოფაქცევაში იმიტომ, რომ მას ნახშირი აქვს!.. ეს სრულიად ჩვეულებრივი... აბა, როგორ უნდა ვთქვა ეს? საკმაოდ დიდი ქალიშვილები ხართ, და — ვაი რომ! — ოკუპაციის შემდეგ ამის მსგავსი მოვლენა შეიმჩნევა ყველგან...

— გერმანელი მეძავი, — თავაზიანად უკარნახა ანმა.

ქალიშვილმა ბისხოფმა პარიკიანი თავი გვერდზე მიაბრუნა, მისმა ხელოვნურმა ყბამ გაიწკაპუნა.

— თქვენ ამბობთ ამას, დიახ... ახალგაზრდები ახლა მიეჩვივნენ ასეთ ამბებს, ეს უხეშად ჟღერს, მაგრამ ნამდვილად არსებობს... აჰ, რა ადამიანია ეს! თავი ისე უჭირავს, თითქოს ძალიან წესიერი ქალი ვარო, და გერმანელები მასთან მხოლოდ ჩუმად დადიან. თქვენ რომ ორი კვირის განმავლობაში თვალი ადევნოთ, სრულიად საკმაოდ გაიგებდით... კარგად უნდა გამიგოთ. არ მინდა გავკიცხო; მაგრამ ამ ჯაშუშს, და თანაც ფრანგ ქალს, რომელიც გერმანელებს ღებულობს... Sans pitié, არავითარი შეწყალება!..

ქალიშვილმა ბისხოფმა კიდევ ბევრი ილაპარაკა, მას ძალიან მოსწონდა, რომ მის სახლში იყვნენ ადამიანები, უფრო მეტიც; ეს იყო სასენსაციო დარბაზობა, რის წყალობითაც მასაც მიეცემა საშუალება, რაიმეთი მაინც ემსახუროს სამშობლოს და წინააღმდეგობის მოძრაობას. მაშინვე მივხვდით, რომ იგი უცნაური იყო, მაგრამ ნამდვილად კეთილი გული ჰქონდა, რომ მას არ ეშინოდა და ნამდვილად ფიქრობდა იმას, რასაც ლაპარაკობდა. თუმცა მოხუცი თავის ნათქვამს ყოველთვის ასურათებდა გასული საუკუნის ამბების დამოწმებით.

...და მადამ შევალი

ყინულით შეჭირხლულ მინაზე პატარა საჭვრეტი გავაკეთეთ და ფანჯრიდან ვუთვალთვალებდით ცხენის სახლს. ბინდი წვებოდა, ზამთრის მოქურუხებულ ცაზე მკრთალად ისახებოდა შალეს წვეტიანი სახურავები და ფლუგერი. იქ სინათლე ენთო—ვხედავდით, ერთი ფანჯრიდან როგორ გამოდიოდა სინათლის წვრილი ზოლები, საერთოდ კი ფანჯრები კარგად იყო შენიღბული. კატებით გარშე-

მორტყმულმა ქალიშვილმა ბისხოფმა, რომელსაც სამაჯეები ეკეთა, ფაიფურის ლანგრით ჩაი მოგვართვა და გვკითხა, საჭირო ხომ არ არის თქვენი ფანჯრის შენიღბვაო. ვუპასუხეთ, რომ მაშინ ვეღარ ვნახავდით, რა ხდებოდა მადამ შევალთან. მოვეწყვეთ საშინლად ცივ ოთახში, ხელის ფათურით გვერდს ვუვლიდით მაგარ ავეჯს, რომელიც სიბნელის მიუხედავად, მაინც ჩანდა, და რიგრიგობით ვმორიგეობდით გაყინულ ფანჯარასთან. რა თქმა უნდა, არაფერი შეცვლილა. შალეში კვლავინდებურად არავითარი მოძრაობა არ იყო. გარეთ ყინავდა. ორჯერ თუ სამჯერ გამოჩნდა გამვლელის მკრთალი ლანდი სიფრთხილის გამო სიგარეტის მოწევასაც ვერ ვბედავდით, იმის შიშით, რომ სიგარეტის ცეცხლი გაგვცემდა: აშკარა გახდებოდა, რომ „შავ შაშვებში“ უცხო ადამიანები იყვნენ. ცხადია, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ცხენი შენიღბულ ფანჯარასთან იდგა და უთვალთვალებდა, რა ხდებოდა ქალიშვილ ბისხოფის სახლში... ფანჯარასთან პირველად მე ვმორიგეობდი. ანი და ტინკა თავიანთ თავშალებსა და პალტოებში გაეხვივნენ და დასაძინებლად მოეწყვნენ—ერთი დივანზე, მეორე განიერ, დაბალ სავარძლებში, რომლებიც უეჭველად განსვენებულ ექიმ ბისხოფის სალონის ავეჯის გარნიტურის ნაწილი იყო... მორიგეობის შემდეგ მეც დავიძინე და განთიადისას გამეღვიძა რაღაც ჩემთვის უცნობ, უცნაურ ოთახში. მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ოვალური სარკეები, ნახატები, სეკრეტერი, ცისფერ და ოქროსფერ არაბესკებიანი ძველი ხალიჩა... ფანჯარასთან ანი მორიგეობდა. ყველაფერი გამახსენდა და ჩურჩულით ვკითხე:

— როგორაა საქმე?

ანმა მხრები აიჩეჩა: — რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არაფერია. ღამით, ყინვაში გარეთ ხომ არ გამოვა!

საშინელი სიცივე უბერავდა იატაკის ჭუჭრუტანებიდან, ნესტიანი შპალერიდან; ქარი უბერავდა ღია ღუმელიდან; სახისა და ხელების კანი უხეში და მტკივნეული გამიხდა. ვერ გადავწყვიტე მძინარე ტინკას გაღვიძება. ვისაც სძინავს, მან არაფერი იცის, არ იტანჯება... ყოველ შემთხვევაში, ისე ძლიერ მაინც არა, როგორც ფხიზელი ადამიანი.

რვა საათზე ქალიშვილი ბისხოფი მოვიდა და ჩაი მოგვიტანა. ვიდრე მე ვმორიგეობდი ფანჯარასთან, ანმა ქალიშვილ ბისხოფის პატარა ღუმელზე ორი პეშვი ხორბალი მოხარშა, რომელიც თან მოვიტანეთ; „შავი შაშვების“ პატრონსაც ვუწილადეთ ფაფა... ვამთქნარებდით. თანდათან თენდებოდა. ცხელმა ფაფამ მხოლოდ ცოტა ხნით გაგვათბო. დრო ნელა მიდიოდა. ვთვლემდით და დროდა-

დრო საჭვრეტიდან ჯაშუშის სახლს ვუთვალთვალებდით. გავიფიქრე იმაზე, რომ დღეს „დე ვაარხეიდი“ არ გამოვიდოდა, და მივხვდი, რომ წარმოდგენა არ გვქონდა, როდემდე შეიძლებოდა ეს ამბავი გაგრძელებულიყო.

დღისით, როცა წინათ ჩვეულებრივ ჰოლანდიურ საუზმეს ყავით მოგვართმევდნენ ხოლმე, ქალიშვილმა ბისხოფმა კარზე მოგვიკაკუნა და ოთახში შემოვიდა.

— არ გინდათ ჩემთან ერთად ისაუზმოთ?.. ტიტას ბოლქვისგან კვერები გამოვაცხვე, ძალიან კარგი რეცეპტით...

ეს მან გვითხრა ოდნავ დარცხვენილად და ამავე დროს ამაყად, იმის გამო, რომ ამჯერად შეეძლო გაგვმასპინძლებოდა. მიწვეეა მივიღეთ და რიგრიგობით გავდიოდით პატარა სასადილო ოთახში, სადაც ჰოლანდიური ძველებური სკამები იდგა და სპილენძის ჭაღი ეკიდა. კვერებს შაქრის ჭარხლის სიროფს ვასხამდით. ყოველი ლუკმის გადაყლაპვაზე გული მერეოდა. და მაინც დაუსრულებლად ვჭამდი, სანამ პირველი შიმშილი არ დავიცხრე. ვხედავდი, ქალიშვილი ბისხოფი როგორ ენერგიულად და მადიანად შეუდგა ჭამას. სუფრა უნაკლოდ გაეშალა. საგვარეულო სერვიზი და ვერცხლეული გამოეტანა. თვალში მეცა სამწუხარო შეუსაბამობა, რომ ტიტას ბოლქვისა და საკვები ჭარხლის ჭამა გვიხდებოდა ძველებურ თეფშებზე, ძვირფასი ვერცხლის ჩანგლებით. მე და ქალიშვილი ბისხოფი ისევ მაგიდასთან ვისხედით, რომ უცებ ტინკა მოვარდა და შეგვატყობინა:

— იგი სახლიდან გამოდის! სახლიდან გამოდის!

წამოვხტი. მაშინვე წამოხტა ქალიშვილი ბისხოფიც, რომელიც სამაჯიანი ხელებით პარიკს იმაგრებდა, და უკან დაგვედევნა, მას კატებიც მოჰყვნენ... საჭვრეტში გავიხედე. ქუჩაში ბაღის რკინის მესერის გასწვრივ ოცდათხუთმეტი წლის ქალი მიდიოდა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო გრძელი კრაველის ქურქი და ბეწვშემოვლებული ჩექმა. თავზე პირბადიანი ბეწვის ქუდი ეხურა, რომლის ქვემოდან მხოლოდ პირი უჩანდა — პატარა, ვიწროტუჩებიანი. იგი ფრთხილად მიაბიჯებდა თოვლზე.

— კი, ეს ის არის! ის! — თქვა ქალიშვილმა ბისხოფმა. იგი მეორე ფანჯარასთან დადგა და საჭვრეტი გაიკეთა ყინულით შეპირხლულ მინაზე. მაგრამ მადამ შეეალს უკვე აღარ ვუყურებდი. მაშინვე შევნიშნე, რომ მარტო არ მიდიოდა. ციგით მიჰყავდა სამი წლის ბიჭი, რომელსაც ლურჯი ქურთუკი ეცვა და ისეთივე ფერის ნაქსოვი ქუდი ეხურა. ქალიშვილი ბისხოფი გველნაკბენივით შეხტა, როცა სალანძღავი სიტყვა წამომცდა.

— ნუ გამიწყრებით, ქალიშვილო ბისხოფ, — მოვუბოდიშე, — მაგრამ ხომ ხედავთ... არაფერი გამოვა. ახლა არ შეიძლება.

ფანჯარას მოვშორდი. ანი და ტინკა კვლავ მიეკვრნენ პატარა საჭვრეტს, რომელიც ისევ გავაკეთეთ. ქალიშვილმა ბისხოფმა თითქმის თანაგრძნობით შემომხედა, როცა ჩემკენ მოაბრუნა თავისი გრძელი, ლოყებჩავარდნილი სახე.

— მესმის... — თქვა მან. — ამაზე არ მიფიქრია... ბავშვის გაშო, რა თქმა უნდა, ხომ სწორია?

თავი დავუქნიე. ანი და ტინკა ჩვენკენ შემობრუნდნენ და ამოიოხრეს.

— არა, — თქვა ტინკამ, — უარს ვამბობ სროლაზე, როცა მის გვერდით ბუთხუზაა. იგი ხომ უცოდველია.

ქალიშვილი ბისხოფი უცებ ჩამოჯდა ძველი დივანის კიდეზე.

— მაშ რა უნდა ქნათ?.. — იკითხა შეთქმულებით გატაცებულმა.

— უნდა დაველოდოთ, როდის გამოვა მარტო, — უპასუხა ანმა.

მას აშკარად ეტყობოდა, რომ სროლის სურვილი არ ჰქონდა. მეც გულს მირევდა ეს ამბავი: ბავშვიც რომ არ ხლებოდა თან, მადამ შევალი მაინც დედა იყო. კინაღამ ისევ წამომცდა ლანძღვა, მაგრამ ჩვენი დიასახლისის გრძელ, გამხდარ ფიგურას შევხედე და გავჩუმდი. ქალიშვილი ბისხოფი მაშინვე გაუჩინარდა თავის გაჭირვეებით გამთბარ სამზარეულოში. როგორც ჩანდა, არ უნდოდა ჩვენთვის ხელი შეეშალა. ერთმანეთისთვის სახეზე შეხედვას გავურბოდით.

— გამოვა კია როდისმე მარტო, ეს არამზადა? — წამოიყვირა ტინკამ განზრახი უხეშობით.

— ,ასეთ შემთხვევას თუ დავუწყებთ ლოდინს, მაშინ მთელი დღეები აქ უნდა ვისხდეთ და მას ვუყარაულოთ... — თქვა ანმა.

— ამასობაში კი ხალხს დააბეზღებს, — შევახსენე ამხანაგებს და ჩემს თავსაც, და მოვალეობის სასტიკ გრძნობას დავემორჩილე.

...ასე ვისხედით ერთმანეთის გვერდით უბედურები, გათოშილები, დაბნეულები. ვიცოდით, რომ ჯაშუში ქალი უნდა მოგვესპო, და ამავე დროს არც ერთ ჩვენგანს არ შეეძლო ფიქრი იმაზე, რომ ცხენისთვის ესროლა.

— არ უნდა გავხვეულიყავით ამ საქმეში, — ჩაიბუზღუნა ანმა. — უკეთესი იყო „დე ვაარხეიდი“ გვებეჭდა!

— ეს ქალი ეშმაკია, — ვთქვი მე.—იგი ბავშვს მეხამრიდივით იყენებს. დამიჯერეთ, მას სინდისი სუფთა არა აქვს.

— შესაძლებელია, — დამეთანხმა ტინკა. — მაგრამ, რაც არ უნდა იყოს... ძალიან კარგი იქნებოდა, ბავშვი სულ რომ არ ჰყავდეს.

აუტანლად წელა მიიზლაზნებოდა ზამთრის პირქუში დღე. მადამ შევალი კარგა ხანი იყო დაბრუნდა შინ, იღლიაში ნაყიდები ჰქონდა ამოჩრილი, ლურჯქურთუკიანი, ციგაში მჯდომი ბიჭუნა მხიარულობდა, მეეტლეს ბაძავდა და ყვიროდა. მადამ შევალი უყურებდა და იცინოდა. ფანჯრიდან აღარ გამიხედავს.

შებინდებისას ადრინდელზე უფრო გაბრაზებულები და უბედურები ვისხედით. მთელი დღე და ღამე გავიდა. ქალიშვილი ბისხოფი კატების თანხლებით ისევ მოვიდა და ჩაი მოგვიტანა; მერე ჯიბიდან ამოვიყარეთ ხორბლის ნარჩენები და საღამოს ულუფა ფაფა მოვიხარშეთ. დაღამდა. მადამ შევალის სახლთან ოდნავ გასაგონი შრიალით გაჩერდა ვერმახტის ტყვიისფერი მანქანა. ეზოს კარებში შევიდა ლანდი, რომელსაც გრძელი, სამხედრო შინელი ეცვა. მის ფეხებქვეშ ყრუდ ჭრაჭუნებდა თოვლი. კაცმა ფანჯარაზე დაკაკუნებით მისცა ნიშანი. ვერ ვხედავდით კარი გაიღო თუ არა, მაგრამ გერმანელის ფიგურა გაქრა.

ამ ღამით ფანჯარასთან რიგრიგობით აღარ გვიმორიგნია. ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, სანამ გერმანელი ცხენთან იყო. მხოლოდ იმან გამაღვიძა, რომ დილით ადრე—ბნელოდა—მანქანა წავიდა. ჩემ გათოშილ ხელებზე ვიორთქლებდი, ვითბობდი თითებს და ცოტა ხანს ერთმანეთს ვუსვამდი გაშეშებულ ფეხებს. მერე ისევ თვლემა განვაგრძე. როცა გავიღვიძე, უფრო გავითოშე. ანსა და ტინკას ეღვიძათ, ისხდნენ და დაეჭვებული სახით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ძალიან ვწუხვარ, ტინკა, — ვუთხარი მე, როცა მცირე საუზმე გადავყლაპე. — შენი გეგმა ძალიან კარგი იყო, მაგრამ პრაქტიკულად იგი სულ სხვაგვარად გამოიყურება... აქ მხოლოდ დროს ვკლავთ, სრულიად უშედეგოდ... ფელზენში დაბრუნება მოგვიწევს და განცხადება, რომ ამ დავალების შესრულება შეუძლებელია.

— მეც გული მერევა ამ ამბისგან, — განაცხადა ტინკამ. — რამ მომაფიქრებინა ამისთანა რამე!

— დღესაც დავიცადოთ აქ, — წინადადება მოგვცა ანმა. — თუ არაფერი შეიცვალა, შებინდებისას შინ წავალთ და ამ საქმეს წერტილს დავუსვამთ.

გადავწყვიტეთ კიდევ ერთი დღე მოგვეთმინა, თვინიერად აგვე-

ტანა სიცივე და იმედგაცრუება. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი იმედოვნებდა, რომ მადამ შევალი შინ დარჩებოდა ან ბავშვიანად გამოვიდოდა გარეთ და ამ გზით აიცილებდა ჩვენ ტყვიას. ნახევრად მთვლემარენი ვიწექით და მაინცდამაინც ფხიზლად არც ვადევნებდით სახლს თვალს... მაგრამ მან მაინც ვერ აიცილა ჩვენი ტყვია... მეორე საუზმის შემდეგ, რომელიც ისეთივე კვერებისგან შედგებოდა, თუმცა მათზე დახარჯული ტიტები ჰოლანდიის მიწაში უნდა დებულიყვნენ და ღვინები გამოეხსნათ, ქალიშვილმა ბისხოფმა მოირბინა. იგი მართლაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორბოდა, რაც ზედ ეცვა ყველაფერი უფრიალებდა, პარიკიც კი კეფაზე მოქცეოდა, — საზიზღარი სანახაობა იყო!

— იგი გამოდის გარეთ! — დაიყვირა ჩვენმა დიასახლისმა. — თანაც მარტოა! მე სწორედ იმ დროს გავიხედე საპირფარეშოს ფანჯრიდან და ვხედავ: იგი მოდის!

ჩვენ ერთმანეთს ხელს ვკრავდით და საპვრეტისაკენ მივიწევდით. და მადამ შევალისთვის ერთხელ კიდევ შევძელით თვალის მოკვრა; იგივე კრაველის ქურქი, იგივე ჩექმები, იგივე პირბადე. იგი მართლა მარტო იყო, ერთმანეთს გადავხედეთ. ქალიშვილი ბისხოფი ჩვენ შემოგვცქეროდა. ალბათ, ფიქრობდა, რომ ჩვენ იმ წუთში გავცვივდებოდით და მიმავალ ჯაშუშს ზურგში ვესროდით რევოლვერებს. მაგრამ ჩვენ თითქოს ვერ შევამჩნიეთ მისი მზერა.

— როგორ უნდა მოვიქცეთ?

ქალიშვილმა ბისხოფმა თვალები ცად აღაპყრო და წავიდა, რომ ჩვენთვის გადაწყვეტილების არჩევანის თავისუფლება მოეცა.

— როგორც წესია...: — თქვა ანმა. — ქუჩის ორივე მხარეს დავდგებით, ასე ვთქვათ, პატრულები ვიქნებით... ჩვენ ხომ არ ვიცით, რომელი მხრიდან დაბრუნდება იგი.

წამით გავჩუმდით.

— მართლა ვესვრით? — იკითხა ბოლოს ტინკამ, საკმაოდ მორიდებულად.

— კი, — ვუპასუხე მე. ორივე ქალიშვილმა შემომხედა. ან წუთში ვინანე, რომ უფროსი ვიყავი. და ნაძალადევი სიმტკიცით ვთქვი — კი. იგი — მტერია. ასეა საჭირო.

— ო'კეი, — დამიმოწმა ტინკამ და მტკიცედ შემოიჭირა ქამარი.

ქალიშვილ ბისხოფს გამოვეთხოვეთ. და ვუთხარით, რომ ახლა ალბათ, საქმე უკვე რიგზე იქნება. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გამოჩენა ფანჯრებთან. მადლობა ვუთხარით და ხელი ჩამოვართვით.

— მართლა, რამე უმნიშვნელო დახმარება მაინც აღმოგიჩინეთ? — გვკითხა მან აკანკალებული ხმით. მას საცოდავი მოხუცის გამომეტყველება ჰქონდა. ყველამ ერთად დავუდასტურეთ, რომ მან ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. როცა „შავი შაშვებიდან“ მოვდიოდით, მშიერი კატები ფეხებზე გვექლასუნებოდნენ.

ტინკამ თქვა, რომ სათვალთვალოდ ქუჩის ბოლოში, სპაარნესთან იტრიალებდა. მე და ანს უარი არ გვითქვამს, რომ სპანიარდსალე ჩვენ დაგვრჩა სათვალთვალოდ. აღელვებული ვტრიალებდით ველოსიპედებზე. იმასაც კი ვერ ვბედავდით, რომ ისინი ხეზე მიგვეყუდებინა, ჩვენ კი ცოტათი მაინც გავმართულიყავით. თუმცა ქუჩაში არც ერთი სულდგმული არ ჩანდა, ველოსიპედის უმეთვალყურეოდ მიტოვება არ შეიძლებოდა. ხანდახან ქუჩის მეორე ბოლოში ტინკას ვხედავდით. ვნერვიულობდი, ვკანკალებდი და ვგრძნობდი, როგორ ნერვიულად — ხან ჩქარა, ხან ნელა და მძიმედ—მიცემდა გული. მართალია, მე თვითონ ავიკიდე ეს ტვირთი, მაგრამ ექვი მღრღნიდა. სწორია თუ არა მისი მოკვლა? ამიტომ შევება ვიგრძენი, როცა დაახლოებით საათნახევრის შემდეგ სახლების მწკრივებს შორის ტინკა გამოჩნდა და ხელი დაგვიქნია. შევსხედით ველოსიპედებზე, რომლის მიტოვება ხის ქვეშ ცოტა ხნით მაინც გავბედეთ. ხელები ისე გაყინული მქონდა, რომ სახელურის შეხებას ვერ ვგრძნობდი; კეფა ყრუდ ამტკივდა...

— წავიდეთ, შევხვდეთ, — ძლივსღა წარმოვთქვი მე.

ანი ქუჩას გასცქეროდა, თან თავი დამიქნია. სატერფულებს ფეხები დავაკირეთ და „შავი შაშვებისა“ და შალეს შორის გაელით ტინკასკენ გავეშურეთ, რომელიც როგორღაც დაბნეული იდგა, თითქოს არ იცოდა, საით წასულიყო, და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ყველაფერს გაქცევა ერჩივნა. მაგრამ, როცა ნახა, რომ თამამად ვუახლოვდებოდით, როგორც ჩანდა, გონს მოეგო. და უკან დაბრუნდა, თითქოს გზას გვიჩვენებსო. ეს ზედმეტი იყო: ჩვენ უკვე დავინახეთ მადამ შევალი. ცხვირი კრაველის საყელოში ჩაეყო, მისი ნაბიჯების ხმა ყრუდ, მაგრამ გარკვეულად ისმოდა. მე და ანი ველოსიპედებიდან ჩამოვედით მისი ქუჩის კუთხეში. ტინკამ კი მას ჩაუარა და მხოლოდ მაშინ ჩამოხტა ველოსიპედიდან. ამ დროს მადამ შევალმა, მგონი, რაღაც შენიშნა, ცუდის მოახლოება იგრძნო. იგი გაჩერდა, შეშინებული თვალებით შემოგვხედა ანსა და მე — ჩვენ უძრავად ვიდექით, ხელები ჯიბეებში გვქონდა ჩაწყობილი, — მერე მზერა ტინკაზე გადაიტანა. და უცებ გაიქცა. არც მე და არც ანი ადგილიდან არ დავძრულვართ. ტინკამ მიწას ფეხი

დაჰკრა და ველოსიპედი მოაბრუნა. კრაველის ქურქიანი ქალი ჩვენს შორის აღმოჩნდა მომწყვდეული. საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო რაღაც ნახევარ წუთში, მხოლოდ ჩანაფიქრი მოქმედების განხორციელება იყო საჭირო. მეორედ გაჩერდა მადამ შევალი. შიშისგან თხელტუჩებიანი პატარა პირი დააღო, როცა მე და ანმა ორივემ ერთდროულად ამოვიღეთ რევოლვერები. ორივე რევოლვერის ხმა ყრუდ გამოსცა სახლის კედლებმა და სპაარნეს არხის ყინულმა; და მაშინვე გაისმა კიდევ ორი გასროლოს ხმა; ეს იყო ტინკას ნასროლი.

ყველაფერი სხვანაირად მოხდა, ვიდრე სხვა დროს ხდებოდა. თავდასხმის შემდეგ ყოველთვის ვცდილობდით, რაც შეიძლებოდა, მალე გავცლოდით იქაურობას. ამჯერად კი სამივენი უძრავად ვიდექით, ვუყურებდით და თვალებს არ ვუჯერებდით. როცა სროლა გაისმა, მადამ შევალი წინ გადაიხარა და წაიქცა. რამდენიმე წუთს უძრავად იწვა. მერე ისეთი რამე მოხდა, რასაც არც ერთი ჩვენგანი არ მოელოდა. რამდენიმე ხანს ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბუნების ყველა კანონი გაუქმდაო. იგი წამოდგა და თავისი სახლისაკენ გაიქცა, ისე რომ უკანაც არ მოუხედავს. მან თანდათან უმატა სირბილს. ტროტუარის გაყინულ თოვლზე მისი ჩექმების ბაკუნს ყრუდ ეხმიანებოდა სახლების კედლები.

გაოცებულებმა ერთმანეთს შევხედეთ. უცებ ტინკამ წამოიყვირა:

— შორს, შორს აქედან! მთელი კვარტალი ფანჯრებთან დგას და გვიყურებს!

უფრო მისმა ხმამ, ვიდრე სხვა რამემ, გამოგვიყვანა გაოგნებიდან მე და ანი.

ველოსიპედებს მოვახტით, მეორე ქუჩაზე გადავუხვიეთ, სპაარნეს გვერდით მოსახვევით საციგურაოს გავლით, ჰარლემის პარკის მიმართულებით გავქანდით.

— წარმოგიდგენია? — ისევ გაისმა ტინკას ხმა. — ეს ეშმაკეული ტყვიები მის ბეწვის პალტოში გაიჩხირნენ!.. მას არაფერი მოსვლია, სრულიად არაფერი!.. ახლა იგი გამწარებული რეკავს „უშიშროების სამსახურში!“

და ტინკამ ისევ ნერვიულად და წვრილ ხმაზე დაიწყო ხითხითი. მივხვდი, რომ მართალს ამბობდა.

— სხვადასხვა მიმართულებით... — ვბრძანე ჩახლეჩილი ხმით. სუნთქვა მეკვროდა, გული გამალებული მიცემდა. — ვილაპარაკებთ... ხვალ!

როგორც კი ხემსტედის გზატკეცილზე გავედით, ყოველი ჩვენთაგანი თავისი გზით წავიდა. შევნიშნე, რომ აღელვებული, საეჭვოდ ჩქარა მივქროდი... ჩემს თავს ძალა დავატანე ნელა მეევლო. ვერ ვხედავდი ხეივნებსა და ხეებს, არც დათოვლილ ჯიხურებს ტრამვაის გაჩერებებზე. თვალწინ მიტრიალებდა ნაცრისფერ კრაველის პალტოიანი ქალი, იგი ეცემოდა, დგებოდა და ისევ გაგვირბოდა, მიუხედავად იმისა, რომ უნდა მომკვდარიყო. და ვიდრე ამას შევიგნებდი, ნერვიულმა დაძაბულობამ გამიარა: მთელმა ჩემმა არსებამ შვება იგრძნო.

მშიერ სტუმრებთან გამომშვიდობება

სახლში, ჩემ გამოსაცხადებელ მისამართზე, დონკერ სპაარნესთან, უამრავი ახალი ამბავი დამხვდა, როცა მივედი „დე ვაარხეიდის“ გამოშვებისა და დარიგების შესავსებად, რაც ოპერაცია „შევალმა“ შეაფერხა, სხვენზე, სადაც როტატორი იდგა, ანი და ტინკა დამხვდნენ. ისინიც ჩემნაირ ხასიათზე იყვნენ, — საერთოდ საკმაოდ დამშვიდებულები, მაგრამ გაბრაზებულები და შეწუხებულები, ამ თავდასხმით თითქოს ვიღაცამ სასტიკად მოგვატყუაო.

ჯერ მიღებული ცნობების ბეჭდვას შევუდექით. ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ გერმანულ ქალაქებზე თავდასხმები არაჩვეულებრივად გახშირდა. როცა იგი წავიკითხეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს თითქმის ნახევარი გერმანია გადამწვარიაო. ჰიტლერმა ბრძოლაში ჩააბა თავისი უკანასკნელი ძალები. ეს იყო უბადრუკი ცდა, დანაშაულებრივი და, ამავე დროს, სასაცილო: მან მოაწყო Volkssturm—სახალხო ლაშქრობა, ინგლისური Home Guards —სამოქალაქო თავდაცვის აშკარა მიბაძვა. მაგრამ ახალი გვარდიისათვის ჰიტლერს ხალხი არ ჰყავდა. იგი მეტწილად მოხუცი მამაკაცებისა და პენსიონერებისაგან, ანის გამოთქმით „ბაბუებისგან“ შედგებოდა. მათ პირველად ჩაიცვეს სამხედრო ფორმა, როცა მუდმივი საგუშაგო ჯარის შეცვლა მოუხდათ. ამ მოლაშქრეებს ყველაზე უფრო ხშირად „თოვლის ბაბუებს“ ეძახდნენ, მეომრებად არ ვარგოდნენ. რაც შეეხება პენსიას, ბევრი მათგანი გამოეთხოვა მას... მოვიდა სხვა ცნობებიც, რომლებიც უფრო საინტერესოდ გვეჩვენა და ჩვენ გაზეთში თვალსაჩინო ადგილი დავუთმეთ: ტრირში ქალე-

ბი უშველებელი ტრანსპარანტებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. ომის მალე დამთავრებას მოითხოვდნენ. „ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაგვიბრუნონ ქმრები და ვაჟიშვილები!“ — ყვიროდნენ ქალები. ესესელებმა ვერ გაბედეს მათთვის სროლა. და დემონსტრაცია ხელკეტებით დაშალეს.

— რა თქმა უნდა, — თქვა ტინკამ, — მათ ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა ხელკეტებით გაუსწორდნენ ადამიანებს... რომლებსაც არ შეუძლიათ პასუხი გასცენ. მაინც ეს ქალები მათზე გულადები აღმოჩნდნენ.

— ქალები ყოველთვის უფრო გულადები არიან, გერმანელებიც კი, — შენიშნა ანმა.

იმავე დღეს, როგორც კი სამუშაო დავამთავრეთ, შტაბში წავედით. უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო, როცა მადამ შევალის საქმე გამახსენდა. და მაშინ მივხვდი — ამ საქმეშიც იყო რაღაც შეუთანხმებლობა — რაღაც ისეთი, რაც არ მომწონდა. ანსა და ტინკასაც, როგორც ჩანდა, ასეთივე გრძნობა აწვალებდა. უსმოდ გავემართეთ ჩვენი შტაბისაკენ; თუმცა, წესის მიხედვით, ვალდებულები ვიყავით წავსულიყავით და შეგვეტყობინებინა, მადამ შევალზე თავდასხმა მარცხით რომ დამთავრდა. მაგრამ ფელზენში არ წავსულვართ — ძალიან ბუნდოვნად მქონდა წარმოდგენილი, რატომ მოვიქეცით ასე; თითქოს გვეშინოდა, რომ ამ ოპერაციის შესასრულებლად კიდევ გაგვგზავნიდნენ.

რულანტმა, რომელიც ასაფეთქებელ მასალას თუნუქის კოლოფებში აწყობდა, გვითხრა.

— რაღაც გაჩუმებულები ხართ, რამ გაგიფუჭათ გუნება? სად დადიოდით ბოლო ხანებში?

— ყველაფერმა გაგვიფუჭა ხასიათი, — უპასუხა ტინკამ. — ყველგან მარცხია.

— მიამბეთ, — გვთხოვა რულანტმა.

ყველაფერი ვუამბეთ და შვება ვიგრძენით. რულანტი გვისმენდა და თან თავის სამუშაოს განაგრძობდა, ვიდრე ჩვენ მონათხრობში რაღაცამ არ დააინტერესა. მან გვერდზე გადადო თოფისწამლიანი კოლოფები, კეფა მოიფხანა და გაუნძრევლად იჯდა, ამბის დასრულებამდე.

როცა ჩვენ მარცხზე და სახიფათო ლაშქრობების შესახებ მოხსენება მოისმინა, მან გვითხრა:

— აქ. რაღაც ვერაა რიგზე... ხომ სწორია?

ერთმანეთს გადავხედეთ. მე სწრაფად ვკითხე:

— შენც ასე გგონია, რულანტ?

— ნამდვილად არ ვიცი, რაშია საქმე, — მიპასუხა მან. — არ შემიძლია ავხსნა. მაგრამ, ვგრძნობ, რომ აქ რაღაც კარგი ამბავი არ არის.

— წესის მიხედვით, ფელზენში უნდა წავსულიყავით... — დაიწყო ანმა. რულანტი ადგა და აჩქარებულად გვითხრა: — არა, არა. რამდენიმე დღე დაიცადეთ. გაზეთი აკეთეთ და არავითარი ზომები არ მიიღოთ.

— შენ რაღას გააკეთებ, რულ? — ჰკითხა ტინკამ.

მან გაიცინა და ისევ დაჯდა.

— იმას, რაც ჩავიფიქრე, — უპასუხა მან. — მაგრამ ჯერ ისევ სინათლეა. მე, ალბათ, წავალ, როცა დაბინდდება. ყოველ შემთხვევაში, ხვალ აქ მოდით.

მეორე დღეს ისევ მივედით შტაბში. რულანტს თუნუქის კოლოფები და ასაფეთქებელი მასალა წაეღო, სუფთად მიელაგებინა ძველი, ცივი, მტვრიანი სადგომი, თითქოს მისი საკუთარი საცხოვრებელი ყოფილიყოს. მისვლისთანავე შევნიშნეთ ეს ამბავი.

— რა თავაზიანობაა შენი მხრივ, რულანტ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყეე, — ვუთხარი მე. — ეს რაღაც ახალი ამბავია...

სულაც არ სწყენია ჩემი ნათქვამი, თვითკმაყოფილებით გაიცინა: — სამწუხაროდ, ეს თქვენთვის არ გამიკეთებია... სტუმრები გვეყოლება.

— საინტერესოა, — თქვა ტინკამ. — ვინ იქნება, რულანტ? ვინმე საყურადღებო პიროვნება იქნება წინააღმდეგობის საბჭოდან?

— რა თქმა უნდა, ქალი იქნება, — ვთქვი მე. — თორემ ასე სუფთად არ მიალაგებდა ოთახს... მამაკაცები ყოველთვის ასე იქცევიან, როცა შთაბეჭდილების მოხდენა უნდათ. ვის თვალში უნდათ შთაბეჭდილების მოხდენა? რა თქმა უნდა, ქალის.

რულანტი პირდაღებული მიყურებდა.

— როგორი მიხვედრილი ხარ... — თქვა მან თავის ქნევით...— ყველაფერს ამჩნევს, ეშმაკი!

რულანტი, რომელიც გაკვირვებისგან ვერაფრით მოსულიყო გონს, გამოტყდა, რომ სტუმრად ქალს ელოდა.

— მაშინ, მე უკვე ვიცი, ვინც იქნება, — განაცხადა ტინკამ. — პარტიის ინსტრუქტორი.

ჩვენ მიერ მზვერავის თვისებების გამომჟღავნებით გაოცებულმა რულანტმა თავი დაგვიქნია. იგი თითქოს გაბრაზდა კიდეც, რომ ასე იოლად გამოვამჟღავნეთ მისი საიდუმლო. მე, ანი და ტინკა ცოტა ვნერვიულობდით პარტიის ინსტრუქტორის მოლოდინში.

როცა გზიდან თოვლზე ფეხის ჭრიალი შემოგვესმა, საძივე ფეხზე წამოვხტით. რულანტი უკვე დერეფანში გავიდა სტუმრის მისაგებებლად. მართლაც ანი მოვიდა. პირველად ვერც კი ვიცანი. ძალიან გამხდარიყო. ლოყები ისევ ვარდისფერი ჰქონდა, მაგრამ ეს ყინვით იყო გამოწვეული. როცა თავიდან თავსაფარი და შალი მოიხსნა, შევნიშნე, რომ კისერი ჩემი ამხანაგებივით გაწვრილებოდა... ალბათ, ჩემსავით, — სარკეში აღარ ვიხედებოდი... მაგრამ ანის თავი ისევ მამაცად ეჭირა. მოუხეშაობა და მეომრული განწყობილება შეენარჩუნებინა. როცა მან ლაპარაკი დაიწყო, მაშინ, როგორც იქნა, ვიცანი ის ანი, როგორიც იყო პირველად გაცნობის დროს.

ყველანი მაგიდას ვუსხედით და რაღაც ნახარშს ვსვამდით, რომელსაც რულანტი ჩაის ეძახდა, — ფერი მომწვანო ჰქონდა. მაგრამ გვათბობდა. საუბარიც გაგვიადვილა — ფინჯნები ხელში გვეჭირა და მოვხვრეპდით ხოლმე, როცა საუბარი შეწყდებოდა.

ანიმ თქვა, რომ მან გაიგო ჩვენი ფათერაკების ამბავი, რომლებიც ფელზენის შტაბში შეგვემთხვა. ჩვენ რულანტზე უფრო დაწვრილებით მოვუყევით ჩვენი მარცხის შესახებ. იგი უხმოდ გვისმენდა და თავისი სერიოზული გამომცდელი ყავისფერი თვალებით ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. ნაკლებად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე კარგად შესძლებოდეს მოსმენა... სადღაც წამიკითხავს, რომ ლენინს ჰქონდა მოსმენის განსაკუთრებული ნიჭი, იგი მოსაუბრეს ლაპარაკს არ აწყვეტინებდა და მხოლოდ აუცილებელ შეკითხვებს აძლევდა. იგი მოპირდაპირე ადამიანის პიროვნებას პატივს სცემდა.

როცა ჩვენი მოხსენება დავამთავრეთ, ანიმ გვითხრა:

— არაფერი შემიძლია ცუდი ვთქვა ამ ორგანიზაციაზე, როგორც წინააღმდეგობის ჯგუფზე... შენ, რულანტ?

რულანტი მოსწავლესავით გაწითლდა, რაც მას ძალიან უხდებოდა, და ყველამ უფრო მეტი სიმპათია ვიგრძენით მის მიმართ.

— თქვენ სამივენი ხომ პარტიის წევრები ხართ.. ამიტომაც ჩემგან ღებულობთ განკარგულებას — დროებით დაშოშმინდეთ...

ანიმ უცებ გაიცინა, როგორც ჩანდა, ჩვენი სახის გამომეტყველება შენიშნა და სახე თითქოს უფრო ახალგაზრდული და ცოცხალი გაუხდა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძობდა ანი, — რაკი თქვენ ასე დიდხანს ეწეოდით მზვერავისა და შურისმაძიებლის ცხოვრებას, ეს აკრძალვა შეიძლება მოულოდნელად და სასტიკადაც მოგეჩვენოთ... კიდევ ვიმეორებ: აკრძალვა დ რ ო ებ ი თ ი ა. მე ხომ არ შე-

მიძლია გადაწყვეტილება მივიღო სრულიად დამოუკიდებლად. შეიძლება, ამ დღეებში მიიღოთ მითითებები მომავლისათვის. ჯერჯერობით „დე ვაარხეიდზე“ იმუშავეთ... მე ხანდახან ვკითხულობ თქვენ გაკრულ ბიულეტენებს... მშვენიერი სამუშაოა, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან სახიფათო.

ჩვენ ვახველებდით, ხმას არ ვიღებდით

— ფელზენელებზე რას იტყვით? — ჰკითხა ბოლოს ანმა, როცა დუმილი უხერხული გახდა.

ანიმ ისევ დაიხურა თავსაფარი, და დინჯად შეიკრა.

— წადით და გაარკვიეთ საქმეში. შეატყობინეთ უკანასკნელი ოპერაციის შედეგი. დანარჩენ, მომდევნო დავალებებზე უარი უთხარით. თქვენ გევალებათ გაზეთი „დე ვაარხეიდის“ საქმე და მეტი არაფერი.

კისერზე შალი შემოიხვია, ჩაიცვა პალტო და დაგვემშვიდობა. რულანტმა გააცილა კარებისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისმა ბაღის ბილიკზე ფეხის ხმა, მერე მიმავალი მანქანის სალტეების შრიალი.

— ესეც კარგი ამბავი, — თქვა ტინკამ, — ბოლო მოეღო ჩვენ შეიარაღებულ გამოსვლებს.

— ამას შენ უნდა გიმადლოდეთ, რულანტ, — ღვარძლიანად შევნიშნე მე, როცა რულანტი ოთახში შემოვიდა.

— რა მოხდა? — მკითხა მან, თუმცა მშვენივრად ესმოდა რაზეც ვლაპარაკობდით.

— ისა, რომ სროლა აგვიკრძალეს! — თქვა ანმა.

მან მკაცრად შემოგვხედა:

— გამიგონეთ. ეს თქვენი ოპერაციები, კარგა ხანია არ მომწონს. ანი სავსებით მართალია. ბოლო უნდა მოეღოს ამ ამბავს. უშიშროების მიზნით... თუ ფელზენელები სხვანაირად ფიქრობენ, ეს მათი საქმეა. მათ შეიძლება საკუთარი მოსაზრებები აქვთ.

— რა გაქვს მხედველობაში, რულანტ? — ვკითხე მე, როცა იგი გაჩუმდა.

— რაც გითხარით, — მკაცრად მიპასუხა, მან. — თუ დანამდვილებით გინდათ იცოდეთ, მაშინ ახლავე გეტყვით, რომ ეს ფელზენელი ხალხი არ მომწონს, რაკი ისინი თქვენი დახმარებით სარგებლობენ თავიანთი ბინძური საქმეებისთვის. სულ არ მომწონს ეგ ხალხი!

— ჩვენც არ მოგვწონს ისინი, მაინცდამაინც, — ჩაილაპარაკა ტინკამ. — მაგრამ ეს მხოლოდ.... მხოლოდ შთაბეჭდილებაა... გრძნობაა ასეთი. ისინი ხომ მაინც პატრიოტები არიან.

რულანტს არაფერი უპასუხია. მისმა უეცარმა ჯიუტურად გაჩუმებამ, მისმა შეკრულმა შუბლმა დამარწმუნა, რომ მას რაღაც აზრი უტრიალებდა, რომელიც ჯერ არ უნდოდა, ან არ აპირებდა ეთქვა. ანსა და ტინკასაც ვანიშნე, რომ გაჩუმებულიყვნენ.

მეორე დღეს ფელზენში გამოვცხადდით. პაულიმ, კააპსტადტმა და მეისფელტმა მიგვიღეს. სკამები შემოგვთავაზეს. მაგრამ სიგარეტები არ შემოუთავაზებიათ. სიტყვა ავიღე და ვუამბე, როგორ ვუთვალთვალებდით ქალიშვილი ბისხოფის სასტუმრო ოთახიდან, მადამ შევალიე როგორ გამოვიდა სახლიდან ჯერ ბავშვიანად, რომ იმ დროს არ გვინდოდა გვესროლა მისთვის, როგორ ველოდეთ, როდის გამოვიდოდა მარტო, როგორ დავაკავეთ და ჩვენი ტყვიები მის კრაველის ქურქში გაიჩხირა. ჩუმად გვისმენდნენ. კააპსტადტს ტუჩის კიდესთან ნაიარევი უცახცახებდა.

როცა თხრობა დავამთავრე, მაგისტრმა პაულიმ გვითხრა:

— მონათხრობი ზუსტად ემთხვევა იმას, რაც ჩვენ უკვე ვიცით; მთელი საქმე გააფუჭეთ. ჰარლემის პოლიციაში განგაშია ატეხილი, რადგან ის ქალი უვნებლად გაუშვით...

ანი, ტინკა და მე თითქმის ერთდროულად წამოვდექით.

— თუ ყველაფერი იცით, რაღა საჭიროა კიდევ რომ აამბობინებთ ხანას ყველაფერს? — გაცხარდა ტინკა.

პაულიმ დინჯად შეხედა მას, ოღონდ არა ძველებური კეთილგანწყობილებით.

— იმიტომ, რომ თქვენი მონათხრობიც მინდოდა მომესმინა, — განაცხადა მან. — Audi et alteram partem[1]. მე იურისტი ვარ.

იგი ტინკას უყურებდა. ჩემთვის არ შემოუხედია. მე აღშფოთებისგან ვცახცახებდი.

— მეც ცოტათი ვერკვევი იურიდიულ ხრიკებში, — განვაცხადე მე. — ამას არავითარი კავშირი არა აქვს ორივე მხარის მოსმენასთან. ეს ხაფანგია. რომლითაც სარგებლობენ წინდახედული ვექილები საეჭვო საქმეებში... ეს არ არის ჯენტლმენური საქციელი. ისეთ საპატიო ბატონებს, როგორებიც თქვენ ხართ, რომლებიც მითითებებს უშუალოდ ლონდონიდან ღებულობენ, უფრო უნდა რცხვენოდეთ ამისი.

ვხედავდი, რომ პაულის ადგომა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. კააპსტადტი გაუნძრევლად იჯდა, ოღონდ ნაიარევი უფრო მეტად უცახცახებდა. მეისფელტმა ღვარძლიანად თქვა:

---

[1] მოუსმინე აგრეთვე მოპირდაპირე მხარეს (ლათ.).

— ძალიან ნუ მოგაქვთ თავი... უმჯობესი იყო უკეთესად შეგესრულებინათ დავალებები. გვარწმუნებდნენ, თითქოს გესმოდათ ჩვენი საქმე, თქვენ კი საქმეებს ზედიზედ გვიფუჭებთ.

სკამიდან წამოვხტი. პაულიმ რაღაც შემარიგებლური სიტყვები ჩაიბუტბუტა.

— ყველას შეუძლია დამარცხდეს, — ვთქვი მე. — ჩვენ ყოველთვის სიცოცხლეს ვიგდებდით საფრთხეში... ავანტიურებისათვის, რომლებიც ახლა თანდათან უფრო უაზროდ მეჩვენება...

— სიგარებიანი ყუთებისათვის! — ჩაურთო ტინკამ, რომელსაც სახე წამოგზნებოდა.

ყველანი მისკენ შეტრიალდნენ, მე და ანიც. მეისფელტმა ტინკასკენ გადადგა ნაბიჯი.

— სიგარები? — გაიმეორა მან. — დიახ, ეს ასეა.

არასასიამოვნო, საზიზღარმა ღიმილმა დაუმანჭა სახე — იგი თითქოს ორად გაიყოო.

— ესე იგი, თქვენ შეკრულებში იხედებით, — თქვა მან მერე და ტინკასაგან ჩემზე გადმოიტანა მზერა. — ესეც არ ეწინააღმდეგება კომუნისტების მაღალ პურიტანულ მორალს?

— ეს არ ეწინააღმდეგება წინააღმდეგობის მაღალ პურიტანულ მორალს, — შევეპასუხე მე — უნდა იცოდე, რისთვის აგდებ საფრთხეში სიცოცხლეს!.. დიდი ხნის განმავლობაში არ ვიცოდით, რა დაგვქონდა თქვენი დავალებით. ვიპარებოდით პოლიციელთა საგუშაგოებზე, ფაშისტთა დამხმარე პოლიციის საფარებისა და ესესელთა გვერდის ავლით, რომ თქვენი მეგობარ-ნაცნობები მოგვემარაგებინა თამბაქოებითა და, ღმერთმა იცის, კიდევ რით... ასეთ საფრთხეში სამი ქალიშვილის ჩაგდება, თუნდაც კომუნისტების, არ ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიულ მორალს?

მეისფელტი იჯდა და ღიმილი შესცივებოდა სახეზე. როცა ლაპარაკი დავასრულე, გესლიანად შემნიშნა:

— რა იცით, ქალბატონო ს., ჩემი მორალის შესახებ? თქვენ ჩემთვის სასაყვედურო არაფერი გაქვთ. თქვენი სურვილით მოხვედით აქ ჩვენი დავალებების შესასრულებლად. ინჟინერმა კაპიტადტმა უკვე გითხრათ ერთხელ, სხვა ამბავთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ვალდებული არა ვართ ანგარიში ჩაგბაროთ ჩვენი ზრახვების შესახებ და აგიხსნათ ვინმესთან ჩვენი ურთიერთობის ხასიათი. თუ გეშინიათ, თქვით. მაგრამ აღშფოთებულის როლს ნუ თამაშობთ, ეს თქვენ არ გიხდებათ!

მაგისტრი პაული ახლა ნამდვილად ადგა. იგი ხელს უქნევდა

მეისფელტს, რომ დაემშვიდებინა. მეისფელტი გაფითრდა; მისი ფართო პირიდან ნერწყვის შხეფები ჩემამდე აღწევდა. მე გავიფიქრე: ოდესღაც მან მისაყვედურა, კომუნისტების ყოველგვარ გრძნობას საფუძვლად სიძულვილი უდევსო; მაგრამ აქ დგას იგი, სიძულვილით მთლად ანთებული, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ოპერაციები მარცხით დამთავრდა... გულში ისევ გაიღვიძა უსიამოვნო გრძნობამ და გავიფიქრე: „აქ რაღაც ვერ არის კარგი ამბავი... რატომ გვაყენებს იგი ასეთ სასტიკ შეურაცხყოფას?“

— ჩვენ არც გვეშინია და არც არასოდეს გვშინებია, — თქვა ანმა, რომელიც აქამდე ლაპარაკში არ ერეოდა. პაული ამაოდ იძლეოდა გაჩუმების ნიშანს, — იცით თუ არა, რას ნიშნავს ვზაში ხუთი-ექვსი საათი ქანცგაწყვეტილი, მშიერი ყოფნა ველოსიპედით, რომელიც დაჟანგულ ყავის წისქვილს გავს... და, რაც მთავარია, საკუთარი სიცოცხლე გასწირო ერთი ყუთი სიგარისათვის?

— საქმე სიგარებში არ არის, — უცებ თქვა კაპიტანმა, რომელმაც დაარღვია უძრავ მდგომარეობაში ყოფნა და ფეხზე ადგა. — თქვენ ეს ჩემსავით კარგად გესმით. ეს სიგარები უფრო არსებითს წარმოადგენს, გვშველის ჩვენ, მთელ წინააღმდეგობის მოძრაობას... გიხაროდეთ, რომ ისინი ჩვენ გვაქვს. რომ იცოდეთ, რისთვის მიგვიღწევია სიგარების დახმარებით, მაშინ სხვანაირად ილაპარაკებდით.

— ვიმედოვნებ, — ვუპასუხე მე. — მაგრამ ჯერ არ მინახავს, რომ თუნდაც ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი სასწაულმოქმედი სიგარის წყალობით დასხლტომოდეს გერმანელების კლანჭებს.

ანი, ტინკა და მეც წამოვდექით. ახლა ყველანი ფეხზე ვიდექით. ოთახი თითქოს თოფის წამლის სარდაფად იქცა — საცაა აფეთქდებოდა. პაულიმ ერთი წუთით პირი მაგრად მოკუმა. მეგონა, ახლა დაიღრიალებდა, როგორც მაიორი მოედანზე. ამის ნაცვლად მან რაღაც დაძაბული, არაბუნებრივი სიცილით თქვა:

— ქალბატონებო და ბატონებო... მე ვფიქრობ, რომ ამ ოთახში განწყობილება ძალიან გამწვავებულია და პირიდან ამოდის ისეთი სიტყვები, რომლის კონტროლის გაწევა გონებას აღარ შეუძლია... წინადადებას ვიძლევი, შეწყდეს დისკუსია.

— თანახმა ვარ, — განვაცხადე მე. — მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთი რამის თქმა: თავის დროზე გთხოვეთ, მოგეცათ ჩვენთვის ახალი რევოლვერები, ყოველ შემთხვევაში, ვარგისები... ინჟინერმა კაპიტანმა მაშინ თქვა, თქვენი რევოლვერები სრულიად გამოსადეგნი არიან იმ საქმისათვის, რაც დავალებული გაქვთო.

— ეს სწორიც იყო! — გამაწყვეტინა კაპიტანმა მისთვის ჩვეული უბოდიშობით.

— შეიძლება, — ვუპასუხე მე. — მხოლოდ, ვფიქრობ, რომ მადამ შევალის თავიდან მოშორებას შევძლებდით, უკეთესი რევოლვერები რომ გვქონოდა ამ ძველი ხარახურის ნაცვლად, რომელიც ასეთ მანძილზე არ მოქმედობს.

ჩემი იარაღი ვაჩვენე. მეისფელტმა უნდობლად დახედა მას, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ რევოლვერი ძველი და გაცვეთილი იყო. კაპიტანი ტუჩებს იკვნეტდა. პაულიმ ენა დააწკლაპუნა: — თქვენ მართლა ასე ფიქრობთ, ქალბატონო, ს.?

— ხანა მართალს ამბობს, — თქვა ანმა.

— რა თქმა უნდა, — დაადასტურა ტინკამ. — ცარიელი კუჭი, დაუსრულებელი სიარული ველოსიპედებით, და გარდა ამისა, ისეთი რევოლვერები, რომლებიც მხოლოდ სანაგვეში გადასაგდებად ვარგა... და თქვენ ჩვენგან კიდევ საოცრებებს ელით!

პაულიმ კაპიტანს გადახედა: — რას ფიქრობთ თქვენ, ინჟინერო?.. კიდევ გვაქვს მარაგი?

სწრაფად გავაწყვეტინე სიტყვა; მე თვით გამიკვირდა, როგორ მკაცრად ეღერდა ჩემი ხმა.

— მადლობელი ვარ, ბატონო პაული... უკვე აღარ გვჭირდება, წინააღმდეგობის საბჭომ დროებით აგვიკრძალა სროლა... სწორედ ასე. გვითხრეს. სხვა სამუშაო უნდა შევასრულოთ.

— როგორ? — წამოიყვირა მეისფელტმა. —ასეთ წუთებში უნდა დაგვტოვოთ?

მის სახეზე აშკარად გამოიხატა უკმაყოფილება. დანარჩენი ორიც თუ იყო იმედგაცრუებული, მაინც არ გამოუმეღავნებიათ.

— ეჭვი არ მეპარება, რომ მართალს ლაპარაკობთ, — სიტყვების გაგრძელებით თქვა პაულიმ, თან თავისი მოწყალე ღიმილით იღიმებოდა. — ვფიქრობ, ჩვენ ყველას გვესმის თქვენი... ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენი დახმარება დაგვაკლდება, როგორც ამბობთ, მხოლოდ დროებით... ისიც მესმის, რომ ხანდახან დასვენებაც აუცილებელია.

— ვეთანხმები ზემონათქვამს, — განაცხადა კაპიტანმა. — ნამდვილად დაიმსახურეთ დასვენება... მით უმეტეს ახლა, უკანასკნელი მარცხის შემდეგ. იმედი მაქვს, მალე ისევ მოხვალთ ჩვენთან ადრინდელ ბრწყინვალე ფორმაში... პირობას გაძლევთ, რომ რევოლვერების საკითხს გადავსინჯავ.

და მან გაიღიმა ძალიან თავაზიანად, რამდენადაც კი შეეძლო.

მეისფელტმა ზურგი შემოგვაქცია. მგონი, რაღაც ჩაიდუდღუნა თავისთვის.

პაულიმ კარებამდე მიგვაცილა. ხელი ჩამოგვართვა. მერე კიბის ბაქანზე გავიდა და ძირს ჩასძახა:

— მაარტენ! როგორა გაქვთ საქმე სამზარეულოში? მოიძებნება თუ არა საჭმელი ჩვენი მშიერი სტუმრებისათვის?

კიბეებიდან უკვე ჩამოვედით. ვგრძნობდი, რომ ამ გამოთქმით — „მშიერი სტუმრები" — მაგისტრ პაულის უნდოდა საბოლოოდ შური ეძია ჩვენზე. ასე აცილებენ მდიდარი სახლიდან ღატაკ ნათესავებს. ჩვენ მისთვის საბრალო ღატაკები ვიყავით, რომლებიც საკუთარ ორგანიზაციას ვერ გამოუკვებია. გავიგონე, ჩემ გვერდით ტინკამ როგორ ჩაილაპარაკა ჩუმად:

— მეხი კი დავაყარე!

როცა ხოლში გავიარეთ, მაარტენმა სამზარეულოდან გამოჰყო თავი:

— დღეს ჩვენ, ქალბატონებო, დაჩურჩნილი ბარდა გვაქვს. ხორცის სუნიც კი არ უდის...

ისეთი სახე მივიღე, თითქოს არც გამიგონია და კარებისაკენ წავედი. ანი და ტინკაც გამომყვნენ. ფარდულიდან ველოსიპედები გამოვიტანეთ, ფიქვნარში ბილიკზე გავიარეთ, გზაზე გადავუხვიეთ და უხმოდ წავედით შინისაკენ.

ქაოსი

ბნელეთის მოციქულები, რომლებიც ცდილობდნენ ევროპაში მკაცრი და არაადამიანური რეჟიმი დაემყარებინათ, ხედავდნენ, რომ სრული კატასტროფა ემუქრებოდათ.

მთელ გერმანიაში ხანძარი გიზგიზებდა. ამერიკელები და ინგლისელები, რომლებმაც მიწაზე ვერ შესძლეს გერმანელებისათვის ქეჩოში ეტაცნათ ხელი, მით უფრო გააფთრებული უშენდნენ მათ ტყვიებს ჰაერიდან. ტონობით ბომბი წვიმასავით ცვივოდა გერმანიის ქალაქებზე, საკვანძო სადგურებზე, ქარხნებზე.

მუშები, რომლებსაც გერმანიაში მონურად ამუშავებდნენ,— ახლა რამდენიმე ათეული ათასი დაითვლებოდა — გარბოდნენ ხანძრის დროს, ღამის არეულობაში, ბევრი იღუპებოდა. გარბოდნენ

ჰოლანდიელებიც. ჩვენთვის ამოუხსნელი ამოცანა იყო, შიმშილსა და სიცივეს გადარჩენილები როგორ აღწევდნენ ისინი სამშობლოში — სოფლის გზებით, ჭაობებზე გამოვლით, ვესტფალიის ტორფიანი ადგილების გამოღწევითა და ჩვენი საკუთარი მდინარეების გადმოლახვით, მაგრამ მაინც აღწევდნენ. რულანტი და ვეინანტი შეხვდნენ ზოგიერთ იმათგანს. შიმშილისაგან დასიებულები, დატილიანებულები, კანისა და კუჭის ავადმყოფობით შეპყრობილები მაინც უკეთესად გრძნობდნენ თავს, რადგან, მათი აზრით, სიცოცხლე თავისთავად უდიდესი სიკეთე იყო. მათი უბედურების თანამოძმენი ათასობით დარჩნენ გერმანიაში, გერმანული ქალაქების ნანგრევებში.

ქაოსმა მოიცვა მთელი გერმანია, მაგრამ ნაცისტებმა უკანასკნელი ძალები მიაყარეს ბერლინის დაცვას.

— ისინი არ დამშვიდდებიან, სანამ ჩვენც არ გადაგვითრევენ უფსკრულში, — ხშირად იმეორებდა რულანტი. — მათ ჩვენი დაღუპვაც უნდათ.

ამ გარემოებაშიც გერმანელები ისევ აგროვებდნენ და ძალით მიჰყავდათ ხალხი იძულებით სამუშაოზე. ისინი ცდილობდნენ ჰოლანდიაშიც გამოეყენებინათ ეს ხერხი: დიდ ხელფასს სთავაზობდნენ თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი წლის ბავშვებს, რომ გერმანიის ფაბრიკებში ემუშავათ, თუმცა იმ დროისათვის, ვიდრე ხალხს შეაგროვებდნენ, ფაბრიკები უკვე გადამწვარი იყო, ანდა ბომბით დანგრეული.

ჰოლანდიელ ესესელების ბანდის უფროსი ფელდმეიერი ყოველნაირად ეხმარებოდა გერმანელებს ალყების მოწყობაში, რაც ჰოლანდიაში დღის წესრიგში იდგა. ხანდახან ვხედავდით, როგორ მიერეკებოდნენ ხალხს... მოულოდნელად შეპყრობილნი, შეშინებული ბიჭები და მოხუცები, რომლებსაც კასკიანი და კარაბინებით შეიარაღებული ბანდიტები მიყვებოდნენ. ზოგიერთი მათგანი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ბადრაგები ხოცავდნენ მათ. სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციის კუნძულებიდან, გერმანული ოკუპაციის უკიდურესი ფორპოსტებიდან, მოდიოდა გულშემზარავი ცნობები სახლების გაჩხრეკაზე, დაჭერებზე, წამებაზე; ფელდმეიერი წინ და უკან დაჰქროდა ვერმახტის ნაცრისფერი ავტომანქანით „ბშირ-ესესელებს“ შორის. წამდაუწუმ დაჰქროდა ჰააგაში რეიტერთან, ახალი მითითებებისათვის. ბრიტანელმა გამანადგურებლებმა, რომლებიც თავს დასტრიალებდნენ ვესტლანდის გზებს, შენიშნეს ნაცრისფერი მანქანა, რომლითაც ფელდმეიერი მიდიოდა. რა თქმა უნდა, მათ არ იცოდნენ, ვინ იჯდა შიგ. მხოლოდ ხე-

დავდნენ, რომ ნაცისტების ავტომანქანა იყო, და ტყვიამფრქვევების ცეცხლით გაანადგურეს მანქანა და შიგ მსხდომნი.

ვეინანტმა მითხრა: — ერთხელ შენ მკითხე, ადამიანის შვილო, ჩვენ ღერთს რატომ არ სურს, რაიმეთი დაეხმაროს ინგლისელებსო... მან კი ფელდმეიერი დასაჯა.

ოდნავი ღიმილით ვუპასუხე: — არ მინდა ღვთის გმობა, მაგრამ ერთი ფელდმეიერი ანგარიშში არ ითვლება... რაუტერი კიდევ ცოცხალია... ლახესიც, აუს დერ ფიუნტენკიც, ამერსფორტის ჯალათებიც, ფლამანდიელი ესესელებიც აპელდორნში, და მრავალი სხვაც...

ვეინანტმა დინჯად გაიქნია თავი და განაცხადა:

— ჩვენ არ ვიცით, რატომ იქცევა უზენაესი ასე და არა სხვანაირად... მან დაგვიმტკიცა, რომ საბოლოო უფლება მას ეკუთვნის. ყველაფერ ამაში დიდი აზრი იმალება, ხანა.

არ შევდავებივარ. მხოლოდ ჩემ თავს მივეცი შეკითხვა: არის თუ არა ამაში მართლა რამე აზრი? უფრო სწორედ, ეს იყო შეცდომების აღმაშფოთებელი შედეგი — ზნეობათა გაველურება, განუწყვეტელი უმიზეზო მკვლელობები. როცა დაბომბვების ამბავს ვკითხულობდი, უკვე აღარ ვფიქრობდი ადამიანებზე, რომლებიც მათ შედეგად იღუპებოდნენ. უგულო როდი ვიყავი. უბრალოდ დავიღალე. ყველანი დავიღალეთ, საშინლად დავიღალეთ, უკიდურესობამდე! ალბათ, ასე იყო გერმანიაშიც. თვითონ ჯალათებიც, როგორც ჩანდა, დაიღალნენ, მაგრამ, დაღლილობისა და მოქანცვის მიუხედავად, თავიანთ საშინელ საქმეს განაგრძობდნენ. გერმანიაში მონური შრომისათვის გარეკილები დღითიდღე უფრო მეტი ბრუნდებოდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ სამშობლოში შიმშილით სიკვდილი ერჩივნათ, ვიდრე ჯოჯოხეთის წამების განცდა, როგორშიც თვითონვე გერმანელები ცხოვრობდნენ, რომლებიც კიდევ ახერხებდნენ თავიანთი მსხვერპლის უფრო სასტიკ ექსპლოატაციას. საბჭოთა ჯარები ზედიზედ ანთავისუფლებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებს. წითელი პოლკების მოსვლის წინ ესესელები სისხლისღვრას აწყობდნენ. ისინი ტყვეებს ტყვიამფრქვევებით ხოცავდნენ, ანდა მიერეკებოდნენ მათ იმ გზებიდან მოშორებით, საიდანაც საბჭოთა ჯარი უტევდა, ვისაც სიარული არ შეეძლო, იქვე უსწორდებოდნენ. ამ დღებში გავიგეთ ამბავი ათასობით რუსი სამხედრო ტყვის გმირობისა, რომლებიც დრეზდენის ახლოს ეკალხლართიანი მავთულის იქით იტანჯებოდნენ. როცა გაიგეს, რომ მათი თანამემამულენი ახლოვდებოდნენ, ბანაკიდან გამოცვივდნენ, ხელთ

იგდეს იარაღი და ბრძოლით გაიკაფეს გზა ახლოს მოსული საბჭოთა ქვეგანაყოფებისაკენ.

აღფრთოვანებული ვიყავი ამ ხალხით და მშურდა მათი.

ბრიტანეთის ბომბდამშენები და გამანადგურებლები თავს დასტრიალებდნენ ჰოლანდიას, ბომბავდნენ ყოველგვარ გერმანულ ტრანსპორტს, არ ზოგავდნენ ერთ ოთხთვალასაც კი. მხოლოდ, როცა ნისლი წვებოდა ან თოვდა — უკვე მარტი დადგა, ნისლსა და თოვლს ბოლო არ უჩანდა, — გერმანელები ახერხებდნენ ზოგიერთი რამის გაზიდვას. ხდებოდა ხოლმე, რომ ინგლისელები სასტიკად ცდებოდნენ, როგორც იმ ბედუკუღმართ დღეს, როცა ჰააგაში ბეზიუიდენხაუტის პარკი ერთიანად დაბომბეს. იგი გერმანელების სიმაგრე ეგონათ. ოკუპანტები სიხარულისგან ღრიალებდნენ, რა თქმა უნდა, მოსახლეობამ მხარი არ აუბა მათ. ბრიტანეთის მთავრობამ ბი-ბი-სის საშუალებით ჰოლანდიელ ხალხს ბოდიში მოუხადა დამღუპველი შეცდომის გამო. ჰოლანდიელებმა მიიღეს იგი ისევე, როგორც შიმშილი და სიცივე. ყრუ, უხმო მოთმინებამ შებოჭა მთელი ქვეყანა. მაგრამ ამ ყრუ დუმილს წამდაუწუმ არღვევდა წინააღმდეგობის მოძრაობა.

მარტის დამდეგს ესესელთა ჯარების გენერალი და პოლიციის უმაღლესი კომისარი რაუტერი თავისი პირადი დაცვიანად ველიუვეზე გადავიდა და აპელდორნში წავიდა, რომელიც ოკუპანტების მეორე რეზიდენცია იყო. ვუსტიე ხუვეს მახლობლად ნაცისტების მეთაურის ავტომანქანას თავს დაესხა კარგად შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი. მათ მგზავრებს დაახალეს თავიანთი ავტომატების მთელი ჯერი და ტყეში მიიმალნენ. რაუტერის ამალის დიდი ნაწილი დაიხოცა. არალეგალურ პრესაში გამოქვეყნდა უცნაური ხმები. ჯერ იტყობინებოდნენ, თვითონ რაუტერი დაიღუპაო. მერე გამოირკვა, რომ გადარჩენილა, მაგრამ მძიმედ იყო დაჭრილი. ზოგიერთები ვარაუდობდნენ, თავდასხმა ვერმახტში მოსამსახურე უკმაყოფილი გერმანელებმა მოაწყვეს, რომელთაც თითქოს უნდოდათ, გამარჯვებულთა გულმოწყალებას დანებებოდნენ და ესესელთა მეთაურის სახით დაბრკოლებას წააწყდნენო. თვითონ ნაცისტები თავდასხმაში ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობას სდებდნენ ბრალს. ამ მომენტიდან ყველა ციხეში, რომლებიც ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო, საშინელი ანგარიშსწორება დაიწყო. ამსტერდამში ესესელების რაზმმა ქალაქის ციხიდან ველური ღრიალით გამოათრია ორმოცი კაცი, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ თავდასხმასთან. ესესელებმა ისინი ვეტერინხის პარკში გარეკეს, ამ რა-

ონს ალუა შემოარტყეს და ვინც ალუაში მოჰყვა — დიდი და პატარა, — ძალა დაატანეს ეყურებინათ, ღია ცის ქვეშ როგორ უსწორდებოდნენ ისინი თავიანთ ტყვეებს.

ამ დღეებში ჰოლანდიის განთავისუფლებულ მხარეებს დედოფალი ვილჰელმინა ეწვია. ბი-ბი-სი გვიამბობდა, როგორი აღფრთოვანებით შეხვდა მას ზელანდიის, ბრაბანტის და ლიმბურგის მცხოვრებნი, როცა ეს ამბები გავიგეთ და მერე ჩვენ გაზეთში დაბეჭდილს ვკითხულობდით, გვეგონა, რომ ეს ამბები, შორს, ძალიან შორს ხდებოდა და არა ჩვენგან სულ ასიოდე კილომეტრზე. თითქოს ეს ამბები ხდებოდა სულ სხვა პლანეტაზე, სადაც ხალხი არხევდა წითელ-თეთრ-ლურჯ დროშებს, ცეკვავდა, მღეროდა და ზარების მოზეიმე ხმაზე გარს ეხვეოდა ჭაღარათმიან ქალს, რომელიც ემიგრაციის სიმძიმის განცდის შემდეგ თითქოს უფრო გულთბილი, კეთილი და გულისხმიერი გამხდარიყო.

ჩვენ ფორტში ვიყავით, ტყვეობაში ჩვენ ჯალათებთან ერთად. ერთი კვირის განმავლობაში, რაუტერზე თავდასხმის გამო, სამასზე მეტი ჰოლანდიელი გაჟლიტეს. ჩვენ მხოლოდ შაქრის ჭარხალს ვჭამდით. ჩვენივე სახლებში ვამტვრევდით კარებს, მოაჯირებს, იატაკს და ღუმელებს ვანთებდით, რომ არ დავხოცილიყავით გამძვინვარებული სიცივისაგან, რომელიც თეთრი, დაუსრულებელი, უმოწყალო ტერორივით შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, — როგორც ყავისფერ, მწვანე და ნაცრისფერ სამხედრო-ფორმიანი ჯალათების ტერორი.

წიგნი ეკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღლილობა

ფელზენში ჩვენი ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ რულანტი შტაბში მოვიდა პარტიის განკარგულებით, რომელიც ამტკიცებდა ანის მიერ ჩვენთვის, ქალიშვილებისათვის მიცემულ მითითებას: აღარ ისროლოთ, იარაღი შეინახეთ; იმუშავეთ მხოლოდ „დე ვაარხეიდზეო“.

ჩვენ მაინც სხვას არაფერს ველოდით. მაგრამ განკარგულებამ, შისმა გონივრულმა, ლაკონიურმა ფორმულირებამ სევდა მოგვგვარა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწორედ იმ დროს, როცა გერმანელები მთლად გამძვინვარებულები იყვნენ რაუტერზე თავდასხმის გამო, რულანტმა და ვიხერმა შესანიშნავი ახალი ამბები მოიტანეს.

— საინტერესო ცნობების გაგება მოვახერხეთ, — გვითხრა რულანტმა.

— ძალიან გვინდოდა, რაც შეიძლებოდა მეტი ამბავი გაგვეგო იმ ვაჟბატონზე, რომელსაც თქვენ ჰაგაში თავის დროზე სიგარები მიუტანეთ...

— ბლესკენზე! — წამოისროლა ტინკამ.

— დიახ, ასე ერქვა! მაგრამ, შემიძლია გაგახარო — ცოცხლებში აღარ ურევია.

— წინააღმდეგობის მებრძოლების მიერაა განგმირული, — აგვიხსნა ვიხერმა. — იგი გესტაპოსთვის მუშაობდა... ომამდე კი ინგლისელთა დაზვერვაში, „Secret Service“-ში მსახურობდა...

— კარგი ნაცნობობა გქონდათ ფელზენში, — საკმაოდ უხეშად თქვა რულანტმა.

ჩუმად ვისხედით, ყოველმა ჩვენგანმა თავისებურად აღიქვა ეს ამბავი.

— ინგლისის დაზვერვა და გესტაპო... — ლაპარაკი დაიწყო ბოლოს ანმა, თითქოს თავისთვის რაღაც გაარკვიაო. — უბრალოდ,

ადამიანები გადადიან ერთი საიდუმლო სამსახურიდან მეორეში. თითქოს მეორე კოსტიუმს იცვამენ... ძველს კი სანაგვეში აგდებენ...

— კოსტიუმს აგდებს, მაგრამ იმ ცნობებს კი არა, რაც მან დაგროვა, მაშინ როცა ძველი „კოსტიუმი" ეცვა. ისინი ძალიან მაგრად გასჯდომია თავში! — დამცინავად თქვა ვიხერმა.

— კიდევ კარგი, რომ მეტი ზიანის მოტანა აღარ შეუძლია, — შვებით ამოვისუნთქე მე.

— საქმეც მაგაშია, — დამემოწმა რულანტი. — იმ მადამმა კი, რომელსაც თქვენ ახლახან დაუხვრიტეთ ქურქი... რა იცის მან... ორივე მხრიდან?

— ალბათ, ბევრი რამ იცის, — თქვა ანმა.

— რულანტ, — ვუთხარი მას და მხარზე ხელი დავადეე, — ჩვენს შესახებ ფრანსს ყველაფერი უამბე? ჩვენ თავგადასავლებზე? იმ სიგარიან ყუთებზე და ასე შემდეგ?

მან თავი დამიქნია, მაგრამ მაშინვე არ გამცა პასუხი: — ვუამბე ყველაფერი და გავაფრთხილე იგი. ფრანსს არ სჯერა, რომ იქ რაღაც ვერ არის კარგად საქმე... მასაც ძალიან უცნაურად ეჩვენება ეს ყველაფერი, მაგრამ არ ჰგონია, რომ ჩვენ აუცილებლად ფხიზლად უნდა ვიყოთ...

— ფრანსი პატივმოყვარეა, — ვთქვი მე.

რულანტმა ისევ დამიქნია თავი.

— საკმაოდ სამწუხარო თვისებაა, — დამიდასტურა მან. — რომელიც მას ხანდახან აბრმავებს... მაგრამ ფელზენელებთან რაღაც ვერ არის რიგზე. თუმცა ჯერ კარგად ვერ გავიგე, სახელდობრ, სად და რაშია შეფერხება.

— მიხარია, რომ პარტიამ სროლა აგიკრძალათ, — განაცხადა ვიხერმა. — ყველა ეს დავალება.... ძალიან სახიფათოა, ახლა, ამ მომენტში.

— რას გულისხმობ? — ვკითხე მე.

— ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება, — მოკლედ მიპასუხა მან. — არის ჟამი, როცა სროლა საჭიროა და ჟამი, როცა უნდა დაზოგო ხალხის სიცოცხლე... ეს არამზადები ახლა ისე გათამამდნენ, ძალიან სარისკოა...

— მარტო ერთი რაუტერისათვის ასობით ჰოლანდიელი დაიღუპა... — თქვა რულანტმა. — ვიხერი მართალს ამბობს. ამ სტადიაზე საჭიროა ბრძოლა პირველ რიგში სამხედროებს მივანდოთ. თქვენ კი... — მან ანიდან ტინკაზე გადაიტანა მზერა, მერე ჩემზე, — თქვენ კი გაზეთის საშუალებით ხალხს სიმამაცე უნდა შემატოთ...

ვიცოდი, რომ რულანტს მარტო თავისი აზრი არ გამოუთქვამს. მან გამოთქვა სამშობლოსათვის ფარულად მებრძოლთა აზრი, იატაკქვეშ მომუშავეთა აზრი, რომლებიც პარტიას მხარში უდგნენ. მაგრამ, როცა ყველაფერი კარგად გავიაზრე, ჩემ სულში ისევ გაისმა პროტესტი. მეგონა, რომ ჩვენ ისევ უნდა გაგვეგრძელებინა ბრძოლა, შებმა, შეჭიდება...

რაღაც გაურკვეველმა, მწარე გრძნობამ მომიცვა ამ მარტის დღეებში. ხანდახან ვფიქრობდი: დაღლილობაა-მეთქი. დავიღალეთ. დაღლილობას ვგრძნობდით, როცა მივდიოდით სხვენზე, სადაც როტატორი იდგა. როცა დამზადებული გაზეთების შეკვრიანად მოვდიოდით სხვენიდან, მაშინ უფრო ვგრძნობდით დაღლილობას. როცა გაზეთები დაგვქონდა, ასე გვეგონა, თითქოს პირქუში დღე მძიმე ტვირთად გვაწვა ზურგზე. ბეჭებში და წელში გვტეხდა, იგი ნელ-ნელა გადავიდა მუდმივ, მღრღნელ ტკივილში.

დიდი ხანი იყო სარკეში არ ჩამეხედა. ახლაც ვერ ვბედავდი ამას, ხანდახან თვალს მოვკრავდი ხოლმე ჩემს ანარეკლს ფანჯრის ან კარის მინაზე: როგორი გამხდარი, დაღვრემილი, არასასიამოვნო არსებაა!.. ხანდახან შევნიშნავდი ხოლმე, როგორ შემომყურებდნენ ანი და ტინკა. მეც ზუსტად ასევე ვუყურებდი მათ. უსიტყვო თანაგრძნობით, ვცდილობდი, არ მიმხვდარიყვნენ, მათზე რომ ვწუხდი ძალიან. არ მინდოდა, გაუფრთხილებელი სიტყვით შემეფიქრიანებინა ისინი. არაფერს მეუბნებოდნენ, მაგრამ, ალბათ, მათაც აწუხებდა ჩემი მდგომარეობა.

მარტის დამდეგს ჩემი დიასახლისისაგან, მედდისგან, რომელიც ისევ წაკიდა სხახენში, ცნობა მოვიდა; იგი მატყობინებდა, ჯერჯერობით მშობლებთან ვრჩებიო. მივხვდი: იქ, ალბათ, საკმაო პროდუქტი იყო, მაშინ, როცა ჰარლემში მხოლოდ ტიტას ბოლქვები და ჭარხალიღა იშოვებოდა, ჩვენ იშვიათად ვხედავდით ერთმანეთს; იგი უფრო ხშირად საავადმყოფოში იყო, რომელიც ცოტათი მაინც თბებოდა. ლაპარაკითაც ხანდახან ვლაპარაკობდით, მაგრამ ახლა, როცა იგი სულ აღარ მოდიოდა, ოთახი, რომელიც მე დამითმო, უფრო ცარიელი და ცივი მეჩვენებოდა. „დე ვაარხეიდის“ დარიგების შემდეგ, როცა შინ მივიდოდი და დივანზე ვწვებოდი, ვგრძნობდი, რომ მძიმე ფიქრები მეუფლებოდა. ამისგან უნდა გავთავისუფლებულიყავი. ანსა და ტინკას მივმართე:

— რატომ არ უნდა გავაკეთოთ რამე სასარგებლო საქმე? შეიძლია ინგლისური ენა შეგასწავლოთ. ძნელი არ არის.

ისინი დამეთანხმნენ. ამ გულისგამაწვრილებელ, უღიმღამო

მარტის დღეებში, ვიდრე დაღამდებოდა, პალტოებით ვისხედით ჩემ ოთახში. ანსა და ტინკას რვეული და ფანქარი ეჭირათ, სიტყვების ჩასაწერად. მე ისევ სახლში მქონდა ჯონ რიდის წიგნი „ათი დღე, რომელმაც ქვეყანა შესძრა". გრამატიკაში სპეციალურ მომზადებაზე უარი ვთქვი და ქალიშვილებს გრამატიკულ წესებს საქმის მსვლელობის მიხედვით ვუხსნიდი. ასე მეგონა, რომ ეს უფრო მისაღები საშუალება იყო. ქალიშვილები ძალას არ ზოგავდნენ, მაგრამ ვხედავდი, რომ უჭირდათ. იმიტომ კი არა, რომ სწავლის ნიჭი არ ჰქონდათ. ძალიან დაღლილები იყვნენ. დაღლილობა ყოველ უჯრედს მოედო საწამლავივით. მან ჩვენი სისხლისდენა შეანელა და აზროვნების უნარი მოადუნა. ქალიშვილები დამაჯერებლად შეისწავლიდნენ მთელ რიგ სიტყვებს, მაგრამ ერთი დღის შემდეგ ავიწყდებოდათ. ხანდახან კითხვის დროს ჩასთვლემდა ხოლმე რომელიმე. მეც ვამჩნევდი, როგორ ქურდულად შეპარებოდა ძილი და უნდოდა ჩემი ქუთუთოების მოხუჭვა.

დაღლილობა ახლა შიმშილზე უფრო მაშინებდა. შიმშილმა მტკიცედ დაისადგურა ჩემს ძვლებში, ჩემს გამხდარ სხეულში. შიმშილი ჩემთვის თითქმის მეორე ბუნებად იქცა, მაგრამ ძალ-ღონე გველეოდა და ეს იყო მთავარი საშიშროება. სისუსტე გვეპარებოდა თითქოს მალულად, მოულოდნელად, იგი მისაფრდებოდა ყველაზე მოულოდნელ მომენტში, ცდილობდა მოვეთვინიერებინე, ხაფანგში შევეტყუებინე. აღშფოთებული ვიყავი. ვებრძოდი ამ სისუსტეს, ნებისყოფას ვიკრებდი და ყოველთვის ვფხიზლობდი. ოღონდ ამ სისუსტეს ხელი არ შეეშალა ჩემთვის, როცა არალეგალური გაზეთი დამქონდა. ოღონდ აზრი ნათელი მქონდეს და არ მომიდუნდეს ყურადღება, ვიდრე ჰარლემში დავდივარ.

ორჯერ თუ სამჯერ ვნახე ველოსიპედით მიმავალი პოლიციის მაღალი ინსპექტორი, რომელმაც თავის დროზე ქალიშვილი ბისხოფის სახლში მიგვიყვანა. იგი გამომცდელად, თითქმის მუქარით მიყურებდა; გვერდით ჩამივლიდა ხოლმე უსალმოდ და რაღაც ორაზროვანი ღიმილით. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ იგი ლანდივით მომსდევდა, და არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მე ფრთხილად, თითქოს საკუთარ თავს ვიტყუებდი, ჯიბეში რევოლვერი ჩავიდეე. უკვე რამდენიმე ხანი იყო ჩემ თეძოსთან აღარ მიგრძვნია რევოლვერის სიმძიმე. შეიძლება ამიტომ მიპყრობდა შიში და ეჭვები. როგორც კი იარაღმა თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა, ისევ დამიბრუნდა სიმხნევე და რწმენა. სახლიდან ურევოლვეროდ აღარ გავდიოდი, მაგრამ არავისთვის არ მითქვამს ეს, ანისა და ტინკას-

თვისაც კი. ცოტა მრცხვენოდა — ალბათ, ასე გრძნობს თავს ადამიანი, რომელიც ნარკოტიკებს ღებულობს, რომ მოჩვენებითი სიმხნევე შეინარჩუნოს. მაგრამ დაღლილობას აღარ ვგრძნობდი, ასე. მეგონა მე.

პაული ზურგს მაქცევს

იმ დღეს, როცა მოკავშირეებმა დასავლეთით დაიწყეს ბრძოლა საარისა და პფალციზათვის. სპაარნბერგიდან ებრუნდებოდი; სადაც ჩვეულებრივად გაზეთები მიმქონდა, იმ სახლის კარი დაკეტილი დამხვდა. მგონი, ამ დღეს დაიწყო პირველად თოვლმა დნობა. მსუბუქი, ნოტიო ამინდი ნაკლებად შემაწუხებელი იყო ადრინდელ საშინელ ყინვასთან შედარებით. ციდან წამდაუწუმ წვეთავდა ნისლის წვრილი ცივი წვეთები. კალენდრის მიხედვით ოცდაერთი მარტი იყო, მახსოვს, 1929 წელს, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი, ზამთარი მხოლოდ აპრილის ბოლოს დამთავრდა. ველოსიპედის სახელურზე დახრილი მოვდიოდი, თვალწინ გამიელვებდნენ ხოლმე მიწის ყავისფერი, სველი ლაქები. ვცდილობდი, წარმომედგინა როგორი სახე ექნებოდა ქვეყანას, როცა თოვლი დადნებოდა. როცა მიწის ზედაპირს ყინულის ქერქი მოსცილდებოდა და ქუჩის გასწვრივ ენით უთქმელი სევდის მომგვრელ ტალახის გროვებს გადარეცხავდა გაზაფხულის წვიმები, როცა ყინულის საფარველიდან ბოლოს და ბოლოს ბალახი გამოჩნდებოდა, რომელსაც ნამდვილად ისევ მოუნდებოდა ამწვანება, როგორც ეს სჩვევია მხოლოდ ჰოლანდიის ბალახს... მივდიოდი და მივდიოდი, ვიდრე ჩემი ველოსიპედის წინ რაღაც შავი და უძრავი საგანი არ აღიმართა. და ვიდრე მოვისაზრებდი, რას წარმოადგენდა ეს დაბრკოლება, მოწყენილმა ხმამ წარმოთქვა:

—Absteigen. Kontrolle[1].

გერმანული ენა. გერმანელის ხმა. ეს სიტყვები გერმანელმა წარმოთქვა.

წლის სხვა დროსა და სხვა ჰოლანდიაზე მომქანცველი და უნაყოფო ფანტაზიიდან, დღევანდელ სინამდვილეს დავუბრუნდი.

---

1 ჩამოდით. შემოწმებაა (გერმ.).

ვხედავდი, რაც მოხდა. მაგრამ მხოლოდ თვალით ვხედავდი და მომ-ხდარის მნიშვნელობა მაშინვე ვერ შევიგნე.

თურმე, იან ხეიზენის ხიდამდე მივსულვარ. გზის ორივე მხა-რეს ფორმიანი სამხედროები იდგნენ. ასეთივე სამხედროები იდგ-ნენ ხიდს გაღმაც. ყველას მწვანე კასკები ეხურათ. ასეთები წინა-თაც ბევრჯერ შემხვედრია. ისე ჩავუვლიდი ხოლმე გვერდით, თვა-ლსაც არ დავახამხამებდი. ველოსიპედის ჩანთაში ვაზნებით, ან „დე ვაარხეიდის“ შეკვრებით, ანდა შეკრულებით, რომელთა ჩაბარებაც მიხდებოდა ყოველად წარმოუდგენელ მისამართებზე. კონტროლი ყოველთვის იყო. მაგრამ მე ყოველთვის ვახერხებდი გვერდი ამევ-ლო მისთვის ან შეუმჩნევლად დავბრუნებულიყავი უკან. ამას ვა-კეთებდი სამი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, როცა პირველად წავედი სასურსათო ტალონებისა და პირადობის მოწმობების სა-შოვნელად.

მე დავინახე გერმანელები. ერთ წამში მივხვდი, რომ ეს იყო საველე ჟანდარმერია. კიდევ ერთი წამის შემდეგ შევნიშნე, რომ ხიდს გაღმა პატარა მოედანზე, სკოლების ბოსტნებთან ახლოს, იდ-გა ორი უავისფერ ბრეზენტგადაფარებული სატვირთო მანქანა. მან-ქანებს შორის საცოდავად შეჯგუფებულიყო ხალხი, მეტწილად ქა-ლები, და მხოლოდ ორი-სამი მამაკაცი. მათი ველოსიპედები განზე იდგა, ვერმახტის ჯარისკაცის მეთვალყურეობით.

სულ სამი წამი გავიდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთელ სურათს მოვავლე თვალი — პოლიციას, ავტომანქანებს, დაპატიმ-რებულ ხალხს, პირქუშ ცას, რომელიც უფრო ჩამუქებულიყო ნე-სტიანი ნისლისგან, ქვის ქალაქს, რომლის გარეუბნის კვარტალები თოვლიან მინდვრებზე იყო გაჭიმული; გადავხედე გაყინულ არხს. ეს სურათი მკვეთრად და ნათლად აღიბეჭდა ჩემს გონებაში. წამის მონაკვეთში მომხდარის შეგნების საშინელმა აზრმა ერთიანად მომი-ცვა და საშინელებამ შემიპყრო. ცა გაირღვა, ქვის ქალაქი ატორ-ტმანდა, პოლიციამ და ადამიანებმა რეალური სახე დაკარგეს...

მივხვდი: ჩემმა დაღლილობამ მაინც მიღალატა. არა, ეს უკვე აღარაა საგანი, არც ტკივილი, არც მძიმე ტვირთი, რომლისგანაც განთავისუფლება აღარ შეიძლებოდა. და როცა ეს შევიგნე, დაღ-ლილობა უცებ სრულიად გაქრა. მაგრამ იგი უჩინრად იდგა აქვე და სასტიკად დამცინოდა.

მტრის ხელთ ვიყავი.

გავიდა ოთხი წამი და დადგა მეხუთე. მეხუთე წამზე გამახ-სენდა: ჩემი ველოსიპედის ჩანთაში „დე ვაარხეიდის“ შეკვრა დევს, რომელიც ვერ ჩავაბარე, რადგან სახლში არავინ არ დამხვდა. მე-

ექვსე წამზე კიდევ ერთი რამ გამახსენდა: ჩემი ლაბადის ჯიბეში რევოლვერია.

წინათაც განვიცდიდი შიშს. მაგრამ იგი არაფრით შეედრებოდა იმ გრძნობას, რომელმაც ამ წუთში შემიპყრო. ეს იყო არა ის შიში, რომელიც გულის სიღრმეში იმალება, ტანჯავს ადამიანს და უბნელებს გონებას... ახლა ეს იყო შიში, რომელიც ერთიანად გვიპყრობს, რომელიც გვიტოლდება იმ ხანმოკლე წუთებში, როცა ყველაფერი ხილული რეალურ სახეს კარგავს. ჩემში ყველაფერი ჩაკვდა, ვიგრძენი, ვფითრდებოდი. აზროვნების უნარი დავკარგე.

ყველაფერი ეს განვიცადე დროის იმ პატარა მონაკვეთში, იმ წუთიდან, როცა მითხრეს, ველოსიპედიდან ჩამოდიო, იმ დრომდე, როცა მიწაზე დავდგი ფეხი და მხარზე ვიღაცამ დამადო ხელი.

ის-ის იყო გავიფიქრე: ახლა დავუსხლტები. ველოსიპედს მოვახტები. და გავქანდები აქედან. თუ საჭირო გახდება, მაშინ ვისვრი-მეთქი. შიშმა შემბოჭა; მეგონა, მხოლოდ შიშის წყალობით ვიდექი ფეხზე. მაგრამ იგივე შიში არ მაძლევდა რაიმეს გაკეთების საშუალებას.

შევხედე უმოძრაო, წვერმოშვებულ სახეს, რომელიც მწვანე კასკიდან მოჩანდა, ვაჟბატონს თხელი ტუჩები, უფერული წარბები და მოყვითალო-მომწვანო თვალები ჰქონდა. მისი სახე ჩემკენ დაიხარა.

— Papiere[1].

ვაჟბატონი ჩემი მხარიდან ხელს არ იღებდა. და მე ისევ გავიფიქრე, თან ჩემს თავს ვარწმუნებდი: გააკეთე რამე! დასცხე! ისროლე! მაგრამ არაფერიც არ გავაკეთე. ხელმა მხარზე დამკრა, და გამოთაყვანებულმა, თითქოს გაყინულმა გერმანულმა სახემ უხეშად დამიყვირა:

— Persoonsbeweis![2]

მქონდა თუ არა პირადობის მოწმობა? ველოსიპედის სახელურს ხელი გავუშვი და მეორე ხელით პალტოს ქვეშ პირადობის მოწმობის ძებნა დავიწყე; სადღაც, ჩემი სვიტერის ჯიბეში რაღაც საბუთი მედო. ვცდილობდი, გამხსენებოდა, რა ეწერა ამ საბუთში — სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი. მაგრამ არ ვიცოდი და მოწმობა გერმანელს გავუწოდე. მან გულგრილად დახედა მას და დამიბრუნა.

---

1 საბუთები (გერმ.).

2 პირადობის მოწმობა (გერმანული აქცენტით წარმოთქმული ჰოლანდიური სიტყვა).

—Furagieri?[1]

მე თავი დავუქნიე, მან ფეხი დაარტყა ჩემი ველოსიპედის ბრტყელ ჩანთას.

—Sitzt wenig drin... Zeigen[2].

მან ჩემი ველოსიპედის დაჭერა ინება, ვიდრე მე ჩანთას ვხსნიდი. შიგ ჩაიხედა. მე ცარიელი განყოფილება ვაჩვენე. მან შემომხედა და მივხვდი, რომ ვერ მოვატყუებდი.

— არაფერი არა მაქვს, — ვუთხარი ჰოლანდიურად. გადავწყვიტე, რომ არაფრის გულისათვის არ დავლაპარაკებოდი გერმანელებს გერმანულ ენაზე. და ჯიუტად გავიმეორე: — არაფერი არა მაქვს. ჩანთა ცარიელია.

— მაჩვენეთ, — მითხრა მან ისევ. და მეორე განყოფილებისაკენ დაიხარა. ჩემივე ხმის ელერამ ჩემი თავისადმი რწმენა დამიბრუნა და გავიფიქრე: „აბა, ახლა რაღაცას გავაკეთებ". სწრაფად მიმოვიხედე. მეორე ჟანდარმი, რომელიც ხიდის მოპირდაპირე მხარეს იდგა, სწორედ მაშინ გავიდა განზე, რომ მოახლოებული ველოსიპედისტი დაეკავებინა. მკერდში რომ ჩამერტყა ჩემი მტრისთვის, შევმჯდარიყავი ველოსიპედზე, ხელი ჯიბეში ჩამეყო და უკან მესროლა...

იმ დროს, როცა ვიგრძენი, რომ მინდოდა და შემეძლო თავის დაცვა, მან მაგრად ჩამჭიდა თავზსი ძლიერი, ტყავის ხელთათმანიანი ხელი იდაყვის ზემოთ. დავინახე, რომ ჩანთიდან „დე ვაარხეიდის" შეკვრა ამოიღო. მერე მზერა ჩემგან გაზეთზე გადაიტანა, მერე ისევ მე შემომხედა.

—Ach So,—თქვა მან,—Das ist interesant[3].

ხმა არ ამომიღია. მან გაიცინა, თან ცალი თვალი მოხუჭა, მისი მეორე თვალი უფრო მწვანე და ცივი მეჩვენა.

—Das haben sie natürlich selbst nicht gewust, was?[4] — მკითხა მან.

რა თქმა უნდა, იგი არ მოელოდა, რომ ვუპასუხებდი. მან გაზეთებიანი ხელი ზევით ასწია და ხიდის მეორე მხარეს მდგომ თავის კოლეგებს გადასძახა, რომლებიც სატვირთო მანქანასთან იდგნენ არხის მეორე მხარეს:

---

1 პროდუქტებისთვის? (გერმ.).

2 იქ რაღაც დევს... მაჩვენეთ (გერმ.).

3 ოჰო... ეს საინტერესოა (გერმ.).

4 რა თქმა უნდა, ეს თქვენ თვითონ არ იცოდით, არა? (გერმ.).

—Kommt mal her! Hier gibt's was!..[1]

ხიდზე გამოვლით ჩვენკენ გამოემართა რომელიღაც პოლიციელი. შევნიშნე, რომ მას სხვებზე მაღალი წოდება ჰქონდა. საველე ჟანდარმერიის ხარისხებს ვერ ვარჩევდი. შეიძლება, ვახმისტრი იყო. რომელიმე Rottenführer[2], ან და ეშმაკმა იცის მათი თავი და ტანი, როგორ უწოდებდნენ ამ ყალთაბანდებს. მხოლოდ ვხედავდი, რომ შორიდანვე მაკვირდებოდა იგი, თითქოს გაკვირვებულიაო, რომ რატომღაც ამ უბადრუკი, გამხდარი, გაწუმპული, გათოშილი პიროვნების გამო მისმა ხელქვეითმა ასეთი ხმაური ატეხა.

და აი, იგი დგას ჩემ წინაშე. სამხედრომ, რომელმაც დამაკავა და ისევ მაგრად მიჭერდა მკლავზე ხელს, მოახსენა:

—Ueberbringt illegale Zeitungen. Waarhaid.[3]

წითური და პირმოპარსული ვახმისტრი თავის ხელქვეითზე დაბალი იყო. მან თვალები მოჭუტა, როტატორზე დაბეჭდილი ფურცლები გამოართვა პოლიციელს და უთხრა.

—Ei, ei, ei... De Waarhaid.

მერე შემომხედა და მანაც გაიცინა. ეს იყო სასტიკი, მკვახე, აბუჩად ამგდები სიცილი, ვახმისტრმა გაზეთები გაირჭო ქამარში, რომელზეც ღია-ყავისფერი რევოლვერიანი ბუდე ეკიდა. თავის მოძრაობით ანიშნა ჩემ ველოსიპედზე, მან ხელქვეითს მისი წართმევა უბრძანა. ხელი ნელა მკრა ზურგში. სასოწარკვეთილებით აღსავსე, ნელა წავედი; საკმარისი იყო ნაბიჯი შემენელებინა, რომ მისი ჩექმები ქუსლებზე მხვდებოდა.

ყველა გერმანელი იცინოდა, როცა ვახმისტრის თანხლებით სატვირთო მანქანასთან მივედი. მხოლოდ დაპატიმრებულები შემომყურებდნენ მოღუშულად და მდუმარედ. ჟანდარმები გარს შემომეხვივნენ. მე ხან ერთს შევხედავდი, ხან მეორეს. და უცებ გავშეშდი, მაგრამ მაშინვე საშინელმა მღელვარებამ შემიპყრო. ჟანდარმებს შორის იყო პაული. ის, პაული, რომელიც ფელზენის შტაბში გავიცანი და რომელმაც ეიმეიდენის დაბეტონებული სიმაგრიდან საბრძოლო მასალა გადმოგვცა. მანვე გადმოგვიგდო ანს, ტინკასა და მე პური არდენხაუტის მახლობლად, ჰალდენფელდთან!

არ მესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ჟანდარმები. პაულს ვუყურებდი, მაშინვე შევნიშნე როგორი დაძაბული და საცოდავი გამო-

---

1 აბა, აქ მოდით! მე რაღაც მაქვს! (გერმ.).

2 ასეულის მეთაური (გერმ.).

3 მიაქვს არალეგალური გაზეთები (გერმ.). ვაარხეიდი (აქ გაზეთის დასახელება გერმანული გამოთქმითაა აღნიშნული.).

მეტყველება შეაცივდა სახეზე, რომელიც მწვანე კასკის წინაფრიდან გამოიყურებოდა. თვალებს ვაჭყეტდი, წარბებს ვწევდი, დაჟინებით ვანიშნებდი, თავგამოდებით ვიმანჭებოდი, მთელი სახის კუნთების დახმარებით. პაულმა თვალი დახარა, ზურგი შემაქცია და სხვა პატიმრებისკენ წავიდა. თითქოს ვერ მიცნო.

ვახმისტრმა ხელი მკრა და მკითხა:

—Was Sonst noch?[1]

მას დავაცქერდი და ვერაფერს მივხვდი. მან მხრები აიჩეჩა. ვიდრე მოვიფიქრებდი, რა უნდოდა მას, მან ხელთათმანიანი ხელების ფათურით ტანის გასინჯვა დამიწყო. მე მუშტები დავარტყი ხელებზე. ვიღაცამ უკანიდან მტაცა ხელებში ხელი და ზურგს უკან მომიგრიხა ისე, რომ სახსრებმა ტკაცანი გაიღო. მე დავიყვირე. ტკივილი გაქრა — ხელები გამინთავისუფლეს და ისინი უსიცოცხლოდ ჩამომეკიდნენ. ვახმისტრმა ჩემი პალტოს ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.

—Interessant und interessant,—თქვა მან.—Kommunistische Ketzwische, und dazu aine schiesswaffe Allrarhand[2].

ჩემს ძველ რევოლვერს აქეთ-იქით აქნევდა. სავაზნე კოლოფი გახსნა. ოთხი ვაზნა რკინის მარცვლებივით ელაგა მჭიდეში. მან ისინი ჯიბეში ჩაიყარა. მერე შემომხედა. ამჯერად ხმამაღლა გაიცინა.

—Da hilft kein Veralinen mehr... na?[3]—მკითხა მან.

პასუხი არ გამიცია. ვერ ვხედავდი, როგორი თვალებით მიყურებდნენ სხვა პატიმრები, მაგრამ გულის გამაწვრილებელ მჟინჟღლავ, ხორხოშელანარევ წვიმაში ვგრძნობდი ჩემკენ მოპყრობილ მათ თანაგრძნობით აღსავსე თვალების მზერას. მხოლოდ ოდნავ გავიხედე იმ მხარეს, საითკენაც წავიდა პაული, იგი ზურგშექცეული იდგა ჩემგან ადამიანთა პატარა ჯგუფის წინ. ცოტა მოშორებით მეორე ჟანდარმი დარაჯობდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც მხოლოდ ახლა შევნიშნე; იგი უხალისოდ იდგა, და, როგორც ჩანდა, სრულიად დაცემულიყო სულიერად.

—Absführen,—განკარგულება გასცა ვახმისტრმა, თან ზურგში ხელი მკრა.—Zu dem mit der Brille[4].

ვიღაც ჩემს უკან მდგომი გამომყვა. მან რამდენჯერმე ხელი მკრა ზურგში, რაღაცას ფეხი წამოვკარი და გავცურდი დატკეპნილ

---

1 რაშია საქმე? (გერმ.).

2 საინტერესოა, საინტერესოა... კომუნისტური ცეცხლის გამჩაღებლური ნაჯღაბნი და ამავე დროს ცეცხლმსროლელი იარაღი (გერმ.).

3 ახლა არავითარი უარის თქმა არ გიშველის... ჰა? (გერმ.).

4 მიიყვანეთ იმ სათვალეებიანთან (გერმ.).

თოვლზე. ისევ მიმოვიხედე ირგვლივ. რა მოხდება, რომ ახლა გავიქცე, ვცადო სასკოლო ბოსტნებამდე მირბენა, ანდა მათ იქით სპორტულ პარკამდე?... ვიცოდი, რომ იმ წუთშივე დამეწეოდნენ. ისინი ჩემსავით არ იყვნენ დაძაბუნებულები. და კარაბინები ჰქონდათ. ყველას უმოწყალოდ ხოცავდნენ, ვისაც ცოცხლად ვერ იჭერდნენ... წინ გავიხედე, იქითკენ, საითაც პაული იდგა. მან პირველად მოიხედა უკან. როგორც ჩანდა, თავს უხერხულად გრძნობდა, მივუახლოვდი განზე გამოშტერებულად მდგომ ახალგაზრდა კაცს. მას სათვალე ეკეთა, დრაფის თბილი პალტო და კარგი წაღები ეცვა. ეტყობოდა, შეძლებული ოჯახიდან იყო: იგი თვრამეტ-ცხრამეტ წელზე მეტისა არ იქნებოდა. ჟანდარმმა, რომელიც ხელისკვრით მომდევდა უკან, — მხოლოდ ის მესმოდა, როგორ ჭრაჭუნებდა ჩემ უკან ჩექმები, — ყმაწვილისაკენ მიბიძგა. არ დავემორჩილე. და გავიგონე როგორ დაიძახა ვიღაცამ:

—Du, Paul... Komm mal'rüber![1]

ჟანდარმმა, რომელიც ყმაწვილს ყარაულობდა, უაზრო, გულგრილი თვალებით შემომხედა. როგორც ჩანდა, იგი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, იქნებ თავის სახლსა და ოჯახზე, რომელიც შორს, სადღაც გერმანიაში დატოვა. პაული ჩვენკენ წამოვიდა. ვხედავდი, რომ ძალიან უკმაყოფილო იყო. იგი თვალს არიდებდა ჩემს მავედრებელ გამოხედვას და თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ მე ისევ აჩქარებით შევუდექი თვალის ჩაკვრას და წარბების მოძრაობას. იგი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერდა.

— პაულ... — ყრუ ხმით ჩავილაპარაკე მე. — შენ ხომ მიცნობ.

იგი არ განძრეულა, და მისი ფართო სახე, მაგრად მოკუმული ტუჩებით, თითქოს გაქვავებული იყო. რამდენიმე სანტიმეტრით მივუახლოვდი პაულს.

— პაულ, გზაზე რომ გავალთ, გამიშვი... შენ ხომ იცი, მე ვინა ვარ.

იგი ჩემს მიღმა იყურებოდა. და ფეხებს ნელა აბაკუნებდა თოვლზე. მეტი არაფერი მქონდა სათქმელი, ახალგაზრდა სათვალებიანმა კაცმა თავი ასწია, როცა შენიშნა, რომ პაულს ველაპარაკებოდი.

— იცნობთ მას? — ჩუმად და იმედიანი ხმით მკითხა მან.

არაფერი ვუპასუხე. არ ვიცოდი, ვინ იყო იგი, და რისთვის დაიჭირეს. ველოდებოდი, როდის დაამთავრებდა პაული ფეხების ბა-

---

1 ჰეი, პაულ... აბა, აქ მოდი! (გერმ.).

კუნს. როცა მისმა ფეხებმა მოძრაობა შეწყვიტეს, მეტად დაბეჯითებით ვუთხარი:

— პაულ!.. წადი... შენ იცი ვისთან. უთხარი იქ, რომ გამომიხსნან. შენ ხომ იცი, სადაც გამგზავნიან.

ახალგაზრდა კაცი ჩემთან ახლოს მოვიდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. თავის ბერეტსა და ოვალურშუშიან სათვალეში გულუბრყვილოდ და უმწეოდ გამოიყურებოდა.

— ღვთის გულისათვის, — მითხრა მან. — ჰკითხეთ, თანახმაა თუ არა იგი, ან მისი კოლეგა, რომ გზიდან გამიშვან... თუ გამიშვებენ, ჩემს ოქროს საათს მივცემ... — ხმა უცებ აუკანკალდა და წივილად შეეცვალა, რომელშიც საშინელი შიში გაისმა: — არ მინდა გერმანიაში წასვლა!

პაულმა ზურგი შეგვაქცია. მას არაფრის დანახვა და გაგონება არ სურდა. მაშინ მოქმედება დაიწყო ჟანდარმმა, რომელიც აქამდე უაზროდ მისჩერებოდა სივრცეს. მან ახალგაზრდა კაცი მომაშორა და დაიღრიალა ისე, როგორც მხოლოდ გერმანელი ფაშისტები ღრიალებენ ხოლმე, — ტანში ჟრუანტელმა დამიარა:

—Schnause halten! Hier wird nicht geredet! Wer sich noch einmae muckst, dem hau ich eine übers Maull[1]

ახალგაზრდა კაცი დატორტმანდა. და ერთხელ კიდევ დაიყვირა, ამჯერად ხმამაღლა, გულშემზარავი გულუბრყვილობით:

— არ მინდა გერმანიაში წასვლა! არ მინდა გერმანიაში წასვლა!

ჟანდარმმა, რომელიც მას მიჰყვებოდა, მუშტი მოკუმშა და მთელი ძალით ჩაარტყა სახეში. გავიგონე ყრუ დარტყმა და მოვბრუნდი. მესმოდა, როგორ წაიქცა ახალგაზრდა კაცი და ჩუმად დაიწკარუნა გატეხილი შუშის ნამსხვრევებმა. სათვალე-მეთქი, გავიფიქრე მე. სიჩუმე ჩამოვარდა. პაულის გვერდით ვიდექი და მის ხელს შევახე ხელი.

— მიშველე, — ვუთხარი მე. — მიშველე! მხოლოდ შენი იმედიღა მაქვს!

მან არაფერი მიპასუხა და ზურგი შემაქცია.

ვახმისტრი, თუ ვიდაც იყო იგი, გვიახლოვდებოდა. სუფთად გაპარსული სახე გაუწითლდა. არ ვიცოდი, შენიშნა თუ არა მან პაულს რომ ველაპარაკებოდი. მოკლე, მსუქანი ხელის ქნევით დაიყვირა:

---

[1] ხმა ჩაიწყვიტე! აქ ლაპარაკი არ შეიძლება! ვინც ერთხელ კიდევ ამოიღებს ხმას, სახეში ჩავცხებ! (გერმ.).

—Sofort abführen, die beiden! zum Leutnant![1]

ვხედავდი, ახალგაზრდა კაცი როგორ ციმციმ წამოაყენეს. სახე დასისხლიანებული ჰქონდა. დიდი, ახლომხედველი თვალებით შეჰყურებდა ჟანდარმებს და ხელით სახეს იწმენდდა. ჟანდარმმა, რომელმაც მას დაარტყა, პირველი სატვირთო მანქანისაკენ უბიძგა. პაულმა მკლავში მომკიდა ხელი და ახალგაზრდა კაცს გამაყოლა უკან. მერე მათ ბრეზენტი გადახსნეს. ახალგაზრდა კაცს უბრძანეს, ძარაზე ამძვრალიყო; მან მოუხერხებლად დაიწყო აძრომა. ჟანდარმმა, რომელიც მას დარაჯობდა, კარაბინის კონდახით უბიძგა საჯდომზე და მანქანის ძარაში ჩააგდო. მე მანქანის უკანა მაღალ ქიმს ჩავკიდე ხელი და ვცდილობდი, თვითონ ავმძვრალიყავი. მაგრამ ვერ მოვასერხე. ძალა არ მეყო. ვიგრძენი, როგორ მსვამდა ძარაში ვიღაც უხეში, უსირცხვილო ხელის კვრით. იმ ორს შორის რომელი იყო, არ ვიცოდი. შეურაცხყოფისაგან თვალები ცრემლებით ამევსო. თითქოს, ამ გერმანელი ჯარისკაცების ხელის შეხება ჩემს სხეულზე სამარცხვინო შავ ლაქებს ტოვებდა.

პაული მეორე ჟანდარმთან ერთად შემოძვრა ბრეზენტის ტენტის ქვეშ. ისინი სატვირთო მანქანის უკანა ქიმთან დაჯდნენ და კარაბინები მუხლებს შორის ჩაიდეს. ახალგაზრდა კაცი ძარის სიღრმეში, სიბნელეში შევიდა. ძარის ქიმს ჩავკიდე ხელები, როცა მანქანამ ყრუ გრუხუნით დაიწყო ხტომა ოღროჩოღრო გზაზე. პაულს შევხედე. იგი თვალს მარიდებდა. საზიზღარი ბენზინის სუნი იდგა. კარგა დრო გავიდა, ვიდრე სატვირთო მანქანა ჩქარ სვლაზე გადავიდოდა. იგი ხტოდა და ბუქსაობდა გაყინულ თოვლზე. ბრეზენტის ტენტი მთლად ჩამოაფარეს. ქარსის პატარა ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შემოდიოდა. პაულის სახე მხოლოდ თეთრ უსიცოცხლო ლაქას გავდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარეთ. მყრალი ძრავის ტკაცანი და ხმაური არ წყდებოდა. მაგრად ვიყავი ჩაბღუჯული ქიმზე, ახალგაზრდა კაცი კი, რომელიც შოფრის კაბინაზე იყო მიყრდნობილი, რამდენჯერმე წაიქცა.

როცა, როგორც იქნა გავჩერდით და ტენტი ასწიეს, ჰარლემის პარკი ვიცანი. წინ, ხეების ქვეშ ნაცრისფერი შენობა იდგა, სადაც საველე ჟანდარმერიის შტაბი იყო მოთავსებული. მშვენივრად ვიცნობდი ამ ადგილს. პაულმა ხმაურით ჩამოუშვა მანქანის უკანა ქიმი. პირველი ჩამოვედი სატვირთო მანქანიდან, კიდევ ერთხელ სასოწარკვეთით ჩავჩურჩულე პაულს ყურში:

---

[1] ახლავე წაიყვანეთ, ორივე! ლეიტენანტთან! (გერმ.).

— პაულ!..

მისი ფართო, ღაწვმაღალი სახე არ იძვროდა. მეორე ჟანდარმ-მა ძარიდან ყმაწვილი გამოათრია: მას სახეზე ისევ ჩამოსდიოდა სისხლი. ამღვრეული თვალები საგნიდან საგანზე გადადიოდა, როგორც ჩანდა, ვერაფერს არჩევდა ერთმანეთისაგან. შენობიდან ორი შეიარაღებული ჟანდარმი გამოვიდა. ერთმა ახალგაზრდა კაცი წაიყვანა, მეორემ — მე. საფეხურებზე რომ ვიდექი, კიდევ ერთხელ მოვბრუნდი.

ვხედავდი, როგორ მიდიოდა მანქანა. ვიღაცის ხელმა სასწრაფოდ ჩამოუშვა ტენტი.

ᲒᲓᲣᲛᲕᲐᲠ

მობათქაშებულ ყვითელ დერეფანში შეგვაგდეს, სადაც მრავალი კარი გამოდიოდა. ჭუჭყიანი ნათურა ენთო. მიმოხედვა მინდოდა, მაგრამ ვიღაცამ ხელი მკრა. თითქოს ყველგან ჩამსაფრებოდნენ უჩინარი მუშტები.

—Nase an die wand[1],—წარმოთქვა მამაკაცის ხმამ. ვიგრძენი მამაკაცისათვის დამახასიათებელი ალკოჰოლისა და მაგარი თამბაქოს სუნი, და სახით კედლისკენ შევბრუნდი. ჩემ უკან რაღაც მოძრაობდა და ყრუ დარტყმა მესმოდა — ერთი, ორი, სამი. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. როგორც ჩანდა, ახალგაზრდა კაცს ფეხებს ურტყამდნენ, რომ აეყენებინათ.

ვიდექი კედელთან და ყურს ვუგდებდი. მესმოდა, ახალგაზრდა კაცი როგორ ახველებდა, ფშუტუნებდა, და წარმოვიდგინე, რომ იგი უხმოდ ტიროდა, სისხლს ყლაპავდა და ცხვირით სრუტუნებდა.

ერთ-ერთი კარიდან ყრუდ მოისმოდა საბეჭდი მანქანის კაკუნი და პაუზებს შორის ბუტბუტი — როგორც ჩანდა, ვიღაც კარნახობდა. მოულოდნელად საათმა ოთხჯერ დარეკა. ფიქრის თავიც არ მქონდა. წინააღმდეგობას არ ვუწევდი შთაბეჭდილებების ნაკადს, რომელთაც პასიურად ვღებულობდი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა, უფრო სწორად, მეშინოდა. იმდენად მეშინოდა, რომ ძალა არ შემწევდა მთლიანად შემეგნო ჩემი შიში. ვიანგარიშე, რომ ახლა უკვე მისული

[1] ცხვირით კედლისაკენ (გერმ.).

ვიქნებოდი ჩვენ შტაბამდე „ესპანურ მუხებში“. ანი და ტინკა, ალბათ, უკვე იქ არიან. ლოდინს დამიწყებენ. დღეს რომ არ მივალ, მათ ეს არ გაუკვირდებათ. ყოველდღე არ ვიკრიბებოდით შტაბში. თუ ინგლისურ ენაში მოუნდებათ მეცადინეობა, ჩემთან სახლში მოვლენ. მხოლოდ ხვალ დილით გაოცდებიან, როცა სხვენზე არ მივალ როტატორზე სამუშაოდ, დღისითაც აღარ გამოვჩნდები. როცა ისინი ჩემთან სახლში მივლენ, ნახავენ, რომ ღამე იქ არ გამითევია.

დაღლილობას ვებრძოდი და ვცდილობდი, წარმომედგინა, როგორ მოიქცეოდნენ ისინი. უკვე მეჩვენებოდა, რომ ციხეში მე კი არა, ვიღაც სხვა გამოამწყვდიეს. წარმოვიდგინე, როგორ ეძებს ორი ქალიშვილი მესამეს. მესამე გაქრა — მოულოდნელად და უცნაურად... ვხედავდი, დები როგორ დადიან ყველგან ველოსიპედებით, კითხულობენ, მიდიან სიმონ ბ.-სთან, მიდიან ფელზენელებთან, ნახავენ ფრანსს... მესამე არსად სჩანს.

უცებ თითქოს დენმა დამკრაო: მესამე ქალიშვილი ხომ მე ვარ! მე, ხანა ს., რომელიც ასე უაზროდ, როგორც მონადირებული ცხოველი, გაება მახეში და ხელთ ჩაუვარდა საველე ჟანდარმერიას! ეს მე დამკარგეს ჩემმა ამხანაგებმა... ახლახან...

ჩემი ფიქრები შორს ქროდნენ. პაული, რომელსაც ჩემთან თავი ასე შეუბრალებლად და ცივად ეჭირა, იქნებ, ახლა ცდილობს ყოველგვარი ზომები მიიღოს, რომ დამეხმარონ განთავისუფლებაში. იქნებ, დღეს საღამოსვე წავიდა ჰარლემის პოლიციაში ანდა ფელზენელებთან... ან იქნებ, უბრალოდ ტელეფონით რეკავს. ასე რომ, გამორიცხული არ არის დღეს საღამოსვე გამიშვან.

საათმა ერთხელ დარეკა. ესე იგი, ხუთის ნახევარი იყო. ხუთის ნახევარი. ადრე აღარაა. არც გვიანია. ეს ის დროა, როცა დღე დაქანცულად იხრება საღამოსკენ... დაღლილობა... ახალგაზრდა კაცი ისევ აფშუტუნდა ჩუმად.

ფიქრები უძლურად მეფანტებოდნენ, ზღვის ქაფივით დნებოდნენ, უკვალოდ, მოუხელთებლად. გახურებული თავით მძიმედ მივეყრდნე გაყინულ კედელს, და მალე შუბლი სიცივისაგან დამიბუჟდა.

მანქანამ კაკუნი შეწყვიტა. ბუტბუტი აღარ ისმოდა. მაგრამ აი, რომელიღაც კარი გაიღო, და ვიღაცამ გერმანულად დაიყვირა:

—Häftlinge hierher![1]

თავი ავწიე და მოვბრუნდი. კედლის საათისა და ელექტრონის ნათურის ქვეშ ვიღაც ჟანდარმი იდგა — ვახმისტრი თუ უნტეროფი-

[1] პატიმრები აქეთ! (გერმ.).

ცერი, მან ხელი დამიქნია. ახალგაზრდა კაცი ჩემთან ერთად მიუახლოვდა გერმანელს. თვალი შევავლე მას. მთელი სახე დაბეჟილი ჰქონდა და სისხლის ნაკვალევები ემჩნეოდა. თვალები ჩაქრობოდა, აღარ უბრწყინავდა.

გვიბრძანეს, დერეფნის ბოლოში გავჩერებულიყავით. ჟანდარმმა მუშტის კვრით გვაიძულა მეორე დერეფანში გაგვეხვია. ეს ვაჟბატონები, როგორც ჩანდა, ერთ მომენტს არ გაუშვებდნენ ხელიდან, რომ მუშტები არ აემოქმედებინათ. როცა ღია-ცისფერი, მძიმე რკინაგადაკრული კარები დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ ციხის საკანის კარები იყო.

შერხზე კიდევ ერთი ჟანდარმი იჯდა. იგი ადგა, როგორც კი მასთან მიგვრეკეს.

— Stehenbleiben![1] — გვითხრა მან წრიპინა ხმით. იგი მელოტი გახლდათ. აშკარა იყო, ისეთ ასაკში წაიყვანეს ჯარში, როცა ადამიანი თბილ ღუმელთან უნდა იჯდეს, საშინაო ფეხსაცმელებითა და ჟილეტით, უპიჯაკოდ.

ჩვენ შევჩერდით. ჟანდარმმა საკანი უშველებელი გასაღებით გააღო და ჩემდა უნებურად, შუასაუკუნის ციხე-სიმაგრეებში ექსკურსიაზე ყოფნა გამახსენდა. ჟანდარმმა ახალგაზრდა კაცს უხმო ხელით. იგი მორჩილად და თითქმის უხმაუროდ მოვიდა მასთან. და ღია კარში გაუჩინარდა. მერე აღარ მინახავს.

მეორე საკანი მე მელოდა. საპატიმროს ზედამხედველმა შიგნით შემიშვა, მის ჭუჭყიან სახეს წვრილ-წვრილი ნაოჭები აესხა — იქნებ, მას ჩემთვის თანაგრძნობის გამოცხადება უნდოდა.

—Pech gehabt, was?[2]—მკითხა მან.

პასუხი არ გამიცია და საკანში შევედი, ჩემ უკან კარი მაგრად დაიხურა. კლიტე არც გაჩხაკუნებულა. ჩვენ ყველაზე ბნელი შუასაუკუნეების პირობებში ვიყავით, ჰო, დიახ! მხოლოდ კლიტეები უფრო კარგად იყო დაზეთილი. ინკვიზიციის თანამედროვე მსახურნი უფრო გაწაფულად იქცეოდნენ.

მუქ-ნაცრისფერი საკანის შიშველი კედლები შეეთეთრებინათ, რაც სიბნელეს ცოტათი ამკრთალებდა. მაგიდა კედელზე იყო მიჭედილი. მის პირდაპირ სკამი, როგორც მონასტერში. მაღლა ფანჯარა — მრგვალი ნაცრისფერი ლაქა. ცა... უცებ გამახსენდა, რომ ეს ცა ჰარლემის პარკს დაჰყურებდა. იქ იყო ჰარლემი. და ამავე დროს,

---

[1] აქ იდექით (გერმ.).

[2] ბედმა გიმუხთლათ, ხომ? (გერმ.).

ასე მეგონა, თითქოს ჰარლემი შორს, ძალიან შორს იყო აქედან. ასე ვიჯექი და თითქოს რაღაცას ველოდი... ხელები მაგიდაზე დამივარდა, თავი ხელებისაკენ დაიხარა. ერთ წუთში ჩამეძინა.

...ვიღაცამ მაგრად დაარტყა მაგიდის ფეხებს, და ხის მკვეთრი ხმა მტკივნეულად გახმიანდა ჩემს თავში. თითქოს მიწაზე დაკეშვი შავი წყვდიადიდან, სრული თავდავიწყებიდან. ჭერქვეშ ელექტრონათურის წვრილი მავთული ენთო. ციხის მელოტი ზედამხედველი იდგა ჩემ წინ. ვიცანი, მაგრამ პირველწამს ვერ მივხვდი, სად მენახა იგი.

—Steh auf, steh auf!—წრიპინით თქვა მან, თან რაღაც უცნაურად იმანჭებოდა.—Es gibt Verhör![1]

ავდექი, თუმც კარგად არ ვიყავი გამოღვიძებული, თვალები მიჭრელდებოდა. წელის ჩვეულმა ტკივილმა მიმატა. მუცელი შიმშილისგან მიბუყბუყებდა. ჯერ კიდევ ვერ მოვსულიყავი გონს, როცა საკანში მაღალჩექმებიანი კაცი შემოვიდა, წუთით შეჩერდა ჩემ წინ და შემათვალიერა წვრილ-წვრილი უფერული თვალებით.

მე მას შევხედე. გერმანელი ჟანდარმის სამხედრო ფორმაში, საველე ჟანდარმერიის ნიშნით, შესატყვის წარჩინების ნიშანთან ერთად. მოკლედ, თითქმის მილიმეტრამდე გაკრეჭილი თმითა და უშველებელი ხელებით. ახლა კი საბოლოოდ გავიღვიძე, როცა საშინელებით შეპყრობილმა შევიგნე, რაც ხდებოდა. მელოტი წრიპინა განზე გადგა — იგი ციხის საკანის კარებში იდგა. უფერულთვალებიანმა კაცმა თავისი უშველებელი ხელით მანიშნა, რომ კედელთან უნდა დავმდგარიყავი. თვითონ პატარა მერხზე დაჯდა. — Papiere her,—თქვა მან.—Alles her, was Sie bei sich tragen![2]

როცა საბუთები მომკითხა, თავზარი დამეცა. გამახსენდა, რომ არ ვიცოდი, რომელი გვარი იყო აღნიშნული ჩემს პირადობის მოწმობაში, — ეს იყო საშინელი დაუდევრობა! გონება დავძაბე, მაგრამ ვერაფერი გავიხსენე; მას შემდეგ, რაც „საშინელი სამშაბათის“ მერე წინააღმდეგობის ჯგუფში დავბრუნდი, ახალი პირადობის მოწმობა ვიშოვე. მაგრამ ამ წუთას, როცა უფერულთვალებიანი ბანდიტის წინაშე ვიდექი, სრულებით არ მახსოვდა, რა ეწერა პირადობის მოწმობაში, სწორედ ისე, როგორც მაშინ არ ვიცოდი, როცა საბუთები გამისინჯეს იან ხეიზენის ხიდთან.

---

1 ადექი, ადექი! დაკითხვა იქნება! (გერმ.).

2 საბუთები მომეცით აქ. ყველაფერი, რაც გაქვთ! (გერმ.).

—Wird's noch?[1]—დაიბუზღუნა ჟანდარმმა.

მის წინა მაგიდაზე დავაწყვე მთელი ჩემი მცირე ქონება. მაჯის საათი, სავარცხელი, ცხვირსახოცი, რომელიც მაშინვე მიბრძანა უკანვე წამეღო. პურის ორი გრძელი ტალონი — მან ტალონებს სული შეუბერა და მაგიდიდან გადაყარა.

ოფიცერი ყურადღებითა და გულმოდგინებით ათვალიერებდა ჩემ პირადობის მოწმობას, მერე მკითხა:

—Name?[2]

არაფერი ვუპასუხე. მან კითხვა გამიმეორა. ხმას არ ვიღებდი.

—Versteht kein Deutsch[3]—დაიწრიპინა კარებში ციხის ზედამხედველმა.

ოფიცერმა უკმაყოფილოდ შეხედა მას.

—Unsinn... Die will nicht. Nicht war? Sie sollen gar nicht antworten?[4]—მითხრა მან.

მისი ხმა, რომელიც აქამდე უფერული ჩანდა, მკვახე და მრისხანე გახდა.

ჩემ თავს ვუმეორებდი: „არაფერი არ თქვა. არაფერი არ თქვა".

ჟანდარმთა ოფიცერი ადგა. იგი თავის უშველებელ ხელებს სახის წინ მიქნევდა, თითქოს უნდოდა ყელში მწვდომოდა.

—Dämliches Luder—თქვა მან გაბრაზებით.—Läuft mit bolschewistischen Zeitungen und Revolwern herum und versteht kein Deutsch...—მან ხელი დაიქნია—Na, Schön. Dich wird man schon irgendwo anders klein kriegen...[5]

მერე თავისი ტორებით მთელი ჩემი ნივთები მოაგროვა, მხოლოდ იატაკზე დატოვა პურის ძველი ტალონები, და კარებისაკენ გაემართა. სახედანაოჭებულმა მოხუცმა, რომელსაც შუასაუკუნეობრივი გასაღები ებარა, ისევ ზიზღით შემომხედა და კარები დაკეტა. რამდენიმე წუთის მერე ჩემს თავზე პატარა ნათურა ჩაქრა.

ისევ ბნელ საკანში აღმოვჩნდი, რომელიც ახლა უფრო ბნელი და ჭუჭყიანი ჩანდა. ფანჯარაში მრგვალი ცა გამქრქალდა, თითქოს

---

[1] კიდევ გაქვთ რამე? (გერმ.).

[2] სახელი? (გერმ.).

[3] გერმანული არ ესმის (გერმ.).

[4] სისულელეა... მას არ სურს. ხომ სწორია? თქვენ სულ არ გინდათ პასუხის გაცემა?

[5] ბენტერა უნამუსო. დაწანწალებს ყველგან ბოლშევიკური გაზეთებითა და რევოლვერებით და თითქოს გერმანული არ ესმისო... მაშ, კარგი შენ სხვაგან მოვაოვინიერებენ (გერმ.).

პარკს თავზე სათოვლე ღრუბელი დაადგაო. სადღაც საათმა შვიდ-ჯერ დაჰკრა.

ისევ შევიგრძენი დაღლილობა. მტანჯავდა კითხვა: რა იქნება შვიდი საათის შემდეგ? რა შეიძლება მოხდეს შვიდი საათის შემ-დეგ? მაგიდასთან მივედი, დავჯექი და პირდაპირ ვიცქირებოდი. თა-ვი ისევ დამივარდა მაგიდაზე დაწყობილ ხელებზე. მეტი აღარაფერი ვიცოდი. მხოლოდ გავიფიქრე; არაფერი ვთქვა, არაფერი ვთქვა, მე-ორე დილით ადრე გამეღვიძა. მჭრქალი, უსიცოცხლო სინათლე ანა-თებდა შეთეთრებულ კედლებს. ხელებსა და ფეხებს ვისრესდი, სა-ნამ დაბუჟებამ არ გამიარა. საკანში წინ და უკან დავდიოდი. და ისევ ველოდი რაღაცას...

ცხრა საათზე ერთ-ერთი ჟანდარმი გამოცხადდა და მშრალად მითხრა:

—Mitkommen![1]

მასთან ერთად გავიარე მთელი დერეფანი. ჭუჭყიანი ნათურა აღ-არ ენთო. ზედა ფანჯრიდან დილის ცივი ჰაერი შემოდიოდა. დავინა-ხე, რომ მოკლეთმიანი და დიდხელებიანი ოფიცერი კარებში იდ-გა. მან თავით ფეხებამდე შემათვალიერა უფერული მზერით და ავ-ხორცი, ავისმომასწავებელი ღიმილით მითხრა:

—Sie gehen zur nächsten Stelle. Wo man den Leuten das Schweigen gehörig austreibt.[2]

არაფერი მიპასუხია. იგი ჩემ წინ დადგა, ხმას აუწია და მითხ-რა:

—Das Schweigen und das Sichverstellen! Verstehen Sie?[3]

პასუხი არ გამიცია. იგი მიუბრუნდა ჟანდარმს, რომელსაც მაგ-რად ჰქონდა ჩემთვის ხელი ჩავლებული და დაუყვირა:

—Abfahrt.[4]

მორიგემ, რომელიც გარეთა კარს შიგნიდან იცავდა, გააღო იგი. ჟანდარმმა წინ გამიგდო. გარეთ დამიხვდა თოვლიანი, რაღაცნაირი პირქუში დღე და საიდანღაც დამჭკნარი ხის ხუნი მეცა. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. ქვევით სადარბაზო შესასვლელთან პატარა გე-რმანული ავტომანქანა იდგა. ვერმახტის ჯარისკაცი მივიდა და კარი გააღო. ჟანდარმმა ხელი მკრა და მანქანაში შემაგდო.

---

1 გამომყევით! (გერმ.).

2 სხვა ადგილას წახვალთ, სადაც შეუძლიათ ადამიანი აალაპარაკონ (გერმ.).

3 სიჩუმეს და თვალთმაქცობას გადაგაჩვევენ. გესმის? (გერმ.).

4 წაიყვანეთ! (გერმ.).

ირგვლივ მიმოვიხედე. მაინტერესებდა, პაული ხომ არ ჩანდა სადმე. იგი არსად იყო. გადავწექი ბალიშზე, რომელზეც დამსკდარი მუშამბა იყო გადაკრული; მანქანა დაიძრა. ჩემ გვერდით ჟანდარმი იჯდა. მას თავი თითქოს გულგრილად ეჭირა და თითქმის თვლემდა, სადღაც წინ იყურებოდა. მე კი მხოლოდ ჯარისკაცი-შოფრის ზურგსა და კისერს ვხედავდი.

მე გავიფიქრე: კარი შემიძლია მოვწიო, გავაღო, და გადავხტეწავიქცევი. იქნებ, ფეხიც მოვიტეხო. იქნებ, შევძლო ადგომა... ჩემი მშობლიური ქალაქის ყველა გზა ვიცი გაცილებით უკეთესად, ვიდრე ამ ორმა... გავხედე, რა ადგილზე მივდიოდით. აი კლეინე ხაუტვეხი, კამპერფესტი... ამ გზების ცოტა იქით, პატარა სახლებსა და ერთმანეთის გადამკვეთ პატარა ქუჩებს შორის ჩამალული იყო ექიმი მარტინის კლინიკა... კიდევაც რომ წავიქცე და რამე მოვიტეხო, იქ მაინც საიმედო მფარველთან ვიქნები. ოღონდ კი მიმაღწევინა მის სახლამდე.

ხელი გავიწოდე კარების ფოლადის საკეტისაკენ. იმავ წამს ჩემ გვერდით მთვლემარე ჟანდარმმა თითებში ჩამარტყა და სიმწრით მოვიკუნტე. ყვირილისგან თავი შევიკავე და მხოლოდ ხმამაღლა ამოვიოხრე. საჭესთან მჯდომმა ჯარისკაცმა გაიცინა. ჟანდარმმაც მას მიბაძა. იგი თითქმის გულკეთილად იცინოდა, მაგრამ ეს იყო საზარელი გულკეთილობა. — მას სიკვდილი ახლდა. ხელი დამიბუჟდა და უმწეოდ მედო მუხლებზე.

—Schün brav sitsen, Mädel,—მითხრა პოლიციელმა.— Sonst regnet's wieder.[1]

შოფერმა ისევ ჩაიხითხითა. ჟანდარმმა სულელურად და ბოროტად გაიცინა მის საპასუხოდ.

თვალები დავხუჭე და მზად ვიყავი ყურებზე ხელები ამეფარებინა. მინდოდა, მოვკუნტულიყავი და შევფარებოდი ჩემ თავს, როგორც ლოკოკინა იმალება თავის სახლში, ანდა ხამანწკა თავის ნიჟარაში. დაღლილობამ და შიმშილმა მიშველა. ისინი აღარ იგრძნობოდნენ. როგორც ტკივილი, რომელიც ღრღნის და ლესავს ორგანიზმს. დაღლილობა და შიმშილი შეიცვალნენ ისეთი მდგომარეობით, რომელიც შემაწუხებელ ძილს ემიჯნება და ვცადე ასეთი ძილით დამძინებოდა. მაგრამ ყველაფერზე აუტანელი ის იყო, რომ ვერ შევძელი ნამდვილად მივცემოდი თავდავიწყებას და ცოტათი მაინც დამესვენა. ფხიზლად ყოფნას განვაგრძობდი. კარგად მესმოდა რატომაც: მინდოდა მცოდნოდა, რას მიპირებდნენ ეს ბარბაროსები.

---

1 იჯექი, როგორც საჭიროა, ქალიშვილო... თორემ ისევ მიგბეგვავთ (გერმ.).

როცა ხენისინგელის წრიულ არხთან მივედით, მივხვდი, რომ ჰარლემიდან მივყავდი. ახლა ადვილი მისახვედრი იყო, სადაც. ამსტერდამის კარიბჭეს ჩავუარეთ. ავტომანქანების ჭუჭყისფერ-მოყავისფრო ნაკვალევით დაფარული გრძელი, სწორი გზა გაჭიმულიყო ხალფვეხის მიმართულებით. დიდი ხანი არ იყო, რაც აქ გავიარე, როცა კააპსტადტის დავალებით შეკრულა მიმქონდა. ფელზენელები, უცებ გავიფიქრე მე. ფელზენელების მხრიდან ვერავითარი მოქმედება ვერ შევნიშნე. იყო თუ არა მათთან პაული? იციან თუ არა მათ, რა მომივიდა? და ამსტერდამში რომ მივყავარ?..

მარტოობის საზიზღარმა გრძნობამ შემიპყრო, მაგრამ მამაცად ჩავკალი იგი.

რა თქმა უნდა, ძალიან ადრეა მათი ჩარევის იმედის ქონა. ასე ჩქარა ვერავინ მომეშველება. ამისათვის ჯერ ადამიანთა მოსინჯვა, დამუშავება და დათანხმებაა საჭირო. შეიძლება, ხუთი დღის ან ერთი კვირის მერე რამე გავიგო მათზე... იქნება, ფელზენელები ფრანსის ან პოლიციის ინსპექტორის საშუალებით დაავალებენ ანსა და ტინკას გადასცენ ვიღაცას შეკრულა, რომელსაც შეუძლია მისი გულის მოლბობა.

ისევ გამახსენდა უფერულთვალებიანი კაცი, მისი უშველებელ ხელები, ავისმომასწავებელი ღიმილი. განა შეიძლება ასეთი ტიპის მოლბობა? მანქანის კუთხეში მივიკუნტე და ჩავთვლიმე.

...ჟანდარმმა ჩამარტყა ისევ მტკივნეულად და უხეშად.

—Aussteigen![1]

დავინახე, რომ ამსტელფეენსეებზე გავჩერდით. ცენტრალური ციხის მონაცრისფრო-ყავისფერი შენობა, რომელსაც მაღალი, გისოსებიანი ფანჯრები აქვს. ციხის წინ თოვლით დაფარული სკვერია. „უშიშრეობის სამსახურის“ ვაჟბატონმა წამათრია შესასვლელი კარებისაკენ. დარეკა. კარები გააღო ციხის უბრალო ზედამხედველის ფორმიანმა კაცმა. ჟანდარმმა მას ხელი ჰკრა და შიგნით შევიდა. ჩემთვის მაგრად ჰქონდა ხელი ჩაკიდებული.. იგი გაემართა მინისა და გისოსის პატარა ოთახისაკენ, რომელშიც მოხელე იჯდა და სარკმელი გააღო.

ჩემთვის ხელი არ გაუშვია ჟანდარმს, ისე თქვა:

—Das Mädel, worüber wir aus Haarlem angerufen haben... Spricht nicht. Ihr soll schon ausfinden, wil und was?[2]

---

1 გამოძვერი! (გერმ.).

2 ქალიშვილია, რომელზედაც ჰარლემიდან დაგირეკეთ... არაფერს არ ამბობს. თქვენ მოგიწევთ გარკვევა, როგორ და რა (გერმ.).

მოხელე ადგა, პატარა ოთახიდან გამოვიდა. ის და ჟანდარმი იცინოდნენ, მე კი ფეხები მეკვეთებოდა ისე, რომ ჟანდარმს მოუხდა ჩემი შვმაგრება. მე ვიფიქრე: ესენი იცინიან, როცა სხვებს ყოველგვარი საფუძველი აქვთ ტირილისათვის. ესენი კმაყოფილები არიან მაშინ, როცა სხვები უბედურებაში ჩავარდნენ.

—Ausfinden werden wir's schon,—თქვა მოხელემ.—Was habt jht auf ihr gefunden?[1]

ჟანდარმმა მას პაკეტი გადასცა და მე ხელი გამიშვა. წავბარბაცდი და ძალ-ღონის დაძაბვა დამჭირდა, რომ არ წავქცეულიყავი. მოხელემ ისევ გაიცინა. მომეჩვენა, პირს მხოლოდ იმიტომ აღებდა, რომ მისი კბილები მენახა. მან ქეჩოში მტაცა ხელი და წინ გამიგდო.

—So ein kleines Terroristenschweinchen,[2]—თქვა მან.

ცარიელ, პირქუშ შენობაში შემაგდო, სადაც მწვანე ფარდები ეკიდა და მწვანე მაუდგადაკრულ მაგიდის წინ რამდენიმე სკამი იდგა, რომელსაც დასაჯდომზე გახუნებული აფრისი ჰქონდა გადაკრული. ოთახში მხოლოდ ერთი ახალი ნივთი იდგა — ჩალისფერი ხისგან ნაკეთები თანამედროვე საწერი მაგიდა. მაგიდასთან იჯდა მამაკაცი, რომელსაც გადასვლეპილი თმა ჰქონდა და მწვანე მაუდის კარგად მორგებული ფორმა ეცვა. ფორმა საუკეთესო იყო და ზედ იმდენი ორდენი მიემაგრებინა მის პატრონს, თითქოს აღლუმზე წასასვლელად იყო გამზადებული. „ასეთები ყოველთვის საწერ მაგიდებს უსხედან სადმე", — რატომღაც გავიფიქრე მე. თვალებს ვაჭყეტდი და ვცდილობდი, გულისყური მომეკრიბა, მაგრამ, როგორც ჩანდა, შიმშილმა მთლად წამართვა ძალა.

ჩემი გამცილებელი მას მიესალმა და მაგიდასთან მჯდომმა კაცმა ხელით მიიხმო იგი. ჟანდარმმა მე დამტოვა, მაგიდასთან მივიდა და დაზეპირებული ჟესტით პაკეტი გადასცა. ფეხები მეკვეთებოდა, ყურები მიშხუოდა. თვალს აღარ ვადევნებდი, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი. სკამი მოვიდგი და ზედ დავეცი. როგორც ჩანს, მამაკაცებმა ეს შენიშნეს, მომესმა მაგიდასთან მჯდომი მამაკაცის მკაცრი ღაღანა ხმა:

—Was soll das? Stehenbleiben! Bis Befehl zum Sitzen folgt![3]

---

[1] გავერკვევით... რა უპოვეთ? (გერმ.).

[2] რა პატარა ქეციანი ტერორისტია (გერმ.).

[3] რაშია საქმე? დადექით! სანამ დაჯდომას არ გიბრძანებენ! (გერმ.).

მან გაიცინა. მეორემაც. „ესენი მაინც იცინიან, მაშინაც კი, როცა მათი ქალაქები იწვის, — გავიფიქრე მე და გაჭირვებით ავდექი სკამიდან. — ესენი იცინიან, მათი ცოლები და შვილები კი, ფიურერის წყალობით, იქნებ უკვე ნაკუწებად არიან ქცეულნი მოკავშირეთა ბომბებით“. მე ისევ ავდექი ფეხზე.

—Setzen![1]—წარმოთქვა ღაღარამ.

გავოცდი, ადვილად რომ დათმო, და დაჯდომა მინდოდა. ის იყო ჩამოვჯექი, რომ უცებ გავიგონე:

—Aufstehen![2]

გაკვირვებულმა მას შევხედე. მან თითები დააკაკუნა მაგიდაზე და გაიმეორა:

—Aufstehen!

ავდექი. მან გაიცინა. გაიცინა გამცილებელმაც.

— Setzen! — გაიმეორა სამხედრომ. ახლა მივხვდი რაშიც იყო საქმე და აღარ დავჯექი.

—Setzen!—დაიყვირა თმაგადასვლეპილმა კაცმა. მე ვიდექი. ჩემი მტანჯველი ადგა და ჩემსკენ წამოვიდა. გაიცინა და სიცილით გამარტყა სილა.

—Setzen!

სკამის ზურგს ჩავეჭიდე და დავჯექი.

—Aufstehen!—მიბრძანა მან.

ავდექი.

—Setzen!—გაისმა ბრძანება.

იატაკზე დავეცი და ვეღარ ავდექი. ვიღაცამ ნეკნებში წიხლი ჩამარტყა.

—So was Dämliches,—ჩაესმა ღაღარა ხმა.—Geschickte Schauspielerin ist sie auch... Ruf die Auguste.[3]

მე ვიწექი, თვალები მაგრად მქონდა დახუჭული. გავიგონე, როგორ გავიდა ჩემი გამცილებელი. იგი მალე დაბრუნდა. მის უკან ვიღაცის ჩექმების ბაკუნი გაისმოდა. თვალები ოდნავ გავახილე და დავინახე, რომ ქალი შემოვიდა. მას ეცვა ჩექმები, ქვედა კაბა და ესესელების ფორმის ქურთუკი, რომელსაც „მკკდარი თავის“ ემბლემა ჰქონდა.

---

1 დაჯექით! (გერმ.).

2 ადექით (გერმ.).

3 აი, წყეული... ამავე დროს იგი ნიჭიერი მსახიობია... აუგუსტას დაუძახე (გერმ.).

— Heil Hitler,[1] — თქვა მან. მისი ხმა გატეხილი ზარის ხმას ჰგავდა, რომელშიც კიდევ შემორჩენილიყო ვერცხლის წკრიალი. ახალგაზრდობაში, ალბათ, სასიამოვნო შესახედავი იყო. მაგრამ ახლა მას უზარმაზარი თეძოები და ფართო, შეშუპებული სახე ჰქონდა.

—Wo ist das?.. Aha.[2]

—Mach nur,[3]—უთხრა ღაღანა ოფიცერმა.

მუშტები მოვკუმშე. თუ ამ ქალს განზრახული ჰქონდა რამე გაეკეთებინა ჩემთვის სანახაობას მოწყურებული ორი მამაკაცის წინაშე, ეს იქნებოდა ახალი შეურაცხყოფა და ჩემს თავს სიტყვა მივეცი თვალები გამომეწიწკნა მისთვის. მაგრამ ძალთა თანაფარდობა კარგად ვერ შევაფასე. მან უბრალოდ ჩამავლო ხელი ქამარსა და ქეჩოში და ძლიერი მოქნევით ფეხზე დამაყენა. იგი ათჯერ ჩემზე ღონიერი იყო. ახლა შემეძლო კარგად დამენახა მისი სახე. ლურჯი ლაქებით ჰქონდა სახე დაფარული, თითქოს ხშირად სვამდა. თითქოს იგი მთელი თავისი სიცოცხლე სხვადასხვა სიამოვნებით ვერ გამძღარიყო, იქნებ ახლაც; ალბათ, ახლა მხოლოდ სმის ჟინიღა შერჩა. და სადიზმი.

— Na!.. — თქვა მან და ხელები ერთმანეთს გაუსვა, თითქოს ჩამოიბერტყაო,—Was wäre noch gefälling?[4]

მან ამ სიტყვებით მე მომმართა, თითქოს ხუმრობსო. მაგრამ არავის გაუცინია. თმაგადასვლეპილმა ოფიცერმა განკარგულება გასცა:

—Einzelzelle[5].

ესესელმა ქალმა ხელი მტაცა და ოთახიდან წამათრია. დიდი დერეფანი გავიარეთ. მომეჩვენა, რომ ეს იყო ლურსმნებჩარჭობილი შავი, ურდულებიანი კარების გრძელი მწკრივი—ნამდვილი ციხის კარები. აუგუსტა აქეთ-იქით არ იხედებოდა. იგი მიმათრევდა. გვერდს ვუვლიდით „უშიშროების სამსახურის“, სხვა თანამშრომლებს, ციხის ზედამხედველს, რომელსაც ზურგზე გადებული ნაცრისფერი ტომრით ჭუჭყიანი თეთრეული მიჰქონდა. აუგუსტა ისეთი შეუპოვარი ჩანდა, რომ მეც კი, ჩემდა უნებურად, დავემორჩილე ამ შთაბეჭდილებას. მართალია, მისი მხოლოდ ერთი რამე მშურდა: ეს უგნური

---

1 ჰაილ ჰიტლერ (გერმ.).

2 სად არის?... აჰა (გერმ.).

3 შეუდექი (გერმ.).

4 აჰა!.. კიდევ რას ინებებთ? (გერმ.).

5 განცალკევებული საკანი (გერმ.).

ძალა მის ცხენის ორგანიზმში! ხელს მარწუხივით მიჭერდა ხელზე. მისი ნაბიჯებისგან რკინა ჟღრიალებდა.

კიბეს გავცდით და მაღალი დერეფნის ბოლოში გავედით. მან ციხის ერთ ზედამხედველს დაუქნია ხელი და უბრძანა საკანი გაეღო. მერე შიგ შემაგდო. შორენკეციის იატაკზე დავეცი და თავი დავარტყი კასრს, რომელსაც კარბოლმჟავას მწვავე სუნი ასდიოდა. ეს მაინც ვიგრძენი, თუმცა შეგრძნება დამიჩლუნგდა. კასრს დავეყრდნე და ადგომა ვცადე. მაგრამ აუგუსტამ უცებ დამაყენა ფეხზე. მან ლაბადა თითქმის შემომახია. მისი უხეში ხელები ჩემი იღლიებიდან თეძოებისკენ ჩაცურდნენ, მერე მუხლებს უკან ფოსოებზე. ვცადე მუხლი ამეწია და ჩამერტყა მისთვის, მაგრამ მან ნიკაპში ამომარტყა და წავიქეცი. ჩემი ლაბადა წაიღო და წავიდა. გავიგონე, როგორ მჭიდროდ დაიხურა კარი. კლიტემ გაიჩხაკუნა. კარგად იყო დაზეთილი აქაც.

ნარებთან მივეხოხდი. ზღვის ბალახით დატენილი ტომარა, რომელსაც ცხენის ჩული ჰქონდა გადაფარებული. ზედ დავწექი ქვედა კაბითა და სვიტერიანად. სიცივეს აღარ ვგრძნობდი. მხოლოდ ერთი რამ მინდოდა: ძილი. ძლივს მოვასწარი დაწოლა, რომ დამახასიათებელი ჩხაკუნი შემომესმა. საკანის კარებზე რკინის საჭვრეტი გაიღო. აუგუსტას ჩახლეჩილმა ხმამ დამიყვირა:

—Aufstehen! Verboten am Tag auf den Betten zu liegen![1]

არაფერი მითქვამს. საწოლიდან ჩამოვცურდი და იატაკზე, კაფელის ფილებზე გავწექი. თვალები დავხუჭე. ისევ გაისმა კარებში ჩხაკუნი, გაბრაზებული, ხმამაღალი. დამეძინა.

დუმილს ვარღვევ

...მთელი ერთი კვირის განმავლობაში „უშიშროების სამსახურს“ არ შევუწუხებივარ, აუგუსტას კი ხანდახან ვხედავდი. ჩემი საკანი მოჭუჭყისფრო-ნაცრისფერი კირით იყო მობათქაშებული, ქვედა ნაწილი კი ზეთის შავი საღებავით შეეღებათ. ყოველ დილით საკანი სველი ჯაგრისით უნდა დაგვეგავა. მეავე სიმყრალე უდიოდა ძველ ზღვის ბალახს, რომელზეც ჩემამდე უთვალავი პატიმარი იწვა.

---

1 ადექი! დღისით აკრძალულია საწოლებზე წოლა! (გერმ.).

კუთხეში იდგა დაჩვრეტილი, პატარა, ორთაროიანი ცარიელი კარადა. მაგიდა კედელზე იყო მიმაგრებული ისევე, როგორც ჰარლემის საკანში. მაგიდის ზემოთ წესდება ეკიდა, რომელიც მაშინაც კი არ წამიკითხავს, როცა ორი დღე-ღამის შემდეგ ვიგრძენი, რომ დავისვენე და მომწყინდა.

კარს დილით ადრე აღებდნენ. დერეფანში გავდგამდი ჩემს ვედროს. ადამიანებს, რომლებსაც ვერასოდეს ვერ ვხედავდი, მიჰქონდათ ვედრო და გასუფთავებულს დგამდნენ კართან. პატარა ტანის კომბინეზონიან კაცს საკანში შემოჰქონდა წყლიანი პატარა ტაშტი. წყალი ყინულივით ცივი იყო. პირს ვიბანდი და ვიწმენდდი ცხვირსახოცისოდენა პირსახოცით, რომელსაც ისეთივე მჟავე სუნი ასდიოდა, როგორიც ოფლით გაჟღენთილ ზღვის ბალახით დატენილ ლეიბს. წყალს აქცევდნენ. ნახევარი საათის შემდეგ ციხის ზედამხედველი მოდიოდა და მოჰქონდა ორი დუიმის სისქის პურის ნაჭერი. პირველ დღეს პური ყოველი მხრიდან დავათვალიერე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საწამლავი შემომაპარესო. თორემ აბა, რატომ უნდა მოეცათ ჩემთვის პური? მერე კბილები ჩავავლე და მთელი ნაჭერი შევჭამე, ისევე, როგორც ერთ დროს შვედური თეთრი პური შევჭამეთ—ერთ ჭამაზე, უკანასკნელ ნამცეცამდე, იმაზე ფიქრის გარეშე, თუ რა იქნებოდა მერე. ყოველ დილით ველოდი პურს, როგორც დაღუპული გემიდან გადარჩენილი ელის, ხომ არ გამოჩნდება შორს გემიო. და ყოველდღე მიხაროდა, პურს რომ მაძლევდნენ.

იმ დილით ფანჯრის ქვეშ ვიდექი და ყურს ვუგდებდი ხმებს, რომლებიც ქუჩიდან აღწევდნენ ჩემამდე. ახლოს მდებარე არხიდან პატარა გემის ყვირილის ხმა ისმოდა ხანდახან. ყველა ხმა ყრუდ ისმოდა. თითქოს ქალაქის უშველებელი ორგანიზმი სულ დაუსტდა და თვლემსო. მხოლოდ თოლიები დაფრინავდნენ ძველებურად. მაგრამ ისინიც კი შიმშილისგან ჩხაოდნენ.

წამდაუწუმ ვწვებოდი ლეიბზე — დილაობით მას ჩვეულებრივად ვბერტყავდი, ამას განსაზღვრული ხერხით ვაკეთებდი; სწრაფად, უხმოდ, ასე მასწავლა ციხის ზედამხედველმა, ვიწექი ნარზე და ვისვენებდი. ასე მეგონა, უნდა დამესვენა ათასი საქმისგან, რომლებიც ჩემგან მთელი ძალის დაძაბვას მოითხოვდნენ. დროდადრო, გააფთრებული ჩხაკუნით იღებოდა კარებზე საჭვრეტი და ვინ იცის, მერამდენჯერ მიყვიროდა აუგუსტა, დღისით საწოლზე წოლა აკრძალულიაო. ველოდი, როდის დაიკეტებოდა საჭვრეტი და ისევ ვწვებოდი. ხანდახან მთელი დღის განმავლობაში ოთხჯერ-ხუთჯერ წამომაგდებდა ხოლმე აუგუსტა ლეიბიდან.

იმ დილით კარი კიდევ ერთხელ გაიღო. ციხის ზედამხედველმა გამომიცხადა, რომ დერეფანში უნდა გავსულიყავი. ექვსი კამერიდან გამოვიდნენ პატიმრები. მხოლოდ ზოგიერთებს ეცვათ ტანისამოსი. პატიმართა უმრავლესობა ოციდან ოცდაათ წლამდე იყვნენ, სამოქალაქო ტანისამოსი ეცვათ, მხოლოდ უპალტოოდ. მარტო მე ვიყავი ქალი. მამაკაცები გაკვირვებულები მიყურებდნენ. ფეხების ფლატუნით გავიარეთ რკინის კიბის ქვეშ, დერეფანში, მივედით გასასვლელთან, სადაც დერეფანი ექვს შესამწყვდევ გალიად იყოფოდა, ყოველი ჩვენგანი თითო მოგრძო სამწყვდევში შევიდა. აქ უნდა გვესუნთქა სუფთა ჰაერით. არ ვიცი, სხვები როგორ გრძნობდნენ თავს. პირველ დღეებში სიცივისაგან მთლად ვიკუნტებოდი. ყოველი ქვიდან, ქვაში დატანებული რკინის ყოველი ნაჭრიდან საშინელი სიცივე მოდიოდა.

ამ სამწყვდევებში სახელები იყო ამოკაწრული. მაგრამ ყველაზე მეტი წარწერები საკანის მობათქაშებულ კედლებზე იყო. ღუზა, ჯვრები, სიმბოლოები, რომლებიც არ მესმოდა. ფანქრით წაწერილი ლექსი, რომელიც ძალიან მალე დავიხსომე ზეპირად. უფრო სწორად, ეს მხოლოდ ლექსის დასაწყისი იყო:

მწარე ხვედრი მძიმედ მაწევს გულზე,
მაგრამ სული ბოროტებას დასცემს...
ის ამ ტანჯვას დამცინავად უმზერს,
რითაც არის დედამიწა სავსე.
ჩემი სული სიმართლისკენ ილტვის,
რწმენის წყარო არ დამშრალა ჯერაც...
გავიმარჯვებთ, სადიდებელს ვიტყვით
და მეც მკვდრეთით წამოვდგები, მჯერა.

აქ მთავრდებოდა ლექსი. ვფიქრობდი იმაზე, რანაირად შეიძლებოდა მისი გაგრძელება. ერთხელ, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგონა ვიყავი და საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ვცდილობდი ლექსები დამეწერა. მაგრამ კარგი რითმები ვერ შევარჩიე. ალბათ, ასე დაემართა ამის შემთხზველსაც.

შუადღისათვის შიმშილი შემაწუხებდა ხოლმე. ვღელავდი, როდისღა გავიგონებდი კლიტეში გასაღების ჩუმ ხმას და ზედამხედველი საჭმელს მომიტანდა. და ყოველთვის მიკვირდა, რომ საჭმელს ისევ ვღებულობდი. ეს იყო, რაღაც წვნიანისნაირი, შიგ ცურაობდა რაღაც ქერის მარცვლების მაგვარი, ძალიან ცოტა კარტოფილი და კომბოსტოს მურკის ნაჭრები. წვნიანი ოდნავ თბილი იყო. ხარბად ვყლაპავდი მას.

პირველ დღეებში არაფერზე არ ვფიქრობდი. მთლიანად გამო-

ვთიშე ჩემი გონება — ვგრძნობდი, რომ ეს იყო ერთადერთი საშუალება, რითაც შემეძლო სულიერი ძალის აღდგენა. ჩემი სხეული ისწრაფოდა, რომ დაღლილობა დაეძლია. იგი ისვენებდა, საკვებს ღებულობდა, არავითარ აზრს არ იკარებდა, არავითარ ფიქრს, რომლებიც ხელს შეუშლიდა მისი ძალის აღდგენას. მხოლოდ სამი-ოთხი დღის შემდეგ დავიწყე ფიქრი, რომ დრო მიდიოდა. კოვზის ტარით კედელზე კალენდარი დავჩხაპნე. გამოვიანგარიშე, რომ უკვე ოცდახუთი მარტი იყო. უცებ შიშმა შემიპყრო და საკანში წინ და უკან დავიწყე სიარული. დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ გარეთ ხდება ამბები, რომლებშიც მე უკვე აღარ ვიღებ მონაწილეობას. მხოლოდ ახლა შევიგრძნე ნათლად, რომ მთლიანად გამოვითიშე ბრძოლიდან, მტრის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებიდან, დამთავრდა ჩემი ბრძოლა.

გამიგონია, განცალკევებული პატიმრობისაგან ადამიანები ჭკუაზე შეიშალნენო, პირველ დღეებში თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ საკანში მარტო ვიყავი, მხოლოდ ახლა ვიგრძენი ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. მწყუროდა გამეგო, რა ხდებოდა გარეთ. პირდაპირ ვკითხე ზედამხედველს, რომელმაც საღამოს ულუფა წვნიანი მომიტანა:

— როგორაა იქ საქმეები?

იგი რამდენიმე წუთს შეფიქრიანებული მიყურებდა, მერე ცხვირწინ მომიხურა კარები.

როცა ერთხელ დილით სუფთა ჰაერისათვის გამოვედით გარეთ, ჩემ წინ მიმავალს წავჩურჩულე:

— რა არის ახალი?

იგი უკან არ მობრუნებულა, ისე აიჩეჩა მხრები. დერეფნიდან გერმანულად დაიყვირეს, ერთმანეთთან ლაპარაკი აკრძალულიაო. უცებ ვიღაც სირბილით მოვარდა ჩვენთან. ეს იყო აუგუსტა.

—Du also wieder![1]

და ისე გამარტყა, რომ წავიქეცი. მან ისევ საკანში შემაგდო. ამ დღეს სუფთა ჰაერით აღარ მისუნთქავს.

მომდევნო დღეებში სასეირნოდ მარტო მივყავდით.

დილაობით პურის მოცემა შემიწყვიტეს. მხოლოდ საღამოს ვღებულობდი ბურღულის ქაშისა და ბოსტნეულის ნაჭრების ჩვეულებრივ ულუფას. პატარა ჯამს ოც-ოცდაათ წამში ვცლიდი. ხელში მეჭირა ალუმინის კოვზი და ვფიქრობდი:

„აი, უკვე ერთი კვირა გავიდა, ნუთუ მათ, იქ, არ იციან, რომ მე აქა ვარ? როცა ვინმე ჩვენგანს აპატიმრებდნენ, უფრო ხშირად,

---

1 ეს ისევ შენა ხარ! (გერმ.).

იმავე დღეს ვგებულობდით ხოლმე. ასეთი ამბები მალე ვრცელდება. შეატყობინა თუ არა პაულმა ფელზენის შტაბს?“

„ფელზენი, — ვფიქრობდი მე, — დრიხეისი, ბლუმენდალი... ყველაფერი თვალწინ მედგა: თოვლით დაფარული სახლები, ბაღები, სქელი თოვლის საფარველქვეშ, ნასიარულევი გზები. მერე ხალხზე დავიწყე ფიქრი. ჩვენი შტაბი. და უცებ სასოწარკვეთის აბობოქრებული შავი ნაკადი მეკვეთა, რომელსაც ასე დიდხანს ვკლავდი ჩემში, გაცოცხლდა ყველა მოგონება, რომლებისაც ძალიან მეშინოდა, კინაღამ ყვირილი დავიწყე, ისე მომინდა ჩემი ამხანაგების ნახვა.

მაგიდასთან ვიჯექი და ვტიროდი იმაზე, რომ ციხეში ვიყავი. ვტიროდი ამხანაგებზე, მშობლებზე, ჩემს უმწეობაზე. უკვე აღარ შემეძლო თავის მოტყუება.

პაულს არაფერი შეუტყობინებია ფელზენელებისთვის. მათ არ იციან ჩემი დაჭერის ამბავი. როცა მან ზურგი შემაქცია, ამით დამიმტკიცა, რომ არავითარი საქმე არ ჰქონდა ჩემთან.

მაგრამ ფელზენელებს ხომ პაული არ სჭირდებოდათ იმისათვის, რომ გაეგოთ ჩემი აქ ყოფნა. მათ ბევრი ნაცნობი ჰყავთ. ჰარლემის პოლიციას ხომ შეეძლო მათთვის შეეტყობინებინა ჩემი ამბავი. ან ფრანსს, ან ანსა და ტინკას. მათ ათობით საშუალება აქვთ გაიგონ, სადა ვარ მე.

თაკიდან ვიშორებდი ფიქრს, რომელიც დაჟინებით მეტანებოდა. ინგლისის დაზვერვა და გესტაპო... მეგონა, რომ ჩემში სხვადასხვა ხმებს ვუსმენდი. ძველ კოსტიუმს იძრობენ და ახალს იცვამენ... მაგრამ საიდუმლო ცნობები თავში რჩებათ, არიან ადამიანები, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ იციან ორივე მხარის შესახებ. ისინი უნდა გაქრნენ... ფელზენის შტაბისათვის ცნობილია მეთოდები, როგორ უნდა მოისპოს ადამიანი, თუმცა მათ ისევე იციან, როგორ გამოიყვანონ ციხიდან პატიმარი. ზუსტად იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს; და მათ ზუსტად იციან, ვინ უნდა იხსნან და ვინ არა. „მართლა რა ოინებს აწყობენ ისინი?“ — ჩამესმა ქალიშვილის აღშფოთებული ხმა. სამ კომუნისტ ქალიშვილს არასოდეს უსწავლიათ ასეთი ოინების მოწყობა. ისინი მხოლოდ ხელს უწყობდნენ ფელზენელებს ამის გაკეთებაში ისე, რომ არც იცოდნენ, რა საქმიანობას ეწეოდნენ ფელზენელები. ამ ფიქრების გამო პირველად გავათენე ღამე უძილოდ.

ეს წარმოუდგენლად მიმაჩნდა, მაგრამ ეს ასე იყო: ფიქრმა, რომლის წინააღმდეგ ვიბრძოდი, მარტო კი არ ამიხსნა ყველაფერი, მანვე მომისპო ყოველგვარი იმედი.

მეორე დღეს სამწყვდევში წინ და უკან დავდიოდი, ვიდრე თვალში არ მომხვდა, რომ ქვის ერთ კედელთან ხრეშზე ეგდო სულ პატარა დახვეული ქაღალდი, რომელიც ნახევრად დაეფარა სველ თოვლს. ქაღალდი პაპიროსისა იყო.

მაშინვე ფეხი დავადგი მას და ირგვლივ მიმოვიხედე. ის ადგილი, სადაც მე ვიდექი ფანჯრებიდან და კედლის ჭრილებიდან არ ჩანდა. დავიხარე და ქაღალდის მილი წინდაში დავმალე.

როცა საკანში დავბრუნდი, კარების საჭვრეტიდან ზურგშექცევით დავდექი და ქაღალდი გავშალე. მასზე ნემსივით წვრილი ფანქრით რაღაც ეწერა. გაჭირვებით ამოვიკითხე ბარათი: „რუსები წინ მიიწევენ ვენისაკენ. ინგლისელები რაინზე გადავიდნენ ვეზელთან. რუნდშტედტი კესელრინგით შესცვალეს. ამერიკელები იაპონიის წყლებში არიან. ინგლისელებმა ისევ აიღეს მანდალაი“.

არ ვიცოდი, სად მდებარეობდა მანდალაი, სადღაც მალაკის ნახევარკუნძულზე თუ ბირმაში? მაგრამ საქმე ეს როდი იყო. ეს იყო ახალი ამბები. ბარათი სინათლის სხივი გახლდათ. ვიღაცამ მოიტანა იგი, ვიღაცამ გვაცნობა ის, რაც თვითონ იცოდა.

ზეპირად ვისწავლე ეს ხუთი სტრიქონი. ხმამაღლა და ჩუმად ვიმეორებდი მათ. ქაღალდი ვედროში ჩავაგდე. მაგრამ მერე გავიფიქრე: მქონდა თუ არა უფლება ბარათი წამომეღო და მომესპო? თუ უნდა დამეტოვებინა იქ — სხვებისათვის? ახლახან გაგებულ ახალ ამბებზე ფიქრმა ჩემი ყურადღება შეანელა საშინელი, თავიდან მოუშორებელი ფიქრის. მიმართ, რომელიც გუშინდელიდან მტანჯავდა. ფიქრისგან, რომლის შეგუება არ მინდოდა, მაგრამ უნდა შევგუებოდი...

ბნელი აჩრდილი გონების დაჩლუნგებას მიქადდა. სულს მიღრღნიდა ეჭვის საშინელი ჭია. მაგრამ ჩემს თავს ნებას ვერ მივცემდი, მას დავნებებოდი.

რაღას აღარ ვიგონებდი, რომ ფიქრები სხვა საგანზე გადამეტანა. ვცდილობდი გამეხსენებინა, ბევრი რამ მახსოვდა თუ არა საშოქალაქო კოდექსიდან. ვიხსენებდი, რა კითხვებს მაძლევდა ჩემი მოხუცი პროფესორი, როცა არალეგალურად ვაბარებდი გამოცდას ამსტერდამის სადგურში. ხმამაღლა ვამბობდი ჰაინეს ყველა ლექსს, რაც კი მაგონდებოდა. მათემატიკურ ამოცანებს ვაძლევდი ჩემს თავს და ვიყვანდი მათ, ურთულესი საბუთების მოყვანით.

მეორე დღე-ღამე გაჭიანურდა.

ყოველ დღე ქვისა და შიგ დატანებული რკინის სამწყვდევში, სადაც სუფთა ჰაერისთვის გავყავდით, პირველ რიგში ვათვალიერებდი, რამე ცნობა ხომ არ იყო გარეთა სამყაროდან.

მაგრამ აღარაფერი იყო.

და პირქუში ფიქრები მიპყრობდნენ: კაცი, რომელმაც ბარათი დატოვა, უკვე წაიყვანეს აქედან. იქნებ დასაჯეს კიდეც. რაუტერის გამო. ანდა ნაცისტების მეთაურებზე მოწყობილი ახალი თაკდასხმის გამო, რომლებიც მე ჯერ არ ვიცოდი.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. აი, რა ვიცოდი მე. რუსები ავსტრიაში შევიდნენ და ბერლინს უტევენ. დასავლეთის მოკავშირეები რაინზე არიან. ეს ფაქტი იყო.

ცეცხლწაკიდებული სახლი მოსალოდნელია წაიქცეს ყოველ წუთს, ყოველ წამს...

ისევ შევუდექი კედელზე კალენდრის ხაზვას. ვერ მოვასწარი ამ საქმის დამთავრება, რომ ჩემთან აუგუსტა და მორიგე შემოვიდნენ. მათ ისევ წამიყვანეს სევდისმომგვრელ მწვავე ოთახში, სადაც მაშინ თმაგადასვლეპილი და ორდენებით მკერდდამშვენებული ოფიცერი იჯდა. იგი ისევ იქ იჯდა, თითქოს არც წასულიყოს იქიდან.

დავინახე, რომ მის წინ მაგიდაზე ჩემთვის ნაცნობი საგნები იდო. არალეგალური გაზეთების შეკრულა, რომელიც მე ჩამომართვეს, რევოლვერი და მის გვერდით იქიდან ამოყრილი კაზნები და პირადობის მოწმობა.

გერმანელმა ოფიცერმა მანიშნა, ახლოს მივსულიყავი და მიმითითა მაგიდასთან, სადაც უნდა დავმდგარიყავი. ჩემი თვალისა და შუბლის პირდაპირ ელექტრონათურა ენთო.. აუგუსტა უკან დამიდგა, ეს მე გავიგე მისი სამხედრო ფორმაში გამოკრული მკერდის მძიმედ სუნთქვის წყალობით.

ოფიცერი ჩემს პირადობის მოწმობას ათვალიერებდა. გამიხარდა, რომ რამდენიმე დღე შევძელი ჭამა, დასვენება და დაძინება. ადრინდელ მომაკვდინებელ სისუსტეს აღარ ვგრძნობდი. არც შიმშილის გრძნობა მაწუხებდა, რომელიც ადამიანს ძალას ართმევს. ვგრძნობდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა შემეძლო. მაოლოდ არ ვიცოდი, რომელი გვარი და ასაკი იყო აღნიშნული ამ პირადობის მოწმობაში. საკანში ბევრჯერ ვცადე ამის გახსენება, მაგრამ ეს საკითხი ჩემს მეხსიერებაში თეთრ ლაქად იყო დარჩენილი. მაოლოდ ძველ გზას უნდა გავყოლოდი.

—Name?[1]—თქვა ბოლოს ოფიცერმა.

ხმას არ ვიღებდი.

—Name?—გაიმეორა მან და პირველად გადმოიხედა ზზერა პირადობის მოწმობიდან ჩემზე. იგი მეტისმეტად ღაღანებდა, წარ-

1 სახელი? (გერმ.).

ბები შეყარა. მისი გადასვლეპილობა და გარეგნული წესიერება ორმაგად ყალბი ჩანდა. მე არაფერი მითქვამს. და ბეჭებს შუა აუგუსტას მაგარი დარტყმა ვიგრძენი.

—Wie heissen Sie?[1]—მკითხა ოფიცერმა.

ხმას არ ვიღებდი. აუგუსტამ ზურგში ჩამარტყა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ; მერე დაბლა, პირდაპირ თირკმლებში, საშინლად მტკივნეულად. ოფიცერი რამდენიმე ხანს ათვალიერებდა მის წინ მაგიდაზე დაწყობილ ჩემს ნივთებს, და მერე მითხრა:

—Die Komö die mit den Schweigen hat keinen Zweck. Sie reden jetzt, oder ich lass Sie zum Reden bringen[2].

არაფერი ვუპასუხე. ოფიცერმა აუგუსტას შეხედა. პირი ოდნავ დაებრიცა.

ყველაფრისათვის შევემზადე. უცებ აუგუსტამ თმებში ჩამავლო ხელი. თავი გადამიწია და მეორე ხელით, მთელი ძალ-ღონით ყურებში დამიწყო ცემა. არ ვიცი, რამდენჯერ დამარტყა. თავბრუ დამესხა, წავბარბაცდი. სახეზე სისხლი მომაწვა. ხელიდან დავუძვერი და მოკეცილი იდაყვებით ვცადე უკანვე დამერტყა, და მოვახვედრე კიდეც აუგუსტას. ესესელი ქალი გაცილებით ღონიერი იყო. მესმოდა, როგორ ქშინავდა იგი — მძიმედ და არათანაბრად; თითქოს სადაცაა მხეცის ღრიალს გავიგონებო. ერთხელ კიდევ გავიქნიე ხელი უკან. მან ისეთი დარტყმით მიპასუხა, რომ დავრეტიანდი. მხოლოდ ის ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ჩექმა ჩამკრა გვერდში, და გონება დავკარგე.

...როცა გონს მოვედი, ვიჯექი სკამზე, და ცალ გვერდზე ვიყავი გადახრილი. ოფიცერი ისევ მაგიდას უჯდა. იგი იღიმებოდა, რაღაც საძაგელი, გამარჯვებული ღიმილით, რომელსაც იმ მომენტში ვერ მივხვდი. აუგუსტა ჩემ გვერდით იდგა. მისი წითელი, შეშუპებული სახეც მობრეცილიყო, თითქოს ისიც იღიმებოდა. ხელში მას ჩემი თმის კულული ეჭირა. ახლა ვიგრძენი, რომ მთლად სველი ვიყავი, თითქოს წყალი გადამასხესო; კბილები მიკაწკაწებდა. თმებიც სველი იყო. მხოლოდ ახლა მივხვდი, ოფიცერი და აუგუსტა რატომ იცინოდნენ.. აუგუსტას ნახშირივით შავი კულული ეჭირა, მაგრამ იმ სიშავიდან აშკარად გამოკრთოდა წითური ფერი.

---

1 რა გქვიათ? (გერმ.).

2 ამაოა ამ დუმილის კომედიის გათამაშება. ახლავე დაიწყებთ ლაპარაკს, ანდა მე აგალაპარაკებთ (გერმ.).

—Erholt sich schon—თქვა აუგუსტამ — ...Na, etnme Liese, wie wäre es, weno wir dir mal schön die Haare wüschen?[1]

—Sofort machen,[2]—თქვა ოფიცერმა.

აუგუსტამ სწრაფად წამომაყენა ფეხზე. ერთი ხელი საყელოში მტაცა, სწრაფად გამიყვანა ოთახიდან, წამათრია დერეფნით, როგორც ჩვენი გაცნობის დროს მიმათრევდა. ზედამხედველს უბრძანა, ჩემი საკანი გაეღო. მე შიგ შემაგდო. თვითონ წავიდა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ დაბრუნდა. მაგიდას მივეყრდნე, არ ვიცოდი, რა მეფიქრა, რა გამეკეთებინა. შემიძლია, ისევ წავეჩხუბო აუგუსტას. იგი ისევ გონების დაკარგვამდე მცემს და სულ ერთია, გააკეთებს იმას, რის გაკეთებასაც აპირებს.

აუგუსტა ცხელი წყლით სავსე ტაშტიანად მოვიდა. მან საპონი და პირსახოცი მოიტანა თან, ყველაფერი მაგიდაზე დადო, მის წითელ, შეშუპებულ სახეზე გამარჯვებული გამომეტყველება იხატებოდა.

—Haare waschen,—მითხრა მან.—Dalli, dalli, dalli.[3]

მან გადაწყვიტა, თვითონ აეკაპიწებინა ჩემთვის სახელოები. მე მას ხელი ვკარი. მან გაიღიმა. თავის დიდ უხეშ თითებს მაგიდაზე აკაკუნებდა და მიყურებდა, როგორ გავიხადე სვიტერი და ხელში საპონი ავიღე. თმის ბანას შევუდექი ნელა, თან შერეულ გრძნობას განვიცდიდი — თავზე რომ მომეხვია თბილი, სურნელოვანი ქაფი, იმის სიამოვნებას და მწარე დამცირებას იმის გამო, რომ ესესელმა ქალმა მისი ბრძანება შემასრულებინა.

აუგუსტა ლამის ფეხებს აბაკუნებდა.

—Dalli, dalli.—იმეორებდა იგი.

თმების შემშრალება დავიწყე დიდი, მძიმე პირსახოცით, რომელიც მან მომაწოდა, იგი ჩუმად მადევნებდა თვალს.

სველი, თბილი თმა ჯერ კიდევ უსიცოცხლოდ მეკიდა თავზე. მოწაბლისფრო-ყავისფერი, ოდესღაც ასე ნაცნობი კულულები, მოწითალო მბზინვარე ელფერი რომ დაჰკრავდა, რომელიც მთლიანად აღდგება, როგორც კი გავიშრობ და დავივარცხნი.

—Wasser abspülen[4],—მითხრა აუგუსტამ.

ტაშტიდან ვედროში ჩავასხი ჭუჭყიანი, შავი, საპნიანი წყალი და სვიტერი ჩავიცვი.

---

1 გონს მოდის... აბა, მუნჯო ლიზე, რა იქნება, კარგად რომ დაგბანოთ თმა? (გერმ.).

2 ახლავე დაბანეთ (გერმ.).

3 დაიბანე თავი... ჩქარა, ჩქარა, ჩქარა (გერმ.).

4 გადაღვარე წყალი (გერმ.).

—Mitkommen,[1]—მითხრა მან.

ჩვენ ისევ დერეფნით ვბრუნდებოდით უკან და ჩემს სხეულში იღვრებოდა სითბოსი და სისუფთავის მტანჯველი, სანეტარო შეგრძნება, ამავე დროს, სადღაც შიგნით, სილრმეში იზრდებოდა მომქანცველი, შემაწუხებელი გრძნობა— შიში, პირველი ნამდვილი შიში!

მე ისევ წითურთმიანი ქალიშვილი გავხდი. ასე ვიყავი აღწერილი პოლიციის ნუსხაში. და ესენი შემიცნობენ. ერთი წუთითაც არ შემპარვია ამაში ეჭვი. ახლა ნათელია, რომ შავი თმა მიცავდა, უკიდურეს შემთხვევაში, პირველ კვირას — მე ვიტყოდი, მშვიდობიან კვირას, მაგრამ ახლა დაცვა აღარ იყო. შენიღბვა გაქრა.

აუგუსტამ ოფიცერთან მიმიყვანა. როგორც მაშინ, ისევ უკან დამიდგა. ოფიცერმა თვალიერება დამიწყო. ჯერ კიდევ არ ჩანდა ყველაფერი კარგად. სველი თმა უწესრიგოდ ჩამომკიდებოდა სახეზე. მაგრამ, იმის მიხედვით, რა თვალითაც იგი მათვალიერებდა, მივხვდი, რომ ჩემს გარეგნობაში ცვლილება მოხდა.

ნელა წამოდგა თავისი სკამიდან, თითებით დაეყრდნო მაგიდას და თქვა:

—Das sind sie also hicht[2]—მან პირადობის მოწმობა აიღო და თვალთან მიიტანა.—Hier steht, dass sie schwarze Haare haben. Allerdings hatten sie die vor einer halben stunde. Es werden aber auf Identitätspapiepen keine vermmumungen verzeichnet, aber richtige Daten... Und wer diese Daten fälscht, mach schuldig an einem schweren verbrechen... wissen sie das?[3]

უკანასკნელი სიტყვები ჩვეულებისამებრ წამოიყვირა. მისი გლუვი, ცივი სახე უცებ დაიღრიჯა, ზედა ტუჩი აეწია, გააფთრებული ძაღლივით.

ჩუმად ვიდექი.

იგი თავის მაგიდას მოშორდა. ამჯერად აუგუსტას არ დაუთმო ჩემთვის პირველი დარტყმა. და ეს გააკეთა ისე, როგორც შეეძლო. საკუთარ თავზე გამოვცადე, რომ მისი გამხდარი, სამხედრო ფორმაში გამოკრული ხსეული უფრო მაგარი და დაუზოგავი იყო, ვიდ-

---

1 გამომყევით (გერმ.).

2 ესე იგი, ეს თქვენ არ ხართ (გერმ.).

3 აქ წერია, რომ თქვენ შავი თმა გაქვთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გქონდათ ნახევარი საათის წინ. საბუთებში არ აღნიშნავენ ყოველგვარ შენიღბვებს. იქ მხოლოდ ზუსტი მონაცემებია აღნიშნული... ის კი, ვინც ამ მონაცემებს აყალიბებს, სასტიკად დამნაშავეა... იცით თუ არა ეს? (გერმ.).

რე ესესელი ქალის ცხიმით გაფუებული კუნთები. მან ისე გამარტყა, რომ წავიქეცი, თავი კედელს მივარტყი და იატაკიდან ველარ ავდექი — სუნთქვა შემეკრა.

—Du hundsföttische Terroristensau!—შეიგინა მან ღაღანითა და ქშენით, თითქოს ყელში ქაფი უბუყბუყებსო.—Wirst du jetzt sprechen?[1]

ავდექი. მეგონა, რომ ყველაფერი დამტვრეული მქონდა: კისერი, ზურგი და წელი. მხრებში გავსწორდი და გავიმართე. ოფიცერს შევყურებდი სახეზე ჩამოყრილი ახლადდაბანილი სველი თმიდან. ნელა გავიქნიე თავი. ველოდი მძვინვარების მეორე აფეთქებას, უფრო სასტიკსა და დაუზოგავს. ვხედავდი, როგორ მოუთმენლად უტოკავდა ხელი აუგუსტას. ოფიცერმა ღრმად ჩაისუნთქა.

—Abführen,[2]—ბრძანა მან.

იგი ტელეფონისკენ წავიდა, აუგუსტამ კი კარებისაკენ მიბიძგა. როცა უკვე კარებში ვიდექი, ოფიცერი მოულოდნელად აკუჭყუნდა, თითქოს მან უცებ ჩემთვის მხეცური სასჯელი მოიგონაო.

აუგუსტამ საკანში შემაგდო.

ნარზე ვიწექი, მწარედ და თავშეუკავებლად ვტიროდი. ვტიროდი ტკივილებისგან, შეურაცხყოფისა და შიშისგან, რომელიც მთელი ძალით ისევ დამეუფლა, როგორც მაშინ, როცა ჟანდარმებმა დამაკავეს. საკანში ისევ იდგა კარგი საპნის სურნელება, რომლითაც თავი დავიბანე.

ვტიროდი იმიტომ, რომ, ასე მეგონა, თმიდან საღებავის მოშორებასთან ერთად მომშორდა ყოველგვარი თავდაცვის საშუალება მეთქი. დაინგრა კედელი, რომელიც ჩემი ხელით აღვმართე. ვინც ბოლო დროს ვიყავი.— გულდაჯავშნული, გამოწრთობილი, დისციპლინიანი, — იმასა და წინანდელ, წითურთმიან ქალიშვილს შორის. უმწეო ვიყავი, ვიყავი უბრალოდ ხანა ს. ვხედავდი ჩემს თავს სილახვავებს შორის ბილიკზე; ჩემი მოწითალო-წაბლისფერი თმა მსუბუქად ფრიალებდა; ჩემ გვერდით ვიღაც მოდიოდა წვრილი, მოქნილი პატარა ფეხებით და უხმოდ შემომცქეროდა სახეში.

ვიწექი, თმა მეპირა ხელებში, საკუთარ თმას ვეფერებოდი, აკანკალებული, ხარბად, თითქოს, როგორც იქნა — გაწამებულმა და გაუხარებელმა — თვითონ გავაცოცხლე ეს წარსული, და მწა-

---

1 აჰ, შე გათახსირებულო ტერორისტო ღორო!.. ილაპარაკებ ახლა? (გერმ.)
2 წაიყვანეთ (გერმ.).

რედ ვნეტარებდი იმით, რის უფლებასაც წინათ არასოდეს ვაძლევ-
დი ჩემს თავს.

ბინდი ჩამოწვა; დადგა მარტის ცივი, პირქუში საღამო. გა-
რედან მოისმოდა თოლიების გულისგამაწვრილებელი ჩხავილი.

როცა ზედამხედველმა დააკაკუნა, ჯამი გამოვართვი და განზე
მივდგი. შიმშილს აღარ ვგრძნობდი. მშიერი თოლიების ჩხავილს
ვუგდებდი ყურს. შიმშილი და საშინელი სიცივე თავისუფლებაში
უფრო ასატანია, ვიდრე საკანის რკინის მარწუხები. მათ გამომთი-
შეს ყველაფრისგან, რაც ციხის კედლებს იქით კიდევ ცოცხლობ-
და და იბრძოდა; ამავე დროს მათ თითქოს დამიბრუნეს ყველაფე-
რი ის, რაც მე იქ, თავისუფალმა ერთხელ დავკარგე. და წარსული
თვალწინ წარმომიდგა ისე დამათრობელად, ისე აუტანელად ტკბი-
ლად! როგორც მოგონება, როგორც ჯადოსნური ჩვენება, როგორც
დაკარგული ბედნიერების აჩრდილი.

ორი დღე და ღამე ვიწექი ჩემს პიროვნებაში ჩაკეტილი და
ჩემს უბედურებაზე ჩაფიქრებული. არ ვჭამდი, არ მინდოდა ჰაერით
სუნთქვა, ვერ ვგრძნობდი სიცივეს. ვიწექი ლეიბზე და ვუყურებ-
დი ფანჯრის აგურის თაღს და მოგონებებს ვეძლეოდი. არავინ
იყურებოდა საჭვრეტში, არავინ მიყვიროდა, დღისით არ შეიძლე-
ბა საწოლზე დაწოლაო.

თმა გაშრა. გაშლილი თმა მეხვეოდა თავზე და ეფინებოდა
ცხენის ჭუჭყიან ჩულს. თმა ოდნავ იხვეოდა — ისევ განვიცდიდი
შეგრძნებას, რომელიც აღარ მიგრძვნია მას შემდეგ, რაც ის უხეშ-
მა შავმა სალებავმა დაფარა. დავხუჭე თვალი და ვფიქრობდი ნა-
ხევრად დანგრეულ ცემენტის ფაბრიკაზე, ბოსელზე, ჩვენ თავშე-
საფარზე ტყეში, მწარე სუნიან ვეებერთელა გვიმრებზე, მანანაზე,
ბალახზე, რომელზეც ასევე ვიწექი და ჩემი თავი რბილ, ხშირ, გაშ-
ლილ თმაზე ესვენა. მე ახლა ვიცოდი, რატომ მეჩვენებოდა მაშინ
ყველაფერი ისე მდიდრულად, ისე სავსედ, ისე ალერსიანად. აღარ
ვტიროდი. ვიწექი ასე და ვგრძნობდი, რომ სული შემიმსუბუქდა
და თითქმის გაღიმებაც კი შემეძლო.

ორი დღე-ღამე...

მეორე მოვიდა აუგუსტა მორიგესთან ერთად. როცა დაკით-
ხვაზე მივყავდით, მორიგე სულ მარცხენა მხარეს მომყვებოდა. მის
სახეს ვერ ვხედავდი, მხოლოდ მისი ჩექმების ხმა გაისმოდა სამა-
ტიმროს დერეფნის კაფელის იატაკზე. ციხის დერეფანში „უშიშ-
როების სამსახურის“ ოფიცერთან მიმიყვანეს. და მაშინვე -ისეთი
შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს იგი სულ აქ იყო, რომ იგი აქ
ზის დღე და ღამე, რომ დაკითხოს და ტანჯოს ადამიანები.

მან აუგუსტას ანიშნა. აუგუსტამ ხელის კვრით მასთან ახლოს მიმიყვანა, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ნათურის მკვეთრი სინათლე სწორედ თვალებში მცემდა. ჩემ უკან კაბის შრიალით, რისხვით ადიოდა მაღლა აუგუსტას მკერდი.

საწერი მაგიდისაკენ გავიხედე. წინანდელივით იქ იყო გამოფენილი ჩემი ღარიბული ქონება.

მერე ოფიცერს შევხედე. მის სახეზე გაოცება იხატებოდა, თითქოს იგი მოულოდნელად რაღაცაზე წაისწრესო. რაღაც წამით ამ საქციელმა იგი ადამიანს დაამსგავსა, მისი ყოველგვარი უძლურებით. მან თვალით გამზომა თავით ფეხებამდე და მითხრა:

—So sehen sie also aus...—მერე უფრო ღვარძლიანად დასძინა, თითქოს მარ დასძლია გრძნობა, რომელსაც მიუტევებლად თვლიდა:—...Hanna S.![1]

მე მას მივაჩერდი. გაიცინა. ხელოვნური, მოჩვენებითი სიცილით, მონადირის მოზეიმე სიცილით, რომელმაც, როგორც იქნა, დაიჭირა ნადირი.

მან პირადობის მოწმობა აიღო მაგიდიდან და სახეში ჩამჩარა.

—Falsch, naturlich. verbrechen gegen die Besatzungsbehörden![2]

მერე საბუთი მაგიდაზე დააგდო, არალეგალური „დე ვაარხეიდის“ შეკრულა აიღო და ჩემკენ გამოსწია.

—Illegale Zeitungen. Verbreitung von Feindespropaganda... Findeshilfe, kurzum[3].

მან გაზეთების ფურცლები გადადო და რევოლვერს შეხედა. მერე ისევ გაიცინა, თან ცდილობდა ეს გამოსვლოდა დახვეწილად, ეშმაკურად, მეფისტოფელურად.

—Und zum schhuss: blwaffneter Terrorismus. Da braucht man nichts hinzuzufügon. Was?[4]

უხმოდ ვიდექი. მან ისევ გაიცინა:

---

1 აი თურმე როგორ გამოიყურებით... ხანა ს. (გერმ.).

2 ყალბია, რა თქმა უნდა. დანაშაული ოკუპანტთა მთავრობის წინააღმდეგ. (გერმ.).

3 არალეგალური გაზეთები. მტრის პროპაგანდის გავრცელება... მოკლედ, მტრისთვის დახმარების გაწევა.

4 და ბოლოს შეიარაღებული ტერორი. ამისთვის არაფრის დამატება აღარაა საჭირო. ხომ? (გერმ.).

—Natürlich schweigen Sie. Wollen Sie die se Fakten etwa verhaien?[1]

მან მაჩვენა რევოლვერი, გაზეთი, პირადობის მოწმობა.

ხმას არ ვიღებდი. ოფიცერმა მხრები აიჩეჩა. მერე თავისი მაგიდის უჯრა გააღო. იქიდან დაბეჭდილი ფურცელი ამოიღო. მაშინვე ვიცანი იგი: პოლიციის უწყებანი, სადაც მოთავსებული იყო ჩემი სურათი და მოწოდება ყველასადმი — რამდენადაც შეიძლებოდა, მალე გადაეცათ ჩემი თავი ოკუპანტთა მთავრობისათვის, უმჯობესი იქნებოდა ცოცხლად. მან გადააბრუნა ფურცელი ისე, რომ მე დამენახა, რა იყო იქ, და ფანქრის წვრილი წვერით მაჩვენა ჩემი ფოტოსურათი.

—Das sind sie... Oder nicht?[2]

ხმას არ ვიღებდი.

—Wir wissen alies,—თქვა მან ბოლოს თითქმის დაუდეკრად.—Sie können ruhig alles gestehen...[3]

მან ისევ ღვარძლიანად გაიღიმა, უპირატესობის გამომეტყველებით:

—Hier irren wir uns nie, Hier entwisch uns keiner.[4]

არაფერი მითქვამს. მან თავი ასწია და მორიგეს ანიშნა.

—Frau Wemeldinge hierher...[5]—განკარგულება გასცა მან.

მორიგე გავიდა. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდა იგი გვერდით სადგომში. და ვიღაცასთან ერთად დაბრუნდა. ჩემდა უნებურად შევხედე, ვინ მოიყვანა მან და დავინახე მყვირალა ტანისამოსში ჩაცმული, მეტისმეტად შეღებილი ქალი. იგი მაშინვე მეცნაურა. თუმცა ვერ მივხვდი, რა გარემოებაში მყავდა იგი ნანახი. მეხსიერება დავძაბე. ჩემი საცოდავი, ნაწამები მეხსიერება, რომელშიც ბევრი თეთრი ლაქა იყო!

—Sehen sie die Dame an!—თქვა ოფიცერმა ღაღანით.—Damit sie sich Ihre Fratze besehen kann!..[6]

---

1 რა თქმა უნდა, გაჩუმებული ხართ... თქვენ ეს ფაქტებიც გინდათ უარყოთ? (გერმ.).

2 ეს თქვენ ხართ... თუ არა? (გერმ.).

3 ჩვენ ყველაფერი ვიცით, შეგიძლიათ მშვიდად აღიაროთ ყველაფერი... (გერმ.).

4 ჩვენ აქ არასოდეს არ ვცდებით. აქ ჩვენ ვერავინ დაგვემალება... (გერმ.).

5 მოიყვანეთ ფრაუ ვემელდინგე... (გერმ.).

6 შეხედეთ ამ ქალბატონს... რომ მას თქვენი ფიზიონომიის დანახვა შეეძლოს (გერმ.).

მერე ისევ მიბრუნდა ქალის მხარეს და სრულიად სხვა ტონით, ფარისეველურად, მაამებლური, პრუსიული თავაზიანობით ჰკითხა:

—Na, Frau Wemeldinge... was ist Ihr Eindruch?[1]

— ის არის! — თქვა ქალმა. დამადანაშაულებელი მოძრაობით მან ჩემკენ გამოიშვირა თეთრი, ოდნავ მოცახცახე ხელი. — მაშინვე ვიცანი იგი! ეს ისაა და კიდევ ორი გომბიო... მათ გამაჩერეს, გზა გადამიღობეს ველოსიპედებით... პირდაპირ სამარცხვინოა, ვუთხარი მათ, რომ მკვლელი არ დაიჭირეს-მეთქი... ისე მომაჩვენეს თავი, თითქოს არაფერი გაეგებოდათ...

—Bitte,—უთხრა ოფიცერმა.—Dies Mädel war also betätig beim Attentat auf den Scharführer Cbbe Schaaf?[2]

მან სიტყვა „სხააფ" გამოთქვა, როგორც გერმანული სიტყვა „Schaf".[3]

— იმ დროს ეს იქ იყო თუ არა? —აკივლდა ქალი. — მოწყალეო ღმერთო!.. ეს ხომ ყველაზე თავზეხელაღებულია მთელ ბანდაში.

ქალს მივაშტერდი ობე სხააფის ხასას. მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე, მანაც ასევე, ერთხელ მნახა; მაშინ მას ცეცხლისფერი ჭრელი ხალათი ეცვა, მე კი — ლაბადა. მაგრამ თმა მაშინ შავად მქონდა შეღებილი. მე მხრები ავიჩეჩე და ზურგი შევაქციე მას, ის კი კვლავ განაგრძობდა ყვირილს.

— ზურგს ნუ მაქცევ, მკვლელო! კარგად მახსოვს, რასაც ამბობდი! ყოველ შემთხვევაში, თანამონაწილე იყავი!..

ოფიცერმა ხელი ასწია და შეაჩერა წყევლა-კრულვის ნიაღვარი, რომელიც ქალს უნდა გადმოეფრქვია.

—Sie haben das Mädel von der Photographie erkannt, nich wahr?[4]—თქვა მან, თან პოლიციის გაზეთი აჩვენა.

— მაშინვე!..—— დაიყვირა მან. — მაშინ მან მითხრა, შენს მაგივრად პოლიციაში დავრეკავო.

ჩუმად გამეცინა. ზურგი შევაქციე, მან ვერ მიცნო. ძალიან კარგად მახსოვდა, რომ ტელეფონით დარეკვაზე ანი ლაპარაკობდა და არა მე. ოფიცერი უცებ შემობრუნდა ჩემკენ.

---

1 აბა, ფრაუ ვემელდინგე, როგორია თქვენი შთაბეჭდილება? (გერმ.).

2 გეთაყვა... ეს იგი, ეს ქალიშვილი ერია შარფიურერ ობე სხააფზე მოწყობილ თავდასხმაში? (გერმ.).

3 ცხვარი (გერმ.).

4 თქვენ ქალიშვილი სურათით იცანით, ხომ მართალია? (გერმ.).

—Warum lachen Sie?[1]

პასუხი არ გამიცია.

იგი ისევ მიუბრუნდა ფრაუ ვემელდინგეს, მადლობა უთხრა და ვიღაცას ანიშნა, გაიყვანეთო. მერე ადგა და გვერდით ჩამიარა, თავისი ოთახის მიმართულებით. კარები გააღო და ჩემ უკან მისი ხმა გავიგონე:

—Bitte, bitte sehr... liebe, verehrte Frau Cheval...[2]

მთელი არსებით დავიძაბე, როცა ეს გვარი გავიგონე. წინ დავიწყე ყურება მაგიდის ფეხებს შორის, სადაც გაცვეთილი პატარა ხალიჩა იდო; ალბათ, ოფიცერს ჩვეად ჰქონდა მასზე ფეხის დადგმა. შემომესმა მოკლე ნაბიჯის ხმა. ფრანგული სუნამოს სუნი მეცა. მთლად გავეხვიე მასში, ცხვირის წვერი ამეწვა, კინაღამ დავაცემინე. თვალი მაგრად დავხუჭე, რომ თავი შემეკავებინა. ისევ გავახილე თვალი და დავინახე: ჩემ გვერდით მადამ შევალი იდგა, მაგრამ მას სხვა ბეწვის პალტო ეცვა და სხვა ბეწვის ქუდი ეხურა. პირბადე გადაეწია. სახე თოჯინასავით მრგვალი ჰქონდა. უმეტყველო, თვალები გადმოკარკლული, თხელი ტუჩები. მის უკან ოფიცერი იდგა. მან, მგონი, პირადად მოიყვანა იგი ჩემამდე. მის ზურგს უკან მდგომმა რამდენიმეჯერ უცნაურად მოწიწებით დაუკრა თავი. ქალმა თავისი თოჯინასნაირი წითელი პირით გაუღიმა მას და თვალდახრილი იდგა, სანამ ოფიცერი მაგიდას არ მიუჯდა.

მან ხელების თითები ერთმანეთზე გადააჭდო და რბილად თქვა:

—Ihre Aussage, liebe Frau Shevall[3]

მადამ შევალმა შემომხედა. მხოლოდ ახლა მიიღო მისმა სახემ რაღაც გამომეტყველება: ტუჩებზე აესახა დამცინავი, შურისმაძიებლური ღიმილი, წარბების რკალები ერთმანეთს შეუერთდა, თვალები ჩაუმუქდა. ამან მისცა ადამიანური, ამავე დროს არაადამიანური შესახედაობა; ყოველ შემთხვევაში, აღარაფერი შერჩა თოჯინისმაგვარი. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად უშვებდა სიტყვებს თავისი შეღებილი ტუჩებიდან.

—Das ist Sie. Ohne Zweifel. Hab sie sofort wiedererkannt.

---

1 რატომ იცინით? (გერმ.).

2 გეთაყვათ, გეთაყვათ... ძვირფასო, პატივცემულო ფრაუ შევალ... (გერმ.).

3 თქვენი ჩვენება, ძვირფასო ფრაუ შევალ! (გერმ.).

Würde Sie und die zwei andern überall und sofort wiedererkannen. Hat wenigstens drei, vier Mai auf mich geschossen...[1]

იგი გაიმართა, თვალები ბრაზისა და ზიზღისგან უელავდა:

—Ich lebe noch!..[2]

მან შემომხედა, თითქოს ახლა-კი უნდა მეთქვა რამე. მე ზურგი შევაქციე და უხმოდ ვიდექი.

—Na, Hanna S.?.—მკითხა ოფიცერმა; იგი ისევ რბილი ტონით, მაგრამ უკვე ირონიით ლაპარაკობდა:—Haben Sie nichts zu erklären? Zu verneinen vielleicht?[3]

პასუხი არ გავეცი. მან ამოიოხრა, ადგა და ისევ მივიდა მადამ შევალთან. არ ვიცი, რას ელაპარაკებოდა მას. მერე ოფიცერმა თვითონ, მე ეს მესმოდა, მიაცილა იგი კარებამდე. უკან უფრო ჩქარი ნაბიჯით შემობრუნდა. თავის ადგილზე დაჯდა. აშკარად განერვიულებული ჩანდა. მაგიდაზე დააკაკუნა ფანქრით და წარმოთქვა:

—Der Polizei—Inspektor hierher![4]

მე ისევ ცნობისმოყვარეობით მივიხედე, ვიდრე გავიაზრებდი ამას. მოვიდა და ჩემ გვერდით დადგა მაღალი, ღვარძლიანი შესახედაობის კაცი. პოლიციის ინსპექტორი. სწორედ ის ინსპექტორი, რომელსაც მოსაწყენი, გესლიანი, ორაზროვანი სიტყვების ლაპარაკი უყვარდა, და რომელმაც, ერთ დროს ანი, ტინკა და მე „შავ შაშვებში“ მიგვიყვანა. ამჯერად მის სახეს ირონიული ღიმილი არ ეტყობოდა. მისი სახე არაფერს არ გამოხატავდა, არც კარგს, არც ცუდს. ერთხელ კიდევ უცებ შევავლე მას თვალი. გული აჩქარებულად მიცემდა...

—Herr Inspektor... Haben Sie die Verhaftete jemals gesehen?[5]

—Niemals[6],—უპასუხა ინსპექტორმა.

ოფიცერმა მოუთმენლად დააკაკუნა ფანქარი მაგიდაზე.

—Bitte. Sie haben sie kaum angesehen. Sehen Sie sich das Mädchen sehr genau an. Strengen Sie Ihr Gedächtnis...[7]

---

1 ის არის. უეჭველად. მაშინვე ვიცანი. ყველგან და ყოველთვის შევიცნობდი მას და კიდევ ორ სხვას... მან სამ-ოთხჯერ მაინც მესროლა... (გერმ.).

2 მე ისევ ცოცხალი ვარ!... (გერმ.).

3 არა, ხანა ს.? არაფერი გაქვთ სათქმელი? ან, იქნებ, უარს იტყვით? (გერ.).

4 პოლიციის ინსპექტორი მოვიდეს! (გერმ.).

5 ბატონო ინსპექტორო... როდისმე გინახავთ თუ არა ეს პატიმარი? (გერმ.)

6 არასოდეს (გერმ.).

7 გეთაყვათ. თქვენ არც-კი შეგიხედავთ მისთვის. დააკვიდრით ქალიშვილს უფრო კარგად. დაძაბეთ მეხსიერება... (გერმ.).

ინსპექტორმა გულგრილად შემომხედა. მისი სამხედრო მუნდირის ლურჯი საყელოს ზემოთ ნელა მოძრაობდა ყანყრატო.

—Na?.. Was sagt Ihr Gedächtnis[1]—ჩაერია ოფიცერი.

ინსპექტორი მხედრულად მიბრუნდა მისკენ.

—Tur mit leid, Herr Oberscharführer, Hab sie neimals gesehen.[2]

ოფიცერი კიდევ ერთხელ დაიხარა მაგიდისკენ.

—Sie wissen das bestimmt?[3]

—Bestimmt,[4]—უპასუხა ინსექტორმა.

ოფიცერი ცოტა ხანს იჯდა ტუჩებმოკუმული. აშკარად ჩანდა, რომ ძალიან უკმაყოფილო იყო. მერე თავი ასწია.

— Dann danke ich Ihnen, Herr inspektor... Sie können gehen.[5]

ინსპექტორმა ქუდთან ხელი მიიტანა. გამოემშვიდობა. ოფიცერმა დაიძახა „ჰაილ ჰიტლერ". დაიცადა, ვიდრე ინსპექტორი გავიდოდა ოთახიდან, მერე ადგა და ღაღანითა და დამრიგებლური ტონით მითხრა:

—Der Inspektor hat Sie nicht wiedererkannt, wail Sie jetzt weider Ihre rote Haare haben. Aber die Damen haben Sie sofort erkannt. Sie wissen wahrscheinlich selbst, dass die Frauen über ein viel ausgeprägteres Beobachtungsorgan verfügen als Männer. Es fällt ihnen arstaunlich leicht Personen sebbst nach Langjähriger Frist Ohne Zögen zu identifizieren.[6]

პასუხი არ გამიცია. მაგრამ ამ სასაცილო მტკიცების გაგონებაზე გავიღიმე მშვიდად, დამცინავად, თითქოს აქ არაფერიაო. ჩემმა ღიმილმა იგი გააცოფა. ხელი ავწიე სახის დასაცავად, რადგანაც ძალიან ახლოს მოვიდა ჩემთან.

—Du bist die Hanna S.;—თქვა მან ღაღანით.—Alle deine

---

1 აბა? რას გიკარნახებთ მეხსიერება? (გერმ.).

2 ვწუხვარ, ბატონო ობერშარფიურერ. არასოდეს არ მინახავს იგი (გერმ.).

3 დანამდვილებით იცით? (გერმ.).

2 დანამდვილებით (გერმ.).

5 მაშ მადლობელი ვარ, ბატონო ინსპექტორო. შეგიძლიათ წახვიდეთ (გერმ.).

6 ინსპექტორმა იმიტომ ვერ გიცნოთ, რომ თქვენ ახლა ისევ წითური თმები გაქვთ. მაგრამ ქალებმა მაშინვე შეგიცნეს. თქვენ თვითონ, ალბათ, იცით, რომ ქალებს უფრო მეტი დაკვირვების უნარი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მათ გასაოცრად იოლად შეუძლიათ ადამიანის ცნობა, რამდენიმე წლის მერეც კი (გერმ.).

schuftigkeiten sind uns ganz genau bekannt! Da hilft kein Schweigen! Wir wissen alles! Da dämliches holländisches Flintenweib! Du gehörts nicht unter anständige Laute! Du glörst zu den Tigerinnen von Stalingrad!..[1]

შეეხედე, წელში გავსწორდი და ვუთხარი:

— ეს ძალიან დიდი ქათინაურია.

იგი მომაშტერდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ხმა ამოვიღე. ჩემ უკან რაღაც მოძრაობის ხმა მომესმა, და ვიგრძენი რომ ჩემი ჯალათის აუგუსტას ხელი ახლა კი მომხვდებოდა მაგრად. და გავიმეორე:

— წინააღმდეგობის ქალიშვილისათვის ამაზე უკეთესი ქათინაურის მოფიქრება ძნელია.

რამდენიმე წუთს ნახევრად პირდაღებული ოფიცერი თვალდაჭყეტილი მიყურებდა. არ ვიცოდი, გამიგო თუ არა მან. იქნებ, მშვენივრად იცოდა ჰოლანდიური ენა. მაგრამ, მისი სახის სულელური გამომეტყველების მიხედვით, პირიქით შეიძლებოდა ეფიქრა კაცს. მოულოდნელად მან ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, გაისწორა მუნდირი და ღაღანით უბრძანა აუგუსტას:

—Abführen!..[2]

ᲨᲘᲨᲘ

ამ წუთიდან საშინელი შიში ამეკვიატა. იგი ჩემი სულის როშელიმე კუნჭულში კი არ ჩაისახა, — ისევ საშინელი ძალით დაეუფლა მთელ ჩემს არსებას, თავიდან ფეხამდე. შიშს ვგრძნობდი ჭამის დროს და წამდაუწუმ იქით გადავდებდი ხოლმე ალუმინის კოვზს; შიშს ვგრძნობდი, როცა საკანში აქეთ-იქეთ დავდიოდი და უცებ ვჩერდებოდი, თითქოს რაღაც მიჭერდა ყელში; ლეიბზე ვიწექი და დაძინების მეშინოდა. შიში ძილშიც არ მეშვებოდა .ისე ვიძინებდი, თითქოს შავ ორმოში ვვარდებოდი. როცა ვიღვიძებდი,

---

1 შენ — ის ხანა ს. ხარ!.. კარგად ვიცით ყველა შენი უნამუსო საქმიანობა! სიჩუმე ვერაფერს გიშველის. ყველაფერი ვიცით. ოჰ, შე წყეულო, კაბიანო ჯარისკაცო! შენი ადგილი არ არის პატიოსან ადამიანთა შორის. შენი ადგილი სტალინგრადის ძუ ვეფხვებთანაა! (გერმ.).

2 გაიყვანეთ (გერმ.).

ჩემთან ერთად შიშიც იღვიძებდა. ჩემში თითქოს მეორე ხანა ცხოვრობდა.

მტრებმა იცოდნენ, ვინც ვიყავი. მაგრამ ეს კი არ იყო ყველაზე საშინელი. ადრე თუ გვიან ისინი მაინც გაიგებდნენ ამას. ისინი, ვისგანაც შველას ველოდი, არაფრით ამეღავნებდნენ თავიანთ თავს. კედლებიდან კალენდარი ჩამოვფხაჭნე. დადგა აპრილი.

მტერმა თითქოს თავი დამანება. მაგრამ ვიცოდი მშვიდად არ დამტოვებდნენ. ისინი გაცხოველებით მოქმედებდნენ, ცდილობდნენ თავიანთ ობობის ქსელში საბოლოოდ გავეხვიეთ.

ვიჯექი გისოსებს იქით და გარესამყაროდან არავინ მომაწვდინა ხმა, ნიშანი, არავინ გამამხნევა. ერთადერთი, ვინც ნამდვილად დამეხმარა, ეს იყო ჰარლემის პოლიციის არასასიამოვნო ინსპექტორი, რომელსაც მტრად ეთვლიდი, ადამიანად, რომელიც ორი ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ჩანდა, მისი გული, ყოველ შემთხვევაში, ჩემ ბანაკს ეკუთვნოდა — სამშობლოს.

პირველ ხანებში, მას შემდეგ, როცა მასთან პირში წამაყენეს და დაგვკითხეს, მე ვფიქრობდი: აი, ახლა ინსპექტორი ბრუნდება თავის მეგობრებთან, უამბობს, სად შემხვდა-მეთქი. ამ ამბავს ფელზენში გაიგებენ. ფელზენიდან ეს ამბავი ჩემს ამხანაგებამდე მიაღწევს. თუ მათ აქამდე არაფერი იცოდნენ, ახლა უკვე ყველაფერი იციან. ახლა ისინი ყველაფერს გააკეთებენ-მეთქი...

მომდევნო დღეებში შიშმა ეს იოტის ოდენა იმედიც მომისპო. სრულიად მარტო დავრჩი, მხოლოდ შიში არ მცილდებოდა.

გარეთა სამწყვდეკში წამიყვანეს. შევნიშნე, რომ ქვებსა და გისოსის რკინის წკნელებს შორის ცემენტი დასველებულიყო და იქიდან თბილი, ნოტიო სუნი შემოდიოდა. ესე იგი, თოვლი აღარაა. მიწა გალხვა. წვიმით გადაირეცხა და დამდნარი თოვლისა და გაზაფხულის რუების სუნით გაიჟღინთა.

ზამთარი მართლა გავიდა.

მხოლოდ ამის გაფიქრებაც კი სიხარულით ამავსებდა, ქუჩაში რომ შემძლებოდა გასვლა.

შიში წამლავდა გაზაფხულის სურნელებასაც კი, რომელსაც ვსუნთქავდი. გაზაფხული მოვიდა თავისი სინათლითა და ციხე ცისფერში გახვია. საკანიც კი, ასეთი ბნელი და ჭუჭყიან-ნაცრისფერი, უცებ სინათლის ათინათით გაივსო. ისინი ციმციმებდნენ და ფერს იცვლიდნენ, მიმოფანტულები და მოალერსენი, თითქოს ზეცა თვალს მიპაჭუნებდა. თითქოს მესმოდა მზის სხივების მორიდებული ტიტინი; ამ სხივებში დავინახე ფანჯრის მინაზე დადებული სქელი მტვერი, მის იქით კი — წაბლის ტოტების მოხაზულობა.

შიში ჩამჩურჩულებდა: სრულებით არ არის საჭირო. კიდევაც თუ ხდება სამყაროში რაღაც ცვლილებები, ეს არაფერს ნიშნავს, ეს შენ არ გეხება,

მე ვფიქრობდი: „არავინ არ არის. არავინ, არავინ...“

ამ სიტყვებს ვიმეორებდი მანამ, სანამ მათ ყოველგვარი აზრი დაკარგეს. არავინ არ იყო ჩემთან, არავინ მოდიოდა ჩემთან, მხოლოდ ერთი ზედამხედველი, ადამიანი-ავტომატი, არარაობა, ნული, მას არ ეყო სიმამაცე, რომ ჩემთვის ერთი სიტყვა ეპასუხნა, როცა ვკითხე: „როგორ არის საქმეები-მეთქი?“

გაზაფხულის ცას შევაქცერდი. გარეთ ქარი გრიალებდა; მე კი აზრადაც არ მომივიდა, რომ ასეთი ამინდი კარგია სამხედრო მოქმედებისათვის.

არ ვიცოდი, ასე დიდხანს რატომ არ მაწუხებდნენ. ეს ფაქტიც კი მიძლიერებდა შიშის გრძნობას. კედელზე კალენდარი დავკაწრე. ცხრა, ათი, თერთმეტი აპრილი... ხანდახან ვფიქრობდი: რაღაც საშინელება მოხდა. რაღაც, რაც ომის დამთავრებას აფერხებდა.

იქნებ, გერმანელებმა და დასავლეთის მოკავშირეებმა მაინც დადეს სეპარატიული ზავი... ნუთუ გერმანელებმა მთელი არმია მოხსნეს დასავლეთიდან და რუსებს ბერლინისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრეს? იქნებ, იქნებ... უცნაური ფანტაზიები იბადებოდნენ ჩემს თავში; მეჩვენებოდა, რომ ჩემ ირგვლივ მყოფი საგნები მეჯღანებოდნენ, და დამცინავი თვალებით მიყურებდნენ, მათი ბზინვა მელანდებოდა სიბნელეში.

აუგუსტა და მორიგე მოვიდნენ ჩემს წასაყვანად. სრულიად მოულოდნელად, როგორც ყოველთვის. შევნიშნე, რომ შიშმა ცუდი სამსახური გამიწია. მივდიოდი რკინის დერეფნების გასწვრივ, შავი რკინით შეჭედილ კარებთან გავლით, მაგრამ ადრინდელი თვითრწმენა აღარ მქონდა. ახალ დაკითხვას მოველოდი, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა ეკითხათ ჩემთვის, რას მეტყოდნენ.

აუგუსტამ მწვანე ოთახში შემაგდო ხელის კვრით. ოფიცერი თავის მაგიდასთან იჯდა. ჩემთვის არც შემოუხედავს. ორიოდე წუთის შემდეგ, რაღაც გაურკვევლად დამიქნია ხელი. როგორც ჩანდა, აუგუსტა მიხვდა ამ მოძრაობას.

—An die wand,[1] –მიბრძანა მან.

კედელთან მივედი და მისგან ზურგშექცევით დავდექი. იგი მაგრად მეცა ხელში, შემაბრუნა და აქოშინებულმა მითხრა:

---

[1] კედელთან (გერმ.).

—Weg mit der Schnauze, du![1]

ვიდექი ოთახისაკენ ზურგშექცეული, და არ ვიცოდი, რა მოხდებოდა.

იმის მიხედვით, რომ გარკვევით მესმოდა აუგუსტას უშველებელი მკერდის სუნთქვა, ვგრძნობდი, რომ იგი იდგა ან იჯდა ჩემთან ძალიან ახლოს. მესმოდა, როგორ წერდა ოფიცერი და მისი კალამი ჩხაპნიდა ქაღალდს. რაღაც უცნაური, მქრქალი ოქროსფერი ათინათი გაცურდა გახუნებული შპალერის გასწვრივ; სინათლის სხივთან ბუზმა გაიფრინა. თვალი – მივადევნე. შიშმა უძრავად გააქვავა ჩემი სხეული.

დრო გადიოდა, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. უცებ ქუჩიდან ავტომანქანის ხმაური გავიგონე. რაღაც დაიკეტა ხმამაღალი ჯახუნით. გაისმა გაურკვეველი ყრუ ხმები, და თითქოს თითის წვერებზე შემდგარი ხმები ედებოდა მთელ შენობას. აშკარად იგრძნობოდა ღელვა, რომელიც თითქოს მზად იყო გარკვეული სახე მიეღო. ხმაური აბლოვდებოდა და დაგვირგვინდა შეძახებით.

—Achtung!..[2]

სკამის ფეხებმა დაიჭრიალეს; მივხვდი, რომ ოფიცერი ადგა და კარისაკენ წავიდა. მომეჩვენა, რომ აუგუსტას ქშენა და ფშუტუნი გაბშირდა.

ვიღაცამ კარი გააღო. ორი მამაკაცის ხმა — ერთი ოფიცრის, მეორე უცნობი — თითქმის ერთდროულად გაისმა, — ხმამაღალი მისალმება, რომელსაც ჩემ უკან მდგომი აუგუსტაც შეუერთდა:—Heil Hitler!

კარები მაგრად მიიკეტა. ვიღაც შემოვიდა ოთახში და აუჩქარებლად წარმოვიდა ჩემსკენ. ჩემს უკან გაჩნდა. და მეტი არაფერი. როგორც ჩანდა, კაცი მე მათვალიერებდა. კბილები მაგრად დავაჭირე ერთმანეთს. მალე გვერდში ჯოხისა თუ მათრახის მაუბუქი შეხება ვიგრძენი.

—Drehen Sie sich um,[3]—წარმოთქვა ცივმა, აუღელვებელმა ხმამ.

მოვბრუნდი: და შევხედე მაღალი თანამდებობის ესესელის წვრილ ყვითელ სახეს. მან ქუდი მოიხადა, მაგრამ მის საყელოზე

---

1 მიაბრუნე დინგი, შენ, ეი! (გერმ.).
2 ყურადღება! (გერმ.).
3 მობრუნდით (გერმ.).

შევნიშნე „მკვდარი თავის“ ვერცხლის ემბლემა .ასეთივე ემბლემა ჰქონდა მისი მუნდირის შავ ყოშებსაც. მარცხენა გულის ჯიბეზე — რაღაც მორთულობიანი რკინის ჯვარი. ხმალი და მუხის ფოთლები, გავიფიქრე მე, ბევრი ვერცხლის ორდენი და მედალი ამშვენებდა მის მკერდს ლავიწის ძვლიდან მუცლამდე. ჩექმები — რბილი ღია-ყავისფერი ტყავისგან შეკერილი, ისეთივე, როგორიც ქამარი და რევოლვერის ბუდე იყო. ისევ შევხედე სახეზე. იგი სადღაც მენახა. გულგრილად, მაგრამ ყურადღებით მიყურებდა. თვალები — მონაცრისფრო-მომწვანო, რაღაცნაირი მერყევი, თუმცა განუწყვეტლივ მათვალიერებდა შემფასებლის თვალით. ისეთივე მერყეობითა და დაბნეულობით გამოირჩეოდა მისი შინაგანი რაობა, თუმცა იგი დაჟინებით ცდილობდა ურყევი გამომეტყველება ჰქონოდა. როცა ამას მივხვდი, მომეჩვენა, რომ იგი დადაბლდა, მე კი მასზე მაღალი გავხდი.

—Das ist sie also,—თქვა ესესელმა. — Das Mädchen mit dem roten Haar[1].

—Jawohl, Herr Sturmbannführer[2]—დაუდასტურა ჩემმა ოფიცერმა ისეთი მზადყოფნითა და მონური მლიქვნელობით, რომ ჩემთვის ნათელი გახდა: ყვითელსახიანი კაცი, რომელსაც გამომცდელი თვალები ჰქონდა, ფაშისტური ბანდის ერთ-ერთი უფროსთაგანი იყო.

—Sieht aber ganz harmlos aus, — თქვა შტურმბანფიურერმა (წარმოდგენა არ მქონდა, რას ნიშნავდა ეს ტიტული). — Unglaublich.[3]

მან გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო და მონოკლი ამოიღო. მარჯვენა თვალის ფოსოში ჩაიდგა. მას გამხდარ, დახვეწილი ხელის თითზე ღია ფერის ოპალზე გამოსახული მკვდარი ემბლემიანი მასიური ბეჭედი ეკეთა. ესესელი კარგა ხანს მათვალიერებდა დაკვირვებით, თითქოს მონოკლი ეხმარებოდა ჩემი შინაგანი თვისებების გამოცნობაში. მერე ერთხელ კიდევ გაიმეორა:—Ungleublich.

ოფიცერმა ესესელს ხელის მოძრაობით ანიშნა, მაგიდასთან მისულიყო — ვერც ერთი ლაქია ვერ შესძლებდა ამის ასე გაკეთებას — და -უთხრა:

---

1 მაშ, ეს არის.. წითურთმიანი ქალიშვილი (გერმ.).

2 დიახ, ბატონო შტურმბანფიურერ...

3 მაგრამ, იგი ძალიან უწყინარი ჩანს.. წარმოუდგენელია (გერმ.).

—Wenn Herr Sturmbannführer belieben sich setzen zu wollen?[1]

შტურმბანფიუერერმა ხელის ჩაქნევით განაცხადა უარი. მან დაბრიცა პირი, რომლის ზემოთაც ულვაშის მაგვარი ამოსელოდა, ისე, რომ ღიმილის მსგავსი რაღაც გამოუვიდა, შემომხედა და თქვა:

—Danke. Ich stehe gut. den Damen gegenüber soll man sich galant beneshmen. Nicht wahr, Fräulain S.? Besonders wenn sie so grosse Tiere sind...[2]

შევნიშნე, რომ მან დოინჯი შემოიყარა და მართლაც ეჭირა ხელში მათრახი, თუმცა იგი, რა თქმა უნდა, მანქანით მოვიდა. იგი ჩემკენ დაიხარა და თქვა:

—Ich irre mich doch nicht? Sie haben, sozusagen, die ganze illegale kommunistische Partei in der Tasche?[3]

მე არაფერი ვუთხარი და მან უხმოდ გაიცინა.

—Ach ja...' Ich vergas. Sie sind grosse Schweigerin, Die bloss einmal den Mund geöffnet hat. Als man Innen sagte, Sie sein den Tigerweiber von stalingrad ähnlich...[4]

მან ისევ ჩაიქნია ხელი.

—Alles Wurst, alles Romantismus... Wir sind nüchterne Laute. Wie stehen zwischen Leben und Tod, Fräulein S. Wie Näre es, wenn sie die Tasche umkerten und wir auf der Stelle, ganz einfach, die Namen Ihrer kommunistischen Kameraden aufzählten, Samt den stellen, wo man sie finden kann?[5]

პასუხი არ გამიცია.

— ...Damit man Ihnen den Weg zum Leben offen hält?[6]... —

---

1 დაჯდომას ხომ არ ინებებს ბატონი შტურმბანფიუერერი? (გერმ.)

2 გმადლობთ. ისედაც კარგად ვგრძნობ თავს. ქალებთან თავი თავაზიანად უნდა გეჭიროს. ხომ სწორია, ქალიშვილო ს.? განსაკუთრებით თუ ისინი ასეთი საყურადღებო დიდი ვინმეები არიან (გერმ.).

3 ხომ არ ვცდები? მთელი არალეგალური კომუნისტური პარტია თქვენს, ასე ვთქვათ, ჯიბეშია? (გერმ.).

4 აჰ, მართლა... დამავიწყდა. თქვენ უდიდესი მუნჯი ხართ. და მხოლოდ ერთხელ ამოიღეთ ხმა, როცა გითხრეს, სტალინგრადის ძუ ვეფხვებს გავხართო... (გერმ.).

5 ეს ყველაფერი სისულელე, რომანტიზმია... ჩვენ ფხიზელი ხალხი ვართ. თქვენი სიკვდილ-სიცოცხლე ჩვენს ხელთაა, ქალიშვილო ს... რა მოხდება, რომ ყველაფერი გადმოალაგოთ და უბრალოდ ჩამომითვალოთ თქვენი კომუნისტი ამხანაგები, აგრეთვე გამაგებინოთ, სად შეიძლება მათი პოვნა? (გერმ.).

6 რომ ამითი სიცოცხლისაკენ გზა გაიხსნათ?... (გერმ.).

გამოტეხვა უნდოდა ესესელს. მისი ხმა ისევ გულგრილად ჟღერდა. თითქოს იგი რაღაც გარდუვალ, მშრალ, გაცვეთილ ჭეშმარიტებებს ადასტურებდა. ეს ხმა უფრო მეტ შიშს მინერგავდა, ვიდრე ცემა, მუქარა და ოფიცრის სულელური შეკითხვები.

პასუხს არ ვაძლევდი. შტურმბანფიურერმა გამხდარი, თეთრი, ბეჭდიანი ხელი ოფიცრისკენ გაიწოდა და მშრალად წარმოთქვა:

— Die Dokumente[1].

მზვერავმა სწრაფად მიაწოდა საქაღალდე. შტურმბანფიურერმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ქაღალდების გადაფურცვლას შეუდგა.

— Eine gehörige Liste, — დაიწყო მან. — Sabotage. Mord und Mordversuche. Grossverbrechen gegen dasdeutsche Reich, Feindeshilfe... — მან გაიცინა და შემომხედა. — Fast grossartig, wennes nicht so ganz durchtrieben und kriminell wäre... Sagen Sie, wie kamen sie eigentlich dazu, eine bolschewitische Agentin zu werden? Sie waren doch früher studentin. Anständig. Selbst sozial — demokratisch!..[2]

იგი მონოკლით შემომყურებდა. მის ყვითელ გამხდარ სახეს ვუყურებდი. და ნელა, ყველა სიტყვის ხაზგასმით, ვთქვი:

— მე ჩემს სამშობლოს ვიცავდი გერმანული ფაშიზმისაგან. უფრო სწორად — პოლიტიკური ბანდიტიზმისგან.

ესესელმა თვალის კუნთების სწრაფი მოძრაობით გადმოაგდო მონოკლი და განაცხადა:

— Ein Mirakel. Das Fräulein S. hat aufs neue gesprochen. Und so wunderschön. Wie wennes gedrucht Stände.[3]

ლაპარაკი განვაგრძე, თითქოს მართლა მინდოდა მისთვის ამეხსნა, რა მამოძრავებდა:

— პოლიტიკური ბანდიტიზმი მარცხდება ყველგან და ყოველთვის. ჰიტლერული გერმანიისათვის სახრჩობელა გამზადებულია.

---

1 საბუთები (გერმ.).

2 კარგა დიდი სია... საბოტაჟი, მკვლელობები და მკვლელობისათვის თავდასხმები. უდიდესი დანაშაულები გერმანიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მტრებისთვის დახმარების აღმოჩენა... თითქმის გრანდიოზულია, ასე ვერაგული და დანაშაულებრივი რომ არ იყოს... მითხარით, როგორ მიხვედით იქამდე, რომ ბოლშევიკების აგენტი გამხდარიყავით? თქვენ ხომ წინათ სტუდენტი იყავით. წესიერი. სოციალ-დემოკრატიც!.. (გერმ.) .

3 ეს სასწაულია. ქალიშვილი ს. ისევ ალაპარაკდა. და ასე მშვენივრად. თითქოს დაბეჭდილს კითხულობდეს (გერმ.).

ბედნიერი ვარ, რომ ცოტა რაღაც გავაკეთე ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის დასაჩქარებლად.

შტურმბანფირურმა ისევ ჩაიდგა მონოკლი თვალის ფოსოში და ცოტახანს მიყურებდა, თუმცა ჩემთან ძალიან ახლოს იდგა და უმონოკლოდ გაცილებით უკეთ დამინახავდა:

—Sagen Sie mir etwas, was ich nicht weiss,—შემომთავაზა მან.—Damit wir zu vernünftigen Sachen kommen. wo sitz der allegale kommunistische Parteivorstand[1].

პასუხი არ გამიცია. მან მკითხა:

—Mit wem haben Sie zusammengearbeitet? Sagen Sie mir die Namen. Lass uns einen Kulhandel machen. Ganz grob und ohne umstände. Sie erzähben mir etwas, und ich lohne es Ihnen. Sie sind jung. Sie wollen leben. Also. Pücken wir heraus mit den Informationen[2].

გავიღიმე და შევნიშნე, რომ მის გამხმარ ყვითელ კანს ქვეშ უცებ წითელი, ფერმკრთალი ლაქა გაჩნდა.

— უარს არ ვამბობ, რომ ხანა ს. ვარ, — ვთქვი ბოლოს. —არც იმაზე ვიტყვი უარს, რასაც დანაშაულად მიყენებთ, იმიტომ, რომ ამას ვაკეთებდი. ამით ვამაყობ. მაგრამ, რაც მარტო მე არ მეხება, ვერავითარი ძალა ვერ გიშველით. მე და ჩემი ამხანაგები ხელს ვუწყობდით ნაციზმის დაცემის დაჩქარებას. ეს საკმარისია.

—Sagen Sie, wo die zwei Mädel zu finden sind, die mit Ihnen geschossen haben?[3]—მკითხა ესესელმა.

— გერმანია დღეს თუ ხვალ დაინგრევა, — ვუპასუხე მე. — იქნებ, წითელმა ჯარებმა ბერლინს ალყა შემოარტყეს კიდეც... ახლა ომი დიდხანს აღარ გაგრძელდება. იქნებ, ხვალაც მორჩეს ყველაფერი.

შევნიშნე, რომ მის სახეზე წითელი ლაქები დიდდებოდა. რამდენჯერმე დაირტყა მათრახი ღია-ყავისფერ ჩექმაზე.

---

1 მითხარით რამე ისეთი, რაც მე არ ვიცი... რომ რამე უფრო გონივრულზე შევძლოთ მოლაპარაკება. სად არის არალეგალური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა? (გერმ.).

2 ვისთან თანამშრომლობდით? დამისახელეთ გვარები. მოდით გაცვლა-გამოცვლითი ვაჭრობა მოვაწყოთ. სრულიად უხეშად და უცერემონიოდ. თქვენ რაღაცეები მიამბეთ, მე კი ამისათვის დაგაჯილდოებთ. თქვენ ახალგაზრდა ხართ. სიცოცხლე გწყურიათ. ამრიგად, გადმოალაგებთ ინფორმაციას? (გერმ.)

3 მითხარით, სად შეიძლება ორი ქალიშვილის ნახვა, რომლებიც თქვენთან ერთად ისროდნენ (გერმ.).

—Uebe vernunt,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა მან.—Schwindeln sie sich selbst keinen Heroismus vor. Sagen sie ganz ruhig. und unsentimental, was wir wissen wollen. Wir haben Haftbefehle, aber auch Entlassungsscheine[1].

— იქნებ, ჰიტლერული გერმანია კიდევ რამდენიმე დღე გამაგრდეს, — შევესიტყვე და ესესელთა უფროსის სახეზე წითელ ლაქებს შევხედე. — მისი დასასრული და გასამართლება გარდუვალია. მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები ვერ დამშვიდდებიან მანამ, სანამ უკანასკნელი ნაცისტიც არ მიიღებს სამართლიან სასჯელს.

—Meinen Sie?—მკითხა მან და თავის საუცხოო, ოქროს მაჯის საათს დახედა.—Es ist jetzt zwo Uhr vierundvierzing. Mein Angebot von Krapft brei Aussage, Protokoll und Untersehrift heute Nachnuttag. Und wenn Sie wollen—Ihre Freiheit.[2]

მე მხრები ავიჩეჩე.

— საჭირო არ არის მეტი ლაპარაკი, — ვუთხარი მე. — ყოველ შემთხვევაში, იმაზე, რასაც მე და ჩემი ამხანაგები ვაკეთებდით. მხოლოდ გერმანიაზე მინდა რაღაცის თქმა. თქვენი ქვეყანა მე არ მძულს. რა თქმა უნდა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

—Dreizehn Minuten,[3]—თქვა ესესელმა, ირიბად დახედა მაჯის საათის ბრჭყვიალა ციფერბლატს.

— თქვენ გეჩქარებათ, — შევნიშნე მე. — ეს გასაგებია. ისტორია გერეკებათ. მხოლოდ ნაცისტებს კი არა, არამედ მთელ გერმანელ ხალხს. იგი ახლა მიხვდება, რას ნიშნავს უდანაშაულო ხალხისთვის კბილით ყელის გამოღადვრა. იგი საკუთარი ბოროტმოქმედებების მსხვერპლი გახდა. მაგრამ წარმოიშობა ახალი გერმანია. იქ თქვენ არ იცხოვრებთ. ეს იქნება გერმანია, რომელიც ბოლოს მოუღებს სამხედრო და ყველა სხვა ფორმის ტირანიას. იმიტომ, რომ სანამ თუნდაც ერთი გერმანელი ივლის ქვეყანაზე ასეთი სამარცხვინო ტანისამოსით, გერმანია არ შეიძლება ბედნიერი იყოს, აგრეთვე მთელი ქვეყანაც.

მონოკლი ჩამოვარდა, მოხვდა რკინის ჯვარს და აწკარუნდა,

---

[1] ჭკუას მოუხმეთ... გმირის როლს ნუ თამაშობთ. სრულიად მშვიდად და უემოციოდ გვითხარით ყველაფერი, რისი გაგებაც გვინდა. ჩვენ გვაქვს ბრძანებები დაპატიმრებაზე, აგრეთვე მოწმობებიც განთავისუფლების შესახებ (გერმ..)

[2] თქვენ ასე ფიქრობთ? ახლა ორი საათი და ორმოცდაათხი წუთია, ჩემი წინადადება ძალაში რჩება საშამდე. ჩვენებები, ოქმი და ხელმოწერა დღესვე. და თუ მოისურვებთ, თქვენი განთავისუფლებაც (გერმ.).

[3] ოცდაათი წამი (გერმ.).

ესესის ჯარების შტურმბანფიურერის ფეხებთან დავარდა და დაიმსხვრა. წარმოუდგენელი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით შევნიშნე, რომ ავაზაკზე გავიმარჯვე. მისი ამპარტავნული სიმშვიდე, თავდაჭერილობა, მისი ფუჭი გულზვიადობა სიმულაცია იყო. ისინი ისევე დაიმსხვრნენ, როგორც მისი მონოკლი. წითელი ლაქები მის სახეზე ღვიოდნენ, იგი ცახცახებდა.

—Du Unterstehst dich, die SS-Uniform zu beleidigen!—დ ა-იყვირა ესესელმა. ხმა მკაცრი და გამკივანი გაუხდა, მაჩხუბარა დედაკაცივით.—Was das rote Gesindel sich nicht erleubt! wir kennen dich doch, du Aas! Brauchst dich nicht mehr zu zieren! Bist ja nichts anderes gewesen als eine...[1]

სიტყვა, რომელიც მან ბოლოს წარმოთქვა, მათრახივით მომხვდა.

შევძრწუნდი.

ჰუგო, გავიფიქრე მე. ესესელმა ეს მხოლოდ ჩემზე კი არა, ჰუგოზედაც თქვა. ესესელები საფლავში უტეხენ სახელს ჰუგოს, ისევე, როგორც ამასხარავებდნენ მაშინ, როცა ჰუგო სიკვდილის სარეცელზე იწვა; მათ იგი სხვად გაასაღეს, როცა მაჯაზე ბარათი ჩამოჰკიდეს წარწერით — „ინგლისელი მფრინავი". ნამდვილი ადამიანური და კეთილშობილური გრძნობა, რაც ადამიანის ბუნებას ახასიათებს, ნაცისტებმა ბიწიერ ინსტინქტამდე დაიყვანეს. ყოველგვარი ჭეშმარიტება მათი ინტერპრეტაციით სიყალბედ იქცევა.

სს-ის ჯარების შტურმბანფიურერის წინ ფეხის წვერებზე დავდექი და სახეში შევაფურთხე.

და ვიგრძენი, რომ შიში გაქრა.

ს ი ზ მ ა რ ი

აუგუსტა და ოფიცერი რიგრიგობით მცემდნენ. ისინი ერთმანეთს მიუგდებდნენ ჩემს თავს. როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე შეუდგებოდა საქმეს. მთლად მოვიკუნტე. ჩემივ თავს შევაფარე თა-

[1] შენ ბედავ სს-ის ჯარების ფორმას შეურაცხყოფა მიაყენო! და რის უფლებას არ აძლევს თავის თავს, ეს წითელი არამზადა! ჩვენ ხომ გიცნობთ შენ, ლეშო! რაღად გჭირდება თავის მოწონება! შენ მხოლოდ და მხოლოდ... იყავი.... (გერმ.).

ვი და ვფიქრობდი: გავიმარჯვე-მეთქი. მესმოდა, როგორ სტვენდა ბა-კანს მიგლეჯდა დარტყმა. უცებ რაღაც გასკდა, გატყდა და ცხელი სისხლი დაიღვარა. სახე ხელით დავიფარე. სახიდან ხელი მომაშორებინეს და ერთი წუთით დავინახე მწვანე აჩრდილის მსგავსი, ესესელების უფროსი. იგი ისევ იწმენდდა სახეს ცხვირსახოცით. მერე კიდევ ერთხელ დამარტყეს. იატაკზე ვიწექი და მეგონა, თითქოს ჩექმებიანი ჯარისკაცების მთელმა რაზმმა გადამიარა ზედ-მეთქი. ჩემი სხეულის ქერქში უფრო ღრმად შევიმალე. ტკივილი იქაც შემომყვა, შიგნით. მაგრამ, იგი თითქოს მხოლოდ თავისი ისრის ბოლოებით მჩხვლეტდა. სადღაც ჩემი სულის სიღრმეში იყო მიუდგომელი თავშესაფარი. მე გავიღიმე და გონება დავკარგე.

გონს მოვედი ლეიბზე, ჩემს საკანში.

გაოცებული, დარეტიანებული, ნაცემი ვიყავი და ერთიანად ვიწოდი. ყველაფერი გავიხსენე, რაც მოხდა. დამტვრეული ვიყავი, მაგრამ მაინც ურყევი დავრჩი. ნარიდან წამოვდექი. დასალევი წყლის ჯამში დავიბანე პირი. კოჭლობით გავიარე საკანში და ფანჯრიდან გავიხედე. წაბლის ტოტებს ძლიერი ქარი არხევდა. ისევ მეჩვენებოდა, რომ ვიღიმებოდი თუ სახეზე არ მეტყობოდა ღიმილი, იგი დამალული იყო ჩემში, სადღაც შიგნით და მისგან მთელ ჩემს სხეულს ეფინებოდა კმაყოფილების ტკბილი გრძნობა.

დაშავებულ ადგილებს ვისრესდი. ხელში თმა მეჭირა და თითებზე ვიხვევდი, ისე მეჭირა, რომ სხივი ხვდებოდა. მათ მუქი წითური ფერი დაჰკრავდა, რომელიც წითელი ხის ფერს მაგონებდა; იგი ისე თბილი და ცოცხალი იყო, რომ თვითონ მიკვირდა ამისი სისქე და ბზინვარება, თავი კი მისკდებოდა, და მთელი სხეული მეწვოდა უამრავი ანთებიანი დაბეჟილობით.

დღის ბოლოს ისევ წამიყვანეს. ამჯერად მხოლოდ ოფიცერი მომყვებოდა. ახალ ეგზეკუციას მოველოდი, მაგრამ ეს არ მომხდარა. ოფიცერმა პატარა გვერდით დერეფანში მიმიყვანა, ცარიელ სადგომში, სადაც ეკიდა მხოლოდ კალენდარი და დაფა, რომელზედაც გაკრული იყო, სს-ის ჯარებისათვის ხალხის მოგროვების განცხადება, მაგიდასთან სამოქალაქო ტანისამოსიანი შუახნის კაცი იჯდა. შესახედავად იგი სანოტარო კანტორის კლერკს გავდა.

— დაბრძანდით, — მითხრა მან.

გამიკვირდა, რომ იგი ჰოლანდიურად ლაპარაკობდა და თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო ნაცისტებთან. მან საქაღალდე მოსწია თავისკენ, მოძებნა, რაც სჭირდებოდა, და მკითხა:

— ხანა ს. ხართ?

ვუპასუხე, კი-მეთქი.

— კარგად მომიმზინეთ, — მითხრა მან. — და თუ რამეზე არ მეთანხმებით, შენიშვნა გააკეთეთ.

მან კითხვა დაიწყო. აქ იყო დაჯამებული ყველაფერი, რასაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ვაკეთებდი. ისევ გამაოცა იმან, რომ გერმანელებმა ძალიან ბევრი რამ იცოდნენ. იქიდან მოყოლებული, როცა მე ჰუგოსთან ერთად დავიწყე ბრძოლა.

უფრო მეტად გამაოცა იმან, თუ რა ხშირად ვაღწევდი თავს დაპატიმრებას. ზოგიერთი ფაქტი ვარაუდის ან კითხვის სახით იყო წარმოდგენილი. ნოტარიუსის თანაშემწე სათვალის შუშიდან შემომყურებდა და შეკითხვებს მაძლევდა:

— ემთხვევა?

— ყველაფერი ემთხვევა, — ვპასუხობდი მე.

იგი კითხვას აგრძელებდა: შეთქმულებები, თავდასხმები, მთელი ჯგუფის ან ცალკეული პიროვნებების ხელყოფის მცდელობა. გერმანელებმა მართლაც ბევრი რამ იცოდნენ. მათ ყველაფერი მომაწერეს მე — ველოსიპედების ქურდობა, სურსათის მოტაცება, რასთანაც არავითარი კავშირი არ მქონდა, მაგრამ სრულიად არ იყო ნახსენები ბევრი რამ. ვიცოდი, რომ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. იმათთვის ვინც უკვე აღარ არჩევს ტყუილსა და მართალს, ყველაფერი სულ ერთია. ჩემთვის კი, რომელიც მკაცრად ვთიშავდი ტყუილს სიმართლისგან, ნაცისტების ვარაუდები და ახსნა-განმარტებები ანგარიშში აღარ ითვლებოდა.

ნოტარიუსის თანაშემწემ კითხვა შეწყვიტა და აღარ ვიცი, უკვე მერამდენჯერ მკითხა:

— ყველაფერი ემთხვევა?

— ყველაფერი, — ვუპასუხე მე.

— მოაწერეთ ხელი, — მითხრა მან და თავისი კალმისტარი გამომიწოდა. იგი ერთი წუთით დაიხარა ჩემკენ. მას სახეში შევხედე. ეს იყო ფილისტერის უმნიშვნელო სახე, შეზღუდული და საკმაოდ მშიშარა. სულელი კაცი, რომელმაც გერმანელებს მიჰყიდა თავი და მათ მბრძანებლობის ნებას აძლევდა. მაგრამ, როცა მიყურებდა, გარდა შეზღუდულობისა, მის სახეზე, რაღაც სხვანაირი გამომეტყველებაც შეიმჩნეოდა. რას ნიშნავდა ეს, ზუსტად ვერ მივხვდი, — რა იყო ეს — აღფრთოვანების, პატივისცემის ანდა თანაგრძნობის მაგვარი რაღაც. უცებ მან აჩქარებულად წამჩურჩულა:

— ტვენტე და ახტერხუკი განთავისუფლებულია.

მე მას დავაშტერდი, სწრაფად ამარიდა მზერა, თითი დააკაკუნა ოქმზე და ხმამაღლა და გაბრაზებით მითხრა:

— აქ. მოაწერეთ, გეთაყვა...

მე ხელი მოვაწერე. მან ჩემი ხელმოწერა გაამშრალა. დახურა საქაღალდე და ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წუთს უძრავად ვიჯექი. — მაშინვე ვერ გავიაზრე, რა მითხრა კლერკმა.

კარებში ოფიცერი გამოჩნდა და მანიშნა. ისევ მან მიმიყვანა ჩემს საკანამდე.

ვიწექი ცხენის ჩულზე, ციხის შენობა კი მომწვანო, მშფოთვარე საღამოს ბინდის ზღვაში ეშვებოდა. ისევ მტკიოდა დაშავებული ადგილები ხელებსა და ფეხებზე. მაგრამ ამ ტკივილებს მიღმა აღტაცებისა და გაოცების ცეცხლით იგზნებოდა სიხარული. ტვენტე და ახტერხუკი...

როგორც იქნა, მოკავშირეებმა ისევ დაიწყეს წინსვლა. გაზაფხულის ამინდი მართლა ხელს უწყობდა განთავისუფლებას. ისინი ცდილობდნენ, გერმანელებისათვის ალყა შემოერტყათ და შინისაკენ, გერმანიისაკენ წასასვლელი გზა მოეჭრათ. ვიწექი, სახე ჩაფლული მქონდა ცხენის ჩულში და ვქვითინებდი იმიტომ, რომ დაძაბულობამ გამიარა.

...სილახვავებში სინათლე ბზინავდა. ვიცნობდი ამ ბილიკს. არასდროს არ ყოფილა იგი ასეთი ნათელი. და მე არასდროს მივლია ასე ჩქარა და მსუბუქად — თითქოს წონა არ მქონდა! მეჩვენებოდა კიდეც, რომ კი არ მივდიოდი, მივსრიალებდი. უცნაურია-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ მერე მივხვდი: ქარი ზურგში მიბერავდა, იგი მიმარბენინებდა წინ. სილახვავებს შორის დაბლობებზე ვხედავდი ავურის სახლებს; სათბურების ცისარტყელასავით მბრწყინავ შუშებს. მხოლოდ მაშინ შევნიშნე სახლებზე ისეთი რამ, რაც წინათ არ მინახავს, — ჰოლანდიის დროშები იყო გამოფენილი.

ვიცინოდი და ხელს ვუქნევდი ამ დროშებს. მერე ბავშვების მხიარული ყვირილი გავიგონე. უკვე სილახვავებში ბილიკზე კი არ მივდიოდი, მივქროდი სოფლების გასწვრივ, სადაც საზეიმო ლხინი იყო. მოხუცები იცინოდნენ და სიცილისგან ახველებდნენ. პოლდერების პირქუში მცხოვრებნი კი, ქალები და კაცები, ერთმანეთს გადახვეულები ისხდნენ და ბავშვების მხიარულებით ტკბებოდნენ. ბავშვები ქუჩაში გამორბოდნენ, მოჰქონდათ ჭრელი გირლიანდები, რომლებიც გარმონივით იჭიმებოდნენ, ისინი ჰაერში ისროდნენ სერპანტინის გრძელ, სხვადასხვაფერ გორგოლაჭებს და ქაღალდის ბაბთების ნაგლეჯები ფრიალებდნენ წყალსადენ მილებსა და ხის ტოტებზე, რომლებიც გარს ერტყა სოფლის მოედანს... მათ ჩავუქროლე და ისევ ბოსტნების ზოლში აღმოვჩნდი. მინდოდა თავი მომებრუნებინა და იქით მიმეხედა. მაგრამ საკვირველია: თავი უძრავად მედგა მხრებზე, მხოლოდ წინ შემეძლო ყურება. მომეჩვენა,

რომ ფართო მწვანე ველის შუაში აღმართული იყო პატარა ბორცვი ბოსტნის კვალზე ცოტა მოკლე. აუცილებლად უნდა გამეგო, რა იყო ეს, მაგრამ ჩემი თავი არ მოძრაობდა და ბოსტნები უკან დამრჩა. სოფლის გზაზე აღმოვჩნდი: იგი ხრეშმოყრილი იყო, და მე დიდხანს მივქროდი მის ზემოთ, ვიდრე შორს არ გამოჩნდა ჩემკენ მომავალი რაღაც. შუა გზაზე გავჩერდი და ვიცდიდი. დავინახე, რომ ჩემკენ ორთვალა მოჰქროდა, რომელშიც მაღალი, წაბლა ცხენი იყო შებმული. ორთვალას ბორბლები შავითა და ოქროსფერით იყო მოხატული; მზეს ყველგან უხვად მიმოეფრქვია თავისი ბრწყინვალება. მხოლოდ ახლა შევნიშნე, ვინც იჯდა ორთვალაში. ეს იყო ჰუგო. იგი იღიმებოდა. მას ფრიზის ტანისამოსი ეცვა: მოკლე შარვალი, თეთრი წინდები, ვერცხლისაბზინდებიანი ფეხსაცმელები, ფართოკალთებიანი სერთუკი და მაღალი ფარფლებიანი ქუდი. მან ცხენი გააჩერა და ხელი გამომიწოდა.

— ჰუგო, — ვუთხარი მე, — რა უცნაური ტანისამოსია, მაგრამ ძალიან გიხდება.

მან ამიყვანა და გვერდით დამისვა.

— მე ხომ დასავლეთ ფრისლანდიის მკვიდრი ვარ! — მითხრა მან. — ჩემი დედ-მამა წარმოშობით სხახენიდან არიან. ჩემი და — მედიცინის დაა.

ჰუგო წინ გადაიხარა და რაღაცას დაუწყო ძებნა. გადაწეული სახურავის ტყავის ნაკეცებიდან ძველებური, მაქმანის დიდი თავსაფარი ამოიღო და ფრთხილად მომახურა მხრებზე. მერე ისევ დაიხარა, გამოათრია ოქროს სამკაული, რომელსაც ჩაჩის ქვეშ იხურავენ ხოლმე, და გამომიწოდა.

— თუ ამას დაიხურავ, ზუსტად ბებიაჩემს ემგვანები, — მითხრა მან.

— ჰუგო, — შევესიტყვე მე, — ეს უფრო უცნაურია. თავსაფარი — მშვენიერია; არასდროს მინახავს ამაზე საოცარი არაფერი... ხოლო ოქროს სალტე? განა შემიძლია მასში ჩემი თმა დავმალო? როგორ აკეთებდა ამას შენი ბებია?

მან შემომხედა. ჭკვიანი, მზემოკიდებული, მოოქროსფერო სახე, ცისფერი, ოდნავ დამფრთხალი, მაგრამ, მაინც მოღიმარი თვალები.

— ოჰ, მართლა, დალახვროს ეშმაკმა, — მითხრა მან. — ჩემი ბებია ყოველთვის მოკლედ იკრეჭდა თმას.

მან შეხედა ჩემს წითურ კულულებს, ფრთხილად გამოიწოდა ხელი და დალაგება დაუწყო მათ. მერე ჩემკენ დაიხარა. მე მას ქუდი მოვხადე. მისი სახე ჩემს თმაში ჩაეფლო.

— გინდა, მეც შევიჭრა თმები?.. — ვუთხარი ნაზად.

მან თავი დამიქნია, უფრო მომეკრა. მისი თავი ჩავიხუტე.

— წავიდეთ, მეეტლევ, — ვუთხარი ბოლოს. — შუა გზაზე არ შეიძლება დგომა... მალე ხალხი მოვა.

იგი გასწორდა. სახე უბრწყინავდა და მკითხა:

— სად არის ჩემი ქუდი?

ქუდი მივეცი. მან დაიხურა, მერე ბუდიდან ამოიღო ჭრელტარიანი მათრახი და ცხენს ზურგზე გადაუტლაშუნა.

—მართალია, — მითხრა მან, — დღეს გამარჯვების დღეა... წინ, წინ!

ცხენი დაიძრა. ჰუგოს ხელს ხელი მოვუჭირე. მან გაიღიმა და თავისი ძლიერი ხელებით სადავე მოსწია. იგი მართავდა ცხენის სვლასთან შეწყობილად და თან ენას აწკლაპუნებდა. თანდათან ჩქარა მივდიოდით მწვანე ბალახით დაფარულ მინდვრებზე; და აი ჩვენ სოფლის განაპირამდე მივედით, ბოსტნებს ჩავურახრახეთ გვერდით. უცებ პატარა ბორცვი გამახსენდა, რომელიც იქ ვნახე, უცნაური, ჩამოჭრილი კვალის მაგვარი; მომეჩვენა, რომ ბორცვზე ხე იდგა, რომელიც ჩრდილს ფენდა მას, ამიტომაც მხოლოდ მის ნახევარ ნაწილს ვხედავდი, თუ ნალებს არა... ყოველნაირად ვცდილობდი, იქით მიმებრუნებინა თავი.

— წინ იყურე, წინ ... — დამიყვირა ჰუგომ. ჩვენ რახრახით ჩავუარეთ იქაურობას. ჰუგოს თავიდან ქუდი მოძვრა. მის მოკლე წაბლისფერ თმას ქარი აფრიალებდა. მეც ვგრძნობდი, როგორ აფრიალებდა და მიწეწდა ქარი წითურ კულულებს.

—საუცხოოა, ჰუგო!.. — წამოვიძახე მე. — სად მივდივართ?

ცხენი ნავარდით მიჰქროდა, ორთვალა ხტოდა და მიხრიგინებდა, ჰუგო იცინოდა, მან უფრო მაღლა ასწია სადავე; როგორც ჩანდა, უნდოდა კიდევ უფრო გაერეკა ცხენი. უფრო მაგრა ჩავეპიდე მის ხელს. უცებ მომეჩვენა, რომ ჰუგო ვხდებოდი. კი, სწორედ ასეა. თითქოს გავდნი და ჰუგოს შევუერთდი. ხელებში სადავე ვიგრძენი. ახლა ორთვალაში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო — ხანა, მაგრამ ხანა ჰუგო იყო, ჰუგო კი ხანა. ფეხებზე ვერცხლისაბზინდებიანი ფეხსაცმელები მეცვა. თმა ისევ წითური მქონდა. წითურ კულულებს დროშასავით აფრიალებდა ქარი. ცხენის ნალები წკრიალებდნენ; ისევ გაისმა ბავშვების აღფრთოვანებული ყვირილი, გაისმა ზარების რეკვა...

რეკდნენ ზარები.

საღამო იყო. საკანმა ნაცრისფერ ქსელში გამხვია. მესმოდა, როგორ აჩქარებულად მიცემდა გული. ისევ თავდაღმა ვიწექი ნაც-

რისფერ ჩულზე. ჩემი სიზმრის მხიარული, მოზეიმე ხმები თანდათან ქრებოდნენ და დუმდებოდნენ. მე ისევ ვიცოდი, ვინ ვიყავი წინათ და ვინა ვარ ახლა. პირადმა დავწექი და ველოდი, როდის დამიმშვიდდებოდა გულისცემა.

ვიცოდი, რაც მომელოდა. ხვალ ან ზეგ, ანდა მაშინ, როცა მტერი მოისურვებდა.

ს ი ლ ა ხ ვ ა ვ ე ბ ი

სიკვდილი. გაზაფხულის ეს უღიმღამო მზე — სიკვდილია. ჩემ ირგვლივ ყველგან სიკვდილია; იგი სილახვავებშია, თავთუნებში, რომლებიც ფეხებს მიკაწრავენ. იგი ზღვაშია, რომელსაც მე ვერ ვხედავ, მაგრამ რომლის სუნთქვასაც ვგრძნობ. სიკვდილია ნიავის ნელ ქროლვასა და ღრუბლებში, სადაც თითქოს ნელ-ნელა ფერდობზე ხოხვით ავდივარ. სიკვდილი ჩემ უკანაა: ავტომატებიანი და რევოლვერებიანი ოთხი ფაშისტი. მე ეს ვიცოდი, როცა მითხრეს, რომ დაკითხვაზე ისევ ჰარლემში უნდა წავსულიყავი და ჰარლემში კი აღარ შევჩერდით. საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში, როცა ზღვისპირა გზაზე ავტომანქანაში ჩაგვიჯდა „უშიშროების სამსახურის“ ერთი ნიჩბიანი ვაჟბატონი და ნიჩბის ტარი ჩემს მუხლებს გამოედო. არა, მე ეს ადრეც ვიცოდი. მაშინვე, როცა აუგუსტას გამოვყავდი საკნიდან, რომელმაც მაიძულა პალტო ჩამეცვა და ავტომანქანისკენ წამიყვანა; როცა მანქანა ეზოდან გამოდიოდა და მე კი ზედამხედველებით გარშემორტყმული ვიჯექი შიგ. მათ წამიყვანეს საკნიდან სიკვდილთან შესახვედრად. ისინი, თვითონ არიან სიკვდილის ნაშიერნი. მათი ფუტურო ნიღაბი სძულს სიცოცხლეს. მათ აქ, ამ სილახვავებში, იმისთვის მომიყვანეს, რომ ტყვიით დამცხრილონ. ისინი სიამოვნებით დაცხრილავდნენ ტყვიებით—თვით სიცოცხლეს, სიცოცხლეს რომ მოესურვებინა გადაქცევა ბუმბერაზ არსებად, რომელსაც შესძლებდნენ გასწორებოდნენ — ამ, მათი დაღუპვის ჟამსაც კი! რომ საკუთარ სიკვდილთან მარტო დარჩენილიყვნენ.

უეცრად გონება გამინათდა: მე მათსავით არ უნდა ვიფიქრო. ჩემს მკვლელებსა და ჩემ შორის არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე საერთო, თავიანთი გაფუჭებული შიგნეულიდან ამოანთხიეს სიკვდილი და მოსდეს იგი ჩვენ სილახვავებს, ჩვენ მიწებს ჭაობის მსგავსად, რომელიც ირგვლივ ავრცელებს თავის მომაკვდინებელ ანაორთქლებს. მათ განიზრახეს ჩამახრჩონ ამ ჭაობში, როგორც მრავალი ჩაახრჩვეს. ახლა ვიცი, ჭაობი — თვით მათშია; და არა ჩემში და არც არაფერში, რაც ჩემ გარშემოა. მე მოვკვდები, მაგრამ გა-

ზაფხული და მზე ისევ იბრწყინებენ. ჰოლანდია განთავისუფლდება. ამას დიდი ლოდინი აღარ სჭირდება. მე ვიყავი ჩემს ქვეყანასთან და ჩემ თანამემამულეებთან. ჯერ კიდევ ვცოცხლობ მათთან ერთად და ვსუნთქავ მათთან ერთად. მე მივდივარ, და ჩემი ფეხები მიაბიჯებენ აქ, ნიდერლანდების მიწა-წყალზე, რომელსაც ვერავითარი ჭაობი ვერ ჩანთქავს. მალე ნიდერლანდების მიწად ვიქცევი და მკვლელებს ჩემზე აღარავითარი უფლება აღარ ექნებათ. ჰუგო. დედა და მამა. ანი და ტინკა. ჩემო ამხანაგებო. მოგიწოდებთ თქვენ. ყოველ თქვენგანს. ფაშისტები წამართმევენ თვალის ჩინს და შემაწყვეტინებენ სუნთქვას, ჩემს სხეულს დატოვებენ ბალახში. დარჩება ყველაფერი, რაც ვიყავი აქ, ამქვეყნად, — ადამიანის არსება ადამიანის სახელით; ყველაფერი, რაც ახლა საკუთარ მოსპობას ეგებება, იმიტომ, რომ ასე სურთ გერმანელ ფაშისტებს. მოგიწოდებთ ყველას. უარს ვაცხადებ ამ სიკვდილზე, იმიტომ, რომ იძულებული ვარ მივიღო იგი მ ა თ ი ხელიდან! ჩემს მეხსიერებაში მოვუხმობ ყველაფერს — ჩემს სიყვარულსა და სიძულვილს, და წუთიდან წუთზე ისევ ვპოულობ იმას, რასაც დაკარგულად ვთვლიდი: აი, აქ გადაშლილია სოფლები და ქალაქები, ამართულან სილახვავები —. ისინი დარჩებიან. მალე აღარ იქნება წითურთმიანი ქალიშვილი, რომელზედაც ასე დიდხანს ნადირობდნენ ფაშისტები; მაგრამ მკვლელებს არ ესმით, რომ უკვე დავუსხლტი მათ ხელიდან, — სწორედ ამ წუთას ვთავისუფლდები მათგან, მათი სიკვდილისგან და სამუდამოდ ვაიგივებ ჩემს თავს იმასთან, რაც შემდეგ დარჩება, — მიწაზე მცხოვრებთან, მოსიყვარულესთან, და იმასთან, რაც იცოცხლებს, — ყველაფერთან. რასაც ფაშისტები ვერასოდეს დაეუფლებიან.

სილახვავის ეს ფერდობი უსწორმასწოროა, ასვლა ჭირს. უკანასკნელად მაშინ გავიარე სილახვავებში, როცა ჯერ კიდევ თოვლი იდო. ახლა სილახვავებს ზამთრის ბორკილები მოუშორებია თავიდან. ჩემი სიყრმის დროინდელი სილახვავები გამახსენდა. დასასრული გზას უთმობს დასაწყისს. აქ, ამ სილახვავებში დავტანტალებდი ბავშვობისას. ალბათ, იქ, ქვიშიან ღარტაფში, ერთხელ მამასთან ერთად ვისვენებდი. სულ პატარა ვიყავი, ოთხი თუ ხუთი წლისა. დიდხანს ჯდომა არ შემეძლო და აქეთ-იქით დავიწყე სირბილი და თამაში. საკმაოდ შორს წავედი. უცებ ხაფანგში გაბმულ კურდღელს წავაწყდი. ხელი შევახე. შემეშინდა, თითქოს ჩემი ხელი რაღაცამ დაჩხვლიტა. კურდღელი მაგარი, უძრავი და უსულო იყო. ეს იყო პირველი მკვდარი სულდგმული, რომელიც მე ვნახე, რომელსაც შევეხე. ქარი ეთამაშებოდა მის თეთრსა და ნაცრისფერ ბეწვს. იშვიათად თუ მიტირია ასე დიდხანს და უნუგეშოდ. აღელვებულმა

მამამ მოირბინა ჩემ ტირილზე, ამიყვანა მიწიდან და იმ ადგილს მო-მაშორა. სახლში ტკბილეულობა და ახალი სათამაშო მომცეს, რო-მელიც ჩემი დაბადების დღისთვის იყო ნაყიდი. ვერაფრით დამამ-შვიდეს. ლაპარაკი არ შემეძლო. და ძილშიც კი ვტიროდი.

მალე დავიძინებ, მაგრამ ცრემლი არ იქნება, თუმცა მძულს ისინი, ვინც ჩვენ მომაკვდინებელი ხაფანგი დაგვიგო, მძულს იმ ბოროტ ადამიანზე მეტად, ვინც კურდღელი დაიჭირა ხაფანგით.

ფერდობის შუამდე ავედი. ჩემ წინაშე თავს ხრის ქარისგან და-რხეული ბალახი. მინდა გავჩერდე და მიმოვიხედო ირგვლივ — უკანასკნელად. მათ, ალბათ, შენიშნეს ჩემი უნებური შეყოვნება, რაღაცამ გაიზუზუნა ჩემს თავთან. სწრაფად ვიკიდებ ხელს გაკაწ-რულ ადგილზე. ყურიდან სისხლი მომდის. შემოვბრუნდი და ვხედავ, ჩემ-უკან კისერწაგრძელებულები დგანან ისინი, ოთხი მამაკაცი, ერ-თი მათგანი ბარით ხელში; მათი სახეები — მშიშარა, უაზრო ნიღ-ბები, გამოხედვა დამარცხებულების, რომლებსაც კიდევ სურთ წვა-ლება... ისროლა იმ აყლაყუდამ, რომელსაც გაფითრებული ტუჩები აქვს. ამას ვხვდები მისი აწეული ავტომატიანი ხელის მიხედვით, მისი უსიცოცხლო თვალების შეშინებული გამომეტყველებით. მათ ეშინიათ, ყველაფრის ეშინიათ. მე ზიზღით ვიღიმები და ვეუბნები:

— მე თქვენზე უკეთ ვისვრი.

გზას განვაგრძობ. მგონია, ზღვა აქამდე მოსულა, რომ სილა-ხვავებს შორის მდებარე ღარტაფი ქვიშიანი წყლით ივსება. ღრუბ-ლებიდან მზე ისეთ დამაბრმავებელ სინათლეს აფრქვევს, რომ თავ-ბრუხვევა მეწყება. უცებ მთელი ჩემი არსება სინათლით, მზითა და მღელვარებით აივსო. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება. ქვე-ვით ვიღაც ყვირის. გერმანული სიტყვებია, საზიზღარი, გამკივანი და შეურაცხმყოფელი ხმები. ჩემი აღელვებული გული ახლოს არ იკარებს მათ, და უკუაგდებს, როგორც ზღვა ხის ნაჭერს. სინათლე თვალს მჭრის და მძვინვარებს. სინათლე ტკივილად იქცევა. იძულე-ბული ვარ გავჩერდე. მაგრამ აღარ არის სინათლე.

აღარ ისმის ხმები. მხოლოდ ფაშისტების ტყვიებია ავტო-მატიდან. მთლად დაცხრილული ვარ ამ გაცოფებული ტყვი-ებით. ძირს ვეცემი.

წამოვიძახე თუ არა ძვირფასი სახელი? უკვე აღარა-ფერს ვგრძნობ, ტკივილი და მიწაა ჩემ ქვეშ. მინდა მზე დავინახო. მე კომუნისტი ვიყავი. კომუნისტი ქალი ესალ-მება მზეს.

მზეო, მომესალმე მეც!

მზე აღარ არის.

აღარც ტკივილია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორის წინასიტყვაობიდან 5

წიგნი პირველი

დევნილნი 15

წიგნი მეორე

დამცველები 93

წიგნი მესამე

მართლმსაჯულების გზები 185

წიგნი მეოთხე

ჯავშანი გულზე 353

წიგნი მეხუთე

წითურთმიანი ქალიშვილი 553

ТЕЙН ДЕ ФРИС

РЫЖЕВОЛОСАЯ ДЕВУШКА

Роман из истории движения
Сопротивления в 1942—1945 гг.

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
Руставели, 42. Тбилиси 1973

რედაქტორი ნიკა აგიაშვილი
მხატვარი თ. სამსონაძე
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი ლ. არაბიძე
გამომშვები ჰ. ტაბატაძე

გადაეცა წარმოებას 15/III-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-73.წ
ნაბეჭდი თაბახი 38,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 32,61
ქაღალდის ზომა 60×90 1/16 № 2
ტირაჟი 40.000, შეკვ. № 563

ფასი 1 მან. 83 კაპ.
გამომცემლობა „მერანი"
რუსთაველის 42. თბილისი 1973.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა,
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Тип: АН Груз. ССР,
Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19